

ალექსანდრე დიუმა

სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია იცნობს ორ ალექსანდრე დიუმას, ორივე ფრანგ მწერალს — მამასა და შვილს. შვილი სახელმწიფოებრივია რომანით «ქალი კამელიებით», მამა კი უმთავრესად ცნობილია ისტორიულ თემებზე დაწერილი მრავალრიცხოვანი სათავგადასავლო რომანით.

ალექსანდრე დიუმა (მამა) დაიბადა 1803 წელს პარიზის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ვილერ-კოტრეში. მამამისი რესპუბლიკელი გენერალი იყო, ხოლო დედა — სასტუმროს მფლობელის ქალიშვილი. მამის მხრივ ადრე დაობლებული დიუმა ჩავარდა დიდ გაჭირვებაში, რის გამოც მშობლიურ ქალაქში ნოტარიუსთან დაიწყო მუშაობა მწერლად. დიუმას სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ საკუთარ თავზე მუყაითმა მუშაობამ, დღენიადაგ კითხვამ ცოდნის მარაგი შეუვსო და მომავალში ლიტერატურული მუშაობის სურვილი აღუძრა. ახალგაზრდობაში დიუმა გატაცებით ეცნობოდა მშობლიურსა თუ უცხოურ ლიტერატურას: დიდ დრამატურებს და რომანისტებს. დიუმამ წერა მეტად ადრე დაიწყო. თხზავდა ჯერ ლექსებს, ხოლო შემდეგ ხელი გაიწაფა დრამებისა და რომანების წერაში. პარიზში მწერალი დაუახლოვდა ვიქტორ ჰიუგოს ირგვლივ შემოკრებილ წრეს და დაიწყო მეტად ნაყოფიერი ლიტერატურული საქმიანობა.

ლიტერატურული საქმიანობით გატაცებული დიუმა ბევრს მოგზაურობდა. გაიცნო მანამდე სრულიად უცნობი ან ნაკლებ ცნობილი კუთხეები და აღწერა ისინი მოგზაურის ჩანაწერებში; ჩანაწერებში თვალნათლივ ნახულის გვერდით დიდი ადგილი დაუთმო მონაგონისა და ზღაპრული ამბების აღწერასაც.

დიუმა თავდაპირველად რესპუბლიკელი იყო, რადგან გაიზარდა რესპუბლიკური არმიის გენერლის ოჯახში. იგი აღფრთოვანებით შეხვდა 1830 წლის ივლისის რევოლუციას და უშუალოდ ჩაება კიდეც ამ პოლიტიკურ მოვლენაში. ლაფაიეტის დავალებით იგი სუასონში გაემგზავრა აჯანყებულებისათვის დენტის საშოვნელად და ვანდეაში ეროვნული გვარდიის რაზმების დასაკომპლექტებლად. იგი თანაუგრძნობდა განმათავისუფლებელ იდეებს და აღმფოთებას გამოთქვამდა მთავრობის რეაქციული პოლიტიკის გამო.

ამ რევოლუციის გამარჯვებაში ხედავდა დიუმა მთელი ფრანგი ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერების გარიჟრაჟს, მაგრამ რევოლუციის მოვლენებმა არ გაუმართლეს იმედები დიუმას, — რევოლუციის შედეგად პრივილეგიებით სარგებლობდნენ მხოლოდ ბურჟუაზიის რეაქციული ძალები და 1832 წლის ივნისის რევოლუციური ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ გულგატეხილი დიუმა შვეიცარიაში მიემგზავრება, ერთხანს იქ იმყოფება, ხოლო უკან დაბრუნებული ისევ ებმება დამაბულ ლიტერატურულ საქმიანობაში.

ამიერიდან იდეური ევოლუციის ნიშნები დიუმას შემოქმედებასაც დაეტყო, სულ უფრო მეტად ცხრება მის შინაგან სამყაროში მემამოხური სული, თუმცა, ამასთანავე, საერთოდ ხელს არ იღებს პოლიტიკურ საქმიანობაზე. 1848 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში ისევ ფიქრობს პოლიტიკური კარიერის შექმნაზე. ერთ-ერთ

დეპარტამენტში ნაციონალური კრების დეპუტატად გასვლაც კი უნდოდა. იგი დადგა კონსტიტუციურ-მონარქიული პარტიის მხარეზე, მაგრამ არჩევნებმა მარცხი განიცადა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები, როგორც გადმოგვცემენ, დიუმამ დიდ მატერიალურ ხელმოკლეობაში გაატარა. თითქმის ყველას მიერ მივიწყებული, იგი გარდაიცვალა 1870 წლის 6 დეკემბერს, საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს. დიუმას მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებში გერმანელების ძალადობის გამო ფრანგები ისეთ დღეში იყვნენ, რომ ვერც კი დაიტირეს თავიანთი სასიქადულო მწერალი.

* * *

დიდია დიუმას ლიტერატურული მემკვიდრეობა. მარტო მისი რომანების რიცხვი 500-მდე აღწევს, ხოლო თხზულებათა სრული კრებული მოიცავს 301 ტომს. დიუმას მაინცდამაინც ღრმა იდეები არა ჰქონდა, მაგრამ რომანტიზმის ტენდენციები და ჰუმანური იდეალები ისე ოსტატურად და ყველასათვის ისეთი ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატა, რომ სამართლიანად იქცა ხალხის საყვარელ მწერლად.

სამწერლო ასპარეზზე დიუმა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ გამოვიდა. ამ ისტორიულ სიტუაციაში კლასიციზმის ესთეტიკური ნორმები და შემოქმედებითი ტრადიციები აღარ შეეფერებოდა ერის იდეურსა და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, მის ზნეობრივსა და მხატვრულ ინტერესებს. ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდობა კლასიციზმში მართებულად ხედავდა ძველი თავადაზნაურული იდეოლოგიის ესთეტიკური იდეალების გამოძახილს და ახალი დროის გაბატონებული კლასების იდეალების გამომხატველი ლიტერატურული მიმართულების ჩამოყალიბებისაკენ ესწრაფვოდა, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაში. ჰიუგომ ძირი გამოუთხარა კლასიციზტურ ლიტერატურას: დრამა «კრომველის» წინასიტყვაობაში, რომელიც პროგრესული რომანტიზმის შემოქმედებით მანიფესტად იქცა, საბოლოოდ მიაღწია მან რომანტიზმის ზეიმს.

რომანტიზმის პროგრესული მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა ახალი საზოგადოების ლიბერალური ნაწილის სულისკვეთებას, 30-იანი წლების საფრანგეთში საბოლოოდ გაბატონდა როგორც პოეზიის, ისე დრამისა და რომანის სფეროში. მის გამარჯვებას თეატრალურ სარბიელზე დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა მწერლის დიუმას პიესამ — «ანრი მესამე და მისი სასახლე», რომელიც 1829 წელს დაიდგა. «ანრი მესამე» პირველი ფრანგული რომანტიკული პიესა იყო, რომელიც გამოირჩეოდა ლიბერალური იდეების სიჭარბით, სასახლის ზნეობათა მზის სინათლეზე გამოტანით.

«ანრი მესამეს» მოჰყვა ჯერ დრამა «ნაპოლეონი, ანუ საფრანგეთის ისტორიის ოცდაათი წელი», შემდეგ — «ანტონი», «კინი» და პიესების მთელი ციკლი, რომელშიც დიუმამ თამამად გამოიყენა სხვადასხვა დროის და ქვეყნის მწერალთა შემოქმედებითი მიღწევები.

დრამატულ თხზულებებში დიუმამ დაამუშავა ისეთი პრობლემები, რომელთა გაშუქებასაც განმეორებით დაუბრუნდა ისტორიულ რომანებში. დიუმას პირველი პროზაული ნაწარმოებია «თანამედროვე ნოველები» (1825), რომელიც არ გამოირჩევა რაიმე ლიტერატურული ღირსებით. საფრანგეთის წარსული ყოფის აღწერას მიეძღვნა შრომა — «გალია თუ საფრანგეთი» (1833). დიუმას რესპუბლიკური შეხედულებები ჩამოყალიბებულია სტატიაში «როგორ გავხდით დრამატურები» (1833). 30-იან წლებში დიუმამ მოიფიქრა ისტორიული რომანების დიდი სერია, რომელშიც უნდა აესახა თავისი ქვეყნის წარსულის გარკვეული მონაკვეთი მეთხუთმეტე საუკუნიდან, კერძოდ, კარლოს მეშვიდის (1422—1461) მეფობის ხანიდან, მეცხრამეტე საუკუნემდე. ამ რომანებში წინა პლანზეა წამოწეული ავანტიურისტულ-სახალხო ელემენტი. ამ ციკლის პირველი

ნაწარმოებია ანტიინგლისური სულისკვეთების წიგნი «იზაბელა ბავარიელი». საფრანგეთის მეფის ფრანცისკ პირველის სასახლე თავისი ინტრიგებითა და ვერაგობით დახატულია «ასკანიოში» (1840).

მაგრამ საყოველთაო აღიარება დიუმამ ჰპოვა რომან-ფელეტონის ჟანრში, რომლის უმთავრესი ნიმუშები შექმნა ძირითადად ექვსი წლის განმავლობაში, 1844—1850 წლების მანძილზე. ამ რომანთაგან პირველია «სამი მუშკეტერი» (1844), რომელსაც მოჰყვა ორი გაგრძელება: «ოცი წლის შემდეგ» (1845) და «ვიკონტი დე ლა ბრანჟიანი, ანუ ათი წლის შემდეგ» (1848-50), რომანი «გრაფი მონტე-კრისტო» (1844—1845), «დედოფალი მარგო», «შევალე დე მეზონ რუჟ» (1846), «მადამ დე მონსორო» (1846) და სხვა...

«სამ მუშკეტერსა» და მის ორ გაგრძელებაში ასახულია ლუი მეცამეტის მეფობის, კარდინალ რიშელიეს გამგებლობისა და ლაროშელის გარემოცვის ხანა. მწერალი ცდილობს აღადგინოს მეჩვიდმეტე საუკუნის დიდი ისტორიული მოვლენები. ტრილოგიის მეორე წიგნში დახატულია ინგლისის სამოქალაქო ომი და პურიტანული მოძრაობა: ტრილოგიის უკანასკნელ წიგნში კი მოქმედება ვითარდება ლუი მეოთხემეტის მეფობის პირველ წლებში, როცა საბოლოოდ გაძლიერდა აბსოლუტური რეჟიმი და ამის შედეგად, შეიცვალა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება.

«დედოფალ მარგოში» აღწერილია კათოლიკეთა და ჰუგენოტთა შორის წარმოებული სამოქალაქო ომი და, კერძოდ, ბართლომეს ღამის ტრაგედია: დახატულია ის ხანა, როცა განსხვავებული სოციალური კლასების ინტერესთა ურთიერთჭიდილს ნიღბავდა სარწმუნოებრივი საბურველი.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას და განმანათლებელთა მშფოთვარე ეპოქას დიუმა შეეხო «შევალე დე მეზონ რუჟ»-ში. აქ აჩვენა მან კონფლიქტი ადამიანის პირადულ ვნებებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის.

«გრაფ მონტე-კრისტოში» დიუმას გადავყავართ შედარებით ახლო წარსულში, რის გამოც ამ რომანს ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს თანამედროვე თემაზე დაწერილ ქმნილებად. რომანის მოქმედება ხდება ნაპოლეონის მეუფების «ასი დღისა» და მეორე რესტავრაციის განმავლობაში. დიუმას მთელი ზიზღი მიმართულია ამ ეპოქის მთავარი სოციალური გმირების — გაქნილი ბურჟუა საქმოსნების მიმართ. ამ რომანშიაც ავტორი გარკვევით უპირატესობას ანიჭებს გარდასულ დროებს, რაკი თანამედროვე სინამდვილეში იგი ხედავს მხოლოდ პლუტოკრატიას, ხედავს ბიუროკრატიას და ახალ არისტოკრატიას — ივლისის მონარქიის ბურჟს. ამათგან პირველის წარმომადგენელია ბანკირი დანგლარი, მეორესი — პროკურორი ვილფორი და მესამესი — გრაფი დე მორსერი. თანამედროვე სინამდვილის მოძულე დიუმა, როგორც ითქვა, რომანტიკული შარავანდედით ამკობს წარსულს.

დიუმას გმირები არიან დიდსულოვანი, კეთილშობილი და გამბედავი ადამიანები, გარემომცველი პოლიტიკური სიტუაციის აქტიური მონაწილენი. თუმცა ზოგიერთნი მათ შორის მოქმედებენ «ზეადამიანური» ეთიკის ნორმების დასაცავად; მოქმედებენ ისე, რომ, ანგარებისათვის არასოდეს ლახავენ საკუთარ ღირსებას. დიუმას გმირთა უმეტესობას არასოდეს ღალატობს პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის გრძნობა. ამასთანავე, ეს გმირები აღსავსენი არიან სიმტკიცითა და გამბედაობით, მჩქეფარე ენერგიითა და უშრეტი ოპტიმიზმით, თუმცა არ გააჩნიათ მაღალი იდეალები და ფართო საზოგადოებრივი ინტერესები. დიუმას გმირების ცხოვრება სავსეა თავგადასავლებითა და სახიფათო მომენტებით, ხშირად აშკარად დაუჯერებელი ფათერაკებით, მაგრამ ავტორი მათ აღწერს ისეთი დამაჯერებლობით, რომ ამბების სიმართლეში ეჭვი არ გეპარებაო. მაგალითად, დიუმას ერთ-ერთი გმირი წიგნიდან «გრაფი მონტე-კრისტო» ციხეში ჯდომისას ითვისებს მრავალ ენას და მეცნიერების ბევრ დარგს, ხოლო მეორე

გმირი პატარა რკინის უბრალო საგნით ანგრევს ციხის სქელ ქვის კედლებს. ოპტიმისტური სულისკვეთება ახასიათებს განსაკუთრებით დიუმას ადრინდელი რომანების გმირებს.

დიუმას რომანები არ არის მოკლებული კომპოზიციურ სიმწყობრეს, ისტორიულ მოვლენებზე თავისებურ შეხედულებათა მთლიანობას. აგრეთვე, ლიტერატურული სტილის ერთიანობას. დიუმას რომანთა უმეტესობა იწყება დამინტერესებელი და დინამიური მოქმედებით. ამბის თხრობაში ოსტატურადაა ჩაქსოვილი დახლართული ინტრიგები. რომანებში ბევრია თავგადასავალი, შეთქმულება, რთული ინტრიგები და ყველა ის მომენტი, რომლებიც რომანებს მატებს დრამატულ დამაბულობას. სიუჟეტში ხშირია პერიპეტეები — ერთი მდგომარეობიდან გადასვლა მის საწინააღმდეგო მდგომარეობაში.

დიუმას რომანები გამოირჩევა სიუჟეტური მრავალფეროვნებითა და მათი შემადგენელი ელემენტების სირთულით, დრამატულ კონფლიქტთა დამაბულობით. ყოველი ეპიზოდი მათში არის წინამორბედი ეპიზოდის ლოგიკური გაგრძელება და ასეთივე შესავალი მომდევნო ეპიზოდისათვის.

დიუმას ნაწარმოებთა ენა არის ლაკონური, დახვეწილი და ცოცხალი, დიალოგები — გამართული, მახვილი, დრამატული.

დიუმას რომანებისათვის ნიშანდობლივია, აგრეთვე, დიდი იუმორი, რომელიც შეეფერება რომანის საერთო ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს; გმირთა შეუდრეკლობას და ცხოვრებისადმი ტრფიას. მხიარული ოხუნჯობანი მათში აბათილებენ სიტუაციების სიმძაფრეს და აძლიერებენ კომიკურ სცენებს.

დიუმას ძალიან აინტერესებდა რუსეთის ნახვა და 1858-1859 წლებში იმოგზაურა კიდეც ამ ქვეყანაში.

რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ფრანგმა მწერალმა შეიტანა რამდენიმე ტომად გამოცემულ წიგნში — «რუსეთი». მრავალ საინტერესო და ყურადსაღებ ცნობასთან ერთად მასში წარმოდგენილია გულუბრყვილო და ზოგჯერ ამკარად ყალბი ცნობებიც.

რუსეთისადმი დიდმა ინტერესმა დიუმას ჯერ კიდეც 1840 წელს დააწერინა ისტორიული რომანი «ფარიკაობის მასწავლებლის ჩანაწერები, ანუ თვრამეტი თვე ს. პეტერბურგში». ამ რომანის ცენტრში დგას ცნობილი დეკაბრისტი ი. ანენკოვი და მისი მეუღლე.

რუსეთის შემდეგ დიუმამ იმოგზაურა ჩვენშიც.

საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი დიუმამ გადმოსცა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნში — «კავკასია», რომელიც დღიურების სახეს ატარებს. დიუმა მოხიბლა საქართველოს ბუნებამ, თბილისს მან «ქართული სამოთხე» უწოდა, კახეთს — საქართველოს ზვარი. კახეთში იგი განსაკუთრებით აღაფრთოვანა ა. ჭავჭავაძის მამულმა. დიუმა მოჯადოებული დარჩა ქართველებითაც, მათი ტანისამოსით: ჩოხით, შარვლითა და ყაბალახით. იგი დადიოდა ერთი თავადის მიერ საჩუქრად ნაბოძები ქართული ჩოხითა და ქამარ-ხანჯლით, ქართველთა შორის მან დაინახა მრავალგვარი სიკეთით დაჯილდოებული ადამიანები, საუკეთესო მეზრძოლები და მშრომელები — განთქმულნი ხელგაშლილობითა და სილამაზით.

დიუმა ლაპარაკობს შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ომზე, იმ კეთილშობილებასა და შემართებაზე, რასაც იჩენდნენ შამილის ტყვეობაში მყოფი ქართველები. დიუმამ პირადად ინახულა ტყვეობაში მყოფი ანა ჭავჭავაძე და აღტაცება გამოთქვა მისი სილამაზის გამო. მანანა ორბელიანის, გარეგნობაზე კი წერდა: «არასოდეს მინახავს არისტოკრატი ქალი ასეთი მზრძანებლური გარეგნობის. თუ შეხვდებით ორბელიანს

როცა ის ფეხით მიდის, თქვენდა უნებურად უნდა მოიხადოთ ქუდი, თუნდაც არ იცნობდეთ მას».

დიუმა მოიხიბლა საქართველოს კულტურითა და ისტორიული ძეგლებით, აღტაცებაში მოიყვანა, მისი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო შენობამ — თბილისის საოპერო თეატრმა. მწერლის ყურადღება მიიქცია აგრეთვე გელათის მონასტერმა, სიონის ტაძარმა და გორის ციხემ. ამ ძეგლებს, — აღნიშნავდა იგი, — აქვთ წარმტაცი გარეგნობა და უმშვენიერესი ადგილმდებარეობა. დიუმამ დაათვალიერა ქარვასლა, დაიარა ბაზრები და, როგორც სტუმარმა, მოინახულა ოჯახები. თბილისში მრავალნაირი ეროვნებაა, რომელთა შვილებიც ქალაქში დადიან თავისი ქვეყნისათვის ნიშანდობლივი კოსტიუმებითა და იარაღით.

ფრანგი მწერალი აღაფრთოვანა ქართულმა სიმღერებმა. «ყველა ქართული მელოდია მარტივი, წყნარი და სევდიანი მოდულაციაა. ადამიანმა შეიძლება საათობით ისმინოს ეს მელოდიები და არ იგრძნოს რაიმე დაღლილობა. ისინი ადამიანს უგალობენ ნანას, მაგრამ ძილს კი არასოდეს მოჰგვრიან; აავსებენ ოცნებით, მაგრამ ამასთანავე ამყოფებენ სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში».

ნაცნობობას პირადად დიუმასთან, — მართალია, ცოტა დაგვიანებით, — მოჰყვა გაცნობა მისი ქმნილებებისა ქართულ ენაზე. ჩვენი საზოგადოება მშობლიურ ენაზე ჯერ დიუმას დრამატურგიას გაეცნო, ხოლო შემდეგ პროზაულ ნაწარმოებებსაც. 1900 წლის 10 თებერვალს თბილისის ქართულ თეატრში ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ ითამაშეს დიუმას პიესა «კინი».

დიუმას ლიტერატურულ ნიჭს დიდად აფასებდა მრავალი გამოჩენილი პიროვნება. ვიქტორ ჰიუგო ამბობდა: «ალექსანდრე დიუმა არის ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთაც შეიძლება ეწოდოთ ცივილიზაციის მთესველი; იგი აჯანსაღებს და აკეთილშობილებს ადამიანთა ჭკუას, შეაქვს მასში აუხსნელი, მკაფიო და ძლიერი სინათლე. იგი ანაყოფიერებს ადამიანის სულსა და გონებას; აღვიძებს კითხვის წყურვილს».

ახალგაზრდებს იტაცებთ დიუმას რომანები, მათში ისინი ეცნობიან თავისთვის საოცნებო ადამიანებს, ძლიერსა და მშვენიერ პიროვნებებს.

დოც. შოთა რევიშვილი

გ რ ა ფ ი მ ო ნ ტ ე - კ რ ი ს ტ ო

ნაწილი პირველი

I

მარსელი. დაბრუნება

1815 წლის 27 თებერვალს ნოტრ-დამის მეთვალყურემ დე ლა გარდმა ნიშანი მისცა, რომ ნაპირს უახლოვდებოდა სმირნიდან, ტრიესტიდან და ნეაპოლიდან მომავალი სამანძიანი გემი «ფარაონი».

როგორც ყოველთვის, პორტის ლოცმანი მაშინვე გავიდა ნავსადგურიდან, ჩაუარა ციხესიმაგრე იფს და გემს მიადგა მორჯიონის კონცხსა და კუნძულ რიონს შუა.

მაშინვე, როგორც ყოველთვის, წმინდა იოანეს ფორტის მოედანი ცნობისმოყვარეებით აივსო, რადგან გემის მოსვლა ყოველთვის დიდი მოვლენაა მარსელში, მით უფრო, თუ ეს გემი, «ფარაონივით» აგებული და აღკაზმული, დატვირთული იყო ძველი ფოკელის ნავსაშენში და ეკუთვნოდა ადგილობრივ გემთმეპატრონეს.

გემი კვლავ წინ მიიწევდა. მან მშვიდობით გაიარა სრუტე, რომელიც ვულკანისებურმა ბიძგებმა კალესარენასა და ჟაროს კუნძულებს შორის წარმოშვეს, შემოუარა პომეგს, ნაპირს უახლოვდებოდა თავისი სამი მარსელით, დიდი ფოკითა და ბრიგანტინით¹, (1 მარსელი და ფოკი — იალქნების სახელები, ბრიგანტინი — ორიალქნიანი პატარა გემი.) მაგრამ ისე წელა და ისეთი სევდიანი ელფერით, რომ ცნობისმოყვარეებმა უნებურად იგრძნეს რაღაც უბედურება და თავის თავს ეკითხებოდნენ, ნეტავ რა უნდა მომხდარიყო გემზეო, თუმცა საზღვაო საქმის მცოდნენი ხვდებოდნენ, რომ, თუ მართლაც რაიმე უბედურება მოხდა, ეს არ უნდა შეჭხებოდა თვით გემს, რადგან იგი სრულ წესრიგში ჩანდა. ღუზა მზად იყო ჩასაშვებად, ბაგირები აეხსნათ, ხოლო ლოცმანთან, რომელიც ემზადებოდა «ფარაონი» ვიწრო შესავლით მარსელის ნავსადგურში შეეყვანა, იდგა ცქვიტი შესახედაობის გამჭრიახი ყმაწვილი კაცი. იგი თვალს ადევნებდა გემის მოძრაობას და იმეორებდა ლოცმანის ყოველ ბრძანებას.

ხალხში გამეფებულმა გაურკვეველმა შემფოთებამ განსაკუთრებით შეიპყრო ერთი მაყურებელი. მას მოთმინება არ ეყო, დაეცადა გემის ნავსადგურში შემოსვლამდე, ჩახტა ნავში და უბრძანა, ნიჩბები მოესვათ «ფარაონისაკენ», რომელსაც დელა რეზერვის ყურეს პირდაპირ გაუსწორდა.

ამ კაცის დანახვაზე ახალგაზრდა მეზღვაურმა ლოცმანი მიატოვა და ქუდით ხელში გემის მოაჯირს დაეყრდნო.

ეს იყო თვრამეტი-ოცი წლის ყმაწვილი კაცი, მაღალი, ტანადი, ლამაზი შავი თვალებითა და კუპრივით შავი თმით. მთელ მის პიროვნებას ბავშვობიდანვე ხიფათებთან ბრძოლას მიჩვეული ადამიანებისათვის დამახასიათებელი მშვიდი და თავის თავში დარწმუნებული იერი ჰქონდა.

— ოჰ! თქვენა ხართ, დანტეს! — შეჰყვირა ნავში მყოფმა, — რა მოხდა? რისგანაა, რომ მთელს თქვენს გემზე მოწყენილობა სუფევს?

— დიდი უბედურება, ბატონო მორელ! — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, — დიდი უბედურება, განსაკუთრებით ჩემთვის; ჩივიტა ვეკიასთან დაგვარგეთ ჩვენი მამაცი კაპიტანი ლეკლერი.

— ტვირთი? — ჰკითხა ფიცხლად გემის პატრონმა.

— ტვირთმა მშვიდობით მოაღწია, ბატონო მორელ, და, ვფიქრობ, კმაყოფილი დარჩებით ამ პატაკით; მაგრამ ის საწყალი კაპიტანი ლეკლერი კი...

— მაინც რა მოუვიდა? — ჰკითხა გემის პატრონმა და აშკარად შეეტყო, რომ გულზე მოეშვა, — რა შეემთხვა ჩვენს მამაც კაპიტანს?

— გარდაიცვალა.

— ზღვაში ხომ არ გადავარდნილა?

— არა, ტვინის ანთებისაგან გარდაიცვალა, საშინელი წამებით, — უპასუხა დანტესმა და შემდეგ ეკიპაჟს ხმამაღლა გასძახა:

— ეჰეი, ყველანი თქვენ-თქვენს ადგილებზე! მოემზადეთ ღუზის ჩასაშვებად!

ეკიპაჟი ბრძანების შესრულებას შეუდგა. რვა თუ ათი მეზღვაური (ეს იყო გემის მთელი შემადგენლობა) მაშინვე ეცა, — ვინ ბაგირებს, ვინ საჭეს, ვინ იალქნების თოკებს, ვინ ფოკებს.

ახალგაზრდა მეზღვაურმა სწრაფად მოავლო თვალი მეზღვაურებს და, რაკი ნახა, რომ მისი ბრძანება სრულდებოდა, ისევ თავის თანამოსაუბრეს მიუბრუნდა.

— მაინც როგორ მოხდა ეს უბედურება? — განაახლა გემის პატრონმა შეწყვეტილი საუბარი.

— სრულიად მოულოდნელად, ბატონო ჩემო; ნავსადგურის კომენდანტთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ აღელვებულმა კაპიტანმა ლეკლერმა ნეაპოლი დატოვა, ოცდაოთხი საათის შემდეგ იგი ცხელებამ შეიპყრო, ხოლო სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ჩვენ იგი წესისამებრ დავასაფლავეთ და ახლა ტილოში გახვეული განისვენებს კუნძულ დელ ჟიულის ერთ-ერთ მაღლობზე; თავთან და ფეხებთან ყუმბარები უდევს. კაპიტანის ქვრივს კი მისი საპატიო ორდენის ჯვარი და ხმალი ჩამოვუტანეთ. განა ღირს, — განაგრძო ყმაწვილმა კაცმა მელანქოლიური ღიმილით, — ინგლისელებთან მთელი ათი წლის მანძილზე იბრძოლო, თუ შენც ისევე მოკვდები ლოგინზე, როგორც ყველა მომაკვდავი?

— რას იზამ, ედმონდ! — დაიწყო ისევ გემის პატრონმა, რომელიც, ეტყობოდა, თანდათან მშვიდდებოდა, — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და ბოლოს და ბოლოს ხომ საჭიროა მოხუცებმა ახალგაზრდებს დაუთმონ ადგილი. ამის გარეშე არც წინსვლა იქნებოდა, და რადგან თქვენ ამბობთ, რომ ტვირთი...

— სავსებით უვნებლად ჩამოვიტანეთ, ბატონო მორელ, ამის თავდები მე ვარ. ეს ისეთი მგზავრობაა, რომელშიც გირჩევთ არ დათანხმდეთ 25 000 ფრანკზე ნაკლებ მოგებას.

და რაკი «ფარაონმა» უკვე გაირა მრგვალი კოშკი, ყმაწვილმა კაცმა მეზღვაურებს ხელმეორედ გასძახა.

ბრძანება თითქმის ისეთივე სისწრაფით იქნა შესრულებული, როგორც ეს სამხედრო გემებზე ხდება.

ბოლო ბრძანებაზე ყველა აფრა დაეშვა და ახლა გემი, თითქმის შეუმჩნევლად, მხოლოდ ინერციით მიიწევდა წინ.

— ახლა, ბატონო მორელ! ხომ არ ინებებთ გემზე ამობრძანებას? — ჰკითხა დანტესმა, რომელმაც გემის პატრონს მოუთმენლობა შეამჩნია, — აი, სწორედ თავისი კაიუტიდან გამოდის თქვენი მოანგარიშე დანგლარიც, იგი მოგახსენებთ ყოველგვარ ცნობებს, რომლებსაც თქვენ მოისურვებთ, მე კი ღუზა უნდა ჩავაშვებინო და გემი სამგლოვიაროდ მოვართვევინო.

გემის პატრონს არ დასჭირვებია მეორედ მიპატიჟება, იგი ჩაეჭიდა დანტესის მიერ გადმოსროლილ ბაგირს და გემის ამობურცულ ქიმზე ისეთი სიმარჯვით აფოფხდა, რაც სასახელო იქნებოდა ყოველი მეზღვაურისათვის. დანტესი ისევ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა და გემის პატრონთან საუბარი დაუთმო მას, ვისაც დანგლარი უწოდა. ეს უკანასკნელი კაიუტიდან გამოსვლისთანავე მართლაც ბატონ მორელისაკენ გაემართა.

ეს ახლად მოსული იყო ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის კაცი, საკმაოდ პირქუში, მლიქვნელი თავის უფროსებთან, ხოლო თავხედი თავის ხელქვეითებთან; აი, სწორედ ამ მიზეზით და არა მოანგარიშის ტიტულის გამო, რომელიც ესოდენ სძულთ მეზღვაურებს, გემის შემადგენლობას რამდენადაც ედმონდ დანტესი უყვარდა, იგი იმდენადვე ეჯავრებოდა ეს კაცი.

— მაშ ასე, ბატონო მორელ! — თქვენ, ვგონებ, უკვე იცით, რა უბედურებაც შეგვემთხვა? — ჰკითხა დანგლარმა.

— დიახ, დიახ, საწყალი კაპიტანი ლეკლერი! მამაცი და პატიოსანი ადამიანი იყო!

— რაც მთავარია, იშვიათი მეზღვაური, ცასა და ზღვას შუა დაბერებული. სწორედ ასეთ ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა მინდობილი ინტერესები ისეთი მსხვილი ფირმისა, როგორიცაა «მორელი და ვაჟიშვილი», — უთხრა დანგლარმა.

— მაგრამ, მე მგონი, დანგლარ, — განაგრძო გემის პატრონმა და თან თვალი არ მოუშორებია დანტესისათვის, რომელიც გემის მისადგომ ადგილს ეძებდა, — იმისათვის, რომ კარგად იცოდე შენი ხელობა, სავალდებულო როდია იყო ისეთი გამოცდილი მეზღვაური, როგორსაც თქვენ ამბობთ. აი, თუნდაც ჩვენი მეგობარი ედმონდი, ისე მშვენივრად უძღვება თავის საქმეს, რომ, ვფიქრობ, არავის რჩევას არ უნდა საჭიროებდეს.

— დიახ, — უპასუხა დანგლარმა და დანტესს ალმაცერად გადახედა. მის გამოხედვაში აშკარა სიძულვილმა იელვა, — იგი ახალგაზრდაა და თავის თავში დარწმუნებულიც. როგორც კი გარდაიცვალა ლეკლერი, დანტესმა არავის რჩევას არ მოუცადა, ისე ითავა კაპიტნობა, რამაც, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ მარსელში მოვსულიყავით, გვაიძულა თითქმის დღე-ნახევარი კუნძულ ელბაზე დაგვეკარგა.

— რაც შეეხება გემზე უფროსობის კისრებას, — თქვა გემის პატრონმა, — როგორც კაპიტნის თანაშემწე, ის ვალდებული იყო სწორედ ასე მოქცეულიყო. კუნძულ ელბაზე დღე-ნახევრის დაკარგვაში კი მართალი არ არის, თუ, რასაკვირველია, გემი შეკეთებას არ მოითხოვდა.

— გემი ისევე უვნებელი იყო, როგორც მე მხედავთ და როგორადაც მე ვისურვებდი, თქვენ ბრძანდებოდეთ, ბატონო მორელ. ის დღე-ნახევარი კი დაკარგულია უბრალო ჟინიანობის გამო, რომ მიწაზე გავლით ესიამოვნა.

— დანტეს! — მიუბრუნდა გემის პატრონი ყმაწვილ კაცს, — აქ მოდიო!

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ამ წუთში გეახლებით, — უპასუხა დანტესმა და კვლავ ეკიპაჟს მიუბრუნდა:

— ჩაუშვით ღუზა!

ღუზა მყისვე ჩაუშვეს და ჯაჭვი გრუხუნით გაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ ლოცმანი იქ იყო, დანტესი მაინც თავის პოსტზე დარჩა, სანამ ეს უკანასკნელი მანევრი დამთავრდებოდა.

დანტესმა მეზღვაურებს კიდევ რამდენიმე ბრძანება მისცა.

— აი, ხედავთ? — არ ისვენებდა დანგლარი, — სიტყვას გაძლევთ, რომ მას თავისი თავი უკვე კაპიტნად მიაჩნია.

— და არის კიდევ კაპიტანი, — უპასუხა გემის პატრონმა.

— მაგრამ თქვენი და თქვენი კომპანიონების დამტკიცების გარეშე?

— ეშმაკმა დალახვროს! მერე და რატომ არ უნდა დავტოვო კაპიტნად? — წამოიძახა გემის პატრონმა, — მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ, ვფიქრობ, საქმისათვის თავდადებულია და საკმაოდ გამოცდილიც.

დანგლარს შუბლი მოელუშა.

დანტესი ბატონ მორელს მიუახლოვდა.

— ბატონო მორელ, ახლა, რაკი ღუზა ჩაშვებულია, მე თქვენს განკარგულებაში ვარ, — უთხრა მან, — ვგონებ, მეძახდით?

დანგლარმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— მინდოდა გამეგო, რისთვის შეიარეთ კუნძულ ელბაზე?

— თავად არ ვიცი, ამით შევასრულე კაპიტან ლეკლერის უკანასკნელი ბრძანება. მან სიკვდილის წინ პაკეტი გადმომცა მარშალ ბერტრანისათვის¹ (¹ ბერტრანი (ჰანრი გრასიენი, 1773—1844) — ფრანგი გენერალი, რომელმაც დიდი ერთგულება გამოიჩინა ნაპოლეონ პირველისადმი, მას გაჰყვა ელბასა და წმ. ელენეს კუნძულზე და მისი ნეშტი პარიზში გადმოასვენა.) გადასაცემად.

— ედმონდ, მამ თქვენ ნახეთ იგი?

— ვინ?

— მარშალი.

— დიახ.

მორელმა მიიხედ-მოიხედა და დანტესი განზე გაიხმო.

— იმპერატორი როგორ არის? — ჰკითხა მან ფიცხლად.

— ჯანმრთელადაა, რამდენადაც შეიძლება ჩემს თვალებს დავუჯერო.

— მაშ, თქვენ იმპერატორი ნახეთ?

— მარშალთან შემოვიდა, როცა მე მასთან ვიყავი.

— თქვენ ელაპარაკეთ მას?

— უფრო სწორად, ის მელაპარაკა მე, — უპასუხა დანტესმა.

— რაზე გელაპარაკათ?

— შეკითხვები მომცა გემის შესახებ, მკითხა მისი მარსელიდან გამოსვლის დრო, მისი გეზი, დაინტერესდა ტვირთით და თქვა, გემი რომ ცარიელი ყოფილიყო და თქვენ ყოფილიყავით მისი პატრონი, მის ყიდვას შევეცდებოდიო. მაგრამ ვუთხარი, რომ მე მხოლოდ კაპიტნის თანაშემწე ვარ და გემი კი სავაჭრო სახლს «მორელსა და ვაჟიშვილს» ეკუთვნის-მეთქი.

— ჰო, ვიცი, — მითხრა მან, — მორელები შთამომავლობით გემის პატრონები არიან. ერთი მორელი მსახურობდა ჩვენს პოლკში, როდესაც ვალანსონში ვიდექითო.

— ეს მართალია! — შეჰყვირა გახარებულმა გემის პატრონმა, — ის იყო პოლიკარ მორელი, ბიძაჩემი, რომელმაც კაპიტნობა მიიღო. დანტეს, თქვენ ეტყვიან ბიძაჩემს, რომ იგი იმპერატორმა გაიხსენა. ნახავთ, როგორ ატირდება ნაპოლეონის გვარდიის მოხუცი ჯარისკაცი. მაშ ასე, — განაგრძო გემის პატრონმა და ყმაწვილ კაცს მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი. — ძალიან კარგად მოქცეულხართ, რომ კაპიტან ლეკლერის ბრძანება შეგისრულებიათ და კუნძულ ელბასთან შეჩერებულხართ. თუმცა, თუ გაიგეს, რომ მარშალს პაკეტი გადაეცით და იმპერატორსაც ესაუბრეთ, შეიძლება საფრთხის წინაშე აღმოჩნდეთ.

— რატომ გგონიათ, ბატონო მორელ, რომ ასე მოხდება? — ჰკითხა დანტესმა, — მე არც კი ვიცი, რა მიმქონდა პაკეტით და, იმპერატორმაც ისეთი შეკითხვები მომცა, როგორც შეიძლებოდა ყოველ პირველ შემხვედრისათვის ეკითხა. მაგრამ ბოდიშს ვიხდი, აგერ ჩვენკენ საბაჟო და საკარანტინო მოხელეები მოდიან და, თუ ნებას მომცემთ...

— წადით, წადით, ჩემო ძვირფასო დანტეს.

ყმაწვილი კაცი მოსცილდა გემის პატრონს, ხოლო დანგლარი მაშინვე მიუახლოვდა.

— მაშ ასე, ბატონო მორელ! როგორც ჩანს, მან საკმაოდ გასამართლებელი საბუთები მოგიყვანათ, თუ რისთვის შეაჩერა გემი პორტო-ფერაიოში.

— სავსებით საკმარისი, ჩემო ძვირფასო დანგლარ.

— მით უკეთესი, თორემ ძალიან ძნელია ისეთი ამხანაგის ცქერა, რომელიც არ ასრულებს თავის მოვალეობას.

— დანტესმა თავისი ვალი მოიხადა და ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ელბასთან შეჩერება მისთვის კაპიტან ლეკლერს უბრძანებია, — უპასუხა გემის პატრონმა.

— მართლა, კაპიტან ლეკლერის გახსენებაზე მომაგონდა: მან გადმოგცათ მისი წერილი?

ვინ მან?

— დანტესმა.

— მე? არა, დანგლარ, განა ჰქონდა წერილი ჩემთვის გადმოსაცემად?

— მას, ვგონებ, პაკეტის გარდა კაპიტანმა წერილიც გადასცა.

— რომელ პაკეტზე მელაპარაკებით, დანგლარ?

— იმაზე, რომელიც დანტესმა პორტო-ფერაიოში ჩაიტანა.

— მერე თქვენ საიდან იცით, რომ დანტესმა პორტო-ფერაიოში პაკეტი ჩაიტანა?

დანგლარი გაწითლდა.

— მე კაპიტნის კაიუტის წინ მომიხდა გავლა, კარები ღია იყო და დავინახე, როგორ გადასცა მან დანტესს პაკეტი და წერილი.

— ედმონდს ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ, თუკი წერილი აქვს, უთუოდ გადმომცემს.

დანგლარი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

— რაკი ასეა, ბატონო მორელ, გთხოვთ ამაზე ნურაფერს ეტყვიოთ დანტესს. როგორც ჩანს, შეეცდი.

ამასობაში ახალგაზრდა მეზღვაურიც დაბრუნდა, დანგლარი ისევ მოსცილდა გემის პატრონს.

— თქვენ უკვე თავისუფალი ხართ, ჩემო დანტეს? — ჰკითხა გემის პატრონმა.

— დიახ, ბატონო.

— როგორც ჩანს, ბევრი საქმე არა გქონიათ.

— დიახ, საბაჟოს მოხელეებს გადავეცი სია ჩვენი საქონლისა, ხოლო ნავსადგურიდან ლოცმანთან ერთად გამოგზავნილ კაცს კი ჩვენი საბუთები ჩავაბარე.

— მაშ, თქვენ აღარაფერი გაქვთ გასაკეთებელი?

— დიახ, ყველაფერი რიგზეა.

— რახან ასეა, შეგიძლიათ ჩვენთან ერთად ისადილოთ.

— მაგ პატივისცემისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მამაჩემი უნდა ვინახულო.

— მართალი ხართ, დანტეს, მართალი. მე ვიცი, რომ თქვენ კარგი შვილი ხართ.

— მამაჩემი კარგად არის?... რა იცით მამაჩემის შესახებ? — ჰკითხა დანტესმა ერთგვარი გაუბედაობით.

— ვფიქრობ, კარგადაა, თუმცა უნდა გითხრათ, რომ არ მინახავს.

— დიახ, ის სულ თავის პატარა ოთახშია ჩაკეტილი.

— ყოველ შემთხვევაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ თქვენს აქ არყოფნაში არაფერი მოჰკლებია.

დანტესს გაეღიმა:

— მამაჩემი ამაყი კაცია, ბატონო ჩემო, და კიდევ რომ დაჰკლებოდა რაიმე, ვეჭვობ, ვინმესთვის ეთხოვა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, გარდა ღმერთისა.

— კარგი, მაშ შევთანხმდეთ: მამაშენის ნახვის შემდეგ, იმედი მექნება, ჩვენთანაც გნახავ.

— კიდევ მომიხდება ბოდიშის მოხდა, ბატონო მორელ, მამაჩემის შემდეგ მე სანახავი მყავს ერთი ადამიანი, რომელიც ჩემთვის ასევე საყვარელია.

— ჰო, მართალი ხარ, დანტეს! სულ დამავიწყდა, რომ კატალანში მამათქვენზე არანაკლები მოუთმენლობით გელოდებიან. ეს გახლავთ ლამაზი მერსედესი.

დანტესს გაეღიმა.

— დიახ, დიახ, — განაგრძო გემის პატრონმა, — ახლა უკვე აღარ მიკვირს, რატომ მოვიდა ეს ქალიშვილი სამჯერ «ფარაონის» ამბის გასაგებად. ეშმაკმა დალაზვროს! თქვენ სამდურავი არ გეთქმით, დანტეს, ლამაზი საყვარელი გყოლიათ.

— ის ჩემი დანიშნულია და არა საყვარელი. — უპასუხა მტკიცედ ახალგაზრდა მეზღვაურმა.

— ეს ზოგჯერ ერთი და იგივეა, — თქვა სიცილით გემის პატრონმა.

— მაგრამ არა ჩვენისთანა ადამიანებისათვის, ბატონო ჩემო.

— კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო დანტეს, მეტს აღარ დაგაყოვნებ, თქვენ ისე კარგად მოაგვარეთ ჩემი საქმეები, რომ უნდა მოგცეთ საშუალება, თქვენსასაც მიხედოთ. ფული ხომ არ გჭირდებათ?

— არა, ბატონო, მე დაგროვილი მაქვს მგზავრობის თანხა, ესე იგი თითქმის მთელი სამი თვის ხელფასი.

— თქვენ წესიერი ყმაწვილი ხართ, ედმონდ.

— ამას ისიც დაუმატეთ, ბატონო მორელ, რომ მე ღარიბი მამა მყავს.

— დიახ, დიახ, მე ვიცი, რომ კარგი შვილი ჰყავხართ მამათქვენს. წადით, ნახეთ მოხუცი. მეცა მყავს ვაჟიშვილი და ძალიან გავბრაზდებოდი იმ ადამიანზე, ვინც მას სამი თვის მოგზაურობის შემდეგ ჩემთან შეხვედრას დაუშლიდა.

— მაშ, თქვენ ნებას მაძლევთ? — ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა და თავი დაუკრა.

— დიახ, თუ თქვენ ჩემთან სათქმელი აღარაფერი გაქვთ.

— აღარაფერი.

— კაპიტან ლეკლერს სიკვდილის წინ ჩემთვის გადმოსაცემად წერილი ხომ არ მოუცია?

— მას, ბატონო, წერა აღარ შეეძლო, მაგრამ ამ ამბავმა მომაგონა, რომ თხუთმეტი დღის შვებულება უნდა გთხოვოთ.

— დასაქორწინებლად?

— დასაქორწინებლადაც და შემდეგ პარიზში გასამგზავრებლადაც.

— კარგი, კარგი, თქვენ იმდენი დღის შვებულებას მიიღებთ, რამდენიც გენებებათ. გემის გადმოტვირთვას ექვსი კვირა მოუნდება და ზღვაში გავალთ არა უადრეს სამი თვისა... ხოლო სამი თვის შემდეგ აქ უნდა იყოთ. — უთხრა გემის პატრონმა და მხარზე ხელი დაჰკრა, — თორემ «ფარაონი» ზღვაში ვერ გავა თავისი კაპიტანის გარეშე.

— თავისი კაპიტანის გარეშე! — შეჰყვირა დანტესმა, რომელსაც თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა, — კარგად დაუფიქრდით, რას ამბობთ, რადგან თქვენ ამით გამოეპასუხეთ ჩემი გულის ყველაზე საიდუმლო იმედს. თქვენ გინდათ «ფარაონის» კაპიტნად დამნიშნოთ?

— ჩემო ძვირფასო დანტეს, მე რომ მარტო ვიყო, გამოგიწვდიდით ხელს და გეტყოდით: დიახ, ეს ასეა-მეთქი, მაგრამ მე მყავს კომპანიონი და თქვენ მოგეხსენებათ იტალიური ანდაზა: «Chi ha compagno ha padrone»¹ («ვისაც ჰყავს კომპანიონი, ჰყავს უფროსი»). ყოველ შემთხვევაში, ნახევარი საქმე უკვე გაკეთებულია, რადგან ორი ხმიდან ერთი უკვე თქვენ გეკუთვნით, ხოლო მეორეს მოპოვება თქვენს სასარგებლოდ მე მომანდეთ.

— ოჰ, ბატონო მორელ! — შეჰყვირა თვალცრემლიანმა ახალგაზრდა მეზღვაურმა და ხელები დაუჭირა. — მე წინასწარ მადლობას გიხდით მამაჩემისა და მერსედესის სახელით. ხომ არ გნებავთ ნაპირზე გაგიყვანოთ? — ჰკითხა დანტესმა.

— არა, გმადლობთ, დავრჩები, რათა დანგლართან ჩემი საქმეები მოვაწესრიგო. მაგრამ ერთი ეს მითხარით, დანტეს, მგზავრობაში დანგლართი კმაყოფილი თუ იყავით?

— როგორ გითხრათ, როგორც ამხანაგზე თუ მკითხავთ, უკმაყოფილო ვარ. მან, ვგონებ, იმის შემდეგ შემიძულა, როდესაც ერთხელ სისულელე ჩავიდინე და პატარა უსიამოვნების გამო მასთან ატეხილი დავის გადასაწყვეტად კუნძულ მონტე-კრისტოზე გადასვლა შევთავაზე. რასაკვირველია, შევცდი, რომ ასეთი წინადადებით მივმართე; როგორც მოანგარიშეზე კი ვერაფერს ვიტყვი, თქვენ თვითონაც კმაყოფილი დარჩებით მისი საქმიანობით.

— ერთი შეკითხვა კიდევ უნდა მოგცეთ, დანტეს, — უთხრა გემის პატრონმა.

— ბრძანეთ.

— თქვენ რომ «ფარაონის» კაპიტანი იყოთ, დანგლარს სიამოვნებით დაიტოვებდით სამუშაოდ?

— ბატონო მორელ! ვიქნები მე კაპიტანი თუ მისი თანაშემწე, ყოველთვის დიდი პატივისცემით მოვექცევი მათ, ვისაც ჩემი უფროსები ენდობიან.

— მართალი ხართ, დანტეს. თქვენ ყოველმხრივ კარგი ახალგაზრდა ხართ. ახლა კი წადით, აღარ გაგაჩერებთ, ვხედავ, რომ ეკლებზე ზიხართ.

— მაშ, მე შვებულეებაში ვარ? — ჰკითხა დანტესმა.

— გითხარით, წადით-მეთქი.

— უფლებას მომცემთ, თქვენი ნავი წავიყვანო?

— წაიყვანეთ.

— ნახვამდის, ბატონო მორელ, ათასჯერ გიხდით მადლობას.

ახალგაზრდა მეზღვაური ნავში ჩახტა, კიჩოზე ჩამოჯდა და უბრძანა, ნიჩბები კანენბიერის ქუჩის მიმართულებით მოესვათ. ორი მეზღვაური მაშინვე დაიხარა ნიჩბებზე და ნავი ისეთი სისწრაფით გაცურდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ უამრავ ნავს შუა, რომელთაც გაეჭედათ ნავსადგურის შესასვლელიდან ორლენის სანაპირომდე ორმაგად ჩამწკრივებულ გემებს შორის დარჩენილი ვიწრო გასასვლელი.

სანამ დანტესი ნაპირზე გავიდოდა, გემის პატრონი მას ღიმილით გასცქეროდა. დაინახა, როგორ გადახტა დანტესი სანაპიროს ქვაფენილზე და შეერია ჭრელ ბრბოს, რომელიც დილის ხუთი საათიდან საღამოს ცხრა საათამდე ირევა კანენბიერის ცნობილ ქუჩაზე, რომლითაც თანამედროვე ფოკელები¹ (1 ფოკეა — ანტიკური ეპოქის ბერძნული ქალაქი იონიაში (მცირე აზია). ფოკეიდან გამოსულმა ახალშენებმა ანტიკურ ეპოქაში მარსელი დააარსეს.) ისე ამაყოფენ, რომ სავსებით დამაჯერებლად, მათთვის ჩვეული კილოთი ამბობენ: «პარიზში რომ კანენბიერის ქუჩა იყოს, პარიზი პატარა მარსელი იქნებოდაო».

როდესაც მორელმა უკან მოიხედა, დანგლარი დაინახა, რომელიც თითქოს მის ბრძანებას ელოდა, სინამდვილეში კი მორელივით ისიც ახალგაზრდა მეზღვაურს გასცქეროდა.

მაგრამ დიდი განსხვავება იყო ერთი ადამიანისაკენ მიპყრობილ ამ ორ მზერაში.

II

მამა და შვილი

თავი გავანებოთ შურით შეპყრობილ დანგლარს, რომელიც ცდილობს ჩირქი მოსცხოს თავის ამხანაგს გემის პატრონის თვალში, და გავყვეთ დანტესს. მან კანენბიერის ქუჩა ჩაირბინა, ნოაიალის ქუჩას აჰყვა, მეილანის ხეივნის მარცხნივ მდებარე სახლში შევიდა, ჩაბნელებული კიბით სწრაფად აირბინა ხუთი სართული, ცალი ხელით მოაჯირს დაეყრდნო, მეორე მძლავრად მფეთქავ გულზე მიიღო და ღია კარებთან გაჩერდა. აქედან მას შეეძლო პატარა ოთახის ყოველი კუნჭულის დანახვა.

ამ ოთახში დანტესის მამა ცხოვრობდა. ცნობას «ფარაონის» დაბრუნების შესახებ ჯერ არ მიეღწია მოხუცის ყურამდე, იგი საქმით იყო გართული; სკამზე ასული აკანკალებული ხელებით ასწორებდა ფანჯარაზე ახვეულ ბალახვარდაში² (2 ბალახვარდა (ლათ. nacturlium) — ბალის ერთწლიანი მცენარე, ყვითელ-მოწითალო ფერის ყვავილი იცის.) შერეულ კატაბარდას³. (3 კატაბარდა — ბალახი ან ნახევრად ბუჩქნარი, მუქი ლურჯი, ყვითელი ან თეთრი ყვავილი იცის.)

უცებ ვიღაცამ ზურგიდან ხელები მოხვია და მოესმა ნაცნობი ხმა:

— მამაჩემო, მამა!

მოხუცმა შეჰყვირა და შემობრუნდა. შვილის დანახვაზე მთლად აცახცახებული და გაფითრებული მოხუცი მას პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა.

— რა მოხდა, მამაჩემო, ავად ხომ არა ხარ? — ეკითხებოდა შეწუხებული დანტესი.

— არა, არა, ჩემო ძვირფასო ედმონდ, არა, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო შვილო, არა, მაგრამ არ გელოდი, შენ ისე უეცრად წამომადექი თავზე, რომ ეს სიხარულისაგან მომდის... ოჰ! ღმერთო ჩემო, ასე მგონია, სიხარულისაგან ვკვდები.

— დამშვიდდი, მამა, მე ვარ, ნამდვილად მე. გამიგონია, სიხარული ადამიანს არ ავნებსო, აი, ამიტომ შემოვედი გაუფრთხილებლად. მაშ გამიცინე, მამა, ნუ მიყურებ ასეთი გამტყრებული თვალებით. ხომ ხედავ, დავბრუნდი და ჩვენ ახლა ბედნიერება გველის.

— ჰო, მით უკეთესი, ჩემო ბიჭო, — უთხრა მოხუცმა, — მაგრამ გამაგებინე, რაში გამოიხატება ჩვენი ბედნიერება? განა აღარ მიმატოვებ? მაშ, მიაძვებ შენი ბედნიერების ამბავი.

— ღმერთმა მაპატიოს, — დაიწყო ყმაწვილმა კაცმა, — მე რომ ვხარობ იმ ბედნიერებით, რომელიც მთელი ოჯახის უბედურებაზეა აგებული. მაგრამ უფალმა იცის, რომ არ მინატრია ეს ბედნიერება. ის თვით მოვიდა და მე არ მყოფნის ძალა, მოვიწყინო. მამაჩემო, მამაცი კაპიტანი ლეკლერი გარდაიცვალა და შესაძლოა ბატონი მორელის წყალობით მე დავიკავო მისი ადგილი. გესმით, მამავ, ოცი წლის კაპიტანი! ასი ლუიდორი ხელფასი და თანაც წილი მოგებაში. ხომ მართალია, მამაჩემო, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო ისეთ საწყალ მეზღვაურს, როგორც მე ვარ.

— დიახ, ჩემო შვილო, დიახ, მართლაც რომ ბედნიერებაა, — უთხრა მოხუცმა.

— მე მინდა ჩემი პირველი ხელფასით შევიძინო პატარა ბაღიანი ბინა, რომ იქ მოაშენოთ თქვენი ციცაბარდა, ბალახვარდა და ჩიტისთვალა... მაგრამ რა მოგდის, მამა? ცუდადა ხარ?

— არაფერია, ედმონდ, არაფერია... მალე გამივლის.

მაგრამ მოხუცს ღონემ უმტყუნა და წაბარბაცდა.

— ამ წუთში, მამავ, ერთ ჭიქა ღვინოს დაგაღვივებ, ღონეზე მოგიყვანს. სადა გაქვთ ღვინო?

— გმადლობთ, არ მინდა, არ მჭირდება, ნუ ეძებ, — ეუბნებოდა მოხუცი და თან ცდილობდა, შვილი შეეჩერებინა.

— აუცილებელია, აუცილებელია, მამაჩემო; მიჩვენეთ, სად ინახავთ ღვინოს? — და დანტესმა კარადის სამი თუ ოთხი უჯრა გამოაღო.

— ამოდ ეძებ, — უთხრა მოხუცმა, — ღვინო აღარ არის...

— როგორ! ღვინო აღარ არის? — ჰკითხა გაფითრებულმა დანტესმა. იგი შიშით დააცქერდა მოხუცის ჩავარდნილ ფერმკრთალ ლოყებს და ცარიელ უჯრებს. — ღვინო აღარ არის, მაშ ფული შემოგკლებიათ, მამაჩემო.

— რაკი შენ გხედავ, ყველაფერი მაქვს, — უპასუხა მოხუცმა.

— მე ხომ, — ჩაიბუტბუტა დანტესმა და თან შუბლზე ოფლი მოიწმინდა, — გამგზავრებისას, ამ სამი თვის წინათ, ორასი ფრანკი დაგიტოვეთ.

— დიახ, დიახ, ედმონდ, მართალია, მაგრამ შენ დაგავიწყდა გადაგეხადა ჩვენი მეზობლის კადრუსის მცირეოდენი ვალი; მან ეს ვალი მომაგონა და გამაფრთხილა, თუ არ გადავიხდიდი, ფულის მისაღებად ბატონ მორელთან წავიდოდა. შემეშინდა, ამ ამბავს შენთვის ცუდი შედეგი არ მოეტანა და...

— მერე?

— გადავიხადე.

— მაგრამ მე ხომ კადრუსის ას ორმოცი ფრანკი მემართა! — შეჰყვირა დანტესმა.

— დიახ, — ჩაიბუტბუტა მოხუცმა.

— და თქვენ ეს ფული მთლიანად მიეცით იმ ორასი ფრანკიდან, რომელიც მე დაგიტოვეთ?

მოხუცმა თავი დააქნია.

— მერე და როგორ შესძელით სამი თვის განმავლობაში სამოცი ფრანკით არსებობა?

— შენ ხომ იცი, მე ცოტა მყოფნის, — უთხრა მოხუცმა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო, მაჰატიე! — შესძახა ედმონდმა და მამის წინაშე მუხლებზე დაემხო.

— რას ჩადიხარ?

— ოჰ, მამაჩემო, თქვენ გული მომიკალით.

— არაფერია, ჩემო კარგო, ყოველივე დავიწყებას მიეცა, რადგან ყველაფერი კარგად დამთავრდა და შენც აქვე, ჩემს გვერდით ხარ, — უთხრა ღიმილით მოხუცმა.

— დიახ, მე შენთან ვარ, დაგიბრუნდი კარგი მომავლის იმედით და მცირეოდენი ფულით. აჰა, მამაჩემო, აიღე ეს ფული და ახლავე გაგზავნე ვინმე ცოტა რამის საყიდლად.

ამ სიტყვებზე დანტესმა ჯიბე ამოიცარიელა. მაგიდაზე დაყარა თორმეტი ოქრო, ხუთი თუ ექვსი ხუთფრანკიანი ეკიუ და წვრილი ფული.

მოხუც დანტესს სახე გაუნათდა.

— ვისია ეს? — იკითხა მან.

— ვისი უნდა იყოს, ჩემი, შენი... ჩვენი! აიღე, ბლომად იყიდე სანოვაგე, იყავ ბედნიერი, ხვალ კიდევ სხვას მოვიტან.

— ფრთხილად, ფრთხილად, — უთხრა ღიმილით მოხუცმა, — თუ შენი ნებართვაც იქნება, ნელ-ნელა დავხარჯავ ამ ფულს, თორემ უცებ ბევრი სანოვაგე რომ დამინახონ, ხალხი იფიქრებს, ასე რომ მომარაგებულყო, იძულებული იყო შვილისათვის ეცადაო.

— როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მსახური ქალი აიყვანე; აღარ მინდა, მარტო რჩებოდე. ტრიუმში პატარა ყუთში შენახული მაქვს კონტრაბანდული კაკაო და საუკეთესო თუთუნის, ხვალ მოგიტან... მაგრამ ჩუმად, მგონი, ვიღაცა მოდის.

— ეს კადრუსია, ალბათ, გაიგო შენი ჩამოსვლა და იმიტომ მოდის, რომ ბედნიერად დაბრუნება მოგილოცოს.

— ეეჰ, აი კიდევ ადამიანი, რომლის ენა ერთს ამბობს, გული კი სულ სხვას ფიქრობს, — ჩაილაპარაკა ედმონდმა. — მაგრამ არა უშავს, მეზობელია და ოდესღაც სამსახურიც გაგვიწია. კეთილი იყოს მისი მოსვლა.

მართლაც, ის იყო ედმონდმა დაამთავრა ჩურჩულით წარმოთქმული წინადადება, რომ კარებში გამოჩნდა კადრუსის შავწვერიანი სახე. ის ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის კაცი იყო; ხელში მაუდის ნაჭერი ეჭირა. მკერავს განზრახული ჰქონდა, თავისი ხელობის წყალობით იგი ტანისამოსად ექცია.

— ოჰ, თქვენ უკვე ჩამოსულხართ, ედმონდ, — უთხრა მან მარსელურ კილოზე და ისე გაიღიმა, რომ მთლიანად გამოაჩინა სპილოს ძვალივით თეთრი კბილები.

— როგორც მხედავთ, მეზობელო კადრუს, და მზადა ვარ რითიმე გასიამოვნოთ, — უპასუხა დანტესმა, რომელიც ცდილობდა ასეთი სამსახურის შეთავაზებით დაეფარა მისდამი გულგრილობა.

— გმადლობთ, გმადლობთ, საბედნიეროდ, არაფერი მჭირდება. პირიქით, ზოგჯერ მე ვჭირდები სხვებს (ამ სიტყვებზე დანტესი შეკრთა), ამას შენზე არ ვამბობ, ედმონდ. მართალია, ფული გასესხე, მაგრამ ვალი უკან დამიბრუნე, ეს ასე ხდება კარგ მეზობლებში. ჩვენ ანგარიში გასწორებული გვაქვს.

— არასოდეს არა ვართ ანგარიშგასწორებული მასთან, ვისგანაც დავალებულნი ვართ. თუნდაც ფული აღარ გვმართებდეს, მადლიერების გრძნობა მაინც გვაკისრია.

— არ ღირს მაგაზე ლაპარაკი! რაც მოხდა, მოხდა, მოდი ახლა შენს ბედნიერ დაბრუნებაზე ვისაუბროთ. ყავისფერი მაუდის საშოვნელად ნავსადგურში გავედი და იქ ჩემს მეგობარ დანგლარს შევხვდი.

— მარსელში ხარ? — ვკითხე მე.

— დიახ, როგორც მხედავ, — მიპასუხა მან.

— მე სმირნაში მეგულებოდი.

— შეიძლებოდა იქ ვყოფილიყავ, რადგან იქიდან მოვდივარ.

— ედმონდი სადღაა?

— ალბათ, თავის მამასთან, — მიპასუხა დანგლარმა, — და აი, მეც მოვედი, რათა მეგობრის ხელის ჩამორთმევით გავბედნიერებულიყავი.

— კეთილია კადრუსი, ჩვენ ძალიან ვუყვარვართ, — თქვა მოხუცმა.

— რასაკვირველია, ედმონდ, მიყვარხარ, გარდა ამისა პატივსაც გცემ, რადგან პატიოსან ადამიანებს იშვიათად შეხვდება კაცი. მაგრამ, როგორც ჩანს, გამდიდრებულხარ, ყმაწვილო! — უთხრა კადრუსმა და აღმაცერად გადახედა მაგიდაზე დაყრილ ოქროსა და ვერცხლის ფულებს.

ყმაწვილმა კაცმა შენიშნა, როგორ გაუელვა კადრუსს შავ თვალებში შურის ნაპერწკლებმა.

— ეჰ, ღმერთო ჩემო, — თქვა დანტესმა გულგრილად, — ეს ფულები ჩემი არ არის. მამას ვკითხე, ჩემს აქ არ ყოფნაში ხომ არა დაგკლებია რა-მეთქი, და მან იმის დასარწმუნებლად, რომ არაფერი აკლდა, ქისა მაგიდაზე დააცარიელა. მამავ, — განაგრძო დანტესმა, — თუკი ჩვენს მეზობელ კადრუსს არ სჭირდება, მაშინ შეინახე ეგ ფული, ხოლო საჭიროების დროს ხელს ყოველთვის გაუმართავ.

— არა, ჩემო მეგობარო, მე არაფერი მჭირდება, — თქვა კადრუსმა, — მადლობა ღმერთს, ჩემი ხელობა ლუკმაპურს მაჭმევს. შეინახე ეგ ფულები, ფული არავის მოჭარბებია; მე კი ისეთი მადლობელი ვარ, ვითომც მისარგებლია.

— მე სულითა და გულით შემოგთავაზეთ. — უთხრა დანტესმა.

— ექვი არ მეპარება. მამ ასე, შე ეშმაკო, კარგ დამოკიდებულებაში ხარ ბატონ მორელთან, განა?

— ბატონი მორელი ყოველთვის კეთილ განწყობილებას იჩენს ჩემდამი, — უპასუხა დანტესმა.

— თუ ასეა, შენ შეცდი, რომ სადილზე უარი უთხარი.

— როგორ თუ უარი? განა მასთან სადილად იყავი მიპატიჟებული? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ, მამაჩემო, — უპასუხა ღიმილით ედმონდმა. ყმაწვილმა კაცმა შეატყო, როგორ განაცვიფრა მოხუცი იმ მოულოდნელმა პატივმა, რომელიც მის ვაჟს დასდეს.

— მერე და რატომ უთხარი უარი? — ჰკითხა ისევ მოხუცმა.

— იმისათვის, მამაჩემო, რომ უფრო მალე მოვსულიყავი შინ, ვჩქარობდი თქვენთან შეხვედრას.

— ამით შეიძლება აწყენინო ბატონ მორელს, — განაგრძო კადრუსმა, — ხოლო როდესაც კაპიტნობას უმიზნებ, პატრონებთან ცოტაოდენი მლიქვნელობაცაა საჭირო.

— იმედი მაქვს, უამისოდაც გავხდები კაპიტანი.

— მით უკეთესი, მით უკეთესი, ეს გაახარებს შენს ძველ მეგობრებს, და იქ, წმინდა ნიკოლას ფორტის გადაღმაც, ვგონებ, ერთ პიროვნებასაც არ ეწყინება ეს ამბავი.

— მერსედესი. — თქვა მოხუცმა.

— დიახ, მამაჩემო, — დაუდასტურა ედმონდმა, — რაკი თქვენ უკვე გნახეთ, ვიცი, კარგად ხართ და არაფერი გიჭირთ, ახლა კატალანში წასვლის ნებართვა უნდა გთხოვოთ.

— წადი, შვილო, წადი, ღმერთმა გაგაბედნიეროს ცოლთან ერთად, როგორც მე ჩემი ვაჟიშვილით გამაბედნიერა.

— მის ცოლთან! — თქვა კადრუსმა: — როგორ ჩქარობთ, ვგონებ, ჯერ ცოლი არ არის!

— ჯერ არა, მაგრამ, ალბათ, მალე იქნება, — უპასუხა ედმონდმა.

— ეგ სულ ერთია, სულ ერთი, მაგრამ შენ მაინც ძალიან კარგად მოიქეცი, რომ დაბრუნდი.

— ვითომ რატომო?

— იმიტომ, რომ მერსედესი ლამაზი ქალიშვილია, ლამაზ გოგონებს კი არასოდეს არ დაეღვევათ მიჯნურები, განსაკუთრებით მას. სულ ჯგუფ-ჯგუფად დასდევენ ყმაწვილები.

— მართლა? — თქვა ედმონდმა ღიმილით, რომელსაც მღელვარების ოდნავი ჩრდილი გადაკრავდა.

— დიახ, დიახ, — განაგრძობდა კადრუსი, — და თანაც შესანიშნავი საქმროები, მაგრამ თვითონაც იცი, მალე კაპიტანი იქნები და, აბა, შენ ვინ გეტყვის უარს.

— ამით იმის თქმა გსურთ, — უთხრა ღიმილით დანტესმა, რომელიც ძლივს ფარავდა მღელვარებას, — რომ მე ჯერ არ ვარ კაპიტანი.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! — ჩაიბუტბუტა კადრუსმა.

— კარგი, კარგი, — უთხრა დანტესმა, — მე უფრო კარგი შეხედულებისა ვარ საერთოდ ქალებზე, ხოლო განსაკუთრებით მერსედესზე, ვიდრე თქვენ; დარწმუნებული ვარ, კაპიტანი გავხდები თუ არა, ის მაინც ჩემი ერთგული დარჩება.

— მით უკეთესი, მით უკეთესი, — უთხრა კადრუსმა, — ცოლის თხოვისას რწმენა ყველაზე კარგი საქმეა, მაგრამ მაინც დამიჯერე, ყმაწვილო, დროს ნუ კარგავ, წადი მიჯნურთან, აცნობე შენი ჩამოსვლის ამბავი და გაუზიარე შენი იმედები.

— მივდივარ, — უპასუხა ედმონდმა.

დანტესმა აკოცა მამას, კადრუსს თავი დაუკრა და გავიდა.

კადრუსი კიდევ ცოტა ხანს დარჩა, შემდეგ ისიც გამოემშვიდობა მოხუცს და გასწია დანგლარისაკენ, რომელიც მას სენატის ქუჩის კუთხეში უცდიდა.

— როგორ არის საქმე, ნახე? — ჰკითხა დანგლარმა.

— ვნახე, — უპასუხა კადრუსმა.

— გელაპარაკა კაპიტნად გახდომის იმედზე?

— იგი ისე ლაპარაკობს, თითქოს უკვე კაპიტანი იყოს.

— ჰო, ასეა საქმე? ცოტა არ იყოს, აჩქარებულა.

— ეშმაკმა დალახვროს იმისი თავი, ეტყობა, მორელი დაპირებია...

— მაშ, ძალიან მხიარულადაა?

— შეიძლება ითქვას, რომ თავხედობამდებია მისული; მან თავისი სამსახური ისე შემომთავაზა, თითქოს დიდი პიროვნება იყოს, ფულიც კი შემომამძლია ბანკირივით.

— შენ უარი უთხარი?

— რასაკვირველია, თუმცა შემემლო დავთანხმებულიყავი. ვერცხლის ფულები მან თავის სიცოცხლეში პირველად მაშინ ნახა, როდესაც მე ვასესხე. მაგრამ ახლა დანტესს აღარაფერი სჭირდება, მალე კაპიტანი იქნება.

— კი მაგრამ, ჯერ ხომ არ არის კაპიტანი! — წამოიძახა დანგლარმა.

— სიმართლე რომ ვთქვა, უკეთესი იქნებოდა, სულაც არ ეღირსებოდეს ამას, თორემ კაცი ვეღარ დაელაპარაკება.

— თუ ჩვენ მოვინდომეთ, — თქვა დანგლარმა, — იმადვე დარჩება, რაც არის და, პირიქით, შეიძლება კიდევ დაქვეითდეს.

— რას ამბობთ?

— არაფერს, ჩემთვის ვლავარაკობდი; ის ისევ ეტრფის ლამაზ კატალანელ ქალს?

— სიგიჟემდეა მისული. სწორედ მასთან წავიდა ახლა, მაგრამ, ან მე ვცდები ძალიან, ან მას იმ მხრიდან უსიამოვნება მოეწონა.

— კარგად გამაგებინე, რას ლავარაკობ.

— რა საჭიროა?

— ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენ გგონია. შენც ხომ არ გიყვარს დანტესი?

— მე მძულს დიდგულები.

— რაკი ასეა, მაშ დაწვრილებით მითხარი, რა იცი კატალანელ ქალიშვილზე?

— იმდენად საყურადღებო არაფერი, მაგრამ ისეთი რამეები ვნახე, მაინც ვმიშობ, მომავალ კაპიტანს «ძველი საავადმყოფოს» ქუჩაზე უსიამოვნება არ შეემთხვეს-მეთქი.

— რა ნახე ასეთი, ბარემ თქვი!

— ყოველთვის, როდესაც მერსედესი ქალაქში ჩამოდიოდა, მე მას ვხედავდი შავთვალა, წითელლოყება, შავგვრემან, მეტად ფიცხ კატალანელ ყმაწვილთან, რომელსაც ის ბიძაშვილს უწოდებდა.

— მართლა? და შენ ფიქრობ, რომ ეს ყმაწვილი მას შესტრფის?

— ასე მგონია, აბა სხვა რა უნდა უნდოდეს ოცი წლის ვაჟკაცს ჩვიდმეტი წლის ლამაზი ქალიშვილისაგან?

— შენ ამბობ, რომ დანტესი კატალანში წავიდა.

— მე მასთან ვიყავი სახლში, როდესაც იქითკენ გაეშურა.

— თუ ჩვენ იმავე მიმართულებას გავყვებით და «რეზერვში» შევჩერდებით ერთი ჭიქა მალაგის ღვინის დასალევად, შეგვეძლება ახალ ამბებს დავუცადოთ.

— მერე ვინ შეგვატყობინებს ამ ამბებს?

— სწორედ იმ გზაზე ვიქნებით, რომელზედაც დანტესმა უნდა გაიაროს და მისი სახის გამომეტყველება ყოველივეს გვამცნობს.

— წავიდეთ, მაგრამ ფულს შენ ხარჯავ. — უთხრა კადრუსმა.

— რასაკვირველია, — უპასუხა დანგლარმა.

ორივემ ჩქარი ნაბიჯით დათქმული ადგილისაკენ გასწია.

«რეზერვში» მისვლისთანავე ორი ჭიქა და ერთი ბოთლი ღვინო მოატანინეს.

მოხუც პამფილიოსაგან გაიგეს, რომ დანტესმა ათი წუთის წინ «რეზერვს» ჩაუარა.

რაკი დანგლარი და კადრუსი დარწმუნდნენ, რომ დანტესი კატალანში იყო, მშვენიერი ადგილი აირჩიეს ახალგაზრდა ჭადრებისა და სიკომორების ფოთლების ჩრდილქვეშ; ამ ხეების ტოტებზე შემომსხადრი მხიარული ჩიტების გუნდი გაზაფხულის პირველ მშვენიერ დღეებს უგალობდა.

III კატალანი

ასიოდე ნაბიჯის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ჩვენი ნაცნობი მეგობრები სულმოუთქმელად სცლიდნენ მალაგის შუშუხუნა ღვინით სავსე ჭიქებს და სმენაგამახვილებულები გასცქეროდნენ ჰორიზონტს, მზისგან გადახრიოკებულ და ჩრდილოეთის ქარისაგან გამოფიტულ გორაკს უკან გადაშლილიყო სოფელი კატალანი.

ერთ მშვენიერ დღეს ესპანეთიდან ფარულად გამოსულა მოახალშენეთა ჯგუფი, მოსდგომია ამ სანაპიროს, სადაც ის დღესაც ბინადრობს. არავინ იცის, საიდან მოვიდა ეს ხალხი და რომელ ენაზე ლავარაკობდა. ერთ-ერთ მათ მეთაურს, რომელსაც თურმე გაეგებოდა პროვანსული ენა, ქალაქ მარსელის მმართველობისათვის უთხოვია, მათთვის

ეს გადატიტვლებული და უნაყოფო კონცხი მიეცათ. ანტიკური ქვეყნების მეზღვაურების მსგავსად, მათ ამ კონცხზე თავიანთი გემები გადმოუთრევიათ. მათი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და სამი თვის შემდეგ იმ გემების ირგვლივ, საიდანაც ეს ზღვის ბოშები ნაპირზე გადმოსულან, პატარა სოფელი გაშენებულა.

ამ წარმტაცად, თავისებურად გაშენებულ, ნახევრად მავრიტანულ, ნახევრად ესპანურ სოფელში დღესაც ცხოვრობენ თავიანთ მამაპაპათა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა შთამომავალნი. სამი თუ ოთხი საუკუნის განმავლობაში ისინი ერთგულნი დარჩნენ თავიანთი კონცხისა, სადაც ზღვის ფრინველების გუნდის მსგავსად დაეშენენ. ისინი არ შერეულან მარსელის მცხოვრებლებში, ჯვარს მხოლოდ ერთმანეთზე იწერდნენ, ინარჩუნებდნენ მამაპაპურ ადათს და ტანისამოსს, ისევე, როგორც თავიანთი ენა შეინარჩუნეს.

საჭიროა მკითხველი გ.ამოგვეყვეს ამ სოფლისაკენ მიმავალი ერთადერთი გზით და ჩვენთან ერთად შევიდეს იმ სახლში, რომლის კედლები მზეს გარედან დამქვანარი ფოთლებისფრად ჩაუყვითლებია, ხოლო შიგნიდან მღებავის ფუნჯს თეთრად შეულებავს. თეთრი ფერი ესპანეთის სასტუმროების ერთადერთი სამკაულია.

ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, რომელსაც კუპრივით შავი თმა და ჯეირანივით ხავერდოვანი თვალები ამშვენებდა, მოაჯირს მიყრდნობოდა და ნატიფი, თითქოს ანტიკური ქვეყნის მოქანდაკისაგან გამოთლილი თითებით სრესდა უდანაშაულო მანანის ტოტს. ჩამოგლეჯილ ყვავილებს და ფოთლებს იატაკი უკვე მოეფინათ. ქალიშვილს იდაყვამდე შიშველი, თითქოს არლის¹ (¹ არლი — ქალაქი საფრანგეთში, რონის ნაპირას, ცნობილი რომაული არქეოლოგიური ნაშთებით.) ვენერას ქანდაკებაზე ჩამოსხმული, მზისგან დამწვარი ხელები მოუთმენლობისაგან და ნერვიულობისაგან უთრთოდა, ხოლო მსუბუქ და მოქნილ ფეხს იატაკს ისე ურტყამდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ლურჯ და ცისფერ ისრებგაყოლებულ წითელ წინდებში ლამაზი წვივების დანახვა.

მისგან სამი ნაბიჯის მოშორებით სკამზე ქანაობდა ძველ კამოდზე დაყრდნობილი ოცი თუ ოცდაორი წლის ბრგე ვმაწვილი კაცი. იგი ქალიშვილს გულმოკლული და შეწუხებული სახით შესცქეროდა; მისი თვალები კითხვას გამოხატავდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ქალიშვილის მტკიცე, შეუპოვარ გამოხედვას დაემონებინა მისი თანამოსაუბრე.

— ყური მიგდე, მერსედეს, — ეუბნებოდა ყმაწვილი კაცი, — საცაა აღდგომა დადგება; სწორედ რომ კარგი დროა ქორწილისათვის, შენ რა პასუხს მამლევე?

— მე ასჯერ მაინც მოგეცი ამის პასუხი, ფერნანდ, და, ალბათ, თავის მტერი ხარ, რომ კიდევ მისვამ ამ კითხვას.

— მაშ ერთხელ კიდევ გაიმეორე. გთხოვ გაიმეორო, რომ დავიჯერო. მეათასედ მითხარი, რომ უარყოფ ჩემს სიყვარულს, რომლის მომხრე დედაშენი იყო. კარგად გამაგებინე, რომ ჩემს ბედნიერებას სათამაშოდ ხდი, რომ ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი არაფერია შენთვის. ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ათი წლის განმავლობაში ვოცნებობდი შენს ქმრობას, მერსედეს, ახლა კი ვკარგავ იმედს, რომელიც ჩემი ცხოვრების ერთადერთ მიზანს შეადგენდა.

— ყოველ შემთხვევაში, ფერნანდ, — უპასუხა მერსედესმა, — იმედი არასოდეს არ მომიცია, არც ის შეგიძლია მისაყვედურო, რომ გეკვკლუცებოდი, რათა შენი ყურადღება მიმექცია. პირიქით, ყოველთვის გეუბნებოდი, .. ძმასავით მიყვარხარ და ამ ძმური სიყვარულის გარდა ჩემგან სხვას ნურაფერს მოელი, რადგან ჩემი გული სხვას ეკუთვნის-მეთქი. ფერნანდ, ეს სიტყვები განა პირველად გესმის? განა ყოველთვის ამას არ გეუბნებოდი?

— დიახ, მერსედეს, მე ეს კარგად ვიცი, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა, — ყოველთვის პირდაპირ მეუბნებოდი ამ ჩემთვის მომაკვდინებელ სიმართლეს, მაგრამ გავიწყდება, რომ ჩვენში წმინდათა წმინდა კანონი მოითხოვს, კატალანელი ქალი კატალანელ ვაჟს გაჰყვეს ცოლად.

— სცდები, ფერნანდ, ეს კანონი კი არა, მხოლოდ ადათია და სხვა არაფერი. დამიჯერე, ფერნანდ, და ნუ ცდილობ შენს სასარგებლოდ გამოიყენო ეს ადათი. შენ სამხედრო ვალდებული ხარ. თავისუფლება ამჟამად მხოლოდ ერთგვარი შემწყნარებლობის წყალობით გაქვს: დღეს არა, ხვალ შეიძლება ჯარში გაგიწვიონ; და როდესაც უკვე ჯარისკაცი იქნები, რას მიპირებ მე, ბედშავ, საწყალ, ღარიბ გოგოს, რომელსაც არაფერი გააჩნია, გარდა დანგრეული ქოხისა, სადაც საცოდავი მემკვიდრეობა — მამაჩემისაგან დედაჩემზე, ხოლო დედაჩემისაგან ჩემზე გადმოსული — დაგლეჯილი ბადეები ჰკიდია. დაფიქრდი, ფერნანდ, აგერ ერთი წელია, რაც დედა გარდამეცვალა და მას შემდეგ თითქმის მოწყალებით ვცხოვრობ. ზოგჯერ თავს ისე მაჩვენებ, თითქოს შენთვის რაიმე სარგებლობა მომქონდეს, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებ, რომ მეც წილი ჩამიღო შენს მიერ დაჭერილ თევზში, და მეც ვღებულობ. შენ მამაჩემის ძმისწული ხარ, ჩვენ ერთად გავიზარდეთ და ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, უარის თქმით მეტისმეტად გატკენდი გულს. მე ვგრძნობ, ფერნანდ, თევზში აღებული ფული, რომლითაც მე კანაფს ვყიდულობ ბადის მოსაქსოვად, მხოლოდ მოწყალებაა და სხვა არაფერი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მერსედეს! ღარიბი და მარტოხელა უფრო ძვირფასი ხარ ჩემთვის, ვიდრე გულზვიადი გემის მეპატრონის ან მარსელის ყველაზე მდიდარი ბანკირის ქალიშვილი. რა სჭირდება ჩვენისთანა ღარიბ კაცს, თუ არა პატიოსანი ცოლი და კარგი დიასახლისი? სად ვნახავ სხვას შენზე უკეთესს, ორივე ამ თვისებით შემკულს?

— ფერნანდ, — უპასუხა მერსედესმა და უარის ნიშნად თავი გაიქნია, — ქალი, რომელსაც სხვა მამაკაცი უყვარს და არა თავისი ქმარი, შეიძლება ცუდი დიასახლისი გამოდგეს და იმის პირობასაც ვერ მოგცემს, რომ პატიოსანი ცოლობა გაგიწიოს. დასჯერდი ჩემს მეგობრობას, ფერნანდ, გიმეორებ, მარტო ეს შემიძლია შემოგთავაზო და, იცოდე, მე მხოლოდ იმას გპირდები, რაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შევასრულებ.

— დიახ, მესმის, — თქვა ფერნანდმა, — შენ მოთმინებით იტან სიღარიბეს, მაგრამ ჩემი სიღარიბისა კი გეშინია. მისმინე, მერსედეს, თუ გეყვარები, ბედსა ვცდი. შენ ბედნიერებას მომიტან და გავმდიდრდები კიდეც. მე შევძლებ თავი დავაღწიო მეთევზეობას, ვინმესთან მოხელედ დავდგები კანტორაში. მე თვითონაც შემიძლია გავხდე ვაჭარი.

— ფერნანდ, შენ ვერ შესძლებ მიაღწიო ყოველივე ამას; შენ ჯარისკაცი ხარ და, თუ ჯერჯერობით კატალანში იმყოფები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ომი არ არის; მაშ, დარჩი ისევ მეთევზედ, ნუ აშენებ ოცნების კოშკებს, რის შემდეგაც სინამდვილე უფრო საშინელებად მოგეჩვენება, დასჯერდი ჩემს მეგობრობას, რადგან სხვა არაფერი შემიძლია შემოგთავაზო.

— დიახ, შენ მართალი ხარ, მერსედეს, მე მეზღვაური გავხდები, ჩვენი მამაპაპური ტანისამოსის ნაცვლად, რომელიც ასე გეზიზღება, ლურჯ ქუდს დავიხურავ, ჩავიცვამ ზოლებიან მაისურს და ლურჯ ქურთუკს ღუზებიანი ღილებით. ვგონებ, ასე უნდა იცვამდეს კაცი, რომ შენ თავი მოგაწონოს.

— ამით რისი თქმა გინდა, ფერნანდ? — ჰკითხა მერსედესმა და გამომწვევად გადახედა, — რისი თქმა გინდა? არ მესმის.

— მე ის მინდა გითხრა, მერსედეს, რომ ჩემს მიმართ ასეთ სიმკაცრესა და გულქვაობას მხოლოდ იმიტომ იჩენ, რომ ელი ადამიანს, რომელიც სწორედ ისეა ჩაცმული, როგორც მე ავიწერე. მაგრამ ის, ვისაც შენ ელი, შესაძლოა გაუტანელი ადამიანია, ან თუ ასეთი არ არის, ზღვა მაინც იქნება მის მიმართ გაუტანელი.

— ფერნანდ! — შესძახა მერსედესმა, — მე კეთილი მეგონე, მაგრამ შევმცდარვარ, ბოროტი გული გქონია; შენ ღმერთსა სთხოვ, რისხვით დაგვატყდეს თავს და შენს ეჭვებს დამხმარედ მოველინოს. რაკი ასეა, აღარ დავმალავ. დიახ! მე ველოდები და მიყვარს ის, ვიზედაც ლაპარაკობ, და თუ არ დაბრუნდა, იმის ნაცვლად, რომ შენსავით ღალატი დავწამო, ვიტყვი, იგი მოკვდა და ჩემი სიყვარული საფლავში თან ჩაიტანა-მეთქი.

კატალანელი ვაჟი გულისწყრომამ შეარხია.

— მე მესმის, ფერნანდ, შენ შური გინდა იმიო მასზე, იმიტომ, რომ არ მიყვარხარ, გინდა შენი კატალანური დანა მის ხანჯალს გადააჯვარედინო. მერე რას მიაღწევ ამით? თუ დამარცხდი, დაჰკარგავ ჩემს მეგობრობას, ხოლო თუ გაიმარჯვებ, ჩემი შენდამი მეგობრობა სიძულვილით შეიცვლება. დამიჯერე, ქალისათვის თავის მოსაწონებლად ცუდი საშუალებაა იმ ადამიანთან ჩხუბის ატეხა, რომელიც ამ ქალს უყვარს. არა, ფერნანდ, შენ თავს უფლებას არ მისცემ, რომ ბორტ აზრებს დაემორჩილო, რადგან მე მაინც არასოდეს არ გავხდები შენი ცოლი. შეურიგდი იმ აზრს, რომ მეგობრად და დად მიგულო; გარდა ამისა, — დაუმატა შემფოთებულმა და აცრემლებულმა ქალმა, — მოითმინე, ფერნანდ, ნუ აჩქარდები, ეს არის ახლა თქვი, რომ ზღვა ვერაგია. ის კი უკვე ოთხი თვეა წასულია, და ამ ოთხი თვის განმავლობაში ბევრი ქარიშხალი დავთვალე.

ფერნანდი უგრძნობლად შეჰყურებდა მერსედესს. სკამზე არ განძრეულა. მას არ სურდა მოეწმინდა მერსედესის სახეზე ჩამომდინარე ცრემლები. მართალია, თითოეულ მის ცრემლში ის სავსე ჭიქა საკუთარ სისხლს მისცემდა, მაგრამ ეს ცრემლები ხომ სხვისთვის იღვრებოდა.

ფერნანდი წამოდგა, ქოხში გაიარ-გამოიარა და განრისხებული თვალებით, მუშტებშეკუმშული მერსედესის წინ გაჩერდა.

— მისმინე, მერსედეს, — უთხრა მან, — ერთხელ კიდევ მიპასუხე, ეს გადაწყვეტილია?

— მე მიყვარს ედმონდ დანტესი, — უპასუხა მშვიდად ქალიშვილმა, — და მის გარდა სხვა არავინ იქნება ჩემი ქმარი.

— შენ ის მუდამ გეყვარება?

— სიკვდილამდე!

ფერნანდმა თავი უიმედოდ დახარა და ამოიგმინა. შემდეგ უცებ თავი ისევ მაღლა აიღო, ცხვირის ნესტოები დაებერა, კბილი კბილს მაგრად დააჭირა და ჰკითხა:

— მაგრამ თუ ის უკვე მკვდარია?

— თუ უკვე მკვდარია, მეც მოვკვდები.

— თუ დაგივიწყა?

— მერსედეს! — დაიძახა ვიღაცამ ეზოდან მხიარული ხმით, — მერსედეს!

— ოჰ, — შეჰკვივლა ქალიშვილმა, რომელსაც ამ მოულოდნელმა სიხარულმა ლოყები აუწითლა. მან ფრინველივით შეინავარდა: — აი, ხომ ხედავ, არ დავვიწყებოვარ, ის აქ არის.

მერსედესი მაშინვე კარისაკენ გაექანა, გააღო და შესძახა:

— ჩემკენ, ედმონდ, ჩემკენ, აქა ვარ!

გაფითრებულმა და აცახცახებულმა ფერნანდმა უკან დაიწია, ისე, როგორც ეს მოსდის მგზავრს გველის უეცარ დანახვაზე, და რაკი თავის სკამს წააწყდა, ზედ მოწყვეტილი დაეშვა.

ედმონდი და მერსედესი ერთმანეთს გადაეხვივნენ, ღია კარში შემოჭრილი მარსელის მხურვალე მზე მათ შუქს ჰფენდა. მიჯნურები პირველად ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ. უსაზღვრო ბედნიერებამ მათ ყველაფერი დაავიწყათ. ლაპარაკობდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით, რომლებიც დიდი სიხარულისაგან გამოწვეულ აღფრთოვანებას გადმოგვცემენ ისე, რომ ტკივილის გრძნობების გამოხატულებას ემსგავსებიან.

უცებ ედმონდმა სიბნელეში შენიშნა ფერნანდის ფერმიხდილი და მუქარით სავსე სახე. ანგარიშმიუცემელი მოძრაობით ახალგაზრდა კატალანელს ხელი ქამარში გაყრილი დანისათვის ჩაევლო.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა დანტესმა და თვითონაც შეჭმუხნა წარბები, — ვერ შევამჩნიე, რომ აქ სამნი ვყოფილვართ. — შემდეგ მერსედესს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— ეს კაცი თქვენი საუკეთესო მეგობარი იქნება, რადგან იგი ჩემი მეგობარია, ჩემი ბიძაშვილი, ჩემი ძმა. ეს ფერნანდია, ან უკეთ რომ ვთქვა, ადამიანი, რომელიც თქვენს შემდეგ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. ედმონდ, ვერ იცანით?

— ვიცანი, — თქვა ედმონდმა და კატალანელს მეგობრულად გაუწოდა ხელი, მაგრამ ისე, რომ მერსედესისათვის თავი არ გაუნებებია, და მეორე ხელით ისევ ქალიშვილის მკლავი ეჭირა.

მაგრამ ფერნანდი ამ მეგობრულ მისალმებაზე ქანდაკებასავით უძრავი დარჩა.

მაშინ ედმონდმა გამომცდელი მზერა აცახცახებული და აღელვებული მერსედესიდან პირქუშ და მრისხანე კატალანელზე გადაიტანა.

ერთი გადახედვით იგი ყველაფერს მიხვდა.

სიბრაზისაგან სისხლი თავში აუვარდა.

— მერსედეს, როდესაც შენკენ ასე მომეჩქარებოდა, არ ვიცოდი, თუ აქ მტერი დამხვდებოდა.

— მტერი? — შესძახა მერსედესმა და მრისხანედ შეხედა თავის ბიძაშვილს, — მტერი ჩემს სახლში? რას ამბობ, ედმონდ! მე რომ ამას ვფიქრობდე, მოგკიდებდი ხელს, შენთან ერთად წამოვიდოდი მარსელში და სამუდამოდ დავტოვებდი ამ სახლს.

ფერნანდის თვალეში ნაპერწკლებმა იელვა.

— თუ შენ, ჩემო ედმონდ, რაიმე უბედურება შეგემთხვა, — განაგრძო მერსედესმა მშვიდად, რაც უმტკიცებდა ფერნანდს, რომ მერსედესმა ამოიკითხა მის გულის სიღრმეში დაფარული ბოროტი აზრები, — თუ შენ რაიმე უბედურება შეგემთხვა, მე მორჩიონის კონცხე ავალ და იქიდან მის კლდეებზე გადავიჩეხები.

ფერნანდს მიწისფერი დაედო.

— მაგრამ შესცდი, ედმონდ, აქ შენი მტერი არავინაა. აქ არის მხოლოდ ფერნანდი, ჩემი ძმა, რომელიც ხელს გამოგიწოდებს როგორც თავის ერთგულ მეგობარს. — ამ სიტყვებზე ქალიშვილმა თვალეში მბრძანებლურად მიაპყრო კატალანელს, ეს უკანასკნელი თითქოს მოაჯადოვა ამ მზერამ, სკამიდან წამოიწია, ნელი ნაბიჯით ედმონდს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

მისი სიძულვილი გააფთრებული, მაგრამ უძლური ტალღის მსგავსად დაიმსხვრა იმ ძალის გავლენით, რომელიც მერსედესს მასზე ჰქონდა.

მაგრამ ის იყო ოდნავ შეეხო ედმონდის ხელს, რომ იგრძნო, — რაც კი შემეძლო ყველაფერი გავაკეთეო, და ოთახიდან გავარდა.

— ოჰ! რა უბედურებაა ჩემს თავს, რა უბედურება, ვინ მომაშორებს ამ კაცს! — ყვიროდა იგი და თან თავში ხელეხს იცემდა.

— ჰეი, კატალანელო, ჰეი, ფერნანდ, სად გარბიხარ, — გასძახა ვილაცამ.

ყმაწვილი კაცი უცებ შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა და ტალავერში მაგიდასთან კადრუსი და დანგლარი დაინახა.

— შენ, ეი, — დაუძახა კადრუსმა, — რატომ ახლო არ მოხვალ. ნუთუ ისე გეჩქარება, რომ მეგობრებისათვის გამარჯვების სათქმელად არ გცალია.

— განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შენს მეგობრებს წინ ჯერ კიდევ გამოუცლელი ბოთლი უდგათ, — დაუმატა დანგლარმა.

ფერნანდმა ორივეს უაზრო თვალეებით შეხედა და არაფერი უპასუხა.

— მთლად გამოშტერებულსა ჰგავს, — უთხრა დანგლარმა კადრუსს და ფეხი წაჰკრა, — ნუთუ შევცდით, ნუთუ ჩვენი წინასწარმეტყველება არ გამართლდა და, პირიქით, დანტესი ზეიმობს.

— ეშმაკმა დალახვროს, უნდა გავიგოთ, — თქვა კადრუსმა და ყმაწვილი კაცისაკენ შეტრიალდა: — შენ კი, კატალანელო, გადაწყვიტე თუ არა ჩვენთან მოსვლა?

ფერნანდმა შუბლზე ღვარად წამოსული ოფლი მოიწმინდა, ნელა შევიდა ტალავერში, რომლის ჩრდილმა თითქოს ოდნავ დაუმშვიდა ამღვრეული სისხლი და მოთენთილი სხეული გამოუცოცხლა.

— გამარჯობათ, ვგონებ, მეძახდით, — თქვა მან და სკამზე უფრო დაეცა, ვიდრე დაჯდა.

— იმიტომ დაგიძახე, რომ გიჟივით გარბოდი და შემეშინდა, ზღვაში არ გადავარდეს-მეთქი, — უთხრა კადრუსმა სიცილით, — ეშმაკმა დალახვროს, კაცს მეგობარი მარტო იმისათვის კი არა ჰყავს, რომ ღვინო მიაწოდოს, არამედ იმისათვისაც, რომ ზოგჯერ ხელი შეუშალოს, სამი ან ოთხი კოკა წყალი არ გადაყლაპოს.

ფერნანდმა ისე ამოიხვნეშა, გეგონებოდათ, სლუკუნებსო და თავი მაგიდაზე გადაჯვარედინებულ ხელებს დააყრდნო.

— იცი, რას გეტყვი, ფერნანდ, — დაიწყო კადრუსმა იმ მდაბიო ხალხისათვის დამახასიათებელი უკმეხობით, რომელსაც ცნობისმოყვარეობა ყოველგვარ თავაზიანობას ავიწყებინებს: — შენ იმედგაცრუებულ მიჯნურს ჰგავხარ.

ამ ხუმრობას კადრუსმა ხმამაღალი ხარხარი მოაყოლა.

— ეგ როგორ! — გამოეპასუხა დანგლარი: — ასეთი ბრგე ვაჟკაცი განა იმისათვის დაბადებულა, რომ სიყვარულში უბედური იყოს? შენ ხუმრობ, კადრუს.

— სულაც არ ვხუმრობ, — განაგრძო კადრუსმა, — სჯობს ყური დაუგდო, როგორ ოხრავს. კმარა, კმარა, ფერნანდ, — მიმართა მან ისევ ყმაწვილ კაცს, — ასწი ცხვირი და პასუხი მოგვეცი. ეგ რა ზრდილობაა, არ უპასუხო მეგობრებს, როდესაც ჯანმრთელობის ამბავს გეკითხებიან.

— მე ჯანმრთელად ვარ, — უპასუხა ფერნანდმა და მუშტები შეკუმშა, მაგრამ ისე, რომ თავი მაღლა არ აუღია.

— ხედავ, დანგლარ, — უთხრა კადრუსმა და თან თვალი ჩაუკრა, — აი, საქმე რაშია: ფერნანდი, რომელსაც შენ აქ ხედავ, კეთილი და მამაცი კატალანელი, მთელს მარსელში ერთ-ერთი საუკეთესო მეთევზე, შეყვარებულია ლამაზ ქალიშვილზე, რომელსაც მერსედესს ეძახიან; მაგრამ, საუბედუროდ, როგორცა ჩანს, მერსედესი უყვარს «ფარაონის» კაპიტნის თანაშემწეს და რაკი «ფარაონი» დღეს ჩამოდგა ნავსადგურში... ხვდები?

— არა, მე არაფერი გამეგება, — უპასუხა დანგლარმა.

— საწყალი ფერნანდი უარყვეს, — განაგრძობდა კადრუსი.

— მერე რა მოხდა, — შესძახა ფერნანდმა. თავი ასწია და კადრუსს ისეთი თვალეებით შეხედა, თითქოს ვინმეს ეძებს, თავისი რისხვა იმას დაატეხოსო, — მერსედესი არავისზე არ არის დამოკიდებული, და უფლება აქვს, ვინც უნდა, ის შეიყვაროს.

— ჰო, თუ შენ ასე უყურებ ამ საკითხს, მაშინ სულ სხვა საქმეა, — უთხრა კადრუსმა, — მე შენ კატალანელი მეგონე და კატალანელებზე კი გამიგონია, მეტოქეს თავს არ დააჩაგვრინებენო; იმასაც დასძენენ, განსაკუთრებით ფერნანდია დაუნდობელი შურისძიებაშიო.

ფერნანდმა შესაბრალისად გაიღიმა.

— შეყვარებული არასოდეს არ არის საშიში, — თქვა მან.

— საწყალი ბიჭი, — დაიწყო დანგლარმა, რომელიც ყმაწვილ კაცს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს სულით და გულით თანაუგრძობდა და ებრალებოდა კიდევ. — ის არ მოელოდა, რომ დანტესი ასე ჩქარა დაბრუნდებოდა, შეიძლება მკვდარიც კი ეგონა, ან ფიქრობდა, რომ მერსედესს უღალატა, ვინ იცის? ასეთი ხმები მით უფრო ძნელი ასატანია, რომ კაცს მოულოდნელად ატყდება თავს.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — თქვა კადრუსმა, იგი ამ ხნის განმავლობაში სვამდა და, ეტყობოდ, მალაგის შუმხუნა ღვინოს თავისი კვალი უკვე დაეტოვებინა, — როგორც უნდა იყოს საქმე, დანტესის კეთილად დაბრუნება მარტო ფერნანდისათვის როდია სამწუხარო; ხომ ასეა, დანგლარ?

— სწორი ხარ, შენ მართალს ამბობ, და მე იმის თქმასაც გავბედავ, რომ ეს დაბრუნება უბედურებას მოუტანს.

— მით უმეტეს — განაგრძო კადრუსმა, რომელიც ფერნანდს ჭიქაში ღვინოს უსხამდა და მერვეჯერ თუ მეათეჯერ ივსებდა თავის სასმისს, დანგლარს კი ღვინო ოდნავ ჰქონდა მოსმული, — მით უმეტეს, რომ ის ჯვარს დაიწერს ლამაზ მერსედესზე, ყოველ შემთხვევაში, ამისათვის არის ჩამოსული.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დანგლარი თავის გამჭრიახ თვალებს არ ამორებდა ყმაწვილ კაცს, რომელსაც კადრუსის სიტყვები გულზე გამდნარ ტყვიასავით ეღვენებოდა.

— ქორწილი როდისდაა? — იკითხა დანგლარმა.

— ოჰ, საქმე ჯერ ქორწილამდე არ მისულა, — წაიჩურჩულა ფერნანდმა.

— მაგრამ ესეც იქნება, — თქვა კადრუსმა, — ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ დანტესი «ფარაონის» კაპიტანი გახდება. ხომ ასეა, დანგლარ?

დანგლარი შეაკრთო ამ მოულოდნელმა დარტყმამ, იგი კადრუსისაკენ შეტრიალდა და სახეში ჩააშტერდა იმის გასარკვევად, ეს სიტყვები განზრახ იყო ნათქვამი თუ არა. მაგრამ კადრუსის თითქმის უკვე გამოყეყეჩებულ სახეზე შურის გარდა ვერაფერი წაიკითხა.

— მაშ ასე, — თქვა მან და ჭიქა აავსო, — დავლიოთ ლამაზი კატალანელი ქალის მეუღლის, კაპიტან ედმონდის სადღეგრძელო.

კადრუსმა დამძიმებული ხელით ჭიქა პირთან მიიტანა და ერთი მოსმით გამოცალა. ფერნანდმა კი თავისი სასმისი ასწია და მიწაზე დაანარცხა.

— მოიცათ, მოიცათ, — წამოიძახა კადრუსმა, — ნეტავი რა უნდა იყოს აგერ იმ გორაკზე, კატალანის მიმართულებით? ერთი შეხედვით, ფერნანდ, შენ უკეთესი მხედველობა გაქვს, ვიდრე მე. ახლა თვალები აცაბაცა მიმიღობს, ხომ იცი ღვინო ვერაგია, თითქოს შეყვარებულები მიდიან მკლავი-მკლავ გაყრილები, ღმერთს გეფიცებით! ალბათ, ექვიც კი არ ეპარებათ, რომ ჩვენ ვუყურებთ. აი, კიდევაც გადაეხვივნენ ერთმანეთს.

დანგლარი თვალს ადევნებდა შეშინებულ ფერნანდს, რომელსაც მწუხარება ყოველ წამში უმანჭავდა სახეს.

— თქვენ მათ იცნობთ, ფერნანდ? — ჰკითხა მან.

— დიახ, — უპასუხა ფერნანდმა ყრუ ხმით, — ედმონდი და მერსედესი არიან.

— ჰო, ხედავთ თურმე ვინ ყოფილან! — განაგრძო კადრუსმა: — მე კი ვერ ვიცანი! ჰეი, დანტეს, ეჰეი, ლამაზო ქალიშვილო, ცოტა ხანს აქეთ მოდი, გაგვაგებინეთ, როდის არის თქვენი ქორწილი, თორემ ფერნანდი ჯიუტობს და არა სურს გვითხრას.

— გაჩუმდები თუ არა, — უთხრა დანგლარმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს უნდოდა შეეჩერებინა კადრუსი, რომელიც მთვრალი ადამიანისათვის ჩვეული სიჯიუტით არ ისვენებდა და თავს ტალავრიდან ყოფდა.

თავი შეიკავე, ფეხზე დადექი და მოეშვი შეყვარებულებს. დაე, მშვიდად იჟღურტულონ თავისთვის; აი, ფერნანდისაგან აიღე მაგალითი, ის ნამდვილად კეთილგონიერია.

შესაძლებელია, დანგლარის მიერ შეგულიანებულ და მოთმინებიდან გამოსულ ფერნანდს ასპარეზზე გამოსულ ბუღალავით თავი ვერ შეეკავებინა, რადგან ის უკვე წამოდგა და, ასე გეგონებოდათ, ძალას იკრებს, რომ თავის მეტოქეს ეცესო, მაგრამ ამ დროს მოცინარე და გულმართალმა მერსედესმა კისერი მოიღერა და თავისი ნათელი მზერა გარემოს მოჰფინა. მაშინ ფერნანდს მოაგონდა მერსედესის მუქარა: «თავს მოვიკლავ, თუ ედმონდი ცოცხალი არ მეყოლებაო» და ყმაწვილი კაცი ღონემიხდილი სკამზე დაეშვა.

დანგლარმა დაკვირვებით შეხედა ამ ორ ადამიანს: ერთს — ღვინისაგან გაბრუებულს, მეორეს — სიყვარულისაგან დატყვევებულს.

— ამ ყეყეებთან ვერაფერს გავხდები, — წაიჩურჩულა მან, — ძალიან მაშინებს ის ამბავი, რომ მთვრალთან და მხდალთანა მაქვს საქმე. ერთი შურით აღვსილი ადამიანია, რომელიც ღვინით სკდება, იმის მაგივრად, რომ ნაღველით ითვრებოდეს, ხოლო მეორე ნამდვილი ყეყეჩია: ცხვირწინ ართმევენ მიჯნურს, ის კი ბავშვივით ტირილსა და წუწუნს სჯერდება. ამავე დროს მას ცეცხლისმფრქვევი თვალები აქვს ესპანელების, სიცილიელებისა და კალაბრიელების მსგავსად, რომლებმაც მარჯვედ იციან შურისძიება; მისი მუშტები ყასაბის ცულივით ხარს თავს ჩაუმტვრევს. ნამდვილად ბედმა გაულიმა ედმონდს; შეირთავს ლამაზ ქალიშვილს, გახდება კაპიტანი და სასაცილოდ აგვიგდება... იმ შემთხვევაში, თუ მე არ ჩავერიე ამ საქმეში, — დაუმატა დანგლარმა და სიმწრის სიცილმა ტუჩები მოუღრიცა.

— ჰეი, — განაგრძობდა ყვირილს ადგილიდან ოდნავ წამოწეული და მაგიდაზე მუშტებით დაყრდნობილი კადრუსი, — ჰეი, ედმონდ! შენ, ალბათ, მეგობრებს ვერ ამჩნევ, ან არა და ისე გაამაყდი, რომ მათთან ლაპარაკს აღარა კადრულობ.

— არა, ჩემო ძვირფასო კადრუს, — უპასუხა დანტესმა, — მე არ გავამაყებულვარ, მაგრამ ბედნიერი კი ვარ და, ვფიქრობ, ბედნიერება უფრო მეტად აბრმავებს ადამიანს, ვიდრე სიამაყე.

— სწორედ რომ კარგად არის ნათქვამი, განმარტებაც ამას ჰქვია, — მოუწონა კადრუსმა და მერსედესს მიუბრუნდა:

— გამარჯობათ, ქალბატონო დანტეს!

მერსედესმა ღირსეულად დაუკრა თავი და უპასუხა:

— მე ჯერ ასე როდი მეძახიან: ჩვენს მხარეში უბედურების მომასწავებელ ნიშნად არის მიჩნეული, როდესაც ქალიშვილს წინასწარ, სანამ გათხოვდებოდეს, საქმროს გვართ მიმართავენ, ამიტომ გთხოვთ, უბრალოდ მერსედესი მიწოდოთ.

— უნდა აპატიოთ ჩვენს მეზობელ კადრუსს, რადგან არცთუ ისე ძალიან შემცდარა, — უთხრა მას დანტესმა.

— მაშ, ბატონო დანტეს, ქორწილი მალე იქნება? — ჰკითხა დანგლარმა და ახალგაზრდებს თავი დაუკრა.

— რაც შეიძლება მალე, ბატონო დანგლარ; დღეს მამაჩემის თანდასწრებით დავნიშნავ, ხოლო ხვალ ან ზეგ, ამას კი არ გადავაცილებთ, «რეზერვში» ნიშნობის აღსანიშნავ ქეიფს გადავიხდით; ვიმედოვნებ, ყველა მეგობარი ამ დროს ჩემთან იქნება. ამით იმის თქმა მინდა, რომ თქვენ უკვე დაპატიჟებული ხართ, დანგლარ, და თქვენც უსათუოდ უნდა გვეწვიოთ, კადრუს.

— ფერნანდი, ფერნანდიც ხომ იქნება? — ჰკითხა კადრუსმა სიცილით.

— ჩემი ცოლის ძმა — ჩემი ძმია, მე და მერსედესს ძალიან გვეწყინება, თუ ასეთ წუთებში ის ჩვენთან არ იქნება, — უთხრა ედმონდმა.

ფერნანდმა პირი გააღო, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და ერთი სიტყვაც კი ვერ წარმოთქვა.

— მაშ ასე, დღეს ნიშნობა, ხვალ თუ ზევ ნიშნობის აღსანიშნავი ქეიფი. ეშმაკმა დალახვროს, თქვენ ძალიან ჩქარობთ, კაპიტანო!

— დანგლარ, — უთხრა ედმონდმა ღიმილით, — მე იმასვე გეტყვი, რაც ეს-ეს არის მერსედესმა კადრუსს უთხრა: ნუ მომმართავთ იმ ტიტულით, რომელიც ჯერ მე არ მეკუთვნის, იგი მე უბედურებას მომიტანს.

— მომიტევეთ, მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ თქვენ ძალიან ჩქარობთ. დალახვროს ეშმაკმა, ჩვენ ხომ კიდევ საკმაოდ დრო გვაქვს: «ფარაონი» ზღვაში სამ თვეზე ადრე არ გავა.

— ბატონო დანგლარ, ადამიანი ყოველთვის ჩქარობს, ბედნიერი გახდეს; მით უფრო მას, ვინც დიდი ხნის განმავლობაში იტანჯება, ძნელად სჯერა თავისი ბედნიერებისა; მაგრამ მე ასე მარტო პირადი საქმეები როდი მაჩქარებს: პარიზში ვარ წასასვლელი.

— ჰო, მართლა! პარიზში უნდა წახვიდეთ? თქვენ, მგონი, იქ პირველად მიდიხართ, დანტეს.

— დიახ.

— რაიმე საქმე გაქვთ?

— ჩემი არა, კაპიტან ლეკლერის უკანასკნელი დავალება მაქვს შესასრულებელი: გესმით, დანგლარ. ეს წმინდათა წმინდა მოვალეობაა, მაგრამ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, დრო მხოლოდ წასვლაში და დაბრუნებაში დამეკარგება.

— დიახ, მესმის, — თქვა ხმამალა დანგლარმა, შემდეგ კი თავისთვის ჩაილაპარა: — ეჭვგარეშეა, პარიზში იმიტომ მიდის, რომ დანიშნულებისამებრ ჩააბაროს წერილი, რომელიც მარშალმა გადასცა. ეშმაკმა დალახვროს, ამ წერილმა მე კარგი აზრი დამიბადა, არაჩვეულებრივი აზრი! ჰო. დანტეს, ჩემო მეგობარო, შენ ჯერ კიდევ არ ითვლები «ფარაონზე» პირველ კაცად.

შემდეგ შემოტრიალდა და ედმონდს გახედა, რომელიც მათ უკვე საკმაოდ მანძილით დაცილებოდა.

— კეთილი მეზავრობა, — დაუყვირა მან.

— გმადლობთ, — უპასუხა ედმონდმა, უკან მიიხედა და მეგობრულად თავი დაუქნია.

მიჯნურებმა გზა განაგრძეს მშვიდად და მხიარულად, როგორც რჩეულებმა, რომლებიც ზეცისკენ მიემართებიან.

IV

შეთქმულება

დანგლარმა თვალი გააყოლა მერსედესსა და ედმონდს, სანამ მიჯნურები წმინდა ნიკოლას ფორტს არ ამოეფარნენ; შემდეგ, როდესაც ისევ სუფრისაკენ იბრუნა პირი, აცახცახებული და ფერმიხდილი ფერნანდი სკამზე მიგდებული დაუხვდა; კადრუსი კი რომელიღაც სუფრული სიმღერის სიტყვებს ბურტყუნებდა.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, — უთხრა დანგლარმა ფერნანდს, — მე მგონია, ამ ქორწინებას ყველასათვის არ მოაქვს ბედნიერება.

— მე მას სასოწარკვეთილებამდე მივყავარ, — უთხრა ფერნანდმა.

— განა თქვენ გიყვართ მერსედესი?

— ვადმერთებ.

— დიდი ხანია?

— მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, მე იგი ყოველთვის მიყვარდა.

— მერე აქ რას უზიხართ და თმებს იგლეჯთ, იმის მაგივრად, რომ წამალი გამოუნახოთ თქვენს უბედურებას! ეშმაკმა დალაზვროს, არ მეგონა, რომ თქვენი ტომის ადამიანები ამგვარად შეხვდებოდნენ ასეთ ამბავს.

— მაშ, თქვენი ფიქრით, როგორ უნდა ვიქცეოდე? — ჰკითხა ფერნანდმა.

— რა ვიცი, განა ეს ჩემი საქმეა? ვგონებ, თქვენ გიყვართ მერსედესი და არა მე. «ემიებდეთ და ჰპოვებდეთ», ამბობს სახარება.

— მე უკვე ნაპოვნი მქონდა.

— რა?

— მინდოდა, იმ კაცისათვის კატალანური დანა დამეცა, მაგრამ ქალმა მითხრა, თუ ჩემს დანიშნულს უბედურება ეწევა, არც მე ვიცოცხლებ თავსო.

— სისულელეა! ამგვარ სიტყვებს ამბობენ, მაგრამ როდი ასრულებენ.

— მაშ, თქვენ მერსედესი არა გცნობიათ: რახან დაიმუქრა, შეასრულებს კიდეც.

— ჩერჩეტი! — წაიჩურჩულა დანგლარმა: — თავს მოიკლავს თუ არა, რა მენაღვლება, ოღონდ დანტესი ნუ ეღირსება კაპიტნობას.

— მაგრამ სანამ მერსედესი გამოესალმებოდეს სიცოცხლეს, ჯერ მე მოვკვდები, — თქვა ფერნანდმა მტკიცე გადაწყვეტილებით.

— აი, მესმის სიყვარული, — წამოიძახა ნასვამი კაცის ხმით კადრუსმა: — აი, სიყვარულიც ამას ჰქვია, ან არა და მე აღარაფერი მესმის.

— მისმინეთ! — მიმართა დანგლარმა ფერნანდს, — მე თქვენ კარგი ყმაწვილი მგონიხართ და მინდა... ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, გიხსნათ ამ წამებიდან, მაგრამ...

— აბა, თქვი, გისმენ, — ჩაილულულა კადრუსმა.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა მას დანგლარმა, — შენ უკვე კარგად შეზარხოშებული ხარ, ეს ბოთლიც გამოცალე და სულ უგონოდ მთვრალი იქნები, სვი ღვინო და ნუ ერევი ჩვენს საქმეში: ამ საქმის მოსაგვარებლად სალი გონებაა საჭირო.

— ვინა? მე ვარ მთვრალი? — გაბრაზდა კადრუსი, — მაშ კარგი, მე კიდეც გამოვცლი ოთხ ამისთანა ბოთლს; რას დამაკლებს ეს ოდეკოლონის ფლაკონისოდენა ბოთლები! ძია პამფილო, ღვინო!

და რათა თავისი სიტყვები საქმით დაემტკიცებინა, კადრუსმა ჭიქა მაგიდაზე დაარტყა.

— მაშ, თქვენ ამბობთ, ბატონო... — წამოიწყო ფერნანდმა, რომელიც მოუთმენლად ელოდა შეწყვეტილი წინადადების გარქმელებას.

— რას ვამბობდი? მე უკვე აღარც კი მახსოვს, ამ ლოთმა სულ მთლად დამიბნია აზრები.

— კარგი, დაე ლოთი ვიყო! მით უარესი მათთვის, ვისაც ღვინისა ეშინია; მათ, ალბათ, ავი ზრახვები აქვთ და შიშობენ, ღვინომ არ გადმოალაგებინოს გულისნადები.

და კადრუსმა შემოსძახა ორი უკანასკნელი სტრიქონი იმ სიმღერისა, რომელიც ძალიან მიღებული იყო იმ დროს:

«წარღვნის დროიდან მტკიცედ გვწამს,
ბოროტნი მხოლოდ წყალს სვამენ».

— თქვენ ამბობდით, ბატონო, — განაგრძო ფერნანდმა, — რომ გინდოდათ დაგეხსენით ამ წამებიდან, მაგრამ დასძინეთ...

— დიახ, მე იმას დავუმატებ, რომ თქვენი ტანჯვისაგან ხსნა მხოლოდ იმითი შეიძლება, თუ დანტესი არ ითხოვს მას, ვინც თქვენ გიყვართ. ქორწილის ჩაშლა კი, ვფიქრობ, დანტესის სიკვდილის გარეშეც შეიძლება.

— მათ მხოლოდ სიკვდილი დააშორებთ ერთმანეთს, — თქვა ფერნანდმა.

— თქვენ, ჩემო მეგობარო, ბატონით მსჯელობთ, — ჩაერია საუბარში კადრუსიც, — აი, დანგლარი კი ჭკვიანია, ეშმაკი, და თანაც განსწავლული. იგი თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ სცდებით. დაუმტკიცე, დანგლარ, მე შენ თავდებად დაგიდგები; უთხარი, რომ დანტესის სიკვდილი საწყენიც იქნება. ის კარგი ყმაწვილია, მე მიყვარს დანტესი, შენი სადღეგრძელო იყოს, დანტეს.

ფერნანდი მოუთმენლად წამოდგა.

— დააცადე, თქვას, — შეაჩერა ყმაწვილი კაცი დანგლარმა, — თუმცა მთვრალია, მაგრამ მისი სიტყვები სიმართლესთან ახლოა. განშორება სიკვდილზე ნაკლებად როდი აცილებს ერთმანეთს ადამიანებს. წარმოიდგინე, რომ მერსედესსა და ედმონდს შუა აღმართულია სატუსალოს კედელი. ეს კედელი მათ ისე დააცილებს ერთმანეთს, როგორც საფლავის ქვა, არც მეტი, არც ნაკლები.

— დიახ, მაგრამ სატუსალოდან გამოდიან, — არ ისვენებდა კადრუსი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილ გონებას იკრებდა და ცდილობდა, საუბარში ჩარეულიყო, — ხოლო როდესაც ადამიანი ციხიდან გამოდის და მას ედმონდ დანტესი ჰქვია, ის შურს იძიებს.

— რა მენაღვლება, ჩემთვის სულ ერთია, — ჩაიჩურჩულა ფერნანდმა.

— ესეც რომ არ იყოს, რატომ უნდა ჩასვან დანტესი ციხეში, — განაგრძო ისევ კადრუსმა, — მას არაფერი მოუპარავს, არავინ მოუკლავს და არც ფული გაუფლანგავს.

— გაჩუმდი, — შეუტია დანგლარმა.

— არ გავჩუმდები; მე მიინდა მითხრან, რისთვის ჩასვამენ დანტესს ციხეში! — ყვიროდა კადრუსი. — მე მიყვარს დანტესი, შენი სადღეგრძელო იყოს, დანტეს.

და მან ერთხელ კიდევ გადაჰკრა ღვინით სავსე ჭიქა.

დანგლარმა ჩახედა ღვინისაგან ამღვრეულ თვალებში და ისევ ფერნანდს მიუბრუნდა.

— მაშ ასე, თქვენთვის გასაგებია, რომ საჭირო არ არის მისი სიკვდილი.

— გასაგებია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც თქვენ ეს იყო ბრძანებდით, გამოძებნილია საბაზი მის დასაპატიმრებლად, მაგრამ განა თქვენ გაქვთ ასეთი საბაზი?

— თუ კარგად გამოვძებნით, შეიძლება მისი პოვნა. თუმცა, — განაგრძო მან, — ნეტა რა ეშმაკი მრევს ამ საქმეში, განა მე ეს მეხება?

— მე არ ვიცი შეგეხებათ თქვენ ეს თუ არა, — უთხრა ფერნანდმა და მკლავში ხელი სტაცა, — მაგრამ ის კი ვიცი, რომ თქვენი დანტესისადმი სიძულვილს რაღაცა საფუძველი უდევს, ხოლო კაცს ვინმე თუ სძულს, სხვის გრძნობებშიაც ადვილად ერკვევა.

— საფუძველი თუ აქვს დანტესისადმი ჩემს სიძულვილს? სიტყვას გაძლევთ, რომ არავითარი საფუძველი არა მაქვს. მე ვხედავ, რომ გაუბედურებული ხართ და თქვენმა მწუხარებამ დამაინტერესა. ეს არის და ეს. მაგრამ თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩემი პირადი ინტერესები მამოქმედებს, მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, ისე მოუარეთ მაგ საქმეს, როგორც შეძლოთ.

და დანგლარმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს წამოდგომა ნდომებოდა.

— არა, დარჩით! — შეაჩერა იგი ფერნანდმა, — განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, აპირებთ თქვენ დანტესთან ანგარიშის გასწორებას თუ არა? მე კი ვაპირებ და ამას ხმამაღლა ვამბობ. იპოვეთ საშუალება და მე მზად ვარ მის შესასრულებლად, რაც უნდა იყოს იგი, გარდა მისი სიკვდილისა, რადგან მერსედესმა თქვა, სიცოცხლეს გამოვესალმები, თუ დანტესი მოკვდაო.

კადრუსმა, რომელსაც თავი მაგიდაზე დაედო, წამოიწია, დანგლარსა და ფერნანდს დამძიმებული და უაზრო თვალებით შეხედა.

— დანტესის სიკვდილი! — თქვა მან, — ვინ ლაპარაკობს აქ დანტესის სიკვდილზე? მე არ მინდა იგი მოჰკლან, ის ჩემი მეგობარია. ამ დილით მან თავისი ფულის ნახევარი შემომთავაზა, ისე როგორც მე ერთხელ გავუყავი. მე არა მსურს, დანტესი მოჰკლან.

— მერედა ვინ ლაპარაკობს მის სიკვდილზე, სულელო, — შეაწყვეტინა დანგლარმა, — ეს მხოლოდ ხუმრობაა; დალიე მისი სადღეგრძელო და ჩვენ თავი დაგვანებე, — ეუბნებოდა იგი და თან კადრუსს ჭიქას ღვინით უვსებდა.

— დიახ, დიახ, მისი სადღეგრძელო იყოს, — თქვა მან და ჭიქა გამოცალა, — მისი სადღეგრძელო იყოს... მისი სადღეგრძელო... აი...

— მაგრამ საბაბი... საბაბი, — ეკითხებოდა ფერნანდი.

— ნუთუ აქამდე თქვენ თვითონ ვერ გამონახეთ.

— განა თქვენ არ იკისრეთ მისი გამოძებნა?

— ეს მართალია, — დაეთანხმა დანგლარი, — ფრანგებს ესპანელების წინაშე ის უპირატესობა აქვთ, რომ სანამ ესპანელები იცოხნებიან, ფრანგებს საქმე უკვე მოფიქრებული აქვთ.

— მაშ, მოიფიქრეთ. — უთხრა მოუთმენლად ფერნანდმა.

— შენ ეი, ყმაწვილო, — გასძახა დანგლარმა მსახურ ბიჭს, — კალამი, მელანი და ქალაღი.

— კალამი, მელანი და ქალაღი, — ჩაილაპარაკა ფერნანდმა.

— დიახ, მე მოანგარიშე ვარ; კალამი, მელანი და ქალაღი ჩემი იარაღებია და მათ გარეშე არაფრის გაკეთება არ შემძლია.

— კალამი, მელანი და ქალაღი, — დაიყვირა თავის მხრივ ფერნანდმაც.

— აი, იმ მაგიდაზე დევს ყველაფერი, — უთხრა ბიჭმა და ხელით ანიშნა.

— აქ მოგვიტანე, რაღას უცდი.

მსახურმა ბიჭმა ხელი დაავლო დასახელებულ ნივთებს, ტალავერში შეიტანა და მაგიდაზე დაალაგა.

— როგორ წარმოიდგენს კაცი, — თქვა კადრუსმა და ხელი ქალაღს დაადო, — რომ, აი, ასე უფრო ადვილად მოჰკლავ ადამიანს, ვიდრე ტყის პირას ჩასაფრებული. მე კალმის, მელნისა და ქალაღის ყოველთვის უფრო მეშინოდა, ვიდრე ხმლისა და დამბაჩისა.

— ეს ხუმარა ჯერ არცთუ ისე მთვრალია, როგორც გვეჩვენებოდა, დაუსხი ღვინო, ფერნანდ, — უთხრა ყმაწვილ კაცს დანგლარმა.

ფერნანდმა ჭიქა ღვინით აუვსო, კადრუსმა ნამდვილი ლოთივით ქალაღს ხელი უშვა და სასმისი აიტაცა.

კატალანელმა თვალი არ მოაცილა კადრუსს, სანამ მან, ღვინის ძალის ახალი შეტევით დამარცხებულმა, მაგიდაზე არ დადგა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, არ დაანარცხა თავისი ჭიქა.

— მაშ ასე, — განაახლა საუბარი კატალანელმა, რაკი დაინახა, კადრუსს აზროვნების ნაშთიც ჩაუქრა ღვინის ამ უკანასკნელ ჭიქასთან ერთად.

— მაშ ასე, — განაგრძო დანგლარმა, — აი, მაგალითად, ისეთი მოგზაურობის შემდეგ, როგორცაა დანტესის ნეაპოლში და კუნძულ ელბაზე შეჩერება, მეფის პროკურორთან რომ ვინმე დააბეზლებდეს და ბრალად დასდებდეს, ბონაპარტისტების ჯაშუშიაო...

— მაშინ ხელს მოგაწერინებენ თქვენს მიერ მიწოდებულ ცნობებზე, პირისპირ წაგაყენებენ დაბეზლებულთან. მე, რასაკვირველია, მოგამარაგებთ საბუთებით, რომლებიც დაადასტურებენ თქვენს მიერ წაყენებულ ბრალდებებს. მაგრამ დანტესი ხომ მუდმივად არ დარჩება სატუსაღოში, როცა იქნება გამოვა და ვაი მას, ვინც ის იქ ჩააგდო.

— ოჰ, ნეტავი; მეც სწორედ ის მინდა, რაიმეზე წამეკიდოს...

— მაგრამ მერსედესი ხომ შეგიძლებოდა, თითიც რომ ოდნავ დააკაროთ მის საყვარელ ედმონდს.

— ეს მართალია, — დათანხმდა ფერნანდი.

— არა, არა, — განაგრძო ისევ დანგლარმა, — როდესაც კაცი ასეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, ყველაფერს სჯობია, აილოს კალამი, ჩააწოს სამელნეში, როგორც ამას ახლა მე ვაკეთებ, და მარცხენა ხელით, რათა არავინ იცნოს ხელწერა, დაწეროს შემდეგი შინაარსის პატარა ბარათი.

და რათა თავისი სიტყვები საქმით დაემტკიცებინა, დანგლარმა მარცხენა ხელით დაწერა რამდენიმე სტრიქონი, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო მის ჩვეულებრივ ხელნაწერთან.

ეს ბარათი მან გადასცა ფერნანდს, რომელმაც დაბალი ხმით წაიკითხა შემდეგი სტრიქონები:

«ბატონ მეფის პროკურორს აფრთხილებს ტახტისა და რელიგიის ერთგული, რომ ედმონდ დანტეს, «ფარაონის» კაპიტნის თანაშემწეს, რომელიც ნეაპოლსა და პორტო-ფერაიოს გავლით სმირნიდან ჩამოვიდა, მიურატისაგან¹ (¹ მიურატი — ნაპოლეონ პირველის მარშალი, მისი დის კაროლინას ქმარი: 1808—1814 წ.წ. ნეაპოლის მეფე; ნაპოლეონის დამხობის შემდეგ მიურატი ტახტიდან ჩამოაგდეს, მაგრამ ის შეეცადა თავისი სამეფო უკან დაებრუნებინა. დატყვევებულ და დახვრეტილ იქნა 1815 წ.) წერილი ჰქონდა უზურპატორთან², (² უზურპატორი — იგულისხმება ნაპოლეონ პირველი.) ხოლო უზურპატორისაგან პარიზში ბონაპარტისტების კომიტეტში წასაღებად.

დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ნაპოვნი იქნება მისი დაპატიმრების შემთხვევაში, რადგან ამ წერილს იპოვნიან ან თვითონ მასთან, ან მამამისთან, ან კიდევ მის კაიუტაში «ფარაონზე».

— აი, ეს მესმის, — განაგრძობდა დანგლარი, — მაშინ თქვენ შურისძიებასაც აზრი ექნება, რადგან თქვენზე ეჭვს ვერავინ მიიტანს და ყველაფერი რიგზე წავა; ამისათვის საჭიროა მხოლოდ ოთხად გადაკეცო ბარათი, აი ასე, როგორც ამას ახლა მე ვაკეთებ, და ზემოდან მისამართი დააწერო: «ბატონ მეფის პროკურორს». ამის მეტი არაფერია საჭირო.

და დანგლარმა მისამართი სიცილით დააწერა.

— დიახ, მეტი არაფერია საჭირო! — წამოიძახა კადრუსმა, რომელიც გონებას იკრებდა და ყურადღებით უსმენდა წერილის კითხვას. მან უნებურად იგრძნო, რა უბედურების მოტანა შეეძლო ამგვარად დასმენის ბარათს: — დიახ, მეტი არაფერია საჭირო, მაგრამ ეს ხომ უსინდისობა იქნებოდა.

მან წერილის ასაღებად ხელი გასწია.

— რასაც ვამბობ და ვაკეთებ, ეს მხოლოდ ხუმრობაა, — უთხრა დანგლარმა და ხელი გააწვივინა, — მე ყველაზე მეტად მეწყინებოდა, რომ რაიმე მოსვლოდა ჩვენს კეთილ დანტესს, აი, უყურე!

დანგლარმა წერილი ხელში აიღო, დაჰმუჭუნა და კუთხეში გადაისროლა.

— აი, ეს მესმის, — თქვა კადრუსმა, — დანტესი ჩემი მეგობარია და არ მინდა, მას მტრობდნენ.

— მერე და ვინ ეშმაკი ფიქრობს მის მტრობას! არც მე და არც ფერნანდი მას არაფერს დავუშავებთ. — ამ სიტყვებზე დანგლარი მაგიდიდან წამოდგა. თან სკამზე მჯდარ კატალანელს შეჰყურებდა, რომელიც კუთხეში მიგდებულ ქალღმერთს ალმაცერად გასცქეროდა.

— რაკი ასეა, — დაიწყო ისევ კადრუსმა, — კიდევ მოგვიტანონ ღვინო, მე მინდა დავლიო ედმონდისა და ლამაზი მერსედესის სადღეგრძელო.

— ლოთო, შენ უკვე მეტისმეტი მოგივიდა; თუ კიდევ დალევ, ლოგინის გამლა აქ მოგიხდება, ხედავ, ფეხზე ძლივს დგახარ. — უთხრა მას დანგლარმა.

— მე, მე არ შემძლია ფეხზე დგომა, — თქვა კადრუსმა მთვრალი ადამიანისათვის დამახასიათებელი ტრაბახით და სკამიდან წამოდგა, — სანაძლეოს დავდებ, ისე ავიდე აკულის სამრეკლოზე, რომ ოდნავადაც არ შევტორტმანდე.

— კარგი, კარგი, ეგრე იყოს, გენიძლავები, მაგრამ ხვალისათვის გადავდოთ, ახლა კი შინ დაბრუნების დროა, ხელი მომეცი და წავიდე.

— წავიდე, — უპასუხა კადრუსმა, — მაგრამ ამისათვის მე არ მჭირდება შენი ხელები, უშენოდაც შემძლია სიარული. შენც მოდიხარ, ფერნანდ? ჩვენთან ერთად ბრუნდები მარსელში?

— არა, — უპასუხა ფერნანდმა, — მე კატალანში მივდივარ.

— ძალიანაც აშავებ, წამოდი ჩვენთან ერთად მარსელში.

— არავითარი საქმე არ მაქვს მარსელში და ამიტომაც არ მინდა იქ წამოსვლა.

— როგორა თქვი? არ გინდა, ჩემო კარგო? იყოს ნება შენი. ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცეს. წავიდე, დანგლარ, დაე, ფერნანდი კატალანში წავიდეს, რაკი მისი სურვილი ასეთია.

დანგლარმა ისარგებლა კადრუსის ამ სულიერი განწყობილებით, რათა იგი მარსელის მიმართულებით წაეყვანა, მაგრამ რაკი ფერნანდისათვის მოკლე და ადვილი გზის დათმობა უნდოდა, რიენევის სანაპიროს ნაცვლად სენტ-ვიქტორის კარისაკენ აიღო გეზი.

დანგლარის ხელებზე ჩამოკიდებული კადრუსი ბარბაცით მიჰყვებოდა მას.

ოციოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ დანგლარი უკან შემობრუნდა; მან დაინახა, როგორ მივარდა ფერნანდი კუთხეში დაგდებულ ქალაქს და ჯიბეში ჩაიღო, შემდეგ სწრაფად გამოვარდა ტალავერიდან და პირი ქალაქისაკენ იბრუნა.

— შეხედე, რა ჰქნა! — თქვა კადრუსმა: — მან ჩვენ მოგვატყუა; გვითხრა, კატალანში მივდივარო და ქალაქისკენ კი გარბის. ჰეი, ფერნანდ, გზა აგერია, ყმაწვილო.

— შენ გეჩვენება ყველაფერი არეულ-დარეულად, — უთხრა დანგლარმა: — ის პირდაპირ «ძველ საავადმყოფოს» გზას მიჰყვება.

— მართლა? — უთხრა კადრუსმა, — მე კი დავიფიცებდი, რომ მარჯვნივ გადაუხვია... მართლაც რომ ვერაგია ღვინო.

— წავიდე, წავიდე, — ჩაიჩურჩულა დანგლარმა, — მე ვფიქრობ, საქმე აეწყო და იგი უკვე თავისთავად წავა.

V

ნიშნობა

მეორე დღეს მშვენიერი დილა გათენდა. ცის ტატნობზე ამობრწყინდა მზე და მისმა მეწამული ფერის სხივებმა აქაფებული ტალღების ქოჩორი მარგალიტებივით ააელვარა.

სუფრა გაეწყო «რეზერვში», სწორედ იმ რესტორნის მეორე სართულზე, რომლის ტალავერსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ. ეს იყო ექვსფანჯრიანი დიდი, ნათელი დარბაზი. თითოეულ ფანჯარაზე, ღმერთმა უწყის რისთვის, ეწერა საფრანგეთის ერთ-ერთი დიდი ქალაქის სახელი.

ამ ფანჯრებს მთელ სიგრძეზე გასდევდა აივანი. ისევე როგორც მთელი შენობა, ისიც ხისა იყო.

თუმცა წვეულება შუადღისათვის ჰქონდათ დანიშნული, მაგრამ უკვე თერთმეტი საათიდან ამ აივანზე დასეირნობდნენ სულწასული სტუმრები. ესენი იყვნენ «ფარაონის» პრივილეგიური მეზღვაურები და დანტესის მეგობარი ჯარისკაცები. დანიშნულების პატივსაცემად ამ დღეს ისინი საგანგებოდ გამოწყობილიყვნენ.

სტუმრებს შორის ხმა დარხეულიყო, რომ «ფარაონის» პატრონებს ქორწილზე დასწრებით პატივი უნდა ეცათ კაპიტნის თანაშემწისათვის. მაგრამ მათ მხრივ ეს ისეთი დიდი პატივი იყო დანტესის მიმართ, რომ ვერავის ვერ დაეჯერებინა.

კადრუსთან ერთად მოსულმა დანგლარმა სარწმუნოდ გახადა ეს ამბავი; მას დილით ენახა ბატონი მორელი, რომელსაც თვითონ ეთქვა, «რეზერვში» მოვალ სადილზეო.

მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ მორელმა დარბაზში ფეხი შემოდგა. «ფარაონის» მეზღვაურები მას ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით მიესალმნენ. ბატონი მორელის ქორწილზე დასწრება მათთვის დამამტკიცებელი იყო უკვე გავრცელებული ხმისა, რომ დანტესს «ფარაონის» კაპიტნად ნიშნავდნენ, და რადგან დანტესი ამ მამაც ადამიანებს ძალიან უყვარდათ, მადლობას უხდიდნენ გემის პატრონს, რომ შემთხვევით, ერთხელ მაინც მისი არჩევანი მათ სურვილს დაემთხვა. ის იყო შემოვიდა ბატონი მორელი, რომ სტუმრების ერთსულოვანი სურვილის თანახმად, დანგლარი და კადრუსი სასიძოსთან აფრინეს. მათ დაევაღათ ეცნობებინათ დანტესისათვის გემის პატრონის მობრძანება, რამაც ასეთი აღფრთოვანება გამოიწვია, და ეთქვათ მისთვის, რომ აჩქარებულიყო.

დანგლარი და კადრუსი სირბილით დაემზენ, მაგრამ ასიოდე ნაბიჯიც კი არ ჰქონდათ გავლილი, რომ მათკენ მომავალი სასიძო, საპატარძლო და მათი მცირე მყარიონი დაინახეს.

მერსედესს მოჰყვებოდა ოთხი მისი მეგობარი კატალანელი ქალიშვილი, თვით მერსედესი მკლავგაყრილი მოჰყავდა დანტესს, დანტესის მამაც საპატარძლოს გვერდით მოდიოდა, ხოლო მათ უკან მოსდევდათ ფერნანდი, რომელსაც სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

ვერც მერსედესი და ვერც დანტესი ვერ ამჩნევდნენ ფერნანდს ამ ბოროტ ღიმილს: საწყალი ბავშვები, ისე ბედნიერები იყვნენ, რომ ერთმანეთის და მოწმენდილი ცის გარდა, რომელიც ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა მათ, ვერაფერს ხედავდნენ.

დანგლარმა და კადრუსმა შეასრულეს თავიანთი მისია, როგორც ელჩებმა, შემდეგ ორივემ ედმონდს მაგრად და მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და მყარიონში გაერივნენ. დანგლარმა ფერნანდის გვერდით დაიჭირა ადგილი, ხოლო კადრუსი დანტესის მამას ამოუდგა, რათა საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფილიყო.

მოხუცს ამ დღეს თავისი საუკეთესო აბრეშუმის ტანისამოსი ჩაეცვა, ფართო წახნაგოვანი ფოლადის დილეებით. გამხდარი, მაგრამ კუნთებიანი ფეხები ლამაზად მოჩანდა მშვენიერ დაწინწკლულ წინდებში, რომლებსაც ერთი ლიეს სიშორიდან შეამჩნევდით, რომ ინგლისური კონტრაბანდა იყო. სამკუთხა ქუდზე ეკიდა მთელი კონა თეთრი და ცისფერი ბაფთებისა. მოხუცი ებჯინებოდა დაგრეხილ ჯოხს, რომელსაც თავი ანტიკურ კვერთხივით ჰქონდა მოკაუჭებული. ერთი სიტყვით, ის არაფრით არ განირჩეოდა იმ ფრანტებისაგან, რომელნიც 1796 წელს გამოჩნდნენ ლუქსემბურგისა და ტიულიერის სასახლეების ხელახლად გახსნილ ბაღებში¹. (¹ რობესპიერის დამარცხებისა და თერმიდორული რეაქციის დაწყების შემდეგ პარიზის ბულვარებსა და ბაღებში გამოეფინა შეძლებული ბურჟუაზიის წრეებიდან გამოსული ახალგაზრდობა, მოდაზე გამოწყობილი დარდიმანდები, რომელნიც მანამდე, რევოლუციური ტერორის ეპოქაში, ღარიბულად იცვამდნენ და ცდილობდნენ შეუმჩნევლად ეცხოვრათ.)

მის გვერდით, როგორც უკვე ვთქვით, მოდიოდა კადრუსი, რომელიც კარგი სადილის იმედმა საბოლოოდ შეარიგა დანტესთან. მას გონებაში ბუნდოვნად ჩარჩენოდა ის, რაც წინაღამეს მოხდა, ისე როგორც დილით ახლადგამოღვიძებულ ადამიანს მეხსიერებაში რჩება მოგონებები ძილში ნანახი სიზმრისა.

დანგლარი მიუახლოვდა ფერნანდს, განაწყენებულ მიჯნურს დაკვირვებით ჩახედა სახეში. სასიძო-საპატარძლოს უკან მიმავალი კატალანელი, სრულიად მივიწყებული

სიყვარულით მოხიბლული მერსედესის მიერ, რომელიც თავისი ედმონდის გარდა ვერავის ხედავდა, — სიბრაზისაგან ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. დროდადრო მარსელის მიმართულებით იცქირებოდა, რაც მასში ნერვიულ კანკალს იწვევდა. ფერნანდი თითქოს ვიღაცას ელოდა, ან ყოველ შემთხვევაში, რაღაც დიდ ამბავს გრძნობდა წინასწარ.

დანტესს უბრალოდ ეცვა: რადგან იგი სავაჭრო გემს ეკუთვნოდა, მისი ტანისამოსი რაღაც სამხედრო და სამოქალაქო ფორმის ნარევს წარმოადგენდა. და აი, ამგვარ ტანისამოსში მისი ლამაზი სახე, რომელიც სიხარულს კიდევ უფრო მეტად გაებრწყინებინა, არაჩვეულებრივი სანახავი იყო.

კვიპროსის ან ხიოსის ბერძენი ქალივით შავთვალეზა და მარჯნისფერტუჩებიანი მერსედესი ნამდვილი მშვენიერა იყო. ის ლალი ნაბიჯით მიდიოდა, ისე, როგორც სჩვევიათ არლელ და ანდალუზელ ქალებს. ქალაქელ ქალიშვილს შეიძლება ეცადა გულში დაემალა თავისი სიხარული, ან ყოველ შემთხვევაში, მორცხვად დაეხარა წამწამები, მერსედესი კი, პირიქით, იღიმებოდა და ყველას, ვინც გარშემო ეხვია, პირდაპირ შეჰყურებდა. მისი ღიმილი, მისი მზერა ისევე გულახდილად მეტყველებდნენ, როგორც ბაგეები, რომლებსაც შეეძლოთ ეთქვათ: — თუ თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, იმხიარულეთ ჩემთან ერთად, რადგან მე მართლაც რომ ძალიან ბედნიერი ვარო.

როდესაც სასიძო-საპატარძლო და მაცრიონი «რეზერვს» მიუახლოვდნენ, ბატონი მორელი მათ შესახვედრად გამოემშურა. მას უკან მოსდევდნენ მეზღვაურები და ჯარისკაცები, რომლებსაც გაუმეორა დანტესისათვის მიცემული პირობა, რომ კაპიტან ლეკლერის მაგივრად დანიშნავდა. ედმონდმა ბატონ მორელის დანახვისთანავე მერსედესს ხელი გაუშვა და მისი მკლავი მას დაუთმო. გემის პატრონმა და ქალიშვილმა მაგალითი მისცეს სტუმრებს, მათ პირველებმა შედგეს ფეხი სასადილოში ამავალი ხის კიბის საფეხურებზე, რომლებსაც ხუთი წუთის განმავლობაში გაჰქონდა ჭრიალი სტუმრების მძიმე ნაბიჯების ქვეშ.

— მამაჩემო, — თქვა მერსედესმა, რომელიც შუა მაგიდასთან გაჩერდა, — გთხოვთ მარჯვენა მხარე დამიმშვენოთ, ხოლო მარცხნივ მე ჩემს ძმობილს დავისვამ. — ეს მეტისმეტი სინაზით ნათქვამი სიტყვები ფერნანდს გულში ხანჯალივით ჩაესო. ტუჩები გაულურჯდა და ადვილად შეამჩნევდით, როგორ უკუიქცა მზისგან დამწვარი ვაჟკაცური სახიდან სისხლი, რათა კვლავ გულს მოსწოლოდა.

დანტესიც ასეთივე საქმეში იყო გართული: მარჯვენა მხარეს მან ბატონი მორელი დაისვა, ხოლო მარცხნივ — დანგლარი, შემდეგ კი სტუმრებს ხელით ანიშნა, სურვილისამებრ დამსხდარიყვნენ.

მაგიდაზე ხელიდან ხელში გადადიოდა შეწითლებული და ბოლში გამოყვანილი არლის ძეხვები, ლანგუსტები, თვალისმომჭრელი ვენერკები მოვარდისფრო ნიჟარებით, ზღვის ექინები, რომლებიც თავიანთი ბურბულით წაბლს მოგაგონებდნენ, კლოვისები, რომელთაც სამხრეთის გასტრონომები ჩრდილოეთის ხამანწკებს ამჯობინებენ. ერთი სიტყვით, აქ ნახავდით პირის ყველა იმ ჩასატკბარუნებელს, რასაც ტალღები ქვიშიან ნაპირზე მოაგორებენ და რასაც მადლიერი მეთევზეები საერთო სახელს: «ზღვის ნაყოფს» უწოდებენ.

— რა სიჩუმეა, — თქვა მოხუცმა დანტესმა და გადაჰკრა ქარვასავით ყვითელი ღვინო, რომელიც ძია პამფილიომ ჭიქით თვითონ მიუტანა მერსედესს და წინ დაუდგა: — განა ვინმე იფიქრებს, რომ ეს ოცდაათი კაცი, მაგიდას რომ შემოსხდომია, სიცილისა და მხიარულებისათვის მოსულა?

— ქმარი ყოველთვის მხიარული როდია, — თქვა კადრუსმა.

— მართლაც, — გამოეპასუხა ედმონდი, — მე მეტისმეტად ბედნიერი ვარ, რომ მხიარული ვიყო. თქვენ თუ ამის თქმა გსურდათ, მეზობელო, მართალი ბრძანდებით, სიხარული ზოგჯერ უცნაურად მოქმედებს ადამიანზე, იგი ისევე გიხუთავს სულს, როგორც მწუხარება.

დანგლარმა შეხედა ფერნანდს, რომლის სახეზე სულიერი მღელვარება იხატებოდა.

— ეგ როგორ, განა თქვენ რაიმესი გეშინიათ? — ჰკითხა კადრუსმა, — მე კი, პირიქით, მგონია, ყველაფერი მხოლოდ თქვენი სურვილისამებრ სრულდება.

— და აი, სწორედ მეც ეს მაშინებს, — უპასუხა დანტესმა, — ჩემი ფიქრით, ადამიანი იმისათვის როდია გაჩენილი, რომ ბედნიერებას ასე ადვილად მიაღწიოს! ბედნიერება ჰგავს კუნძულებზე ამენებულ სასახლეებს, რომლებსაც კარებთან მცველებად დრაკონები უდგანან. უნდა დაამარცხო ისინი, რათა დაეუფლო სასახლეებს, მე კი, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რითი დავიმსახურე ის ბედნიერება, რომ მერსედესის ქმარი ვიყო.

— ქმარი, ქმარი, — თქვა სიცილით კადრუსმა, — ჯერ კიდევ არა, ჩემო კაპიტანო; შეეცადე ქმარი გახდე და ნახავ, როგორ მიგიღებენ!

მერსედესი გაწითლდა.

ფერნანდი სკამზე ტრიალებდა, სულ მცირე ხმაურზე კრთოდა და დროდადრო შუბლიდან იწმენდდა ოფლს, რომელიც თითქოს ქარიშხლიანი წვიმის მომასწავებელი პირველი წვეთები იყო.

— სიმართლე რომ თქვას კაცმა, მეზობელო კადრუს, — უთხრა მას ედმონდმა, — დიდი ცოდვა არ იქნებოდა ასეთი პატარა შეცდომა; მერსედესი ჯერ კიდევ არ არის ჩემი ცოლი, ეს მართალია... — მან ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და დასძინა: — მაგრამ ერთ საათში უკვე გახდება.

გაკვირვებისაგან ყველამ შეჰკვივლა, გარდა მოხუცი დანტესისა, რომელმაც გულიანად გადაიხარხარა და ჯერ კიდევ ლამაზად ჩამწკრივებული კბილები გამოაჩინა. მერსედესს გაელიმა, მაგრამ ამჯერად აღარ გაწითლებულა. ფერნანდმა ნერვიულად სტაცა ხელი დანის ტარს.

— ერთი საათის შემდეგ, — თქვა დანგლარმა და ისიც გაფითრდა. — მერე და როგორ?

— დიახ, ჩემო მეგობრებო, ბატონი მორელის დახმარებით, ადამიანის, რომლისაგანაც მამაჩემის შემდეგ ყველაზე მეტად ვარ დავალებული, ყოველგვარი წინააღმდეგობა გადალახულია. ჩვენ შევიტანეთ ფულადი გადასახადი და სამის ნახევარზე მარსელის მერი რატუშაში გველოდება. უკვე ორის თხუთმეტი წუთია; დიდ შეცდომას არ დავუშვებ, თუ ვიტყვი, რომ მერსედესს საათ-ნახევარში ქალბატონ დანტესს დაუძახებენ.

ფერნანდმა თვალები დახუჭა, თითქოს ცეცხლოვანმა ბურუსმა ქუთუთოები ამოსწვა; მაგიდას დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო და, მიუხედავად იმისა, რაც შეეძლო თავს ძალას ატანდა, ვერ შეიკავა ოხვრა, რაც საერთო მხიარულებამ, სიცილმა და სადღეგრძელოებმა დაფარა.

— აი, ეს მესმის, საქმეც ამასა ჰქვია, — თქვა მოხუცმა დანტესმა, — ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი წუთი უქმად არ დაჰკარგო. გუშინ დილას ჩამოვიდა და დღეს სამ საათზე უკვე ცოლიანი იქნება. ამის მოხერხება მხოლოდ მეზღვაურებს შეუძლიათ.

— მაგრამ სხვა დანარჩენი ფორმალური მხარეები? — იკითხა მორიდებულად დანგლარმა,

— კონტრაქტი? საბუთების გაფორმება? — კონტრაქტი! — თქვა სიცილით დანტესმა, — კონტრაქტი მზადაა. არც მერსედესს გააჩნია რამე, არც მე! ასე რომ მის შედგენას დიდი დრო არ მოუწდება და არც ბევრ ფულს გამოგვართმევენ.

ამ ხუმრობამ ხელახალი სიცილ-ხარხარი და ტაშისცემა გამოიწვია.

— მაშ, ჩვენ დღეს ქორწილს ვესწრებით და არა ნიშნობას?

— არა, არა, — შეაწყვეტინა დანტესმა, — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — თქვენ არაფერს დაკარგავთ. ხვალ დილას მე პარიზში მივდივარ, ოთხი დღე აქედან დამჭირდება, ოთხი იქიდან, ერთი დღეც ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. პირველ მარტს უკვე აქ ვიქნები, ორში კი ნამდვილი საქორწილო წვეულება გვექნება.

ახალი ნადიმის იმედმა საერთო მხიარულება იმდენად გააორკეცა, რომ მოხუცი დანტესი, რომელიც დასაწყისში დუმილს უჩიოდა, ახლა ამაოდ ცდილობდა, ამ ხმაურში როგორმე მომავალი ცოლ-ქმრის სადღეგრძელო წარმოეთქვა.

დანტესმა იგრძნო, რას ფიქრობდა მამამისი და სიყვარულით სავსე ღიმილით გამოეპასუხა. მერსედესმა შეხედა კედლის საათს და ედმონდს თავი ოდნავ დაუქნია.

მაგიდის გარშემო ისეთი მხიარულება და თავისუფლება იყო, რაც მდაბიო ხალხისათვის ნადიმის დასასრულის დამახასიათებელია. ვინც თავისი ადგილით უკმაყოფილო იყო, მაგიდიდან წამოდგა და სხვა, უკეთესი მეზობელი გამოძებნა. ყველა ერთად ლაპარაკობდა, არავინ პასუხობდა კითხვებზე, თითოეული თავის ფიქრებში იყო გართული.

ფერნანდის სიფერმკრთალე თითქოს დანგლარსაც გადასდებოდა, რაც შეეხება თვით კატალანელს, ძლივს ითქვამდა სულს და ცეცხლის ტბაში ჩაყრავებულ ცოდვილსა ჰგავდა. სუფრიდან ის ერთ-ერთი პირველი წამოდგა; დარბაზში სიარული დაიწყო, ცდილობდა, როგორმე არ გაეგონა სიმღერებითა და ჭიქების ჭახაჭუხით გამოწვეული ხმაური.

კადრუსი ფერნანდს მიუახლოვდა, იმ წუთშივე მათთან გაჩნდა დანგლარი, რომელსაც თითქოს გაურბოდა კატალანელი ვაჟკაცი.

— რაც მართალია, მართალია, — თქვა კადრუსმა, რომელსაც დანტესის ხელგამლილობამ, ხოლო განსაკუთრებით ძია პამფილიოს კარგმა ღვინომ საბოლოოდ ჩაუქრო დანტესის მოულოდნელი ბედნიერებით მის გულში ანთებული შურის ნაპერწკალი. — დანტესი დიდებული ყმაწვილია, და როდესაც თავის საცოლეს გვერდით ვხედავ, ჩემს თავს ვეუბნები: საწყენი იქნებოდა, სისრულეში მოგეყვანათ ის საძაგელი ხუმრობა, რომელიც გუშინ მოიფიქრეთ.

— შენ თვითონ ხომ დაინახე, რომ ამ საქმისათვის მსვლელობა არ მიგვიცია, — უთხრა დანგლარმა, — საწყალი ფერნანდი ისეთი სასოწარკვეთილი იყო, რომ პირველად შემეცოდა, მაგრამ რახან თავისი თავი დასძლია და დათანხმდა, პირველი მაყარი ყოფილიყო თავისი მეტოქის ქორწილში, მე რაღა მაქვს სათქმელი.

კადრუსმა შეხედა ფერნანდს, მას მიწის ფერი დასდებოდა.

— მსხვერპლი მით უფრო დიდია, რომ საპატარძლო მართლა მზეთუნახავია, — განაგრძო დანგლარმა, — ეშმაკმა დალაზვროს, ჩემი მომავალი კაპიტანი ბედნიერი კაცია, მე ვისურვებდი, ერთი დღით მაინც მრქმეოდა ედმონდ დანტესი.

— წავიდეთ, — სთხოვა მერსედესმა ედმონდს, — საათმა უკვე ორი დაჰკრა, ჩვენ კი სამის თხუთმეტზე გველოდებიან.

— დიახ, დიახ, წავიდეთ, — უთხრა ედმონდმა და სწრაფად წამოდგა.

სწორედ იმ წამსვე დანგლარმა, რომელიც მხედველობიდან არ კარგავდა ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ფერნანდს, დაინახა, როგორ გადმოკარკლა მან თვალები, წამოხტა და მოწყვეტილად ისევ რაფაზე დაეხეთქა. თითქმის იმავე წუთში კიბიდან ყრუ ხმაური მოისმა; სტუმრების მხიარული გუგუნის დაახლო მძიმე ფეხის ნაბიჯების ბრახუნმა და იარაღის ჟღარუნმა. ამ ხმაურმა მიიპყრო ყველას ყურადღება და სტუმრებს შორის შემადრწუნებელმა სიჩუმემ დაისადგურა.

ხმაური ახლოვდებოდა, კარებზე სამჯერ დააკაკუნეს.

— კანონის ძალით, — დაიძახა ვიღაცამ გარედან ძლიერი ხმით, რომელსაც პასუხი არავინ გასცა.

მაშინვე კარები გაიღო და დარბაზში შემოვიდა წელზე შარფშემოხვეული კომისარი; მას უკან მოსდევდა ოთხი შეიარაღებული ჯარისკაცი კაპრალის წინამძღოლობით.

შემფოთება შიშმა შეცვალა.

— რა მოხდა? — იკითხა გემის პატრონმა და მიუახლოვდა კომისარს, რომელიც მისი ნაცნობი აღმოჩნდა, — უეჭველია, აქ რაღაცა გაუგებრობაა.

— თუ ეს გაუგებრობაა, ბატონო მორელ, — უპასუხა კომისარმა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე გამოირკვევა; მანამდე მე დაპატიმრების ბრძანება მაქვს და, თუმცა ძალიან ვწუხვარ. მაგრამ მაინც უნდა შევასრულო ეს ბრძანება. რომელია თქვენში ედმონდ დანტესი?

ყველამ ედმონდ დანტესს შეხედა; იგი მეტისმეტად აღელვებული ჩანდა, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად ეჭირა.

— მე გახლავართ, ბატონო, რა გნებავთ ჩემგან, — თქვა მან და წინ წამოიწია.

— ედმონდ დანტეს, — დაიწყო ისევ კომისარმა, — კანონის ძალით მე თქვენ გაპატიმრებთ.

— მე თქვენ მაპატიმრებთ? მერე და რისთვის მაპატიმრებთ? — ჰკითხა ედმონდმა და ფერი ოდნავ ეცვალა.

— არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, პირველივე დაკითხვა ყველაფერში გაგარკვევთ.

მორელი მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა: წელზე შარფშემორტყმული კომისარი — ეს უკვე ადამიანი აღარ არის, ეს კანონის ქანდაკებაა — ცივი, ყრუ, მუნჯი.

მოხუცი დანტესი კი, პირიქით, კომისარს მივარდა; არის ისეთი რამ, რომელსაც დედის ან მამის გული ვერასოდეს ვერ გაიგებს.

ის სთხოვდა, ემუდარებოდა; ცრემლებმა და თხოვნამ არ გაჭრა. თუმცა მისი სასოწარკვეთილება იმდენად დიდი იყო, რომ კომისარმაც იგრძნო სიბრალეული.

— დამშვიდდით, ბატონო, — უთხრა მან, — შესაძლოა თქვენმა შვილმა არ შეასრულა საკარანტინო ან საბაჟო განკარგულება და, როდესაც სათანადო ახსნა-განმარტებას მისცემს, მაშინვე გაათავისუფლებენ.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ჰკითხა კადრუსმა წარბების შექმუხვით დანგლარს, რომელიც თავს ისე იჭერდა, თითქოს ძალიან უკვირდა მომხდარი ამბავი.

— მეც არ ვიცი, — უპასუხა დანგლარმა, — მეც ისეთივე მდგომარეობაში ვიმყოფები, როგორც შენ. ვხედავ, რაც ხდება, მაგრამ არაფერი მესმის და განცვიფრებული ვარ.

კადრუსი თვალებით ეძებდა ფერნანდს, მაგრამ ის უკვე სადღაც გამქრალიყო.

მაშინ კადრუსს წინა დღის სცენა საშინელი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ. კაცი იფიქრებდა, დანტესის დაპატიმრების ამბავმა მის გონებას ახადა საბურველი, რომელიც გუშინდელ სიმთვრალეს გადაეფარებინა.

— ეს ხომ იმ ხუმრობის შედეგი არ არის, რომელზედაც გუშინ ლაპარაკობდით, — თქვა მან ჩახლეჩილი ხმით: — ასეთ შემთხვევაში ვაი მას, ვინც ეს მოაწყო. იგი მეტად სამწუხაროა და სამხიარულოს ვერაფერსა ვხედავ.

— არავითარ შემთხვევაში! — შეჰყვირა დანგლარმა, — შენ კარგად იცი, რომ მე ის ქალაქი დავხიე.

— არ დაგიხევია, მხოლოდ დაჭმუჭნე და კუთხეში გადაისროლე.

— გაჩუმდი, არაფერი არ დაგინახავს, შენ მთვრალი იყავი.

— ფერნანდი სად არის? — იკითხა კადრუსმა.

— რა ვიცი, — უპასუხა დანგლარმა, — ალბათ, თავის საქმეებზეა წასული. თავი გავანებოთ ამ საუბარს, წამოდი, იმ გაუბედურებულ მოხუცს მივხედოთ.

დანტესს ამ ხნის განმავლობაში უკვე მოესწრო ღიმილით გამომშვიდობებოდა მეგობრებს და ჯარისკაცებს შემდეგი სიტყვებით ჩაბარდა:

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შეცდომა გამოირკვევა და მე, ალბათ, ციხის კარებამდე არც კი დამჭირდება მისვლა.

— ოჰ, რასაკვირველია, მე შემიძლია ამის თავდებად დავდგე, — უთხრა დანგლარმა, რომელიც სწორედ ამ დროს მიუახლოვდა.

დანტესი კიბის საფეხურებს ჩაჰყვა, მას წინ კომისარი მიუძღოდა, ხოლო ჯარისკაცები გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ. კარებთან დახურული ეტლი ელოდა გამოღებული კარით. დანტესი შიგ ჩაჯდა, მას უკან მიჰყვა კომისარი და ორი ჯარისკაცი. კარები მიიხურა და ეტლი მარსელისაკენ გაუდგა გზას.

— მშვიდობით, დანტეს, მშვიდობით, ედმონდ! — შეჰყვირა მერსედესმა, რომელიც აივანზე გამოვარდა.

პატიმარმა გაიგონა საცოლის განგმირული გულიდან ქვითინივით ამოხეთქილი უკანასკნელი შემახილი, ფანჯრიდან თავი გამოყო, — მშვიდობით, მერსედეს, უპასუხა მას და ეტლი წმინდა ნიკოლას ფორტს მოეფარა.

— დამიცადეთ აქ, — თქვა ბატონმა მორელმა, — მე პირველსავე ეტლში ჩავჯდები, მარსელისაკენ გავეწევ და ახალი ამბებით დავბრუნდები.

— წადით, წადით, — შესძახეს ერთხმად, — და ჩქარა დაბრუნდით. — ამის შემდეგ დარჩენილებს შორის მცირე ხანს საზარელმა სიჩუმემ დაისადგურა.

მოხუცი დანტესი და მერსედესი კარგა ხანს იდგნენ ცალ-ცალკე, ერთმანეთის მოშორებით, თითოეული მათგანი თავის უბედურებაზე ფიქრობდა. ბოლოს და ბოლოს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ორივემ იგრძნო, რომ ისინი მსხვერპლნი იყვნენ ერთი და იმავე უბედურებისა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა ფერნანდი, მაგიდას მიუახლოვდა, ჭიქა წყლით აავსო, გადაჰკრა და სკამზე ჩამოჯდა.

შემთხვევით მის გვერდით მდგომ სკამზე მოხუცის მკლავებიდან მოწყვეტილი მერსედესი დაეშვა.

ფერნანდმა თავისი სკამი უნებურად გასწია.

— ის არის, — უთხრა დანგლარს კადრუსმა, რომელიც თვალს არ აცილებდა კატალანელს.

— არა მგონია. — თქვა დანგლარმა, — ის საკმაოდ ყვეყია. ყოველ შემთხვევაში, ცოდვა მას ადევს კისერზე, ვინც ეს ჩაიდინა.

— შენ გავიწყდება ის, ვინც მას რჩევა მისცა, — უთხრა კადრუსმა.

— ერთი შენც, — უპასუხა დანგლარმა, — ყოველი ანაზდეულად წამოსროლილი სიტყვისათვის კაცს რომ მოუხდეს პასუხისგება, სად წავიდოდა.

— უნდა პასუხი აგო მაშინ, როდესაც ანაზდეულად წამოსროლილი სიტყვები სხვას ჭკუაში უჯდება.

ამ ხნის განმავლობაში სტუმრებმა რას არ მიაწერეს დანტესის დაპატიმრება.

— თქვენ რას ფიქრობთ, დანგლარ? — ჰკითხა მას ერთმა მათგანმა.

— მე ვფიქრობ, რომ მან რაიმე აკრძალული საქონელი შემოიტანა, — უპასუხა დანგლარმა.

— ეს თუ ასეა, დანგლარ, თქვენ, როგორც მონაგარიშეს, უნდა გცოდნოდეთ ამის შესახებ.

— დიახ, რასაკვირველია, მაგრამ მონაგარიშემ იცის ის, რასაც მას წარუდგენენ. მე ვიცი, რომ წამოვიღეთ ბამბა, ეს არის და ეს, რომ ჩვენი გემი გადავტვირთეთ

ალექსანდრიაში ბატონ პასტრესთან და სმირნაში ბატონ პასკალთან. სხვას ნურაფერს მკითხავთ.

— ოჰ, ახლა მაგონდება, — ჩაილულულა საწყალმა მამამ, რომელიც ამ უკანასკნელ იმედს ჩაებლაუჭა, — გუშინ მეუბნებოდა, ერთი ყუთი კაკაო და ერთი ყუთი თამბაქო ჩამოვიტანო.

— ხედავთ, — თქვა დანგლარმა, — სწორედ ასეა. ჩვენს იქ არყოფნაში საბაჟო მოხელეებმა, ალბათ, გასინჯეს «ფარაონი» და იპოვეს კონტრაბანდა.

მერსედესს არ სჯეროდა ყოველივე ეს. დიდხანს შეკავებულმა მწუხარებამ უცებ იფეთქა და ქალი აქვითინდა.

— კარგი, კარგი, იმედი ვიქონიოთ, — თქვა მოხუცმა ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა.

— იმედი ვიქონიოთ, — გაიმეორა დანგლარმა.

— იმედი ვიქონიოთ, — უნდოდა ეთქვა ფერნანდს, მაგრამ სიტყვები ყელშივე ჩაუწყდა და მხოლოდ ტუჩები აამოძრავა უხმოდ.

— ბატონებო, — დაიყვირა ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელიც აივანზე დარაჯობდა. — ბატონებო, ეტლი! ეს ბატონი მორელია, გამხნევდით, გამხნევდით, უეჭველია, კარგ ამბავს მოგვიტანს.

მერსედესი და მოხუცი დანტესი მორელის შესახვედრად გაიქცნენ. ისინი ერთმანეთს კარებში შეეჯახნენ. მორელი მეტისმეტად გაფითრებული იყო.

— როგორ არის საქმე? — შეჰყვირეს მათ ერთხმად.

— ჩემო მეგობრებო, — უპასუხა მორელმა და თავი დახარა. — საქმე გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე გვეგონა.

— ოჰ, ბატონო მორელ, — შესძახა მერსედესმა, — ის უდანაშაულოა.

— მე ამაში დარწმუნებული ვარ, — უპასუხა მორელმა, — მაგრამ მას ბრალს სდებენ.

— მაინც რაში? — ჰკითხა მოხუცმა დანტესმა.

— რომ ის ბონაპარტისტების ჯაშუშია.

ჩემი მკითხველები, რომლებსაც უცხოვრიათ იმ ეპოქაში, როცა ეს ამბავი ხდებოდა, მოიგონებენ, თუ როგორი საშინელი ბრალდება იყო ეს.

მერსედესმა შეჰკვივლა, მოხუცი სკამზე დაეცა.

— ოჰ, — წაიჩურჩულა კადრუსმა, — თქვენ მომატყუეთ და ხუმრობა აასრულეთ, მაგრამ მე არ მინდა, რომ ეს მოხუცი და ყმაწვილი ქალი დარდით დაიხოცნენ, მე მათ ყველაფერს ვეტყვი.

— გაჩუმდი, უბედურო! — შეჰყვირა დანგლარმა და ხელი წაავლო, — გაჩუმდი, თორემ თავს ვეღარ შევიკავებ. მერე და ვინ გითხრა, რომ დანტესი ნამდვილად დამნაშავე არაა. გემი რომ მიადგა კუნძულ ელზას, დანტესი ნაპირზე გადმოვიდა და მთელი დღე პორტო-ფერაიოში გაატარა. რაიმე მამხილებელი წერილი რომ უპოვონ, მაშინ ყველას, ვინც მის დამცველად გამოვა, ბრალს დასდებენ თანამონაწილეობაში.

კადრუსი ეგოიზმის დამახასიათებელმა ინსტინქტმა მყისვე მიახვედრა, რომ დანგლარის სიტყვები საფუძველს მოკლებული არ იყო. მან აზნეული თვალებით შეხედა და იმის მაგივრად, რომ ერთი ნაბიჯი წინ გადაედგა, ორით უკან დაიხია.

— მაშ, დავიცადოთ, — ჩაილაპარაკა მან.

— დიახ, დავიცადოთ, — უთხრა დანგლარმა, — თუ ის დამნაშავე არაა, გამოუშვებენ, ხოლო თუ დამნაშავეა, განა ღირს შეთქმულების მონაწილის გულისათვის თავი საფრთხეში ჩაიგდო.

— რაკი ასეა, წავიდეთ, მე აღარ შემიძლია აქ გაჩერება.

— დიახ, წავიდეთ, — უთხრა დანგლარმა, გახარებულმა იმით, რომ უკან დასახევად თანამგზავრი იპოვა, — წავიდეთ და ამათ თავი გავანებოთ; დეე, ამ საქმეს თავი ისე დააღწიონ, როგორც შეუძლიათ.

ყველანი დაიშალნენ. ფერნანდმა, რომელიც ისევ ერთადერთი იმედი გახდა მერსედესისათვის, ხელი მოჰკიდა და კატალანში წაიყვანა. დანტესის მეგობრებმა, თავიანთ მხრივ, თითქმის გულწასული მოხუცი სახლში მიიყვანეს.

მალე მთელ ქალაქს მოედო ხმა, რომ დანტესი დააპატიმრეს, როგორც ბონაპარტისტების ჯაშუში.

— ვინ წარმოიდგენდა ამას, დანგლარ? — უთხრა თავის მოანგარიშეს მორელმა, რომელსაც ქალაქში მიეჩქარებოდა, რათა მეფის პროკურორის თანაშემწის, ბატონ ვილფორის ნაცნობების დახმარებით დანტესის შესახებ ახალი ამბავი გაეგო და გზაში კადრუსსა და დანგლარს დაეწია, — ვინ წარმოიდგენდა?

— ეჰ, ბატონო, — უპასუხა დანგლარმა, — მე ხომ უკვე მოგახსენეთ, რომ დანტესმა სრულიად უმიზეზოდ გემი კუნძულ ელბას მიაყენა და ეს შეჩერება მე საეჭვოდ მეჩვენა-მეთქი.

— ჩემს გარდა სხვას ხომ არავის გაუზიარეთ თქვენი ეჭვები?

— არა, ბატონო, გულში ჩავიმარხე, — დაუმატა დანგლარმა ხმადაბლა, — განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ თქვენი ბიძის — პოლიკარ მორელის გამო, რომელიც ბონაპარტისტებთან მსახურობდა და რომელიც არც მალავს თავის აზრებს, თქვენზეც ეჭვი აქვთ, თითქოს ნაპოლეონი გებრალეზობდეთ. მე შემეშინდა, ცუდი არაფერი შემემთახვია ჯერ ედმონდისა და მერე თქვენთვის. არის საგნები, რომელთა შესახებ ხელქვეითები ვალდებულნი არიან, აცნობონ მხოლოდ თავიანთ უფროსებს, ხოლო სხვებს მტკიცედ დაუმალონ.

— მართალი ხართ, დანგლარ, მართალი, თქვენ ჩინებული ყმაწვილი ბრძანდებით. მე თქვენ მხედველობაში მყავდით იმ შემთხვევაში, თუ ის საწყალი დანტესი «ფარაონის» კაპიტანი გახდებოდა.

— როგორ?

— დიახ, მე წინასწარ ვკითხე დანტესს, რას ფიქრობდა ის თქვენს შესახებ, თანახმა იყო თუ არა, დაეტოვებინეთ ძველ ადგილზე, რადგან, მეც არ ვიცი, რატომ, მეგონა, რომ ურთიერთშორის ცუდი დამოკიდებულება გქონდათ.

— მერე მან რა გიპასუხათ?

— იყო შემთხვევა, მაგრამ რა შემთხვევა, ამის შესახებ არაფერი უთქვამს, რომ მე მას უმართებულოდ მოვექეცი, მაგრამ ყოველთვის მზად ვარ, ვენდო ყველას, ვისაც ჩემი გემის პატრონი ენდობაო.

— თვალთმაქცი! — ჩაიბუტბუტა დანგლარმა.

— საწყალი დანტესი, — თქვა კადრუსმა, — ის არაჩვეულებრივი ყმაწვილი იყო.

— დიახ, მაგრამ მის ლოდინში «ფარაონი» უკაპიტნოდ რჩება.

— რადგან ჩვენ ზღვაში სამ თვეზე ადრე არ გავალთ, იმედი ვნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მას გაათავისუფლებენ.

— რასაკვირველია, მაგრამ მანამდე?

— მანამდე, ბატონო მორელ, თქვენ განკარგულებაში მიგულიეთ, — უთხრა დანგლარმა, — თქვენ იცით, მე გემს ვმართავ არა ნაკლებ, ვიდრე, რომელიც გნებავთ შორეული ნაოსნობის კაპიტანი. თქვენთვის სასარგებლოც კი იქნება ჩემი აყვანა, რადგან, როდესაც ედმონდი ციხიდან გამოვა, თქვენ არავისთვის გექნებათ სათქმელი მადლობა. ის თავის ადგილს დაიკავებს, მე კი — ჩემსას.

— გმადლობთ, დანგლარ, — უთხრა გემის პატრონმა, — აი, თქვენ ნამდვილად მოაწესრიგებთ საქმეს. მაშ ასე, მიიღეთ გემის უფროსობა, მე გაკისრებთ, და თვალყური ადევნეთ მის გადმოტვირთვას. იცოდეთ, საქმე არ უნდა გაფუჭდეს იმის გამო, რომ ცალკე პიროვნებას რაიმე უბედურება შეემთხვა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ; ხომ არ შეიძლებოდა კეთილი ედმონდი გვენახა მაინც?

— მე ახლავე გავიგებ მაგას: შევეცდები, ვნახო ბატონი დე ვილფორი და პატიმრის სასარგებლოდ ორიოდ სიტყვა ვუთხრა. კარგად ვიცი, ის პირწავარდნილი როიალისტია, მაგრამ, ეშმაკმა დასწყევლოს, მაინც ადამიანია და, ვგონებ, ბოროტიც არ უნდა იყოს.

— არა, ბოროტი არ არის, მაგრამ, ვგონებ, პატივმოყვარეა და ეს თითქმის ერთი და იგივეა.

— ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა იქნება, — თქვა მორელმა ოხვრით, — წადით გემზე, მეც იქ მოვალ.

მორელმა დატოვა ორი მეგობარი და თვითონ სასამართლოს შენობისაკენ გაემართა.

— ხედავ, საქმე როგორ დატრიალდა, — უთხრა დანგლარმა კადრუსს: — კიდევ გაქვს სურვილი დანტესს გამოესარჩლო?

— რასაკვირველია, არა, მაგრამ საშინელება კი არის, რომ ხუმრობას ასეთი შედეგი მოჰყვა.

— ეშმაკმა დალახვროს, მერე ვინ ხუმრობდა? არც მე და არც შენ, — ფერნანდი იყო. შენ ხომ იცი, რომ მე ის ბარათი გადავაგდე და, ვგონებ, დავხიე კიდევ.

— არა, არა! — შეჰყვირა კადრუსმა. — იმ ქალაქს თითქოს ახლაც ვხედავ ტალავერის კუთხეში მიგდებულს, დაჭმუჭნილსა და დასრესილს და ვისურვებდი, ახლაც იქ გდებულიყო, სადაც ეგდო!

— რას იზამ? ალბათ, ფერნანდმა აიღო, გადაწერა და ან გადააწერინა, შეიძლება მან არც კი იდო თავს ეს ტვირთი და მე ვფიქრობ... ღმერთო ჩემო, იქნებ მან ჩემი ხელნაწერი გაგზავნა, მაღლობა ღმერთს, ხელწერა შევცვალე.

— მაგრამ შენ ხომ იცოდი, რომ დანტესი შეთქმულების მონაწილე იყო?

— მე უკვე გითხარი, რომ არაფერი არ ვიცოდი და მინდოდა, მხოლოდ მეხუმრა-მეთქი. როგორც ჩანს, არლეკინივით ხუმრობაში სიმართლე ვთქვი.

— სულ ერთია, — განაგრძობდა კადრუსი, — მე ბევრად უფრო ვამჯობინებდი, ეს არ მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც არ ვყოფილიყავი გარეული ამ საქმეში. აი შენ ნახავ, დანგლარ, რომ ჩვენ ეს ამბავი უბედურებას მოგვიტანს.

— თუ ამ ამბავმა ვინმეს უბედურება უნდა მოუტანოს, — დე, ისევ ნამდვილ დამნაშავეს და არა ჩვენ. რა უბედურება უნდა შეგვემთხვეს ჩვენ? მხოლოდ მშვიდად უნდა ვისხდეთ, არც ერთი სიტყვა არ დაგვცდეს და ქარიშხალი ისე ჩაივლის, რომ მეხი არ გავარდება.

— ამინ! — თქვა კადრუსმა, დანგლარს გამომშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია და მეილანის ხეივანისაკენ გაემართა, თან თავისთვის რაღაცას დუდლუნებდა, ისე როგორც ეს მეტისმეტად შეშფოთებულმა და შეფიქრიანებულმა ადამიანებმა იციან.

— მაშ ასე, — თქვა დანგლარმა, — საქმე ისე შეტრიალდა, როგორც ვიწინასწარმეტყველე; აი, მე უკვე დროებით კაპიტნად დამნიშნეს. და ის სულელი კადრუსი ენას რომ გააჩუმებდეს, იქნება სულაც დავრჩე. რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: თუ მართლმსაჯულებამ თავისი კლანჭებიდან დანტესი გაუშვა... მაგრამ მართლმსაჯულება მაინც მართლმსაჯულებაა, — დანგლარს გაეღიმა, — და მე სავსებით შემიძლია მივენდო მას.

იგი სწრაფად ჩახტა ნავში და უბრძანა, ნიჩბები მარჯვედ მოესვათ «ფარაონისაკენ», სადაც, როგორც ჩვენ გვახსოვს, გემის პატრონი უნდა მისულიყო.

VI

მეფის პროკურორის თანაშემწე

სწორედ იმავე დღეს და იმავე საათზე გრანდ-კურის ქუჩაზე, შადრევან მედუზას პირდაპირ, პიუჟეს¹ (1 პიერ პიუჟე — გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორი, მოქანდაკე და მხატვარი (1622—1694).) მიერ აგებულ ძველ, არისტოკრატიულ შენობაშიც ნიშნობა ჰქონდათ.

მაგრამ თქვენ აქ ვერ ნახავდით უბრალო ხალხს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს. სტუმრებიცა და მასპინძლებიც მარსელის საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ უზურპატორის დროს გადამდგარი მაღალი ჩინის ძველი მოხელეები, საფრანგეთის არმიიდან კონდეს² (2 იგულისხმება პრინცი კონდე (1736—1818), რომელიც საფრანგეთიდან გაიქცა 1792 წ. კობლენცში და რაინის ნაპირზე ემიგრანტებისაგან ჯარი შექმნა რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.) არმიაში გამოქცეული ოფიცრები, ახალგაზრდები, რომელთა მშობლები შიშით შესცქეროდნენ მათ მომავალს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფულით ოთხჯერ თუ ხუთჯერ იხსნეს ჯარში გაწვევისაგან და აღზარდეს სიძულვილით გამსჭვალულნი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ხუთი წლის გადასახლებას მარტვილად უნდა ექცია, ხოლო რესტავრაციის თხუთმეტ წელს — ღმერთად.

ყველანი მაგიდას უსხდნენ. საუბარი იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი გატაცებით მიმდინარეობდა, მით უფრო საშიში გატაცებით და აღზნებით, რომ სამხრეთში ხუთასი წლის განმავლობაში არსებულ პოლიტიკურ მტრობას აღრმავებდა რელიგიური ბრძოლა.

ქეიფის ყველა მონაწილეს საფრანგეთისა და სამეფო ტახტისათვის საბოლოოდ დაკარგულად მიაჩნდა იმპერატორი, მთელი მატერიკის ყოფილი მფლობელი, რომელიც ამჟამად, როგორც კუნძულ ელზას მეფე, ბატონობდა მხოლოდ ხუთ თუ ექვს ათას სულზე, მას შემდეგ, რაც ათ სხვადასხვა ენაზე ას ოცი მილიონი ქვეშევრდომის შემახილი ჰქონდა გაგონილი: «გაუმარჯოს ნაპოლეონს!» მაღალი ჩინის ძველი მოხელეები იგონებდნენ მის პოლიტიკურ შეცდომებს, სამხედროები მსჯელობდნენ მოსკოვზე და ლაიფციგზე, მანდილოსნები — ჟოზეფინასთან განქორწინებაზე. როიალისტთა ამ შეკრებულებას, რომელსაც ახარებდა არა ამ ადამიანის დაცემა, არამედ მისი იდეების განადგურება, ეგონა, მისთვის იწყებოდა ახალი ცხოვრება, რომ მან თავი დააღწია ცუდ სიზმარს.

წარმოსადეგი მოხუცი, რომელსაც გულზე წმიდა ლუდოვიკოს ჯვარი ეკიდა, წამოდგა და თავის სტუმრებს ლუდოვიკო XVIII¹ (1 ლუდოვიკო XVIII — ძმა საფრანგეთის რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯილი მეფე ლუდოვიკო XVI; ლუდოვიკო XVIII საფრანგეთში ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ გამეფდა. მანამდე ის ემიგრაციაში იმყოფებოდა.) სადღეგრძელო შესთავაზა. ეს მოხუცი მარკიზ დე სენ-მერანი გახლდათ.

ამ სადღეგრძელომ, რომელმაც ყველას ერთბაშად მოაგონა ჰარტველის ემიგრანტი და საფრანგეთის დამამშვიდებელი მეფე, დიდი ხმაური გამოიწვია. ჭიქები ინგლისურ ყაიდაზე ასწიეს, ქალებმა გულზე დაბნეული ყვავილები მოიხსნეს და სუფრა მოფინეს. ეს თითქმის პოეტური აღფრთოვანება იყო.

— აქ რომ ყოფილიყვნენ, ისინი აღიარებდნენ, — თქვა არისტოკრატიული მანერების მქონე თხელტუჩა და მშრალთვალება მარკიზის მეუღლემ დე სენ-მერანმა, რომელიც თავისი ასაკის მიუხედავად (იგი ორმოცდაათი წლისა იყო) მშვენივრად გამოიყურებოდა, — ისინი, ყველა ის რევოლუციონერები, რომლებმაც ჩვენ გაგვდევნეს და რომლებსაც

ჩვენის მხრივ დამშვიდებით ვაძლევთ საშუალებას ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედონ ჩვენსავე ძველ ციხე-დარბაზებში, რომლებიც მათ ტერორის დროს თითო ნაჭერი პურის ფასად აქვთ ნაყიდი, ისინი უთუოდ აღიარებდნენ, რომ ნამდვილი თავდადება ჩვენი მხრივ იყო, რადგან ჩვენ ერთგულნი დავრჩით დანგრეული მონარქიისა. ისინი კი, პირიქით, სალამს აძლევდნენ ამომავალ მზეს და ეძებდნენ ქონებას მაშინ, როდესაც ჩვენ ვკარგავდით მას. ისინი აღიარებდნენ, რომ ჩვენი მეფე ნამდვილად იყო ლუდოვიკო დიდად საყვარელი, მათი უზურპატორი კი ყოველთვის იყო ნაპოლეონ წყეული. ასე არ არის, დე ვილფორ?

— მარკიზა, თქვენ მითხარით რამე? ბოდიშს ვიხდი, არ გისმენდით.

— ოჰ, მარკიზა, დაანებეთ თავი ამ ბავშვებს, — უთხრა ქალს მოხუცმა, რომელმაც მეფის სადღეგრძელო წარმოთქვა, — დღეს მათი ნიშნობაა და, ბუნებრივია, პოლიტიკაზე არ საუბრობდნენ.

— დედაჩემო, მაპატიეთ, — მიმართა მარკიზას ლამაზმა ქერათმიანმა ქალიშვილმა, რომელსაც ხავერდოვან თვალებში ნამი ჩასდგომოდა, — მცირე ხანს ჩემთან საუბრით გავიტაცე იგი. ბატონო დე ვილფორ, დედაჩემს თქვენთან ლაპარაკი სურს.

— მზად ვარ ვუპასუხო ქალბატონს, რომ ინებებდეს იმ შეკითხვის განმეორებას, რომელსაც ყური ვერ მოგვარი. — უთხრა დე ვილფორმა.

— მიპატიებია, რენე, — უპასუხა ქალიშვილს მარკიზამ ნაზი ღიმილით, რის დანახვაც ცივ სახეზე რაღაც საკვირველება იყო. მაგრამ ქალის გული ისეა შექმნილი, რომ, რაგინდ გამოფიტული იყოს იგი ცრურწმენითა და ეტიკეტის მოთხოვნებით, მასში მაინც ყოველთვის რჩება ნაყოფის მომცემი და მხიარული კუნჭული. ეს არის ის, რაშიც ბუნებამ დედობრივი სიყვარული ჩააქსოვა. — მე ვამბობდი, ვილფორ, რომ ბონაპარტისტებს არა აქვთ არც ჩვენისთანა სიყვარული, არც ჩვენისთანა რწმენა და არც ჩვენისთანა თავდადება.

— ქალბატონო, მათ აქვთ ერთი კარგი თვისება, რომელიც ჩვენი ღირსების მაგივრობას სწევს, — ეს არის ფანატიზმი. ნაპოლეონი დასავლეთის მაჰმადია ყველა ამ დაბალი ფენის ადამიანებისათვის, მაგრამ მეტისმეტად ამაყებისა და თავმოყვარეებისათვის იგი არა მარტო კანონმდებელი და მბრძანებელია, არამედ სიმბოლოცაა, სიმბოლო თანასწორობისა.

— თანასწორობისაო! — შეჰყვირა მარკიზამ. — ნაპოლეონი თანასწორობის სიმბოლო? მაშინ რა გინდათ უწოდოთ რობესპიერს? ვგონებ, თქვენ მას ადგილს ჰპარავთ, რათა კორსიკელს გადასცეთ. ვფიქრობ, მარტო უზურპატორობაც სავსებით საკმარისია.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა ვილფორმა, — თითოეულ მათგანს მე თავის კვარცხლბეკზე ვტოვებ. რობესპიერს — ლუდოვიკო XV მოედანზე, თავის ეშაფოტზე, ნაპოლეონს — ვანდომის მოედანზე, თავის სვეტზე. ერთს შემოჰქონდა თანასწორობა, რომელიც მას ამდაბლებდა, მეორეს — თანასწორობა, რომელიც მას ამაღლებდა. ერთმა მეფეები გილიოტინამდე ჩამოიყვანა, ხოლო მეორემ ხალხი ტახტის სიმაღლემდე აიყვანა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, — დაუმატა ვილფორმა სიცილით, — რომ ისინი ორივენი საზიზღარი რევოლუციონერები არ იყვნენ, რომ ცხრა თერმიდორი და 1814 წლის ოთხი აპრილი¹ (¹ 1794 წლის 9 თერმიდორს (27 ივლისს) კონვენტმა რობესპიერი დაატუსაღა და გილიოტინაზე გაგზავნა, ხოლო 1814 წლის 4 აპრილს ნაპოლეონი პირველად გადადგა ტახტიდან.) საფრანგეთისათვის არ იყოს ორი ბედნიერი დღე, ღირსი იმისა, რომ ერთნაირად იდღესასწაულონ წესრიგისა და მონარქიის მეგობრებმა. ამითივე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბოლოოდ დამხობილმა ნაპოლეონმა, რომელიც ველარასოდეს ველარ წამოდგება (ყოველ შემთხვევაში, მე ამის იმედი მაქვს), შეინარჩუნა თავისი მომხრეები. რას იზამთ, მარკიზა? კრომველი ნაპოლეონის ნახევარი არც კი იყო და მასაც ჰყავდა მომხრეები.

— გესმით კი, ვილფორ, რას ამბობთ? ყოველივე ამას შორიდანვე რევოლუციის სუნი უდის, მაგრამ მიპატიებია, შეუძლებელია, კაცი ჟირონდისტის შვილი იყოს და არ შეინარჩუნოს რევოლუციური სული.

ვილფორს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

— ქალბატონო, მამაჩემი ჟირონდისტი იყო, ეს მართალია, მაგრამ ხმა არ მიუცია მეფის სიკვდილით დასჯისათვის. იგი, ისევე როგორც თქვენ, ტერორის დროს დევნას განიცდიდა და ძლივს გადარჩა იმ ეშაფოტს, რომელზედაც მამათქვენის თავი გაგორდა.

— დიახ, — უპასუხა მარკიზამ, რომელსაც ამ სისხლიანმა მოგონებამ ოდნავადაც არ შეურხია სახის ნაკვთები, — მაგრამ ისინი ეშაფოტზე დიამეტრულად სხვადასხვა პრინციპებისათვის ავიდოდნენ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მთელი ჩვენი ოჯახი ერთგული დარჩა დევნილი პრინციპისა, მამათქვენი კი მაშინვე ახალ მთავრობას მიემხრო. მოქალაქე ნუარტიე ჟირონდისტი იყო, ხოლო გრაფი ნუარტიე სენატორი გახდა.

— დედაჩემო, დედაჩემო, — შესძახა რენემ, — ხომ გახსოვთ ჩვენი შეთანხმება, აღარ ვილაპარაკოთ ამ საზარელ წარსულზე.

— ქალბატონო, — უპასუხა დე ვილფორმა, — მეც ვუერთდები მადმუაზელ დე სენ-მერანის აზრს და უმორჩილესად გთხოვთ, დაივიწყოთ წარსული, რაღაზე ვაწყენინოთ ერთმანეთს ისეთი ამბის გამო, რის მიმართ ღვთის ძალაც კი უძლურია. ღმერთს შეუძლია გარდაქმნას მომავალი, ხოლო წარსულში ვერაფერს შეცვლის. ჩვენ, მოკვდავთ, მით უფრო რა შეგვიძლია? თუ საბოლოოდ ვერ დავივიწყებთ წარსულს, საბურველი მაინც გადავაფაროთ. რაც შეეხება ჩემს ამბავს, მე უარვყავი არა მარტო მამაჩემის შეხედულებები, არამედ მისი გვარიც. მამაჩემი ბონაპარტისტი იყო, შეიძლება ახლაც ბონაპარტისტია და ნუარტიედ იწოდება, მე კი როიალისტი ვარ და დე ვილფორს მეძახიან. დეე, გაუშრეს ბებერ მუხას რევოლუციური წვენი. ქალბატონო, თქვენ ხედავთ ტოტს, რომელიც მის ტანს გამოეყო, მაგრამ არ შეუძლია, და კიდევ უფრო მეტს ვიტყოდით, არც უნდა, რომ საბოლოოდ მოსწყდეს მას.

— ყოჩაღ, ვილფორ! — შეაქო მარკიზმა, მშვენიერი პასუხია. მე თვითონაც ყოველთვის ვარწმუნებდი მარკიზას, დავიწყებისათვის მიეცა წარსული, მაგრამ ვერაფერს გავხდით. იმედი მაქვს, ამ მხრივ თქვენ უფრო ბედნიერი იქნებით.

— ძალიან კარგი, — თქვა მარკიზამ, — დავივიწყოთ წარსული, მეც მხოლოდ ეგ მინდა და ამაში უკვე შევთანხმდით. მაგრამ იცოდეთ, ვილფორ, მომავალში სიმტკიცის გამოჩენა გმართებთ; ნუ დაივიწყებთ, ვილფორ, რომ თავდებად დაგიდექით მისი უდიდებულესობის წინაშე. მისმა უდიდებულესობამ მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციის შემდეგ დაივიწყა წარსული (ქალმა ხელი გაუწოდა ვილფორს), ისევე, როგორც მე თქვენით თხოვნით ვივიწყებ მას. მაგრამ თუ ვინმე, შეთქმულების მონაწილეთაგანი ხელში ჩაგვივარდებათ, გახსოვდეთ: თქვენ სხვებზე უფრო მეტად გადავენებენ თვალს, რადგან იციან, რომ ეკუთვნით იმ ოჯახს, რომელსაც შეიძლება თვითონ ჰქონდეს კავშირი შეთქმულებთან.

— ამაზე ნუ სწუხართ, ქალბატონო, — უპასუხა ვილფორმა, — ჩემი თანამდებობა და განსაკუთრებით დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, მოვალედ მხდის მკაცრი ვიყო. ასეთიც დავრჩები. უკვე რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა, მონაწილეობა მიმელო პოლიტიკური საქმეების გარჩევაში და აქ მე თავი გამოვიჩინე. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ კიდევ შორს ვართ ამ ამბების დასასრულიდან.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — ჰკითხა მარკიზამ.

— მე სწორედ ამის მეშინია. კუნძული ელბა საფრანგეთთან საკმაოდ ახლოა. ნაპოლეონის ყოფნა თითქმის აქვე, ჩვენი ნაპირებიდან ადვილად დასანახავ ადვილას, იმედს არ აკარგვინებს მის მომხრეებს. მარსელი სავსეა ნახევარ ჯამაგირზე მყოფი

სამხედრო პირებით. ისინი განუწყვეტლივ მიზეზს ეძებენ როიალისტებთან საბრძოლველად. აი, აქედან გამომდინარეობს დუელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის და დანის ტრიალი მდაბიოთა შორის.

— განა თქვენ არ იცით, რომ საღვთო კავშირი¹ (1 საღვთო, ანუ წმინდა კავშირი — რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის კოალიცია, დაარსებული 1815 წ. ყოველგვარი რევოლუციური და ლიბერალური მოძრაობის ჩასახშობად ევროპაში.) მას გადასახლებას უპირებს, — თქვა გრაფმა დე სალვიემ, მარკიზ დე სენ-მერანის ძველმა მეგობარმა და გრაფ დარტურის კამერჰერმა.

— დიახ, ამის შესახებ იყო ლაპარაკი, როდესაც პარიზიდან მივემგზავრებოდით, — გამოეპასუხა მარკიზი დე სენ-მერანი, — საინტერესოა, სად უპირებენ გადასახლებას?

— წმინდა ელენეზე.

— წმინდა ელენეზე? რა არის ეს? — იკითხა მარკიზამ.

— კუნძული, აქედან ორი ათასი მილის მანძილზე, ეკვატორის იქითა მხარეს, — უპასუხა გრაფმა.

— მაღლობა ღმერთს! ვილფორი მართალია, დიდი უგუნურებაა ასეთი ადამიანის დატოვება კორსიკასა, სადაც იგი დაიბადა, და ნეაპოლს შუა, სადაც მეფობს მისი სიძე და იტალიის პირდაპირ, რომელიც მას უნდოდა თავისი შვილის სამეფოდ გაეხადა.

— სამწუხაროდ, არსებობს 1814 წლის ხელშეკრულება და ნაპოლეონს ხელს ვერ ახლებენ მისი დარღვევის გარეშე, — თქვა ვილფორმა.

— რა ვუყოთ, დაარღვევენ, — თქვა ბატონმა დე სალვიემ, — მას განსაკუთრებული მგრძობიარობა არ გამოუჩენია, როდესაც იმ უბედური ენგიენის ჰერცოგის² (2 ენგიენის ჰერცოგი — პრინც კონდეს ვაჟიშვილი, რომელიც 1804 წელს ნაპოლეონის ბრძანებით გერმანიის ტერიტორიაზე დაატუსაღეს და დახვრიტეს ვენსენის ციხე-კოშკის თხრილში.) დახვრეტის ბრძანება გასცა.

— ძალიან კარგი, — თქვა მარკიზამ, — გადაწყვეტილია. საღვთო კავშირი იხსნის ევროპას ნაპოლეონისაგან, ხოლო ვილფორი — მარსელს მისი მომხრეებისაგან. მეფე ან უნდა მეფობდეს, ან — თუ ის მეფობს — მისი ხელისუფლება უნდა იყოს ძლიერი, აღმასრულებლები კი — შეუდრეკელნი. აი, საშუალება ბოროტების თავიდან ასაცილებლად.

— საუბედუროდ, ქალბატონო, — თქვა ვილფორმა ღიმილით, — მეფის პროკურორის თანამშემწე ბოროტებას მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა იგი უკვე ჩადენილია.

— მაშ, მან უნდა გამოასწოროს იგი.

— მე კიდევ იმისი თქმა შემიძლია, ქალბატონო, რომ ჩვენ კი არ ვასწორებთ ბოროტებას, არამედ შურს ვიძიებთ, ეს არის და ეს.

— ბატონო ვილფორ, — მიმართა ვილფორს დე სალვიეს ასულმა, ახალგაზრდა და ლამაზმა ქალიშვილმა, რომელიც მადმუაზელ სენ-მერანის მეგობარი იყო, — შეეცადეთ, სანამ ჩვენ მარსელში ვართ, მოაწყობ რაიმე კარგი პროცესი. მე არასოდეს მინახავს სასამართლოს მაგიდის გარშემო შემომსხდარი მსაჯულები. ამბობენ, ძალიან საინტერესოაო.

— დიახ, მართლაც რომ ძალიან საინტერესოა, — დაემოწმა მეფის პროკურორის თანამშემწე, — აქ უკვე არ არის ხელოვნური ტრაგედია, არამედ ნამდვილი დრამაა. აქ მოჩვენებითი ტანჯვა როდია, ნამდვილი ტანჯვაა. ადამიანი, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სახლში კი არ მიდის, რომ ოჯახში ივახშმოს, მშვიდად ჩაწვეს ლოგინში და ხვალ ხელახლა შეუდგეს თავის საქმიანობას, არამედ ციხეში, სადაც ჯალათი ელოდება. ასე რომ, ნერვული ადამიანებისათვის, რომლებიც განცდებს ეძებენ,

არ შეიძლება ამაზე უკეთესი სანახაობა არსებობდეს. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მადმუაზელ, თუ შემთხვევა მომეცა, უსათუოდ შეგატყობინებთ.

— მისი სიტყვები ჩვენ ჟრუანტელს გვგვრის, ის კი იცინის, — ჩაილაპარაკა გაფითრებულმა რენემ.

— რას იზამ... ეს დუელია. მე ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოვითხოვე პოლიტიკური, თუ სხვა სახის ბრალდებულის სიკვდილით დასჯა... ეე, ვინ იცის, ახლა სიბნელეში რამდენი ხანჯალი ილესება, ან უკვე ჩემკენაა მომართული.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ამოიკვნესა რენემ, რომელიც ასეთი სიტყვების გაგონებისას უფრო პირქუში ხდებოდა, — ბატონო ვილფორ, ნუთუ თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ!

— სავსებით სერიოზულად, — უპასუხა ვილფორმა ღიმილით, — და ეს საინტერესო პროცესები, რომლებსაც მადმუაზელი ცნობისმოყვარეობის, მე კი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვნატრობთ, ჩემს მდგომარეობას უფრო საშიშს ხდის. როგორა გგონიათ, განა ნაპოლეონის ჯარისკაცები, რომლებიც მტრებზე მისვლას ბრძად არიან მიჩვეული, ბევრს იყოყმანებენ, როდის გაისროლონ ტყვია ან როდის გამოიყენონ ხიშტი? განა მათ ხელი აუკანკალდებათ იმ კაცის მოკვლის დროს, რომელიც თავის პირად მტრად მიაჩნიათ, მაშინ, როდესაც დაუფიქრებლად კლავენ ვიღაც უცნობ რუსს, ავსტრიელს ან უნგრელს? როგორც ხედავთ, საშიშროება გარდუვალია, ამის გარეშე ჩვენს ხელობას გამართლება არ ექნებოდა. მე თვითონაც, როდესაც ბრალდებულის თვალებში მრისხანების ნაპერწკლებს ვხედავ, ძალ-ღონე მემატება და ვინთები. აქ უკვე არ არის პროცესი, ეს ჭიდილია. მე მის წინააღმდეგ ვიბრძვი, ის თავს იცავს. ახალი დარტყმები და ბრძოლა, ისე როგორც ყველა ბრძოლა, გამარჯვებით ან დამარცხებით მთავრდება. აი, რას ნიშნავს სასამართლოში გამოსვლა. საშიშროება წარმოშობს მჭევრმეტყველებას. თუ ბრალდებული ჩემი გამოსვლის შემდეგ მიღიმის, ეს მე მაფიქრებინებს, რომ ცუდად ვილაპარაკე, რომ ჩემი სიტყვები უსუსური, უფერული, არაფრისმთქმელი გამოდგა. წარმოიდგინეთ, როგორი სიამაყით ევსება გული ბრალდებულის დანაშაულში დარწმუნებულ მეფის პროკურორს, როდესაც ის ხედავს, რომ მისი მტკიცებისა და მჭევრმეტყველების შედეგად ბრალდებული ფითრდება, თავს ხრის; ეს თავი იხრება და ბოლოს ძირს ვარდება.

რენემ შეჰკვივლა.

— აი, ლაპარაკიც ასეთი უნდა, — შენიშნა ერთმა სტუმართაგანმა.

— ჩვენს ეპოქაში სწორედ ასეთი ხალხი გვინდა, — თქვა მეორემ.

— უკანასკნელ პროცესზე თქვენ, ჩემო ძვირფასო ვილფორ, არაჩვეულებრივი იყავით, — უთხრა მესამემ, — გახსოვთ ის კაცი, მამას რომ ყელი გამოსჭრა? თქვენ სწორედ ადგილზე მოჰკალით, სანამ ჯალათის ხელი შეეხებოდა.

— ჰო, მამის მკვლელები, ისინი სრულებით არ მაწუხებენ. მათთვის არ არსებობს საკმარისად მძიმე სასჯელი, — თქვა რენემ, — მაგრამ ის საწყალი პოლიტიკური დამნაშავენი...

— ისინი უარესები არიან, რენე, რადგან მეფე ხალხის მამაა და მისი წაქცევის ან მოკვლის სურვილი იმას ნიშნავს, რომ ორმოცდათორმეტი მილიონი ადამიანის მამა მოჰკლა.

— სულ ერთია, ბატონო დე ვილფორ, — უთხრა რენემ, — პირობა მომეცით, რომ შემბრალებელი იქნებით მათ მიმართ, ვისზედაც მე გთხოვთ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უთხრა ვილფორმა მომხიზვლელი ღიმილით, — ჩვენ ერთად დავწერთ საბრალდებო დასკვნებს.

— ჩემო ძვირფასო, — მიმართა მარკიზამ ქალიშვილს, — მოუარეთ თქვენს კოლიბრის, ძაღლებსა და ჩვრებს, თქვენს მომავალ ქმარს კი საშუალება მიეცით, თავისი საქმე აკეთოს.

ახლა იარაღი ისვენებს, მსაჯულის წამოსასხამი პატივშია. ამაზე არსებობს ღრმა შინაარსის ლათინური თქმულება.

— Gedant arma togae¹, (¹ დაე, იარაღმა ადგილი დაუთმოს წამოსასხამს.) — თქვა ვილფორმა.

— მე ვერ გავბედე ლათინურად თქმა, — უთხრა მარკიზამ.

— ჩემთვის, ვგონებ, უკეთესი იქნებოდა, ექიმი ყოფილიყავით, — თქვა რენემ, — თუმცა შემმუსვრელი ანგელოზიც ანგელოზია, მაგრამ იგი მე მაინც ყოველთვის მაშინებდა.

— კეთილო რენე! — წაიჩურჩულა ვილფორმა და ახალგაზრდა ქალს სიყვარულით სავსე თვალები მიაპყრო.

— ჩემო გოგონა, — უთხრა მარკიზმა, — ბატონი დე ვილფორი ჩვენი პროვინციისათვის ზნეობრივი და პოლიტიკური ექიმი იქნება, დამიჯერეთ, ეს კარგი როლია შესასრულებლად.

— და ეს იქნება საშუალება იმ როლის დავიწყებისათვის, რომელსაც მამათქვენი ასრულებდა, — კვლავ ჩაერია ლაპარაკში გამოუსწორებელი მარკიზა.

— ქალბატონო, — დაიწყო ვილფორმა სევდიანი ღიმილით, — მე უკვე მქონდა პატივი თქვენთვის მომეხსენებინა, რომ მამაჩემმა უარყო თავისი ძველი შეხედულებანი; ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, ის გახდება რელიგიისა და წესრიგის მხურვალე მეგობარი. შესაძლებელია უკეთესი როიალისტი, ვიდრე მე, რადგან იგი როიალისტი გახდა მონანიების შემდეგ, მე კი — გატაცების ზეგავლენით.

დაამთავრა თუ არა სიტყვა, ვილფორმა სტუმრებს გადახედა, ისე როგორც სასამართლო პროცესზე გამოსვლის შემდეგ აუდიტორიას გადახედავდა ხოლმე თავისი მჭევრმეტყველური ძალის შესამოწმებლად.

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო ვილფორ, — თქვა გრაფმა დე სალვიემ, — ეს სწორედ იგივეა, რაც გუშინწინ ტიულერის სასახლეში ვუთხარი მეფის კარის მინისტრს, რომელმაც გაკვირვება გამოთქვა ჟირონდისტის ვაჟიშვილისა და კონდეს არმიის ოფიცრის ქალიშვილის ქორწინების გამო; და მინისტრმა კარგად გაიგო საქმის ვითარება. შეუღლების ასეთი სისტემა თვით ლუდოვიკო მეთვრამეტისგან მომდინარეობს. ჩვენ ეჭვიც კი არ შეგვპარვია, რომ იგი ყურს გვიგდებდა, მაგრამ მოულოდნელად ჩაერია საუბარში და თქვა: «ვილფორი (შენიშნეთ, რომ მას არ უთქვამს გვარი ნუარტიე, პირიქით, ხაზი გაუსვა ვილფორს), ვილფორი, — თქვა მან, — შორს წავა. ის უკვე ჩამოყალიბებული ახალგაზრდაა და ჩემს მომხრეებს ეკუთვნის. მე სიამოვნებით შევხვდი იმ ამბავს, რომ მარკიზი დე სენ-მერანი და მისი მეუღლე მას ცოლად აძლევენ თავიანთ ქალიშვილს. თვით ვურჩევდით ამ ქორიწინებას, პირველად ისინი რომ არ მოსულიყვნენ ნებართვის სათხოვნელად».

— მეფემ თქვა ეს? — შესძახა აღტაცებულმა ვილფორმა.

— მე პირადად იმისი სიტყვები გითხარით და თუ მარკიზი გულახდილობას გამოიჩენს, გამოგიტყდებით, რომ თვითონ მასაც იგივე სიტყვები უთხრა მეფემ, როდესაც ამ ექვსი თვის წინათ მარკიზმა განუცხადა თავისი სურვილი — თქვენთვის მოეთხოვებინა ქალიშვილი.

— ეგ მართალია, — დაემოწმა მარკიზი.

— მაშ, მე ყველაფერს უნდა ვუმაღლოდე მეფეს, ამ დიდებულ ხელმწიფეს. რას არ გავაკეთებ, რომ მას ვემსახურო.

— აი, ეს მესმის, სწორედ ასეთი მომწონხართ, — უთხრა მარკიზამ, — ახლა თუნდა შეთქმულების მეთაური მოვიდეს, მასაც შესაფერისად შევხვდებით!

— მე კი, დედაჩემო, ღმერთს შევესთხოვ, არ გისმინოთ და ბატონ ვილფორს მხოლოდ ქურდბაცაცები, უძლური გაკოტრებულები, მშიშარა ჯიბგირები გამოუგზავნოს, აი, მაშინ დამშვიდებით დავიძინებდი.

— ეს იგივეა, რომ ექიმს მხოლოდ შაკიკიანი, ჭორფლიანი და კრაზანის დაკბენილი პაციენტები უსურვო, — უთხრა სიცილით ვილფორმა, — პირიქით, თუ თქვენ გსურთ მეფის პროკურორად მიხილოთ, მისურვეთ საშინელი ავადმყოფობანი, რომელთა განკურნვას დიდება მოაქვს ექიმისათვის.

სწორედ ამ დროს, თითქოს შემთხვევა ვილფორის სურვილის გამომჟღავნებას ელოდაო, ოთახში მსახური შემოვიდა და ყურში რაღაც უთხრა. ვილფორმა ბოდიშის მოხდით მიატოვა მაგიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კმაყოფილი დაბრუნდა. ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა.

რენემ მას სიყვარულით შეხედა. მოციმციმე ცისფერი თვალები, შავი ბაკენბარდებით დამშვენებული ფერმკრთალი სახე, მართლაც ლამაზ, მომხიბვლელ და წარმოსადეგ ვაჟკაცად ხდიდა. რენე მოუთმენლად ელოდა ვილფორს, რათა უეცარი გასვლის მიზეზი აეხსნა.

— მადმუაზელ, თქვენ ეს-ეს არის გამოთქვით სურვილი, ექიმი ქმარი გყოლოდათ, — თქვა ვილფორმა, — მე ესკულაპის მოწაფეებთან (ჯერ კიდევ ასე ამბობდნენ 1815 წ.) რაღაც მსგავსება მაქვს. დრო არასოდეს არ არის ჩემს განკარგულებაში. ხომ ხედავთ, ჩვენი ნიშნობის დღესაც კი მომაკითხეს, როდესაც თქვენს გვერდით ვარ.

— რისთვის შეგაწუხეს? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა ოდნავ შეშფოთებით.

— ავადმყოფის გამო, რომელიც, თუ მოტანილ ამბებს დავუჯერებთ, ძალიან ცუდადაა. ამჯერად სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ავადმყოფს ემაფოტი ემუქრება.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — შესძახა გაფითრებულმა რენემ.

— მართლა! — წამოიძახა ყველამ ერთხმად.

— როგორც ჩანს, საქმე ბონაპარტისტების შეთქმულებას შეეხება.

— ნუთუ! — თქვა მარკიზამ.

— აი, რა წერია დაბეზლების ბარათში.

და ვილფორმა წაიკითხა:

«ბატონ მეფის პროკურორს აფრთხილებს ტახტისა და რელიგიის ერთგული, რომ ედმონდ დანტესს, «ფარაონის» კაპიტნის თანაშემწეს, რომელიც ნეაპოლსა და პორტო-ფერაიოს გავლით სმირნიდან ჩამოვიდა, მიურატისაგან წერილი ჰქონდა უზურპატორთან, ხოლო უზურპატორისაგან პარიზში ბონაპარტისტების კომიტეტში წასაღებად.»

დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ნაპოვნი იქნება მისი დაპატიმრების შემთხვევაში, რადგან ამ წერილს იპოვნიათ ან თვითონ მასთან, ან მამამისთან, ან კიდევ მის კაიუტაში «ფარაონზე».

— მოიცათ! — შეაწყვეტინა რენემ, — წერილი ხელმოუწერელია, და ამავე დროს მეფის პროკურორის სახელზეა და არა თქვენზე.

— დიახ, ასეა, მაგრამ მეფის პროკურორი აქ არ არის და წერილი გადასცეს მის მდივანს, რომელსაც ფოსტის მიღება აქვს დავალებული. მან ეს წერილი გახსნა და მაშინვე ჩემთან აფრინა კაცი და რაკი შინ არ დავხვდი, თვითონვე გაუცია დაპატიმრების ბრძანება.

— მაშ, დამნაშავე დაპატიმრებულია? — იკითხა მარკიზამ.

— ესე იგი ის, ვისაც დამნაშავედ თვლიან, — შენიშნა რენემ.

— დიახ, ქალბატონო, — უპასუხა ვილფორმა მარკიზას, — და როგორც ახლახან მქონდა პატივი მადმუაზელ რენესათვის მომეხსენებინა, თუ მას წერილს უპოვიან, მაშინ ჩემი ავადმყოფი სერიოზულად იქნება დაავადებული.

— სად არის ის უბედური? — იკითხა რენემ.

— ჩემთან.

— წადით, ჩემო მეგობარო, — უთხრა მარკიზმა, — ნუ უღალატებთ თქვენს მოვალეობას იმისათვის, რომ ჩვენთან დარჩეთ. წადით იქ, სადაც მეფის სამსახური მოგიწოდებთ.

— ჰო, ბატონო დე ვილფორ, — უთხრა რენემ და ხელი ხელს გადააჭდო, — იყავით გულმოწყალე, დღეს ჩვენი ნიშნობის დღეა.

ვილფორმა მაგიდას შემოუარა, იმ სკამის ზურგს დაეყრდნო, რომელზედაც მისი საცოლე იჯდა და უთხრა:

— ძვირფასო რენე, რომ თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ჩემს ხელთაა, მაგრამ თუ ის ბრალდება ნამდვილია, თუ ბრალდება სამართლიანია, მაშინ აუცილებელი იქნება ბინძური ბონაპარტისტული ბალახის ამოგლეჯა.

რენე შეაკრთო სიტყვა «ამოგლეჯამ», რადგან ამ ბალახს, რომლის ამოგლეჯასაც ვილფორი ფიქრობდა, მხრებზე თავი ება.

— ოჰ, ოჰ, ვილფორ, ყურს ნუ უგდებთ ამ პატარა გოგონას, — უთხრა მარკიზმა, — ის ბავშვია, მიეჩვევა.

მარკიზამ თავისი გამხმარი ხელები ვილფორს გაუწოდა. სასიძო ემთხვია, თან რენეს უყურებდა და თვალებით ეუბნებოდა: «მე თქვენ ხელებს გიკოცნით, ან ყოველ შემთხვევაში, მინდა ვკოცნიდე მათ».

— ეს ცუდი წინასწარი ნიშნებია, — წაიჩურჩულა რენემ.

— მართლაც, რენე, შენი ბავშვური ქცევით მოთმინებიდან გამომიყვანე. — უთხრა მარკიზამ შვილს. — გეკითხები, რა მნიშვნელობა აქვს, შენს ფანტაზიებსა და გულჩვილობას სახელმწიფოს ბედთან შედარებით?

— ოჰ, დედაჩემო, — ამოიხვნეშა რენემ.

— მარკიზა, აპატიეთ ჩვენს ცუდ როიალისტ ქალს, — უთხრა ვილფორმა, — პირობას გაძლევთ, მთელი შეგნებით შევასრულო მეფის პროკურორის თანაშემწის ვალი, ესე იგი ვიყო შეუბრალებლად მკაცრი.

როდესაც პროკურორის თანაშემწე ამ სიტყვებს მარკიზის მეუღლეს ეუბნებოდა, თან ფარული მზერით თავის საცოლეს აგრძნობინებდა: «მშვიდად იყავი, რენე, თქვენდამი სიყვარულის გამო გულმოწყალე ვიქნები».

რენემ ამ მზერას მისთვის ჩვეული ნაზი ღიმილით უპასუხა.

ვილფორი ნეტარებით აღვსილი გულით გავიდა.

VII დაკითხვა

სასადილო ოთახიდან გამოსვლისთანავე ვილფორმა ჩამოიხსნა მხიარულების ნიღაბი და ისეთი სახე მიიღო, როგორც შეეფერება პიროვნებას, ვისაც დაკისრებული აქვს, უმაღლესი მსჯავრი გამოუტანოს თავის მახლობელს. უნდა ითქვას, რომ მისი მოძრაობა სახის მიუხედავად, რომელიც, როგორც დახელოვნებულ მსახიობს, სარკის წინ რამდენჯერმე ჰქონდა შესწავლილი, ამჯერად გაუჭირდა წარბები შეეკრა და სახე მოედუმა. მართლაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მისი მამის პოლიტიკურ წარსულს, — რასაც შესაძლოა ხელი შეეშალა მისი კარიერისათვის, თუ იგი გადაწყვეტით არ

გაემიჯნებოდა მას, — ჟერარ დე ვილფორი ამ წუთს ისეთი ბედნიერი იყო, რამდენადაც შესაძლოა ამ ქვეყნად ბედნიერად გრძნობდეს ადამიანი თავს. უკვე გამდიდრებულს, ოცდაშვიდი წლისას, სასამართლოს სარბიელზე საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ის ირთავდა ლამაზ, ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც უყვარდა არა გატაცებით, არამედ გონების კარნახით, ისე როგორც შეეძლო ჰყვარებოდა მეფის პროკურორის თანაშემწეს. ვილფორის საცოლე სახარბიელო იყო არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ იმითაც, რომ ეკუთვნოდა მეფის კარზე დიდად მიღებულ ოჯახს. და მშობლებს, რომელთაც მის მეტი შვილი არა ჰყავდათ, შეეძლოთ თავიანთი გავლენა მთლიანად სიძის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. გარდა ამისა, საცოლე მზითევში მოუტანდა ორმოცდაათი ათას ეკიუს, რომელიც რაღაც იმედების წყალობით (ესაა მკაცრი სიტყვა, მაჭანკლების მიერ გამოგონილი) შეიძლებოდა მემკვიდრეობის მიღების დროს ნახევარ მილიონამდე გაზრდილიყო. ყოველივე ეს, ერთად აღებული, ვილფორისათვის იმდენად თვალისმომჭრელი ნეტარება იყო, რომ როდესაც თავის შინაგან სამყაროს აკვირდებოდა, ეჩვენებოდა, მხოლოდ მცირეოდენ ლაქებს ვხედავ მზეზეო.

კარებში მას პოლიციის კომისარი დაუხვდა. მისმა მოღუშულმა სახემ ვილფორი მყისვე ჩამოიყვანა მეშვიდე ციდან ცოდვილ დედამიწაზე, რომელზედაც ჩვენ დავდივართ. მან შესაფერი გამომეტყველება მიიღო და პოლიციელს მიუახლოვდა.

— აი, მეც აქა ვარ, — უთხრა ვილფორმა. — წერილი წავიკითხე; ძალიან კარგად მოქცეულხართ, რომ ის კაცი დაგიპატიმრებიათ. ახლა მომაწოდეთ დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც იმ კაცზე და შეთქმულებაზე შეაგროვეთ.

— შეთქმულებაზე ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით; ყველა ქაღალდი, რომლებიც მას ვუპოვეთ, ერთად შევკარით, დავლუქეთ და ახლა თქვენს მაგიდაზე აწყვია. რაც შეეხება ბრალდებულს, როგორც თქვენ დაბეზღებიდანაც იცით, ედმონდ დანტესს ეძახიან, იგი კაპიტნის თანაშემწეა სამანძიან გემ «ფარაონზე», რომელსაც ალექსანდრიიდან და სმირნიდან ბამბა ჩამოაქვს და ეკუთვნის მარსელის სავაჭრო სახლს «მორელი და ვაჟიშვილი».

— სავაჭრო გემზე მუშაობის დაწყებამდე სამხედრო გემზე ხომ არ უმსახურია?

— ოჰ, არა, ბატონო, ის ჯერ სულ ახალგაზრდაა.

— რამდენი წლისაა?

— ცხრამეტი წლის, ყოველ შემთხვევაში, ოცზე მეტისა არ იქნება.

როდესაც ვილფორმა გრანდრიუს ქუჩა გაიარა და კონსეის ქუჩის კუთხეს მიაღწია, მოულოდნელად მიუახლოვდა ვიღაც კაცი, — ეტყობა, უცდიდა; ეს ბატონი მორელი გახლდათ.

— ოჰ, ბატონო ვილფორ! — შესძახა მან მეფის პროკურორის თანაშემწის დანახვაზე. — ბედნიერი ვარ თქვენი შეხვედრით. ვერ წარმოიდგენთ, რა უცნაური გაუგებრობა მოხდა: დააპატიმრეს ჩემი კაპიტნის თანაშემწე, ედმონდ დანტესი.

— ვიცი, — უპასუხა ვილფორმა, — მე სწორედ მის დასაკითხავად მოვედი.

— ოჰ, ბატონო დე ვილფორ, — განაგრძო მორელმა იმ დიდი გრძნობით, რითაც მას ახალგაზრდა კაცისადმი მეგობრობა ალაპარაკებდა, — თქვენ არ იცნობთ ბრალდებულს, მე კი ვიცნობ. წარმოიდგინეთ ყველაზე უწყინარი, ყველაზე პატიოსანი და, გავბედავდი მეთქვა, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა შორის, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნეა... ოჰ, ბატონო დე ვილფორ, მე სრულიად გულწრფელად და მთელი ჩემი სულითა და გულით ვშუამდგომლობ მის შესახებ.

ვილფორი, როგორც უკვე დავინახეთ, არისტოკრატების ბანაკს ეკუთვნოდა, ხოლო მორელი — პლებეების წარმომადგენელი იყო; პირველი უკიდურესი როიალისტი

გახლდათ, მეორე კი შენიშნული იყო ფარულ ბონაპარტისტობაში. ვილფორმა მორელს ქედმაღლურად გადახედა და ცივად უთხრა:

— მოგეხსენებათ თუ არა თქვენ, ბატონო ჩემო, რომ შესაძლოა კაცი უწყინარი იყოს შინაურ წრეში, ყოვლად პატიოსანი სავაჭრო საქმეებში, საუკეთესო მცოდნე თავისი ხელობისა, და ამავე დროს იყოს დიდი დამნაშავე პოლიტიკური თვალსაზრისით, თქვენ ეს იცით, არა, ბატონო მორელ?

ვილფორმა ხაზი გაუსვა ამ უკანასკნელ სიტყვებს, თითქოს თვითონ გემის პატრონს გადაუკრა სიტყვაო. მისი გამომცდელი თვალელები კი ამ დროს ცდილობდნენ გულის სიღრმეში ჩასწვდომოდნენ იმ კაცს, რომელიც ბედავდა სხვისი გულისათვის ეშუამდგომლა მაშინ, როდესაც თვითონ საჭიროებდა შეწყნარებას.

მორელი გაწითლდა, რადგან პოლიტიკურ შეხედულებებში სინდისი სუფთა არ ჰქონდა. გარდა ამისა, დანტესმა ხომ გაანდო მას საიდუმლოება, რომ იმპერატორთან ჰქონდა საუბარი და მარშალის მიერ მეზღვაურისათვის ნათქვამი რამდენიმე სიტყვა მას გონებას უბნევდა. მაგრამ მორელმა, მიუხედავად ამისა, კიდევ უფრო მეტი დაჟინებით განაგრძო თხოვნა.

— გემუდარებით, ბატონო დე ვილფორ, იყავით ისეთი სამართლიანი, როგორც საერთოდ უნდა იყოთ. კეთილი, როგორც ყოველთვისა ხართ და რაც შეიძლება ჩქარა დაგვიბრუნეთ საწყალი დანტესი.

«დაგვიბრუნეთ», — ამ სიტყვამ რევოლუციურ ჰანგზე გაიწვრიალა მეფის პროკურორის თანაშემწის ყურებში.

— «ჰო! ჰო! — ჩაიჩურჩულა ვილფორმა თავისთვის, — დაგვიბრუნეთ.....ეს დანტესი ხომ არ ეკუთვნის კარბონარების¹ (¹ კარბონარები — წევრები ფარული რევოლუციური საზოგადოებისა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში იტალიაში დაარსდა, ხოლო შემდეგ საფრანგეთში გავრცელდა. მისი მთავარი მიზანი იყო, იტალიის გათავისუფლება და გაერთიანება.) რომელიმე სექტას. მისმა მფარველმა ასე დაუფიქრებლად, მთელი კოლექტივის სახელით ხომ არ მომმართა? ვგონებ, კომისარმა მითხრა, რომ იგი სამიკიტნოში დააპატიმრეს და ისიც მრავალრიცხოვან მოქეიფეთა შორის. ეს, ალბათ, მთელი ბანდა იქნება. — შემდეგ კი ხმამაღლა თქვა:

— თქვენ შეგიძლიათ სავსებით დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, თუ ბრალდებული დამნაშავე არ არის, ტყუილად მიმართავთ ჩემს სამართლიან გრძნობას. მაგრამ, პირიქით, თუ იგი დამნაშავეა, ჩვენ ისეთ მძიმე დროში ვცხოვრობთ, რომ სასჯელის აცილება საბედისწერო იქნებოდა და ამიტომაც იძულებული ვიქნები, შევასრულო ჩემი მოვალეობა.

ამ საუბრის დროს ვილფორმა თანდათან უახლოვდებოდა თავის ბინას, რომელიც სასამართლოს შენობაზე იყო მიდგმული და, როდესაც უკვე კარებთან აღმოჩნდა, გულცივი თავაზიანობით გამოეთხოვა საწყალ მორელს, რომელიც გაქვავებულივით იმავე ადგილზე დარჩა, სადაც ვილფორმა დატოვა.

მოსაცდელი ოთახი სავსე იყო ჟანდარმებითა და პოლიციელებით. მათ შორის, სიძულვილის მფრქვევი თვალელებით გარშემორტყმული, მშვიდად და უძრავად იდგა პატიმარი.

ვილფორმა გაიარა მოსაცდელი ოთახი, აღმაცერად, სწრაფად შეავლო თვალი დანტესს და, როდესაც პოლიციელისაგან ქალაღებების შეკვრა მიიღო, შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— შემოიყვანეთ პატიმარი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო თვალის სწრაფი გადავლება, ვილფორისათვის იგი მაინც საკმარისი აღმოჩნდა, რათა წარმოდგენა ჰქონოდა პიროვნებაზე, რომელიც უნდა

დაეკითხა. ფართო და გახსნილ შუბლზე შეატყო, რომ გონიერ ყმაწვილთან ჰქონდა საქმე; უძრავი მზერა და მოღუშული წარბები მის სიმამაცეს მეტყველებდნენ, ხოლო გულწრფელობას ამტკიცებდა სქელი და ნახევრადღია ტუჩები, რომლებიც ორ მწკრივად განლაგებულ სპილოს ძვლებივით თეთრ კბილებს ფარავდა.

პირველი შთაბეჭდილება დანტესისათვის სასარგებლო აღმოჩნდა, მაგრამ ვილფორს ხშირად გაუგონია: პოლიტიკური სიბრძნის არსი სწორედ ისაა, რომ პირველ გულისთქმას არ მიენდო, რადგან იგი ყოველთვის კეთილშობილურიაო. ამიტომ არ აჰყვამთავის პირველ შთაბეჭდილებას და ანგარიში არ გაუწია იმ განსხვავებას, რაც გულისთქმასა და შთაბეჭდილებას შორის არსებობს.

მან ჩაიხშო კეთილი გრძობები, რომლებიც ცდილობდნენ გულში შეჭროდნენ, რათა იქიდან მის გონებას დაუფლებოდნენ. ვილფორმა სარკის წინ წესრიგში მოიყვანა თავისი თავი, მიიღო სადღესასწაულო იერი, ისე როგორც დიდი დღესასწაულის დღეებში და მრისხანე სახით საწერ მაგიდას მიუჯდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დანტესიც შემოვიდა.

ყმაწვილი კაცი ფერმიხდილი იყო, მაგრამ დამშვიდებული ილიმებოდა. იგი ძალდაუტანებელი ზრდილობით მიესალმა მოსამართლეს, შემდეგ თვალებით სკამი მოძებნა, თითქოს მორელის დარბაზში ყოფილიყო.

აი, მხოლოდ მაშინ შეხვდა მისი თვალები ვილფორის უსიცოცხლო გამოხედვას, რაც ისე დამახასიათებელია მართლმსაჯულთა მსახურთათვის, რომელთაც არ სურთ სხვებმა ამოიკითხონ მათი გულისნადები და ამიტომ თვალებს მქრქალ მინასავით გაუმჭვირვალს ხდიან. ამ გამოხედვამ დანტესს მოაგონა, რომ მართლმსაჯულების წინაშე იდგა.

— ვინ ხართ, და რა გქვიათ? — ჰკითხა ვილფორმა და გადაქექა პოლიციელის მიერ გადაცემული ქაღალდების შეკვრა, რომელიც ერთი საათის განმავლობაში საკმაოდ დიდ საქმედ ქცეულიყო. აი, რამდენად სწრაფად ედება ჯამშუმების მიერ შექმნილი ჭუჭყი იმ უბედურ სხეულს, რომელსაც ბრალდებული ჰქვია.

— მე ედმონდ დანტესს მეძახიან, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა მშვიდი და მჟღერი ხმით, — კაპიტანის თანაშემწე გახლავართ «ფარაონზე», რომელიც ეკუთვნის ფირმას «მორელი და ვაჟიშვილი».

— თქვენი წლოვანება? — განაგრძობდა ვილფორი.

— ცხრამეტის გახლავართ, — უპასუხა დანტესმა.

— რას აკეთებდით, როდესაც დაგაპატიმრეს?

— ნიშნობა მქონდა, — უპასუხა დანტესმა მთრთოლვარე ხმით, იმდენად დიდი იყო სხვაობა მხიარულ ნადიმსა და ამ სამწუხარო ცერემონიალს შორის, რომელიც ახლა ხდებოდა, ვილფორის მოღუშულ სახესა და მერსედესის გაბრწყინებულ მზერას შორის.

— ნიშნობა გქონდათ? — ჰკითხა ვილფორმა და უნებურად შეკრთა.

— დიახ, ბატონო, მე ცოლად ვთხოვლობ ქალიშვილს, რომელიც უკვე სამი წელია მიყვარს.

ამ უცნაურმა დამთხვევამ ჩვეულებრივად უგრძობ ვილფორზედაც იქონია გავლენა და დანტესის აღელვებულმა ხმამ მისი გულის სიღრმეში თანაგრძნობის გამოძახილი ჰპოვა. თვითონ ისიც ხომ ცოლს თხოვლობდა, თვითონაც ხომ ბედნიერი და მხიარული იყო. მოვიდნენ და დაურღვიეს ეს მხიარულება იმისათვის, რომ მას დაენგრია ბედნიერება იმ ადამიანისა, რომელიც უკვე მიახლოებოდა ნეტარების მწვერვალს.

«ასეთი ფილოსოფიური დაპირისპირება, — გაიფიქრა ვილფორმა, — დიდ ეფექტს მოახდენს მარკიზ დე სენ-მერანის სალონში». სანამ დანტესი ახალ შეკითხვას უცდიდა, ვილფორმა გონებაში წინასწარ დაიწყო შერჩევა იმ ანტიითეზებისა, რომელთა

დახმარებითაც ორატორები აყალიბებენ ბრწყინვალე აზრებს, რათა ტაში დაიმსახურონ და ზოგჯერ მჭევრმეტყველების შთაბეჭდმილებასაც კი ახდენენ.

როდესაც ვილფორმა გონებაში უკვე ჩამოაყალიბა თავისი მოხდენილი სპიჩი¹, (¹ სპიჩი — სიტყვა (ინგლ.) წინასწარ გაეცინა მოსალოდნელი ეფექტის გამო და დანტესს მიუბრუნდა.

— განაგრძეთ.

— რა განვაგრძო?

— გულახდილად აუწყეთ ყოველივე მართლმსაჯულებას.

— მართლმსაჯულებამ მითხრას, რის გაგება სურს და მე მოვახსენებ ყოველივეს, რაც კი ვიცი. თუმცა, — დაუმატა მან ღიმილით, — წინასწარ გიცხადებთ, რომ ბევრი არაფერი ვიცი.

— გიმსახურიათ უზურპატორის დროს?

— როდესაც ის დაეცა, მე სამხედრო ფლოტში უნდა ჩავერიცხეთ.

— თქვენზე ამბობენ, უკიდურესი პოლიტიკური მრწამსის მატარებელიაო, — უთხრა ვილფორმა, თუმცა მასთან ამის შესახებ სიტყვაც არავის დაუძრავს, მაგრამ მაინც შეეცადა, ეს დებულება ბრალდებად წაეყენებინა.

— ჩემი პოლიტიკური მრწამსი!.. ეჰ, რას იზამთ! თქმაც კი სირცხვილია. მე არასოდეს არ მქონია ის, რასაც მრწამსი ჰქვია. უკვე მქონდა პატივი მომეხსენებინა თქვენთვის, რომ ცხრამეტი წლისა გახლავართ, არაფერი ვიცი და არ ვარ მოწოდებული ამ ქვეყნად რაიმე განსაკუთრებული როლი ვითამაშო. იმ უბრალო თანამდებობისათვის, რომელიც ახლა მაქვს, ან შეიძლება მომავალში დავიჭირო, თუკი მომცემენ იმ ადგილს, რომელზედაც ვოცნებობ, მხოლოდ ბატონ მორელს უნდა ვუმაღლოდე, მხოლოდ მისგან ვიქნები დავალებული. ამიტომ მთელი ჩემი მრწამსი, არ ვიტყვოდი პოლიტიკური-მეთქი, არამედ პირადი, თავს იყრის სამ გრძნობაში: მე მიყვარს მამაჩემი, პატივს ვცემ ბატონ მორელს და ვაღმერთებ მერსედესს. აი, ბატონო, ყველაფერი ის, რაც შემიძლია მართლმსაჯულებას მოვახსენო. და, როგორც ხედავთ, ყოველივე ეს მართლმსაჯულებისათვის ნაკლებად საინტერესოა.

სანამ დანტესი ლაპარაკობდა, ვილფორი აკვირდებოდა მის ერთსა და იმავე დროს მშვიდსა და ნათელ სახეს. მოაგონდა რენეს სიტყვები, რომელიც ბრალდებულს არ იცნობდა და მაინც შეწყნარებას სთხოვდა. პროკურორის თანაშემწე, რომელიც გაწაფული იყო დამნაშავისა და დანაშაულებრივი საქმეების გამოცხადებაში. დანტესის ყოველ სიტყვაში მისი უდანაშაულობის საბუთს ხედავდა. მართლაც, ყმაწვილი კაცი, შეიძლება ითქვას, თითქმის ბავშვი, ისე ალაღმართლად და გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ასეთი ლაპარაკი შეუძლებელი იყო ხელოვნურად, უგულოდ; ის თითქოს სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული ყველას მიმართ, რადგან ბედნიერი იყო, ხოლო ბედნიერება თვით ბოროტებსაც აკეთილშობილებს; ის თავის მოსამართლეს აფრქვევდა სინაზესა და სიკეთეს, რომლითაც სავსე იყო მისი გული. ვილფორი მკაცრად ექცეოდა მას, მაგრამ დანტესის ხმასა, მოძრაობასა და გამოხედვაში მხოლოდ სინაზე და სიკეთე გამოსჭვიოდა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მის დაჰკითხავდა.

«ღმერთმანი, — გაიფიქრა ვილფორმა, — მშვენიერი ყმაწვილია; ჩემთვის ძნელი არ იქნება რენეს პირველივე თხოვნა შევასრულო. მადლობის ნიშნად იგი მთელი საზოგადოების წინაშე ხელს ჩამომართმევს, ხოლო სადმე ბნელ კუნჭულში მომხიბლავი კოცნით დამაჯილდოებს».

ამ ტკბილმა იმედმა ვილფორს სახე გაუხსნა; როცა იგი თავისი ფიქრებისგან გამოერკვა და დანტესს შეხედა, რომელიც მოსამართლის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა, ამ უკანასკნელსაც გაეღიმა.

— გყავთ მტრები? — ჰკითხა ყმაწვილ კაცს ვილფორმა.

— მტრები? — გაიკვირვა დანტესმა, — საბედნიეროდ, მე ჯერ ისეთი მდგომარეობა არა მაქვს, რომ მტერი გამჩენოდა. რაც შეეხება ჩემს ოდნავ ფიცხ ხასიათს, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემს ხელქვეითებთან თავი შემეკავებინა და არ გამომეჩინა ეს ხასიათი. ჩემს ხელქვეით ათი-თორმეტი მეზღვაურია. ჰკითხეთ მათ და ისინი გეტყვიან, რომ ვუყვარვარ და მაფასებენ არა როგორც მამას, არა, ამისათვის მე ძალიან ახალგაზრდა ვარ, არამედ როგორც უფროს ძმას.

— თუ მტრები არ გყავთ, შეიძლება გყავდეთ მოშურნე. ცხრამეტი წლისას კაპიტნად გნიშნავენ, ეს დიდი თანამდებობაა. უნდა შეირთოთ ლამაზი ქალიშვილი, რომელსაც თქვენ უყვარხართ, ეს კი იშვიათი ბედნიერებაა დედამიწაზე მცხოვრებ ყველა მდგომარეობის ადამიანისათვის. შესაძლოა ამ ორმა უპირატესობამ მოშურნენი შეგძინათ..

— დიახ, მართალი ბრძანდებით, თქვენ, ალბათ, ჩემზე უკეთ იცნობთ ადამიანებს და ეს შესაძლოა ასეც იყოს. მაგრამ თუ ჩემს მეგობართა შორის მოშურნენი მოიპოვებინა, გარწმუნებთ, რომ არ მინდა ვიცოდე, ვინ არიან ისინი, რათა იძულებული არ გავხდე მათდამი სიძულვილი ვიგრძნო.

— ამაში სცდებით. პირიქით, რამდენადაც ეს შესაძლოა, თქვენს ირგვლივ ნათლად უნდა ხედავდეთ ყველაფერს. მართალი გითხრათ, ღირსეულ ყმაწვილად მიმაჩნიახართ, რომ თქვენი გულისათვის გადავუხვიო მართლმსაჯულების დაწესებულ წესებს. დამეხმარეთ სიმართლის გამორკვევაში. აი, დაბეზღების ბარათი, რომელმაც ჩემამდე მოგიყვანათ. აი, ისიც, თქვენი საბრალმდებლო ქაღალდი. ეგებ ხელი იცნოთ?

ვილფორმა ჯიბიდან წერილი ამოიღო და დანტესს გაუწოდა. დანტესმა ბარათს დახედა, წაიკითხა და შუბლი მოეღრუბლა.

— არა, ბატონო, — მიმართა მან ვილფორს, — ვერა ვცნობ. ხელი შეცვლილია; თუმცა საკმაოდ მტკიცეა. ასეა თუ ისე, ეს მეტად მოხერხებული ადამიანის საქმეა. მე ბედნიერი ვარ, — დაუმატა მან და ვილფორს მადლობის გრძნობით შეხედა, — რომ საქმე მაქვს ისეთ ადამიანთან, როგორც თქვენ ბრძანდებით, რადგან ჩემი მოშურნე ნამდვილად ჩემი მტერი ყოფილა. — ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ყმაწვილი კაცის თვალებში ისეთმა ნაპერწკალმა იელვა, რომ ვილფორს საშუალება მიეცა გაეგო, თუ რა დიდი ფარული ძალა იმალებოდა ყმაწვილი კაცის გარეგნულ სიმშვიდეში.

— აი, ახლა კი გულახდილად მიპასუხეთ, — უთხრა ვილფორმა, — არა როგორც ბრალდებულმა მოსამართლეს, არამედ როგორც გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი უპასუხებს იმას, ვინც მისი ბედითაა დაინტერესებული: რა არის მართალი ამ წერილში?

ვილფორმა საწერ მაგიდაზე ზიზღით გადაისროლა წერილი, რომელიც მას დანტესმა დაუბრუნა.

— ყველაფერი და ამავე დროს არაფერი. ხოლო ნამდვილი სიმართლე თუ გნებავთ, გეფიცებით მეზღვაურის პატიოსნებას, გეფიცებით ჩემს სიყვარულს მერსედესისადმი, გეფიცებით მამაჩემის სიცოცხლეს, რომ..

— ილაპარაკეთ, უთხრა ვილფორმა და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა: «რენეს რომ ახლა ჩემი დანახვა შეეძლოს, უსათუოდ კმაყოფილი დარჩებოდა და აღარ მიწოდებდა ჯალათს».

— კეთილი, მოგახსენებთ: ნეაპოლის დატოვების შემდეგ კაპიტანი ლეკლერი ტვინის ანთებით გახდა ავად; გემზე ექიმი არ გყავდა და არც ლეკლერი გვაძლევდა ნებას, სადმე შევჩერებულიყავით, რადგან მას ეჩქარებოდა კუნძულ ელბაზე მისვლა. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. მესამე დღეს, როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ლოგინთან მიმიხმო და მითხრა:

— ჩემო ძვირფასო დანტეს, შემომფიცე პატიოსნება, რომ აღასრულებ, რასაც გეტყვი, საქმე მეტად სერიოზულია.

— გეფიცებით, — ვუპასუხე მე.

— რაკი ჩემი სიკვდილის შემდეგ გემზე უფროსობა კანონით თქვენ მოგეკუთვნებათ, როგორც კაპიტნის თანაშემწეს, თქვენ მიიღებთ ამ უფროსობას, გაემართებით კუნძულ ელბასაკენ, გადახვალთ პორტო-ფერაიოში, იკითხავთ დიდ მარშალს და გადასცემთ ჩემს მიერ გადმოცემულ წერილს. შეიძლება მანაც მოგცეთ წერილი ან სხვა რაიმე დავალება, რომელიც მე უნდა მიმეღო. დანტეს, ჩემს მაგივრად თქვენ შეასრულებთ ყოველივე ამას და მთელი დამსახურება თქვენი იქნება.

— მე ამას შევასრულებ, კაპიტანო, მაგრამ შეიძლება არც ისე ადვილი იყოს მარშალთან მისვლა, როგორც ამას თქვენ ფიქრობთ.

— აი, ბეჭედი, რომელიც თქვენ მასთან მიგაღწევინებთ და რომლითაც ყველა თქვენი წინააღმდეგობა დაძლეული იქნება, — მითხრა კაპიტანმა.

ამ სიტყვებით მან ბეჭედი გადმომცა. სწორედ დროზე მოასწრო. ორი საათის შემდეგ გონება დაკარგა, მეორე დილით კი უკვე აღარ იყო.

— მერე როგორღა მოიქეცი?

— რა უნდა მექნა. გავაკეთე ის, რასაც გააკეთებდა ყველა ჩემს ადგილზე მყოფი ადამიანი. მოგეხსენებათ, მომაკვდავთა თხოვნა ყოვლად წმინდათა წმინდად ითვლება, ჩვენთვის კი, მეზღვაურებისათვის, უფროსის თხოვნა — ბრძანებაა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამგვარად, მე ელბასაკენ გავემართე და მეორე დღეს უკვე იქ ვიყავი, ყველანი გემზე დავტოვე და მარტო მე გადავედი ნაპირზე. როგორც წინასწარვე ვგრძნობდი, გაუძნელდათ ჩემი დიდ მარშალთან შეშვება, მაგრამ გავუზავნე თუ არა ის ბეჭედი, ჩემთვის ყველა კარი ღია აღმოჩნდა. დიდმა მარშალმა მიმიღო, გამომკითხა კაპიტან ლეკლერის სიკვდილის ამბავი და, როგორც განსვენებულმა იწინასწარმეტყველა, წერილი გადმომცა და დამავალა, პირადად ჩამეტანა პარიზში. მეც აღვუთქვი, ამით ვასრულებდი ჩემი კაპიტანის უკანასკნელ დავალებას. როგორც კი მარსელში მიწაზე ფეხი დავდგი, მაშინვე მოვაგვარე გემის საქმეები და გავიქეცი ჩემი საცოლისაკენ. რომელიც ახლა უფრო მომხიზვლელი მეჩვენა. ბატონი მორელის წყალობით ჩვენ მოვაწესრიგეთ საეკლესიო ფორმალური მხარეები და, ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, ნიშნობის წვეულება გვქონდა, ერთ საათში ჯვარიც უნდა დაგვეწერა. მეორე დღეს განზრახული მქონდა პარიზში გავმგზავრებულიყავი, რომ უეცრად ამ დაბეზლების ბარათის გამო, რომელიც ვგონებ, თქვენც ისევე გეზიზღებათ, როგორც მე, დამაპატიმრეს.

— დიახ, დიახ, — ჩაილაპარაკა ვილფორმა, — ყოველივე ეს მე სრულ სიმართლედ მიმაჩნია, და თუ თქვენ რაიმეში ხართ დამნაშავე მხოლოდ იმაში, რომ გაუფრთხილებლობა გამოიჩინეთ, ესეც იმიტომ მოგსვლიათ, რომ კაპიტნის ბრძანება გქონდათ. მიბოძეთ წერილი, რომელიც ელბაზე მიიღეთ. მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ პირველ გამოძახებისთანავე გამოცხადდებით; ახლა კი წაბრძანდით, დაუბრუნდით თქვენს მეგობრებს.

— მაშ მე თავისუფალი ვარ! — შეჰყვირა სიხარულისაგან აღტაცებულმა დანტესმა.

— დიახ, მხოლოდ ის წერილი გადმომეცით.

— ის, ვგონებ, თქვენს წინ დევს, სხვა ჩემს საბუთებთან ერთად ჩამომართვეს, მე მას ვცნობ, მაგ ქაღალდების შეკვრაში, მაგიდაზე რომ დევს.

— მოიცათ, — შეაჩერა ვილფორმა დანტესი, რომელსაც ის იყო ქუდი და ხელთათმანები უნდა აეღო, — რა მისამართია წერილზე?

— პარიზი, კოკ-ერონის ქუჩა, ბატონ ნუარტიეს.

ვილფორს თითქოს მეხი დაეცა, იგი სავარძელში ღრმად ჩავარდა; მხოლოდ იმისთვის წამოიწია, რომ დანტესისთვის ჩამორთმეული ქაღალდების შეკვრა აეღო. მან სწრაფად გადასინჯა ეს ქაღალდები, ამოიღო ის საბედისწერო წერილი და გამოუთქმელი შიშით დააშტერდა.

— ბატონი ნუარტიე, კოკ-ერონის ქუჩა №13, — ჩაილაპარაკა მან და უფრო მეტად გაფითრდა.

— ზუსტად ასეა, განა იცნობთ თქვენ მას?

— არა, — სწრაფად უპასუხა ვილფორმა, — მეფის ერთგული მსახური არ იცნობს შეთქმულების მონაწილეებს.

— მაშ, როგორც ჩანს, საქმე შეთქმულებას შეეხება? — იკითხა დანტესმა, რომელმაც, მას შემდეგ, რაც თავისუფლად მიიჩნია თავი, იგრძნო, რომ საქმე სხვანაირად შეტრიალდა და უფრო შეშინდა, ვიდრე დაპატიმრების დროს. — ყოველ შემთხვევაში, ბატონო ჩემო, მე თქვენ მოგახსენეთ, რომ წერილის შინაარსი არ ვიცი.

— დიახ, — უთხრა ვილფორმა ყრუ ხმით, — მაგრამ თქვენ იცით იმის გვარი, ვისაც სწერენ მას.

— რათა პირადად გადამეცა, მე უნდა მცოდნოდა გვარი.

— არავისთვის არ გიჩვენებიათ ეს წერილი? — ჰკითხა ვილფორმა.

— არავისთვის, ვფიცავ პატიოსნებას!

— არავინ იცის, რომ თქვენ კუნძულ ელბადან მოგქონდათ წერილი ბატონ ნუარტიესთან?

— არავინ, ბატონო, გარდა იმისა, ვინც გამომატანა.

— ესეც ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს ნიშნავს; — ჩაილულულა ვილფორმა.

ვილფორი თვალს არ აშორებდა წერილს; სახე სულ უფრო და უფრო ეღუმებოდა; მისი გადაფითრებული ტუჩები, აცაცხაცებული ხელები, გაცეცხლებული თვალები დანტესში სამწუხარო წინათგრძნობას ბადებდა.

წერილის კითხვის დამთავრების შემდეგ ვილფორმა თავზე ხელები შემოიჭდო და ცოტა ხანს გაირინდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მოგივიდათ, ბატონო? — ჰკითხა მორცხვად დანტესმა.

ვილფორმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ სიმწრისაგან დაღრუჯილი სახე მადლა ასწია და წერილი ხელმეორედ გადაიკითხა.

— თქვენ ამბობთ, რომ არ იცნობთ წერილის შინაარსს? — გაუმეორა კითხვა ვილფორმა.

— კვლავ იმასვე ვიმეორებ, რაც უკვე მოგახსენეთ. პატიოსნებას გეფიცებით, რომ არაფერი ვიცი. მაგრამ რა მოგდით? თქვენ ცუდად ხართ? გნებავთ, დავუძახებ ვინმეს?

— არა, — უთხრა ვილფორმა და სწრაფად წამოდგა. — ერთ ადგილას გაჩერდით და კრინტი არ დაძრათ, აქ მე ვიძლევი ბრძანებებს და არა თქვენ.

— მომიტევეთ, — უთხრა წყენით დანტესმა, — მე მინდოდა დაგხმარებოდით.

— მე არავითარ დახმარებას არ ვსაჭიროებ, მხოლოდ წუთიერმა სისუსტემ შემიპყრო და სხვა არაფერი. თქვენ თავს მიხედეთ, ჩემთვის ნუ წუხდებით. თქვენ მხოლოდ მიპასუხეთ.

დანტესი ელოდა ახალ შეკითხვას, მაგრამ ამოდ, ვილფორი სავარძელში ჩაეშვა, ყინულივით ცივი ხელით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მესამედ დაიწყო წერილის კითხვა.

— თუ მან წერილის შინაარსი იცის და თუ ოდესმე გაიგო, რომ ნუარტიე ვილფორის მამაა, მე დავიღუპები სამუდამოდ, — ჩაილულულა მან. ის დროდადრო უცქეროდა დანტესს, თითქოს მის თვალთა ისრებს შეეძლო შეჭრილიყვნენ იმ დაუნახავი კედლების

იქით, რომლებიც გულის საიდუმლოებას ჰკეტავენ და რომელსაც დარაჯებად ბაგეები უდგანან.

— არაფერი თქვათ! — წამოიყვირა უცებ მან.

— ვფიცავ ზეცას! — შესძახა უბედურმა ყმაწვილმა, — თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ჩემში, დამკითხეთ, მე მზად ვარ გიპასუხოთ.

ვილფორმა თავს ძალა დაატანა და შეეცადა, სიმტკიცე მიეცა თავისი ხმისათვის:

— თქვენი ჩვენებიდან მეტად მძიმე ბრალდება გედებათ, ამიტომ არ მაქვს უფლება ახლავე გაგათავისუფლოთ, როგორც ამას ადრე დაგპირდით. სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებდე, გამომძიებელს უნდა მოვეთათბირო, მანამდე კი, ხომ ხედავთ, როგორ გექცევით.

— დიახ, დიახ, — შეჰყვირა დანტესმა, — მე მადლობელი ვარ, თქვენ ისე მომექცევით, როგორც მეგობარი და არა როგორც მოსამართლე.

— მაშ, ასე, მე კიდევ ცოტა ხანს დაგაკავებთ, მაგრამ რამდენადაც შემეძლება, ვეცდები დიდხანს არ გასტანოს თქვენმა პატიმრობამ. მთავარი ბრალდება, რომელიც თქვენს მიმართ არსებობს, ეს წერილია და აი, შეხედეთ...

ვილფორი ბუხარს მიუახლოვდა, წერილი ცეცხლში ჩააგდო და დაუცადა, სანამ სულ არ დაიწვა.

— ხედავთ, მე მოვსპე იგი.

— თქვენ უფრო ძლიერი ხართ, ვიდრე მართლმსაჯულება, — შეჰყვირა დანტესმა, — თქვენ თვით სიკეთე ხართ.

— მაგრამ მისმინეთ, — განაგრძო ვილფორმა, — ასეთი საქციელის შემდეგ, თქვენ, რასაკვირველია, მიხვდებით, რომ შეგიძლიათ მენდოთ, ხომ?

— ბრძანეთ, მე შევასრულებ თქვენს ბრძანებას.

— არა. — უპასუხა ვილფორმა, — მე როდი მინდა გიბრძანოთ, ეს მხოლოდ რჩევას, გასაგებია?

— მითხარით და თქვენს რჩევას ისევე შევასრულებ, როგორც ბრძანებას.

— მე თქვენ საღამომდე აქ, სასამართლოს შენობაში დაგტოვებთ. მანამდე შეიძლება სხვამ დაგკითხოთ. უთხარით ყველაფერი, რაც მომიყვებით, მაგრამ წერილზე კრინტი არ დასძრათ.

— პირობას გაძლევთ, ბატონო!

ახლა რომ შეგეხედათ, იტყოდით, ვილფორი ითხოვს შეწყალებას და ბრალდებული ამშვიდებს მოსამართლესო.

— თქვენ გესმით, — განაგრძო ვილფორმა და გადახედა ფერფლს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა წერილის ფორმა, — ახლა წერილი განადგურებულია, და მხოლოდ მე და თქვენ ვიცით, რომ იგი არსებობდა. თქვენ მას ველარ წარმოგიდგენენ და თუ მის შესახებ დაგიწყებენ ლაპარაკს, უარყავით, უარყავით გაბედულად და თქვენ გადარჩებით.

— მე უარყვოვ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უთხრა დანტესმა.

— კეთილი, — თქვა ვილფორმა და ზარის დარეკვა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და ჰკითხა:

— თქვენ მხოლოდ ეს წერილი გქონდათ?

— მხოლოდ ეს.

— დაიფიცეთ!

დანტესმა ხელები ასწია.

— ვფიცავ! — თქვა მან.

ვილფორმა დარეკა.

შემოვიდა პოლიციის კომისარი. პროკურორის თანაშემწე მიუახლოვდა მას, ყურში რამდენიმე სიტყვა უთხრა. კომისარმა თავის ქნევით უპასუხა.

— გაჰყევით კომისარს, — უთხრა ვილფორმა დანტესს.

ყმაწვილმა კაცმა თავი დაუქნია, უკანასკნელად კიდევ მადლობის გრძნობით გადახედა ვილფორს და გავიდა.

ის იყო კარები დაიხურა, რომ ვილფორს უკანასკნელმა ღონემ უმტყუნა და სავარძელზე თითქმის უგრძნობლად დაეშვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩურჩულით დაიწყო:

— ღმერთო ჩემო, რაზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე და ბედნიერება... მეფის პროკურორი რომ მარსელში ყოფილიყო, ჩემს მაგივრად რომ გამომძიებლისათვის დაეძახათ, მე დავიღუპებოდი... ეს ქალაქი, ეს წყეული წერილი უფსკრულში გადამისროდა..... ოჰ, მამაჩემო! ნუთუ თქვენ ამ ქვეყანაზე ყოველთვის წინ უნდა გადაეღობოთ ჩემს ბედნიერებას? ნუთუ ყოველთვის თქვენს წარსულს უნდა ვებრძოლო?

შემდეგ გონებაში თითქოს მოულოდნელმა ნათელმა აზრმა გაურბინა და სიბრაზისაგან ჯერ ისევ მოკუმულ ტუჩებზე ღიმილმა გადაუარა. ამღვრეული თვალები დაუშვიდდა და, ასე გეგონებოდათ, რაღაცა აზრს მიაგნო და იმას ჩასჩერებიაო.

— დიახ, დიახ! — შეჰყვირა მან, — ის წერილი, რომელსაც მე უნდა დავეღუპე, შეიძლება ჩემი ბედნიერების წყაროდ იქცეს. აბა, ვილფორ, საქმეს შეუდექი!

ამის შემდეგ, დარწმუნებული, რომ ბრალდებული უკვე მოსაცდელ ოთახში აღარ იყო, გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯით თავისი საცოლის სახლისკენ გაემშურა.

VIII

ციხესიმაგრე იფი

მოსაცდელი ოთახის გავლისას პოლიციის კომისარმა ორ ჟანდარმს რაღაც ანიშნა. იმ წუთშივე ერთი მათგანი მარჯნივ ამოუდგა დანტესს, მეორე — მარცხნივ, გამოაღეს კარი, რომელიც სასამართლოს შენობაში გადიოდა და პატიმარი გაიყვანეს ერთ-ერთ იმ დიდ და ბნელ დერეფანში, რომელიც შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა იმათაც კი, ვისაც არავითარი საბაზი არ ჰქონდა ასეთი განცდისათვის.

ვილფორის ბინა სასამართლოს შენობაზე იყო მიდგმული, ხოლო ეს უკანასკნელიც თავის მხრივ ეკვროდა სატუსაღოს, იმ პირქუშ შენობას, რომელსაც ყველა თავისი პირდაღებული თალებით ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა მის წინ აღმართული აკულის სამრეკლო.

პატიმარმა და მისმა მცველებმა დერეფანში რამდენჯერმე შეუხვ-შემოუხვიეს და მიადგნენ კარს, რომელსაც რკინის გისოსიანი სარკმელი ჰქონდა. პოლიციის კომისარმა სამჯერ დაჰკრა რკინის ჩაქუჩი; დანტესს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გულზე ურტყამდნენ ამ ჩაქუჩს. კარი გაიღო და პატიმარი, რომელიც ჯერ ისევ ყოყმანობდა, კარის ზღურბლზე გადაეხიჯებინა თუ არა, მცველებმა ხელის მსუბუქი კვრით შეაგდეს. დანტესმა გადადგა ფეხი საშინელ ზღურბლზე და კარი ხმაურით მოიხურა. ის უკვე სხვა ჰაერით სუნთქავდა. დანტესი სატუსაღოში იყო.

ის შეიყვანეს საკმაოდ სუფთა, მაგრამ მძიმე ურდულით ჩარაზულ საკანში, რომელსაც რკინის ბადეებიანი სარკმლები ჰქონდა. ამ ახალმა სამყოფელმა დანტესს მაინც არავითარი შიში არ განაცდევინა; უფრო მეტი, მეფის პროკურორის თანაშემწის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომელნიც დანტესს თანაგრძნობის გამომხატველად ეჩვენა, ახლა ყურებში საიმედოდ უჟღერდნენ.

როდესაც დანტესი საკანში შეიყვანეს, დღის ოთხი საათი იქნებოდა. ეს ამბავი კი, როგორც უკვე ვთქვით, პირველ მარტს მოხდა, როდესაც დღე ასე მოკლეა და ამიტომ პატიმარი ძალიან მალე მოექცა ღამის წყვდიადში.

დანტესს სმენა გაუმახვილდა, სულ უმცირეს შორეულ ხმაურზედაც კი ადგილიდან სწრაფად წამოხტებოდა ხოლმე და, დარწმუნებული, რომ მის წასაყვანად მოვიდნენ, კარს მივარდებოდა. მაგრამ ხმაური სხვა მიმართულებით წყდებოდა და დანტესი ისევ მოწყვეტით ეშვებოდა ტაბურეტზე.

ბოლოს, დაახლოებით საღამოს ათ საათზე, როდესაც დანტესი იმედს უკვე ჰკარგავდა, დერეფანში ისევ გაისმა ხმაური; — «ახლა კი ნამდვილად ჩემთან მოდიანო», — გაიფიქრა პატიმარმა და, მართლაც, მისი საკნის კარებთან შეჩერდნენ, გადაატრიალეს გასაღები, ურდულმა დაიჭრიალა, გამოიღო მუხის სქელი კარი და ორი ჩირაღდნის შუქი უეცრად შეიჭრა ჩაბნელებულ საკანში.

ამ შუქზე დანტესმა დაინახა, როგორ იელვა ოთხი ჟანდარმის ხმლებმა და მუშკეტებმა.

დანტესს უნდოდა, წინ გავარდნილიყო, მაგრამ თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ჟანდარმების დანახვამ ერთ ადგილზე გააშეშა. — თქვენ მე მომაკითხეთ? — ჰკითხა დანტესმა.

— დიახ. — უპასუხა ერთმა ჟანდარმთაგანმა.

— მეფის პროკურორის თანაშემწის ბრძანებით?

— რასაკვირველია.

— კარგი, — უთხრა დანტესმა, — მზად ვარ გამოგყვეთ.

რაკი დარწმუნდა, რომ დე ვილფორის სახელით მოაკითხეს, საწყალ დანტესს შიში გაეფანტა. ის დამშვიდებული და გაბედული ნაბიჯებით გავიდა და თვითონვე ჩადგა ჟანდარმთა შუა. სატუსალოს კართან დახურული ეტლი იდგა, კოფოზე მეეტლე იჯდა, ხოლო მის გვერდით — ბოქაული.

— ეს ეტლი ჩემთვისაა? — იკითხა დანტესმა.

— დიახ, თქვენთვის, — უპასუხა ერთმა ჟანდარმმა, — ჩაბრძანდით.

დანტესი შეეყოყმანდა, უნდოდა შეპასუხებოდა, მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ ხელი ჰკრეს და ეტლში შეაგდეს. მას არც საშუალება ჰქონდა და არც სურვილი, წინააღმდეგობა გაეწია. ერთ წუთში ეტლის უკანა სკამზე ორ ჟანდარმს შუა აღმოჩნდა, დანარჩენი ორი ჟანდარმი წინ დაუჯდა და ეტლი საბედისწერო ხმაურით დაიდრა.

პატიმარმა თვალი მოავლო ეტლს, მას ირგვლივ რკინის გისოსიანი სარკმლები ჰქონდა. მან მხოლოდ სატუსალო შეიცვალა. განსხვავება ის იყო, რომ ეს სატუსალო ბორბლებზე იდგა, მიგორავდა და გაურკვეველი ადგილისაკენ მიჰყავდა იგი. სარკმლის რკინის ბადეებიდან, რომელშიც კაცი ხელს ძლივს გამოჰყოფდა, დანტესმა შეძლო გაერჩია, რომ კესერის ქუჩით მიჰყავდათ, ხოლო შემდეგ სენ-ლორანის და ტარამის ქუჩით სანაპიროზე დაეშვნენ.

ძალიან მალე სარკმლის რიკულებსა და ძეგლების გარშემო შემოვლებულ რკინის რიკულებს შუა, რომლებსაც ეტლმა ჩაუარა, მან შენიშნა ნავსადგურის სამმართველოს შენობაზე აღმართული ნათურები.

ეტლი გაჩერდა. ბოქაული ჩამოხტა კოფოდან და მიუახლოვდა სადარაჯოს, საიდანაც თორმეტი ჯარისკაცი გამოვიდა და ორ რიგად გამწკრივდა, მათ იარაღს ლაპლაპი გაჰქონდა სანაპიროზე ანთებული ფარნის შუქზე.

«ნუთუ ეს ყველაფერი ჩემი გულისთვისაა? ნუთუ მე დამიყენეს ასე შეიარაღებული ჯარისკაცები?» — ფიქრობდა დანტესი.

ბოქაულმა გააღო გასაღებით დაკეტილი კარი და ამით უსიტყვოდ გასცა პასუხი დანტესის კითხვას. ყმაწვილმა კაცმა დაინახა, რა ვიწრო გასასვლელი დაეტოვებინათ მისთვის ეტლიდან სანაპირომდე ორ რიგად გამწკრივებულ ჯარისკაცებს.

პირველად ჩამოვიდა ის ორი ჟანდარმი, რომლებიც დანტესის წინ ისხდნენ, მათ მიჰყვა პატიმარი, ხოლო შემდეგ ის ორი ჟანდარმი, რომელთა შუა დანტესი იჯდა. ყველანი იმ ნავის მიმართულებით გაემურნენ, რომელსაც საბაჟოს მოხელე ნაპირზე ჯაჭვით ამაგრებდა.

ჯარისკაცები ბრიყვული ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ დანტესს. ის მაშინვე დასვეს ნავის კიჩოსთან. იმგვარად, რომ ისევ ოთხ ჟანდარმს შუა მოქცეულიყო. ბოქაული კი ნავის ცხვირზე ჩამოჯდა. ღონიერმა ბიძგმა ნავი ნაპირს მოაშორა და ოთხმა მენავემ სწრაფად მოუსვა ნიჩბები. ნავიდან შემახილი გაისმა. ჯაჭვი, რომელიც ნავსადგურის შესასვლელს კეტავდა, დაეშვა და დანტესი აღმოჩნდა ეგრეთ წოდებულ ფრიოლში, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნავსადგურს გარეთ.

პატიმარს თავდაპირველად ესამოგნა სუფთა ჰაერი. ჰაერი — ეს თითქმის თავისუფლებაა. ღრმად სუნთქავდა მაცოცხლებელ ნიავს, რომელსაც თავის ფრთებზე მოჰქონდა ღამისა და ზღვის საიდუმლო სურნელი. მაგრამ დანტესს ძალიან ძაღვად აღმოხდა ოხვრა. ნავი მიცურავდა იმ «რეზერვის» გასწვრივ, სადაც ის ასე ბედნიერი იყო ჯერ კიდევ ამ დილით, დაპატიმრების წუთამდე. ორი ღია, განათებული ფანჯრიდან მის ყურამდე აღწევდა მეჯლისის მონაწილეთა ცეკვა-თამაშისა და სიმღერის ხმა.

დანტესმა გულხელი დაიკრიფა, თვალები ზეცას აღაპყრო და ლოცვა დაიწყო.

ნავი განაგრძობდა თავის გზას. მან ჩაუარა «მკვდარ თავს», ფარაოს ყურეს გაუსწორდა და გვერდი აუქცია ბატარეას. ეს მანევრი გაუგებარი იყო დანტესისათვის.

— კი მაგრამ, სად მიგყავართ? — ჰკითხა მან ერთ-ერთ ჟანდარმს.

— ძაღვს გაიგებთ.

— მაგრამ ჯერ.....

— აკრძალული გვაქვს თქვენთვის რაიმე ახსნა-განმარტების მოცემა.

დანტესი ნახევრად ჯარისკაცი იყო, შეკითხვების მიცემა ჟანდარმებისათვის, რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ მისთვის ეპასუხათ, უხერხულად ეჩვენა და გაჩუმდა.

დანტესს მეტისმეტად უცნაურმა აზრებმა გაურბინეს გონებაში. ასეთი ნავით შორს არ შეიძლებოდა წასვლა, ღუზაჩაშვებული გემი კი არსად ჩანდა; დანტესმა გაიფიქრა, სადმე მოშორებულ ადგილას ჩამომსვამენ, და მეტყვიან თავისუფალი ხარო. ის არ იყო შებოროტი და არც ცდილან ხელხუნდები დაედოთ! ეს კარგის მომასწავებლად მიიჩნია. ესეც რომ არა ყოფილიყო, განა მეფის პროკურორის თანაშემწემ, ამ კეთილმა და ალერსიანმა ადამიანმა, არ გააფრთხილა, იმ საბედისწერო სახელს — ნუარტიეს თუ არ ახსენებ, ნურაფრის შიში ნუ გექნებათო? მერედა ვილფორმა ხომ მის თვალწინ დაწვა ის საშიში წერილი, ერთადერთი საბუთი, რომელიც მის წინააღმდეგ არსებობდა.

ჩაფიქრებული, უსიტყვოდ ელოდა, რა მოხდებოდა და თან ღამის სიბნელეს გაჩვეული მეზღვაურის თვალით ცდილობდა სივრცე გაეზომა.

მარჯვნივ ჩამოიტოვეს შუქურით განათებული კუნძული რატონო და ნავი ნაპირ-ნაპირ ცურვით კატალანის ყურეს მიადგა. პატიმარს თვალები გაუფართოვდა. აქ ხომ მერსედესი ცხოვრობდა. ჩაბნელებულ სანაპიროზე მას ყოველ წუთს ეჩვენებოდა ქალის გაურკვეველი ლანდი.

ნუთუ გულმა არ უგრძნო მერსედესს, რომ მისგან სამასი მეტრის დაშორებით მის საყვარელ ადამიანს გაატარებდნენ?

მთელ კატალანში მხოლოდ ერთი ფანჯრიდან გამოკრთოდა სინათლე. დანტესმა იცნო თავისი საცოლის ოთახი. ამ პატარა სოფელში მარტო მერსედესს არ ეძინა, ხმამაღლა რომ დაეყვირა, ხმას კიდევაც მიაწვდენდა.

მაგრამ შერცხვა, რას იტყოდა ეს ხალხი მის გაშმაგებულ ყვირილზე? ამიტომ გაჩუმება არჩია. თვალები ფანჯარაზე დარჩა მიშტერებული, ნავი კვლავ მიცურავდა; მაგრამ პატიმარი ნავზე აღარ ფიქრობდა, მისი ფიქრი მერსედესს დასტრილებდა. ბოლოს სინათლის შუქი კლდის ქიმს მიეფარა. დანტესი მოტრიალდა და დაინახა, რომ ნაპირი შორს დარჩენილიყო.

სანამ ის თავის ფიქრებში იყო გართული, ნიჩბები იალქნებით შეეცვალათ და ნავი ქარის მიმართულებას მიჰყვებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დანტესს აღარ უნდოდა ახალი შეკითხვებით მიემართა ჟანდარმისათვის, მაინც მიუახლოვდა მას, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— ამხანაგო! პატიოსნებასა და ჯარისკაცის სახელს გაფიცვით, შემობრალეთ და მიპასუხეთ. მე ვარ კაპიტანი დანტესი, ნამდვილი, პატიოსანი ფრანგი. ვიცი, რაღაც ღალატში მდებენ ბრალს. მითხარით, სად მიგყავართ და გაძლევთ მეზღვაურის პატიოსან სიტყვას, მოვიხდი ვალს და დავემორჩილები ჩემს ბედს.

ჟანდარმმა კეფა მოიფხანა და თავის ამხანაგს გადახედა. ამ უკანასკნელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეუბნებოდა — უკვე ისეთ ადგილას ვართ, რომ ვგონებ, შეიძლება თქმაო. ჟანდარმი დანტესს მიუბრუნდა:

— თქვენ მარსელის მკვიდრი ხართ, ამავე დროს მეზღვაური, — უთხრა მან, — და მეკითხებით, სად მივდივართ?

— დიახ, პატიოსნებას გეფიცვებით, წარმოდგენა არა მაქვს,

— ვერ მიმხვდარხართ?

— ვერა.

— შეუძლებელია.

— გეფიცვით ყოველივეს, რაც ჩემთვის წმინდათა წმინდაა ამ ქვეყნად, რომ ეს ასეა. მოიღეთ მოწყალება და მითხარით:

— მერე, ბრძანება?

— ბრძანება არ გიკრძალავთ: მითხრათ ის, რასაც ათ წუთში, ნახევარ საათში ან შეიძლება ერთ საათში გავიგებ, თქვენ მხოლოდ თავს დამაღწევინებთ ამ გაუთავებელი ეჭვებისაგან. ამას, როგორც მეგობარს, ისე გთხოვთ, შემომხედეთ, არც წინააღმდეგობის გაწევას ვაპირებ, არც გაქცევას. ეს შეუძლებელიც არის, თქვით, სად მივდივართ?

— თუ თვალთ სინათლე არ დაგკლებიათ, მაშინ, ალბათ, არასოდეს გამოსცილებიხართ მარსელის ნავსადგურს, თორემ ახლა მაინც უნდა ხვდებოდეთ, სად მიდიხართ.

— მაინც ვერა ვხვდები.

— მაშ, მიიხედ-მოიხედეთ.

დანტესი წამოდგა და იმ მიმართულებით გაიხედა, საითაც ნავი მიცურავდა, მეხუთედი კილომეტრის დაშორებით მან შავ, ფრიალო კლდეზე გადმოკიდებული პირქუში ციხე-სიმაგრე იფი დაინახა.

ამ უცნაურმა სანახაობამ, რომლის ირგვლივ შიში მეფობდა, ამ სიმაგრემ, რომელიც სამასი წლის განმავლობაში თავისი ლეგენდარული გადმოცემებით იყო ცნობილი, დანტესის წინაშე უეცრად აღმართულმა ციხემ, რომელიც მანამდე ფიქრშიც არ გაუვლია, ისეთი გავლენა იქონია მასზე, როგორსაც ეშაფოტი ახდენს სიკვდილმისჯილ ადამიანზე.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა მან, — ციხესიმაგრე იფი? რისთვის მივდივართ იქ?

— ჟანდარმს გაეღიმა.

— მე ხომ არ მიპირებენ იქ დამწყვდევას? ციხესიმაგრე იფი სახელმწიფო ციხეა, მხოლოდ დიდ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის განკუთვნილი. მე არაფერი დანაშაული არ ჩამიდენია. განა იქ არიან გამომძიებლები, მოსამართლენი?

— რამდენადაც მე ვიცი, იქ მხოლოდ ციხის უფროსი, მცველები, გარნიზონი და მაგარი კედლებია. კმარა, კმარა, მეგობარო, თავს ნუ იკატუნებთ, თორემ ვიფიქრებ, რომ ჩემს გულკეთილობას სასაცილოდ იგდებთ.

დანტესმა ჟანდარმს ისე მაგრად მოუჭირა ხელი, რომ კინაღამ გადაუმტვრია.

— მაშ თქვენ დაჟინებით ამბობთ, რომ ციხესიმაგრე იფში მიგყავართ და იქ უნდა დამტოვოთ?

— ალბათ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ამაოდ მიჭერთ ასე მაგრად ხელს, — უთხრა ჟანდარმმა.

— ყოველგვარი ძიების, ყოველგვარი ფორმალური მხარეების დაცვის გარეშე? — იკითხა დანტესმა.

— ყველა ფორმალური მხარე უკვე შესრულებულია, ძიებაც დამთავრებულია.

— ბატონ დე ვილფორის შეპირების მიუხედავად?

— მე არ ვიცი, რას დაგპირდათ თქვენ ბატონი დე ვილფორი, — უთხრა ჟანდარმმა, — მაგრამ ის კი ვიცი, რომ ციხესიმაგრე იფში მივდივართ. რას ჩადიხართ? ჰეი, ამხანაგებო, ჩემკენ!

ელვისებური სწრაფი მოძრაობით, რომელიც არ გამოპარვია გამოცდილი ჟანდარმის თვალს, დანტესს უნდოდა ზღვაში გადამხტარიყო, მაგრამ ოთხმა მძლავრმა ხელმა სწორედ მაშინ შეაჩერა, როდესაც ნავის ფსკერს მოსწყდა. დანტესი ნავში ჩაეგდო და სიბრაზისაგან დმუილი დაიწყო.

— ეჰე! — შესძახა ჟანდარმმა და მუხლი მკერდზე დააბჯინა, — ეჰე, აი თურმე როგორ ასრულებთ მეზღვაურის პატიოსან სიტყვას! მოდი და ენდე თქვენისთანა ჩუმჩუმას! აბა, ახლა ერთხელ კიდევ გაბედეთ განძრევა, ტყვიას დაგახლით შუბლში. მე გადავუხვავი ბრძანების პირველ პუნქტს, მაგრამ გარწმუნებთ, მეორე სისრულეში იქნება მოყვანილი.

და მან მართლაც მიუშვირა კარაბინი დანტესს, ჭაბუკმა იგრძნო, რომ თოფის ლულა მის საფეთქელს ეხებოდა.

უცბად დანტესს თავში გაუელვა აზრმა, სწორედ ეს აკრძალული მოძრაობა გაეკეთებინა და ამით ბოლო მოეღო მოულოდნელი უბედურებისათვის, რომელიც თავს დაატყდა და რომელმაც ასე უცებ ქორისებურ ბრჭყალებში მოაქცია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ამბავი მოულოდნელი იყო, დანტესმა გაიფიქრა, დიდხანს არ გაგრძელდებოდა, შემდეგ მოაგონდა ბატონ დე ვილფორის დაპირება; ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ ნავში სიკვდილი, ისიც ჟანდარმის ხელით, მეტად ულამაზოდ და ბეჩავად ეჩვენა.

იგი დმუილით ძირს დაეხეთქა, ხელი პირში იტაცა და თავის ხორცს კბენა დაუწყო.

თითქმის იმ წუთშივე ნავი მძლავრი ბიძგისაგან შეირყა. ერთ-ერთი მენავე გადახტა ფრიალო კლდეზე, რომელსაც ნავი ცხვირით ოდნავ დაეჯახა. დანტესი მიხვდა, რომ მივიდნენ. ბაგირი ბორბალს დაეხვია და დაიჭრიალა. ჟანდარმმა, რომელიც დანტესს მაგრად ჩასჭიდებოდა საყელოში და ხელებში, აიძულა წამომდგარიყო და მიათრია კიბის საფეხურამდე, რომელიც ციხის კარებისაკენ მიდიოდა. უკან ბოქაული მიჰყვებოდა ხიშტიანი თოფით.

დანტესი უკვე აღარ ცდილა წინააღმდეგობა გაეწია. ეს სიღინჯე, აუჩქარებლობა უფრო უხალისობით აიხსნებოდა, ვიდრე სხვა მიზეზით. მას თავბრუ ეხვეოდა და მთვრალივით ქანაობდა. ციცაბო ფერდობზე მან ხელახლა დაინახა ორ რიგად გამწკრივებული ჯარისკაცები; გრძნობდა, რომ ამ ფერდობზე ამავე კიბე აიძულებდა

ფეხათრევით ასულიყო; შეამჩნია, რომ კარი გაიარა, და ეს კარი მის უკან მიიხურა, მაგრამ ყოველივე ისე მექანიკურად ხდებოდა, თითქოს ბურუსში მიდიოდა და ვერაფერს ამჩნევდა. ის ვერა ხედავდა თვით ზღვასაც. ესოდენ უსაზღვრო სატანჯველს პატიმართათვის, რომლებიც შემრწუნებით გაჰყურებენ მას, რადგან უძლურნი არიან გადალახონ იგი.

ამ პატარა შეჩერების დროს დანტესმა გონება მოიკრიბა და ირგვლივ მიმოიხედა. ის აღმოჩნდა ოთხკუთხედ ეზოში, ოთხივე მხრივ მაღალ კედლებს შუა ისმოდა გუშაგების ნელი და თანაბარი ნაბიჯის ხმა, და ყოველთვის, როცა ისინი ორი თუ სამი განათებული ფანჯრის წინ გაივლიდნენ, მათი თოფის ლულებს ელვარება გაჰქონდა.

დანტესი და მისი თანმხლებნი ათ წუთს იცდიდნენ. რაკი დანტესს უკვე აღარ ჰქონდა გაქცევის საშუალება, ჟანდარმებმა ხელი გაუშვეს, ეტყობოდა, ბრძანებას ელოდნენ. და ეს ბრძანებაც გაისმა.

— სად არის პატიმარი? — გაისმა ვიღაცის ხმა.

— აქ არის, — უპასუხეს ჟანდარმებმა.

— უკან გამომყევს, მე მას თავის საკანში მივიყვან.

— გასწით, — უთხრეს ჟანდარმებმა და ხელი ჰკრეს.

დანტესი გამცილებელს გაჰყვა. იგი მართლაც შეიყვანეს ნახევრად მიწაში ჩაფლულ საკანში, რომლის გაშიშვლებული და სველი კედლები თითქოს ცრემლებად იღვრებოდნენ. ტაბურეტზე დადგმულმა ჭრაქმა, რომლის პატრუქი რაღაც აყროლებულ ქონში ცურავდა, გაანათა ამ საშინელი საცხოვრებლის ლაპლაპა კედლები და დანტესმა თავისი გამცილებელი დაინახა. ეს იყო ცუდად ჩაცმული, უხეში სახის ციხის ერთ-ერთი მსახური, ალბათ, ყველაზე დაბალი ჩინის მქონე ადამიანი.

— აი, ამაღამ აქ გაათევთ, — უთხრა მან, — ახლა გვიანია, ციხის უფროსს სძინავს, ხვალ დილით კი, როდესაც გაიღვიძებს და თქვენს შესახებ ბრძანებას გაეცნობა, შეიძლება სხვა ოთახში გადაგიყვანონ. მანამ კი აი თქვენი პური, დოქი წყლით და თივაც იქვეა კუთხეში. აი, ყველაფერი, რაც შეუძლია ინატროს პატიმარმა. ღამე მშვიდობისა!

და სანამ დანტესი საპასუხოდ პირს დააღებდა, სანამ დაინახავდა, სად დაუდევს პური, შეამჩნევდა, სად იდგა დოქი და თავს მიაბრუნებდა კუთხეში მიმალული თივისაკენ, მისთვის ლოგინის მაგივრობა რომ უნდა გაეწია, მედილეგემ ჭრაქი აიღო, კარები გაიხურა და პატიმარს წაართვა ის მბჟუტავი სინათლეც, რომელმაც თითქოს ელვისებური განათებით დაანახვა ციხის სველი კედლები.

იგი მარტო დარჩა წყვილიადასა და დუმილში. პირქუში და უტყვი, როგორც ჯურღმულის თაღები, რომლის ყინულოვანი სიცივე გახურებულ შუბლს უგრელებდა.

როდესაც მზის პირველმა სხივებმა ოდნავ გაანათა ეს ბუნაგი, მედილეგე მოვიდა და ბრძანება მოიტანა, პატიმარი იქვე დაეტოვებინათ, დანტესს ადგილი არ შეეცვალა, თითქოს რკინის ხელს მიეჭედა იქვე, სადაც საკანში პირველად შემოყვანის დროს გაჩერდა, მხოლოდ თვალები ოდნავ დასივებოდა ცრემლებისაგან, გაშეშებული იდგა და მიწას დაჰყურებდა.

მან ასე, ფეხზე გაატარა მთელი ღამე და თვალი ერთ წუთსაც არ მოუხუჭავს.

მედილეგე მიუახლოვდა და გარშემო შემოუარა, ეტყობოდა, დანტესი ვერ ამჩნევდა მას. მაშინ მედილეგემ მხარზე ხელი დაჰკრა. ყმაწვილი კაცი შეკრთა და თავი გაიქნია.

— არ გიძინიათ? — ჰკითხა მედილეგემ.

— არ ვიცი, — უპასუხა დანტესმა.

მედილეგემ გაკვირვებით შეხედა.

— არა გზიათ?

— არ ვიცი, — უპასუხა კვლავ დანტესმა.

— ხომ არაფერი გჭირდებათ?

— მე მინდა ციხის უფროსი ვნახო.

მედილეგემ მხრები აიჩეჩა და გავიდა.

დანტესმა თვალი გააყოლა, ნახევრად ღია კარისაკენ ხელები გაიწოდა, მაგრამ კარი მიიხურა.

მაშინ დანტესს, თითქოს მკერდი გაუპესო, ქვითინი აღმოხდა. გულში დაგუბებული ცრემლები თითქოს ნაკადულად იქცა, იგი მიწაზე დაემხო და დიდხანს ლოცულობდა, წარმოიდგინა მთელი თავისი ცხოვრება და თავის თავს ეკითხებოდა: მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდას, ხომ არ ჩამიდენია რაიმე ისეთი დანაშაული, რომ ასე სასტიკად ვისჯებო.

ასე გავიდა მთელი დღე; დანტესმა პირში ძლივს ჩაიდო პურის რამდენიმე ნამცეცი და ორიოდე წვეთი წყალი გადაყლაპა. ხან ფიქრებში ჩაფლული იჯდა, ხან კი რკინის გალიაში გამომწყვდეული მხეცივით საკანში წრიალებდა.

განსაკუთრებით ერთი აზრი აშმაგებდა. ნავში, როდესაც წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიჰყავდათ, წყნარად და მშვიდად ეჭირა თავი, იმის მაგივრად, რომ გადაშვებულიყო ზღვაში, იგი ხომ საუკეთესო მოცურავე იყო მთელს მარსელში. შეეძლო წყალში ჩაყურყუმელავებული გაქცეოდა ჟანდარმებს, ნაპირამდე მიეღწია და რომელიმე ცარიელ ყურეში დამალულიყო, აქ დაეცადა გენუის ან კატალონიის გემისათვის, გადასულიყო იტალიაში ან ესპანეთში და იქიდან მოეწერა მერსედესისთვის, რომ მასთან ჩასულიყო. რომელ ქვეყანაშიც უნდა გადაეგდო ბედს, ის არ ინაღვლებდა: კარგი მეზღვაური ყველგან ძნელი საპოვნელია; ის იტალიურად ისე ლაპარაკობდა, როგორც ტოსკანელი, ესპანურს — როგორც ძველი კასტილიის პირში. იცხოვრებდა თავისუფლად და ბედნიერად მერსედესსა და მამასთან ერთად, რადგან მამასაც თავისთან წაიყვანდა. ახლა კი პატიმარი იყო, ჩამწყვდეული ციხესიმაგრე იფში, ამ კარებდანშულ სატუსალოში, არ იცოდა არც მერსედესისა და არც თავისი მამის ამბავი. ყოველივე ეს კი ასე იმიტომ მოხდა, რომ ვილფორის სიტყვებს დაუჯერა. იგი ამ მდგომარეობას სიგიჟემდე მიჰყავდა და გაშმაგებით ბორგავდა მედილეგის მიერ ახლად მოტანილ თივაზე.

მეორე დღეს იმავე დროს მედილეგე კვლავ შემოვიდა.

— ჰა, როგორ არის საქმე, დღეს გუშინდელზე დაჰკვიანებული ხართ თუ არა? — იკითხა მან.

დანტესმა არაფერი უპასუხა.

— კმარა, გეყოფათ, ცოტათი მაინც გამხნევდით, ხომ არ ისურვებდით ისეთ რამეს, რის გაკეთებასაც მე შევძლებდი; აბა, თქვით!

— მე მინდა ველაპარაკო ციხის უფროსს.

— მე ხომ გითხარით, რომ ეს შეუძლებელია, — უპასუხა მოთმინებიდან გამოსულმა მედილეგემ.

— რატომ არის შეუძლებელი?

— იმიტომ, რომ ციხის შინაგანაწესით პატიმრებს უფლება არა აქვთ, მას მიმართონ.

— გამაგებინეთ, სხვა რა არის აქ ნებადართული? — ჰკითხა დანტესმა.

— უკეთესი საჭმელ-სასმელის ყიდვა, გასეირნება და ხანდახან წიგნებიც.

— წიგნები არ მჭირდება, სეირნობის არავითარი სურვილი არ მაქვს და ჩემი საჭმელიც საკმაოდ კარგად მიმაჩნია. ერთი სიტყვით, არაფერი არ მინდა, გარდა ციხის უფროსის ნახვისა.

— თუ თავს შემაწყენთ ყოელთვის ერთი და იმავეს გამეორებით, საჭმელს აღარ მოგიტანთ, — უთხრა მედილეგემ.

— მერე რა! — უპასუხა დანტესმა, — აღარ მომიტანთ და შიმშილით მოვკვდები, მორჩა და გათავდა.

დანტესმა ისეთი ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ მედილეგე დარწმუნდა, ამ კაცისათვის მართლაც ბედნიერება იქნებოდა სიკვდილი. რადგან მას გამოანგარიშებული ჰქონდა, რომ თითოეული პატიმარი ყოველდღე ათ სუმიდ მოგებას აძლევდა, გამოთვალა, რა ზარალს მიაყენებდა დანტესის სიკვდილი და ამიტომ უფრო ღმობიერი კილოთი უთხრა:

— მომისმინეთ, თქვენი სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელია და ნულარც მოითხოვთ ამას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ციხის უფროსი პატიმრის გამოძახებაზე საკანში მისულიყოს, მაგრამ ჭკუით თუ მოიქცევით, სეირნობის უფლებას მოგცემენ, შესაძლოა, სეირნობის დროს შემთხვევით ციხის უფროსმა ჩაგიაროთ; აი, როდის გექნებათ საშუალება მიმართოთ, მხოლოდ გიპასუხებთ თუ არა, ეს უკვე მისი საქმეა.

— ასეთი შეხვედრისათვის რამდენ ხანს დამჭირდება ცდა?

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მედილეგემ, — ერთი, სამი, ექვსი თვე და შეიძლება ერთი წელიც.

— ეს ძალიან ბევრია, — შეაწყვეტინა დანტესმა, — მე ახლავე მინდა მისი ნახვა.

— ოჰ, თავს ნუ იღლით ასეთ შეუძლებელ სურვილებზე ფიქრით, თორემ ორი კვირის შემდეგ შეიშლებით.

— შენ ასე ფიქრობ? — ჰკითხა დანტესმა.

— დიახ, შეიშლებით, ყოველთვის ასე იწყება სიგაჟე, ჩვენ აქ გვაქვს მაგის მაგალითები. ამ საკანში თქვენამდე ცხოვრობდა ერთი აბატი, რომელიც ერთ მილიონს აძლევდა ციხის უფროსს, თუ იგი თავისუფლებას მიაწიებდა. აი, ამ ფიქრმა საწყალს გონება აურია.

— რამდენი ხანია, რაც აქ აღარ ცხოვრობს?

— ორი წელია.

— გაათავისუფლეს?

— არა, კარცერში ჩასვეს.

— მისმინე, — უთხრა დანტესმა, — მე არც აბატი ვარ და არც შემლილი, შესაძლებელია გავგიჟდე კი, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ წუთში სრულ ჭკუაზე ვარ და სხვა წინადადებას გაძლევ.

— რა წინადადებას?

— მე ვერ შემოგაძლევ მილიონს, რადგან მილიონები არა მაქვს, მაგრამ ას ეკიუს შეგპირდები, თუ თანახმა იქნები მარსელში ყოფნის დროს კატალანში შეიარო და გადასცე წერილი ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც მერსედესი ჰქვია... წერილი კი არა, სულ ორი სტრიქონი.

— მე რომ ეს წერილი გადავცე და დამიჭირონ, დაგვარგავ ადგილს, რომელიც ათას ლივრს მაძლევს წელიწადში, სხვა გამოსარჩენსა და საჭმელ-სასმელს გარდა. როგორც ხედავთ, დიდი სულელი უნდა ვიყო, რომ სამასი ლივრის გულისათვის ათასი დავკარგო.

— კარგი, ეგრე იყოს. მაგრამ მისმინე და კარგად დაიმახსოვრე: თუ შენ უარს იტყვი, ორი სტრიქონი გადასცე მერსედესს, ან, ყოველ შემთხვევაში, გააფრთხილო, რომ აქა ვარ, ერთ დღეს კარს უკან ჩაგისაფრდები და როგორც კი შემოხვალ, თავს გაგიხეთქ ამ ტაბურეტით.

— მუქარა! — შეჰყვირა მედილეგემ და თავის დასაცავად ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, — მართლაც, რომ გონებას ჰკარგავთ, აბატმაც თქვენსავით დაიწყო, ხოლო სამი დღის შემდეგ თქვენც მასავით ბორგვას მოჰყვებით. კიდევ კარგი, რომ ციხესიმაგრეში კარცერებია.

დანტესმა ტაბურეტი აიღო და თავზე დაუტრიალა.

— კარგი, კარგი, — დაშინდა მედილეგე, — რაკი ასე ძალიან გინდათ, მოვახსენებ ციხის უფროსს.

— მაღლობა ღმერთს, — თქვა დანტესმა, ტაბურეტი იატაკზე დადგა, ზედ ჩამოჯდა თავდახრილი და თვალეზამღვრეული, თითქოს მართლაც სიგიჟის პირზე ყოფილიყო.

მედილეგე გავიდა და ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა ოთხ ჯარისკაცსა და კაპრალთან ერთად.

— ციხის უფროსის ბრძანებით, პატიმარი ერთი სართულით დაბლა ჩაიყვანეთ! — თქვა მან.

— ესე იგი ჯურღმულში, — თქვა კაპრალმა.

— ჯურღმულში, შემლილი შემლილებთან უნდა ჩავამწყვდიოთ. ოთხი ჯარისკაცი დანტესს მივარდა. ეს უკანასკნელი რაღაც გაურკვეველ ბურანში იყო და წინააღმდეგობის გაუწევლად გაჰყვა მათ.

თხუთმეტი საფეხურით დაბლა ჩავიდნენ, გამოაღეს ჯურღმულის კარი.

— ეს სწორია, შემლილი მართლაც შემლილებთან უნდა დაამწყვდიონ, — ჩურჩულებდა დანტესი კარებში შესვლისას.

კარი დაიხურა, ხელებგაწვდილი დანტესი წინ მიიწევედა, სანამ კედელს მიაღწა. მაშინ კი კუთხეში მიჯდა და დიდხანს არ განძრეულა, შემდეგ თვალი თანდათან შეაჩვია სიბნელეს და საგნების გარჩევაც შეძლო.

მედილეგე არ შემცდარა, დანტესს სიგიჟეს აღარაფერი უკლდა.

IX

ნიშნობის დღის საღამო

ვილფორი, როგორც უკვე ვთქვით, კვლავ გრანდკურის მოედნისაკენ გაემართა და, როდესაც ქალბატონ დე სენ-მერანის ბინაში შევიდა, დაინახა, რომ სტუმრები სუფრიდან აშლილიყვნენ, სასტუმრო დარბაზში გადასულიყვნენ და ყავას მიირთმევდნენ.

რენე მოუთმენლად ელოდა, ამ მოუთმენლობას იზიარებდა მთელი იქ მყოფი საზოგადოება. ამიტომ იყო, რომ საერთო შეძახილებით შეხვდნენ.

— აბა, თავების მცელავო, სახელმწიფოს დასაყრდენო, როიალისტთა ბრუტოსო! — შესძახა ერთმა სტუმართაგანმა, — გვითხარით, რაშია საქმე?

— ახალი ტერორით ხომ არ გვემუქრებიან? — შეეკითხა მეორე.

— კორსიკელი კაციჭამია ხომ არ გამოსულა თავის ბუნაგიდან? — ჰკითხა მესამემ.

ვილფორი თავის მომავალ სასიდედროს მიუახლოვდა.

— მარკიზა, — უთხრა მან, — მოვედი, პატიება გთხოვოთ იმის გამო, რომ იძულებული ვარ დაგტოვოთ... მარკიზ, — მიუბრუნდა იგი მარკიზ დე სენ-მერანს, — ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა გითხრათ განცალკევებით.

— ოჰო, მაშ საქმე მართლა ძალიან სერიოზულია? — იკითხა მარკიზის მეუღლემ ვილფორის მოღუშული შუბლის დანახვაზე.

— იმდენად სერიოზული, რომ იძულებული ვარ რამდენიმე დღით დაგტოვოთ, თქვენ ამით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, — მიუბრუნდა იგი რენეს, — თუ რაოდენ სერიოზული საქმეა.

— მიემგზავრებით! — შესძახა რენემ, რომელმაც ვერ შეძლო ამ მოულოდნელი ახალი ამბით გამოწვეული განცდის დამალვა.

— რას ვიზამთ, მადმუაზელ! — უპასუხა ვილფორმა, — საჭიროა.

— კი მაგრამ, საით მიემგზავრებით? — ჰკითხა მარკიზის მეუღლემ.

— ეს სასამართლო საიდუმლოებაა. თუმცა, თუ ვინმე თქვენგანს რაიმე საქმე აქვს პარიზში, ამაღამ ჩემი ერთი მეგობარი მიდის და სიამოვნებით შეასრულებს დავალებას.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— თქვენ გინდოდათ ჩემთვის რამდენიმე სიტყვა გეთქვათ, — უთხრა მარკიზმა.

— დიახ, თუ შეიძლება, თქვენს კაბინეტში შევიდეთ.

მარკიზმა ვილფორს მკლავი გაუყარა და ორივენი გავიდნენ.

— აბა, ახლა მითხარით, რა მოხდა? — ჰკითხა მან კაბინეტში შესვლისთანავე.

— მეტად სერიოზული ამბავი, რომელიც მოითხოვს ჩემს დაუყოვნებლივ გამგზავრებას პარიზში. ახლა კი ნება მიბოძეთ, ბოდიში მოვიხადო კადნიერი შეკითხვისათვის, სახელმწიფო ობლიგაციები ხომ არ გაქვთ?

— ობლიგაციებშია დაბანდებული მთელი ჩემი ქონება: დაახლოებით ექვსასი თუ რვაასი ათასი ფრანკი.

— მაშ გაჰყიდეთ, გაჰყიდეთ, თორემ გაკოტრდებით.

— მერედა აქედან რანაირად გავყიდო?

— განა მაკლერი არ გყავთ პარიზში?

— დიახ, მყავს.

— გამატანეთ მასთან წერილი, რომ დაუყოვნებლივ, ერთი წუთის, ერთი წამის დაუკარგავად გაჰყიდოს ისინი. მე რომ ჩავალ, შეიძლება უკვე დაგვიანებულიც იყოს.

— ეშმაკმა დალაზვროს! დროს ნულარ დაგვარგავთ, — უთხრა მარკიზმა და მაგიდას მიუჯდა, დაწერა წერილი, რომლითაც თავის მაკლერს განკარგულებას აძლევდა, გაეყიდა ყველა ობლიგაცია, რა ფასადაც უნდა ყოფილიყო.

— რაკი ეს ერთი წერილი მზად მაქვს, — თქვა ვილფორმა და თან წერილი ფრთხილად ჩაკეცა საფულეში, — მეორეც დამჭირდება.

— მეორე ვისთან?

— მეფესთან.

— მეფესთან?

— დიახ.

— კი მაგრამ, მე ვერ გავბედავ მის უდიდებულესობას ასე, პირდაპირ მივწერო წერილი.

— არც გთხოვთ მაგას, მე მინდა, ბატონ დე სალვიეს დააწერინოთ. ეს წერილი აუცილებელია. მისი დახმარებით მე პირდაპირ შემემძლება მეფესთან შესვლა და ძვირფასი დრო არ დამეკარგება იმ ფორმალობის შესასრულებლად, რაც აუდიენციის მისაღებად არის საჭირო.

— ხომ არ გავიწყდებათ იუსტიციის მინისტრი? მას ხომ აქვს ტიულერში შესვლის უფლება და მისი დახმარებით, როდესაც გინდათ, დღისით იქნება თუ ღამით, შეგიძლიათ მეფის ნახვა მოახერხოთ.

— რასაკვირველია, მაგრამ არ მინდა სხვას გავუზიარო ის ახალი ამბავი, რომელიც მე მიმაქვს. ხომ გესმით? იუსტიციის მინისტრი მე უკანა პლანზე გადამწევს და მისაკუთრებს ამ საქმით გამოწვეულ დამსახურებას. მხოლოდ ერთს გეტყვით, მარკიზ, ჩემი კარიერა უზრუნველყოფილი იქნება, თუ პირველი შევალ ტიულერში. მეფეს ისეთ სამსახურს გავუწევ, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.

— თუ ასეა საქმე, ჩემო ძვირფასო, წადით, მოემზადეთ, მე კი დე სალვიეს დავუძახებ და დავაწერინებ წერილს, რომელიც საშვების მაგივრობას გაგიწევთ.

— კარგი, მაგრამ დროს ნულარ დაგვარგავთ. თხუთმეტ წუთში საფოსტო ეტლში უნდა ვიჯდე.

— უბრძანეთ, ეგ თქვენი ეტლი ჩემი სახლის წინ გააჩერონ.

— აუცილებლად. ბოდიში მომხადეთ თქვენს მეუღლესთან და აგრეთვე მადმუაზელ დე სენ-მერანთან, რომელსაც ასეთ დღეს უღრმესი მწუხარებით ვშორდები.

— ისინი ორივენი ჩემს კაბინეტში დაგხვდებიან და შეძლებთ გამოემშვიდობოთ.

— ათასჯერ გიხდით მადლობას, ჩემი წერილის თადარიგს შეუდექით.

მარკიზმა დარეკა, შემოვიდა მსახური.

— მოახსენეთ გრაფ დე სალვიეს, რომ ვუცდი... თქვენ კი, — მიუბრუნდა იგი ვილფორს, — დროა წახვიდეთ.

— კარგი, წავალ და ამ წუთშივე დავბრუნდები.

ვილფორი თითქმის სირბილით გავიდა. მაგრამ კარებში ფიქრმა გაუელვა, ასე აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალი პროკურორის თანაშემწის დანახვა მთელ ქალაქს სიმშვიდეს დაურღვევს; ამიტომ ჩვეულებრივი, მისი თანამდებობის პირისათვის შესაფერისი ნაბიჯით განაგრძო გზა.

სიბნელეში, თავის კარებთან, მან რაღაც თეთრი მოჩვენება შენიშნა, რომელიც უძრავად იდგა და უცდიდა. ეს იყო კატალანელი ლამაზი ქალიშვილი. რაკი მერსედესმა ვერაფერი შეიტყო ედმონდის შესახებ, გადაწყვიტა, თვითონ წამოსულიყო და გაეგო თავისი საქმროს დაპატიმრების მიზეზი. ვილფორის მიახლოებისთანავე ის კედელს მოსწყდა და გზა გადაუღობა. დანტესს უკვე ნაამბობი ჰქონდა მეფის პროკურორის თანაშემწისათვის თავისი საცოლის შესახებ და მერსედესს არ დასჭირებია ეთქვა, ვინ იყო: ვილფორმა უამისოდაც იცნო იგი. მეფის პროკურორის თანაშემწე განცვიფრებული იყო ამ ქალიშვილის სილამაზითა და ღირსებით. და როდესაც ქალიშვილმა მას თავისი საქმროს ამბავი ჰკითხა, ვილფორს ასე ეგონა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ბრალდებული, მერსედესი კი მსაჯული.

— კაცს, რომელზედაც თქვენ მელაპარაკებით, დიდი დანაშაული მიუძღვის, და მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია მის სასარგებლოდ.

მერსედესმა ქვითინი დაიწყო. ვილფორს უნდოდა, გვერდით ჩაეველო მისთვის, მაგრამ ქალმა მეორედ შეაჩერა.

— ის მაინც მითხარით, სად არის, რათა საშუალება მქონდეს, გავიგო — ცოცხალია თუ მკვდარი.

— არ ვიცი, ჩემს განკარგულებაში უკვე აღარ არის, — უპასუხა ვილფორმა.

ქალიშვილის მუდარამ და მისმა უმანკო თვალებმა ვილფორი შეაშფოთა. მან ხელი ჰკრა მერსედესს, ოთახში შევიდა და სწრაფად გადაკეტა კარი, თითქოს ამით უნდოდა გარეთ დაეტოვებინა ის მწუხარება, რომელიც მას მოუტანეს.

მაგრამ მწუხარების განდევნა არც ისე ადვილია. მისგან დაჭრილს თან მიჰყვება, როგორც მომაკვდინებელი ისარი, რომელზედაც ლაპარაკობს ვერგილიუსი¹. (¹ ვერგილიუსი — სახელოვანი რომაელი პოეტი, ავტორი «ენეიდისა», «გეორგიკებისა» და «ბუკოლიკებისა» (70—19 წ. წ.) ვილფორმა, როგორც ვთქვით, კარები ჩაიკეტა და სასტუმრო ოთახში ავიდა. მაგრამ აქ მუხლებმა უმტყუნეს და აღმოხდა ოხვრა, რომელიც ქვითინს ჰგავდა; ის სავარძელში ჩაეშვა.

აი მაშინ, ამ ავადმყოფი გულის სიღრმეში გამოვლინდა სიკვდილის პირველი ნიშნები. ის, ვინც მის პატივმოყვარეობას ემსხვერპლა, უდანაშაულო ადამიანი, რომელიც მამამისის დანაშაულს შეეწირა, ვილფორის წინ აღიმართა ფერმიხდილი და მრისხანე. მკლავი თავისი საცოლისათვის გაეყარა და მოსულიყო, რათა მისი სინდისი ეწამებინა არა ისეთი წამებით, რომელიც ავადმყოფს ისე აროკვებს, როგორც ანტიკური ბედისწერის ფურეები, არამედ ყრუ და მტანჯავი ბჟულით, რომელიც გულს ჯიჯგნის წარსული მოქმედების მოგონებებით და ბოლოს სრულიად ანადგურებს მას.

ვილფორმა გულის სიღრმეში განიცადა მერყეობის კიდევ ერთი უკანასკნელი წუთი. მას არაერთხელ ჰქონდა წარმოთქმული საბრალმდებლო სიტყვა, მაგრამ არასოდეს უგრძნია სხვა რამ, გარდა მსაჯულის და დამნაშავის ბრძოლის განცდისა, იგი მოითხოვდა ბრალდებულთა სიკვდილით დასჯას რასაც ასრულებდნენ მისი მჭევრმეტყველური გამოსვლების შედეგად, მის სიტყვებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები. ერთხელაც არ მოღრუბვლია შუბლი სასიკვდილო განაჩენების შემდეგ, რადგან ბრალდებულნი დამნაშავენი იყვნენ ან, ყოველ შემთხვევაში, ვილფორი დამნაშავეებად სთვლიდა მათ.

მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად იყო საქმე. სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა სრულიად უდანაშაულო ადამიანს, ადამიანს, რომელიც ბედნიერებას ელოდა, წაართვა მას არა მარტო თავისუფლება, არამედ ბედნიერებაც; ამჯერად ის იყო არა მარტო მოსამართლე, არამედ ჯალათიც.

ამ ფიქრებში მან იგრძნო ის ყრუ დარტყმები, რაზედაც უკვე მოგახსენეთ და რომლებიც მისთვის აქამდე უცნობი იყო. ეს დარტყმები გაურკვეველ შიშს აგრძნობინებდა. ასეთი აუტანელი ტკივილები აფრთხილებს ხოლმე დაჭრილს, რომელიც ისე ვერ შეეხება ღია ჭრილობას, რომ გველნაკბენივით არ წამოხტეს.

მაგრამ ვილფორის ჭრილობა ისეთი იყო, რომელიც არ ხორცდება ან, ყოველ შემთხვევაში, შეხორცდება იმისათვის, რომ ხელახლა გაიხსნას და უფრო მეტად ეტკინოს.

ამ წუთში ვილფორს რენეს ნაზი ხმა რომ გაეგონა — შეიბრალე პატიმარიო, ან ლამაზი მერსედესი შემოსულიყო და ეთქვა მათთვის — ღვთის სახელით, რომელიც დაგვყურებს და გვასამართლებს, დამიბრუნეთ ჩემი დანიშნულიო — ვილფორი უკვე თითქმის დამარცხებული, დაემორჩილებოდა მას, და გაყინული ხელებით, რა შედეგიც უნდა მოჰყოლოდა ამას თვით მისთვის, დაწერდა დანტესის გათავისუფლების ბრძანებას. მაგრამ არც ერთის ხმა არ გაისმა, სიჩუმე არავის დაურღვევია. კარებიც მხოლოდ ვილფორის კამერდინერმა გამოაღო, რათა საფოსტო ეტლის მოსვლა ეცნობებინა.

ვილფორი წამოდგა ან, უკეთ, წამოხტა, როგორც შინაგან ბრძოლაში გამარჯვებული ადამიანი, თავის საწერ მაგიდას მივარდა, ჯიბეში ჩაიყარა, რაც კი უჯრებში ოქრო მოეპოვებოდა, გაოგნებული ერთხელ კიდევ შემოტრიალდა ოთახში, ხელი შუბლზე მიიღო და არეულ-დარეული ლაპარაკი დაიწყო. შემდეგ, როდესაც იგრძნო, რომ კამერდინერმა მხრებზე ლაბადა წამოასხა, ოთახი გადაკეტა და ეტლისაკენ გაქანდა. მეეტლეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად უბრძანა, გრანდკურის ქუჩაზე მარკიზ დე სენ-მერანის ბინისაკენ ჩაეხვია.

საწყალი დანტესი უიმედოდ იყო განწირული.

მარკიზის დაპირების თანახმად, ვილფორს კაბინეტში დაუხვდნენ ქალბატონი დე სენ-მერანი და რენე. რენეს დანახვაზე ახალგაზრდა კაცი შეკრთა. მას ეგონა, რომ საცოლე ხელახლა დაუწყებდა თხოვნას დანტესის გათავისუფლების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ადამიანური ეგოიზმის გამო ქალიშვილს მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა — ვილფორის გამგზავრება.

მას უყვარდა ვილფორი. ვილფორი მიემგზავრებოდა სწორედ ქორწილის წინა დღეს, მან თვითონაც არ იცოდა და არ შეეძლო ეთქვა — როდის დაბრუნდებოდა. რენე შებრალების მაგიერ წყევლიდა დანტესს, რომელიც თავისი დანაშაულის გამო საქმროს ამორებდა.

რა დღეში იყო საწყალი მერსედესი? მას დე-ლა-ლოჟის ქუჩის კუთხეში ფერნანდი დაუხვდა და უკან აედევნა. ქალიშვილი კატალანში დაბრუნდა და სასოწარკვეთილი, ცოცხალ-მკვდარი ლოგინზე დაეშვა. მისი საწოლის წინ დაჩოქილიყო ფერნანდი,

გაყინულ ხელებს უსრესდა და მხურვალედ უკოცნიდა. მერსედესი არ ცდილობდა წაერთმია ხელი, არც კი გრძნობდა ამ ამბორს. ასე გაიარა ღამემ. მთელი ზეთი დაიწვა, ჭრაქი ჩაქრა, მაგრამ მერსედესი ვერც სიბნელეს გრძნობდა, ვერც სინათლეს. ირიჟრაჟა და მან ვერც ეს შეამჩნია.

მწუხარებამ ბურუსი ჩამოაფარა მის თვალებს, ედმონდის გარდა სხვა არაფერს ხედავდა.

— თქვენ აქა ხართ? — ჰკითხა ბოლოს და ფერნანდისაკენ მიბრუნდა.

— წუხელ საღამოს აქეთ არ მოგცილებივარ, — ნაღვლიანად ამოიოხრა ფერნანდმა.

ბატონი მორელი თავს არ თვლიდა დამარცხებულად. მან გაიგო, რომ დანტესი დაკითხვის შემდეგ ციხეში წაეყვანათ. მორელმა შემოირბინა თავისი მეგობრები, იყო მარსელის საზოგადოების გავლენიან პირებთან, მაგრამ უკვე ყველგან გავრცელებულიყო ხმა, რომ ახალგაზრდა მეზღვაური ბონაპარტისტების ჯაშუში იყო და რადგან ყველაზე გამბედავებსაც კი ნაპოლეონის ტახტზე დაბრუნება უაზრო ოცნებად მიაჩნდათ, ამიტომ გულგრილად, უარით ან შიშით ხვდებოდნენ. სასოწარკვეთილი მორელი შინ დაბრუნდა, იგრძნო, რომ საქმე ცუდად იყო და დახმარება არავის შეეძლო.

თავის მხრივ კადრუსიც ძალიან შეშფოთებული და გატანჯული იყო. იმის მაგივრად, რომ მორელივით ისიც გარეთ გამოსულიყო და თუმცა დანტესს ვერაფერს უშველიდა, მაინც ცდილიყო რაიმე გაეკეთებინა მის სასარგებლოდ, შინ ჩაიკეტა, ორი ბოთლი ღვინო დაიდგა და უნდოდა, მწუხარება სიმთვრალეში ჩაეკლა. მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელშიც კადრუსი იყო, ორი ბოთლი ღვინო არ კმაროდა მისი სინდისის დასაშოშმინებლად. იგი მოკორიკავე მაგიდას დაყრდნობოდა და ცარიელ ბოთლებს შესცქეროდა. ძალა არ შესწევდა, ღვინის მოსატანად გამოსულიყო და ვერც მომხდარ ამბავს ივიწყებდა. შანდალში ჩადგმული სანთლის შუქზე უყურებდა, როგორ ცეკვავდა და ტრიალებდა მის თვალწინ ყველა ის მოჩვენება, რომლებიც ჰოფმანმა¹ (¹ ჰოფმანი — გერმანელი ბელეტრისტი და მუსიკოსი, ავტორი დიდად თავისებური მოთხრობებისა, სადაც მჟღავნდება როგორც სინამდვილის დაკვირვების ნიჭი, ისე ავადმყოფური ფანტაზია (1776—1822).) შავი და ფანტასტიკური მტვრის მსგავსად გააბნია თავის პუნშით დასველებულ ფურცლებზე.

მარტო დანგლარი არ იყო არც შეშფოთებული და არც შეწუხებული. მხიარულობდა კიდეც. მან დაამარცხა მტერი, «ფარაონზე» დაიმკვიდრა ადგილი, რომლის დაკარგვაც ასე აშინებდა. დანგლარი ეკუთვნოდა იმ ანგარიშიან ადამიანთა რიცხვს, რომელთაც დაბადებიდან ყურში კალმისტარი აქვთ გაჩრილი, ხოლო გულის მაგივრად სამელნე უძევთ. ყველაფერი ამ ქვეყნად მისთვის დაყვანილი იყო გამოკლებაზე და გამრავლებაზე. მისთვის ციფრს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ადამიანს. მით უფრო, თუ ეს ციფრი ადიდებდა ჯამს, რომელიც შეიძლებოდა ამ ადამიანს შეემცირებინა.

დანგლარი ჩვეულებრივ დროს დაწვა და მშვიდად დაიძინა.

ვილფორმა, გრაფ დე სალვიეს სარეკომენდაციო წერილის მიღების შემდეგ, რენეს ლოყები დაუკოცნა, მარკიზ დე სენ-მერანის მეუღლეს ხელზე ეამბორა, მარკიზს ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა და საფოსტო ეტლით ექსის გზით გაგრიალდა.

დანტესის მოხუც მამას მწუხარებისა და დარდისაგან სული ხდებოდა. რაც შეეხება ედმონდს, მისი ამბავი ჩვენ უკვე ვიცით.

X

ტიულერის პატარა კაბინეტი

დავტოვოთ ვილფორი პარიზის გზაზე, სადაც იგი სამმაგად გადახდილი ფასის წყალობით მთელი სისწრაფით მიაქროლებდა ეტლს და ტიულერის სასახლეში, ორი თუ სამი სასტუმრო დარბაზის გავლის შემდეგ, შევიხედოთ მცირე კაბინეტში, რომელსაც ნახევრად წრისებური ფანჯარა ჰქონდა და ცნობილი იყო როგორც ნაპოლეონისა და ლუდოვიკო XVIII კაბინეტი, ახლა კი ლუი ფილიპეს საყვარელ კაბინეტად ითვლება. ტიულერის პატარა კაბინეტში ხის მაგიდასთან ლუდოვიკო XVIII იჯდა. მან ეს მაგიდა ჰარტველიდან მოატანინა და ერთ-ერთი იმ უცნაური ახირების გამო, რომელიც დიდ პიროვნებებს ახასიათებთ, მეტად უყვარდა იგი. მეფე უყურადღებოდ უსმენდა ორმოცდაათი თუ ორმოცდათორმეტი წლის მშვენივრად ჩაცმულ, თმაშევერცხლილ, არისტოკრატიული სახის კაცს. იმავე დროს შენიშვნებს აკეთებდა გრიფისის მიერ გამოცემული ჰორაციუსის¹ (¹ ჰორაციუსი — სახელგანთქმული რომაელი პოეტი, ავტორი «ოდებისა», «სატირებისა» და «პოეტური ხელოვნებისა» (64—8 წ. წ.)) წიგნის არშიებზე. გამოცემა საკმაოდ შეუსწორებელი იყო, თუმცა პატივით მიღებული და მის უდიდებულესობას უხვ მასალას აძლევდა მოსწრებული ფილოლოგიური მსჯელობისათვის.

— თქვენ ამბობთ, რომ... — იკითხა მეფემ.

— რომ მეტისმეტად შეწუხებული ვარ, თქვენო უდიდებულესობავ.

— მართლა? ხომ არ დაგსიზმრებიათ შვიდი მსუქანი და შვიდი გამხდარი ძროხა?

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენ არ ავცდებოდა შვიდი მოსავლიანი და შვიდი მოუსავლიანი წელი, ხოლო ისეთი წინდახედული მეფის ხელში, როგორც თქვენი უდიდებულესობა ბრძანდება, მიმშვილობის არ უნდა გვეშინოდეს.

— მაშ სხვა რა უბედურების შიში გაწუხებთ, ძვირფასო ბლაკას?

— თქვენო უდიდებულესობავ, მე მგონია, ან ყოველ შემთხვევაში, საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ სამხრეთით ცა პირს იკრავს და ჭექა-ქუხილისათვის ემზადება.

— თუ ასე გწამთ, ჩემო ძვირფასო ჰერცოგო, — უთხრა ლუდოვიკო XVIII, — ცუდადა ხართ ინფორმირებული, რადგან, პირიქით, დანამდვილებით ვიცი, რომ იმ მხარეს მშვენიერი ამინდებია.

მიუხედავად იმისა, რომ ლუდოვიკო XVIII ნათელი გონების პატრონი იყო, მაინც უყვარდა უემშაკო ხუმრობა.

— მეუფეო, — უთხრა დე ბლაკასმა, — თუნდაც იმიტომ, რომ დაგემშვიდებინათ თქვენი ერთგული მსახური, თქვენი უდიდებულესობა ხომ არ ინებებდა ლანგედოკსა, პროვანსსა და დოფინეში გაეგზავნა სანდო ადამიანები, რომლებიც ზუსტ ცნობებს ჩამოგვიტანდნენ, რა აზრებით არიან შეპყრობილნი სამივე პროვინციაში.

— *Canimus surdis*¹, (¹ ყრუ ადამიანებს ვუგალობთ (ლათ.)) — უპასუხა მეფემ და თავაუღებლივ კვლავ განაგრძო ჰორაციუსის წიგნის არშიაზე შენიშვნების წერა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა ბლაკასმა მოსაჩვენებლად სიცილით, თითქოს გაიგო ვენუზელი პოეტის ნახევარტაეპი, — თქვენს უდიდებულესობას შეიძლება სავსებით სამართლიანად აქვს საფრანგეთის ერთგულების იმედი, მაგრამ არც მე ვცდები, რომ ზოგიერთ თავგანწირულთა ცდა მაშინებს...

— ვის მხრივ?

— ბონაპარტის, ან თუნდაც მისი მომხრეების მხრივ.

— ძვირფასო ბლაკას, — უთხრა მეფემ, — თქვენი შიში მე მუშაობის საშუალებას არ მაძლევს.

— მე კი თქვენი სიმშვიდე, მეუფეო, ძილს მიფრთხობს.

— მოითმინეთ, ჩემო ძვირფასო, მოითმინეთ, მე თავში მომივიდა მშვენიერი შენიშვნა, Pastor quum traheret², (² როცა მწყემსს მოჰქონდა. (ჰორაციუსი, ოდები, 1,15).) მოითმინეთ და შემდეგ თქვით.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ლუდოვიკო XVIII მეტისმეტად წვრილი ასოებით რამდენიმე სტრიქონი დაწერა ჰორაციუსის წიგნის არშიაზე.

— განაგრძეთ, ჩემო ძვირფასო ჰერცოგო, — თქვა მან და თავი ისეთი თვითკმაყოფილებით ასწია, როგორც ადამიანმა, რომელსაც ჰგონია, რაღაცა აზრი შევიმუშავეო, ნამდვილად კი სხვის აზრს განმარტავს. — გისმენთ, განაგრძეთ.

— თქვენო უდიდებულესობავ, — წამოიწყო ბლაკასმა, რომელიც ფიქრობდა, თვითონ ესარგებლა ვილფორის მიერ მოტანილი ამბით, თვითონ ეცნობებინა მეფისათვის და დამსახურებაც ამისათვის მას რეგობდა, — იძულებული ვარ გითხრათ, ჰაერში ნასროლი სიტყვებითა და უსაფუძვლო გაფრთხილებებით როდი მაწუხებენ. საკმაოდ გონიერი კაცი, რომელიც ჩემი ნდობით სარგებლობს და რომელსაც დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა სამხრეთისათვის (ბოლო სიტყვების თქმაზე ჰერცოგი შეყოყმანდა), — საფოსტო ეტლით ჩამოვიდა ჩემთან და მაცნობა: მეფეს საშინელი ხიფათი მოელისო; და აი, მეც თქვენკენ გამოვეშურე.

— Mala ducis avi domun¹, (¹ მიგაქვს მწარე ხვედრისკენ. (ჰორაციუსი «ოდები» 1,15).) — განაგრძობდა მეფე და შენიშვნებს აკეთებდა.

— იქნებ თქვენს უდიდებულესობას სურს, თავი გავანებო ამ საგანზე საუბარს?

— არა, არა, ძვირფასო ჰერცოგო, მაგრამ გადააწვდინეთ ხელი...

— რომელი?

— რომელიც გნებავთ. აი იქით, მარცხნივ...

— აქა, თქვენო უდიდებულესობავ?

— გეუბნებით მარცხნივ, თქვენ კი მარჯვნივ ეძებთ; მე მინდა გითხრათ — ჩემგან მარცხნივ-მეთქი; დიახ, მანდ უნდა იყოს პოლიციის მინისტრის მოხსენებითი ბარათი გუშინდელი თარიღით... მაგრამ დაიცათ, აი თვითონ დანდრეც... თქვენ ამბობთ, ბატონი დანდრე გეახლათო? — მიუბრუნდა ლუდოვიკო XVIII თავის კამერდინერს, რომელსაც მისთვის მართლაც უნდა მოეხსენებინა პოლიციის მინისტრის მოსვლა.

— დიახ, მეუფეო, ბარონი დანდრე, — უპასუხა კამერდინერმა.

— ნამდვილად ბარონია, — თქვა მეფემ შეუმჩნეველი ღიმილით, — შემობრძანდით, ბარონ, და მოუყევით ჰერცოგს უკანასკნელი ახალი ამბები, რომლებიც ბატონ ბონაპარტეს შესახებ იცით, არ დაუმალოთ არაფერი, რაგინდ საშიში მდგომარეობა იყოს. მართალია, რომ კუნძული ელბა ვულკანია, საიდანაც ცეცხლოვანი და აშლილი ომების ამოხეთქას უნდა ველოდოთ? bella, horrida bella?². (² ომები, საშინელი ომები.)

დანდრე ორივე ხელით მოხდენილად დაეყრდნო სკამის ზურგს:

— თქვენს უდიდებულესობას ხომ არ უნებებია, თვალი გადაევილო ჩემი გუშინდელი მოხსენებითი ბარათისათვის? — თქვა მან.

— დიახ, დიახ, მაგრამ ჰერცოგმა ვერ იპოვა იგი; თქვენ თვითონ გააცანით მისი შინაარსი, დაწვრილებით მოუყევით, რას აკეთებს უზურპატორი თავის კუნძულზე.

— ბატონო ჩემო, — მიუბრუნდა ბარონი დანდრე ბლაკასს, — მეფის მომხრეები უნდა მიესალმონ იმ უკანასკნელ ცნობებს, რომლებიც ელბადან მოდის. ბონაპარტე...

დანდრემ შეხედა ლუდოვიკო XVIII, რომელიც ისე იყო გართული რაღაც შენიშვნებით, რომ თავი არ აუღია.

— ბონაპარტე, — განაგრძო ბარონმა. — მომაკვდინებელ მოწყენილობას განიცდის. მთელ დღეებს პორტო-ლონგიონში ატარებს, მენაღმეების მუშაობას უყურებს.

— ის ერთობა იმით, რომ ტანს იფხანს, — დაუმატა მეფემ.

— ტანს იფხანს? — იკითხა ჰერცოგმა, — თქვენო უდიდებულესობავ, ამით რის თქმა გსურთ?

— დიახ, ჩემო ძვირფასო ჰერცოგო, ხომ არ გავიწყდებათ, რომ ეს დიდი ადამიანი, ეს გმირი, ეს ნახევრად ღმერთი, იტანჯება კანის ავადმყოფობით?

— უფრო მეტიც, ბატონო ჰერცოგო, — განაგრძო ისევ პოლიციის მინისტრმა, — ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ უზურპატორი უმოკლეს ხანში ჭკუიდან შეიშლება.

— შეიშლება?

— უეჭველად. გონება უსუსტდება, ხან ცხარე ცრემლებით ტირის, ხან პირდაღებული ხარხარებს, ხან სანაპიროზე ზის და წყალში კენჭებს ისვრის; თუ კენჭი ხუთ-ექვს რიკოშეტს გააკეთებს, მას ისეთი კმაყოფილება ეხატება სახეზე, თითქოს ხელახლა იგებს მარენგოს და აუსტერლიცის ბრძოლას. თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს სიგიჟის ნიშნებია.

— ან სიბრძნის, ბატონო ბარონო, სიბრძნის, — თქვა სიცილით ლუდოვიკო XVIII, — დიდი რომაელი მხედართმთავრები შესვენების დროს წყალში კენჭების სროლით ერთობოდნენ; გადაშალეთ პლუტარქე¹ (¹ პლუტარქე — გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ავტორი «სახელოვანი ბერძენი და რომაელი ადამიანების ცხოვრებისა» (50—125 წ.)) და ჩაიხედეთ სციპიონ აფრიკელის ცხოვრებაში.

ბატონი ბლაკასი ჩააფიქრა ამ ორი ადამიანის ასეთმა უდარდებლობამ. ვილფორმა მას არ გაანდო მთელი თავისი საიდუმლოება, შიშობდა, სხვას არ ესარგებლა ამით, მაგრამ იმდენი კი უთხრა, რომ დიდ საგონებელში ჩააგდო.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, დანდრე, — უთხრა ლუდოვიკო XVIII, — ბლაკასი ჯერ კიდევ ვერ დავაჯერეთ. უთხარით, როგორ დადგა უზურპატორი ჭეშმარიტების გზაზე.

პოლიციის მინისტრმა თავი დაუკრა.

— ჭეშმარიტების გზაზე, — ჩაილაპარაკა ჰერცოგმა და შეხედა მეფესა და დანდრეს, რომლებიც ვერგილიუსის ორი მწყემსივით რიგრიგობით ლაპარაკობდნენ, — უზურპატორი ჭეშმარიტების გზაზე დადგა?

— ნამდვილად, ძვირფასო ჰერცოგო.

— სიკეთის გზაზე, გააგებინეთ ეს, ბარონ, — ჩაერია მეფე.

— ბატონო ჰერცოგო, საქმე შემდეგშია, — თქვა პოლიციის მინისტრმა სერიოზული ტონით, — ამას წინათ ნაპოლეონი ადლუმს დებულობდა. ორმა თუ სამმა ძველმა მოზუზღუნემ (ასე ეძახის ის მათ), პარიზში დაბრუნების სურვილი განუცხადა. მან ისინი გაათავისუფლა და დაბეჯითებით ურჩია, კეთილი მეფის სამსახურში შესულიყვნენ. ეს მისი საკუთარი სიტყვებია, ჰერცოგო, ამაში შემძლია დაგარწმუნოთ.

— აბა, ბლაკას, ამაზე რას იტყვით? — უთხრა მეფემ გამარჯვებულის სახით და მის წინ გადაშლილ უზარმაზარ წიგნს თვალი მოაცილა.

— მე ვიტყვით, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ერთი ჩვენგანი ცდება — ან ბატონი პოლიციის უფროსი, ან მე, მაგრამ შეუძლებელია ცდებოდეს პოლიციის უფროსი, რადგან ის იცავს თქვენი უდიდებულესობის კეთილდღეობას და სახელს. მაშ, ნამდვილად ვცდები მე. თუმცა თქვენი უდიდებულესობის ადგილზე მე გამოვკითხავდი პიროვნებას, რომელზედაც გელაპარაკეთ. მე მოვითხოვ კიდევაც, რომ თქვენმა უდიდებულესობამ მიანიჭოს მას ეს პატივი.

— სიამოვნებით, ჰერცოგო, თქვენი მითითებით მე მივიღებ მას, მაგრამ მინდა შეიარაღებული დავუხვდე. ბატონო მინისტრო, გაქვთ თუ არა უფრო ახალი ცნობები? ეს თებერვლის ოცითაა დათარიღებული, დღეს კი სამი მარტია.

— ჯერ არა, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ წუთი-წუთზე ველოდები. მე დილას გამოვედი სახლიდან და ჩემს არყოფნაში იქნება კიდევ მიიღეს ფოსტა.

— კარგი, წადით პრეფექტურაში და თუ მიღებული არ არის, — განაგრძო მეფემ სიცილით, — თქვენ თვითონ შეადგინეთ. პრაქტიკაში ხომ ასეა მიღებული?

— მეუფეო! — უპასუხა მან. — მაღლობა ღმერთს, არაფრის გამოგონება არ გვჭირდება. ყოველდღე ჩვენი კანცელარიები ივსება დაბეზულების წერილებით; მათ წერს ყველა ბედკრული, რომლებიც იმედოვნებენ ცოტაოდენი გასამრჯელო მიიღონ სამსახურისათვის, რასაც ისინი ვერ გვიწევენ, თუმცა სურვილი კი აქვთ. კამათელს აგორებენ და იმედი აქვთ, რომ ერთ დღეს რომელიმე მოულოდნელი მოვლენა გაამართლებს მათ წინასწარმეტყველებას.

— კარგი, წადით და გახსოვდეთ, რომ მე გელოდებით. — უთხრა ლუდოვიკო XVIII.

— წასვლა და მოსვლა ერთი იქნება, თქვენო უდიდებულესობავ, ამ წუთში აქ გავჩნდები.

— მე კი, თქვენო უდიდებულესობავ, წავალ, ჩემს მაცნეს მოვძებნი, — თქვა ბლაკასმა.

— მოიცათ, მოიცათ, ბლაკას, — შეაჩერა იგი ლუდოვიკო XVIII. — მართლა, ბლაკას, გერბი უნდა შეგიცვალოთ. მე თქვენ მოგცემთ არწივს გაშლილი ფრთებით, ბრჭყალებში მსხვერპლით, რომელიც ამოდ ცდილობს გაუსხლტეს მას. ამ გერბს დევიზად ექნება Tenax¹. (¹ მტკიცე, მჭიდვე.)

— მე გისმენთ, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ბლაკასმა, რომელიც მოუთმენლად იკვნეტდა ფრჩხილებს.

— მე მიხდოდა თქვენთვის რჩევა მეკითხა ერთ ლექსზე. *Molli fugiens anhelitu*². (² ამრიგად, შენც გაიქცევი ქოშინით.) გახსოვთ, აქ საუბარია შველზე, რომელსაც მგელი მისდევს. თქვენ ხომ მონადირე და მარეკთუხუცესი ხართ; როგორ მოგწონთ ეს *Molli anhelitu*?

— არაჩვეულებრივია, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ჩემი მაცნე იმ შველს ჰგავს, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. მან საფოსტო ეტლით 220 ლიე გამოიარა და ამას სამ დღეზე ნაკლები მოანდომა.

— ეს ზედმეტი შრომაა და შეწუხება, როდესაც გვაქვს ტელეგრაფი, რომელიც სამ-ოთხ საათში გააკეთებდა იმავეს და ისიც ყოველგვარი დაღლისა და ქოშინის გარეშე.

— ჩემო ხელმწიფევ, თქვენ ცუდად აჯილდოებთ გულმოდგინებას ყმაწვილი კაცისას, რომელიც ასე შორი მანძილიდან მოვიდა და ასეთი ერთგულება გამოიჩინა, რათა თქვენი უდიდებულესობა გაეფრთხილებინა. თუნდ მარტო გრაფ დე სალვიეს გულისათვის, რომელიც რეკომენდაციას უწევს მას ჩემთან, გთხოვთ კარგად მიიღოთ იგი.

— ბატონი დე სალვიე? ჩემი ძმის კამერჰერი?

— დიახ, ბატონო.

— ის ხომ ახლა მარსელშია?

— სწორედ იქიდან მწერს.

— მაშ, ისიც გაუწყებთ ამ შეთქმულების შესახებ?

— არა, ის მხოლოდ რეკომენდაციას უწევს ბატონ დე ვილფორს და მე მავალეებს იგი თქვენს უდიდებულესობას წარვუდგინო.

— ბატონი დე ვილფორი? — შესძახა მეფემ, — იმ კაცს დე ვილფორი ჰქვია?

— დიახ, ჩემო ხელმწიფევ.

— და სწორედ ის ჩამოვიდა მარსელიდან?

— სწორედ ის.

— რატომ მაშინვე არ მითხარით მისი სახელი? — თქვა მეფემ და სახეზე ოდნავი შეწუხება დაეტყო.

— ჩემო ხელმწიფევ! მე ვფიქრობდი, რომ მისი გვარი უცნობი იქნებოდა თქვენი უდიდებულესობისათვის.

— არა, ბლაკას, არა, ეს საქმიანი კაცია, კეთილშობილი აზრების მქონე და, რაც მთავარია, პატივმოყვარე. თქვენ ხომ იცნობთ მამამისს, გვართ მამინც?

— მამამისს?

— დიახ, ნუარტიეს.

— ჟირონდისტ ნუარტიეს, სენატორს?

— დიახ, სწორედ მას.

— და თქვენი უდიდებულესობა თავის სამსახურში აყენებს ასეთი ადამიანის ვაჟიშვილს?

— ბლაკას, ჩემო მეგობარო, თქვენ არაფერი გესმით. გითხარით, ვილფორი პატივმოყვარეა-მეთქი და ჩემი ნდობის მოსაპოვებლად იგი ყველას გასწირავს, თვით მამამისსაც კი.

— მაშ, მიბრძანებთ შემოვიყვანო?

— ამ წუთშივე. სად არის ახლა?

— დაბლა იცდის, ჩემს ეტლში.

— წადით, ამოიყვანეთ.

— გავრბივარ.

ჰერცოგი ახალგაზრდული სისწრაფით გავიდა. გულწრფელი როიალისტური მრწამსი მას ოცი წლის ყმაწვილის ძალას აძლევდა.

ლუდოვიკო XVIII მარტო დარჩა. მან თვალები ისევ ჰორაციუსის გადაშლილ წიგნს მიაპყრო და ჩაიჩურჩულა: *Justum et tenacem propositi virum*¹. (¹ სამართლიანი და მტკიცე გადაწყვეტილებათა მამაკაცი. (ჰორაციუსი — «ოდები».)

ბატონი ბლაკასი ისევე სწრაფად ამოვიდა, როგორც ჩავიდა, მაგრამ იძულებული იყო, მოსაცდელ ოთახში მეფის ავტორიტეტი გამოეყენებინა. ვილფორის მტვრიანი ტანისამოსი, მისი ჩაცმულობა სრულებით არ შეეფერებოდა სასახლის კარზე მიღებულ ეტიკეტს, რამაც მარკიზ დე ბრეხეს წყრომა გამოიწვია. იგი განცვიფრებული იყო ყმაწვილი კაცის თავხედობით, რომელმაც ასეთი სახით გაბედა მეფის წინაშე წარდგომა. მაგრამ ჰერცოგმა ბლაკასმა ერთი გამოთქმით — «მისი უდიდებულესობის ბრძანებით» — ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა და, თადარიგის დამჭერის წინააღმდეგობის მიუხედავად, ვილფორი კაბინეტში შეიყვანეს.

მეფე ისევ იმ ადგილზე იჯდა, სადაც ჰერცოგმა დატოვა. კარების გაღებისთანავე ვილფორი პირდაპირ მეფის წინაშე აღმოჩნდა; ის შეჩერდა.

— მობრძანდით, ბატონო ვილფორ, მობრძანდით, — უთხრა მეფემ.

ვილფორი მიესალმა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა; მეფის შეკითხვას ელოდა.

— ბატონო დე ვილფორ, — განაგრძო ლუდოვიკო XVIII, — ჰერცოგი ბლაკასი ამბობს, რომ თქვენ მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გვაცნობოთ.

— მეუფეო, ჰერცოგი მართალს ამბობს და, იმედი მაქვს, თქვენი უდიდებულესობაც დაეთანხმება მას.

— უპირველეს ყოვლისა, საშიშროება ისეთი დიდია, როგორც მიხატავენ?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩემი აზრით, მეტად სერიოზულია, მაგრამ ისე ჩქარა ჩამოვედი, რომ, ვფიქრობ, აცილებული იქნება იგი.

— თუ გნებავთ, დაწვრილებით მოგვიყვით, — უთხრა მას მეფემ, რომელსაც გადაედო ვილფორის სახეზე და ჰერცოგის ხმაში გამოხატული მღელვარება, — გისმენთ, მაგრამ თავიდან დაიწყეთ. მე ყველაფერში წესრიგი მიყვარს.

— მეუფეო, მე თქვენი უდიდებულესობის წინაშე სრული ანგარიშით წარვდგები, — თქვა ვილფორმა, — მაგრამ წინასწარ მინდა ბოდიში მოვიხადო, თუ აღელვების გამო ჩემი სიტყვების აზრი რამდენიმედ ბუნდოვანი იქნება.

ასეთი შემპარავი შესავალის შემდეგ ვილფორმა თვალი გადაავლო მეფეს და თავისი უავგუსტოესი მსმენელის განწყობილებაში დარწმუნებულმა, ისევ განაგრძო საუბარი.

— თქვენო უდიდებულესობავ, მე რაც შეიძლებოდა სწრაფად ჩამოვედი პარიზში, რათა თქვენთვის მეცნობებინა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს აღმოვაჩინე არა ისეთი ჩვეულებრივი და უწყინარი დაჯგუფება, რომელიც ყოველდღე ეწყობა მდაბიო ხალხში და ჯარში, არამედ ნამდვილი შეთქმულება, ნამდვილი ქარიშხალი, რომელიც თქვენი უდიდებულესობის გვირგვინს ემუქრება. მეფეო, უზურპატორი აიარალებს სამ გემს. მას რაღაც გეგმა აქვს დასახული, შეიძლება ეს გიჟური გეგმა იყოს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ძალიან საშიში. ამჟამად იგი გადმოსული უნდა იყოს კუნძულ ელბადან და, არ ვიცი, საით მიემართება. მაგრამ, უეჭველია, შეეცდება ნეაპოლის ან ტოსკანის სანაპიროზე გადმოსვლას. შეიძლება თვით საფრანგეთშიც გადმოვიდეს. თქვენს უდიდებულესობას მოეხსენება, რომ ელბას მფლობელს არ გაუწყვეტია კავშირი იტალიასთან და საფრანგეთთან.

— დიახ, — უპასუხა მეტად აღელვებულმა მეფემ, — ჩვენ ახლახან გავიგეთ, რომ ბონაპარტისტები სენ-ჟაკის ქუჩაზე იკრიბებიან. მაგრამ გთხოვთ განაგრძოთ, საიდან მიიღეთ ყველა ეს ცნობა?

— თქვენო უდიდებულესობავ, მე მას წავაწყდი ერთი მარსელელის დაკითხვის დროს. დიდი ხანია თვალყურს ვადევნებდი და მხოლოდ გამომგზავრების წინ გავეცი მისი დაპატიმრების ბრძანება. ეს კაცი — მოუსვენარი მეზღვაური და უდავო ბონაპარტისტი — საიდუმლოდ იყო კუნძულ ელბაზე, იქ ნახა დიდი მარშალი და მისგან მიიღო ზეპირი დავალება ერთი პარიზელი ბონაპარტისტისათვის გადასაცემად, რომლის გვარი ვერაფრით ვათქმევინე. დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ მას ხალხი განეწყო იმპერატორის დაბრუნებისათვის (ყურადღება მიაქციეთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ მე დაკითხულის სიტყვებს ვიმეორებ)... დაბრუნებისათვის, რაც ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

— სად არის ის კაცი? — იკითხა ლუდოვიკო XVIII.

— ციხეში, თქვენო უდიდებულესობავ.

— და ეს საქმე თქვენ სერიოზულად მიგაჩნიათ?

— იმდენად სერიოზულად, ხელმწიფევ, რომ მე იგი ჩემს ნიშნობაზე გავიგე და ყველანი დავტოვე — დანიშნული, მეგობრები, ყველაფერი შემდეგისათვის გადავიტანე.

— დიახ, ეს მართალია, — თქვა ლუდოვიკო XVIII, — თქვენ ხომ მადმუაზელ დე სენ-მერანი უნდა გეთხოვრათ?

— თქვენი უდიდებულესობის ერთგული მსახურის ასული.

— დიახ, დიახ, მაგრამ, ბატონო დე ვილფორ, დავუბრუნდეთ იმ ჯგუფის ამბავს.

— თქვენო უდიდებულესობავ, ვშიშობ, რომ იგი უფრო მეტია, ვშიშობ, რომ იგი შეთქმულებაა.

— შეიძლება ჩვენს დროს შეთქმულების მოწყობა ადვილი იყოს, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა ძნელია. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ახლახან დავუბრუნდით ჩვენი წინაპრების ტახტს და ერთდროულად გვიჭირავს თვალი წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე. — უპასუხა ლუდოვიკომ ღიმილით, — აი, უკვე ათი თვეა ჩემი მინისტრები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს, რომ ხმელთაშუა ზღვის ნაპირები მარჯვედ იყოს დაცული. თუ ნაპოლეონი ნეაპოლში გადავიდა, მთელი კოალიცია ფეხზე დადგება მის წინააღმდეგ, სანამ იმ პიომბინომდე მიაღწევდეს. თუ ის ტოსკანაში გადავიდა, ფეხს მტრის მიწაზე დაადგამს. თუ ერთი მუჭა ხალხით საფრანგეთში გადმოვიდა, ჩვენ ადვილად გავუსწორდებით, რადგან მოსახლეობას ეჯავრება. მაშ, დამშვიდდით, დე ვილფორ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩვენს მეფურ მადლიერებაში.

— აი, ბატონი დანდრეც, — შესძახა ჰერცოგმა ბლაკასმა.

მართლაც, კარის ზღურბლზე იდგა ფერწასული და აცახცახებული პოლიციის მინისტრი, იგი თვალებს უმიზნოდ აცეცებდა, თითქოს გონება არევიყო. ვილფორმა ნაბიჯი გადადგა, უნდოდა გასულიყო, მაგრამ ბატონმა ბლაკასმა ხელი მოუჭირა და შეაჩერა.

XI

კორსიკელი კაციჭამია

ლუდოვიკო XVIII მინისტრის სასოწარკვეთილი სახის დანახვაზე წამოიწია და მაგიდას ხელი ღონივრად დაჰკრა.

— რა მოგდით, ბატონო ბარონო? — შეჰყვირა მან. — თქვენ ძალიან ადელვებული ჩანხართ. ნუთუ ამ დაბნეულობას, ამ ყოყმანს რაიმე კავშირი აქვს ჰერცოგ ბლაკასის წინათგრძნობასთან, რასაც ბატონი დე ვილფორიც ადასტურებს?

ბატონი ბლაკასიც მკვირცხლად მიიჭრა ბარონთან; მაგრამ სამეფო კარისკაცის შიშმა გადასწონა სახელმწიფო მოღვაწის ნიშნისგება. მართლაც, საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ გაცილებით ჯობდა, თვითონ შერცხვენილიყო და არა პოლიციის უფროსი.

— თქვენო უდიდებულესობავ... — ჩაიბუტბუტა ბარონმა.

— თქვით, რაც სათქმელი გაქვთ! — უთხრა ლუდოვიკო XVIII.

მაშინ პოლიციის მინისტრმა თავისუფლება მისცა სასოწარკვეთილების გრძნობას და ლუდოვიკო XVIII ფეხქვეშ განერთხა. მეფემ წარბები შეიკრა და უკან დაიხია.

— ამოიღებთ ხმას თუ არა? — იკითხა მან.

— ოჰ, ხელმწიფეო, საშინელი უბედურება დაგვატყდა! რა მემშველება, თავს ვეღარაფრით დავიმშვიდებ!

— მოწყალეო ხელმწიფევე! გიბრძანებთ, ილაპარაკოთ! — უთხრა ლუდოვიკო XVIII.

თქვენო უდიდებულესობავ, 28 თებერვალს უზურპატორმა დატოვა კუნძული ელბა და პირველ მარტს ნაპირს მოადგა.

— სად? — ჰკითხა ფიცხლად მეფემ.

— საფრანგეთში, ხელმწიფევე, პატარა ნავსადგურს, ანტიბის ახლოს, ჟუანის ყურეში.

— როგორ, უზურპატორმა 28 თებერვალს დატოვა ელბა, პირველ მარტს გადმოვიდა საფრანგეთის ნაპირებზე ანტიბის ახლოს, ჟუანის ყურეში, პარიზიდან 200 ლიეს დაშორებით და თქვენ ეს ამბავი მხოლოდ დღეს, სამ მარტს გაიგეთ!.. არა, ჩემო კარგო, ეგ შეუძლებელია, თქვენ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდეს, ან არადა გაგიჟებულხართ.

— სამწუხაროდ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს სრული სიმართლეა.

ლუდოვიკო XVIII სიბრაზისა და შიშის ცახცახმა აიტანა, თითქოს მოულოდნელად, ერთსა და იმავე დროს გულში ხანჯალი ჩასცეს და სახეშიც რაღაცა მოხვდაო.

— საფრანგეთში! — წამოიყვირა მან, — უზურპატორი საფრანგეთში! მაშ, იმ კაცზე თვალყური არავის სჭერია! ვინ იცის, იქნება შეთანხმებულიც იყვნენ მასთან.

— ოჰ! არა, ხელმწიფევე, — შესძახა ჰერცოგმა ბლაკასმა, — ბარონ დანდრესთანა ადამიანს არ შეიძლება ღალატი დაეწამოთ! თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ყველანი დაბრმავებულები ვიყავით და პოლიციის მინისტრიც ამ ბრმათა შორის აღმოჩნდა.

— მაგრამ... — დაიწყო ვილფორმა და უცებ შეწყვიტა ლაპარაკი. — მაპატიეთ, მაპატიეთ, ხელმწიფევე, — თქვა მან და თავი დახარა. — ჩემმა ერთგულებამ გამიტაცა და თქვენს უდიდებულესობას პატიებას ვთხოვ.

— ილაპარაკეთ თამამად, ილაპარაკეთ, — ნება დართო მეფემ, — მარტო თქვენ ერთადერთმა გვაუწყეთ მოსალოდნელი უბედურება... მოგვეხმარეთ, საშუალება ვიპოვოთ მისი თავიდან ასაცილებლად.

— თქვენო უდიდებულესობავ, — თქვა ვილფორმა, — უზურპატორი სძულთ სამხრეთში და თუ იგი იქ გადაწყვეტს გადასვლას, მაშინ ადვილად მოხერხდება მის წინააღმდეგ პროვანსისა და ლანგედოკის ამხედრება.

— რასაკვირველია, — თქვა მინისტრმა, — მაგრამ ის წინ გაპიოთა და სისტერონის მიმართულებით მოიწევს.

— წინ მოიწევს, წინ მოიწევს! — გაცხარდა ლუდოვიკო XVIII, — მაშ, პირდაპირ პარიზზე მოდის?

მინისტრს ხმა არ ამოუღია, ეს სიჩუმე პასუხს უდრიდა.

— დოფინე? — ჰკითხა მეფემ, — როგორ ფიქრობთ? ვილფორ, შეიძლება თუ არა ამ პროვინციის ისევე ამხედრება, როგორ პროვანსის.

— მეუფეო, ჩემთვის ძნელია სასტიკი სიმართლის თქმა, მაგრამ დოფინეში გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე პროვანსსა და ლანგედოკში. მთიელები ბონაპარტისტები არიან, თქვენო უდიდებულესობავ.

— მაშ, ის კარგად ყოფილა ინფორმირებული, — ჩაილაპარაკა მეფემ, — რამდენი კაცი ახლავს თან?

— არ ვიცი, ხელმწიფევ, — უპასუხა პოლიციის მინისტრმა.

— როგორ, არ იცით? ხომ არ დაგავიწყდათ ამ ცნობების გაგება? — მაგრამ ამას მაინც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — დაუმატა მეფემ მწარე ღიმილით.

— ჩემო ხელმწიფევ, მე ვერ მოვახერხე ამისი დაზუსტება. დეპეშით გვაცნობეს მხოლოდ მისი საფრანგეთის ნაპირებზე გადმოსვლა და გზა, რომლითაც ის მოდის.

— მაშ, თქვენ დეპეშით ხართ გაფრთხილებული? — ჰკითხა მეფემ.

მინისტრმა თავი დახარა, ჭარხალივით გაწითლდა.

— დიახ, დეპეშით, თქვენო უდიდებულესობავ, — ჩაიბუტბუტა მან.

ლუდოვიკო XVIII ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და ნაპოლეონით გულხელი დაიკრიფა.

— მაშ ასე, — თქვა მან და სიბრაზისაგან გაფითრდა, — შვიდი მოკავშირე სახელმწიფოს გაერთიანებულმა არმიამ დაამხო ეს კაცი; ოცდახუთი წლის დევნის შემდეგ ზეციური სასწაულმოქმედების ძალით წინაპართა ტახტი დამიბრუნდა; ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში მე ვსწავლობდი, ვეცნობოდი ჩემთვის აღთქმული ქვეყნის — საფრანგეთის ხალხს, საქმეებს და ყოველივე ამას თურმე იმიტომ ჩავდიოდი, რომ, როცა მიზანს მივალწევდი, ძალა, რომელიც ხელში მეჭირა, მეხივით გამსკდარიყო და მევე შევემუსრე.

— მეფევ, ეს ბედისწერაა, — წაილულლულა მინისტრმა, რომელიც გრძნობდა, რომ ბედისათვის მსუბუქი, ამგვარი დარტყმაც კი, საკმარისი იყო ადამიანის გასასრესად.

— მაშ, რასაც ჩვენი მტრები ლაპარაკობენ, მართალი ყოფილა: ჩვენ ვერაფერი ვერ ვისწავლეთ და ვერაფერი ვერ დავივიწყეთ. ჩემთვისაც რომ ისე ეღალატათ, როგორც მას უღალატეს, თავს დავიმშვიდებდი; მაგრამ მე ხომ იმ ადამიანებს შორის ვარ, რომლებიც თვითონ ავამაღლე, რომლებიც მე უფრო მეტად უნდა გამფრთხილებოდნენ, ვიდრე თავიანთ თავს, რადგან ჩემი ბედნიერება მათი ბედნიერებაა; ჩემამდე ისინი არარაობანი იყვნენ; ჩემს შემდეგაც არარაობანი იქნებიან, დაილუპებიან თავიანთი უსუსურობისა და სისულელის გამო! დიახ, თქვენ მართალი ხართ, ეს ბედისწერაა!

მინისტრი თავჩაქინდრული ისმენდა ამ საშინელ შერისხვას.

ბატონმა დე ბლაკასმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ვილფორს გულში ეცინებოდა, რადგან გრძნობდა, რომ მისი ავტორიტეტი იზრდებოდა.

— ადამიანი დაეცეს, — განაგრძო ლუდოვიკო XVIII, რომელმაც პირველი შეხედვისთანავე იმ უფსკრულის სიღრმე გაზომა, სადაც უნდა გადაჩეხილიყო მონარქია, — ადამიანი დაეცეს და თავისი დაცემა ტელეგრაფით გაიგოს! მე მერჩი, ავსულიყავი იმ ეშაფოტზე, რომელზედაც ჩემმა ძმამ ლუდოვიკო XVI დადო თავი, ვიდრე ტიულერის კიბეზე ჩავიდე და სიცილი დამაყარონ. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს საფრანგეთში დაცინვის საგნად გახდომა, კი უნდა გცოდნოდეთ ეს.

— თქვენო უდიდებულესობავ, — ჩაილულლულა მინისტრმა, — შემიბრალებით!..

— მოგვიახლოვდით, ბატონო ვილფორ, — მიმართა მეფემ ყმაწვილ კაცს, რომელიც მოშორებით უძრავად იდგა და ყურს უგდებდა საუბარს, რომელზედაც დამოკიდებული იყო მთელი სახელმწიფოს ბედი, — მოგვიახლოვდით და უთხარით ბატონ მინისტრს, რომ უნდა სცოდნოდა ის, რაც არ იცოდა.

— ხელმწიფევ, ფიზიკურად შეუძლებელი იყო იმ გეგმის ცოდნა, რომელსაც უზურპატორი არავის უმხელდა.

— ფიზიკურად შეუძლებელი იყო, — თქვენ ამბობთ! რა დიდებული გამოთქმაა! საუბედუროდ, დიდებული გამოთქმები იგივეა, რაც დიდი ადამიანები; მე ვიცი მათი ფასი. მინისტრისათვის, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავს მთელი სამმართველო, დეპარტამენტი, აგენტები, გამომძიებლები, პოლიციის ჯაშუშები და მილიონ-ნახევარი ფრანკი საიდუმლო ფონდი, ფიზიკურად შეუძლებელი იყო იმის გაგება, თუ რა ხდება საფრანგეთის ნაპირებიდან სამოცი ლიეს დაშორებით? აი, შეხედეთ ამ ახალგაზრდა კაცს, სასამართლოს უბრალო მოხელეს, რომლის განკარგულებაში არ ყოფილა არც ერთი ეს საშუალება და რომელმაც გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე თქვენ მთელი თქვენი პოლიციით. ის იხსნიდა კიდევაც ჩემს გვირგვინს, თუ თქვენსავით ტელეგრაფის მართვის უფლება ექნებოდა.

გულმოკლულმა პოლიციის მინისტრმა შეხედა ვილფორს, რომელმაც გამარჯვებული ადამიანის მოკრძალებით დახარა თავი.

— ამას თქვენზე არ ვლაპარაკობ, ბლაკას, — განაგრძო ლუდოვიკო XVIII, — მართალია, საქმე თქვენ არ გაგიხსნიათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმდენად ჭკვიანი გამოდევით, რომ დაჟინებით იცავდით თქვენს ეჭვებს; სხვა თქვენს ადგილზე ვილფორის ცნობას გულგრილად შეხედავდა, ან, ყოველ შემთხვევაში, იფიქრებდა, რომ მას ანგარება და პატივმოყვარეობის გრძნობა ამოძრავებდა.

ამით ხაზი გაუსვა იმ სიტყვებს, რომლებიც ერთი საათის წინათ პოლიციის მინისტრმა ასე დაბეჯითებით წარმოთქვა.

ვილფორი მიხვდა მეფის სიტყვების თამაშს. სხვას მის ადგილას შეიძლება თავში ავარდნოდა ქება, მაგრამ იგი შიშობდა, მოსისხლე მტერი არ გაეჩინა პოლიციის მინისტრის სახით, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ამ უკანასკნელის საქმე სამუდამოდ დაღუპული იყო. მართალია, პოლიციის მინისტრმა, რომელსაც ამდენი ძალაუფლება ჰქონდა, ვერ შეძლო ნაპოლეონის საიდუმლო გეგმის გამოცნობა, მაგრამ სულთმობრძავს უკანასკნელ წუთებში შეეძლო ვილფორის გულში შეჭრილიყო: ამისათვის საკმაო იქნებოდა დანტესის დაკითხვა. ამიტომ ვილფორი, იმის მაგივრად, რომ დაერტყა მინისტრისათვის, პირიქით შეეცადა, დახმარება გაეწია მისთვის.

— თქვენო უდიდებულესობავ, — თქვა ვილფორმა, — ამ ამბის სწრაფმა მსვლელობამ უნდა დაგიმტკიცოთ, რომ მხოლოდ ღმერთს შეეძლო შეეჩერებინა ქარიშხალი. ის, რასაც თქვენი უდიდებულესობა ჩემს შორსმჭვრეტელობას მიაწერს, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევის საქმეა. მე, თქვენმა ერთგულმა მსახურმა, მხოლოდ ვისარგებლე ამ

შემთხვევით, ეს არის და ეს. ხელმწიფევ, ნუ დამაფასებთ იმაზე მეტად, ვიდრე ღირსი ვარ ამისი, რათა შემდეგში არ შეგეცვალოთ შეხედულება, რომელიც ჩემზე გაქვთ.

პოლიციის მინისტრმა მჭევრმეტყველური მზერით გადაუხადა მადლობა. ვილფორი მიხვდა, რომ წარმატება ხვდა მის მიერ დასახულ გეგმას: მეფე მისი მადლობელი რჩებოდა, ხოლო ამასთანავე შეიძინა მეგობარი, რომელიც საიმედო იქნებოდა გაჭირვების შემთხვევაში.

— კარგი, ეგრე იყოს, — თქვა მეფემ, — ახლა კი, ბატონებო, — მიმართა მან ბატონ ბლაკასს და პოლიციის მინისტრს, — თქვენ აღარ მჭირდებით, შეგიძლიათ მიბრძანდეთ. დანარჩენი საქმე სამხედრო მინისტრს ეხება.

— საბედნიეროდ, — უთხრა ბლაკასმა, — ჩვენ შეგვიძლია არმიის იმედი ვიქონიოთ. თქვენი უდიდებულესობისათვის ცნობილია, რომ ყველა ცნობა მოწმობს მის თქვენდამი ერთგულებას.

— ნუ მელაპარაკებით ცნობებზე, ახლა მე უკვე ვიცი, რამდენად სანდოა ისინი. ოჰ, მართლა, ამ ცნობებზე მომაგონდა, რა იცით ახალი სენ-ჟაკის ქუჩის შესახებ?

— სენ-ჟაკის ქუჩის შესახებ? — შეჰყვირა უეცრად ვილფორმა, მაგრამ იმ წუთსავე შეჩერდა, — პატიებას ვითხოვ, მეუფეო; თქვენი უდიდებულესობისადმი ერთგულება მე მავიწყებს არა თქვენს პატივისცემას, რომელიც მე ღრმად მაქვს გამჯდარი გულში, არამედ ეტიკეტის წესებს.

— ბრძანეთ, — უპასუხა მეფემ, — თქვენ დღეს შეკითხვის უფლება მოიპოვეთ.

— ხელმწიფევ, — უთხრა პოლიციის უფროსმა, — მე სწორედ დღეს მინდოდა თქვენი უდიდებულესობისათვის მომეხსენებინა ამ ამბის შესახებ შეგროვილი ახალი ცნობები, მაგრამ თქვენი უდიდებულესობის მთელი ყურადღება მიქცეული იყო ჟუანის ყურეში მომხდარი საშინელი კატასტროფისაკენ. ახლა ეს ამბები არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს თქვენი უდიდებულესობისათვის.

— პირიქით, ბატონო, პირიქით, — თქვა ლუდოვიკო XVIII, — მე მგონი, ამ საქმეს პირდაპირი კავშირი აქვს იმ ამბავთან, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრშია და გენერალ კენელის სიკვდილმა შეიძლება მიგვაგნებინოს დიდი შეთქმულების კვალს.

გენერალ კენელის სახელის ხსენებაზე ვილფორს შეაჟრჟოლა.

— მართლაც, ხელმწიფევ, — დაიწყო ისევ პოლიციის მინისტრმა, — ყველაფერი ამტკიცებს, რომ ეს სიკვდილი არ არის თვითმკვლელობის შედეგი, როგორც ამას წინათ ფიქრობდნენ, არამედ მკვლელობაა. როგორც ჩანს, გენერალი კენელი ბონაპარტისტების კლუბიდან გამოსვლისას გაქრა. იმ დილას მასთან მისულა ვიღაც უცნობი და პაემანი დაუნიშნავს სენ-ჟაკის ქუჩაზე. როდესაც ის უცნობი ოთახში შემოუყვანიათ, კამერდინერი თურმე თმებს უვარცხნიდა გენერალს; მას კარგად გაუგონია, როგორ დაუნიშნა გენერალს პაემანი სენ-ჟაკის ქუჩაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სახლის ნომერი ვერ დაუმახსოვრებია.

სანამ მინისტრი მეფეს ამ ცნობებს აწვდიდა, ვილფორი, რომელსაც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა.

მეფე დე ვილფორს მიუბრუნდა.

— თქვენც ჩემს აზრს ხომ არ იზიარებთ, ბატონო ვილფორ, როგორ ფიქრობთ, განა შესაძლებელი არაა, რომ გენერალი კენელი, რომელიც უზურპატორის მომხრედ ჩათვალეს მაშინ, როდესაც სინამდვილეში მთელი არსებით ჩემი ერთგული იყო, ბონაპარტისტების ხელით დალუპულიყო?

— შესაძლებელია, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ვილფორმა, — მაგრამ ნუთუ სხვა არაფერია ცნობილი.

— უკვე მიაგნეს იმ ადამიანის კვალს, ვისაც უნდა შეხვედროდა.

— მიაგნეს კვალს? — გაიმეორა ვილფორმა.

— დიახ, კამერდინერმა აგვიწერა მისი ნიშნები: ეს არის ორმოცდაათი თუ ორმოცდათორმეტი წლის კაცი, შავგვრემანი, შავთვალა, ხშირი წარბები და უღვაშები აქვს. ატარებს ლურჯ სერთუკს; ღილის კილოში — საპატიო ლეგიონის პატარა ბაფთა უკეთია. გუშინ კვალდაკვალ გაჰყვნენ კაცს, რომელსაც ყველა ეს ნიშანი ჰქონდა, მაგრამ ის მიიძალა ლა-იუსიენისა და კოკ-ერონის ქუჩების კუთხეში.

პოლიციის მინისტრის ლაპარაკის დროს ვილფორმა იგრძნო, რომ მუხლები მოეკვეთა და სკამის ზურგს დაეყრდნო. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ უცნობი აგენტებს დაემალა, რომლებიც მას უთვალთვალდნენ, შვებით ამოისუნთქა.

— იპოვეთ ის კაცი. — უთხრა მეფემ პოლიციის მინისტრს, — თუ გენერალი კენელი, რომელიც ჩვენთვის ახლა ასე საჭირო იქნებოდა, მართლაც მკვლელობის მსხვერპლია, მე მინდა მკვლელი, ვინც უნდა იყოს იგი — ბონაპარტისტი, თუ სხვა მიმართულების კაცი — მკაცრად დაისაჯოს.

ვილფორმა თავს ძალა დაატანა, რომ გულგრილი სახე მიეღო და არ გამოეხატა ის შიში, რომელიც მეფის ბოლო სიტყვების გამო განიცადა.

— უცნაური ამბავია, — განაგრძო მეფემ გულისტკივილით, — პოლიციას ჰგონია, ყველაფერი თქვა იმით, რაკი ამბობს: მკვლელობა მოხდაო და ყველაფერი გაკეთებულია, როდესაც დაუმატებს: დამნაშავეთა კვალს მივაგენითო.

— ვიმედოვნებ, რომ თქვენი უდიდებულესობა ამ შემთხვევაში მაინც დარჩება კმაყოფილი!

— კარგი, ვნახოთ; ბარონ, მე თქვენ მეტს აღარ შეგაჩერებთ; ბატონო ვილფორ, დაღლილი იქნებით ასეთი დიდი მგზავრობის შემდეგ, წაბრძანდით, მოისვენეთ. ალბათ მამათქვენთან ჩამოხტებოდით, არა?

ვილფორს თვალთ დაუბნელდა.

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, სასტუმრო «მადრიდში» გავჩერდები, ტურნონის ქუჩაზე.

— განა მამა არ გინახავთ?

— ხელმწიფევ, მე პირდაპირ ჰერცოგ ბლაკასთან მოვედი.

— მაშ, ყოველ შემთხვევაში, ინახულებთ მაინც?

— არა მგონია, თქვენო უდიდებულესობავ.

— ჰო! ეგ მართალია, — თქვა ლუდოვიკო XVIII ისეთი ღიმილით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყველა ეს კითხვა წინასწარი განზრახვის გარეშე არ იყო დასმული. — დამავიწყდა, რომ თქვენ კარგ დამოკიდებულებაში არა ხართ ბატონ ნუარტიესთან და რომ ეს ახალი მსხვერპლია, გაღებული ტახტის ინტერესებისათვის, რისთვისაც მე თქვენ უნდა დაგაჯილდოოთ.

— თქვენი უდიდებულესობის მოწყალების თვალთ გადმოხედვა იმდენად აღემატება ყველა ჩემს სურვილს, რომ მე მეფესთან სხვა აღარაფერი მაქვს სათხოვარი.

— სულ ერთია, ჩვენ მაინც არ დაგივიწყებთ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მანამდე კი (მეფემ მკერდიდან მოიხსნა საპატიო ლეგიონის ჯვარი, რომელსაც ყოველთვის ატარებდა ლურჯ ტანსაცმელზე წმინდა ლუდოვიკოს ჯვარის გვერდით, კარმელის ღვთისმშობლის და წმინდა ლაზარეს ვარსკვლავებს ზემოთ, და ვილფორს გადასცა) აი, ეს ჯვარი აიღეთ.

— ხელმწიფევ, — უთხრა ვილფორმა, — თქვენ სცდებით, ეს ოფიცრის ჯვარია.

— არაფერია, — უპასუხა ლუდოვიკო XVIII, — აიღეთ, რაც არის. მე დრო არა მაქვს, სხვა მოვითხოვო. ბლაკას, იზრუნეთ, ბატონ დე ვილფორის სახელზე სიგელი გასცენ!

ვილფორს თვალეში სიხარულის ცრემლები მოადგა. მან ჩამოართვა ჯვარი და ზედ ემთხვია.

— კიდევ რას ბრძანებს და დამდებს პატივს თქვენი უდიდებულესობა? — ჰკითხა ვილფორმა.

— დაისვენეთ, ეს თქვენთვის აუცილებელია, და არ დაგავიწყდეთ, რომ, თუ პარიზში ძალა არ შეგწევთ მემსახუროთ, მარსელში შეიძლება დიდი სამსახური გამიწიოთ.

— ხელმწიფევ, — უპასუხა ვილფორმა და თავი დაუკრა, — ერთ საათში მე დავტოვებ პარიზს.

— წადით, დე ვილფორ, და თუ დამავიწყდეთ (მეფეებს სუსტი მეხსიერება აქვთ), ნუ მოგერიდებათ, გამახსენეთ თქვენი თავი. ბარონ, უბრძანეთ, სამხედრო მინისტრს სთხოვონ. ბლაკას, თქვენ დარჩით.

— ბატონო ჩემო, — უთხრა ვილფორს პოლიციის უფროსმა ტიულერიდან გამოსვლისას, — თქვენ ბედნიერი კარით შეხვედით და თქვენი კარიერა უზრუნველყოფილია.

— იქნება კი ის ხანგრძლივი? — ჩაილაპარაკა ვილფორმა, გამოემშვიდობა მინისტრს, რომლის სარბიელიც დამთავრებული იყო და ეტლს დაუწყო ძებნა, რათა შიგ ჩამჯდარიყო.

სანაპიროზე ეტლმა ჩაიარა, ვილფორმა ნიშანი მისცა, ეტლი მიუახლოვდა; ვილფორმა თავისი მისამართი უთხრა, ეტლში ღრმად ჩაჯდა და პატივმოყვარე ოცნებებს მიეცა. ათი წუთის შემდეგ უკვე შინ იყო. განკარგულება გასცა, ორი საათის შემდეგ ცხენები მოეგვარათ და საუზმე მოითხოვა.

ის იყო მაგიდას უნდა მისჯდომოდა, რომ ვიდაცის მტკიცე და ღონიერმა ხელმა ზარი ჩამოჰკრა. მსახური კარის გასაღებად წავიდა. ვილფორმა თავისი სახელი გაიგონა.

— ვინ უნდა იცოდეს, რომ მე აქა ვარ? — ეკითხებოდა თავის თავს ყმაწვილი კაცი.

მსახური დაბრუნდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ვილფორმა, — ვინ დარეკა? ვინ მკითხულობს?

— უცნობი, რომელსაც არ სურს, თავისი გვარი თქვას.

— როგორ? უცნობი, რომელსაც არ სურს თქვას თავისი გვარი? მერედა, რა უნდა ჩემგან ამ უცნობს?

— თქვენთან საუბარი სურს.

— ჩემთან? — დიახ.

— მან თქვა ჩემი გვარი?

— დიახ.

— როგორი შესახედავია ეს კაცი?

— ასე ორმოცდაათი წლისა იქნება.

— დაბალია თუ მაღალი?

— დაახლოებით თქვენი სიმაღლისაა.

— შავგვრემანია თუ ქერა?

— შავგვრემანია, შავი თმა, შავი თვალები და შავი წარბები აქვს.

— ჩაცმულობა? — ჰკითხა ფიცხლად ვილფორმა. — რა აცვია?

— ყელამდე შეკრული ლურჯი სერთუკი აცვია. საპატიო ლეგიონის ბაფთა უკეთია.

— ის არის! — ჩაიჭურჭულა ვილფორმა და გაფითრდა.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა კარებში შემოსულმა კაცმა, რომლის შესახედაობა და ჩაცმულობა უკვე ორჯერ აღვწერეთ, — აი, ცერემონია, ნუთუ მარსელში ვაჟიშვილებს სჩვევიათ, მოსაცდელ ოთახში ალოდინონ მამებს?

— მამაჩემო! — შეჰყვირა დე ვილფორმა — მაშ, არ შევმცდარვარ... მე ვფიქრობდი, რომ ეს თქვენ იქნებოდით...

— თუ ეჭვი არ გეპარებოდა, რომ ეს მე ვიყავი, — უთხრა ახლადმოსულმა, თან ჯოხი კუთხეში მიაყუდა და ქუდი სკამზე დადო, — ნება მომეცი გითხრა, ჩემო ძვირფასო ჟერარ, შენი მხრივ ვერაფერი თავაზიანობაა, ამდენ ხანს რომ მალოდინებ.

— დაგვტოვეთ, ჟერმენ, — უთხრა ვილფორმა მსახურს.

მსახური წავიდა. მას სახეზე აშკარა გაკვირვება ემჩნეოდა.

XII

მამა და შვილი

ბატონ ნუარტიეს (სწორედ ეს გახლდათ ახლადმემოსული) თვალი არ მოუშორებია მსახურისათვის, სანამ ამ უკანასკნელმა კარი არ მიიხურა. შემდეგ, ალბათ, იმისი შიშით, რომ მსახურს მოსაცდელი ოთახიდან ყური არ დაეგდო, მივიდა და კარი ხელახლა გამოაღო. სიფრთხილე ზედმეტი არ გამოდგა, ჟერმენი ისე ჩქარა მოწყდა ადგილს, ეჭვი არ იყო, მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო მანკიერება, რამაც ჩვენი მამამთავრები დალუპა¹. (¹ ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ჩვენმა მამამთავრებმა, ადამმა და ევამ, ცნობისმოყვარეობის ზეგავლენით ჭამეს ღმერთის მიერ აკრძალული ხის ნაყოფი და ამიტომ გაძევებული იქნენ სამოთხიდან.) მაშინ ბატონმა ნუარტიემ თვითონ გადაკეტა ჯერ მოსაცდელი, ხოლო შემდეგ საწოლი ოთახის კარები და ვილფორს, რომელიც განცვიფრებით ადევენებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას, ხელი გაუწოდა.

— იცი, ჟერარ, — უთხრა მან შვილს ღიმილით, რომლის ნამდვილი აზრის გაგება ძნელი იყო, — არ გეტყობა, რომ ჩემი დანახვა გიხაროდეს.

— რას ბრძანებთ, მამა, — უთხრა ვილფორმა, — აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ გნახავდით და ამიტომ დავრჩი სახტად.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — განაგრძო ბატონმა ნუარტიემ და სავარძელში ჩაჯდა, — ვგონებ, თქვენთვისაც იგივე შემეძლო მეთქვა. როგორ? თქვენ მაცნობეთ, 28 თებერვალს მარსელში ნიშნობა მაქვსო და დღეს, სამ მარტს, პარიზში ხართ?

— დიახ, მამაჩემო, აქა ვარ, — უთხრა ჟერარმა და ბატონ ნუარტიეს მიუახლოვდა. — ნუ მიწყრებით, მე თქვენი გულისათვის ჩამოვედი და შესაძლოა ამ ჩამოსვლამ გადაგარჩინოთ.

— ჰო, მართლა! — თქვა ბატონმა ნუარტიემ და თან დაუდევრად გაიშხლართა სავარძელში, — მაშ, ბატონო პროკურორის თანაშემწევ, გამაგებინეთ, რაშია საქმე, ეს მეტად საინტერესო ამბავი ჩანს.

— მამაჩემო, გაგიგონიათ თუ არა რამე ერთი ბონაპარტისტული კლუბის შესახებ სენ-ჟაკის ქუჩაზე?

— ორმოცდათორმეტ ნომერში? დიახ, მე მისი ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

— მამაჩემო, თქვენი გულგრილობა თავზარსა მცემს.

— რას იზამ, ჩემო ძვირფასო? ის კაცი, რომელიც მონტანიარების მიერ იყო გაძევებული, პარიზიდან თივით დატვირთული ურმით გაიქცა და ბორდოს დაბლობებში რობესპიერის მამებრებს ემალებოდა. ყველაფერს შეეჩვია. მაშ, განაგრძე, რა მოხდა სენ-ჟაკის ქუჩის კლუბში?

— მოხდა ის, რომ ამ კლუბში მიიპატიჟეს გენერალი კენელი, და ცხრა საათზე შინიდან გამოსული გენერალი ორი დღის შემდეგ მდინარე სენაში იპოვეს.

— ვინ მოგიყვათ ამ საინტერესო ამბავს?

— თვით მეფე.

— კარგი, — უთხრა ნუარტიემ. — მაგის პასუხად მე თქვენ ახალ ამბავს გაცნობებთ.

— ვგონებ, უკვე ვიცი, რაც უნდა მითხრათ.

— თქვენ იცით, რომ მისმა უდიდებულესობამ კუნძული ელბა დატოვა?

— გაჩუმდით, მამა, ამას გთხოვთ ჯერ თქვენი და მერე ჩემი გულისათვის. დიახ, ვიცი ეგ ამბავი და თქვენზე ადრეც ვიცოდი. სამი დღის განმავლობაში მოვექროდი მარსელიდან პარიზში და თმებს ვიგლეჯდი, რომ ორასი ლიეს მანძილზე არ შემემძლო გადამესროლა ის აზრი, რომელიც ტვინს მიხვრეტდა.

— სამი დღე? ხომ არ შეშლილხართ? სამი დღის წინ იმპერატორი არც კი იყო გადმოსული კუნძულ ელბადან.

— სულ ერთია, მე ვიცოდი მისი გეგმა.

— როგორ?

— წერილით, რომელიც ელბადან თქვენ გამოგიგზავნეს.

— მე მწერდნენ?

— დიახ, თქვენ, და მე იგი შიკრიკის პორტფელიდან ამოვიღე. ის რომ სხვებს ჩავარდნოდა ხელში, თქვენ ალბათ უკვე დახვრეტილი იქნებოდით.

ვილფორის მამას სიცილი აუტყდა.

— ეჰე, როგორც ჩანს, ბურბონებმა იმპერატორისაგან ისწავლეს სწრაფად მოქმედება... დამხვრეტდნენ! თქვენ ძალიან შორს მიდიხართ, მეგობარო! სად არის ის წერილი? მე რომ თქვენ გიცნობთ, შიში არა მაქვს, კარგად შეინახავდით!

— ისე დავწვი, რომ იქიდან არაფერი არ დარჩენილა, რადგან ეს წერილი თქვენი სასიკვდილო განაჩენი იყო.

— და თქვენი კარიერის დასასრული, — ცივად უპასუხა ნუარტიემ, — დიახ, მე მესმის ეს მდგომარეობა, მაგრამ არაფრის შიში არ უნდა მქონდეს, რაკი თქვენ მმფარველობთ.

— მე ამაზე მეტიც გავაკეთე; მე თქვენ გადაგარჩინეთ.

— ეშმაკმა დალახვროს, საქმე უფრო დრამატულ ხასიათს ღებულობს! აბა, ამიხსენით!

— დავუბრუნდეთ სენ-ჟაკის ქუჩის კლუბის ამბავს.

— ვატყობ, რომ ამ კლუბის ამბავი გულში მოხვდათ ბატონ პოლიციელებს. რატომ კარგად არ ეძებენ? ამდენ ხანს უკვე იპოვიდნენ.

— ვერ იპოვეს, მაგრამ კვალს კი მიაგნეს.

— ეს ნაკურთხი სიტყვებია. კარგად ვიცი, როდესაც პოლიცია უძღურია, ის ამბობს, კვალს მივაგენითო, და მთავრობა დამშვიდებით ელოდება, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყურებჩამოყრილი მოვლენ და ეტყვიან, კვალი დაკარგულიაო.

— მაგრამ იპოვეს გვამი. გენერალი კენელი მოკლულია, და ყოველ ქვეყანაში ამას მკვლელობას უწოდებენ.

— მკვლელობაო, ამბობთ თქვენ? მაგრამ არავითარი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს, რომ გენერალი მკვლელობის მსხვერპლია. მდინარე სენაში თითქმის ყოველდღე პოულობენ ადამიანებს. ზოგიერთი სასოწარკვეთილი თვითონ იხრჩობს თავს, ზოგიერთი კიდეც იმიტომ იღუპება, რომ ცურვა არ იცის.

— მამაჩემო, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ გენერალს სასოწარკვეთილების გამო არ დაუხრჩვია თავი და რომ იანვარში სენაში არავინ ბანაობს. არა, არა, გზა-კვალს ნუ აზნევთ, ასეთ სიკვდილს ნამდვილად შეიძლება მკვლელობა ეწოდოს.

— მერე ვინ უწოდებს ასე?

— თვით მეფე!

— მეფე! მე მგონია, ის საკმაოდ ფილოსოფოსობს და ამიტომ უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკაში არ არის მკვლელობები. პოლიტიკაში, ჩემო კარგო, როგორც თქვენთვის, ისევე ჩემთვისაც ცნობილია, რომ არსებობენ არა ადამიანები, არამედ იდეები, არა გრძნობები, არამედ ინტერესები. პოლიტიკაში კაცს კი არ კლავენ, არამედ გზიდან იცილებენ წინააღმდეგობას. ეს არის და ეს. გინდათ გაიგოთ, როგორ მოხდა ყოველივე?

ძალიან კარგი, გეტყვით. ჩვენ ვფიქრობდით, რომ შესაძლებელი იყო გენერალ კენელის ნდობა, მას ჩვენთან რეკომენდაცია გაუწიეს კუნძულ ელზადან; ერთი ჩვენგანი წავიდა მასთან და მოიწვია სენ-ჟაკის ქუჩის კლუბში გამართულ კრებაზე, სადაც მას თავისი მეგობრები უნდა ენახა. ის მოდის და აცნობენ მთელ გეგმას, კუნძულ ელზას დატოვებისა და საფრანგეთის ნაპირებზე გადმოსვლის პროექტს. როდესაც ყველაფერი მოისმინა, და უკვე აღარაფერი დარჩა გაუგებარი, განაცხადა, მე როიალისტი ვარო; ყველამ ერთმანეთს გადახედა, მას მიაღებინეს ფიცი. დათანხმდა, მაგრამ ისე უხალისოდ, რომ ამგვარი ფიცი ღმერთის ცთუნება იყო. ყოველივე ამის მიუხედავად გენერალი თავისუფლად გაუშვეს, დიახ, სრულიად თავისუფლად. ის თავის სახლში არ დაბრუნებულა. რას იზამ, ჩემო კარგო? ის ჩვენგან წავიდა; მაგრამ ალბათ გზა აებნა და სადმე გადაიჩეხა. ეს არის და ეს. მკვლელობა! თქვენ მართლაც მაცვიფრებთ, ვილფორ! თქვენ, მეფის პროკურორის თანაშემწეს, გინდათ ააგოთ ბრალდება ასეთ უხეირო მტკიცებებზე. როდესაც ერთ ჩვენგანს იმქვეყნად ისტუმრებთ, განა მე ოდესმე აზრად მომივა გითხრათ: «შვილო ჩემო, თქვენ ჩაიდინეთ მკვლელობა!» არა, პირიქით, მე გეტყვით: «ძალიან კარგი, ბატონო ჩემო, თქვენ გაიმარჯვეთ ბრძოლაში. ხვალ რევანშს ავიღებთ».

— ფრთხილად იყავით, მამაჩემო; როდესაც ისევ ჩვენი რიგი დადგება, ეს რევანში მეტად სასტიკი იქნება.

— მე არ მესმის, რისი თქმა გსურთ.

— თქვენ უზურპატორის დაბრუნების იმედი გაქვთ?

— ვაღიარებ.

— ცდებით, მამაჩემო, ის ათ ლიესაც ვერ გაივლის საფრანგეთის მიწა-წყალზე, რომ მიაკვლივენ, დაედევნებიან და გარეული მხეცივით დაიჭერენ.

— ძვირფასო მეგობარო, იმპერატორი ახლა გრენობლის გზაზეა, ათ ან თორმეტ დღეში ლიონში იქნება, ხოლო ოც ან ოცდახუთ დღეში — პარიზში.

— ხალხი აღსდგება...

— იმისათვის, რომ მიეგებონ მას.

— მას თან რამდენიმე კაცი ახლავს, მის წინააღმდეგ კი ჯარს გაუშვებენ.

— რომელიც მას შემახილებით მოიყვანს დედაქალაქამდე; დამიჯერე, ჩემო ძვირფასო ჟერარ, თქვენ ჯერ მართლაც ისევ ბავშვი ხართ; თქვენ გგონიათ, ყველაფერი იცით, რადგან საფრანგეთის ნაპირებზე გადმოსვლიდან სამი დღის შემდეგ ტელეგრაფით გაცნობეს, უზურპატორი რამდენიმე კაცით კანში გადმოვიდა და უკან მდევარი დაედევნაო. მაგრამ სად არის? რას აკეთებს? არაფერი იცით. იცით მხოლოდ ის, რომ მდევრები დაადევნეს; მერე და რა მოხდა, შეიძლება ასე სდიონ პარიზამდე, მაგრამ ერთი თოფიც არ გავარდეს.

— გრენობლი და ლიონი როიალისტების ერთგული ქალაქებია და გადაულახავ ზღუდეს აღუმართავენ.

— გრენობლი აღფრთოვანებით გაუღებს ყველა ჭიშკარს. მთელი ლიონი მის შესახვედრად გამოვა. დამიჯერე, ჩვენ თქვენზე ნაკლებად როდი ვართ საქმეში ჩახედულნი და ჩვენი პოლიციაც თქვენზე ნაკლები როდია. საბუთები გინდათ? ინებეთ: გინდოდით დაგემალათ თქვენი ჩამოსვლა, მაგრამ მე უკვე ვიცოდი ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც სადარაჯოს გამოსცილდით; თქვენ მიეცით თქვენი მისამართი მხოლოდ ფოსტის მეეტლეს, ჩემთვის კი ის ცნობილი გახდა, და ამის საბუთი ის გახლავთ, რომ თქვენთან მოვედი იმ დროს, როდესაც მაგიდას უნდა მისჯდომოდით. მაშ, დარეკეთ და მოითხოვეთ კიდევ ჭურჭელი ჩემთვისაც, ერთად ვისადილოთ.

— მართლაც ზედმიწევნით ზუსტი ცნობები გქონიათ, — უთხრა ვილფორმა და თან მამას გაკვირვებით შეხედა.

— ღმერთო ჩემო, ეს სულ უბრალო ამბავია: თქვენი, ხელისუფლების სათავეში მდგომთა განკარგულებაშია მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც ფულზე იყიდება; ჩვენ კი, ვინც ხელისუფლების სათავეში მოხვედრას ველით, ვსარგებლობთ იმით, რასაც ერთგულება გვაძლევს.

— ერთგულება? — თქვა ვილფორმა სიცილით.

— დიახ, ერთგულება; ზრდილობისათვის ასე ეძახიან პატივმოყვარეობას, რომელიც მომავალზე ამყარებს იმედს.

რაკი ვილფორის მამა დარწმუნდა, რომ მისი შვილი მსახურს არ ეძახდა, ზარის დასარეკად თვითონ გაიწოდა ხელი. ვილფორმა იგი შეაჩერა.

— მოითმინეთ, მამაჩემო, მოითმინეთ, კიდევ ერთი სიტყვა უნდა გითხრათ.

— თქვით.

— რაგინდ ცუდი უნდა იყოს როიალისტთა პოლიცია, მან ერთი საშინელი ამბავი იცის.

— რა?

— მან იცის ნიშნები იმ პიროვნებისა, ვინც გენერალ კენელთან მივიდა იმ დღეს, რა დღესაც იგი დაიკარგა.

— ჰო! ასეა საქმე? ყოჩად პოლიცია! მერე და როგორია ეს ნიშნები?

— შავგვრემანი, შავთმიანი, შავი ბაკენბარდები და თვალეები, სერთუკი ყელამდე აქვს შეკრული, ღილის კილოში საპატიო ლეგიონის ბაფთა უკეთია, ფართოფარფლებიანი ქუდი ხურავს და ხელში ლერწმის ჯოხი უჭირავს.

— ოჰო, მამ პოლიციამ იცის მისი ნიშნები? — უთხრა ნუარტიემ, — თუ ასეა, რატომ არ დაიჭირეს ეს კაცი?

— იმიტომ, რომ გუშინ თუ გუშინწინ ხელიდან გაუსხლტათ კოკ-ერონის ქუჩის კუთხეში.

— ტყუილად როდი გეუბნებოდი, თქვენი პოლიცია სულელია-მეთქი.

— დიახ, ყოველ წუთს შეუძლიათ დაიჭირონ იგი.

— რასაკვირველია, — უპასუხა ნუარტიემ და ირგვლივ უდარდელად მიმოიხედა, — ის კაცი რომ არ გაეფრთხილებინათ, მაგრამ გააფრთხილეს, — დაუმატა მან ღიმილით, — ამიტომ სახესაც შეიცვლის და ჩაცმულობასაც.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ის წამოდგა, გაიხადა სერთუკი, მოიძრო ყელსახვევი და მაგიდისაკენ გაემართა, სადაც მისი ვაჟის სამგზავრო ტუალეტისათვის საჭირო მოწყობილობა ეწყო. აიღო სამართებელი, პირი გაიპარსა და მტკიცე ხელით ჩამოიცილა მამხილებელი ბაკენბარდები, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიციისათვის.

ვილფორი მას უყურებდა შიშის ძრწოლით, რომელსაც არც აღფრთოვანება აკლდა.

როდესაც ნუარტიემ ბაკენბარდები მოიპარსა, თმა სხვანაირად გადაივარცხნა, შავი ყელსახვევის ნაცვლად ფერადი გაიკეთა. ეს უკანასკნელი გახსნილი ჩემოდნიდან ამოიღო. გაიხადა თავისი ლურჯი ორბორტიანი სერთუკი და სამაგიეროდ ვილფორის ერთბორტიანი ყავისფერი სერთუკი ჩაიცვა; სარკის წინ გაისინჯა ვაჟიშვილის ფარფლებგადაკეცილი ქუდი და, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა. თავისი ჯოხი ბუხრის უკან მიაყუდა და ხელში ლერწმის მსუბუქი პატარა ჯოხი შეათამაშა; სწორედ ასეთი ჯოხი შეეფერებოდა პროკურორის მოხდენილი თანაშემწის თავისუფალ, თამამ სიარულს, რომელიც მის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა.

როდესაც ბატონმა ნუარტიემ ყველაფერი გამოიცვალა, კვლავ თავის შვილს მიუბრუნდა. იგი დარეტიანებულივით იდგა.

— აბა, რას იტყვით? როგორ გგონიათ, მიცნობს პოლიცია?

— არა, მამაჩემო, — ჩაიბუტბუტა ვილფორმა, — ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ვერ გიცნობენ.

— ტანისამოსს აქ გიტოვებ, ძვირფასო ჟერარ, — განაგრძო ნუარტიემ, — შენი სიფრთხილის იმედი მაქვს, კარგად გადაამალავ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მამაჩემო.

— ვილფორ, ახლა კი უნდა გითხრა, რომ შესაძლოა მართალი ხარ, იქნებ მართლაც სიცოცხლე შემინარჩუნე, მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდე, მეც მალე გადაგიხდის სამაგიერო პატივისცემას.

ვილფორმა თავი გადაიქნია.

— არა გჯერა?

— ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ცდებით.

— შენ კიდევ ნახავ მეფეს?

— შეიძლება.

— გინდა მის წინაშე წინასწარმეტყველად წარსდგე?

— უბედურების მაუწყებელ წინასწარმეტყველებს ცუდად ღებულობენ სასახლეში, მამაჩემო.

— დიახ, მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ მათ სათანადოდ შეაფასებენ. ვთქვათ, მოხდეს მეორე რესტავრაცია, მაშინ დიდი კაცის სახელი გაგივარდება.

— მერე და რა უნდა ვუთხრა მეფეს?

— აი, რა უთხარი: «ჩემო ხელმწიფეო, თქვენ გატყუებენ საფრანგეთში არსებულ მდგომარეობაზე, ქალაქების განწყობილებაზე, არმიის სულისკვეთებაზე. ის, ვისაც თქვენ პარიზში კორსიკელ კაციჭამიას ეძახით, ნევერში ისევ უზურპატორად იწოდება, ლიონში — უკვე ბონაპარტედ, ხოლო გრენობლში — იმპერატორად. თქვენ გგონიათ, რომ დასაჭერად მისდევენ, რომ იგი გარბის, მაგრამ ცდებით, ის მოფრინავს არწივივით¹, (¹ ნაპოლეონის ჯარებს არწივის გამოხატულებების ალმები ჰქონდათ.) რომელსაც იგი ჩვენ გვიბრუნებს. თქვენ გგონიათ, შიმშილისა და დაღლილობისაგან ქანცგამოლეული მისი ჯარისკაცები მზად არიან დაიშალონ; მისი ჯარი კი თოვლის გუნდასავით იზრდება; თქვენო უდიდებულესობავ, გაემგზავრეთ, საფრანგეთი კი მის ნამდვილ პატრონს დაუტოვეთ. მას, ვინც ბრძოლით მოიპოვა იგი და არა ფულით; გაემგზავრეთ იმიტომ კი არა, თითქოს საშიშროება გელოდეთ, თქვენი მოწინააღმდეგე საკმაოდ ძლიერია და მოწყალების გაღება არ გაუჭირდება, არა, თქვენ უნდა გაემგზავროთ იმიტომ, რომ წმინდა ლუდოვიკოს¹ (¹ წმინდა ლუდოვიკო, ანუ ლუდოვიკო XI — საფრანგეთის მეფე, ჯვაროსანთა უკანასკნელი ომების მეთაური, თავდადებული მოღვაწე საფრანგეთის გამლიერებისა და კულტურული აღორძინებისათვის (1215—1270).) ჩამომავლისათვის სამარცხვინოა, სიცოცხლე აჩუქოს იმან, ვინც გამარჯვება მოიპოვა არკოლის, მარენგოსა და აუსტერლიცის ბრძოლებში». ან ყველაფერი უთხარი მეფეს, ანდა უმჯობესია, ნურაფერს ეტყვი, ყველას დაუმალე, რომ შენ პარიზში იყავი, არავის უთხრა, რისთვის ჩამოხვედი და რას აკეთებდი, დაიქირავე ეტლი და თუ იქიდან ცხენებს მოაჭენებდი, აქედან პირდაპირ გადაფრინდი, რათა ჩქარა დაბრუნდე შინ. მარსელში ღამით მიდი, შენს ბინაში უკანა კარით შედი და იყავი იქ წყნარად, მოკრძალებულად, ფარულად და, რაც მთავარია, მშვიდად, რადგან ამჯერად, გეფიცები, ვილფორ, ჩვენ ვიმოქმედებთ როგორც შეჭვერის ძლიერ ადამიანებს, რომლებიც იცნობენ თავიანთ მტრებს. წადით, ჩემო შვილო, წადით, ჩემო ძვირფასო ჟერარ, და ჯილდოდ მშობლიური დარიგებების მიღებისათვის, ან, თუ გნებავთ, მეგობრის რჩევის დაფასებისათვის ჩვენ შეგინარჩუნებთ თქვენს ადგილს. ეს კი საშუალებას მოგცემთ, — დაუმატა მან ღიმილით, — მეორედ შემინარჩუნო სიცოცხლე, თუკი ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკურ საქანელაზე თქვენ ზევით

აღმოჩნდებით, ხოლო მე — ქვევით. ნახვამდის, ძვირფასო ჟერარ, მეორედ რომ ჩამოხვალთ, ჩემთან ჩამოხტით!

ამ სიტყვების შემდეგ ნუარტიე ისევ მშვიდად გავიდა ოთახიდან, როგორც ამ სამძიმო საუბრის დროს ეჭირა თავი.

აღელვებული და გაფითრებული ვილფორი ფანჯარას მივარდა და ფარდები გადასწია; მან დაინახა, როგორ მშვიდად და შეუშფოთებლად ჩაუარა მამამისმა ორ თუ სამ საეჭვო პირს, რომლებიც, ალბათ, იმისათვის იდგნენ, რომ ხელთ ეგდოთ შავ ბაკენბარდებიანი, ლურჯსერთუკიანი მამაკაცი, რომელსაც განიერფარფლებიანი ქუდი ეხურა.

აცახცახებული ვილფორი ფანჯარას არ მოსცილებია, სანამ მამამისი კუთხეში არ მიიმალა. შემდეგ ხელი სტაცა მამის მიერ დატოვებულ ნივთებს, შავი ყელსახვევი და ლურჯი სერთუკი რაც შეიძლებოდა ღრმად ჩადო ჩემოდანში; ქუდი დაჭმუჭნა და კარადის ქვედა უჯრაში ჩააგდო, ჯოხი სამად გადატეხა და ბუხარში შეაგდო. შემდეგ სამგზავრო კარტუზი დაიხურა, მსახურს დაუძახა, ერთი გადახედვით აღუკვეთა კითხვების მოცემის უფლება, დანახარჯს გაუსწორდა და ეტლს შეახტა, რომელიც გარეთ უცდიდა. ლიონში მან გაიგო, რომ ბონაპარტე უკვე გრენობლში შესულიყო. ვილფორმა მღელვარებით განვლო გზა და მარსელში ჩავიდა. მას ტანჯავდა ყველა ის საშინელება, რაც ადამიანის გულში ჩნდება პატივმოყვარეობასა და პირველ წარმატებასთან ერთად.

XIII

ასი დღე

ნუარტიე კარგი წინასწარმეტყველი გამოდგა და ჩქარა ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იგი ფიქრობდა. ყველასათვის ცნობილია კუნძულ ელბადან დაბრუნება, დაბრუნება უცნაური, დაბრუნება სასწაულებრივი, რომლის მსგავსი მაგალითი არ მოიპოვება არც წარსულში და შესაძლოა, არც მომავალში განმეორდეს.

ლუდოვიკო XVIII შეეცადა, მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობა გაეწია ამ მძიმე დარტყმისათვის; ხალხისადმი უნდობლობამ მას მოვლენებისადმი უნდობლობაც დაუბადა: მის მიერ ახლახან აღდგენილი სამეფო, ან, უფრო სწორად, მონარქიული წყობილება, შეირყა ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ბურჯებზე და იმპერატორის ხელის ერთმა გაქნევამ დაანგრია მთელი შენობა — ძველი ცრურწმენებისა და ახალი იდეების უწყესო ნარევი. მეფისაგან ჯილდოდ მიღებული საჩუქარი ვილფორისათვის ამ მომენტში არა მარტო გამოუსადეგარი, არამედ საშიშიც აღმოჩნდა. მან იმდენი სიფრთხილე გამოიჩინა, რომ არავისთვის უჩვენებია საპატიო ლეგიონის ჯვარი, თუმცა ჰერცოგმა ბლაკასმა შეასრულა მეფის ბრძანება და მისთვის სიგელის გაგზავნაზე იზრუნა.

ნაპოლეონი უთუოდ გადააყენებდა ვილფორს, რომ მისთვის მფარველობა არ გაეწია ნუარტიეს, რომელსაც გადატანილი ტანჯვა-წამებისა და გაწეული სამსახურისათვის ჯილდოდ ხვდა ყოვლისშემძლე გამხდარიყო იმპერატორის კარზე. ამრიგად, 1793 წლის ჟირონდისტი და 1806 წლის სენატორი თავისი სიტყვის პატრონი გამოდგა, მფარველობა გაუწია მას, ვინც წინააღმდეგ მისი მფარველი იყო.

იმპერიის აღდგენის პერიოდში (რომლის მეორედ დაცემა წინასწარვე ადვილად იგრძნობოდა) ვილფორმა მთელი თავისი უფლებები მოანდომა იმ საიდუმლოს დაფარვას, რომელიც დანტესმა კინალამ გაამჟღავნა.

მეფის პროკურორი გადააყენეს, როგორც შენიშნული არასაკმარის ბონაპარტისტობაში.

ის იყო აღდგა იმპერატორის ძალაუფლება, ანუ იმპერატორი ჩასახლდა ლუდოვიკო XVIII მიერ ახლახან მიტოვებულ ტიულერის სასახლეში, რომ მან დაიწყო თავისი

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ბრძანებების დაგზავნა, სწორედ იმ პატარა კაბინეტიდან, სადაც ვილფორთან ერთად ჩვენი მკითხველიც შევიყვანეთ და სადაც კაკლის ხის მაგიდაზე იმპერატორმა იპოვა ლუდოვიკო XVIII გახსნილი, თითქმის სავსე სათუთუნე, — რომ მარსელში ადგილობრივი მთავრობის ღონისძიებების მიუხედავად გაჩაღდა სამხრეთში ყოველთვის ძნელად ჩასაქრობი სამოქალაქო ბრძოლა. ბონაპარტისტები მართო იმით არ კმაყოფილდებოდნენ, რომ ოთახში გამოკეტილი როიალისტებისათვის გარედან ყვირილი აეტეხათ, ხოლო ვინც გარეთ გამოსვლას გაბედავდა, შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

შეცვლილი მდგომარეობის შედეგად მდაბიოთა პარტიაში მყოფი გემის პატივცემული პატრონი თავის მხრივ ყოვლისშემძლე ვერ გახდა, — რადგან ბატონი გემის პატრონი ფრთხილი და რამდენადმე გაუბედავი კაცი იყო, ყველა იმათ მსგავსად, ვინც მძიმე და ნელი სავაჭრო სარბიელი განვლო; — ამიტომ მას გაუსწრეს თავგამოდებულმა ბონაპარტისტებმა, რომლებიც უსაყვედურებდნენ, მეტისმეტად ზომიერი ხარო; ამისდა მიუხედავად, მან იმდენი უფლება მაინც მოიპოვა, რომ საჩივრის აღსაძვრელად ხმა აღემალღებინა. ეს საჩივარი კი, როგორც ამას მკითხველი ადვილად მიხვდება, დანტესს შეეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვილფორს უფროსი გადაუყენეს, ის მაინც თავის ადგილზე დარჩა. მისი ქორწილი არ ჩაშლილა, მაგრამ უფრო მარჯვე დროისათვის გადაიდო. თუ იმპერატორი ტახტს შეინარჩუნებდა, მაშინ ჟერარს ახალი არჩევანის მოხდენა დასჭირდებოდა და თვითონ ნუარტიე გამოუძებნიდა საცოლეს; თუ ლუდოვიკო მეთვრამეტე ხელახლა დაბრუნდებოდა, მარკიზ დე სენ-მერანის გავლენა ორჯერ უფრო მეტად გაიზრდებოდა, ისევე როგორც ვილფორის, და მაშინ ეს ქორწინება ყველაზე შესაფერისი იქნებოდა.

ამრიგად, მეფის პროკურორის თანაშემწე მარსელში მართლმსაჯულების სამყაროში პირველი კაცი იყო, როდესაც ერთ დილას ბატონ მორელის მოსვლა მოახსენეს.

სხვა მის ადგილას მორელის შესახვედრად გაემუშურებოდა და ამით თავის სისუსტეს დაამტკიცებდა, მაგრამ ვილფორი ჭკვიანი კაცი იყო და თუ გამოცდილება აკლდა, სამაგიეროდ შესანიშნავი ალლოთი იყო დაჯილდოებული. მორელს მოსაცდელ ოთახში ალოდინა, ისე როგორც ამას რესტავრაციის დროს გააკეთებდა. იგი ასე მოიქცა იმიტომ კი არა, რომ ვინმე ჰყავდა კაბინეტში, არამედ იმიტომ, რომ მიღებულია მეფის პროკურორის თანაშემწემ ხალხს მოსაცდელში ალოდინოს. თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა ვილფორმა სხვადასხვა გაზეთი გადაათვალიერა, განკარგულება გასცა, ბატონი მორელი შემოეყვანათ.

ბატონი მორელი ფიქრობდა, ვილფორს დათრგუნვილს ნახავდა, მაგრამ ის ზუსტად ისეთივე დაუხვდა, როგორც ამ თვე-ნახევრის წინათ. ისევ მშვიდი, მტკიცე, გულცივი და თავაზიანი. ეს კი ყველაზე გადაულახავი ზღუდეა, რომელიც თანამდებობის კაცს უბრალო ადამიანისაგან განასხვავებს. როდესაც ბატონი მორელი დე ვილფორის კაბინეტში შედიოდა, დარწმუნებული იყო, ჩემს დანახვაზე პროკურორის თანაშემწეს ცახცახი აიტანსო, ამიტომ მის მოლოდინში საწერ მაგიდასთან დამშვიდებული სახით მჯდომარე ვილფორის დანახვამ მორელი შეაკრთო და ააღელვა.

მორელი კარებში შეჩერდა. ვილფორმა ისე შეხედა, თითქოს ცნობა გაუძნელდაო. მორელი ქუდს უხერხულად ატრიალებდა ხელში.

— თუ არ ვცდები, ბატონი მორელი ბრძანდებით! — თქვა მან ბოლოს მცირე სიჩუმისა და მისი რამდენჯერმე შეთვალაიერების შემდეგ.

— დიახ, ბატონო, მორელი გახლავართ, — უთხრა მან.

— შემობრძანდით, რაღას უცდით, — უთხრა ვილფორმა და მფარველობის ნიშნად ხელით ანიშნა, მიახლოებოდა. — თქვით, რა შემთხვევამ დამდო პატივი თქვენი ხილვისა?

— ნუთუ ვერ ხვდებით? — ჰკითხა მორელმა.

— სრულებით ვერა, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის, გასიამოვნოთ, თუ ეს ჩემს უფლებებს არ აღემატება.

— ეს მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული, — უთხრა მორელმა.

მაშ გამაგებინეთ, რაშია საქმე.

— ბატონო, — განაგრძო მორელმა, რომელიც ლაპარაკში თანდათან მშვიდდებოდა და რომელიც აგრეთვე გაამხნევა თავისი თხოვნის სამართლიანობამ და მდგომარეობის სიწმინდემ. — გახსოვთ, რამდენიმე დღით ადრე ყოვლადუდიდებულესი იმპერატორის დაბრუნებამდე, მე თქვენთან ვიყავი ერთი საწყალი ყმაწვილი კაცის საქმეზე, რომელიც ჩემს გემზე კაპიტანის თანაშემწეა და მისი შეწყალება გთხოვთ. თუ გაგონდებათ, მას ბრალს სდებდნენ, კავშირი ჰქონდა კუნძულ ელბასთან; ამგვარი მოქმედება მაშინ დანაშაულად ითვლებოდა, ახლა კი, პირიქით, დამსახურების ღირსი გახდა. მაშინ თქვენ ლუდოვიკო მეთვრამეტეს ემსახურებოდით და არ დაინდეთ ყმაწვილი კაცი, ეს თქვენი ვალი იყო, ახლა თქვენ ნაპოლეონს ემსახურებით და ვალდებული ხართ, დაიცვათ უდანაშაულო მსხვერპლი: ესეც თქვენი ვალია. აი, მეც სწორედ იმის გასაგებად გაახელით, თუ რა მოუვიდა ჩემს დანტეს?

ვილფორმა თავს ძალა დაატანა.

— რა ჰქვია იმ ყმაწვილ კაცს? — იკითხა მან, — კეთილ ინებეთ, მითხარით მისი სახელი.

— ედმონდ დანტესი.

უეჭველია, ვილფორს ერჩია, დუელში თავისი მოწინააღმდეგისაგან ოცდახუთი ნაბიჯით ყოფილიყო დაშორებული და შუბლზე მისი რევოლვერის ლულა ჰქონოდა მიშვერილი, ვიდრე ეს სახელი გაეგონა; მაგრამ ეს სიტყვები ისე მოისმინა, რომ თვალის არ დაუხამხამებია.

«არავის შეუძლია ბრალი დამდოს, რომ ის ყმაწვილი კაცი ჩემი პირადი ინტერესებისათვის დავაპატიმრე», — გაიფიქრა ვილფორმა. — დანტესი? — გაიმეორა მან, — ედმონდ დანტესიო? ვგონებ, ასე თქვით.

— დიახ, ბატონო.

ვილფორმა გადაშალა დიდი რეესტრი, რომელიც მის გვერდით საწერ მაგიდაზე იდო. შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, აქედან თაროებს მიუბრუნდა, სადაც საქმეები ეწყო, შემდეგ, რაც შეიძლება ბუნებრივი ხმით, ბატონ მორელს უთხრა:

— ბატონო ჩემო, დარწმუნებული ხართ რომ არ სცდებით?

ბატონი მორელი რომ უფრო მიმხვედრი ან ამ საქმეს გაცნობილი ადამიანი ყოფილიყო, უცნაურად მოეჩვენებოდა, რომ ვილფორი მას ღირსს ხდიდა პასუხი გაეცა იმ საქმეზე, რომელიც მას სრულებით არ ეხებოდა: თავს კითხვას დაუსვამდა, რატომ არ მგზავნის ვილფორი იქ, სადაც დაპატიმრებულთა სიებია, ციხის უფროსებთან, დეპარტამენტის პრეფექტთან? მაგრამ მორელი ამაოდ ეძებდა შიშის ნიშნებს ვილფორის სახეზე, მის საქციელში მხოლოდ შემწყალებლობა ამოიკითხა. ვილფორმა სწორად მოისაზრა.

— არა, მე არ ვცდები, — უთხრა მორელმა, — ესეც არ იყოს, მე ათი წელია ვიცნობ იმ ყმაწვილს, ხოლო ოთხი წელია, რაც ჩემთან მუშაობს. გაგონდებათ? ამ თვე-ნახევრის წინათ მოვედი და გთხოვეთ, დიდსულოვნება გამოგეჩინათ მის მიმართ, ისევე როგორც ახლა გთხოვთ, სამართლიანი იყოთ. მაშინ თქვენ საკმაოდ ცუდად მიმიღეთ და

უკმაყოფილოდ მაძლევდით პასუხს. იმ დროს როიალისტები ჩვენს მიმართ სიკმაცრეს იჩენდნენ.

— ბატონო ჩემო, — უპასუხა ვილფორმა მისთვის ჩვეული გულცივობითა და სიმარდით, — მე როიალისტი ვიყავი, როდესაც ვფიქრობდი, რომ ბურბონები არა მარტო ტახტის კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ, არამედ ხალხის რჩეულნიც; მაგრამ ამ სასწაულებრივმა დაბრუნებამ, რომლის მოწმეც ყველანი გავხდით, დამარწმუნა, რომ ვცდებოდი. ნაპოლეონის გენიამ გაიმარჯვა. კანონიერი მონარქი ის არის, ვინც უყვართ.

— მადლობა ღმერთს, — თქვა მორელმა მოურიდებელი გულახდილობით, — მე თქვენ მასიამოვნეთ ამგვარი ლაპარაკით. ეს ედმონდის სასიკეთოდ მენიშნა.

— მოითმინეთ, — უთხრა ვილფორმა და ახალი რეესტრი გადაფურცლა, — ვგონებ, მაგონდება. თუ არ ვცდები, საქმე შეეხებოდა მეზღვაურს, რომელიც კატალანელ ქალიშვილზე ჯვარს იწერდა. დიახ, დიახ, ახლა მომაგონდა, ძალიან სერიოზული საქმე იყო.

— ნუთუ?

— თქვენ ხომ იცით, იგი ჩემგან პირდაპირ სასამართლოს შენობაში მოთავსებულ ციხეში გადაიყვანეს.

— დიახ, მაგრამ შემდეგ?

— შემდეგ მოხსენება გადავგზავნე პარიზში და თან ის ქაღალდები დავურთე, რომლებიც მას აღმოაჩნდა. რას იზამთ, ეს ჩემი მოვალეობა იყო... რვა დღის შემდეგ პატიმარი წაიყვანეს.

— წაიყვანეს? — შეჰყვირა მორელმა, — ნეტავი რას უზამდნენ საწყალ ბიჭს?

— დამშვიდდით, ის ალბათ ფენესტრელში, პინე რუაში ან წმინდა მარგარიტას კუნძულზე გაგზავნეს, რასაც გადასახლებას ეძახიან. ერთ მშვენიერ დილას იგი დაბრუნდება და თქვენს გემზე კაპიტნობას მიიღებს.

— როცა უნდა, მაშინ დაბრუნდეს, მას ადგილი შეენახება. კი მაგრამ, რატომ ამდენ ხანს არ მოვიდა? ჩემი ფიქრით, ბონაპარტისტების მართლმსაჯულებამ პირველ ყოვლისა უნდა ისინი გაათავისუფლოს, ვინც როიალისტთა მართლმსაჯულებამ დაამწყვდია.

— აჩქარებით ბრალს ნურავის დასდებთ, ჩემო ძვირფასო ბატონო მორელ, — უპასუხა ვილფორმა, — ყოველ საქმეში საჭიროა კანონით მოქმედება. ბრძანება ციხეში დამწყვდევის შესახებ ზევიდან იყო. გათავისუფლების ბრძანებაც ზევიდან უნდა მივიღოთ. სულ ორი კვირაა, რაც ნაპოლეონი დაბრუნდა; მასალებს განაჩენების გაუქმების შესახებ ალბათ მხოლოდ ახლა ამზადებენ.

— დღეს, როდესაც გამარჯვებას ვზეიმობთ, განა არ გამოინახება საშუალება, რომ დავაჩქაროთ ეს ფორმალური მხარეები? მე მყავს მეგობრები, გავლენიანი პირები, მე შევძლებ, განაჩენი შევაცვლევი.

— განაჩენი არ გამოუტანიათ.

— დაპატიმრებულთა სიაში ხომ შეიტანდნენ?

— პოლიტიკურ საქმეებში არ არსებობს დაპატიმრებულთა სიები; მთავრობა ზოგჯერ დაინტერესებულია, კაცი უკვალოდ გაქრეს; სიები კი მის პოვნაში დაეხმარებიან.

— ეს ასე შეიძლება მომხდარიყო ბურბონების დროს, მაგრამ ახლა...

— ეს ყოველთვის ასეა, ჩემო ძვირფასო მორელ. მთავრობები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან, ერთმანეთს ჰგვანან. დამსჯელი მანქანა, ამუშავებული ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს, დღესაც მოქმედებს. არ არის მხოლოდ ბასტილია, იმპერატორი პატიმრების მიმართ ყოველთვის უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდა, ვიდრე თვით ლუდოვიკო მეთოთხმეტე. დაპატიმრებულთა რიცხვი, რომლებიც სიაში არ არიან, უთვალავია.

ასეთი შემწყნარებლობა უკან დაახევინებდა დარწმუნებულ ადამიანს, ხოლო ბატონ მორელს ეჭვიც კი არ ეპარებოდა.

— ბოლოს მაინც რა რჩევას მომცემთ, ბატონო ვილფორ, რომ საწყალი დანტესის დაბრუნება დავაჩქაროთ?

— მხოლოდ ერთს, — იუსტიციის მინისტრს სთხოვეთ პატიება.

— ოჰ, ბატონო დე ვილფორ, ჩვენ ხომ ვიცით, რას ნიშნავს პატიება. მინისტრი დღეში ორასამდე წერილს იღებს პატიების შესახებ და მხოლოდ ოთხს თუ წაიკითხავს.

— ის წაიკითხავს ჩემგან გაგზავნილ განცხადებას პატიების შესახებ, რომელსაც ზემოდან ჩემი შენიშვნა ექნება და რომელიც უშუალოდ ჩემგან წავა.

— თქვენ თავს იდებთ, რომ გაგზავნით პატიების თხოვნას?

— დიდი სიამოვნებით. დანტესი შეიძლება დამნაშავე ყოფილიყო წინათ, მაგრამ ახლა უდანაშაულოა. ჩემი მოვალეობაა, დავუბრუნო მას თავისუფლება, ისევე როგორც ვალდებული ვიყავი, ციხეში დამემწყვდია.

ვილფორი ამრიგად თავიდან აიცილებდა მისთვის საშიშ ძიებას, ნაკლებად დასაჯერებელს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელს. ძიებას, რომელიც სამუდამოდ დალუპავდა მას.

— მერედა, როგორ სწერენ მინისტრს?

— დაბრძანდით, აი აქ, — უთხრა ვილფორმა და თავისი ადგილი დაუთმო, — მე გიკარნახებთ.

— თქვენ ამდენ სიკეთეს გამოიჩინებ?

— რასაკვირველია, ნულარ ვცდებით, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

— დიახ, ბატონო, გავიხსენოთ, რომ საწყალი ბიჭი იცდის, იტანჯება და შეიძლება სასოწარკვეთილებამდეცაა მისული.

ვილფორს გააჟრჟოლა პატიმრის ხსენებაზე, რომელიც წყვდიადიდან წყევლას უგზავნიდა მას. მაგრამ იგი ძალიან შორს იყო წასული და უკან დახევა უკვე აღარ შეიძლებოდა: დანტესი უნდა გამხდარიყო მსხვერპლი მისი პატივმოყვარეობისა.

— გისმენთ, ბატონო, — უთხრა მორელმა, როდესაც ვილფორის სავარძელში ჩაჯდა და კალამი აიღო.

ვილფორმა უკარნახა შინაარსი პატიების ბარათისა, რომელშიაც, უეჭველად კარგი მიზნით, გადიდებული იყო დანტესის პატრიოტიზმი და მისი დამსახურება ბონაპარტისტების წინაშე. ამ ბარათში დანტესი გამოყვანილი იყო, როგორც ნაპოლეონის დაბრუნების საქმეში ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. უდავო იყო, მინისტრი ასეთი ქაღალდის წაკითხვისთანავე სამართლიან განაჩენს გამოიტანდა. თუ ეს სამართლიანი დადგენილება უკვე გამოტანილი არ იყო.

როდესაც ბარათის წერა დამთავრდა, ვილფორმა ხმამაღლა წაიკითხა იგი.

— დანარჩენი უკვე მე მომანდეთ, — უთხრა მან კითხვის დამთავრების შემდეგ.

— ეს ქაღალდი ჩქარა გაიგზავნება?

— დღესვე.

— თქვენი მინაწერით?

— მინაწერზე უკეთესი იქნება, მე თუ დავადასტურებ თქვენი თხოვნის სიმართლეს.

ვილფორი დაჯდა და ქაღალდის კუთხეში საჭირო წარწერა გააკეთა.

— ახლა, ბატონო ვილფორ, რაღა დარჩა გასაკეთებელი? — იკითხა მორელმა.

— ელოდეთ, მე ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ.

ასე დარწმუნებით ლაპარაკმა მორელს იმედი დაუბრუნა. ის აღფრთოვანებული გამოვიდა მეფის პროკურორის თანაშემწის კაბინეტიდან და პირდაპირ მოხუც დანტესთან წავიდა, რათა ეცნობებინა, მალე ნახავ შენს შვილსაო.

რაც შეეხება ვილფორს, იმის მაგიერ, რომ შეწყნარების ბარათი პარიზში გაეგზავნა, ფრთხილად შეინახა, ეს დანტესის მხსნელი ქაღალდი შეიძლებოდა მომავალში მისი დამღუპველი გამომდგარიყო, თუ მოხდებოდა ის, რაც უკვე მოსალოდნელი იყო ევროპის მდგომარეობის და მოვლენათა მსვლელობის მიხედვით, ესე იგი ხელახალი რესტავრაცია.

მაშასადამე, დანტესი ისევ პატიმარი დარჩა, ჯურღმულში დაკარგულს არ გაუგონია ის დიდი გრუხუნი, რომელიც ლუდოვიკო XVIII ტახტიდან გადმოგდებას მოჰყვა და კიდევ უფრო საშიში გრიალი, რომლითაც იმპერია დაეცა.

ვილფორი კი ფხიზელი თვალთა და გამახვილებული სმენით ყველაფერს აკვირდებოდა, იმპერატორის ხანმოკლე დაბრუნების მანძილზე, რომელსაც ას დღეს უწოდებენ, მორელი ორჯერ იყო ვოლფორთან და ორჯერვე დაბეჯითებით მოითხოვდა დანტესის გათავისუფლებას. ვილფორი ყოველ მოსვლაზე დაპირებებითა და იმედებით ამშვიდებდა. ბოლოს ვატერლოოს დღეც დადგა. მორელი აღარ გამოჩენილა ვილფორთან. გემის მფლობელმა თავისი ახალგაზრდა მეგობრისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც კი ადამიანის ძალ-ღონეს შესწევდა, ახალი ცდა მეორე რესტავრაციის დროს მას ამაოდ გაუტეხდა სახელს.

ლუდოვიკო XVIII ტახტს დაუბრუნდა. ვილფორმა, რომლისთვისაც მარსელი სავესე იყო სინდისის მქენჯნელი მოგონებებით, შეძლო ტულუზაში დაეკავებინა მეფის პროკურორის ვაკანტური ადგილი. ახალ რეზიდენციაში გადასვლიდან ორი კვირის შემდეგ მან შეირთო მადმუაზელ რენე დე სენ-მერანი, რომლის მამა ამჟამად განსაკუთრებით კარგად იყო მიღებული სასახლეში.

აი, ამიტომ იყო, რომ დანტესი როგორც «ასი დღის» ისე ვატერლოოს შემდეგაც ჯურღმულში დარჩა, დავიწყებული ადამიანისაგან თუ არა, ღვთისაგან მაინც.

როდესაც დანგლარმა ნაპოლეონის საფრანგეთში დაბრუნება გაიგო, მიხვდა, თუ რა დიდი დარტყმა მიაყენა დანტესს, მისი დაბეზღების ბარათი სწორედ მიზანში მოხვდა და იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც ბოროტების ჩადენაში დიდ ნიჭს იჩენენ, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში უნიჭონი არიან, მანაც ამ უცნაურ დამთხვევას «განგების ძალა» დაარქვა.

მაგრამ, როდესაც ნაპოლეონმა პარიზში ფეხი შემოადგა და ხელახლა გაისმა მისი მძლავრი და მბრძანებლური ხმა, დანგლარი შეშინდა. ის ყოველ წუთს ელოდა დანტესის გამოჩენას; დანტესმა იცოდა ყველაფერი, დანტესი მუქარით მოვიდოდა და მზად იქნებოდა ყოველგვარი შურისძიებისათვის. როდესაც დანგლარმა ბატონ მორელს გაუმჟღავნა თავისი სურვილი, თავი დაენებებინა საზღვაო სამსახურისათვის, გემის პატრონმა მას რეკომენდაცია გაუწია ერთ ესპანელ სოვდაგართან, რომელთაც დანგლარი კანტორის მოსამსახურედ შევიდა. ეს ამბავი მოხდა ნაპოლეონის ტიულერში დაბრუნებიდან ათი თუ თორმეტი დღის შემდეგ. დანგლარი მადრიდში გაემგზავრა და შემდეგ მისი არაფერი ისმოდა.

ფერნანდი ვერაფერს ვერ მიხვდა. დანტესი აღარ იყო, აი ის, რაც მას ესაჭიროებოდა. რა მოუვიდა დანტესს? ამისი გაგება უკვე აღარ აინტერესებდა. დანტესის დაპატიმრებამ მას სულის მოსათქმელი დრო მისცა და მთელ ამ დროს იგი ნაწილობრივ იმის ცდას ანდომებდა, რომ გამოგონილი ამბებით დაეეჭვებინა მერსედესი, დანტესი აღარასოდეს დაბრუნდებოდა; მეორე მხრივ ის გეგმებს აწყობდა, როგორმე გასცლოდა აქაურობას და ქალი თან წაეყვანა; ხანდახან ფაროს კონცხის მწვერვალზე დაჯდებოდა, საიდანაც მოჩანდა მარსელიც და სოფელი კატალანიც. აქედან იგი მოწყენით, მტაცებელი ფრინველივით, უსიცოცხლო თვალებით გასცქეროდა ორივე გზას და ელოდა, ვაითუ დაენახა თავისუფალი ნაბიჯით მომავალი ლამაზი, თავაწეული ყმაწვილი, რომელსაც

მისთვისაც დაუნდობელი შურისძიება მოჰქონდა. მაშინ ფერნანდი ერთ გადაწყვეტილებაზე ჩერდებოდა: ტყვიით გაეხვრიტა დანტესის შუბლი და შემდეგ თვითონაც მოეკლა თავი, რათა მკვლელობა გაემართლებინა. მაგრამ ფერნანდი ტყუვდებოდა, თავს არასოდეს მოიკლავდა, რადგან იმედს არ კარგავდა.

ამასობაში, ამ მტკივნეული მღელვარების დროს, იმპერატორმა მოახდინა უკანასკნელი გაწვევა და ყველანი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, საფრანგეთის საზღვრებს გასცილდნენ. ფერნანდიც სხვებთან ერთად წავიდა, დატოვა ქოხი და მერსედესი. კატალანელ ვაჟკაცს გულს უღრღნიდა ის აზრი, მის არყოფნაში არ დაბრუნებულიყო მისი მეტოქე და ჯვარი არ დაეწერა იმაზე, ვინც მას უყვარდა.

ფერნანდს რომ თავის მოკვლა შესძლებოდა, ეს უნდა ჩაედინა მერსედესთან განშორების ჟამს.

მისმა ყურადღებამ მერსედესისადმი, სიბრაღულმა, რასაც ვითომდა მისი უბედურების მიმართ იჩენდა, მისი საიდუმლო სურვილების წინასწარ გათვალისწინებამ ის გავლენა მოახდინა, რასაც ყოველთვის ახდენს ერთგულება დიდსულოვან ადამიანებზე. მერსედესს ყოველთვის მეგობრული სიყვარულით უყვარდა ფერნანდი და ახლა ამას მადლიერების გროძობაც ემატებოდა.

— ჩემო ძმაო, — ეუბნებოდა მერსედესი და თან კატალანელ ვაჟკაცს მხრებზე ზურგჩანთას უმაგრებდა, — ჩემო ძმაო, ჩემო ერთადერთო მეგობარო, თავს გაუფრთხილდი, ნუ დამტოვებ მარტო ამქვეყნად, სადაც მე ცრემლებს ვღვრი და სადაც არავინ დამრჩება, როდესაც შენ აქ აღარ იქნები.

ამ გამომშვიდობების წუთებში ნათქვამმა სიტყვებმა ფერნანდს ხელახალი იმედი მისცა, — «თუ დანტესი არ დაბრუნდება, იქნებ ერთ დღეს მერსედესი ჩემი ცოლი გახდესო», — გაიფიქრა მან.

მერსედესი მარტო დარჩა ზღვის უსაზღვრო სივრცის წინაშე და ამ გადატიტვლებულ მიწაზე, რომელიც მას არასოდეს მოსჩვენებია ასე უნაყოფოდ. იგი ცრემლად იღვრებოდა იმ შეშლილი ქალის მსგავსად, რომლის სამწუხარო ამბავი ცნობილი იყო ამ მხარეში. მერსედესი სულ ერთავად დაეხეტებოდა პატრა სოფელ კატალანის გარშემო. ხან უძრავად, ქანდაკებასავით გაჩერდებოდა სამხრეთის მწველი მზის ქვეშ და მარსელს გასცქეროდა, ხან კი წყლის პირას ჩამოჯდებოდა და ყურს უგდებდა ტალღების ოხვრას, მუდმივს, როგორც მისი მწუხარება, და თავის თავს ეკითხებოდა: უკეთესი არ იქნება, წინ გადავიხარო და ზღვის ტალღებში გადავვარდე, ვიდრე ასე უიმედო ლოდინით ვიტანჯებოდე? განა მერსედესს სიმხნევე არ ეყოფოდა, რომ ეს თავისი გეგმა სისრულეში მოეყვანა? არა, მან სარწმუნოებაში ჰპოვა ნუგეში, და სარწმუნოებამ იხსნა იგი თვითმკვლელობისაგან.

კადრუსიც, ისევე როგორც ფერნანდი, ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ის რვა წლით უფროსი იყო კატალანელ ვაჟკაცზე, ამასთანავე ცოლიანიც, ამიტომ იგი მესამე თანრიგში დატოვეს და საფრანგეთის სანაპიროების დასაცავად გაგზავნეს.

მოხუცმა დანტესმა, რომელსაც მხოლოდ იმედი აცოცხლებდა, იმპერატორის დაცემის შემდეგ ეს იმედიც დაკარგა.

ვაჟიშვილთან განშორებიდან სწორედ ხუთი თვის თავზე, თითქმის იმავე ჟამს, რა დროსაც მისი შვილი დააპატიმრეს, მას უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდა; მოხუცმა მერსედესის ხელზე განუტევა სული.

ბატონმა მორელმა თვითონ იღო თავს მისი დამარხვა. ის მცირე ვალებიც გადაიხადა, რაც მოხუცს ავადმყოფობის დროს აედო.

ასეთი საქციელი იყო არა მარტო ქველმოქმდება, არამედ გაბედული ნაბიჯიც. მთელი სამხრეთი შინაბრძოლების ცეცხლში იწვოდა და დახმარება, თუნდაც სიკვდილის

სარეცელზე მყოფ ბონაპარტისტის მამისათვის, ისიც ისეთი საშიშის, როგორც დანტესი იყო, დანაშაულად ითვლებოდა.

XIV

პატიმარი გაშმაგებული და პატიმარი შეშლილი

ლუდოვიკო XVIII დაბრუნებიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ციხის მთავარი ინსპექტორი რევიზიას ატარებდა. დანტესმა თავის ჯურღმულში გაიგონა ჭრიალი და ბრახუნი, რომელიც ზემოთ საკმაოდ დიდ ხმაურს ჰქმნიდა, მაგრამ აქ, დაბლა, მას მხოლოდ პატიმრის გამახვილებული სმენა თუ გაარჩევდა. პატიმრის, რომელიც ღამის სიჩუმეში დაჩვეულია ისმინოს, როგორ აბამს ობობა ქსელს და როგორ ეცემა ხანგამოშვებით წყლის წვეთი, რომელსაც ერთი საათი მაინც სჭირდება, რომ ჯურღმულის ჭერში დაგროვდეს.

დანტესი მიხვდა, რომ ცოცხალ ადამიანებს შორის რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა. ის იმდენი ხანი ცხოვრობდა ამ საფლავში, რომ შეეძლო თავი მიცვალებულად ჩაეთვალა.

ინსპექტორი რიგრიგობით სინჯავდა ოთახებს, საკნებს, ჯურღმულებს. იგი რამდენიმე პატიმარს გამოესაუბრა, იმათ, ვინც თავისი სიწყნარით ან ყვეყნობით ადმინისტრაციის კეთილი განწყობილება დაიმსახურა; ინსპექტორმა ჰკითხა, მათ, როგორ ჰკვებავდნენ ან სათხოვარი ხომ არაფერი ჰქონდათ.

ყველამ ერთად უპასუხა, რომ ჰკვებავენ საძაგლად და მათი თხოვნა თავისუფლებაა.

მაშინ ინსპექტორმა იკითხა, კიდევ ხომ არაფერი გაქვთ სათქმელიო. მათ თავი გააქნიეს. თავისუფლების გარდა სხვა რა უნდა ეთხოვათ პატიმრებს?

ინსპექტორი ციხის უფროსს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— მე მიკვირს, რისთვის არის საჭირო ეს უშედეგო შემოვლა? ვისაც ერთი ციხე უნახავს, თუნდაც ასი ენახა. ვისაც ერთი ტუსაღისათვის მაინც მოუსმენია, თუნდაც ათასისათვის მოესმინოს; ყველგან ერთი და იგივეა: მათ ცუდად კვებავენ და უდანაშაულონი არიან. გყავთ კიდევ სხვები?

— დიახ, გვყავს უფრო საშიში, ანუ შეშლილი პატიმრები, რომლებიც ჯურღმულებში არიან ჩამწყვდეულები.

— რას ვიზამთ, — თქვა ინსპექტორმა მეტად დაღლილი იერით, — ჩვენი მოვალეობა ბოლომდე შევასრულოთ. მაშ, ჩავიდეთ ამ ჯურღმულებში.

— მოითმინეთ, — შეაჩერა იგი ციხის უფროსმა. — იქ ორი ჯარისკაცი მაინც უნდა ჩავიყოლოთ. ზოგჯერ პატიმრები იმის გამო, რომ სიცოცხლე მობეზრებული აქვთ და სურთ სიკვდილის განაჩენი გამოუტანონ, თავზე ხელალებით მოქმედებენ და თქვენ, შეიძლება, ასეთი თავდასხმის მსხვერპლი გახდეთ.

— მაშ, წინასწარ მიიღეთ საჭირო ზომები, — უთხრა ინსპექტორმა.

ციხის უფროსმა მართლაც ორი ჯარისკაცი მოაყვანიდა და ყველანი დაბლა ჩავიდნენ, ისეთი ამყრალბული, ნესტიანი და ჭუჭყიანი კიბით, რომ აქ მარტო ერთხელ ჩასვლაც კი სამძიმო იყო ადამიანის ხუთივე გრძნობისათვის.

— ფუი, ვინ ეშმაკს შეუძლია აქ ცხოვრება? — იკითხა ინსპექტორმა და კიბის უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდა.

— მეტისმეტად საშიში შეთქმულია: გაგვაფრთხილეს — ამ კაცს ყველაფერი შეუძლია ჩაიდინოსო.

— მარტოა?

— რასაკვირველია.

— დიდი ხანია, რაც იქ არის?

— დაახლოებით, ერთი წელია.

— თავიდანვე იმ ჯურღმულშია?

— არა, იქ ჩავიყვანეთ მას შემდეგ, რაც მოკვლა მოუხდომა მედილეგეს, რომელსაც მისთვის საჭმელი მიჰქონდა.

— აი, სწორედ იმას, ვინც ჩვენ გზას გვინათებს. ხომ მართალს ვამბობ ანტუან? — ჰკითხა ციხის უფროსმა,

— დიახ, მართალს ბრძანებთ, — უთხრა გუშაგმა.

— მაშ, ის კაცი გიჟი უნდა იყოს!

— უფრო მეტი, დემონია!

— გნებავთ, საჩივარი აღვძრათ მასზე? — ჰკითხა ციხის უფროსს ინსპექტორმა.

— არა ღირს, ისედაც საკმაოდ დასჯილია. ესეც არ იყოს, სიგიჟის პირობა მისული და გამოცდილებით ვიცით, რომ ერთ წელიწადზე ადრე სულ გაგიჟდება.

— მით უკეთესი მისთვის, — თქვა ინსპექტორმა. — გაგიჟებული შეიძლება მისმა მდგომარეობამ ნაკლებად დატანჯოს.

როგორც შეამჩნევდით, ინსპექტორი კაცთმოყვარე ადამიანი იყო და სავსებით ღირსი იმ ფილანტროპული ადგილისა, რომელიც მას ეჭირა.

— თქვენ მართალი ხართ, ბატონო, — უთხრა ციხის უფროსმა, — თქვენი მსჯელობა ამტკიცებს, რომ კარგად გყავთ შესწავლილი ტუსადები. მიწისქვეშა საკანში, რომელშიც მეორე კიბე ჩადის, დამწყვდეული გვყავს მოხუცი აბატი, იტალიის რომელიღაც პარტიის ყოფილი მეთაური. ის აქ 1811 წლიდანაა და, დაახლოებით, 1813 წელს გაგიჟდა; მას შემდეგ მისი ცნობა შეუძლებელია. წინათ სულ ტიროდა, ახლა კი იცინის; წინათ ხდებოდა, ახლა — სუქდება. ხომ არ გნებავთ მის მაგიერ ეს გენახათ? იგი მხიარული გიჟია და მისი შეხვედრა არ დაგაღონებთ.

— მე ერთსაც ვნახავ და მეორესაც, — უპასუხა ინსპექტორმა, — სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად უნდა შესრულება.

ინსპექტორი პირველად იყო ციხის ჩამოვლაზე და უნდოდა, უფროსების თვალში თავის შესახებ კარგი წარმოდგენა შეექმნა.

— ჯერ აქ შევიდეთ, — დაიძახა მან.

— სიამოვნებით, — უპასუხა ციხის უფროსმა და კარი გააღო.

მძიმე ურდულების ჩხრიალზე და დაჟანგებული ანჯამების ღრჭიალზე, რომლებიც კოჭაკზე შემობრუნდნენ, დანტესმა თავი მაღლა აიღო, იგი ამ დროს კუთხეში იყო მიმჯდარი და გამოუთქმელი სიამოვნებით იჭერდა სინათლის მკრთალ სხივს, რომელიც ვიწრო, დარკინული სარკმლის ჭუჭყრუტანებიდან იჭრებოდა. უცნობი კაცის დანახვაზე, რომელსაც ორი ჯარისკაცი შემოჰყვავდა, ორი გუშაგი ჩირაღდნებს უნათებდა, ხოლო ციხის უფროსიც ქუდმოხდილი ელაპარაკებოდა, დანტესი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ბოლოს და ბოლოს მას შემთხვევა ეძლეოდა, თხოვნით მიემართა უზენაესი ხელისუფლებისათვის. იგი წინ გავარდა და ვედრების ნიშნად გულხელი დაიკრიფა.

ჯარისკაცებმა ხიშტებით გზა გადაუღობეს, ეგონათ, ინსპექტორისაკენ ბოროტი განზრახვით მიიწევდა.

ინსპექტორმა უნებურად უკან დაიხია.

დანტესი მიხვდა, რომ მისი თავი საშიშ პიროვნებად ჰყავდათ გაცნობილი.

მაშინ მან თავის გამოხედვაში იმდენი სიბრალოე ჩააქსოვა, რამდენიც კი შეიძლება დაიტოს ადამიანის გულმა და აი, ამგვარი საქციელით, რომელიც ყველას ეუცხოვა, შეეცადა მისი მნახველის გული მოეღობო.

ინსპექტორმა დანტესს ბოლომდე მოუსმინა.

— ნახავთ, უთუოდ ღვთის მოშიში გახდება, — თქვა ინსპექტორმა დაბალი ხმით, — ახლაც კი ლმობიერად არის განწყობილი. ხედავთ, შიში რა გავლენას ახდენს. ხიშტებმა უკან დაახვეინა, გიჟები კი არაფრის წინაშე არ იხევნ. ამ საკითხზე მე მეტად საინტერესო დაკვირვებანი მქონდა შარატონში.

ამის შემდეგ ინსპექტორი პატიმარს მიუბრუნდა.

— ბოლოს და ბოლოს რას ითხოვთ?

— მე ვითხოვ მითხრათ, რა დანაშაული ჩავიდინე, მე მოვითხოვ დამინიშნონ მოსამართლეები; მოვითხოვ საქმის გამოძიებას და ბოლოს მოვითხოვ დახვრეტას, თუ დამნაშავე ვარ და თავისუფლებას, თუ უდანაშაულო აღმოვჩნდი.

— კარგად თუ გკვებავენ? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— დიახ, მე მგონია... არ ვიცი, მაგრამ ეს სრულებით არ მაინტერესებს. მთავარი არა მარტო ჩემთვის, საცოდავი ტუსადისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც სამართალს ჰქმნის და თვით მეფისთვისაც, ვინც ჩვენ გვმბრძანებლობს, არის ის, რომ უდანაშაულო ადამიანი არ გახდეს მსხვერპლი ყალბი დაბეზლებისა და არ ჩაკვდეს ჯურღმულში თავისი ჯალათების წყევლაში.

— თქვენ დღეს ძალიან მორჩილი ხართ, — უთხრა ციხის უფროსმა, — ყოველთვის ასეთი როდი იყავით. სულ სხვაგვარად საუბრობდით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როდესაც მედილეგს თავის გატეხვას უპირებდით.

— ეს მართალია, ბატონო, — უთხრა დანტესმა, — და უმორჩილესად ვიხდი ბოდიშს იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ყოველთვის კარგად მექცეოდა. მაგრამ რას იზამთ! შემლილი და გაშმაგებული ვიყავი.

— ახლა აღარა ხართ?

— არა, ტვეობამ წელში გამტეხა, გამანადგურა... უკვე რამდენი ხანია, რაც აქ ვარ?

— დიდი ხანია?... კი მაგრამ, როდის დაგაპატიმრეს? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— 1815 წლის ოცდარვა თებერვალს, დღის ორ საათზე.

ინსპექტორმა გამოთვალა.

— დღეს 1816 წლის 30 ივლისია, თქვენ კი რას ამბობთ? მხოლოდ ჩვიდმეტი თვეა, რაც პატიმარი ხართ.

— მხოლოდ ჩვიდმეტი თვე! — გაიმეორა დანტესმა. — თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ჩვიდმეტი თვე ციხეში ყოფნა! ეს ჩვიდმეტი წელს, ჩვიდმეტი საუკუნეს უდრის. განსაკუთრებით ჩემისთანა ადამიანისათვის, რომელიც ასე ახლოს იყო ბედნიერებასთან. უნდა შემერთო საყვარელი ქალი, ჩემს წინაშე იშლებოდა საპატიო სამსახურებრივი სარბიელი. ახლა კი ყოველივე ამას მოკლებული ვარ. ადამიანისათვის, რომელსაც ნათელი დღე წყვდიადით შეეცვალა, რომელიც ხედავს, რომ მისი მომავალი დაღუპულია, რომელმაც არ იცის, კვლავ უყვარს იგი თუ არა თავის მიჯნურს, წარმოდგენა არა აქვს, ცოცხალია თუ არა მისი მოხუცი მამა. ჩვიდმეტი თვე ციხე ადამიანისათვის, ვინც მიჩვეულია ზღვის სუფთა ჰაერს, მის უსაზღვრო და თვალუწვდენელ ლაჟვარდში ნავარდს; ჩვიდმეტი თვე ძალიან ბევრია მათთვისაც კი, ვისაც ისეთი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რასაც ადამიანის ენა ყველაზე საზიზღარი სახელით ნათლავს. მაშ, შემიბრალეთ, ბატონო ჩემო, გამოითხოვეთ ჩემთვის არა შეწყალება, არამედ სიმკაცრე, არა შებრალება, არამედ გასამართლება; სამართალს, ბატონო, მხოლოდ სამართალს მოვითხოვ. ბრალდებულს არ შეიძლება, უარი უთხრან სამართალზე.

— კარგი, — თქვა ინსპექტორმა, — ვნახოთ.

შემდეგ ციხის უფროსს მიუბრუნდა.

— ემშაკმა დალახვროს, მართლაც გული მატკინა ამ ყმაწვილმა. როდესაც მაღლა ავალოთ, მისი საქმეები მაჩვენეთ.

— რასაკვირველია, — უპასუხა ციხის უფროსმა, — მაგრამ ვშიშობ, რომ იქ მის საწინააღმდეგოდ მეტად საშიშ მასალებს იპოვით.

— ბატონო ჩემო, — განაგრძო ისევ დანტესმა, — მე ვიცი, რომ თქვენ აქედან თქვენი გადაწყვეტილებით ვერ გამათავისუფლებთ; მაგრამ შეგიძლიათ ჩემი თხოვნა გადასცეთ უფროსებს, თქვენ შეგიძლიათ დანიშნოთ გამოძიება, დაბოლოს, შეგიძლიათ გადამცეთ კიდეც სასამართლოს. გასამართლება — აი, რა არის ჩემი სათხოვარი, რათა ვიცოდე, რა დანაშაული ჩავიდინე და რა სასჯელის ღირსი ვარ, რადგან ამ ქვეყნად გაურკვეველობა ყველაზე მეტი სასჯელია.

— მე გავეცნობი საქმეს, — უთხრა ინსპექტორმა.

— ოჰ, ბატონო ჩემო, — შესძახა დანტესმა, — თქვენ ისეთი კილოთი მელაპარაკეთ, მე ვგრძნობ, რომ გულთან ახლოს მიიტანეთ ჩემი ამბავი. მითხარით, რომ შემიძლია იმედი ვიქონიო.

— ამის თქმა მე არ შემიძლია, — უპასუხა ინსპექტორმა. — იმას კი დაგპირდებით, რომ თქვენს საქმეს გადავხედავ.

— მაშ, მე გადავრჩენილვარ, გავთავისუფლებულვარ.

— ვისი განკარგულებით ხართ დაპატიმრებული? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— ბატონი დე ვილფორის. ნახეთ იგი და მასთან ერთად იმოქმედეთ.

— ბატონი დე ვილფორი მარსელში აღარ არის, აგერ უკვე ერთი წელია, რაც ტულუზაშია.

— მაშ, უკვე აღარ მიკვირს, — ჩაიჩურჩულა დანტესმა, — ჩემი ერთადერთი მფარველი სხვაგან გადასულა.

— ბატონ ვილფორს ხომ არ ჰქონდა რაიმე საფუძველი თქვენი სიძულვილის? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— არავითარი, პირიქით, ძალიან კეთილად მომეყცა.

— მაშ, მე შემიძლია ვენდო იმ ცნობებს, რომლებიც თქვენს შესახებ აქვს დატოვებული ან რომლებსაც მომცემს?

— სავსებით, ბატონო.

— კარგი, ელოდეთ.

დანტესმა დაიჩოქა, ხელები ზეცას აღაპყრო და ლოცვა დაიწყო. ის ღმერთს ავედრებდა იმ კაცს, რომელიც ციხეში ჩამოვიდა მაცხოვრის მსგავსად, რათა ჯოჯოხეთიდან სულები ეხსნა.

კარები მიიხურა, მაგრამ იმედი, რომელიც ინსპექტორს მოჰყვა, დანტესთან დარჩა მის ჯურღმულში.

— ხომ არ გნებავთ, ახლავე გადახედოთ პატიმართა საქმეს?

— ჯერ ჩამოვლა დავამთავროთ, — უპასუხა ინსპექტორმა, — მე რომ მაღლა, დღის სინათლეზე ავიდე, შეიძლება ძალია აღარ მეყოს, ჩემი სამწუხარო მისია განვაგრძო.

— ნუ სწუხართ, ეს მეორე პატიმარი პირველს არ ჰგავს, ის მხიარული გიჟია, მისი ჭკუა მეზობლის ჭკუას არ შეედრება. აქ ნაკლებად შეწუხდებით.

— რამ შეშალა ჭკუაზე?

— სწორედ უცნაურმა აზრებმა. მან თავი აურაცხელი საგანძურის პატრონად წარმოიდგინა. პატიმრობის პირველ წელს მთავრობას, თუ მას გაათავისუფლებდნენ, ერთ მილიონს სთავაზობდა, მეორე წელს — ორ მილიონს, მესამე წელს — სამ მილიონს. და თანხა ასე იზრდებოდა. ის უკვე ხუთი წელია პატიმრობაშია; როდესაც დაგინახავთ,

გთხოვთ, რომ განცალკევებით, საიდუმლოდ მოელაპარაკოთ და ხუთ მილიონს შემოგთავაზებთ.

— ეს მართლაც საინტერესოა, — თქვა ინსპექტორმა: — რა ჰქვია ამ მილიონერს?

— აბატი ფარია.

— ნომერი ოცდაშვიდი, — თქვა ინსპექტორმა.

— დიახ, აქ არის. გააღე, ანტუან.

მედილეგემ ბრძანება შეასრულა. ინსპექტორმა ცნობისმოყვარეობით შეიხედა «შემლილი აბატის» მიწისქვეშა საკანში. ყველა ასე ეძახდა ამ პატიმარს.

საკნის შუაგულში, კედლიდან ჩამოტეხილი კირქვით შემოხაზულ წრეში, იწვა თითქმის შიშველი კაცი, ტანისამოსი ნაფლეთებად ჰქცეოდა. ამ წრეში ის ავლებდა წმინდა გეომეტრიულ ხაზებს. იგი ისე შეეპყრო ამ ამოცანის გადაწყვეტას, როგორც არქიმედი იმ წუთებში, როდესაც მარცელის ჯარისკაცმა მოჰკლა¹. (¹ არქიმედი — სახელგანთქმული სირაკუზელი გეომეტრი; მისი წყალობით მისმა დედაქალაქმა სამი წელიწადი გაუძლო რომის ჯარის ალყას, რომელსაც მარცელი მეთაურობდა. იგი მოკლულ იქნა რომელი ჯარისკაცის მიერ, ვინაიდან რაღაც ამოცანის ამოხსნაში გართულმა, ვერ შეამჩნია მტრის მოახლოება.) კარის გაღების ჭრილობაზე ფარია არც კი განძრეულა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც მისთვის უჩვეულო ჩირაღდნების შუქმა გაანათა ნოტიო მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა. ფარია მობრუნდა და გაკვირვებით შეხედა მრავალრიცხოვან სტუმრებს, რომლებიც ჯურღმულს სწვოდნენ.

სწრაფად წამოხტა, ფეხებთან დაგდებულ საბანს ხელი სტაცა და სწრაფადვე მოიხურა, რომ უცხო ხალხის წინაშე უფრო რიგიანად ყოფილიყო.

— რას თხოულობთ? — ჰკითხა ინსპექტორმა, ისე რომ არ შეუცვლია თავისი გამოკითხვის წესი.

— მე, ბატონო? — ჰკითხა აბატმა გაკვირვებული სახით, — მე არაფერს არ ვითხოვ.

— თქვენ ვერ გაიგეთ, — უთხრა ინსპექტორმა, — მე მთავრობისგან მაქვს დავალებული ციხეების შემოვლა და პატიმრების საჩივრების მოსმენა.

— ჰო! ეს სხვა ამბავია, — შეჰყვირა ფიცხლად აბატმა, — იმედი მაქვს, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს.

— ხედავთ, — წასჩურჩულა ინსპექტორს ციხის უფროსმა, — განა ისე არ იწყება, როგორც მე გითხარით.

— ბატონო ჩემო, — განაგრძო პატიმარმა, — მე ვარ აბატი ფარია, რომში დაბადებული. ოცი წლის განმავლობაში ვიყავი კარდინალ როსპილიოზის მდივანი და 1811 წლის დასაწყისში დამაპატიმრეს, არ ვიცი კი, რისთვის. მას შემდეგ გათავისუფლებას ვითხოვ იტალიისა და საფრანგეთის მთავრობებისაგან.

— რატომ საფრანგეთის მთავრობისაგან?

— იმიტომ, რომ პიომბინოში დამაპატიმრეს და მე მგონია, პიომბინო, ფლორენციისა და მილანის მსგავსად, საფრანგეთის დეპარტამენტის მთავარი ქალაქი გახდა.

ინსპექტორმა და ციხის უფროსმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

— ეშმაკმა დალახვროს, ჩემო ძვირფასო, თქვენი ცნობები იტალიის შესახებ ახალი არ არის.

— ასე იყო მაშინ, როდესაც მე დამაპატიმრეს, — უპასუხა აბატმა ფარიამ, — იმ დროს მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა შექმნა რომის სამეფო მისთვის ციდან მოვლენილი ვაჟიშვილისათვის; ის აღწევდა ახალ-ახალ გამარჯვებებს და მე მეგონა, განახორციელებდა მაკიაველისა და ჩეზარე ბორჯიას ოცნებას¹ (¹ მაკიაველი — სახელგანთქმული იტალიელი პოლიტიკოსი და მწერალი, ავტორი «პრინციისა», «ფლორენციის ისტორიისა» და სხვ. (1469—1524). ჩეზარე ბორჯია — რენესანსის დროის

იტალიელი პოლიტიკოსი, ცნობილი თავისი ვერაგობით და დაუნდობლობით.) — იტალიის გაერთიანებას ერთ განუყოფელ სახელმწიფოდ.

— საბედნიეროდ, — უთხრა ინსპექტორმა, — ბედისწერამ ცვლილებები შეიტანა ამ გიგანტურ გეგმაში, რომელსაც, როგორც ჩანს, თქვენ მეტად გულმხურვალედ თანაუგრძნობთ.

— ეს ერთადერთი საშუალებაა — გადააქციო იტალია ძლიერ, დამოუკიდებელ და ბედნიერ სახელმწიფოდ.

— შესაძლებელია, — უპასუხა ინსპექტორმა, — მაგრამ მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ თქვენთან ერთად იტალიის პოლიტიკური საკითხები ვარჩიო, მოვედი იმისთვის, რომ გკითხოთ, უკმაყოფილო ხომ არა ხართ კვებით ან ბინით.

— კვება აქ ისეთია, როგორც ყველა ციხეში, — უპასუხა აბატმა, — ესე იგი ცუდი. რაც შეეხება სამყოფელს, თქვენ მას ხედავთ — ნესტიანი და ჯანმრთელობისათვის მავნეა, მაგრამ საკმაოდ წესიერი, როგორც მიწისქვეშა საკანი. საქმე ეს კი არ არის, არამედ ის მეტად დიდმნიშვნელოვანი და საინტერესო ამბავი, რომელიც მე მთავრობას უნდა ვაცნობო. აი, რატომ ვარ მე ბედნიერი, როცა თქვენ გხედავთ, — განაგრძო აბატმა, — თუმცა ხელი შემიშალეთ მნიშვნელოვან გამოანგარიშებაში, რომელიც, თუ გამიმართლდა, მთლიანად შეცვლის ნიუტონის სისტემას. ნება მიბოძეთ, მარტოდმარტო გესაუბროთ.

— მე რა გითხარით, — უთხრა ციხის უფროსმა ინსპექტორს.

— თქვენ კარგად იცნობთ თქვენს ბინადართ, — უპასუხა ამ უკანასკნელმა სიცილით და შემდეგ ისევ აბატ ფარიას მიუბრუნდა.

— ბატონო ჩემო, მე არ შემიძლია თქვენი თხოვნა შევასრულო.

— თუკი, მაგალითად, საქმე შეეხებოდა სახელმწიფოსათვის დიდი თანხის მიცემას, მაგალითად, ხუთი მილიონის...

— საოცარია, — მიუბრუნდა ინსპექტორი ციხის უფროსს, — თქვენ თანხის რაოდენობაც კი იწინასწარმეტყველეთ.

— მოიცათ, — განაგრძო აბატმა, როდესაც დაინახა, რომ ინსპექტორი წასვლას აპირებდა, — აუცილებელი არ არის, რომ ჩვენ მარტონი ვიყოთ; ბატონ ციხის უფროსს შეუძლია დაესწროს ჩვენს საუბარს.

— ჩემო კარგო, — უთხრა ციხის უფროსმა აბატს, — ჩვენ, საუბედუროდ, წინასწარ და ზეპირადაც ვიცით, რა უნდა გვითხრათ. საქმე თქვენს საგანძურებს შეეხება, არა?

ფარიამ ამ დამცინავ კაცს ისეთი თვალებით შეხედა, რომელშიც უბრალო, დაკვირვებული თვალი ნათელ გონებასა და სიმართლეს ამოიკითხავდა.

— რასაკვირველია, სხვა რაზე უნდა ვილაპარაკო?

— ბატონო ინსპექტორო, — მიმართა მას ციხის უფროსმა, — მე შემიძლია ეს ისტორია ისევე კარგად გადმოგცეთ, როგორც აბატი მოჰყვებოდა. რადგან აგერ ოთხი თუ ხუთი წელია, ამ ამბით ყურები მაქვს გამოჭედილი.

— ეს იმას ამტკიცებს, ბატონო ციხის უფროსო, რომ თქვენ ეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებზედაც იტყვიან: თვალები აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ, ყურები აქვთ, მაგრამ არ ესმითო.

— ჩემო კარგო, — უთხრა მას ინსპექტორმა, — მადლობა ღმერთს, ციხის უფროსი მდიდარია, და თქვენს ფულს არ საჭიროებს, შეინახეთ ის, ციხიდან რომ გახვალთ, გამოგადგებათ.

აბატს თვალები გაუფართოვდა. იგი ინსპექტორის ხელს ჩაეჭიდა.

— მაგრამ თუ ციხიდან ვერ გამოვალ, — თქვა მან, — თუ უსამართლოდ დამტოვებენ ამ ჯურღმულში, თუ მოგკვდები ისე, რომ არავის ვეტყვი ჩემს საიდუმლოს, მაშინ

საგანძური ხომ დაიკარგება? განა უკეთესი არ არის, სახელმწიფომაც ისარგებლოს და მეც? თუ თავისუფლებას მომანიჭებენ, თანახმა ვარ, ექვსი მილიონი გავიღო, მე დანარჩენსაც დავჯერდები.

— ღმერთმანი, — ჩაილაპარაკა ჩუმი ხმით ინსპექტორმა, — კაცმა რომ არ იცოდეს მისი სიგიჟე, ისე დარწმუნებით ლაპარაკობს, იფიქრებს, მართალს ამბობსო.

— მე არა ვარ შეშლილი და ნამდვილად სიმართლეს გეუბნებით, — უთხრა ფარიამ, რომელსაც, პატიმრისათვის დამახასიათებელი სმენის წყალობით, არ გამოჰპარვია ინსპექტორის მიერ ნათქვამი არც ერთი სიტყვა. — განძეული, რომელზედაც მე გელაპარაკებით, ნამდვილად არსებობს და გთავაზობთ, დამიდოთ ხელშეკრულება, რომლის ძალითაც წამიყვანთ ჩემს მიერ მითითებულ ადგილას: ჩემს თვალწინ დაიწყებენ გათხრას. და თუ მე ვტყუი, თუ იქ ვერ ნახავენ ვერაფერს და, თუ მე მართლაც, როგორც თქვენ ამბობთ, გიჟი ვარ, წამომიყვანეთ ისევ ამ ჯურღმულში, სადაც საუკუნოდ დავრჩები ისე, რომ არც თქვენ და არც სხვას აღარაფერს ვეტყვი.

ციხის უფროსმა სიცილი დაიწყო.

— შორს არის აქედან თქვენი განძი?

— აქედან ასი მილის დაცილებით იქნება.

— არ არის ცუდი მოგონება, — თქვა ციხის უფროსმა. — თუ ყველა პატიმარი ციხის მცველებს ასი მილის მანძილზე სეირნობით გაართობდა და თუ მცველები დათანხმდებოდნენ ამგვარ სეირნობაზე, პატიმრებს მშვენიერი შესაძლებლობა მიეცემოდათ, პირველ ხელსაყრელ შემთხვევისთანავე რომელიც მათ, რასაკვირველია, მიეცემოდათ გაქცეულიყვნენ.

— ეს ცნობილი ხერხია, — თქვა ინსპექტორმა, — და ბატონ აბატს როდი ეკუთვნის ეს გამოგონება.

შემდეგ ისევ აბატს მიუბრუნდა.

— მე თქვენ გკითხეთ, კარგად თუ გკვებავენ-მეთქი.

— ბატონო ჩემო, — უპასუხა ფარიამ, — დაიფიცეთ იესო ქრისტე, რომ გამათავისუფლებთ, თუ სიმართლე გითხარით, და მე მიგითითებთ იმ ადგილს, სადაც განძეულია ჩაფლული.

— კარგად გკვებავენ? — კვლავ გაუმეორა შეკითხვა ინსპექტორმა.

— ბატონო, ასეთი პირობით თქვენ არაფერს ჰკარგავთ; ხომ ხედავთ, გაქცევის საშუალებას არ ვეძებ, რადგან მე ციხეში ვრჩები, სანამ თქვენ საგანძურს მოძებნიდეთ.

— თქვენ არ პასუხობთ ჩემს კითხვაზე, — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ინსპექტორმა.

— არც თქვენ პასუხობთ ჩემს კითხვას! — შეჰყვირა აბატმა, — წყეულიმც იყავით, როგორც ყველა დანარჩენი უგონო, რომლებსაც არ უნდოდათ ჩემთვის დაეჯერებინათ! თქვენ არ გინდათ ჩემი ოქრო, მე მას შევინახავ; უარს მეუბნებით თავისუფლებაზე, ღმერთი გამომიგზავნის მას. მიბრძანდით, აღარაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი.

აბატმა გადაიგდო საბანი, აიღო კირქვის ნატეხი, ხელახლა ჩაჯდა წრეში და განაგრძო ხაზვა და ანგარიში.

— რას აკეთებს? — იკითხა ინსპექტორმა გასვლისას.

— თავის განძეულს ითვლის, — უპასუხა ციხის უფროსმა.

ამ დაცინვას ფარიამ ზიზღით სავსე თვალებით უპასუხა.

ისინი გავიდნენ. მედილეგემ კარები გადაკეტა.

— იქნებ მართლაც ფლობდა რაიმე საგანძურს, — თქვა ინსპექტორმა კიბზე ასვლის დროს.

— ან სიზმარში ნახა, რომ ფლობდა მას და დილით უკვე შეშლილს გამოედვია.

— მართლაც, — თქვა ინსპექტორმა მექრთამის გულუბრყვილობით, — ის რომ ნამდვილად მდიდარი ყოფილიყო, არც ციხეში იქნებოდა.

ამით დამთავრდა აბატ ფარიას ამბავი. ის პატიმრად დარჩა, და ამ ამბის შემდეგ ხმა მისი მხიარული სიგიჟის შესახებ უფრო დასაჯერებელი გახდა.

კალიგულა ან ნერონი — განძეულობის დიდი მაძიებლები, შეუძლებელზე მეოცნებენი, უსათუოდ ყურს ათხოვებდნენ ამ საწყალი კაცის სიტყვებს და მისცემდნენ მას ჰაერს, რომელსაც ის ნატრობდა, თავისუფლებას, რომლისთვისაც ასე დიდი ფასის გაღებას პირდებოდა, მაგრამ ჩვენი ეპოქის მეფეებმა, შეზღუდულებმა ალბათობით, დაკარგეს გაბედულობის ძალა; მათ ეშინიათ ყურის, რომელიც ისმენს მათ ბრძანებებს, თვალის, რომელიც ყველა მათ მოქმედებას ხედავს; ისინი უკვე ვეღარ გრძნობენ თავიანთი ღვთაებრივი ბუნების უპირატესობას, ისინი გვირგვინდადგმული ადამიანები არიან. ეს არის და ეს.

ოდესღაც მათ თავი მიაჩნდათ იუპიტერის ვაჟიშვილებად და ზოგიერთ რამეში ჰგავდნენ კიდეც ამ ღვთაებრივ მამას: არც ისე ადვილია გაიგო, რა ხდება ღრუბლებს იქით; დღეს კი მეფეები ადვილი მისაწვდომი გახდნენ, მაგრამ, რადგანაც დესპოტი მმართველები ყოველთვის გაურბიან, დღის სინათლეზე გამოიტანონ ციხეებისა და წამების შედეგები და რადგან იშვიათად ხდება, რომ ინკვიზიციის მსხვერპლმა ქვეყანას დაანახვოს გადამტვრეული ძვლები და სისხლიანი ჭრილობები, ამიტომაც სიგიჟე, ეს წყლული, ჯურღმულებში სულიერი განცდების შედეგად გაჩენილი, მზრუნველობით დამალული რჩება იქ, სადაც დაიბადება, და თუ ამკარავდება, მაშინ რომელიმე პირქუშ საავადმყოფოში მიმალავენ, სადაც ექიმები ციხის მცველების მიერ გადმოცემულ დამახინჯებულ ნემსებში ვერ პოულობენ ვერც ადამიანს და ვერც ადამიანურ აზროვნებას.

აბატმა ფარიამ გონება ციხეში დაკარგა და სწორედ ამ შემთხვევით გამო მიესაჯა მუდმივი პატიმრობა.

რაც შეეხება დანტესს, ინსპექტორმა გაამართლა თავისი სიტყვა. როდესაც მალლა ავიდა, ციხის უფროსს გამოართვა პატიმართა სიები. დანტესის საქმეზე მიწერილი იყო შემდეგი დასკვნა:

ედმონდ დანტესი

საშიში ბონაპარტისტი; აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმპერატორის კუნძულ ელბადან დაბრუნების საქმეში.

დაიცავით სასტიკი საიდუმლოებით და გყავდეთ გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ.

ეს შენიშვნა გაკეთებული იყო იმავე ხელითა და იმავე მელნით, როგორც დანარჩენი სიები. ეს კი იმას ამტკიცებდა, რომ ეს მინაწერი დანტესის დაპატიმრების შემდეგ უნდა გაეკეთებინათ.

ბრალდება ისეთი პოზიტიური იყო, რომ არ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ ინსპექტორმა წააწერა:

«არაფრის გაკეთება არ შეიძლება».

ინსპექტორის შემოვლამ დანტესი გამოაფხიზლა. დაპატიმრების წუთებიდან მან დაკარგა დღის სათვალავი, მაგრამ ინსპექტორმა უთხრა წელი, თვე და რიცხვი და დანტესმა დაიმახსოვრა იგი. ჭერიდან ჩამოვარდნილი კირქვით კედელზე მიაწერა 1816 წ. 30 ივლისი და მას შემდეგ ყოველდღე აღნიშნავდა, რომ დღის სათვალავი კვლავ არ დაჰკარგოდა.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები. დანტესი სულ ელოდა. ჯერ დაიწყო იმით, რომ ორკვირიანი ვადა დაინიშნა. ინსპექტორს იმის ნახევარი დაინტერესება რომ გამოეჩინა,

რაც მან საკანში გამოხატა, ორი კვირაც საკმარისი იქნებოდა. როდესაც ეს ორი კვირა გავიდა, დანტესმა გაიფიქრა, სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ინსპექტორი პარიზში ჩასვლამდე ხელს მოჰკიდებდა ამ საქმეს, ხოლო პარიზში დაბრუნებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც თავის საქმეებს მორჩებაო; ეს საქმეები კი შეიძლება ორ-სამ თვეს გაგრძელდეს. მაშინ დანტესმა ორი კვირის მაგივრად სამი თვის ვადა დაიდო. სამი თვეც გავიდა, ახლა სხვა მოსაზრებანი წამოაყენა და ექვსი თვე დაინიშნა; ეს ნახევარი წელიც გავიდა და როდესაც დღეები გამოთვალა, გამოირკვა, რომ ცხრათვენახევარი ელოდა.

ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა დანტესის ცხოვრებაში, არავითარი ახალი დამამშვიდებელი ამბავი არ გაუგია. მედილეგე, როგორც ყოველთვის, მუნჯივით იყო და შეკითხვებზე პასუხს არ აძლევდა. დანტესს ეჭვი შეეპარა თავის აზროვნებაში, და იქამდე მივიდა, რომ ის, რაც მეხსიერებაში მოგონების სახით ჰქონდა, ილუზიების შედეგად მიიჩნია, ხოლო მის საკანში გამოცხადებული ნუგემის ანგელოზი — სიზმრის ფრთებით შემოფრენილად.

ერთი წლის შემდეგ ციხის უფროსი გამოცვალეს; ჰაემის სიმაგრეში დანიშნეს. მან თან წაიყვანა რამდენიმე თავისი ხელქვეითი და მათ შორის დანტესის მედილეგეც. მოვიდა ციხის ახალი უფროსი; მას გაუჭირდა პატიმრების სახელების დამახსოვრება და ბრძანება გასცა, მხოლოდ მათი ნომრები წარედგინათ. ეს საშინელი სასტუმრო ორმოცდაათი ოთახისაგან შედგებოდა, მათ ბინადართ შეარქვეს იმ ოთახის ნომრები, რომლებშიც ცხოვრობდნენ და საწყალმა ყმაწვილმა კაცმა დაკარგა სახელი და გვარი — ედმონდ დანტესი: ის გახდა ნომერი ოცდაათობმეტი.

XV

ნომერი 34 და ნომერი 27

დანტესმა ყოველგვარი ტანჯვა გაიარა, რასაც განიცდიან სატუსალოში მივიწყებული პატიმრები.

მან დაიწყო ამაყობით, რასაც ადამიანში იმედი და თავისი უდანაშაულობის შეგნება ბადებს. შემდეგ ეჭვი შეეპარა თავის უდანაშაულობაში, რაც შორს არ იყო ციხის უფროსის თეორიისაგან მისი სიგიჟის შესახებ; ბოლოს ჩამოვარდა სიამაყის კოშკიდან, დაუწყო თხოვნა ჯერ ადამიანებს და არა ღმერთს; ღმერთი ყველაზე უკანასკნელი საშუალებაა. უბედური ადამიანი ყველაზე ადრე ღმერთს უნდა მიმართავდეს, მაგრამ ამას იგი აკეთებს მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ყველა დანარჩენ იმედს დაკარგავს.

დანტესმა ითხოვა სხვა საკანში გადაეყვანათ, თუნდაც უფრო ბნელი და ნოტიო ყოფილიყო. ცვლილება, თუნდაც უარესობისაკენ, მაინც ცვლილება იყო და რამდენიმე დღეს მაინც გაართობდა. დანტესმა ითხოვა გასეირნების უფლება, ითხოვა ჰაერი, წიგნები, სამუშაო იარაღები. არც ერთი თხოვნა არ შეუსრულეს. მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა. მიეჩვია ახალ მედილეგესთან ლაპარაკს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო დამუნჯებული იყო, ვიდრე ძველი; მაგრამ ელაპარაკო ადამიანს, თუნდაც მუნჯს, ეს მაინც სიამოვნებაა. დანტესი ლაპარაკობდა, რომ საკუთარი ხმა მაინც გაეგონა. მან სინჯა ელაპარაკა, როცა მარტო იყო, მაგრამ ამან შიში მოჰგვარა.

ხშირად, როდესაც ის თავისუფალი იყო, შიშით წარმოიდგენდა ციხის საკნებს, სადაც მაწანწალები, ბანდიტები და კაცისმკვლელები მხიარულებაში ზეიმობენ საზარელ მეგობრობას და აწყობენ თავშეუკავებელ ღრეობას. ახლა კი ამოდ ნატრობდა, ერთ-ერთ ასეთ ბუნაგში მოხვედრილიყო, რათა დაენახა სხვა სახე, გარდა უგრძობი, უტყვი მედილეგესი, რომელსაც ლაპარაკი არ სურდა. დანტესი წუხდა, რომ არ იყო კატორღელი,

სამარცხვინოდ ჩაცმული, ფეხებში ბორკილგაყრილი და ბეჭდადაღული. კატორღელები ხომ მაინც თავის მსგავს ადამიანთა საზოგადოებაში არიან, სუნთქავენ ჰაერს, უყურებენ ცას; კატორღელები ნამდვილად ბედნიერები არიან.

დანტესი მედილეგეს სთხოვდა, მიეცა მისთვის ამხანაგი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, თუნდა ის შეშლილი აბატი, რომლის ამბავიც მას გაეგონა.

მედილეგეს გარეგნული სიმკაცრის ქვეშ, რაც უნდა ტლანქი იყოს იგი, მაინც ღვივის რაღაც ადამიანობის ნაპერწკალი. დანტესის მედილეგეს, თუმცა ეს სახეზე არ ეტყობოდა, გულში ხშირად შესცოდებია ეს უბედური ყმაწვილი, რომლისთვისაც სატუსალო ასეთ მძიმე სატანჯველად გადაქცეულიყო. მან ციხის უფროსს გადასცა ნომერ 34-ის თხოვნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გამოიჩინა პოლიტიკური მოღვაწისათვის დამახასიათებელი სიფრთხილე და უარი უთხრა. ციხის უფროსმა წარმოიდგინა, დანტესს უნდა ააჯანყოს პატიმრები, მოაწყოს შეთქმულება და ამხანაგების დახმარებით გაქცევა მოახერხოსო.

დანტესმა ყოველგვარი ადამიანური შესაძლებლობანი ამოწურა და ახლა ღმერთს მიუბრუნდა; ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მაშინ გონებაში სათნო აზრები დაებადა, რითაც ცოცხლობენ ბედისაგან დაჩაგრული ადამიანები. მან გაიხსენა ყველა ის ლოცვა, რომლებიც დედამ შეასწავლა, და ამ ლოცვაში აქამდე უცნობი აზრი ჰპოვა. ბედნიერი ადამიანებისათვის ლოცვა ერთფეროვანი და უაზრო სიტყვათა გროვაა, სანამ უბედურება ღრმა აზრს არ ჩააქსოვს იმ სიტყვებში, რომლებითაც უბედური ღმერთს მიმართავს. დანტესი ლოცულობდა არა გულმოდგინებით, არამედ გაშმაგებით. ის ხმამაღლა ლოცულობდა, მაგრამ საკუთარი ხმა უკვე აღარ აშინებდა. ყოველი სიტყვის თქმაზე შფოთავდა და თვალწინ ღმერთი გაუელვებდა ხოლმე. თავისი უწყინარი და დაღუპული ცხოვრების ყველა მოვლენას იგი აწერდა ყოვლისშემძლე ძალას, ღებულობდა იქიდან გაკვეთილებს, იძლეოდა აღთქმას, და ყოველ ლოცვას ამთავრებდა ისეთი სიტყვებით, რომლებითაც კაცი ძალიან ხშირად ადამიანებს მიმართავს და არა ღმერთს: გვაპატიე შეცოდებანი ჩვენი, ვითარც ჩვენ ვაპატიებთ მათ, ვინც ჩვენ წინაშე სცოდავს.

ასეთი მხურვალე ლოცვების მიუხედავად, დანტესი მაინც ციხეში დარჩა.

მაშინ მას სული ისევ დაებურა, თითქოს თვალებში ნისლი ჩაუდგაო. დანტესი იყო უბრალო, უსწავლელი ახალგაზრდა, მეცნიერებას მისთვის არ აეხადა ის ფარდა, რომელიც წარსულს ფარავს. მას, აზრთა უდაბნოში განმარტოებულს და ჯურღმულში ჩავარდნილს, არ შეეძლო აღედგინა წარსული საუკუნეები, გაეცოცხლებინა დედამიწის ზურგიდან აღვლილი ერები, აეღორძინებინა უძველესი ქალაქები, რომლებსაც ფანტაზია დიდებითა და პოეზიით მოსავს და რომლებიც ადამიანის თვალწინ გარბოდნენ, როგორც გიგანტური ციური ცეცხლით განათებული მოჩვენებანი, როგორც მარტინის¹ (1 ჯონ მარტინი — ინგლისელი მხატვარი (1789—1850 წ. წ.)) მიერ დახატული ბაბილონის სურათები. დანტესს პატარა წარსული ჰქონდა, აწმყო სამწუხარო, ხოლო მომავალი სათუო. ცხრამეტი ნათელი წელი, აი, რაზე შეეძლო ეფიქრა დაუსრულებელი ღამის სიბნელეში. ამიტომ ვერაფერი ვერ გაართობდა. მისი ფხიზელი გონება, რომელიც დიდი სიამოვნებით გაანავარდებდა გარდასულ საუკუნეებში, არწივივით გალიაში იყო დამწყვდეული. მაშინ ის ერთ ფიქრს ჩაეჭიდებოდა ხოლმე. იგი ფიქრობდა თავის უმიზეზოდ, არნახული ბედისწერით დანგრეულ ბედნიერებაზე. თავს ამტვრევდა ამ ფიქრებს, ყოველმხრივ ატრიალებდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კბილებით ებლაუჭებოდა, როგორც დანტესს ჯოჯოხეთში უღმობელი უგოლინო² (2 უგოლინო დელა გერადესკა — ქალაქ პიზის მთავარი, ე. წ. გიბელინების პარტიის ერთ-ერთი მეთაური. მისმა მოწინააღმდეგეებმა, არქიუპისკოპოს რუჯიერის მეთაურობით ის თავის შვილებთან ერთად ციხე-კოშკში დაამწყვდიეს და შიმშილით მოკლეს (XIII ს.). დანტემ თავის

«ღვთაებრივ კომედიაში» ეს ტრაგიკული ამბავი გამოიყენა ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი სცენის დასახატავად.) არქიეპისკოპოს რუჯიერის თავის ქალას ღრღნიდა. დანტეს რწმენა ელვისებურად გაურბენდა, ისიც ყოვლისშემძლე ღმერთის იმედით. მაგრამ მალე ეს რწმენაც დაკარგა, როგორც ხშირად მოსდით ხოლმე წარმატებამოპოვებულთ, თუმცა დანტეს წარმატება არ ჰქონია.

ღვთისმოსაობა გაშმაგებამ შეცვალა. იგი ისეთ ღვთისმგმობელ სიტყვებს ანთხევდა, რომ მედილეგეს შიში აიტანდა ხოლმე. დანტესი კედელს თავს ურტყამდა. მას ყველაფერი აშმაგებდა, რაც მის გარშემო იყო. ერთი ნამცეცა ქვის, თივის ღერის, ან ჰაერის ნაკადის მიერ მიყენებულ სულ უმნიშვნელო უსიამოვნო განცდას იგი მძვინვარებაში მოჰყავდა. თვალიდან არ სცილდებოდა დაბეზღების ბარათი, რომელიც ვილფორმა უჩვენა და რომელიც მას ხელში ეჭირა. იქ ჩაწერილი თითოეული სტრიქონი კედელზე ცეცხლივით ელვარებდა, როგორც «მანე, თეკელ, ფარეს» ბალთაზარისა¹. (¹ ბიბლიაში მოთხრობილია, რომ, როცა სპარსეთის მეფემ კიროსმა ბაბილონს ალყა შემოარტყა, ბაბილონის უზრუნველმა მეფემ ბალთაზარმა დიდი ვახშამი გამართა და იერუსალიმის ტაძრიდან წამოღებული ლარნაკები მოატანინა, რათა ღვინო დაეღია. ამ დროს კედელზე გამოჩნდა ხელი, რომელმაც გაუგებარი სიტყვები დაწერა: «მანე, თეკელ, ფარეს». მოგვებმა ეს წარწერა ვერ ახსნეს; ებრაელთა წინასწარმეტყველმა დანიელმა, რომელიც თავის ერთან ერთად ბაბილონის ტყვეობაში იმყოფებოდა, ეს სიტყვები ისე ახსნა, რომ ბალტაზარს და მის სამეფოს დაღუპვა ელოდა. ეს წინასწარმეტყველება იმ ღამითვე ასრულდა; როცა კიროსის ჯარი ბაბილონში შეიჭრა, ბალტაზარი მოკლულ იქნა, ხოლო ბაბილონი სპარსეთმა შეიერთა.) დანტესი ეუბნებოდა თავის თავს, რომ ადამიანების სიძულვილმა ჩააგდო ამ უფსკრულში და არა ღვთის რისხვამ. ამ უცნობ ადამიანთათვის დანტესი იგონებდა ათასგვარ სასჯელს, რომლებიც მის აღზნებულ ფანტაზიას შეეძლო შეექმნა, მაგრამ ყველაზე სასტიკი წამება მას არა მარტო მსუბუქად, არამედ, რაც მთავარია, ხანმოკლედ მიაჩნდა, რადგან დასჯას სიკვდილი მოსდევს, სიკვდილი კი თუ მოსვენება არაა, ყოველ შემთხვევაში, უგრძნობლობაა და მოსვენებას ჰგავს.

მტრებზე ფიქრის დროს თავის თავთან დაჟინებითა ლაპარაკმა — სიკვდილი — ეს მოსვენებაა, სიკვდილით დასჯა — ეს არ არის სასტიკი სატანჯველიო, — იგი იქამდე მიიყვანა, რომ თვითმკვლელობა მოუვიდა აზრად. ვაი მას, ვინც უბედურების გზაზე ამ შავბნელ ფიქრზე შეჩერდება! ეს არის მკვდარი ზღვა, რომელიც ჰგავს გამჭვირვალე ტალღების ლაჟვარდს, მაგრამ მცურავი მასში გრძნობს, როგორ ეფლობა ფეხები თანდათან ფისიან შლამში, რომელიც მას იზიდავს, იწოვს და მარხავს. თუ ასეთი აზრით შეპყრობილს, დამხმარედ ზეციური ძალა არ მოევლინა, ყველაფერი დაღუპულია და თავის დახსნის ყოველი ცდა კიდევ უფრო ღრმად ჩაითრევს საფლავეში.

მაინც, რაც უნდა იყოს, ასეთი ზნეობრივი სულთმობრძაობა ისე საშიში არ არის, როგორც ტანჯვა, რომელიც წინ უსწრებს მას, და როგორც დასჯა, რომელიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მას. იგი გვიჩვენებს პირდაღებულ უფსკრულს, მაგრამ ამ უფსკრულის ძირში არყოფნაა. ედმონდმა ამ ფიქრებში სიმშვიდე ჰპოვა; მთელი მისი დარდები, მთელი მისი ტანჯვანი, მოჩვენებები, რომლებიც მათ მოსდევდა, თითქოს გაფრინდნენ საკნის იმ კუთხიდან, სადაც სიკვდილის ანგელოზი თავისი მსუბუქი ფეხის დადგმას აპირებდა. დანტესმა თავის წარსულს დამშვიდებით შეხედა, მომავალს — შეძრწუნებით და აირჩია ის, რაც თავშესაფრად მიაჩნდა.

— ზოგჯერ, — ეუბნებოდა ის თავის თავს, — გემით შორეული მოგზაურობის დროს, როდესაც მე კაცი ვიყავი, და როდესაც ეს თავისუფალი და ძლიერი კაცი, თავის ხელქვეითებს ბრძანებას აძლევდა, რაც მაშინვე სრულდებოდა, მინახავს, როგორ იკრავდა ცა პირს, ბობოქრობდა და იმუქრებოდა ზღვა, და ცის ერთი კიდიდან წამოსული

ქარიშხალი, თითქოს ვეებერთელა არწივი ყოფილიყო, ჰორიზონტზე ფრთებს იქნევდა. მაშინ ვგრძნობდი, რომ ჩემი გემი არასაიმედო თავშესაფარი იყო, რადგან ისე ფარფატებდა და ირხეოდა, თითქოს ბუმბერაზის ხელისგულზე დაგდებული ბუმბული ყოფილიყო. ტალღების შემზარავ ხმაურში მე ვუყურებდი სალ კლდეებს, რომლებიც სიკვდილს მაუწყებდნენ. სიკვდილი მაშინებდა და მთელ ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რომ გავსხლტომოდი. მე ვიკრებდი ადამიანური ძალისა და მეზღვაურის გონების მთელ შესაძლებლობას, რათა ღმერთს შევბრძოლებოდი!.. მაგრამ მაშინ ბედნიერი ვიყავი. ცხოვრებისაკენ დაბრუნება ნიშნავდა ბედნიერებისაკენ დაბრუნებას; ის სიკვდილი არ მიხმია და არც ამირჩევია; მეტად საძნელოდ მეჩვენებოდა კლდეებზე და წყალმცენარეებზე საუკუნო მიძინება. ზიზღით ვფიქრობდი, რომ მე, ღვთით შექმნილი, მისივე მსგავსი ადამიანი, სიკვდილის შემდეგ თევზიყლაპიებისა და მეთოლიების (ზღვის ფრინველების) ლუკმა უნდა გავმხდარიყავი. მაგრამ დღეს სულ სხვაა, დავკარგე ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო; დღეს სიკვდილი ისე მიღიმის, როგორც ძიძა ბავშვს, რომელიც უნდა დაარწიოს; ახლა მე ვკვდები ჩემი სურვილით, ვიძინებ დაქანცული და მოთენთილი, როგორც ვიძინებდი ხოლმე იმ გაშმაგებული და სასოწარკვეთილი საღამოების შემდეგ, როდესაც ამ ჩემს ჯურღმულში ვაკეთებდი სამი ათასამდე წრეს, 30 ათას ნაბიჯს, ესე იგი, დაახლოებით, ათ ლიეს.

როდესაც დანტესის გონებაში ამ ფიქრებმა დაისადგურეს, უფრო მორჩილი და მხიარული გახდა, უკვე აღვილი ასატანი ეჩვენებოდა მაგარი საწოლი და შავი პური: ცოტას ჭამდა და თითქმის აღარ ეძინა. დანტესისათვის უფრო ასატანი შეიქნა სიცოცხლე, რომელიც, როცა კი მოინდომებდა, თავისუფლად შეეძლო სამუდამოდ უარეყო, ისე როგორც უარს ამბობენ და გადააგდებენ ხოლმე ძველ ტანისამოსს.

სიკვდილისათვის მას ორი საშუალება ჰქონდა; ერთი სულ უბრალო იყო: სარკმლის რიკულზე ცხვირსახოცი გამოება და თავი ჩამოეხრჩო; ანდა თავი მოეჩვენებინა, თითქოს საჭმელს ჭამდა და სინამდვილეში შიმშილისაგან მომკვდარიყო. პირველ საშუალებას დანტესი ზიზღით უყურებდა. იგი აღზრდილი იყო მეკობრეებისადმი სიძულვილით, რომლებსაც გემის ანძაზე ახრჩობდნენ; ამიტომ მარყუჟი სამარცხვინო სასჯელად მიაჩნდა და უარყო კიდევაც. დანტესს მეორე საშუალება ერჩია და იმ დღესვე დაიწყო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა.

დანტესის მთელი ეს წამება, რომელსაც ჩვენ ვყვებით, ოთხი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მეორე წლის ბოლოს მან უკვე თავი დაანება კედლებზე ნიშნების დასმას და ისევ აერია დღეების ანგარიში, როგორც ეს ინსპექტორის მოსვლამდე ჰქონდა.

დანტესმა თქვა, «მე მინდა სიკვდილიო» და თვითონ აირჩია, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო; მაშინ კარგად მოიფიქრა ყველაფერი და იმის შიშით, რომ თავისი გადაწყვეტილებისათვის არ ეღალატა, ფიცი დადო, შიმშილისაგან მომკვდარიყო. «როდესაც სადილს ან ვახშამს მომიტანენ, სარკმიდან გადავაგდებ და ისეთ სახეს მივიღებ, თითქოს შემეჭამოს».

ასეც აკეთებდა; დღეში ორჯერ, გისოსიანი სარკმიდან, საიდანაც ის მხოლოდ ცის ნაწილს ხედავდა, ყრიდა მისთვის მოტანილ საჭმელს. პირველ ხანებში ამას სიხარულით ჩადიოდა, შემდეგ ჩაფიქრებით, და ბოლოს გულისტკივილით: მას ასეთი შემადრწუნებელი გადაწყვეტილების შესასრულებლად ძალას მის მიერვე დადებული აღთქმა აძლევდა. ამ საჭმელს, რომელიც წინათ ზიზღს ჰგვრიდა, კბილებდალესილი შიმშილი არაჩვეულებრივ სურნელოვანს და ნერწყვის მომგვრელს ხდიდა. ხანდახან თეფში მთელი ერთი საათი ეჭირა სარკმელთან და ხარბი თვალებით უყურებდა საქონლის დამპალ ხორცს ან აყროლებულ თევზს, ან შავ, დაობებულ პურს. ეს იყო სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკლები, რომლებიც ინსტინქტურად იბრძოდნენ მასში და

ზოგჯერ წინააღმდეგობას უწევდნენ მის გადაწყვეტილებას. ამ დროს თავისი ბუნაგი არც ისე პირქუშად და თავისი მდგომარეობა არც ისე უიმედოდ ეჩვენებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ალბათ, ასე ოცდახუთი ან ოცდაექვსი წლისა; ერთი ორმოცდაათი წელი კიდევ უნდა იცოცხლოს, ესე იგი ორჯერ მეტი, ვიდრე უცხოვრია. ასეთი დიდი დროის მანძილზე, ვინ იცის, რა შემთხვევა შეამტვრევდა ციხესიმაგრე იფის კარებს, დაანგრევდა მის კედლებს და დაუბრუნებდა თავისუფლებას. მაშინ კი პირთან მიჰქონდა საჭმელი, რომელსაც ტანტალი თავის თავს უკრძალავდა. მაგრამ მყისვე გაახსენდებოდა ალთქმა. ამ იშვიათი ბუნების ადამიანს ეშინოდა, თვითონვე არ შეზიზღებოდა საკუთარი თავი და ფიცი არ გაეტეხა. მკაცრად და შეუბრალებლად ანადგურებდა იმ ხანმოკლე სიცოცხლეს, რომელიც კიდევ დარჩენოდა. ბოლოს დადგა ის დღეც, როდესაც ძალა აღარ ეყო ამდგარიყო და სარკმლიდან გადაექცია ვახშმად მოტანილი საჭმელი.

მეორე დღეს ვერაფერს ვერ ხედავდა, ყურსაც დააკლდა. მედილეგემ ის მძიმე ავადმყოფად მიიჩნია; ედმონდი იმედოვნებდა, რომ სიკვდილი მალე მოვიდოდა. ასე გავიდა ერთი დღე. ედმონდი უცნაურად გაირინდა, რაც მოკლებული არ იყო სასიამოვნო განცდას. მუცლის გვრემამ გაუარა, წყურვილი აღარ ტანჯავდა. როდესაც თვალებს ხუჭავდა, მის წინ ირეოდა ბრჭყვიალა წერტილების გროვა, რომელიც ჭაობზე ღამით მოკიაფე ცთომილ ალს მიაგავდა. ეს იყო გარიჟრაჟი იმ უცნობი ქვეყნისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია. ერთხელ, საღამოს, დაახლოებით, ცხრა საათზე, კედლის იმ მხრიდან, სადაც იგი იწვა, უეცრად ხმაური შემოესმა.

ამ ციხეში იმდენი საზიზღარი ცხოველი ფათურობდა, რომ ედმონდი ნელ-ნელა შეეჩვია ხმაურში ძილს და ასეთი პატარა რამეები ძილს არ უფრთხობდა; მაგრამ ამჯერად, რაკი გრძნობები გამახვილებული ჰქონდა შიმშილისაგან, თუ იმიტომ, რომ ხმაური ჩვეულებრივზე ძლიერი ეჩვენა, და ბოლოს, იმის გამო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ყველაფერს მნიშვნელობა ეძლევა, ედმონდმა თავი ასწია, რათა უფრო უკეთ გაეგონა.

ეს იყო ქვაზე თანაბარი ფხაჭუნის ხმა, რაღაც უშველებელი ბრჭყალების, ძალიან მაგარი კბილების, ან რაღაცა იარაღით გამოწვეული ხმაური.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მისუსტებული იყო, დანტესს გონებაში სწრაფად გაუელვა ფიქრმა, რომელიც პატიმრებს მუდამ ახსოვთ: — თავისუფლება! ხმაურმა მის ყურამდე მიაღწია მაშინ, როდესაც მისთვის ყველა ხმა უნდა ჩამკვდარიყო. დანტესმა გაიფიქრა, «ბოლოს და ბოლოს ღმერთმა შემიბრალა ტანჯული ადამიანი და ეს ხმაური გამაგონა, რათა შევჩერდე სამარის კართან, სადაც ცალი ფეხი უკვე გადადგმული მაქვს. ვინ იცის, — ფიქრობდა იგი, — იქნებ ვინმე ჩემი მეგობართაგანია, იმ ძვირფას და საყვარელ ადამიანთაგანი, რომლებზედაც ხშირად იმდენი მიფიქრია, რომ ჭკუა გადამტრიალებია, შეიძლება ის ახლა ჩემზე წუხს და ცდილობს გაარღვიოს ზღუდე, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს. არა, ალბათ, მომეჩვენა, ეს, ალბათ, სიკვდილის წინამორბედი სიზმარი იყო».

მაგრამ ედმონდი მაინც უსმენდა. ფხაჭუნი სამ საათს გრძელდებოდა. ბოლოს ედმონდმა გაიგონა, რომ რაღაცა ზვავივით ჩამოწვა და შემდეგ ხმაური მიწყდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ხმაური უფრო გაძლიერდა და უფრო ახლოს გაისმა. დანტესი დაინტერესდა ამ მუშაობით. იგი უკვე მარტო არ გრძნობდა თავს. უცებ მედილეგე შემოვიდა.

დანტესმა, დაახლოებით, რვა დღის წინათ გადაწყვიტა, მომკვდარიყო. უკვე ოთხი დღე იყო, სისრულეში მოჰყავდა თავისი გადაწყვეტილება და არაფერს ჰამდა. ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს მედილეგესათვის. მის შეკითხვებზე — რითი ხარ ავადო, დუმილით უპასუხებდა, ხოლო როცა ის ყურადღებით დახედავდა, პირს

კედლისკენ იბრუნებდა. მაგრამ დღეს ასე არ გამოდგებოდა: მედილეგეს შეიძლებოდა გაეგონა ყრუ ხმაური, შემფოთებულიყო, შეეჩერებინა იგი და ამით მოესპო ბუნდოვანი იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი, რომელმაც მხოლოდ წუთიერად გაიელვა და ამით გამოაცოცხლა სიკვდილის პირას მისული დანტესი.

მედილეგემ საუზმე მოიტანა.

დანტესი ლოგინზე წამოიწია და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო ყველაფერზე, რაზედაც კი შესაძლებელი იყო: ცუდ საკვებზე, სიცივეზე, რომელიც მას ტანჯავდა ამ ჯურღმულში. ის ბურტყუნებდა და იგინებოდა, რათა საშუალება ჰქონოდა, უფრო ხმამაღლა ეყვირა. მედილეგე, რომელმაც ავადმყოფი პატიმრისათვის სწორედ დღეს მოახერხა, მიეღო ერთი თეფში წვენი და ახალი პური, მოთმინებიდან გამოვიდა. მაგრამ, საბედნიეროდ, გადაწყვიტა, დანტესი ბოდავსო, ამიტომ საუზმე, როგორც ყოველთვის, ფეხმოტეხილ მაგიდაზე დადო და გავიდა. ედმონდმა თავისუფლად ამოისუნთქა და გახარებულმა ყურისგდება განაგრძო.

ხმაური ისე მკაფიოდ ისმოდა, რომ უკვე საჭირო აღარ იყო ყურადღების დაძაბვა.

«ამაში საეჭვო აღარაფერია, — გაიფიქრა მან, — რახან ეს ხმაური დღისითაც გრძელდება, ალბათ, ვინმე ჩემსავით უბედური პატიმარი მუშაობს, რათა თავი დააღწიოს ციხეს. ოჰ! მე რომ მის გვერდით ვიყო, როგორ მივეხმარებოდი!»

შემდეგ, უცებ, იმედის გარიჟრაჟზე შავმა ღრუბელმა გადაირბინა. მისი გონება მიჩვეული იყო უბედურებაზე ფიქრს და ადამიანური ბედნიერების არ სჯეროდა. მას იმ წუთშივე დაებადა აზრი, რომ ეს ციხის უფროსის მიერ მეზობელ ოთახში რაღაც სამუშაოს შესასრულებლად გამოგზავნილი მუშები ხმაურობდნენ.

ამაში დარწმუნება ძნელი არ იყო, მაგრამ როგორ გაეგო? ყველაზე ადვილი იქნებოდა, დაეცადა მედილეგესათვის, მოესმენინებინა მისთვის ეს ხმაური და შეეხედა, სახის როგორი გამომეტყველებით დაუგდებდა იგი ყურს. მაგრამ ცნობისმოყვარეობის ასეთი სწრაფი დაკმაყოფილების სურვილი ხომ დალუპავდა გადარჩენის შესაძლებლობას!

საუბედუროდ, დანტესს ამდენი ფიქრით თავი ჰქონდა გაბრუებული, იგი ისე იყო დასუსტებული, რომ აზრები ეფანტებოდა და ვერ ახერხებდა ერთ ფიქრზე შეჩერებულიყო. თავისი მდგომარეობიდან გამოსასვლელად მხოლოდ ერთ საშუალებას ხედავდა: სიცხადე შეეტანა გონებაში და მოვლენათა მსვლელობაც ნათელი გაეხადა. მან თვალები მიაპყრო მედილეგეს მიერ მაგიდაზე დატოვებულ ბულიონს, რომელსაც ჯერ კიდევ ოხშივარი ასდიოდა. ბარბაცით წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ჯამი პირთან მიიტანა და აუწერელი სიამოვნებით შესვა.

დანტესმა თავს ძალა დაატანა და მეტი აღარაფერი შეუჭამია. მას გაგონილი ჰქონდა: თუ გემის დალუპვის შემდეგ გადარჩენილი, დამშეული მეზღვაურები მაშინვე საჭმელს მივარდებიან, სიკვდილი არ ასცდებათო. ედმონდმა პური, რომელიც თითქმის უკვე პირთან ჰქონდა მიტანილი, მაგიდაზე დადო და ისევ წამოწვა. მას უკვე აღარ უნდოდა სიკვდილი.

მაღე იგრძნო, რომ გონება უნათლებოდა. ყველა მისმა ბუნდოვანმა და თითქმის ანგარიშმიუცემელმა აზრმა ხელახლა დაიწყო განლაგება იმ ჯადოქრულ ჭადრაკის დაფაზე, სადაც, შესაძლებელია ერთი ზედმეტი უჯრა საკმარისი აღმოჩნდეს, რათა ადამიანმა უპირატესობას მიაღწიოს ცხოველის მიმართ. მას უკვე შეეძლო აზროვნება და თავისი აზრის განმტკიცება.

მაშინ თავის თავს უთხრა:

— უნდა შევეცადო, გავიგო საქმის ვითარება, მაგრამ ისე, რომ არავის ვავნო. თუ იქ ჩვეულებრივი მუშაა, საკმარისია დავაბრაზუნო და ის მყისვე შეწყვეტს მუშაობას; დაინტერესდება გამოიცნოს, ვინ და რომელი მხრიდან დააბრაზუნა. თუ მისი მუშაობა

არათუ ნებადართულია, არამედ ბრძანებაც აქვს მიღებული, ისევ განაგრძობს მას. პირიქით, თუ ის პატიმარია, ჩემი დაბრახუნება დააფრთხობს, შეშინდება, არ გაუგონ და მუშაობას მიატოვებს, რომელსაც, ალბათ, მხოლოდ საღამოთი განაახლებს, როცა, მისი ფიქრით, ყველას ეძინება.

ედმონდი ხელახლა წამოდგა, ამჯერად არც ბარბაცებდა და არც თვალები უჭრელდებოდა. ის საკნის კუთხეში მივიდა, დანესტიანებული კედლიდან ქვა ადვილად გამოიღო, გამობრუნდა და კედელზე, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც უფრო გარკვევით ისმოდა ხმაური, სამჯერ დაჰკრა.

პირველ დარტყმისთანავე ხმაური მიწყდა, თითქოს რაღაც ჯადოსნურმა ძალამ იმოქმედაო.

ედმონდი სულგანაბული უსმენდა. გავიდა ერთი საათი, ორი; არავითარი ხმაური არ განმეორებულა. ედმონდის ქვის დარტყმის მერე კედლის იქით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

იმედით ფრთაშესხმულმა დანტესმა რამდენიმე ლუკმა პური შექამა და ერთი ყლუპი წყალი მოსვა. ბუნების მიერ დაჯილდოებული ძლიერ ჯანმრთელი ორგანიზმის წყალობით ადრინდელი მდგომარეობა თითქმის აღიდგინა.

დღე გავიდა. კვლავ სიჩუმე სუფევდა.

დაღამდა და ხმაური მაინც არ განახლებულა.

«ეს ნამდვილად პატიმარია», — ამბობდა დანტესი გამოუთქმელი სიხარულით. იგი ისევ აენთო. სიცოცხლის სურვილმა მასში ახალი ძალით გაიღვიძა, რადგან ამოქმედდა.

ღამემაც ისე გაიარა, რომ სულ უმნიშვნელო ხმაურიც კი არ გაუგონია.

იმ ღამეს ედმონდს თვალი არ მოუხუჭავს.

გათენდა: მედილეგემ საჭმელი შემოიტანა. ედმონდს უკვე შექმული ჰქონდა გუშინდელი სადილი და ახლაც ხარბად ეცა თეფშს; თან ყურებდაცქვეტილი იჯდა, რომ არ გამოპარვოდა ხმაური, რომელიც აღარ განმეორებულა. იმ ფიქრით შეშინებული, რომ ეს ხმაური სამუდამოდ შეწყდა, იგი ათ თუ ოც ლიეს აკეთებდა თავის ჯურღმულში. მთელი საათობით საკნის რკინის რიკულზე ვარჯიშობდა, რათა ხელი მოძრაობისათვის შეეჩვია, უნდოდა კუნთებში ძალა და სიმკვრივე აღედგინა, რომ ბედთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებისათვის მზად ყოფილიყო. ისე ემზადებოდა, როგორც სარბიელზე საბრძოლველად გამოსული მოჭიდავე, რომელიც ტანს ზეთით იზელს და მკლავებს შლის. ვარჯიშის დროს დანტესი ზოგჯერ შეჩერდებოდა და ყურს უგდებდა, ხომ არ განმეორებულა ხმაური. იგი მოთმინებიდან გამოჰყავდა ფრთხილ პატიმარს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რომ მას მუშაობა შეაწყვეტინა პატიმარმა, რომელიც თავისუფლებისაკენ მასზე ნაკლებად როდი მიილტვოდა.

გავიდა სამი დღე, — წუთი-წუთ დათვლილი სამოცდათორმეტი მომაკვდინებელი საათი.

ბოლოს, საღამოხანს, როდესაც მედილეგემ ვახშამი შემოიტანა და კარი გაიხურა, დანტესმა ერთი ასჯერ მაინც მიაღო ყური კედელს. მას მოეჩვენა, რომ ოდნავ შესამჩნევი თრთოლა იგრძნო მდუმარე ქვებზე მიკრულ თავთან.

დანტესი გაეცალა კედელს, რათა გონს მოსულიყო. საკანში რამდენჯერმე წრე დაარტყა და ყური ისევ კედელს მიაღო.

საეჭვო აღარაფერი იყო, კედლის იქით რაღაც ხდებოდა: უცნობი პატიმარი მიხვდა, რომ ძველი გზით მუშაობა საშიში იყო და რათა უფრო დამშვიდებით ემუშავა, სხვა ხერხი ირჩია. ეტყობოდა, სატეხი ბერკეტით შეცვალა.

ამ აღმოჩენით გამხნეებულმა ედმონდმა გადაწყვიტა, დაუღალავ მაშვრალს მიხმარებოდა. საწოლი განზე გასწია, რადგან, მისი ფიქრით, სწორედ ამ კედლის იქით ეწყობოდა გათავისუფლების საქმე და თვალებით დაუწყო ძებნა რაიმე ნივთს, რომლითაც შეძლებდა კედლის გამოჩიჩქნას, ნესტიანი კირის გამოყრას და ბოლოს ქვის გამოღებას.

მაგრამ ასეთი არაფერი მოხვდა თვალში. მას არც დანა ჰქონდა და არც რაიმე მახვილპირიანი იარაღი. საკნის გისოსები კი ისე მაგრად იყო ჩარჭობილი, რომ არც კი ცდილა მათ შერყევას.

მთელ მის ავეჯს შეადგენდა საწოლი, სკამი, მაგიდა, ვედრო და დოქი.

საწოლზე გაედოთ რკინის სალტეები, მაგრამ ფიცარზე ხრახნებით დაემაგრებინათ და ამოსაძრობად საჭირო იყო სახრახნისი.

მაგიდასა და სკამს არაფერი ჰქონდა ისეთი, ვედროს წინათ ხელმოსაკიდი ჰქონდა, მაგრამ ისიც მოეძროთ.

დანტესს მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩა, გაეტეხა დოქი და წაწვეტილი ნამტვრევებით მუშაობას შესდგომოდა.

დოქი მიწაზე დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია.

დანტესმა აიღო ორი თუ სამი წაწვეტილი ნატეხი და ლოგინში ჩამალა; დანარჩენები კი ისევ მიწაზე დატოვა. დოქის გატეხა ისეთი ბუნებრივი ამბავი იყო, რომ არვის ეჭვი არ შეეპარებოდა.

ედმონდს მთელი ღამე შეეძლო ემუშავა, მაგრამ სიბნელეში საქმე ცუდად მიდიოდა. მუშაობა უხდებოდა ხელის ცეცებით, და მალე იგრძნო, რომ მაგარ ქვაზე მისი უბადრუკი იარაღი ბლაგვდებოდა. მაშინ ლოგინში ჩაეგდო და გათენებას დაუცადა. იმედთან ერთად მოთმინებაც დაუბრუნდა.

მთელი ღამის განმავლობაში ყურს უგდებდა უცნობის მიწისქვეშა მუშაობას, რომელიც დილამდე არ შეწყვეტილა.

გათენდა. შემოვიდა მედილეგე. დანტესმა მოახსენა, წუხელის, როდესაც დოქით წყალს ვსვამდი, ხელიდან გამივარდა და გამიტყდაო. მედილეგე ბუზღუნით წავიდა ახალი დოქის მოსატანად, ისე რომ ძველი დოქის ნატეხების აკრეფითაც არ შეუწუხებია თავი.

მედილეგე მალე შემობრუნდა. მან პატიმარს რჩევა მისცა, უფრო ფრთხილად მოქცეულიყო, რომ მეორე დოქიც არ გაეტეხა და უკან გაბრუნდა.

დანტესმა გამოუთქმელი სიხარული იგრძნო კლიტის ჩხაკუნზე, წინათ კი გასაღების ყოველი გადატრიალება სულს უხუთავდა. ის იცდიდა, სანამ მედილეგეს ფეხის ხმა მიწყდებოდა, შემდეგ თავის საწოლს ეცა, გვერდზე გასწია და მზის მკრთალი სხივის შუქზე, რომელიც მის ჯურღმულამდე აღწევდა, დაინახა, რომ მთელი ღამის განმავლობაში ამაოდ უშრომია, — თურმე ქვას ურტყამდა, იმის მაგივრად, რომ ქვის ირგვლივ გამოეთხარა კედელი.

სინესტეს კირი დაერბილებინა.

დანტესს გულმა სიხარულისაგან ძგერა დაუწყო, როდესაც ნახა, რომ ბათქაში ნატეხ-ნატეხ სცილდებოდა და მისი გამორღვევა თურმე არც ისე ძნელი იყო. მართალია, ეს ძალზე პატარა ნატეხები იყო, მაგრამ ნახევარი საათის განმავლობაში დანტესმა ერთი პეშვი კირი მაინც გადმოყარა: მათემატიკოსს შეეძლო გამოეანგარიშებინა, რომ თუ დანტესი ორი წლის განმავლობაში ასე იმუშავებდა და კლდეს არ შეეჩებოდა, — შეძლებდა ორი კვადრატული ფუტის სიგანის გამოსასვლელი გამოეთხარა ოცი ფუტის სიგრძეზე.

დანტესი თავის თავს კიცხავდა, რომ ამ მუშაობისათვის არ გამოიყენა ის დიდი დრო, რომელიც ამდენ ხანს დაკარგა უსარგებლო იმედებში, ლოცვებში და სასოწარკვეთილებებში.

ექვსი წლის მანძილზე, რაც ის ციხეში იჯდა, რაგინდ ხანგრძლივი სამუშაო უნდა ყოფილიყო, დაუმთავრებელი არ დარჩებოდა.

ამ ფიქრმა იგი უფრო მეტად აანთო.

სამი დღის განმავლობაში იგი დაუჯერებელი სიფრთხილით მუშაობდა და შეძლო კედლისათვის ბათქაში მოეცილებინა, ქვა გაეშიშვლებინა. კედლები ყორექვისაგან იყო აყვანილი და ალაგ-ალაგ თლილი ქვებით გამაგრებული. დანტესმა სწორედ ერთი ასეთი თლილი ქვა თითქმის გააშიშვლა; ახლა საჭირო იყო მისი მორყევა.

დანტესი შეეცადა ფრჩხილებიც გამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ.

შემდეგ ნაპრალში დოქის ნატეხები ჩააწყო და ცდილობდა, ბერკეტივით მოემარჯვებინა, მაგრამ ხელში ნამსხვრევები შერჩა.

ერთი საათი წვალობდა ასე უშედეგოდ. ბოლოს შუბლზე ოფლი გამოუვიდა. «ნუთუ თავი უნდა დავანებო მუშაობას და გულხელდაკრეფილი ველოდო, სანამ მეზობელი დაამთავრებს თავის საქმეს?» — წუხდა იგი.

უცებ გონებაში ერთმა ფიქრმა გაურბინა, წამოდგა, გაიღიმა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

მედილეგეს ყოველდღე დაჰქონდა მასთან წვენი რკინის ქვაბით. ამ ქვაბით წვენი, ალბათ, სხვა ტუსაღებთანაც დაჰქონდათ; რადგან დანტესმა შენიშნა, რომ ის ხან პირამდე იყო სავსე, ხან კი ნახევრამდე დაყვანილი, მან დაასკვნა, რომ ეს დამოკიდებული იყო იმაზე, საიდან იწყებდა მედილეგე სადილის დარიგებას — მისგან, თუ მისი მეზობლისაგან.

ამ ქვაბს რკინის სახელური ჰქონდა. სწორედ ეს რკინის სახელური სჭირდებოდა დანტესს და სიხარულით მისცემდა თავისი სიცოცხლის ათ წელს, რომ როგორმე ხელში ჩაეგდო.

მედილეგემ, როგორც ყოველთვის, ჭურჭლიდან საჭმელი თეფშზე გადმოუსხა. დანტესი ხის კოვზით ხვრეპდა წვენს და, როცა დაამთავრა, თეფში გარეცხა.

საღამო ხანს დანტესმა თეფში მიწაზე დადო, კარისა და მაგიდის შუა გზაზე; მედილეგემ ფეხი დაადგა და თეფში ნატეხებად იქცა.

ამჯერად ის დანტესს ვერაფერში გაამტყუნებდა. მართალია, დანტესმა თეფში მიწაზე დადო, მაგრამ მედილეგე დამნაშავე იყო, რომ ფეხქვეშ არ იხედებოდა.

მედილეგემ მხოლოდ ჩაიბუზღუნა, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა, ეძებდა, რაში ჩაესხა საჭმელი: დანტესს იმ თეფშის მეტი სხვა არაფერი გააჩნდა და ამოსარჩევაც არაფერი იყო.

— ქვაბი დამიტოვეთ, — უთხრა დანტესმა, — როდესაც ხვალ საუზმეს მომიტანთ, ამას წაიღებთ.

ასეთი რჩევა მედილეგეს მოეწონა. აღარ მოუხდებოდა ზევით ასვლა, ჩამოსვლა და ისევ ზევით ასვლა.

მედილეგემ ქვაბი დატოვა.

დანტესი სიხარულისაგან ათრთოლდა.

მან წვენი სწრაფად შეხვრიპა და ზედ მიაყოლა ხორციც, რომელსაც, ციხის ჩვეულების თანახმად, წვენთან ერთად აძლევდნენ; შემდეგ ერთი საათი დაიცადა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მედილეგეს აზრი არ შეუცვლია. რაკი საშიში არაფერი იყო, საწოლი გამოსწია, ქვაბი აიღო, მისი სახელური თლილ ქვასა და ყორექვას შუა გამოთხრილ ნაპრალში ჩადო და ბერკეტივით მოიმარჯვა.

ქვა ოდნავ მოირყა, რამაც დანტესი დაარწმუნა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

მართლაც, ერთი საათის შემდეგ ქვა უკვე გამოღებული ჰქონდა და კედელში ერთნახევარფუტიანი დიამეტრის ხვრელი დარჩა.

დანტესმა კედლიდან ჩამოყრილი კირი გულმოდგინედ შეაგროვა, საკნის კუთხეში გადაიტანა, დოქის ნატეხებით მიწა ამოთხარა და შიგ ჩაფლო.

შემდეგ, რათა მთელი ღამე გამოეყენებინა, რადგან შემთხვევამ, თუ მისმა გამოგონებამ ბედად არგუნა ასეთი საჭირო იარაღი, გააფთრებით განაგრძო მუშაობა.

ირიჟრაჟა თუ არა, ქვა ისევ თავის ადგილას ჩადო, საწოლი კედელთან მიდგა და დაიძინა.

საუზმედ მარტო პურის ნატეხი იყო. მედილეგე შემოვიდა და პური მაგიდაზე დადო.

— არ მომიტანეთ სამაგიერო თეფში? — ჰკითხა დანტესმა.

— არა, — უპასუხა მედილეგემ, — თქვენ ყველაფერს ამსხვრევთ. გატეხეთ დოქი, თქვენი მიზეზითვე გავტეხე თქვენი თეფში. ყველა პატიმარი რომ ასეთ ზარალს გვაყენებდეს, მთავრობა ვეღარ შეძლებდა მათ შენახვას. ქვებს გიტოვებთ და თქვენ წილ წვენს იქ ჩაგისხამენ ხოლმე, შეიძლება მაშინ გადაეჩვიოთ ჭურჭლის მტკრევას.

დანტესმა თვალები ზეცას აღაპყრო და საბნის ქვეშ გულხელი დაიკრიფა.

რკინის ნაჭერმა, რომელიც მას დარჩა, გულში ისეთი მადლიერების გრძნობა დაბადა ზეცის მიმართ, რომელიც არასოდეს არ ჰქონია თავისი წარსული ცხოვრების მანძილზე, ყველაზე ბედნიერ წუთებშიაც კი.

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: რაც მან კედლის გამოთხრა დაიწყო, რათა მეზობელ პატიმარს შეხვედროდა, ეს უკანასკნელი აღარ მოქმედებდა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თავისი მუშაობა შეეჩერებინა: თუ მისი მეზობელი არ მოდის მისკენ, ის თვითონ მივა მასთან!

მთელი დღე სულმოუთქმელად მუშაობდა: საღამოს ახალი იარაღის წყალობით კედელს ათ მუჭაზე მეტი ბათქაში და ღორღი ჩამოაცალა.

როდესაც მოახლოვდა მედილეგეს მოსვლის დრო, დანტესმა, რამდენადაც შეეძლო, გაასწორა გაღუნული სახელური და ქვაბი თავის ადგილას დადგა. მედილეგემ ქვაბში ჩაუსხა მისთვის ჩვეულებრივად განკუთვნილი ხორციანი, ან უკეთ, თევზიანი წვენი, რადგან ამ დღეებში მარხვა იყო და პატიმრებს კვირაში სამჯერ ამარხულებდნენ. დღეების გამოსათვლელად დანტესს ესეც გამოადგებოდა, რომ უკვე კარგა ხნის წინათ თავი არ დაენებებინა მათი ანგარიშისათვის.

ჩაუსხა თუ არა წვენი, მედილეგე მაშინვე გავიდა.

დანტესს ამჯერად უნდოდა დარწმუნებულიყო, მისმა მეზობელმა ნამდვილად მიატოვა თუ არა მუშაობა.

ის უსმენდა.

ყველაფერი მიდუმებული იყო, როგორც ამ სამი დღის წინათ, როდესაც მუშაობა შეწყვიტა.

დანტესმა ამოიოხრა, ცხადი იყო, მეზობელი არ ენდობოდა მას.

მაგრამ გული არ გასტეხია. მთელ ღამეს განაგრძო მუშაობა. ორი თუ სამი საათის შემდეგ ის წინააღმდეგობას შეეჯახა.

რკინის სახელური უკვე აღარ მაგრდებოდა, იგი ზედაპირზე სხლტებოდა.

დანტესმა მუშაობის ადგილი ხელებით მოსინჯა და მიხვდა, რომ კედელი შენობის კოჭამდე დაეთხარა.

კოჭი ეღობებოდა მთელ ხვრელს, რომელიც დანტესმა გამოარღვია, ამიტომ საჭირო იყო, ეთხარა ან კოჭის ზემოთ, ან მის ქვემოთ. უბედურ ყმაწვილს ფიქრადაც კი არ მოსვლია, რომ ასეთ წინააღმდეგობას შეხვდებოდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — შეღაღადა მან. — მე ისე ვლოცულობდი, რომ იმედი მქონდა, გაიგონებდი. ღმერთო დიდებულო, შენ მომისპე თავისუფალი ცხოვრება, წამართვი დამშვიდებული სიკვდილის საშუალება; ახლა მაინც შემიბრალე და სასოწარკვეთილებაში ნუ მომკლავ!

— ვინ ლაპარაკობს ერთსა და იმავე დროს ღმერთზე და სასოწარკვეთილებაზე? — თითქოს მიწისქვეშიდან ამოსძახა ვიღაცამ. კედლის სისქე აყრუებდა ამ ხმას და დანტესს ეგონა, სამარიდან მელაპარაკებიანო.

დანტესმა იგრძნო, რომ თმა ყალყზე დაუდგა და მუხლიჩოქით გამოვიდა აქეთ.

— ო, მე მესმის ადამიანის ხმა, — წაიჩურჩულა დანტესმა.

უკვე ოთხი თუ ხუთი წელი იყო, რაც ედმონდს მედილეგეს გარდა სხვა არავის ხმა გაეგონა, ხოლო პატიმრებისათვის მედილეგე ადამიანი არ არის; ეს ცოცხალი კარია მუხის კარზე დამატებული; ეს არის ცოცხალი წნელი რკინის რიკულებზე მიმაგრებული.

— ღვთის გულისათვის! — შესძახა დანტესმა, — ვინც წელან დაილაპარაკეთ, თქვით კიდეც რამე. თუმცა თქვენმა ხმამ შემაშინა, მაინც მითხარით, ვინა ხართ?

— თქვენ თვითონ ვინა ხართ? — ჰკითხა იმავე ხმამ.

— უბედური პატიმარი, — უპასუხა მაშინვე დანტესმა.

— რომელი მხრიდან?

— საფრანგეთიდან.

— თქვენი სახელი?

— ედმონდ დანტესი.

— თქვენი პროფესია?

— მეზღვაური.

— რამდენი ხანია, რაც აქა ხართ?

— 1815 წლის 28 თებერვლიდან.

— თქვენი დანაშაული?

— მე უდანაშაულო ვარ.

— რას გდებენ ბრალად?

— შეთქმულებაში მონაწილეობას იმპერატორის ტახტზე დასაბრუნებლად.

— როგორ, იმპერატორის დასაბრუნებლად! განა იმპერატორი ტახტზე აღარ ზის?

— მან 1814 წელს ფონტენებლოში ხელი აიღო სამეფო ტახტზე და გაგზავნილ იქნა კუნძულ ელბაზე. მაგრამ თქვენ თვითონ რამდენი ხანია, რაც აქ ხართ, რომ ეგ ამბები არ იცით?

— 1811 წლიდან.

დანტესს გააჟრჟოლა. ეს კაცი მასზე ოთხი წლით ადრე მოხვედრილიყო ამ ჯურღმულში.

— კარგი, თავი გაანებეთ თხრას, — აჩქარებით თქვა უცნობმა, — და მითხარით, რა სიმაღლეზეა ხვრელი, რომელიც თქვენ გამოთხარეთ?

— მიწის დონეზეა.

— რითია დაფარული?

— ჩემი საწოლის უკანაა.

— გაუწევიათ თქვენი საწოლი, რაც ციხეში ხართ?

— არასოდეს.

— სად გადის თქვენი ოთახი?

— დერეფანში.

— დერეფანი?

— ეზოში.

— უბედურებაა! — ჩაიჩურჩულა ხმამ.

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა? — ჩაეკითხა დანტესი.

— ის მოხდა, რომ შეეცდი. ჩემი ნახაზის ხარვეზმა ამაზნია, ფარგლის უქონლობამ დამღუპა. გეგმაში ერთი ხაზით შევმცდარვარ, რამაც სინამდვილეში 15 ფუტის შეცდომა გამოიწვია. მე თქვენი საკნის კედელი ციხე-სიმაგრის გარე კედლად მივიღე.

— მაშინ თქვენ ხომ პირდაპირ ზღვაში გახვიდოდით?

— მეც სწორედ ეს მინდოდა.

— ასე რომ გამოსულიყო?

— ზღვაში გადავეშვებოდი, ცურვით ციხესიმაგრე იფის გარშემო მდებარე რომელიმე კუნძულამდე მივაღწევდი, მაგალითად, დომამდე, ტიბულენამდე ან ნაპირამდე და თავს ვუშველიდი კიდეც.

— შეძლებდით კი იქამდე ცურვას?

— ღმერთი მომცემდა ძალას; მაგრამ ახლა ყველაფერი დაკარგულია.

— ყველაფერი?

— დიახ, ყველაფერი. ფრთხილად დახურეთ თქვენი ხვრელი, ნულარ განაგრძობთ თხრას და ელოდეთ ჩემს ცნობებს.

— ვინა ხართ?.. ის მაინც მითხარით, ვინა ხართ?

— მე ვარ... მე ვარ... ნომერი 27.

— თქვენ მე არ მენდობით? — ჰკითხა დანტესმა.

სიმწრის სიცილმა დანტესის ყურამდე მოაღწია.

— მე კეთილი ქრისტიანი ვარ, — შეჰყვირა დანტესმა, როცა იგრძნო, რომ უცნობი მის მიტოვებას აპირებდა, — ქრისტეს გეფიცებით, უმალ სიკვდილს ვარჩევ, ვიდრე თქვენსა და ჩემს ჯალათებს ერთ ნატამალ სიმართლეს გავუშხელდე. ღვთის გულისათვის, ნუ მომერიდებით, ნუ მომაკლებთ თქვენს ხმას, თორემ ვფიცავ, უკვე მეტი აღარ ძალმიძს, თავს კედელს მივანარცხებ და ჩემი ცოდო თქვენს კისერზე იყოს.

— რამდენი წლისა ხართ? თქვენი ხმა მაფიქრებინებს, რომ ახალგაზრდა უნდა იყოთ.

— მე არ ვიცი ჩემი წლოვანება. არ გამომითვლია დღეები მას შემდეგ, რაც აქა ვარ. ვიცი მხოლოდ ერთი: როდესაც 1815 წლის 28 თებერვალს დამაპატიმრეს, ცხრამეტი წელი უნდა შემსრულებოდა.

— ჯერ ოცდაექვსი წლისაც არა ყოფილხართ, — წაიჩურჩულა უცნობმა, — ამ ასაკისანი ჯერ კიდევ არ არიან გამცემლები.

— ოჰ, არა, არა, ვფიცავ, რომ არა, — უპასუხა დანტესმა. — მე უკვე გითხარით და კიდევ გიმეორებთ, ნაკუწ-ნაკუწად რომ მაქციონ, მაინც არ გიღალატებთ.

— თქვენ კარგი ჰქენით, რომ გამომელაპარაკეთ, თორემ უკვე ვფიქრობდი, სხვა გეგმა შემედგინა და გაგცლოდით. მაგრამ თქვენი ასაკი მე მამშვიდებს. მოვალ თქვენთან, მელოდეთ.

— როდის?

— ჯერ უნდა გამოვთვალო. მე თვითონ მოგცემთ ნიშანს.

— მაგრამ თქვენ ხომ არ მიმატოვებთ, ხომ არ დამტოვებთ მარტო, თქვენ ხომ მოხვალთ ჩემთან ან უფლებას მომცემთ, მეც მოვიდე? ჩვენ ერთად გავიქცეთ, თუ გაქცევა ვერ მოვახერხებთ, მაშინ ვისაუბროთ — თქვენ ილაპარაკებთ იმაზე, ვინც თქვენ გიყვართ, მე კიდევ მათზე, ვინც მე მიყვარს. თქვენ ალბათ გიყვართ ვინმე?

— მე მარტო ვარ ამქვეყნად.

— მაშინ თქვენ მე შემიყვარებთ; თუ ახალგაზრდა ხართ, მე თქვენი ამხანაგი ვიქნები, თუ მოხუცი ხართ — შვილის მაგივრობას გაგიწევთ. მე მყავს 70 წლის მამა, თუ კიდევ ცოცხალია. მე მიყვარს მხოლოდ იგი და ერთი ქალიშვილი, რომელსაც მერსედესი ჰქვია.

მამაჩემი რომ არ დამივიწყებდა, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მერსედესი... ღმერთმა იცის, ვახსოვარ თუ არა მას. მე თქვენ მამაჩემივით შეგიყვარებთ.

— კარგი, — უთხრა პატიმარმა. — ხვალამდე.

ეს სიტყვები ისე იყო ნათქვამი, რომ დანტესი დარწმუნდა მათ სიმართლეში; მას სხვა არაფერი უნდოდა. წამოდგა, კედლიდან გადმოყრილი ნამტვრევები დამალა და საწოლი ისევ კედელთან მიდგა.

შემდეგ მთლიანად თავის ბედნიერებაზე ფიქრს მიეცა; ის უკვე მარტო აღარ იქნებოდა და შეიძლება თავისუფლებაც ღირსებოდა. უკიდურეს შემთხვევაში, ციხეშიც რომ დარჩენილიყო, ამხანაგი ეყოლებოდა. ზიარი ტყვეობა ეს ნახევრად ტყვეობაა. საერთო ჩივილი და მწუხარება ეს თითქმის ლოცვაა, ორის ლოცვა კი თითქმის შეწყალებაა.

დანტესი მთელი დღის განმავლობაში საკანში ბოლთასა სცემდა, გული სიხარულით უცემდა, და დროდადრო ეს სიხარული სულს უხუთავდა. ზოგჯერ ჩამოჯდებოდა ხოლმე ლოგინზე და გულზე ხელს იჭერდა. სულ უმცირეს ხმაურზე კარისაკენ გარბოდა. ორჯერ თუ სამჯერ თავში გაუელვა შიშმა — არ დაემორებინათ იმ კაცისაგან, რომელსაც ჯერ არ იცნობდა, მაგრამ მაინც უკვე მეგობარით უყვარდა. და მან გადაწყვიტა: გამოსწევდა თუ არა მედილეგე მის საწოლს, იმ წუთშივე ჩაემტვრია მისთვის თავი ქვით, რომელზედაც მისი დოქი იდგა.

კარგად იცოდა, სიკვდილს მიუსჯიდნენ. მაგრამ განა იგი სასოწარკვეთილებისა და დარდისაგან არა კვდებოდა, როდესაც ეს ჯადოსნური ხმა მოესმა?

საღამოს შემოვიდა მედილეგე. დანტესი ლოგინზე იწვა. მას ეგონა, რომ უკეთ ფარავდა ღრუს, რომელიც ჯერ ბოლომდე არ იყო გამოთხრილი, ალბათ, უცნაური თვალებით შეხედა მედილეგეს, რომ ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

— ისევ სიგიჟე ხომ არ გივლით?

დანტესმა არაფერი უპასუხა. ეშინოდა, მხიარულ ხმას არ გაეცა იგი.

მედილეგემ თავი გაიქნია და გავიდა.

დაღამდა. დანტესი ფიქრობდა, რომ მისი მეზობელი საუბრის გასაგრძელებლად სიჩუმესა და სიბნელეს ირჩევდა. მაგრამ შეცდა: ისე გათენდა, რომ ამ ნერვიულ მოლოდინში უბრალო ხმაურსაც კი არ დაურღვევია მყუდროება.

იმ დილას, როდესაც მედილეგემ პირველად ინახულა იგი, და როდესაც დანტესმა საწოლი კედლიდან გამოსწია, გაიგონა, რომ სამჯერ დააკაკუნეს.

დანტესი დაჩოქილი აეკრა კედელს.

— თქვენა ხართ? — ჰკითხა მან, — მეც აქ ვარ!

— თქვენი მედილეგე წავიდა? — ჰკითხა უცნობმა.

— დიახ, — უპასუხა დანტესმა, — და საღამომდე არ დაბრუნდება. ჩვენს განკარგულებაშია 12 საათი.

— მაშ, მე შემძლია ვიმოქმედო, — უპასუხა ხმამ.

— დიახ, დიახ, დაუყოვნებლივ, ახლავე, გემუდარებით.

იმ წუთშივე მიწის ის ადგილი, რომელსაც დანტესი ორივე ხელით ეყრდნობოდა, შეინძრა, დანტესი განზე გახტა. თითქმის მაშინვე ხვრელში, რომელიც დანტესმა გამოთხარა, ჩავარდა მიწის ზვინი და ქვების გროვა. მალე ბნელი ხვრელიდან, რომლის სიღრმეც დანტესს გაზომილი არ ჰქონდა, გამოჩნდა თავი, მხრები და, ბოლოს, მთლიანად ადამიანი. იგი საკმაოდ მოხერხებულად ამოძვრა.

XVI

იტალიელი მეცნიერი

დანტესმა მკერდში ჩაიკრა ახალი მეგობარი, რომელსაც ამდენი ხანი ასე მოუთმენლად ელოდა, და სარკმელთან მიიყვანა, რომ სინათლის მკრთალ შუქზე, რომელიც ჯურღმულში აღწევდა, კარგად დაენახა უცნობი.

ეს იყო მორჩილი ტანის კაცი, რომლისთვისაც თმები უფრო დარდს გაეთეთრებინა, ვიდრე წლოვანებას. მისი გამჭვალავი თვალები ხშირ, ნახევრად გაჭალარავებულ წარბებში ჩამძვრალიყვნენ. ჯერ ისევ შავი წვერი მკერდამდე სცემდა. მისი გამხდარი, ღრმა ნაოჭებით დაღარული სახე, მკვეთრი მეტყველი ნაკვთები ცხადყოფდნენ, რომ ეს კაცი უფრო განცდების ადამიანი იყო, რომ იგი თავის სულიერ ძალებს უფრო ავარჯიშებდა, ვიდრე ფიზიკურს. მას შუბლზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა.

რაც შეეხება მის ტანსაცმელს, შეუძლებელი იყო წარმოგედგინათ, თუ როგორი იყო იგი წინათ, რადგან ახლა ყველაფერი ნაკუწ-ნაკუწად ჰქცეოდა.

შესახედავად სამოცდახუთ წელს თუ მისცემდით, თუმცა ისეთი მკვირცხლი მიხრა-მოხრა ჰქონდა, რომ გაიფიქრებდით, ალბათ, ნაკლებისაა, მაგრამ ციხემ გატეხაო.

ახალგაზრდა კაცის აღფრთოვანება უცნობს, ეტყობა, ესიამოვნა: მისი გაცივებული გული თითქოს უეცრად გათბა და დანტესის მხურვალე გულს შეუერთდა. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა დანტესს გულთბილი მიღებისათვის, თუმცა დიდი იყო მისი მწუხარება, რადგან, სადაც თავისუფლებას ელოდა, მეორე ჯურღმული დაუხვდა.

— ჯერ ვნახოთ, — თქვა მან, — შეიძლება თუ არა ჩვენს მედილეგებს დავუმალოთ თხრილის კვალი. მთელი ჩვენი მომავალი სიმშვიდე ამაზეა დამოკიდებული.

ის ხვრელისაკენ დაიხარა, აიღო ქვა და, სიმძიმის მიუხედავად, თავისუფლად მოათავსა თავის ძველ ადგილას.

— ეს ქვა თქვენ საკმაოდ დაუდევრად გაქვთ ამოღებული, — უთხრა თავის ქნევით. — განა იარაღები არ გაქვთ?

— თქვენა? — ჰკითხა გაკვირვებით დანტესმა, — განა თქვენ კი გაქვთ?

— ზოგიერთი იარაღი მე თვითონ გავაკეთე. ქლიბის გარდა მაქვს ყველაფერი, რაც მჭირდება: სატეხი, მარწუხი, ბერკეტი.

— ოჰ, როგორი ცნობისმოყვარეობით დავხედავდი თქვენი მოთმინებისა და ხელოვნების ნაყოფს, — უთხრა დანტესმა.

— ინებეთ, აი სატეხი, — უთხრა მან და დანტესს უჩვენა მაგარი, პირგალესილი წიფლის ტარიანი რკინის ნაჭერი.

— რისგან გააკეთეთ? — ჰკითხა დანტესმა.

— ჩემი საწოლის რკინის სალტისაგან. ამითივე ამოვთხარე ის 50-მდე ფუტის სიგრძე გზა, რომელმაც თქვენამდე მომიყვანა.

— 50 ფუტი! — შეჰყვირა დანტესმა შიშით.

— ყმაწვილო, ილაპარაკეთ უფრო ხმადაბლა, თორემ პატიმრებს კარებიდან ხშირად ყურს უგდებენ.

— მათ იციან, რომ მარტო ვარ.

— სულ ერთია.

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ 50 ფუტის სიგრძეზე გასჭერით გზა?

— დიახ, დაახლოებით ასეთი მანძილი აშორებს თქვენს საკანს ჩემი საკნისაგან; მაგრამ მე სწორად ვერ გამოვიანგარიშე მრუდე ხაზი, იმიტომ რომ არ მქონდა გეომეტრიული ხელსაწყოები და გამიძნელდა მასშტაბის დადგენა. 40 ფეხის ნაბიჯის მაგივრად ელიფსით 50 აღმოჩნდა. როგორც გითხარით, ვფიქრობდი, გარეთა კედლამდე მიმელწია, გამენგრია იგი და ზღვაში გადავშვებულებოყავი. მე ვთხრიდი იმ დერეფნის გასწვრივ, სადაც თქვენი საკანი გადის, და არ მინდოდა მის ქვეშ გავსულიყავი. მთელი შრომა დაკარგულია, რადგან ეს დერეფანი გადის მცველებით სავსე ეზოში.

— მართალია, — თქვა დანტესმა, — მაგრამ ეს დერეფანი ჩემი საკნის ერთი კედლის გასწვრივაა, საკანს კი ოთხი კედელი აქვს.

— რასაკვირველია, მაგრამ ერთი კედლის მაგივრობას ფრიალო კლდე უწევს. მას მთელი საჭირო იარაღებით აღჭურვილი ათი მემლაროე ძლივს გაანგრევს ათი წლის განმავლობაში. ეს მეორე კედელი უნდა ებჯინებოდეს ციხის უფროსის ბინის საძირკველს; აქედან ჩვენ მოვხვდებით გასაღებით დაკეტილ სარდაფში, სადაც ადვილად დაგვიჭერენ; ეს მესამე კედელი კი, მოიცათ, სად გადის ეს კედელი?

ამ კედელში გამოჭრილი იყო ის სათოფური, საიდანაც დღის შუქი აღწევდა. იგი ისე ვიწრო იყო, რომ ბავშვიც კი ვერ გამოძვრებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამი რკინის სალტე ჰქონდა გაკეთებული. ასე რომ, ძალიან ფრთხილი მედილეგეც კი ვერ იფიქრებდა, თუ აქედან პატიმარი გაქცევას შეძლებდა.

ახლადმოსულმა დასვა თუ არა ეს კითხვა, მაგიდა მაშინვე სარკმელთან მიიდგა.

— ადით ამ მაგიდაზე, — უთხრა მან დანტესს.

დანტესი დაემორჩილა, მაგიდაზე ავიდა, მიუხვდა განზრახვას, კედელს ზურგით მიეყრდნო და გაშლილი ხელისგულები მიუშვირა.

და ის ბერიკაცი, ვინც თავისი თავი ოცდაშვიდი ნომრით გააცნო და რომლის ნამდვილი გვარი დანტესმა ჯერ არ იცოდა, თავისი ასაკის მიუხედავად, კატისებური თუ ხვლიკისებური სიმარჯვით მაგიდაზე ახტა, შემდეგ დანტესს ფეხი დააბიჯა ხელებზე, მერე მხრებზე მოექცა; წელში მოიხარა, რადგან საკნის ჭერი გამართვის საშუალებას არ აძლევდა, თავი რკინის სალტეებში გაყო და დაბლა ჩაიხედა.

ცოტა ხნის შემდეგ მან სწრაფად გამოსწია თავი.

— დიახ, დიახ, — თქვა მან, — ტყუილად როდი მეპარებოდა ეჭვი.

იგი მხრებიდან პირდაპირ მაგიდაზე ჩამოცურდა, ხოლო მაგიდიდან მიწაზე გადმოხტა.

— რაში არ გეპარებოდათ ეჭვი? — ჰკითხა შეწუხებულმა ყმაწვილმა კაცმა, და თვითონაც გადმოხტა მაგიდიდან.

მოხუცი პატიმარი ჩაფიქრდა.

— დიახ, დიახ, — თქვა მან, — საკნის მეოთხე კედელი გარე დერეფანში გადის. ეს არის წრისებური გზა, სადაც ყარაულები დადიან და ღამით გუმბაგები დარაჯობენ.

— თქვენ დარწმუნებული ხართ?

— მე დავინახე ჯარისკაცების ქუდები და თოფის წვერები, შევშინდი, არ შემნიშნონ-მეთქი და სწრაფად გამოვწიე თავი.

— მაშ, რა ვქნათ? — ჰკითხა დანტესმა.

— როგორც ხედავთ, თქვენი საკნიდან გაქცევა შეუძლებელია.

— მაშ, რა დაგვრჩენია?

— ველოდოთ ღვთის განგებას, — თქვა მან და სახეზე ღრმა მორჩილება გამოეხატა.

დანტესმა გაკვირვებით და თან აღფრთოვანებით შეხედა ამ ადამიანს. ის ასე დამშვიდებით ამბობდა უარს იმედზე, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე ჰკვებავდა მას.

— ახლა მაინც მითხარით, ვინა ხართ? — ჰკითხა დანტესმა.

— ღმერთო ჩემო! იცით, რომ აღარაფერში გამოგადგებით და მაინც გაინტერესებთ? კეთილი, გეტყვით.

— თქვენ შეგიძლიათ დამამშვიდოთ და გამამხნევოთ, რადგან ძლიერთა შორის უძლიერესად მიმაჩნისხართ.

აბატს ნაღვლიანად გაელიმა.

— მე მქვია აბატი ფარია; როგორც უკვე იცით, 1811 წლიდან ციხესიმაგრე იფის პატიმარი ვარ; მანამდე კი, სამი წლის განმავლობაში, ფენესტრელის სიმაგრეში ვიჯექი.

1811 წლიდან პიემონტიდან საფრანგეთში გადმომიყვანეს. აქ გავიგე, რომ ნაპოლეონს ბედმა, რომელიც მაშინ თითქოს მისი მორჩილი იყო, არგუნა ვაჟიშვილი, აკვანშივე რომის იმპერატორად აღიარებული. მაშინ ექვსსაე ვერ შევიტანდი იმაში, რასაც თქვენ ახლა ამბობთ; როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოთხი წლის შემდეგ ამ გოლიათს ძირს დანარცხებულს ვნახავდი; მაშ, ვინ მეფობს საფრანგეთში? განა ნაპოლეონ მეორე?

— არა, ლუდოვიკო მეთვრამეტე.

— ლუდოვიკო მეთვრამეტე? ლუდოვიკო მეთექვსმეტის ძმა? უცნაური და სასწაულებრივია ღვთის განგება. რისთვის დასცა ის, ვინც თვითონვე აღამაღლა და ან რისთვის აღამაღლა, ვინც უკვე განწირული ჰყავდა.

დანტესი თვალს არ აშორებდა ამ ადამიანს, რომელსაც ქვეყნიერების ბედმა თავისი საკუთარი ამბავი გადაავიწყა.

— დიახ, დიახ, — განაგრძო აბატმა, — აქ იგივეა, რაც ინგლისში. კარლ პირველის შემდეგ კრომველი, კრომველის შემდეგ კარლ II, ხოლო იაკობ II შემდეგ, შესაძლებელია, რომელიმე მისი ცოლისძმა, ნათესავი ან ორანის რომელიმე პრინცი, ყოფილი შტატჰალტერი, გახდეს მეფე; და მაშინ ისევ ახალი დათმობები ხალხის მიმართ, კონსტიტუცია, თავისუფლება! თქვენ ამას მოესწრებით, ყმაწვილო, — უთხრა მან დანტესს და ღრმა, ანთებული თვალებით შეხედა. ასეთი თვალები, ალბათ, წინასწარმეტყველებს თუ აქვთ, — თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ. მოესწრებით ამ ამბავს.

— დიახ, თუკი აქედან გასვლას ველირსები.

— მართალი ხართ, — უპასუხა აბატმა, — ჩვენ ხომ პატიმრები ვართ, მაგრამ არის წუთები, როდესაც ადამიანი თავდავიწყებას ეძლევა; ჩემი თვალები კედლის იქით იყურება და, ასე მგონია, თავისუფალი ვარ-მეთქი.

— ერთი ეს მითხარით, რისთვის დაგაპატიმრეს?

— მე? იმისთვის, რომ 1807 წელს ვოცნებობდი იმაზე, რაც ნაპოლეონს 1811 წელს უნდა განეხორციელებინა. იმიტომ, რომ მეც მაკიაველივით, იტალიაში არსებული პატარა სამთავროების ნაცვლად, რომლებსაც უძლური მტარვალები მართავდნენ, მინდოდა მენახა ერთიანი და დიდი სახელმწიფო, განუყოფელი და ძლიერი. იმიტომ, რომ მეგონა, უჭკუო გვირგვინოსანში აღმოვაჩინე ჩემი ჩეზარე ბორჯია, რომელიც თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს ყველაფერში მეთანხმებოდა, თურმე იმიტომ, რომ უკეთ ელაღატა ჩემთვის. ეს იყო ალექსანდრე VI და კლემენტი VII¹ (¹ ალექსანდრე VI (ბორჯია) და კლემენტი (VII (მედიჩი) «— რენესანსის ეპოქის რომაელი პაპები, ცნობილნი თავიანთი ფართო პოლიტიკური გეგმებით.) გეგმა, რომელიც ყოველთვის მარცხით დამთავრდება, რადგან მას ამაოდ ჰკიდებენ ხელს და თვით ნაპოლეონმაც ვერ მოახერხა მისი განხორციელება; იტალია ნამდვილად დაწყევლილია.

თქვა მოხუცმა და თავი დახარა.

დანტესისათვის გაუგებარი იყო, როგორ შეეძლო ადამიანს თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო ამგვარი ინტერესებისათვის; მართალია, იგი იცნობდა ნაპოლეონს, ნანახი ჰყავდა იგი და ესაუბრა კიდევ, მაგრამ კლემენტ VII-ზე და ალექსანდრე VI-ზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

— თქვენ ხომ არ ხართ, — უთხრა დანტესმა, რომელიც, ეტყობოდა, იზიარებდა იფში გამეფებულ შეხედულებას, — თქვენ ხომ არ ხართ ის მღვდელი, რომელსაც ავადმყოფად თვლიან?

— რომელსაც შეშლილად თვლიან, გინდათ თქვათ, არა?

— მე ვერ გავბედე ამის თქმა, — უთხრა ღიმილით დანტესმა.

— დიახ, დიახ, — უპასუხა ფარიამ მწარე ღიმილით, — დიახ, ეს მე მივაჩნივართ შეშლილად; უკვე დიდი ხანია, რაც ციხესიმაგრე იფის ბინადართათვის სიცილის საგანი

შევიქენი. ამ გამოუვალი უბედურების სამყოფელში ბავშვები რომ ცხოვრობდნენ, მე მათ დასაშოშმინებლად გამოვდგებოდი.

დანტესი ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა, ხმას არ იღებდა.

— მაშ, უარს ამბობთ გაქცევაზე? — უთხრა აბატს ბოლოს.

— მე ვხედავ, რომ გაქცევა შეუძლებელია. ისეთი რამის გაკეთების ცდა, რაც ღმერთს არ სურს, ნიშნავს ამხედრდე მის წინააღმდეგ.

— გულს რატომ იტყებთ? პირველი ცდისთანავე გამარჯვების სურვილი იმას ნიშნავს, რომ უკვე ბევრსა სთხოვთ განგებას. ნუთუ არ შეიძლება, სხვა მიმართულებით დავიწყოთ გათხრა?

— მერე იცით თქვენ, რა მიღირდა მე ეს ხვრელი, რომ ხელახლა დავიწყო თხრა? იცით თქვენ, რომ მე ოთხი წელი დამჭირდა მხოლოდ საჭირო იარაღების გასაკეთებლად? იცით თუ არა, რომ ორი წლის განმავლობაში ვთხრიდი გრანიტით მაგარ მიწას? იცით თუ არა, რომ გამომქონდა ქვები, რომლებსაც წინათ ადგილიდანაც ვერ დავძრავდი, რომ მთელ დღეებს ამ უზომო მუშაობაში ვატარებდი და ზოგიერთ საღამოს თავს ბედნიერად ვთვლიდი, როდესაც მოვახერხებდი ერთი კვადრატული დიუმი გამომეტეხა ქვასავით გამაგრებული ბათქაშიდან. იცით თუ არა, რომ გამოთხრილი მიწისა და ქვების დასამალავად გავანგრეე კედელი და ყველაფერ ამას ვყრიდი კიბის ქვეშ, რომელიც სულ მთლად ავსებულია. ხელახლა რომ დამეწყო თხრა, ღორღის დასამალავი ადგილიც აღარ მექნებოდა. იცით თუ არა, რომ, როდესაც მე მეგონა, მიზანს უკვე ვაღწევ-მეთქი და ვგრძნობდი, ძალა მხოლოდ სამუშაოს დამთავრებისათვის მეყოფოდა, ღმერთმა უცებ არა თუ გადამიდო ვადა მიზნის შესასრულებლად, არამედ გადამიტანა, ვინ იცის, სად? არა, მე თქვენ გითხარით და კიდევ გიმეორებთ, უკვე თითხაც კი არ გავანძრევ თავისუფლების მოსაპოვებლად, რადგან ღმერთის სურვილია, სამუდამო პატიმრობაში დავრჩე.

ედმონდმა თავი დახარა. არ უნდოდა მოხუცისათვის ეგრძნობინებინა, რომ ამხანაგის შექმნის სიხარული ნაწილობრივ ხელს უშლიდა, თანაგრძნო შეწუხებული პატიმრისათვის, რომელმაც ვერ მოახერხა გაქცევა.

აბატი ფარია დანტესის საწოლზე ჩამოჯდა, დანტესი კი ფეხზე იდგა.

ყმაწვილ კაცს არასოდეს უფიქრია გაქცევაზე. არის ზოგჯერ ისეთი ამბები, რომელთა შესრულება იმდენად წარმოუდგენლად მიაჩნია ადამიანს, რომ თავშიც არ გაივლებს მათზე ფიქრს და რაღაც ინსტინქტით გაურბის მათ. ადამიანმა რომ მიწაში 50 ფუტის სიგრძე ხვრელი გამოთხარო, სამი წელი მოანდომო ამ სამუშაოს, იმისათვის რომ გამარჯვების შემთხვევაში ზღვაზე გადამყურე ნაპრალს მიაღწიო, თუ მანამდე გუშაგის ტყვიამ არ მოგკლა, ხოლო თუ ყოველივე ამას გაუძელი, მთელი ერთი ლიეს გაცურვა მოგიხდეს. — ეს საკმარისზე უფრო მეტი იყო, რათა ადამიანი აუცილებლობას დამორჩილებოდა. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ მორჩილებამ დანტესი სიკვდილი პირას მიყვანა.

მაგრამ ახლა, როდესაც დანტესმა დაინახა მოხუცი, რომელიც ცხოვრებას ასეთი ენერგიით ებლაუჭებოდა და მას თავგანწირული გადაწყვეტილების მაგალითს აძლევდა, დაიწყო თავისი ძალის მოსინჯვა. — «ამ მოხუცმა, — ფიქრობდა იგი, — გააკეთა ის, რაზედაც მე წარმოდგენა არ მქონდა; ჩემზე გაცილებით ხნიერმა, ნაკლებ ღონიერმა, ნაკლებ მარჯვე ადამიანმა, წამებითა და მოთმინებით მოიპოვა ყველა საჭირო იარაღი ამ დაუჯერებელ სამუშაოს შესასრულებლად, და მხოლოდ ნახაზის უზუსტობამ დაამარცხა. ასეთმა ადამიანმა გააკეთა ყოველივე ეს. მაშ, ჩემთვის არაფერი არ ყოფილა შეუძლებელი. ფარიამ გათხარა 50 ფუტის სიგრძის თხრილი — მე გავთხრი ასს. ორმოცდაათი წლის ფარია მუშაობდა სამი წლის განმავლობაში, — მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, ვიმუშავებ ექვსს; ფარიას, აბატს, სწავლულს, ღვთისმსახურს არ ეშინოდა გაეცურა იფიდან კუნძულ დომსა,

როტენსა ან ლემერამდე, — მე კი, მეზღვაური, მამაცი მყვინთავი, რომელსაც ხშირად ზღვის ფსკერზე უცურია მარჯნის საძებნელად, ნუთუ ვერ შევძლებ ცურვით ერთი ლიე დავძლიო? რამდენი დროა საჭირო, რომ ერთი მილი გავცურო? ერთი საათი. განა საათობით არ ვყოფილვარ ზღვაში ნაპირზე გამოუსვლელად? არა, არა, მე მჭირდებოდა მხოლოდ გამამხნეველები მაგალითი. ყველაფერი, რაც სხვამ გაკეთა ან შეეძლო გაეკეთებინა, ჩემთვის მისაწვდომია.

დანტესი ერთხანს ჩაფიქრდა.

— მე ვიპოვე ის, რასაც თქვენ ეძებდით, — უთხრა მან ცოტა ხნის შემდეგ მოხუცს. ფარია შეკრთა.

— თქვენ? — ჰკითხა მან და ისეთი სახით შეხედა, რომ, ეტყობოდა, თუ დანტესი სიმართლეს ეტყოდა, მისი სასოწარკვეთილება ხანგრძლივი აღარ იქნებოდა, — რა აღმოაჩინეთ ასეთი?

— დერეფანი, რომელიც თქვენ გადასერეთ, გაჭიმულია იმავე მიმართულებით, როგორც გარე გალერეა, ხომ ასეა?

— დიახ.

— მათ უნდა ამორებდეთ თხუთმეტი ფუტი.

— სულ დიდი.

— მაშ, ასე: დერეფნის შუაგულიდან გზა პირდაპირი კუთხით უნდა გავიკვალოთ, ამჯერად თქვენ უფრო ზუსტად გამოაინგარიშებთ, ჩვენ მივალწევთ გარე დერეფნამდე, მოვკლავთ გუმბაგს და თავს ვუშველით. ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად მხოლოდ ვაჟკაცობაა საჭირო. თქვენ იგი გაქვთ, არც მე ვარ ჯაბანი, აღარაფერს ვამბობ მოთმინებაზე: თქვენ საქმით დაამტკიცეთ თქვენი მოთმინება, მეც ჩემსას დავამტკიცებ.

— მომითმინეთ, ჩემო კარგო, — შეაჩერა იგი აბატმა, — თქვენ არ იცით, როგორი ვაჟკაცობა შემწევს და რაში ვაპირებ ჩემი ძალის გამოყენებას. რაც შეეხება მოთმინებას, ვფიქრობ, საკმაო მოთმინების პატრონი ვარ: ყოველ დილას ხელახლა ვაგრძელებდი ხოლმე ღამის სამუშაოს, ხოლო ყოველ ღამეს — დღის სამუშაოს, მაგრამ მაშინ, კარგად დამიგდეთ ყური, ახალგაზრდავ, — მე მეგონა, ვემსახურებოდი ღმერთს, რაკი მის მიერ შექმნილ არსებას თავისუფლებას ვანიჭებდი; არსებას, რომელიც უდანაშაულო იყო და, მაშასადამე, არც უნდა დასჯილიყო.

— განა ახლა რაიმე შეიცვალა, მას შემდეგ, რაც მე გნახეთ, განა თავი დამნაშავედ სცანით? სთქვით! — ჰკითხა დანტესმა.

— არა, მაგრამ არ მინდა, დამნაშავე გავხდე. აქამდე მე საქმე მქონდა უსულო საგნებთან, თქვენ კი ახლა მთავაზობთ, ცოცხალ ადამიანებთან ვიქონიო საქმე, მე შევძელი გამენგრია კედელი და მომესპო კიბე, მაგრამ არავის არ შევუნგრევ გულმკერდს და არავის არ მოვუსპობ სიცოცხლეს.

დანტესმა გაკვირვებით შეხედა მას.

— როგორ? — თქვა მან, — გაქცევის შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, ასეთი აზრი შეგაჩერებდათ?

— თქვენ თვითონ, — უთხრა ფარიამ, — მედილეგეს რატომ არ სთხლიშეთ თავში მაგიდის ფეხი, რატომ არ გადაიცვით მისი ტანისამოსი და არ შეეცადეთ გაქცევას?

— იმიტომ, რომ ფიქრადაც არ მომსვლია ასეთი აზრი, — უპასუხა დანტესმა.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ ბუნებითვე არა ხართ დაბადებული ამგვარი დანაშაულის ჩასადენად, თქვენ ისეთი შეძრწუნებით უყურებთ ადამიანის მოკვლას, რომ ამაზე არც გიფიქრიათ. უბრალო და ნებადართულ ამბებში ჩვენს ბუნებრივ გულისწადილს პირდაპირი გზით მივყავართ. ვეფხვს, ბუნებით სისხლისმსმელს, — სისხლის დაღვრა მისი საქმეა, მისი დანიშნულებაა, — მხოლოდ ერთი რამ სჭირდება, ყნოსვით იგრძნოს

მსხვერპლის სიახლოვე. იგი მაშინვე ისკუპებს მისკენ და ნაკუწ-ნაკუწ აქცევს. ეს მისი ინსტინქტია და იგი ემორჩილებას მას. მაგრამ ადამიანს, პირიქით, სისხლის დანახვა ეზიზღება; საზოგადოების კანონი კი არ გვიკრძალავს მკვლელობას, არამედ ბუნების კანონი.

დანტესი შეადრწუნა აბატის სიტყვებმა: ეს სინამდვილეში იმის ახსნა იყო, რაც შეუგნებლად ხდებოდა მის გონებაში, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მის სულში, რადგანაც აზრების ერთი ნაწილი თავში იბადება, ხოლო მეორე — გულში.

— შემდეგ, — განაგრძო ფარიამ, — 12 წლის განმავლობაში, რაც ციხეში ვზივარ, გავიხსენე ყველა ცნობილი გაქცევის ამბავი. მე დავინახე, რომ ისინი იშვიათად ხორციელდებოდა. ბედნიერი გაქცევა, სრული გამარჯვებით დაგვირგვინებული გაქცევა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მასზე ბევრს ფიქრობენ და როცა თანდათანობით ამზადდებიან. ამგვარად გაიქცა ჰერცოგი ბოფორი ვენსენის ციხესიმაგრიდან, აბატი დიუბუკუა — ფორ-ლევეკიდან, ხოლო ლატიუდი — ბასტილიიდან. არის კიდევ შემთხვევით გაქცევის მაგალითები, ეს ყველაზე კარგია; დამიჯერეთ, დავუცადოთ ხელსაყრელ შემთხვევას და, თუ ეს შემთხვევა მოგვეცემა, გამოვიყენოთ.

— თქვენ შეგიძლიათ ლოდინი, — უთხრა დანტესმა ოხვრით, — თქვენ ყოველ წუთს გართული იყავით ამ ხანგრძლივი სამუშაოთი, ხოლო როდესაც შრომა არ გართობდათ, გამშვიდებდათ იმედი.

— როგორ გგონიათ, მხოლოდ ეს ამბავი მართობდა?

— მაშ, რას აკეთებდით?

— ვწერდი ან ვმეცადინეობდი.

— მაშ, თქვენ გაძლევენ ქაღალდს, კალამს და მელანს?

— არა, მაგრამ მე თვითონ ვაკეთებ.

— თქვენ აკეთებთ ქაღალდს, კალამს და მელანს? — შესძახა დანტესმა.

— დიახ.

დანტესმა აღტაცებით შეხედა ამ კაცს, თუმცა უძნელდებოდა დაეჯერებინა მისი ნათქვამი. ფარიამ შენიშნა ეს ოდნავი ეჭვი.

— როდესაც თქვენ ჩემთან მოხვალთ, გიჩვენებთ მთელს თხზულებას, ჩემი აზროვნების ნაყოფს, მთელი ჩემი ცხოვრების კვლევა-ძიებისა და ფიქრების შედეგს, რომელზედაც ვმუშაობდი რომში კოლოსეუმის ჩრდილში, ვენეციაში — წმინდა მარკოზის თაღის ქვეშ და ფლორენციაში — მდინარე არნოს ნაპირზე. მაშინ ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მედილეგები იფის კედლებში ამდენ თავისუფალ დროს მომცემდნენ მის დასაწერად. ეს არის ტრაქტატი «იტალიაში ერთიანი მონარქიის შესაძლებლობაზე», ის შეადგენს დიდ ტომს.

— და თქვენ ის დაწერეთ?..

— ორ პერანგზე. მე გამოვიგონე ნივთიერება, რომელიც ტილოს პერგამენტივით მკვრივსა და გლუვსა ხდის.

— მაშ, თქვენ ქიმიკოსი ყოფილხართ?

— ნაწილობრივ. მე ვიცნობდი ლავუაზიეს და ვმეგობრობდი კაბანისთან¹ (¹ ლავუაზიე — სახელოვანი ფრანგი მეცნიერი, თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1743—1794); კაბანისი — ფრანგი მატერიალისტი — მედიკოსი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თავის თანამედროვე მეცნიერებაზე (1757—1808).

— მაგრამ ასეთი გამოგონებისათვის საჭირო იყო ისტორიული საბუთები, თქვენ გქონდათ წიგნები?

— რომში მე მქონდა, დაახლოებით, ხუთი ათასი წიგნისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა, მათმა კითხვამ და ხელახალმა გადაკითხვამ დამარწმუნა, რომ, თუ კარგად შერჩეული

ასოცდახუთი თხზულება ვერ შეაჯამებს კაცობრიობის ცოდნას, ყოველ შემთხვევაში, მოგცემს იმას, რის ცოდნაც სასარგებლოა ადამიანისათვის. სამი წლის სიცოცხლე ამ წიგნების კითხვას შევალე და, როდესაც დამაპატიმრეს, თითქმის ზეპირად ვიცოდი ისინი. ციხეში მეხსიერებას ცოტა ძალა დავატანე და ყველაფერი გამახსენდა. მე შემემლო თქვენთვის ზეპირად წამეკითხა თუკიდიდე, ქსენოფონტე, პლუტარქე, ტიტ ლივიუსი, ტაციტი, სტრადა, იორნანდა, დანტე, მონტენი, შექსპირი, სპინოზა, მაკიაველი და ბოსიუე. მე თქვენ დაგისახელეთ უფრო ღირსშესანიშნავები.

— მაშ რამდენიმე ენა გცოდნიათ?

— მე ვლაპარაკობ ხუთ ცოცხალ ენაზე: გერმანულსა, ფრანგულსა, იტალიურსა, ინგლისურსა და ესპანურზე. ძველი ბერძნულის დახმარებით მესმის თანამედროვე ბერძნული, რომელსაც თუმცა ცუდად ვლაპარაკობ, მაგრამ ახლა ვსწავლობ.

— ბერძნულს სწავლობთ? — ჰკითხა დანტესმა.

— დიახ, ნაცნობი სიტყვებისგან მე შევადგინე ლექსიკონი. ამ სიტყვებს ისე განვალაგებდი ხოლმე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩემი აზრების გამოხატვა. დაახლოებით, ათასი სიტყვა ვიცი, მეტი არ მინდა, თუმცა ლექსიკონებში, ჩემი ფიქრით, ასი ათასზე მეტია. მართალია, მჭევრმეტყველი ვერ ვიქნები, მაგრამ მშვენივრად გამიგებენ და ჩემთვის ესეც საკმარისია.

ედმონდი უფრო და უფრო მეტად აღფრთოვანებული იყო და ამ კაცის ნიჭი თითქმის ზებუნებრივად მიაჩნდა. მას უნდოდა, სიტყვაში გამოეჭირა იგი.

— კი მაგრამ, თუ კალამს არ გაძლევდნენ, რითი სწერდით ამ ვრცელ ტრაქტატს?

— მშვენიერი კალმები გავიკეთე: რომ იცოდნენ, ჩვეულებრივად მიღებულ კალამს ამჯობინებდნენ — ვეებერთელა მერლანების¹ (მერლანი — ერთგვარი თევზია.) თავის ხრტილისაგან, რომლებიც ჩვენთან ზოგჯერ მარხვის დღეებში მოაქვთ. ყოველთვის დიდი სიხარულით ველოდი ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, იმიტომ, რომ იმედი მეძლეოდა, ამ დღეებში ჩემი კალმების მარაგს გავზრდი-მეთქი, ისტორიული შრომები კი, ვაღიარებ, ჩემი საყვარელი საქმიანობაა. როდესაც წარსულში ჩავეფლობი, მაგიწყდება სინამდვილე, თავისუფლად და დამოუკიდებლად მივყვები ისტორიას და აღარ ვფიქრობ, რომ პატიმარი ვარ.

— სამელნე? — ჰკითხა ისევ დანტესმა: — მელანს რისგანღა აკეთებთ?

— ჩემს საკანში ოდესღაც ბუხარი ყოფილა; ეს ბუხარი, ალბათ, რამდენიმე ხნით ადრე ჩემს მოსვლამდე, მოუშლიათ; მაგრამ იმის გამო, რომ იქ წლების განმავლობაში ცეცხლი ენთო, კედლები შეჭვარტლული ჰქონდა, ამ ჭვარტლს ვხსნი ღვინოში, რომელსაც კვირადღეობით მაძლევენ და მშვენიერ მელანს ვამზადებ. ამას გარდა, თითებს ვიჩხვლეტ და ზოგიერთ თვალში მოსახვედრ შენიშვნას სისხლით ვწერ.

— როდის შემიძლია ვნახო ყოველივე ეს? — ჰკითხა დანტესმა.

— როდესაც გნებავთ, — უპასუხა ფარიამ.

— ამ წუთშივე! — შესძახა ყმაწვილმა კაცმა.

— მაშ, მომყევით, — უთხრა აბატმა.

თქვა ეს თუ არა, მიწისქვეშ დერეფანში ჩამვრა და მიიმალა.

დანტესი უკან მიჰყვა.

XVII

აბატის საკანი

მიწისქვეშა გასასვლელი დანტესმა წელში მოხრილმა, მაგრამ საკმაოდ ადვილად გაიარა და მიაღწია დერეფნის ბოლოს, რომელიც აბატის საკანში შედიოდა. აქ

გასასვლელი ისე ვიწროვდებოდა, რომ კაცი ხოხვით ძლივს გაძვრებოდა. აბატის საკნის იატაკი თლილი ქვებით იყო დაგებული, ფარიამ საკნის ყველაზე ჩაბნელებულ კუთხეში სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფილა ამოეღო და აქედან დაეწყო ის მიძიმე სამუშაო, რომლის დასასრულის მოწმე თვით დანტესი გახდა.

საკანში შეძვრომისა და ფეხზე დადგომისთანავე, ყმაწვილმა კაცმა ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა იქაურობა. ერთი შეხედვით, აქ თითქოს არაფერი იყო არაჩვეულებრივი.

— მაშ, ასე, — თქვა აბატმა, — ახლა პირველის თხუთმეტი წუთია და ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე საათი კიდევ რჩება.

დანტესმა ირგვლივ მიმოიხედა; თვალებით ეძებდა საათს, რომლითაც აბატმა ასე ზუსტად განსაზღვრა დრო.

— შეხედეთ სინათლის სხივს, რომელიც ჩემი სარკმლიდან შემოდის, და კედელზე ჩემს მიერ გავლებულ ხაზებს, — უთხრა აბატმა, — საათი რომ მქონოდა, ისე ზუსტად ვერ განვსაზღვრავდი დროს, როგორც ამას ამ ხაზებით ვაკეთებ, რადგან საათი შეიძლება გაფუჭდეს; მზე და დედამიწა კი მუდამ ზუსტად მუშაობენ.

ამ განმარტებამ დანტესი ვერაფერს ვერ მიახვედრა; როდესაც ის მთებიდან ამოსულ და ხმელთაშუა ზღვაში ჩამავალ მზეს უყურებდა, ყოველთვის ეგონა, მზე ბრუნავდა და არა დედამიწა. ორმაგი ბრუნვა დედამიწის სფეროსი რომელზედაც ის ცხოვრობდა, წარმოუდგენლად მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ ვერ ამჩნევდა ამ ბრუნვას. მისი თანამოსაუბრის თითოეულ სიტყვაში ხედავდა მეცნიერების საიდუმლოებას, ისევე სასწაულებრივს, როგორც ის ოქროსა და ალმასების საბადოებია, რომლებიც მას ჯერ კიდევ სულ ბავშვს უნახავს გუზერატში და გოლკონდში მოგზაურობის დროს.

— სული მიმდის, ვიდრე თქვენს სიმდიდრეს ვნახავდე, — უთხრა მან აბატს.

აბატი ბუხრისკენ წავიდა და სატეხით, რომელსაც ხელიდან არ უშვებდა, ამოიღო ქვა (ოდესღაც კერიის როლის შემსრულებელი), იგი საკმაოდ დიდად ამოღრმავებულ ადგილს ფარავდა. სწორედ აქ ინახებოდა ყველა ის იარაღი, რომლებზედაც დანტესს ელაპარაკა.

— რა გინდათ, პირველად ნახოთ? — ჰკითხა აბატმა.

— მაჩვენეთ თქვენი დიდი შრომა იტალიის მონარქიის შესახებ.

ფარიამ ამ საიდუმლო სკივრიდან ამოიღო სამი თუ ოთხი ნაჭერი გრაგნილი, პაპირუსის ფურცლებივით დახვეული: ეს იყო ტილოს ზოლების გრაგნილები, სიგანით 4 დუიმი და სიგრძივ 18 დუიმი. ზოლები დანომრილი იყო. დანტესმა თავისუფლად შეძლო მათი წაკითხვა, რადგან იგი დაწერილი იყო აბატის მშობლიურ ენაზე, ესე იგი იტალიურად, ხოლო დანტესს, როგორც პროვანსის მკვიდრს, მშვენივრად ესმოდა ეს ენა.

— ხედავთ, — უთხრა აბატმა, — მთლიანად აქაა მოთავსებული. ეს რვა დღეა, სამოცდამერვე ზოლზე უკანასკნელი თავი დავასრულე, ორი პერანგი და მთელი ჩემი ცხვირსახოცები ამას მოუწდა. თუ ოდესმე თავისუფლება მეღირსება და იტალიაში გამოჩნდება გამომცემელი, რომელიც ჩემი წიგნის ბეჭდვას გაბედავს, მაშინ ჩემი სახელი ქვეყანას მოეფინება.

— დიახ, — უთხრა დანტესმა, — კარგად ვხედავ. ახლა გთხოვთ მაჩვენოთ კალმები, რითაც ეს შრომა დაწერეთ.

— აი, ნახეთ, — უთხრა ფარიამ დანტესს და აჩვენა პატარა ჩხირი, რომელიც სიგრძით 10 დუიმი იქნებოდა, ხოლო სიგანით — ნახევარი დუიმი. ამ ჩხირზე ძაფით დამაგრებული იყო მელანში მოსვრილი თევზის ხრტილი, რომელზედაც აბატი ესაუბრა. ხრტილი ისე იყო წაგრძელებული და გაყოფილი, როგორც ბუნებრივი კალამი.

დანტესმა კალამი გასინჯა და თვალებით დაუწყო ძებნა იმ იარაღს, რომლითაც იგი ასე ზუსტად და კარგად იყო გამოთლილი.

— ჰო! მესმის, თქვენ ეძებთ ჯაყვას, არა? — ჰკითხა ფარიამ, — ეს ჩემი სიამაყეა. ჯაყვა და, აი, ეს დანა რკინის ძველი შანდლისაგან გავაკეთე.

ჯაყვა სამართებლივით ჭრიდა, დანას კი ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ერთსა და იმავე დროს ხანჯლისა და დანის მაგივრობას სწევდა.

დანტესი ამ ნივთებს ისეთივე დაკვირვებით ათვალთვლიდა, როგორც ზოგჯერ მარსელში იშვიათი საქონლის დუქნებში სინჯავდა შორეული მოგზაურობის კაპიტნების მიერ სამხრეთის ნაპირებიდან წამოღებულ ველურთა ნამუშევრებს.

— რაც შეეხება მელანს, — უთხრა ფარიამ, — იცით, რისგან ვაკეთებ. მას საერთოდ საჭიროების მიხედვით ვამზადებ.

— ახლა ერთი რამ მაკვირვებს, — უთხრა დანტესმა, — ასეთი შრომისათვის როგორ გყოფნიდათ დღეები?

— ღამეებსაც მუშაობაში ვატარებდი, — უთხრა ფარიამ.

— ღამეებს? განა თქვენ კატის თვალები გაქვთ და ღამით ხედავთ?

— არა, არა, მაგრამ ღმერთმა ადამიანს მისცა გონება, რომ შეავსოს ის, რასაც გრძნობის ორგანოებით ვერ ახერხებს. მე სინათლით უზრუნველყოფილი ვიყავი.

— ეგ როგორ?

— ხორცს, რომელიც ჩემთან მოაქვთ, ვაცლი სიმსუქნეს, ვადნობ მას და ვღებულობ სუფთა ქონს. აი, ჩემი ჭრაქი. — და აბატმა ჭრაქი დაანახვა: — ამგვარი ჭრაქებით საზეიმო დღეებში ქუჩებს ანათებენ.

— ცეცხლი?

— აი, ორი კვესი და პერანგის ნაჭრებისაგან გაკეთებული აბედი.

— ასანთი?

— კანის ავადმყოფობა მოვიგონე და გოგირდი ვითხოვე. თხოვნა შემისრულეს.

დანტესმა იარაღები მაგიდაზე დააწყო და თავი ჩაქინდრა. ის პირდაპირ რეტდასხმული იყო ამ კაცის შეუდრეკელობითა და მისი გონების სიძლიერით.

— ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — უთხრა ფარიამ, — ყველა განძეული კაცმა ერთ ადგილას არ უნდა გადამალოს; ახლა დავხუროთ ეს საიდუმლო სკივრი.

მათ ქვა თავის ადგილას დადეს, აბატმა ზემოდან მიწა გადააყარა და ფეხით დატკეპნა, რათა ქვის ამოღება არავის შეემჩნია. შემდეგ საწოლს მიუახლოვდა და გამოსწია. საწოლის თავთან ხვრელი იყო, ეს ხვრელი ქვით თითქმის ჰერმეტიულად იყო დახურული, ამ ხვრელში ჩაშვებული იყო 30 ფუტის სიგრძის თოკის კიბე.

დანტესმა მოსინჯა კიბე, ის ყოველგვარ სიმძიმეს გაუძლებდა.

— სად იშოვებთ თოკი ასეთი შესანიშნავი კიბის გასაკეთებლად? — ჰკითხა დანტესმა.

— ჯერ ერთი, ჩემი პერანგებიდან და შემდეგ ზეწრის ნახევებიდან, რომლებსაც ფენესტრელში სამი წლის მანძილზე ვგრეხდი. როდესაც იფში გადმომიყვანეს, იმდენი ვიღონე, რომ საშუალება გამოვინახე, ეს დაგრეხილი თოკები თან გადმომეტანა. აქ განვაგრძე მუშაობა.

— მერე, ვერავინ ამჩნევდა, რომ ზეწრები შემოტეხილი აღარ იყო?

— მე ხელახლა ვუკეცავდი ნაპირებს.

— რითი?

— აი, ამ ნემსით.

და აბატმა მონძებად ქცეული ტანისამოსიდან გამოაძრო თევზის გრძელი წაწვეტებული ფხა, რომელსაც ბოლო გახვრეტილი ჰქონდა და შიგ ძაფი იყო გაყრილი.

— პირველად განზრახული მქონდა, — განაგრძო ფარიამ, — რკინის რიკულები გამექლიბა და ამ ფანჯრიდან გავქცეულიყავი; როგორც ხედავთ, იგი თქვენს სარკმელზე ფართოა და გაქცევის წინ კიდევ უფრო გავაფართოებდი. მაგრამ შევნიშნე, რომ ფანჯარა შიგნით ეზოში გადიოდა და უკუვაგდე ჩემი გეგმა, როგორც ნაკლებ საიმედო; მაგრამ კიბე შევინახე, სწორედ იმ მოულოდნელი შემთხვევისათვის, რომელზედაც წელან გელაპარაკეთ.

დანტესი თითქოს კიბეს სინჯავდა, მაგრამ, ეტყობოდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მას გონებაში ახალმა აზრმა გაურბინა. იქნებ ეს კაცი, ასეთი ნასწავლი, ჭკვიანი და გამომგონებელი, გაერკვეს ჩემი უბედურების მიზეზში, რომელიც ჩემთვის სიბნელით იყო მოცულიო.

— რაზე ფიქრობთ? — ჰკითხა ღიმილით აბატმა, რომელმაც დანტესის დუმილი მის გადაჭარბებულ აღფრთოვანებად ჩათვალა.

— ჯერ ერთი, ვფიქრობდი, რა დიდი ჭკუა გაქვთ დახარჯული თქვენი მიზნის მისაღწევად და თავისუფალი რომ იყოთ, მაშინ რაღას იზამდით.

— შესაძლებელია, არაფერს; შეიძლება ჩემი ჭკუა წვრილმან რამეებზე დამეხარჯა. ადამიანის გონების ფარულ სიმდიდრეს მხოლოდ უბედურება გამოავლენს. თოფის წამლის ასაფეთქებლად ძალის დაწოლაა საჭირო. სატუსალომ ჩემს სხვადასხვა მიმართულებით გაბნეულ შესაძლებლობებს ერთ წერტილში მოუყარა თავი. ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ ვიწრო სივრცეში, — თქვენ კი იცით, რომ ღრუბლების შეჯახებით ჩნდება ელექტრობა, ელექტრობისგან — ელვა, ელვისგან — სინათლე.

— არა, მე არაფერი ვიცი, — უპასუხა თავისი უცოდინარობით დათრგუნვილმა დანტესმა. — თქვენს მიერ წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის შინაარსი სრულიად არ მესმის; რა ბედნიერებაა იყო ისეთი ნასწავლი, როგორიც თქვენ ხართ. აბატს გაელიმა.

— თქვენ ისა თქვით, რომ ორ რამეზე ფიქრობდით.

— დიახ.

— ერთი უკვე მითხარით, მეორე რომელიღაა?

— მეორე ისაა, რომ თქვენ მომიყვით თქვენი ცხოვრება და ჩემსას კი არ იცნობთ.

— თქვენი ცხოვრება, ყმაწვილო კაცო, ისეთი ხანმოკლეა, რომ არ შეიძლება ღირსშესანიშნავ ამბებს შეიცავდეს.

— ის შეიცავს უსაზღვრო უბედურებას, — უთხრა დანტესმა, — რისი ღირსიც მე არა ვარ და რომ აღარასოდეს არ წარმოვთქვა ღვთის საგმობი სიტყვები, როგორც ამას ხანდახან ჩავდივარ ხოლმე, მინდა დავრწმუნდე, რომ ჩემს უბედურებაში დამნაშავენი ადამიანები არიან.

— მაშ, იმ საქმეში, რომელსაც გაბრალებენ, თავი უდანაშაულოდ მიგაჩნიათ?

— მე უდანაშაულო ვარ, გეფიცებით მათ, ვისი სიცოცხლეც ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია: მამაჩემსა და მერსედესს ვფიცავ.

— კარგი, მომიყვით თქვენი ისტორია. — უთხრა აბატმა, საიდუმლო ხვრელი დახურა და საწოლი ისევ კედელთან მიდგა.

დანტესი მოუყვა იმას, რასაც აბატი ისტორიას უწოდებდა.

ის შეიცავდა ინდოეთში მოგზაურობისა და აღმოსავლეთში ორჯერ თუ სამჯერ გამგზავრების ამბავს; მოუყვა თავისი უკანასკნელი რეისის შესახებ, კაპიტან ლეკლერის სიკვდილისა და მარშალზე გადასაცემად მიღებული წერილების ამბავს, მარშალთან შეხვედრას, ნუარტიესთვის წერილის გადაცემის ამბავს; უამბო ბოლოს მარსელში ჩამოსვლა, მამამისის ნახვა, მერსედესისადმი სიყვარული, ნიშნობა, დროებითი

დაპატიმრება, დაკითხვა და ბოლოს იფის ციხესიმაგრეში გამომწყვდევა. აქ მოსვლის შემდეგ მან უკვე აღარაფერი იცოდა, ისიც კი, თუ რამდენი ხანია, რაც პატიმარია.

აბატმა მოისმინა დანტესის ამბავი და ღრმად ჩაფიქრდა.

— სამართლის მეცნიერებაში, — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, — არის ბრძნული აქსიომა, რომელზედაც უკვე გელაპარაკეთ; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბოროტი ზრახვანი კაცს ბუნებით აქვს თანდაყოლილი, ადამიანს ზიზღსა ჰგვრის ბოროტმოქმედება. მაგრამ ცივილიზაციამ ჩვენში წარმოშვა მოთხოვნილებანი, ბიწიერებანი და სურვილები, რომლებსაც ზოგჯერ ისეთი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, რომ გვიხშობენ კეთილ სურვილებს და ბოროტებისაკენ მივყავართ. აქედან დასკვნა: გინდა იპოვო დამნაშავე, ეძებე ის, ვისაც ჩადენილი დანაშაული სარგებლობას მოუტანდა! თქვენს დაკარგვას ვისთვის შეიძლებოდა სარგებლობა მოეტანა?

— არავისთვის, ღმერთო ჩემო, მე ხომ სულ უმნიშვნელო პიროვნება ვიყავი.

— ასე ნუ მპასუხობთ. თქვენს პასუხში არ არის არც ლოგიკა, არც ფილოსოფია; ამქვეყნად, ჩემო კარგო, ყველაფერი პირობითია, დაწყებული მეფიდან, რომელიც ხელს უშლის თავის მემკვიდრეს და დამთავრებული კანცელარიის მოხელით, რომელიც ხელს უშლის შტატგარეშე აყვანილ მდივანს. თუ მეფე გარდაიცვლება, მემკვიდრე გვირგვინს ეღირსება; ხოლო თუ კანცელარიის მოხელე მოკვდება, მდივანს მემკვიდრეობად დარჩება 1.200 ლივრი. ეს 1.200 ლივრი ხელფასი მისთვის ცივილური ფურცელია; ის მისი არსებობისათვის ისევე საჭიროა, როგორც მეფისათვის თორმეტი მილიონი.

საზოგადოებრივი კიბის ამა თუ იმ საფეხურზე ყოველი ადამიანი, კიბის თავზე იქნება ის თუ ბოლოში, თავის გარშემო ქმნის ინტერესების პატარა ქვეყნიერებას, რომელსაც დეკარტის¹ (1 რენე დეკარტი — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და ფიზიკოსი, რომელმაც თავისი შრომებით საბოლოოდ შეარყია სქოლასტიკა და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკასა და ფსიქოლოგიას (1596—1650).) ქვეყნიერების მსგავსად აქვს თავისი გრიგალი და მოკაუჭებული ატომები. რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგახარ, მით უფრო მეტია ეს პატარა ქვეყნიერებები. ეს არის გადაყირავებული სპირალი, რომელიც ეკვილიბრისტიკის წყალობით წონასწორობის წერტილის ირგვლივ წვეტიანად არის დამაგრებული. მაგრამ თქვენს ამბავს დავუბრუნდეთ. თქვენ «ფარაონის» კაპიტნად გნიშნავდნენ.

— დიახ.

— თქვენ ცოლად მოგყავდათ ლამაზი ქალიშვილი?

— დიახ.

— იყო თუ არა ვინმე დაინტერესებული, რომ თქვენ «ფარაონზე» კაპიტნად არ დაენიშნეთ? იყო თუ არა ვინმე დაინტერესებული იმით, რომ თქვენ არ გეთხოვათ მერსედესი? ჯერ მიპასუხეთ პირველ კითხვაზე, რომელიც ყველა გამოსაცნობი ამბის გასაღებია. იყო თუ არა ვინმე დაინტერესებული, რომ თქვენ «ფარაონზე» კაპიტნად არ დაენიშნეთ?

— არა, მე გემზე ყველას ძალიან ვუყვარდი. მეზღვაურებისათვის უფროსის არჩევის უფლება რომ მიეცათ, მე ამირჩევდნენ, ამაში დარწმუნებული ვარ. მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა რაღაც მიზეზი, რომ არ ვდომებოდი: ერთხელ მე მას წავეჩხუბე, დუელი შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა.

— აი, ხედავთ! რა ერქვა იმ კაცს?

— დანგლარი.

— რას აკეთებდა გემზე?

— მონაგარიშე იყო.

— კაპიტანი რომ გამხდარიყავით, თქვენ მას ისევ თავის ადგილზე დატოვებდით?

— არა, თუ ეს ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული. მე შევამჩნიე, რომ მას ანგარიშებში ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა.

— კარგი. ახლა ეს მითხარით, ვინმე ესწრებოდა თქვენი და კაპიტან ლეკლერის საუბარს?

— არა, ჩვენ მარტონი ვიყავით.

— ვინმეს შეეძლო მოესმინა თქვენი ლაპარაკი?

— დიახ, კარები ღია იყო... მოიცათ, მოიცათ... ვგონებ... დიახ, დიახ, სწორედ იმ წუთში, როდესაც კაპიტანმა დიდი მარშალისათვის გადასაცემი წერილი მომაწოდა, დანგლარმა ჩაიარა.

— კარგია, ჩვენ კვალს მივაგენით. როდესაც კუნძულ ელბაზე გადახვედით, თან ხომ არავინ წაგიყვანიათ?

— არავინ.

— თქვენ იქ წერილი გადმოგცეს?

— დიახ. დიდმა მარშალმა გადმომცა.

— რა უყავით ის წერილი?

— პორტფელში ჩავდე.

— მაშ, თქვენ პორტფელი თან გქონდათ? — შენიშნა ფარიამ, — ეგ როგორ? როგორ შეიძლებოდა, რომ პორტფელი, რომელშიც ოფიციალური ქაღალდი იდო, მეზღვაურის ჯიბეში ჩატეულიყო.

— არა, თქვენ მართალი ხართ, პორტფელი გემზე მქონდა.

— მაშ,, როგორც ჩანს, წერილი პორტფელში შეგინახავთ მხოლოდ გემზე ასვლის შემდეგ.

— დიახ.

— პორტო-ფერაიოდან გემამდე სად ინახებოდა ეს წერილი?

— ხელთ მქონდა.

— როდესაც «ფარაონზე» ადიოდით, ყველას შეეძლო დაენახა, რომ ეს წერილი ხელთ გქონდათ?

— დიახ.

— დანგლარსაც შეეძლო დაენახა?

— დიახ, ისევე, როგორც სხვებს.

— ახლა ყურადღებით მომისმინეთ და დამაბეთ მთელი თქვენი მეხსიერება: გახსოვთ, როგორ იყო დაწერილი დაბეზღების ბარათი?

— დიახ, დიახ, მე სამჯერ გადავიკითხე იგი და თითოეული სიტყვა მეხსიერებაში ჩამრჩა.

— გამიმეორეთ!

დანტესი ჩაფიქრდა.

— აი, ის სიტყვა-სიტყვით:

«ბატონ მეფის პროკურორს აფრთხილებს ტახტისა და რელიგიის ერთგული, რომ ედმონდ დანტესს, «ფარაონის» კაპიტანის თანაშემწეს, რომელიც ნეაპოლისა და პორტო-ფერაიოს გავლით სმირნიდან ჩამოვიდა, მიურატისაგან წერილი ჰქონდა უზურპატორთან, ხოლო უზურპატორისაგან პარიზში ბონაპარტისტების კომიტეტში წასაღებად.»

დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ნაპოვნი იქნება მისი დაპატიმრების შემთხვევაში, რადგან ამ წერილს იპოვნიათ ან თვითონ მასთან, ან მამამისთან, ან კიდევ მის კაიუტაში «ფარაონზე».

აბატმა მხრები აიჩჩა.

— ყველაფერი დღესავით ნათელია, — თქვა მან, — თქვენ მართლაც ძალიან გულუბრყვილო ყოფილხართ, რომ მაშინვე ვერ გამოიცანით.

— ასე გგონიათ? — შესძახა დანტესმა, — როგორი სიმდაბლეა!

— როგორი ხელმოწერა ჰქონდა დანგლარს?

— ლამაზი და გარკვეული, მხოლოდ ასოებს ოდნავ მარჯვნივ ხრიდა.

— როგორ იყო დაწერილი დაბეზლების ბარათი?

— მარცხნივ გადახრით.

აბატს გაეღიმა.

— ხელწერა შეცვლილი იყო?

— იმდენად მტკიცე ხელით იყო დაწერილი, ვფიქრობ, შეცვლილი არ უნდა ყოფილიყო.

— მოითმინეთ, — თქვა აბატმა, — მან აიღო კალამი, ანუ ის, რასაც კალამს უწოდებდა, ჩააწო მელანში და მარცხენა ხელით ტილოზე, რომელიც ქაღალდის მაგივრობას ეწეოდა, დაბეზლების ბარათის პირველი სტრიქონები დაწერა.

დანტესმა უკან დაიხია და თითქმის შიშით შეხედა აბატს.

— საოცარია! — წამოიძახა მან, — ეს ხელწერა როგორ ჰგავს იმ ხელწერას.

— მაშ, დაბეზლების ბარათი მარცხენა ხელით ყოფილა დაწერილი; მე კი ერთი დაკვირვება მოვახდინე, — განაგრძო აბატმა.

— რა?

— მარჯვენა ხელით დაწერილი ხელნაწერები ყველა სხვადასხვაა, მარცხენა ხელით დაწერილი — ერთმანეთს ჰგავს.

— მაშ, თქვენ ყველაფერი გინახავთ, ყველაფერი შეგისწავლიათ!..

— განვაგრძოთ.

— დიახ, დიახ.

— გადავიდეთ მეორე კითხვაზე.

— გისმენთ.

— თუ იყო ვინმე დაინტერესებული, რომ თქვენ მერსედესი არ გეთხოვათ?

— დიახ, იგი ერთ ყმაწვილ კაცს უყვარდა.

— მისი სახელი?

— ფერნანდი.

— ეს ესპანური სახელია.

— კატალანელია.

— როგორ გგონიათ, ის ხომ არ დაწერდა იმ ბარათს?

— არა, ის არჩევდა ჩემთვის დანა გაერჭო გულში.

— დიახ, ესპანელის ბუნება ეგუება მკვლევლობას და არა სიმდაბლეს.

— ესეც არ იყოს, მან დაწვრილებით არ იცის ის ამბები, რაც დაბეზლების ბარათში სწერია.

— თქვენ არავისთვის გაამზნიათ ეს ამბავი?

— არავისთვის.

— არც თქვენი საცოლისათვის?

— არა, არც მისთვის.

— მაშ, ეს დანგლარია.

— დიახ, მე ახლა უკვე დარწმუნებული ვარ.

— მოითმინეთ... დანგლარი იცნობდა ფერნანდს?

— არა... თუმცა... მაგონდება.

— რა?

— ჩემი ნიშნობის დღეს ძია პამფილიოს დუქანში ისინი ერთ მაგიდას უსხდნენ. დანგლარი მეგობრული და მხიარული ჩანდა, ფერნანდი — გაფითრებული და შემფოთებული.

— ისინი მარტონი იყვნენ?

— არა, მესამე ამხანაგიც ჰყავდათ, ჩემი კარგი ნაცნობი, მკერავი კადრუსი, ალბათ, მან გააცნო ისინი ერთმანეთს. მაგრამ ის უკვე მთვრალი იყო... მოიცათ, მოიცათ... ადრე როგორ არ მომაგონდა? იმ მაგიდაზე, სადაც ისინი ქეიფობდნენ, ბოთლებისა და თეფშების ახლოს იდო სამელნე, ქალაღი და კალამი (დანტესმა ხელი შუბლზე მიიღო). ოჰ! გაიძვერები, გაიძვერები!

— გინდათ სხვა რამეც გაგაგებინოთ? — ჰკითხა აბატმა ღიმილით.

— დიახ, დიახ, თქვენ ყველაფერს სწვდებით, ყველაფერს ნათლად ხედავთ. მე მინდა ვიცოდე, რატომ დამკითხეს მხოლოდ ერთხელ, რატომ დამსაჯეს სასამართლოს გარეშე.

— ჰო, ეს გაცილებით უფრო რთულია, — უთხრა აბატმა, — მართლმსაჯულების გზები ბნელითა და საიდუმლოებითაა მოცული და ადამიანისთვის ძნელია მას ჩასწვდეს. თქვენი ორი მეგობრის საქციელის გარკვევა ეს უბრალო ბავშვური თამაში იყო, ახლა ამ საკითხზე კი თქვენ მოგიხდებათ მომაწოდოთ ყველაზე ზუსტი ცნობები.

— კარგი, დამკითხეთ, რადგან თქვენ უფრო კარგად იხედებით ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე მე.

— ვინ დაგკითხათ? მეფის პროკურორმა, მისმა თანაშემწემ თუ გამომძიებელმა?

— მეფის პროკურორის თანაშემწემ.

— ახალგაზრდა იყო თუ ხნიერი?

— ახალგაზრდა, ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის იქნებოდა.

— კარგი, მაშ, ჯერ წამხდარი არ იქნებოდა, მაგრამ უკვე პატივმოყვარე ყოფილა, — თქვა აბატმა, — როგორ გექცეოდათ?

— უფრო ტკბილად, ვიდრე მკაცრად.

— თქვენ მას ყველაფერი მოუყევით?

— ყველაფერი.

— თუ იცვლებოდა მისი დამოკიდებულება თქვენდამი დაკითხვის დროს?

— მხოლოდ ერთი წუთით აღელდა, როდესაც დაბეზლების ბარათი წაიკითხა.

ეტყობოდა, ძალიან შეაწუხა ჩემმა უბედურებამ.

— თქვენმა უბედურებამ?

— დიახ.

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს უბედურებას სწუხდა?

— ყოველ შემთხვევაში, ამისათვის მან დიდი დასამტკიცებელი საბუთი მომცა.

— რა სამუშაო?

— მან დაწვა ერთადერთი საბუთი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ იყო მიმართული.

— რა? დაბეზლების ბარათი?

— არა, წერილი.

— თქვენ დარწმუნებული ხართ?

— ეს ჩემს თვალწინ მოხდა.

— აქ რაღაც სხვა ამბავია, ეს კაცი უფრო დიდი გაიძვერაა, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ.

— პატიოსნებას გეფიცებით, თქვენს სიტყვებზე მე ტანში ჟრუანტელი მივლის, ნუთუ ეს ქვეყანა მხოლოდ ვეფხვებითა და ნიანგებითაა დასახლებული?

— დიახ, მაგრამ ორფეხა ვეფხვები და ნიანგები გაცილებით საშიში არიან, ვიდრე ნამდვილნი.

— განვაგრძოთ, განვაგრძოთ.

— სიამოვნებით, თქვენ თქვით, რომ წერილი დაწვა?

— დიახ; და თან მითხრა: «ხედავთ, თქვენს წინააღმდეგ ერთი საბუთი არსებობს, და მე მას ვსპობო».

— ასეთი საქციელი მეტისმეტად კეთილშობილურია და ამიტომ დაუჯერებელი.

— თქვენ ასე გგონიათ?

— მე ამაში დარწმუნებული ვარ. რა მისამართი იყო წერილზე?

— პარიზი, კოკ-ერნის ქუჩა 113, ბატონ ნუარტიეს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ პროკურორის თანაშემწე დაინტერესებული იყო, ის წერილი გამქრალიყო?

— შესაძლებელია. მან ორჯერ თუ სამჯერ პირობა დამადებინა, ჩემივე ინტერესებისათვის არავისთან არ მელაპარაკა ამ წერილის შესახებ, და ფიცი დამადებინა, არ მეხსენებინა კონვერტზე წარწერილი გვარი.

— ნუარტიე? — გაიმეორა აბატმა, — ნუარტიე? მე ვიცნობდი ერთ ნუარტიეს, ეტრურიის ყოფილი დედოფლის კარზე. ვიცნობდი ნუარტიეს, რომელიც რევოლუციის დროს ჟირონდისტი იყო. რა გვარი იყო თქვენი პროკურორის თანაშემწე?

— დე ვილფორი.

აბატმა გადაიხარხარა.

დანტესმა განცვიფრებით შეხედა მას.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა მან აბატს.

— ხედავთ ამ მზის სხივს? — ჰკითხა აბატმა.

— ვხედავ.

— ჩემთვის ახლა ყველაფერი ისევე ნათელია, როგორც ეს მზის სხივი. საწყალო ბავშვო, საწყალო ყმაწვილო! მაშ, პროკურორის თანაშემწე კარგად გექცეოდათ?

— დიახ.

— მაშ, ამ ღირსეულმა ადამიანმა დაწვა, მოსპო წერილი?

— დიახ.

— მაშ, ჯალათის კეთილშობილმა მომწოდებელმა თქვენ ფიცი დაგადებინათ, არასოდეს წარმოგეთქვათ ეგ გვარი?

— დიახ.

— უბედურო ბრმაო, იცით, ვინ არის ის? ეს ნუარტიე? — ეს ნუარტიე მისი მამაა.

მეხი რომ დაცემულიყო დანტესის ფეხებთან და ჯოჯოხეთის უფსკრული გაეთხარა, მის დანახვაზე ისე არ გაოგნდებოდა, და დარეტიანდებოდა, როგორც ეს აბატის მოულოდნელ სიტყვებზე. დაემართა. წამოხტა და თავში ხელი იტაცა.

— მამამისი, მამამისი! — შეჰყვირა დანტესმა.

— დიახ, მამამისი, რომელიც იწოდება ნუარტიე დე ვილფორად, — უპასუხა აბატმა.

უცებ დანტესის გონება გაანათა მოკაშკაშე სხივმა. ის, რაც აქამდე წყვედიადით იყო მოცული, უეცრად თვალისმომჭრელი სხივებით გაშუქდა. ვილფორის ცვალებადი ქცევა დაკითხვის დროს, წერილის მოსპობა, ფიცის მოთხოვნა, მსაჯულის მუდარის ხმა, რომელიც კი არ ემუქრებოდა, არამედ თითქოს სთხოვდა, — დანტესს ყველაფერი მოაგონდა. მან შეჰყვირა და მთვრალივით დაბარბაცდა. შემდეგ ხვრელს მივარდა, რომლითაც იგი საკანში შემოძვრა.

— მე მარტოობა მინდა, მე მინდა, გავარკვიო ყოველივე ეს.

როდესაც თავის საკანს მიაღწია, საწოლზე დაეგდო. საღამოთი მედილეგეს დანტესი ლოგინზე წამომჯდარი დახვდა, თვალები გაშტერებოდა, სახე მოღრეცოდა, ქანდაკებასავით უმოძრაო და უტყვი გახდომოდა.

დანტესმა ფიქრებში გაატარა რამდენიმე საათი, ასე კი ეგონა, მხოლოდ რამდენიმე წუთმა გაირბინაო. მან მრისხანე გადაწყვეტილება მიიღო და ფიცი დადო, დაუნდობელი ყოფილიყო.

დანტესი ამ ფიქრებიდან გამოიყვანა ვიღაცის ხმამ. ეს იყო აბატი ფარია. მედილეგეს წასვლის შემდეგ ის შემოსულიყო და დანტესს ვახშმად იწვევდა. რაკი აბატი შეშლილად იყო აღიარებული და თანაც მხიარულ შეშლილად, ეს მას რამდენადმე უპირატესობას ანიჭებდა. უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ კვირაობით მოთეთრო პურსა და ღვინოს აძლევდნენ. ამ დღეს სწორედ კვირა იყო და აბატი თავის ახალგაზრდა მეგობარს იწვევდა, პური და ღვინო მასთან ერთად გაეყო.

დანტესი გაჰყვა. სახე დაუმშვიდდა და ჩვეული გამომეტყველება მიიღო, მაგრამ თვალებში სიმკაცრე და მრისხანება გამოუკრთოდა, რაც ამტკიცებდა, რომ ყმაწვილს რაღაც გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. აბატი მას დაკვირვებით მიაჩერდა.

— მე ვნანობ, რომ თქვენს ძიებაში დაგეხმარეთ, ვნანობ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვების გამო.

— რატომ? — ჰკითხა დანტესმა.

— იმიტომ, რომ თქვენს გულში მე დავბადე გრძნობა, რომელიც მანამდე არ იყო. ეს არის შურისძიება.

დანტესს გაეღიმა.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — უთხრა მან.

აბატმა კიდევ შეხედა და თავი სევდიანად გააქნია, მაგრამ დაუთმო და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

მოხუც პატიმართან საუბარი, როგორც ყოველ ადამიანთან, რომელსაც ბევრი უტანჯია და ბევრი რამ გადაუტანია, შეუნელებელ ინტერესს იწვევდა. მაგრამ მასში არ იყო ეგოიზმი, ეს უბედური არასოდეს არ ლაპარაკობდა თავის უბედურებაზე.

დანტესი აღტაცებით ისმენდა თითოეულ მის სიტყვას. ზოგიერთი მათგანი უპასუხებდა მის აზრებსა და იმ ცოდნას, რომელიც მეზღვაურობამ მისცა; ნაწილი მისთვის გაუგებარ საგნებს ეხებოდა, და ჩრდილოეთის ციალის მსგავსად, რომელიც მეზღვაურებს სამხრეთის განედებს უნათებს, უხატავდა მას ფანტასტიკურად გაშუქებულ სურათებსა და ახალ ჰორიზონტებს უშლიდა. დანტესი მიხვდა, რა ბედნიერება იქნებოდა, თანაგრძნობა გამეწია განათლებული, ამაღლებული სულის ადამიანისათვის, რომელიც მიჩვეულია ზნეობრივი, ფილოსოფიური და სოციალურ იდეების მწვერვალებზე ასვლას.

— ცოტა რამ მაინც მასწავლეთ იქიდან, რაც თქვენ იცით. — უთხრა დანტესმა, — თუნდაც იმიტომ, რომ არ მოგწყინდეთ ჩემთან ყოფნა; ასე მგონია, თქვენ მარტო ყოფნა გირჩევნიათ ჩემისთანა გაუნათლებელი და უმნიშვნელო ამხანაგის ყოლას. თუ ამ თხოვნას შემისრულებთ, პირობას გაძლევთ, გაქცევაზე სიტყვას აღარ ამოვიღებ.

აბატს გაეღიმა.

— ეჰ, ჩემო ბავშვო, — უთხრა მან, — ადამიანთა ცოდნა ძლიერ შეზღუდულია, და როდესაც შეგასწავლით მათემატიკას, ფიზიკას, ისტორიას, სამ თუ ოთხ ცოცხალ ენას, რომლებზედაც ვლაპარაკობ, თქვენ გეცოდინებათ სწორედ იმდენი, რამდენიც მე ვიცი; და ყველა ამ ცოდნას, დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში გაზიარებთ.

— ორ წელიწადში! — გაუკვირდა დანტესს. — თქვენ გგონიათ, რომ ყოველივე ამას ორი წლის მანძილზე შევისწავლი?

— მის გამოყენებას არა, მაგრამ პრინციპებს კი. შესწავლა ცოდნას არ ნიშნავს. არიან მცოდნენი და არიან სწავლულები. ერთია მეხსიერების ნაყოფი, მეორე — ფილოსოფიის.

— ფილოსოფიის შესწავლა შეუძლებელია?

— ფილოსოფიას არ სწავლობენ. ფილოსოფია არის შემენილ მეცნიერებათა შეერთება გენიოსობასთან, რომელიც მათ იყენებს. ფილოსოფია განათებული ღრუბელია, რომელზედაც ქრისტემ ფეხი შედგა, რათა ზეცაში ასულიყო.

— პირველად რას მასწავლით? მე ცოდნა მწყურია.

— ყველაფერს! — უპასუხა აბატმა.

მართლაც, პატიმრებმა იმ საღამოსვე შეადგინეს მეცადინეობის გეგმა და მეორე დღიდანვე შეუდგნენ მის სისრულეში მოყვანას. დანტეს საოცარი მეხსიერება და გაგების არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა. მისი გონების მათემატიკისადმი მიდრეკილება ეხმარებოდა, ყველაფერი გამოანგარიშების გზით აეთვისებინა, ხოლო მეზღვაურის პოეტური სული არბილებდა მშრალ ციფრებსა და პირდაპირ ხაზებზე დაყრდნობილ მტკიცებებს. გარდა ამისა, მან უკვე იცოდა იტალიური ენა და ნაწილობრივ ახალი ბერძნული. ეს ენა მან აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს შეისწავლა. ამ ორი ენის დახმარებით მალე გაიგო დანარჩენების წყობა და ნახევარი წლის შემდეგ უკვე ესპანურ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე დაიწყო ლაპარაკი.

ერთი სიტყვით, იქნებ იმიტომ, რომ იგი გაიტაცა მეცნიერებამ, რომელიც მას თავისუფლების მაგივრობას უწევდა, ან იქნებ იმიტომაც, რომ თავისი სიტყვის პატრონი იყო, რაშიც უკვე დავრწმუნდით, დანტესმა შეასრულა აბატისათვის მიცემული პირობა და გაქცევის შესახებ სიტყვაც აღარ დაუძრავს. დღეები მისთვის შინაარსიანად და სწრაფად გარბოდა. ერთი წლის ბოლოს იგი უკვე სხვა კაცი იყო.

რაც შეეხება აბატ ფარიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთობოდა ახლად შემენილ მეგობართან, დანტესი ამჩნევდა, რომ მოხუცი დღითი დღე უფრო ღონდებოდა, თითქოს მის გონებას არ სცილდებოდა რაღაც აკვიატებული აზრი. ის ღრმა ფიქრს მიეცემოდა ხოლმე, მძიმედ ოხრავდა, შემდეგ უცებ წამოდგებოდა, გულზე ხელებს დაიკრეფდა და საკანში ბოლთას სცემდა სახემოდუშული.

ერთ დღეს, როდესაც თავის საკანს, ვგონებ, მეთექვსმეტე შემოუარა, უეცრად შეჩერდა და წამოიძახა:

— გუშაგი რომ არ ყოფილიყოს!..

— თუ თქვენ გინდათ, გუშაგი იქ აღარ იქნება, — უთხრა დანტესმა, რომელმაც ისე წაიკითხა მისი ნააზრევი, თითქოს აბატის თავის ქალა გამჭვირვალე კრისტალი ყოფილიყოს.

— მე უკვე გითხარით, რომ მკვლელობას ვერ ვიტან.

— მაგრამ ეს მკვლელობა, თუკი მოხდება იგი, თავდაცვის ინსტინქტით იქნება გამოწვეული.

— სულ ერთია, მე ვერ შევძლებ.

— მაგრამ თქვენ ამაზე მაინც ფიქრობთ.

— განუწყვეტლივ, განუწყვეტლივ, — ჩაიჩურჩულა აბატმა.

— თქვენ გამოსავალი იპოვეთ, არა? — ჰკითხა ფიცხლად დანტესმა.

— დიახ, დერეფანში, ყრუ და ბრმა გუშაგს თუ დააყენებენ.

— ის ყრუც იქნება და ბრმაც, — უთხრა დანტესმა, ისეთი სიმკაცრით, რომ აბატი შემფოთდა.

— არა, არა, — შესძახა მან, — ეს შეუძლებელია!

დანტესს უნდოდა გაეგრძელებინა ამ საგანზე საუბარი, მაგრამ აბატმა თავი გაიქნია და პასუხი აღარ გაუცია.

გავიდა სამი თვე.

— თქვენ ღონიერი ხართ? — ჰკითხა დანტესს ერთ დღეს აბატმა.

დანტესმა პასუხის ნაცვლად სატეხი აიღო, ნალივით გადალუნა და შემდეგ ისევ გაასწორა.

— მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ გუშაგს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოკლავთ.

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას!

— მაშ, შევძლებთ სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენი გადაწყვეტილება.

— მერედა რამდენი ხანი დაგვჭირდება ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად?

— სულ ცოტა, ერთი წელი. ახლავე შეგვიძლია შევუდგეთ მუშაობას.

— ხომ ხედავთ, ერთი წელი დაგვიკარგავს, — შეჰყვირა დანტესმა.

— როგორ! ერთი წელი თქვენ დაკარგულად მიგაჩნიათ? — ჰკითხა აბატმა.

— ოჰ, მაპატიეთ, მაპატიეთ, — სთხოვა წამოწითლებულმა დანტესმა.

— კარგი, — უთხრა აბატმა, — ადამიანი მაინც ყოველთვის ადამიანია, და თქვენ მაინც ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი ხართ მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ. მაშ, ყური მიგდეთ, აი ჩემი გეგმა.

აბატმა დანტესს თავისი ნახაზი აჩვენა. ეს იყო გეგმა მათი საკანსა და მიწისქვეშა ხვრელისა, რომელიც ამ ორ საკანს აერთებდა. ამ ხვრელის შუაგულში იწყებოდა გვერდითი გასასვლელი, ისეთი, როგორიც მალაროებშია მიღებული. ეს გასასვლელი პატიმრებს გაიყვანდა იმ დერეფნის ქვეშ, სადაც გუშაგი დასეირნობდა; გადაწყვეტილი იყო, გასასვლელის ბოლოში დიდი თხრილი გაეთხარათ და შეენჯღრიათ ერთ-ერთი ფილა, რომელიც დერეფანს იატაკად ეგო. ეს ფილა სათანადო მომენტში გუშაგის სიმძიმისაგან ჩაიწევდა და გაოგნებული თხრილში ჩავარდებოდა. იმ წუთშივე, სანამ იგი გაბრუნებული იქნებოდა და თავის დაცვას შეძლებდა, დანტესი უნდა მივარდნოდა, შეეკრა და პირში რამე ჩაეჩარა; მაშინვე ორივე პატიმარი დერეფნის ფანჯრიდან თოკის კიბით გარეთ კედელზე დაემშვებოდა და თავს უშველიდა.

დანტესმა ტაში შემოჰკრა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა. ეს გეგმა ისეთი უბრალო იყო, რომ აუცილებლად შესრულდებოდა.

იმავე დღეს ჩვენი მალაროელები შეუდგნენ მუშაობას. ისინი მით უფრო გატაცებით მუშაობდნენ, რომ ეს შრომა დიდი ხნის შესვენებას მოსდევდა და, ალბათ, ორივეს ნანატრი საიდუმლო სურვილი იყო.

ისინი განუწყვეტლივ თხრიდნენ და მუშაობას თავს მხოლოდ მაშინ ანებებდნენ, როდესაც იძულებული იყვნენ მედილეგებისათვის თავიანთ საკნებში ეცადათ. მიეჩვივნენ, შორიდანვე გაერჩიათ მედილეგეს ფეხის ხმა და არასოდეს არც ერთ მათგანს მოულოდნელად არ წამოსდგომია თავს. რათა ახალი თხრილიდან ამოღებულ მიწას მეორე თხრილი არ ამოევსო, ისინი ფრთხილად, ცოტ-ცოტად ყრიდნენ ხან დანტესის და ხან აბატის საკნის სარკმლიდან. ამ მიწას მზრუნველობით ფშვნიდნენ და ღამის ქარს უკვალოდ გაჰქონდა შორს.

ერთ წელზე მეტი მოუწია იმ შრომას, რომელიც სატეხით, დანითა და ხის ბერკეტით იყო შესრულებული. მთელი ამ ხნის განმავლობაში აბატი აგრძელებდა დანტესის სწავლებას, ხან ერთ და ხან მეორე ენაზე ელაპარაკებოდა ხალხთა ისტორიებზე და იმ დიდ ადამიანთა ამბებზე, რომელნიც დროდადრო ტოვებენ თავის ბრწყინვალე კვალს, რომელსაც დიდება ეწოდება. გარდა ამისა, ფარია მაღალი საზოგადოების კაცი იყო და თავის ჩვევებში რაღაც სევდიანი დიდებულება ჰქონდა შემორჩენილი. დანტესი თანდაყოლილი მიმბაძველობის წყალობით იძენდა იმ მოხდენილ თავაზიანობას და

არისტოკრატულ ჩვევებს, რაც აკლდა და რასაც ადამიანი ჩვეულებრივად მაღალი წრეების და განათლებული ადამიანების საზოგადოებაში იძენს.

თხუთმეტი თვის შემდეგ გასასვლელის გათხრა დაამთავრეს. დერეფნის ქვეშ ხვრელი მზად იყო. პატიმრებს უკვე ესმოდათ წინ და უკან მიმომავალი გუშაგის ფეხის ხმა. და გაქცევის წარმატებით დასაგვირგვინებლად იძულებულნი იყვნენ ეცადათ უმთვარო, ბნელი ღამისათვის. მათ ერთი რამ აშინებდათ: ვაითუ მიწამ ვერ გაუძლოს და უდროოდ ჩამოწვეს გუშაგის ფეხებქვეშო. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად პატიმრებმა ფილას შეუდგეს პატარა ბოძი, რომელიც საძირკველში იპოვეს.

დანტესი სწორედ ამ ბოძს ამაგრებდა, რომ უეცრად შემოესმა აბატის შეშინებული ხმა. აბატი ამ დროს დანტესის საკანში იყო და თავს უწვეტებდა ლურსმანს, რომელიც თოკის კიბის დასამაგრებლად უნდოდა. მოხუცის ძახილის გაგონებისთანავე დანტესი მასთან გაჩნდა. აბატი საკნის შუაგულში იდგა. ფერი წასვლოდა, შუბლზე ოფლი გადმოსდიოდა და ხელები ნერვიულად მოკრუნჩხოდა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა დანტესმა, — რა მოხდა, რა მოგივიდათ?

— ჩქარა, ჩქარა, ყური მიგდეთ! — უთხრა მან.

დანტესმა შეხედა აბატის უსიცოცხლო სახეს, ჩალურჯებულ თვალებს, გათეთრებულ ტუჩებს, აბურმენილ თმას და შიშისაგან სატეხი გაუვარდა ხელიდან.

— რა ამბავია, რა მოხდა? — წამოიყვირა დანტესმა.

— დავიღუპე, — უპასუხა აბატმა, — მე შემიპყრო საშინელმა ავადმყოფობამ, შესაძლებელია, მომაკვდინებელმაც. საცაა, ბნედა მომივლის. ამას ვგრძნობ. ეს მე უკვე გამოვცადე ერთი წლის წინათ ჩემს დაპატიმრებამდე. ამ უბედურების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, მე დაგისახელებთ მას: გაიქცეთ ჩემთან, ასწიეთ საწოლის ფეხი, ის გამოხვრეტილია, მასში თქვენ ნახავთ პატარა შუშის ჭურჭელს, პირამდე წითელი სითხით სავსეს. მომიტანეთ აქ... თუმცა, არა, არა, მოითმინეთ, შეიძლება აქ მომისწრონ; მომეხმარეთ, სანამ ცოტა ძალა მაინც შემწევს, რომ ჩემთან გადავიდე. ვინ იცის, რა მოხდება და რამდენ ხანს გაგრძელდება შეტევა.

მიუხედავად იმისა, რომ დანტესს დიდი უბედურება დაატყდა თავს, არ დაბნეულა; ხვრელში ჩაძვრა და თან საწყალი აბატი წაათრია. დაუჯერებელი გაჭირვებით მიიყვანა მოხუცი საკნამდე და ლოგინზე დააწვინა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა აბატმა, რომელსაც სხეულის ყოველი ასო ისე უცახცახებდა, თითქოს გაყინული წყლიდან ამოიყვანესო. — აი უბედურება, კატალეჟსია მეწყება; შეიძლება მკვდარივით ვეგდო და ერთი ოხვრაც არ აღმომხდეს, მაგრამ შესაძლებელია, პირზე დუჟი მომადგეს, კრუნჩხვა და ყვირილი დავიწყო. შეეცადეთ, არ გაიგონ ჩემი ყვირილი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თორემ შეიძლება საკანი შემიცვალონ და სამუდამოდ დაგვაშორონ ერთმანეთს. როდესაც თქვენ დაინახავთ, რომ გონება უკვე წამერთვა, გავცივდი და, შეიძლება ითქვას, თითქმის მოკვდი კიდეც, მაშინ, გესმით? მხოლოდ მაშინ შეეცადეთ, კრიჭა გამიხსნათ დანით და პირში ჩამაწვეთოთ 9—10 წვეთი სითხე, რომელიც მაგ პატარა შუშაშია; იქნებ გონს მოვიდე.

— იქნება? — შეჰყვირა დანტესმა ნაღვლიანად.

— მიშველეთ, მიშველეთ! — დაიყვირა აბატმა, — მე... მე ვკვდე...

შეტევა ისე სწრაფად და ძლიერად დაეწყო, რომ საწყალმა პატიმარმა სიტყვის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო. შუბლზე ზღვის ქარიშხალივით სწრაფმა და პირქუშმა ღრუბელმა გადაურბინა. თვალები გადმოკარკლა, ყბები მოელრიცა, ლოყები წამოუწითლდა. ბორგავდა, ღმუოდა, ტუჩებზე დუჟი მოადგა. დანტესმა შეასრულა მისი ბრძანება და საბანი გადააფარა, რათა ხმა ჩაეხშო. ასე გაგრძელდა ორ საათს. ბოლოს

ქვასავით უგრძობმა, მარმარილოსავით ცივმა და თეთრმა, ფეხებქვეშ გათელილი ბალახივით უმწეომ, უკანასკნელად გაიბრძოლა და მიცვალებულივით გაიშოტა.

დანტესი იცდიდა, სანამ ეს დროებითი სიკვდილი მთელ სხეულს დაეუფლებოდა და თვით გულსაც შეაჩერებდა.

შემდეგ დანა აიღო, კბილებს შუა ჩაუდო, კრიჭა ძლივს გაუხსნა და ათი წვეთი წითელი სითხე ჩაასხა. დანტესი ელოდა.

ერთი საათი ისე გავიდა, რომ მოხუცი ოდნავ არ შერხეულა; დანტესი შემინდა, ვაითუ წვეთები დაგვიანებით მივეციო; თმებში ხელი იტაცა და აბატს თვალს არ აცილებდა. ბოლოს აბატს ლოყები ოდნავ შეეფაკლა, გადმოკარკლული და უძრავი თვალებით აზრიანად გადმოიხედა, სუსტი ოხვრა აღმოხდა; ის შეინძრა.

— გადარჩენილია, გადარჩენილია! — შეჰყვირა დანტესმა.

ავადმყოფს ჯერ ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ აშკარად შეშფოთებულმა ხელი კარისაკენ გაიშვირა. დანტესმა ყურები ცქციტა: მას მედილეგეს ფეხის ხმა შემოესმა. უკვე 7 საათი იყო, მაგრამ დანტესს იმის თავი სად ჰქონდა, საათები გამოეთვალა. ხვრელისაკენ ისკუპა, სწრაფად შეძვრა შიგ, ქვემოდან ქვა ამოაფარა და სწრაფად თავის საკანში გაჩნდა. ძალიან ძალე კარი გაიღო და მედილეგეს პატიმარი ჩვეულებრივად ლოგინზე წამომჯდარი დაუხვდა.

მედილეგემ, ის იყო, კარი გაიხურა და მისი ფეხის ხმა ჯერ არც კი იყო შეწყვეტილი, რომ მეგობრის მდგომარეობით შეშფოთებულმა დანტესმა, რომელსაც სადილი არც კი გახსენებია, ქვა ასწია და ისევ აბატის საკანში აღმოჩნდა.

მოხუცი უკვე გონს მოსულიყო, მაგრამ ღონემიხდილი ისევ ლოგინზე იწვა გაუნძრევლად.

— აღარ მეგონა, თუ გნახავდით, — უთხრა მან დანტესს.

— რატომ? — ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა, — ხომ არ გეგონათ, რომ მოკვდებოდით?

— არა, ყველაფერი მზადაა გასაქცევად და, მეგონა, გაიქცეოდით, — უთხრა მან დანტესს.

გულისწყრომამ დანტესს ლოყები წამოუწითლა.

— უთქვენოდ! — შეჰყვირა მან, — ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი საქციელის ჩადენა შემძლია?

— ვხედავ, რომ შევმცდარვარ, — უთხრა აბატმა, — ოჰ, რა დასუსტებული ვარ, მოთენთილი, განადგურებული!

— სიმხნევე გმართებთ, ძალა ისევ დაგიბრუნდებათ, — უთხრა დანტესმა, თან ლოგინზე ჩამოჯდა და ხელები დაუჭირა.

აბატმა თავი გადაიქნია.

— უკანასკნელად, — თქვა მან, — შეტევა ნახევარ საათს გრძელდებოდა, შემდეგ მომშივდა და დაუხმარებლად წამოვდექი. დღეს მარჯვენა ხელი და ფეხი ვეღარ გამინძრევია, თავი დამძიმებული მაქვს, რაც იმას მოწმობს, რომ ტვინში სისხლი უნდა მქონდეს ჩაქცეული. მესამედ თუ მომივიდა ეს შეტევა, მაშინ დამბლა დამეცემა და მოკვდები.

— არა, არა, დამშვიდდით, თქვენ არ მოკვდებით; მესამე შეტევა თქვენ უკვე თავისუფლებაში მოგისწრებთ. მაშინაც გიხსნით, როგორც ახლა და უფრო უკეთესადაც, რადგან ყოველგვარი დამხმარე საშუალება გვექნება.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა მოხუცმა, — თავს ნუ იტყუებთ. ამ შეტევამ მე სამუდამოდ მიმაჯაჭვა ციხეს. გასაქცევად საჭიროა, კაცს სიარული შეეძლოს.

— კარგი! ჩვენ დავიცდით ერთ კვირას, ერთ თვეს, თუ საჭიროა, ორ თვესაც. ამ ხნის განმავლობაში ჯანმრთელობა დაგიბრუნდებათ. გაქცევისათვის ყველაფერი მზად გვაქვს

და ჩვენ თვითონ შეგვიძლია შევარჩიოთ გაქცევის დრო და საათი. როდესაც იგრძნობთ, რომ ცურვა შეგიძლიათ, იმ დღესვე გავიქცევით.

— მე ველარასოდეს ვერ გავცურავ, — უპასუხა ფარიამ, — ამ ხელზე დამბლა დამეცა არა რამდენიმე დღით, არამედ სამუდამოდ. აბა, ასწიეთ, თქვენ თვითონ ნახავთ, როგორი დამძიმებულია.

ყმაწვილმა კაცმა მკლავი აუწია; ისე ქვასავით დავარდა, რომ დანტესს ოხვრა აღმოხდა.

— ახლა ხომ დარწმუნდით, ედმონდ? — უთხრა ფარიამ, — დამიჯერეთ, მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. ჩემი ავადმყოფობის პირველი შეტევისთანავე განუწყვეტლივ ვფიქრობდი ამაზე. მე ამას მოველოდი, რადგან იგი ჩვენ მემკვიდრეობით გვაქვს. მამაჩემი მესამე შეტევამ მოჰკლა, ასევე — პაპაჩემიც. ექიმი, რომელმაც ეს წამალი მომცა, უბრალო ვინმე კი არ გეგონოთ, ცნობილი კაბანისია, მან მეც ასეთივე სიკვდილი მიწინასწარმეტყველა.

— ექიმი შემცდარა, — შესძახა დანტესმა, — დამბლადაცემული რომ ხართ, ეს ხელს არ შეგვიშლის. ზურგზე მოგიკიდებთ და ისე გავცურავ.

— ჩემო ბავშვო, — უთხრა აბატმა, — მეზღვაური ხარ და კარგად უნდა იცოდე, რომ ასეთი ტვირთით კაცი შორს ვერ გაცურავს ზღვაში. თავს ნუ იტყუებთ ცარიელი იმედებით, რომლებიც ძნელი დასაჯერებელია თვით თქვენი კეთილი გულისთვისაც. მე აქ დავრჩები, სანამ არ დაჰკრავს ჩემი განთავისუფლების საათი, ეს კი სხვა არაფერია, გარდა სიკვდილისა. თქვენ გაიქცევით, თავს უშველეთ; ახალგაზრდა, მოხერხებული და ღონიერი ხართ; ჩემზე ნუ სწუხართ, მე გიბრუნებთ თქვენ პატიოსან სიტყვას.

— კარგი, — უთხრა დანტესმა, — მაშინ მეც ვრჩები.

დანტესი წამოდგა და მოხუცს აღზნებით დაადო ხელი — ვფიცავ ქრისტეს სისხლს, სანამ ცოცხალი ხართ, არ დაგტოვებთ!

— ფარია დააკვირდა ყმაწვილ კაცს, ასეთ კეთილშობილს, დიდსულოვანს, ბუნებრივს, და მისი უწმინდესი ერთგულებით შთაგონებულ სახეზე გულწრფელი სიყვარული და ალალ-მართალი ფიცი ამოიკითხა.

— კარგი, თანახმა ვარ, — უთხრა ავადმყოფმა, — გმადლობთ.

და ედმონდს ხელი გაუწოდა.

— შესაძლებელია, — თქვა მან, — თქვენი ასეთი უანგარო ერთგულება ოდესმე დაჯილდოებულ იქნას; ახლა კი, რადგან მე არ შემიძლია, ხოლო თქვენ არ გინდათ აქაურობას გასცილდეთ, აუცილებელია დავხუროთ დერეფანში გასასვლელი. გუშაგმა სიარულის დროს შეიძლება შეამჩნიოს საეჭვო ადგილი და ინსპექტორს გამოუძახოს; მაშინ ყველაფერი გაირკვევა და ჩვენ დაგვაშორებენ. წადით, საქმეს შეუდექით, საუბედუროდ, მე ვერაფერს დაგეხმარებით. მთელი ღამე მოახმარეთ, თუ საჭირო იქნება და ხვალ დილას, ჩამოვლის შემდეგ, ჩემთან მოდით, მეტად მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ.

დანტესმა ხელი ჩამოართვა აბატს, რომელმაც ღიმილით დაამშვიდა იგი. ყმაწვილმა კაცმა მორჩილებითა და მოკრძალებით დატოვა მოხუცი მეგობრის საკანი.

XVIII

აბატი ფარიას განმეული

მეორე დილით, როდესაც დანტესი აბატის საკანში შევიდა, პატიმრობის ამხანაგი ლოგინზე წამომჯდარი დაუხვდა. მოხუცს სახე უკვე დამშვიდებოდა, ვიწრო სარკმლიდან შემოსული მზის სხივის შუქი ეცემოდა ქაღალდის ნაგლეჯს, რომელიც მას მარცხენა ხელში ეჭირა. მარჯვენა ხელს, როგორც მკითხველსაც ეხსომება, იგი უკვე ველარ

ხმარობდა. ქალაღდის ეს ნაგლეჯი, როგორც ჩანდა, კარგა ხნის მანძილზე დახვეული უნდა ყოფილიყო, რადგან ძნელად იშლებოდა.

მან დანტესს ეს ფურცელი ხმის ამოუღებლად უჩვენა.

— რა არის ეს? — ჰკითხა დანტესმა.

— კარგად შეხედეთ, — უთხრა აბატმა ღიმილით.

— ძალიან დაკვირვებით ვუყურებ, — უპასუხა დანტესმა, — მაგრამ ნახევრამდე დამწვარი ქალაღდის გარდა, რომელზედაც რაღაც უცნაური მეღნიტ დაწერილი გოთური ასოებია, სხვა ვერაფერს ვხედავ.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა ფარიამ, — ახლა, როდესაც უკვე გამოგცადეთ, შემიძლია გამოგიტყდეთ, რომ ეს ქალაღდი ჩემი საგანძურია და დღეიდან ამ საგანძურის ნახევარი თქვენ გეკუთვნით.

დანტესს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. დღემდე იგი ყოველთვის გაურბოდა ფარიასთან ლაპარაკს ამ საგანძურზე, რომლის გამოც საწყალი აბატი გიჟად ჰყავდათ მიღებული. თანდაყოლილი ზრდილობა დანტესს უფლებას არ აძლევდა შეხებოდა ამ მტკივნეულ ადგილს; თავის მხრივ ფარიაც დუმდა. დანტესმა მოხუცის სიჩუმე მისი მოჭკვიანების ნიშნად მიიჩნია. .დღეს კი, ისეთი მძიმე შეტევის შემდეგ, ეს სიტყვები, ხელმეორედ შეშლაზე მეტყველებდნენ.

— თქვენი განძეული? — ჩაიჩურჩულა დანტესმა.

— დიახ, — თქვა მან, — თქვენ, ედმონდ, კეთილშობილი გული გაქვთ. ისე გაფითრდით და თრთით, რომ მივხვდი, რას განიცდით ამ წუტში. დამშვიდდით, დანტეს, მე გიჟი არა ვარ. ეს განძეული არსებობს, და თუ მე არ მეწერა მისი მფლობელი ვყოფილიყავ, თქვენ მაინც მოგიწევთ მისი მოძიება. გიჟად მთვლიდნენ და ამიტომ არც ყურს მიგდებდნენ და არც სჯეროდათ, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ შეშლილი არა ვარ; მომისმინეთ და მერე გინდათ მერწმუნეთ, გინდათ — არა.

«ეჰ! — ჩაიჩურჩულა ედმონდმა, — ისევე აურია. ეს უბედურებალა მაკლდა».

შემდეგ აბატს ხმამაღლა მიმართა:

— ჩემო მეგობარო, შეტევამ, როგორც ჩანს, დაგასუსტათ, ცოტას ხომ არ შეისვენებდით? თუ გნებავთ, ხვალ მოგისმენთ, დღეს კი მინდა მოგიაროთ; გარდა ამისა, — განაგრძო მან ღიმილით, — განძეული ჩემთვის არც ისე სასწრაფო უნდა იყოს.

— ძალიან სასწრაფოა, ედმონდ! — უპასუხა მოხუცმა, — ვინ იცის, ხვალ, ზეგ, ან მაზეგ მესამე შეტევა დამეწყოს, მაშინ ყველაფერს ბოლო მოეღება. მართალია, მე ხშირად ნაღველნარევი სიხარულით მიფიქრია ამ სიმდიდრეზე, რომელიც ათ ოჯახს მაინც გააბედნიერებდა და ახლა დაკარგულია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მე მდევნიდნენ. ეს აზრი იყო ჩემი შურისძიება, ის მანუგემებდა ბნელ საკანში და პატიმრობის სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ახლა, როდესაც თქვენი სიყვარულის გამო მთელ ქვეყანას ვაპატიე, ახლა, როდესაც თქვენში სიხალგაზრდავესა და მომავალს ვხედავ, როდესაც ვფიქრობ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს საიდუმლოებას თქვენი ბედნიერებისათვის, ვშიშობ, დავაგვიანო, ვშიშობ თქვენისთანა ღირსეულ მფლობელს დავაკარგვინო სიმდიდრე, რომელიც მიწაშია ჩამარხული.

ედმონდმა თავი მიაბრუნა და ამოიოხრა.

— ედმონდ, თქვენ, ვგონებ, კიდევ არ გჯერათ, — განაგრძო აბატმა, — ჩემმა ლაპარაკმა, ვატყობ, ვერ დაგარწმუნათ. მე ვხედავ, რომ თქვენთვის საჭიროა დამამტკიცებელი საბუტები. კარგი, წაიკითხეთ სტრიქონები, რომლებიც არავისთვის არ მიჩვენებია.

— ხვალ, ჩემო მეგობარო, — უთხრა დანტესმა, რომელმაც ვერ შეძლო, დაჰყოლოდა მოხუცის სიგიჟეს, — ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ამაზე ხვალ ვილაპარაკებთ.

— მოვილაპარაკოთ ხვალ, მაგრამ დღეს ეს ქალაქი წაიკითხეთ.
«საჭირო არაა მისი აღელვება», — გაიფიქრა დანტესმა და, ალბათ, რაღაცა შემთხვევის გამო ნახევრად დამწვარი ქალაქი ხელში აიღო და წაიკითხა:

*ორი ნაპრალია, განძეული ჩამარხულია მე
ზე შორეულ კუთხეში. ამ განძეულს მე
მთლიან სარგებლობაში, როგორც ჩემს ერთადერთ მემკვიდრეს.
25 აპრილი 149
ჩეზ*

— ახლა რას იტყვი? — ჰკითხა ფარიამ, როდესაც დანტესმა კითხვა დაამთავრა.

— აქ მე მხოლოდ დაუმთავრებელ სტრიქონებს და შეუკავშირებელ სიტყვებს ვხედავ, — უპასუხა დანტესმა. — ქალაქის ნახევარი დამწვარია და აზრი გაუგებარი.

— ეგ თქვენთვის, ჩემო მეგობარო, რადგან პირველად კითხულობთ, და არა ჩემთვის, რომელსაც ამ ქალაქის ნაგლეჯზე, ვინ იცის, რამდენი ღამე გამითენებია, რათა აღმედგინა თითოეული წინადადება, თითოეული აზრი.

— და თქვენ გგონიათ, აღადგინეთ დაკარგული აზრი?

— დარწმუნებული ვარ, თქვენ თვითონ განსაჯეთ; მაგრამ ჯერ ამ ქალაქის ისტორიას გაგაცნობთ.

— ჩუმად! — შეჰყვირა დანტესმა, — ფეხის ხმა... გვიახლოვდებიან? გავრბივარ... ნახვამდის!

დანტესი, იმით გახარებული, რომ გაუსხლტა ამბის მოსმენასა და ახსნა-განმარტებას, რაც მას მხოლოდ მეგობრის შემლილობას თუ დაუმტკიცებდა, გველივით გაძვრა მიწისქვეშა ხვრელში, შეშინებულმა ფარიამ კი უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ფილას ფეხი ჰკრა და ზედ ნეჭა გადააფარა, რათა არ შეენიშნათ ჭუჭყრუტანები, რომლებზედაც მიწის მიყრა ვერ მოასწრო.

ეს იყო ციხის უფროსი. გაეგო ფარიას ავადმყოფობა და იმის გასაგებად, თუ რამდენად სერიოზული მდგომარეობა იყო, თვითონ მოვიდა პატიმრის სანახავად.

ფარიამ დამჯდარმა მიიღო იგი. თან ყოველგვარ უხერხულ მოძრაობას გაურბოდა და შემლო, ციხის უფროსისათვის დაემალა, რომ სხეულის მთელი მარჯვენა მხარე დადამბლავებული ჰქონდა. ფარია შიშობდა ციხის უფროსს არ შებრალებოდა იგი და არ გადაეყვანა უფრო ნათელ საკანში, რითაც დააშორებდა თავის ახალგაზრდა ამხანაგს. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. ციხის უფროსმა საკანი დატოვა, დარწმუნებულმა, რომ საწყალი შემლილი, რომელიც გულის სიღრმეში რამდენადმე ეცოდებოდა კიდევაც, უქეიფოდ იყო.

ამ ხნის განმავლობაში დანტესი ლოგინზე იჯდა. თავი ხელებში ჩაერგო და ცდილობდა, აზრები მოეკრიბა. მას შემდეგ, რაც ფარიას გაეცნო, მასში მხოლოდ ნათელ გონებას, ღრმა აზრებს და ლოგიკურ თანმიმდევრულ მსჯელობებს ხედავდა. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეეძლო ერთ რამეში სიგიჟე გამოეჩინა ადამიანს, რომელიც ყოველმხრივ უდიდეს სიბრძნეს იჩენდა. ვინ ცდებოდა: ფარია, რომელსაც თავისი თავი განძეულის მფლობელად მიაჩნდა, თუ ხალხი, ვინც ფარიას შემლილად თვლიდა?

დანტესი მთელი დღე თავის საკანში იჯდა და მეგობართან დაბრუნება ვერ გაებედა. ცდილობდა ის საშინელი წუთები, როცა ფარიას სიგიჟეში დარწმუნდებოდა, თავიდან აეცილებინა. ფარია შემლილი? — ეს მისთვის მეტად შემზარავი აზრი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ რაკი საღამოთი, ჩვეულებრივად მედილეგეს ჩამოვლის შემდეგ ფარიამ დაინახა, რომ ყმაწვილი კაცი აღარ მოდიოდა, თვითონ შეეცადა გადაელახა ის ზღუდე,

რომელიც მათ აცილებდა. ედმონდმა გაიგონა ხმაური და შეკრთა. მან წარმოიდგინა, თუ რა მტკივნეული უნდა ყოფილიყო ნახევრად დამბლადაცემული მოხუცისათვის მიწისქვეშა ხვრელში გამოფოფხვა. ედმონდი იძულებული შეიქნა, თვითონ შემოეთრია მოხუცი, რადგან იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა იმ ვიწრო გასასვლელში გამოძვრომას, რომელიც დანტესის საკანში შედიოდა.

— ხომ ხედავთ, როგორი გააფთრებით გდევნით, — უთხრა ფარიამ ალერსიანი ღიმილით, — თქვენ გინდათ, თავი დააღწიოთ ჩემს გულუხვობას, მაგრამ ეს არ გამოგივათ. მაშ, მისმინეთ.

ედმონდმა დაინახა, რომ უკვე ველარაფერს გააწყობდა და მოხუცი თავის ლოგინზე დასვა, თვითონაც მის გვერდით, ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— თქვენ იცით, — უთხრა აბატმა, — რომ მე ვიყავი კარდინალ სპადას, ამ უძველესი გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის მდივანი, ახლობელი და მეგობარი. რაც კი ცხოვრებაში ბედნიერება შევიგრძენი, ამ კაცს უნდა ვუმაღლოდე. ის არ იყო მდიდარი, თუმცა მათი საგვარეულო სიმდიდრე ხალხს სალაპარაკოდ გაეხადა. და მე ხშირად გამიგონია: «მდიდარი, როგორც სპადა». მაგრამ როგორც იგი, ისე ეს ხმაც ამ ყბადაღებულ სიმდიდრის ხარჯზე იკვებებოდნენ. მისი სასახლე ჩემთვის სამოთხე იყო. მე ვასწავლიდი მის ძმისწულებს, რომლებიც შემდეგ დაიხოცნენ. და როდესაც კარდინალი ამქვეყნად მარტოდ-მარტო დარჩა, უალრესად თავდადებული ერთგულებით გადავუხადე სამაგიერო ყოველივე იმისათვის, რაც მან ჩემთვის ათი წლის განმავლობაში გააკეთა.

კარდინალის სახლში ჩემგან დაფარული არაფერი იყო. ხშირად მინახავს, როგორ გულმოდგინედ ფურცლავდა ძველ წიგნებს და ხარბად სინჯავდა დამტვერიანებულ საგვარეულო ხელნაწერებს. ერთხელ, როდესაც ვუსაყვედურე, უსარგებლოდ ათენებთ ღამეებს და იქანცებით-მეთქი, მან მწარე ღიმილით შემომხედა და ქალაქ რომის ისტორია გადამიშალა. ამ წიგნის მეოცე თავში პაპი ალექსანდრე VI ცხოვრების აღწერაა. მე წავიკითხე სტრიქონები, რომლებიც არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან:

«ლაშქრობა რომანიაში დამთავრდა, ჩეზარე ბორჯიამ დაასრულა თავისი დაპყრობითი ომები და იტალიის მთლიანად შესასყიდად ფული სჭირდებოდა. პაპსაც სჭირდებოდა ფული, რათა საბოლოოდ გასწორებოდა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო მეთორმეტეს, რომელიც, დამარცხების მიუხედავად, ჯერ კიდევ საკმაოდ მრისხანე მტერი იყო. საჭირო გახდა რაიმე ხელსაყრელი საქმის მოგვარება, რაც არც ისე ადვილი იყო გადატაკებულსა და აოხრებულ იტალიაში.

«მის ყოვლად უწმინდესობას თავში ერთი აზრი მოუვიდა — გადაწყვიტა, ორი ახალი კარდინალი დაენიშნა.

«რომის ორი დიდი წარჩინებული და ისიც მდიდარი პირის არჩევა წმინდა მამას შემდეგ მოგებას აძლევდა: ჯერ ერთი, საშუალება ეძლეოდა, გაეყიდა მომგებიანი ადგილები და მაღალი თანამდებობები, რომლებიც მომავალ კარდინალებს ეკავათ; მეორე, შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ორი საკარდინალო ქუდის გაყიდვით საკმაოდ დიდ თანხას მიიღებდა.

«რჩებოდა საქმის მესამე მხარე, რომელსაც ჩვენ მალე გავიგებთ.

«პაპმა და ჩეზარე ბორჯიამ შეარჩიეს ორი მომავალი კარდინალი: ესენი იყვნენ ჯოვანი როსპილიოზი, რომელსაც ოთხი მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირა მისი უწმინდესობის სამსახურში და ჩეზარე სპადა — რომის ყველაზე კეთილშობილი და მდიდარი დიდებული. ერთიცა და მეორეც დიდად აფასებდნენ პაპის წყალობას. ორივენი პატივმოყვარეები იყვნენ. ჩეზარე ბორჯიამ მალე იპოვა მათი თანამდებობის შემსყიდველები.

«როსპილიოზიმ და სპადამ ფული გადაიხადეს კარდინალობისათვის, მათ გარდა კიდევ რვა კაცმა გადაიხადა ფული იმ თანამდებობათა მისაღებად, რომლებიც ამ ახალ კარდინალებს ექირათ წინათ. ამრიგად, ხელმარჯვე სპეკულანტების სკივრებში რვაასი ათასი რომაული ეკიუ შევიდა.

«უკვე დროა, ამ საქმის მესამე მხარეზე გადავიდეთ. პაპი მიეფერა როსპილიოზისა და სპადას, მათ კარდინალის ნიშნები მისცა. იცოდა, რომ მეტად საგულისხმო მადლიერების ვალის გადასახდელად და რომში საცხოვრებლად ისინი ფულად აქცევდნენ თავიანთ ქონებას, ამიტომ, ჩეზარე ბორჯიასთან შეთანხმებით, ორივე კარდინალი სადილზე მიიწვია.

«ამ საკითხზე წმინდა მამასა და მის ვაჟს შორის კამათი ატყდა. ჩეზარეს აზრით, უნდა გამოეყენებინათ ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც მას თავისი უახლოესი მეგობრებისათვის ყოველთვის მზად ჰქონდა. ერთი იყო ცნობილი გასაღები, რომლითაც ხან ერთს, ხან მეორეს რომელიღაც კარადის გაღებას სთხოვდნენ. გასაღებს ვითომდა ხელოსნის დაუდევრობის გამო სულ შეუმჩნეველი პატარა კბილანა ჰქონდა და ამიტომ ძნელად ტრიალდებოდა კლიტეში. ვინც კი ამ გასაღებით კარადის გაღებას შეეცდებოდა, მაშინვე თითზე კბილანის ჩხვლეტას იგრძნობდა და მეორე დღეს ამ ქვეყანას გამოეთხოვებოდა. არსებობდა კიდევ ლომისთავიანი ბეჭედი. ჩეზარე მას თითზე მხოლოდ მაშინ იკეთებდა, როდესაც ხელი უნდა ჩამოერთმია ამა თუ იმ პიროვნებისათვის. ლომის თავი არჩეული ადამიანის კანში იჭრებოდა და ოცდაოთხი საათის განმავლობაში საუკუნო ძილით აძინებდა.

«ამგვარად, ჩეზარე ბორჯიამ თავის მამას შესთავაზა, ან ორივე კარდინალი კარადის გასაღებად გაეგზავნათ, ან მას ორივესათვის მეგობრულად ჩამოერთმია ხელი. მაგრამ ალექსანდრე VI უპასუხა:

— სადილს ნუ დავინანებთ მშვენიერი კარდინალებისა — სპადასა და როსპილიოზისთვის. გული მითქვამს, რომ ამ ხარჯს ავინაზღაურებთ. გარდა ამისა, თქვენ გავიწყდებათ, ჩეზარე, რომ კუჭის მოუნელებლობა შედეგს მაშინვე იძლევა, ხოლო ნაჩხვლეტი ან ნაკბენი — ერთი ან ორი დღის შემდეგ.

«ჩეზარე დათანხმდა ასეთ მსჯელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ორივე კარდინალი სადილზე მიიწვიეს.

«სუფრა გაშალეს პაპის ვენახებში, რომლებსაც იგი ფლობდა სან-პიეტრო-ინ-ვინკოლის ახლოს, მომხიბვლელ ადგილას, რომელსაც კარდინალები მხოლოდ სხვების ნათქვამით იცნობდნენ.

«ახალი თანამდებობით აღფრთოვანებულმა როსპილიოზიმ სტომაქი კარგი სადილისათვის განაწყო და წვეულებაზე მეტად მხიარული სახით გამოცხადდა. სპადა ფრთხილი კაცი იყო. ძალიან უყვარდა თავისი ძმისწული, ახალგაზრდა ოფიცერი, ბრწყინვალე მომავლის მქონე. იგი დაჯდა, ქალაქი აიღო, კალამი მოიმარჯვა და ანდერძი დაწერა. შემდეგ თავის ძმისწულთან მსახური გაგზავნა გასაფრთხილებლად, რომ ვენახებთან დახვედროდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსახურმა ვერ ნახა იგი.

«სპადამ იცოდა, რას ნიშნავდა სადილზე მიპატიჟება. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ — ამ უზენაესი ცივილიზაციის ძალამ — რომში გაიმარჯვა, უკვე ცენტურიონი კი აღარ მოდიოდა მტარვალის გამოგზავნილი უწყებით: «ცეზარს სურს, რომ შენ მოკვდე», არამედ პაპის წარმოგზავნილი ლეგატი ღიმილით ამბობდა: «მის ყოვლად უწმინდესობას სურს, რომ თქვენ მასთან ისადილოთ».

«დღის ორ საათზე სპადა სან-პიეტრო-ინ-ვინკოლის ვენახებისაკენ წავიდა; პაპი უკვე უცდიდა მას. პირველი, ვინც კარდინალმა შენიშნა, ეს იყო მისი ძმისწული, მორთულ-მოკაზმული და მხიარული. ჩეზარე ბორჯიას უკვე მოესწრო მიაღერებდა. სპადა

გაფითრდა; ჩეზარემ ირონიულად გადახედა სპადას, რითაც აგრძნობინა — ყველაფერი წინასწარ გავითვალისწინე და ხაფანგში მოგამწყვდიეო.

«სადილზე სპადამ მხოლოდ ერთი რამ ჰკითხა თავის ძმისწულს: «ნახეთ ჩემი ელჩი?» ძმისწულმა უპასუხა, არ მინახავსო; მას კარგად ესმოდა ამ შეკითხვის აზრი, მაგრამ უკვე გვიან იყო: უკვე მოესწროთ გადაკვრა ერთი ჭიქა მშვენიერი ღვინისა, რომელიც პაპის მერიქიფემ დაუსხა.

«თითქმის იმ წუთშივე სპადამ დაინახა კიდეც ერთი ბოთლი, რომლითაც მას უხვად გაუმასპინძლდნენ. ერთი საათის შემდეგ ექიმმა გამოაცხადა, ბიძაცა და ძმისწულიც ხარისფაშვა სოკომ მოწამლაო. სპადამ ვენახის შესასვლელში განუტევა სული, ძმისწულმა კი თავისი სახლის კართან. მან თავის ცოლს რაღაცა ანიშნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფერი გაუგო.

«ჩეზარე და პაპი მაშინვე დაეპატრონნენ მემკვიდრეობას იმ საბაბით, რომ საჭიროა მიცვალებულთა ქალაქების გადასინჯვაო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი მემკვიდრეობა შედგებოდა ერთი ფურცელი ქალაქისაგან, რომელზედაც სპადას შემდეგი სტრიქონები დაეწერა: «ჩემს საყვარელ ძმისწულს მე ანდერძად ვუტოვებ ჩემს სკივრებს და წიგნებს, რომელთა შორის არის ოქროსკუთხეებიანი ლოცვანი; დე, შეინახოს მისი მოყვარული ბიძის სამსახსოვროდ».

«მემკვიდრეებმა ყველაფერი გადაქექეს, აღფრთოვანებით დაათვალიერეს ლოცვანი, ხელთ იგდეს ავეჯი და გაცობილი დარჩნენ, რომ მდიდარი სპადა სინამდვილეში ბიძათა შორის ყველაზე უღარიბესი აღმოჩნდა: ვერავითარი განძეული ვერ იპოვეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიბლიოთეკაში და ლაბორატორიებში ჩაკეტილ მეცნიერების განძეულს.

«ეს იყო და ეს. ჩეზარე და მისი მამა ეძებდნენ, ყველაფერს ქექავდნენ, ჯამუშებიც კი გაიჩინეს, იქნებ ვინმეს რამე წამოვაცდენინოთო, მაგრამ ძალიან ცოტა რამ დააგროვეს: დაახლოებით, ათასი რომაული ეკიუს ოქრო-ვერცხლის ნივთები და ამდენივე ნაღდი ფული. ძმისწულს სახლში დაბრუნებისას მოესწრო ცოლისათვის ეთქვა: «ეძებეთ ბიძაჩემის ქალაქებში, ნამდვილი ანდერძი იქ იქნება». ოჯახის წევრებმა უფრო მეტი მონდომებით დაიწყეს ძებნა, შესაძლებელია, კიდეც უფრო მეტი მონდომებით, ვიდრე მმართველმა მემკვიდრეებმა. ყველაფერი ამაო გამოდგა, მათ დარჩათ მხოლოდ ორი სასახლე და ვენახი პალატინის უკან. იმ დროს უძრავი ქონება ძვირად არ ფასობდა, ამიტომ ეს ორი სასახლეცა და ვენახიც, როგორც მეტად უმნიშვნელო პაპისა და მისი ვაჟიშვილის მტაცებლური ბუნებისთვის, ოჯახს დარჩა.

«გავიდა თვეები, წლები. ალექსანდრე VI მოკვდა, როგორც ცნობილია, საწამლაკით, რომელიც მან შეცდომით დალია. ჩეზარე მასთან ერთად მოიწამლა, მაგრამ სიკვდილს თავი იმით დააღწია, რომ გველივით კანი გამოიცვალა და შეიმოსა, ახლით, რომელზედაც შხამმა ვეფხვის ტყავის მსგავსი წინწკლები დაუტოვა. ბოლოს იძულებული გახდა, რომი დაეტოვებინა და ღამის რომელიღაც შეტაკების დროს დაიღუპა უსახელოდ, ისტორიისაგან თითქმის მივიწყებული.

«პაპის სიკვდილისა და მისი შვილის განდევნის შემდეგ ყველა მოელოდა, რომ სპადას გვარი კვლავ ფეხზე წამოდგებოდა და ისევე კარგად იცხოვრებდა, როგორც კარდინალ სპადას დროს, მაგრამ ასე არ მომხდარა. სპადები ცხოვრობდნენ საეჭვო ულუფით, სამუდამო საიდუმლოებით იყო მოცული ეს საქმე. ხალხმა გადაწყვიტა, რომ ჩეზარემ, რომელიც მამაზე უფრო მოხერხებული პოლიტიკოსი იყო, პაპს გამოსტყუა ორივე კარდინალის სიმდიდრეო; ორივესიო, ვამბობთ იმიტომ, რომ კარდინალი როსპილიოზი, რომელსაც წინასწარ არავითარი ზომები არ მიეღო, სულ მთლად გაძარცულ იქნა».

— აქამდე, — თქვა ღიმილით ფარიამ და თხრობა შეწყვიტა, — სულელური ხომ არაფერი მითქვამს?

— ოჰ, არა, ჩემო მეგობარო, — უპასუხა დანტესმა, — პირიქით, ასე მგონია, მეტად საინტერესო მატიანეს ვკითხულობ-მეთქი, გთხოვთ განაგრძოთ.

— განვაგრძობ:

«სპადები მიეჩვივნენ ასეთ ჩრდილში ყოფნას. გავიდა წლები. მათ შთამომავალთა შორის იყვნენ სამხედროები, დიპლომატები, ზოგიერთებმა მიიღეს სასულიერო წოდება, ზოგიერთები ბანკირები გახდნენ. ერთნი გამდიდრდნენ, მეორენი სულ გაღატაკდნენ. უკვე მივედი ამ გვარის უკანასკნელ წარმომადგენლამდე, გრაფ სპადამდე, ვისთანაც მე მდივნად ვმსახურობდი.

«ძალიან ხშირად გამიგონია, როგორ ჩიოდა გრაფი სპადა, ეს ჩემი ქონება სრულებით შეუფერებელია ჩემი მდგომარეობისათვის. მე ვურჩიე, რაც კი რამ ებადა, მუდმივ რენტაში დაეზანდებინა. მან დაიჯერა ჩემი რჩევა და ამით ორჯერ გაზარდა თავისი შემოსავალი.

«სახელგანთქმული ლოცვანი ოჯახში დარჩა და ახლა მას გრაფი სპადა ფლობდა. ეს ლოცვანი მამიდან შვილზე გადადიოდა, რადგან ერთადერთი აღმოჩენილი ანდერძის იდუმალი მუხლის წყალობით ოჯახისათვის თავისებურ სიწმინდეს წარმოადგენდა და უზენაესი მოწიწებით ინახებოდა. ეს ლოცვანი ულამაზესი გოთური მინიატურებით იყო შემკული და ისე დამძიმებული ოქროს სამკაულებით, რომ დღესასწაულებში მსახურს კარდინალის წინ მიჰქონდა.

«კარდინალის მოწამვლის შემდეგ საოჯახო არქივში შენახული სხვადასხვა საბუთის, აქტის, ხელშეკრულებისა და პერგამენტის დანახვაზე მეც, ჩემი მხრივ, დავიწყე ამ ქალღმერთა დიდი შეკვრების გადასინჯვა. ასე იქცეოდა ჩემამდე ოცი მსახური, ოცი მმართველი, ოცი მდივანი. მიუხედავად იმისა, რომ მოთმინებითა და გულდადებით ვეძებდი, ვერაფერი აღმოვაჩინე, თუმცა ამასობაში ბევრს ვკითხულობდი და დავწერე ბორჯიას გვარის დაწვრილებითი, თითქმის ყოველდღიური ცხოვრების ისტორია. ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ გამეგო, ხომ არ გაიზარდა ამ ოჯახის სიმდიდრე ჩემი ჩეზარე სპადას გარდაცვალების შემდეგ-მეთქი, მაგრამ შევამჩნიე, რომ ეს სიმდიდრე შეივსო მხოლოდ სპადას უბედურების თანამონაწილის, კარდინალ როსპილიოზის ქონებით.

«მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ სპადას მემკვიდრეობით არ უსარგებლია არც მის ოჯახს და არც ბორჯიას, რომ ეს მემკვიდრეობა უპატრონოდ იყო დარჩენილი, როგორც არაბულ ზღაპრებშია მიწის ქვეშ შენახული საგანძურები, რომლებსაც გენიები დარაჯობენ. მე ვსწავლობდი, ვანგარიშობდი, ათასჯერ მაინც ვამოწმებდი სპადას ოჯახის გასავალს სამასი წლის მანძილზე, ყველაფერი ამაო იყო. ისევ გაურკვეველობაში ვრჩებოდი, ხოლო გრაფი სპადა — სიღარიბეში.

«ჩემი მფარველი გარდაიცვალა. მან თავისი ქონება დააბანდა მუდმივ რენტაში, თავისთვის დაიტოვა საოჯახო არქივი, ხუთიათასწიგნიანი ბიბლიოთეკა და ის სახელგანთქმული ლოცვანი. ყველაფერი ეს შემდეგ მე დამიტოვა ანდერძად. გარდა ამისა, მიანდერძა ნაღდი ფული — ათასი რომაული ეკიუ იმ პირობით, რომ ყოველ წელს მეწირვებინა მისი სულის მოსახსენებლად, შემედგინა მისი გენეალოგიური შტო და მისი გვარის ისტორია, რაც ზუსტად შევასრულე».

— მოთმინება იქონიეთ, ჩემო ძვირფასო ედმონდ, მალე დავამთავრებ.

«1807 წელს, ჩემს დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე და გრაფი სპადას გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდეგ, ესე იგი 25 დეკემბერს (თქვენ ახლავე გამიგებთ, ეს რიცხვი რატომ ჩამრჩა მეხსიერებაში), უკვე მეთათსეჯერ ვკითხულობდი ქალღმერთს,

რომელთაც ვაწესრიგებდი. სასახლე უკვე გაყიდული იყო და მეც ვემზადებოდი საცხოვრებლად რომიდან ფლორენციაში გადასასვლელად. თან უნდა გადამეტანა მთელი ჩემი ქონება: 12 ათასი ლივრი, ბიბლიოთეკა და ცნობილი ლოცვანი. ეტყობა, დამღალა ასეთმა გულმოდგინე მუშაობამ, გარდა ამისა, მეტად ნოყიერმა სადილმა მაგრძნობინა ერთგვარი მოდუნება, თავი ხელეხს და ვაყრდნე და დამეძინა. ნაშუადღევს სამი საათი იყო.

«როდესაც გამეღვიძა, საათმა ექვსი დაჰკრა. თავი ავწიე, ირგვლივ წყვდიადი იდგა. მე დავრეკე, რომ სანთელი მოეტანათ, მაგრამ არავინ შემოვიდა. მაშინ გადავწყვიტე, თვითონ მოვმსახურებოდი საკუთარ თავს. გარდა ამისა, საჭირო იყო შევგუებოდი ფილოსოფოსის ცხოვრების პირობებს. ერთი ხელით ავიღე გამზადებული სანთელი, მეორე ხელით, რაკი კოლოფში ასანთის ღერები არ აღმოჩნდა, უბრალო ქაღალდს დავუწყე ძებნა, რომ ბუხარში მომეკიდებინა, სადაც ცეცხლი ჯერ კიდევ ციმციმებდა. ვფრთხილობდი, მეშინოდა, უსარგებლო ნაგლეჯი ქაღალდის მაგიერ რაიმე საჭირო საბუთი არ დამეწვა. უცებ მომაგონდა, რომ ცნობილ ლოცვანში, რომელიც იქვე, ჩემს მაგიდაზე იდო, სანიშნოს მაგივრად ჩადებული იყო ჩაყვითლებული ფურცელი, მემკვიდრეობის მიერ ასე მოწიწებით შენახული. თითებით მოვსინჯე ეს უვარგისი ფურცელი, შემდეგ მოვხიე, მოვჭმუჭნე და ცეცხლთან მივიტანე. უცებ, თითქოს რაღაცა ჯადოსნურმა ძალამ იმოქმედაო, დავინახე, როგორ მკვეთრად ემჩნეოდა თეთრ ქაღალდზე მოყვითალო ასოები, თანდათან, რაც უფრო ემატებოდა ცეცხლი. შიშმა შემიპყრო, ქაღალდი ხელში დავსრისე, ცეცხლი ჩავაქრე და სანთელი პირდაპირ ბუხარში ავანთე. გამოუთქმელი აღელვებით გავასწორე დაჭმუჭნილი ქაღალდი და დავრწმუნდი, რომ ეს სტრიქონები დაწერილი იყო სიმპატიკური მელნით და სტრიქონები გამოვლინდნენ მხოლოდ მაღალი სიმზურვალის დროს. ქაღალდის თითქმის მესამედი ნაწილი დამწვარი იყო; ეს ის ქაღალდი გახლავთ, რომელიც თქვენ ამ დილით წაიკითხეთ. დანტეს! ისევ გადაიკითხეთ იგი და როცა წაიკითხავთ, მე შეგივსებთ დაუმთავრებელ წინადადებებსა და აზრებს.

ფარიამ ქაღალდი აღფრთოვანებით გაუწოდა დანტესს, რომელმაც ამჯერად ხარზად წაიკითხა მოწითალო, ჟანგისფერი მელნით დაწერილი შემდეგი სტრიქონები:

1498 წლის 25 აპრილს მიწ

ალექსანდრე VI მიერ, და ვშიშობდი რა, რომ უკმა მოისურვებს ჩემს მემკვიდრედ გახდომას და მო და ბენტევილიოს ხვედრს, რომლებიც საწამლავმა დახ ერთადერთ მემკვიდრეს, რომ მე ჩავმარ იგი ერთხელ თან წავიყვანე) ანუ მონტე-კრისტოს მღვიმეებში, ყველაფერი, რასაც ვფლ მარგალიტი, ბრილიანტები, ძვირფასეულობა: რომ მარტო

შეიძლება მიაღწიოს დაახლოებით ორ მილიონ იპოვნის მცირე კლდის ქვეშ, თუ ჯვნივ პირდაპირი ხაზით წავა. ამ ორი ნაპრალია, განძეული ჩამარხულია მე ზე შორეულ კუთხეში. ამ განძეულს მე მთლიან სარგებლობაში, როგორც ჩემს ერთადერთ მემკვიდრეს.

25 აპრილი 149

ჩეზ

— ახლა კი, — უთხრა აბატმა, — წაიკითხეთ ეს მეორე ქალაღი.

დანტესმა აიღო და წაიკითხა:

ვეული ვიყავი რა მისი უწმინდებულებობის
ყოფილიყო კარდინალის ქუდისთვის მირთმეული ქრთამით
მიმზადებს კარდინალების კაპარას
ოცა. მე ვუცხადებ ჩემს ძმისწულს გვიდო სპადას, ჩემს
ხე მისთვის ცნობილ ადგილზე (სადაც
პატარა კუნძულ
ობდი: ოქროს ზოდები, ფულები, თვალ
მე ვიცი ამ განძეულის არსებობა, რომელმაც
რომაულ ეკიუმდე, და რომ ის მას
აღმოსავლეთის პატარა ყურედან მარ
მღვიმეში
ორე ნაპრალის ყველა
მას ანდერძად ვუტოვებ და ვაძლევ
8 წელი
არე სპადა.

ფარია მას აღზნებული თვალებით შესცქეროდა.

— ახლა, — თქვა მან, როდესაც დაინახა, დანტესი უკანასკნელ სტრიქონებს
კითხულობდა, — შეაერთეთ ქალაღის ეს ორი ნაგლეჯი და შემდეგ თქვენ თვითონ
განსაჯეთ.

დანტესმა დაუჯერა, შეერთებული ქალაღებიდან გამოვიდა შემდეგი:

1498 წლის 25 აპრილს მიწ... ვეული ვიყავი რა მისი უწმინდებულებობის ალექსანდრე
VI მიერ, და ვშიშობდი რა რომ უკმა... ყოფილო კარდინალის ქუდისთვის მირთმეული
ქრთამით, მოისურვებს ჩემს მემკვიდრედ გახდომას და მო... მიმზადებს კარდინალების
კაპარას და ბენტევილიოს ხვედრს, რომლებიც საწამლავმა დახ... ოცა. მე ვუცხადებ ჩემს
ძმისწულს გვიდო სპადას, ჩემს ერთადერთ მემკვიდრეს, რომ მე ჩავმარ... ხე მისთვის
ცნობილ ადგილზე (სადაც იგი ერთხელ თან წავიყვანე), ანუ... პატარა კუნძულ მონტე-
კრისტოს მღვიმეებში, ყველაფერი, რასაც ვფლ... ობდი: ოქროს ზოდები, ფულები, თვალ...
მარგალიტი, ბრილიანტები, ძვირფასეულობა; რომ მარტო... მე ვიცი ამ განძეულის
არსებობა, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს დაახლოებით ორ მილიონ... რომაულ ეკიუმდე,
და რომ ის მას იპოვის მცირე კლდის ქვეშ, თუ... აღმოსავლეთის პატარა ყურედან
მარჯვნივ პირდაპირი ხაზით წავა. ამ... მღვიმეში ორი ნაპრალია, განძეული ჩამარხულია
მე... ორე ნაპრალის ყველა... ზე შორეულ კუთხეში. ამ განძეულს მე... მას ანდერძად
ვუტოვებ და ვაძლევ მთლიან სარგებლობაში, როგორც ჩემს ერთადერთ მემკვიდრეს.

25 აპრილი 149...8 წელი

ჩეზ...არე სპადა.

— მაშ ასე, ახლა ხვდებით თუ არა? — ჰკითხა ფარიამ.

— ეს არის კარდინალ სპადას განცხადება და ანდერძი, რომელსაც ამდენი ხნის
განმავლობაში ეძებდნენ? — უპასუხა დანტესმა, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად არ იყო
დარწმუნებული.

— დიახ, ნამდვილად ასეა.

— მერე ვინ აღადგინა ეს ანდერძი?

— გადარჩენილი სტრიქონების დახმარებით მე ამოვხსენი დამწვარი ნაწილი.

სტრიქონების სიგრძეს ქალაღის სიგანეს ვუფარდებდი და დაფარულ აზრს ვწვდებოდი

გამჟღავნებული აზრის მიხედვით ისევე, როგორც ადამიანი მიწისქვეშ გზას იკვლევს ზევიდან ჩამოსული სუსტი შუქის წყალობით.

— როდესაც დარწმუნდით, რომ სწორად აღადგინეთ დამწვარი ნაწილი, მერე რა მოიმოქმედეთ?

— მინდოდა გამგზავრება და იმ წუთშივე გავემგზავრე კიდეც. თან წავილე ჩემ მიერ დაწყებული დიდი შრომა იტალიის ერთიანი სახელმწიფოს შესახებ. მაგრამ დიდი ხანია, რაც იმპერატორის პოლიცია თვალს მადევნებდა. ამ ხანებში ნაპოლეონს უნდოდა პროვინციების გათიშვა, წინააღმდეგ იმისა, რაც მან შემდეგ მოისურვა, როდესაც ვაჟიშვილი ეყოლა. ჩემმა აჩქარებულმა გამგზავრებამ, რომლის მიზეზს ვერავინ წარმოიდგენდა, ეჭვი აღძრა და სწორედ იმ წუთში დამაპატიმრეს, როდესაც პიომბინოში გემზე ვჯდებოდი.

— ახლა კი, — განაგრძო ისევ ფარიამ და დანტესს თითქმის მამობრივი მზრუნველობით შეხედა, — ახლა, ჩემო მეგობარო, თქვენ იმდენივე იცით, რამდენიც მე; და თუ ჩვენ ორივე ოდესმე თავს ვუშველით, ჩემი საგანძურის ნახევარი თქვენია. თუ მე აქ მოვკვდები და მარტო თქვენ მოახერხებთ გაქცევას, მაშინ ის მთლიანად თქვენი საკუთრება იქნება.

— კი მაგრამ, — ჰკითხა დანტესმა ყოყმანით, «— განა ამ საგანძურს ამქვეყნად არა ჰყავს უფრო კანონიერი მემკვიდრეები, ვიდრე ჩვენა ვართ?»

— არა, არა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. მთელი ოჯახი ამოწყდა და, გარდა ამისა, უკანასკნელმა გრაფმა სპადამ მე დამიტოვა თავისი მემკვიდრეობა; მან მე მიანდერძა სახელგანთქმული ლოცვანი და ამით მიანდერძა ყველაფერი, რაც შიგ იყო. გიმეორებთ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ და, თუ ოდესმე ჩვენ ხელთ ვიგდებთ ამ სიმდიდრეს, ჩვენ სინდისის ქენჯნის გარეშე შეგვეძლება მისი გამოყენება.

— თქვენ ამბობთ, რომ ეს განძეული ფასობს...

— ორი მილიონი რომაული ეკიუ. დაახლოებით, ცამეტი მილიონი ჩვენს ფულზე.

— შეუძლებელია! — თქვა ასეთი დიდი თანხის დასახელებით შემინებულმა დანტესმა.

— შეუძლებელია? მერედა რატომ! — უთხრა მოხუცმა. — სპადა XV საუკუნეში ყველაზე ძველი და ყველაზე შეძლებული გვარი იყო. გარდა ამისა, იმ დროს, როდესაც არც სპეკულაცია და არც მრეწველობა არ იყო განვითარებული, ოქროს და ძვირფასი ნივთების დაგროვება იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა! რომში ჯერ კიდევ არის ოჯახები, რომლებსაც აქვთ მემკვიდრეობით მიღებული მილიონის ღირებულების აღმასები და ძვირფასი თვლები, რომლის მიკარებას ვერც ბედავენ, თუმცა შიმშილით იხოცებიან.

ედმონდს თავი სიზმარში ეგონა. ის მერყეობდა, არ სჯეროდა და თან უხაროდა.

— მე დიდი ხანია გიმაღავდით ამ საიდუმლოებას, — უთხრა ფარიამ, — ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამომეცადეთ, მეორეც, განცვიფრებაში მინდოდა მომეყვანეთ. დამბლის დაცემამდე რომ გავქცეულიყავით, პირდაპირ მონტე-კრისტოს მიგაყენებდით. ახლა, — დაუმატა მან ოხვრით, — ახლა, თქვენ წამიყვანთ. დანტეს, თქვენ მე მადლობას არ მიხდით?

— ეს განძეული, ჩემო მეგობარო, — უთხრა დანტესმა, — მარტო თქვენ გეკუთვნით, და მე მასზე არავითარი უფლება არა მაქვს. მე ხომ თქვენი ნათესავი არა ვარ.

— თქვენ ჩემი ვაჟიშვილი ხართ, დანტეს, — შეჰყვირა მოხუცმა, — თქვენ ხართ ჩემი ტყვეობაში შეძენილი ბავშვი. ჩემი ხარისხი უფლებას არ მაძლევდა, ცოლი შემერთო; ღმერთმა თქვენი თავი გამომიგზავნა, რათა დაამშვიდოს ადამიანი, რომელიც ვერ გახდა მამა, და პატიმარი, რომელიც ვერ ეღირსა თავისუფლებას.

ფარიამ ედმონდს სადი ხელი გაუწოდა, აცრემლებული ყმაწვილი მოხუცს გადაეხვია.

XIX

მესამე შეტევა

ახლა, როდესაც ამ განძეულს, აბატის ამდენი ხნის ფიქრის საგანს, შეეძლო გაეხედნირებინა ის, ვინც მან საკუთარი შვილივით შეიყვარა, მისი ფასი ორჯერ უფრო აიწია მოხუცის თვალში. იგი ყოველდღიურად ელაპარაკებოდა დანტესს ამ აურაცხელ სიმდიდრეზე და უხსნიდა, თანამედროვე ეპოქაში რამდენი სიკეთის გაკეთება შეეძლო ცამეტი-თოთხმეტი მილიონის მფლობელ ადამიანს თავისი მეგობრებისათვის; მაშინ დანტესს სახე ეღრუბლებოდა; ახსენებოდა ის საშინელი ფიცი, რომელიც თავის თავს მისცა და ფიქრობდა, ცამეტი-თოთხმეტი მილიონის მქონე ადამიანი თანამედროვე ეპოქაში მტრების მიმართ რამდენი ბოროტების ჩადენას მოახერხებდა.

აბატი არ იცნობდა კუნძულ მონტე-კრისტოს, მაგრამ დანტესი იცნობდა მას, ახალგაზრდა მეზღვაურს ხშირად ჩაუვლია ამ კუნძულის გვერდით, რომელიც კორსიკასა და ელბას შუა მდებარეობს და პიანოზს ოცდახუთი მილით არის დაშორებული; ერთხელ როგორღაც შემთხვევაც კი მიეცა, იქ შეჩერებულიყო. ეს კუნძული წინათაც და ახლაც დაუსახლებელი იყო. ამ ფრიადო კლდეს თითქმის კონუსის ფორმა ჰქონდა. ალბათ, ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე რომელიმე ვულკანისებურმა რყევებმა ამოსწია. დანტესი ფარიას კუნძულის გეგმას აცნობდა, ფარია კი მას რჩევას აძლევდა, როგორ უნდა მოენახა საგანძური.

მაგრამ დანტესი შორს იყო იმ აღტაცებისაგან, რასაც მოხუცი განიცდიდა. რაც მთავარია, ის არ იზიარებდა მის რწმენას. მართალია, ახლა დარწმუნდა, რომ აბატი შეშლილი არ იყო და მისმა გამჭრიახობამ საგანძურის აღმოჩენაში, საგანძურისა, რამაც მას შეშლილის სახელი გაუთქვა, დანტესის აღფრთოვანება გააორკვეცა, მაგრამ დანტესს ამავე დროს არ სჯეროდა, რომ ეს განძი თუნდაც ოდესღაც არსებელიყო, ახლაც იქნებოდა; და თუ გამოგონილად არ მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ფიქრობდა, იმ ადგილიდან უკვე გამქრალი იქნებოდა.

ამასობაში, მათ კიდევ ერთი ახალი უბედურება ეწიათ. თითქოს ბედს სურდა, პატიმრობისათვის წაერთმია უკანასკნელი იმედი და ეგრძნობინებინა, რომ ისინი საუკუნო პატიმრობისათვის იყვნენ განწირული. ზღვაში გამავალი დერეფანი, რომელსაც დიდი ხანია ჩამონგრევა ელოდა, გადაკეთებულ იქნა; შეაკეთეს საძირკველი და ნაპრაღში, რომელიც დანტესს თითქმის ნახევრამდე უკვე ამოვსებული ჰქონდა, ვეებერთელა ქვები ჩაყარეს.

დანტესს აბატის რჩევით წინასწარ ზომები რომ არ მიეღო, კიდევ უფრო დიდი უბედურება იყო მოსალოდნელი. აღმოჩენილი იქნებოდა მათი გაქცევის ცდა და ერთმანეთს დააშორებდნენ. ამრიგად, მათ კიდევ მოეხურათ ერთი ახალი კარი, უფრო მაგარი და ულმობელი, ვიდრე დანარჩენები.

— ხომ ხედავთ, — ნაღვლიანად ეუბნებოდა დანტესი მოხუცს, — ღმერთს სურს წამართვას ის დამსახურება, რასაც ჩემს თქვენდამი ერთგულებას მიაწერდით. მე პირობა მოგეცით, რომ სამუდამოდ თქვენთან დავრჩებოდი და ახლა ძალაუწებურად უნდა შევასრულო იგი. განძს ისევე ვერ დავეპატრონები, როგორც თქვენ. ვერც ერთი ჩვენგანი აქედან ვერ გავა. თუმცა, ძვირფასო მეგობარო, უნდა ითქვას, რომ ჩემი ნამდვილი საგანძური ის კი არ არის, რაც მე კუნძულ მონტე-კრისტოს ბნელი მღვიმეების კედლებში მელოდებოდა, არამედ ეს თქვენი ჩემთან ერთად ყოფნაა, ეს ჩვენი ხუთიექვს-საათიანი შეხვედრებია, რომელთაც ვახორციელებთ ჩვენი მედილეგების სურვილების

წინააღმდეგ, ეს ცოდნის ის სხივებია, რომლითაც თქვენ ჩემი გონება გაანათეთ, ეს სხვადასხვა ერის ენებია, რომლებიც თქვენ ჩემს მეხსიერებაში დანერგეთ. ეს ცოდნა იზრდება მთელი თავისი ფილოლოგიური შტოებით, ეს სხვადასხვა მეცნიერებაა, რომლებიც ჩემთვის ადვილი მისაწვდომი გახდა თქვენი ღრმა ცოდნისა და ნათელი, გასაგები აზრების გადმოცემის წყალობით.

აი, ეს არის ჩემი საგანძური, ძვირფასო მეგობარო, აი, რითი გამხადეთ მე თქვენ მდიდარიცა და ბედნიერიც. დამიჯერეთ და თავი დაიმშვიდეთ, ჩემთვის ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ოქროთი სავსე კასრები და აღმასებით გატენილი სკივრები, თუნდაც ისინი არ იყვნენ ისეთი მოჩვენებითი, როგორც დილით ზღვის ზედაპირზე გაწოლილი ღრუბლები, რომლებიც მყარ მიწად გეჩვენება: სინამდვილეში კი, რაც უფრო ვუახლოვდებით, მით უფრო იფანტებიან და ქრებიან. თქვენთან რაც შეიძლება დიდხანს ყოფნა, თქვენი მჭევრმეტყველური სიტყვების მოსმენა, რომლებიც მე გონებას მინათებს, სულს მიწრთობს, სამზადისი დიდი და მრისხანე საქმეებისათვის, თუკი ოდესმე თავისუფლება მეღირსება, ჩემში თქვენს გაცნობამდე დასადგურებული სასოწარკვეთილების საბოლოო განდევნა — აი, ჩემი სიმდიდრე! ეს სიმდიდრე არ არის მოჩვენებითი. ამ ნამდვილი სიმდიდრის შეძენით მე დავალებული ვარ თქვენგან და ქვეყნის ყველა მფლობელი, თუნდაც ისინი ჩეზარე ბორჯიები იყვნენ, ვერ წამართვენ მას.

ამრიგად, ორი უიღბლო პატიმრისათვის დღეები ბედნიერად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ სწრაფად გარბოდა. ფარია, რომელსაც ამდენ ხანს თავის საგანძურზე არაფერი უთქვამს, ყოველთვის ამ საგანზე ცდილობდა ჩამოეგდო საუბარი, როგორც თვითონ წინასწარ განჭვრიტა, მარჯვენა ხელი და ფეხი დამბლადაცემული დარჩა. თითქმის ყოველგვარი იმედი დაკარგა, რომ დაეუფლებოდა საგანძურს; მაგრამ იგი ისევ ოცნებობდა თავისი ახალგაზრდა მეგობრის განთავისუფლებაზე ან გაქცევაზე და მის მაგიერ ხარობდა. იმის შიშით, რომ იქნება ოდესმე ნაწერი სადმე მიჩქმალულიყო ან დაკარგულიყო, დანტესს ზეპირად შეასწავლა იგი. დანტესმაც თავიდან ბოლომდე ყოველი სიტყვა შეუცდომლად იცოდა. მაშინ აბატმა ნაწერის მეორე ნახევარი მოსპო. იგი დარწმუნებული იყო, რომ გინდ ეპოვათ პირველი ნახევარი, ნამდვილ აზრს მაინც ვერ ამოხსნიდნენ. ზოგჯერ ფარია მთელი საათობით უჯდა დანტესს და აძლევდა რჩევას, რომელიც მას განთავისუფლების შემდეგ უნდა გამოსდგომოდა. განთავისუფლების პირველი დღიდანვე, განთავისუფლების პირველი საათიდანვე, განთავისუფლების პირველი წუთიდანვე მისი გონება მხოლოდ ეერთადერთ ფიქრს უნდა შეეპყრო — რადაც უნდა დასჯდომოდა, მიეღწია კუნძულ მონტე-კრისტომდე, არავისთვის ეჭვი არ აღეძრა, რაიმე საბაბით იქ დარჩენილიყო, ეპოვა ჯადოსნური მღვიმეები და მითითებული ადგილის თხრა დაეწყო. ეს ადგილი კი, როგორც ჩვენ გვახსოვს, მეორე ნაპრალის ყველაზე შორეული კუთხე გახლდათ.

ამასობაში დრო გარბოდა თუ სწრაფად არა, ასატანად მაინც. ფარიას, როგორც უკვე ვთქვით, თუმცა მარჯვენა ხელ-ფეხი წაერთვა, თავისი ნათელი გონება ხელახლა მოიკრიბა და ახალგაზრდა მეგობარს განყენებულ მეცნიერებათა გარდა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, შეასწავლა პატიმრის მოთმინების მაღალი ხელოვნება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ არაფრისაგან რაიმე გააკეთო. ისინი მუდამ რაღაცით იყვნენ დაკავებული. ფარიას სიბერე აშინებდა, დანტესი კი შიშობდა, არ გახსენებოდა თითქმის ჩამქრალი წარსული, რომელიც მისი მეხსიერების სიღრმეში ღამის სიბნელეში ჩაკარგული შორეული სანთელივით კრთოდა. ამრიგად, მათი ცხოვრება ჰგავდა იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომლებმაც გაუძლეს უბედურებას, და ეს ცხოვრება ზომიერად და მშვიდად მიედინებოდა განგების მხედველობის ქვეშ.

მაგრამ ამ გარეგნულ სიმშვიდეში ყმაწვილი კაცის და შეიძლება მოხუცის გულში ძალით დაოკებული სულიერი განცდა იმალებოდა. ვინ იცის, მათ გულს რამდენი ნაღვლიანი ოხვრა აღმოხდენია, როდესაც ფარია მარტო რჩებოდა, ხოლო დანტესი თავის საკანში ბრუნდებოდა.

ერთხელ, ღამით, ედმონდს უეცრად გაეღვიძა, მას მოეჩვენა, რომ ვიღაცა ეძახდა. თვალები დააჭყიტა და შეეცადა, ღამის წყვდიადი განეჭვრიტა.

დანტესის ყურამდე მიაღწია მისმა სახელმა, ანუ, უკეთ, საცოდავმა ხმამ, რომელიც ამ სახელის გამოთქმას ცდილობდა.

ყმაწვილმა კაცმა ლოგინზე წამოიწია, შუბლზე შიშის ოფლმა დაასხა და ყური მიუგდო. ეჭვი არ იყო, ეს კვნესა მოხუცის საკნიდან მოდიოდა.

— ღმერთო დიდებულო! — ჩაიჩურჩულა დანტესმა, — ნუთუ?..

ედმონდმა საწოლი გამოსწია, ქვა ამოიღო, მიწისქვეშა ხვრელში ჩაძვრა და მოპირდაპირე ბოლოში გავიდა; ფილა ამოღებული დაუხვდა.

იმ ტლანქად გაკეთებული მბჟუტავი ჭრაქის შუქზე, რომელზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ედმონდმა გაფითრებული მოხუცი დაინახა; ფეხზე ძლივს იდგა, საწოლს ჩაბლაუჭებოდა. მისი სახის ნაკვეთები შეეცვალა ედმონდისათვის უკვე ნაცნობ საშინელ სიმპტომებს, რომელთა დანახვამაც პირველად ისე ძლიერ შეაშინა.

— თქვენთვის გასაგებია, არა? — უთხრა მორჩილებით ფარიამ, — მე არ დამჭირდება არაფრის თქმა.

ედმონდმა გულსაკლავად დაიღრიალა, უბედურებამ თავგზა აუბნია და კარს ყვირილით მივარდა:

— გვიშველეთ, გვიშველეთ!

ფარიას კიდევ ეყო ძალა, მისთვის ხელი მკლავში ეტაცა და შეეჩერებინა.

— ჩუმად! — უთხრა მან, — თორემ დაიღუპებით. ჩემო მეგობარო, ვიფიქროთ მხოლოდ თქვენზე, ვიფიქროთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გავხადოთ თქვენი პატიმრობა ასატანი, ან როგორ მოვახერხოთ აქედან თქვენი გაქცევა. თქვენ წლები დაგჭირდებათ, რათა ხელახლა გააკეთოთ ის, რაც მე აქ გავაკეთე და რაც იმ წუთშივე განადგურდება, თუ ჩვენმა მედილეგებმა გაგვიგეს, რომ ერთმანეთს ვხვდებით. დამშვიდდით, მეგობარო, საკანი, რომელსაც მე ვტოვებ, დიდხანს არ იქნება ცარიელი, სხვა უბედური დაიკავებს ჩემს ადგილს. ამ სხვას თქვენ მხსნელ ანგელოზად მოევლინებით. ის შეიძლება აღმოჩნდეს ახალგაზრდა, ღონიერი და თქვენსავით მომთმენი, იგი მოგეხმარებათ გაქცევაში, მე კი მხოლოდ ხელს გიშლიდით. თქვენ უკვე აღარ იქნებით მიჯაჭვული ნახევრად მიცვალებულ ადამიანზე, რომელიც ყველა თქვენს მოქმედებას აფერხებს. ბოლოს და ბოლოს ღმერთმა თქვენკენაც მოიხედა; ის თქვენ უფრო მეტს გაძლევთ, ვიდრე გართმევთ; უკვე კარგა ხანია, ჩემი სიკვდილის დროა.

ედმონდმა პასუხად მხოლოდ ხელი ხელს გადააჭდო და წამოიძახა:

— ჩემო მეგობარო, გემუდარებით გაჩუმიდით, ნულარას იტყვით.

შემდეგ გამოერკვა, მოულოდნელი ელდისაგან, ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიბრუნა სულიერი სიმხნევე, რომელიც მოხუცის სიტყვებმა წაართვა.

— მე ერთხელ გადაგარჩინეთ და ახლა მეორედაც გადაგარჩინეთ, — შესძახა მან.

დანტესმა ასწია საწოლის ფეხი და იქიდან გამოაძვრინა პატარა შუშა, რომელშიც წითელი სითხის ერთი მესამედი კიდევ დარჩენილიყო.

— ხედავთ, — თქვა მან, — კიდევ დარჩენილა მხსნელი სასმელი! ჩქარა, ჩქარა, მითხარით, როგორ უნდა მოვიქცე ამჯერად. ახლა მითითებები მჭირდება! ილაპარაკეთ, მეგობარო, გისმენთ.

— იმედი აღარ არის, — უპასუხა ფარიამ და თავი გაიქნია, — მაგრამ სულ ერთია, ღმერთს სურს, რომ ადამიანი, რომელიც მან შექმნა და გულში ღრმად ჩაუნერგა სიცოცხლისადმი სიყვარული, ყველაფერს აკეთებდეს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ეს არსებობა, ზოგჯერ ასე სატანჯველი, მაგრამ ყოველთვის ძვირფასი.

— დიახ, დიახ, — შეჰყვირა დანტესმა, — მე თქვენ გითხარით, გადაგარჩენთ-მეთქი!

— კარგი, შეეცადე! სიცივის ჟრუანტელმა ამიტანა; ვგრძნობ, სისხლი ტვინში მეწვეთება: ეს საშინელი კანკალი, კბილს რომ კბილზე მაცემინებს და ძვლებს მიღრღნის, მთელ სხეულს ედება. ხუთი წუთის შემდეგ დაიწყება შეტევა და თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩემგან მხოლოდ გვამიღა დარჩება.

— რა საშინელებაა! — შეჰყვირა გულმოკლულმა დანტესმა.

— მოიქცევით ისევე, როგორც პირველად, მაგრამ დიდხანს არ იცადოთ; ამჯერად ყველა სასიცოცხლო ძალა ამოწურულია, და სიკვდილს, — განაგრძო მან და დამბლადაცემულ ხელ-ფეხზე მიუთითა, — ნახევარი სამუშაო დარჩენია. ათის მაგიერ თორმეტი წვეთი გადამაყლაპეთ და თუ დაინახოთ, რომ გონს არ მოვდივარ, რაც დარჩება, ისიც პირში ჩამასხით. ახლა კი დამაწვინეთ, უკვე აღარ შემძლია ფეხზე დგომა.

ედმონდმა მოხუცი ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა.

— მეგობარო, — უთხრა ფარიამ, — თქვენ ჩემი გაუბედურებული სიცოცხლის ერთადერთი სიხარული ხართ. თქვენი თავი მე ღმერთმა გვიან, მაგრამ მაინც მაჩუქა და ამ ფასდაუდებელი საჩუქრისათვის მადლობას ვუხდით. ახლა, როდესაც სამუდამოდ გემშვიდობებით, გისურვებთ ყოველივე იმ ბედნიერებასა და სიკეთეს, რისი ღირსიც თქვენა ხართ; შვილო ჩემო, მე თქვენ გლოცავთ.

ყმაწვილი კაცი მუხლებზე დაეცა და თავი მოხუცის საწოლს მიადო.

— მაგრამ ჯერ კარგად მისმინეთ, რას გეტყვით ამ უკანასკნელ წუთებში: კარდინალ სპადას საგანძური არსებობს. განგების წყალობით ჩემთვის გაქრა მანძილიცა და ზღუდეებიც; მე განძს აქედან ვხედავ მეორე მღვიმის სიღრმეში. ჩემი თვალები შეიჭრნენ მიწის წიაღში და ამიჭრელდნენ ამდენი სიმდიდრის დანახვაზე. თუ გაქცევას მოახერხებთ, გახსოვდეთ, რომ საწყალი აბატი, რომელიც ყველას შეშლილად მიაჩნდა, გიჟი არ ყოფილა. ისწრაფეთ მონტე-კრისტოსაკენ, დაეუფლეთ ჩვენს სიმდიდრეს, გამოიყენეთ იგი, თქვენ საკმაოდ იტანჯეთ...

მაგრამ უეცარმა კრუნჩხვამ მოხუცს სიტყვა შეაწყვეტინა. დანტესმა თავი ასწია და დაინახა, რომ აბატს თვალები უწითლდებოდა, ასე იტყოდით, სისხლის ტალღამ გულიდან თავში აასხაო.

— მშვიდობით! მშვიდობით! — ჩაიჩურჩულა მოხუცმა და ყმაწვილ კაცს მკლავში ხელი სტაცა.

— ჯერ არა, ჯერ არა! — შეჰყვირა დანტესმა. — ღმერთო ძლიერო, ნუ მიგვატოვებ; გადამირჩინე... გვიშველეთ... გვიშველეთ...

— ჩუმად! ჩუმად! — ჩაიჩურჩულა მომაკვდავმა, — თორემ დაგვაშორებენ, თუ მე გადამარჩენთ.

— თქვენ მართალი ხართ. დიახ, დიახ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე თქვენ გადაგარჩენთ. თუმცა ძალიან იტანჯებით, მაგრამ, მე მგონია, ისე მაინც არა, როგორც პირველად.

— თქვენ ცდებით, მე ნაკლებად ვიტანჯები იმიტომ, რომ ტანჯვისათვის ნაკლები ძალა შემწევს. თქვენს ასაკში სჯერათ სიცოცხლისა, რწმენა და იმედი — ეს ახალგაზრდობის უპირატესობაა; მოხუცი კი უფრო ნათლად ხედავს სიკვდილს. აი, ისიც!.. იგი მიახლოვდება!.. გათავდა!.. თვალი მიბნელდება... გონება მერევა... თქვენი ხელი, დანტეს!.. მშვიდობით!.. მშვიდობით!..

აბატმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და საწოლზე ერთხელ კიდევ წამოიწია.
— მონტე-კრისტო, — თქვა მან, — არ დაივიწყოთ მონტე-კრისტო!..

და იგი საწოლზე დაეცა.

შეტევა საშინელი გამოდგა. დაკრუნჩხული სხეული, დასივებული ქუთუთოები, სისხლიანი დუჟი, უძრავი სხეული, — აი, რა დარჩა ამ ტანჯვის სარეცელზე გონიერი არსებისგან, რომელიც ერთი წუთის წინ ზედ იწვა.

დანტესმა ჭრაქი აიღო და საწოლის თავთან კედლიდან გამოშვერილ ქვაზე შემოდგა. მბჟუტავი შუქი უცნაურ ელფერს აძლევდა დაღრეცილ სახესა და უძრავ, გაშემებულ სხეულს.

დანტესი თვალს არ აცილებდა მას და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც უნდა გამოეყენებინა მხსნელი საშუალება.

როდესაც დარწმუნდა, უკვე დროაო, აიღო დანა ხელში და კბილები გაუხსნა; ეს უფრო გაუადვილდა, ვიდრე პირველად; გამოთვალა თორმეტი წვეთი და დაიწყო ლოდინი. შუშაში ორი იმდენი კიდევ დარჩა, რაც მან მოხუცს პირში ჩააწვთა. დაიცადა ათი წუთი, თხუთმეტი, ნახევარი საათი. ფარია არ შენძრეულა. დანტესს თმები ყალყზე დაუდგა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და ცახცახმა აიტანა; წუთებს თავის გულისცემად ითვლიდა. მან გადაწყვიტა, რომ უკვე დრო იყო, უკანასკნელი საშუალება ეცადა; შუშა აბატის ჩალურჯებულ ტუჩებთან მიიტანა და ღია პირში სითხე მთლიანად ჩაუშვა. მას აღარ დასჭირვებია ყბების გახსნა.

წამალმა გაღვანისტური ზემოქმედება მოახდინა, უეცრად მოხუცის სხეულის ყველა ნაწილი შეირხა. მან თვალები გადმოატრიალა და ისე ამოიოხრა, რომ შეკვივლებას უფრო ჰგავდა. შემდეგ ათრთოლებული სხეული თანდათან ისევ უძრავი გაუხდა. მხოლოდ თვალები დარჩა ღია.

გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი, საათ-ნახევარი. ამ მშფოთვარე საათ-ნახევრის განმავლობაში დანტესი დახრილი იყო თავისი მეგობრის სხეულზე; ხელი მის გულზე ედო, გრძნობდა, როგორ ცივდებოდა მოხუცის სხეული და წყდებოდა გულისცემა, რომელიც სულ უფრო და უფრო ყრუდ და გაურკვეველად მოისმოდა.

ბოლოს ყველაფერი გათავდა. გულმა უკანასკნელად გაიფართხალა, სახე გაულურჯდა; თვალები ისევ ღია ჰქონდა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

უკვე დილის ექვსი საათი იყო, თენდებოდა. მზის მკრთალი სხივები საკანში შეიჭრნენ და ბრძოლა გაუმართეს ჭრაქის მომაკვდავ სინათლეს. ეს უცნაური ციაგი მიცვალებულის სახეს დასთამაშებდა და დროდადრო გაფიქრებინებდათ, რომ იგი ცოცხალი იყო. სანამ გრძელდებოდა ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის, დანტესს კიდევ შეეძლო ექვი შეჰპარვოდა, მაგრამ როდესაც სინათლემ გაიმარჯვა, მიხვდა, რომ მის წინ მიცვალებული იდო.

მაშინ იგი შეიპყრო საშინელმა და გაურკვეველმა შიშმა. მან უკვე ვეღარ გაბედა, ხელი მოეჭირა ლოგინზე გადმოკიდებული ხელისათვის; უკვე ვეღარ ბედავდა, შეეხედა ამ უძრავი და თეთრი თვალებისათვის, რომელთა დახუჭვას იგი რამდენჯერმე შეეცადა, მაგრამ ამაოდ. დანტესმა ჭრაქი ჩააქრო, ფრთხილად შეინახა, ხვრელს მივარდა და ქვა მაგრად დაიხურა.

უკვე დროც იყო, მედილეგე, სადაცაა, მოვიდოდა.

ამჯერად მან შემოვლა დანტესისგან დაიწყო; იქიდან ფარიას საკნისაკენ გაემართა, მოხუცთან წვენი და თეთრეული მიჰქონდა.

ამ კაცს არაფერზე არ ეტყობოდა, რომ იცოდა, რა მოხდა.

დანტესს უსაზღვრო სურვილი დაეზადა, გაეგო, რა მოხდებოდა მისი საწყალი მეგობრის საკანში. იგი ხელახლა შეძვრა მიწისქვეშა გასასვლელში და გაიგონა, რომ მედილეგემ ამხანაგები იხმო საშველად.

დანტესს მოესმა საწოლის ჭრიალი, ჩანდა, მიცვალებულს აბრუნებდნენ. გაიგონა ციხის უფროსის ხმა, იგი ბრძანებას იძლეოდა, აბატისათვის სახეში წყალი შეესხათ; როდესაც დარწმუნდა, რომ პატიმარი ამან გრძნობაზე ვერ მოიყვანა. ერთ-ერთი მედილეგე ექიმთან გაგზავნა.

ციხის უფროსი გავიდა; დანტესის ყურამდე მიაღწია სიცილსა და დაცინვაში არეულმა შებრალების სიტყვებმა.

— ხედავთ, ხედავთ, — ამბობდა ერთი, — შეშლილი თავისი საგანძურებისაკენ გაემშურა. კეთილი მგზავრობა!

— ამდენი მილიონების პატრონს, სუდარის საყიდელი ფულიც არ გააჩნია, — თქვა მეორემ.

— სუდარა ციხესიმაგრე იფში ძვირი არა ღირს, — თქვა მესამემ.

— რაკი სასულიერო პირია, შესაძლებელია, მისთვის რაიმე ხარჯები გაიღონ, — დაიწყო ისევ პირველმა მოსაუბრემ.

— მაშ, პატივი ექნება, ტომრის ღირსი გახდეს.

ედმონდს არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, მაგრამ, გაგონილიდან ძალიან ცოტას მიხვდა. მალე ხმები მიწყდა. დანტესს მოეჩვენა, რომ საკნიდან ყველანი გავიდნენ, მაგრამ შესვლა მაინც ვერ გაბედა: შეიძლებოდა ერთ-ერთი მედილეგე მიცვალებულთან მკველად დაეტოვებინათ. ამიტომ დანტესი არ განძრეულა, სუნთქვა შეიკრა, ხმას არ იღებდა.

დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ მყუდროება ისევ დაირღვა.

საკანში შემოვიდა ციხის უფროსი ექიმისა და რამდენიმე ოფიცრის თანხლებით.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა: ცხადი იყო, ექიმი საწოლს მიუახლოვდა და მიცვალებულს სინჯვა დაუწყო. შემდეგ დაიწყო შეკითხვები.

როდესაც ექიმმა კარგად გასინჯა პატიმარი, დაასკვნა, რომ ნამდვილად მკვდარი იყო.

კითხვებსა და პასუხებში გულგრილობა ჩანდა, რასაც დანტესი აღშფოთებაში მოჰყავდა. მას ასე ეგონა, ყველას, თუნდაც სულ მცირედ მაინც, უნდა ეგრძნო ის სიყვარული საწყალი აბატისადმი, რასაც თვითონ განიცდიდა.

— ძალიან მწყინს, — უთხრა ციხის უფროსმა ექიმს, რომელმაც განაცხადა, მოხუცი ნამდვილად მკვდარიაო, — ეს იყო უწყინარი, მშვიდი პატიმარი, რომელიც თავისი შეშლილობით ყველას ართობდა. რაც მთავარია, ადვილი იყო მისი მეთვალყურეობა.

— არც კი სჭირდებოდა მეთვალყურეობა, — თქვა მედილეგემ, — თავსა ვდებ, ორმოცდაათი წელიწადი რომ მჯდარიყო აქ, ერთხელაც არ შეეცდებოდა გაქცევას.

— თუმცა, — დაიწყო ისევ საუბარი ციხის უფროსმა, — თქვენი რწმუნების მიუხედავად, მე მაინც მგონია, საჭიროა დავრწმუნდეთ, რომ პატიმარი ნამდვილად მკვდარია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თქვენი ცოდნისა არ მჯეროდეს, არამედ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა თავიდან ავიშორო.

ისევ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. დანტესი კვლავ ყურებდაცქვეტილი იყო. «ექიმი ახლა, ალბათ, მეორედ სინჯავს», — გაიფიქრა მან.

— შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — თქვა ექიმმა, — ის მკვდარია. ამაზე მე თქვენს წინაშე ვაგებ პასუხს.

— იცით თუ არა, — უთხრა მას ციხის უფროსმა ყოყმანით, — ასეთ შემთხვევებში ჩვენ მარტო ამგვარ დასკვნებს არ ვჯერდებით. ამიტომ სიკვდილის ყველა ნიშნის

მიუხედავად, კეთილ ინებეთ და კანონით გათვალისწინებული ფორმალური მხარეც შევასრულოთ.

— მაშ, გაახურეთ რკინა, — თქვა ექიმმა, — მაგრამ ეს ზედმეტი სიფრთხილეა.

გახურებული რკინის გაგონებაზე დანტესს შეაჟრჟოლა.

გაისმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა, კარის ჭრიალი, ვიღაცა გარეთ გავიდა და ისევ შემოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ საკანში მეკარე გამოჩნდა.

— აი, მაყალი და რკინა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ გაისმა დამწვარი კანის ტკაცუნის და მძიმე, აუტანელმა სუნმა იმ კედელშიც გააღწია, სადაც შეშინებულ დანტესს ყური მიედო. ადამიანის დამწვარი ხორცის სუნზე დანტესს ცივმა ოფლმა დაასხა და იფიქრა, ეს არის, გული წამივიაო.

— ახლა ხომ ხედავთ, რომ ნამდვილად მკვდარია, — თქვა ექიმმა, — ქუსლის ამოწვა, ეს ყველაზე სარწმუნო წყაროა. საწყალი შეშლილი განიკურნა სიგიჟისაგან და თავი დააღწია პატიმრობას.

— მისი გვარი ფარია ხომ არ იყო? — იკითხა ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელიც ციხის უფროსს ეახლა.

— დიახ, ირწმუნებოდა, ეს უძველესი გვარიაო. ერთი სიტყვით, ის იყო მეტად სწავლული და საკმაოდ გონებადამჯდარი კაცი ყველაფერში, რაც მის საგანძურს არ შეეხებოდა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პუნქტში ის აუტანელი იყო.

— ეს არის ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენ მონომანიას ვეძახით.

— თქვენ არასოდეს საბაბი არ გქონიათ, მის წინააღმდეგ გეჩივლათ? — ჰკითხა ციხის უფროსმა მედილეგეს, რომელსაც აბატთან საჭმელი დაჰქონდა.

— არასოდეს, ბატონო ციხის უფროსო, — უპასუხა მედილეგემ, — არასოდეს, პირიქით, წინათ ის მე მართობდა, მიყვებოდა სხვადასხვა ისტორიას. ერთ დღეს, როდესაც ჩემი ცოლი ავად იყო, მან რეცეპტიც კი მომცა, და მართლაც მოარჩინა.

— აი, თურმე რა! — თქვა ექიმმა, — არც კი წარმომედგინა, რომ საქმე მქონდა კოლეგასთან. ვიმედოვნებ, ბატონო ციხის უფროსო, — დაუმატა მან სიცილით, — თქვენ მას პატივისცემით მოექცევით.

— დიახ, დიახ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ის ღირსეულად ჩაიკერება ყველაზე ახალ ტომარაში, რომელსაც კი ვიპოვით. თქვენ კმაყოფილი ხართ?

— გვიბრძანებთ, ახლავე, თქვენს თვალწინ შევასრულოთ ეს უკანასკნელი ფორმალური მხარე? — ჰკითხა ციხის უფროსს მედილეგემ.

— რასაკვირველია, მაგრამ იჩქარეთ, მე არ შემიძლია მთელი დღე ამ საკანში დავრჩე.

ისევ გავიდნენ და შემოვიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დანტესის ყურამდე მოაღწია ტილოს შარიშურმა, საწოლმა დაიჭრიალა, მოისმა დამძიმებული ნაბიჯის ხმა ისეთი კაცისა, რომელმაც რაღაც დიდი ტვირთი ასწია. საწოლმა კიდევ ერთხელ დაიჭრიალა სიმძიმის გამო, რომელიც მასზე დადეს.

— საღამომდე, — თქვა ციხის უფროსმა.

— წესს აუგებენ? — იკითხა ერთმა ოფიცერთაგანმა.

— ეს შეუძლებელია, — უპასუხა ციხის უფროსმა, — ციხის მღვდელმა გიერში წასასვლელად ერთი კვირა მთხოვა. მე ამ ხნის განმავლობაში თავს ვიდე, მისი პატიმრები მებაროს. საწყალი აბატი ასე რომ არ დაჩქარებულიყო, წესს ისე აუგებდნენ, როგორც საჭიროა.

— არაფერია, არაფერი, — თქვა ექიმმა თავისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი გულგრილობით, — ის სასულიერო პირია, — ღმერთი პატივს

დასდებს მის წოდებას და ჯოჯოხეთს არ მიანიჭებს იმ სიამოვნებას, რომ მღვდელი მიაღებინოს.

ამ უხეირო ხუმრობას სიცილი მოჰყვა. ამასობაში მიცვალებულს ტომარაში დებდნენ.

— საღამომდე! — გაიმეორა ციხის უფროსმა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა.

— რომელ საათზე? — იკითხა მედილეგემ.

— ათი, თერთმეტი საათისათვის, — უპასუხა ციხის უფროსმა.

მიცვალებულთან გუშაგი დავტოვოთ?

— რა საჭიროა? საკანი დაკეტე ისე, თითქოს ცოცხალი იყოს.

ფეხის ხმა თანდათან წყდებოდა. გაისმა, როგორ გადაირაზა ურდულით კარი და სიჩუმემ დაისადგურა. ეს იყო არა მარტოობის, არამედ უფრო მეტი, — სიკვდილის სიჩუმე, რომელმაც ყველაფერი მოიცვა, ედმონდის გაყინული სულიც კი.

მაშინ ედმონდმა ქვა თავით ასწია და აბატის საკანს გამომცდელი თვალით გადახედა. იქ აღარავინ იყო. დანტესი მიწისქვეშა გასასვლელიდან გამოძვრა.

XX

ციხესიმაგრე იფის სასაფლაო

ციხის სარკმლიდან შემოჭრილი ღრუბლიანი დილის მკრთალი შუქით განათებულ საწოლზე იდო უხეში ტილოს ტომარა. მის ნაკეცებში ბუნდოვნად ჩანდა გრძელი და უძრავი სხეულის მოხაზულობა. ეს იყო აბატ ფარიას სუდარა, რომელიც, მედილეგების თქმით, ასე იაფი ღირდა.

მაშ ასე, ყველაფერი გათავდა. დანტესი და მისი მოხუცი მეგობარი ფიზიკურად უკვე დაშორებული იყვნენ ერთმანეთს. დანტესს უკვე აღარ შეეძლო დაენახა მისი თვალები, რომლებიც ღიად დარჩენოდა, თითქოს იმიტომ, რომ სიკვდილის იქითა მხარისათვის ეცქირა; არ შეეძლო ჩასჭიდებოდა მის მარჯვე ხელს, რომელმაც გადაუხსნა ქვეყნიერების საიდუმლოებათა მფარავი ფარდა. ფარია, გულისხმიერი, საუკეთესო მეგობარი, რომელზედაც ასე ძლიერად იყო მიჯაჭვული, ახლა მხოლოდ მის მოგონებებში არსებობდა. მაშინ დანტესი ამ საშინელი საწოლის თავთან ჩამოჯდა და მწარე, უნუგეშო მწუხარებას მიეცა.

მარტოობა! ისევ მარტოობა! ირგვლივ ისევ დუმილია გამეფებული. ის ისევ არყოფნის პირისპირ აღმოჩნდა.

მარტოა! უკვე ვეღარ ხედავს, ვერც ისმენს იმ ერთადერთი ადამიანის ხმას, ვინც ამ ცხოვრებასთან აკავშირებდა! განა უკეთესი არ იქნება, ფარიასავით ღმერთთან წავიდეს სააქაო ცხოვრების გამოცანის ამოსახსნელად, თუნდაც ამისათვის ტანჯვის საშინელ კარიბჭეში მოუხდეს გავლა?

ფიქრი თვითმკვლევლობაზე, რომელიც მას თავიდან ამოუგდო მისმა მეგობარმა, ფარიას გვამის წინ მოჩვენებასავით გამოეცხადა.

— რომ მოვკვდე — თქვა მან, — მის გზას გავყვებოდი, და რასაკვირველია, ვნახავდი კიდეც. მაგრამ როგორ მოვკვდე? ეს ძალიან ადვილია, — დაუმატა მან სიცილით, — მე აქ დავრჩები, ვეცემი, ვინც პირველი შემოვა და წავახრჩობ. ამისათვის თავს გამაგდებინებენ.

მაგრამ ძლიერ მწუხარებაში, ისევე როგორც ძლიერი ქარიშხლის დროს, უფსკრული შეიქმნება ხოლმე ორ აზვირთებულ ტალღას შორის; დანტესმა უკუაგდო ასეთ სამარცხვინო სიკვდილზე ფიქრი და ცხოვრებისა და თავისუფლებისადმი წყურვილი იგრძნო.

— მოვკვდე! ოჰ, არა! — შეჰყვირა მან, — განა ამდენ ხანს იმიტომ ვიცხოვრე, ამდენი იმიტომ ვიტანჯე, რომ ახლა მოვკვდე! სიკვდილი, მაშინ იყო კარგი, როდესაც რამდენიმე

წლის წინათ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. მაგრამ ახლა ეს ნამდვილად დიდი დახმარება იქნება ჩემი საზიზღარი ბედისათვის. არა, მე არ მინდა სიკვდილი, მე მინდა, ბოლომდე ვიბრძოლო; არა, მე მინდა, მოვიპოვო ის ბედნიერება, რომელიც წამართვეს. სანამ მოკვდებოდე, უნდა გავუსწორდე ჩემს ჯალათებს და, ვინ იცის, შეიძლება ზოგიერთი მეგობრისათვის სიკეთის ანაზღაურებაც მომიხდეს. მაგრამ ამჯერად მივიწყებული ვარ ამ საკანში და აქედან გავალ, როგორც ფარია.

ამ სიტყვის წარმოთქმისთანავე ედმონდი გაირინდა; თვალები გაუშტერდა, როგორც ადამიანს, რომელსაც გონება გაუნათა უეცარმა, მაგრამ საშინელმა აზრმა. იგი უეცრად წამოდგა, ხელი შუბლზე მიიღო, თითქოს თავბრუ დაეხვაო. საკანში ორჯერ თუ სამჯერ დაარტყა წრე და ისევ საწოლთან შეჩერდა.

— ოჰ, ოჰ, — ჩურჩულებდა იგი, — ვინ ჩამინერგა მე ეს აზრი? ეს შენა ხარ, ჩემო ღმერთო? რახან აქედან თავისუფლად მხოლოდ მიცვალებულები გადიან, მაშ, მიცვალებულის ადგილს დავიკავებ.

დანტესისწრაფად, ისე, რომ ფიქრსა და ყოყმანს ხელი არ შეეშალა სასოწარკვეთილებით მიღებული გიჟური გადაწყვეტილებისათვის, დაიხარა ამ საშინელი ტომრისაკენ. ფარიას გაკეთებული დანით გაარღვია იგი; იქიდან მიცვალებული ამოიღო, თავის საკანში გადაიტანა, თავის საწოლზე დააწვინა, თავი ნაჭრით შეუხვია, როგორც მას თვითონ ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული, თავისი საბანი მიახურა, უკანასკნელად აკოცა მის გაცივებულ შუბლს და შეეცადა დაეხუჭვინებინა ჯიუტი თვალები, რომლებიც ისევ უაზროდ და შემადრწუნებლად გამოიყურებოდნენ; შემდეგ მიცვალებული პირით კედლისაკენ გადააბრუნა, რათა მედილეგეს, როდესაც იგი ვახშამს მოიტანდა, ეფიქრა, დანტესი წამოწოლილა, როგორც ეს მას ხშირად სჩვევიაო. ამის შემდეგ მიწისქვეშა გასასვლელში ჩავიდა, საწოლი კედელთან მისწია და აბატის საკანში შებრუნდა. საიდუმლო კარადიდან ნემსი და ძაფი ამოიღო, გაიძრო თავისი ძონძები, რათა ტომარაში შიშველი სხეული ეგრძნოთ, შემდეგ გარღვეულ ტომარაში ჩაძვრა, ისეთი მდგომარეობა მიიღო, როგორც მიცვალებულს ჰქონდა და ტომარა შიგნიდან ამოკერა. თუ ამ წუთში მისდა საუბედუროდ ვინმე შემოვიდოდა, დანტესს თავისი გულისცემა გასცემდა.

დანტესს შეეძლო ყოველივე ეს სადამოს ჩამოვლის შემდეგ გაეკეთებინა, მაგრამ შიშობდა, ციხის უფროსს არ შეეცვალა გადაწყვეტილება და მიცვალებული მანამდე არ გაეტანათ. მაშინ უკანასკნელი იმედიც გაქრებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ახლა გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა. აი, რის გაკეთებას ფიქრობდა: თუ სასაფლაოს გზაზე მესაფლავეები მიხვდებოდნენ, რომ მიცვალებულის მაგიერ ცოცხალი ადამიანი მიჰყავდათ, დანტესი მათ დროს არ მისცემდა, რომ გონს მოსულიყვნენ, დანის მაგრად დასმით ტომარას თავიდან ბოლომდე გაჭრიდა, ისარგებლებდა მათი აზნეულობით და თავს უშველიდა. თუ დაჭერას მოუხდომებდნენ, მაშინ დანას დაატრიალებდა.

თუ სასაფლაომდე მიიყვანდნენ და საფლავში ჩაუშვებდნენ, ის მიწით დააფარვინებდა თავს, მაგრამ რაკი, ღამე იყო, მესაფლავეები უკან გამობრუნდებოდნენ თუ არა, ფხვიერ მიწას ამოყრიდა და გაიქცეოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მიწის სიმძიმე დიდი არ იქნებოდა და შეძლებდა მის გადაყრას.

თუ ის ცდებოდა და, პირიქით, მიწა მძიმე აღმოჩნდებოდა, მაშინ დაიხრჩობოდა. მით უკეთესი! ამით ყველაფერი გათავდებოდა.

დანტესს წუხანდელს აქეთ ლუკმა არ ჩაედო პირში, მაგრამ დილით შიმშილი არ უგრძნია და არც ახლა ფიქრობდა ჭამაზე. მისი მდგომარეობა იმდენად საშიში იყო, რომ არ შეიძლებოდა ფიქრი სხვა საგანზე გადაეტანა.

პირველი საშიშროება, რომელიც დანტესს ელოდა, ეს იყო: როდესაც საღამოს შვიდ საათზე მედილეგე საკანში ვახშამს შეუტანდა, შეიძლება გაეგო მისი ეშმაკობა. საბედნიეროდ, არაერთხელ, ხან დადლილობისა და ხან უგუნებობის გამო მედილეგეს დაწოლილი ხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში მედილეგე ვახშამს მაგიდაზე ტოვებდა ისე გადიოდა, რომ არც კი გამოელაპარაკებოდა ხოლმე.

მაგრამ ამჯერად მედილეგეს შეიძლება ეღალატა თავისი ჩვეულებისათვის, დალაპარაკებოდა დანტესს, და რაკი დაინახავდა, დანტესი პასუხს არ ამღევდა, საწოლთან მისულიყო და ყველაფერი გაეგო.

რაც უფრო ახლოვდებოდა საღამოს შვიდი საათი, მით უფრო მატულობდა დანტესის შიში. ერთი ხელი გულზე ჰქონდა მიდებული და ცდილობდა, გულისცემა შეეჩერებინა, ხოლო მეორე ხელით იწმენდა ოფლს, რომელიც შუბლიდან წყალივით ჩამოწურწურებდა. დროდადრო მთელი სხეული უთრთოდა და გული ისე ეკუმშებოდა, თითქოს ყინულოვან მუხრუჭებშია მოქცეული. მაშინ დანტესს ეგონა, ეს არის ვკვდებიო. მაგრამ საათები მირბოდნენ და იფში არავითარი ხმაური არ ატეხილა. დანტესი მიხვდა, რომ პირველმა საშიშროებამ გაიარა. ეს კარგად ენიშნა. ბოლოს, ციხის უფროსის მიერ დანიშნულ დროზე, კიბიდან ფეხის ხმა მოისმა. ედმონდი მიხვდა, რომ დადგა დიდი ხნის ნანატრი წუთები. მან მთელი სიმხნევე მოიკრიბა და სუნთქვა შეიკრა; რა ბედნიერი იქნებოდა, ამავე დროს გულის მძაფრი ცემაც რომ შეეჩერებინა.

კარებთან გაჩერდნენ. სხვადასხვა ფეხის ხმა იყო. დანტესი მიხვდა, რომ ორი მესაფლავე უნდა ყოფილიყო როდესაც გაიგონა იატაკზე საკაცის დადებით გამოწვეული ხმაური.

კარები გაიღო. დანტესს თვალებში მოხვდა მკრთალი სინათლე. ტილოს ტომრიდან, რომელიც მას ფარავდა, შეძლო გაერჩია, რომ ორმა მესაფლავემ მოაკითხა. ეს ვარაუდი სინამდვილედ ექცა. ორი ადამიანის ჩრდილი საწოლს მიუახლოვდა. მესამე კარებში გაჩერდა ჩირაღდნით ხელში. მესაფლავეებმა ტომარას ბოლოებში წაავლეს ხელი.

— ასეთი გამხდარი მოხუცი და ასეთი მძიმე! — ჩაილაპარაკა ერთმა მესაფლავემ, რომელმაც იგი თავის მხრიდან ასწია.

— ამბობენ, ძვლები ყოველწლიურად ერთნახევარ გირვანქას მატულობენ წონაშიო, — დაუმატა მეორემ, რომელმაც ფეხებიდან ასწია.

— მარყუჟი მოამზადე? — ჰკითხა პირველმა.

— სულელი ვიქნები, აქედანვე უსარგებლო ტვირთი ვათრიო, იქვე გავაკეთებთ, — უთხრა მეორემ.

— მართალი ხარ, მამ წავიდეტ.

«რა საჭიროა ეს მარყუჟი?» — გაიფიქრა დანტესმა.

მესაფლავეებმა ვითომდა მიცვალებული საწოლიდან საკაცეზე გადაიტანეს. დანტესმა მთელი სხეული გაჭიმა, რომ მიცვალებულს უფრო უკეთ დამსგავსებოდა. როგორც ვთქვით, დანტესი საკაცეზე დადეს და სამგლოვიარო პროცესია დაიძრა. მათ გზას უნათებდა ჩირაღდნიანი კაცი, რომელიც წინ მიუძღოდა.

უცებ მან იგრძნო ღამის სუფთა ჰაერის ტალღები. ეს იყო მისტრალი¹. (¹ მისტრალი — ძლიერ ცივი და მშრალი ქარი, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში ქრის ჩრდილოეთიდან ან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.) ეს უცარი შეგრძნება ერთსა და იმავე დროს სიამოვნებითა და შემფოთებით იყო სავსე. მესაფლავეებმა გაიარეს ოციოდე ნაბიჯი, შეჩერდნენ და საკაცე ძირს დადგეს.

ერთი მათგანი ჩამოშორდა და დანტესი მიხვდა, რომ იგი გათლილ ქვებზე დადიოდა.

«ნეტავი სადა ვარ?» — გაიფიქრა მან.

— იცი, რომ ეს საკმაოდ მძიმე ტვირთია, — თქვა იმ მესაფლავემ, რომელიც დანტესთან დარჩა და საკაცის პირზე ჩამოჯდა.

დანტესის პირველი აზრი იყო, გამომძვრალიყო ტომრიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, თავი შეიკავა.

— მომინათებ თუ არა, შე მუდრეგო, შენა, — გაისმა იმ მესაფლავის ხმა, რომელიც საკაცეს მოსცილდა: — თორემ ასე ვერასოდეს ვიპოვი, რასაც ვეძებ.

ჩირალდნიანი კაცი დამორჩილდა, თუმცა მიმართვა, როგორც დავინახეთ, საკმაოდ უხეში იყო.

«რას უნდა ეძებდნენ? — გაიფიქრა დანტესმა, — ალბათ, ბარს».

კმაყოფილების შემახილმა დანტესი მიახვედრა, რომ მესაფლავემ იპოვა ის, რასაც ეძებდა.

— ძლივს! — თქვა მეორემ.

— კი მაგრამ, — უპასუხა პირველმა, — რა ეჩქარება, მაინც იმ ქვეყანას მიდის.

ამ სიტყვებზე იგი ედმონდს მიუახლოვდა და საკაცეზე რაღაცა მძიმე და ყრუ ხმის გამომცემი საგანი დადო. ამავე დროს ფეხებზე თოკი მაგრამ შემოუჭირეს.

— რა ჰქენი, განასკვე? — ჰკითხა მეორე მესაფლავემ.

— ძალიან კარაგადაც. ამაზე მე ვაგებ პასუხს. — უპასუხა პირველმა მესაფლავემ.

— აბა, მაშ წავიდეთ!

მესაფლავეებმა საკაცე ასწიეს და გზას გაუდგნენ. გაიარეს ორმოცდაათი ნაბიჯი, შემდეგ შეჩერდნენ, გამოაღეს რომელიღაც კარი და კვლავ განაგრძეს გზა. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო გარკვევით აღწევდა დანტესის ყურამდე ტალღების ხმაური: ისინი ეხეთქებოდნენ იმ კლდეს, რომელზედაც იგი იყო აგებული.

— ცუდი ამინდია, — თქვა ერთმა მესაფლავემ. — ასეთ ამინდში ზღვაში ყოფნა სრულიად არ არის სასიამოვნო!

— ჰო, აბატი კი არ დაგვისველდეს! — უპასუხა მეორემ და ორივემ გადაიხარხარა.

დანტესმა კარგად ვერ გაიგო ეს ხუმრობა, მაგრამ თმა მაინც ყალყზე დაუდგა.

— აი, მოვედით კიდევ, — თქვა პირველმა.

— უფრო იქით, უფრო იქით, — უთხრა მეორემ, — ხომ კარგად გახსოვს, ამას წინათ რომ გადავაგდეთ, კლდეებზე მიემსხვრა. ციხის უფროსმა კი მეორე დილით უქნარები გვიწოდა.

აღმართში კიდევ გაიარეს ხუთი თუ ექვსი ნაბიჯი, შემდეგ დანტესმა იგრძნო, რომ თავში და ფეხებში წაავლეს ხელი და გააქან-გამოაქანეს.

— ერთი! — დაიწყო თვლა მესაფლავემ.

— ორი!

— სამი!

დანტესმა იმ წუთშივე იგრძნო, რომ განუზომელ სივრცეში გადაისროლეს, რომ ის ფრთამოტეხილი ფრინველივით მიაპობს ჰაერს, ეშვება ძირს, ძირს და შეშინებულს გული ეყინება. რაღაცა მძიმე ქვემოთკენ ეწეოდა და ვარდნის სიჩქარეს უფრო სწრაფს ხდიდა. მაინც ეგონა, მთელი საუკუნეა, დაბლა ვეშვებიო. ბოლოს გამაყრუებელი ხმაურით ყინულივით ცივ წყალში ისარივით ჩაეშვა. დანტესს უნდოდა დაეყვირა, მაგრამ უეცრად წყალმა გაგუდა.

დანტესი ზღვაში გადაისროლეს და ფეხებზე მიბმული ოცდათექვსმეტგირვანქიანი სიმძიმის ბირთვი ფსკერისაკენ ეწეოდა.

ზღვა — ციხესიმაგრე იფის სასაფლაო იყო.

კუნძული ტიბულენი

დარეტიანებულმა, თითქმის სულშეხუთულმა დანტესმა იმდენი ჭკუა იხმარა, რომ სუნთქვა შეიკრა; და რაკი მარჯვენა ხელში, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, ყოველი შემთხვევისათვის დანა ჰქონდა გამზადებული, ტომარა სწრაფად გაჭრა, იქიდან ჯერ ხელი გამოყო, შემდეგ კი თავი. დანტესი ამაოდ ცდილობდა, ბირთვი როგორმე ზემოთ ამოეწია: იგი მას ქვემოთ ეზიდებოდა. მაშინ დანტესი დაიხარა და მოსინჯა თოკი, რომლითაც ფეხები ჰქონდა შეკრული. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და სწორედ იმ წუთში, როცა იგუდებოდა, თოკი გადაჭრა. დანტესმა ფეხები მძლავრად გაიქნია და თავისუფალი ზღვის ზედაპირზე მოექცა. ამავე დროს ბირთვი ფსკერისაკენ მიაქანებდა ტილოს ტომარას, რომელიც კინაღამ მის სუდარად გადაიქცა.

როდესაც იგი წყლის ზედაპირზე მეორედ ამოვიდა, ჩავარდნის ადგილს უკვე ორმოცდაათი ნაბიჯით იყო დაშორებული. დანტესმა ზემოთ დაინახა შავი და მრისხანე ცა, რომელზედაც ქარი ღრუბლებს სწრაფად მოაცურებდა. ხანდახან ღრუბლებს შუა გამოჩნდებოდა ცის კამარის პატარა ნაგლეჯი მოციმციმე ვარსკვლავებით. დანტესის წინ გაწოლილიყო პირქუში და ბობოქარი სივრცე, რომელზედაც ქარიშხლის მაუწყებელი აზვირთებული ტალღები დუღილს იწყებდნენ; უკან კი აღმართულიყო გრანიტის გიგანტი, უფრო შავი, ვიდრე ზღვა, უფრო შავი, ვიდრე ცა. მისი შავი ქიმი გასხლტომილი ნადავლის დასაჭერად გაწვდილ ხელს წაგავდა. ყველაზე მაღალ კლდეზე კანდელი ორ ლანდს აშუქებდა.

დანტესს მოეჩვენა, რომ ეს ორი ლანდი შემფოთებით დასცქეროდა ზღვას. ამ უცნაურმა მესაფლავებმა, ალბათ, მართლაც გაიგონეს მისი ყვირილი, რომელიც მას წყალში ჩავარდნის დროს აღმოხდა. ამიტომ მან ხელახლა ჩაყვინთა და წყლის ქვეშ საკმაოდ დიდ მანძილზე გაცურა. ეს ხერხი მისთვის ოდესღაც კარგად ცნობილი იყო. პაროს ყურეში დანტესი თავის გარშემო იკრებდა მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს, რომლებსაც იგი არაერთხელ უღიარებიათ მარსელის ყველაზე დახელოვნებულ მოცურავედ.

როდესაც ედმონდი ისევ წყლის ზედაპირზე გამოჩნდა, კანდელი უკვე აღარ ჩანდა.

საჭირო იყო ორიენტაცია. იფის გარშემო შემორტყმული კუნძულებიდან როტონო და პომეგი ყველაზე ახლოსაა, — გაიფიქრა მან, — მაგრამ როტონო და პომეგი დასახლებული კუნძულებია, დასახლებულია პატარა კუნძული დომიც; მაშასადამე, ყველაზე საიმედო იყო კუნძულები ტიბულენი და ლემერი. ეს კუნძულები ციხესიმაგრე იფიდან ერთი მილით იყო დაშორებული.

დანტესმა, ასეთი დიდი მანძილის მიუხედავად, გადაწყვიტა ერთ მათგანამდე მიეღწია, მაგრამ ღამის წყვდიადში, რომელიც უფრო და უფრო გაურკვეველს ხდიდა ყველაფერს, გზა როგორ გაეგნო?

უცებ დაინახა ვარსკვლავით მოციმციმე პლანიეს შუქურა. თუ პირდაპირ შუქურისაკენ გაემართებოდა, კუნძულ ტიბულენს მარცხნივ მოიტოვებდა, თუ ცოტა მარცხნივ დაიჭერდა გეზს, მაშინ კუნძულს უნდა მისდგომოდა.

მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იფიდან ამ კუნძულამდე ერთი მილი მაინც იყო.

ციხეში ფარიას, როდესაც მას სასოწარკვეთილსა და გაზარმაცებულს ხედავდა, რამდენჯერმე უთქვამს:

«დანტეს, ნუ მიეცემით უსაქმობას; თავის გადარჩენის დროს დაიხრჩობით, თუ თქვენი ძალები არ ავარჯიშეთ წინასწარ».

ახლა, როდესაც მან იგრძნო წყლის მომაკვდინებელი სიმძიმე, ფარიას ამ სიტყვებმა ყურში გაუწივლეს; ის სწრაფად ამოყურყუმელავდა ზედაპირზე და დაიწყო ტალღების

გარღვევა, რათა დარწმუნებულიყო, მართლა ხომ არ დაგვარგე ძალაო. დანტესი სიხარულით დარწმუნდა, რომ იძულებულმა უმოქმედობამ მასში არ ჩაკლა ძალა და სიმარჯვე. მან იგრძნო, რომ ისევ ბატონობდა სტიქიაზე, რომელსაც ბავშვობიდანვე ეთამაშებოდა.

გარდა ამისა, შიშმა — ამ სწრაფმა მდევარმა — გაუორკვეცა დანტესს ძალა. იგი ტალღებს მიარღვევდა და თან ყურს უგდებდა, რაიმე ხმაური ხომ არ ატყდაო. ყოველთვის, როდესაც ტალღა ზევით აიტაცებდა, ის სწრაფად გადახედავდა დაბურულ ჰორიზონტს და ცდილობდა, ღამის წყვდიადი განეჭვრიტა. ყოველი ტალღა, რომელიც დანარჩენებზე მაღლა იწევდა, მას უკან დადევნებულ ნავად მიაჩნდა, და მაშინ უფრო სწრაფად მიცურავდა. ამით დანტესი, რასაკვირველია, გზას იმოკლებდა, მაგრამ ამავე დროს ძალაც ელეოდა.

იგი მაინც მიცურავდა. მრისხანე ციხესიმაგრე იფი ღამის წყვდიადში იფლობოდა. იგი უკვე ვეღარ ხედავდა ციხეს, მაგრამ ჯერ კიდევ გრძნობდა.

ასე გავიდა ერთი საათი. ამ ხნის განმავლობაში თავისუფლების გამაცოცხლებელი გრძნობით აღფრთოვანებული დანტესი ტალღებს დანიშნული მიმართულებით მიარღვევდა.

— «უკვე ერთი საათია, რაც მივცურავ, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ ქარი საწინააღმდეგოდ უბერავს და, ალბათ, ჩემი სიჩქარის მეოთხედი დაგვარგე; თუ გზას არ ავცდი, ახლა ტიბულენიდან შორს არ უნდა ვიყო. მაგრამ თუ მოვტყუვდი!»

მცურავს შეაჟრჟოლა. იგი შეეცადა, ზურგზე გაწოლილიყო, შეესვენა; მაგრამ ზღვა უფრო და უფრო ღელავდა, და დანტესი მიხვდა, რომ სულის მოთქმა, რომელზედაც იმედს ამყარებდა, შეუძლებელი აღმოჩნდა.

— «დე, ასე იყოს! — თქვა მან, — მე ვიცურებ, სანამ ხელები მემორჩილება, სანამ კრუნჩხვა მომივლის, მერე კი უფსკრულისაკენ დავეშვები».

დანტესმა ცურვა განაგრძო სასოწარკვეთილის სიჯიუტითა და სიძლიერით.

უცებ მოეჩვენა, რომ გაშავებული ცა უფრო მეტად იბურებოდა, სქელი და მძიმე ღრუბელი მისკენ მოიწევდა. იმავე წუთში მუხლებში საშინელი ტკივილი იგრძნო და უცრად წარმოიდგინა, ტყვია მომხვდა და საცაა თოფის ხმასაც გავიგონებო, მაგრამ თოფი არ გავარდნილა. დანტესმა ხელი გასწია და რაღაცა მაგარი იგრძნო. ფეხი მოხარა და მიწას შეეხო. დანტესი მიხვდა, თუ რა მოეჩვენა ღრუბლად.

მისგან ოცი ნაბიჯის დაცილებით აღმართულ იყო უცნაური კლდეების გროვა, რომელიც უცრად გაქვავებულ ვეებერთელა კოცონს წააგავდა.

დანტესი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა, ღმერთს მაღლობა გადაუხადა და გაწვა ამ წაწვეტილ გრანიტის კლდეზე, რომელიც ამ წუთში ურბილეს ლოგინად მოეჩვენა.

შემდეგ, ქარის, გრიგალისა და წვიმის მიუხედავად, რომელიც უკვე დაიწყო, დაღლილობისაგან მოთენთილმა დაიძინა ისეთი კაცის ტკბილი ძილით, რომლის სხეული დუნდება, მაგრამ სული ფხიზლობს მოულოდნელი ბედნიერების შეგრძნობით.

ერთი საათის შემდეგ ედმონდი ძლიერი ქუხილის ხმამ გააღვიძა. ქარიშხალმა სივრცეში გაინავარდა და ჰაერში შემოკრა თავისი განათებული ფრთები; დროდადრო ცაში ელვა ცეცხლოვანი გველივით გაირბენდა, ანათებდა ტალღებსა და ღრუბლებს, რომლებიც მიგორავდნენ, ერთიმეორეს უსწრებდნენ, როგორც უსაზღვრო ქაოსის ზვირთები.

დანტესი არ მოატყუა მეზღვაურის გამოცდილმა თვალმა. იმ ორი კუნძულიდან იმ პირველს მიადგა, რომელიც ნამდვილად კუნძული ტიბულენი იყო. დანტესმა იცოდა, რომ ეს არის შიშველი, ყოველმხრივ გახსნილი კლდე, რომელსაც არავითარი

თავშესაფარი არ გააჩნია. მაგრამ გადაწყვიტა, როცა ქარიშხალი ჩადგება, ისევ ზღვაში გადავეშვები და ცურვით ასეთ უდაბურ, მაგრამ უფრო ფართო და, მამასადამე, უფრო სტუმართმოყვარე კუნძულ ლემერამდე მივაღწევო.

გადმოწეული კლდე დანტესისათვის დროებითი თავშესაფარი გამოდგა; ის კლდის ქვეშ შეძვრა. თითქმის იმ წუთშივე ქარიშხალმა მთელი თავისი სიშმაგით დაიბოზოქრა.

ედმონდმა იგრძნო, როგორ შეინძრა კლდე, რომელსაც თავი შეაფარა. ამ ვეებერთელა პირამიდისებური ლოდის ძირთან მოხეთქილი ტალღების შხეფები მას მთელ სხეულზე სცემდა. თუმცა საიმედო ადგილას იყო თავშეფარებული, მაგრამ საშინელმა ხმაურმა, თვალისმომჭრელმა ელვარებამ თავბრუ დაახვია. დანტესმა იფიქრა, კუნძული ფეხქვეშ მეცლება, საცაა, გემივით მოსწყდება ლუზას და ამ ვეებერთელა მორევში გამიტაცებსო.

ამასობაში ისიც გაახსენდა, რომ ერთი დღის და ღამის განმავლობაში არაფერი ეჭამა. მას შიმშილი და წყურვილი კლავდა.

დანტესმა ხელები და თავი გასწია და კლდის ღარიდან წვიმის წყალი დალია.

როდესაც თავი ასწია, ელვამ, რომელმაც, ასე გეგონებოდათ, მთელი ცა ღვთის ტახტის კვარცხლბეკამდე გადახსნაო, მთელი სივრცე გაანათა. ამ ელვის შუქზე კუნძულ ლემერსა და კრუავილის კონცხს შუა, დანტესიდან ოთხი მილის დაშორებით, თითქოს ტალღებზე მოცურავე მოჩვენებაო, გამოჩნდა პატარა სათევზაო გემი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს გრიგალიც აქანებდა და ტალღებიც. ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა მეორე ტალღაზე; იგი დიდი სისწრაფით ახლოვდებოდა. დანტესს უნდოდა დაეყვირა, ჰაერში რამე ნაჭერი გაექნია და ნიშანი მიეცა, ილუპებითო, მაგრამ ამას ისინიც ძალიან კარგად ხედავდნენ. როდესაც მეორედ გაიელვა, დანტესმა დაინახა ოთხი ადამიანი. სამნი ანძებსა და შტავებს ჩასჭიდებოდნენ, მეოთხე დამტვრეულ საჭესთან იდგა. უეჭველი იყო, ამ ადამიანებმაც დაინახეს იგი, რადგან მის ყურამდე მიაღწია სასოწარკვეთილმა ყვირილმა, რომელსაც ქარის სტვენა ახშობდა. ანძაზე, რომელიც ლერწამივით ირხეოდა, თხლამანი გაჰქონდა აფრის ნაგლეჯს. უცებ გემსართავები, რომლებსაც ის ჯერ კიდევ ემაგრა, დასკდა. გემი ქარმა აიტაცა და ცის შავ სიღმეში გააქრო, როგორც ვეებერთელა, თეთრი ფრინველი, რომელიც შავ ღრუბლებში გამოკრთება ხოლმე.

თითქმის იმ წუთშივე დანტესმა გაიგონა საშინელი ტკაცანი, მის ყურამდე მიაღწია განწირულთა ყვირილმა. ყმაწვილი კაცი სფინქსივით აეკრა თავის კლდეს და უფსკრულში ჩაიხედა. ხელახლა იელვა. ელვის შუქზე მან დაინახა დამტვრეული პატარა გემი, ხოლო ნამსხვრევებს შორის სასოწარკვეთილი სახეები და ზეცისაკენ აღპყრობილი ხელები.

მერე ყველაფერი წყვდიადში შთაინთქა. ეს საშინელი სანახაობა კლვის სისწრაფით გაუჩინარდა.

დანტესი მოლიპულ კლდეებზე დაეშვა. ყოველ წუთს მოელოდა ზღვაში გადავარდნის საშიშროება. იცქირებოდა, ყურს უგდებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა; აღარავითარი ყვირილი, აღარავითარი ადამიანური ბრძოლა!.. მხოლოდ გრიგალი კვლავ ღმულოდა ქართან ერთად და ტალღებთან ერთად ქაფებს ჰყრიდა.

თანდათან ქარი ჩადგა, ზეცა დასავლეთისაკენ ერეკებოდა დიდ, ნაცრისფერ ღრუბლებს, რომლებიც თითქოს ქარიშხალს გაეხურებინა. გამოჩნდა ცის კამარა, მეტისმეტად მოკაშკაშე ვარსკვლავებით. მალე აღმოსავლეთისაკენ ალიონმა მოწითალო ზოლი მოავლო შავ-მოლურჯო ჰორიზონტს; აზვირთებულ ტალღებზე უეცარმა შუქმა გადაირბინა და მათი აქაფებული ქოჩრები ოქროსფრად შეღება.

თენდებოდა.

დამუნჯებული დანტესი უძრავად შეჰყურებდა ამ დიდებულ სანახაობას, თითქოს პირველად ხედავდა; მართლაც, იმ დროიდან, რაც ის ციხესიმაგრე იფში იყო, დაავიწყდა,

როგორ ამოდიოდა მზე. დანტესმა ციხესიმაგრისაკენ იბრუნა პირი და გამომცდელი თვალებით დიდხანს გასცქეროდა დედამიწას და ზღვას.

ტალღებიდან დიდებული მრისხანებით აღიმართა პირქუში შენობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს თითქოს გუშაგიც იყო და მბრძანებელიც.

დილის ხუთი საათი იქნებოდა; ზღვა თანდათან მშვიდდებოდა.

«ორ-სამ საათში, — გაიფიქრა დანტესმა, — მედილეგე ჩემს საკანში შევა, ნახავს ჩემი საბრალო მეგობრის გვამს, იცნობს მას, მე ამაოდ დამიწყებს ძებნას და განგამს ატებს. მაშინ იპოვიან ხვრელს, მიწისქვეშა გასასვლელს; დაჰკითხავენ იმათ, ვინც მე ზღვაში გადამისროლა და, უეჭველია, ჩემი ყვირილი გაიგონა. იმ წუთშივე ჯარისკაცებით საცხე ნავეები დაიდრებიან საწყალი ლტოლვილის სამებნელად, მათ იციან, რომ იგი შორს არ იქნება. ქვემეხები ნიშანს მისცემენ ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებს, რომ არ მისცენ თავშესაფარი მშიერსა და შიშველ კაცს. მარსელის ჯაშუშებს აცნობებენ და ისინიც ნაპირს ალყას შემოარტყამენ, ამასობაში კი ციხე-სიმაგრის უფროსი გასცემს განკარგულებას — ზღვაში მეძებონ. მაშინ რაღა დამრჩენია, წყალში ალყაშემორტყმულმა, ხმელეთზე დევნილმა რა უნდა ვქნა? მე მშიერი ვარ, გათოშილი, ერთადერთი იმედი — დანა — ცურვაში ხელს მიშლიდა და გადავაგდე. მე პირველსავე შემხვედრი გლეხის ხელში ვარ, რომელიც მოინდომებს გამცეს და ამაში ოცი ფრანკი მიიღოს. უკვე აღარც ძალა მაქვს, აღარც აზრები და არც გადაწყვეტილების მიღების უნარი. ოჰ, ღმერთო ჩემო, შენ ხედავ ჩემს ტანჯვას და მომხედე, ხომ ხედავ, ვერ ვშველი ჩემს თავს».

იმ წუთში, როდესაც ძალაგამოლეული და აზროვნების უნარდაკარგული ედმონდი მხურვალე ლოცვას ჩურჩულებდა და შეშფოთებით გასცქეროდა ციხესიმაგრე იფს, კუნძულ პომეგის კიდეზე დაინახა პატარა გემი, რომელიც თოლიასავით მოფრინავდა წყლის ზედაპირზე; მხოლოდ მეზღვაურის თვალს შეეძლო ზღვის ნახევრად ჩაბნელებულ ზოლზე ამ გემში გენუის ტარტანი¹ (1 ტარტანი — პატარა, ერთანძიანი გემი, რომელსაც ხმელთაშუა ზღვაზე იყენებენ სამოგზაუროდ.) ეცნო. იგი მარსელის ნავსადგურიდან ღია ზღვაში მიცურავდა; მოელვარე ქაფი უკან იხევდა მისი წაწვეტილი ცხვირის წინაშე და თავისუფალ გზას უთმობდა მომრგვალებულ ფერდებს.

— ოჰ, — წამოიყვირა ედმონდმა, — ნახევარ საათში დავეწეოდი ამ გემს, იმის შიში რომ არ მქონდეს, რომ გამოკითხვას დამიწყებენ, მიხვდებიან, გამოქცეულიაო და მარსელში დამაბრუნებენ. რა ვქნა? რა ვუთხრა მათ? რა არაკი მოვიგონო, რომ მოვატყუო? ის ადამიანები კონტრაბანდისტები არიან, ნახევრად მეკობრეები. ვაჭრობის საბაბით ყაჩაღობენ და უმაღლესად გამცემენ, ვიდრე კეთილი, უანგარო საქმის გაკეთებას იკისრებენ.

— მოვიცადო? მაგრამ მოცდა შეუძლებელია. შიმშილი მკლავს და რამდენიმე საათში ეს შერჩენილი უკანასკნელი ძალაც გამომეღვევა. გარდა ამისა, ციხეში ჩამოვლის საათიც ახლოვდება; განგამი ჯერ არ აუტეხიათ, შესაძლებელია ვერაფერი გაიგონ. მე კი შემძლია თავი გავასაღო ამ ღამით დამსხვრეული პატარა გემის მეზღვაურად. ეს არაკი სიმართლეს მოკლებული არ იქნება; ვერავინ გამამტყუნებს, ისინი ყველანი დაიხრჩვენ. მაშ, გადაწყდა.

დანტესმა იმ მხარისაკენ გაიხედა, სადაც გემი დაიმსხვრა და შეკრთა. ფრიალო კლდის ქიმს გამოსდებოდა ერთ-ერთი დამხრჩვალ მებზღვაურის ფრიგიული ჩაჩი, ხოლო იქვე მახლობლად დაცურავდა გემის ნამსხვრევები — მძიმე ძელები, რომლებიც ტალღებზე ქანაობდნენ და კუნძულის ნაპირს, უძლური ტარანებივით ეხეთქებოდნენ.

დანტესმა იმ წუთშივე მიიღო გადაწყვეტილება, ზღვაში გადაეშვა და ფრიგიული ჩაჩისაკენ გაცურა. ჩაჩი თავზე ჩამოიცვა, ერთ-ერთ ძელს ხელი სტაცა და კვლავ გაცურა, რათა ტარტანისათვის გზა გადაეჭრა.

— ახლა მე უკვე გადარჩენილი ვარ, — ჩაიჩურჩულა მან.

ამ რწმენამ მას ძალა დაუბრუნა.

მალე მან შეამჩნია ტარტანი, რომელსაც ქარი თითქმის პირდაპირ სცემდა და რომელიც გაჭირვებით მიდიოდა ციხესიმაგრე იფსა და კლანოს კომპს შორის. ერთი წუთით დანტესი შიშმა შეიპყრო — ვაითუ, ტარტანი სანაპიროებს არ გაჰყვეს და ღია ზღვით წავიდეს, თუკი კურსი კორსიკისა და სარდინიისაკენ აქვს აღებულიო.

მაგრამ გემის სვლამ მცურავი მალე დაარწმუნა, რომ იგი, იტალიაში მიმავალი გემების ჩვეულებისამებრ, კუნძულ ჟაროსა და კალასარენს შუა აპირებდა გავლას.

ამასობაში მცურავი და გემი ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. ეს პატარა გემი ახლა დანტესიდან დაახლოებით მეოთხე მილით იყო დაშორებული. დანტესმა ზემოთ აიწია და უბედური შემთხვევის საცნობებლად ჩაჩი დაიქნია, მაგრამ იგი გემიდან ვერავინ შენიშნა. ტარტანმა ახალი ჰალსი¹ (¹ ჰალსი — გემის გეზი ქარის მიმართებით.) აიღო. დანტესმა გაიფიქრა — დავიყვირობო, მაგრამ მანძილი თვალთა და მხედდა, რომ თავის ხმას, ქარის მიერ გატაცებულს და ზღვის ტალღების ხმაურით დახშობილს, ვერ მიაწვდენდა ტარტანამდე.

დანტესი ახლა მიხვდა, რა კარგად მოიქცა, რომ ძელს ჩაეჭიდა. ის ისე დასუსტებული იყო, რომ უიმისოდ წყალში ვერ გაძლებდა ტარტანის შეხვედრამდე. ხოლო თუ ტარტანი ჩაივლიდა ისე, რომ მას ვერც კი შენიშნავდა, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, მაშინ იგი, ალბათ, ნაპირს ვეღარ მიაღწევდა.

თუმცა დანტესი თითქმის დარწმუნებული იყო, რა მიმართულებით მიდიოდა გემი, მაგრამ მაინც შეშფოთებით ადევნებდა მას თვალს, სანამ არ დაინახა, რომ იგი შემოტრიალდა და მისკენ წამოვიდა.

მაშინ დანტესმა ისევ ტარტანისაკენ გაცურა. მაგრამ სანამ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, გემმა მეორე ჰალსი აიღო.

დანტესმა მთელი ძალა მოიკრიბა, წყლის ზედაპირიდან მთელი ტანით ამოიწია, ჩაჩი დაიქნია და ისეთი საცოდავი ხმით დაიყვირა, რომელიც განწირულ მეზღვაურებს ახასიათებთ და ზღვის გენიის ღაღადს მიაგავს ხოლმე.

ამჯერად იგი დაინახეს და ხმაც გაიგონეს. ტარტანმა მიმართულება შეიცვალა და მისკენ შემოტრიალდა. იმავე დროს დანტესმა დაინახა, რომ კანჯოს ჩამოშვებას აპირებდნენ.

ერთი წუთის შემდეგ კანჯო ორი მენიჩხით მისკენ გამოემართა. მაშინ დანტესმა ძელს ხელი გაუშვა, იფიქრა, უკვე აღარ დამჭირდებაო და სწრაფად გაცურა მენავებისაკენ, რათა მათთვის გზა შეემოკლებინა.

მაგრამ მცურავმა ვერ გაზომა თავისი გამოლეული ძალა. მან იგრძნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ხის ძელს, რომელიც ახლა ასე ნაბიჯის მოშორებით ზანტად ქანაობდა. დანტესს ხელები უბუჟდებოდა, ფეხებმა დაკარგეს მოქნილობა, მძაფრად და უხეშად მოძრაობდა, სულსაც ძლივს ითქვამდა.

დანტესმა ხმამაღლა დაიყვირა, მენიჩხებმა გააორკვეცეს ენერგია, და ერთმა მათგანმა იტალიურად დაუყვირა: «გამაგრდი!»

ამ სიტყვამ დანტესის ყურამდე მიაღწია სწორედ მაშინ, როდესაც ტალღამ, რომელსაც ის ზევით ვეღარ მოექცა უღონობის გამო, — თავზე გადაუარა და ქაფით დაფარა. დანტესმა ერთხელ კიდევ ამოიყურყუმელავა, წყალში განწირული ადამიანივით სასოწარკვეთილად და უღონოდ შეფრთხილდა, მესამეჯერ დაიყვირა და იგრძნო, თითქოს ფეხებში ისევ ის მძიმე ბირთვი ჰქონდა გამობმული და იძირებოდა.

დანტესს თავზე ტალღებმა გადაუარა და წყლის ქვეშიდან დაინახა მკრთალი ცა შავი ლაქებით.

მან ერთხელ კიდევ მოიკრიბა ზეადამიანური ძალა და ისევ წყლის ზედაპირზე აღმოჩნდა. მოეჩვენა, რომ თმაში წაავლეს ხელი; შემდეგ არაფერი დაუნახავს, არაფერი გაუგონია: მას გული წაუვიდა.

როდესაც დანტესმა თვალები გაახილა, შეამჩნია, რომ ტარტანის გემბანზე იწვა. დანტესმა, უპირველეს ყოვლისა, შეხედა, რა მიმართულებით მიდიოდა იგი. ისინი შორდებოდნენ ციხესიმაგრე იფს.

დანტესი ისე მისუსტებული იყო, რომ მისი სიხარულის ძახილი კვნესად გაისმა.

ამრიგად, როგორც მოგახსენეთ, დანტესი გემბანზე იწვა; ერთი მეზღვაურთაგანი სხეულს მატყლის საბნით უხეღდა, მეორე, რომელსაც მან იცნო ის, ვინც დაუმახა, გამაგრდით — პირში მათარას სჩრიდა, ხოლო მესამე, ხანშიშესული მეზღვაური, რომელიც ერთსა და იმავე დროს შკიპერიც იყო და გემის პატრონიც, ეგოისტური თანაგრძნობით დასცქეროდა. ასეთი გრძნობა ებადებათ ხოლმე ადამიანებს ისეთი უბედურების დანახვაზე, რომელმაც მათ გუშინ გვერდი აუარა, მაგრამ შეიძლება ხვალ დაატყდეთ თავს.

მათარიდან გადმოწვეთებულმა რომმა ყმაწვილი კაცი გამოაცოცხლა, ხოლო მეზღვაურმა, რომელიც მის წინ მუხლებზე იყო დაჩოქილი და შალით ზელას განაგრძობდა, მისი სხეულის ნაწილებს მოძრაობა დაუბრუნა.

— ვინა ხართ? — ჰკითხა დამტვრეული ფრანგულით გემის პატრონმა.

— მე ვარ მალტელი მეზღვაური, — უპასუხა დანტესმა დამტვრეული იტალიურით, — სირაკუზიდან მოვდიოდით ღვინითა და ტილოებით დატვირთული. წუხანდელმა ქარიშხალმა მორჟიონის კონცხთან მოგვისწრო და დავიმტვერით იმ ფრიალო კლდეზე, რომლებსაც თქვენ აგერ იქითა მხარეს ხედავთ.

— თქვენ საიდან გამოსცურეთ?

— მე მოვახერხე კლდისათვის ჩამეგლო ხელი, ჩვენმა საწყალმა კაპიტანმა კი მას ტვინი მიანთხია, — ჩემი სამი თანამგზავრი დაიხრჩო. ვგონებ, მარტო მე დავრჩი ცოცხალი. მე დავინახე თქვენი ტარტანი, შევშინდი, დიდხანს არ მომიხდეს ცდა ამ დაუსახლებელ და უდაბურ კლდეზე-მეთქი და ჩვენი გემის ნამტვრევით გადავწყვიტე თქვენამდის მომეცურა. გმადლობთ, — განაგრძო დანტესმა, — თქვენ სიკვდილს გადამარჩინეთ; უკვე ვიძირებოდი, როდესაც ერთმა თქვენმა მეზღვაურმა თმაში მტაცა ხელი.

— ეს მე ვიყავი, — უთხრა დანტესს ნათელი, ალალმართალი სახის მეზღვაურმა, რომელსაც შავი უღვაშები ამშვენებდა, — სწორედ დროზე მოგისწარით, ის იყო, იძირებოდით.

— დიახ, — უთხრა დანტესმა და ხელი გაუწოდა, — დიახ, ჩემო მეგობარო, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

— მართალი გითხრათ, — უპასუხა მეზღვაურმა, — მე ვყოყმანობდი, წვერი და თმა ისე გაქვთ მოშვებული, რომ ყაჩაღს უფრო ჰგავდით, ვიდრე პატიოსან ადამიანს.

დანტესს გაახსენდა, რომ, მართლაც, რაც ის იფში იყო გამომწყვდეული, არც თმა შეეკრიჭა და არც წვერი მოეპარსა.

— დიახ, — უპასუხა დანტესმა, — მე მძიმე განსაცდელის წუთებში აღთქმა მივეცი დელ პიე ლა გაროტას ღვთისშობელს, ათი წლის განმავლობაში არ შემეჭრა თმა და არ მომეპარსა წვერი. დღეს ვადა გაუვიდა ჩემს აღთქმას და სწორედ კინალამ წლისთავზე დავიხრჩვე.

— ახლა რა უნდა გიყოთ? — თქვა ტარტანის პატრონმა.

— რაც გინდათ, — უპასუხა დანტესმა, — ფელუკა, რომლითაც მე ვცურავდი, დაიღუპა, კაპიტანი დაიხრჩო. როგორც ხედავთ, მე გადავრჩი, მაგრამ სულ დედიშობილად დავრჩი. საბედნიეროდ, საკმაოდ კარგი მეზღვაური ვარ, გადმომსვით

პირველსავე ნავსადგურში, სადაც თქვენ შეჩერდებით და სამსახურს ყოველთვის ვიპოვი სავაჭრო გემზე.

— იქნებ იცნობთ ხმელთაშუა ზღვას?

— მე აქ პატარაობიდანვე ვცურავ.

— თქვენ იცით კარგი მისადგომები?

— ძალიან ცოტა იქნება ნავსადგური, რომელშიც თვალდახუჭული არ შემეძლოს შესვლა და გამოსვლა.

— თუკი სიმართლეს ამბობს, რატომ არ დავტოვოთ ჩვენთან? — უთხრა პატრონს იმ მეზღვაურმა, რომელმაც დანტესს დაუყვირა, გამაგრდიო.

— დიახ, თუკი სიმართლეს ამბობს — უპასუხა პატრონმა ექვიანი გამომეტყველებით, — მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ეს საცოდავია, ადამიანს ბევრს ჰპირდები, აკეთებ კი იმას, რაც შეგიძლია.

— მე გავაკეთებ იმაზე მეტს, რასაც დაგპირდით. — თქვა დანტესმა.

— ოჰო, — თქვა სიცილით ტარტანის პატრონმა, — მაგასაც ვნახავთ.

— როდესაც გინდათ, — უთხრა დანტესმა და წამოდგა, — თქვენ საით მიემგზავრებით?

— ლივორნოს.

— ასეთ შემთხვევაში, იმის მაგივრად, რომ იკანკლურად იაროთ, რაც ძვირფას დროს დაგაკარგვინებთ, არ სჯობია, უბრალოდ ქარს გაჰყვით?

— იმიტომ, რომ კუნძულ რიონს მივადგებით.

— არა, თქვენ მას მარჯვნივ ორმოცი მეტრით ჩამოიტოვებთ.

— მაშ, მოჰკიდეთ ხელი საჭეს, — უთხრა ტარტანის პატრონმა, — ვნახოთ, როგორ გაუძღვებით.

ედმონდი საჭეს მიუჯდა, მსუბუქი დაწოლით შეამოწმა, ემორჩილებოდა თუ არა გემი საჭეს, და ნახა, რომ პირველად ტარტანს განსაკუთრებული მგრძნობიარება არ გამოუჩენია, მაგრამ მას მაინც ემორჩილებოდა. ბრძანება გასცა:

— ბრასებზე და ბულონებზე!

ოთხი მეზღვაური, ეს იყო მთელი ეკიპაჟის შემადგენლობა, თავ-თავის ადგილზე გაჩნდა, ტარტანის პატრონი კი მას თვალს ადევნებდა.

— თოკები დასწიეთ! — განაგრძო დანტესმა.

მეზღვაურებმა ბრძანება საკმაოდ მარჯვედ შეასრულეს.

— ახლა კი კარგად მიამაგრეთ.

ეს ბრძანებაც შესრულებულ იქნა ისე, როგორც ორი წინანდელი და ტარტანს უკვე იკანკლური სვლა აღარ ჰქონდა. იგი პირდაპირ გაემართა კუნძულ რიონისაკენ, რომელიც, როგორც დანტესმა იწინასწარმეტყველა, მარჯვნივ, ორმოცი მეტრის დაშორებით მოიტოვა.

— ყოჩაღ, — უთხრა ტარტანის პატრონმა.

— ყოჩაღ, — გაიმეორეს მეზღვაურებმაც.

ყველანი გაკვირვებით შესცქეროდნენ ამ ადამიანს, რომლის მზერაშიც მოულოდნელად ჰკუა ჰპოვეს, ხოლო სხეულში — ძალა.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა დანტესმა, — მე თქვენ რამდენადმე გამოგადგებით, თუნდაც ამ მოგზაურობის დროს. თუ ლივორნოში უკვე აღარ დაგჭირდებით, ძალიან კარგი, იქ დამტოვებთ; პირველი ჯამაგირის მიღებისთანავე გადაგიხდით ტანისამოსისა და კვების საფასურს, რასაც თქვენგან სესხად მივიღებ.

— კარგი, კარგი, — უთხრა ტარტანის პატრონმა, — ჩვენ ამას მოვავგარებთ, თუ ზედმეტს არ მოითხოვთ.

— კაცი კაცად ფასობს, — უთხრა დანტესმა, — რასაც სხვა მეზღვაურებს აძლევთ, მეც ის მომეცით.

— ეს არ იქნება სწორი, — თქვა იმ მეზღვაურმა, რომელმაც დანტესი ზღვიდან ამოათრია, — რადგან თქვენ ჩვენზე მეტი იცით.

— რა ეშმაკი გრევეს შენ ამ საქმეში? განა ეს შენ შეგეხება, ჯაკობო? — უთხრა მას ტარტანის პატრონმა, — ყველას უფლება აქვს ის ქირა მოითხოვოს, რომელიც მას ხელს აძლევს.

— ეს მართალია, — თქვა ჯაკობომ, მე ეს ისე, სხვათა შორის ვთქვი.

— ის არა სჯობია, ამ გამიშვლებულ ადამიანს. თუ ზედმეტი გაქვს, შარვალი და ქურთუკი ათხოვო.

— ზედმეტი ქურთუკი მე არა მაქვს, მაგრამ შემიძლია მივცე შარვალი და პერანგი.

— მეც მხოლოდ ეს მჭირდება, — უთხრა დანტესმა, — გმადლობთ, ჩემო მეგობარო. ჯაკობო გემბანიდან ქვევით ჩავიდა და იმ წუთშივე ამოვიდა პერანგით და შარვლით ხელში, რომლებიც დანტესმა გამოუთქმელი სიამოვნებით ჩაიცვა.

— სხვა კიდევ ხომ არაფერი გნებავთ? — ჰკითხა ტარტანის პატრონმა.

— ცოტა პური და კიდევ ერთი ყლუპი იმ მშვენიერი რომისა, რომელიც მე უკვე გავსინჯე. დიდი ხანია, პირში არაფერი ჩამიდვია.

მართლაც, მას თითქმის ორი დღე-ღამის განმავლობაში არაფერი ეჭამა.

დანტესს პურის ნატეხი მიუტანეს, ხოლო ჯაკობომ მათარა მიაწოდა.

— საჭე მარცხნივ! — დაუძახა კაპიტანმა მესაჭეს.

დანტესმა იქითა მხარეს გაიხედა: მათარა პირთან მიჰქონდა, მაგრამ ხელი შეუჩერდა.

— შეხედეთ, — წამოიძახა ტარტანის პატრონმა, — ნეტავი რა ხდება იფში?

მართლაც, მან შეამჩნია, რომ ციხესიმაგრე იფის სამხრეთ ბასტიონის ქონგურებზე თეთრი ღრუბლის ქულა გამოჩნდა. ერთი წამის შემდეგ ტარტანამდე მოაღწია შორს გასროლილი ქვემეხის ხმამ.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა ტარტანის პატრონმა.

— ალბათ, წუხელი რომელიმე პატიმარი გაიქცა და აი, განგაში ატეხეს, — უპასუხა დანტესმა.

ტარტანის პატრონმა გამომცდელი თვალებით შეხედა ყმაწვილ კაცს, რომელმაც მათარა პირთან მიიტანა. მაგრამ დანტესი ისეთი დამშვიდებით და კმაყოფილებით წრუპავდა რომს, რომ, თუ ტარტანის პატრონს რაიმე ეჭვი შეეპარა, ამ ეჭვმა მხოლოდ გონებაში გაურბინა და იმ წამსვე ჩაკვდა.

— აი, მაგარი რომი თუ გინდა, ეს არის, — თქვა დანტესმა და პერანგის სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ყოველ შემთხვევაში, — ჩაიჩურჩულა ტარტანის პატრონმა, — თუ ეს ისაა, მით უკეთესი, მე კარგი ძმაბიჭი მიშოვია.

დანტესმა ნებართვა აიღო, საჭეს მისჯდომოდა. გახარებულმა მესაჭემ, რომ მას სცვლიდნენ, ტარტანის პატრონს შეხედა, რომელმაც მას ანიშნა — თანახმა ვარ, საჭე შენს ამხანაგს გადასცეო.

საჭესთან დანტესს შეეძლო თვალები მარსელისაკენ ჰქონოდა მიპყრობილი.

— დღეს რა რიცხვია? — ჰკითხა დანტესმა ჯაკობოს, რომელიც გვერდით მიუჯდა, როდესაც ციხესიმაგრე იფი თვალს მიეფარა.

— ოცდარვა თებერვალი, — უპასუხა მან.

— რომელი წლის? — ჰკითხა ისევ დანტესმა.

— როგორ, რომელი წლის? თქვენ მეკითხებით რომელი წლისო?

— დიახ, — უპასუხა დანტესმა, — მე გეკითხებით რომელი წლისა-მეთქი.

— თქვენ დაგავიწყდათ რომელ წელში ვცხოვრობთ?

— რას იზამ, — უპასუხა სიცილით დანტესმა, — წუხელის ღამით ისე დავმინდი, რომ კინალამ ჭკუა დავკარგე; როგორც ჩანს, მეხსიერებამ მიღალატა, ამიტომ გეკითხებით, რომელი წლის ოცდარვა თებერვალია-მეთქი.

— ათას რვაას ოცდაცხრა წლის, — უთხრა ჯაკობომ.

ზუსტად თოთხმეტი წელი იყო, რაც ის დააპატიმრეს, დღევ კი დაემთხვა.

ის ცხრამეტი წლის შვიდა ციხესიმაგრე იფში და ოცდაცამეტი წლისა გამოვიდა.

დანტესის ბაგეებზე მწარე ღიმილმა გაითამაშა. მან თავის თავს ჰკითხა, რა მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში მერსედესს, რომელსაც იგი, ალბათ, ცოცხლებში აღარ მიაჩნდა.

შემდეგ მის თვალეში სიძულვილის ნაპერწკალმა გაიელვა. მას გაახსენდა ის სამი ადამიანი, რომელთა მიზეზით ამდენი ხნის განმავლობაში პატიმრობაში იტანჯებოდა. და ხელახლა გაიმეორა ის საშინელი შურისძიების ფიცი დანგლარის, ფერნანდისა და ვილფორის წინააღმდეგ, რომელიც უკვე ციხეში წარმოთქვა.

ახლა ეს ფიცი აღარ იყო ამაო მუქარა, რადგან ხმელთაშუა ზღვის რაგინდ სწრაფი იალქნიანი გემი ყოფილიყო, უკვე ველარ დაეწეოდა პატარა ტარტანს, რომელიც აფრებგაშლილი ლივორნოსაკენ მიემართებოდა.

ნაწილი მეორე

I

კონტრაბანდისტები

დანტესს გემზე ჯერ ერთი დღე არ გაეტარებინა, რომ უკვე მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. «ახალგაზრდა ამელის» (ასე ეძახდნენ გენუურ ტარტანს) ღირსეულ პატრონს თუმცა ფარიას სკოლა არ გაევილო, მაგრამ მან იცოდა თითქმის ყველა ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ხმელთაშუა ზღვად წოდებული «დიდი ტბის» სანაპიროებზე, დაწყებული არაბულით და დამთავრებული პროვანსულით. ეს მას საშუალებას აძლევდა, თავიდან აეცილებინა თარჯიმნები, ყოველთვის აბეზარი და ზოგჯერ კადნიერი ადამიანებიც კი. ამით მას უადვილდებოდა ურთიერთობის დამყარება როგორც შუაგულ ზღვაში მცურავ გემებთან, ისე სანაპიროს მახლობლად მავალ პატარა ხომალდებთან. მას უადვილდებოდა აგრეთვე ურთიერთობის დამყარება უგვარტომო, გაურკვეველი პროფესიის ადამიანებთან, რომლებსაც სამშობლო არ გააჩნდათ და რომლებსაც ყოველთვის შეხვდებით ნავსადგურების მიდამოებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანები არსებობენ თვით განგების მიერ მოვლენილი, რაღაც იღუმალის წყაროთი, რადგან თავის რჩენის არავითარი სახსარი, ადამიანის შეუიარაღებელი თვალის დასანახი, მათ არ გააჩნიათ. მკითხველი უკვე მიხვდება, რომ დანტესი კონტრაბანდისტების ტარტანზე მოხვდა.

უნდა ითქვას, რომ პირველად ტარტანის პატრონმა დანტესი ერთგვარი უნდობლობით მიიღო. მას კარგად იცნობდნენ სანაპიროების საბაჟო მცველები და რადგან როგორც ის, ისე ეს ვაჭბატონები კარგად იყვნენ დახელოვნებული ერთმანეთის მოტყუებაში, ამიტომ პირველად დანტესი საბაჟოს მეთვალყურე ეგონა; მან გაიფიქრა, ამ კაცმა ასეთი ეშმაკური საშუალება, ალბათ, იმიტომ იხმარა, რომ ჩემი საქმიანობის საიდუმლოებას ჩასწვდომოდესო; მაგრამ, როცა ტარტანის პატრონი საკუთარი თვალის დარწმუნდა, რომ დანტესმა ზღვაში გეზი კარგად აიღო და გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა, იგი სავსებით დამშვიდდა. ამის შემდეგ მან დაინახა ციხესიმაგრე იფის თავზე

ჯიღის მსგავსი მსუბუქი ბოლი, გაიგონა შორიდან მოტანილი გასროლის ხმა და თავში უეცრად ერთმა აზრმა გაურბინა: ტარტანზე ისეთი ადამიანი ხომ არ მივიღე, რომელსაც მეფეების მსგავსად შესვლისა და გამოსვლის დროს პატივისცემის ნიშნად ქვემეხების გასროლით ხვდებიანო. უნდა ითქვას, რომ მას ეს უფრო ნაკლებად აწუხებდა, ვიდრე ის აზრი, რომ ახლადმოსული შეიძლებოდა საბაჟოს მოხელე ყოფილიყო. მაგრამ დანტესის შეუშფოთებელმა სიმშვიდემ ეს მეორე ექვიც ისევე გაუფანტა, როგორც პირველი.

ამრიგად, დანტესს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მან იცოდა, ვინ იყო მისი პატრონი, ხოლო ამ უკანასკნელმა არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. როგორ არ ცდილობდნენ ძველი მეზღვაური და მისი ამხანაგები, რაიმე წამოეცდენინებინათ მისთვის, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდნენ. დანტესი დაწვრილებით ლაპარაკობდა ნეაპოლსა და მალტაზე, რომელთაც ის ისევე კარგად იცნობდა, როგორც მარსელს, და მისი მეხსიერების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ დაბეჯითებით იმეორებდა თავდაპირველად გამოგონილ ზღაპარს. ამგვარად, გენუელი მეზღვაური, მთელი თავისი ეშმაკობის მიუხედავად, მოტყუებული რჩებოდა დანტესის მიერ, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდა უწყინარი ხასიათი, მეზღვაურის გამოცდილება და, რაც მთავარია, შენიღბვის დიდი ოსტატობა.

გარდა ამისა, შესაძლებელია გენუელი, როგორც ეს გონიერ ადამიანებს სჩვევიათ, ამჯობინებდა სცოდნოდა ის, რისი მოვალეც იყო, რომ სცოდნოდა, და დაეჯერებინა, ის, რაც მისთვის ხელსაყრელი იყო.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც ისინი ლივორნოს მიადგნენ.

აქ ედმონდს კიდევ ახალი გამოცდა ელოდა. იცნობდა თუ არა იგი თავის თავს თოთხმეტი წლის ტყვეობის შემდეგ; მას კარგად ახსოვდა, როგორი იყო იგი სიყმაწვილეში, ახლა უნდა ენახა, როგორი გახდა დავაჟკაცების ასაკში. ამხანაგების თვალში მისი აღთქმა უკვე შესრულებული იყო. დანტესი ერთი ოცჯერ მაინც იყო ნამყოფი ლივორნოში; იქ სენ-ფერნანდოს ქუჩაზე ერთ დალაქს იცნობდა; სწორედ ამ ნაცნობ დალაქთან შევიდა, რათა თმა და წვერი გაეკრიჭა.

დალაქი გაკვირვებით შესცქეროდა ამ გრძელთმიან და შავი, ხშირი წვერით შემოსილ მამაკაცს, რომელიც ტიციანის¹ (1 ტიციანი — სახელგანთქმული იტალიელი მხატვარი, ვენეციური სკოლის მამამთავარი (1477—1576).) მიერ დახატულ მშვენიერ პორტრეტს წააგავდა. იმ დროს არ ატარებდნენ გრძელ თმასა და წვერს, თორემ დალაქს გაუკვირდებოდა, როგორ თანხმდებოდა ეს კაცი, უარი ეთქვა ბუნებისაგან ჯიღოდ მიღებულ ასეთ სამკაულზე.

ლივორნოელი დალაქი უსიტყვოდ შეუდგა თავის საქმეს.

როცა ყველაფერი დამთავრდა, როდესაც ედმონდმა იგრძნო, რომ წვერი სრულიად მოპარსეს, ხოლო თმა ჩვეულებრივ ზომაზე დაუყენეს, სარკე მოითხოვა და შიგ ჩაიხედა.

როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ის ახლა ოცდაცამეტი წლის კაცი იყო; თოთხმეტი წლის განმავლობაში ციხეში ყოფნამ ძალზე შეუცვალა სახე.

დანტესი შევიდა ციხესიმაგრე იფში ბედნიერი ყმაწვილის მრგვალი, მხიარული და ცოცხალი სახით; მისი ცხოვრების პირველი ნაბიჯები ია-ვარდით იყო მოფენილი და იმედი ჰქონდა, მომავალიც მისი წარსულის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა. ყოველივე ამისაგან არავითარი ნიშანწყალი აღარ დარჩენილიყო.

სახე დაგრძელებოდა. მოცინარ ბაგეებს მტკიცე და ურყევი გამომეტყველება მიეღოთ; წარბები რკალივით მოხრილიყვნენ, შუბლს სწორი, კუმტი ნაოჭი სერავდა. თვალებში ღრმა სევდა იმალეობდა და დროდადრო შურისძიებისა და კაცთმოძულეობის ნაპერწკალი იელვებდა ხოლმე. ამდენი ხნის მანძილზე დღის სინათლესა და მზის სხივებს მოკლებულ სახეს მკრთალი ფერი გადაჰკვროდა: ეს ფერი ჩრდილოელთა სახეებს

არიტოკრატიული სილამაზის იერს აძლევს, თუ მათაც ამასთანავე, შავი თმაც აქვთ. შეძენილ ღრმა ცოდნას მთელი მისი სახის ნაკვეთებზე ჭკუისა და ნებისყოფის ბეჭედი დაესვა. თუმცა დანტესი ბუნებით მაღალი ტანისა იყო, მაგრამ ახლა სხეული საკმაოდ ჯმუხი გახდომოდა. ეს იყო ძალ-ღონის მუდმივი დაგროვების შედეგი. მოძრავი წერწეტი ტანის მოხდენილობა შეეცვალა ძარღვმაგარ და მრგვალ კუნთებს.

რაც შეეხება მის ხმას, მუდარას, ქვითინსა და წყევლა-კრულვას იგი სავსებით შეეცვალა; ზოგჯერ მეტისმეტად ნაზად ჟღერდა, ზოგჯერ კი — პირიქით, მკვახედ, თითქმის ხრინწიანად.

გარდა ამისა, განუწყვეტლივ ნახევრად სიბნელეში, უკეთ, მუდმივ წყვდიადში ყოფნამ, მის თვალებს უცნაური თვისება შესძინა: აფთრისა და მგლის მსგავსად ღამითაც შეეძლო საგნების გარჩევა.

ედმონდმა შეამჩნია ყოველივე ეს და გაეღიმა; შეუძლებელი იყო, იგი ეცნო საუკეთესო მეგობარსაც კი, თუკი ასეთი მეგობარი კიდევ ჰყავდა სადმე. ის თვითონაც ვერ ცნობდა თავის თავს.

«ახალგაზრდა ამელის» პატრონს დიდი სურვილი ჰქონდა თავის მეზღვაურებს შორის ჰყოლოდა ასეთი სასარგებლო კაცი, როგორც ედმონდი იყო. ამიტომ ყმაწვილ კაცს მომავალი მოგების ანგარიშში წინასწარ შესთავაზა ცოტაოდენი ფული და ედმონდიც დათანხმდა.

სადალაქოდან გამოსვლისთანავე, სადაც მისი პირველი გარდაქმნა მოხდა, ედმონდმა გადაწყვიტა, მაღაზიაში შესულიყო და მეზღვაურის ტანსაცმლის მთლიანი კომპლექტი ეყიდა. ეს ტანსაცმელი კი, როგორც ცნობილია, მეტად უბრალოა: იგი შედგება თეთრი შარვლისა, ზოლიანი პერანგისა და ფრიგიული ჩაჩისაგან.

დანტესმა ჯაკოპოს მისი შარვალი და პერანგი დაუბრუნა და «ახალგაზრდა ამელის» პატრონთან ახალ ტანისამოსში მორთული გამოცხადდა. იგი იძულებული იყო, ხელახლა გაემეორებინა თავისი თავგადასავალი.

პატრონმა ძლივს იცნო ამ მოხდენილ და კოხტად ჩაცმულ მეზღვაურში ის ხშირწვერიანი, თმაგაბურძენილი და ზღვის წყლით თავიდან ფეხებამდე გალუმპული კაცი, რომელიც შიშველი და მომაკვდავი ამოიყვანა ტარტანზე. ამ მშვენიერი სახით მოხიბლულმა, დანტესს კვლავ გაუმეორა, მასთან დარჩენილიყო სამსახურში: მაგრამ ყმაწვილ კაცს თავისი გეგმები ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ სამი თვის სამსახურზე დათანხმდა.

უნდა ითქვას, რომ «ახალგაზრდა ამელის» ეკიპაჟი შედგებოდა ძალიან გამრჯე ადამიანებისაგან და ემორჩილებოდა კაპიტანს, რომელსაც არ უყვარდა დროის დაკარგვა. ერთი კვირა არც კი გასულიყო, რაც ლივორნოში იდგნენ, რომ ტარტანის ტრიუმი უკვე აივსო ფერადი მუსლინებით, საექსპორტოდ აკრძალული ზამბის ქსოვილებით, ინგლისური დენტითა და თამბაქოს ყუთებით, რომლებზედაც სააქციო სამმართველოს დავიწყებოდა ბეჭდის დასმა. საჭირო იყო ყოველივე ეს გაეტანათ ლივორნოდან და გადმოეტვირთათ კორსიკის სანაპიროზე, აქედან კი ვიღაც სპეკულანტები კისრულობდნენ ტვირთის საფრანგეთში გადმოტანას.

ტარტანი კვლავ გზას გაუდგა; ედმონდი ხელახლა მიარღვევდა ლაჟვარდოვან ზღვას, თავის სიყრმის აკვანს, რომელიც ციხეში ხშირად ესიზმრებოდა. დანტესმა გორგონი მარჯვნივ დატოვა, პიანოზა — მარცხნივ და გეზი პირდაპირ პაოლის¹ (1 პაოლი — კორსიკელი პატრიოტი, რომელიც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა ჯერ გენუელებს, ხოლო შემდეგ ფრანგებს (1725—1807).) და ნაპოლეონის სამშობლოსაკენ აიღო.

მეორე დღეს, როცა კაპიტანი, ჩვეულებისამებრ, დილაადრიან გემბანზე გამოვიდა, დანტესი მოაჯირზე დაყრდნობილი დახვდა. იგი უცნაური გამომეტყველებით გასცქეროდა ამომავალი მზის შუქზე ავარდნილი გრანიტის კლდეებს. ეს იყო კუნძული მონტე-კრისტო.

«ახალგაზრდა ამელიმ» იგი სამი მეოთხედი მილით მარჯვნივ მოიტოვა და გზა კორსიკისაკენ განაგრძო.

როდესაც ხომალდმა ჩაუარა კუნძულს, რომლის სახელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დანტესისათვის, იგი ერთ რამეზე ფიქრობდა: საკმარისია, ზღვაში გადავეშვა და ნახევარ საათში აღთქმულ მიწაზე ვიქნებიო. მაგრამ იქ რას გახდებოდა? არც იარაღები ჰქონდა განძეულის ამოსათხრელად, არც თოფ-იარაღი, რათა თავი დაეცვა. ესეც რომ არ ყოფილიყო, რას იტყოდნენ მეზღვაურები? რას იფიქრებდა ტარტანის პატრონი? არა, სხვა გზას უნდა დასდგომოდა.

საბედნიეროდ, დანტესს ლოდინის უნარი შესწევდა; ის თოთხმეტი წლის განმავლობაში ელოდა თავისუფლებას; განა ახლა, როდესაც უკვე თავისუფალი იყო, გაუძნელდებოდა ექვსი თვე ან ერთი წელიწადი სიმდიდრისათვის ეცადა?

განა თავისუფლება რომ სიმდიდრის გარეშე შეეთავაზებინათ, იგი არ დათანხმდებოდა?

ბოლოს და ბოლოს ეს სიმდიდრე ქიმერა ხომ არ იყო? საწყალი აბატის დაავადებულ გონებაში დაბადებული, მასთან ერთად ხომ არ გამქრალიყო?

თუმცა ისიც მართალია, რომ კარდინალ სპადას წერილი საოცრად ზუსტი იყო.

და დანტესმა გონებაში გაიმეორა ეს წერილი; მას ერთი სიტყვაც არ დავიწყებოდა.

დალამდა. ედმონდი ხედავდა, როგორ იკარგებოდა კუნძული ჩამოწოლილ ბინდში. მალე იგი წყვდიადში გაქრა. მაგრამ ედმონდი ბნელ საკანში გაჩვეული თვალთ, უეჭველია, ისევ ხედავდა, რადგან იგი ყველაზე დიდხანს დარჩა გემბანზე.

როდესაც მეორე დილით გამოიღვიძეს, ალერიის¹ (¹ ალერია — დაბა კორსიკაში, აგებული რომაული ქალაქის ადგილას.) მაღლობი დაინახეს. მთელი დღის განმავლობაში ტარტანი იკანკლური სვლით მიცურავდა. სალამოთი ნაპირზე ჩირაღდნები აანთეს. ამ ჩირაღდნების განლაგება, უეჭველია, იმაზე მიუთითებდა, რომ შეეძლოთ საქონლის გადმოტვირთვა, რადგან პატარა შენობის თავზე დროშის ნაცვლად სანიშნო ჩირაღდანი აღმართეს და თოფის გასროლის მანძილზე ნაპირს მიადგნენ.

დანტესმა შეამჩნია, რომ «ახალგაზრდა ამელის» პატრონმა, ალბათ, ამ საზეიმო ვითარების აღსანიშნავად, გემბანზე დადგა ორი პატარა ზარბაზანი, რომლებსაც დიდი ხმაურის აუტეხავად შეეძლოთ ათასი ნაბიჯის მანძილზე ოთხგირვანქიანი ტყვია მიეწვდინათ.

მაგრამ ამ საღამოს ასეთი წინასწარი სამზადისი ზედმეტი გამოდგა. ყველაფერმა მშვიდად და კეთილად ჩაიარა. ოთხი კანჯო ჩუმად მიუახლოვდა ტარტანს, რომელმაც, თავის მხრივ, უეჭველია, პატივისცემის გამოსახატავად, თვითონაც ერთი კანჯო ჩაუშვა. ეს ხუთი კანჯო ისე მარჯვედ მუშაობდა, რომ დილის ორი საათისათვის «ახალგაზრდა ამელიდან» მთელი ტვირთი ხმელეთზე იყო გადატანილი.

«ახალგაზრდა ამელის» პატრონი წესრიგის მოყვარული კაცი იყო. მან მოგება იმავე საღამოს გაუნაწილა თავის ხალხს. თითოეულმა მეზღვაურმა მიიღო ასი ტოსკანური ლივრი, რაც 80 ფრანკს უდრის.

ექსპედიცია ამით არ დამთავრებულა; გეზი სარდინიისაკენ აიღეს. საჭირო იყო ტვირთისაგან განთავისუფლებული გემი კვლავ დაეტვირთათ.

მეორე ოპერაციაც ისევე მშვიდობიანად ჩატარდა, როგორც პირველი. როგორც ეტყობა, ტარტანს ბედი სწყალობდა.

ახალი ტვირთი დანიშნული იყო ლუკის საჰერცოგოსათვის. ის თითქმის მთლიანად ჰავანის სიგარეტებისა, ხერესისა და მალაგის ღვინისაგან შედგებოდა.

აქ შეტაკება მოხდა საბაჟოსთან, «ახალგაზრდა ამელის» პატრონის მუდმივ მტერთან; საბაჟოს ერთი დარაჯი მოკლეს. ორი მეზღვაური დაჭრეს. ერთი დაჭრილთაგანი დანტესი იყო; ტყვიამ მას მარცხენა მხარში გაუარა, ისე, რომ ძვალს არ შეჭხებია.

დანტესი თავს თითქმის ბედნიერად გრძნობდა ამ შეტაკების გამო და კმაყოფილი იყო ჭრილობით; ამ მკაცრმა გაკვეთილმა აჩვენა, თუ როგორ შეუძლია თვალებში უყუროს საფრთხეს და გადაიტანოს ტანჯვა. ის საფრთხეს ღიმილით შეხვდა, ხოლო როდესაც დაიჭრა, ბერძენი ფილოსოფოსივით თქვა: «ტკივილო, შენ არა ხარ ბოროტება».

ამასთან, მან დაინახა სასიკვდილოდ დაჭრილი დარაჯი და იმიტომ, რომ შეტაკების დროს გაცხარდა, თუ იმიტომ, რომ ადამიანური გრძნობები გახევებული ჰქონდა, ამ სურათს არც შეუშფოთებია. დანტესმა უკვე ფეხი შედგა იმ გზაზე, რომელზედაც გავლას აპირებდა და პირდაპირ დასახული მიზნისაკენ მიდიოდა; მას გული თანდათან უქვავდებოდა.

როცა ჯაკობომ ძირს დაცემული დანტესი დაინახა, იფიქრა, მოკვდაო, მივარდა და ხელში აიტაცა. ედმონდი დაჭრილიყო; ჯაკობო მზრუნველობით უვლიდა მას.

მაშასადამე, თუ ქვეყანა ისეთი კეთილი არ იყო, როგორც დოქტორი პანგლოსი¹ (1 დოქტორი პანგლოსი — ვოლტერის მოთხრობის «კანდიდის» მოქმედი პირი, ზერელე ოპტიმიზმის დამცველი, რომელსაც ყოველთვის პირზე აკერია გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის გამოთქმა: «ყველაფერი საუკეთესოდ მიმდინარეობს ამ ქვეყნად, რომელიც საუკეთესოა ყველა შესაძლებელ ქვეყანათა შორის». ფიქრობდა, არც ისეთი ბოროტი იყო, როგორც დანტესს ეჩვენებოდა, რადგან ჯაკობომ, რომელიც არაფერს ელოდა ამხანაგისაგან, გარდა მოგების წილისა მისი სიკვდილის შემთხვევაში, სწორედ ეს სიკვდილი გულთან ასე ახლოს მიიტანა. საბედნიეროდ, როგორც უკვე ვთქვით, ედმონდი მხოლოდ დაჭრილი იყო. სამკურნალო ბალახების წყალობით, რომლებსაც სარდინიელი მოხუცი დედაკაცები საიდუმლო, მხოლოდ მათთვის ცნობილ დღეებსა და საათებში კრეფდნენ და შემდეგ კონტრაბანდისტებზე ყიდდნენ, ჭრილობა მალე შეუხორცდა. ედმონდს უნდოდა გამოეცადა ჯაკობო და მოვლისათვის მადლობის ნიშნად მოგებაში მიღებული თავისი წილი შესთავაზა, მაგრამ ჯაკობომ აღშფოთებით უარი თქვა ამაზე.

პატივისცემას და ერთგულებას, რაც ჯაკობოს ედმონდის მიმართ პირველი დღიდანვე დაებადა, ის შედეგი მოჰყვა, რომ ედმონდმაც მის მიმართ ერთგვარი სიმპათია იგრძნო. ჯაკობოს მეტი არც უნდოდა: იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ედმონდი უფრო დიდი მდგომარეობისათვის იყო დაბადებული, ვიდრე მას ეკავა, თუმცა ედმონდი ცდილობდა, ყველასათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო მისი უპირატესობა, და ეს კეთილი მეზღვაური კმაყოფილი იყო იმ მცირედი გრძნობისთვისაც, რომელსაც დანტესი მის მიმართ იჩენდა.

ხანგრძლივი ცურვის დროს, როდესაც ტარტანი მშვიდად მიაღწევდა ლაჟვარდოვან ზღვას და ზურგის ქარის წყალობით მესაჭის გარდა არავის საჭიროებდა, ედმონდი ზღვის რუკით ხელში ჯაკობოს დამრიგებლის როლში გამოდიოდა, ისევე როგორც საწყალი აბატი ფარია მისი დამრიგებელი იყო. იგი უჩვენებდა ჯაკობოს სანაპიროების მდებარეობას, უხსნიდა კომპასის გამოყენების წესს, ასწავლიდა ჩვენს თავზე გადაშლილი დიდი წიგნის კითხვას, რომელსაც ცა ჰქვია და რომლის ლაჟვარდზედაც ღმერთი აღმასის ასოებით წერს.

როდესაც ჯაკობო მას შეეკითხებოდა:

— განა ღირს, საწყალმა მეზღვაურმა შეისწავლოს ყოველივე ეს?

ედმონდი უპასუხებდა:

— ვინ იცის! იქნება ოდესმე გემის კაპიტანი გახდეს: შენი თანამემამულე ბონაპარტი ხომ იმპერატორი გახდა!

ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჯაკობო კორსიკელი იყო.

უკვე ორთვე-ნახევარი გავიდა, რაც განუწყვეტლივ ზღვაში იყვნენ. ედმონდი ისევე მარჯვე საქმოსანი გახდა, როგორც წინათ უშიშარი მეზღვაური იყო. მან ნაცნობობა გააბა სანაპიროს ყველა კონტრაბანდისტთან. შეისწავლა ფრანკმასონური ყველა ნიშანი, რომლის წყალობითაც ეს ნახევრად მეკობრეები ერთმანეთს ცნობდნენ.

დანტესმა ერთი ოცჯერ მაინც აუარ-ჩაუარა თავის კუნძულ მონტე-კრისტოს, მაგრამ ერთხელაც არ მიეცა შემთხვევა, რომ იქ შეჩერებულიყო. ამიტომ მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: როგორც კი «ახალგაზრდა ამელის» პატრონთან დადებული პირობის ვადა გავიდოდა, თავისი ხარჯით დაიქირავებდა პატარა ნავს (დანტესს ეს უკვე შეეძლო, რადგან ამ ხნის განმავლობაში ასობით პიასტრი მოაგროვებდა) და რაიმე საბაბით მონტე-კრისტოსკენ გაემართებოდა.

იქ თავისუფლად დაიწყებდა ძებნას. რასაკვირველია, სულ თავისუფლად ვერ იქნებოდა, რადგან, ალბათ, თვალთვალს დაუწყებდნენ ისინი, ვინც იქ მიიყვანდა, მაგრამ ამქვეყნად კაცმა ზოგჯერ უნდა გაბედოს...

სატუსალომ ედმონდი სიფრთხილეს მიაჩვია, და მან ირჩია რისკისათვის გვერდი აეგლო.

რამდენ გამოსავალს არ ეძებდა იგი თავის მდიდარ ფანტაზიაში, მაგრამ სხვა საშუალებას ვერ პოულობდა, რომ ნანატრ კუნძულზე მოხვედრილიყო.

დანტესი კიდევ ყოყმანობდა, როცა ერთ საღამოს ტარტანის პატრონმა, რომელიც დიდი ნდობით ეკიდებოდა და ძალიანაც უნდოდა თავის სამსახურში დაეტოვებინა, მას ხელი გამოსდო და წაიყვანა ვია დე ოლიოს ტავერნაში, სადაც, ჩვეულებრივ, ლივორნოს ყველაზე გამოჩენილი კონტრაბანდისტები იკრიბებოდნენ. ისინი უმთავრესად აქ აგვარებდნენ თავიანთ საქმეებს. დანტესი უკვე ორჯერ თუ სამჯერ იყო ნამყოფი ამ საზღვაო ბირჟაზე. იგი შეჰყურებდა ამ მამაც მეკობრეებს, რომლებიც აქ თითქმის ორი ათასი ლიეს სიგრძის სანაპიროებიდან შეკრებილიყვნენ და გაიფიქრა, რა ძალა ექნებოდა ადამიანს, რომელიც მოახერხებდა ყველა ეს შეერთებული ან განცალკევებული ძაფი თავისი ნებისყოფისთვის დაემორჩილებინა.

ამჯერად საკითხი დიდ საქმეს შეეხებოდა: საჭირო იყო უშიშარ ადგილას გადმოეტვირთათ თურქული ხალიჩებით, აღმოსავლური ფართლეულით და ქიშმირით დატვირთული გემი, ხოლო შემდეგ ეს საქონელი საფრანგეთის სანაპიროზე გადაესროლათ.

თუ ამ საქმეს წარმატებით დაამთავრებდნენ, დიდი მოგება იყო მოსალოდნელი: — თითოეულ კაცზე ორმოცდაათი-სამოცი პიასტრი მოდიოდა.

«ახალგაზრდა ამელის» პატრონმა წინადადება წამოაყენა გადმოსატვირთავად კუნძული მონტე-კრისტო აერჩიათ. ეს დაუსახლებელი კუნძული, რომელსაც არც ჯარისკაცები იცავდნენ და არც საბაჟოს მოხელეები, თითქოს წარმართული ოლიმპის დროს შუა ზღვაში ჩაედგა მერკურს — ღმერთს ქურდებისა და ვაჭრებისა, რომლებსაც ჩვენ ახლა ერთმანეთისაგან განვასხვავებთ, მაგრამ ანტიკურ ეპოქაში, ეტყობა, მათ ერთ კატეგორიაში ათავსებდნენ.

მონტე-კრისტოს სახელის გაგონებაზე დანტესი სიხარულისაგან შეკრთა. თავისი მღელვარების დასაფარავად წამოდგა და გაიარა-გამოიარა კვამლით სავსე ტავერნაში, სადაც მთელი ქვეყნიერების სალაპარაკო ენები ფრანკთა ენაში ითქვიფებოდნენ.

როდესაც ის მოსაუბრეებთან ხელახლა მივიდა, უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ მონტე-კრისტოს მიადგებოდნენ, ხოლო გზას მეორე საღამოს უნდა გასდგომოდნენ.

როდესაც ედმონდს ჰკითხეს, რა აზრისა ხარო, მან თქვა, კუნძული სავსებით უშიშარი ადგილია, ხოლო დიდი საქმეების წარმატებით დასამთავრებლად საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედების დაწყება.

ამრიგად, გეგმაში არაფერი შეცვლილა: შეთანხმდნენ — ღუზა მეორე დღის საღამოსათვის აეშვათ და რაკი კარგი ამინდი და ზურგის ქარიც ხელს უწყობდათ, ცდილიყვნენ, ერთ დღე-ღამეში ამ დაუსახლებელ კუნძულს მისდგომოდნენ.

II

კუნძული მონტე-კრისტო

ბოლოს, მოულოდნელი ბედნიერების წყალობით, რომელიც ზოგჯერ წილად ხვდებათ ხოლმე დიდი ხნის მანძილზე მკაცრი ბედისაგან ჩაგრულთ, დანტესს შეეძლო სულ უბრალო და ბუნებრივი გზით მიეღწია თავისი მიზნისათვის, ფეხი დაედგა კუნძულზე, ისე, რომ ეჭვი არავის აღძვროდა.

ახლა მას მხოლოდ ერთი ღამე ამორებდა მოგზაურობას, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა.

ეს ღამე ყველაზე მშფოთვარე იყო, რომელიც კი დანტესს ოდესმე გაუტარებია. ამ ღამის განმავლობაში მას გონებაში რიგრიგობით ეხატებოდა ყველა მოსალოდნელი წარმატება და მარცხი. როდესაც თვალეხს ხუჭავდა, ხედავდა კედელზე კარდინალ სპადას ცეცხლოვანი ასოებით დაწერილ წერილს, თუ ერთი წუთით ჩასთვლემდა, მაშინ ყველაზე უაზრო სიზმრები ელანდებოდა. ესიზმრებოდა, რომ ჩადიოდა მღვიმეში, რომელსაც ზურმუხტის იატაკი ეგო. კედლებად ლალები ჰქონდა, ხოლო სტალაქტიტებად — ალმასები. მარგალიტები წვეთ-წვეთად ეცემოდნენ, როგორც, ჩვეულებრივ, მიწისქვეშა წყლები ჟონავენ ხოლმე.

აღფრთოვანებული ედმონდი ჯიბეებს ძვირფასი თვლებით ივსებდა, მაგრამ გამოვიდოდა თუ არა დღის სინათლეზე, ეს ძვირფასი თვლები უბრალო კენჭებად იქცეოდნენ. მაშინ ის ცდილობდა, ხელახლა შესულიყო ჯადოსნურ მღვიმეში, რომელსაც მხოლოდ თვალი მოჰკრა, მაგრამ გზა დაუსრულებელ სპირალივით იხვეოდა და შესასვლელს ვეღარ პოულობდა. იგი თავის გადაქანცულ გონებაში ამაოდ ეძებდა იმ ჯადოსნურ და სასწაულებრივ სიტყვას, რომელიც არაბ მეთევზე ალი-ბაბას დიდებულ, საოცხოო მღვიმეებს უღებდა. ყველაფერი ამაო იყო; გამქრალი განძეული ისევ მიწის სულების საკუთრება გახდა. დანტესს კი ერთი წუთით იმედი ჰქონდა, განძეული მათთვის წაერთმია.

თითქმის ისეთივე მშფოთვარე დილა გაუთენდა, როგორი ღამეც გაატარა. მაგრამ ახლა წარმოდგენებს დამხმარედ მოევლინა ლოგიკა და დანტესმა შეძლო გადაემუშავებინა გეგმა, რომელიც აქამდე გონებაში ბუნდოვნად და გაურკვეველად უტრიალებდა.

დაღამდა, დაიწყო გამგზავრების სამზადისი. ეს დანტესს საშუალებას აძლევდა, მღელვარება დაეფარა. ამხანაგები თანდათან ისე დაიმორჩილა, რომ კაპიტანივით განკარგულებებს იძლეოდა და რადგან მისი განკარგულება ყოველთვის ნათელი, ზუსტი და ადვილად გასაგები იყო, ამხანაგები მას არა მარტო სწრაფად, სიამოვნებითაც ასრულებდნენ.

ძველი მეზღვაური ხელს არ უშლიდა. მანაც აღიარა დანტესის უპირატესობა როგორც დანარჩენი მეზღვაურების, ისე საკუთარი თავის წინაშე. იგი ახალგაზრდა მეზღვაურში ხედავდა თავის ბუნებრივ მემკვიდრეს და სწუხდა, რომ ქალიშვილი არ ჰყავდა, რათა ამ მაღალი კავშირით იგი თავის თავზე უფრო მიეჯახვა.

საღამოს შვიდი საათისათვის ყველაფერი მზად იყო. სწორედ რვის ათ წუთზე გემმა გვერდით ჩაუარა შუქურას, რომელიც ის იყო აინთო.

ზღვა მშვიდად ირწეოდა, სამხრეთ- აღმოსავლეთის ქარი ქროდა. ისინი მიცურავდნენ ლაჟვარდოვან ცის ქვეშ, რომელზედაც ღმერთი რიგრიგობით ანთებდა თავის შუქურებს, თითოეული რომ ცალკეულ ქვეყნიერებას წარმოადგენს. დანტესმა გამოაცხადა, ყველას შეგიძლიათ დასაძინებლად წახვიდეთო, თვითონ კი საჭესთან დარჩა.

საკმარისი იყო მალტელის (ასე ეძახდნენ დანტესს) ასეთი წინადადება, რომ თითოეული დამშვიდებით წასულიყო დასაძინებლად. ეს ხდებოდა ხშირად. მარტოობიდან ამქვეყნად უეცრად გადმოსროლილ დანტესს დროდადრო განმარტოების სურვილი იპყრობდა. მერე სად უნდა ეგრძნო უფრო უსაზღვრო და უფრო პოეტური განმარტოება, თუ არა გემზე, რომელიც მარტოდმარტო მიცურავდა ღამის წყვილიაღში, უსაზღვრო მდუმარებაში და რომელსაც ყოვლისმპყრობელის თვალი დაჰყურებდა.

მაგრამ ამჯერად მარტოობა შეავსო მისმა ფიქრებმა, სიბნელე გაუნათა ოცნებამ, ხოლო მდუმარება გამოცოცხლებულმა იმედმა.

როცა ტარტანის კაპიტანს გამოეღვიძა, «ამელი» აფრებგაშლილი მიცურავდა. არ იყო ტილოს სულ მცირე ნაგლეჯიც კი, რომელსაც ქარი არ უბერავდა. გემი საათში ორ-ნახევარ მილზე მეტს გადიოდა.

ჰორიზონტზე თანდათან გამოჩნდა კუნძული მონტე-კრისტო.

ედმონდმა გემი თავის პატრონს ჩააბარა და წავიდა, რათა თავისი ჯერით ესარგებლა, ჰამაკში ჩაწოლილიყო და გამოეძინა. მიუხედავად იმისა, რომ ღამენათევი იყო, თვალი ერთი წუთითაც ვერ მოხუჭა.

ორი საათის შემდეგ დანტესი ისევ გამოვიდა გემბანზე. «ამელი» გვერდს უვლიდა კუნძულ ელბას. ისინი იმყოფებოდნენ მარესიანის პირისპირ, ქვემოთ მოჩანდა მოვაკებული, მწვანე კუნძული პიანოზა. ედმონდმა დაინახა, თანდათან როგორ დიდდებოდა ლაჟვარდოვან ცაზე მონტე-კრისტოს მწვერვალი.

დანტესმა მესაჭეს უბრძანა, საჭე მარცხნივ გადაეხარა, რათა პიანოზა მარჯვნივ დაეტოვებინათ. მან ივარაუდა, რომ ეს მანევრი გზას ორი-სამი კვანძით შეამოკლებდა.

საღამოს ხუთი საათისათვის მთელი კუნძული ხელისგულივით მოჩანდა. საღამოს, გამჭვირვალე ჰაერის წყალობით, რომელსაც ჩამავალი მზე თავის სხივებს აფრქვევდა, შესაძლებელი იყო ყოველი წვრილმანის გარჩევა.

ედმონდი თვალთ სჭამდა ამ კლდეების მასივს, რომელზედაც ერთმანეთს ებრძოდნენ ჩამავალი მზის ფერები, კამკაშა ვარდისფერით დაწყებული, გათავებული მუქი ლურჯით. დროდადრო სისხლი თავში უვარდებოდა, შუბლი უწითლდებოდა და მეწამული ღრუბლები თვალებს უბურავდა.

ქალაქის არც ერთი მოთამაშე, რომელმაც ბანქოს მიანდო მთელი თავისი ქონება, ისე არ იღელვებდა, როგორც ედმონდი ღელავდა იმედებით აღტყინებული.

დაღამდა. საღამოს ათ საათზე ნაპირს მიადგნენ. «ახალგაზრდა ამელი» პირველი მივიდა დანიშნულ ადგილზე.

დანტესმა, რომელიც ჩვეულებრივად დიდ ნებისყოფას იჩენდა, ამჯერად თავი ვეღარ შეიკავა: პირველი გადახტა ნაპირზე და, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ბრუტოსივით მიწას ემთხვეოდა.

ბნელი ღამე იყო. მაგრამ თერთმეტ საათზე შუაგულ ზღვაში მთვარემ ამოანათა და მისი ათრთოლებული ზედაპირი ვერცხლისფრად შეღებდა. რაც უფრო ზევით იწევდა მთვარე, მით უფრო ციმციმებდნენ მისი სხივები და დაზვიანულ კლდეებზე, ამ მეორე პელიონზე¹, (¹ პელიონი — მთა თესალიაში. როდესაც დევგმირებმა ამბოხება დაიწყეს

ზევის წინააღმდეგ, მათ პელიონის მთა ოსას მთას დაადგეს, რათა ზეცაზე ასულიყვნენ.) თეთრი შუქის ნაკადს ღვრიდნენ.

კუნძული მონტე-კრისტო «ახალგაზრდა ამელის» ეკიპაჟისათვის ნაცნობი იყო. ეს მისი ჩვეულებრივი ნავსადგური გახლდათ. რაც შეეხება დანტესს, იგი ყოველთვის ხედავდა მას, როცა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, მაგრამ ამ კუნძულზე არასოდეს არ შეჩერებულა.

დანტესი ჯაკოპოს მიუბრუნდა.

— ღამეს სად გავათევთ? — ჰკითხა მან.

— ტარტანზე, — უპასუხა ჯაკოპომ.

— უკეთესი არ იქნება, მღვიმეებში გავათიოთ?

— რომელ მღვიმეებში?

— კუნძულის მღვიმეებში.

— მე აქ არავითარი მღვიმეები არ ვიცი. — უპასუხა ჯაკოპომ.

დანტესს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— მონტე-კრისტოზე მღვიმეები არ არის? — იკითხა მან ისევ.

— არა.

დანტესი ერთხანს გაოგნებული იდგა, შემდეგ გაიფიქრა, ეს მღვიმეები, ალბათ, რაიმე შემთხვევამ ამოავსო, ან, იქნებ, თვით კარდინალმა სპადამ სიფრთხილე გამოიჩინა და განგებ ამოავსებინაო.

ასეთ შემთხვევაში მას უნდა ებოვა დაკარგული ნაპრალი. ამაო იქნებოდა, იგი ღამით ეძებნა. ამიტომ დანტესმა ძიება მეორე დღისათვის გადადო. გარდა ამისა, ზღვის ნაპირიდან ნახევარი მილის დაშორებით ნიშანი მისცეს, რაზედაც «ახალგაზრდა ამელმა» მყისვე ნიშნით უპასუხა. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ დადგა მუშაობის დაწყების წუთები.

საპასუხო ნიშნით დამშვიდებული დაგვიანებული გემი, აღარავითარი საფრთხე რომ არ ელოდა, მალე ახლო მივიდა მოჩვენებასავით თეთრი და მდუმარე. მან ღუზა ნაპირიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით ჩაუშვა.

იმ წუთშივე დაიწყო გადმოტვირთვა.

დანტესი მუშაობდა და თან ფიქრობდა: რა მხიარული შემახილები შემოდლია გამოვიწვიო ამ ადამიანებში, ხმამაღლა რომ გამოვამჟღავნო ის აკვიატებული აზრი, რომელიც ყურში და გულში ჩუმად ჩამძახისო. მაგრამ დანტესი არათუ არ ამხელდა თავის საიდუმლოებას, არამედ, პირიქით, ეშინოდა, რომ უკვე ისედაც ბევრი თქვა და თავისი საქციელით, შეკითხვებით, დაკვირვებებითა და შეშფოთებით რაიმე ეჭვი არ აღედრა. მისდა საბედნიეროდ, წარსულს მის სახეზე მწუხარების წარუშლელი კვალი დაეტოვებინა და მხიარულების იშვიათი გამოკრთომა მის სახეზე ღრუბლებში გამომკრთალ ელვას ჰგავდა.

მაშ ასე, ეჭვი არავის არ ეპარებოდა. მეორე დღეს, როცა დანტესმა თოფი, დენთი და საფანტი აიღო ხელში და სურვილი განაცხადა, კლდიდან კლდეზე მოხტუნავე გარეულ თხებზე ენადირა, მისმა ამხანაგებმა ამაში ნადირობის სიყვარული და განმარტოებისადმი მისწრაფება დაინახეს. მხოლოდ ჯაკოპომ გამოთქვა სურვილი, თანამგზავრად წაჰყოლოდა. დანტესს უარი არ უთქვამს, შიშობდა, არ დაეეჭვებინა იგი. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯიც არ გაევიდა, რომ დანტესს შემთხვევა მიეცა, თიკანი მოეკლა. მან ჯაკოპოს სთხოვა ამხანაგებთან დაბრუნებულიყო და ნანადირევი შეეწვათ, ხოლო როცა საუზმე მზად იქნებოდა, მისთვის თოფის გასროლით ეცნობებინათ, რომ თავისი ულუფის საჭმელად წამოსულიყო. ხმელ ხილსა და ერთ ბოთლ მონტე-პულჩანურ ღვინოს სანადიმო სუფრა უნდა დაემშვენებინა.

დანტესი გზას განაგრძობდა, თან დროდადრო უკან იხედებოდა. როცა ათასი ფუტის სიმაღლე კლდის მწვერვალზე მოექცა, ქვევით დაინახა თავისი ამხანაგები, მათ ჯაკოპოც შეუერთდა. ისინი გაფაციცებით ამზადებდნენ საუზმეს, რომელსაც ედმონდის წყალობით მთავარი კერძი მიემატა.

დანტესი მათ ერთსა და იმავე დროს უწყინარი და სევდიანი ღიმილით დასცქეროდა, ისეთი ადამიანივით, რომელიც გრძნობს თავის უპირატესობას.

— ორ საათში, — თქვა მან, — ეს ადამიანები ორმოცდაათ პიასტრს შეიძენენ და გზას გააგრძელებენ, რათა სიცოცხლე ხელმეორედ საფრთხეში ჩაიგდონ და ერთი ამდენი კიდევ იშოვონ; შემდეგ, როდესაც ექვსას ლივრამდე დააგროვებენ, სულთანებივით გამაყდებიან და ნაბობებივით უდარდელად რომელიმე ქალაქში ამ ფულს წირვას გამოუყვანენ. დღეს მე იმედით ვცოცხლობ და ზიზღს მგვრის მათი სიმდიდრე, რომელიც უდიდეს სილატაკედ მიმაჩნია. ხვალ შეიძლება გავწვილდე და ეს სილატაკე უდიდეს ბედნიერებად მივიჩნიო... ოჰ! არა, — შეჰყვირა ედმონდმა, — ეს არ მოხდება. შეუძლებელია, ბრძენი ფარია შემცდარიყო. თუნდაც ასე მოხდეს, ასეთ საცოდავ და ბნელით მოცულ ცხოვრებას სიკვდილი მიჯობს.

ამრიგად, დანტესი, რომელსაც ამ სამი თვის წინათ მხოლოდ თავისუფლება ენატრებოდა, ახლა თავისუფლებას აღარა სჯერდებოდა და სიმდიდრე სწყუროდა. ამაში დამნაშავე დანტესი კი არ იყო, არამედ ღმერთი, რომელმაც, შეზღუდა რა ადამიანის სიძლიერე, უსაზღვრო სურვილები აღუძრა მას. დანტესი წინ მიიწევდა ორ კლდის შუა ნიაღვრით ჩამოთხრილ ბილიკით, რომელსაც ადამიანის ფეხი არასდროს დაჰკარებია. იგი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც, მისი წარმოდგენით, მღვიმეები უნდა ყოფილიყო. დანტესმა ზღვის ნაპირს თვალი გააყოლა, დიდი დაკვირვებით დააცქერდა სულ უმცირეს საგნებს და ზოგ კლდეზე შეამჩნია ნაჭდევები, რომლებიც, ალბათ, ადამიანის ხელით იყო გაკეთებული.

დროს, რომელიც ყველა ფიზიკურ საგანს ხავსით ფარავს, ისევე როგორც ყოველ სულიერს დავიწყების საბურველში ხვევს, თითქოს შეეწყალებინა ეს ნაჭდევები, რომლებსაც, ალბათ, ის დანიშნულება ჰქონდა, რომ გზა ეჩვენებინა. ზოგჯერ ეს ნიშნები ქრებოდა მირტის აყვავებულ ბუჩქებსა და პარაზიტ თუთქურის ქვეშ. მაშინ ედმონდი სწევდა ტოტებს, აცლიდა ხავსს, რათა კვლავ დაენახა გზის მაჩვენებელი ნიშნები, რომლებსაც ის ახალ ლაბირინთში შეჰყავდა.

ამ ნიშნებმა ედმონდს იმედის ფრთები შეასხა: რატომ არ შეიძლებოდა კარდინალ სპადას, რომელმაც ვერ განჭვრიტა, რომ უბედურება მთელ მის ოჯახს გაანადგურებდა, თვითონ ამოეკვეთა ეს ნიშნები, რათა მისი ძმისწულისათვის გზა ეჩვენებინათ. ეს განმარტოებული ადგილი სწორედ შესაფერისი იყო განძეულის ჩასამარხად. მაგრამ იმ ვერაგ ნიშნებს ხომ არ მიუზიდავთ სხვათა მზერა, უცხო ადამიანები, ვისთვისაც ისინი განკუთვნილი არ იყო? წმინდად შეინახა თუ არა ამ სასწაულებით აღსავსე კუნძულმა თავისი საუცხოო საიდუმლოება?

ნავსადგურიდან სამოცი ნაბიჯის დაშორებით ედმონდმა, რომელსაც ამხანაგების თვალთაგან კლდე ფარავდა, შენიშნა, რომ ნაჭდევები შეწყდა. მაგრამ მათ ედმონდი მღვიმესთან არ მიუყვანიათ. მის წინ აღმართულიყო დიდი მომრგვალებული კლდე, რომელიც ძლიერ საფუძველს ეყრდნობოდა. დანტესმა გაიფიქრა, ეს, ალბათ, დასასრული კი არა, დასაწყისიაო და იმავე გზით კვლავ უკან მობრუნდა.

ამასობაში მისი თანამგზავრები საუზმეს ამზადებდნენ: წყლისთვის წყაროზე მიდიოდნენ, პური და ხილი ხმელეთზე გადმოჰქონდათ და თიკანს წვავდნენ. სწორედ იმ წუთში, როდესაც სახელდახელოდ გამზადებული შამფურიდან შემწვარ თიკანს აძრობდნენ, დაინახეს ედმონდი, რომელიც შველივით მარჯვედ და მსუბუქად კლდიდან

კლდეზე ხტებოდა; მათ თოფი გაისროლეს, რომ ედმონდისათვის ნიშანი მიეცათ. მონადირემ გეზი იმ წუთშივე იცვალა და მთელ სისწრაფით მათკენ გამოემშურა. ამხანაგები ხედავდნენ, როგორ მოფრინავდა იგი და კიცხავდნენ ასეთი უგუნურობის გამო. მართლაც, თითქოს მათი შიშის დასადასტურებლად, ედმონდს კლდის მწვერვალზე ფეხი დაუცდა: შეტორტმანდა, შეჰყვირა და თვალს მოეფარა.

ყველანი ერთად წამოხტნენ, რადგან ედმონდი, მისი უპირატესობის მიუხედავად, ყველას უყვარდა. პირველმა ჯაკოპომ მიიღბინა.

გასისხლიანებული ედმონდი თითქმის უგრძობლად იწვა. ის, ალბათ, თორმეტი-თხუთმეტი ფუტის სიმაღლიდან გადმოვარდა. პირში რამდენიმე წვეთი რომი ჩაასხეს: ამ წამალმა, რომელმაც მას ერთხელ უშველა, ამჯერადაც ისეთივე სასიკეთო შედეგი გამოიღო. ედმონდმა თვალეები გაახილა. იგი ჩიოდა, რომ თავი დამძიმებული ჰქონდა, მუხლებში მწვავე ტკივილს გრძობდა, ხოლო წელში — აუტანელ ჩხვლეტას. უნდოდა ნაპირზე გადაეყვანათ, მაგრამ, როდესაც შეეხნენ, თუმცა ჯაკოპო იძლეოდა განკარგულებებს, ედმონდმა კვნესით გამოაცხადა: ძალა არ შემწევს, გადაყვანას ვერ ავიტანო.

გასაგებია, დანტესს საუზმის თავი აღარ ჰქონდა. მაგრამ მან მოითხოვა, რომ ამხანაგებს, რომლებსაც მიზეზი არ ჰქონდათ, მასავით ემარხულათ, უკან დაბრუნებულიყვნენ. მე მხოლოდ დასვენება მჭირდება და როცა უკან დავბრუნდებით, ტკივილები უკვე დაამებული მიქნებაო.

მეზღვაურებმა დიდხანს არ ახვეწნიეს: ისინი მშვიდრები იყვნენ, შემწვარი თიკნის სუნი კი აქამდე აღწევდა, ხოლო ზღვის მგლები ერთმანეთს არ ერიდებიან.

ერთი საათის შემდეგ ისინი ედმონდთან დაბრუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში ედმონდს მხოლოდ ის მოეხერხებინა, რომ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გახობებულიყო და ხავსიან კლდეს მიყრდნობოდა. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ტკივილები არათუ არ დაამებოდა, პირიქით, უფრო გამლიერებოდა. მოხუცი კაპიტანი იძულებული იყო იმავე დილას გამგზავრებულიყო, რათა საქონელი გადაეტვირთა პიემონტისა და საფრანგეთის საზღვარზე, ნიცასა და ფრეჟიუს შორის. იგი სთხოვდა დანტესს, როგორმე წამოდგომა ეცადა. დანტესმა ზეადამიანური ძალა გამოიჩინა, რათა მისი სურვილი შეესრულებინა, მაგრამ ძირს ეცემოდა გაწამებული და გაფითრებული.

— ნეკნები აქვს ჩამტვრეული, — თქვა ხმადაბლა ტარტანის პატრონმა: — მაგრამ კარგი ამხანაგია და არ უნდა მივატოვოთ; ვცადოთ ტარტანზე გადაყვანა.

დანტესმა განაცხადა, სიკვდილი მირჩევნია იმ აუტანელ ტკივილების ატანას, რასაც ოდნავი შეხებაც კი იწვევსო.

— კარგი, რაც იქნება, იქნება, — თქვა ტარტანის პატრონმა, — ნურავის ვათქმევინებთ, რომ ჩვენ არ დავეხმარეთ ისეთ მამაც ამხანაგს, როგორც თქვენა ხართ. ჩვენ მხოლოდ საღამოს გავემგზავრებით.

ამ წინადადებამ ძალიან გააკვირვა მეზღვაურები, თუმცა არც ერთი მათგანი წინააღმდეგი არ წასულა, — პირიქით. ტარტანის პატრონი მტკიცე კაცი იყო; მეზღვაურები პირველად ხედავდნენ, რომ იგი უარს ამბობდა თავის გადაწყვეტილებაზე და გადადო კიდევაც მისი სისრულეში მოყვანა.

ამიტომ დანტესმა არ ისურვა, მისი პატივიცემისათვის ტარტანზე შემოდებული წესრიგი ასე დაერღვიათ.

— არა, — უთხრა მან ტარტანის პატრონს, — მე თვითონ დავაშავე და მევე უნდა დავისაჯო ჩემი მოუქნელობის გამო. დამიტოვეთ ორცხობილას ცოტაოდენი მარაგი, თოფი, დენთი და საფანტი, რომ გარეული თხები დავხოცო, ან შეიძლება თავის

დასაცავადაც გამოვიყენო. დამიტოვებთ აგრეთვე წერაქვი, რათა იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაიგვიანებთ, თავშესაფარი გავიკეთო.

— შიმშილით მოკვდები, — უთხრა ტარტანის პატრონმა.

— ეს მირჩევნია, ვიდრე ის აუტანელი წამება განვიცადო, რასაც ოდნავ განძრევა მაყენებს, — უპასუხა ედმონდმა.

კაპიტანმა გაიხედა გემისაკენ, რომელიც პატარა ნავსადგურში ტალღებზე ქანაობდა. «ამელი» მზად იყო ზღვაში გასასვლელად.

— როგორ მოვიქცეთ, მალტელო! — თქვა მან, — არც შეგვიძლია ასე მიგატოვოთ და არც ჩვენი დარჩენა შეიძლება.

— გაემგზავრეთ, გაემგზავრეთ! — შეჰყვირა დანტესმა.

— ჩვენ ერთ კვირას მაინც ვერ მოვბრუნდებით, — უთხრა ტარტანის პატრონმა, — და გზას უნდა გადმოვუხვიოთ თქვენს წასაყვანად.

— მისმინეთ, — უთხრა დანტესმა, — თუ თქვენ ორი ან სამი დღის შემდეგ შეხვდებით ამ მხრისაკენ მომავალ სათევზაო ან სხვა რომელიმე ნავს, უთხარით, ჩემთან შემოიაროს. მე მას ლივორნოში გადაყვანისათვის ოცდახუთ პიასტრს მივცემ. თუ არავინ შეგხვდათ, მაშინ თქვენ დაბრუნდით.

კაპიტანმა თავი გაიქნია.

— მისმინეთ, კაპიტანო ბალდი, არის საშუალება, ყველაფერი მოგვარდეს, — მიმართა მას ჯაკოპომ, — თქვენ წადით, მე კი დაჭრილთან დავრჩები და მოვუვლი.

— მერე უარს ამბობ შენს წილზე იმისათვის, რომ ჩემთან დარჩე? — ჰკითხა დანტესმა.

— დიახ, — უპასუხა ჯაკოპომ, — და არც ვნანობ.

— კარგი ყმაწვილი ხარ, ჯაკოპო, — უთხრა ედმონდმა, — ღმერთი დაგაჯილდოებს შენი კეთილი სურვილებისათვის; გმადლობთ, მეგობარო, მაგრამ მე არავინ მჭირდება. ერთი-ორი დღის დასვენება მომამჯობინებს, ხოლო ამ კლდეებს შორის იმედი მაქვს ვიპოვო ბალახი, რომელიც საუკეთესო საშუალებაა დაჟეჟილი სხეულის მოსარჩენად.

დანტესს ბაგეებზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა: მან ჯაკოპოს ხელი მაგრად ჩამოართვა, მაგრამ მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, კუნძულზე დარჩენილიყო მარტო.

კონტრაბანდისტებმა ედმონდს დაუტოვეს ყველაფერი, რაც მან მოისურვა, და დაიძრნენ. მიდიოდნენ, და თან უკან იხედებოდნენ, მეგობრულად ეთხოვებოდნენ ედმონდს, რომელიც პასუხად მხოლოდ ხელს სწევდა, თითქოს სხეულის სხვა ნაწილების განძრევა არ შეეძლო.

როდესაც ისინი თვალს მოეფარნენ, დანტესს გაეცინა.

— უცნაურია, — ჩაიჩურჩულა მან, — რომ ადამიანი სწორედ ასეთ ხალხში პოულობს მეგობრობასა და ერთგულებას.

დანტესი ფრთხილად აცოცდა კლდის წვერზე, რომელიც ეფარებოდა ზღვას და იქიდან დაინახა ტარტანი. სამზადისი დაემთავრებინათ, ღუზა აეწიათ. ხომალდი მოხდენილად შეირხა, როგორც გასაფრენად მომზადებული ფრთებგაშლილი მეთოლია და გაცურა.

ერთი საათის შემდეგ ტარტანი უკვე თვალს მოეფარა: ყოველ შემთხვევაში, იმ ადგილიდან, სადაც დაჭრილი იწვა, მისი დანახვა შეუძლებელი იყო.

მაშინ დანტესი გარეულ თხაზე უფრო მარჯვედ და სხარტად წამოხტა, რომელიც ამ უდაბურ კლდეებზე მირტისა და დანამასტაკის ხეებს შორის დახტის, ერთი ხელით თოფი აიტაცა, მეორეთი წერაქვი და მიიჭრა იმ კლდესთან, სადაც თავდებოდა ნაჭდევები, რომლებიც მან ფრიალო კლდეზე შენიშნა.

— ახლა კი, — დაიყვირა და გაახსენდა ზღაპარი არაბ მეთევზეზე, რომელიც მას ფარიამ უამბო. — აბა, სეზამ, გაიღე!

III თვალისმომჭრელი სინათლე

მზემ, დაახლოებით, თავისი გზის მესამე განვლო. მაისის ცხელი და მაცოცხლებელი სხივები ფრიალო კლდეებს ეცემოდნენ, რომლებიც თითქოს გრძნობდნენ მათ მხიარულებას. იელის ბუჩქებში გაუჩინარებული კუტკალიები გარემოს აყრუებდნენ განუწყვეტელი და მონოტონური ჭრიჭინით. ტვიისა და ზეთისხილის ხის ფოთლები თრთოდნენ და თითქმის ფოლადისებური წკარუნი გაჰქონდათ. ამ გახურებულ გრანიტებზე ედმონდის ყოველი ნაბიჯი აფრთხობდა ზურმუხტით მწვანე ხვლიკებს. მთის ფერდობებზე დახტოდნენ გარეული თხები, რომლებიც ზოგჯერ ამ ფერდობებისაკენ იზიდავენ მონადირეებს. ერთი სიტყვით, კუნძული დასახლებული და გაცოცხლებული იყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ედმონდი თავს მარტოდმარტო, ღვთის ანაბარად გრძნობდა.

იგი შეპყრობილი იყო რაღაც შიშის მსგავსი უცნაური განცდით. ეს იყო დღის კამკამა სინათლისადმი უნდობლობა, რომელიც ადამიანს უდაბნოშიც კი აფიქრებინებს, რომ ვიღაცის გამომცდელი თვალები უთვალთვალევენ.

ეს განცდა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ, სანამ ედმონდი საქმეს შეუდგებოდა, ერთხელ კიდევ ახოხდა ყველაზე მაღალ მწვერვალზე და გარემო დაკვირვებით შეათვალიერა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი ყურადღება არ მიუპყრია არც პოეტურ კორსიკას, რომელზედაც მას სახლების გარჩევაც კი შეეძლო, არც მისთვის უცნობ სარდინიას, არც ელზას, რომელიც მის მახსოვრობაში დიად მოგონებებს იწვევდა, არც ჰორიზონტზე ოდნავ შესამჩნევად გაჭიმულ ზოლს, რომელშიც მეზღვაურის გამოცდილი თვალი დიდებულ გენუას და კომერციულ ლივორნოს იცნობდა. არა, მისი მზერა ეძებდა განთიადისას გასულ ბრიგანტინს და ზღვაში ახლახან შეცურებულ ტარტანს.

პირველი უკვე იმალებოდა ბონიფაციოს სრუტეში, მეორე მოპირდაპირე მიმართულებით კორსიკის გასწვრივ მიცურავდა და მის შემოვლას ცდილობდა.

ამ გარემოებამ ედმონდი დაამშვიდა.

მაშინ ის ახლო მყოფ საგნებს დააკვირდა და დაინახა, რომ წვეტიანი კუნძულის ყველაზე მაღალ წერტილზე იდგა, როგორც ნაზი ქანდაკება ვეებერთელა კვარცხლბეკზე. ქვევით არც ერთი ადამიანი არ ჩანდა; გარშემო — არც ერთი ნავი; იგი ვერაფერს ხედავდა ლაჟვარდოვანი ზღვის გარდა, რომელიც კლდეების ძირს ეხეთქებოდა და ტალღებით ზედ ვერცხლისფერ არშიებს ქარგავდა.

მაშინ იგი სწრაფად, მაგრამ სიფრთხილით დაეშვა. ძალიან შიშობდა, მართლა არ შემთხვეოდა ისეთი უბედურება, რომელიც ასე მოხერხებულად და ბედნიერად გაითამაშა.

დანტესი, როგორც ვთქვით, უკან ჩამოჰყვა კლდეებზე ამოჭრილ ნაჭდევებს. ამ გზამ იგი მიიყვანა პატარა ყურეში, რომელიც ანტიკური ნიმფის მყუდრო საბანაო აუზს ჰგავდა. ამ ყურეს საკმარისად განიერი შესასვლელი ჰქონდა და საკმაო სიღრმეც, რომ სპერინარის მსგავს ხომალდს შიგ შესვლა და მიმალვა შესძლებოდა. დანტესი გაჰყვა იმ ძაფს, რომელსაც აბატ ფარიას ხელში გონება ასე საოცრად მიჰყავდა ალბათობათა ლაბირინთში. მან ივარაუდა, რომ კარდინალი სპადა, რომელსაც სურდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ამ

ყურეში შემოვიდოდა, ხომალდს შიგ მიმალავდა, ნაჭდევებით ნაჩვენებ მიმართულებას გაჰყვებოდა და განძეულს ჩამარხავდა იქ, სადაც ეს ნიშნები თავდებოდა.

ასეთმა ვარაუდმა იგი ისევ მომრგვალებულ კლდესთან მიიყვანა.

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა ედმონდს და ეს თავდაყირა აყენებდა მის წარმოდგენას დინამიკაზე: როგორ შეიძლებოდა დიდი ძალის დაუხარჯავად ეს ლოდი, რომელიც, ალბათ, ხუთ ან ექვს ათას ფუტს იწონიდა, დაედგათ იმ თავისებურ კვარცხლბეკზე, სადაც ის ახლა განისვენებდა.

უეცრად გონებაში ერთმა ფიქრმა გაურბინა:

«შეიძლება ეს ლოდი ქვემოდან კი არ არის ამოტანილი, არამედ ზემოდან ჩამოაცურესო.»

იგი სწრაფად ავიდა ზევით, რათა ამ ლოდის პირვანდელი მდებარეობა მოეძებნა.

მალე მართლაც დაინახა პატარა დაქანება, რომელზედაც შეიძლებოდა ლოდი დაეცურებინათ. მეორე, უფრო ნაკლები სიდიდის ლოდს მისთვის საბჯენის მაგივრობა გაეწია და შეეჩერებინა. მის გარშემო დარჩენილ ცარიელი ადგილის დასაფარავად ქვალორდი დაეხვავებინათ. შემდეგ ამ საიდუმლო ნამუშევარზე მიწა წაეყარათ. ეს მიწა ბალახსა და ხავსს დაეფარა, მასზე ტვიისა და დანამასტაკის ნორჩი ყლორტები ამოსულიყო და ახლა ეს ვეებერთელა ლოდი კლდისაგან განუყოფელი მოჩანდა.

დანტესმა მიწა ფრთხილად მოთხარა და გამოიცნო, ანუ უკეთ, ეგონა, რომ გამოიცნო მთელი ეს ეშმაკური ხელოვნება.

მაშინ მან დროთა ვითარებაში გამაგრებულ შუა კედელს წერაქვით ჩამონგრევა დაუწყო.

ათი წუთის მუშაობის შემდეგ კედელი დანებდა. გამოჩნდა ხვრელი, რომელშიც ადამიანის ხელი თავისუფლად შეეტეოდა.

დანტესმა მოძებნა ყველაზე დიდი ზეთისხილის ხე, წამოაქცია, ტოტები შემოაცალა, ხვრელში ჩადო და ბერკეტივით მოიმარჯვა.

მაგრამ ლოდი ისეთი მძიმე აღმოჩნდა და მასში ქვედა ლოდი სოლივით ისე იყო შეჭრილი, რომ ვერავითარი ადამიანი, თუნდაც ჰერკულესის ძალის მქონე, ადგილიდან ვერ დაძრავდა.

დანტესმა გადაწყვიტა, რომ სწორედ ამ საბრჯენის მოცილება იყო საჭირო.

მაგრამ რა გზით?

გასაჭირში ჩავარდნილმა დანტესმა ირგვლივ მიმოიხედა გონებადაფანტული კაცივით: მზერა მის მეგობარ ჯაკოპოს მიერ დატოვებულ, დენტით სავსე მუფლონის¹ (1 მუფლონი — გარეული ცხვარი.) რქაზე შეაჩერა.

ედმონდს გაეღიმა: ჯოჯოხეთური გამოგონება მის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა.

დანტესმა წერაქვით ზედა და ქვედა ლოდს შუა ნაღმის ჩასადები ხვრელი ამოთხარა, როგორც ამას მესანგრეები აკეთებენ, როცა უნდათ თავიდან აიცილონ ადამიანის ხელით შესასრულებელი დიდი და მძიმე სამუშაო. ხვრელი დენტით ამოავსო, ცხვირსახოცი გახია, გვარჯილაში ამოავლო და პატრუქი გააკეთა.

პატრუქს ცეცხლი წაუკიდა და იქაურობას მოსცილდა.

აფეთქებამ დიდხანს არ დააყოვნა. ზედა ლოდი განუზომელმა ძალამ სწრაფად ასწია, ხოლო ქვედა ნამსხვრევებად იქცა. დანტესის მიერ გაკეთებული პატარა ნაპრალიდან გამოცვივდა აფორიაქებული მწერების მთელი გროვა. ვეებერთელა გველხოკერამ, ამ საიდუმლო შესასვლელის გუშაგმა, გაშალა თავისი მოცისფრო რგოლები და გაქრა.

დანტესი ისევ ლოდს მიუახლოვდა. უსაბჯენოდ დარჩენილი ზედა ლოდი უფსკრულზე ეკიდა; უშიშარმა მაძიებელმა მას ირგვლივ შემოუარა, აირჩია ყველაზე უფრო რყევადი ადგილი და ბერკეტს სიზიფეს მსგავსად მთელი ძალ-ლონით დააწვა.

აფეთქებისაგან უკვე მორყეული კლდე შეინძრა. დანტესმა ენერგია გააორკეცა. იგი წააგავდა ტიტანს, რომელიც კლდეს გლეჯდა, რომ ღმერთების მბრძანებელს შებრძოლებოდა. ბოლოს ლოდი დაჰყვა, გაგორდა, შეხტა, ქვემოთ დაექანა და ზღვის უფსკრულში ჩაიძალა.

მის ქვეშ აღმოჩნდა მრგვალი ფართობი, რომლის შუაგულშიც მოჩანდა კვადრატულ ფილაზე დამაგრებული რკინის რგოლი.

დანტესმა სიხარულისა და გაკვირვებისაგან შეჰყვირა: — რა გამარჯვებით დასრულდა ეს პირველი ცდა!

მას უნდოდა ძიება გაეგრძელებინა, მაგრამ ფეხები ისე უკანკალებდა, გული ისე ძლიერ უცემდა, თვალები ისეთმა მწველმა ბურუსმა დაუნისლა, რომ იძულებული გახდა შეჩერებულიყო.

ეს ყოყმანი ერთ წუთს გაგრძელდა. ედმონდმა თავისი ბერკეტი რგოლში გაუყარა და მძლავრად გამოსწია. ფილა გაიხსნა. ჩაბნელებულ მღვიმეში ცერად ეშვებოდა რალაც კიბის მსგავსი, რომელიც თანდათან წყვდიადში იკარგებოდა.

სხვა მის ადგილას სწრაფად შევარდებოდა შიგ და სიხარულისაგან შეჰკვივლებდა.

დანტესი შეჩერდა, გაფითრდა და შეფიქრიანდა.

— შეჩერდი, — უთხრა მან თავის თავს, — ვაჟკაცობა გამოიჩინე. მე შეჩვეული ვარ უბედურებას და გულს ვერაფერი გამიტეხს: განა ამდენმა წამებამ ამაოდ ჩამიარა. გული სკდება, როდესაც იმედების თბილი სიოთი გაფართოებულს, უცერად ჰკუმშავს სინამდვილის სუსხი. ფარია ბოდავდა; კარდინალ სპადას ამ მღვიმეებში არაფერი ჩაუმარხავს და, შესაძლებელია, ის აქ არც არასოდეს ყოფილა; ხოლო თუ იყო, ჩეზარე ბორჯიამ, უშიშარმა ავანტიურისტმა, დაუღალავმა და პირქუშმა ყაჩაღმა. ალბათ, მას უკან გასდია, იპოვა მისი კვალი, ნაჭდევების მიმართულებას გაჰყვა, ისევე, როგორც მე, ჩემსავით ასწია ეს ქვა, ჩემზე ადრე ჩავიდა შიგ და აღარაფერი დამიტოვა.

დანტესი ერთხანს გაშეშებული იდგა. თვალები ღრმა, ბნელი ნაპრალისათვის მიემტერებინა.

დიახ, დიახ, ასეთ ავანტიურას შეიძლება ადგილი ჰქონოდა სამეფო ბანდიტის ცხოვრებაში, სადაც სინათლე და სიბნელე შერეულია არაჩვეულებრივ მოვლენებთან, რომლებიც მისი ბედის ჭრელ ქსოვილს წარმოადგენენ. ეს ზღაპრული მოგზაურობა აუცილებელი რგოლი იყო მის წარმატებათა ჯაჭვში. დიახ, ერთ ღამეს ბორჯია, ალბათ, აქ მოვიდა. ცალ ხელში ჩირაღდანი ეჭირა, მეორეში მახვილი. მისგან ოცი ნაბიჯის დაშორებით, შეიძლება თვით ამ კლდესთან იდგა ორი პირქუში და მრისხანე მცველი, ისინი დარაჯობდნენ მიწას, ჰაერსა და ზღვას. მათი მბრძანებელი კი შედიოდა მღვიმეში, ისე როგორც ამას მე ვაპირებ, და წყვდიადს აპობდა თავისი მრისხანე, ჩირაღდან მოკიაფე და აღვზნებული ხელებით.

«კარგი, მაგრამ, რას უზამდა ბორჯია იმ მცველებს, რომლებსაც თავისი საიდუმლოება გაანდო?» — ჰკითხა თავის თავს დანტესმა.

«იმასვე, რაც უყვეს ალარიხის! (1 ალარიხი — ვესტგოთების მეფე, რომელმაც რომი აიღო და დაარბია. გარდაიცვალა 410 წელს.) მესაფლავეებს, რომლებიც ჩამარხეს მიცვალებულთან ერთად», — უპასუხა მან თავის თავს სიცილით.

«თუმცა, თუ ის აქ იყო, — განაგრძობდა დანტესი, — განძეულს უეჭველად იპოვიდა და წაიღებდა კიდევ; ბორჯიამ — ამ ადამიანმა, რომელიც იტალიას არტიმოკს ადარებდა

და ფურცელ-ფურცელ გლეჯდა მას, კარგად იცოდა დროის ფასი და თავს არ შეიწუხებდა იმისათვის, რომ ქვა ისევ ძველ ადგილზე დაედო.

მაშ, ჩავიდეთ.»

და ედმონდმა კიბეზე ფეხი ჩადგა. პირზე უნდო ღიმილი დასთამაშებდა, ამასთანავე კაცობრიობის სიბრძნის უკანასკნელ სიტყვებს ჩურჩულებდა: შესაძლებელია!..

მაგრამ წყვილი მისი მაგიერ, რომელსაც ის აქ ელოდა, მხრჩოლავი და დახშული ჰაერის ნაცვლად, დანტესმა აქ მსუბუქი მოცისფრო ბინდი დაინახა. ჰაერი და სინათლე ამ მღვიმეში იჭრებოდა არა მარტო მის მიერ გაკეთებული ნახვრეტიდან, არამედ კლდეების შეუმჩნეველი ნაპრალებიდანაც, საიდანაც მოჩანდა ლაქვარდოვანი ცა, მუხის მწვანე ფოთლები და ეკლიანი ბუჩქნარი.

ამ მღვიმეში ჰაერი ნესტიანი და აშშორებული როდი იყო, არამედ თბილი და სურნელოვანი; გარე ჰაერზე იმდენად უფრო მსუბუქი, რამდენადაც მოცისფრო ბინდი უფრო მსუბუქია, ვიდრე კამკამა მზის სხივები. დანტესმა მღვიმეში რამდენიმე წუთს დაჰყო. სიბნელეს შეჩვეულმა თვალებმა უკვე მოასწრეს ყველაზე შორეული კუნჭულების დათვალიერება. მღვიმეს გრანიტის კედლები ჰქონდა და მისი პატარა კილიტები აღმასვლით ბრჭყვინავდნენ.

— ეჰ, — თქვა მან ღიმილით, — აი, ალბათ, ეს არის მთელი ის სიმდიდრე, რომელიც კარდინალმა დატოვა, კეთილი აბატი კი დიდი იმედებით აღივსო, როცა სიზმარში ეს გაბრჭყვიალებული კედლები ნახა.

უცებ დანტესს გაახსენდა ანდერძი, რომელიც მან ზეპირად იცოდა: «მეორე მღვიმის ყველაზე შორეულ კუთხეში», — ამბობდა ანდერძი.

ის მხოლოდ პირველ მღვიმეში შევიდა, ახლა საჭირო იყო მეორე მღვიმის შესასვლელის ძებნა.

დანტესმა ირგვლივ მიმოიხედა: მეორე მღვიმე, ბუნებრივია, კუნძულის სიღრმეში იქნებოდა. მან შეათვალიერა ფილები და მღვიმის ერთ-ერთ კედელს კაკუნი დაუწყო. მისი ფიქრით, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ნაპრალი, რომელიც დიდი სიფრთხილის გამო, ალბათ, ამოქოლილი იყო.

წერაქვს გრანიტზე რამდენიმე წამს გუგუნი გაჰქონდა, იგი ისეთი მაგარი გამოდგა, რომ დანტესს შუბლი მთლად გაუოფლიანდა. ბოლოს, დაულალავ მემდაროეს მოეჩვენა, რომ გრანიტი ერთ ადგილას მის გამოძახილს უფრო ყრუ და დაბალი ხმით უპასუხებდა. ედმონდი კედელს ანთებული თვალებით დააცქერდა და პატიმრის ყნოსვით გაიგო ის, რაც შეიძლება სხვას ვერ გაეგო: ამ ადგილას ხვრელი უნდა ყოფილიყო.

რათა უნაყოფოდ არ ეწვალა, დანტესმა, რომელსაც ჩეზარე ბორჯიაზე ნაკლებად როდი უღირდა დრო, წერაქვით მღვიმის დანარჩენი კედლებიც მოსინჯა, მიწაზე თოფის კონდახი დაჰკრა, საეჭვო ადგილებში ქვიშა ამოყარა და, რაკი ვერაფერი აღმოაჩინა, ისევ იმ კედელს მიუბრუნდა, რომელიც საიმედო ხმას გამოსცემდა.

მან წერაქვი ხელახლა, კიდევ უფრო მძლავრად დაჰკრა.

უცრად უცნაური რამ დაინახა: წერაქვის დარტყმებზე კედელს ნატე-ნატებ სცილდებოდა რაღაც ბათქაშის მსგავსი, ისეთი, როგორსაც კედელზე ფრესკების დასახატავად აკეთებენ. შემდეგ გამოჩნდა მოთეთრო და რბილი ქვა. ის ჩვეულებრივ სამშენებლო ქვას წააგავდა. კლდეში ხვრელი ამ ქვით იყო დახურული. ქვა ბათქაშით დაეფარათ, რომელიც ფერით და კრისტალებით სულ გრანიტს წააგავდა.

მაშინ დანტესმა წერაქვი მახვილი პირით დაჰკრა. იგი კედელში ერთი ღუბილი შეიჭრა.

აი, სად უნდა ეძებნა.

ადამიანის ბუნების უცნაური თვისების გამო, დანტესს, მით უფრო ძლიერი ექვეები აწამებდა და სასოწარკვეთილებაც მით უფრო იპყრობდა, რამდენადაც მეტ დამამტკიცებელ საბუთებს პოულობდა, რომ ფარია შემცდარი არ იყო. ამ ახალ აღმოჩენას იგი უნდა გაემხნეებინა, მაგრამ, პირიქით, წაერთვა უკანასკნელი ძალა, რომელიც მას გააჩნდა. წერაქვი კედელს ასხლტა და კინაღამ ხელიდან გაუვარდა. დანტესმა წერაქვი მიწაზე დადო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მღვიმიდან გარეთ გამოვიდა, თითქოს იმ საბაბით, რომ ენახა, ხომ არავინ მითვალთვალესო. მაგრამ სინამდვილეში უნდოდა სუფთა ჰაერით ესუნთქა, რადგან გრძნობდა, რომ ცოტაც და გული წაუვიდოდა.

კუნძულზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო. შუადღის მზე მხურვალე სხივებს აფრქვევდა. შორს, საფირონივით ლურჯ ზღვაზე, მეთევზეების პატარა ხომალდებს ფრთები გაემალათ.

დანტესს ჯერ პირში ლუკმა არ ჩაედო, მაგრამ ასეთ დროს ჭამის თავი სად ჰქონდა. მან ერთი ყლუპი რომი მოსვა და ისევ მღვიმეში შებრუნდა.

წერაქვი, რომელიც აქამდე ასე მძიმე ეჩვენებოდა, ახლა ემჩატა. ბუმბულივით აიტაცა და მხნედ შეუდგა მუშაობას.

რამდენიმე დარტყმის შემდეგ შენიშნა, რომ ქვეები ერთმანეთზე დადუღებული არ იყო, ისინი უბრალოდ დაეწყით და ზემოდან ბათქაშით დაეფარათ. ედმონდმა ერთ-ერთ ნაპრალში წერაქვის ბოლო ჩაასო და სახელურს დააწვა: ქვა მის ფეხებთან გაგორდა.

ამის შემდეგ დანტესი წერაქვის მახვილი პირით ქვეებს აბრუნებდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქვეები ერთიმეორის მიყოლებით ჩამოცვენილიყო.

დანტესს უკვე კარგა ხანია შეეძლო ნაპრალში შესვლა, მაგრამ აგვიანებდა, რათა იმედის ნაპერწკალი არ ჩაჰქრობოდა.

დანტესი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა და პირველი მღვიმიდან მეორეში ფეხი შედგა.

ეს მეორე მღვიმე პირველზე უფრო დაბალი, უფრო ბნელი და საშინელი მოჩანდა. ჰაერი, რომელიც მასში ახლახან გაჭრილი ხვრელიდან შევიდა, აშმორებული იყო. დანტესი განცვიფრდა, ამდაგვარი რამ მას პირველ მღვიმეში არ უგრძნია. მან შეიცადა, რათა გარე ჰაერს გაეწმინდა ეს დახშული ატმოსფერო და შემდეგ შევიდა.

ნაპრალის მარცხენა მხარეს ღრმა და ბნელი კუნჭული შენიშნა.

მაგრამ ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ დანტესისათვის სიბნელე არ არსებობდა.

მან ეს მღვიმეც შეათვალა. ისიც ისეთივე ცარიელი აღმოჩნდა, როგორც პირველი. განძი, თუკი იგი არსებობდა, იმ ჩაბნელებულ კუნჭულში უნდა ყოფილიყო ჩამარხული.

დადგა წამების წუთები. ორი ფუტი მიწა, აი რა აშორებდა დანტესს უდიდესი ბედნიერებისა ან უდიდესი სასოწარკვეთილებისაგან. იგი ჩაბნელებულ კუთხეში მიიჭრა და თითქოს უეცარი გადაწყვეტილება მიიღო — თამამად დაიწყო მიწის თხრა.

მეხუთე თუ მეექვსე დარტყმაზე წერაქვი რკინას მოხვდა.

საგანგაშო ნაბათს, სამგლოვიარო ზარს არასოდეს ასე არ უმოქმედია თავის მსმენელზე. დანტესს რომ არაფერი არ ეპოვა, იგი ასე საშინლად არ გაფითრდებოდა.

მან წერაქვი ახლა იქვე გვერდით, სხვა ადგილზე დაჰკრა. ისევე რაღაცას მოხვდა, მაგრამ ხმა იგივე აღარ იყო.

«ეს რკინით შემოჭედილი ხის სკივრია», — გაიფიქრა მან.

სწორედ ამ წუთში ვილაცის სწრაფმა ჩრდილმა გადაირბინა.

დანტესმა წერაქვი დააგდო, თოფს ხელი სტაცა და გარეთ გამოვარდა.

გარეულ თხას მღვიმის პირველ შესასვლელთან გაერბინა და იქვე მახლობლად ბალახს მოვდა. დანტესს მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა, სადილი უზრუნველყო, მაგრამ შეეშინდა, თოფის ხმით ვისიმე ყურადღება არ მიეპყრო.

წუთით ჩაფიქრდა, ფისოვანი ხე მოჭრა, დასანთებად ცეცხლთან მიიტანა, რომელზედაც ამ დილით კონტრაბანდისტებმა თიკანი შეწვეს, და ამ ჩირაღდნით უკან დაბრუნდა.

დანტესს არ უნდოდა, მღვიმეში რაიმე დარჩენოდა უნახავი.

მან ჩირაღდანი ამოთხრილ უფორმო და დაუმთავრებელ ხვრელში შეიტანა და მიხვდა, რომ არ შემცდარიყო — წერაქვი ხან მიწას და ხან რკინას ხვდებოდა.

დანტესმა ჩირაღდანი მიწაში ჩაარჭო და მუშაობა განაგრძო.

რამდენიმე წუთში მან სამი ფუტის სიგრძის და ერთი ფუტის სიგანის ორმო ამოთხარა და რკინის მოჭედილი მუხის სკივრი დაინახა. სახურავის შუაგულში ვერცხლის ბალთაზე, რომელიც მიწას ვერ დაეჟანგა, სპადას საგვარეულო გერბი ბრწყინავდა: ირიბად დადებული ხმალი ოვალური ფორმის ფარზე, როგორც იტალიაშია მიღებული, და კარდინალის ქუდი.

დანტესმა მყისვე იცნო ეს გერბი: რამდენჯერ დაუხატავს იგი აბატ ფარიას.

ახლა საეჭვო აღარაფერი იყო, განძეული ნამდვილად აქ ინახებოდა. თავს არავინ შეიწუხებდა, რომ ცარიელი ყუთი ასეთ ადგილას შეენახა. დანტესმა სკივრის გარშემო მიწა სწრაფად მოთხარა.

ჯერ შუა ადგილას გამოჩნდა ზედა საკეტი, შემდეგ ჩამოსაკიდი ბოქლომები და გვერდით გაკეთებული სახელურები. ყველაფერი ეს გამოჭედილი იყო ისეთი ოსტატობით, როგორც ახასიათებდა იმ ეპოქას, როცა ხელოვნება აკეთილშობილებდა ლითონს.

დანტესმა სკივრს სახელურებში სტაცა ხელი და შეეცადა ამოეწია, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

გადაწყვიტა გაეღო, მაგრამ აქაც ვერაფერს გახდა. საკეტები არ დანებდა. ამ ერთგულ დარაჯებს თითქოს არ სურდათ, გაეცათ თავისი განძეული.

დანტესმა წერაქვის მახვილი პირი სახურავსა და სკივრის კედელს შუა ჩადო და სახელურს დააწვა. სახურავმა დაიჭრაჭუნა და გაიზარა, რკინის სალტეები შესუსტდნენ, მოსწყდნენ სკივრს, მაგრამ გაზარულ ფიცარს ჯერ ისევ ეჭიდებოდნენ თავიანთი ბრჭყალებით. სკივრი გაიღო.

ედმონდი კანკალმა აიტანა. მან ისევ თოფს სტაცა ხელი, ჩახმაზზე შეაყენა და გვერდით დაიდო. ჯერ თვალები დახუჭა, როგორც ამას ბავშვები აკეთებენ, რათა თავიანთი ფანტაზიის მოელვარე ღამეებში უფრო მეტი ვარსკვლავი დაითვალონ, ვიდრე შეუძლიათ გაკაშკაშებულ ნათელ ცაზე აღმოაჩინონ.

სკივრში სამი განყოფილება იყო.

პირველში ბრჭყვიალი გაჰქონდა ოქროს ფულებს, რომლებსაც მოწითალო ელვარება გადაჰკრავდა.

მეორეში დაწყობილი იყო დაუმუშავებელი ოქროს ზოდები, რომელთაც მხოლოდ წონა და ფასი ჰქონდა.

მესამე ნახევრად იყო ამოვსებული. აქ ედმონდმა ხელი ჩაჰყო აღმასების, მარგალიტებისა და ლალების გროვაში, რომლებიც ერთმანეთს ეცემოდნენ ბრჭყვიალა ჩანჩქერებივით და ისეთი ტკაცანი გაჰქონდათ, ასე იტყოდით, ფანჯრის მინებს სეტყვა ურტყამსო.

როდესაც დანტესმა ამ სანახაობით გული იჯერა, ათრთოლებული ხელი რამდენჯერმე შეურია ოქროებსა და ძვირფას თვლებში, წამოხტა და თითქმის გონებადაკარგული მღვიმედან გარეთ გამოვარდა. იგი სწრაფად ავარდა კლდეზე, საიდანაც ზღვა მოჩანდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ის მარტო იყო, ნამდვილად მარტო, ამ უთვალავ, გაუგონარ ზღაპრულ სიმდიდრესთან და იგი მას ეკუთვნოდა. მაგრამ ეს

სიზმარი იყო თუ ცხადი, წუთიერი მოჩვენება მოელანდა, თუ პირისპირ იდგა სინამდვილის წინაშე?

დასარწმუნებლად საჭირო იყო ხელახლა ენახა თავისი ოქროები, მაგრამ გრძნობდა, რომ ვერ გაუძლებდა ამ სანახაობას. დანტესმა ორივე ხელი თავში იტაცა, თითქოს ამით სურდა შეეჩერებინა გონება, რომელიც მის მიტოვებას აპირებდა, და კუნძულზე გიჟივით გავარდა. იგი გარბოდა; არ შეიძლება ითქვას, უგზო-უკვლოდ, რადგან გზები მონტე-კრისტოზე არ არის, მას განსაზღვრული მიმართულებაც კი არ ჰქონდა აღებული. მისი ყვირილი და გაშმაგებული სირბილი აფრთხობდა გარეულ თხებსა და ზღვის ფრინველებს. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა; ეჭვი ეპარებოდა თავის ბედნიერებაში; შევარდა პირველ მღვიმეში, იქიდან — მეორეში და კვლავ იხილა ოქროსა და ალმასების მადანი.

ახლა კი მუხლებზე დაეცა, ხელი ათრთოლებულ გულზე მიიძო და ლოცვა დაიწყო. ამ ლოცვას მარტო ღმერთი თუ გაიგონებდა.

მალე თავი უფრო დამშვიდებულად და ბედნიერად იგრძნო.

ძლივს სჯეროდა თავისი ბედნიერების. დანტესი შეუდგა თავისი სიმდიდრის თვლას.

სკივრში აღმოჩნდა ათასი ოქროს ზოდი, თითოეული ორიდან სამ გირვანქამდე იწონიდა; შემდეგ გადათვალა ოცდახუთი ათასი ოქროს ფული, თითოეული მათგანი ჩვენს ფულზე ოთხმოც ეკიუს უდრიდა, და ყველაზე პაპი ალექსანდრე VI და მისი წინაპრები იყო გამოხატული. ედმონდი დარწმუნდა, რომ ჯერ ყუთი ნახევრამდე არ ჰქონდა ამოცლილი. ბოლოს ორივე ხელით აწყა ათი პეშვი მარგალიტი, ალმასი და ძვირფასი თვალი. უნდა ითქვას, ბევრი მათგანი, თავის დროს საუკეთესო ოსტატების მიერ მოოჭვილნი, თავისი მხატვრული ღირსებით არ ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ ფულად ღირებულებას.

თანდათან ბინდდებოდა, დანტესს შეეშინდა, მღვიმეში არავინ მომასწროსო და თოფით ხელში გარეთ გამოვარდა. ორცხობილას ნატეხმა და რამდენიმე ყლუპმა ღვინომ მას ვახშმის მაგივრობა გაუწია. შემდეგ ფილა ისევ ძველ ადგილას დადო, ზედ წამოწვა, რათა შესასვლელი დაეხურა და რამდენიმე საათს იძინა.

ეს ღამე იყო ერთი იმ ტკბილ და საშინელ ღამეთაგანი, რომელიც თავის ცხოვრების მანძილზე ორ-სამჯერ ხვდა წილად ვნებებით შეპყრობილ ამ ადამიანს.

IV უცნობი

გათენდა. დანტესი დიდი ხანია თვალეგახეილილი უცდიდა დღის სინათლეს. მზის პირველსავე სხივებზე იგი წამოდგა და, როგორც წინა დღეს, მიდამოს დასათვალიერებლად კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავიდა.

ედმონდი ძირს დაეშვა, ქვა ასწია, მღვიმეში შევიდა და ჯიბეები ძვირფასი თვლებით აივსო. შემდეგ, რაც შეეძლო, სკივრს სახურავი მაგრად დაახურა, მიწა დააყარა და დატკეპნა, ბოლოს ზემოდან ქვიშა წააყარა, რათა ამოთხრილი ადგილი არავის შეემჩნია და გარეთ გამოვიდა. მღვიმის შესასვლელს ისევ ლოდი მიაფარა, ზედ სხვადასხვა სიდიდის ქვები მიაყარა, მათ შორის დარჩენილი თავისუფალი ადგილები მიწით ამოავსო, შიგ ტვიები და იელები ჩარგო, მორწყა, რათა დიდი ხნის ამოსულებს დამსგავსებოდნენ, თავისი ფეხის ნაკვალევი წაშალა და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი ამხანაგების დაბრუნებას. მართლაც, უკვე საჭირო აღარ იყო, დრო დაეკარგა ოქროებისა და ალმასების ყურებაში და კუნძულზე დარჩენილიყო გამოუყენებელი განძეულის მცველი დრაკონივით. ახლა იგი ცხოვრებას, ხალხს უნდა დაბრუნებოდა, საზოგადოებაში

უნდა მოეპოვებინა მდგომარეობა, გავლენა და ძალაუფლება, რასაც ამქვეყნად იძლევა სიმდიდრე, პირველი და უდიდესი ძალა, რომელიც კი შეიძლება ადამიანის განკარგულებაში იყოს.

კონტრაბანდისტები მეექვსე დღეს დაბრუნდნენ; დანტესმა გარეგნობითა და სვლით შორიდანვე იცნო «ახალგაზრდა ამელი». იგი ნაპირამდე დაჭრილი ფილოქტეტივით¹ (1 ფილოქტეტი — სახელოვანი ბერძენი გმირი, რომელსაც ჰერკულესმა სიკვდილის წინ თავისი მოწამლული ისრები უანდერძა. ერთი ასეთი ისრით მან შემთხვევით თავი დაიჭრა და ტროაში მიმავალმა თანამებრძოლებმა ისევ კუნძულ ლემნოსზე დატოვეს, მაგრამ, რადგან ტროის აღება უიმისოდ შეუძლებელი გახდა, ულისე და დიომედი მის სამებრად მოვიდნენ ლემნოსზე.) მიფორთხდა და, როდესაც ამხანაგები ნაპირზე გამოვიდნენ, განუცხადა, თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, თუმცა ტკივილები ისევ მაწუხებსო; შემდეგ ამხანაგების ამბავი მოისმინა; მართალია, მათ წარმატება ხვდომოდათ წილად, მაგრამ ის იყო დატვირთვას ამთავრებდნენ თურმე, რომ შეეტყოთ, მეთვალყურე ბრიგი ტულონიდან გამოვიდა და თქვენკენ მოდისო. მაშინ დაექარებინათ წასვლა და შეწუხებულიყვნენ, რომ თან არ ჰყავდათ დანტესი, რომელსაც ეხერხებოდა «ამელის» დიდი სიჩქარით მართვა. მალე შეემჩნიათ, რომ ბრიგი უკან მოსდევდათ, მაგრამ ესარგებლათ სიბნელით, შემოევლოთ კორსის კონცხისთვის და მდევარისთვის თავი დაეღწიათ.

მოკლედ, ეს მოგზაურობა წარმატებით დამთავრდა და ყველა წუხდა, განსაკუთრებით კი ჯაკოპო, რომ დანტესი არ მონაწილეობდა ამ მოგზაურობაში და თავისი წილი არ მიიღო მოგებიდან, რაც თითოეულზე ორმოცდაათ პიასტრამდე ავიდა.

ედმონდი არ შეშფოთებულა. მას არც კი გაღიმებია, როდესაც გამოთვალა მოგება, რომელსაც ის მიიღებდა, კუნძულის მიტოვება რომ შესძლებოდა, და რაკი «ახალგაზრდა ამელი» მონტე-კრისტოზე მხოლოდ მის წასაყვანად მოვიდა, იგი იმ ღამესვე გადაბარგდა გემზე და ტარტანის პატრონს ლივორნოში გაჰყვა.

ლივორნოში ედმონდი ერთ ებრაელთან მივიდა და ოთხი ყველაზე პატარა ძვირფასი თვალი მიჰყიდა, თითოეული ხუთი ათას ფრანკად. ებრაელს შეეძლო ეკითხა, საიდან მოხვდა მეზღვაურის ხელში ასეთი ძვირფასი რამ; მაგრამ მან გაჩუმება არჩია: ის თითოეულ თვალზე ათას ფრანკს იგებდა.

მეორე დღეს დანტესმა სულ ახალი სათევზაო ნავი იყიდა და ჯაკოპოს გადასცა საჩუქრად; ამას კიდევ ასი პიასტრი დაუმატა მეზღვაურების დასაქირავებლად იმ პირობით, რომ ჯაკოპო მარსელში გამგზავრებულიყო და გაეგო ამბავი მელიანის ხეივანში მცხოვრები მოხუცისა, რომელსაც ლუდოვიკო დანტესი ერქვა, და სოფელ კატალანში მცხოვრები ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელსაც მერსედესს ეძახდნენ.

ჯაკოპომ იფიქრა, სიზმარში ვარო, მაგრამ დანტესი მოუყვა, მეზღვაური ჯიუტი ხასიათის გამო გავხდი, რადგან მშობლები საჭირო სახარჯო ფულს არ მამღვედნენო. ლივორნოში ბიძის მემკვიდრეობა მივიღე, მან ანდერძით მთელი თავისი ქონება მარტო მე დამიტოვაო. დანტესის განათლებულობა სარწმუნოდ ხდიდა ამ ამბავს. ამგვარად, ჯაკოპო დარწმუნებული იყო, რომ მისმა ახლადშემქნილმა ამხანაგმა მას სიმართლე უთხრა.

გარდა ამისა, რაკი «ახალგაზრდა ამელიზე» მისი სამსახურის ვადა გათავდა, დანტესი გამოემშვიდობა ტარტანის პატრონს, რომელიც პირველად შეეცადა, ხომალდზე დაეტოვებინა იგი, მაგრამ, როდესაც მემკვიდრეობის ამბავი გაიგო, იმედი დაკარგა, რომ მასთან დარჩენაზე დაიყოლიებდა.

მეორე დღეს ჯაკოპომ გეზი მარსელისკენ აიღო; იგი დანტესს შეჰპირდა, მონტე-კრისტოზე შეხვედროდა.

დანტესი იმავე დღეს გაემგზავრა, მაგრამ არავისთვის უთქვამს — სად მიდიოდა. წასვლის წინ მან უხვად დააჯილდოვა «ახალი ამელის» ეკიპაჟი და ტარტანის პატრონს პირობა მისცა, ოდესმე თავისი ამბავი ეცნობებინა.

დანტესი გენუაში გაემგზავრა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ის იქ ჩავიდა, ნავსადგურში ცდიდნენ ერთი ინგლისელის მიერ შეკვეთილ პატარა იახტას. მას გაეგონა, გენუელები ხმელთაშუა ზღვაში საუკეთესო გემთმშენებლები არიან და მოესურვებინა, თვითონაც ჰქონოდა გენუაში აგებული გემი; ინგლისელმა ის ორმოც ათას ფრანკად შეუკვეთა; დანტესმა იახტაში სამოცი ათასი შეაძლია იმ პირობით, რომ იმ დღესვე ჩაებარებინათ მისთვის. ინგლისელი, სანამ გემს აუშენებდნენ, შვეიცარიაში გამგზავრებულიყო სასაქონლოდ და სამ კვირაში ან ერთ თვეში თუ დაბრუნდებოდა. მშენებელმა გადაწყვიტა, რომ ამ ხნის განმავლობაში მეორის აგებასაც მოასწრებდა. დანტესმა მშენებელი ებრაელთან წაიყვანა დუქანში, მასთან ერთად უკანა ოთახში გავიდნენ და ებრაელმა მშენებელს სამოცი ათასი ფრანკი ჩაუთვალა.

მშენებელმა მას ეკიპაჟის დაქირავებაში თავისი სამსახური შესთავაზა. დანტესმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, ჩვეულებრივ მარტო ვცურავ, და ჩემი ერთადერთი თხოვნაა კაიუტაში, საწოლის თავთან, კარადა გამიკეთოთ საიდუმლო საკეტით, რომელსაც სამი განყოფილება უნდა ჰქონდეს, ასევე საიდუმლო საკეტებით. დანტესმა ამ განყოფილებების ზომა მისცა. მეორე დღისათვის ყველაფერი მზად იყო.

ორი საათის შემდეგ დანტესი გენუის ნავსადგურიდან გადიოდა; მას თვალს ადევნებდა ცნობისმოყვარე ბრბო, რომელსაც უნდოდა დაენახა განმარტოებით ცურვის მოყვარული ესპანელი დიდებული.

დანტესი მშვენივრად მართავდა; მარტო საჭის საშუალებით ის ხომალდს ყველა საჭირო მანევრს ასრულებინებდა, ისე რომ ხომალდი გონიერ არსებას ჰგავდა. იგი მზად იყო, დამორჩილებოდა სულ უმცირეს ძალდატანებასაც კი. დანტესი გულში აღიარებდა, რომ გენუელებმა სამართლიანად მოიპოვეს მთელს ქვეყანაში საუკეთესო გემთმშენებლების სახელი.

ბრბო აცილებდა იახტას, სანამ თვალთახედვიდან არ დაკარგა იგი. შემდეგ დაიწყო კამათი, საით იყო მიმართული მისი გეზი: ერთნი ამბობდნენ, კორსიკისკენ გაემართაო, მეორენი — ელბისკენო; ზოგიერთები სანაძლეოსა სდებდნენ, რომ იგი ესპანეთში მიდიოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აფრიკას ასახელებდნენ. მაგრამ ფიქრად არავის მოსვლია, კუნძული მონტე-კრისტო დაესახელებინა.

დანტესი კი სწორედ იქ მიდიოდა.

იგი კუნძულს მეორე დღის ბოლოს მიადგა; იახტა ძალიან სწრაფი გამოდგა, ჩიტვივით მიფრინავდა და ეს მანძილი ოცდათხუთმეტ საათში დაფარა. დანტესმა მშვენივრად შეისწავლა სანაპიროს მოხაზულობა და იმის მაგივრად, რომ ნავსადგურში შესულიყო, ღუზა პატარა ყურეში ჩაუშვა.

კუნძულზე კაცის ჭაჭანება არ იყო. ეტყობოდა, დანტესის გამგზავრების შემდეგ არავინ სტუმრებოდა. ედმონდი თავის განძეულისაკენ წავიდა. ყველაფერი იქვე დახვდა, სადაც დატოვა.

მეორე დღეს თავისი აუარებელი სიმდიდრე იახტაზე გადაიტანა და საიდუმლო კარადის სამ განყოფილებაში ჩაკეტა.

დანტესმა კიდევ ერთი კვირა შეიცადა. ამ ერთი კვირის განმავლობაში იახტა კუნძულის გარშემო დაჰყავდა და სწავლობდა ისე, როგორც მწვრთნელი თავის ცხენს სწავლობს. ამ ხნის მანძილზე ყველა მისი ღირსება და ნაკლი გაიგო. დანტესმა გადაწყვიტა, გაეძლიერებინა პირველნი და გამოესწორებინა მეორენი.

მეშვიდე დღეს დანტესმა დაინახა მისკენ მომავალი ნავი, რომელსაც ყველა აფრა გაეშალა. მან მაშინვე ნიშანი მისცა, ჯაკოპომაც უპასუხა და ორი საათის შემდეგ ნავი იახტის გვერდით იდგა.

ედმონდს ორივე კითხვაზე სამწუხარო პასუხი ელოდა.

მოხუცი დანტესი გარდაცვლილიყო.

მერსედესი გამქრალიყო.

ედმონდმა დამშვიდებული სახით მოისმინა ორივე ეს პასუხი; მყისვე გადავიდა ნაპირზე და აუკრძალა, ვინმე გაჰყოლოდა უკან.

ორი საათის შემდეგ იგი დაბრუნდა; ორი მეზღვაური ჯაკოპოს ნავიდან მის იახტაზე გადავიდა, რათა აფრები აეშვათ. დანტესმა განკარგულება გასცა, გეზი მარსელისაკენ აეღოთ. მამის სიკვდილს ის ელოდა; მაგრამ რა მოუვიდა მერსედესს?

ედმონდს არ შეეძლო, არც ერთი აგენტისათვის მიეცა ამომწურავი მითითება, თუ თავის საიდუმლოს არ გაამჟღავნებდა. გარდა ამისა, სჭირდებოდა კიდევ სხვა ცნობების შეკრება და ამის გაკეთება კი მხოლოდ მას შეეძლო. ლივორნოში დალაქის სარკემ იგი ერთ რამეში დაარწმუნა: არ უნდა შინებოდა, რომ ვინმე იცნობდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ახლა ყოველგვარი საშუალება ჰქონდა, სახე შეეცვალა. და აი, ერთ დღილას დანტესის იახტა, რომელსაც ნავი აცილებდა, თამამად შევიდა მარსელის ნავსადგურში და სწორედ იმ ადგილის პირდაპირ გაჩერდა, სადაც იმ საბედისწერო ღამეს ედმონდი ნავში ჩასვეს ციხესიმაგრე იფში წასაყვანად.

ვერ ვიტყვით, რომ დანტესი არ ათრთოლებულიყო, როდესაც მისკენ საკარანტინო ნავით მომავალი ჟანდარმი დაინახა. მაგრამ იმ დამაჯერებელი მშვიდი სახით, რომელიც მას გამომუშავებული ჰქონდა, ჟანდარმს ლივორნოში ნაყიდი ინგლისური პასპორტი გადასცა და ამ უცხოური საშვების დახმარებით, რომელსაც საფრანგეთში ფრანგულ პასპორტზე გაცილებით მეტად აფასებენ, ნაპირზე დაუბრკოლებლად გადმოვიდა.

პირველი, ვისაც დანტესი კანენბიერის ქუჩაზე შეხვდა, იყო «ფარაონის» მეზღვაური: კაცი, რომელიც ოდესღაც მის განკარგულებებს ემორჩილებოდა, ახლა თითქოს იმისათვის იყო აქ, რათა დანტესი დაერწმუნებინა, რომ ის გარეგნულად დიდად შეცვლილიყო. ედმონდი პირდაპირ ამ კაცისკენ წავიდა და რამდენიმე შეკითხვა მისცა.

დანტესმა პასუხის მიღებისთანავე მადლობის ნიშნად ფული აჩუქა; მალე დანტესს შემოესმა, რომ ეს კაცი უკან მოსდევდა.

დანტესი მობრუნდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, — უთხრა მეზღვაურმა, — ვგონებ შეცდით; თქვენ, ალბათ, ორმოცი სუ უნდა მოგეცათ და ორმაგი ნაპოლეონდორი კი მომეცით.

— მართალი ხართ, ჩემო მეგობარო, — უთხრა დანტესმა, — მე შევცდი, მაგრამ თქვენი პატიოსნება ჯილდოს ღირსია და გთხოვთ, ეს მეორეც მიიღოთ და ამხანაგებთან ერთად ჩემი სადღეგრძელო შესვათ.

მეზღვაური ისე განცვიფრდა, რომ მადლობის თქმაც კი ვერ მოახერხა; მიმავალ ედმონდს თვალი გააყოლა და თქვა:

— ვინმე ნაბობი თუ არის ინდოეთიდან.

დანტესმა გზა განაგრძო. ყოველ ნაბიჯზე ახალი განცდებით გული სულ უფრო და უფრო ეკუმშებოდა. ბავშვობის დაუფიწყარი, ფიქრებისაგან მარად განუშორებელი მოგონებები, ყოველ კუთხეში, ყოველ გზაჯვარედინზე წამოეშლებოდნენ ხოლმე. როდესაც ნოიალის ქუჩის ბოლოში მივიდა და მელიანის ხეივანი დაინახა, იგრძნო, რომ ფეხებმა უმტყუნა და კინაღამ ეტლის ქვეშ ჩავარდა. ბოლოს მივიდა იმ სახლამდე, სადაც ოდესღაც მამამისი ცხოვრობდა. მანსარდიდან გამქრალიყვნენ ციცაბარდა და ბალახვარდა, რომლებსაც მოხუცი ასეთი მზრუნველობით უვლიდა.

დანტესი ხეს მიეყრდნო; კარგა ხანს ჩაფიქრებული შეჰყურებდა ამ პატარა სახლის ზედა სართულებს. ბოლოს კარებს მიუახლოვდა, ზღურბლს გადააბიჯა და იკითხა, თავისუფალი ოთახი ხომ არ გაქვთო. მეხუთე სართულზე ყველა ოთახი დაკავებული აღმოჩნდა, მაგრამ მან ისე დაიჟინა დათვალიერება, რომ მეკარე ზემოთ ავიდა და ბინადრებს სთხოვა, უცხოელისათვის თავიანთი ბინები ეჩვენებინათ. აქ ორი ოთახი ეკავა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, რომლებიც სულ ერთი კვირის ჯვარდაწერილები იყვნენ. ბედნიერი ახალგაზრდების დანახვაზე დანტესმა მძიმედ ამოიოხრა.

ერთი სიტყვით, დანტესს არაფერი აგონებდა მამის საცხოვრებელს, ყველაფერი შეცვლილი იყო. ძველი ნივთები — მისი სიყრმის მეგობრები, რომლებიც დანტესის მეხსიერებაში თავიანთი წვრილმანებითაც კი აღდგნენ, სადღაც გამქრალიყვნენ, მხოლოდ კედლებიღა იყო ისევ ისეთი.

დანტესმა შეხედა საწოლს; მამამისსაც სწორედ აქ ედგა საწოლი. ედმონდს უნებურად თვალები ცრემლებით ავესო. მოხუცს შვილის ხსენებაში აქ აღმოხდა უკანასკნელი ოხვრა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაკვირვებით შეჰყურებდა ამ ადამიანს, რომელსაც მკაცრ სახეზე ცერის სისხო ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდა. ისინი უცნობს შეკითხვებს არ აძლევდნენ, მოშორებით დადგნენ, რათა ხელი არ შეეშალათ. მხოლოდ როცა დანტესი ეთხოვებოდა, უთხრეს, ყოველთვის, როდესაც კი სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ მოზრძანდეთ და მუდამ მოხარულნი ვიქნებით ჩვენს ბინაში გიხილოთო.

როდესაც დანტესი ერთი სართულით დაბლა ჩამოვიდა, კარებთან შეჩერდა და იკითხა, ისევ ცხოვრობს აქ მკერავი კადრუსი თუ არაო.

მეკარემ უთხრა, იგი გაკოტრდა და ახლა პატარა ტრაქტირი აქვს ბელგარდ-ბოკერის გზაზეო.

დანტესმა წასვლის წინ იკითხა სახლის პატრონის მისამართი და მისკენ გაემართა. სახლის პატრონს აცნობეს, რომ მასთან მოლაპარაკება სურდა ლორდ უილმორს (ასე იყო იგი ჩაწერილი პასპორტში). დანტესმა მთელი სახლი ოცდახუთ ათას ფრანკად იყიდა. სულ ცოტა, ათი ათასი ფრანკი ზედმეტი მისცა, მაგრამ მისთვის ნახევარი მილიონიც რომ ეთხოვათ, არც კი შეევაჭრებოდა, ისე ჩაუთვლიდა ამ ფულს.

იმავე დღეს მეხუთე სართულზე მცხოვრებ ცოლ-ქმარს, ნოტარიუსმა, რომელმაც დანტესს გაუფორმა ნასყიდობა, აცნობა, რომ მათ ახალი სახლის პატრონი იმავე ფასად მისცემს რომელ ბინასაც მოისურვებენ, თუკი ისინი დაუთმობდნენ იმ ორ ოთახს, რომლებიც მათ ეკავათ.

ეს უცნაური ამბავი მელიანის ხეივნების მცხოვრებლებს მთელ ერთ კვირას ჰქონდათ სალაპარაკოდ; წარმოიშვა ათასი მითქმა-მოთქმა, რომელთაგანაც არც ერთი არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

მაგრამ ყველას გონება აებნა და თავგზა დაეკარგა, როდესაც გაიგეს, რომ კაცი, რომელიც დილით მელიანის ხეივნებში იყო, საღამოთი პატარა სოფელ კატალანში სეირნობდა, მეთევზეთა ქოხში შევიდა, სადაც ორი საათი დაჰყო, იკითხა ისეთი ადამიანების ამბები, რომლებიც უკვე დიდი ხანია გარდაცვლილიყვნენ, ან თხუთმეტი წელიწადია, მათი არაფერი ისმოდა.

მეორე დღეს მეთევზეებმა, რომლებსაც ის ელაპარაკა, საჩუქრად მიიღეს ახალი კატალანური ნავი ორი ბადითა და ორი ხოლიხით.

მეთევზეებს ძალიან უნდოდათ მადლობა გადაეხადათ გულუხვი სტუმრისათვის, მაგრამ გაიგეს, რომ წინა დღით ვიღაც მეზღვაურს ელაპარაკა, მერე ცხენზე შეჯდა და ეკსის კარიბჭით მარსელიდან წავიდა.

ტრაქტირი — «გარდის ხიდი»

ვისაც ჩემსავით ფეხით უმოგზაურია სამხრეთ საფრანგეთში, იგი ბელგარდსა და ბოკერს შორის, დაახლოებით ქალაქსა და სოფლის შუაგზაზე, უფრო ბოკერის ახლოს, ვიდრე ბელგარდთან, უთუოდ დაინახავდა პატარა ტრაქტირს, სადაც რკინის აბრაზე, რომელსაც ქარის სულ ოდნავი ქროლვაც კი აჭრიალებს, სასაცილოდ ეხატა გარდის ხიდი. ეს ტრაქტირი, თუ რონის მიმართულებას გაჰყვებით, დგას გზის მარცხენა მხარეს და ზურგი მდინარისკენ აქვს შექცეული. მას აკრავს ის, რასაც ლანგედოკში ბაღს ეძახიან, ანუ უკანა მხრიდან შემოღობილი მიწის ნაკვეთი, სადაც გაუხარლად ჰკნება რამდენიმე ტანმორჩილი ზეთისხილის ხე და გარეული ლეღვი მტვრისაგან შევერცხლილი ფოთლებით. ამ ხეებს შორის ბოსტნეულიდან იზრდება ნიორი, წითელი წიწაკა და ხახვი. და ბოლოს, თითქოს მივიწყებული გუშაგიაო, ცისკენ აუტყორცნია მთელი ტანი განმარტოებულ იტალიურ ფიჭვს, რომლის წვერი დაუხეთქავს ოცდაათგრადუსიან სიციხეს.

ყველა ეს დიდი თუ პატარა ხე, ბუნებას იქითკენ გადაუზნეჟია, საითკენაც უბერავს მისტრალი — ერთ-ერთი პროვანსის სამ უბედურებათაგანი. ორ სხვა უბედურებად, როგორც ცნობილია, ან იქნებ უცნობიცაა, ითვლებოდა დიურანსი¹ (¹ დიურანსი — რონის შენაკადი, რომელიც ხშირად დიდდება და ახლომახლო მდებარე ადგილებს აზიანებს.) და პარლამენტი.

ირგვლივ მინდორზე, მტვრის დიდ ტბას რომ წააგავს, აქა-იქ თავი ამოეყოთ პურის თავთავებს, რომლებიც ადგილობრივ მეზაღეებს, უეჭველია, ცნობისმოყვარეობის გამო მოჰყავდათ და რომლებიც ქანდარის მაგივრობას უწევდნენ ჭრიჭინებს; ეს ჭრიჭინები გამაყრუებელი და მონოტონური სიმღერით თავს ახეზრებენ ამ უდაბნოში გზადაკარგულ მგზავრს.

უკვე შვიდი წელია, რაც ეს ტრაქტირი ერთ ცოლ-ქმარს ეკუთვნოდა. მათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი მოსამსახურე გოგო, სახელად ტრინეტა და ერთიც მეჯინიბე ბიჭი — პაკო. ეს ორი მსახური თავისუფლად აუდიოდა მათ საქმეებს, რადგან მას შემდეგ, რაც ბოკერსა და ეგ-მორტომს შორის არხი გაიყვანეს, ორჩხომელებმა საფოსტო ეტლები შეცვალეს, ხოლო სამგზავრო გემებმა — დილიქანსები.

ეს არხი, თითქოს იმიტომ, რომ უფრო მწვავე გაეხადა საწყალი მეტრაქტირის მწუხარება, გადიოდა მის მასაზრდოებელ რონასა და მის მიერ შთანთქმულ გზას შორის, ასიოდე ნაბიჯზე იმ ტრაქტირიდან, რომელიც ჩვენ ესაა მოკლედ, მაგრამ ზუსტად აღვწერთ.

ამ ტრაქტირის პატრონი ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, იგი ნამდვილი სამხრეთელი ტიპი იყო: მაღალი, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, არწივისებური ცხვირი და მტაცებელი ცხოველის თეთრი კბილები ჰქონდა. მის თმას, მიუხედავად იმისა, რომ ასაკს თავისი უნდა გაეტანა, როგორც ჩანდა, არ სურდა გათეთრება. თმაც მომრგვალებული წვერივით ხშირი და ხუჭუჭი ჰქონდა; მხოლოდ აქა-იქ ოდნავ შეჰპარვოდა ჭაღარა. ბუნებით შავგვრემანს სახის კანი კიდევ უფრო გაშავებოდა, რადგან საწყალ კაცს ჩვეულებად ჰქონდა დილიდან საღამომდე კარის ზღურბლზე მდგარიყო, რათა ეტლით ან ფეხით მისკენ მომავალი მგზავრი დაენახა. იგი თითქმის ყოველთვის ამაოდ უცდიდა. მის სახეს მზის მცხუნვარებისაგან არაფერი ფარავდა წითელი ხილაბანდის გარდა, რომელიც ესპანელ მეხრესავით თავზე ჰქონდა წაკრული. ეს იყო ჩვენი ძველი ნაცნობი გასპარ კადრუსი.

მისი ცოლი, რომელსაც ქალიშვილობაში მადლენა რადელს ეძახდნენ, პირიქით, ფერმკრთალი, გამხდარი და ავადმყოფი ქალი იყო. არლის მიდამოებში დაბადებულ მადლენას ჯერ კიდევ შერჩენოდა წარსული სილამაზის კვალი, რომლითაც ასე განთქმული არიან მისი კუთხის ქალები; მაგრამ სახე ადრე დაეჭვნო ფარულ ციებას, რომელიც ასე გავრცელებულია ეგ-მორტის ტბორებსა და კამარგის ჭაობების მეზობლად მცხოვრებ მოსახლეობაში. ციებ-ცხელებით შეპყრობილი ეს ქალი მუდამ თავის ოთახში იყო მეორე სართულზე, ხან სავარძელზე მიწოლილი და ხან ლოგინზე წამომჯდარი. მისი ქმარი კი ამ დროს, ჩვეულებისამებრ, ზღურბლზე იდგა გუშაგად: ის მუდამ უხალისოდ ტოვებდა თავის საგუშაგოს, რადგან ყოველთვის, როცა თავის ჭირვეულ მეუღლესთან ბრუნდებოდა, ქალი გულს უწყალებდა ბედზე ჩივილით, ქმარი კი ფილოსოფიურად პასუხობდა:

«გაჩუმდი, კარკონტა, ეტყობა, ღმერთს ასე სურს».

«კარკონტა» — ეს ზედმეტი სახელი იქიდან არის წარმოშობილი, რომ მადლენა რადელი დაბადებული იყო სალონსა და ლამბესეს შორის მდებარე სოფელ კარკონტაში და, რადგანაც ამ მიდამოებში ადამიანს, იმის მაგივრად, რომ ნამდვილი სახელი დაუძახონ, თითქმის ყოველთვის მეტსახელით მიმართავენ, მასაც შეეცვალა სახელი მადლენა, შესაძლებელია მეტისმეტად ნაზი და კეთილხმოვანი მისი უხეში მეტყველებისათვის.

იმის მიუხედავად, რომ მეტრაქტირე ღვთის განგებისადმი ასეთ უტყვე მორჩილებას იჩენდა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ღრმად არ განიცდიდა თავის სიღარიბეს, რომელშიც იგი წყეულმა ბოკერის არხმა ჩააგდო და გულგრილად იტანდა ცოლის განუწყვეტელ წუწუნს. იგი, როგორც ყველა სამხრეთელი, მეტად თავშეკავებული და ნაკლებ მიზეზიანი კაცი იყო, მაგრამ პატივმოყვარე ყველაფერში. რაც შეეხება გარეგნულ მხარეს, თავისი კეთილდღეობის ეპოქაში იგი არ ტოვებდა არც ერთ ფერადას, არც ერთ ტარასკის პროცესიას¹ (1 ფერადა — პროვანსული დღეობა. დაკავშირებული ხარების დადაღვასთან; ტარასკა — ყეენობის მსგავსი პროცესია.) და იქ ცხადდებოდა კარკონტასთან ერთად სამხრეთელის წარმტაც ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელიც კატალანურისა და ანდალუზიურის ერთმანეთში არეული ჩაცმულობაა. მადლენას კი თითქოს ბერძნებისა და არაბებისაგან გადმოღებული ტანისამოსი ეცვა. მაგრამ საათის ძეწკვები, გულქანდები, მრავალფერადი სარტყლები, მოქარგული კორსაჟები, ხავერდის ქურთუკები, მოხდენილისრებიანი აბრეშუმის წინდები, ჭრელი საწვივეები, ვერცხლის აბზინდიანი ფეხსაცმელები ნელ-ნელა გაქრნენ, და კადრუსმა, რომელიც მოკლებული იყო საშუალებას, ძველი ბრწყინვალეობით გამოჩენილიყო ცოლთან, უარი თქვა დღესასწაულებში მონაწილეობაზე. მას გულს უღრღნიდა საზეიმო, მხიარული შემახილები, რომლებიც ტრაქტირამდე აღწევდა. უნდა ითქვას, რომ ეს ტრაქტირი მას შემოსავლის მიზნით კი არ ეჭირა, არამედ უფრო იმისათვის, რომ თავშესაფარი ჰქონოდა.

კადრუსმა, ჩვეულებისამებრ, მთელი ნახევარი დილა სახლის წინ გაატარა; მას ნაღვლიანი მზერა პატარა კორდიდან, რომელზედაც ქათმები რაღაცას კენკავდნენ, გადაჰქონდა დაცარიელებულ ეზოსკენ, რომლის ერთი ბოლო სამხრეთისაკენ მიდიოდა, მეორე — ჩრდილოეთისაკენ; უცებ ცოლის გულგამგმირავმა ხმამ აიძულა, თავისი საგუშაგო დაეტოვებინა. კადრუსი ბურტყუნით შევიდა ტრაქტირში და მეორე სართულზე ავიდა, მაგრამ კარი ყურთამდე ღია დატოვა, თითქოს მგზავრებს ამით ახსენებდა, გავლისას ნუ დამივიწყებთ, ჩემთან შემოიარეთო.

იმ წუთში, როცა კადრუსი ტრაქტირში შედიოდა, დიდი გზა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, და რომლისკენაც მიპყრობილი იყო კადრუსის მზერა, ისე იყო დაცარიელებული და უკაცური, როგორც უდაბნო შუადღისას. ეს გზა თეთრ ზოლად იყო

გადაჭიმული ორ რიგად ჩამწკრივებულ ხეებს შორის და ვერც ერთი მგზავრი ვერ შეხედავდა ამ მომაკვდინებელ საპარაში.

კადრუსი რომ თავის საგუმზაგოზე დარჩენილიყო, ყოველი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დაინახავდა ბელგარდის მხრიდან მომავალ მხედარს, რომელიც კეთილშობილური და დინჯი ნაბიჯით ახლოვდებოდა, რაც იმას ამტკიცებდა, რომ მხედარსა და ცხენს შორის საუკეთესო დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. ლაფშა კობტად მოთოხარიკობდა. მხედარს, პაპანაქება სიცხის მიუხედავად, შავი ანაფორა ეცვა და თავზე სამკუთხა ქუდი ეხურა.

ტრაქტირის კარებთან ისინი შეჩერდნენ: ძნელი სათქმელია, ცხენმა გააჩერა მხედარი, თუ მხედარმა — ცხენი. ასე იყო თუ ისე, მხედარი ძირს ჩამოხტა, აღვირს ხელი მოჰკიდა და ცხენი ძველი დარაბის ანჯამაზე მიაბა. შემდეგ კარებს სწრაფად მიუახლოვდა, სახიდან წითელი ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და რკნისთავიანი ჯოხით ზღურბლზე სამჯერ დააკაკუნა.

მაშინვე დიდი შავი ძაღლი წამოდგა, წინ წამოიწია, ყეფა ატეხა, დაიღრინა და თეთრი, ბასრი კბილები გამოაჩინა. ეს ორმაგი მტრული განწყობილება ამტკიცებდა, რომ იგი მიჩვეული არ იყო უცხო პირების ხშირ დანახვას.

კედელზე მიშენებულმა ხის კიბემ იმ წუთშივე დაიჭრიალა ამ საცოდავი საცხოვრებლის პატრონის მძიმე ფეხების ქვეშ. იგი წელში მოხრილი ჩამოდიოდა კიბეზე, რათა კარებთან მდგარ მღვდელთან მისულიყო.

— აი, მეც აქა ვარ! მეც აქა ვარ! — ამბობდა მეტისმეტად გაკვირვებული კადრუსი, — გაჩუმდები თუ არა, მარგოტენ! ნუ გეშინიათ, ბატონო, იყეფება, მაგრამ არ იკბინება. თქვენ ღვინო გნებავთ, არა? რა აუტანელი სიცხეებია... ოჰ! ბოდიშს ვიხდი, — შეწყვიტა წინადადება კადრუსმა, როდესაც დაინახა, როგორ მგზავრთან ჰქონდა საქმე, — ბოდიშს ვიხდი, მე არ ვიცოდი, ვისთან მქონდა პატივი საუბრისა. რა გნებავთ? რას ინებებთ, ბატონო აბატო? მზად ვარ, გემსახუროთ.

აბატი ერთი-ორი წუთის განმავლობაში უცნაურად აკვირდებოდა მას, თითქოს ცდილობდა, ტრაქტირის პატრონის ყურადღება მიეპყრო: მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ მისი სახე გაკვირვების გარდა სხვას არაფერს გამოხატავდა, ისიც იმიტომ, რომ პასუხი არ მიიღო, საჭიროდ ჩათვალა ბოლო მოელო ამ გაკვირვებისათვის და ძლიერი იტალიური აქცენტით ჰკითხა:

— თქვენ ბატონი კადრუსი ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, ბატონო, — უპასუხა ტრაქტირის პატრონმა, რომელიც შეიძლება ამ შეკითხვამ უფრო განაცვიფრა, ვიდრე სიჩუმემ, — დიახ, ნამდვილად მე გახლავართ; გასპარ კადრუსი, თქვენი მსახური.

— გასპარ კადრუსი... დიახ, მე ვფიქრობ, ეს სახელი და გვარია; თქვენ ოდესღაც მეოთხე სართულზე ცხოვრობდით მელიანის ხეივანში, არა?

— დიახ, ასეა.

— ხელობით მკერავი იყავით?

— დიახ, მაგრამ საქმე ცუდად წამივიდა. იმ დაწყევლილ მარსელში ისე ცხელა, რომ ვფიქრობ, მალე სულ გაანებებ თავს ტანისამოსის ჩაცმას. ჰო, მართლა, სიცხეზე გამახსენდა; ხომ არ გნებავთ, ბატონო აბატო, ცოტათი გაგრილდეთ...

— ოღონდაც, მოიტანეთ ერთი ბოთლი საუკეთესო ღვინო და მერე, თუ გნებავთ, განვაგრძოთ ჩვენი საუბარი, თუ არა და თავი გავანებოთ.

— როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ბატონო აბატო.

და რათა შემთხვევა არ დაეკარგა, კაპორის ღვინის უკანასკნელი ბოთლი გაეყიდა, კადრუსმა დააჩქარა აეწია სარდაფში ჩასაშვები კარი, რომელიც მას ქვემო სართულის

ოთახის იატაკში ჰქონდა გამოჭრილი. ეს ოთახი ერთდროულად დარბაზისა და სამზარეულოს მაგიერობას სწევდა.

ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც იგი ისევ გამოჩნდა, აბატი უკვე ტაბურეტზე იჯდა, იდაყვები გრძელ მაგიდაზე დაეყრდნო. მარგოტენი, როგორც ეტყობა, მას შემდეგ, რაც უცნაურმა მგზავრმა ღვინო მოითხოვა, შერიგებოდა მას, გამხდარი კისერი მის მუხლებზე დაედო და მიზნედილი თვალებით შეჰყურებდა.

— მარტო ხართ? — ჰკითხა აბატმა თავის მასპინძელს, როცა ეს უკანასკნელი მის წინ ბოთლით ღვინოსა და ჭიქას დგამდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, დიახ! მარტო, ან თითქმის მარტო, ბატონო აბატო; რადგან ცოლი ვერაფერში მეხმარება, მუდამ ავადაა.

— ო! თქვენ ცოლიანი ბრძანდებით! — უთხრა აბატმა ერთგვარი დაინტერესებით და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს აფასებდა საწყალი ცოლ-ქმრის ღარიბულ ქონებას.

— თქვენის აზრით, მე მდიდარი არა ვარ, ხომ ასეა, ბატონო აბატო? — უთხრა ოხვრით კადრუსმა, — მაგრამ რა გაეწყობა: იმისათვის, რომ ამქვეყნად ბედნიერად იცხოვრო, საკმარისი არ არის პატიოსანი ადამიანი იყო.

აბატმა მას გამსჭვალავი მზერა მიაპყრო.

— დიახ, პატიოსანი ადამიანი; ამით მე შემძლია ვიტრაბახო, ბატონო აბატო, — თქვა ტრაქტირის პატრონმა. აბატს თვალებში პირდაპირ შეხედა, გულზე ხელი მიიღო და თავი სულ დაბლა დახარა.

— მით უკეთესი, თუ ის, რითაც თქვენ ტრაბახობთ, მართალია, — უთხრა აბატმა, — მე დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან პატოსანი კაცი იზეიმებს, ბოროტი კი დაისჯება.

— თქვენ თქვენი მდგომარეობა გავალებთ, ასე ილაპარაკოთ, — წარმოთქვა კადრუსმა მწარედ, — ადამიანს კი უფლება აქვს დაიჯეროს ან არ დაიჯეროს თქვენი სიტყვები.

— ტყუილად ლაპარაკობთ, ბატონო ჩემო, — უთხრა აბატმა, — შესაძლებელია მე ახლავე დაგიმტკიცოთ ჩემი სიტყვების სიმართლე.

— რისი თქმა გნებავთ ამით? — ჰკითხა გაკვირვებით კადრუსმა.

— ამით იმის თქმა მინდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, მსურს გავიგო: თქვენ ნამდვილად ის კაცი ხართ თუ არა, ვისთანაც მე საქმე მაქვს.

— რა დამამტკიცებელი საბუთები გნებავთ?

— იცნობდით თუ არა თქვენ 1814—1815 წლებში მეზღვაურს, რომელსაც დანტესი ერქვა?

— დანტესს!.. ვიცნობდი თუ არა საწყალ ედმონდს? რასაკვირველია, ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, — წამოიყვირა კადრუსმა და წამოწითლდა; ამავე დროს აბატს ნათელი და მშვიდი თვალები ისე გაუფართოვდა, თითქოს ერთი შეხედვით გარემოიცვას მისი თანამოსაუბრე.

— დიახ, მას, მართლაც, ვგონებ, ედმონდი ერქვა.

— დიახ, ედმონდი ერქვა. ეს ისევე მართალია, როგორც მე გასპარ კადრუსი ვარ. მერედა რა მოუვიდა იმ საწყალ ედმონდს? — განაგრძო ტრაქტირის პატრონმა, — თქვენ მას იცნობდით? ის ცოცხალია, თავისუფალია? ბედნიერია?

— ის მოკვდა, უფრო უნუგემოდ და საცოდავად, ვიდრე კატორღელები, რომლებიც თავიანთ ჯაჭვებს ათრევენ ტულონის სატუსალოში.

კადრუსს სახე ჯერ ოდნავ გაუწითლდა, შემდეგ მკვდრის ფერი დაედო, აბატმა დაინახა, რომ მან თავზე წაკრული ხილაბანდის წვერით თვალები მოიწმინდა.

— საწყალი ყმაწვილი! — ჩაიჩურჩულა კადრუსმა, — აი, ბატონო ჩემო, კიდევ ერთი საბუთი ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად, რომ ღმერთი მხოლოდ ბოროტ ადამიანებს სწყალობს, ეჰ! — განაგრძო კადრუსმა სამხრეთული კოლორიტით. — ეს ქვეყანა დღითი

დღე უარესდება. დეე, ზეცამ ორ დღეს გოგირდის წვიმა წარმოგვიგზავნოს, მერე — ცეცხლის წვიმა და ყველაფერი გათავდება.

— თქვენ, როგორც ჩანს, მთელი გულითა და სულით გეცოდებათ ის ყმაწვილი, — უთხრა აბატმა.

— დიახ, მე ის ძალიან მიყვარდა, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ ერთხელ შემშურდა მისი ბედნიერება; მაგრამ გეფიცებით პატიოსნებას, მას შემდეგ მწარედ დავტიროდი მის უბედურ ხვედრს.

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. აბატი თავის გამომცდელ თვალებს არ აშორებდა ტრაქტირის პატრონის მოძრავ სახეს.

— თქვენც იცნობდით იმ ყმაწვილს? — განაგრძო კადრუსმა.

— მე დამიძახეს, როცა ის სიკვდილის სარეცელზე იწვა, რათა სარწმუნოების უკანასკნელი ნუგეში მეცა, — უპასუხა აბატმა.

— მაინც, რამ მოკლა?

— სხვა რა მოკლავს ოცდაათი წლის კაცს ციხეში, თუ არა თვით ციხე.

კადრუსმა ღვარად წამოსული ოფლი მოიწმინდა.

— ყველაზე საკვირველი ისაა, რომ დანტესი სიკვდილის სარეცელზე ჯვარცმის წინაშე, რომელსაც ის ეამბორებოდა, მეფიცებოდა, რომ მან არ იცოდა თავისი დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი.

— მართალია, მართალია, — ჩაიჩურჩულა კადრუსმა, — მას არ შეეძლო სცოდნოდა, ბატონო აბატო. იმ ყმაწვილს თქვენთვის მართალი უთქვამს.

— სწორედ იმიტომ დამავალა ნათელი მოვფინო იმ საქმეს, რომლის გამორკვევა თვითონ ვერ შეძლო, რათა აღვადგინო მისი სახელის პატიოსნება, თუ ის რაიმეთი იყო შებღალული.

და აბატის მზერა, რომელიც სულ უფრო და უფრო გამსჭვალავი ხდებოდა, ბურღავდა კადრუსის დანადგლიანებულ სახეს.

— ერთი მდიდარი ინგლისელი, — განაგრძო აბატმა, — რომელსაც იგივე უბედურება სწეოდა, რაც დანტესს და რომელიც ციხიდან მეორე რესტავრაციის დროს გამოუშვეს, ძვირფასი ალმასის პატრონი ყოფილიყო. ციხიდან გამოსვლის დროს მას დანტესისათვის ეს ალმასი ეჩუქებინა, რადგან იგი ნამდვილ ძმასავით უვლიდა როცა ინგლისელი ავად იყო, დანტესმა, იმის მაგივრად, რომ ამ ალმასით მოესყიდა მედილეგეები, რომლებიც უარს არ იტყოდნენ ქრთამის აღებაზე, მაგრამ უღალატებდნენ, ძვირფასი ქვა სათუთად შეინახა გათავისუფლების შემთხვევისათვის; ციხიდან რომ გამოსულიყო, ამ ალმასს გაყიდდა და მაშინვე გამდიდრდებოდა.

— მაშ, როგორც თქვენ ამბობთ, — თქვა კადრუსმა გაბრწყინებული თვალებით, — ალმასი ძვირფასი უნდა იყოს?

— ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, — უპასუხა აბატმა, — ედმონდისთვის ეს მთელი სიმდიდრე იყო; მას ორმოცდაათი ათას ფრანკად აფასებდნენ.

— ორმოცდაათი ათასი ფრანკი! — შეჰყვირა კადრუსმა, — რა, კაკლისოდენა ხომ არ იყო?

— არა, ცოტა ნაკლები, — უპასუხა აბატმა, — მაგრამ თქვენ თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, რადგან ალმასი მე თან მაქვს.

ასე გეგონებოდათ, კადრუსის თვალები აბატის ანაფორაში ეძებენ იმ ქვასო.

აბატმა ჯიბიდან ამოიღო შავი შაგრენის ტყავგადაკრული პატარა კოლოფი, გახსნა და განცვიფრებულ კადრუსს თვალი მოსჭრა მშვენივრად გამოჭედილ ბუდეში ჩასმული ალმასის ბრჭყვიალმა.

— და ეს ორმოცდაათი ათასი ფრანკი ღირს?

— უბუდოდ, რომელიც თავისთავად მეტად ძვირად ფასობს, — უთხრა აბატმა. აბატმა კოლოფი დახურა და ჯიბეში ჩაიდო ალმასი, რომელიც ისევ ბრწყინავდა კადრუსის წარმოდგენაში.

— ბატონო აბატო, მაინც როგორ მოხვდა ეს ქვა თქვენს ხელში? განა ედმონდმა თქვენ თავის მემკვიდრედ დაგტოვათ?

— მემკვიდრედ კი არა, ანდერძის აღმასრულებლად, «მე მყავდა სამი მეგობარი და ერთი საცოლეს, — მითხრა მან, — დარწმუნებული ვარ, ოთხივე მწარედ ნაღვლობს ჩემზე, ერთ მათგანს კადრუსი ერქვა.»

კადრუსი შეკრთა.

— «მეორეს, — განაგრძო აბატმა ისეთი სახით, თითქოს ვერ ამჩნევდა კადრუსის ღელვას, — დანგლარს ეძახდნენ, მესამეს, — დაუმატა მან, — თუმცა ჩემი მეტოქე იყო, მაგრამ მასაც ვუყვარდი».

კადრუსის ბაგეზე ჯოჯოხეთურმა ღიმილმა გადაირბინა. მას უნდოდა აბატისათვის სიტყვა შეეწყვეტინებინა.

— მოიცათ, — უთხრა აბატმა, — დამამთავრებინეთ და თუ რაიმე სათქმელი გაქვთ, მერე მითხარით.

— «მესამე, თუმცა ჩემი მეტოქე იყო, მაგრამ მასაც ვუყვარდი. მას ფერნანდი ერქვა; ჩემს საცოლეს კი...» — მე დამავიწყდა მისი საცოლის სახელი.

— მერსედესი, — უთხრა კადრუსმა.

— დიახ, დიახ, სწორედ ასეა, — თქვა აბატმა და ოხვრა ჩაიხშო. — მერსედესი.

— მერე? — ჰკითხა კადრუსმა.

— მომაწოდეთ გრაფინით წყალი, — უთხრა აბატმა.

აბატმა წყალი ჭიქაში ჩაასხა და ცოტა მოსვა.

— რაზე შევჩერდით? — ჰკითხა მან, როდესაც ჭიქა კვლავ მაგიდაზე დადგა.

— საცოლეს მერსედესი ერქვა.

— დიახ, დიახ; — «თქვენ მას ნახავთ მარსელში»... ყოველივე ამას სულ დანტესი ამბობდა, ხომ ხვდებით?

— ძალიან კარგად.

— «თქვენ გაყიდით ამ ალმასს და ფულს გაუყოფთ ჩემს ხუთ მეგობარს, ადამიანებს, რომლებსაც მე ვუყვარდი».

— რატომ ხუთ ნაწილად? — ჰკითხა კადრუსმა: — თქვენ მხოლოდ ოთხი დამისახელეთ.

— იმიტომ, რომ მეხუთე, როგორც მე მითხრეს, გარდაცვლილა... მეხუთე დანტესის მამა იყო.

— საუბედუროდ, ეგ მართალია, — თქვა კადრუსმა, რომელსაც ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა ქენჯნიდა, — საწყალი მოხუცი გარდაიცვალა.

— მე ეს მარსელში გავიგე, — უთხრა აბატმა და შეეცადა გულგრილი გამომეტყველება მიეღო, — უკვე კარგა ხანია გარდაცვლილა, ამიტომ ვერ შევძელი დაწვრილებით გამეგო ყოველივე... იქნება თქვენ იცით რაიმე მოხუცის სიკვდილის შესახებ.

— მაშ, ვინ უნდა იცოდეს, თუ არა მე? — უთხრა კადრუსმა, — მე მისი კარის მეზობელი ვიყავი. ოჰ, ღმერთო ჩემო, შვილის დაკარგვიდან ერთი წელიც არ გასულა, რომ საწყალი მოხუცი გარდაიცვალა.

— რითი?

— ექიმები მის ავადმყოფობას, ვგონებ, კუჭის ანთებას ეძახდნენ; ხოლო ადამიანები, რომლებიც მას იცნობდნენ, ამბობდნენ, მწუხარებამ გადაიტანაო. მე კი ვხედავდი, როგორ გარდაიცვალა და ვამბობ, რომ იგი მოკვდა... — კადრუსს ენა დაება.

— რისგან? — შემფოთებით ჰკითხა აბატმა.

— შიმშილმა მოკლა!

— შიმშილმა? — წამოიყვირა აბატმა და წამოხტა. — შიმშილმა! პირუტყვი რომ პირუტყვია, ისიც კი არ კვდება შიმშილისაგან. ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებსაც კი მოწყალე ხელი გადმოუგდებს ხოლმე პურის ნატეხს და ქრისტიანი ადამიანი შიმშილით კვდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც თავს ქრისტიანებს უწოდებენ! შეუძლებელია! ეგ შეუძლებელია!

— მე თქვენ სიმართლეს მოგახსენებთ, — თქვა კადრუსმა.

— და ძალიან სცდები, — გაისმა კიბიდან ხმა, — რას ერევი სხვის საქმეში? კადრუსი და აბატი მიბრუნდნენ და კიბის მოაჯირთან დაინახეს კარკონტას გაფითრებული სახე. ის იქამდე ჩოჩვით წამოსულიყო, კიბის ზედა საფეხურზე ჩამომჯდარს თავი მუხლებში ჩაერგო და ყურს უგდებდა მათ საუბარს.

— შენ თვითონ რას ერევი სხვის საქმეში, დედაკაცო? — უთხრა კადრუსმა, — ბატონი აბატი მე ცნობებს მთხოვს და ზრდილობა მოითხოვს, მივაწოდო.

— მაგრამ სიფრთხილე მოითხოვს, რომ გაჩუმდე. რა იცი, რა განზრახვით გეკითხებიან, შე სულელო, შენა.

— ძალიან კარგი განზრახვით, ქალბატონო, მე ამის თავდები ვარ, — უთხრა აბატმა, — თქვენს მეუღლეს არაფერი აქვს საშიში, ოღონდ გულახდილად ილაპარაკოს.

— დიახ, არაფერი აქვს საშიში! ასე ხდება ხოლმე, იწყებენ ლამაზი დაპირებებით, შემდეგ იმას სჯერდებიან, რომ გთხოვენ არაფრის შიში არ გქონდეთო, მერე მიემგზავრებიან, ისე რომ დაპირების შესრულებაზე არავინ ფიქრობს. ერთ მშვენიერ დილას კი, არ იცი, საიდან, თავს უბედურება დაგატყდება.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, კეთილო ქალბატონო, გარწმუნებთ, ჩემგან არავითარი უბედურება არ მოგელით.

კარკონტამ კიდევ ჩაიბურღლუნა რაღაც, რის გარჩევაც შეუძლებელი იყო, თავი ისევ მუხლებში ჩარგო, ციებისაგან ცახცახი დააწყებინა და საუბარი ქმარს დაუთმო, მაგრამ ცდილობდა არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა.

ამასობაში აბატმა ცოტა წყალი მოსვა და დამშვიდდა.

— ნუთუ, — ისევ თავიდან დაიწყო მან, — საწყალი მოხუცი ყველამ ისე მიივიწყა, რომ შიმშილისაგან მოკვდა?

— ოჰ, არა, — უთხრა კადრუსმა, — კატალანელ მერსედესს და ბატონ მორელს არ მიუტოვებიათ იგი, მაგრამ საწყალმა მოხუცმა უეცრად შეიჯავრა ფერნანდი, სწორედ ის, — თქვა კადრუსმა ირონიული სიცილით, — რომელიც დანტესმა თავის მეგობრად დაასახელა.

— განა ის მისი მეგობარი არ იყო? — ჰკითხა აბატმა.

— გასპარ, გასპარ! — ჩაიჩურჩულა კიბეზე მჯდომარე ავადმყოფმა ქალმა, — კარგად დაფიქრდი, სანამ რამეს იტყოდე!

მომთინებიდან გამოსულმა კადრუსმა ხელი ჩაიქნია და ცოლს პასუხი არ აღირსა.

— განა შეიძლება კაცი იმ ადამიანის მეგობარი იყოს, ვისაც საცოლე უნდა წაართვას? — ჰკითხა მან აბატს, — დანტესს ოქროს გული ჰქონდა და ყველა ეს ხალხი თავის მეგობრებად მიაჩნდა. საწყალი ედმონდი! თუმც ძალიან კარგია, რომ არაფერი იცოდა; სიკვდილის წუთებში გაუძნელდებოდა მიეტევებინა მათთვის ასეთი საქციელი... რაც უნდა თქვან, — განაგრძო კადრუსმა, რომლის მეტყველება არ იყო მოკლებული უხემ პოზიციას, — მე მაინც მიცვალებულთა წყევლის უფრო მეშინია, ვიდრე ცოცხალთა სიძულვილის.

— სულელი! — თქვა კარკონტამ.

— განა თქვენთვის ცნობილია, — განაგრძო აბატმა, — რომ მას ფერნანდმა უმტრო?

— ცნობილია!? რასაკვირველია, ცნობილია!

— მაშ თქვით.

— შენი ნებაა, გასპარ, — უთხრა ცოლმა, — როგორც გინდოდეს ისე მოიქეცი, შენ შენი თავის ბატონ-პატრონი ხარ, მაგრამ სჯობდა კი გაჩუმებულიყავი.

— ამჯერად, მე მგონი, შენ მართალი ხარ, დედაკაცო, — უთხრა კადრუსმა.

— მაშ თქვენ არ გინდათ ილაპარაკოთ? — ჰკითხა აბატმა.

— რა საჭიროა! — უპასუხა კადრუსმა, — საწყალი ყმაწვილი რომ ცოცხალი იყოს და ჩემთან მოვიდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს ვინაა მისი მტერი და ვინ მოყვარე, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ის მიწაში წევს. მას უკვე არ ძალუძს არც სიძულვილი და არც შურისძიება. ამიტომ თავი დავანებოთ ყველაფერ ამას.

— მაშ თქვენ გინდათ, — თქვა აბატმა, — რომ იმ ადამიანებმა, ვისაც თქვენ ვერაგ და ყალბ მეგობრად თვლით, ერთგულების ჯილდო მიიღონ?

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა კადრუსმა, — და ესეც არ იყოს, რა არის მათთვის საწყალი ედმონდის მემკვიდრეობა? წვეთი ზღვაში.

— თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ამ ადამიანებს ერთი ხელის მოქნევით შეუძლიათ გაგსრისონ, — თქვა კარკონტამ.

— ეგ როგორ? მაშ ის ხალხი მდიდრები და ყოვლის შემძლენი არიან?

— განა მათ შესახებ არაფერი იცით?

— არა, მომიყევით.

კადრუსი ჩაფიქრდა.

— არა, ეს მართლაც ძალიან გრძელი ამბავია.

— როგორც გენებოთ, ჩემო მეგობარო, შეგიძლიათ არაფერი თქვათ, — უთხრა აბატმა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, — გასაგებია, რატომ ყოყმანობთ, თქვენ ისე იქცევით, როგორც მოიქცეოდა ყველა პატიოსანი ადამიანი. მათზე ნულარ ვილაპარაკებთ. რა მქონდა მე დავალებული? შემესრულებინა მომაკვდავის უკანასკნელი თხოვნა. მაშ, ასე, მე გავყიდი ამ ალმასს.

მან ჯიბიდან ერთხელ კიდევ ამოიღო კოლოფი, გახსნა და კადრუსის ანთებული თვალების წინ კვლავ გაიბრჭყვიალა ალმასმა.

— მოდი აქ, დედაკაცო, უყურე ერთი, — უთხრა კადრუსმა ჩახლეჩილი ხმით.

— ალმასი? — იკითხა კარკონტამ და წამოდგა. იგი საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით დაეშვა კიბეზე, — რა ალმასია?

— განა ვერ გაიგონე, დედაკაცო? — ჰკითხა კადრუსმა, — ეს ალმასი ედმონდმა ჩვენ გვიანდერმა: ჯერ ერთი — თავის მამას, შემდეგ თავის სამ მეგობარს: ფერნანდს, დანგლარს, მე და თავის საცოლე მერსედესს. ალმასი ღირს ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

— ოჰ, რა მშვენიერი ქვაა! — თქვა ქალმა.

— მაშ, მისი ღირებულების მეხუთედი ჩვენ გვეკუთვნის? — ჰკითხა აბატს კადრუსმა.

— დიახ, — უპასუხა აბატმა, — ამას ემატება კიდევ დანტესის მამის წილი, რომელიც, მე მგონია, უფლება მაქვს თქვენ ოთხს შორის გავანაწილო.

— რატომ ოთხს შორის? — იკითხა კარკონტამ.

— იმიტომ, რომ თქვენ ოთხნი ხართ ედმონდის მეგობრები.

— გამცემლები მეგობრები არ არიან! — ყრუდ ჩაიბურტყუნა კარკონტამ.

— მეც ამას ვამბობდი, — თქვა კადრუსმა, — გამცემის, დამნაშავის დაჯილდოება, ეს ცოდვია, მკრეხელობაა.

— თქვენ გსურთ ასე, — უთხრა მშვიდად აბატმა და ალმასი ისევ თავის ანაფორის ჯიბეში შეინახა. — ახლა მომეცით ედმონდის მეგობრების მისამართი, რომ შევძლო მისი უკანასკნელი სურვილის შესრულება.

კადრუსს სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. აბატი წამოდგა, კარისკენ წავიდა, რათა ცხენისთვის შეეხედა, და შემდეგ ისევ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა. კადრუსი და მისი ცოლი ერთმანეთს უაზრო გამომეტყველებით შესცქეროდნენ.

— ალმასი შეიძლება მარტო ჩვენ დაგვრჩეს, — თქვა კადრუსმა.

— შენ ასე გგონია? — ჰკითხა ქალმა.

— სასულიერო პირი არ მოგვატყუებს.

— როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი, — უთხრა ცოლმა, — მე არ ვერევი მაგ საქმეში. ის ისევ კიბეს აჰყვია, შეამცივნა და, სიცხის მიუხედავად, კბილს კბილზე აცემინებდა. უკანასკნელ საფეხურზე ქალი შეჩერდა.

— კარგად დაუფიქრდი, გასპარ, — გადმოსძახა მან.

— მე უკვე გადაწყვიტე, — უპასუხა კადრუსმა.

კარკონტა ოთახში შევიდა და ამოიოხრა. ისმოდა ფეხის ნაბიჯებით გამოწვეული იატაკის ჭრიალი, სანამ ქალი სავარძლამდე მივიდოდა, რომელშიც მძიმედ ჩაეშვა.

— რა გადაწყვიტეთ? — ჰკითხა აბატმა.

— ყველაფერი გიამბოთ.

— მართალი გითხრათ, ამაზე უკეთესს ვერაფერს იზამთ, — უთხრა მღვდელმა, — იმიტომ კი არა, თითქოს მე იმის გაგება მინდოდეს, რის დამალვაც თქვენ გსურთ; არა, თქვენ ამით შემადლებინებთ მემკვიდრეობა გავანაწილო თანახმად მისი სურვილისა, ვინც ეს ანდერძი დატოვა.

— ამის იმედი მაქვს, — უპასუხა კადრუსმა, რომლისთვისაც იმედსა და სიხარბეს ლოყები აეწითლებინა.

— გისმენთ, — წარმოთქვა აბატმა.

— მოიცათ, — თქვა კადრუსმა, — ჩვენ შეიძლება საუბარი შეგვაწყვეტინონ ყველაზე საინტერესო ადგილას და ეს არ არის სასიამოვნო; გარდა ამისა, სხვამ რატომ უნდა იცოდეს, რომ თქვენ აქ იყავით.

კადრუსი კარებთან მივიდა, გადაკეტა და რათა უფრო გულდაჯერებული ყოფილიყო, ღამის ურდული გაუყარა.

ამასობაში აბატს თავისთვის ხელსაყრელი ადგილი აერჩია. კუთხეში მიმჯდარიყო, რათა ჩრდილში ყოფილიყო, მის თანამოსაუბრეს კი შუქი სახეზე უნდა დასცემოდა. მას თავი ჩაექინდრა, ხელები გულზე დაეკრიფა, ან, უკეთ, გადაეჭდო და სმენად გადაქცეულიყო.

კადრუსი ტაბურეტთან მივიდა და აბატის პირდაპირ დაჯდა.

— გახსოვდეს, რომ მე შენთვის არაფერი დამიძალეობია, — გაისმა კარკონტას აკანკალებული ხმა, თითქოს მისთვის იატაკი გამჭვირვალე იყო და ხედავდა, რა ხდებოდა ქვემოთ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — თქვა კადრუსმა, — ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მე ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ.

VI

ამბავი

— უპირველეს ყოვლისა, ბატონო აბატო, ერთი აღთქმა უნდა მომცეთ, — უთხრა კადრუსმა.

— რა აღთქმა? — ჰკითხა აბატმა.

— თუ თქვენ ოდესმე გამოიყენებთ ჩემს მიერ მოწოდებულ ცნობებს, არავინ უნდა იცოდეს, რომ ისინი ჩემგან მოდის. ადამიანები, რომლებზედაც მე უნდა გესაუბროთ, მდიდრები და ძლიერნი არიან და თითოეულს რომ დამაკარონ, შუშასავით დამამსხვრევენ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩემო მეგობარო, — უთხრა აბატმა, — მე მღვდელი ვარ და აღსარების საიდუმლოება ჩემს გულშივე კვდება; გახსოვდეთ, ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს — ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მეგობრის უკანასკნელი სურვილი; ილაპარაკეთ ისე, რომ ნურავის დაინდობთ, მაგრამ სიმულვილის გარეშე; თქვით სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. მე არ ვიცნობ და, ალბათ, არც არასოდეს გავიცნობ იმ ადამიანებს, რომლებზედაც თქვენ უნდა მომითხროთ; ესეც არ იყოს, მე იტალიელი ვარ და არა ფრანგი; ვეკუთვნი ღმერთს და არა ადამიანებს; მე უნდა დავბრუნდე ჩემს მონასტერში, საიდანაც მხოლოდ იმიტომ გამოვედი, რომ მიცვალებულის უკანასკნელი სურვილი შემესრულებინა.

როგორც ჩანდა, ასეთმა დამაჯერებელმა დაპირებამ კადრუსს ცოტაოდენი რწმენა ჩაუწერა.

— კარგი, — უთხრა მან, — ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტს გეტყვით, მე თქვენ უნდა დაგარწმუნოთ, რომ ის მეგობრობა, რომელიც საწყალ ედმონდს გულწრფელ და თავდადებულ მეგობრობად მიაჩნდა, ნამდვილად ასეთი არ იყო.

— გთხოვთ, მამამისიდან დავიწყოთ, — უთხრა აბატმა, — ედმონდი მე ბევრს მელაპარაკებოდა მოხუცზე, რომელიც მას უსაზღვროდ უყვარდა.

— ეს სამწუხარო ამბავია, — თქვა კადრუსმა და თავი გაიქნია, — დასაწყისი, ალბათ, იცით.

— დიახ, — უპასუხა აბატმა, — ედმონდი მე ყველაფერს მომიყვა იმ წუთამდე, სანამ მას მარსელის ახლო მდებარე პატარა ტრაქტირში დააპატიმრებდნენ.

— «რეზერვში!» ოჰ, ღმერთო ჩემო! თითქოს ახლა ხდებოდეს, ისე ვხედავ ყველაფერს.

— ეს, ვგონებ, ნიშნობის დღეს იყო, არა?

— დიახ, და მხიარულად დაწყებულ ნიშნობას სამწუხარო დასასრული მოჰყვა. პოლიციის კომისარი ოთხი ჯარისკაცის თანხლებით შემოვიდა და დანტესი დააპატიმრეს.

— აი, მეც აქამდე ვიცი, — უთხრა მღვდელმა: — დანტესმა იცოდა მხოლოდ ის, რაც პირადად მას შეეხებოდა, რადგან ის ხუთი ადამიანი, რომელიც მე დაგისახელეთ, მას შემდეგ აღარ უნახავს და არც არაფერი გაუგონია მათ შესახებ.

— მამ ასე. დანტესის დაპატიმრების შემდეგ ბატონი მორელი სწრაფად წავიდა ამბის გასაგებად და მეტად სამწუხარო ცნობა მოიტანა. დანტესის მამა სახლში მარტო დაბრუნდა, და ტირილით გაიხადა სადღესასწაულო ტანისამოსი. მთელი დღის განმავლობაში ოთახში ბოლთასა სცემდა და მესმოდა, როგორ დადიოდა იგი მთელი ღამის განმავლობაში; უნდა გითხრათ, რომ არც მე მძინებია; უბედური მამის მწუხარება მტანჯავდა, თითოეული მისი ნაბიჯი გულს მისერავდა, თითქოს ჩემს გულის ფიცარზე დადიოდა.

მეორე დღეს მერსედესი მარსელში მოვიდა, რათა ბატონი ვილფორისათვის მფარველობა ეთხოვა; იგი ვერაფერს გახდა; უკან დაბრუნებისას მერსედესმა ინახულა მოხუცი, რომელიც მას დადარდიანებული და გატეხილი დახვდა. როდესაც ქალიშვილმა გაიგო, რომ მას მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოეხუჭა და გუმინდელს აქეთ ლუკმა არ ჩაედო პირში, მოინდომა თავის სახლში წაეყვანა და იქ მოევლო, მაგრამ მოხუცი არაფრის გულისათვის არ თანხმდებოდა.

«— არა, — უთხრა მან, — არა, მე არ მივატოვებ ამ სახლს; ჩემ საწყალ ბავშვს ამქვეყნად მე ყველაზე მეტად ვუყვარვარ, და ციხიდან თუ გამოვიდა, პირველად ჩემთან მოირბენს. რას იტყვის, შინ რომ არ დავუხვდეთ?»

ყველაფერ ამას მე ვისმენდი კიბის თავზე, რადგან ძალიან მინდოდა, მერსედესს დაეყოლიებინა მოხუცი, თან გაჰყოლოდა. მისი ფეხის ნაბიჯები მთელი დღის განმავლობაში გაისმოდა ჩემი ოთახის თავზე და ერთი წუთითაც არ მამლევდა მოსვენებას.

— განა თქვენ არ ადიოდით ხოლმე მოხუცთან, რათა დაგემშვიდებინათ იგი? — ჰკითხა მღვდელმა.

— ეჰ, ბატონო აბატო! — უპასუხა კადრუსმა, — შეგიძლიათ დაამშვიდოთ მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც ეძებს სიმშვიდეს; ის კი არ ეძებდა მას; ესეც არ იყოს, მე მგონია, მოხუცს არ სიამოვნებდა ჩემი დანახვა, არ ვიცი კი რატომ. ერთ ღამეს, როდესაც მისი ქვითინი გავიგონე, ვეღარ მოვითმინე და ზემოთ ავედი; მაგრამ კარებს რომ მივუახლოვდი, უკვე აღარ ტიროდა, ლოცულობდა. ბატონო აბატო, მე არ შემიძლია გადმოგცეთ, რა მჭევრმეტყველური სიტყვებით ლაპარაკობდა იგი, რა შესაბრალისი იყო მისი მუდარა. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ლოცვა, უფრო მეტი, ვიდრე მწუხარება. მეც კი, ადამიანმა, რომელიც არც მუზმუხელა ვარ და არც იეზუიტები მიყვარს, ამ დღეს ვუთხარი ჩემს თავს: «მართლაც რა ბედნიერებაა, რომ მარტო ვარ და კეთილმა ღმერთმა შვილი არ მომცა; მეც რომ ისეთი მწუხარება განმეცადა, როგორსაც ის საწყალი მოხუცი განიცდის, ვერც ჩემს მეხსიერებაში და ვერც ჩემს გულში ვერ ვიპოვიდი ისეთ სიტყვებს, რომლებითაც ის ღმერთს ელაპარაკებოდა და ამიტომ ტანჯვის ასაცილებლად პირდაპირ ზღვაში გადავვარდებოდი».

— საწყალი მამა, — ჩაიჩურჩულა მღვდელმა.

— დღითი დღე სულ უფრო და უფრო განმარტოებულ ცხოვრებას ეძლეოდა. მის სანახავად ხშირად მოდიოდნენ ბატონი მორელი და მერსედესი, მაგრამ კარები დაკეტილი ხვდებოდათ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის შინ იყო, მაგრამ პასუხს არ ამლევდა. ერთ დღეს მან უღალატა თავის ჩვეულებას და მერსედესი მიიღო. საწყალი გოგო, თვითონ სასოწარკვეთილი, მოხუცის გამხნევებას ცდილობდა.

«— დამიჯერე, ჩემო შვილო, — უთხრა მოხუცმა ქალს, — იგი მკვდარია; ჩვენ კი არ უნდა ვუცადოთ მას, არამედ იგი გვიცდის ჩვენ; მე ბედნიერი ვარ, რომ ასაკით შენზე ხნიერი ვარ და, რასაკვირველია, პირველი შევხვდები მას.»

— რაგინდ კეთილი იყოს კაცი, თავს გაანებებს ისეთ ადამიანებთან შეხვედრას, რომელნიც მას ყოველთვის ცუდ გუნებაზე აყენებენ. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ მოხუცი დანტესი სულ მარტო დარჩა. მე მერე აღარ მინახავს, რომ მასთან ვინმე ასულიყო, უცნობი ადამიანების გარდა, რომლებიც დროდადრო აკითხავდნენ ხოლმე და ზემოდან რაღაც ცუდად დაფარული ბოხჩებით ბრუნდებოდნენ. მალე მივხვდი, რა იყო ამ ბოხჩებში: ის ნელ-ნელა ყიდდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა, რათა ლუკმაპური ეშოვა. ბოლოს ამ კეთილ კაცს წვრილმანებილა დარჩა და ბინის ვალი დაედო. სახლის პატრონი გასახლებით ემუქრებოდა. მოხუცმა სთხოვა, კიდევ ერთი კვირა დაეცლია, ისიც დათანხმდა. ასე დაწვრილებით ეს ამბები იქიდან ვიცი, რომ დანტესის მამის ოთახიდან გამოსულმა სახლის პატრონმა ჩემთან შემოიარა და თვითონ მიაშობო.

ამის შემდეგ სამი დღის განმავლობაში კიდევ მესმოდა, როგორ დადიოდა მოხუცი ჩვეულებისამებრ, მაგრამ მეოთხე დღეს უკვე აღარაფერი გამიგონია. მე გავბედე მასთან ასვლა. კარი დაკეტილი დამხვდა. გასაღების ჭუჭრუტანაში დავინახე მისი გაფითრებული და ტანჯული სახე, ვიფიქრე, ალბათ, ავად გახდა-მეთქი. წავედი, მორელი გავაფრთხილე და იქიდან მერსედესთან გავიქეცი. ორივენი მყისვე მასთან გაჩნდნენ.

ბატონმა მორელმა ექიმი მოუყვანა, რომელმაც ავადმყოფს კუჭ-ნაწლავის ანთების დიაგნოზი დაუსვა და დიეტა დაუნიშნა. მე ამ დროს იქ ვიყავი, ბატონო აბატო, და არ დამავიწყდება, როგორ გაელიმა მოხუცს ექიმის ამ მითითებაზე..

ამის შემდეგ აღარ კეტავდა კარს, უკვე კანონიერი უფლება ჰქონდა, არ ეჭამა; ექიმმა ხომ მას დიეტა დაუნიშნა.

აბატს ყრუ ოხვრა აღმოხდა.

— ხომ გაინტერესებთ ეს ამბავი, ბატონო აბატო? — ჰკითხა კადრუსმა.

— დიახ, — უპასუხა აბატმა, — ძალიან გულის ამაჩუყებელია.

— მერსედესი მეორედ მოვიდა მოხუცთან. იგი ისე გამოცვლილი დაუხვდა, რომ ხელახლა მოინდომა მისი წაყვანა. ბატონი მორელიც ამავე აზრისა იყო და უნდოდათ, ძალათი წაეყვანათ, მაგრამ მოხუცმა ისეთი ყვირილი ატეხა, რომ შეშინდნენ. მერსედესი მის საწოლთან დარჩა. ბატონი მორელი გავიდა და კატალანელ ქალიშვილს ანიშნა, ფულით სავსე ქისას ბუხარზე ვტოვებო. ექიმის დანიშნულებით გამხნეებულ მოხუცს პირში ლუკმის ჩადება არ უნდოდა. ბოლოს, ცხრა დღის მარხულობის შემდეგ, იგი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ წყევლა-კრულვას უგზავნიდა იმათ, ვინც მისი უბედურების მიზეზი იყო. მოხუცმა მერსედესს ერთი რამ სთხოვა:

«თუ ოდესმე ნახავთ ჩემს ედმონდს, უთხარით, რომ მის ლოცვაში აღმომხდა სულიო».

აბატი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და აკანკალებული ხელი გამმრალ ყელთან მიიტანა.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ის გარდაიც...

— შიმშილით... ბატონო აბატო, შიმშილით, — თქვა კადრუსმა. — მე ამაში ისე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ჩვენ აქ ორივენი ქრისტიანები ვართ.

აბატმა მოკრუნჩხული ხელი წყლით ნახევრად სავსე ჭიქას სტაცა, ერთი მოსმით გამოცალა და აწითლებული თვალებითა და გაფითრებული სახით ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

— დამეთანხმებით, რომ ეს დიდი უბედურებაა, — თქვა მან ყრუ ხმით.

— მით უმეტეს, რომ ამაში ადამიანები არიან დამნაშავენი და არა ღმერთი.

— გადავიდეთ იმ ადამიანებზე, — უთხრა აბატმა, — მაგრამ გახსოვდეთ, — დაუმატა მან თითქმის მუქარით, — თქვენ თავს იდეთ ყველაფერი მითხრათ. აბა, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც შვილი სასოწარკვეთილებით მოკლეს, მამა კი — შიმშილით?

— ორი მისი მოშურნე, ფერნანდი და დანგლარი.

— სანამდე მიიყვანა ისინი შურმა? თქვით!

— მათ დააბეზდეს ედმონდი, ბონაპარტისტების ჯაშუშიაო.

— კი მაგრამ, ამ ორიდან რომელმა დააბეზდა, რომელია ნამდვილი დამნაშავე?

— ორივე, ბატონო; ერთმა დაწერა წერილი, მეორემ ფოსტაში ჩააგდო.

— სად დაიწერა ეს წერილი?

— «რეზერვში», ნიშნობის წინა დღეს.

— სწორედ ასეა, სწორედ ასეა, — ჩაიხურჩულა აბატმა, — ოჰ, ფარია! ფარია! რა კარგად იცნობდი შენ ადამიანებს და მათ საქმიანობას!

— რას ამბობთ, ბატონო? — ჰკითხა კადრუსმა.

— არაფერს, განაგრძეთ, — უთხრა მღვდელმა.

— დანგლარმა, რათა მისი ხელი არ ეცნოთ, დაბეზდების ბარათი მარცხენა ხელით დაწერა, ფერნანდმა კი ის ფოსტაში წაიღო.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ იქ იყავით, — წამოიყვირა უცებ აბატმა.

— მე? — უთხრა გაკვირვებულმა კადრუსმა, — ვინ გითხრათ, რომ მე იქ ვიყავი.

აბატი მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა.

— არავინ, — უთხრა მან, — მაგრამ ადამიანი თვითონ უნდა იყოს მოწმე, რომ ასე დაწვრილებით იცოდეს ამბები.

— ეს მართალია, — უპასუხა კადრუსმა ყრუ ხმით, — მე იქ ვიყავი.

— და თქვენ წინააღმდეგობა არ გაუწიეთ ასეთ საზიზღრობას? მაშ, თქვენც მათი თანამონაწილე ყოფილხართ.

— ბატონო ჩემო, — უპასუხა კადრუსმა, — მათ ისე დამათვრეს, რომ თითქმის სულ დავკარგე ჭკუა. მე ყველაფერს ისე ვხედავდი, როგორც ბურანში და ვლასპარაკობდი ყველაფერ იმას, რაც შეეძლო ეთქვა ჩემს მდგომარეობაში მყოფს. მაგრამ ორივემ მიპასუხა: ვიხუმრეთ და ამ ხუმრობას შედეგი არ მოჰყვებაო.

— მაგრამ მეორე დღეს, ბატონო ჩემო, მეორე დღეს ხომ დაინახეთ, რომ ამას შედეგი მოჰყვა და თქვენ მაინც არაფერი თქვით; თქვენც ხომ იქ იყავით, როდესაც დანტესი დააპატიმრეს.

— დიახ, ბატონო, მე იქ ვიყავი და ლაპარაკიც დავაპირე, მინდოდა ყველაფერი მეთქვა, მაგრამ დანგლარმა გამაჩერა.

«— ვთქვით დამნაშავე გამოდგა, — მითხრა მან, — იქნებ ის მართლაც იყო კუნძულ ელბაზე და დავალებული ჰქონდა პარიზში ბონაპარტისტული კომიტეტისათვის წერილის გადაცემა. თუ მას ეს წერილი აღმოუჩინეს, მის დამცველებს მის თანამოაზრეებად მიიღებენ». უნდა გამოგიტყდეთ, ისეთი საშინელი დრო იყო, რომ შემემინდა, პოლიტიკურ საქმეებში არ გავბმულიყავი და გავჩუმდი. ეს ლაჩრობა იყო ჩემის მხრივ, ამას ვაღიარებ, მაგრამ არ მომსვლია ბოროტებით.

— მესმის; თქვენ ხელები დაიბანეთ, ეს არის და ეს.

— დიახ, ბატონო, და ამის გამო სინდისი დღისითა და ღამით მქენჯნის. გეფიცებით, ხშირად ვევედრები ღმერთს, მაპატიოს ეს დანაშაული, მით უმეტეს, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ეს ერთადერთი საქციელია, რომლისთვისაც ჩემს თავს სერიოზულად ვკიცხავ, და ეჭვი არ არის, იგია მთელი ჩემი უბედურების მიზეზი. მე ვცდილობ, გამოვისყიდო ჩემი წუთიერი ეგოიზმი, ამიტომაც არის, რომ ყოველთვის, როცა კარკონტა ბედს უჩივის, მე ვეუბნები: — გაჩუმდი, კარკონტა, ალბათ, ღმერთს ასე სურს-მეთქი.

და კადრუსმა გულწრფელი სინანულით თავი ჩაქინდრა.

— კარგი, — უთხრა აბატმა, — თქვენ გულახდილად ლაპარაკობდით და თქვენი ასეთი მონანიება პატიებას იმსახურებს.

— საუბედუროდ, — უთხრა კადრუსმა, — ედმონდი გარდაიცვალა და მას ჩემთვის არ უპატიებია.

— მან არაფერი იცოდა, — თქვა აბატმა.

— მაგრამ ახლა შეიძლება მან უკვე იცის; ამბობენ, მკვდრებმა ყველაფერი იციანო. ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა; აბატი წამოდგა და ჩაფიქრებულმა ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. შემდეგ ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა.

— თქვენ მე რამდენჯერმე მიხსენეთ ვიღაც ბატონი მორელი, — თქვა მან, — ვინ არის იგი?

— ეს არის «ფარაონის» მფლობელი, დანტესის პატრონი.

— კი მაგრამ, რა როლს თამაშობდა იგი მთელ ამ უბედურ საქმეში? — იკითხა აბატმა.

— პატიოსანი ვაჟკაცის და გულისხმიერი ადამიანის როლს. მან დანტესის გულისათვის ერთი ოთხჯერ მაინც აღძრა შუამდგომლობა. როდესაც დაბრუნდა იმპერატორი, ის წერდა, თხოულობდა, იმუქრებოდა ისე დაბეჯითებით, რომ მეორე რესტავრაციის დროს თვითონ მას, როგორც ბონაპარტისტს, ძალიან სდევნიდნენ. როგორც გითხარით, ბატონი მორელი ერთი ათჯერ მაინც იყო დანტესის მამასთან იმ

მიზნით, რომ თან წაეყვანა, ისიც გითხარით, რომ მისი სიკვდილის წინა დღეს, თუ ორი დღით ადრე, მან ფულით სავსე ქისა დატოვა ბუხარზე. ამ ფულით გავისტუმრეთ მოხუცის ვალი, ამავე ფულით დავასაფლავეთ იგი. ასე რომ, საწყალი მოხუცი ისე მოკვდა, რომ არავის დასწოლია ტვირთად, ისევე როგორც სიცოცხლეში არავინ შეუწუხებია. მე დღესაც კი მაქვს შენახული წითელი ძაფით ნაქსოვი ის დიდი ქისა.

— ბატონი მორელი ისევ ცოცხალია? — იკითხა აბატმა.

— ცოცხალია, — უპასუხა კადრუსმა.

— დარწმუნებული ვარ, ღმერთმა გადაუხადა სიკეთე! ის, ალბათ, მდიდარია...
ბედნიერი.

კადრუსს მწარედ გაეღიმა.

— როგორ, ბატონი მორელი უბედურია? — შესძახა აბატმა.

— გაღატაკების პირზეა, ბატონო აბატო, უფრო მეტიც, პატივის აყრა მოელის.

— რატომ?

— საქმე შემდეგშია, — დაიწყო კადრუსმა, — მოიპოვა რა ოცდახუთი წლის შრომის წყალობით საპატიო ადგილი მარსელის ვაჭრებს შორის, ბატონი მორელი სრულიად გაღარიბდა. მან ერთი წლის განმავლობაში ხუთი გემი დაკარგა, სამჯერ გაკოტრდა და ახლა მთელ იმედებს იმ «ფარაონზე» ამყარებს, რომელზედაც საწყალი დანტესი იყო კაპიტნად. ის უნდა დაბრუნდეს კომენილითა და ინდიგოთი დატვირთული. თუ მან ეს გემიც დაკარგა, დაიღუპება.

— იმ უბედურს ცოლ-შვილი ჰყავს?

— დიახ, მას ჰყავს ცოლი, რომელიც ყოველივე ამას იტანს, ვით წმინდანი; მას ჰყავს ქალიშვილი, იგი უნდა გაჰყოლოდა კაცს, რომელიც უყვარდა, მაგრამ ახლა ამ უკანასკნელს მშობლები ნებას არ აძლევენ, ითხოვოს გაღარიბებული ქალიშვილი. მორელს ჰყავს ვაჟიშვილიც, იგი ოფიცერია. მაგრამ თქვენ ხომ გესმით, ყოველივე ეს კი არ ანელებს, არამედ აორკეცებს მის მწუხარებას. ის რომ მარტო იყოს, შუბლში ტყვიას იკრავდა და გათავდა, ყველაფერი მორჩებოდა.

— ეს საშინელებაა, — ჩაილაპარაკა აბატმა.

— აი, ბატონო აბატო, როგორ აჯილდოებს ღმერთი სიკეთეს, — უთხრა კადრუსმა, — შემომხედეთ, მე არასოდეს ცუდი არ გამიკეთებია, გარდა იმ ამბისა, რაც წელან გითხარით და მაინც გავღატაკდი; მე მომელის, იმის მოწმე გავხდი, როგორ მოკვდება ჩემი ცოლი ციებისაგან და ვერაფრით ვეხმარები; მეც, ალბათ, დანტესის მამასავით შიმშილით ამომხდება სული, დანგლარი და ფერნანდი კი ყელამდე ოქროებში სხედან.

— ეგ როგორ?

— იმიტომ, რომ ბედმა გაუღიმათ, პატიოსან ადამიანებს კი არასოდეს ღმერთი იმედს არ უმართლებს.

— რა მოუვიდა დანგლარს? მთავარ დამნაშავეს? ის ხომ წამქეზებული იყო?

— რა მოუვიდა? ის მარსელიდან გაემგზავრა და, ბატონი მორელის რეკომენდაციით, რომელმაც არაფერი იცოდა, ესპანეთის ერთ ბანკირს დაუდგა აგენტად. ესპანეთის ომის დროს მოიჯარეობას მიჰყო ხელი და გამდიდრდა. ამ ფულით მან დაიწყო ბირჟაზე თამაში, რითაც გაასამკვეცა თავისი კაპიტალი და როდესაც მისი პირველი ცოლი, მისივე ბანკირის ქალიშვილი, გარდაიცვალა, მან ცოლად შეირთო ბატონ დე ნარგონის ქვრივი, ახლანდელი მეფის კამერჰერის ბატონ დე სერვიეს ქალიშვილი, რომლის მამაც ამჟამად დიდ პატივშია. ის მილიონერი გახდა, მისცეს ბარონის წოდება; ასე რომ, ის ახლა ბარონი დანგლარია, სასახლე აქვს მონბლანის ქუჩაზე, საჯინიბოში ათი ცხენი უბია, მოსაცდელ ოთახში ექვსი მსახური უდგას და, ვინ იცის, სკივრებში რამდენი მილიონი ფული აქვს ჩაწყობილი.

— ოჰო! — თქვა აბატმა უცნაური ინტონაციით, — მაშ, ის ბედნიერია?

— ბედნიერი? ვის შეუძლია ამის თქმა? უბედურება თუ ბედნიერება — ეს კედლების საიდუმლოებაა: კედლებს აქვთ ყურები, მაგრამ არ აქვთ ენა. თუ სიმდიდრე ბედნიერებაა, დანგლარი ბედნიერი უნდა იყოს.

— ფერნანდი?

— ფერნანდს კიდევ უფრო მეტად გაუღიმა ბედმა.

— უნდა გამოგიტყდეთ, მაცვიფრებს, როგორ შეძლო გამდიდრება საწყალმა კატალანელმა მეთევზემ, ყოველივე სახსარს, განათლებას მოკლებულმა.

— ეს ყველას აცვიფრებს; მის ცხოვრებაში, ალბათ, რაღაც უცნაური საიდუმლოებაა, რომელიც არავინ იცის.

— მაინც, რა ხილული გზებით მიაღწია მან სიმდიდრესა და მაღალ მდგომარეობას?

— მან ორივე მოიპოვა, ბატონო აბატო, ორივე, სიმდიდრეცა და მაღალი მდგომარეობაც.

— ასე მხოლოდ ზღაპრებში ხდება ხოლმე.

— მართალია, ეს ზღაპარსა ჰგავს, მაგრამ მისმინეთ და ყველაფერს გაიგებთ: რამდენიმე დღით ადრე იმპერატორის დაბრუნებამდე ფერნანდი წვევამდელებში მოხვდა. ბურბონებმა ის კატალანში დატოვეს. მაგრამ დაბრუნდა ნაპოლეონი და მან განკარგულება გასცა, სასწრაფო გაწვევა მოეწყოთ და ფერნანდი იძულებული გახდა ჯარში წასულიყო; მეც წავედი; მაგრამ რაკი მე ფერნანდზე უფროსი ვიყავი, და ამავე დროს ჩემს უბედურ ცოლთან ახლადჯვარდაწერილი, საფრანგეთის სანაპიროს დასაცავად გამგზავნეს. ფერნანდი მოქმედ არმიამი მოხვდა. თავის პოლკს საზღვარგარეთ გაჰყვა და ლინის¹ (1 ლინი — სოფელი ბელგიაში, სადაც ნაპოლეონმა პრუსიელების გენერალი ბლიუხერი დაამარცხა 1815 წლის 16 ივნისს.) ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა.

დამით, ბრძოლების შემდეგ, გუშაგად მდგარიყო ერთ-ერთ გენერალთან, რომელსაც საიდუმლო კავშირი ჰქონდა მოწინააღმდეგესთან. სწორედ იმ საღამოსვე გენერალი ინგლისელების მხარეზე უნდა გადასულიყო თურმე. მას ფერნანდისთვის წინადადება მიეცა, თან გამომყევო, ფერნანდი დათანხმებულიყო, საგუშაგო მიეტოვებინა და გენერალს გაჰყოლოდა.

ნაპოლეონი ტახტზე რომ დარჩენილიყო, ფერნანდს ასეთი საქციელის გამო სამხედრო სასამართლოს გადასცემდნენ, ბურბონების დროს კი დამსახურებად ჩაუთვალეს. ფერნანდი საფრანგეთში დაბრუნდა უმცროსი ლეიტენანტის სამხრეებით და რაკი გენერალი, რომელსაც მეფე წყალობის თვალთ უყურებდა, ფერნანდს თავის მფარველობას არ აკლებდა, მას კაპიტნობა უბოძეს 1823 წელს, ესპანეთის ომის დროს, ანუ სწორედ იმ დროს, როდესაც დანგლარმა დაიწყო თავისი პირველი კომერციული სპეკულაციები. ფერნანდი წარმოშობით ესპანელი იყო. ის გაგზავნეს ესპანეთში, რათა თავისი თანამემამულეების სულიერი განწყობილება გაეგო. იქ შეხვდა დანგლარს, მოელაპარაკა მას, თავის გენერალს დაჰპირდა — როიალისტების დახმარებას მოგიპოვებ დედაქალაქში და პროვინციებშიო, მიიღო მისგან დაპირებები, თავის მხრივ თვითონაც იკისრა რამდენიმე დავალება და თავისი პოლკი გაატარა მხოლოდ მისთვის ცნობილი ხეობით, რომელსაც როიალისტები იცავდნენ; ერთი სიტყვით, ამ მოკლევადიან ლაშქრობაში ფერნანდმა იმდენი დაიმსახურა, რომ ტროკადეროს¹ (1 ტროკადერო — ციხესიმაგრე კადიქსის ყურესთან, რომელიც ფრანგების ჯარმა იერიშით აიღო 1823 წელს.) ალების შემდეგ პოლკოვნიკობა მიანიჭეს, დააჯილდოეს საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვრით და გრაფის ტიტული უბოძეს.

— ბედო! ბედო! — ჩაიჩურჩულა აბატმა.

— დიახ, მაგრამ მომისმინეთ, საქმე ამით არ გათავებულა. დამთავრდა ესპანეთის ომი, ხანგრძლივ მშვიდობას შეიძლებოდა ევნო ფერნანდის კარიერისათვის. მხოლოდ ერთი საბერძნეთი აღდგა თურქეთის წინააღმდეგ და დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. საერთო ყურადღება მიპყრობილი იყო ათენისაკენ. მაშინ მოდაში იყო ბერძნების შეცოდება და მათთვის მხარის დაჭერა. საფრანგეთის მთავრობა მათ აშკარად არ მფარველობდა, მაგრამ, როგორც თქვენთვის ცნობილია, შიგადაშიგ დახმარებას უწევდა. ფერნანდმა მოახერხა, რომ საბერძნეთში წასვლის ნებართვა მიეღო. ამავე დროს იგი ჯარში ითვლებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ გრაფი დე მორსერი, — ის ამ გვარს ატარებდა, — ალი-ფაშასათან შევიდა სამსახურში გენერალ-ინსტრუქტორის ჩინით. ალი-ფაშა, როგორც თქვენთვის ცნობილია, მოკლეს, მაგრამ მან სიკვდილის წინ უხვად დააჯილდოვა ფერნანდი. გამდიდრებული ფერნანდი საფრანგეთში დაბრუნდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიიღო.

— ასე რომ, ახლა?.. — ჰკითხა აბატმა.

— ასე რომ, ახლა იგი პარიზში საუცხოო სასახლეში ცხოვრობს ელდერის ქუჩაზე, ოცდაშვიდ ნომერში.

აბატმა პირი გააღო, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და თანაც ყოყმანობდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და ჰკითხა:

— მერსედესი? მე დამარწმუნეს, რომ იგი გაქრა.

— გაქრა, — თქვა კადრუსმა, — ისევე, როგორც ქრება ხოლმე მზე, რომ მეორე დილას მეტი ბრწყინვალეობით ამოანათოს.

— იმასაც ხომ არ გაუღიმა ბედმა? — ჰკითხა აბატმა ირონიული ღიმილით.

— მერსედესი ახლა პარიზის საზოგადოების პირველი ქალბატონია.

— განაგრძეთ, — თქვა აბატმა, — ასე მგონია, ზღაპრულ ამბებს ვისმენ-მეთქი, მაგრამ მე ისეთი არაჩვეულებრივი ამბები მინახავს, რომ, რასაც თქვენ მიაჩნობთ, არ მაკვირვებს.

— მერსედესი პირველად სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იმ მოულოდნელმა უბედურებამ, რომელმაც მას ედმონდი წაართვა. მე თქვენ უკვე გითხარით, როგორ ემუდარებოდა ბატონ დე ვილფორს და როგორ ერთგულებას იჩენდა დანტესის მამის მიმართ. მის სასოწარკვეთილებას ერთი უბედურება კიდევ დაემატა: ფერნანდი ჯარში წაიყვანეს; ქალიშვილმა არ იცოდა მისი დანაშაული და ძმასავით უყვარდა. ფერნანდი გაემგზავრა, მერსედესი მარტო დარჩა. სამი თვე მან ცრემლების ღვრაში გაატარა; არავითარი ცნობა ედმონდის შესახებ, არავითარი ცნობა ფერნანდის შესახებ! იგი მარტოდმარტო იყო სასოწარკვეთილი, მწუხარებისაგან სიკვდილის პირას მისულ მოხუცთან.

ერთ დღეს მერსედესი, ჩვეულებისამებრ, მთელი დღის განმავლობაში მარსელსა და კატალანს შუა იჯდა ორი გზის შესაყარზე და საღამოთი შინ კიდევ უფრო გულგატეხილი მივიდა, ვიდრე ოდესმე; არც მისი შეყვარებული და არც მისი მეგობარი არ დაბრუნდნენ არც ერთი ამ გზიდან. მან არც ერთის და არც მეორის ამბავი არ იცოდა.

უცებ მოეჩვენა, რომ ნაცნობი ნაბიჯები გაიგონა. კარი გააღო და დაინახა უმცროსი ლეიტენანტის მუნდირში გამოწყობილი ფერნანდი.

თუმცა ფერნანდს მერსედესის მიერ დაღვრილი ცრემლების ნახევარიც კი არ ეკუთვნოდა, მაგრამ მის დანახვაზე ქალიშვილს მოეჩვენა, რომ სიცოცხლის ნაწილი დაუბრუნდა. მერსედესმა ფერნანდს ხელი ისეთი სიხარულით სტაცა, რომ ვაჟმა ეს სიყვარულის ნიშნად მიიღო; ნამდვილად ეს სიხარული იმით იყო გამოწვეული, რომ ის მარტო აღარ იყო ამქვეყნად, რომ, ბოლოს, ამდენი მარტოობის შემდეგ, მეგობარს ხედავდა. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მას არასოდეს ეზიზღებოდა ფერნანდი,

თუმცა არ უყვარდა; ეს იყო და ეს. მერსედესის გული ეკუთვნოდა სხვას, ეს სხვა არ ჩანდა... გამქრალიყო... და შეიძლება მკვდარიც იყოს. ამის გაფიქრებაზე მერსედესს ქვითინი აუვარდებოდა ხოლმე და სიმწრისაგან ხელებს იმტვრევდა. მაგრამ ეს აზრი, რომელსაც იგი სხვა დროს უარყოფდა, თუ ვინმე ეტყოდა ამას, ახლა თავისთავად მოსდიოდა თავში. მოხუცი დანტესიც ხომ გამუდმებით ჩასჩიჩინებდა: «ჩვენი ედმონდი მოკვდა, ის რომ ცოცხალი იყოს, დაგვიბრუნდებოდაო».

მოხუცი, როგორც უკვე გითხარით, გარდაიცვალა; ის რომ არ მომკვდარიყო, შესაძლებელია მერსედესი არასოდეს გათხოვილიყო სხვაზე, რადგან მოხუცი მას ორგულობას დასწამებდა. ფერნანდმა კარგად იცოდა ეს. ამიტომ, გაიგო თუ არა მოხუცის სიკვდილი, მაშინვე დაბრუნდა. ამჯერად ის მოვიდა ლეიტენანტის ჩინით. პირველი დაბრუნების დროს მას მერსედესისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს სიყვარულზე; მეორედ მოსვლაზე გაახსენა, რომ უყვარდა იგი. მერსედესმა სთხოვა, კიდევ ნახევარი წელი დამაცადე, ედმონდს დავუცადო და გამოვიტირო იგიო.

— მართლაც, — თქვა აბატმა მწარე ღიმილით, — ეს ხომ ერთად წელიწად-ნახევარია! რა შეიძლება ითხოვოს ამაზე მეტი ყველაზე გაღმერთებულმა ადამიანმა?

და მან ჩაიჩურჩულა ინგლისელი პოეტის სიტყვები: «Frailty, thy name is woman!»¹. (1 «არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!»)

— ნახევარი წლის შემდეგ, — განაგრძო კადრუსმა, — მან ჯვარი დაიწერა აკულის ეკლესიაში.

— ეს ის ეკლესიაა, სადაც მას ჯვარი უნდა დაეწერა ედმონდთან, — ჩაილაპარაკა მღვდელმა, — მან გამოიცვალა საქმრო, ეს არის და ეს.

— ამრიგად, მერსედესი გათხოვდა, — განაგრძო კადრუსმა, — იგი დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ გული წაუვიდა, როდესაც ჩაუარა «რეზერვს», სადაც წელიწად-ნახევრის წინათ ჯვარს იწერდა მასზე, ვინც ჯერ კიდევ გულის სიღრმეში უყვარდა.

ფერნანდმა მიაღწია ბედნიერებას, მაგრამ სიმშვიდეს — ვერა; მე ვნახე იგი იმ ხანებში; სულ ეშინოდა ედმონდის დაბრუნების. ამიტომ გადაწყვიტა, ცოლი აქაურობას მოეშორებინა და თვითონაც გადახვეწილიყო. კატალანთან ბევრი საფრთხე და ბევრი მოგონება იყო დაკავშირებული.

ქორწილიდან გავიდა ერთი კვირა და ისინი გაემგზავრნენ.

— შეგხვედრიათ თუ არა ოდესმე ამის შემდეგ მერსედესი? — ჰკითხა მღვდელმა.

— დიახ, მე ვნახე ესპანეთის ომის დროს პერპინიაში, სადაც ფერნანდმა დატოვა იგი. მაშინ მერსედესი ვაჟიშვილის აღზრდით იყო გართული.

აბატი შეკრთა.

— ვაჟიშვილის? — ჰკითხა მან.

— დიახ, — უპასუხა კადრუსმა, — პატარა ალბერის.

— კი მაგრამ, შვილი რომ აღეზარდა, — განაგრძო აბატმა, — ჯერ ხომ თვითონ უნდა მიეღო განათლება? მე, როგორც მახსოვს, ედმონდი მეუბნებოდა, ის უბრალო მეთევზის ქალიშვილია, ლამაზი, მაგრამ უსწავლელიო.

— ნუთუ ის ასე ცუდად იცნობდა თავის საცოლეს? — თქვა კადრუსმა, — ბატონო აბატო, თუ გვირგვინით ყოველთვის ყველაზე მშვენიერსა და ყველაზე ჭკვიან თავებს ამკობდნენ, მერსედესს შეეძლო დედოფალი გამხდარიყო. ბედმა იგი მაღლა აიტაცა და ისიც იზრდებოდა თავის სიმდიდრესთან ერთად. ის სწავლობდა ხატვას, მუსიკას, სწავლობდა ყველაფერს. ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, მე მგონია, ყოველივე ამას იმიტომ აკეთებდა, რომ თავდავიწყებას მისცემოდა. მერსედესი გონებას ტვირთავდა იმისათვის, რომ შებრძოლებოდა გულში დაგროვილ გრძნობებს. მაგრამ ახლა, ალბათ, ყველაფერს

ბოლო მოვლო, — განაგრძო კადრუსმა, — სიმდიდრემ და პატივმა, ალბათ, დაამშვიდეს მერსედესი. ის მდიდარია, გრაფის მეუღლეა, მაგრამ ამავე დროს...

კადრუსი შეჩერდა.

— ამავე დროს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის არ არის ბედნიერი, — თქვა კადრუსმა.

— რატომ გგონიათ ასე?

— აი რატომ. როდესაც მე უკვე აღარავითარი გამოსავალი არ მქონდა, ვიფიქრე, წავალ ჩემს ძველ მეგობრებთან, იქნებ რამეს დამეხმარონ-მეთქი. ჯერ დანგლართან მივედი, მან არც კი მიმიღო; შემდეგ — ფერნანდთან; მან მსახურის საშუალებით ასი ფრანკი გამომიგზავნა.

— ასე რომ, თქვენ არც ერთი და არც მეორე არ გინახავთ?

— არა, მაგრამ გრაფინია დე მორსერმა მნახა.

— ეგ როგორ?

— როდესაც მე გამოვდიოდი, ჩემს ფეხებთან ქისა დავარდა; შიგ ოცდახუთი ლუიდორი იდო. მე სწრაფად ავწიე თავი და დავინახე მერსედესი, ის ფანჯარას კეტავდა.

— კი მაგრამ, ბატონი დე ვილფორი?

— ის არასოდეს ყოფილა ჩემი მეგობარი, მე მას არ ვიცნობდი, მისთვის არაფერი მითხოვია.

— ხომ არ იცით, რა ბედი ეწია მას და რა მონაწილეობას ღებულობდა ედმონდის უბედურებაში.

— არა; ვიცი მარტო ის, რომ ედმონდის დაპატიმრებიდან არ გასულა დიდი ხანი, რომ მან ცოლად შეირთო მადმუაზელ დე სენ-მერანი და ჩქარა გაემგზავრა მარსელიდან. ალბათ, მასაც ისევე გაუღიმა ბედმა, როგორც დანარჩენებს: უეჭველია, დანგლარით მდიდარია, ფერნანდით მალალი მდგომარეობა უჭირავს; როგორც ხედავთ, მარტო მე დავრჩი ღარიბი, გაუბედურებული და ღმერთისაგან მივიწყებული.

— სცდებით, ჩემო მეგობარო, — უთხრა აბატმა, — თქვენ გგონიათ, რომ ღმერთმა დაგივიწყათ, რადგან მისი სამართალი იგვიანებს, მაგრამ, როცა იქნება, იგი გაგვიხსენებს ჩვენ, აი ამის დამამტკიცებელი საბუთიც.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე აბატმა ჯიბიდან ალმასი ამოიღო და კადრუსს გაუწოდა.

— აიღეთ, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან, — გამომართვით ეს ალმასი, რადგან იგი თქვენ გეკუთვნით.

— როგორ, მარტო მე? — შეჰყვირა კადრუსმა, — ოჰ, ბატონო ჩემო, ნუ დამცინით.

— ეს ალმასი უნდა გაგვეყო ედმონდის მეგობრებს შორის. ედმონდს ჰყავდა მარტო ერთი მეგობარი, მაშასადამე, გაყოფა შეუძლებელია. გამომართვით ეს ალმასი და გაყიდეთ; როგორც უკვე გითხარით, ის ორმოცდაათი ათასი ფრანკი ღირს, და ეს ფული, დარწმუნებული ვარ, თქვენ სილატაკისაგან გიხსნით.

— ბატონო აბატო, — თქვა კადრუსმა და მორცხვად გაუწოდა ცალი ხელი, მეორეთი კი შუბლზე გამოსული ოფლი მოიწმინდა... — ბატონო აბატო, ნუ ეხუმრებით ადამიანის ბედნიერებას და სასოწარკვეთილებას.

— ჩემთვის ბედნიერებაცა და სასოწარკვეთილებაც ორივე ცნობილია და არასოდეს სახუმაროდ არ გავხდი ამ გრძნობებს. აიღეთ, მაგრამ, სამაგიეროდ...

კადრუსი, ის იყო, უკვე შეეხო ალმასს, მაგრამ ამ სიტყვებზე ხელი სწრაფად უკან წაიღო.

აბატს გაეღიმა.

— სამაგიეროდ, — განაგრძო მან, — მომეცით ის ქისა, რომელიც ბატონმა მორელმა მოხუცთან დატოვა ბუხარზე; თქვენ მითხარით, რომ ის ისევ თქვენთანაა.

ასეთი წინადადებით კიდევ უფრო მეტად გაკვირვებულმა კადრუსმა მუხის დიდი კარადა გამოალო და აბატს გადასცა გრძელი, გახუნებული წითელი ფერის აბრეშუმის ქისა, რომელიც ოქროგადაცლილი სპილენძის რგოლით იკვრებოდა.

აბატმა ქისა გამოართვა და ალმასი მისცა.

— თქვენ ნამდვილად ღვთის კაცი ხართ! — შეჰყვირა კადრუსმა, — არავინ იცოდა, რომ თქვენ ედმონდმა ალმასი მოგცათ, და შეგემლოთ თქვენთვის დაგეტოვებინათ იგი.

«შენ, ალბათ, ასე მოიქცეოდი», — ჩაილაპარაკა თავისთვის აბატმა.

აბატი წამოდგა, ქუდსა და ხელთათმანებს ხელი წაატანა.

— რაც თქვენ მითხარით, ხომ უცილობელი სიმართლეა? მე ხომ შემძლია სავსებით გერწმუნოთ?

— შეხედეთ, ბატონო ჩემო, — უთხრა კადრუსმა, — აი, ამ კუთხეში წმინდა ჯვარცმა ჰკიდია; იქ, სკივრზე, ჩემი ცოლის სახარება დევს, გაშალეთ წიგნი და მე მასზე დავიფიცავ, დავიფიცავ ჯვარცმაზე, დავიფიცავ ქრისტესაკენ ხელგაწვდილი; ჩემი სული წაწყდეს, თუ მე თქვენთვის ყველაფერი ისე ზუსტად არ მეთქვას, როგორც მოხდა, როგორც ამას მფარველი ანგელოზი ეტყოდა ყურში ღმერთს უკანასკნელი განკითხვის დღეს!

— კარგი, — უთხრა აბატმა, რომელიც კადრუსის გულწრფელმა ლაპარაკმა დაარწმუნა მის სიმართლეში, — კარგი, გისურვებთ, ეს ფული სასიკეთოდ გამოიყენოთ; ნახვამდის. მე ისევ ვშორდები იმ ადამიანებს, რომლებიც ერთიმეორეს ამდენ ბოროტებას აყენებენ.

და აბატმა ძლივს დააღწია თავი კადრუსის აღტაცებულ სიტყვებს. იგი თვითონ მივიდა კარებთან, თვითონ გადასწია ურდული, გარეთ გავიდა, ცხენზე შეჯდა, ერთხელ კიდევ გამოემშვიდობა ტრაქტირის პატრონს, რომელიც მხურვალედ აფრქვევდა გამოსამშვიდობებელ სიტყვებს და იმავე გზით გაემართა, რომლითაც მოვიდა.

როდესაც კადრუსი შემობრუნდა, დაინახა, რომ უკან კარკონტა ედგა, უფრო მეტად ფერმკრთალი და უფრო მეტად აცახცახებული, ვიდრე ოდესმე.

— ის, რაც მე გავიგონე, ნამდვილად მართალია? — ჰკითხა მან.

— რა? ის რომ მარტო ჩვენ დაგვიტოვა ალმასი? — უთხრა სიხარულისაგან თითქოს გაგიჟებულმა კადრუსმა.

— ჰო, მაგას გეკითხები.

— უცილობელი სიმართლეა, აი, ალმასი.

ქალმა შეხედა ალმასს და ყრუ ხმით თქვა:

— თუ ყალბია?

კადრუსი გაფითრდა და წაბარბაცდა.

— ყალბი, — წაიჩურჩულა მან, — ყალბი... მერე და იმ კაცს რისთვის უნდა მოეცა ჩემთვის ყალბი ალმასი?

— იმისათვის, რომ გასამრჯელოს გაუღებლად გაეგო საიდუმლოება, ყეყეო!

კადრუსი ერთ წუთს დარეტიანებული იდგა ამ სიტყვების გამო, შემდეგ უცბად ქუდს ხელი დასტაცა და თავზე წაკრულ ხილაბანდზე დაიხურა.

— მე ამას გავიგებ, ნამდვილად გავიგებ.

— როგორ?

— ბოკერში ბაზრობაა; იქ იქნებიან პარიზიდან ჩამოსული ოქრომჭედლები. შენ, დედაკაცო, სახლს უდარაჯე, ორ საათში მეც დავბრუნდები.

კადრუსი სწრაფად გაჩნდა გზაზე და სირბილით გასწია იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომლითაც უცნობი წავიდა.

— ორმოცდაათი ათასი ფრანკი! — ჩაილაპარაკა მარტოდ დარჩენილმა კარკონტამ, — ეს კარგი ფულია... მაგრამ სიმდიდრე არაა.

VII პატიმართა სიები

მეორე დღეს, მას შემდეგ, რა ბოკერიდან ბელგარდისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მიერ აღწერილი საუბარი მიმდინარეობდა, ქალაქის მერთან გამოცხადდა ოცდაათი, ოცდათორმეტი წლის კაცი ღილილოსფერ სერთუკში, თეთრ ჟილეტში და ნაშურის შარვალში გამოწყობილი, მიხრა-მოხრითა და გამოთქმით — ნამდვილი ინგლისელი.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მან, — მე რომის სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» მთავარი აგენტი გახლავართ; უკვე ათი წელია, რაც ურთიერთობა გვაქვს მარსელის სავაჭრო სახლთან «მორელი და ვაჟიშვილი», ამ ფირმაში დაბანდებული გვაქვს ასი ათას ფრანკამდე და, როდესაც გავიგეთ, რომ მას გაკოტრება მოეღოს, შევშფოთდით. მეც რომიდან სასწრაფოდ სწორედ იმიტომ წამოვედი, რომ ამ სავაჭრო სახლზე ცნობების მოწოდება გთხოვოთ.

— ბატონო ჩემო, — უპასუხა მერმა, — ჩემთვის მართლაც ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ წლებში უბედურება თითქოს თან სდევს მორელს: მან ზედიზედ დაკარგა ოთხი თუ ხუთი გემი და ზარალი ნახა სამჯერ თუ ოთხჯერ გაკოტრების გამო; თუმცა ჩემი ათი ათასი ფრანკი მართებს, მაგრამ მაინც შესაძლებლად არ მიმაჩნია, რაიმე ცნობები მოგაწოდათ მის ფინანსურ მდგომარეობაზე. მკითხეთ როგორც მერს, რას ვფიქრობ ბატონ მორელზე და გიპასუხებთ, რომ ეს არის მეტისმეტად პატიოსანი კაცი და დღემდე არაჩვეულებრივი სიზუსტით ასრულებდა ყველა თავის მოვალეობას. აი, ყველაფერი ის, რაც მე შემიძლია გითხრათ, ბატონო ჩემო; თუ თქვენ ეს არ გაკმაყოფილებთ და მეტი გნებავთ იცოდეთ, მიმართეთ ბატონ დე ბოვილს, სატუსალოების ინსპექტორს, ნოიალის ქუჩა 115-ში, მას ამ სახლში დაბანდებული აქვს ორასი ათასი ფრანკი და, რადგან ეს თანხა ჩემს თანხაზე გაცილებით მეტია, თუკი მართლაც არსებობს რაიმე საშიშროება, თქვენ მისგან, ალბათ, უფრო დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ.

ინგლისელმა, როგორც ჩანს, დააფასა მერის ეს უაღრესი თავაზიანობა, თავი დაუკრა და ინგლისელისათვის დამახასიათებელი ნაბიჯებით დასახელებული ქუჩისაკენ გაემართა.

ბატონი ბოვილი თავის კაბინეტში იჯდა. მის დანახვაზე ინგლისელს სახეზე ისეთი განცვიფრება გამოეხატა, თითქოს პირველად არ ხედავს ამ კაცსო. რაც შეეხება ბატონ დე ბოვილს, იგი სასოწარკვეთილებას მისცემოდა. მთელ მის გონებრივ შესაძლებლობებს ნთქავდა მხოლოდ ერთადერთი აზრი, რომელიც არც მის მეხსიერებასა და არც მის წარმოდგენებს საშუალებას არ აძლევდა, წარსულის მოგონებებში გადავარდნილიყო.

ინგლისელმა მისი ერისათვის დამახასიათებელი ფლეგმით თითქმის სიტყვასიტყვით გაუმეორა ის შეკითხვა, რაც მარსელის მერს მისცა.

— ოი, ბატონო, — შეჰყვირა ბატონმა დე ბოვილმა, — თქვენი შიში, საუბედუროდ, საფუძველს მოკლებული როდია. მე ამ ფირმაში დაბანდებული მაქვს ორასი ათასი ფრანკი, ეს ორასი ათასი ფრანკი მზითვად უნდა მიმეცა ჩემი ქალიშვილისათვის, რომლის გათხოვებასაც ამ ორ კვირაში ვაპირებდი. ეს თანხა ბატონ მორელს ორ ნაწილად უნდა გადაეხადა, ამ თვისა და მომავალი თვის თხუთმეტში. მე ბატონ მორელს ვაცნობე, რომ მსურდა ეს ფული ზუსტად დანიშნულ ვადაში მიმეღო, და, აი, ამ ნახევარი საათის წინ ის აქ მოვიდა იმისათვის, რათა ეცნობებინა: თუ ჩემი გემი «ფარაონი» თხუთმეტამდე არ მოადგა მარსელის ნაპირებს, საშუალება არ მექნება, ვალი გადავიხადო.

— მაგრამ, — თქვა ინგლისელმა, — ეს ძალიან წააგავს ვადის გაგრძელებას.

— თქვით, ბატონო ჩემო, რომ ეს წააგავს გაკოტრებას! — წამოიყვირა სასოწარკვეთილმა ბატონმა დე ბოვილმა.

ინლისელმა, როგორც ჩანს, რაღაცა გაიფიქრა და შემდეგ უთხრა:

— მაშ, ეს საკრედიტო ვალდებულებანი თქვენში შიშს იწვევს?

— მე ისინი დაკარგულად მიმაჩნია.

— კარგი, კარგი, მე მას ვყიდულობ თქვენგან.

— თქვენა?

— დიახ, მე.

— მაგრამ, ალბათ, დიდი ფასის დაკლებით.

— არა, ორასი ათას ფრანკად; ჩვენი სავაჭრო სახლი, — დასძინა ინგლისელმა ღიმილით, — ამგვარ გარიგებებს არ ახდენს.

— და თქვენ გადამიხდით...

— ნაღდ ფულს ჩაგითვლით.

ინგლისელმა ჯიბიდან ამოიღო ბანკის ბილეთები, რომლებიც, ალბათ, ორჯერ მეტი იყო იმ თანხაზე, რომლის დაკარგვასაც ბატონი დე ბოვილი შიშობდა.

ბატონ დე ბოვილს სიხარულმა სახე გაუნათა; მაგრამ თავს ძალა დაატანა და უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ, ალბათ, ამ თანხის ექვს პროცენტსაც კი ვერ მიიღებთ.

— ეს მე არ შემეხება, — უთხრა ინგლისელმა, — ეს სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» საქმეა, რომლის სახელითაც მე ვმოქმედებ. იქნება ის დაინტერესებულია, დააჩქაროს მეტოქე ფირმის გაკოტრება. როგორც უნდა იყოს, მე მზად ვარ მოგიტვალოთ ფული თქვენი გადასაცემი წარწერის მიღებისთანავე. მე მხოლოდ კურტაჟს მოგთხოვდით.

— რასაკვირველია, ბატონო, ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა, — შესძახა ბატონმა დე ბოვილმა, — კურტაჟი ჩვეულებრივად ნახევარ პროცენტს შეადგენს; გნებავთ ორი, სამი, ხუთი? გნებავთ უფრო მეტი?

— ბატონო, — დაიწყო ინგლისელმა სიცილით, — მეც ისევე, როგორც ჩემი სავაჭრო სახლი, ამგვარ საქმიანობას არ ვეწევით. მე მინდა მივიღო სხვაგვარი ხასიათის კურტაჟი.

— ბრძანეთ, ბატონო. გისმენთ.

— თქვენ სატუსაღოების ინსპექტორი ხართ?

— უკვე მეთხუთმეტე წელია.

— თქვენ გაქვთ შემოსულ და გასულ პატიმართა სიები?

— რასაკვირველია.

— და ამ სიებს, ალბათ, თან ახლავს შენიშვნები პატიმრებზე.

— ყოველ პატიმარზე შედგენილია განსაკუთრებული საქმე.

— მაშ, აი რა, ბატონო ჩემო: მე რომში მზრდიდა ერთი საწყალი აბატი, რომელიც უცრად გაქრა. შემდეგ გავიგე, რომ ის დამწყვდეული იყო ციხესიმაგრე იფში და ახლა მინდა მივიღო ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები მისი სიკვდილის შესახებ.

— რა ერქვა?

— აბატი ფარია.

— ჰო! ძალიან კარგად მახსოვს იგი! — წამოიძახა ბატონმა დე ბოვილმა, — ის შეშლილი იყო.

— დიახ, ასე თქვეს.

— რასაკვირველია, შეშლილი იყო.

— შესაძლებელია; რაში გამოიხატებოდა მისი შეშლილობა?

— ამტკიცებდა, ვიცი ადგილი, სადაც დიდძალი საგანძურია ჩამარხულიო, და მთავრობას დიდ ფულს სთავაზობდა თავის გასათავისუფლებლად.

— საწყალი! მერე გარდაიცვალა?

— დიახ, ამ ხუთი თუ ექვსი თვის წინათ, თებერვალში.

— თქვენ არაჩვეულებრივი მეხსიერება გქონიათ, ბატონო ჩემო, რომ ასე ზუსტად გახსოვთ.

— მახსოვს იმიტომ, რომ აბატის სიკვდილს თან მოჰყვა მეტად უცნაური ამბავი.

— შეიძლება გავიგოთ, რა იყო ასეთი? — ჰკითხა ინგლისელმა ისეთი ცნობისმოყვარეობით, რასაც ღრმად დაკვირვებული თვალი უსათუოდ განცვიფრებით შენიშნავდა მის გულგრილ სახეზე.

— ღმერთო ჩემო, რატომ არა! მისმინეთ: აბატის საკანს დაახლოებით ორმოცი-ორმოცდაათი ფუტის სისქე კედელი აშორებდა საკანს, რომელშიც იჯდა ბონაპარტისტების ყოფილი აგენტი, ერთი იმათგანი, ვინც ყველაზე მეტად ეხმარებოდა 1815 წელს უზურპატორის დაბრუნებას. ეს იყო მეტისმეტად საშიში და გაბედული კაცი.

— მართლა? — ჰკითხა ინგლისელმა.

— დიახ, — უთხრა ბატონმა დე ბოვილმა, — მე თვითონ მქონდა შემთხვევა, მენახა ეს კაცი 1816 თუ 1817 წელს; მასთან საკანში მხოლოდ ჯარისკაცების თანხლებით თუ ჩადიოდნენ. უნდა გითხრათ, რომ ამ კაცმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; არასოდეს დამავიწყდება მისი სახე.

ინგლისელს ბაგეებზე ღიმილმა გადაურბინა.

— და თქვენ ამბობთ, რომ ამ ორ საკანს... — დაიწყო ისევ ინგლისელმა.

— ერთმანეთს აშორებდა ორმოცდაათი ფუტის მანძილი, ალბათ, იმ ედმონდ დანტესმა...

— იმ საშიშ კაცს ერქვა...

— ედმონდ დანტესი. დიახ, ბატონო. როგორც ჩანს, მან იპოვა იარაღები, ან თვითონ გააკეთა ისინი, რადგან აღმოჩენილ იქნა ხვრელი, რომლის დახმარებითაც პატიმრები ერთმანეთს ხვდებოდნენ.

— ეს ხვრელი უთუოდ გაქცევის მიზნით იყო გათხრილი.

— რასაკვირველია, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, აბატ ფარიას კატალეპსიური შეტევა მოუვიდა და გარდაიცვალა.

— მესმის; ამ მდგომარეობამ გაქცევა შეუძლებელი გახადა.

— მიცვალებულისათვის დიახ, — უპასუხა ბატონმა დე ბოვილმა, — მაგრამ ცოცხალისათვის — პირიქით: დანტესმა ამაში დაინახა საშუალება, რომ გაქცევა დაეჩქარებინა. როგორც ჩანს, იგი ფიქრობდა, პატიმრებს, რომლებიც ციხესიმაგრე იფში კვდებოდნენ, ჩვეულებრივ სასაფლაოზე მარხავდნენ. მან მიცვალებული თავის საკანში გადაიტანა, მის მაგივრად ჩამერა ტომარაში და დასაფლავების წუთებს ელოდა.

— ეს გაბედული ნაბიჯი ყოფილა, რომელიც გარკვეულ ვაჟკაცობაზედაც მიუთითებს.

— ხომ გითხარით, ეს მეტად საშიში კაცი იყო-მეთქი. საბედნიეროდ, მთავრობა თვითონვე გაათავისუფლა იმ შიშისაგან, რომელსაც იმის გამო განიცდიდნენ.

— როგორ?

— ნუთუ ვერ მიხვდით?

— ვერა.

— ციხესიმაგრე იფს სასაფლაო არა აქვს. მიცვალებულს ფეხებზე ოცდათექვსმეტი გირვანქა სიმძიმის ბირთვის გამოაბამენ ხოლმე და ზღვაში ისვრიან.

— მერე? — ჰკითხა ინგლისელმა ისე, თითქოს მიხვედრა უძნელდებოდა.

— მერე ის, რომ მასაც გამოაბეს ფეხზე ოცდათექვსმეტი გირვანქიანი ბირთვი და ზღვაში გადაუშვეს.

— რას ბრძანებთ! — შეჰყვირა ინგლისელმა.

— დიახ, ბატონო, — განაგრძო ინსპექტორმა, — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ გაქცეული პატიმრის განცვიფრება, როდესაც იგრძნობდა, რომ კლდიდან ისვრიან; ნეტავი შემძლებოდა მაშინ მისი სახის დანახვა.

— ეგ ძნელი იქნებოდა.

— სულ ერთია, — თქვა ბატონმა დე ბოვილმა. — იგი უკვე კარგ ხასიათზე იყო, რაკი დარწმუნდა, რომ ორასი ათას ფრანკს გაინაღდებდა, — სულ ერთია, წარმოდგენილი მაქვს.

და თან ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მეც ასევე, — თქვა ინგლისელმა.

და მანაც თავის მხრივ სიცილი დაიწყო, მაგრამ ტუჩის კიდეებით, როგორც ინგლისელები იცინიან ხოლმე.

— მაშ ასე, — განაგრძო ინგლისელმა, რომელმაც პირველმა დაიბრუნა გულგრილობა, — ასე რომ, გაქცეული პატიმარი ფსკერისაკენ გაექანა.

— როგორც ისარი.

— და ციხესიმაგრე იფის უფროსმა ერთდროულად მოიცილა თავიდან შემლილიცა და შმაგიც.

— სწორედ ასეა.

— ამ შემთხვევაზე, ალბათ, შედგენილია აქტი? — ჰკითხა ინგლისელმა.

— დიახ, დიახ, გარდაცვალების აქტი. თქვენ ხომ ხვდებით. დანტესის ნათესავები, თუკი მას ჰყავს ისინი, დაინტერესებული უნდა იყვნენ, გაიგონ, ცოცხალია იგი თუ მკვდარი.

— ასე რომ, ისინი დამშვიდებული უნდა იყვნენ, თუ მის შემდეგ მემკვიდრეობას ელიან. მაშ, ის დაილუპა? ნამდვილად დაილუპა?

— ღმერთო ჩემო, რასაკვირველია. ნათესავებს მაშინვე შეუძლიათ მოწმობა მიიღონ, როგორც კი ამას მოითხოვენ.

— კარგი, ასე იყოს, — განაგრძო ინგლისელმა, — მაგრამ დავუბრუნდეთ პატიმართა სიებს.

— მართალი ბრძანებაა, ამ ამბავმა მე შორს გამიტაცა, ბოდიშს ვიხდი.

— ბოდიშს რისთვის იხდით? ამბის მოყოლისათვის? სრულებითაც არა. მე ეს მეტად საინტერესოდ მეჩვენა.

— მართლაც საინტერესოა. მაშ, თქვენ გინდათ ნახოთ ყველაფერი, რაც შეეხება თქვენს საწყალ აბატს; ის მართლაც უწყინარი მოხუცი იყო.

— ძალიან დამავალებთ.

— გავიდეთ ჩემს კანტორაში და იქ ყველაფერს გიჩვენებთ.

ორივენი ბატონ დე ბოვილის კანტორაში გავიდნენ.

ამ კანტორაში წესრიგი იყო დამყარებული: ყველა სიას თავისი ნომერი ჰქონდა, ყოველი საქმე თავის ადგილზე იდო. ინსპექტორმა ინგლისელს თავისი სავარძელი დაუთმო და ციხესიმაგრე იფის პატიმართა სიები და საქმეები მიაწოდა. მან საშუალება მისცა სტუმარს, თავისუფლად გაესინჯა ისინი, თვითონ კი კუთხეში მიჯდა და გაზეთების კითხვა დაიწყო.

ინგლისელმა ადვილად იპოვა საბუთები აბატ ფარიას შესახებ. მაგრამ როგორც ჩანდა, იგი ინსპექტორის მიერ მოყოლილმა ამბავმა ისე დააინტერესა, რომ ქაღალდების ფურცვლა განაგრძო მანამდე, სანამ ედმონდ დანტესის საქმემდე არ მივიდა. აქ ყველაფერი თავის რიგზე ნახა: დაბეზღების ბარათი, დაკითხვის ოქმი, მორელის თხოვნა პატიების შესახებ დე ვილფორის მინაწერით. მან ფრთხილად გადაკეცა დაბეზღების ბარათი და ჯიბეში ჩაიღო. წაიკითხა დაკითხვის ოქმი და ნახა, რომ სახელი ნუარტიე იქ

სულ არ იყო ნახსენები. თვალი გადაავლო 1815 წლის 10 აპრილით დათარიღებულ პატიების თხოვნას, რომელშიც ბატონი მორელი, პროკურორის თანაშემწის რჩევის თანახმად, რასაკვირველია, კარგი განზრახვით, რადგან მაშინ ტახტზე ნაპოლეონი იჯდა, აზვიადებდა დანტესის დამსახურებას იმპერიის წინაშე, რასაც ადასტურებდა ვილფორის მინაწერი. მაშინ ის ყველაფერს მიხვდა. ნაპოლეონის სახელზე დაწერილი პატიების თხოვნა მეორე რესტავრაციის დროს მრისხანე იარაღი გახდა მეფის პროკურორის ხელში. ამიტომ იგი აღარ გაკვირვებულა, როდესაც სიების გადაფურცვლის დროს წაიკითხა ქვემოთ მოყვანილი შენიშვნა:

ედმონდ დანტესი

საშიში ბონაპარტისტი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უზურპატორის ელბიდან დაბრუნების საქმეში. იყოლიეთ რაც შეიძლება ფარულად და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

ამ სტრიქონების ქვეშ იყო სხვა ხელწერა:

«არაფრის გაკეთება არ შეიძლება».

როდესაც ინგლისელმა შეადარა პატიმართა სიების ბოლოს დასმული შენიშვნა ბატონ მორელის პატიების ბარათზე მინაწერს, დარწმუნდა, რომ ეს ერთი და იგივე ხელწერა იყო, ესე იგი ვილფორის ხელი.

რაც შეეხება შენიშვნის შემდეგ გაკეთებულ მინაწერს, ინგლისელი მიხვდა, რომ ის ეკუთვნოდა ინსპექტორს, რომელმაც წუთიერი მონაწილეობა მიიღო დანტესის ბედში. მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა მკაცრმა მინაწერმა შესაძლებლობა აღარ მისცა, ბოლომდე მიეყვანა თავისი თანაგრძნობა.

როგორც უკვე ვთქვით, ბატონი დე ბოვილი, რათა მას ინგლისელისათვის ხელი არ შეეშალა ძიებაში, მოშორებით იჯდა და «თეთრ დროშას» კითხულობდა. ამიტომ არ დაუნახავს, როგორ გადაკეცა და ჩაიდო ჯიბეში ინგლისელმა «რეზერვის» ტალავარში დანგლარის მიერ დაწერილი დაბეზღების ბარათი, რომელსაც დარტყმული ჰქონდა მარსელის ფოსტის ბეჭედი, დამამტკიცებელი იმისა, რომ ის ყუთიდან ამოღებული იყო 27 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუნდაც დაენახა, არ შეამჩნევინებდა, რადგან ძალიან პატარა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ქაღალდს და დიდ მნიშვნელობას — თავის ორასი ათას ფრანკს; ამიტომ ინგლისელს ხელს არ შეუშლიდა, თუმცა მისი საქციელი ყოველგვარ წესებს არღვევდა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა ინგლისელმა და საქმეები ხმაურით დაკეცა, — მე ყველაფერი ვნახე, რაც მინდოდა; ახლა ჩემი რიგია, დაპირება შევასრულო; მომეცით უბრალო ხელწერილი, რომელშიც მოიხსენიებთ, რომ ჩემგან მთლიანად მიიღეთ ფული და მე მზად ვარ, ამ წუთშივე გადმოგიტვალოთ ეს თანხა.

და მან საწერ მაგიდასთან სავარძელში ადგილი დაუთმო ბატონ დე ბოვილს, რომელიც ყოველგვარი ცერემონიის გარეშე დაჯდა და სწრაფად დაწერა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ამასობაში ინგლისელი მაგიდის კუთხეში საბანკო ბილეთებს თვლიდა.

VIII

სავაჭრო სახლი მორელი

ის, ვინც ახლოს იცნობდა მორელის სავაჭრო სახლს, თუ მარსელს რამდენიმე წლით დატოვებდა და ჩვენ მიერ აღწერილ დროს ჩამოვიდოდა, მასში დიდ ცვლილებას შეამჩნევდა.

სიცოცხლის, დოვლათისა და ბედნიერების ნაცვლად, რითაც, ასე ვთქვათ, გამოირჩევა სვებედნიერი სავაჭრო სახლი; მხიარული სახეების ნაცვლად, ფანჯრებში ფარდებს უკან რომ გამოკრთებიან ხოლმე; ყურში კალმისტარგარჭობილი საქმიანი მოხელეების ნაცვლად, დერეფნებში რომ გარბი-გამორბიან; ყოველგვარ ფუთებით დაზვიინული ეზოს ნაცვლად, რომელსაც აყრუებს მზიდავთა ყვირილი და სიცილი, — ის პირველი შეხედვისთანავე შეამჩნევდა, რომ აქ სამარისებურ სიჩუმესა და მოწყენილობას დაესადგურებინა.

მრავალრიცხოვან მსახურთაგან, რომლებიც ოდესღაც დასახლებულიყვნენ კანტორებში, ახლა ამ დაცარიელებულ დერეფნებსა და ეზოში მხოლოდ ორნი დარჩენილიყვნენ. ერთი იყო ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ყმაწვილი კაცი — ემანუილ რაიმონდი, რომელსაც მორელის ქალიშვილი უყვარდა და, მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც არ მოშორებია აქაურობას, ხოლო მეორე — ხაზინადარის ყოფილი თანაშემწე, ცალი თვალით ელამი, კოკლესად¹ (¹ Cocles (ლათ.) — ცალთვალი; ძველი რომაელი გმირის ჰორაციუს კოკლესის მეტსახელი.) წოდებული. ეს ზედმეტი სახელი მას შეარქვეს ახალგაზრდებმა, რომლებიც ამ ვეებერთელა და ხმაურიან სკაში ფუტკრებივით ირეოდნენ. კოკლესი ისე შეესისხლხორცა ამ ზედმეტ სახელს, ნამდვილი სახელი რომ დაგემახათ, ალბათ, არ მოგხედავდათ.

კოკლესი მორელთან დარჩა სამსახურში. ამ პატიოსანი კაცის მდგომარეობაში მოხდა უცნაური ცვლილება. ის ერთსა და იმავე დროს ამაღლდა ხაზინადარის თანამდებობამდე და დავიდა მსახურის წოდებამდე.

მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც იგივე კოკლესი იყო — კეთილი, მომთმენი და ერთგული, მაგრამ მოუდრეკელი ყველაფერში, რაც შეეხებოდა არითმეტიკას. ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომლის გამოც მზად იყო მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ ამხედრებულიყო, თვით ბატონ მორელის წინააღმდეგაც კი. მას სწამდა მხოლოდ გამრავლების ტაბულა, რომელიც წყალივით ჰქონდა გაზეპირებული და, როგორადაც უნდა ცდილიყავით შეგეცდინათ, არაფერი გამოვიდოდა.

იმ საერთო მწუხარებაში, რომელმაც მოიცვა მორელის სახლი, მხოლოდ კოკლესი დარჩა შეუშფოთებელი. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ მისი ასეთი საქციელი გულცივობით იყო გამოწვეული. პირიქით, ეს იყო შეუდრეკელი რწმენის შედეგი. როგორც ვირთხები წინასწარ ტოვებენ ზღვაში დასალუპავად განწირულ გემს, რომელსაც ჯერ ღუზა არ აუხსნია, ასევე მოსამსახურეებისა და მოხელეების მთელი ბრბო, რომელთა არსებობაც დამოკიდებული იყო გემთმეპატრონის სავაჭრო ფირმაზე, როგორცა ვთქვით, ნელ-ნელა სტოვებდა კანტორებს და მაღაზიებს. კოკლესი ხედავდა, როგორ ეცლებოდა ფირმას ხალხი, მაგრამ არც კი დაფიქრებულა, რა იწვევდა ამ ამბავს. მისთვის ყველაფერი ციფრებამდე იყო დაყვანილი და, რადგან ოცი წლის განმავლობაში სულ იმის მოწმე იყო, რომ აქ შრომის ანაზღაურება შეუცვლელი სიზუსტით ხდებოდა, ამიტომ ვერც კი წარმოედგინა, ეს წესრიგი დარღვეულიყო და ხელფასის გადახდა შეჩერებულიყო, ისევე, როგორც მეწისქვილეს, რომლის წისქვილიც მოძრაობაში მოჰყავს დიდ მდინარეს, არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ეს მდინარე უცებ გაჩერდება. მართლაც, ჯერ არაფერს არ შეერყია კოკლესის რწმენა. მან უკანასკნელი ხელფასიც ზუსტად თავის დროზე მიიღო. კოკლესმა შეცდომა აღმოაჩინა სამოცდაათ სანტიმში, რომელიც ბატონ მორელს ზედმეტად გადმოეყოლებინა. მან იმავე დღეს წარუდგინა ეს ზედმეტი თანხა. ბატონმა მორელმა სევდიანი ღიმილით გამოართვა ფული და დაცარიელებულ სალაროში ჩაყარა.

— კარგი, კოკლეს, ხაზინადართა შორის თქვენ ყველაზე წესიერი ხართ.

კოკლესი მას მოსცილდა, ისეთი კმაყოფილი, რომ მეტი არ შეიძლებოდა, რადგან უპატროსნეს ადამიანად ცნობილი ბატონი მორელის ქება მისთვის უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე თხუთმეტი ეკიუ ჯილდო.

უკანასკნელი ხელფასის განაწილების შემდეგ, რომელმაც ასეთი წარმატებით ჩაიარა, ბატონი მორელისათვის დადგა მძიმე დღეები. რათა კრედიტორებისათვის ანგარიში გაესწორებინა. მან ყველა თავისი სახსარი, და იმის შიშით, მარსელში არ გავარდეს ხმა ჩემი გაღარიბების შესახებ, რადგან ასეთ უკიდურეს საშუალებას მივმართეო, თვითონ გაემგზავრა ბოკერის ბაზარზე. აქ მას უნდოდა გაეყიდა ზოგიერთი სამკაული, ცოლისა და ქალიშვილის საკუთრება, და, ნაწილობრივ, თავისი ვერცხლის ჭურჭელი. ასეთი მსხვერპლის გაღების გამო, ამჯერად საქმემ კეთილად ჩაიარა და მორელის სავაჭრო სახლმა სირცხვილი არ ჭამა. მაგრამ საღარო სულ დაცარიელდა. ხალხის ლაყობით შეშინებულმა კრედიტმა, ჩვეული ეგოიზმით, მორელის საღაროს ზურგი შეაქცია და რათა მიმდინარე თვის თხუთმეტში მორელს ბატონი ბოვილისათვის ასი ათასი ფრანკი გადაეხადა, ხოლო ასი ათასიც კიდევ მომდევნო თვის თხუთმეტში, მას მხოლოდ «ფარაონის» დაბრუნების იმედი უნდა ჰქონოდა. ამ გემის კალკუტიდან გამოსვლის შესახებ ცნობა მოეტანა მეორე გემს, რომელსაც მასთან ერთად აეხსნა ღუზა, მაგრამ თვით «ფარაონი» ჯერ არ ჩანდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც ბატონ ბოვილთან საუბრის მეორე დღეს სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» მთავარი რწმუნებული მორელთან მივიდა.

იგი ემანუელმა მიიღო. ამ ახალგაზრდა კაცს აშინებდა ყოველი ახალი სახის დანახვა, რადგან იგი ნიშნავდა ხალხში გავრცელებული ხმით შემფოთებულ კრედიტორს, რომელიც ფირმის უფროსთან ცნობების მისაღებად იყო მოსული. ამიტომ შეეცადა, ბატონი მორელისათვის აეცილებინა ეს არასასიამოვნო შეხვედრა და უცხოელს თვითონ დაუწყო გამოკითხვა. მაგრამ ამ უკანასკნელმა უთხრა, მე არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი და ჩემი სურვილია, პირადად ბატონ მორელს ვესაუბროო.

ემანუელმა ამოიოხრა და კოკლესს დაუძახა. კოკლესი გამოცხადდა და ახალგაზრდა კაცმა უთხრა, უცნობი ბატონ მორელთან წაეყვანა.

კოკლესი წინ მიდიოდა, უცხოელი უკან მიჰყვებოდა.

კიბეზე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ლამაზი ქალიშვილი შემოხვდათ, რომელმაც უცხოელს შემფოთებით შეხედა.

კოკლესმა ვერ შეამჩნია მისი სახის ეს გამომეტყველება, მაგრამ, როგორც ჩანს, უცხოელს არ გამოჰპარვია იგი.

— მადმუაზელ ჟიული, ბატონი მორელი თავის კაბინეტშია? — ჰკითხა ხაზინადარმა.

— დიახ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, — უთხრა ჟიულიმ ყოყმანით. — წადით, ნახეთ, კოკლეს, და თუ მამაჩემი იქ არის, მოახსენეთ ბატონის მობრძანება.

— ჩემი მოსვლა რომ მოახსენონ, ეს უმედეგო იქნება, მადმუაზელ, — უპასუხა ინგლისელმა, — ბატონმა მორელმა არ იცის ჩემი გვარი; ამ კეთილმა კაცმა საკმარისია უთხრას, რომ მე სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» მთავარი რწმუნებული ვარ, რომელთანაც მამათქვენის სავაჭრო სახლს ურთიერთობა აქვს.

ქალიშვილი გაფითრდა და დაბლა ჩავიდა. უცხოელი და კოკლესი ამ დროს მაღლა ადიოდნენ.

ჟიული შევიდა იმ ოთახში, რომელიც ემანუელს ეკავა; კოკლესმა კი გასაღების დახმარებით, რომელიც მას თან ჰქონდა, რაც იმას ამტკიცებდა, რომ პატრონთან თავისუფლად შესვლის უფლება ჰქონდა, გამოაღო მესამე სართულის დერეფნის კუთხის კარი, უცნობი მოსაცდელ ოთახში შეიყვანა, შემდეგ კიდევ ერთი კარი გამოაღო, მიხურა

და «ტომსონ და ფრენჩის» წარმომადგენელი ერთი წუთით მარტო დატოვა. კოკლესი მალე ისევ გამოჩნდა და უცხოელს ანიშნა, შეგიძლიათ შემობრძანდეთო.

ინგლისელი კაბინეტში შევიდა; ბატონი მორელი საწერ მაგიდას უჯდა. იგი შიშისაგან გაფითრებული დასცქეროდა თავის პასივის სვეტებს.

უცხოელის დანახვაზე მორელი წამოდგა, საანგარიშო წიგნი დაკეცა და სტუმარს სკამი მიაწოდა; შემდეგ, როდესაც უცხოელი დაჯდა, თვითონ სავარძელში ჩაეშვა.

თოთხმეტი წლის განმავლობაში ეს ღირსეული ნეგოციანტი ძალიან შეცვლილიყო; როდესაც ჩვენ ამ ამბის მოთხრობა დავიწყეთ, ის ოცდათექვსმეტი წლისა გახლდათ, ახლა საცაა ორმოცდაათი შეუსრულდებოდა, თმაში ჭადარა გარეოდა, დარდას და ფიქრს შუბლი დაედარა. მზერა, წინათ მტკიცე და გამბედავი, ახლა უსიცოცხლო და გაუბედავი გახდომოდა, თითქოს ეშინოდა, რაიმე აზრზე ან ვინმეს სახეზე შეჩერებულიყო.

ინგლისელი მას ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა, რომელსაც არც თანაგრძნობა აკლდა.

— ბატონო ჩემო, — თქვა ბატონმა მორელმა, რომელსაც უცხოელის ჩამტერებული მზერა შეშფოთებას უორკეცებდა, — თქვენ ჩემთან მოლაპარაკება გნებავთ?

— დიახ, ბატონო. თქვენთვის, ვგონებ, ცნობილია, ვისი სახელითაც ვარ მოსული?

— სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» სახელით; ჩემმა ხაზინადარმა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრა.

— მართლსა ბრძანებთ, ბატონო. სავაჭრო სახლს «ტომსონ და ფრენჩის» ამ უახლოეს ორ თვეში საფრანგეთში გადასახდელი აქვს სამასიდან ოთხასი ათას ფრანკამდე. იცის რა თქვენი მკაცრი სიზუსტე ვალების გადახდის საქმეში, მე ჩამაბარა ყველა თქვენი ხელმოწერილი თამასუქი, რომლის შეგროვებასაც კი შევძლებ და დამავალა, ვადის დადგომის მიხედვით თქვენგან აღნიშნული თანხები მივიღო და გამოვიყენო.

მორელმა მძიმედ ამოიოხრა, ხელი ოფლით დაფარულ შუბლზე მოისვა.

— მაშასადამე, თქვენ გაქვთ ჩემ მიერ ხელმოწერილი თამასუქები? — ჰკითხა მორელმა.

— დიახ, და საკმაოდ დიდ თანხაზედაც.

— რამდენია ეს თანხა? — იკითხა მორელმა, რომელიც ცდილობდა, ხმა არ აჰკანკალებოდა.

— ჯერ ერთი, — უთხრა ინგლისელმა და ჯიბიდან ქაღალდების შეკვრა ამოიღო, — აი, ხელწერილი ორასი ათას ფრანკზე, რომელიც ჩვენს სავაჭრო სახლს ბატონმა ბოვილმა, სატუსაღოების ინსპექტორმა, გადმოსცა. თქვენ სცნობთ ამ ვალდებულებას ბატონი ბოვილის მიმართ?

— დიახ, მან ეს თანხა შემოიტანა ოთხ-ნახევარი პროცენტით ხუთი წლის წინათ.

— და თქვენ მას უნდა დაუბრუნოთ...

— ერთი ნახევარი ამ თვის თხუთმეტში, ხოლო მეორე — მომავალი თვის თხუთმეტში.

— მართალი ბრძანდებით. აი, კიდევ თამასუქი ოცდათორმეტ ათას ხუთას ფრანკზე, რომელსაც ვადა გაუდის ამ თვის ბოლოს. თქვენ ხელს აწერთ მათ და ისინი ჩვენ გადმოგვეცა მესამე პირის მიერ.

— მე მათ ვცნობ, — უთხრა მორელმა და იმის გაფიქრებაზე, რომ იქნებ ჩემს სიცოცხლეში პირველად ვერ შევძლო თამასუქებში აღნიშნულ ვადებში ვალის გადახდაო, წამოწითლდა. — სულ ეს არის?

— არა, ბატონო; მე მაქვს თამასუქები, რომლებსაც ვადა გაუდით მომავალი თვის ბოლოს, ჩვენ ისინი გადმოგვეცეს სავაჭრო სახლებმა «პასკალმა», «უაილდმა და ტერნერმა», დაახლოებით, ორმოცდათხუთმეტი ათას ფრანკამდე; სულ შეადგენს ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთას ფრანკს.

შეუძლებელია იმის აღწერა, რას განიცდიდა ამ ანგარიშის დროს ბატონი მორელი.

— ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი ფრანკი, — გაიმეორა მექანიკურად.

— დიახ, — უპასუხა ინგლისელმა; — თუმცა, — განაგრძო მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატივს ვცემთ თქვენს პატიოსნებას, რომელიც აქამდე არაფრით შელახულა, არ დაგიმაღავთ, ბატონო მორელ, მარსელში ხმები დადის, რომ თქვენ ვეღარ შეძლებთ ვალების გადახდას.

ასეთ, თითქმის უხეშ განცხადებაზე, მორელს მიწისფერი დაედო.

— ბატონო ჩემო. — თქვა მან, — უკვე ოცდაოთხ წელზე მეტი გავიდა, რაც მე მამაჩემმა გადმომცა სავაჭრო სახლი, რომელსაც ის სათავეში ედგა ოთდათხუთმეტი წლის განმავლობაში; დღემდე ჩვენს სალაროში არ წარმოდგენილა არც ერთი ვალდებულება «მორელი და ვაჟიშვილის» ხელმოწერით, რომელიც გადაუხდელი დარჩენილიყო.

— დიახ, ეს მე ვიცი, — უპასუხა ინგლისელმა, — მაგრამ მოდი გულახდილად ვილაპარაკოთ, ისე, როგორც ეს პატიოსან ადამიანებს შეეფერებათ. შეგიძლიათ თქვენ ეს ვალდებულებებიც ასეთივე სიზუსტით გადაიხადოთ?

მორელი შეკრთა, მაგრამ თვალი გაუსწორა მოსაუბრეს, რომელიც მას ასე მტკიცე ტონით ელაპარაკებოდა.

— ასე გულახდილად დასმულ კითხვას, — თქვა მან, — გულახდილად უნდა ვუპასუხო. დიახ, ბატონო, მე შემემლება მათი გადახდა, თუ გამიმართლდა იმედი და ჩემი გემი ბედნიერად დაბრუნდა, რადგან მისი მოსვლა დამიბრუნებს ნდობას, რომელიც დამაკარგვინა რამდენიმე შემთხვევითმა მარცხმა, მაგრამ, თუ, საუბედუროდ, «ფარაონი», ჩემი უკანასკნელი იმედი მიმტყუნებს...

უბედურ მორელს თვალებში ცრემლები მოადგა.

— მაშ ასე, — უთხრა ინგლისელმა, — მაგრამ თუ ამ უკანასკნელმა იმედმა გიმტყუნათ?..

— მაშინ, — განაგრძო მორელმა, — მეტად ძნელია სათქმელად... მაგრამ მიჩვეული ვარ უბედურებას, უნდა შევეჩვიო სახელის გატეხასაც. მაშინ, ალბათ, იძულებული ვიქნები შევაჩერო ვალების გადახდა.

— განა არა გყავთ მეგობრები, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში დახმარებას გაგიწევენ?

მორელმა სევდიანად გაიღიმა.

— საქმეში, ბატონო, არ არსებობენ მეგობრები; ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ; არიან მხოლოდ კორესპონდენტები.

— ეს მართალია, — ჩაიჩურჩულა ინგლისელმა, — მაშ, თქვენ მხოლოდ იმედი და დაგრჩენიათ?

— მხოლოდ იმედი.

— უკანასკნელი?

— უკანასკნელი.

— და თუ ეს იმედი გიმტყუნებთ?

— მე დავიღუპე, საბოლოოდ დავიღუპე.

— როდესაც თქვენთან მოვდიოდი, რომელიღაც გემი ნავსადგურში შემოდიოდა.

— ვიცი, ბატონო: ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც ამ ჩემს უბედურებაშიც ერთგულად მემსახურება, მთელ დღეს ბელვედერზე ატარებს, მაღალი სახლის სახურავზე, იმ იმედით, რომ პირველი მომიტანს სასიხარულო ამბავს. მე მისგან ვიცი, რომ ნავსადგურში გემი შემოვიდა.

— ეს თქვენი გემი არ არის?

— არა, ეს არის «ჟირონდა» — გემი ბორდოდან. ისიც ინდოეთიდან მოდის, მაგრამ ჩემი არაა.

— შეიძლება, მან იცის, სადაა «ფარაონი», და რაიმე ცნობა ჩამოგიტანათ მის შესახებ.

— გამოგიტყდეთ? ბატონო ჩემო, მე ისევე მაშინებს რაიმე ამბის გაგება ჩემს სამანძიან გემზე, როგორც ცნობის უქონლობა. როცა არაფერი იცი, რაც უნდა იყოს, მაინც იმედი გაქვს.

შემდეგ მორელმა ყრუ ხმით დასძინა:

— ასეთი დაგვიანება გაუგებარია: «ფარაონი» კალკუტიდან გამოვიდა ხუთ თებერვალს და ერთი თვის წინაც უკვე აქ უნდა ყოფილიყო.

— ეს რა ამბავია, — თქვა ინგლისელმა და ყურები ცქციტა, — საიდან მოდის ეს ხმაური?

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა გაფითრებულმა მორელმა, — ნეტავი კიდევ რა მოხდა?

მართლაც, კიბიდან მოისმა დიდი ხმაური; ხალხი გარბოდა და გამორბოდა; გაისმა აგრეთვე ვიღაცის კვნესა.

მორელი წამოდგა, რათა კარი გამოეღო, მაგრამ ძალამ უმტყუნა და სავარძელში ჩაეშვა.

ეს ორი კაცი ერთმანეთის პირისპირ დარჩა, მორელი მთელი სხეულით კანკალებდა. უცნობი მას ღრმა სიბრაღის გრძნობით შეჰყურებდა. ხმაური შეწყდა, მაგრამ მორელი, ეტყობოდა, რაღაცას უცდიდა. ამ ხმაურს თავისი მიზეზი ჰქონდა და შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

უცნობს მოეჩვენა, რომ კიბეზე ვიღაცა ნელი ნაბიჯებით ამოვიდა, ხოლო დაბლა რამდენიმე კაცი დარჩა.

შემდეგ მან გაიგონა, რომ მოსაცდელი ოთახის კარში გასაღები გადაატრიალეს.

— მხოლოდ ორ ადამიანს აქვს ამ კარის გასაღები — კოკლესს და ჟიულის, — ჩაილაპარაკა მორელმა.

იმავე წუთში გაიღო მეორე კარი და ზღურბლზე გამოჩნდა გაფითრებული და თვალცრემლიანი ჟიული.

მთელი ტანით აცახცახებული მორელი წამოდგა და სავარძლის სახელურებს დაეყრდნო, რომ არ დაცემულიყო.

— მამაჩემო, — თქვა ქალიშვილმა და ხელები გულმკერდზე გადაიჭდო მუდარის ნიშნად, — აპატიეთ თქვენს შვილს, რომ ცუდი ამბავი უნდა გაუწყობთ.

მორელს მკვდრის ფერი დაედო. ჟიული მამას მკლავებში ჩაუვარდა.

— მამაჩემო, მამაჩემო! სიმხნევის გამოჩენა გმართებთ!

— «ფარაონი» დაიღუპა? — იკითხა მორელმა.

— გადარჩენილია, — უთხრა ჟიულიმ, — იგი გადაარჩინა ბორდოს გემმა, რომელიც ეს-ესაა ნავსადგურში შემოვიდა.

მორელმა ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და მის სახეზე მორჩილებისა და უდიდესი მადლობის გრძნობა გამოიხატა.

— გმადლობ, უფალო! — თქვა მან, — შენ მხოლოდ მარტო მე გამაუბედურე!

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი გულგრილი კაცი ჩანდა, წამწამებზე ცრემლები მაინც გადმოეკიდა.

— შემოდით, — თქვა მორელმა, — შემოდით, მე ვგრძნობ, რომ ყველანი კარს უკანა ხართ.

ის იყო წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ქვითინით შემოვიდა ქალბატონი მორელი, მას უკან მოჰყვა ემანუელი; მოსაცდელი ოთახის სიღრმეში მოჩანდა შვიდი თუ რვა მეზღვაურის მკაცრი სახე, ისინი ნახევრად შიმშლები იყვნენ. ამ ადამიანების დანახვაზე

ინგლისელი შეკრთა; ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, თითქოს უნდოდა მიჰგებებოდა, მაგრამ თავი შეიკავა და, პირიქით, კაბინეტის ყველაზე შორეულ და ბნელ კუთხეში მიდგა.

ქალბატონი მორელი სავარძელში ჩაჯდა და ქმრის ხელი თავის ხელებში დაიჭირა; ჟიული ისევ მამის მკერდზე იყო მიყრდნობილი. ემანუელი ოთახის შუაგულში დარჩა, თითქოს შემაკავშირებელი რგოლი იყო მორელის ოჯახსა და კარებთან შეჯგუფებულ მეზღვაურებს შორის.

— როგორ მოხდა ეს ამბავი? — იკითხა მორელმა.

— მიუახლოვდით, პენელონ, — უთხრა ემანუელმა, — და მოყევით.

ძველმა მეზღვაურმა, რომელიც ტროპიკულ მზეზე ბრინჯაოსფრად გამავებულიყო, წინ წამოიწია. იგი ხელში ქუდს ატრიალებდა.

— გამარჯობათ, ბატონო მორელ, — თქვა მან ისე, თითქოს გუშინ გასულიყო მარსელიდან და ექსიდან ან ტულონიდან დაბრუნებულიყო.

— გამარჯობათ, ჩემო მეგობარო, — უთხრა გემთმეპატრონემ ცრემლნარევი ღიმილით. — კი მაგრამ, კაპიტანი სად არის.

— კაპიტანი, ბატონო მორელ, ავად გახდა და პალმაში დარჩა. მაგრამ, ღვთის წყალობით, მალე გამოძივინდება და რამდენიმე დღეში ისევე ჯანმრთელი იქნება, როგორც მე და თქვენა ვართ.

— კარგი... ახლა გვიამბეთ, პენელონ, — უთხრა ბატონმა მორელმა.

პენელონმა საღეჭი თამბაქო მარჯვენა ყბიდან მარცხენაში გადაიტანა, პირზე ხელი აიფარა და მოსაცდელ ოთახში მოშავო ნერწყვი გადააფურთხა. შემდეგ ფეხი წინ წადგა და ტორტმანით დაიწყო:

— აი რა, ბატონო მორელ. მთელი ერთი კვირის მშვიდობიანი მოგზაურობის შემდეგ ბლანკოს კონცხსა და ბოიადორის კონცხს შუა აღმოვჩნდით; სამხრეთ-დასავლეთის ნელი ქარი ქროდა. უცებ მომიახლოვდა კაპიტანი გომარი (უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ დროს საჭესთან ვიყავი) და მითხრა:

«— ძია პენელონ, რას ფიქრობთ იმ ღრუბლებზე, აგერ იქით, ჰორიზონტზე რომ გამოჩნდა?»

მეც იმ წუთში სწორედ მათ ვუყურებდი.

«— რას ფიქრობ, კაპიტანო? მე მგონი, ესენი უფრო სწრაფად ფარავენ ცას, ვიდრე საჭიროა და უფრო შავები არიან, ვიდრე იმ ღრუბლებს შეეფერებათ, რომელნიც ცუდს არაფერს გვიქადიან».

«— მეც ასეთივე შეხედულებისა ვარ, — მითხრა კაპიტანმა, — ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩვენ ამ ქარისთვის, რომელიც ახლა უბერავს, ზედმეტი აფრები გვაქვს აშვებული... ეი, თქვენ! ბომ-ბრამსელი და ბომ-კლივერი ჩამოხსენით!»

ეს სწორედ დროზე მოხდა: ვერც კი მოასწრეს ბრძანების შესრულება, რომ ქარმა დაიგრილა და გემმა დაგვერდელავება დაიწყო.

«— კიდევ მეტია აფრები, — თქვა კაპიტანმა. — ჩამოხსენით დიდი იალქანი».

ხუთი წუთის შემდეგ დიდი იალქანი ჩამოხსნილი იყო და ჩვენ მივდიოდით ფოკით, მარსელებით და ბრამსელებით.

«— აბა, რა მოხდა, ძია პენელონ, — მითხრა კაპიტანმა, — თავს რას იქნევთ?»

«— თქვენს ადგილზე მე კიდევ ჩამოვხსნიდი აფრებს».

«— მე მგონი, მართალი ხარ, მოხუცო, — თქვა მან, — ქარტეხილია მოსალოდნელი».

«— იცით რა, კაპიტანო, — ვუპასუხე მე, — თუკი რამე გამეგება, სანამღეოს დავდებ, რომ ეს საკმაოდ ძლიერი ქარია».

«— უნდა მოგახსენოთ, ბატონო მორელ, რომ ქარი ისე გვცემდა, როგორც მტვერი შარაგზაზე. საბედნიეროდ, ჩვენმა კაპიტანმა იცის თავისი საქმე».

«— აიღეთ ორი რიფი მარსელებიდან! — დაიყვირა კაპიტანმა, — მოუშვით ბულონებს, ბრასით ქარისაკენ, ძირს მარსელები, ასწიეთ ბლოკები რეებზე».

— ეს არ არის საკმარისი ამ განედებზე, — თქვა უეცრად ინგლისელმა, — მე ავიღებდი ოთხ რიფს და მოვაშორებდი ფოკს.

ამ მტკიცე და ჟღერადმა ხმამ ყველა შეაკრთო. პენელონმა თვალები მოიჩრდილა და გახედა იმ კაცს, ვინც მათი კაპიტანის ბრძანებებზე თამამად მსჯელობდა.

— ჩვენ გავაკეთეთ უფრო მეტი, ბატონო, — თქვა ძველმა მეზღვაურმა ერთგვარი პატივისცემით, — ჩვენ იალქნები დავუშვით და მოვუხვიეთ ფორდევინდით, რომ გრიგალს გავყოლოდით. ათი წუთის შემდეგ მარსელიც მოვხსენით და მარტოოდენ გემსართავით წავედით.

— გემი ძალიან ძველი იყო, რომ ასე ალაღბედზე წასულიყავით. — თქვა ინგლისელმა.

— აი, სწორედ ამან დაგვღუპა. თერთმეტი საათის იქით-აქეთ მიხეთქებ-მოხეთქების შემდეგ, რაც ემბაკსაც კი თმას ყალფზე დაუყენებდა, წყალმა იხუვლა.

«— პენელონ, — მითხრა კაპიტანმა, — მგონი, ვიძირებით; მომეცით საჭე, მოხუცო, და წადით ტრიუმში».

— მე გადავეცი საჭე და დაბლა ჩავედი. იქ უკვე სამი ფუტი წყალი იყო; მაშინვე გემბანზე ამოვვარდი ყვირილით: — «ამოქაჩეთ, ამოქაჩეთ!» — მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. შეუდგნენ მუშაობას; რამდენსაც მეტს ქაჩავდნენ, მით უფრო მეტი წყალი შემოდოდა.

«— ოთხი საათის მუშაობის შემდეგ მე ვთქვი: — რახან ვიძირებით, დე ჩავიძიროთ, კაცი ერთხელ უნდა მოკვდეს-მეთქი».

«— ეს შენ უჩვენებ ასეთ მაგალითს, ბიძია პენელონ? დამაცადე, დამაცადე!» — თქვა კაპიტანმა.

ის წავიდა თავის კაიუტაში და დამზაჩა მოიტანა.

«— იმას, ვინც პირველი დატოვებს ტუმბოს, — თქვა მან, — ტვინს გავუხვრეტ».

— მართალია, — თქვა ინგლისელმა.

— არაფერი ისე არ გვმატებს მხნეობას, როგორც ჭკვიანური სიტყვა, — განაგრძო მეზღვაურმა, — მით უმეტეს, რომ გამოიდარა და ქარიც ჩადგა; მართალია, წყალი თანდათან მატულობდა, მაგრამ არც ისე ძალიან, საათში შეიძლება ორ გოჯს, მაგრამ მაინც მატულობდა.

— ორი გოჯი საათში თითქოს არაფერია, მაგრამ თორმეტ საათში ის შეადგენს ოცდაოთხ გოჯს, ხოლო ოცდაოთხი გოჯი ორი ფუტია. თუ ორ ფუტს სამს წინანდელს მივუმატებთ, სულ ხუთი გამოვა, ხოლო როდესაც გემს მუცელში ხუთი ფუტი წყალი ასხია, შეიძლება ითქვას, რომ მას წყალმანკი აქვს.

«— კმარა, — თქვა კაპიტანმა, — ბატონი მორელი ვერაფერს გვისაყვედურებს. რაც კი შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ გემის გადასარჩენად. ახლა საჭიროა ხალხის გადარჩენა. ჩაუშვით ნავი, ყმაწვილებო, რაც შეიძლება ჩქარა».

— მისმინეთ, ბატონო მორელ, — განაგრძო პენელონმა, — ჩვენ ძალიან გვიყვარდა «ფარაონი», მაგრამ რაც უნდა უყვარდეს თავისი გემი მეზღვაურს, საკუთარი თავი უფრო მეტად უყვარს. ამიტომ აღარ გავამეორებინეთ ბრძანება; გარდა ამისა, გემი ისე საცოდავად ჭრიალებდა, თითქოს გვეუბნებოდა: «წადით, რაღას უცდით, წადითო!» და საწყალი «ფარაონი» არ სტყუოდა. ჩვენ ვგრძნობდით, როგორ იძირებოდა იგი ჩვენს ფეხქვეშ. ერთი სიტყვით, ზღვაში მყისვე ჩავუშვით ნავი და რვავე შიგ მოვთავსდით.

კაპიტანი ყველაზე ბოლოს ჩამოვიდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ის არ ჩამოსულა, რადგან არ უნდოდა გემის დატოვება; მე ვტაცე ხელი და ამხანაგებისაკენ გადავისროლე, ხოლო შემდეგ თვითონაც ვისკუპე. სწორედ დროზე მოვასწარი, გადავხტი თუ არა,

გემბანი ისეთი ხმაურით გასკდა, ასე გეგონებოდათ, ორმოცდარვა ზარბაზნიდან გაისროლესო.

ათი წუთის შემდეგ მან ცხვირით ჩაყვინთა, შემდეგ კიჩოთი. შემდეგ დაიწყო ერთ ადგილზე ტრიალი, როგორც ძაღვმა იცის ხოლმე, რომელიც თავის კუდს ეთამაშება; მერე მშვიდობით! გრრრ... და ყველაფერი გათავდა. «ფარაონი» უკვე აღარ იყო.

ჩვენ სამი დღის განმავლობაში მშვიერ-მწყურვალნი ვეყარეთ; იქამდისაც კი მივედით, რომ ლაპარაკი დავიწყეთ, წილი ხომ არ უნდა ვყაროთ, ვის ერგოს ამხანაგების გამოკვებაო, რომ უცებ დავინახეთ «ჟირონდა»; მივეცი თნიშანი, მან შეგვამჩნია, ჩვენკენ შემობრუნდა, კანჯო გამოგვიგზავნა და წაგვიყვანა. აი, როგორი იყო საქმის ვითარება, ბატონო მორელ, ენდეთ მეზღვაურის პატიოსან სიტყვას! ხომ ასე იყო, მეგობრებო? — მიუბრუნდა იგი დანარჩენ მეზღვაურებს.

თანხმობის ჩურჩულმა დაამტკიცა, რომ ძველმა მეზღვაურმა ამბის სწორი გადმოცემით და მისი სურათოვანი აღწერით საერთო მოწონება დაიმსახურა.

— კარგი, ჩემო მეგობარო, — თქვა ბატონმა მორელმა, — თქვენ ყოჩალი ყმაწვილები ხართ, და მე წინასწარ ვიცოდი, რომ ჩვენს თავს დამტყდარ უბედურებაში დამნაშავეა მხოლოდ ჩვენი ბედი. ეს ღვთის განგებაა და არა ადამიანთა დანაშაული. მაშ, დავემორჩილოთ ღვთის განგებას. ახლა მითხარით, რამდენი გერგებათ ხელფასი?

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, ბატონო მორელ.

— პირიქით, ამაზე ვილაპარაკოთ, — თქვა ბატონმა მორელმა სევდიანი ღიმილით.

— კარგი, ჩვენ სამი თვის ხელფასი გვეკუთვნის... — უპასუხა პენელონმა.

— კოკლეს, გადაუხადეთ თითოეულ ამ მამაც ადამიანს ორას-ორასი ფრანკი. სხვა დროს, — განაგრძო ბატონმა მორელმა, — მე ვიტყვოდი: მიეცი მათ ორას-ორასი ფრანკი ჯილდო-მეთქი; მაგრამ ახლა ცუდი დროა, ჩემო მეგობრებო, და გროშები, რომლებიც მე დამრჩა, ჩემს საკუთრებას აღარ შეადგენს. ამიტომ მაპატიეთ და ნუ გამკიცხავთ.

პენელონს სახე საცოდავად დაეღრიჯა, იგი ამხანაგებთან მივიდა, ორიოდ სიტყვა უთხრეს ერთმანეთს, რის შემდეგაც ისევ ბატონ მორელს მიუბრუნდა:

— მაშ ასე, ბატონო მორელ, — უთხრა მან, თან საღეჭ თამბაქოს ადგილი ისევ გადაუნაცვლა და წინანდებურად მოსაცდელი ოთახისაკენ გადააფურთხა.

— რა?..

— ფული...

— მერე რა? — აი, ამხანაგები ამბობენ, ბატონო მორელ, ჯერჯერობით ორმოცდაათ-ორმოცდაათი ფრანკი გვეყოფა და დანარჩენს დავიცდითო.

— გმადლობთ, ჩემო მეგობრებო, გმადლობთ! — უთხრა მორელმა, რომელსაც გულის სიღრმემდე ჩასწვდა მათი ასეთი საქციელი. — თქვენ ყველანი კეთილი ადამიანები ხართ; მაგრამ ფული მაინც აიღეთ. და თუ ახალ სამსახურს იშოვით, დაიწყეთ, თქვენ თავისუფლები ბრძანდებით.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მეზღვაურებზე განსაცვიფრებელი გავლენა მოახდინა. მათ შეშინებულებმა გადახედეს ერთმანეთს. პენელონს სული შეეხუთა, და კინაღამ გადაყლაპა თავისი საღეჭი თამბაქო. საბედნიეროდ, დროზე იტაცა ყელში ხელი.

— როგორ, ბატონო მორელ? — ჰკითხა მან ყრუ ხმით, — გვითხოვთ? მაშ, ჩვენით კმაყოფილი არა ბრძანდებით?

— არა, ჩემო მეგობრებო, — უთხრა მორელმა, — მე თქვენ როდი გემდურებით, პირიქით, არც გითხოვთ. მაგრამ რა ვქნა? სხვა გემი აღარა მყავს და მეზღვაურებიც აღარ მჭირდება.

— როგორ, თქვენ სხვა გემი აღარ გყავთ? — თქვა პენელონმა, — მაშ, გვიბრძანეთ და ახალს ავაშენებთ; ჩვენ მოვიცდით. მადლობა ღმერთს, მიჩვეულები ვართ მძიმე ცხოვრებას.

— მე უკვე აღარა მაქვს გემის ასაშენებელი ფული, პენელონ, — უთხრა მორელმა სევდიანი ღიმილით, — და არ შემიძლია მივიღო თქვენი წინადადება, როგორი თავაზიანიც უნდა იყოს იგი ჩემთვის.

— კარგი, თუ ფული არა გაქვთ, მაშინ საჭირო არ არის ხელფასი დაგვირიგოთ. ჩვენც უიალქნებოდ დავრჩებით საბრალო «ფარაონივით».

— კმარა, კმარა, ჩემო მეგობრებო, — უთხრა მორელმა, რომელიც აღელვებისაგან სულს ვერ ითქვამდა, — გთხოვთ, წახვიდეთ. ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით უკეთეს დროს. ემანუელ, — დასძინა მორელმა, — გააცილეთ ესენი, და თვალყური გეჭიროთ, რომ ჩემი სურვილი ზუსტად შესრულდეს.

— მაგრამ ჩვენ ერთმანეთს არ ვემშვიდობებით, ბატონო მორელ; გეტყვით მხოლოდ «ნახვამდის», კარგი? — უთხრა პენელონმა.

— დიახ, ჩემო მეგობრებო, იმედი მაქვს, რომ ასე იქნება. წადით!

მორელმა კოკლესს ანიშნა, წინ გაუძეხიო. მეზღვაურები უკან მიჰყვნენ ხაზინადარს, ემანუელი ყველაზე ბოლოს გავიდა.

— ახლა კი, — უთხრა მორელმა ცოლს და ქალიშვილს, — ერთი წუთით დამტოვეთ; მე ამ ბატონთან მოსალაპარაკებელი მაქვს, — და მან თვალებით ანიშნა «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის რწმუნებულზე, რომელიც მთელი ამ სურათის დროს უძრავად იდგა კუთხეში და ზემომოყვანილი რამდენიმე შეკითხვით თუ იღებდა მონაწილეობას. ქალებმა შეხედეს უცხოელს, რომლის არსებობაც მათ სულ დავიწყებოდათ და კაბინეტიდან გავიდნენ. მაგრამ ჟიული კარებში გასვლის დროს შემოტრიალდა და უცნობს მგრძობიარე, შესაბრალისი თვალებით შეხედა, რაზედაც ამ უკანასკნელმა ღიმილით უპასუხა: ეს ღიმილი გულგრილ დამკვირვებელში გაკვირვებას გამოიწვევდა. მამაკაცები მარტონი დარჩნენ.

— აი, — უთხრა მორელმა და სავარძელში ჩაეშვა, — თქვენ ყველაფერი დაინახეთ, ყველაფერი გაიგონეთ, მე აღარაფერი მრჩება სათქმელი.

— მე დავინახე, ბატონო ჩემო, — უთხრა ინგლისელმა, — რომ თქვენ თავს დაგატყდათ კიდეც ერთი უბედურება, ისევე დაუმსახურებელი, როგორც წინანდელი, ამან კიდეც უფრო განამტკიცა ჩემში სურვილი, რამეში გამოგადგეთ.

— ოჰ, ბატონო ჩემო! — უთხრა მორელმა.

— მისმინეთ, — განაგრძო უცხოელმა, — მე თქვენი ერთ-ერთი მთავარი კრედიტორი ვარ. ასეა, არა?

— ყოველ შემთხვევაში, თქვენ გაქვთ თამასუქები, რომლებსაც ვადები ყველაზე ადრე გაუდის.

— თქვენ გნებავთ, ვადა გადავწიოთ?

— ამას შეეძლო ეხსნა ჩემი სახელი და, მაშასადამე, სიცოცხლეც.

— რამდენი დრო დაგჭირდებათ?

— მორელი ჩაფიქრდა.

— ორი თვე, — უთხრა მან.

— კარგი, — უპასუხა უცხოელმა, — მე გაძლევთ სამ თვეს.

— მაგრამ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სავაჭრო სახლი «ტომსონ და ფრენჩი»...

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — ყველაფერს ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ ვიღებ. დღეს ხუთი ივნისია, არა?

— დიახ.

— აი რა, ყველა ეს თამასუქი გადამიწერეთ ხუთი სექტემბრის თარიღით და ხუთ სექტემბერს დილის თერთმეტ საათზე (კედლის საათის ისარი ზუსტად თერთმეტზე იდგა) მე თქვენთან გამოვცხადდები.

— მე დაგელოდებით, — უთხრა მორელმა, — და თქვენ ან ფულს მიიღებთ, ან ცოცხალს აღარ მიხილავთ.

ბოლო სიტყვები ისე ჩუმად იყო ნათქვამი, რომ უცხოელმა ვერ გაიგონა.

თამასუქები გადაწერილ იქნა, ძველები დაიხა, და საწყალ მორელს სამი თვის განმავლობაში სულის მოთქმის საშუალება მიეცა, რათა უკანასკნელი სახსარი მოეკრიბა.

ინგლისელმა მორელის მადლობა მისი ერისათვის ჩვეული გულგრილობით მიიღო და გამოეთხოვა მასპინძელს, რომელმაც იგი კარამდე ლოცვა-კურთხევით მიაცილა.

კიბეზე უცხოელი ჟიულის შეეჩება.

ქალიშვილმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძირს ჩადიოდა, მაგრამ სინამდვილეში იგი მას უცდიდა.

— ოჰ, ბატონო, — უთხრა მან და მუდარის ნიშნად ხელი ხელზე გადაიჭდო.

— ქალბატონო, — უთხრა უცხოელმა, — თქვენ ერთ დღეს მიიღებთ წერილს სინდბად მეზღვაურის ხელმოწერით; ზუსტად შეასრულეთ ყველაფერი, რაც იმ წერილში იქნება ნათქვამი, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ იგი.

— კარგი, — უთხრა ჟიულიმ.

— მომეცით პირობა, რომ ამას გააკეთებთ.

— გეფიცებით.

— კარგი. მშვიდობით, ქალბატონო, ყოველთვის ისეთი კეთილი და მოყვარული შვილი იყავით, როგორიცა ხართ, და იმედი მაქვს, ღმერთი დაგაჯილდოებთ და ქმრად ემანუელს მოგცემთ.

ჟიულიმ ოდნავ შეჰკვივლა, სახე ალუბალივით გაუწითლდა და, რომ არ დაცემულიყო, მოაჯირს დაეყრდნო. უცხოელმა გზა განაგრძო და გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია.

ეზოში იგი შეხვდა პენელონს, რომელსაც ორივე ხელში დახვეული ასფრანკიანები ეჭირა და თითქოს ვერ გადაეწყვიტა მათი წაღება.

— წამოდით, ჩემო მეგობარო, — უთხრა მას ინგლისელმა, — მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

IX

ხუთი სექტემბერი

«ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის წარმომადგენლის მიერ ვადის გადაწევა და ისიც სწორედ იმ წუთებში, როდესაც საწყალი მორელი ამას ყველაზე ნაკლებად მოელოდა, მას ერთ-ერთი იმგვარი ბედნიერების დაბრუნებად ეჩვენა, რომელიც ადამიანს აუწყებს, ბედისწერას მოსწყინდა შენი დევნაო.

იმავე დღეს თავის ცოლს, ჟიულის და ემანუელს ყველაფერი უამბო. ამ ამბავმა თუ სიმშვიდე არა, იმედი მაინც დაასადგურა მის ოჯახში.

მაგრამ, სამწუხაროდ, მორელს საქმე როდი ჰქონდა მარტო «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლთან, რომელმაც მის მიმართ ასეთი თავაზიანობა გამოიჩინა. სავაჭრო საქმეებში, როგორც ის ამბობდა, კორესპონდენტები არიან და არა მეგობრები. როდესაც ის ღრმად უკვირდებოდა ამ ამბავს, ვერ გაეგო, რად გამოიჩინა მის მიმართ «ტომსონ და ფრენჩის» წარმომადგენელმა ასეთი დიდსულოვნება. ის ამას ხსნიდა წმინდა ეგოისტური მოსაზრებით: სჯობს მხარი დაუჭირო ადამიანს, რომელსაც შენი სამასი ათას ფრანკამდე

მართებს, და მიიღო ეს ფული თუნდ სამი თვის შემდეგ, ვიდრე დააჩქარო მისი გაკოტრება და გერგოს მხოლოდ ექვსი ან რვა პროცენტი.

საუბედუროდ, ბოროტებისა თუ უგუნურების ზეგავლენით, მორელის დანარჩენი კრედიტორები ასე არ მსჯელობდნენ; ზოგიერთები სრულიად საწინააღმდეგო აზრსაც ადგენენ. ამიტომ მორელის მიერ ხელმოწერილი თამასუქები სალაროში დადგენილ ვადაზე წარმოადგინეს და ინგლისელის მიერ გადაწეული ვადის წყალობით კოკლესმა ისინი დაუყოვნებლივ გაანაღდა. ამგვარად, კოკლესი ისევ დამშვიდდა.

მხოლოდ ბატონი მორელი შიშობდა, რომ, თუ თხუთმეტ რიცხვში ბატონ ბოვილის ასიათასი ფრანკის გადახდა მომიხდა, ხოლო ოცდაათ რიცხვში ოცდათორმეტი ათას ხუთასი ფრანკი სხვა, ისიც ვადაგადაწეული თამასუქით, მაშინ ხომ ამ თვეშივე დავიღუპებიო.

მარსელის ნეგოციანტები იმ აზრისანი იყვნენ, რომ მორელი ვერ გაუძლებდა ზედიზედ თავზე დამტყდარ მარცხს. ამიტომ დიდად იყვნენ განცვიფრებულნი, როდესაც დაინახეს, რომ მან ივნისში თამასუქების განაღდება ჩვეულებრივი სიზუსტით ჩაატარა. ამის მიუხედავად, მაინც უნდობლად უყურებდნენ და საწყალი მორელის გაკოტრება ერთხმად მეორე თვის ბოლოსათვის გადადეს. მთელი თვის განმავლობაში მორელმა ზეადამიანური ენერგია დახარჯა, რათა საჭირო თანხისათვის როგორმე თავი მოეყარა.

იყო დრო, როცა მის თამასუქებს, რა ვადითაც უნდა ყოფილიყო ისინი, სრული ნდობით ღებულობდნენ, და დიდი მოთხოვნილებაც იყო მათზე. მორელი შეეცადა, გაეცა სამთვიანი თამასუქები, მაგრამ არც ერთმა ბანკმა არ მიიღო. საბედნიეროდ, ბატონ მორელს თვითონ ჰქონდა ცოტაოდენი შემოსავლის იმედი და სალაროში მართლაც შემოვიდა ფული. ამგვარად, ივლისის ბოლოს მორელს ისევ მიეცა საშუალება, კრედიტორები დაეკმაყოფილებინა.

«ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის წარმომადგენელი იმის შემდეგ მარსელში აღარ უნახავთ: ბატონ მორელთან შეხვედრის მეორე თუ მესამე დღეს იგი უკვე გაქრა. და რადგან მარსელში მხოლოდ ქალაქის მერთან, საპატიმროების ინსპექტორთან და ბატონ მორელთან ჰქონდა ურთიერთობა, ამიტომ მისმა წუთიერმა გამოჩენამ არავითარი კვალი არ დატოვა, გარდა იმ მოგონებებისა, რომლებიც მის შესახებ დარჩა ამ სამ ადამიანს. რაც შეეხება «ფარაონის» მეზღვაურებს, ისინი, ალბათ, სხვაგან მოეწყვენ სამუშაოდ, რადგან ისინიც გაქრნენ.

კაპიტანი გომარი, რომელიც ავადმყოფობამ პალმაში შეაჩერა, მარსელში დაბრუნდა. ვერ გადაეწყვიტა ბატონ მორელთან გამოცხადება, მაგრამ როდესაც მორელმა მისი ჩამოსვლა გაიგო, თვითონ წავიდა მის სანახავად. პატიოსანმა გემთმეპატრონემ უკვე იცოდა, როგორი ვაჟკაცობა გამოიჩინა კაპიტანმა გემის დაღუპვის დროს, ამიტომ თვითონ შეეცადა მის დამშვიდებას. მორელმა მთლიანად მიუტანა ხელფასი, რომლის წასაღებად მისვლას ვერ ბედავდა კაპიტანი გომარი.

როდესაც ბატონი მორელი გომარის ოთახიდან გამოვიდა, კიბეზე პენელონს შეეჩეხა, იგი ზევით ამოდიოდა. მას, როგორც ჩანდა, კარგად გამოეყენებინა თავისი ხელფასი, რადგან სულ ახლებში იყო გამოწყობილი. გემთმეპატრონის დანახვაზე ღირსეული მესაჭე დაიბნა. კიბის თავზე მიიმალა, საღეჭი თუთუნის პირში ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ გადაიტანა, შემდეგ — მარჯვნიდან მარცხნივ, შეშინებული თვალები გადმოკარკლა და მორელის მეგობრულ ხელის ჩამორთმევას მორცხვად უპასუხა. ბატონმა მორელმა პენელონის აბნეულობა მის ბრწყინვალე ტანისამოსს მიაწერა. ასეთი ტანისამოსისათვის მარტო თავისი ფული არ ეყოფოდა, ალბათ, უკვე დაიწყო სხვა რომელიმე გემზე სამსახური და რცხვენია, რომ ასე მალე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოიგლოვა «ფარაონიო». შეიძლება ახლა კაპიტან გომართან იმიტომ მიდის, რომ თავისი ბედნიერება

გაუზიაროს და ახალი ბატონის სახელით წინადადება მისცეს, მათთან გადავიდეს სამსახურში.

— რა კეთილი ადამიანები არიან — თქვა მორელმა და გაეცალა. — ღმერთმა ქნას, თქვენმა ახალმა ბატონმა ისევე შეგიყვართ, როგორც მე მიყვარდით.

ავვისტომ ისე გაიარა, რომ მორელს არ შეუწყვეტია ცდა, თავისი წინანდელი კრედიტი აღედგინა, ან ახალი გაეხსნა. ოც ავვისტოს მარსელში ცნობილი გახდა, რომ მან ადგილი იყიდა საფოსტო კარეტაში. ყველამ მაშინვე გადაწყვიტა, მორელი თავის ბოლოს თავს ბანკროტად გამოაცხადებს და განგებ მიდის, რომ ამ სამწუხარო წესის აგების დამსწრე არ გახდეს და მისი შესრულება, ალბათ, თავის მთავარ ნოქარ ემანუელს და ხაზინადარ კოკლეს დაავალაო. მაგრამ წინააღმდეგ მოლოდინისა, ოცდათერთმეტ ავვისტოს სალარო ჩვეულებრივ დროს გაიღო. რკინის ბადეებიანი ფანჯრის უკან კოკლესი დამშვიდებული იჯდა, როგორც ჰორაციუსის «მართალი მამაკაცი». კოკლესი მისთვის ჩვეული ყურადღებით სინჯავდა წარმოდგენილ ქაღალდებს და პირველიდან უკანასკნელამდე ყველა ზუსტად გაანაღდა. მოხდა ისიც, რასაც წინასწარმეტყველებდა მორელი, რომ მათ მოუხდებოდათ ორი სხვისი თამასუქის განაღდება. კოკლესმა ისინიც ისეთივე სიზუსტით გაანაღდა, როგორც გემთმეპატრონის პირადი თამასუქები. ვერავის ვერაფერი გაეგო, მაგრამ ყველა, ცუდი ამბის მაუწყებელი წინასწარმეტყველისათვის ჩვეული სიჯიუტით, მორელის გაკოტრებას სექტემბრის ბოლოსთვის სდებდა.

პირველ სექტემბერს მორელი დაბრუნდა. მთელი ოჯახი დიდი შემფოთებით ელოდა. მის პარიზში გამგზავრებაზე იყო დამოკიდებული გადარჩენის უკანასკნელი შესაძლებლობა. მორელმა გაიხსენა დანგლარი, დღეს მილიონერი, ოდესღაც კი მისგან დავალებული, რადგან სწორედ მისი რეკომენდაციით მოეწყო ესპანელ ბანკირთან, რის შემდეგაც დაიწყო მისი სწრაფი გამდიდრება. ამბობდნენ, დანგლარი უკვე ექვსი თუ რვა მილიონის პატრონია და განუსაზღვრელი კრედიტები აქვსო. დანგლარს შეეძლო ჯიბიდან არც ერთი ეკიუ არ ამოეღო და ეხსნა მორელი: საკმარისი იყო თავდებად დადგომოდა და მორელი გადარჩებოდა. ბატონი მორელი უკვე დიდი ხანია ფიქრობდა დანგლარზე, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაურბოდა ამ ყველაზე უკიდურეს საშუალებას. ის მართალი გამოდგა, მორელი სახლში დაბრუნდა დამამცირებელი უარით განადგურებული.

შინ მორელს ჩივილისა და საყვედურის არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია. თვალცრემლიანი გადაეხვია ცოლსა და ქალიშვილს, ემანუელს მეგობრულად გაუწოდა ხელი, შემდეგ მესამე სართულზე თავის კაბინეტში ჩაიკეტა და კოკლესი გამოიძახა.

— ახლა კი დავიღუპეთ, — უთხრეს ქალებმა ემანუელს.

ერთმანეთში მცირე მოლაპარაკების შემდეგ მათ გადაწყვიტეს, ჟიულის წერილი მიეწერა ძმისთვის, რომელიც ნიმის გარნიზონში იმყოფებოდა, რომ დაუყოვნებლივ ჩამოსულიყო.

საბრალო ქალები ინსტინქტით გრძნობდნენ, რომ მათ მთელი ძალა უნდა მოეკრიბათ, რათა მოსალოდნელი უბედურებისათვის გაეძლოთ.

ამასთან ერთად უნდა ვთქვათ, რომ მაქსიმილიან მორელს, მიუხედავად იმისა, რომ ის ოცდაორი წლისა ძლივს იყო, დიდი გავლენა ჰქონდა მამაზე.

ეს იყო პირდაპირი და მტკიცე ხასიათის ყმაწვილი კაცი. როდესაც თავისი სამოღვაწეო სარბიელი უნდა აერჩია, მამამ არ ისურვა წინასწარ განესაზღვრა მისი მომავალი. ეს არჩევანი მაქსიმილიანის გემოვნებას მიანდო. მაქსიმილიანმა განაცხადა, რომ მას სურდა სამხედრო სამსახურში შესვლა. მიიღო თუ არა გადაწყვეტილება, მუყაითად დაიწყო საგნების შესწავლა. საკონკურსო გამოცდა ჩააბარა პოლიტექნიკურ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ უმცროს ლეიტენანტად დაინიშნა ორმოცდამეცამეტე ქვეითთა

რეგიმენტში. უკვე ერთი წელიწადია, ეს ჩინი ჰქონდა, მაგრამ დაპირებული იყვნენ, პირველ შემთხვევისთანავე ლეიტენანტობა მიეცათ. რეგიმენტში მაქსიმილიანი ითვლებოდა არა მარტო ჯარისკაცის, არამედ ადამიანური ვალდებულების მკაცრ შემსრულებლადაც, რისთვისაც მას «სტოიკოსი» შეარქვეს. უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი, ვინც ამ ეპითეტით ამკობდა, გაგონილს იმეორებდა, არცკი იცოდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობა.

სწორედ ამ ახალგაზრდა კაცს უხმობდნენ დედა და და, რათა მძიმე წუთებში, რომლის მოახლოებასაც ისინი გრძნობდნენ, მათთან ყოფილიყო და გაემაგრებინა.

ქალები არ შემცდარან, მდგომარეობა სერიოზული იყო. არ გასულა რამდენიმე წუთი ბატონ მორელის და კოკლესის კაბინეტში შესვლის შემდეგ, რომ მათ დაინახეს გაფითრებული, აცახცახებული და სახეშეცვლილი ხაზინადარი.

როდესაც კოკლესმა ჟიულის ჩაუარა, ქალიშვილს უნდოდა შეეჩერებინა და ეკითხა, მაგრამ საწყალი ყმაწვილი მისთვის უჩვეულო სიჩქარით ჩარბოდა კიბეზე და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ხელები ზეცისკენ აღაპყრო და შესძახა:

— ო, მადმუაზელ ჟიული! რა უბედურებაა! და ან ვის შეემლო ამის წარმოდგენა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის ისევ მობრუნდა. ხელში ორი თუ სამი საანგარიშო წიგნი, პორტფელი და ფულით სავსე პარკი ეჭირა.

მორელმა გადასინჯა რეესტრები, გახსნა პორტფელი და ფული გადათვალა.

მთელი მისი კაპიტალი ექვს-რვა ათას ფრანკს შეადგენდა. ხუთი სექტემბრისათვის მოსალოდნელი იყო კიდევ ოთხი-ხუთი ათასი ფრანკი შემოსულიყო, რაც თანხას სულ დიდი თოთხმეტ ათას ფრანკამდე გაზრდიდა; მას კი ორას ოთხმოცდა შვიდი ათას ხუთასი ფრანკის თამასუქები უნდა გაენაღდებინა. არავითარი შესაძლებლობა არ იყო, ეს თანხა ნაწილობრივ მაინც დაეფარა.

ამისდა მიუხედავად, როდესაც მორელი სასადილოდ ჩამოვიდა, საკმაოდ დამშვიდებული ჩანდა. ამ სიმშვიდემ ქალები უფრო მეტად შეაშინა; ძალზე სასოწარკვეთილი რომ ენახათ, ალბათ, ასე არ შემფოთდებოდნენ.

სადილობის შემდეგ მორელს ჩვეულებად ჰქონდა შინიდან გასულიყო. ის მიდიოდა «ფოკელების კლუბში» ერთი ფინჯანი ყავის დასალევად და «სემაფორის» წასაკითხად; მაგრამ ამჯერად არსად არ წასულა, თავის კაბინეტში შებრუნდა.

რაც შეეხება კოკლესს, მეტისმეტად დაბნეული იყო. მან ნახევარ დღეზე მეტი ეზოში გაატარა. ქვაზე იჯდა და, მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათგრადუსიანი სიცხე იყო, თავზე არაფერი ეხურა.

ემანუელი ქალების გამხნევებას ცდილობდა, მაგრამ მჭევრმეტყველებამ უღალატა. ყმაწვილმა კაცმა ისე კარგად იცოდა სავაჭრო სახლის საქმეები, რომ შეუძლებელი იყო არ ეგრძნო ის დიდი კატასტროფა, რომელიც თავს უნდა დასტყდომოდა მორელის ოჯახს.

დადამდა. ქალბატონი მორელი და ჟიული ფხიზლობდნენ. იმედი ჰქონდათ, კაბინეტიდან გამოსული მორელი მათთან შევიდოდა, მაგრამ ერთმაც და მეორემაც გაიგონეს, როგორ ფეხაკრეფით ჩაუარა მათ კარს, ალბათ, იმის შიშით, რომ არ დაეძახათ.

ქალბატონმა მორელმა ქალიშვილი დასადინებლად გაგზავნა. შემდეგ, როდესაც ჟიულის წასვლიდან ნახევარმა საათმა განვლო, წამოდგა, ფეხსაცმელები გაიხადა და დერეფანში გავიდა, რათა გასაღების ჭუჭყრუტანიდან დაენახა, რას აკეთებდა მისი ქმარი.

დერეფანში ვიღაცის ჩრდილმა გაირბინა. ეს იყო ჟიული, რომელიც ასევე შემფოთებული იყო. მას დედისათვის დაესწრო.

ქალიშვილი ქალბატონ მორელს მიუახლოვდა.

— წერს. — უთხრა მან.

დედამ და შვილმა უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს.

ქალბატონი მორელი დაიხარა და გასაღების ჭუჭრუტანაში შეიხედა. მორელი მართლაც წერდა; მაგრამ ქალბატონმა მორელმა შეამჩნია ის, რაც ვერ შეამჩნია მისმა ქალიშვილმა: ქმარი გერბიან ქაღალდზე წერდა.

მაშინ გონებაში გაურბინა საშინელმა აზრმა, რომ იგი ანდერძს წერდა. ქალბატონი მორელი მთელი ტანით აცახცახდა, მაგრამ იმდენი ძალა კი ეყო, რომ ჟიულისათვის არაფერი ეთქვა.

მეორე დღეს მორელი სრულიად დამშვიდებული ჩანდა. საქმიანობდა თავის კაბინეტში, და როგორც ყოველთვის, გამოვიდა სასაუბროდ. მხოლოდ სადილის შემდეგ ქალიშვილი გვერდით მოისვა, ორივე ხელი თავზე მოჰხვია და გულზე მაგრად მიიკრა.

საღამოთი ჟიულიმ დედას უთხრა, მამაჩემი თუმცა დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ გული ძალზე უცემდაო.

ორმა დღემ თითქმის ასევე ჩაიარა.

ოთხ სექტემბერს საღამოთი ბატონმა მორელმა ქალიშვილს სთხოვა, კაბინეტის გასაღები დაებრუნებინა.

ჟიული შეაკრთო მოთხოვნამ, რომელიც საბედისწეროდ ეჩვენა. რატომ ართმევდა მამა გასაღებს, რომელიც მუდამ მასთან იყო და რომელსაც ბავშვობაში მხოლოდ დასჯის შემთხვევაში თუ წაართმევდნენ ხოლმე?

ქალიშვილმა მამას თვალეში შეხედა.

— რა დავაშავე, მამაჩემო, — უთხრა მან, — რომ ამ გასაღებს მართმევთ?

— არაფერი, ჩემო გოგონა, — უპასუხა საცოდავმა მორელმა, რომელსაც ასეთ გულუბრყვილო შეკითხვაზე თვალეში ცრემლები მოადგა, — არაფერი, გასაღები მე მჭირდება.

ჟიულიმ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს გასაღებს ეძებდა.

— ალბათ, ჩემს ოთახში დამრჩა, — უთხრა მან.

ჟიული გავიდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თავის ოთახში შესულიყო, ემანუელთან გაიქცა რჩევისათვის.

— არ მისცეთ გასაღები, — უთხრა მას ყმაწვილმა კაცმა, — და ხვალ დილით, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ეცადეთ, მარტო არ დატოვოთ.

ჟიულიმ მოინდომა გამოეკითხა ემანუელისთვის, მაგრამ მან სხვა არაფერი იცოდა, ან არადა სხვა არაფრის თქმა არ უნდოდა.

ოთხ სექტემბერს მთელი ღამის განმავლობაში ქალბატონ მორელს ყური ჰქონდა მიდებული ქმრის ოთახის კედელზე. დილის სამ საათამდე მას ესმოდა, როგორ აღელვებული დადიოდა ოთახში.

მხოლოდ სამ საათზე მიწვა ლოგინზე.

დედამ და ქალიშვილმა ღამე ერთად გაატარეს. ჯერ კიდევ საღამოს ელოდნენ ისინი მაქსიმელიანს.

დილის რვა საათზე ბატონი მორელი მათ ოთახში შემოვიდა. დამშვიდებული იყო, მაგრამ მშფოთვარე ღამეს კვალი დაემჩნია ფერმკრთალსა და ჩამომჰკვნარ სახეზე.

ვერც დედამ და ვერც შვილმა ვერ გაბედეს ეკითხათ, კარგად თუ გეძინაო.

მორელი ცოლთან და ქალიშვილთან არასოდეს ყოფილა ასე აღერსიანი; ის ვერ ძღებოდა ჟიულის ყურებით და დიდხანს ჰკოცნიდა.

ჟიულის ემანუელის რჩევა გაახსენდა და უნდოდა გაჰყოლოდა მამას, როდესაც იგი გადიოდა; მაგრამ მან ნაზად შეაჩერა თავისი ქალიშვილი.

— დედასთან დარჩი, — უთხრა მან.

ჟიულიმ სცადა, გასძალიანებოდა.

— მე ამას მოვითხოვ! — უთხრა მორელმა.

«მე ამას მოვითხოვ» — ასეთი სიტყვებით მორელს არასოდეს მიუმართავს თავისი ქალიშვილისათვის; მაგრამ მან ეს თქვა მამობრივი სინაზით აღსავსე ხმით. ჟიულიმ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ გაბედა.

იგი გაშეშებული დარჩა იმავე ადგილზე და ხმას არ იღებდა. მალე კარი ხელახლა გაიღო, მან იგრძნო, რომ ვიღაცა გადაეხვია და ვიღაცის ბაგეები მის შუბლს შეეხნენ.

ჟიულიმ თავი ასწია და სიხარულის ამოძახილი აღმოხდა.

— მაქსიმილიან, ჩემო ძმაო! — შეჰყვირა მან.

ამ შეძახილზე მოირბინა ქალბატონმა მორელმა და ვაჟიშვილი გულში ჩაიკრა.

— დედაჩემო! — თქვა მაქსიმილიანმა, რომელიც ხან დედას უცქეროდა, ხან დას. — რა მოხდა? თქვენმა წერილმა შემაშინა და სწრაფად გამოვეშურე.

— ჟიული, — თქვა ქალბატონმა მორელმა და ვაჟიშვილს თვალით რაღაც ანიშნა, — წადი, მამაშენს მაქსიმილიანის ჩამოსვლა გააგებინე.

ჟიული სირბილით გამოვარდა ოთახიდან, მაგრამ კიბის პირველსავე საფეხურზე შეეჩეხა ვიღაც კაცს, რომელსაც წერილი ეჭირა ხელში.

— თქვენ ხომ არა ხართ ჟიული მორელი? — ჰკითხა ამ კაცმა იტალიური კილოთი.

— დიახ, ბატონო, — ჩაილულლულა ჟიულიმ, — მაგრამ რა გნებავთ ჩემგან? მე თქვენ არ გიცნობთ.

— წაიკითხეთ ეს წერილი, — უთხრა იტალიელმა და ბარათი გადასცა.

ჟიულის ვერ გადაეწყვიტა, გამოერთმია თუ არა ბარათი.

— საქმე მამათქვენის გადარჩენას შეეხება, — უთხრა მოგზავნილმა კაცმა.

ჟიულიმ მას წერილი ხელიდან გამოსტაცა. შემდეგ სწრაფად გახსნა და წაიკითხა:

«დაუყოვნებლივ წადით მელიანის ხეივანში, შედით ¹⁵ სახლში, მეკარეს სთხოვეთ მეხუთე სართულის ოთახის გასაღები, შედით ამ ოთახში, ბუხრიდან აიღეთ წითელი ქისა და მიუტანეთ იგი მამათქვენს.

აუცილებელია, რომ მან იგი მიიღოს დილის თერთმეტ საათამდე.

თქვენ შემპირდით, რომ ბრმად დამემორჩილებით, და მე გახსენებთ თქვენს დაპირებას.

სინდბად მეზღვაური».

ახალგაზრდა ქალმა სიხარულისაგან შეჰკვივლა, ზემოთ აიხედა და ბარათის მომტან კაცს ძებნა დაუწყო, უნდოდა გამოეკითხა მისთვის, მაგრამ ის აღარსად ჩანდა.

ჟიულიმ ხელახლა გადაიკითხა წერილი და შეამჩნია მინაწერი. მან წაიკითხა:

«აუცილებელია, რომ ეს დავალება თქვენ პირადად შეასრულოთ. თუ თქვენ ვინმესთან ერთად მიხვალთ, ან სხვა ვინმე მივა თქვენ მაგიერ, მეკარე უპასუხებს, რომ არ ესმის, რაზეა ლაპარაკი».

ამ მინაწერმა თითქოს ცივი წყალი გადაასხა ქალიშვილის სიხარულს. რაიმე საშიშროება ხომ არ მელის? რაიმე ხაფანგს ხომ არ მიგებენ? ის ისეთი უმანკო იყო, რომ ვერც კი წარმოედგინა, რა საშიშროება უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი მისი ასაკის ქალიშვილისათვის; მაგრამ აუცილებელი არ არის კაცმა იცოდეს საშიშროება, რომ ეშინოდეს მისი. პირიქით, შემჩნეულია, რომ უცნობი საშიშროება უფრო მეტ შიშს ბადებს.

ჟიული ყოყმანობდა; მან გადაწყვიტა, რჩევა მიეღო.

მაგრამ რაღაცა გაურკვეველი ინსტინქტით დედასთან და მაქსიმილიანესთან კი არ მიირბინა, არამედ ემანუელთან.

კიბეზე ჩაირბინა და ყმაწვილ კაცს მოუყვა, რა მოხდა იმ დღეს, როდესაც მამასთან გამოცხადდა «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის წარმომადგენელი. აუწერა კიბეზე მომხდარი სცენა, გაუმეორა მის მიერ მიცემული პირობა და წერილი უჩვენა.

— თქვენ უნდა წახვიდეთ, მადმუაზელ, — უთხრა ემანუელმა.

— წავიდე? — ჩაიჩურჩულა ქალმა.

— დიახ, მე გაგაცილებთ.

— მაგრამ ხომ წაიკითხეთ, რომ მე მარტო უნდა ვიყო? — უთხრა ჟიულიმ.

— თქვენ მარტო იქნებით, — უპასუხა ემანუელმა, — მე მოგიცდით მუზეუმის ქუჩის კუთხეში; თუ შეგაგვიანდებათ და მე ამას საექვოდ მივიჩნევ, უკან გამოგყვებით და ვაი მას, ვიზედაც თქვენ იჩივლებთ.

— მაშ, ემანუელ, თქვენ ფიქრობთ, რომ მე უნდა მივიღო ეს მიწვევა? — უთხრა ქალიშვილმა ყოყმანით.

— დიახ; იმ კაცმა ხომ გითხრათ, საქმე მამათქვენის გადარჩენას შეეხებაო.

— გადარჩენას, რისგან, ემანუელ? რა ელის მას? — ჰკითხა ჟიულიმ.

ემანუელი ერთ წუთს შეეყოყმანდა, მაგრამ იმის გამო, რომ ქალიშვილისათვის სწრაფი გადაწყვეტილება მიეღებინებინა, აღარ დააყოვნა.

— მისმინე, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა, — დღეს ხუთი სექტემბერია არა?

— დიახ.

— დღეს თერთმეტ საათზე მამათქვენმა დაახლოებით სამას ათას ფრანკამდე უნდა გადაიხადოს.

— დიახ, ჩვენ ეს ვიცით.

— კარგი, მაგრამ სალაროში თხუთმეტი ათასი ფრანკიც კი არ არის, — უთხრა ემანუელმა.

— მაშ, რა მოხდება?

— ის მოხდება, რომ თუ დღეს თერთმეტ საათამდე მამათქვენს არავინ აღმოუჩინა დახმარება, იძულებული იქნება თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს.

— ოჰ! წავიდეთ! წავიდეთ! — შეჰყვირა ქალიშვილმა და თან ყმაწვილ კაცს წასაყვანად ხელი ჩასჭიდა.

ამ ხნის განმავლობაში ქალბატონმა მორელმა ვაჟიშვილს ყველაფერი უამბო.

მაქსიმილიანმა იცოდა, რომ უბედურებამ, რომელიც მამამისს დაატყდა თავს, მისი ოჯახის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ საქმე აქამდე იყო მისული.

ის გაოგნებული იდგა.

შემდეგ ოთახიდან უცებ გამოვარდა, სწრაფად აირბინა კიბე, ეგონა თავის მამას კაბინეტში იპოვიდა, მაგრამ ამაოდ დაიწყო კარზე ბრახუნნი.

როდესაც ის კაბინეტთან იდგა, გაიგონა, რომ ქვემოთა კარი გაიღო. მაქსიმილიანი მიტრიალდა და თავისი მამა დაინახა. იმის მაგივრად, რომ პირდაპირ კაბინეტში ასულიყო, ბატონი მორელი ჯერ თავის ოთახში შესულა, საიდანაც მხოლოდ ახლა გამოდიოდა.

მაქსიმილიანის დანახვაზე ბატონ მორელს გაკვირვების შემახილი აღმოხდა; მას წარმოდგენა არა ჰქონდა, თუ შვილი ჩამოვიდოდა. მორელი ერთ ადგილზე გაშეშდა, მარცხენა იდაყვს სერთუკის ქვეშ დამალულ რაღაც საგანს აჭერდა.

მაქსიმილიანი სწრაფად დაეშვა კიბით და მამას კისერზე მოეხვია; მაგრამ უცებ მოსწყდა, თუმცა მარჯვენა ხელით მამის მკერდს ეყრდნობოდა.

— მამა, — უთხრა მკვდარივით გაფითრებულმა, — სერთუკის ქვეშ რატომ გაქვს დამბაჩები?

— აი, რისი მეშინოდა... — ჩაიჩურჩულა მორელმა.

— მამა! ღვთის გულისათვის, — შეჰყვირა მაქსიმილიანმა, — რას ნიშნავს ეს იარაღი?

— მაქსიმილიან, — უპასუხა მორელმა და ჩააშტერდა, — შენ ვაჟკაცი ხარ და სინდისის პატრონი: წამოდი ჩემთან, ყველაფერს აგიხსნი.

მორელი მტკიცე ნაბიჯით ავიდა თავის კაბნეტში; მაქსიმილიანი ბარბაცით მისდევდა უკან.

მორელმა გამოაღო კარი, შვილი წინ გაატარა და შემდეგ კარი დაკეტა; მერე გაიარა წინა ოთახში, მიუახლოვდა საწერ მაგიდას, მაგიდის კუთხეში დამბაჩები დააწყო და შვილს გადაშლილი რეესტრი უჩვენა.

რეესტრი მდგომარეობის ზუსტ სურათს იძლეოდა.

ნახევარ საათში მორელს ორას ოთხმოცდა შვიდი ათას ხუთასი ფრანკი უნდა გადაეხადა.

სალაროში სულ თხუთმეტი ათას ორას თხუთმეტი ფრანკი იყო.

— წაიკითხე! — უთხრა მორელმა.

მაქსიმილიანმა წაიკითხა. ის თავზარდაცემული იდგა.

ბატონი მორელი ხმას არ იღებდა! რაღა შეემლო დაემატებინა ციფრების უღმობელი განაჩენისათვის?

— თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, მამაჩემო, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ, — რომ ეგ უბედურება თავიდან აგეცილებინათ?

— დიახ, — უპასუხა მორელმა.

— არავითარი შემოსავლის იმედი არა გაქვთ?

— არავითარი.

— ყოველგვარი შესაძლებლობა ამოწურულია?

— ყოველგვარი.

— და ნახევარი საათის შემდეგ... — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა მაქსიმილიანმა, — ჩვენი გვარი შერცხვენილი იქნება!

— სისხლი ჩამორეცხავს შერცხვენას!

— თქვენ მართალი ხართ, მამა. მე თქვენი მესმის.

მან ხელი დამბაჩებისაკენ გასწია.

— გმადლობთ, მამა, — ერთი თქვენთვის, ერთი ჩემთვის, — თქვა მან.

მორელმა ხელი დაუჭირა.

— დედათქვენი?... თქვენი და?... ვინ უნდა არჩინოს ისინი? — მაქსიმილიანს მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— მამა! — თქვა მან, — ნუთუ თქვენ გინდათ, ცოცხალი დავრჩე.

— დიახ, მე ამას გეუბნები, — უპასუხა მორელმა, — რადგან ეს შენი ვალია; მაქსიმილიან, შენ მშვიდი გონების, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის კაცი ხარ, არა ხარ ჩვეულებრივი ადამიანი; არაფერს გიბრძანებ, არაფერს გამაღებ, მხოლოდ გეუბნები: «ჩაუფიქრდი მდგომარეობას ისე, როგორც გარეშე პირი და თვითონ განსაჯე».

მაქსიმილიანი ჩაფიქრდა; შემდეგ მის თვალებში გადაწყვეტილებამ გაიელვა. მაგრამ ამავე დროს ნელა და სევდიანად აიხსნა თავისი ხარისხის მაჩვენებელი სამხრეები.

— კარგი, — თქვა მან და მამას ხელი გაუწოდა, — გამოესალმეთ სიცოცხლეს მშვიდად, მამაჩემო, მე ვიცოცხლებ.

ბატონ მორელს უნდოდა შვილს ფეხებში ჩავარდნოდა, მაგრამ მაქსიმილიანი მოეხვია მას და ორი დიდებული გული ერთად აძგერდა.

— შენ ხომ იცი, რომ დამნაშავე არა ვარ? — უთხრა მორელმა.

მაქსიმილიანს გაეღიმა.

— მე ვიცი, მამაჩემო, რომ თქვენ ყველაზე პატიოსანი ადამიანი ხართ, ვისაც კი ვიცნობ.

— კარგი, ჩვენს შორის ყველაფერი ითქვა; ახლა დედასთან და დასთან წადი.

— მამაჩემო, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა და მუხლებზე დაეცა, — დამლოცეთ.

მორელმა შვილს თავზე ორივე ხელი მოჰხვია, აკოცა და უთხრა:

— დიახ, დიახ, მე შენ გლოცავ ჩემი და სამი თაობის ადამიანთა შეურცხვენილი სახელით; მისმინე, რას გეუბნებიან ისინი ჩემი პირით: შენობა, რომელიც უბედურებამ დაანგრია, განგებამ შეიძლება ისევ აღადგინოს. როდესაც დაინახავენ, თუ როგორი სიკვდილით მოვკვდები, შენ შეგიერთდებიან ყველაზე გულქვა ადამიანებიც კი; შენ შეიძლება გადაგიწიონ თამასუქების ვადა, რაზედაც მე, ალბათ, უარს მეტყოდნენ; გააკეთე ყველაფერი იმისათვის, რომ სამარცხვინო სიტყვა არ წარმოითქვას; ხელი მოჰკიდე საქმეს, იმუშავე, ყმაწვილო კაცო და იბრძოლე გატაცებით და ვაჟკაცურად; იცხოვრე დედასთან და დასთან ერთად რაც შეიძლება უბრალოდ, რათა იმათი საკუთრება, ვისი მოვალეც მე ვარ, შენს ხელში დღითი დღე იზრდებოდეს. გახსოვდეს, რა მშვენიერი იქნება ის დღე, ის დიადი დღე, როდესაც ჩემი პატიოსნება აღდგება, როდესაც შენ სწორედ ამ კაბინეტში იტყვი: «მამაჩემი მოკვდა იმისათვის, რომ არ შეემლო გაეკეთებინა ის, რასაც მე ვაკეთებ; მაგრამ ის მოკვდა მშვიდად, რადგან იცოდა, რომ ამას მე გავაკეთებდი».

— ოჰ, მამაჩემო, — შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა, — თქვენ რომ შეგეძლოთ ჩვენთან ერთად დარჩენა!

— თუ ცოცხალი დავრჩი, ყველაფერი შეიცვლება: თანაგრძნობა — უნდობლობით, შებრალება — დევნით; თუ მე ცოცხალი დავრჩი, სიტყვის გამტეხი ვიქნები, ადამიანი, რომელმაც არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, ერთი სიტყვით, გაკოტრებული ადამიანი. თუ მოვკვდები, პირიქით, ამას კარგად დაუფიქრდი, მაქსიმელიან, ჩემი გვამი იქნება გვამი უბედური, მაგრამ პატიოსანი ადამიანისა. ცოცხალი თუ დავრჩი, შეიძლება ჩემმა საუკეთესო მეგობრებმა გვერდი აუარონ ჩემს სახლს, მკვდარს კი უკანასკნელ თავშესაფრამდე ტირილით მიმაცილებენ; მე ცოცხალი ვარ და შენ გრცხვენია ჩემი გვარის; თუ მოვკვდები, თავს მაღლა ასწევ და იტყვი:

— მე ვაჟიშვილი ვარ იმ კაცისა, ვინც თავი მოიკლა იმიტომ, რომ იძულებული იყო, ერთხელ ეღალატა თავისი სიტყვისათვის.

ყმაწვილმა კაცმა დაიკვნესა, მაგრამ ეტყობოდა, ბედს დამორჩილდა. უკვე მეორედ დაეთანხმა იგი თავის მამას, თუმცა გონებით და არა გულით.

— ახლა კი, — უთხრა მორელმა, — მარტო დამტოვე და ეცადე ქალები გააშორო აქაურობას.

— არ გინდათ ნახოთ ჩემი და? — ჰკითხა მაქსიმელიანმა.

მას უკანასკნელი ოდნავი იმედი ეძლეოდა ამ შეხვედრით და ამიტომ შესთავაზა ეს წინადადება. ბატონმა მორელმა თავი გაიქნია.

— დილას ვნახე და გამოვემშვიდობე.

— ხომ არ გაქვთ მოსაცემი კიდეც რაიმე დავალება, მამაჩემო? — ჰკითხა მაქსიმელიანმა აღელვებული ხმით.

— მაქვს, ჩემო შვილო, წმინდათა წმინდა დავალება.

— თქვით, მამაჩემო.

— «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლი ერთადერთია, რომელმაც ადამიანობის, ან შეიძლება ეგოიზმის კარნახით (მე არ ძალმიძს ადამიანის გულის ნადები ამოვიკითხო), შემიბრალა. ამ ფირმის წარმომადგენელი ათ წუთში აქ გაჩნდება თამასუქით ხელში ორას ოთხმოცდა შვიდი ათას ხუთასი ფრანკის მისაღებად. ამ კაცისთვის მე არაფერი მითხოვია, თვითონ შემომთავაზა სამი თვით ვადის გადაწევა. დეე, ამ სახლმა პირველმა მიიღოს თავისი კუთვნილი თანხა, ეს სახლი, ჩემო ვაჟო, შენთვის წმინდათა წმინდა იყოს.

— კარგი, მამაჩემო, — უთხრა მაქსიმელიანმა.

— ახლა კიდევ ერთხელ გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს, — უთხრა მორელმა, — წადი, წადი, მე მარტო უნდა დავრჩე; ჩემს ანდერძს შენ იპოვი ჩემი საწოლი ოთახის მაგიდის უჯრაში.

მაქსიმილიანი გაშეშებული იდგა. მას უნდოდა წასვლა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა.

— მისმინე, მაქსიმილიან, — უთხრა მამამ, — წარმოიდგინე, რომ მეც შენსავით ჯარისკაცი ვარ, რომ მივიღე ბრძანება დავიკავო რედუტი, და შენ იცი, რომ მე მომკლავენ; ნუთუ არ მეტყობდი იმას, რაც ეს-ეს არის მითხარი: «წადით, მამაჩემო, თორემ თქვენ შერცხვენა მოგელით, სიკვდილი სჯობს შერცხვენას».

— დიახ, — უპასუხა მაქსიმილიანმა და მამა ნერვიულად მიიკრა მკერდზე.

— წადით, მამაჩემო, — უთხრა მან და კაბინეტიდან გავარდა.

ვაჟიშვილის გასვლის შემდეგ მორელი ცოტა ხანს გაშტერებული შესცქეროდა კარებს. შემდეგ ხელი გასწია, ზარის ზონარი მონახა და დარეკა.

მაშინვე კოკლესი გაჩნდა.

ველარც კი იცნობდით. ამ სამ დღეს მთლად გაეტეხა: იმის ფიქრს, რომ მორელის სავაჭრო სახლი შეწყვეტდა ფულების გაცემას, ოცი წლით დაებერებინა.

— ჩემო კარგო კოკლეს, უთხრა მორელმა: — შენ მოსაცდელ ოთახში იყავი და შემატყობინე, როდესაც «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი მოვა. შენ იცნობ იმას, ამ სამი თვის წინათ იყო აქ.

კოკლესმა არაფერი უპასუხა: თავი დაუქნია, გამოვიდა, მოსაცდელ ოთახში სკამზე ჩამოჯდა და სტუმარს ლოდიანი დაუწყო.

მორელი სავარძელში ჩაეშვა: მისმა თვალებმა საათის ისრები მონახეს; მას შვიდი წუთი დარჩა, ეს იყო და ეს. ისრები წარმოუდგენელი სისწრაფით გარბოდნენ; ასე ეგონა, ხედავდა მათ სვლას.

სიტყვებით ძნელი გამოსათქმელია, თუ რა ხდებოდა უკანასკნელ წუთებში ამ ადამიანის სულში, ადამიანის, რომელიც დაემორჩილა შეიძლება ყალბ, მაგრამ მის მიერ სწორად მიჩნეულ რწმენას, ადამიანის, რომელიც ჯერ კიდევ ჭარმაგი, სამუდამოდ უნდა დაშორებოდა ყველას, ვინც კი ამქვეყნად უყვარდა და ვინც მას ბედნიერებას ანიჭებდა. არა, ამის წარმოსადგენად საჭირო იყო დაგენახათ ოფლით დაფარული და მორჩილების გამომხატველი სახე, ზეცისაკენ აპყრობილი ცრემლიანი თვალები.

საათის ისრები კვლავ წინ მიიწევდნენ, დამბაჩები შემართული იყო; მან გასწია ხელი, აიღო ერთი მათგანი და თავისი ქალიშვილის სახელი ჩაიხურჩულა.

შემდეგ ისევ დადო ეს მომაკვდინებელი იარაღი, კალამს მოჰკიდა ხელი და რამდენიმე სიტყვა დაწერა.

მას ეგონა, რომ არასაკმარისი სინაზით გამოეთხოვა საყვარელ გოგონას.

კვლავ საათს შეხედა. ის უკვე წუთებს კი აღარ ითვლიდა, არამედ წამებს.

ისევ აიღო იარაღი, პირი ნახევრად გააღო და თვალები ისარს მიაშტერა; უეცრად შეაკრთო მის მიერვე გაჩხაკუნებულმა ჩახმახმა.

ამ წუთში შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. საშინელმა მწუხარებამ გული შეუკუმშა.

მას მოესმა, რომ დაბლა კარი გაიღო და კიბის საფეხურებმა დაიჭრიალა.

გაიღო მისი კაბინეტის კარიც.

საათის ისარი თორმეტს უახლოვდებოდა.

მორელი არ მობრუნებულა, ის ელოდა, კოკლესს ეთქვა:

«ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის წარმომადგენელი და მან იარაღი პირთან მიიტანა.

უეცრად გაიგონა კვილი: ეს მისი ქალიშვილის ხმა იყო.

ის მობრუნდა და ჟიული დაინახა; მორელს დამბაჩა ხელიდან გაუვარდა.

— მამაჩემო! — დაიყვირა ქალიშვილმა, რომელიც დაღლილობისაგან და სიხარულისაგან სულს ძლივს ითქვამდა, — თქვენ გადარჩენილი ხართ! გადარჩენილი! ჟიული მამას გულში ჩაეკრა, და წითელი აბრეშუმის მოქსოვილი ქისა ასწია.

— გადარჩენილი? — შეჰყვირა მორელმა, — რის თქმა გინდა ამით, ჩემო გოგონა?

— დიახ! გადარჩენილი ხართ! შეხედეთ, შეხედეთ! — გაიძახოდა ჟიული.

მორელმა ქისა აიღო და შეკრთა, რადგან ბუნდოვნად მოაგონდა, რომ ეს ქისა ოდესღაც მას ეკუთვნოდა.

ქისის ერთ კუთხეში იდო ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი ფრანკის თამასუქი. თამასუქი განაღდებული იყო.

მეორე კუთხეში ჩანდა კაკლისოდენა ალმასი, რომელსაც მიკრული ჰქონდა პერგამენტის პატარა ნაგლეჯი შემდეგი წარწერით:

«ჟიულის მზითვევი».

მორელმა შუბლზე ხელი მოისვა. მას თავი სიზმარში ეგონა.

საათმა თერთმეტი დარეკა.

მორელს ასე ეგონა, ფოლადის ჩაქუჩი მირტყამს გულზეო.

— ჩემო გოგონა, გამაგებინე, რაშია საქმე, ამიხსენი, სად იპოვე ეს ქისა?

— მელიანის ხეივანის თხუთმეტ ნომერში, მეხუთე სართულის პატარა, ღარიბული ოთახის ბუხრის თავზე.

— მაგრამ, ეს ქისა შენ არ გეკუთვნის! — შეჰყვირა მორელმა.

ჟიულიმ მამას მიაწოდა წერილი, რომელიც დილით მიიღო.

— მერე და იმ სახლში მარტო წახვედი? — ჰკითხა მორელმა წერილის წაკითხვის შემდეგ.

— ემანუელმა გამაცილა, მამა. მას ჩემთვის მუზეუმის ქუჩის კუთხეში უნდა მოეცადა; მაგრამ უცნაურია, როდესაც გამოვედი, უკვე იქ აღარ იყო.

— ბატონო მორელ! ბატონო მორელ! — ყვიროდა ვიღაცა კიბეზე.

— ეს ის არის, — თქვა ჟიულიმ.

იმ წუთში ოთახში შემოვარდა ემანუელი, სახეარეული სიხარულისა და აღელვებისაგან.

— «ფარაონი!» — შეჰყვირა მან. — «ფარაონი!»

— რაო! «ფარაონიო!» ხომ არ გაგიჟებულხართ, ემანუელ, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ იგი დაიღუპა.

— «ფარაონი». ბატონო მორელ! უკვე ნიშანი მისცეს, «ფარაონი» ნავსადგურში შემოდის.

მორელი სავარძელში ჩაეშვა: ღონემ უმტყუნა; მას გონება ეურჩებოდა, მიეღო ეს გაუგონარი, საარაკო ამბავი.

კარები გაიღო და ოთახში მაქსიმილიანი შემოვიდა.

— მამაჩემო, — შესძახა მან, — კი მაგრამ, რად მეუბნებოდით, «ფარაონი» დაიღუპაო.. სამეთვალყურეო კოშკიდან ნიშანი მისცეს, რომ ნავსადგურში შემოდის.

— ჩემო მეგობრებო, — თქვა მორელმა, თუ ეს ასეა, მაშ ღვთის სასწაულს უნდა ვერწმუნოთ, მაგრამ ეს შეუძლებელია, შეუძლებელია!

თუმცა რაც მას ხელში ეჭირა, ნაკლებად სასწაულებრივი როდი იყო: ქისა განაღდებული ვექსილითა და ბრჭყვიალა ალმასით.

— ბატონო მორელ, — უთხრა კოკლესმა, — რას ნიშნავს ეს? «ფარაონი!»

— წავიდეთ, ჩემო ბავშვებო, — თქვა მორელმა და წამოდგა, — წავიდეთ, ვნახოთ, და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს ყალბი ხმები იყოს.

ისინი ქვევით ჩავიდნენ: შუა კიბეზე იცდიდა ქალბატონი მორელი.
საწყალ ქალს ამოსვლა ვერ გაეხედა.
სულ მალე ისინი კანენბიერის ქუჩაზე გაჩნდნენ.
ნავსადგურში ზღვა ხალხი ირეოდა.
ხალხმა გზა დაუთმო მორელს.

— «ფარაონი», «ფარაონი!» — გაიძახოდა ყველა.

მართლაც, ხალხის თვალწინ მოხდა რაღაც უცნაური, გაუგონარი ამბავი: წმინდა იოანეს კოშკის პირდაპირ, გემი, რომელსაც კიჩოზე ეწერა «ფარაონი» (მორელი და ვაჟიშვილი მარსელიდან), ზუსტად ისეთივე, როგორც ძველი «ფარაონი» ისიც ინდიგოთი და ბუჟღენდით დატვირთული, ღუზას უშვებდა და აფრებს კეცავდა. გემბანზე განკარგულებებს იძლეოდა კაპიტანი გომარი, ხოლო პენელონი ქალბატონ მორელს რაღაცას ანიშნებდა. საეჭვო აღარაფერი იყო. მორელმა და მთელმა მისმა ოჯახმა საკუთარი თვალთ დაინახეს გემი. ამის მოწმე იყო აგრეთვე ათი ათასი კაცის თვალი.

როდესაც მორელი და მისი ვაჟიშვილი ჯებირზე ხალხის წინაშე, მთელი ქალაქის მხიარული შემახილებისას, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთმა კაცმა, რომელსაც შავი წვერი ნახევრად უფარავდა სახეს, და სადარაჯო წერტიდან ნაზად უცქეროდა ამ სასწაულებრივ სურათს, შემდეგი სიტყვები ჩაიჩურჩულა:

— იყავი ბედნიერი, კეთილშობილი გულის მქონე ადამიანო! კურთხეული იყავი ყველა იმ სიკეთისათვის, რომელიც შენ გაგიკეთებია და რომელსაც კვლავ გააკეთებ; დეე, ჩემი სიკეთეც ისევე დაფარული დარჩეს, როგორც შენი.

ბედნიერებითა და სიხარულით გაცისკროვნებული ღიმილით მან დატოვა თავისი თავშესაფარი, არავის ყურადღება არ მიუპყრია, რადგან ყველა დღევანდელ ამბავს გაეტაცა. ნავმისადგომის კიბეს ჩაჰყვა და სამჯერ დაიყვირა:

— ჯაკოპო! ჯაკოპო! ჯაკოპო!

მას კანჯო მიუახლოვდა; იგი ქიმზე მიიღეს და მიიყვანეს მდიდრულად მორთულ იახტასთან, რომელშიც მეზღვაურის სიმარჯვით გადახტა! აქედან ერთხელ კიდევ შეხედა მორელს: იგი სიხარულისაგან ტიროდა, ყოველი მხრიდან გამოწვდილ ხელებს ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა და დაბინდული თვალებით მადლობას უხდიდა უცნობ კეთილისმყოფელს, რომელსაც, როგორც ჩანდა, ცაში ეძებდა.

— ახლა კი, — თქვა უცნობმა კაცმა, — მშვიდობით, კაცთმოყვარეობავ, მადლიერებავ... ნახვამდის, გულის დამამშვიდებლო გრძნობებო!.. მე განგების მაგივრობა გავწიე, რათა დამეჩილდოებინა კეთილი ადამიანები... ახლა შურისძიების ღმერთმა დამითმოს ადგილი, რათა დავსაჯო ბოროტები.

ამ სიტყვებთან ერთად მან ნიშანი მისცა, და იახტა, რომელიც, როგორც ჩანდა, ამას ელოდა, ზღვაში გავიდა.

X

იტალია. სინდბად მეზღვაური

1838 წლის დასაწყისში ფლორენციაში ცხოვრობდა ორი ყმაწვილი კაცი, რომლებიც პარიზის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ: ერთი იყო ვიკონტ ალბერ დე მორსერი და მეორე ბარონი ფრანც დ'ეპინე. ისინი მოლაპარაკებული იყვნენ, იმ წელიწადს კარნავალი რომში გაეტარებინათ, სადაც ფრანცს, რომელიც იტალიაში ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ალბერისათვის ჩიჩერონეს მაგივრობა უნდა გაეწია.

რომში კარნავალში მონაწილეობის მიღება პატარა საქმე როდია, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ გინდა, ღამე ღია ცის ქვეშ პიაცა-დელ-პოპოლოზე ან კამპო ვაჩინოზე

გაატარო. ამიტომ ყმაწვილებმა წერილი მისწერეს მანესტრო პასტრინის, პიაცა დი სპანიაზე მდებარე სასტუმრო «ლონდონის» პატრონს, რომ მათთვის კეთილმოწყობილი ნომერი შეენახა.

ბატონმა პასტრინიმ უპასუხა, რომ შეუძლია ხელმისაწვდომ ფასად, დღეში თითო ლუიდორად, შესთავაზოს მხოლოდ al secondo piano-ზე¹ (1 მეორე სართულზე.) მდებარე ორი საწოლი და ერთი მისაღები ოთახი. ყმაწვილმა კაცებმა თანხმობა განუცხადეს; ალბერი, რათა კარნავალამდე დარჩენილი დრო გამოეყენებინა, ნეაპოლში გაემგზავრა, ხოლო ფრანცი ფლორენციაში დარჩა.

როდესაც ფრანცმა განთქმული მედიჩების ქალაქის ცხოვრებით გული იჯერა, ისეირნა სამოთხეში, რომელსაც კაზინოებს უწოდებენ, როდესაც გაეცნო ფლორენციის ბატონ-პატრონების და ყოვლისშემძლე დიდებულების სტუმართმოყვარეობას, რაკი კორსიკა — ბონაპარტის აკვანი, უკვე ნანახი ჰქონდა, ახლა თავში აზრად მოუვიდა ენახა კუნძული ელბა, — ნაპოლეონის ეს დიდი გზაჯვარედინი.

და აი, ერთ საღამოს მან აახსენებინა ლივორნოს ნავსადგურში რკინის რგოლით მიმაგრებული იალქნიანი ნავი, გაწვა მის ფსკერზე, წამოსასხამში გაეხვია და მეზღვაურებს მხოლოდ ეს სიტყვები უთხრა — «კუნძულ ელბაზე».

ნავი ისე გამოცურდა ნავსადგურიდან, თითქოს ბუდიდან ამოფრენილი ზღვის ჩიტაო; მეორე დღეს ფრანცი პორტო-ფერაიოში გადმოსვეს.

ფრანცმა გადასერა იმპერატორის კუნძული, გაჰყვა გიგანტის მიერ დატოვებულ ნაკვალევს და მარჩანში ისევ ნავში ჩაჯდა.

ორი საათის შემდეგ ის კვლავ ხმელეთზე გადმოვიდა, კუნძულ პიანოზაზე, სადაც, როგორც დაპირდნენ, ელოდა კაკებების ურიცხვი გუნდი.

ნადირობამ ცუდად ჩაიარა. ფრანცმა ძლივს მოკლა რამდენიმე მჭლე კაკაბი და, როგორც ყველა მონადირე, რომელიც ტყუილ-უბრალოდ დაიქანცულა, ნავზე უგუნებოდ დაბრუნდა.

— თუ თქვენი აღმატებულება ისურვებდა, — უთხრა ნავის პატრონმა, — შეეძლო კარგად ენადირა.

— ეგ სადა?

— აი, იმ კუნძულს ხედავთ? — განაგრძო ნავის პატრონმა, მან თითოთ სამხრეთისაკენ კონუსურ მასივზე მიუთითა, რომელიც ლამაზ, მუქი ლურჯი ფერის ზღვაში ამოზიდულიყო.

— მერედა რა კუნძულია ეს? — ჰკითხა ფრანცმა.

— კუნძული მონტე-კრისტო. — უპასუხა ნავის პატრონმა.

— მაგრამ მე რომ ამ კუნძულზე ნადირობის უფლება არა მაქვს?

— თქვენს აღმატებულებას ნებართვა არ სჭირდება, კუნძული დაუსახლებელია.

— ოჰო, კაი ამბავია, — წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, — დაუსახლებელი კუნძული ხმელთაშუა ზღვის შუაგულში, ეს საინტერესო რამაა.

— აქ არაფერია გასაკვირი, კუნძული კლდეებისაგან შედგება და მათ შორის ნაყოფიერი მიწის ერთ ნაგლეჯსაც ვერ მოძებნით.

— ვის ეკუთვნის ეს კუნძული?

— ტოსკანას.

— რა ნადირს შეხვდება იქ კაცი?

— უთვალავ გარეულ თხას.

— რომლებიც ქვების ლოკვით ცხოვრობენ, არა, — უთხრა ფრანცმა უნდობი ღიმილით.

— არა, ისინი წიწკნიან მანანებს, მირტისა და დანამასტაკის ყლორტებს, რომლებიც ნაპრალებში იზრდება.

— კი მაგრამ, სად დავიძინებ?

— კუნძულზე გამოქვაბულებში, ან ნავში, წამოსასხამში გახვეული. ესეც არ იყოს, თუ თქვენი აღმატებულება ინებებს, ნადირობის შემდეგ მაშინვე შეგვეძლება დაბრუნება; მოგეხსენებათ, რომ ღამითაც ისევე კარგად დავცურავთ აფრებით, როგორც დღისით და, თუ საჭირო შეიქნა, ნიჩბებსაც გამოვიყენებთ.

რადგან ფრანცს საკმაო დრო რჩებოდა თავის მეგობართან შეხვედრამდე და რომშიც ბინა გამზადებული ჰქონდა, დაეთანხმა ამ წინადადებას. მან გადაწყვიტა, აენაზლაურებინა უილბლო ნადირობა.

როდესაც ფრანცმა თანხმობა განაცხადა, მეზღვაურებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.

— რას ჩურჩულებთ? რაიმე ახალი ამბავია? ხელს ხომ არაფერი გვიშლის? — იკითხა ფრანცმა.

— არა, — უპასუხა ნავის პატრონმა, — მაგრამ ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ თქვენი აღმატებულება, რომ კუნძული ზედამხედველობის ქვეშაა.

— ეს რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ კუნძული მონტე-კრისტო დაუსახლებელია, რომ მას ზოგჯერ თავს აფარებენ კორსიკელი, სარდინიელი და აფრიკელი კონტრაბანდისტები და მეკობრეები, და თუ ვინმემ დაგვაბეზლა, კუნძულზე იყვნენო, ლივორნოში ექვს დღეს ვეყოლებით კარანტინში.

— ეშმაკმა დალაზვროს, ეს ცვლის საქმის ვითარებას! ექვსი დღე! სწორედ იმდენი, რამდენიც ღმერთს ქვეყნიერების შესაქმნელად დასჭირდა. ეს საკმაოდ დიდი დროა, ჩემო მეკობრეო.

— კი მაგრამ, ვინ იტყვის, რომ თქვენი აღმატებულება მონტე-კრისტოზე იყო?

— რასაკვირველია, მე არა, — შეჰყვირა ფრანცმა.

— არც ჩვენ, — თქვეს მეზღვაურებმა.

— მაშ, გავსწიოთ, მონტე-კრისტოსაკენ!

ნავის პატრონმა ბრძანება გასცა; გეზი მონტე-კრისტოსაკენ აიღეს და ნავიც სწრაფად მისი მიმართულებით გაცურდა.

ფრანცმა ადროვა მეზღვაურებს, სანამ მობრუნდებოდნენ და როდესაც მათ ახალი მიმართულება აიღეს, როდესაც ქარმა იალქნები გაბერა, და ოთხმა მეზღვაურმა თავიანთი ადგილები დაიკავა — სამი წინა ერდოზე და ერთიც საჭესთან — საუბარი განაახლეს.

— ჩემო ძვირფასო გაეტანო, — უთხრა ნავის პატრონს, — თქვენ, ვგონებ, მითხარით, რომ კუნძული მონტე-კრისტო მეკობრეების თავშესაფარია, ეს ნადირი კი რაღაც სხვაგვარი ჯიშისაა, ვიდრე გარეული თხები.

— დიახ, თქვენო აღმატებულება, სწორედ ასეა.

— მე ვიცოდი კონტრაბანდისტების არსებობა, მაგრამ მეგონა, ალჟირის ალებისა და რეგენტობის დაცემის შემდეგ ისინი მარტო კუპერისა და კაპიტან მარიეტის რომანებში არსებობენ-მეთქი.

— თქვენი აღმატებულება ცდება; მეკობრეების საქმე ისევეა, როგორც ყაჩაღების, რომლებიც პაპმა ლეონ XII თითქოს გაანადგურა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ყოველდღე მარცვავენ მგზავრებს ზედ რომის კარიბჭესთან. განა ყური არ მოგიკრავთ, რომ ამ ექვსი თვის წინათ ველეტრიდან ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით მისი უწმინდესობის ტახტთან წარმოგზავნილი საფრანგეთის რწმუნებული გამარცხეს?

— დიახ, ყური მოვკარი ამ ამბავს.

— თქვენი აღმატებულება რომ ჩვენსავით ლივორნოში ცხოვრობდეს, ხშირად გაიგონებდა, რომ ნავაჭრით დატვირთული ხომალდი ან ინგლისური ლამაზი იახტა, რომელსაც ბასტიამი, პორტო-ფერაიოში ან ჩივიტა-ვეკიაში ელოდნენ, უკან აღარ დაბრუნებულა, უნზოუკვლოდ დაიკარგა და, უეჭველია, რომელიმე კლდეზე მიიძხვრაო. ეს კლდე კი ნამდვილად დაბალი და ვიწრო ორჩხომელია, ექვს თუ რვაკაციანი, რომლებმაც ხელთ იგდეს და გამარცხეს იგი ბნელ ქარიშხლიან ღამეს, რომელიმე უდაბურ დაუსახლებელ კუნძულთან, სწორედ ისე, როგორაც ყაჩაღები ტყის პირზე აჩერებენ და მარცვავენ საფოსტო ოთხთვალას.

— კი მაგრამ, — წამოიწყო ფრანცმა, რომელიც ისევ ნავის ფსკერზე იყო გაწოლილი, — გამარცხვლები რატომ არ ჩივიან? რატომ არ მოუხმობენ ამ მეკობრეების წინააღმდეგ ან საფრანგეთის, ან სარდინიის, ან ტოსკანის მთავრობას შურისსაძიებლად?

— რატომ? — ჰკითხა ღიმილით გაეტანომ.

— დიახ, რატომ?

— ჯერ ერთი, ხომალდიდან ან იახტიდან მთელი ქონება ორჩხომელზე გადააქვთ; შემდეგ ეკიპაჟს ხელ-ფეხს უკრავენ, თითოეულ მათგანს ყელზე ოცდაოთხგირვანქიან ბირთვს ჰკიდებენ, გემის ხერხემაღში აკეთებენ კასრისოდენა ნახვრეტს, ბრუნდებიან გემბანზე, კეტავენ ყველა ჩასაშვებ კარს და გადადიან ორჩხომელზე. ათი წუთის შემდეგ გემი ჭრიჭინსა და კვნესას იწყებს და ნელ-ნელა იძირება. ჯერ ერთი გვერდით, მერე — მეორეთი. ხან ამოიწვევა, ხან ისევ ჩაიძირება, უფრო და უფრო ღრმად ეშვება წყალში. შემდეგ ისეთ ხმას გაიგონებთ, თითქოს უცებ ზარბაზნები გაისროლესო, — ეს ჰაერი ამსხვრევს გემბანს. ხომალდი დასახრჩობად განწირული ადამიანივით ფართხალებს და ყოველი მოძრაობა ძალას ართმევს, ასუსტებს მას. მალე წყალი, რომელიც გამოსასვლელს ვერ პოულობს, ნახვრეტებიდან ამოხეთქავს, თითქოს გიგანტური კაშალოტი ნესტოებიდან შადრევნებს უშვებსო. ბოლოს უკანასკნელი ხროტინი აღმოხდება, ერთხელ კიდევ შეტრიალდება, ზღვაში ჩაიყურყუმელავებს და ვეებერთელა მაბრისებურ წრეს გააკეთებს; ნელ-ნელა წრეები იშლება, წყლის ზედაპირი სწორდება და ყველაფერი ქრება; ხუთი წუთის შემდეგ მხოლოდ ღვთის თვალი თუ მოძებნის ზღვის ფსკერზე ჩაკარგულ ხომალდს.

— ახლა ხომ გესმით, — დასძინა ნავის პატრონმა ღიმილით, — რატომ არ ბრუნდება ხომალდი ნავსადგურში და რატომ არ ჩივის ეკიპაჟი?

გაეტანოს ეს ამბები ადრე რომ ეთქვა, სანამ მონტე-კრისტოზე ნადირობას შესთავაზებდა, ფრანცი, ალბათ, ჩაუკვირდებოდა, ღირს თუ არა ასეთი ნაბიჯის გადადგმაო; მაგრამ ახლა უკვე გზაზე ვართ და უკან დახევას ლაჩრობად მიიჩნევენო, — გაიფიქრა. ფრანცი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელიც თვითონ არ ეძებს ფათერაკს, მაგრამ თუ შემთხვევა მიეცა, შეუშფოთებელი გულგრილობით ხვდება და ებრძვის მას. ეს იყო ერთ-ერთი იმ მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, რომლებიც ცხოვრებაში საშიშროებას ისე უყურებენ, როგორც მოწინააღმდეგეს დუელში, ისინი ანგარიშს უწევენ მოწინააღმდეგის მოძრაობას, სწავლობენ მის ძალას, აყოვნებენ იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ სული მოითქვან და ამასთან ერთად ლაჩრად არავის ეჩვენონ. ერთი თვალის მოვლებით აფასებენ თავის უპირატესობას და ერთი დარტყმით კლავენ მოწინააღმდეგეს.

— ოჰ! — წამოიწყო ისევ ფრანცმა, — მე მოვიარე მთელი სიცილია და კალაბრია. ორ თვეს ვცურავდი არქიპელაგზე, მაგრამ არასოდეს შევხვედრივარ ყაჩაღის ან მეკობრის აჩრდილსაც კი.

— ეს ამბავი თქვენს აღმატებულებას იმიტომ კი არ მოვუყევი, რომ განზრახვა გადაგაფიქრებინოთ. თქვენ მკითხეთ და მე გიპასუხეთ — ეს არის და ეს.

— დიახ, ჩემო ძვირფასო გაეტანო, თქვენი ნაამბობი ძალიან საინტერესოა. მე ამ საუბარს კიდევ სიამოვნებით მოვისმენ, მაშ გასწი მონტე-კრისტოსაკენ.

ამასობაში ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ თავის მოგზაურობის მიზანს; ქროდა გრილი ქარი. ორჩხომელი საათში ექვსი თუ შვიდი მილის სიჩქარით მიდიოდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ კუნძულს, მით უფრო ეჩვენებოდათ, რომ იგი ზღვიდან თანდათან იზრდებოდა. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივების ციაგში ძნელი არ იყო გაგერჩიათ ერთმანეთზე დაწყობილი ლოდები, თითქოს არსენალში ჩალაგებული ყუმბარებიაო, კლდის ნაპრალებში კი მოჩანდა აწითლებული მანანები და ამწვანებული ხეები. თუმცა მეზღვაურები დამშვიდებული ჩანდნენ, მაგრამ სინამდვილეში ფხიზლად იყვნენ. ისინი მახვილი თვალით უცქერდნენ იმ უსაზღვრო სარკეს, რომელზედაც მიცურავდნენ და გაჰყურებდნენ ჰორიზონტს, სადაც კრთოდნენ მხოლოდ სათევზაო ნავების თეთრი იალქნები, თითქოს ტალღების ქეჩოებზე მოქანავე თოლიები არიანო.

მონტე-კრისტომდე სულ რაღაც თხუთმეტი მილი იყო დარჩენილი, როდესაც მზე კორსიკის უკან გადაიხარა, რომლის მთებიც მარჯვნივ გადმოკიდებულიყვნენ და ცისთვის მიეშვირათ თავისი პირქუში წვეტები. გიგანტი ადამასტორის მსგავსი ლოდების მასივი მუქარით იზრდებოდა ორჩხომელის წინ და მზეს თანდათანობით ფარავდა: ზღვაზე ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა, იგი წინ მიერეკებოდა მომაკვდავი დღის უკანასკნელ ციაგს. სინათლის სხივებმა მიაღწიეს კონუსის მწვერვალს, ერთ წუთს შეჩერდნენ და ისეთი ალი ავარდათ, როგორც ვულკანის ცეცხლოვან ჯილას. ბოლოს ძალა ამავალმა ბინდმა მწვერვალზე ისევე შთანთქა, როგორც მანამდე შთანთქა მისი ძირი, და კუნძული დაემსგავსა ნაცრისფერ მთას, რომელიც სწრაფად ეხვეოდა ბინდ-ბუნდში. ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა.

საბედნიეროდ, მეზღვაურებისათვის ეს გზა ნაცნობი იყო. ისინი ტოსკანის არქიპელაგის სულ უმცირეს კლდეებსაც კი იცნობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფრანცი შეუშფოთებლად როდი შეხვდებოდა იმ გარემოებას, რომ მათი ნავი წყვდიადში გაეხვია: კორსიკა გაქრა, თვით კუნძული მონტე-სკრიტოც აღარ ჩანდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მეზღვაურები ფოცხვერებივით წყვდიადშიც ხედავდნენ, მესაჭეს კი ორჩხომელი დარწმუნებით და მტკიცედ მიჰყავდა.

მზის ჩასვლიდან გავიდა, დაახლოებით, ერთი საათი, რომ ფრანცმა უცებ მარჯვნივ, მეოთხედი მილის დაშორებით, რაღაც მასივი შეამჩნია; მაგრამ ისე ძნელი იყო მისი გარჩევა, რომ გაჩუმება არჩია, ღრუბელი მყარ მიწად არ მივიღო და მეზღვაურები არ გავაცინოო. უცებ ნაპირზე გამოჩნდა კაშკაშა შუქი; მიწა შეიძლებოდა ღრუბელს დამსგავსებოდა, მაგრამ ცეცხლი უთუოდ მეტეორი როდი იყო.

— ეს რა სინათლეა? — იკითხა ფრანცმა.

— ჩუმად! — თქვა ნავის პატრონმა, — ეს ცეცხლია.

— თქვენ კი ამბობდით, კუნძული დაუსახლებელიაო.

— მე თქვენ გითხარით, იქ არ არიან მუდმივი მცხოვრებლები-მეთქი, მაგრამ ისიც გითხარით, რომ იგი კონტრაბანდისტების თავშესაფარია.

— და მეკობრეებისაც აგრეთვე.

— და მეკობრეებისაც, — გაიმეორა ფრანცის სიტყვები გაეტანომ: — სწორედ ამიტომაც ვუბრძანე, კუნძულისათვის ჩაგვევლო, როგორც ხედავთ, ცეცხლი ჩვენს უკანაა.

— ამ ცეცხლმა ჩვენ კი არ უნდა შეგვაშინოს, არამედ დაგვამშვიდოს; იმ ხალხს რომ იმის შიში ჰქონდეს, არავინ დაგვინახოსო, არც ცეცხლს გააჩაღებდნენ.

— ეს არაფერს ნიშნავს, — უთხრა გაეტანომ, — თქვენ სიბნელეში არ შეგიძლიათ გაარჩიოთ კუნძულის მდებარეობა, თორემ შეამჩნევდით, რომ ცეცხლს ვერ დაინახავთ ვერც ნაპირიდან, ვერც პიანოზადან, მას შემჩნევ მხოლოდ გაშლილი ზღვიდან.

— ესე იგი თქვენ შიშობთ, ეს ცეცხლი არ გვამცნობდეს, რომ იქ ცუდი საზოგადოებაა თავმოყრილი?

— აი, სწორედ ეს უნდა გავიგოთ, — უპასუხა გაეტანომ, რომელიც ამ მიწიერ მნათობს თვალს არ აშორებდა.

— კი მაგრამ, როგორ გაიგებთ?

— ახლავე დაინახავთ.

გაეტანომ ამხანაგებს რაღაც გადაულაპარაკა. ხუთი წუთის ბჭობის შემდგომ ორჩხომელმა უჩუმრად მანვერი გააკეთა და ისევ უკან გაბრუნდა; რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი გაქრა, იგი რაღაცა სიმალლემ დაფარა.

მესაჭემ პატარა ხომალდს ახალი მიმართულება მისცა, იგი სწრაფად უახლოვდებოდა კუნძულს და სულ მალე მხოლოდ ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე აღმოჩნდა კუნძულიდან.

გაეტანომ იალქანი დაუშვა და ორჩხომელი გაჩერდა.

ყოველივე ეს დიდ სიჩუმეში ხდებოდა. მას შემდეგ, რაც მიმართულება შეიცვალეს, ნავზე ხმა აღარავის ამოუღია.

გაეტანომ, რომელმაც ფრანცს ეს ექსპედიცია შესთავაზა, თვითონ იკისრა მთელი პასუხისმგებლობა. ოთხი მეზღვაური მას თვალს არ აცილებდა, ნიჩბები გამზადებული ეჭირათ, რათა საჭიროების შემთხვევაში აემოქმედებინათ, ესარგებლათ წყვდიადით და მიმალულიყვნენ.

რაც შეეხება ფრანცს, იგი ჩვენთვის უკვე ცნობილი გულგრილობით ათვალეირებდა იარაღს: მას ჰქონდა ორი ორლულიანი თოფი და კარაბინი. მან ისინი დატენა, ჩახმახები მოსინჯა და ლოდინი დაიწყო.

ამასობაში გაეტანომ თავისი ლაზადა და პერანგი გაიძრო, ხოლო შარვლის ტოტები მჭიდროდ შემოიხვია ბარძაყებზე და რაკი ფეხშიშველი იყო, არც ფეხსაცმლის და არც წინდების გახდა აღარ დასჭირვებია. და აი, ასეთ სამოსელში, ან, უფრო უკეთ, უსამოსლოდ, წყალში ჩაეშვა, თითქოს სიჩუმის დაცვის მიზნით თითი პირზე მიიღო და ნაპირისაკენ ისე ფრთხილად გაცურა, რომ ოდნავი შხაპუნიც კი არ ისმოდა; მხოლოდ წყალში მის მიერ დატოვებული განათებული ზოლის მიხედვით შეიძლებოდა მისთვის თვალის გაყოლება.

მალე ეს ზოლიც გაქრა; ცხადი იყო, გაეტანომ ხმელეთზე ფეხი შედგა.

ამ პატარა ხომალდზე მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ყველა გაუნძრევლად იყო. შემდეგ ნაპირიდან ხელახლა გამოჩნდა განათებული ზოლი, რომელიც ნავს უახლოვდებოდა. ძალიან მალე, ორი ხელის მოსმით, გაეტანომ ნავამდე მოაღწია.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხეს ერთხმად ფრანცმა და მეზღვაურებმა.

— იმას გეტყვით, რომ ისინი ესპანელი კონტრაბანდისტები არიან და მათთან მხოლოდ ორი კორსიკელი ყაჩაღია.

— კი მაგრამ, ეს კორსიკელი ყაჩაღები როგორ მოხვდნენ ესპანელ კონტრაბანდისტებთან?

— ღმერთო ჩემო, — დაიწყო გაეტანომ ნამდვილი ქრისტიანის გულმოწყალებით, — განა ერთმანეთს არ უნდა დავეხმაროთ? ხშირად ყაჩაღებს ხმელეთზე ცუდი დღე ადგებათ ჟანდარმებისა ან კარაბინერებისაგან; ჰოდა, აი, ისინი ხვდებიან ნავს, ხოლო ნავში — ჩვენ მსგავს კეთილ ადამიანებს. ისინი თავშესაფარს თხოულობენ ჩვენს მოცურავე სახლებში. განა შეიძლება დახმარებაზე უარი უთხრა საცოდავ ადამიანს, რომელსაც დევნიან? ჩვენ მას ვღებულობთ და რათა უფრო გულდაჯერებულები ვიყოთ, ზღვაში გავდივართ. ეს არაფერი გვიღირს, ხოლო მას სიცოცხლეს ვუნარჩუნებთ, ან, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლებას; ის ოდესმე გადაგვიხდის ამ სამსახურს, მიგვითითებს მყუდრო

ადგილზე, სადაც შეგვეძლება საქონლის გადაზიდვა ისე, რომ ცნობისმოყვარეებმა არ შეგვაწუხონ.

— ოჰო, მაშ თქვენ კონტრაბანდიტობასაც ეწევით, ჩემო ძვირფასო გაეტანო, — უთხრა ფრანცმა.

— ეჰ, რას იზამთ, თქვენო აღმატებულება? — უთხრა გაეტანომ ისეთი ღიმილით, რომლის აღწერაც კალმით შეუძლებელია. — ცოტ-ცოტათი ყველაფერს ვკიდებთ ხელს; ადამიანმა რამეთი ხომ უნდა იცხოვროს.

— მაშ, ის ხალხი, ვინც ახლა მონტე-კრისტოზე იმყოფება, თქვენთვის უცნობი არ არის.

— თითქმის. ჩვენ, მეზღვაურები, მასონებისა არ იყო, ერთმანეთს ნიშნებით ვცნობთ.

— მერე თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია ნაპირზე გადასვლა?

— სავსებით დამშვიდებით; კონტრაბანდისტები ქურდები როდი არიან.

— მაგრამ ის ორი კორსიკელი ყაჩაღი? — იკითხა ფრანცმა, რომელიც წინასწარ ითვალისწინებდა ყოველგვარ საშიშროებას.

— ღმერთო ჩემო! — თქვა გაეტანომ, — მათი ბრალი ხომ არ არის, რომ ყაჩაღები არიან, ამაში მთავრობას მიუძღვის დანაშაული.

— ეგ როგორ?

— აბა, რა გგონიათ, მათ დევნიან სულ რაღაც უმნიშვნელო რამის გამო. ეს არის და ეს, თითქოს კორსიკელებს სისხლსა და ძვალში არ ჰქონდეთ გამჯდარი შურისძიების გრძნობა.

— რას სთვლით თქვენ უმნიშვნელო რამედ? კაცის მოკვლას? — ჰკითხა ფრანცმა, რომელიც განაგრძობდა თავის ძიებას.

— მტრის მოსპობას, — უპასუხა ნავის პატრონმა, — და ამაში დიდი განსხვავებაა.

— მაშ, კარგი! — თქვა ყმაწვილმა კაცმა, — წავიდეთ კონტრაბანდისტებთან და ყაჩაღებთან სტუმართმოყვარეობის სათხოვნელად. თქვენ როგორ გგონიათ, მიგვიღებენ?

— ეჭვს გარეშეა.

— რამდენნი არიან? «

— ოთხნი, თქვენო აღმატებულება, ორიც ყაჩაღი, სულ ექვსნი არიან.

— ჩვენც სწორედ ამდენივე ვართ. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვაჟბატონებს ცუდი განზრახვა ექნებათ, ძალები თანატოლია და, მაშასადამე, გავუსწორდებით კიდევაც. მაშ ასე, უკანასკნელად ვამბობ, გავწიოთ მონტე-კრისტოსაკენ.

— კარგი, თქვენო აღმატებულება; მაგრამ ხომ ნებას მოგვცემთ, რომ სიფრთხილისათვის კიდევ მივიღოთ ზოგიერთი ღონისძიება?

— რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო! იყავით ნესტორივით ბრძენი და ულისესავით გონებამახვილი. მე არა თუ უფლებას გაძლევთ, უფრო მეტიც, მოგიწოდებთ, ასე მოიქცეთ.

— კარგი! მაშ, სიჩუმე იყოს! — თქვა გაეტანომ.

ყველანი გაჩუმდნენ.

ისეთი ადამიანისათვის, რომელიც ფრანცივით ყოველთვის ფხიზლად უყურებდა საგნებს, მდგომარეობა თუ საშიში არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ სერიოზული იყო. ის იმყოფებოდა თვალუწვდენელ ზღვის სრულ წყვიდადში, უცნობ მეზღვაურებთან, რომელთაც არავითარი საბაზი არ ჰქონდათ, მისი ერთგულები ყოფილიყვნენ; მათ იცოდნენ, რომ მას ქამარში რამდენიმე ათასი ფრანკი ედო, და ერთი ათჯერ თუ შურით არა, ყოველ შემთხვევაში, ცნობისმოყვარეობით მაინც შეუთვალაიერეს მშვენიერი იარაღი. უფრო მეტიც, ის უახლოვდებოდა კუნძულს, რომელიც მეტად ღვთისმოსავ სახელს ატარებდა, მაგრამ კონტრაბანდისტებისა და ყაჩაღების წყალობით, რომლებიც აქ იყვნენ, ისეთი სტუმართმოყვარეობა ელოდა, როგორც ქრისტეს გოლგოთაზე; გარდა ამისა, ამბავი ჩაძირულ ხომალდებზე, რომელიც მას დღისით გაზვიადებულად ეჩვენა, ახლა,

ღამით, სიმართლესთან უფრო ახლოს იყო. ამგვარად, იმყოფებოდა რა ორმაგი, შეიძლება, წარმოდგენილი საშიშროების წინაშე, თვალს არ ამორებდა მეზღვაურებს და იარაღს ხელიდან არ უშვებდა.

ამასობაში მეზღვაურებმა ხელახლა აუშვეს აფრები და გაუდგნენ გზას, რომელიც უკვე ორჯერ გადაცურეს. ფრანცი ცოტათი მიეჩვია წყვილიად: ის არჩევდა გრანიტის მასივებს, რომელთა გასწვრივაც ნავი უჩუმრად მიდიოდა; ბოლოს, ხელახლა შემოუარეს რომელიღაც კლდეს და მან ცეცხლი დაინახა. იგი წინანდელზე უფრო მეტად გაეჩაღებინათ და გარშემო ხუთი თუ ექვსი ადამიანი უჯდა.

ცეცხლის ანარეკლი ზღვაში ას ნაბიჯამდე აღწევდა. გაეტანომ ჩაუარა ამ შუქს. იგი ცდილობდა, ნავი ამ შუქის ზოლში არ მოხვედრილიყო; შემდეგ, როდესაც სწორედ ცეცხლის პირდაპირ აღმოჩნდა, ნავი მისკენ შეაბრუნა და თამამად შევიდა განათებულ წრეში, თან გააბა მეთევზის სიმღერა, რომელსაც მეზღვაურები ბანს აძლევდნენ.

სიმღერის პირველი სიტყვების გაგონებისთანავე ცეცხლის გარშემო მსხდომნი წამოდგნენ, ნავის მისადგომ ადგილს მიუახლოვდნენ და ნავს ჩაამტერდნენ, ალბათ, იმისათვის, რომ გაეგოთ მისი ძალა და გამოეცნოთ მისი განზრახვა. მალე, როგორც ეტყობოდა, დაკმაყოფილდნენ დათვალიერებით და ყველანი, ერთის გამოკლებით, რომელიც ნაპირზე დარჩა, ცეცხლს მიუბრუნდნენ, სადაც მთელი თიკანი იწვებოდა.

როდესაც ნავი ნაპირს ოციოდე ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდა, იქ მდგომმა კაცმა იარაღი ისე გადაიძრო, როგორც ამას გუშაგი პატრულის დანახვაზე აკეთებს ხოლმე და სარდინიულ კილოზე დაიყვირა:

— ვინ მოდის!

ფრანცმა გულგრილად შემართა ორივე ჩახმახი.

გაეტანო ამ კაცს გამოელაპარაკა; ფრანცმა ვერაფერი ვერ გაიგო, თუმცა საუბარი, ალბათ, მას შეეხებოდა.

— სურს თქვენ აღმატებულებას, გაამყდვენოს თავისი ვინაობა, თუ იგი საიდუმლოდ უნდა დარჩეს? — ჰკითხა ფრანცს ნავის პატრონმა.

— ჩემი გვარი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. უთხარით მათ უბრალოდ, რომ მე ვარ ფრანგი, რომელიც თავისი სიამოვნებისათვის მოგზაურობს.

როდესაც გაეტანომ უპასუხა, გუშაგმა რაღაცა ბრძანება მისცა ერთ-ერთ ცეცხლთან მჯდომს, რომელიც მაშინვე წამოდგა და კლდეებს შორის გაქრა.

ხმას არავინ იღებდა, როგორც ეტყობოდა, ყველა თავისი საქმით იყო გართული: ფრანცი — კუნძულზე გადმოსვლით, მეზღვაურები — იალქნებით, კონტრაბანდისტები — თავიანთი თიკნით. მაგრამ ამ გარეგანი უზრუნველობის ქვეშ ყველანი ერთმანეთს ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდნენ. გაგზავნილი კაცი დაბრუნდა, მაგრამ იმის საწინააღმდეგო მიმართულებიდან, საიდანაც იგი გაქრა; მან გუშაგს თავი დაუქნია, ეს უკანასკნელი კი ნავისაკენ შეტრიალდა და მხოლოდ ეს ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— S'accomodi.

შეუძლებელია იტალიური S'accomodi-ის გადმოთარგმნა. ეს ერთ და იმავე დროს ნიშნავს, «მობრძანდით, გთხოვთ კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. თავი ისე იგრძენით, როგორც თქვენს სახლში. თქვენ აქ მასპინძელი ხართ». ის ჰგავს მოლიერის თურქულ წინადადებას, რომელმაც თავისი მრავალგვარი შინაარსით ასე განაცვიფრა გააზნაურებული მდაბიო.

მეზღვაურებს არ დასჭირვებიათ ამ სიტყვის გამეორება: ნიჩბების ოთხი მოქნევით ნავი ხმელეთს მიადგა. გაეტანო მიწაზე გადმოხტა და დაბალი ხმით გუშაგს კიდევ რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკა; მისი ამხანაგებიც რიგრიგობით გადმოვიდნენ, ბოლოს ფრანცის რიგიც დადგა.

თავისი ერთი თოფი მას მხარზე გადაეკიდა, მეორე გაეტანოს ჰქონდა, ერთ-ერთ მეზღვაურს კი მისი კარაბინი ეჭირა. ფრანცის ტანისამოსი ერთსა და იმავე დროს მხატვრული და დარდიმანდული იყო; ამ გარემოებას მასპინძლებში არავითარი ეჭვი არ აღუძრავს და, რასაკვირველია, არავითარი შეშფოთებაც არ გამოუწვევია.

ნავი ნაპირზე მიაბეს და მოხერხებული ბანაკის საძებნელად გაემართნენ, მაგრამ მათ მიერ არჩეული მიმართულება, უეჭველია, არ მოეწონა კონტრაბანდისტს, რომელიც თვალს ადევნებდა მათ ხმელეთზე გადმოსვლას, რადგან გაეტანოს დაუყვირა:

— არა, თუ შეიძლება, იქით არა.

გაეტანომ ბურტყუნით ბოდიში მოიხადა და საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. ამასობაში მეზღვაურები ცეცხლთან მივიდნენ და ჩირაღდნებს მოუკიდეს.

ოცდაათიოდე ნაბიჯის შემდეგ შეჩერდნენ პატარა მოედანზე, რომელსაც ირგვლივ კლდეები ეკრა. ამ კლდეებში გამოთლილი იყო რაღაც სკამების მსგავსი, რომლებიც მოგაგონებდათ პატარა ჯიხურებს, სადაც კაცს შეეძლო დამჯდარიყო და ისე ეყარაულა. ირგვლივ ნოყიერი მიწის ვიწრო ზოლებზე იზრდებოდა ჯუჯა მუხები და მირტის ხშირი რაყა. ფრანცმა ჩირაღდანი დაბლა დასწია და ალაგ-ალაგ ნაცარი დაინახა. იგი მიხვდა, რომ მას პირველს არ შეეფასებინა ამ ადგილის უპირატესობა და, რომ, ჩვეულებრივად, ეს ადგილი კუნძულ მონტე-კრისტოს მოხეტიალე სტუმრების თავშესაფარი უნდა ყოფილიყო.

რაიმე არაჩვეულებრივ მოვლენებს ის უკვე აღარ ელოდა. რაკი ხმელეთზე ფეხი დადგა და დაინახა თავისი მასპინძლების თუ მეგობრული არა, ყოველ შემთხვევაში, გულგრილი განწყობილება, შეშფოთება გაეფანტა და თიკნის სუნმა, რომელიც ცეცხლზე იბრაწებოდა, ჭამის მადანზე მოიყვანა.

ეს ორიოდე სიტყვით აცნობა გაეტანოს, რომელმაც უპასუხა, რომ ვახშამი სრულიად უბრალო საქმეა, როდესაც ნავში გაქვს პური, ღვინო, ექვსი კაკაბი და კარგი ცეცხლი შესაწვავადო.

— თუმცა, — დაუმატა მან, — თუ თქვენს აღმატებულებას ასე ხიბლავს შემწვარი თიკნის სუნი, მე შემიძლია ჩვენს მეზობლებს ორი კაკაბი შევთავაზო ერთ ნაჭერ შემწვარ ხორცში.

— ძალიან კარგი, გაეტანო, ძალიან კარგი. თქვენ მართლაც აკვნიდანვე დაგყოლიათ მოლაპარაკების ნიჭი.

ამასობაში მეზღვაურებმა მოჭრეს მანანები, დაამტვრიეს მწვანე მირტისა და მუხის ტოტები და საკმაოდ კარგი ცეცხლი გააჩაღეს.

ფრანცი მოუთმენლად ელოდა გაეტანოს მოსვლას და შემწვარი თიკნის სუნით ტკბებოდა, როდესაც ის მასთან ძალიან ჩაფიქრებული მივიდა.

— რაო, როგორ არის საქმე? — ჰკითხა ფრანცმა, — ჩვენს წინადადებას უარყოფენ?

— პირიქით, — უპასუხა გაეტანომ, — როდესაც მეთაურმა გაიგო, რომ თქვენ ფრანგი ბრძანდებით, გთხოვათ, ვახშამზე ეწვიოთ.

— სასიამოვნოა, მათი მეთაური ძალიან განათლებული კაცი ყოფილა, და მე ვერავითარ საბაბს ვერ ვხედავ, უარი ვუთხრა; მით უფრო, რომ ჩემი წილი შემაქვს ამ ვახშამში.

— ეჰ! საქმე მაგაში როდია; მას გამასპინძლება არ გაუჭირდება, პირიქით; მაგრამ თავის ბინაში შეუძლია მხოლოდ ერთი უცნაური პირობით მიგიღოთ.

— თავის ბინაში? — წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა; — როგორ, მას სახლი აქვს აშენებული?

— არა; მაგრამ ძალიან კარგად არის მოწყობილი, ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებიან.

— მაშ, თქვენ იცნობთ იმ მეთაურს?

— მე გამიგონია მის შესახებ.

— კარგი თუ ცუდი?

— ერთიცა და მეორეც.

— ეშმაკმა დალახვროს. მერე და რა პირობაა ასეთი?

— თვალეები უნდა აახვევინოთ და ცხვირსახოცი მხოლოდ მაშინ მოახსნევინოთ, როდესაც თვითონ იგი გეტყვით.

ფრანცი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ცდილობდა გაეტანოს თვალეებში ამოეკითხა, რა იმალებოდა ამ წინადადებაში.

— დიახ, დიახ, — უპასუხა მის ფიქრებს გაეტანომ, — მე ძალიან კარგად მესმის, რომ აქ დაფიქრებაა საჭირო.

— ჩემს ადგილზე თქვენ როგორ მოიქცეოდით? — ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— მე, მე არაფერს ვკარგავ, წავიდოდი.

— თქვენ დათანხმდებოდით?

— დიახ, თუნდაც მარტო ცნობისმოყვარეობის გამო.

— მერედა, განა მეთაურთან არის ისეთი რაიმე, რაც ცნობისმოყვარეობას გამოიწვევს?

— მისმინეთ, — უთხრა გაეტანომ და ხმა დაიდაბლა, — მე არ ვიცი, მართალია თუ არა, რასაც ამბობენ...

მან ირგვლივ მიმოიხედა, ყურს ხომ არავინ მიგდებსო.

— მერედა, რას ამბობენ?

— ამბობენ, რომ ის ცხოვრობს მიწისქვეშეთში, რომელთან შედარებითაც პიტის¹ (1 პიტი — სახელგანთქმული იტალიური გვარი, მედიჩის მეტოქე. მათი სასახლე ფლორენციაში ხუროთმოძღვრების შედევრს წარმოადგენს.) სასახლე არაფერიაო.

— რა ზღაპარია! — თქვა ფრანცმა და დაჯდა.

— ოჰ, არა, ეს ზღაპარი როდია, — განაგრძო ნავის პატრონმა, — ეს სინამდვილეა, «წმინდა ფერდინანდის» ლოცმანი კამა ერთ დღეს მასთან ყოფილა და იქიდან პირდაპირ გაბრუნებული გამოსულა; ის ამბობს, რომ ასეთი განძეული მხოლოდ ფერიათა ზღაპრებში თუ არსებობსო.

— იცით თუ არა, რომ ამგვარი სიტყვებით, თქვენ მაიძულებთ ალი-ბაბას¹ (1 ალი-ბაბა — «ათას ერთი ღამის ზღაპრების» პოპულარული გმირი, რომელიც ჯადოსნური სიტყვების ძალით — «სეზამ, გაიღე», ალებს იმ გამოქვაბულის კარებს, სადაც ორმოცმა ქურდმა თავიანთი ნადავლი დამალა.) მღვიმეში ჩავიდე?

— მე თქვენ აღმატებულებას მხოლოდ იმას ვეუბნები, რაც გამიგონია.

— მაშ, თქვენ მირჩევთ მიპატიჟება მივიღო?

— ოჰ, არა, მე თქვენ ამას არ ვეუბნებით. თქვენი აღმატებულება ისე მოიქცეს, როგორც მას სურს, ამგვარ გარემოებაში რჩევის მოცემას ვერ ვბედავ.

ფრანცი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მან გადაწყვიტა, ასეთი მდიდარი ადამიანი ჩემს რამდენიმე საცოდავ ათას ფრანკს არ გამოეკიდებო; და რადგან მშვენიერ ვახშამს ელოდა, მიწვევა მიიღო. გაეტანო წავიდა, რათა მისი პასუხი გადაეცა.

როგორც უკვე ვთქვით, ფრანცი წინდახედული კაცი იყო; ამიტომ უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ამბები გაეგო თავის უცნაურ და საიდუმლო მასპინძელზე. იგი მიუბრუნდა მეზღვაურს, რომელიც ამ საუბრის დროს კაკბებს ბრტყვნიდა; ამ მეზღვაურს მედიდური იერი ჰქონდა, დამახასიათებელი ისეთი ადამიანისათვის, რომელიც ამაყობს თავისი მოვალეობით; ფრანცმა მას ჰკითხა, — რით მოვიდნენ ეს ადამიანები, როცა არც ნავეები, არც სპერონარები, არც ტარტანები არ ჩანანო.

— ეს არ მაკვირვებს, — უპასუხა მეზღვაურმა, — მე ვიცნობ ხომალდს, რომლითაც ისინი დადიან.

— ლამაზი ხომალდია?

— ვუსურვებდი თქვენს აღმატებულებას, რომ იმით მთელი ქვეყნიერება შემოევლო.

— დიდია ის ხომალდი?

— დაახლოებით, ასი ტონა წყალწყვის. ერთი სიტყვით, ეს არის მოგზაურობის მოყვარული ადამიანის ხომალდი, იახტა, როგორც ინგლისელები ამბობენ, მაგრამ ისეთი მკვრივი, რომ ყოველგვარ ამინდს გაუძლებს.

— სად არის აგებული?

— არ ვიცი, მგონი, გენუაში უნდა იყოს.

— კი მაგრამ, კონტრაბანდისტების ბელადს როგორ არ ეშინია, რომ თავისი კომერციული მიზნებისათვის განკუთვნილი იახტა გენუის ნავსადგურში შეუკვეთოს.

— მე არ მითქვამს, რომ იახტის პატრონი კონტრაბანდისტია, — უპასუხა მეზღვაურმა.

— არა, თქვენ არა, მაგრამ, ვგონებ, გაეტანომ თქვა.

— გაეტანომ ეკიპაჟი შორიდან დაინახა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დალაპარაკებია.

— თუ ის კაცი კონტრაბანდისტების მეთაური არაა, მაშ ვინ არის?

— მდიდარი დიდებული, რომელიც თავისი სიამოვნებისათვის მოგზაურობს.

«ალბათ, მეტად საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა, რადგან მასზე ასე სხვადასხვანაირად მსჯელობენ». — გაიფიქრა ფრანცმა.

— რა ჰქვია?

— როდესაც მას ამის შესახებ ეკითხებიან, უპასუხებს, სინდბად-მეზღვაური მქვიაო. მაგრამ მე ეჭვი მეპარება, რომ ეს მისი ნამდვილი სახელი იყოს.

— სინდბად მეზღვაური?

— დიახ.

— სად ცხოვრობს ის დიდებული?

— ზღვაზე.

— სადაურია?

— არ ვიცი.

— გინახავთ?

— მქონია შემთხვევა.

— როგორი კაცია?

— თქვენი აღმატებულება თვითონ განსჯის.

— სად მიმიღებს?

— უეჭველია, მიწისქვეშეთში, როგორც გაეტანომ გითხრათ.

— როდესაც მარტონი იყავით ამ კუნძულზე, ნუთუ არც ერთხელ არ აღგძვრიათ ცნობისმოყვარეობა და არ ცდილობართ, ამ ჯადოსნურ სასახლეში შესულიყავით?

— როგორ არა, თქვენო აღმატებულება, — უპასუხა მეზღვაურმა, — და განა ერთხელ და ორჯერ, მაგრამ ჩვენი ცდა ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ჩვენ მღვიმის არც ერთი კუნჭული არ დაგვიტოვებია, მაგრამ სულ ვიწრო შესასვლელიც ვერ აღმოვაჩინეთ. ამბობენ, ამ სასახლის კარი გასაღებით კი არ იღება, არამედ ჯადოსნური სიტყვით.

«— უეჭველია, — ჩაიჩურჩულა ფრანცმა, — «ათას ერთი ღამის» ზღაპარში მოგხვდით».

— მისი აღმატებულება გელით, — მოესმა ფრანცს ზურგს უკან, მან გუშაგის ხმა იცნო. მას თან ახლდა ორი კაცი იახტის ეკიპაჟიდან.

ფრანცმა პასუხის ნაცვლად ცხვირსახოცი ამოიღო და გუშაგს გაუწოდა.

მას ხმის ამოუღებელივ და გულდაგულ აუხვიეს თვალები, ეტყობოდათ, შიშობდნენ, რაიმე კადნიერება არ გამოეჩინა; ამის შემდეგ დააფიცეს, რომ არავითარ შემთხვევაში ცხვირსახოცს არ მოიხსნიდა.

მან დაიფიცა.

მაშინ იმ ორმა მეზღვაურმა ფრანცს აქეთ-იქით მკლავებში ხელი ჩაჰკიდა. გუშაგი წინ წაუძღვა.

ოცდაათიოდე ნაბიჯის შემდეგ შემწვარი თიკნის მადის მომგვრელმა სუნმა ფრანცი მიახვედრა, რომ ბანაკს გვერდით ჩაურა; შემდეგ კიდევ ორმოცდაათი ნაბიჯი გაიარეს, ალბათ, იმ მიმართულებით, საითაც გაეტანოს წასვლა აუკრძალეს; ახლა ფრანცისათვის გასაგები გახდა, რამ გამოიწვია ეს აკრძალვა. მალე ჰაერი შეიცვალა: ის მიხვდა, რომ მიწისქვეშეთში შედიოდა. რამდენიმე წუთის სიარულის შემდეგ ტკაცანი შემოესმა და უფრო თბილი და სურნელოვანი ჰაერი იგრძნო. ბოლოს ფეხი რბილ და სქელ ხალიჩაზე შედგა, გამყოლებმა ხელი გაუშვეს. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ვიღაცის ხმაძი კარგი ფრანგულით, თუმცა უცხოური გამოთქმით, წარმოთქვა:

— ბატონო ჩემო, კეთილი იყოს თქვენი ჩემთან მობრძანება; ახლა უკვე შეგიძლიათ მოიხსნათ ცხვირსახოცი.

რასაკვირველია, ფრანცმა არ გაამეორებინა თხოვნა; მან თვალებიდან ცხვირსახოცი მოიხსნა. მის წინ იდგა ოცდათვრამეტი-ორმოცი წლის კაცი, რომელიც ტუნისელის სამოსელში იყო გამოწყობილი. თავზე გრძელი, ცისფერი აბრეშუმის ფოჩიანი წითელი ქუდი ეხურა, ეცვა შავი მაუდის ქურთუკი სულ ოქრომკედით ამოქარგული, განიერი ღია წითელი ფერის შარვალი და ამავე ფერის გეტრები, რომლებიც აგრეთვე ოქრომკედით იყო ამოქარგული და ყვითელი ფოოსტები; წელზე ქამრად ერტყა ძვირფასი ქიშმირი, რომელშიც გაყრილი ჰქონდა მოღუნული ხანჯალი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მამაკაცს მკვდრის ფერი ედო, მისი სახე მაინც ძალიან ლამაზად ჩაითვლებოდა. მას ჰქონდა ცოცხალი და გამჭრიახი თვალები; სწორი ცხვირი, რომელიც თითქმის შუბლს უსწორდებოდა და წმინდა ბერძნულ ტიპს მოგაგონებდათ; მისი მარგალიტივით თეთრი კბილები თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებდნენ კუპრივით შავი უღვაშების ქვეშ.

მაგრამ მისი სახის სიფერმკრთალე რაღაც უცნაური იყო; ასე იტყოდით, ეს კაცი კარგა ხანს, ალბათ, საფლავში იდო და ახლა უკვე ვეღარ იბრუნებს სიცოცხლის ფერსაო.

ძალიან მაღალი არ იყო, მაგრამ კარგად მოყვანილი გახლდათ და, როგორც ყველა სამხრეთელს, პატარა ხელები და ფეხები ჰქონდა.

მაგრამ ყველაზე მეტად ფრანცი, რომელსაც გაეტანოს ნაამბობი ზღაპრად მიაჩნდა, მდიდრულმა მოწყობილობამ განაცვიფრა. მთელი ოთახის კედლებზე გაკრული იყო ოქროს ყვავილებით ამოქარგული მუქი წითელი თურქული აბრეშუმი. სიღრმეში იდგა განიერი სავარძელი, რომლის ზემოთ ეკიდა ოქროს ქარქაშებში მოთავსებული არაბული იარაღი, რომელთა ტარები ძვირფასი თვლებით იყო მოჭედული; ჭერში ეკიდა ვენეციური შუშის ლამპარი, რომელსაც მომხიბლავი ფერი და ფორმა ჰქონდა. ფეხი კოჭებამდე ეფლობოდა თურქულ ხალიჩაში. იმ კარზე, რომლითაც ფრანცი შემოვიდა, და მეორეზეც, რომელიც მეზობელ, უფრო განათებულ ოთახში გადიოდა, ფარდები იყო ჩამოშვებული.

მასპინძელი ხელს არ უშლიდა ფრანცს, ყველაფერს დაჰკვირვებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონაც აკვირდებოდა მას და თვალს არ აშორებდა.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მან ბოლოს, — გთხოვთ მომიტევოთ ის სიფრთხილე, რომლითაც თქვენ ჩემთან შემოგიყვანეს; მაგრამ რაკი ეს კუნძული მეტწილად დაცარიელებულია, ვშიშობ, ვინმემ არ მოაგნოს ჩემს საიდუმლო საცხოვრებელს, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი, უეჭველია, დაბრუნებისას მეტად სავალალო მდგომარეობაში

დამხვდებოდა. ეს კი ძალიან მეწყინება, იმიტომ კი არა, რომ ზარალი შემაწუხებს, არამედ იმიტომ, რომ მომაკლდება საშუალება, სურვილისამებრ განმარტოებით ვიცხოვრო. ახლა კი შევეცდები, დაგავიწყოთ ის პატარა უსიამოვნება და შემოგთავაზოთ ისეთი რამ, რასაც თქვენ აქ, ალბათ, ნაკლებად მოელოთ, ესე იგი მსუბუქი ვახშამი და საკმაოდ კარგი ღვინო.

— ღმერთო ჩემო, ძვირფასო მასპინძელო, რა საჭიროა ამისათვის ბოდიშები? ყველასათვის ცნობილია, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ფეხს აბიჯებენ ჯადოსნური სასახლეების ზღურბლებს, თვალებს აუხვევენ ხოლმე. გაიხსენეთ რაული «ჰუგენოტებიდან». კაცმა მართალი თქვას, მე რა მაქვს სამდურავი; ყველაფერი, რასაც თქვენ მე მიჩვენებთ, «ათას ერთი ღამის» ზღაპრადა ღირს.

— ეჰ, მე თქვენ ლუკულუსით¹ (1 ლუკულუსი — რომაელი მხედართმთავარი, რომელიც მითრიდატეს ებრძოდა. რომში დაბრუნების შემდეგ სახელი გაითქვა ფუფუნებითა და ღრეობებით.) გეტყვით: რომ მცოდნოდა, თქვენ პატივს დამდებდით და მობრძანდებოდით, მოვემზადებოდი; მაგრამ როგორც უნდა იყოს ჩემი თავშესაფარი, ის თქვენს განკარგულებაშია; რანაირი ცუდიც უნდა იყოს ჩემი ვახშამი, გთხოვთ გემო გაუსინჯოთ. ალი, სუფრა გაშლილია?

თითქმის იმ წუთშივე ფარდა გადაიხსნა და სადა, თეთრ ტუნიკიანმა, აბანოზის ხესავით შავმა ნუბიელმა ზანგმა თავის ბატონს ხელით ანიშნა — შეგიძლიათ სასადილო ოთახში მობრძანდეთო.

— ახლა კი მე არ ვიცი, თქვენ ჩემს აზრს გაიზიარებთ თუ არა, — უთხრა უცნობმა ფრანცს: — მაგალითად, მე იმაზე უხერხულად არაფერი მიმაჩნია, რომ სამი საათის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ ვისხდეთ და არ ვიცოდეთ, რა სახელით ან წოდებით მივმართოთ ერთიმეორეს. მხედველობაში მიიღეთ ის გარემოება, რომ მე მეტისმეტად ვაფასებ სტუმართმოყვარეობის წესებს და არ გეკითხებით თქვენს გვარსა და წოდებას; მე მხოლოდ გთხოვთ მითხრათ, როგორ იწოდებით, რომ მოგმართოთ. რაც შემეხება მე, რათა თქვენ უხერხულობა არ იგრძნოთ, გეტყვით, რომ ჩვეულებრივად სინდბად-მეზღვაურს მეძახიან.

— მე კი, — უპასუხა ფრანცმა, — რაკი ალადინის² (2 ალადინი — «ათას ერთი ღამის» ზღაპრების გმირი, რომელიც ჯადოსნური ლამპრის შემწეობით გასაოცარ წარმატებებს აღწევდა.) მდგომარეობის მისაღწევად მხოლოდ მისი სახელგანთქმული ლამპარი მაკლია, ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ვხედავ, ალადინი მიწოდოთ. ამრიგად ჩვენ ვიქნებით აღმოსავლეთის სამფლობელოში, სადაც ჯადოსნურმა თილისმამ გადმომისროლა.

— ძალიან კარგი, ბატონო ალადინ, — უთხრა საიდუმლოებით მოცულმა მასპინძელმა. — თქვენ გაიგონეთ, რომ ვახშამი მზად არის. ამიტომ გთხოვთ, სასადილო ოთახში გამობრძანდეთ: თქვენი უმორჩილესი მსახური წინ გაგიძღვებათ, რათა გზა გიჩვენოთ.

ამ სიტყვებზე მან ფარდა გასწია და თავის სტუმარს წინ გაუძღვა.

ფრანცის აღფრთოვანება სულ უფრო და უფრო მატულობდა. სუფრა არაჩვეულებრივად მდიდრულად იყო გაშლილი. რაკი მან ეს მნიშვნელოვანი გარემოება გამოარკვია, ოთახის დათვალიერება დაიწყო. სასადილო ოთახი ნაკლებად მომხიბვლელი როდი იყო, ვიდრე სასტუმრო ოთახი, რომელიც მან ეს იყო დატოვა; ის მთლიანად მარმარილოსი იყო და ძვირფასი ანტიკური ბარელიეფები ამკობდა. ამ მოგრძო დარბაზის თავსა და ბოლოში ორი მშვენიერი ქანდაკება იდგა თავზე დადგმული კალათებით. ამ კალათებში პირამიდულად ეწყო ყველაზე იშვიათი ხილი: სიცილიის ანანასები, მალაგის ბროწეულები, ბალეარის კუნძულების ფორთოხალი, საფრანგეთის ატმები და ტუნისის ხურმა.

რაც შეეხება ვახშამს, ის შედგებოდა შემწვარი ხობხისაგან, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა კორსიკული შაშვები, გარეული ტახის ლაბიანი შაშხი, შემწვარი თიკანი ტარტარის საწებლით, მშვენიერი ტიურბო და ვეებერთელა ლანგუსტი.

დიდ ლანგრებს შუა საუზმის პატარა თევზები ელაგა.

ლანგრები ვერცხლისა იყო, პატარა თევზები კი იაპონური ფაიფურისა.

ფრანცი თვალებს იფშვნეტდა, სიზმარში ხომ არა ვარო.

მაგიდას მხოლოდ ალი ემსახურებოდა და საუცხოოდაც უძღვებოდა თავის მოვალეობას. სტუმარმა შეაქო იგი.

— დიახ, — უპასუხა მასპინძელმა, რომელიც მაღალი საზოგადოების ადამიანის დამახასიათებელი ძალდაუტანებლობით ფრანცს საჭმელ-სასმელს სთავაზობდა, — საწყალი ჩემთვის მეტისმეტად თავდადებულია და ცდილობს, რაც შეუძლია მასიამოვნოს. მას კარგად ახსოვს, რომ სიკვდილს გადავარჩინე. როგორც ჩანს, ძალიან ძვირად უღირდა თავისი თავი და მადლობელია, რომ შევუნარჩუნე იგი.

ალი თავის ბატონს მიუახლოვდა და ხელზე აკოცა.

— კადნიერებაში ხომ არ ჩამომართმევთ, თუ გკითხავთ, როგორ ვითარებაში მოხდა ეს კეთილი საქმე? — ჰკითხა ფრანცმა.

— ღმერთო ჩემო, სულ უბრალოდ, — უპასუხა მასპინძელმა: — როგორც ჩანს, ეს სულელი სეირნობის დროს უფრო ახლო მივიდა ტუნისის ბეის ჰარამხანასთან, ვიდრე ეს ნებადართულია შავკანიანებისათვის; ამის გამო ბეიმ ბრძანება გასცა, მისთვის ენა, ხელი და თავი მოეჭრათ; პირველ დღეს — ენა, მეორე დღეს — ხელი, ხოლო მესამე დღეს — თავი. მე ყოველთვის მინდოდა, მუნჯი მსახური მყოლოდა, ამიტომ მოვუცადე, სანამ ენას მოსჭრიდნენ და შემდეგ ბეის შევთავაზე, გაეცვალა იგი ჩემთვის მშვენიერ ორლულიან თოფში, რომელიც, როგორც წინადღეს შევნიშნე, ძალიან მოეწონა მის უმაღლესობას. ის ცოტა ხანს ყოყმანობდა; როგორც ჩანს, ძალიან უნდოდა ბოლო მოეღო ამ საცოდავისათვის. მაგრამ მე თოფს დავუმატე ინგლისური სანადირო დანა, რომლითაც მისი უდიდებულესობის იატაკიანი გადავჭერი; მაშინ ბეი დამთანხმდა, ამ უბედურს თავი და ხელი შერჩენოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი ფეხი აღარ ყოფილიყო ტუნისში. ეს პირობა არც კი იყო საჭირო. საკმარისია, ამ ურჯულომ თვალი მოჰკრას აფრიკის ნაპირებს, რომ ტრიუმის სიღრმეში მიიძალეება და იქიდან ვერ გამოიყვანთ, სანამ ქვეყნიერების ეს მესამე ნაწილი თვალს არ მიეფარება.

ფრანცი ჩაფიქრდა, არ იცოდა, როგორ განესაჯა ის მკაცრი გულკეთილობა, რომლითაც მასპინძელი ამ ამბავს უყვებოდა.

— ამგვარად, კეთილშობილი მეზღვაურის მსგავსად, რომლის სახელიც თქვენ შეგირქვამთ, — თქვა მან იმისათვის, რომ სასაუბრო თემა შეეცვალა, — თქვენს ცხოვრებას მოგზაურობაში ატარებთ?

— დიახ; ეს აღთქმაა, რომელიც დავდე მაშინ, როდესაც არც კი ვფიქრობდი, თუ საშუალება მომეცემოდა ამესრულებინა იგი, — უპასუხა უცნობმა ღიმილით, — მე კიდევ დავდე რამდენიმე აღთქმა და იმედი მაქვს, თანდათანობით ყველას შევასრულებ.

— თქვენ ბევრი ტანჯვა ხომ არ გამოგივლიათ, ბატონო? — ჰკითხა ფრანცმა.

სინდბადი შეკრთა და სტუმარს ჩააშტერდა.

— რამ გაფიქრებინათ ეგ? — ჰკითხა მან.

— ყველაფერმა, — უპასუხა ფრანცმა, — თქვენმა ხმამ, თქვენმა გამოხედვამ, თქვენმა სიფერმკრთალებმ და თვით ცხოვრებამაც, რომელსაც ეწევით.

— მე! მე ვეწევი ისეთ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც კი შეიძლება ამქვეყნად ხვდეს ადამიანს — ნამდვილ ფაშასავით ვცხოვრობ. მთელი ქვეყნიერების მეუფე ვარ; რომელი ადგილიც მომეწონება, იქ ვრჩები. მომწყინდება, მივემგზავრები. ჩიტვით თავისუფალი

ვარ; მეც ისეთივე ფრთები მაქვს, როგორც მას; საკმარისია ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს ერთი ვანიშნო და ისინი მყისვე ჩემი ნება-სურვილის მონანი ხდებიან. ზოგჯერ იმით ვერთობი, რომ დავცინი ადამიანთა სამართალს, ხელიდან ვტაცებ მათ ყაჩაღს, რომელსაც ისინი ეძებენ, ან დამნაშავეს, რომელსაც დევნიან. გარდა ამისა, მე მაქვს დაბალი და მაღალი ინსტანციის საკუთარი სამართალი ყოველგვარი აპელაციებისა და ვადების გადაწევის გარეშე, რომელიც სჯის ან ამართლებს და რომელშიც არავინ არ ერევა. ეჰ! თქვენ რომ ჩემი ცხოვრების გემო გაიგოთ, საზოგადოებას არასოდეს დაუბრუნდებოდით, თუ რაიმე საიდუმლო განზრახვა არ გექნებოდათ შესასრულებელი.

— მაგალითად, შურისძიების! — უთხრა ფრანცმა.

უცნობი ისე დააცქერდა ფრანცს, რომ მისი შემოხედვა გულისა და გონების სიღრმემდე ჩასწვდა.

— რატომ მაინცადამაინც შურისძიების? — ჰკითხა მან.

— იმიტომ რომ, — მიუგო ფრანცმა, — მე თქვენ ისეთი ადამიანი მგონიხართ, რომელსაც საზოგადოება დევნის და რომელიც ემზადება ამ უკანასკნელთან რაღაც საშინელი ანგარიშის გასასწორებლად.

— ცდებით, — უთხრა სინდბადმა, თავისი უცნაური სიცილით გადაიხარხარა და თეთრი, ბასრი კბილები გამოაჩინა, — მე თავისებური ფილანტროპი ვარ და შესაძლებელია, ოდესმე პარიზში გავემგზავრო, რათა მეტოქეობა გავუწიო ბატონ აპერტს და ლურჯ წამოსასხამიან მამაკაცს¹. (¹ აპერტი — ფრანგი მრეწველი, რომელმაც მოიგონა საშუალება, დაეკონსერვებინათ საკვები მასალა ლითონის და მინის ყუთებში. — ლურჯ წამოსასხამიანი მამაკაცი — სახელწოდებაა ცნობილი ფრანგი ქველმოქმედის შამპიონისა.)

— ეს იქნება თქვენი პირველი მოგზაურობა პარიზში?

— დიახ, საუბედუროდ! მე ცნობისმოყვარე კაცს არ ვგავარ, არა? მაგრამ გარწმუნებთ, ჩემი ბრალი არაა, რომ ასე დავადგინე. ამის დროც მოვა.

— თქვენ მალე იქნებით პარიზში?

— თვითონ არ ვიცი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება საქმის ვითარება.

— მინდოდა, იმ დროისათვის მეც იქ ვყოფილიყავი, რათა შეძლებისამებრ სამაგიერო პატივისცემა გადამეხადა იმ გულუხვი სტუმართმოყვარეობისათვის, რასაც თქვენ აქ, მონტე-კრისტოზე მიწევთ.

— მე სიამოვნებით მივიღებდი თქვენს წინადადებას, — უპასუხა მასპინძელმა, — მაგრამ, საუბედუროდ, თუ პარიზში წავედი, ეს იქნება ინკოგნიტოდ.

ვახშამი გრძელდებოდა, კაცი იფიქრებდა, ეს ვახშამი მართო ფრანცისთვისაა განკუთვნილიო, რადგან მასპინძელს პირი არ დაუკარებია იმ ძვირფას საჭმელებისათვის, რომლითაც მოულოდნელ სტუმარს უმასპინძლდებოდა, ეს უკანასკნელი კი მადიანად შეექცეოდა.

ბოლოს ალიმ ტკბილეული მოიტანა, ანუ, უკეთ, ქანდაკებებიდან კალათები ჩამოიღო და მაგიდაზე დააწყო. კალათებს შუა მან თავსახურიანი მოვარაყებული პატარა თასი ჩადგა.

ალიმ ისეთი მოწიწებით მოიტანა ეს თასი, რომ ფრანცს ცნობისმოყვარეობა აღედრა. მან სახურავი ასწია და დაინახა მომწვანო ცომი, რომელიც რაღაც ანგელოზურ ტკბილეულს წააგავდა, მაგრამ უცნობი იყო მისთვის.

ფრანცმა თავი ისევ დახურა, ახლა მან იმდენივე იცოდა, რამდენიც სახურავის ახდამდე. შემდეგ მასპინძელს შეხედა. მასპინძელი დამცინავი ღიმილით უყურებდა.

— თქვენ ვერ ხვდებით, რა არის ამ თასში და ცნობისმოყვარეობა არ გასვენებთ, არა?

— დიახ, უნდა გამოგიტყდეთ.

— ეს არის მწვანე ტკბილეული. იგივე ამბროზიაა, რომელსაც ჰება იუპიტერს მიართმევდა ხოლმე სუფრაზე.

— მაგრამ ამ ამბროზიამ, — უთხრა ფრანცმა, — უეჭველია, ადამიანთა ხელში გადმოსვლის შემდეგ დაკარგა თავისი ციური სახელი და მიწიერი მიიღო; რა ჰქვია ადამიანურ ენაზე ამ წამალს, რომლის მიმართაც მე განსაკუთრებულ სიმპათიას ვერ ვგრძნობ?

— აი, ჩვენი მატერიალური წარმოშობის უტყუარი საბუთი, — შეჰყვირა სინდბად მეზღვაურმა, — რა ხშირად ჩავუვლით ხოლმე გვერდს ჩვენს ბედნიერებას, ისე რომ ვერ ვამჩნევთ მას, ან თუ შევხედავთ, ვერ ვცნობთ. თუ თქვენ პოზიტიური ადამიანი ხართ და თქვენი ღმერთი — ოქროა, იგემეთ ეს საჭმელი და თქვენს წინ გადაიშლება პერუს, გუზარატისა და ჰოლკონდის ოქროს საბადოები; თუ ფანტაზიის კაცი ხართ, პოეტი, იგემეთ ეს საჭმელი და შეუძლებლის საზღვრები გაქრებიან; უსაზღვრო სივრცეები გადაიშლება თქვენს წინ, თქვენ ოცნების უსასრულო სივრცეებში ისეირნებთ ლაღი გულით, თავისუფალი გონებით და ლაღი სულით. თუ პატივმოყვარე ხართ, ესწრაფვით მიწიერ დიდებას — იგემეთ ეს საჭმელი და ერთი საათის შემდეგ იქნებით მეუფე — მხოლოდ მეუფე არა პატარა ქვეყნის, რომელიც მიმალულია ევროპის რომელიმე კუნჭულში, როგორცაა ინგლისი, საფრანგეთი ან ესპანეთი, არამედ მთელი დედამიწის, მთელი ქვეყნიერების, მთელი მსოფლიოს მეუფე. თქვენი ტახტი აღმართული იქნება იმ მთაზე, სადაც სატანამ ქრისტე აიყვანა; თქვენ არ დაგჭირდებათ სატანის წინაშე ქედის მოხრა, მისი ამბორი, თქვენ გახდებით მიწიერი სამეფოების მეფეთა მეფე. დამეთანხმებით, რომ, რასაც მე გთავაზობთ, მეტად მომხიბვლელია, მით უმეტეს, რომ შეხედეთ, ამისათვის მხოლოდ ესაა საკმარისი... შეხედეთ.

ამ სიტყვებზე მან თასს სახურავი ახადა, ყავის პატარა კოვზით ნაქები ტკბილეული ამოიღო, პირთან მიიტანა, თვალები ნახევრად დახუჭა, თავი უკან გადაიგდო და ნელა გადაყლაპა.

ფრანცმა თავის მასპინძელს ადროვა დამტკბარიყო თავისი საყვარელი პირის ჩასატკბარუნებელი საჭმლით; ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი ცოტათი დამშვიდდა, ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს მითხარით, ეს რა ჯადოსნური საჭმელია?

— გაგიგონიათ მთის მოხუცზე რაიმე, — ჰკითხა მასპინძელმა, — იმაზე, ვისაც ფილიპ-ავგუსტის¹ (1 იგულისხმება ჰასან-იბნ-საბა, ე. წ. მულიდების, ანუ ასასინების მეთაური, რომელიც XIII ს. ცხოვრობდა. ის თავის მიმდევრებს ჰაშიმით ათრობდა და საბრძოლველად აგზავნიდა.

— ფილიპ-ავგუსტი — საფრანგეთის მეფე (1165—1223), მესამე ჯვაროსანთა ომის მონაწილე.) მოკვლა სურდა?

— რასაკვირველია.

თქვენთვის ცნობილია, რომ ის მთის ძირში ფლობდა მდიდარ ხეობას, რომლის წყალობითაც მიიღო თავისი პოეტური სახელწოდება.

ამ ხეობაში გაშლილი იყო ჰასან-იბნ-საბას მიერ გაშენებული მშვენიერი ბაღები, ხოლო ბაღებში იდგა განმარტოებული ტალავრები. ამ ტალავრებში მარკო პოლოს² (2 მარკო-პოლო (1254—1323) — ცნობილი ვენეციელი მოგზაური, რომელმაც აღმოსავლეთი აზია მოვლო და თავისი მოგზაურობის საინტერესო აღწერა დატოვა.) სიტყვით, ის მიიწვევდა ხოლმე რჩეულებს და უმასპინძლებოდა რაღაც ბალახით, რომელსაც ისინი გადაჰყავდა ედემში, სადაც ელოდა მარად აყვავებული მცენარეები, მარად მწიფე ხილი და მარად ახალგაზრდა ქალიშვილები. ყველაფერი ის, რასაც ეს ბედნიერი ყმაწვილი კაცები სინამდვილედ თვლიდნენ, იყო ოცნება, მაგრამ ისეთი ტკბილი, ისეთი დამატრობელი,

ისეთი ვნებიანი, რომ ისინი ამისათვის სულსა და გულს მიჰყიდდნენ ადამიანს, რომელიც მას ასეთი განცდებით აჯილდოებდა და მის ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ, როგორც ღვთიურს. ქვეყნის დასალიერს მიდიოდნენ მის მიერ მითითებული მსხვერპლის მოსაკლავად, კვდებოდნენ წამებით, მაგრამ არ ნანობდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ ეს იყო მხოლოდ გადასვლა იმ სანეტარო ცხოვრებაში, რომელსაც მათ წმინდა ბალახი ჰპირდებოდა.

— მაშ, ეს ჰაშიშია! — შეჰყვირა ფრანცმა, — მე მას მარტო სახელწოდებით როდი ვიცნობ.

— სწორად გამოიცანით, ბატონო ალადინ, ეს ჰაშიშია, ყველაზე საუკეთესო ჰაშიში, ნამდვილი წმინდა ალექსანდრიული, შეუდარებელი ოსტატის, დიდი ადამიანის აბუგორას ჰაშიში; მას შეეფერებოდა სასახლე აშენებინა შემდეგი წარწერით: «ბედნიერების მოვაჭრეს — მადლიერი კაცობრიობა».

— იცით რა, მე მინდა დავრწმუნდე, რამდენად სამართლიანია თქვენი ქება.

— თქვენ თვითონ განსაჯეთ, ჩემო სტუმარო, თქვენ თვითონ განსაჯეთ; მაგრამ პირველ ცდაზე ნუ შეჩერდებით. გრძნობა უნდა მიაჩვიოთ ყოველგვარ ახალ განცდას, ტკბილსა თუ მწარეს, სამწუხაროს თუ სამხიარულოს. ბუნება და ეს ღვთიური ბალახი ერთმანეთს ებრძვიან და რაკი ბუნება ბედნიერებისათვის არ არის შექმნილი, ტანჯვას ებლაუჭება. საჭიროა, რომ დამარცხებული ბუნება დაეცეს ამ ბრძოლაში, საჭიროა, რომ ოცნებას სინამდვილე მოჰყვეს: მაშინ ოცნება დაამარცხებს სინამდვილეს, ოცნება იქცევა ცხოვრებად, ხოლო ცხოვრება — სინამდვილედ. მაგრამ როგორი სხვაობაა ამ გარდაქმნაში! როდესაც თქვენ რეალური ცხოვრების ტანჯვას წარმოსახული ცხოვრების სიამოვნებას შეადარებთ, თქვენ ზურგს შეაქცევთ ცხოვრებას და სამარადისო ოცნებას მიეცემით. როდესაც მიატოვებთ საკუთარ ქვეყნიერებას, რათა სხვების ქვეყნებში გადასახლდეთ, მოგეჩვენებათ, რომ ნეაპოლის გაზაფხული ლაფლანდიის ზამთარში გაცვალეთ, თქვენ მოგეჩვენებათ, რომ სამოთხიდან მიწაზე დაეშვით, ციდან ჯოჯოხეთში მოხვდით. იგემეთ ჰაშიში, ჩემო სტუმარო, იგემეთ.

პასუხის ნაცვლად ფრანცმა კოვზით იმდენივე ცომი აიღო, რამდენიც მასპინძელმა და პირთან მიიტანა.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა ფრანცმა ღვთაებრივი ტკბილეულის გადაყლაპვის შემდეგ, — არ ვიცი, იქნება თუ არა შედეგი ისეთი სასიამოვნო, როგორსაც თქვენ ამბობთ, მაგრამ გემო კი არც ისეთი სასიამოვნო აქვს, როგორც თქვენ ირწმუნებოდით.

— იმიტომ, რომ თქვენი სასა არ შეჰგუებია ამ ნივთიერების არაჩვეულებრივ გემოს. მითხარით, მაშინვე მოგეწონათ ხამანწკები, ჩაი, პორტერი, ტრიუფელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რამაც შემდეგ მოგხიბლათ? განა თქვენ გესმით რომაელების, რომლებიც ხოხობს ასსა-ფეტიდით¹ (ასსა-ფეტიდი — მყრალი ფისი, რომელსაც ქოლგოვანი მცენარეები იძლევიან.) კაზმავდნენ და ჩინელების, რომლებიც მერცხლის ბუდეებს ჭამენ? ოჰ, ღმერთო ჩემო, რასაკვირველია, არა. ასეთივეა ჰაშიშიც; მოითმინეთ ერთი კვირა, და რაგინდ უგემურად უნდა გეჩვენოთ იგი დღეს, შემდეგ მის შესადარს ვერაფერს ჰპოვებთ.

სტუმარი და მასპინძელი წამოდგნენ და სანამ ის, ვინც თავის თავს სინდბად-მეზღვაური უწოდა და ვისაც ჩვენც, რათა მისთვის რაიმე სახელი მიგვეცა, დროდადრო ასე ვიხსენებდით, თავის მსახურს განკარგულებებს აძლევდა, ფრანცი მეორე ოთახში გავიდა.

ეს ოთახი თავისი მოწყობილობით უფრო სადად გამოიყურებოდა, მაგრამ ნაკლებად მდიდრული როდი იყო. ეს იყო მრგვალი ოთახი, რომელსაც ირგვლივ, კედლების გასწვრივ, დიდი დივანი ერტყა. დივანი, იატაკი და ჭერი მოფენილი იყო საუკეთესო ნოხებივით რბილი და ნაზი ტყავებით. აქ შეხვდებოდით დიდებულფაფარიან აფრიკის

ლომების ტყავებს, ბენგალიის ზოლიანი ვეფხვების ტყავებს, კაპის ავაზების მხიარულად აჭრელეზულ ტყავებს, იმათ მსგავსს, რომელნიც დანტემ იხილა, ციმბირის დათვებისა და ნორვეგიის მელიების ტყავებს. ეს ტყავები ერთიმეორეზე ისე უხვად იყო დაყრილი, რომ იფიქრებდით, ხშირ ბალახში დავდივარ ან ბუმბულივით რბილ ლოგინში განვისვენებო.

სტუმარი და მასპინძელი დივანზე წამოწვნენ. მათ ხელთ ჰქონდათ თამბაქოთი გატენილი, ქარვის მუნდმტუკებიანი ჟასმინის ჩიბუხები, რათა ორჯერ არ გაეტენათ. ალიმ ცეცხლი მოუკიდა და ყავის მოსატანად წავიდა.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. სინდბადი გაიტაცა ფიქრებმა, რომელნიც, როგორც ჩანდა, მას არც საუბრის დროს ტოვებდა. ფრანცი კი ჩუმ ოცნებას მიეცა, ისეთს, როგორც ყოველთვის ეწვევა ხოლმე კარგი თამბაქოს მწვევლს, რომელსაც ჰგონია, ბოლოთნ ერთად ქრება სამწუხარო ფიქრები და სული ჯადოსნური სიზმრებით ტკბებაო.

ალიმ ყავა მოიტანა.

— როგორს ინებებთ? — ჰკითხა სინდბადმა; — ფრანგულსა თუ თურქულს, მაგარსა თუ თხელს, შაქრიანსა თუ უშაქროს, დაყენებულსა თუ ადუღებულს? რომელიც გენებოთ, ის ირჩიეთ — ჩვენ ყოველნაირად გვაქვს მომზადებული.

— მე თურქული მირჩევნია, — უთხრა ფრანცმა.

— მართალიც ბრძანდებით, ჩემო სტუმარო, — უთხრა მასპინძელმა; — ეს ამტკიცებს, რომ აღმოსავლური ცხოვრებისაკენ გაქვთ მიდრეკილება. ეჰ, აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი! მხოლოდ იქ იციან ადამიანებმა ნამდვილი ცხოვრება. მე, — თქვა მან უცნაური ღიმილით, რომელიც არ გამოჰპარვია ფრანცს, — როდესაც პარიზში ჩემს საქმეებს დავამთავრებ, აღმოსავლეთისაკენ გავემურები, რათა სიცოცხლის უკანასკნელი წლები იქ გავატარო. თუ თქვენ ჩემი ნახვა მოგესურვებათ, ქაიროში, ბაღდადში ან ისპაჰანში უნდა მომძებნოთ.

— კაცმა რომ თქვას, — წამოიძახა ფრანცმა, — ეს ძალიან ადვილი საქმეა, მე უკვე მგონია, არწივის ფრთები გამომემა და ამ ფრთებით ოცდაოთხი საათის განმავლობაში მთელ ქვეყნიერებას შემოვივლი-მეთქი.

— ოჰო, ოჰო! ეს უკვე ჰაშიში მოქმედებს, ძალიან კარგი, ჩემო მეგობარო, მაშ, გაშალეთ თქვენი ფრთები და იფრინეთ ცის სივრცეებში. ნურაფრისა გეშინიათ, თუ თქვენს ფრთებს, ისევე როგორც იკაროსის ფრთებს, მზე გაადნობს, ჩვენ სიამოვნებით მიგიღებთ უკან.

მასპინძელმა ალის არაბულ ენაზე რამდენიმე სიტყვა უთხრა. მსახურმა მდაბლად დაუკრა თავი და მოშორებით გადავა.

ფრანცი გრძნობდა, რომ მასში რაღაცა უცნაური ცვლილება ხდებოდა, ქრებოდა მთელი დღის ფიზიკური დაღლილობა, წინა საღამოს მოვლენებით გამოწვეული გონებრივი შფოთვა, ისე როგორც ეს ხდება დასვენების იმ პირველ წუთებში, როდესაც გრძნობ, რომ ძილი გეპარება. სხეული თითქოს ხორცს გაშორდა. აზრები გამოუთქმელად ნათელი გაუხდა. გრძნობა ორჯერ უფრო გაუმახვილდა. მისი ჰორიზონტი თანდათან სულ უფრო ფართოვდებოდა, მაგრამ ეს არ იყო ის პირქუში ჰორიზონტი, რომელიც სიფხიზლეში ნახა, და რაღაც მუქარას გრძნობდა. არა, ეს იყო ცისფერი, გამჭვირვალე, უსაზღვრო ჰორიზონტი, რომელსაც ახლდა ზღვის ლაჟვარდი, მზის ბრწყინვალეობა და ქარის სურნელება. შემდეგ, მის მეზღვაურთა სიმღერის დროს, რომელიც ღვთიურ მელოდიას შექმნიდა, ვინმეს რომ მისი ჩაწერა შესძლებოდა, მან დაინახა, როგორ აღიმართა მის წინაშე კუნძული მონტე-კრისტო, მაგრამ არა როგორც ზღვის ტალღებს შუა აზიდული მრისხანე კლდეები, არამედ როგორც უდაბნოში მიკარგული ოაზისი. რაც უფრო ახლოვდებოდა ნავი, სიმღერა მით უფრო ძლიერდებოდა, რადგან ეს საიდუმლო და ჯადოსნური მელოდია კუნძულიდან ცაში ისე ადიოდა, თითქოს ლორელის მსგავს

ფერიას სურვებოდეს მეზადურის მიტყუება ან ამფიონის მსგავს ჯადოსანს — იქ ქალაქი აგება.

ბოლოს ნავი ნაპირს მოადგა, მაგრამ ყოველგვარი ძალდატანებისა და ბიძგის გარეშე, ისე როგორც ტუჩი ტუჩს შეეხება, იგი მღვიმეში შემოვიდა. მომაჯადოებელი მუსიკა არ წყდებოდა. ფრანცი დაბლა ჩადიოდა, ან უკეთ, რამდენიმე საფეხური ჩაიარა. ის სუნთქავდა სუფთა და სურნელოვან ჰაერს, თითქმის იმის მსგავსს, რომელიც ცირცეს მღვიმის გარშემო იდგა და რომელსაც ისეთი სურნელება ჰქონდა, რომ სული ოცნებაში დნებოდა, ხოლო გრძნობები ალგზნებაში მოდიოდა. და ფრანცმა დაინახა ყველაფერი, რაც ნახა დაძინებამდე, მისი ფანტასტიკური მასპინძელი — სინდბადიდან დაწყებული, მუნჯი მსახური ალით გათავებული. შემდეგ ყველაფერი აირია და გაქრა, როგორც უკანასკნელი ჩრდილი ჩასაქრობად გამზადებული ჯადოსნური ლამპრისა, და ფრანცი ქანდაკებების ოთახში მოხვდა, სადაც იდგა ერთ-ერთი ისეთი ანტიკური მქრქალი ლამპარი, რომელიც ღამით ძილსა და სიამოვნებას დარაჯობს.

ესენი იგივე ქანდაკებები იყვნენ, ტანსავსენი, ავხორცნი და ამავე დროს პოეტურნი. მათ ჰქონდათ ანდამატივით მიმზიდველი თვალები, მაცდური ღიმილი და ხშირი თმა. ესენი იყვნენ ფრინა, კლეოპატრა და მესალინა, სამი უდიდესი მეძავი ქალი. და აი, ამ ურცხვ მოჩვენებებში წმინდა სხივის მსგავსად, როგორც ანგელოსი ოლიმპზე, გამოჩნდა უბიწო ქმნილება, ნათელი მოჩვენება, რომელიც, ასე გეგონებოდათ, თავის უმანკო შუბლს მაღავს ამ გარყვნილი მარმარილოებისაგანო.

და აი, ამ სამმა ქანდაკებამ თითქოს თავისი სიყვარული გააერთიანა ერთი კაცის მიმართ, და რომ ეს კაცი თვით ფრანცი იყო. ისინი, მოსილნი თეთრი, გრძელი ტუნიკებით, ფერხთამდე რომ სცემდათ, უახლოვდებოდნენ, მოიწევდნენ გულმკერდგაღელვნი, თმაგამლილნი. ისეთ პოზებს იღებდნენ, რომლებიც თვით ღმერთებსაც აცთუნებდნენ, მაგრამ, რომლებსაც წმინდანები უძლებდნენ, უყურებდნენ ანთებული თვალებით, როგორც გველი უყურებს ჩიტს, და მას ძალა არ შესწევდა, გასძალიანებოდა ამ შემოხედვას, ალერსივით მტკივნეულს და ამბორივით ტკბილს.

ფრანცს მოეჩვენა, რომ თვალები დახუჭა და ირგვლივ მიმოიხედა უკანასკნელად. ბუნდოვნად ხედავდა მის საბანში გახვეულ მორცხვ ქანდაკებას; თვალები დახუჭა სინამდვილის მიმართ და გრძნობები გაშალა წარმოდგენელი შეგრძნებებისათვის.

მაშინ დაიწყო უსასრულო სიამოვნება, დაუღალავი ვნება, ისეთი, როგორსაც წინასწარმეტყველი თავის რჩეულებს ჰპირდებოდა. მარმარილოს ბაგენი გაცოცხლდნენ, მკერდი გაუთბა, და ფრანცმა, რომელიც პირველად მოექცა ჰაშიშის ძალის გავლენის ქვეშ, ეს ვნება თითქმის მტკივნეულად იგრძნო, ხოლო სიტკბოება — წამებად ექცა. გრძნობდა, როგორ ჩაეკონა მის ათრთოლებულ ბაგეებს გველის რგოლებივით ცივი და მოქნილი მარმარილოს ბაგეები; ხელებით ცდილობდა უკუეგდო ეს ჯადოსნური ვნება, გრძნობები კი ემორჩილებოდა საიდუმლო ძალის მომხიბვლელობას. დაბოლოს, ბრძოლის შემდეგ, რომლისთვისაც ადამიანი თანახმაა სული გასწიროს, ღონემიხდილი, აქოშინებული, სიამოვნებისაგან ქანცგაწყვეტილი, მთლიანად დანებდა მარმარილოს სატრფოების კოცნას და გაუგონარი ძილის ჯადოსნობას.

XI

გამოფხიზლება

როდესაც ფრანცი გამოფხიზლდა, გარშემო არსებული საგნები სიზმრის გაგრძელებად მიიღო. ასე ეგონა, აკლდამაში იწვა, სადაც მზის სხივი ძლივს აღწევდა, თითქოს ალერსიანი შეხედვა ყოფილიყოს. ფრანცმა ხელი გასწია და იგრძნო, რომ ქვას შეეხო.

საწოლზე წამოიწია და დაინახა, რომ წამოსასხამზე იწვა. ლოგინად გამხმარი, მაგრამ რბილი და სურნელოვანი ერიკა ეგო.

მოჩვენებები გაქრნენ, ხოლო ქანდაკებები, როგორც სასაფლაოდან ძილის დროს ამოსული მოჩვენებები, გამოღვიძებისთანავე მიიმალნენ.

ფრანცმა დღის სინათლისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა: შფოთიანი ძილი მშვიდმა სინამდვილემ შეცვალა. იგი მიხვდა, რომ მღვიმეში იყო და ნახევრად მრგვალი გასასვლელისკენ გაემართა. აქედან დაინახა მტრედისფერი ცა და ლაჟვარდოვანი ზღვა. ჰაერსა და ტალღებში დილის მზის სხივები შეჭრილიყვნენ. მეზღვაურები ნაპირზე ისხდნენ, საუბრობდნენ და იცინოდნენ. ნაპირიდან ათი ნაბიჯის მოშორებით ღუზაზე ნავი ირწეოდა.

რამდენიმე წუთს ტკბებოდა გრილი ნიავეთ, მის შუბლს რომ ეთამაშებოდა: ყურს უგდებდა ტალღების ოდნავ ხმაურს, რომლებიც კლდეებს ეხეთქებოდნენ და ზედ ვერცხლივით თეთრი ქაფის არშიებს ქარგავდნენ. ფრანცი ანგარიშმიუცემლად მიეცა ბუნების ამ ღვთაებრივ სიმშვენიერეს, რომელიც განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა ფანტასტიკური ძილის შემდეგ გელვიძება. შემდეგ ნელ-ნელა ბუნების ცხოვრებამ, ასეთმა მშვიდმა, სუფთამ და დიდებულმა, მას მოაგონა, რომ სიზმარი დაუჯერებელი რამ იყო და მეხსიერებამ იგი სინამდვილეს დაუბრუნა.

მან გაიხსენა კუნძულზე ჩამოსვლა, კონტრაბანდისტების მეთაურთან წარდგენა, მიწისქვეშეთის ბრწყინვალე სასახლე, არაჩვეულებრივი ვახშამი და ერთი კოვზი ჰაშიში.

მაგრამ ამ ნათელი დღის სინათლეზე მას მოეჩვენა, რომ ყველა ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში, ამ ერთი წლის წინათ მოხდა, იმდენად ცოცხალი იყო ეს სიზმარი მის გონებაში და იმდენად ნთქავდა მის აზრებს. დროდადრო, — ხან მეზღვაურებს შორის, ხან მათ შუა გამომკრთალ კლდეებზე, თუ ზღვაზე მოქანავე ნავზე, — მას ელანდებოდა მოჩვენებები, რომლებიც ღამით კოცნით ატკობდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, გონება საღი ჰქონდა, ხოლო სხეული სავსებით დასვენებული. არავითარი სიმძიმე არ აწუხებდა, პირიქით, თავს არაჩვეულებრივად კარგად გრძნობდა. იგი განსაკუთრებული სიხარულით სუნთქავდა სუფთა ჰაერს და მზის თბილ სხივებს სახეს უშვერდა.

ფრანცი მეზღვაურებისაკენ მხიარული სახით გაემართა.

მის დანახვაზე ისინი წამოიშალნენ, ნავის პატრონი კი წინ შეეგება.

— ბატონმა სინდბადმა, — თქვა მან, — დაგვაგალა, მისი სალამი გადმოგვეცა თქვენი აღმატებულებისათვის და გვეთქვა, რომ ძალიან წუხს, რომ თქვენთან გამომშვიდობება ვერ მოახერხა. იმედოვნებს, აპატიებთ, როდესაც გაიგებთ, რომ მეტად საჩქარო ამბის გამო ძალიან გაემგზავრა.

— ჩემო ძვირფასო გაეტანო, — უთხრა ფრანცმა, — ნუთუ ყველაფერი ეს სინამდვილეა? ნუთუ არსებობს ადამიანი, რომელმაც ამ კუნძულზე მეფურად მიმიღო და, სანამ მეძინა, გაემგზავრა?

— დიახ, ნამდვილად არსებობს, აგერ მისი იახტაც, რომელიც აფრებგაშლილი მიცურავს. თუ ჭოგრიტით გაიხედავთ, ალბათ, ეკიპაჟის შემადგენლობაში თქვენს მასპინძელსაც დაინახავთ.

ამ სიტყვებზე გაეტანომ ხელი გაიშვირა პატარა იახტისაკენ, რომელიც კორსიკის სამხრეთი ნაპირისაკენ მიემართებოდა.

ფრანცმა ჭოგრიტი ამოიღო, თვალებზე მოირგო და ნაჩვენები მიმართულებით გაიხედა.

გაეტანო არ შემცდარა. გემბანზე, კუნძულისაკენ პირმობრუნებული, საიდუმლოებით მოცული უცნობი იდგა. მასაც ხელში ჭოგრიტი ეჭირა და იგივე ტანისამოსი ეცვა,

რომლითაც წუხელის თავის სტუმარს წარუდგა; გამომშვიდობების ნიშნად ცხვირსახოცს იქნევდა.

ფრანცმა ამოიღო ცხვირსახოცი და საპასუხოდ ჰაერში შეაფრიალა.

რამდენიმე წამის შემდეგ იახტაზე გამოჩნდა მსუბუქი ბოლი, იგი ღამაზად მოსწყდა კიჩოს და ნელ-ნელა ცისკენ წავიდა, ფრანცმა გაიგონა სროლის სუსტი ხმა.

— მოიცათ, ხომ გესმით, იგი თქვენ გემშვიდობებათ, — უთხრა ყმაწვილ კაცს გაეტანომ.

ფრანცმა ხელში კარაბინი აიღო და ჰაერში გაისროლა, თუმცა კი იმედი არ ჰქონდა, რომ სროლის ხმა გადალახავდა იმ მანძილს, რომელიც მასა და იახტას შორის იდო.

— რას გვიბრძანებს თქვენი აღმატებულება? — ჰკითხა გაეტანომ.

— უპირველეს ყოვლისა, ჩირაღდანი აანთეთ.

— ჰო, მესმის, — უთხრა გაეტანომ, — თქვენ გინდათ მოძებნოთ ჯადოსნური სასახლის კარი. წარმატებას გისურვებთ, თუკი ეს ამბავი გაგართობთ, თქვენო აღმატებულება; ჩირაღდანსაც ახლავე მოგართმევთ. უნდა გამოგიტყდეთ, მეც მოსვენებას არ მაძლევდა ეგ ფიქრი, რომელმაც თქვენ ახლა ასე შეგიპყროთ, და სამჯერ თუ ოთხჯერ ვცადე კიდევაც ბედი, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ბოლოს თავი გავანებე. ჯიოვანო, — დაუმახა მან, — მოუკიდე ჩირაღდანი და მის აღმატებულებას მოუტანე.

ჯიოვანიმ ბრძანება შეასრულა. ფრანცმა ჩირაღდანი ხელში დაიჭირა და მიწისქვეშეთში შევიდა. უკან გაეტანო მიჰყვებოდა.

ფრანცმა იცნო ის ადგილი, სადაც გაიღვიძა — გამხმარი ერიკას ლოგინი ჯერ კიდევ არ აელაგებინათ. ფრანცი გულმოდგინედ ანათებდა მღვიმის კედლებს, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს პოულობდა კედლებზე დარჩენილი ჭვარტლის გარდა, რაც იმას ამტკიცებდა, რომ მასზე ადრე სხვებსაც ჩაუტარებიათ ეს უშედეგო ძიება.

ფრანცი გაუსინჯავს არ ტოვებდა მომავალივით განუჭვრეტელი გრანიტის კედლის არც ერთ მტკაველს; დაინახავდა თუ არა სულ პატარა ნაპრაღს, შიგ თავის სანადირო დანას ასობდა და ყოველ ამოზურცულ ადგილს აწვებოდა იმ იმედით, რომ იგი დანებდებოდა; მაგრამ ამაოდ დაკარგა ორი საათი.

ბოლოს უარი თქვა თავის ძიებაზე. გაეტანო ზეიმობდა.

როდესაც ფრანცი სანაპიროზე დაბრუნდა, იახტა ჰორიზონტზე თეთრი წერტილივით მოჩანდა. მან თვალეზზე ჭოგრითი მიიღო, მაგრამ ამ იარაღითაც შეუძლებელი შეიქნა რაიმეს გარჩევა.

გაეტანომ ფრანცს გაახსენა, რომ იგი კუნძულზე გარეულ თხეებზე სანადიროდ იყო ჩამოსული, რაც მას სულ დავიწყებოდა. ყმაწვილმა კაცმა თოფს ხელი წაავლო და კუნძულზე დაიწყო ხეტიალი, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იტყოდით, ეს კაცი სიამოვნებისათვის კი არ ნადირობს, არამედ მოვალეობის შესასრულებლად. თხუთმეტ წუთში უკვე მოკლული ჰყავდა ერთი თხა და ორი თიკანი. თუმცა ეს თხეები არჩევნით ველურები და მარდები იყვნენ, მაგრამ ისე წააგავდნენ შინაურ თხებს, რომ ფრანცმა ისინი ნანადირევად არც კი მიიჩნია.

გარდა ამისა, იგი სხვა აზრებით იყო შეპყრობილი. წინა ღამის შემდეგ «ათას ერთი ღამის» ზღაპრის გმირი გახდა და მისი გონება შეუჩერებლივ გამოქვაბულს უბრუნდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ძიებამ უშედეგოდ ჩაიარა, ფრანცმა გადაწყვიტა განეახლებინა იგი. მანამდე კი გაეტანოს უბრძანა ერთი თიკანი შეეწვათ. ეს მეორე ძიება იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ, როდესაც ფრანცი დაბრუნდა, თიკანი უკვე შეეწვათ და საუზმეც მოემზადებინათ.

ფრანცი ისევ იმ ადგილას დაჯდა, საიდანაც წუხელის საიდუმლო მასპინძელთან ვახშამზე მიიწვიეს და ხელახლა დაინახა ტალღის ქოჩორზე თოლიასავით შემომჯდარი პატარა იახტა, რომელიც კორსიკისაკენ მიცურავდა.

— ეგ რაა, თქვენ მითხარით, რომ ბატონი სინდბადი მაღაგისაკენ გაემგზავრა, მე კი მგონია, პირდაპირ პორტო-ვეკიოსკენ მიდის.

— განა დაგავიწყდათ ჩემი ნათქვამი, — უთხრა ნავის პატრონმა, — მის ეპიკაუს ორი კორსიკელი ყაჩაღი ახლავს-მეთქი.

— ეს მართალია, და მას სურს ის ყაჩაღები ხმელეთზე გადმოსვას? — ჰკითხა ფრანცმა.

— სწორედ ასეა! — წამოიძახა გაეტანომ, — როგორც ამბობენ, ამ კაცს არც ღმერთის ეშინია და არც ეშმაკის. ის მზად არის, ორმოცდაათი ლიეთი გზა გაიგრძელოს, რათა საწყალ კაცს დახმარება აღმოუჩინოს.

— მაგრამ ამით შეიძლება იმ ქვეყნის მმართველები გადაიკიდოს, სადაც ამგვარ ქველმოქმედებას ჩადის.

— ერთი თქვენც, — უთხრა გაეტანომ სიცილით, — რა საქმე აქვს მას ქვეყნის მმართველებთან, მათ ის აბუჩად იგდებს. აბა გაბედონ და გამოეკიდონ. ჯერ ერთი, მისი იახტა ხომალდი კი არა, ჩიტია, ჩიტი. რომელი ფრეგატიც უნდა იყოს, თორმეტ კვანძზე სამი კვანძით გაუსწრებს წინ, გარდა ამისა, საკმარისია ხმელეთზე შედგას ფეხი, რომ ყველგან მეგობრებს იპოვოს.

ამის გაგებაზე ფრანცისათვის ნათელი გახდა, რომ მის მასპინძელს კავშირი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების კონტრაბანდისტებთან და ყაჩაღებთან, რითაც ყმაწვილკაცს რამდენადმე უცნაური მხრიდან ეხატებოდა.

ფრანცს უკვე აღარაფერი აჩერებდა მონტე-კრისტოზე. იმედი გადაუწყდა, რომ მღვიმის შესასვლელს იპოვიდა.

მან საუზმე დააჩქარებინა და მეზღვაურებს უბრძანა, ნავი მზად ჰქონოდათ, რომ საუზმის დამთავრებისთანავე გზას გასდგომოდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ იგი უკვე ნავში იყო.

უკანასკნელად შეხედა იახტას, რომელიც თვალს ეფარებოდა პორტო-ვეკიოს ყურეში. ფრანცმა გამგზავრების ნიშანი მისცა.

როგორც კი ნავი დაიძრა, იახტაც იმ წუთში გაქრა.

იახტასთან ერთად გაქრა წინა ღამის უკანასკნელი კვალიც: ვახშამი, სინდბადი, ჰამშიში და ქანდაკებები — ყველაფერი ეს ფრანცისათვის ერთსა და იმავე სიზმარში შთაინთქა.

ნავი მთელი დღისა და ღამის განმავლობაში მიცურავდა და მეორე დილით, როდესაც მზემ დედამიწას გადმოხედა, კუნძული მონტე-კრისტოც გაქრა.

როგორც კი მიწაზე ფეხი გადმოდგა, ფრანცმა ცოტა ხნით დაივიწყა ის ამბავი, რაც თავს გადახდა; მან იჩქარა, ფლორენციის მაღალ წრეებში მიღებული მოვალეობა მოეხადა და დროზე გამგზავრებულიყო რომში, სადაც ამხანაგი ელოდა.

შემდეგ ფრანცი გზას გაუდგა და შაბათ საღამოს საფოსტო ეტლმა იგი საბაჟო მოედანზე გადმოსვა.

ბინა, როგორც უკვე ვთქვით, წინასწარ იყო შეკვეთილი; მას მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა, როგორმე მიეღწია ბატონ პასტრინის სასტუმრომდე, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. ქუჩები გაჭედილი იყო ბრბოთი, ხოლო რომი შეეპყრო დიდ მოვლენათა მაუწყებელ ყრუ და მშფოთვარე მღელვარებას. რომში კი ყოველწლიურად ოთხი დიდი მოვლენა ხდება: კარნავალი, ვნების კვირა, ღვთის დღესასწაული და წმინდა პეტრეს დღესასწაული.

წელიწადის დანარჩენ დროს ქალაქი ეძლევა ძილს, საშუალო მდგომარეობას სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა, რაც წააგავს სადგურს ამ ქვეყანასა და იმ ქვეყანას შორის;

სადგურს მშვენიერს, პოეზიით სავსეს და თავისებურს, რომელიც ფრანცს ერთი ექვსჯერ მაინც უნახავს და ყოველი ახალი ხილვის დროს უფრო მომხიბვლელად და ჯადოსნურად მოსჩვენებია.

ბოლოს მან, როგორც იქნა, გააპო ბრბო, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობდა, შფოთავდა და სასტუმრომდე მიაღწია. მის პირველ შეკითხვას დაქირავებული მეეტლისათვის და გაჭედული სასტუმროს პატრონისათვის დამახასიათებელი უხეშობით უპასუხეს, რომ სასტუმრო «ლონდონში» თქვენთვის ადგილი არ არისო. მაშინ მან ბარათი გაუგზავნა ბატონ პასტრინის და ბატონი ალბერ დე მორსერი დაასახელა. ამ საშუალებამ გაჭრა: ბატონმა პასტრინიმ თვითონ ჩამოირბინა მასთან, ბოდიში მოიხადა, რომ მის აღმატებულებას ამდენი აცდევინა, თავისი მსახური ბიჭები დატუქსა, შანდალი ხელიდან გამოართვა ჩიჩერონეს, რომელსაც უკვე მოესწრო ახალმოსულს დაუფლებოდა, და ის იყო ალბერთან უნდა მიეცილებინა, რომ ეს უკანასკნელი თვითონ გამოვიდა მის შესახვედრად.

შეკვეთილი ნომრები ორი საწოლი და ერთი მისაღები ოთახისგან შედგებოდა. საწოლი ოთახის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა — ეს გარემოება ბატონ პასტრინის აღნიშნული ჰქონდა, როგორც დაუფასებელი უპირატესობა. ყველა დანარჩენი ოთახი ამ სართულზე დაეკავებინა ვიღაც მდიდარს, — სიცილიელი იყო იგი თუ მალტელი, სასტუმროს პატრონმა კარგად არ იცოდა.

— ბატონო პასტრინი, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო ახლავე გვევახშმა, ხოლო ხვალისთვის და შემდეგი დღეებისთვის ეტლი დაგვჭირდებოდა.

— ვახშამს დაუყოვნებლივ მოგართმევთ, მაგრამ ეტლი კი...

— რაო? — შეჰყვირა ალბერმა, — მოითმინეთ, მოითმინეთ, ნუ გვეხუმრებით, ბატონო პასტრინი, ჩვენ ეტლი გვჭირდება.

— ბატონო ჩემო, — უთხრა სასტუმროს პატრონმა, — ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ვიშოვო; აი, მხოლოდ ამის თქმა შემეძლია.

— პასუხს როდის მივიღებთ? — ჰკითხა ფრანცმა.

— ხვალ დილას, — უპასუხა სასტუმროს პატრონმა.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა ალბერმა, — მეტს გადავიხდით, მორჩა და გათავდა. ეს ცნობილი ამბავია. დრეკსა და არონს ჩვეულებრივ დღეებში ოცდახუთ ფრანკს აძლევენ, ხოლო კვირასა და უქმე დღეებში ოცდათხუთმეტ ფრანკს. დავუმატოთ ხუთი ფრანკი სართი და ორმოცი გამოვა, განა ამაზე ღირს ლაპარაკი.

— ვეჭვობ, რომ თქვენმა აღმატებულებამ რაიმე გააწყოს, თუნდაც ორჯერ მეტი ფასიც მისცეთ.

— მაშ, ცხენები შეუბან ჩემს სამოგზაურო ეტლს. მართალია, ცოტა გაცვეთილია, მაგრამ არა უშავს.

— ცხენებს ვერ იშოვით.

ალბერმა ისე შეხედა ფრანცს, თითქოს არ ესმის, რას ეუბნებიანო.

— როგორ მოგწონთ, ფრანც? ცხენები არ არისო. — უთხრა მან, — მაგრამ ნუთუ არც საფოსტო ცხენების შოვნა შეიძლება?

— ისინი ორი კვირაა, რაც გადაარჩიეს და მხოლოდ ისეთები დატოვეს, რომლებიც ფოსტისთვისაა აუცილებელი.

— ამაზე რაღას იტყვით? — ჰკითხა ფრანცმა.

— იმას ვიტყვი, რომ როცა რამე ჩემი გაგების უნარს აღემატება, ჩვეულებად მაქვს, არ გავჩერდე ამ საგანზე და სხვაზე გადავიდე. ვახშამი მზადა გაქვთ, ბატონო პასტრინი?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, მზად გახლავთ.

— კარგი, მაშ, ვახშამი ვჭამოთ.

— ეტლი და ცხენები? — ჰკითხა ფრანცმა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩემო მეგობარო, ფულს ნუ დაიშურებთ და გამოიძებნება...

და მორსერმა ადამიანის იმ საოცარი ფილოსოფიით, რომელიც სანამ ქისა გატენილი ან პორტფელი პირთამდე სავსე აქვს, ყველაფერს შესაძლებლად თვლის. ივახშმა, საწოლში ჩაწვა და დაიძინა. სიზმარში ნახა, რომ კარნავალზე დასეირნობდა ეტლით, რომელშიც ექვსი ცხენი ება.

XII

რომაელი ყაჩაღები

მეორე დღეს ფრანცმა პირველმა გამოიღვიძა და მაშინვე დარეკა.

ზარს ჯერ კიდევ წკრიალი გაჰქონდა, რომ ოთახში თვით ბატონი პასტრინი შემოვიდა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მან გამარჯვებულის სახით და არც კი დააცადა ფრანცს, შეკითხვა მიეცა, — მე გუშინ მართალი ვიყავი თქვენი აღმატებულების წინაშე, რომ არაფერს დაგპირებივართ; კაცმა რომ თქვას, ძალიან გვიან მოგაგონდათ ეს საქმე; მთელს რომში ვერც ერთ ეტლს ვერ იპოვით, რასაკვირველია, ამ სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში.

— დიახ, — გამოეპასუხა ფრანცი, — ესე იგი სწორედ მაშინ, როდესაც იგი აუცილებლად საჭიროა.

— რა ამბავია? — იკითხა ალბერმა შემოსვლისთანავე, — ეტლი არ არის?

— თქვენ სწორად გამოიცანით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — უპასუხა ფრანცმა.

— რა გვეთქმის, კარგი რამაა ეს თქვენი მარადიული ქალაქი, — წამოიძახა ალბერმა.

— მე იმის თქმა მინდოდა, თქვენო აღმატებულება, — დაიწყო ისევ ბატონმა პასტრინიმ, რომელსაც სურდა, დაეცვა ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქის ღირსება ახლად ჩამოსულების თვალში, — მე მინდა ვთქვა, რომ ეტლი არ იქნება კვირა დილიდან ორშაბათ საღამომდე; ხოლო კვირამდე, თუ მოისურვებთ, ორმოცდაათსაც იშოვით.

— ჰო, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს! — თქვა ალბერმა, — დღეს ხუთშაბათია, — ვინ იცის, კვირამდე რა მოხდება?

— მოხდება ის, რომ ქალაქს კიდევ მოაწყდება ერთი ათი-თორმეტი ათასი მოგზაური და მდგომარეობა უფრო გაუარესდება, — უპასუხა ფრანცმა.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა მას ალბერმა, — მოდი, აწმყოთი დავტკბეთ და მომავალს ჩრდილს ნუ მოვფენთ.

— ყოველ შემთხვევაში, ფანჯარა თუ მაინც გვექნება? — ჰკითხა ფრანცმა სასტუმროს პატრონს.

— ფანჯარა, ეგ რომელ მხარეს?

— რასაკვირველია, კორსოზე.

— რაო, ფანჯარა? — შეჰყვირა ბატონმა პასტრინიმ: — ყოვლად შეუძლებელია. ერთი იყო თავისუფალი დორიას პალაცოში მეხუთე სართულზე და ისიც რუსმა თავადმა აიღო დღეში ოც ცხინად.

ყმაწვილმა კაცებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს.

— იცი რა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — უთხრა ფრანცმა ალბერს, — ჩვენ ერთი გამოსავალია დაგვრჩენია: კარნავალი ვენეციაში უნდა გავატაროთ; იქ ეტლს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გონდოლებს მაინც ვიშოვით.

— არავითარ შემთხვევაში! — შეჰყვირა ალბერმა, — მე გადავწყვიტე, ვნახო რომის კარნავალი და ვნახავ კიდევაც, თუნდაც ოჩოფეხებზე.

— დაიცა, დაიცა, ეს არაჩვეულებრივი აზრი მოგსვლია, — უპასუხა ფრანცმა, — განსაკუთრებით კარგია იგი იმისათვის, რომ მოკოლეტოები¹ (¹ მოკოლეტო — ნამწვი. კარნავალის დროს მიღებულია ქუჩებში ანთებული სანთლებით სიარული.) ჩააქრო. მოდი პოლიშინელებად, ვამპირებად ან უდაბური ველების მცხოვრებლებად გამოვეწყოთ და, გარწმუნებ, გასაგიჟებელი წარმატება გვექნება.

— თქვენს აღმატებულებათ სურთ თუ არა ეტლი კვირამდე მაინც?

— ეშმაკმა დალახვროს, — უთხრა ალბერმა, — როგორ გგონიათ, რომის ქუჩებს ფეხით შემოვირბენთ, როგორც სასამართლოს ბოქაულები?

— თქვენი აღმატებულებათა ბრძანება შესრულებული იქნება, — უთხრა მათ ბატონმა პასტრინიმ: — მაგრამ გაფრთხილებთ, ეტლი დღეში ექვსი პიასტრი ეღირება.

— მე, ჩემო ძვირფასო პასტრინი, ჩვენი მეზობელივით მილიონერი როდი ვარ, — უთხრა ფრანცმა, — გაფრთხილებთ, რომ მეოთხედა ვარ რომში და ვიცი, რა ღირს ეტლი ჩვეულებრივ დღეებში, კვირაობით და უქმეებში. ამიტომ ჩვენ თორმეტ პიასტრს გადავიხდით, ეს იქნება დღევანდელი დღის, ხვალის და ზეგის საფასური და თქვენ კიდევ კარგი მოგება დაგრჩებათ.

— ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ... — სასტუმროს პატრონს უნდოდა შედავებოდა.

— როგორც გინდოდეთ, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, როგორც გინდოდეთ, — უთხრა ფრანცმა, — ან თუ არა, მე თვითონ შევუთანხმდები თქვენს აფეტაგორეს¹, (¹ აფეტაგორე — რისიმე გამქირავებელი.) რომელიც ჩემთვის უცხო პიროვნება არაა: ის ჩემი ძველი მეგობარია, ჩემგან ცოტა როდი უსარგებლია. იმ იმედით, რომ მომავალშიც გამორჩენა ექნება. ჩემგან იმაზე ნაკლებს აიღებს, რასაც თქვენ გთავაზობთ. თქვენ ამ სხვაობას დაკარგავთ და ეს საკუთარ თავს დააბრალეთ.

— თქვენო აღმატებულებავ, თავს ნუ შეიწუხებთ, — უთხრა ბატონმა პასტრინიმ და ისე გაიღიმა, როგორც იღიმება იტალიელი სპეკულანტი, რომელსაც თავი დამარცხებულად მიაჩნია. — მე სულითა და გულით ვეცდები, მოგემსახუროთ და იმედი მაქვს, კმაყოფილი დარჩებით.

— საუცხოოა! ადრევე ასე გეთქვათ.

— ეტლს როდის ინებებთ?

— ერთი საათის შემდეგ.

— ერთ საათში ის კარებთან იქნება.

მართლაც, ერთი საათის შემდეგ ყმაწვილ კაცებს ეტლი ელოდა; ეს იყო ჩვეულებრივი ოთხთვალა, რომელიც სადღესასწაულო შემთხვევის გამო კარეტის რანგამდე აემალლებინათ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეტად უბრალო შესახედავი იყო, ყმაწვილი კაცები დიდ ბედნიერებად მიიჩნევდნენ, იგი კარნავალის სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში მათ განკარგულებაში ყოფილიყო.

— თქვენო აღმატებულებავ, — დაუყვირა ჩიჩერონემ ფრანცს, როდესაც ამ უკანასკნელმა ფანჯარაში გადაიხედა, — კარეტა სასახლესთან გავაჩეროთ?

თუმცა ფრანცი მიჩვეული იყო იტალიელების ასეთ მაღალფარდოვან გამოთქმებს, მაგრამ პირველად მაინც ირგვლივ მიმოიხედა: ჩიჩერონეს სიტყვები ნამდვილად ჩემი მისამართით არის ნათქვამი, თუ არაო.

მისი აღმატებულება, — ეს თვითონ ფრანცი იყო, კარეტაც ოთხთვალა იგულისხმებოდა, ხოლო სასახლე — სასტუმრო «ლონდონი» გახლდათ.

იტალიელების საოცარი მიდრეკილება გაზვიადებისაკენ ამ წინადადებაში ძალიან კარგად გამოიხატა.

ფრანცი და ალბერი დაბლა ჩავიდნენ. კარეტა სასახლეს მიუახლოვდა. მათი აღმატებულებანი კარეტაში გადაიშლართნენ, ჩიჩერონე კი სატერფულს შეახტა.

— თქვენი აღმატებულებანი საით ინებებენ წაბრძანებას?

— ჯერ წმინდა პეტრეს ტაძრისაკენ, შემდეგ კი კოლიზიისაკენ, — თქვა ალბერმა, როგორც ნამდვილმა პარიზელმა.

მაგრამ ალბერმა არ იცოდა, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის დათვალიერებას ერთი დღე სჭირდებოდა, ხოლო მის შესწავლას — ერთი თვე. ყმაწვილი კაცები მთელ დღეს წმინდა პეტრეს ტაძრის დათვალიერებას მოუხდნენ.

უცებ მეგობრებმა შენიშნეს, რომ უკვე ბინდდებოდა.

ფრანცმა საათს დახედა: ხუთის ნახევარი იყო.

ყმაწვილები მყისვე სასტუმროსაკენ წამოვიდნენ. კარებში ფრანცმა მეეტლეს უთხრა, რვა საათისათვის ეტლი მზად ჰქონოდა. მას უნდოდა, ალბერისათვის მთვარის შუქზე დაეთვალიერებინებინა კოლიზი, ისევე როგორც მზის შუქზე წმინდა პეტრეს ტაძარი დაათვალიერებინა. როდესაც მეგობარს აცნობ ქალაქს, რომელიც შენ უკვე ნახული გაქვს, ლაპარაკში იმდენს კეკლუცობ, რამდენსაც მაშინ, როცა მას აცნობ ქალს, რომლის საყვარელიც შენ ოდესღაც ყოფილხარ.

ამიტომ ფრანცმა მეეტლეს თვითონ მიუთითა მარშრუტი. ისინი უნდა გასულიყვნენ დელ-პოპოლოს კარიბჭით, გარეგან გალავანს გაჰყოლოდნენ და სან-ჯოვანის კარით დაბრუნებულიყვნენ. ამრიგად, კოლიზი ერთბაშადვე აღიმართებოდა მათ წინაშე და მის სიდიადეს ვერაფერს დააკლებდა ვერც კაპიტოლიუმი, ვერც ფორუმი, ვერც სეპტიმი სევერის თალი, ვერც ანტონინისა და ფაუსტინას ტაძარი და ვერც ვია-საკრა, რომლებიც მათ შეეძლოთ კოლიზიისაკენ მიმავალ გზაზე დაენახათ.

ისინი სუფრას მიუსხდნენ. ბატონი პასტრინი მათ მშვენიერ სადილს დაჰპირდა; სადილს მართლაც არა უშავდა, ვერაფერს დაიწუნებდნენ.

სადილის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა სასტუმროს პატრონი; ფრანცმა იფიქრა, ალბათ იმიტომ მოვიდა, ქება-დიდება მიეღო და კიდევაც დაუწყო ხოტბა, რომ ბატონმა პასტრინიმ პირველივე სიტყვა შეაწყვეტინა:

— თქვენო აღმატებულებავ, დიდად ნასიამოვნები ვარ თქვენი ქებით, მაგრამ ამისთვის როდი ვარ მოსული.

— შეიძლება იმისთვის მობრძანდით, რომ ეტლის შოვნა გვაცნობოთ? — ჰკითხა ალბერმა და სიგარას მოუკიდა.

— არა, პირიქით, მე ვურჩევ თქვენს აღმატებულებას, თავი გაანებოს ამაზე ფიქრს და მდგომარეობას შეურიგდეს. რომში რაიმეს გაკეთება ან შეუძლებელია, ან შესაძლებელია; როდესაც თქვენ გეუბნებიან, შეუძლებელიაო — საქმე გათავებულა.

— ამ მხრივ პარიზში უფრო ხელსაყრელი მდგომარეობაა: როდესაც გეუბნებიან, არ შეიძლებაო, ორმაგს გადაიხდი და მყისვე მიიღებ, რასაც ითხოვ.

— ასე ამბობს ყველა ფრანგი, — თქვა ნაწყენმა სასტუმროს პატრონმა, — და მე არ მესმის, რისთვისღა მოგზაურობენ.

— ამიტომაც არის, — უპასუხა ალბერმა, ბოლი ჭერისაკენ გაუშვა ფლეგმატურად და სავარძელი დაარწია, — ამიტომაც არის, რომ მხოლოდ ჩვენისთანა უგუნურები და გიჟები მოგზაურობენ, ჭკვიანი ხალხი კი უპირატესობას აძლევს საკუთარ სახლს ჰელდერის ქუჩაზე, განტის ბულვარსა და კაფე-დე-პარის.

ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება იმის თქმა, რომ ალბერი ზემოთ დასახელებულ ქუჩაზე ცხოვრობდა, ყოველდღე ფეშენებელურ ბულვარზე დასეირნობდა და ჩვეულებრივად იმ ერთადერთ კაფეში სადილობდა, სადაც სადილს იმ შემთხვევაში მოგიტანენ, თუ ოფიციალტებთან კარგი დამოკიდებულება გაქვთ.

ბატონი პასტრინი ერთხანს გაჩუმებული იდგა. ის ჩაუფიქრდა ალბერის პასუხს, რომელიც, ეტყობოდა, არცთუ ისე ნათელი იყო.

— კი მაგრამ, — დაიწყო ფრანცმა და მასპინძელს გეოგრაფიაზე ფიქრი შეაწყვეტინა, — თქვენს მოსვლას ხომ რაღაც მიზანი ჰქონდა; ინებებთ თუ არა, ეს მიზანი გაგვაცნოთ?

— დიახ, მართალი ბრძანდებით, საქმე შემდეგშია: თქვენ ეტლი რვა საათზე დაიბარეთ, არა?

— დიახ.

— განზრახვა გაქვთ კოლოსკო ნახოთ?

— თქვენ გინდათ თქვათ, კოლიზი?

— ეს ერთი და იგივეა.

— ასე იყოს.

— მეეტლეს უთხარით, დელ-პოპოლოს კარიბჭით გავიდეს, გალავანს გაჰყვეს და სან-ჯიოვანის კარიბჭით დაბრუნდეს?

— დიახ, ეს ჩემი საკუთარი სიტყვებია.

— ძალიან კარგი, მაგრამ ასეთი მარშრუტი შეუძლებელია.

— შეუძლებელი?

— ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან საშიში.

— საშიში, მერედა რატომ?

— ცნობილი ლუიჯი ვამპას გამო.

— ჯერ ერთი, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, ვინ არის ის ცნობილი ლუიჯი ვამპა? შეიძლება ძალიან ცნობილია რომში, მაგრამ, გარწმუნებთ, საფრანგეთში მასზე წარმოდგენაც არა აქვთ, — უთხრა ალბერმა.

— როგორ! თქვენ მას არ იცნობთ?

— არ მაქვს ეგ პატივი.

— არასოდეს არ გაგიგონიათ მისი სახელი?

— არასოდეს.

— მაშ, იცოდეთ, ის ყაჩაღია, რომელთანაც დე ჩეზარისი და გასპარონე ბავშვები არიან.

— ყურადღება, ალბერ! — შეჰყვირა ფრანცმა, — აი, ძლივს ერთი ყაჩაღი გამოჩნდა.

— წინასწარ გაფრთხილებთ, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, რომ თქვენი ნათქვამიდან არც ერთ სიტყვას არ დავიჯერებ. ამის შემდეგ რამდენიც გნებავთ, იმდენი ილაპარაკეთ, მე თქვენ გისმენთ. «იყო და არა იყო რა»... მაშ, აბა დაიწყეთ.

ბატონი პასტრინი ფრანცს მიუბრუნდა. ამ ორი ყმაწვილიდან ის უფრო გონივრად მიაჩნდა. კაცმა სამართლიანად უნდა მიუზღოს ამ პატიოსან კაცს: რაც ის თავის სასტუმროში ცხოვრობდა, მასთან არა ერთ და ორ ფრანგს გაუთევია ღამე, მაგრამ მათი ჭკუის ზოგიერთი მხარე მისთვის საიდუმლოდ დარჩა.

— თქვენო აღმატებულება, — თქვა მან ძალიან სერიოზული კილოთი. როგორც უკვე ვთქვით, იგი ფრანცს მიმართავდა, — თუ მატყუარა გგონივართ, მაშინ არაფერი მნიშვნელობა არა აქვს გითხრათ ის, რის თქმასაც ვაპირებდი; თუმცა იმას კი გეტყვით, რომ ეს თქვენი აღმატებულებისათვის სასარგებლო იქნებოდა.

— ჩემო ძვირფასო, ბატონო პასტრინი, ალბერს არ უთქვამს, რომ თქვენ მატყუარა ხართ, — უთხრა მას ფრანცმა, — მან გითხრათ, რომ ვერ დაგიჯერებთო, ეს არის და ეს. მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე დაგიჯერებთ; აბა, დაიწყეთ.

— თქვენო აღმატებულება, თქვენ ხომ გესმით, თუკი ჩემს ალაღმართლობაში ეჭვს შეიტანთ...

— ჩემო ძვირფასო, — შეაწყვეტინა ფრანცმა, — თქვენ კასანდრაზე უფრო ბუტია ყოფილხართ; მაგრამ ის ხომ წინასწარმეტყველი ქალი იყო და არავინ უსმენდა, თქვენ კი,

ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ თქვენი აუდიტორიის ნახევარი ყურადღებით გისმენთ. დაბრძანდით და მოგვიყევით, ვინ არის ბატონი ვამპა.

— მე უკვე გითხარით, თქვენო აღმატებულებავ, რომ ის ყაჩაღია. და ასეთი ყაჩაღი ჩვენ არ გვინახავს ცნობილი მასტრილას შემდეგ.

— კი მაგრამ, რა საერთოა ამ ყაჩაღსა და ჩემს ბრძანებას შორის, მეეტლეს რომ მივეცი: დელ-პოპოლოს კარიბჭით გადი და სან-ჯოვანის კარით დაბრუნდი-მეთქი.

— საქმეც ეგ არის, — უპასუხა ბატონმა პასტრინიმ, — თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებული გახვიდეთ ერთი კარით, მაგრამ მეეჭვება, რომ მეორეთი შემოსვლა მოახერხოთ.

— ეგ რატომ? — ჰკითხა ფრანცმა.

— იმიტომ, რომ დაბინდდება თუ არა, კარიბჭიდან ორმოცდაათი ნაბიჯით დაშორებაც კი მართლაც რომ საშიშია.

— ვითომ? — იკითხა ალბერმა.

— ბატონო ვიკონტ, — დაიწყო ისევ პასტრინიმ, რომელიც გულის სიღრმეში ჯერ კიდევ ნაწყენი იყო იმის გამო, რომ ალბერს მისი ნათქვამი არ სჯეროდა, — მე ამას თქვენთვის კი არ ვამბობ, არამედ თქვენი თანამგზავრისთვის, რომელიც იცნობს რომს და იცის, რომ ამგვარ ამბებს არ ეხუმრებიან.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა ალბერმა ფრანცს, — აი, საუცხოო ავანტიურას გადავეყარეთ... ეტლს დამბაჩებით, მუშკეტებით და ორლულიანი თოფებით დავტვირთავთ. ლუიჯი ვამპა ჩვენს ხელში ჩაგდებას მოინდომებს, მაგრამ პირიქით, ჩვენ დავაპატიმრებთ მას, რომში წავიყვანთ და მის უწმინდესობას პაპს მივგვრით, რომელიც გვკითხავს, ასეთი სამსახურის ჯილდოდ რას მოითხოვთო. ჩვენ უბრალოდ ვეტყვით: მოგვეცით კარეტა და ორი ცხენი პაპის საჯინბოდან. ამრიგად შეგვეძლება კარნავალს ეტლიდან ვუყუროთ; თუ არაფერს იტყვით იმაზე, რომ მაღლიერი რომაელი ხალხი, ალბათ, კაპიტოლიუმში თავზე დაფნის გვირგვინს დაგვადგამს და კურციუსისა და ჰორაციუს კოკლესივით¹ (¹ კურციუსი და ჰორაციუს კოკლესი — ლეგენდარული ეპოქის რომაელი პატრიოტები, სახელგანთქმულნი თავიანთი ვაჟკაცობით და თავგანწირულობით.) სამშობლოს მხსნელებად გამოგვაცხადებს.

ალბერის ამ საუბრის დროს ბატონ პასტრინის ისეთი სახე ჰქონდა, რომ ძნელი ასაწერია კალმით.

— ჯერ ერთი, — უთხრა ფრანცმა ალბერს, — საიდან მოიტანთ დამბაჩებს, მუშკეტებს და ორლულიან თოფებს, რომლებითაც ეტლის დატვირთვას აპირებთ.

— რასაკვირველია, ჩემი არსენალიდან არა, რადგან მე ტერაჩინში ხანჯალიც კი ჩამომართვეს; თქვენ ამ მხრივ როგორი მდგომარეობა გაქვთ?

— მე? მეც ასევე მომეჩვენენ აკვა-პენდენტეში.

— იცით რა, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, — წამოიწყო ფრანცმა და პირველი სიგარეტის ნამწვავით მეორეს მოუკიდა, — მე მგონია, ასეთი ღონისძიება მძარცველისათვის ძალიან ხელსაყრელია და მათთან შეთანხმებით უნდა კეთდებოდეს.

როგორც ეტყობოდა, ეს ხუმრობა ბატონ პასტრინს მეტისმეტ სითამამედ ეჩვენა, რადგან პასუხად რაღაცა ჩაილულლულა, და ისევ ფრანცს მიმართა, როგორც ერთადერთ გონიერ ადამიანს, რომელთანაც შესაძლებელი იყო ლაპარაკი.

— მისი აღმატებულებისათვის ცნობილია, რომ როცა ყაჩაღები თავს გესხმიან, თავის დაცვა მიღებული არ არის.

— როგორ! — შეჰყვირა ალბერმა, რომლის მამაცური ბუნება ვერ შეჰკუებოდა იმ აზრს, რომ შეიძლებოდა წინააღმდეგობის გაუწევლად გაემარცვინებინა თავი. — როგორ, ეს მიღებული არ არის?

— დიახ, ასეა! რადგან სულ ერთია, ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაო იქნებოდა. რას გააწყობდით ათეული ყაჩაღის წინააღმდეგ, რომლებიც თხრილებიდან, ქოხმახებიდან ან აკვედუკიდან გამობტებიან და ყველა ერთად მიზანში ამოგიღებთ.

— ეშმაკმა დალახვროს! ის მირჩევნია, მომკლან! — წამოიძახა ალბერმა.

ბატონი პასტრინი ფრანცს მიუბრუნდა და ისეთი სახით შეხედა, რომ მაშინვე გამოიცნობდით, რის თქმა უნდოდა: «ცხადია, თქვენო აღმატებულება, ეს თქვენი მეგობარი სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს».

— ძვირფასო ალბერ, — უთხრა მას ფრანცმა, — თქვენი პასუხი საუცხოოა და ბებერი კორნელის «qu'il mourût»¹ (1 «ის უნდა მომკვდარიყო» (კორნელი, «ჰორაციუსი»). ღირს; მაგრამ როდესაც ჰორაციუსი ამას ლაპარაკობდა, საქმე რომის გადარჩენას ეხებოდა, ხოლო რომი ამის ღირსი იყო. ჩვენ კი მხოლოდ უბრალო ჟინის დაკმაყოფილებაზე ვფიქრობთ, ჟინისათვის სიცოცხლის გაწირვა კი სისულელეა.

— Per Bacco!² (2 «ვფიცავ ბახუსს».) — შეჰყვირა ბატონმა პასტრინიმ, — აი, ლაპარაკიც ამას ჰქვია.

ალბერმა ჭიქაში ლაკრიმა-კრისტი ჩაისხა; ნელ-ნელა წრუპავდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბურტყუნებდა.

— ახლა კი, ბატონო პასტრინი, — წამოიწყო ფრანცმა, — რაკი ხედავთ, რომ ჩემი მეგობარი დამშვიდდა და ჩემს მშვიდობისადმი მიდრეკილებაშიც დარწმუნდით, მოგვიყევით, ვინ არის ის სენიორი ლუიჯი ვამპა; მწყემსია თუ დიდებული? ახალგაზრდა თუ ბებერი? დაბალი თუ მაღალი? ბოლოს და ბოლოს აგვიწერეთ მისი გარეგნობა, რომ, თუ ვინიცობაა შემთხვევით ხალხში სბორგასა ან ლარასავით შევხვდით, მისი ცნობა შევძლოთ.

— მისი ამბის გასაგებად ჩემზე უკეთესს, თქვენო აღმატებულება, სხვას ვერავის მიმართავდით, იმიტომ რომ ლუიჯი ვამპას მე ჯერ კიდევ სულ პატარა ბავშვს ვიცნობდი; და როცა ერთხელ ფერენტინოდან ალატრისკენ მიმავალ გზაზე ხელში ჩავუვარდი, ჩემდა საბედნიეროდ, გაიხსენა ჩვენი ძველი ნაცნობობა და არათუ გამოსასყიდი არ მომთხოვა, თავის მშვენიერი საათიც კი მაჩუქა და თავის თავგადასავალს მომიყვა.

— აბა, საათი გვანახეთ, — უთხრა ალბერმა.

ბატონმა პასტრინიმ ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო. ეს იყო საუცხოო ბრეგეტი, რომელსაც ამოჭრილი ჰქონდა ხელოსნის გვარი, პარიზის მარკა და გრაფის გერბი.

— აი, — თქვა მან.

— ეშმაკმა დალახვროს, — წამოიძახა ალბერმა, — მოგილოცავთ, ჩემო კარგო, მეც თითქმის ასეთივე საათი მაქვს, — მანაც ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო, — და იგი მე სამი ათასი ფრანკი დამიჯდა.

— მოგვიყევით მისი თავგადასავალი, — უთხრა ფრანცმა, თან სავარძელი მისწია და ბატონ პასტრინის ანიშნა — დაბრძანდითო.

— მათი აღმატებულებანი ნებას მომცემენ?

— ფუი ეშმაკს! თქვენ ხომ მქადაგებელი არა ხართ, რომ ფეხზე მდგარმა ილაპარაკოთ.

სასტუმროს პატრონი დაჯდა და ორივე მსმენელს თავი მოწიწებით დაუკრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მზად იყო ლუიჯი ვამპაზე ყველა ცნობა მიეცა.

— მოიცათ, მოიცათ, — წამოიძახა ფრანცმა და ბატონი პასტრინი სწორედ იმ წუთში შეაჩერა, როცა ამ უკანასკნელმა, ის იყო, სალაპარაკოდ დაალო პირი. — თქვენ თქვით, რომ ლუიჯი ვამპას ჯერ კიდევ პატარა ბავშვს ვიცნობდით; მაშ, ახალგაზრდა უნდა იყოს.

— ახალგაზრდაო, მეკითხებით? რასაკვირველია, ოცდაორი წელი ახლახან შეუსრულდა. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ეს ყმაწვილი შორს წავა.

— ალბერ! რას იტყვით ამაზე? ოცდაორი წლისამ რომ სახელი გაითქვა, ეს პატარა ამბავი როდია.

— დიახ, ამ ასაკში ალექსანდრეს, ცეზარსა და ნაპოლეონს მასზე ნაკლები წარმატება ჰქონდათ, თუმცა შემდგომ მთელი ქვეყნიერება აალაპარაკეს.

— ამგვარად, — მიუბრუნდა ფრანცი სასტუმროს პატრონს, — თქვენი ამბის გმირი ოცდაორი წლისაა.

— დიახ, როგორც უკვე გითხარით, ოცდაორი წელი ახლახან შეუსრულდა.

— როგორია შესახედავად, მაღალია თუ დაბალი?

— საშუალო ტანისაა, დაახლოებით ისეთი, როგორც მისი აღმატებულება, — და პასტრინი ალბერზე მიუთითა.

— მადლობელი ვარ შედარებისათვის, — უთხრა ალბერმა და თავი დაუკრა.

— დაიწყეთ მოყოლა, ბატონო პასტრინი, — უთხრა მას ფრანცმა, რომელსაც ღიმილი მოჰგვარა თავისი მეგობრის განაწყენებამ, — გვითხარით, საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნის.

— ის იყო უბრალო მწყემსი გრაფ სან-ფელიჩეს მამულში, რომელიც პალესტრინასა და გაბრის ტბას შორის მდებარეობს. იგი პამპინარში დაიბადა და ხუთი წლის ასაკიდან გრაფთან მსახურობდა; მამამისიც მწყემსი იყო. მას ანანში საკუთარი პატარა ფარა ჰყავდა და თავს ირჩენდა რომში მატყლისა და ყველის ვაჭრობით. ვამპა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თავისი უცნაური ხასიათით. ერთ დღეს (მაშინ ვამპა 7 წლისა იყო), პალესტრინას მღვდელთან მივიდა და სთხოვა, კითხვა მასწავლეო. ეს ძნელი საქმე იყო, იმიტომ რომ პატარა მწყემსი თავის ფარას ვერ მოშორდებოდა; მაგრამ კეთილი მღვდელი ყოველდღე დადიოდა საწირავად ღარიბ სოფელში, იმდენად ღარიბში, რომ მღვდლისათვის ფულის გადახდაც კი არ შეეძლოთ; ამ ადგილს სახელიც კი არ ჰქონდა და «ბორგოდ» იყო ცნობილი. მღვდელმა ლუიჯის წინადადება მისცა, ჩემი უკან დაბრუნების დროს გზაში დამხვდი და იქ მოგცემ გაკვეთილსო; მაგრამ გააფრთხილა: გაკვეთილები ხანმოკლე იქნება და ძალიან სიბეჯითე უნდა გამოიჩინო.

ბავშვი სიხარულით დაეთანხმა.

ლუიჯი თავის ცხვარს ყოველდღე მირეკავდა პალესტრინადან ბორგოსკენ მიმავალ გზაზე. აქ დილის ცხრა საათზე ყოველთვის ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი; ბავშვი და მღვდელი თხრილის ნაპირზე ჩამოსხდებოდნენ და პატარა მწყემსი ანბანს ლოცვანით სწავლობდა.

სამ თვეში მან უკვე კითხვა იცოდა.

მაგრამ ეს საკმარ როდი იყო. ახლა უნდოდა, წერა შეესწავლა.

მღვდელმა რომში მართლწერის მასწავლებელს სამი სახის ანბანი შეუკვეთა: ერთი დიდი ასოებით, მეორე — საშუალოთი, მესამე — წვრილით და ბავშვს უჩვენა წვერმახვილი რკინით როგორ შეიძლებოდა ამ ასოების ქვადაფაზე გადმოწერა.

იმავე საღამოს, როდესაც პატარა მწყემსმა ფარა ფერმაში შერევა, პალესტრინას ზეინკალთან შეირბინა და დიდი ლურსმანი გამოართვა. ლურსმანი გაავარვარა, გამოჭედა, მოამრგვალა და მისგან რაღაც ანტიკური სტილოსის მსგავსი გააკეთა.

მეორე დღეს მან ქვადაფები შეაგროვა და საქმეს შეუდგა. სამი თვის შემდეგ უკვე წერა იცოდა.

ამ ბავშვის ღრმა ნიჭით განცვიფრებულმა და მისი მუყაითობით გულაჩვილებულმა მღვდელმა აჩუქა რამდენიმე რვეული, კალმები და ჯაყვა.

ბავშვს ახალი შრომა ელოდა, მაგრამ ეს წინანდელთან შედარებით გაცილებით ადვილი იყო. ერთი კვირის შემდეგ იგი კალამს ისევე კარგად ხმარობდა, როგორც თავის სტილოსს.

მღვდელმა მისი ამბავი გრაფ სან-ფელიჩეს უამბო. ამ უკანასკნელმა პატარა მწყემსის ნახვა მოისურვა, და როდესაც იგი წარუდგინეს, თავისი თანდასწრებით წიგნი აკითხა და აწერინა, შემდეგ მოურავს უბრძანა, მისთვის საჭმელი მსახურებთან ერთად ეჭმიათ ხოლმე და ჯამაგირიც დაუნიშნა — თვეში ორი პიასტრი.

ამ ფულით ლუიჯი წიგნებსა და რვეულებს ყიდულობდა.

მას მიზანძვის საუკეთესო ნიჭი ჰქონდა და, ახალგაზრდა ჯოტოსავით¹, (1 ჯოტო — სახელგანთქმული ფლორენციელი მხატვარი, დანტეს მეგობარი (1266—1336).) ქვადაფებზე თავის ცხვრებს, სახლებსა და ხეებს ხატავდა.

შემდეგ ჯაყვის დახმარებით დაიწყო ხეების გამოთლა და მათ სხვადასხვა ფორმას აძლევდა. ასე დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცნობილმა სკულპტორმა პენელიმ.

პალესტრინას ახლოს ცხვრის ფარას მწყემსავდა აგრეთვე ექვსი თუ შვიდი წლის ობოლი გოგონა, რომელიც ლუიჯიზე ცოტათი პატარა იყო. იგი ვალმონტონში დაიბადა, ტერეზა ერქვა.

ბავშვები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ერთმანეთის გვერდით სხდებოდნენ და თავიანთ ფარას ერთად ამოვებდნენ. ისინი საუბრობდნენ, იცინოდნენ და თამაშობდნენ; სალამოთი ვამპა და ტერეზა სან-ფელიჩეს და ბარონ ჩერვეტრის ფარას გააცალკევებდნენ ხოლმე და ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ იმ პირობით, რომ დილას ისევ შეყრილიყვნენ.

ისინი არასოდეს არ არღვევდნენ ამ პირობას და ყოველ დილით ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამგვარად, ეს ორი ბავშვი ერთად იზრდებოდა.

ლუიჯის თორმეტი წელი შეუსრულდა, ტერეზას — თერთმეტი.

წლებთან ერთად ვითარდებოდა მათი ბუნებრივი მიდრეკილებებიც.

ლუიჯი კვლავ გატაცებული იყო ხელოვნებით და მისდევდა კიდევ ამ დარგში მუშაობას, რამდენადაც ამის შესაძლებლობას აძლევდა განმარტოებული ცხოვრება. ის ხან უმიზეზოდ იყო მოწყენილი, ხან ფიცხობდა და ჯიუტობდა, საერთოდ კი მუდამ დამცინავი იყო. პამპონარის, პალესტრინას, ვალმონტონის ბიჭებს მასზე არათუ არავითარი გავლენა არ ჰქონდათ, არამედ მისი ამხანაგად გახდომაც კი არ შეეძლოთ. მისი თვითნებობა, დიდი მომთხოვნელობის წყაყენება სხვებისადმი და ქედმაღლობა არავითარ მეგობრულ გრძნობებს და სიმპათიას არ ჰბადებდა მისდამი. მხოლოდ ტერეზა ერთი შეხედვით, სიტყვით ან ჟესტით ათვინიერებდა მის ჯიუტ ხასიათს, რომელიც მორჩილი ხდებოდა ქალის ხელში; მამაკაცის ხელს კი, ვისიც უნდა ყოფილიყო იგი, შეეძლო გაეტეხა, მაგრამ მოდრეკით ვერ მოდრეკდა.

ტერეზა, პირიქით, ცოცხალი, მხიარული, მაგრამ მეტისმეტად პატივმოყვარე გოგონა იყო. ორი პიასტრი, რომელსაც ლუიჯის გრაფი სან-ფელიჩე აძლევდა, ყველა ის ფული, რასაც იგი იღებდა სათამაშოებში, რომლებსაც რომაელ ვაჭრებზე ყიდდა, იხარჯებოდა ახალგაზრდა ქალის მარგალიტის საყურეებსა, მინის მძივებსა და ოქროს ქინძისთავებზე. ამრიგად, თავისი მეგობრის წყალობით, ტერეზა ყველაზე ლამაზი და კარგად ჩაცმული გლეხის გოგონა იყო რომის მიდამოებში.

ბავშვები იზრდებოდნენ. მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ და ბუნების სხვადასხვაობის მიუხედავად, უთანხმოება არ მოსდიოდათ. თავიანთ საუბარში, სურვილებში და ოცნებაში, ვამპა თავის თავს ყოველთვის გემის კაპიტნად, არმიის გენერლად ან რომელიმე პროვინციის გუბერნატორად წარმოიდგენდა ხოლმე, ტერეზა კი — საუცხოო კაბებში გამოწყობილ ქალბატონად, რომელსაც ლივრეიანი მსახურები ახლდნენ. შემდეგ, როდესაც მთელ დღეს მომავალ ბრწყინვალეებაზე ფიქრში გაატარებდნენ, ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, რომ ცხვარი ფერმებში შეერეკათ: და ოცნების მაღალი კომპებიდან მწარე სინამდვილეს უბრუნდებოდნენ.

ერთ დღეს ახალგაზრდა მწყემსმა უთხრა გრაფის მოურავს, რომ მან დაინახა საბინის მთებიდან ჩამოსული მგელი, რომელიც მისი ფარის ირგვლივ დაძრწოდა. მოურავმა მას თოფი მისცა. ვამპასაც ეს უნდოდა.

ეს თოფი შემთხვევით საუცხოო ბრეშიელი ხელოსნის ნაკეთები გამოდგა და ინგლისურ კარაბინს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც გრაფი ბოლოს უღებდა დაჭრილ მელას, მას კონდახი გაუტყდა, თოფი შინ დააგდო და აღარ ხმარობდა.

ისეთი დახელოვნებული ოსტატისათვის, როგორც ვამპა იყო, ეს სამნელოს არაფერს წარმოადგენდა. მან გაზომა ძველი კონდახი, მოიფიქრა, რა უნდა შეეცვალა, რათა თოფი მხარზე მოერგო და მერე ისეთი ახალი, შესანიშნავი კონდახი გამოთალა, რომ გაყიდვას თუ მოინდომებდა, მარტო კონდახში უეჭველად თხუთმეტ თუ ოც პიასტრს მისცემდნენ.

მაგრამ იგი სრულებითაც არ აპირებდა ამის გაკეთებას. თოფი დიდი ხანია მისი ოცნების საგანს წარმოადგენდა. ყველა ქვეყანაში, სადაც დამოუკიდებლობას თავისუფლების ადგილი უკავია, ყოველი მამაცი ადამიანის, ყოველგვარი ძლიერი თანაამხანაგობის პირველი მოთხოვნილება იარაღია, რომელიც გამოადგება თავდასხმისა და თავდაცვის დროს და რომელიც თავის პატრონს მრისხანე ძალად ხდის, ხოლო სხვებს შიშის ზარსა სცემს.

ამ წუთიდან დაწყებული, ვამპა მთელ თავისუფალ დროს სროლაში ვარჯიშს ანდომებდა. მან იყიდა ტყვიები, თოფისწამალი და ყველაფერს მიზანში იღებდა: საბინის მთების ფერდობზე ამოსულ საცოდავ გამხმარ ნაცრისფერ ზეთისხილის ხეს, ბუნაგიდან სანადიროდ გამოსულ მელიას, არწივს, რომელიც ჰაერს მიარღვევდა. ძალიან მალე ისე დახელოვნდა, რომ ტერეზა, რომელიც თავდაპირველად თოფის ყოველ გასროლაზე შიშისაგან თრთოდა, ახლა სიამოვნებით შესცქეროდა, თუ როგორ არტყამდა მისი ახალგაზრდა მეგობარი ტყვიას იქ, სადაც მოისურვებდა, ისე ზუსტად, თითქოს მიზანში ხელით სვამსო.

ერთ საღამოს მგელი მართლაც გამოვიდა ფიჭვნარიდან, რომლის სიახლოვესაც ბავშვებს ჩვეულებად ჰქონდათ მოკალათება. მგელმა ათი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ მკვდარი დაეცა. ასეთი გამარჯვებით გაამაყებულმა ვამპამ ნანადირევი მხარზე გადაიგდო და ფერმაში წაიღო.

ყველაფერი ეს ლუიჯი ვამპას ერთგვარად სახელს უთქვამდა. ადამიანი, რომელიც სხვებზე მაღლა დგას, სადაც უნდა იყოს, ყოველთვის პოულობს თავყვანისმცემლებს. მართლაც, მთელ იმ მიდამოებში ათი ლიეს მანძილზე ახალგაზრდა მწყემსზე ლაპარაკობდნენ, როგორც ყველაზე მარჯვე, ღონიერსა და უშიშარ ყმაწვილზე. მიუხედავად იმისა, რომ ტერეზა საბინში ულამაზეს ქალიშვილად ითვლებოდა, მასთან სიყვარულზე სიტყვას ვერავინ ძრავდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ მას ვამპა ეტრფოდა.

უნდა ითქვას, რომ ლუიჯი და ტერეზა სიყვარულში ერთმანეთს არასოდეს გამოსტყდომიან. ისინი ერთმანეთის გვერდით გაიზარდნენ იმ ორი ხის მსგავსად, რომლებიც მიწის ქვეშ ფესვებით გადაეჭდნენ, ხოლო ჰაერში — ტოტებითა და სურნელებით. მათ მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ — ერთმანეთი ენახათ, ერთად ყოფილიყვნენ. ეს სურვილი მათ მოთხოვნილებად გადაექცათ და უმაღლესი სიკვდილის ირჩევდნენ, ვიდრე, თუნდაც ერთი დღით დაშორებოდნენ ერთმანეთს.

ტერეზა თექვსმეტი წლისა გახდა, ლუიჯი — ჩვიდმეტის.

ამ პერიოდში ბევრს ლაპარაკობდნენ ყაჩაღთა რაზმზე, რომელიც ლეპინის მთებში შეიკრა. რომის მიდამოებში ძარცვა-გლეჯას ძირფესვიანად ვერასოდეს ვერ მოსპობთ; ზოგჯერ ყაჩაღებს მეთაური არ ჰყავთ, მაგრამ საკმარისია მეთაურის გამოჩენა, რომ რაზმი მის ირგვლივ მყისვე თავს მოიყრის.

ცნობილმა კუკუმეტომ, აბრუცის მთებში დევნილმა, ნეაპოლის სამეფოდან გაძევებულმა, სადაც ის ნამდვილ ომს აწარმოებდა, მანფრედის მსგავსად გადასერა გარილიანო და თავშესაფარი სონინოსა და ჯუპორნოს შუა ამაზინეს ნაპირებზე ჰპოვა.

მან დაიწყო რაზმის შეკრება და გაჰყვა დე ჩეზარისის და გასპარონეს ფეხის კვალს იმ იმედით, რომ მალე ეჯობნა მათთვის. პალესტრინიდან, ფრასკატიდან და პაპინარიდან გაქრა რამდენიმე ახალგაზრდა. პირველ ხანებში შეწუხდნენ, რა მოუვიდათ მათო, მაგრამ მალე გაიგეს, რომ კუკუმეტოს რაზმს შეერთებოდნენ.

ძალიან მალე კუკუმეტო ყურადღების ცენტრი გახდა. ლაპარაკობდნენ მის არაჩვეულებრივ გამირობაზე, აღმაშფოთებელ სიმკაცრეზე.

ერთხელ ფროზინონეში მიწის მზომელის ქალიშვილი მოიტაცა. ყაჩაღთა წესი უცვლელია, ქალიშვილი ჯერ ეკუთვნის მომტაცებელს, შემდეგ კი კენჭს ჰყრიან და უბედური მთელი ბანდის გასართობი საგანი ხდება, სანამ არ მიაგდებენ ან არ მოკვდება.

როდესაც მშობლები იმდენად მდიდრები არიან, რომ გამოსასყიდის გადახდა შეუძლიათ, მათთან გზავნიან მოციქულს. ტყვე ქალი თავისი სიცოცხლით აგებს პასუხს მოციქულის უვნებლობისათვის. თუ გამოსასყიდზე უარს ამბობენ, ტყვე ქალის ბედი გადაწყვეტილია. გატაცებულ ქალიშვილს კუკუმეტოს რაზმში ჰყავდა შეყვარებული, გვარად კარლინი.

ამ ყმაწვილის დანახვაზე საწყალმა ქალმა ხელები მისკენ გაიწვდინა და თავი გადარჩენილად ჩათვალა. მაგრამ, როდესაც კარლინი იცნო, იგრძნო, რომ საცაა გული გაუსკდებოდა; მან იცოდა, რა მოელოდა მის შეყვარებულს.

რადგან კუკუმეტოს კარლინი უყვარდა, სამი წლის განმავლობაში ისინი იზიარებდნენ ყოველგვარ საფრთხეს და ერთხელ კარლინი თავის ბელადს სიცოცხლეც კი შეუწარჩუნა, — მან მოკლა კარბონარი, რომელსაც კუკუმეტოს თავზე უკვე აღმართული ჰქონდა ხმალი, — კარლინის იმედი ჰქონდა, იქნება რაიმე სიბრალული გამოიჩინოსო.

მან მეთაური განზე გაიხმო; ამ დროს ქალიშვილი ახოს შუაგულში ამოსულ მაღალ ნაძვის ქვეშ იჯდა და რათა ყაჩაღების ვნებიანი მზერა აეცილებინა, სახეზე იფარებდა ფერად ხილაბანდს, როგორსაც რომაელი გლეხის ქალები ატარებენ.

კარლინი ბელადს ყველაფერი უამბო: ტყვე ქალისა და მისი სიყვარული, მათ მიერ ერთმანეთთან დადებული ერთგულების ფიცი, და ისიც უთხრა — მას შემდეგ, რაც ყაჩაღთა რაზმი ამ ადგილებში დაბანაკდა, ნანგრევებში ვხვდებით ერთმანეთსო.

სწორედ იმ საღამოს კუკუმეტომ კარლინი მეზობელ სოფელში გაგზავნა და ამიტომ ვერ შეძლო დანიშნულ პაემანზე მისვლა; მაგრამ კუკუმეტო, როგორც თვითონ ამბობდა, ვითომ შემთხვევით მოხვდა იქ და ქალიშვილიც მოიტაცა.

კარლინი შეეხვეწა მეთაურს, შეიწყალე ქალიშვილი და ჩემი გულისათვის გამოწაკლისი გააკეთეო. თან არწმუნებდა, რიტას მამა მდიდარია და გამოსასყიდად ფულს ბლომად გაიღებსო.

კუკუმეტომ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დაჰყვა თავისი მეგობრის თხოვნას, და თვითონ მას დაავალა მოეძებნა ვინმე მწყემსი, რომლის გაგზავნაც შესაძლებელი იქნებოდა რიტას მამასთან ფროზინონეში.

გახარებულმა კარლინი ქალიშვილთან მიიღბინა და უთხრა — გადარჩენილი ხარო. ვაჟმა მას სთხოვა, მამისათვის ბარათი მიეწერა, მოეყოლა თავისი ამბავი და ეცნობებინა, რომ მის გამოსასყიდად საჭირო იყო სამასი პიასტრი.

მამას თორმეტი საათის ვადა მიეცა, ესე იგი მეორე დილის ცხრა საათზე ფული ადგილზე უნდა ყოფილიყო.

დაწერა თუ არა ქალიშვილმა წერილი, კარლინი სირბილით დაემგა ბარში, რათა მოციქული მოეძებნა.

მან იპოვა ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც თავის ცხვარს ბაკში ერეკებოდა. ქალაქსა და მთებს შორის, სიველურესა და ცივილიზაციის საზღვარზე მცხოვრები მწყემსები, ჩვეულებრივ, ყაჩაღების მოციქულები არიან.

მწყემსი იმ წუთშივე გაუდგა გზას და პირობა მისცა, ერთ საათში ფროზინონეში ვიქნებით.

კარლინი გახარებული დაბრუნდა თავის შეყვარებულთან, უნდოდა, მისთვისაც ეცნობებინა ეს სასიამოვნო ამბავი.

მას ყაჩაღთა რაზმი ახოში დაუხვდა.

ისინი მხიარულად შეექცეოდნენ გლეხებისაგან ხარკად აღებულ სურსათს. ამ მხიარულ მონადიმეთა შორის მან ამაოდ დაუწყო ძებნა კუკუმეტოს და რიტას.

მან იკითხა, სად არიანო. ყაჩაღები ხარხარით გამოეპასუხნენ. კარლინის შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა; მან იგრძნო, რომ თმა ყალყზე დაუდგა.

მან გაიმეორა თავისი შეკითხვა. ერთმა თანამოსუფრემ ჭიქა ორვიეტოს ღვინით შეავსო და კარლინის გაუწოდა.

— მამაცი კუკუმეტოს და ლამაზი რიტას სადღეგრძელო იყოს, — თქვა მან.

იმ წუთში კარლინის ქალის კივილი მოესმა; ის ყველაფერს მიხვდა, ღვინით სავსე ჭიქა მიმწოდებელს სახეში სთხლიშა და იმ მხარისაკენ გაიქცა, საიდანაც ყვირილის ხმა მოდიოდა.

ასი ნაბიჯის შემდეგ, ერთი ბუჩქის უკან, დაინახა კუკუმეტოს ხელებზე გადაწოლილი გულწასული რიტა.

კარლინის დანახვაზე კუკუმეტო წამოხტა და ორივე ხელში დამბაჩები მოიმარჯვა.

ყაჩაღებმა თვალი გაუსწორეს ერთმანეთს, ერთს სახეზე ვნებიანი ღიმილი დასთამაშებდა, მეორეს მიწისფერი ედო.

ასე იტყოდით, ეს ორი კაცი საცაა ერთმანეთს ეკვეთებაო, მაგრამ კარლინის სახის ნაკვეთები ნელ-ნელა გაუსწორდა და ხელი, რომელიც ქამარში გაყრილი დამბაჩისათვის ჩაევლო, ძირს დაეშვა.

რიტა ყმაწვილებს შორის მიწაზე იწვა.

მთვარე ამ სურათს თავის შუქსა ჰფენდა.

— აბა, რას იტყვი, შეასრულე ჩემი დავალება? — ჰკითხა კუკუმეტომ.

— დიახ, მეთაურო, — უპასუხა კარლინიმ, — და ხვალ დილის ცხრა საათზე რიტას მამა ფულიანად აქ გაჩნდება.

— საუცხოოა, მანამდე კი ჩვენ მხიარულ ღამეს გავატარებთ. ეს ქალიშვილი მომხიბვლელია, შენ მართლაც კარგი გემოვნება გქონია, კარლინი, და რადგან მე ეგოისტი არა ვარ, წავიდეთ ჩვენს მეგობრებთან, კენჭი ვყაროთ, ვნახოთ, ვის ერგება იგი.

— მაშ, გადაწყვიტეთ, რომ მასაც ჩვეულებრივად მოექცეთ? — ჰკითხა კარლინიმ.

— კი მაგრამ, რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი?

— მე მეგონა, რომ ჩემი მუდარა...

— კი მაგრამ, შენ რითი ხარ სხვებზე უკეთესი?

— თქვენ მართალი ხართ.

— დამშვიდებული იყავი, — უთხრა სიცილით კუკუმეტომ: — ადრე თუ გვიან შენი რიგიც დადგება.

კარლინიმ კბილი კბილს ისე მაგრად დააჭირა, რომ კრაჭუნი გაისმა.

— აბა, წავიდეთ, — უთხრა კუკუმეტომ და მონადიმე ამხანაგების მიმართულელებით ნაბიჯი გადადგა.

— მოგყვებით.

კუკუმეტო წავიდა, მაგრამ მხედველობიდან არ კარგავდა კარლინის: უეჭველია, შიშობდა, ზურგიდან არ მესროლოსო, მაგრამ კარლინის არაფერში ეტყობოდა, რომ მას მტრული განზრახვა ჰქონოდა.

იგი გულხელდაკრეფილი იდგა და გულწასულ რიტას დასცქეროდა.

კუკუმეტოს თავში უცებ ერთმა აზრმა გაუბრინა: კარლინის, ალბათ, უნდა აიტაცოს ქალიშვილი და მასთან ერთად გაიქცესო, მაგრამ ეს არ აწუხებდა. მან რიტასაგან მიიღო ყველაფერი, რაც მას სურდა. რაც შეეხება ფულს, სამასი პიასტრი ამხანაგებს შორის განაწილების შემდეგ ისეთ პატარა თანხას შეადგენდა, რომ ნაკლებად აინტერესებდა.

კუკუმეტო გზას განაგრძობდა; როგორ განცვიფრდა იგი, როცა დაინახა, რომ ახლო მისვლისთანავე კარლინიც იქ გაჩნდა.

— კენჭი, კენჭი, — დაიყვირეს ყაჩაღებმა მეთაურის დანახვაზე.

ამ მამაკაცებს თვალები სიმთვრალით და ავხორცობით ანთებოდათ, ხოლო კოცონის წითელი ანარეკლი მათ დემონებს ამსგავსებდა.

მათი მოთხოვნა სამართლიანი იყო, ამიტომ კუკუმეტომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ქუდში ჩაყარეს ქაღალდები, რომლებზედაც ყაჩაღების სახელები ეწერა. ერთ მათგანზე კარლინის გვარიც იყო აღნიშნული. ყაჩაღთა შორის ყველაზე უმცროსმა ქუდიდან ერთი ფურცელი ამოიღო.

ამ ფურცელზე დიავოლაჩოს გვარი ეწერა.

ეს ის ყაჩაღი იყო, რომელმაც კარლინის მეთაურის სადღეგრძელო შესთავაზა, და რომელსაც კარლინიმ პასუხად სახეში ღვინით სავსე ჭიქა სთხლიშა.

როდესაც მისი გვარი წაიკითხეს, დიავოლაჩომ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მეთაურო, — თქვა მან, — კარლინიმ უარი თქვა თქვენს სადღეგრძელოზე, ახლა ჩემი სადღეგრძელო შესთავაზეთ, იქნებ თქვენს თხოვნას უფრო გაუწიოს ანგარიში.

ყველა მოელოდა, კარლინი იფეთქებოდა, მაგრამ მათდა გასაკვირად, კარლინიმ ერთი ხელით ჭიქა აიღო, მეორეთი — მათარა და ღვინო გადმოისხა.

— შენი სადღეგრძელო იყოს, დიავოლაჩო, — უთხრა მან დამშვიდებული ხმით და ჭიქა ისე გამოცალა, რომ ხელიც კი არ აჰკანკალებია. ამის შემდეგ იგი ცეცხლს მიუჯდა.

— მომეცით ჩემი კერძი, ამდენი სიარულის შემდეგ მომშივდა, — მიმართა მან ამხანაგებს.

— გაუმარჯოს კარლინის, — შესძახეს ყაჩაღებმა.

— მადლობა ღმერთს, აი ამხანაგური საქციელიც ამასა ჰქვია, — ყაჩაღები ცეცხლს ირგვლივ შემოუსხდნენ.

კარლინი ვახშამს შეექცეოდა და თან ღვინოსაც აყოლებდა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

ყაჩაღები განცვიფრებით შესცქეროდნენ და ვერ გაეგოთ მისი ასეთი უგრძობლობა, რომ უცებ ზურგს უკან ფეხის მძიმე ნაბიჯები შემოესმათ.

შემობრუნდნენ და დაინახეს მათკენ მომავალი დიავოლაჩო, რომელსაც ხელებზე ქალიშვილი გადაეწვინა.

ქალიშვილს თავი გადაადებული ჰქონდა, გრძელი ნაწნავები მიწასა სცემდნენ. რაც უფრო უახლოვდებოდა ცეცხლით განათებულ წრეს, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა ქალიშვილისა და ყაჩაღის სიფითრე.

ამ სანახაობაში იყო რაღაც ისეთი უცნაური და ისეთი სადღესასწაულო, რომ კარლინის გარდა ყველანი წამოდგნენ. ის კი იჯდა და ჭამა-სმას განაგრძობდა, თითქოს აქ არაფერიაო.

დიავოლაჩო წინ მოიწევდა ამ საერთო სიჩუმეში. ბოლოს რიტა მეთაურის ფეხებთან დადო.

მაშინ ყველა მიხვდა, თუ რატომ იყო გაფითრებული ყაჩაღი და რატომ წასვლოდა ფერი რიტას.

ქალიშვილს მარცხენა ძუძუში დანა ტარამდე ჰქონდა ჩარჭობილი.

ყველამ კარლინის შეხედა, მისი დანის ქარქაში ცარიელი იყო.

— მაშ ასე, — თქვა მეთაურმა, — ახლა ჩემთვის გასაგებია, რისთვის დარჩა იქ კარლინი.

ველური ბუნების ადამიანებმა იციან ვაჟკაცური საქციელის შეფასება: თუმცა შესაძლებელია, არც ერთ ყაჩაღს არ გაეკეთებინა ის, რაც კარლინიმ გააკეთა, მაგრამ მას ყველამ გაუგო. კარლინი წამოდგა და ცხედარს მიუახლოვდა; მას ხელი დამბაჩის ტარზე ედო.

— ახლა კიდევ შემეცილება ვინმე ამ ქალს? — თქვა მან.

— არა, — უპასუხა მეთაურმა, — ის შენია.

კარლინიმ ქალიშვილი მიწიდან აიღო და კოცონის ალით განათებული წრიდან გაიტანა.

კუკუმეტომ გუმაგები ჩვეულებრივად გაანაწილა და წამოსასხამში გახვეული ყაჩაღები ცეცხლის პირას მიწვნენ.

შუალამისას გუმაგმა განგაში ატეხა. ერთ წუთში მეთაური და მისი რაზმის წევრები ფეხზე იყვნენ.

ეს იყო რიტას მამა, რომელსაც თვითონ მოეტანა შვილის გამოსასყიდი ფული.

— აჰა, აიღე, — უთხრა მან მეთაურს, და ვერცხლით სავსე ქისა გაუწოდა, — სამასი პიასტრია, მე კი ჩემი შვილი დამიბრუნე. — მაგრამ კუკუმეტომ ფული არ გამოართვა და ანიშნა, უკან მომევიო. მოხუცი დაემორჩილა, ისინი მიდიოდნენ ხეების ტოტებქვეშ, რომლებშიც იჭრებოდა მთვარის შუქი. ბოლოს კუკუმეტო შეჩერდა, ხელი გაიწოდა და მოხუცს ხის ქვეშ მყოფ ორ ადამიანზე მიუთითა.

— აი, — უთხრა მან, — ქალიშვილი კარლინის მოსთხოვე, ის ჩაგაბარებს ანგარიშს.

მეთაური უკან დაბრუნდა თავის რაზმელებთან.

მოხუცი ადგილზე გაიყინა თვალეგამტერებული. მან იგრძნო, რომ თავზე დაატყდა უცნობი, გაუგონარი, აუტანელი უბედურება.

ბოლოს რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა ხის ქვეშ.

ფეხის ნაბიჯების გაგონებაზე კარლინიმ თავი ასწია და მოხუცის თვალეგამტერებულ ნათლად გამოიკვეთა ორი ადამიანის გამოხატულება. მიწაზე იწვა ქალი, მას თავი ჩაედო მამაკაცის მუხლებში. მამაკაცი მისკენ დახრილიყო და როდესაც თავი მაღლა აიღო, მის მკერდზე მიხუტებული ქალის სახე დაინახა.

მოხუცმა იცნო თავისი ქალიშვილი. კარლინიმ იცნო მოხუცი.

— მე შენ გელოდი, — უთხრა ყაჩაღმა რიტას მამას.

— საზიზღარო, — შესძახა მოხუცმა, — ეგ რა ჩაიდინე!

და მან შიშით შეხედა გაფითრებულ, უძრავ, სისხლში ამოსვრილ რიტას, რომელსაც მკერდში დანა ჰქონდა ჩარჭობილი.

მთვარის შუქი მკრთალად ანათებდა ქალიშვილის უსიცოცხლო სხეულს.

— კუკუმეტომ ნამუსი ახადა შენს ქალიშვილს; მე მიყვარდა იგი და მოვკალ, რადგან ნამუსის ახდის შემდეგ იგი მთელი რაზმის სათამაშოდ გადაიქცეოდა.

მოხუცმა ხმა არ ამოიღო, მაგრამ მოჩვენებასავით გაფითრდა.

— შენ უკვე ყველაფერი იცი, და თუკი დამნაშავე ვარ, შური იძიე შენი ქალიშვილისათვის, — უთხრა ისევ ყაჩაღმა. კარლინიმ ერთი ხელით ქალიშვილს ძუძუდან დანა ამოაცალა და მოხუცს გაუწოდა, ხოლო მეორე ხელით მკერდი გაიღედა.

— შენ კარგად მოქცეულხარ, — უთხრა მოხუცმა ყრუ ხმით.

კარლინი თავისი შეყვარებულის მამას ქვითინით ჩაუვარდა ხელებში. ეს იყო პირველი ცრემლები, რომლებსაც ეს სისხლის მოყვარული ადამიანი აფრქვევდა.

— ახლა კი, — უთხრა მოხუცმა, — მომეხმარე ჩემი შვილი დავმარხო.

კარლინიმ ორი ბარი მოიტანა და მამამ შეყვარებულთან ერთად დაიწყო მიწის გათხრა ასწლიანი მუხის ქვეშ, რომლის ხშირ ტოტებს მისი ქალიშვილის საფლავი უნდა დაეფარა.

როდესაც საფლავი ამოთხარეს, პირველად მამა გადაეხვია ცხედარს, მერე კი — შეყვარებული. შემდეგ ერთმა მას ფეხებში მოჰკიდა ხელი, მეორემ — მხრებში და იგი საფლავში ჩაუშვეს.

მამა და შეყვარებული საფლავის თავსა და ბოლოში დადგნენ და განსვენებულს სულთათანა წაუკითხეს...

მოხუცმა კარლინის ხელი გაუწოდა.

— მადლობელი ვარ, ჩემო შვილო, — უთხრა მან, — ახლა კი მარტო დამტოვე.

— კი მაგრამ... — უთხრა ყაჩაღმა.

— დამტოვე, მე შენ გიბრძანებ.

კარლინი დაემორჩილა. ამხანაგებთან წავიდა და ძალიან მალე ისეთივე ღრმა ძილს მიეცა, როგორც სხვები.

ჯერ კიდევ წინა ღამით იყო გადაწყვეტილი ბანაკის გამოცვლა. მაგრამ კარლინის ისე არ უნდოდა წასულიყო ტყიდან, თუ არ გაიგებდა, რა მოუვიდა რიტას მამას.

ყაჩაღი იმ ადგილისაკენ წავიდა, სადაც მოხუცი დატოვა.

მოხუცს თავი ჩამოეხრჩო იმ ტოტზე, რომელიც მისი შვილის საფლავს ჩრდილავდა.

მამის ცხედართან და ქალიშვილის საფლავზე კარლინიმ დაიფიცა, რომ ორივესთვის შურს იძიებდა.

მაგრამ მან ვერ შეასრულა თავისი ფიცი, ის მოკლეს კარაბინერებთან შეტაკების დროს.

ყველა განცვიფრებული იყო: იგი მოწინააღმდეგის პირდაპირ იდგა, ტყვია კი ბეჭებში მოხვედროდა.

მაგრამ განცვიფრებას ბოლო მოეღო, როდესაც ერთ-ერთმა ყაჩაღმა გაიხსენა, რომ როცა კარლინი მიწაზე მკვდარი დაეცა, კუკუმეტო მის უკან ათი ნაბიჯის მოშორებით იდგაო.

იმ დილით, როცა ყაჩაღთა რაზმი ფროზინონეს ტყეს ტოვებდა, კუკუმეტომ სიბნელეში გასდია კარლინის, გაიგონა მისი ფიცი და, როგორც წინდახედულმა კაცმა, დაასწრო.

ამ საშინელ მეთაურზე კიდევ ბევრს, ამაზე არანაკლებ საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ.

ამიტომ ფონდიდან პერუჯიმდე ყველას კუკუმეტოს სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა.

ტერეზას კუკუმეტოს ამბების გაგონებაზე ცახცახი აუვარდებოდა ხოლმე, ვამპა კი ამშვიდებდა, თან ხელს დაჰკრავდა თავის კარგ თოფს, რომელიც ასე ზუსტად ახვედრებდა ტყვიას მიზანში. თუ ქალიშვილი არ დამშვიდდებოდა, მაშინ ის მას დაანახვებდა მათგან ასი ნაბიჯის მოშორებით გამხმარ ტოტზე ჩამომჯდარ ყვავს, მიზანში ამოიღებდა, ჩახმახს გამოჰკრავდა და ფრინველი ხის ძირას უსულოდ ეცემოდა.

ამასობაში დრო გარბოდა. ქალმა და ვაჟმა გადაწყვეტილება მიიღეს, ექორწინათ, როცა ლუიჯის ოცი წელი შეუსრულდებოდა, ხოლო ტერეზას — ცხრამეტი.

ორივენი ობლები იყვნენ, ნებართვა მხოლოდ თავიანთი ბატონებისაგან უნდა მიეღოთ. ახალგაზრდებმა თხოვნით მიმართეს მათ და თანხმობაც მიიღეს.

ერთხელ, როდესაც ისინი მომავალზე ოცნებობდნენ, სროლის ხმა შემოესმათ. უცებ ტყიდან, რომლის მახლობლადაც ისინი ჩვეულებრივად თავიანთ ცხვრებს ამოვებდნენ, კაცი გამოვარდა და მათკენ გამოიქცა.

როდესაც იქამდე მიიღბინა, რომ ხმას მიაწვდნედა, შესძახა:

— მომდევნ, შეგიძლიათ დამმალლოთ?

ქალ-ვაჟი მაშინვე მიხვდა, რომ ეს კაცი ყაჩაღი იყო, მაგრამ რომაელ გლეხებსა და რომაელ ყაჩაღებს შორის არსებობს თანდაყოლილი სიმპათა, პირველი ყოველთვის მზად არის, სამსახური გაუწიოს მეორეს.

ვამპამ ხმისამოუღებელივ მიიღბინა ლოდთან, რომელიც მათი მღვიმის შესავალს ხურავდა, გადმოაგორა და დევნილს ყველასათვის უცნობ თავშესაფარზე მიუთითა. როდესაც უცნობი შიგ შევიდა, ვამპამ ლოდი ისევ მიაღო და ტერეზას გვერდით ჩამოჯდა.

თითქმის იმ წუთშივე ტყის პირას გამოჩნდა ოთხი ცხენოსანი კარაბინერი. სამი, როგორც ჩანდა, გაქცეულს ეძებდა, ხოლო მეოთხე შეპყრობილ ყაჩაღს კისრით მოათრევდა.

კარაბინერებმა სწრაფად მოავლეს თვალი მიდამოს, ქალ-ვაჟის დანახვაზე ცხენები მათკენ გამოაჭენეს და გამოკითხვა დაუწყეს.

მათ უპასუხეს, არავინ გვინახავსო.

— ძალიან საწყენია, — უთხრა უფროსმა: — ის, ვისაც ჩვენ ვეძებთ, მეთაურია.

— კუკუმეტო? — უნებურად წამოიყვირეს ტერეზამ და ლუიჯიმ.

— დიახ, სწორედ ის, — უპასუხა უფროსმა, — და რადგან მისი თავი ათას რომაულ სკუდოდ არის შეფასებული, თქვენ რომ მის ძებნაში მოგვცხმარებოდეთ, იქიდან ხუთასი თქვენ დაგრჩებოდათ.

ქალმა და ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს. კარაბინერს გულში იმედმა გაუელვა. ხუთასი რომაული სკუდო სამი ათას ფრანკს შეადგენს, ხოლო სამი ათასი ფრანკი მთელი სიმდიდრეა ორი საწყალი ობოლისათვის, რომლებიც ჯვრის დასაწერად ემზადებიან.

— დიახ, სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ იგი არ გვინახავს, — თქვა ვამპამ.

კარაბინერებმა ცხენები სხვადასხვა მიმართულებით გააქროლეს, მაგრამ ვერავინ ვერ ნახეს.

შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით მიიმალნენ. ვამპამ ლოდი გასწია. კუკუმეტო თავშესაფრიდან გამოვიდა.

ყაჩაღთა მეთაური გრანიტის კარის ნაპრალიდან ხედავდა კარაბინერებთან მოსაუბრე ქალ-ვაჟს, ის მიხვდა, რაზე ლაპარაკობდნენ. ლუიჯის და ტერეზას სახეზე ამოიკითხა მტკიცე გადაწყვეტილება, არავითარ შემთხვევაში არ გაეცათ იგი. კუკუმეტომ ჯიბიდან ოქროთი სავსე ქისა ამოიღო და ახალგაზრდებს გაუწოდა.

ვამპამ თავი ამაყად ასწია, ტერეზას კი თვალები აენტო, როცა გაიფიქრა, რამდენი ძვირფასი ნივთისა და ტანისამოსის ყიდვა შეეძლოთ ამ ფულით.

კუკუმეტო ნამდვილი სატანა იყო, გველი, რომელსაც ყაჩაღის სახე მიეღო. მას არ გამოჰპარვია ტერეზას გამოხედვა, ქალიშვილში შეიცნო ევას ღირსეული შვილი და სანამ ტყეში მიიმალებოდა, რამდენჯერმე მოიხედა, თითქოს იმისათვის, რომ თავის გადამრჩენელთ გამოსთხოვებოდა.

რამდენიმე დღემ ისე გაიარა, რომ კუკუმეტო აღარსად გამოჩენილა, მის შესახებ არაფერი ისმოდა.

ახლოვდებოდა კარნავალის დრო. გრაფმა სან-ფელიჩემ გადაწყვიტა, მასკარადი გაემართა, რომელზედაც უნდა მოეწვია რომის უბრწყინვალესი საზოგადოება.

ტერეზას დიდი სურვილი ჰქონდა, მასკარადი ენახა. ლუიჯიმ თავის მფარველ მოურავს სთხოვა, უფლება მოგვეცი, მე და ტერეზა მოსამსახურეთა ჯგუფში გავერიოთ და ზეიმს დავესწროთო.

გრაფს ამ მეჯლისით უნდოდა ესამოვნებინა თავისი ერთადერთი ქალიშვილისათვის, კარმელასათვის, რომელიც გაღმერთებული ჰყავდა.

კარმელა წლოვანებითა და სიმაღლით ზუსტად ტერეზას ტოლი იყო. სილამაზითაც ტერეზა გრაფის ქალიშვილს არ ჩამოუვარდებოდა.

მეჯლისის საღამოს ტერეზა თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყო. თმაში ყველაზე უფრო ძვირფასი ქინძისთავეები დაიბნია და ყელზე ყველაზე ბრჭყვიალა მძივები ჩამოიკიდა. იგი ფრასკატელი გლეხი ქალის კოსტიუმში იყო.

ლუიჯის რომაელი გლეხის წარმტაცი სადღესასწაულო ტანისამოსი ეცვა.

ორივენი, როგორც ნება დართეს, მოსამსახურეებისა და გლეხების ჯგუფს შეერივნენ.

გრაფმა ბრწყინვალე მეჯლისი გადაიხადა. განათებული იყო არა მარტო გრაფის ვილა, არამედ პარკის ყველა ხეზე ეკიდა სხვადასხვა ფერის ფარნები. ამიტომ ძალიან მალე ხალხი სასახლიდან ტერასებზე ნიაღვარივით გადმოვიდა, ხოლო შემდეგ ტერასებიდან პარკის ხეივნისაკენ გადაინაცვლა.

ყოველ გზაჯვარედინზე ორკესტრი უკრავდა. მაგიდები ტკბილეულითა და სასმელებით იყო სავსე. მოსეირნეები ჩერდებოდნენ, დაუკრავდნენ კადრილს და ცეკვას იწყებდნენ იქ, სადაც მოესურვებოდათ.

კარმელას ეცვა სონინოელი გლეხი ქალის ტანისამოსი. მისი თავსაბური მარგალიტებით იყო მოოჭვილი, ოქროს ქინძისთავეებზე ბრწყინავდა ალმასის თავეები, წელზე ერტყა თურქული აბრეშუმი, რომელზედაც დიდი ვარდები იყო ამოქარგული. მისი ქვედაკაბა და ზედატანი ქიშმირისა იყო, წინსაფარი — ინდური მუსლინისა, კორსაჟზე კი ღილების მაგივრობას ძვირფასი თვლები უწევდა.

კარმელას ორი ამხანაგიდან ერთს ნეტუნოელი გლეხი ქალის ტანისამოსი ეცვა, მეორეს — რიჩიელის.

მათ ახლდა ოთხი ახალგაზრდა ვაჟი, რომის ყველაზე მდიდარი და წარჩინებული ოჯახიშვილები. ყმაწვილი კაცები ისე თავისუფლად იქცეოდნენ, რომლის მსგავსად არც ერთ ქვეყანაში არ იქცევიან; ისინიც ალბანის, ველეტრის, ჩივიტა კასტელანის და სორას გლეხის ტანისამოსებში იყვნენ გამოწყობილნი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ როგორც ამ გლეხკაცების, ისევე ამ გლეხი ქალების ტანისამოსზე ოქროები და ძვირფასი თვლები ელვარებდნენ.

კარმელას მოესურვა ერთნაირი კოსტიუმებისაგან კადრილი შეეკრა, მაგრამ ერთი ქალი აკლდებოდა.

გრაფის ასულმა სტუმრებს თვალი გადაავლო, არც ერთს არ ეცვა მისი და მისი ამხანაგების მსგავსი კოსტიუმი.

გრაფმა სან-ფელიჩემ მას მიუთითა გლეხებში ჩამდგარ ტერეზაზე, რომელიც ლუიჯის მკლავზე იყო დაყრდნობილი.

— მამაჩემო, თქვენ უფლებას მომცემთ? — ჰკითხა კარმელამ.

— რასაკვირველია, — უპასუხა გრაფმა, — განა კარნავალზე არ ვიმყოფებით?

კარმელა ვაჟს მიუბრუნდა, რომელიც მას ლაპარაკით მიჰყვებოდა და რამდენიმე სიტყვა უთხრა, თან ხელით ტერეზა ანიშნა. ყმაწვილმა კაცმა თვალი გააყოლა ლამაზ ხელს, მორჩილების ნიშნად თავი დახარა და წავიდა, რათა გლეხის გოგო გრაფის ასულის მიერ შეკრულ კადრილზე მიეწვია.

ტერეზამ იგრძნო, რომ სახეზე აღმური აუვიდა. მან კითხვით შეხედა ლუიჯის, უარის თქმა არ შეიძლებოდა. ლუიჯიმ ქალიშვილს ხელი ნელა გაუშვა. აცახცახებული ტერეზა მოხდენილ კავალერს გაჰყვა და არისტოკრატების კადრილში თავისი ადგილი დაიკავა.

მხატვრის თვალს ტერეზას ზუსტი და ბუნებრივი კოსტიუმი უფრო მოეწონებოდა, ვიდრე კარმელასა და მისი მეგობრების კაბები; მაგრამ ტერეზა თავქარიანი და დიდების მოყვარე ქალი იყო; მას თვალები დაუბნელა ამოქარგულმა ინდურმა მარმამმა, თურქული

არშეებით შემკულმა სარტყელმა, ძვირფასმა ქიშმირმა, ხოლო ალმასებისა და საფირონების ბრწყინვალეობამ სიგიჟემდე მიიყვანა.

ლუიჯიმ იგრძნო, რომ მასში დაიბადა აქამდე უცნობი გრძნობა. ეს იყო რაღაც ყრუ ტკივილი, რომელიც გულიდან დაიწყო, შემდეგ ძარღვებში გადავიდა და ბოლოს მთელ სხეულს მოედო. მას მხედველობიდან არ გამოჰპარვია ტერეზასა და მისი კავალერის სულ უმცირესი მოძრაობაც: როდესაც ისინი ერთმანეთს ხელებს ჰკიდებდნენ, მას თავბრუ ესხმოდა, ძარღვებში სისხლი უჩქეფდა, ხოლო ყურებში რაღაცას ისეთი ზუზუნით გაჰქონდა, თითქოს ზარებს რეკენო. როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ, როცა ტერეზა დარცხვენითა და თვალებდახრილი ისმენდა თავისი კავალერის საუბარს, ლუიჯი ამ ლამაზი ყმაწვილის ანთებულ თვალებში კითხულობდა, რომ ეს საუბარი ტერეზას ხოტბა იყო. მაშინ ასე ეგონა, ფეხქვეშ მიწა მეცლებო და ჯოჯობეთის ყველა ხმა სიკვდილსა და მკვლელობაზე ჩამჩურჩულებენო. ლუიჯის ეშინოდა, არ ავეყვამ ამ გიჟურ აზრებსო და ცალი ხელით მის წინ აღმართულ ტალავერს ეჭიდებოდა, ხოლო მეორეს ნერვიულად უჭერდა ქამარში გაყრილი ხანჯლის მოჩუქურთმებულ ტარს, რომელსაც თავისდა შეუმჩნეველად ზოგჯერ თითქმის ამოადრობდა ხოლმე კიდეც ქარქაშიდან.

ლუიჯი ეჭვიანობდა. გრძნობდა, რომ შესაძლებელი იყო ხელიდან გამოსცლოდა დიდების მოყვარე და ამაყი ტერეზა.

ამასობაში ტერეზა, რომელიც პირველად დარცხვენით და თითქმის შემინებულიც იყო, დაშოშმინდა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იგი ლამაზი გოგო იყო; მაგრამ ეს ცოტაა: ტერეზას ჰქონდა ის ველური სიკვებლუცე, რომელიც ათასჯერ უფრო მომხიბვლელია, ვიდრე ჩვენი პრანჭვა-გრეხა და ხელოვნური კვებლუცობა.

ტერეზა კადრილის დედოფალი გახდა. და თუ მას შურდა გრაფ სან-ფელიჩეს ასულის მდგომარეობა, ჩვენ ვერ გავხედავთ იმის მტკიცებას, რომ იგი კარმელაში ეჭვიანობის გრძნობას არ ბადებდა.

როდესაც კადრილი დამთავრდა, მოხდენილმა კავალერმა ქალიშვილს ხოტბა შეასხა და თავის ძველ ადგილზე მიიყვანა, სადაც მას ლუიჯი ელოდა.

ცეკვის დროს ტერეზამ რამდენჯერმე გადახედა ლუიჯის და დაინახა მისი ფერმკრთალი და მოღუშული სახე. ერთხელ მის თვალწინ ბოროტ ელვასავით ხანჯლის პირმაც კი გაიელვა.

ტერეზამ თითქმის ძრწოლვით გაუყარა მკლავი თავის შეყვარებულს.

კადრილს დიდი წარმატება ხვდა წილად, სტუმრებმა მისი ხელახლა განმეორება მოითხოვეს. მხოლოდ კარმელა ამბობდა უარს; მაგრამ გრაფმა სან-ფელიჩემ ისეთი სინაზით სთხოვა მას, რომ ბოლოს და ბოლოს ისიც დათანხმდა.

ერთი ყმაწვილთაგანი იმ წუთშივე გაიქცა ტერეზას მოსაწვევად, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო კადრილის ჩატარება; მაგრამ ქალიშვილი უკვე გამქრალიყო.

ლუიჯი გრძნობდა, რომ მეორე გამოცდას ვეღარ გაუძლებდა, ამიტომ ზოგი დარწმუნებით, ზოგი ძალის დატანებით ტერეზა ბალის მეორე მხარეს გაიყვანა. ქალიშვილი თავისდა უნებურად დაჰყვა. ლუიჯის აღელვებული სახის დანახვამ, მისმა სიჩუმემ და ნერვიულმა შეკრთომამ ტერეზა მიახვედრა რომ ვაჟში რაღაცა ხდებოდა. თვითონ ტერეზაც როდი იყო დამშვიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი არაფერი ჩაედინა, ხვდებოდა, რომ ლუიჯის უფლება ჰქონდა მისთვის საყვედური ეთქვა; რისთვის? მან ეს არ იცოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გრძნობდა, რომ ამ საყვედურს იმსახურებდა.

ტერეზა გაკვირვებული იყო, რომ ლუიჯი მთელი საღამოს განმავლობაში ჩუმად იყო და მის ბაგეებს ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მხოლოდ როდესაც ღამის სიგრილემ

სტუმრები ზეიმის გასაგრძელებლად ბალიდან ოთახებში შერეკა, ლუიჯიმ ტერეზა შინ მიაცილა და გამომშვიდობებისას გამოელაპარაკა.

— ტერეზა, — უთხრა მან, — რას ფიქრობდი, როცა გრაფის ქალიშვილის პირისპირ ცეკვავდი?

— მე ვფიქრობდი, ჩემი სიცოცხლის ნახევარს მივცემდი, ოღონდ ისე მეცვას, როგორც კარმელას აცვია-მეთქი, — უპასუხა ტერეზამ გულახდილად.

— შენი კავალერი რაღას გეუბნებოდა?

— ის მეუბნებოდა, ასეთი ტანისამოსი თუ გინდათ, ეს თქვენზეა დამოკიდებული, და ამისათვის საკმარისია მხოლოდ თქვენი ერთი სიტყვაო.

— მას სიმართლე უთქვამს, — უთხრა ლუიჯიმ, — მაშ, შენ ძალიან გინდა ისეთი ტანისამოსი გქონდეს?

— დიახ.

— შენ მას მიიღებ!

ქალიშვილმა თავი მაღლა ასწია და მის გამოხედვაში კითხვა გამოიხატა, მაგრამ ვაჟს ისეთი პირქუში და საშინელი სახე ჰქონდა, რომ სათქმელი სიტყვა ტუჩებზე შეეყინა.

ლუიჯი მაშინვე წავიდა.

ტერეზას მისთვის თვალი არ მოუშორებია, სანამ იგი ღამის სიბნელეში არ მიიმალა. შემდეგ ქალიშვილმა ამოიოხრა და ოთახში შევიდა.

იმ საღამოს დიდი უბედურება დატრიალდა: უეჭველია, მსახურების გაუფრთხილებლობის გამო, რომლებსაც დავიწყებოდათ ჩირაღდნების ჩაქრობა. სან-ფელიჩეს ვილაში ცეცხლი გაჩნდა, ალი მოედო სწორედ იმ ფლიგელს, სადაც მშვენიერი კარმელას ოთახი იყო მოთავსებული. კარმელას გამოედვიდა. ცეცხლის ალის დანახვაზე ლოგინიდან წამოხტა, ხალათი წამოისხა და კარს ეცა, მაგრამ დერეფანს, რომელშიც მას უნდა გაევიღო, უკვე ცეცხლი მოსდებოდა. მაშინ ის ოთახში შებრუნდა და ყვირილი მორთო — მიშველეთო. უცებ გამოიღო მისი ოთახის ფანჯარა, რომელიც მიწიდან ოცი ფუტის სიმაღლეზე იყო, ოთახში შემოვარდა ყმაწვილი გლეხი. ქალი აიტაცა და არაადამიანური ძალითა და სიმარჯვით კორდზე გადაიტანა; კარმელას გული წაუვიდა. როდესაც იგი გონს მოვიდა, გვერდით მამამისი ედგა. ირგვლივ მსახურები ირეოდნენ. ყველა ცდილობდა, მისთვის რითიმე ეშველა. მთელი ფლიგელი გადაიწვა, მაგრამ ამაზე ვინ ფიქრობდა, რაკი კარმელა ცოცხალი და უვნებელი იყო.

კარმელას მხსნელს ყველგან ეძებდნენ, მაგრამ იგი არ გამოჩენილა. მის შესახებ ეკითხებოდნენ ყველას, მაგრამ მნახველი არავინ იყო. თვითონ კარმელა მაშინ ისეთი აღელვებული იყო, რომ თავისი მხსნელის სახე ხეირიანად არც კი დაუნახავს.

გრაფი ზღაპრული სიმდიდრის პატრონი იყო, და თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რა განსაცდელს გადარჩა, ცეცხლისგან მიყენებული ზარალი მას არაფრად მიაჩნდა. მით უმეტეს, რომ შვილის ამ სასწაულებრივ გადარჩენას იგი განგების ახალ წყალობად თვლიდა.

მეორე დღეს ტერეზა და ლუიჯი ტყის პირას ერთმანეთს ჩვეულებრივად დანიშნულ საათზე შეხვდნენ. ლუიჯი პირველი მოვიდა და ტერეზას მხიარულად მიესალმა, ასე გეგონებოდათ, წუხანდელი ამბავი აღარც კი ახსოვსო. ტერეზა ჩაფიქრებული იყო. მაგრამ როდესაც ლუიჯის განწყობილება დაინახა, ისიც გამხიარულდა. ასეთი იყო ეს ქალიშვილი საერთოდ, თუ მას რაიმე მგზნებარე სურვილი მოსვენებას არ ურღვევდა.

ლუიჯიმ მკლავი გაუყარა და მღვიმის კარებამდე მიიყვანა. ქალიშვილი მიხვდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა და შეყვარებულს ჩააშტერდა.

— ტერეზა, — უთხრა ვაჟმა, — წუხელის შენ მე მითხარი, რომ სულსაც კი არ დავიშურებ, ოღონდ გრაფის ასულისთანა ტანსაცმელი და მორთულობა მქონდესო.

— დიახ, — უპასუხა გაკვირვებულმა ტერეზამ, — მაგრამ ეს ქარაფშუტული სურვილი იყო.

— მე კი გიპასუხე: კარგი, შენ მას მიიღებ-მეთქი.

— დიახ, — განაგრძო ისევ ქალიშვილმა, რომელიც ლუიჯის ყოველ სიტყვაზე უფრო და უფრო ეძლეოდა განცვიფრებას, — მაგრამ შენ, ალბათ, ასე იმიტომ მიპასუხე, რომ ჩემთვის გესიამოვნებინა.

— მე ტყუილად არასოდეს არაფერს დაგპირებივარ, ტერეზა, — უთხრა ამაყად ვაჟმა, — შედი მღვიმეში და მოირთე.

ამ სიტყვებზე მან ლოდი გამოსწია და ტერეზა მღვიმეში შეახედა. მღვიმე განათებული იყო ორი სანთლით, რომლებიც დიდებული სარკის აქეთ-იქით ენთო: ლუიჯის მიერ გამოჩორკნილ მაგიდაზე მარგალიტების ყელსაბამი და ბრილიანტის ქინძისთავები ეწყო. იქვე გვერდით, სკამზე კი, მთელი დანარჩენი მორთულობა ელაგა.

ტერეზამ სიხარულისაგან შეკვივლა და მღვიმეში, რომელიც ახლა ტუალეტის ოთახის მაგივრობას უწევდა, ისე შეირბინა, არც კი ჰკითხა, საიდან გაჩნდა მთელი ეს მორთულობაო; არც მადლობა გადაუხდია.

ლუიჯიმ მღვიმეს მაშინვე ლოდი მიაღო, რადგან მაღალი ბორცვის თხემზე, რომელიც მას პალესტრინის ხედს უჩრდილავდა, შენიშნა მხედარი. იგი შეჩერდა, თითქოს გზას ეძებდა, ისე მკვეთრად იხატებოდა ცის ლაჟვარდზე, როგორც სამხრეთში შორეულ მანძილზე საგნები იხატებოდა ხოლმე.

ლუიჯის დანახვაზე მხედარმა ცხენი გამოაჭენა და ლუიჯის წინ შეაყენა.

ლუიჯი არ შემცდარა: პალესტრინიდან ტიროლში მიმავალ მხედარს გზა არეოდა.

ლუიჯიმ უჩვენა, საით უნდა წასულიყო, მაგრამ რადგან წინ გზა სამად იყოფოდა, მხედარი შეშინდა, ისევ არ შევცდეთ და მწყემსს სთხოვა, გამომყევით.

ლუიჯიმ წამოსასხამი მიწაზე დააგდო, კარაბინი მხარზე გადაიკიდა და მხედარს გაჰყვა მთიელის ნაბიჯით, რომელიც ცხენს მეტოქეობას უწევს სირბილში.

ნახევარი საათის შემდეგ ლუიჯიმ და მხედარმა გზაჯვარედინამდე მიაღწიეს.

აქ მწყემსმა ხელი მეფურად გაუწოდა და მხედარს იმ გზაზე მიუთითა, რომლითაც ის უნდა წასულიყო.

— აი, ს თქვენი გზა, — უთხრა მან, — თქვენი აღმატებულობა აღარ შეცდება.

— აი, შენი ჯილდოც, — უთხრა მხედარმა ახალგაზრდა მწყემსს და რამდენიმე წვრილი ფული გაუწოდა.

— მადლობელი ვარ, — უპასუხა ლუიჯიმ და ხელი უკან წაიღო, — მე შემძლია ადამიანს სამსახური გაუწიო, მაგრამ ამ სამსახურს არ ვყიდი.

— თუ შენ გასამრჯელოზე უარს ამბობ, — უთხრა მგზავრმა, რომელმაც, როგორც ჩანდა, იცოდა, რა განსხვავება იყო ქალაქის მცხოვრების პირმოთნეობასა და გლეხის სიამაყეს შორის, — იქნება საჩუქარი მიიღო?

— ეს სხვა საქმეა.

— მაშ, გამომართვი ორი ვენეციური ცეხინი, ამით შენს საცოლეს საყურეები უყიდე.

— თქვენ კი ეს ხანჯალი გამომართვით. ალბანოდან ჩივიტა-კასტელანამდე თქვენ ვერ იპოვით ისეთ ხანჯალს, რომ ამაზე უკეთესად მოჩუქურთმებული ტარი ჰქონდეს.

— თანახმა ვარ, — უთხრა მხედარმა, — მაგრამ ახლა მე შენი ვალი მედება: ეს ხანჯალი ხომ ორ ცეხინზე მეტი ღირს.

— ვაჭარს შეიძლება ასე შეეფასებინა; მაგრამ მე, რომელმაც თვითონ გავაკეთე იგი, ერთი პიასტრიც კი არ მიღირს.

— რა გქვია? — ჰკითხა მგზავრმა.

— ლუიჯი ვამპა, — უპასუხა მწყემსმა ისეთი იერით, თითქოს უთხრა: ალექსანდრე მაკედონელიო. — თქვენ რაღა გქვიათ?

— მე მქვია სინდბად მეზღვაური.

ფრანც დეპინეს განცვიფრების შემახილი აღმოხდა.

— სინდბად მეზღვაური? — გაიმეორა მან.

— დიახ, — უპასუხა ამბის მომყოლმა. — მან ასე უთხრა ვამპას.

— მერედა რა მოხდა! რას უწუნებთ ამ სახელს? — ჩაერია მათ საუბარში ალბერი, — ძალიან ლამაზი სახელია, და უნდა გამოვტყდე, რომ ნამდვილი სინდბადის თავგადასავალი ერთ დროს მე ძალიან მიზიდავდა.

ფრანცს აღარაფერი უთქვამს. სინდბად მეზღვაურის სახელმა, მკითხველიც კარგად მიხვდება, მასში მთელი რიგი მოგონებები გააღვიძა.

— განაგრძეთ, — უთხრა მან სასტუმროს პატრონს.

— ვამპამ ორი ცეხინი ჯიბეში დაუდევრად ჩაიდო და უკან გამობრუნდა. როდესაც მღვიმედან სამასი ნაბიჯის მანძილზე იყო, მას ყვირილი შემოესმა.

ვამპა შეჩერდა. ყური დაუგდო, საიდან მოდიოდა ეს ხმა.

ერთი წამის შემდეგ მან გარკვევით გაიგონა თავისი სახელი.

ყვირილის ხმა მღვიმედან მოდიოდა.

ვამპა ქურციკვით გაიქცა, გზადაგზა თოფს ტენიდა. ერთ წამში იგი გაჩნდა გორაკის თავზე, რომელიც იმის პირდაპირ იყო ამართული, სადაც წინათ მხედარი შენიშნა.

— აქ ყვირილი — «მიშველეო», უფრო გარკვევით ისმოდა.

ვამპამ ქვევით ჩაიხედა; ვიღაცა კაცს ტერეზა გაეტაცა, ისევე როგორც კენტავრმა ნესუსმა¹ (¹ ნესუსი — კენტავრი, რომელმაც ჰერკულესის ცოლი დეიანირა მოიტაცა, მაგრამ დაჭრილ იქნა ჰერკულესის ისრით, რომელიც ჰიდრის სისხლით იყო მოწამლული (მით.)) დეიანირა გაიტაცა.

მომტაცებელი ტყისკენ გარბოდა; მღვიმედან ტყისკენ მიმავალი გზის მესამედი უკვე გავლილი ჰქონდა.

ვამპამ თვალთ გაზომა სივრცე; ის კაცი მასზე, სულ ნაკლები, ორასი ნაბიჯით წინ იყო.

ვამპა მიხვდა, რომ სანამ დაეწეოდა, იგი უკვე ტყეში მიიმალეობდა.

ახალგაზრდა მწყემსი შეჩერდა, თითქოს მისმა ფეხებმა მიწაში ფესვები გაიდგეს, თოფი მხრიდან გადმოიღო, ლულა ნელა გაასწორა, მტაცებელს დაუმიზნა და ჩახმახი გამოსწია.

მტაცებელი უცებ შეჩერდა. მუხლები მოეკეცა და ტერეზასთან ერთად დაეცა.

ტერეზა მაშინვე წამოდგა; მტაცებელი კი ისევ მიწაზე იწვა და სასიკვდილოდ ფართხალეზდა.

მაგრამ ტერეზა მომაკვდავისაგან ათი ნაბიჯით არც კი იყო დაშორებული, რომ მუხლებმა უმტყუნეს, ვამპა იქით გაიქცა. საშინელმა ფიქრმა გაურბინა — იქნებ მტრის გამგმირავმა ტყვიამ ჩემი საცოლე დაჭრაო.

საბედნიეროდ, ეს ასე არ მომხდარა; ტერეზას მხოლოდ შიშმა წაართვა ძალა. როდესაც ვამპა დარწმუნდა, ქალიშვილი უვნებელი იყო, დაჭრილთან მივიდა.

ეს უკანასკნელი უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა: მუშტები მოეკუმა, პირი ტკივილისაგან მოღრეცოდა, თმა სიკვდილის წინ ოფლს დაესველებინა და აბურძგნოდა.

ვამპამ მოკლულში კუკუმეტო შეიგნო.

იმ დღიდან, როცა ყაჩაღი ქალ-ვაჟმა გადაარჩინა, მას შეუყვარდა ტერეზა და დაიფიცა, რომ ქალიშვილი მისი იქნებოდა. ამის შემდეგ მუდამ უთვალთვალეზდა ქალს, და აი, ისარგებლა იმით, რომ შეყვარებულმა ქალიშვილი მარტო დატოვა, რათა მგზავრისათვის

გზა ესწავლებინა, და გაიტაცა. ტერეზა უკვე თავის საკუთრებად მიაჩნდა, რომ უცებ ვამპას მარჯვე ხელით გასროლილმა ტყვიამ გული გაუპო.

ვამპა მოკლულს დასცქეროდა; სახეზე არც ერთი ნაკვთი არ შესტოკებია. ჯერ ისევ აცახცახებული ტერეზა კი ვერ ბედავდა გვამთან მისვლას და თავისი შეყვარებულის მხრის ზემოდან დასცქეროდა.

ვამპა ქალიშვილს მიუბრუნდა.

— ოჰო, — თქვა მან, — ძალიან კარგი. შენ უკვე ჩაცმული ხარ, ახლა ჩემი ჯერია.

ტერეზა მართლაც თავიდან ფეხებამდე გრაფ დე სან-ფელიჩეს ასულის ტანისამოსში იყო გამოწყობილი.

ვამპამ კუკუმეტოს გვამი აიღო და მღვიმეში შეიტანა, ტერეზა კი გარეთ დარჩა.

იმ წუთებში რომ მგზავრს ისევ გამოევილო, მისი თვალები უცნაური სანახაობის მოწმენი გახდებოდნენ: ის დაინახავდა მწყემს გოგონას, რომელიც თავის ცხვრებს ქიშმირის კაბაში გამოწყობილი აძოვებდა. ყურებზე საყურეები ეკიდა, ყელზე მარგალიტების ყელსაბამი, თმაში ალმასის ქინძისთავეები გაერჭო, ხოლო კორსაჟზე ღილებად ლალები ეკერა.

ის, უეჭველია, იფიქრებდა, ფლორიანის¹ (¹ ფლორიანი — ფრანგი მწერალი, შესანიშნავი იგავ-არაკების ავტორი, წერდა აგრეთვე ნოველებსა და პიესებს (1755—1794).) ეპოქაში ვარო და პარიზში დაბრუნებისას ხალხის დარწმუნებას დაიწყებდა, საბინის მთების ძირში ალპელი მწყემსი ქალი ვნახეო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ვამპა მღვიმიდან გამოვიდა. ის ტერეზაზე ნაკლებად წარმტაცად როდი იყო ჩაცმული.

ტანზე ეცვა ბროწეულისფერი ხავერდის ქურთუკი, რომელზედაც ოქროს ღილები იყო ჩამწკრივებული, მოქარგული აბრეშუმის ჟილეტი, ყელზე შემოხვეული ჰქონდა რომაული ყელსახვევი, წელზე ერტყა ოქრომკედით ამოქარგული მწვანე, წითელ-შერეული აბრეშუმის სარტყელი მისი მოკლე, ცისფერი ხავერდის შარვალი მუხლებთან ბრილიანტის ბალთებით იკვრებოდა, ნატის საცვეთები ათასი არაბესკით იყო აჭრელებული, ხოლო ქუდზე ყველა ფერის ბაფთები უფრიალებდა. სარტყელზე ზემოდან ორი საათი ეკიდა, ხოლო შიგნით არაჩვეულებრივი ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი.

ტერეზამ აღფრთოვანებისაგან შეჰკვივლა. ამ ტანისამოსში გამოწყობილი ვამპა ლეოპოლდ რობერის ან შნეცის სურათს ჰგავდა.

ვამპა თავით ფეხებამდე კუკუმეტოს ტანისამოსში იყო გამოწყობილი.

ყმაწვილმა კაცმა შენიშნა, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავის საცოლზე და ტუჩებზე ამაყმა ღიმილმა გადაურბინა.

— მზადა ხარ თუ არა ახლა, — ჰკითხა მან ტერეზას, — გაიზიარო ჩემი ხვედრი, როგორიც უნდა იყოს იგი?

— ოჰ, დიახ! — შეჰყვირა ქალიშვილმა აღტაცებით.

— ყველგან გამომყვები?

— ქვეყნის დასალიერამდეც!

— მაშ, ჩამკიდე ხელი და წავიდეთ; დაყოვნება აღარ შეიძლება.

ქალიშვილმა მკლავი გაუყარა, ისე რომ არც კი უკითხავს, სად მიგყავარო. ამ წუთში მის თვალში იგი ლამაზი, ამაყი და ღმერთივით ყოვლისშემძლე იყო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ვამპა ყველა ბილიკს იცნობდა მთებში. ისინი სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ გაკვალული ბილიკი არ იყო, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულან. ვამპა გზას ხეებითა და ბუჩქებით ცნობდა, ამგვარად საათ-ნახევარი იარეს.

ისინი უკვე უღრან ტყეში იყვნენ. ნიაღვრის ამომშრალი კალაპოტი ბნელ ხევში გადიოდა. ვამპა დაადგა ორ ნაპირს შორის გაჭრილ და ნაძვის ხშირი ტოტებით ჩაბნელებულ უვალ გზას; ეს დადმართი რომ ადვილი სავალი არ ყოფილიყო, კაცს ავერნის ბილიკი ეგონებოდა, რომელზედაც ვერგილიუსი¹ (¹ ვერგილიუსი — დიდი რომაელი პოეტი, «ენეიდის», «გეორგიკების» და «ბუკოლიკების» ავტორი (70—19 ქრ. წ.)) ლაპარაკობს.

ამ უდაბური და ველური ადგილით კვლავ შემკრთალი ტერეზა თავის თანამგზავრს ეკვროდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ რაკი დაინახა, ვაჟი ზომიერი ნაბიჯით მიდიოდა და სახეც დამშვიდებული ჰქონდა, თავის თავში იმდენი ძალა ჰპოვა, რომ შიში განედევნა.

უცებ მათგან ათი ნაბიჯის დაშორებით ვიღაც კაცი გამოხტა და ვამპას თოფი დაუმიზნა. იგი, როგორც ჩანდა, ხეს იყო ამოფარებული.

— წინ არც ერთი ნაბიჯი აღარ გადმოდგათ, თორემ სიცოცხლეს გამოეთხოვებით, — უბრძანა მან ვამპას.

— ერთი შენც, — უთხრა ვამპამ და აგდებულად ჩაიქნია ხელი, ტერეზა კი თავის შიშს უკვე ვეღარ მალავდა და სატრფოს ეკვროდა, — განა მგელი მგლის ტყავს დახევს?

— ვინ ხარ? — ჰკითხა გუშაგმა.

— მე ვარ ლუიჯი ვამპა, მწყემსი სან-ფელიჩეს ფერმიდან.

— რა გინდა?

— მე მინდა მოველაპარაკო შენს ამხანაგებს, რომელნიც როკა-ბიანკის ველზე იმყოფებიან.

— მაშ უკან მომყევი, — უთხრა გუშაგმა, — ან არადა, რაკი გზა იცი, წინ იარე.

ვამპას ყაჩაღის სიფრთხილის გამო სახეზე ზიზღი გამოეხატა. ტერეზასთან ერთად წინ წავიდა და გზა ისეთივე სიმშვიდითა და სიმტკიცით განაგრძო, როგორც აქამდე მიდიოდა.

ხუთი წუთის შემდეგ ყაჩაღმა ნიშანი მისცა, შეჩერდითო. ქალ-ვაჟი დაემორჩილა. ყაჩაღმა სამჯერ ყვავივით დაიჩხავლა; ასეთივე ჩხავილით გამოეპასუხნენ.

— მაშ ასე, ახლა შეგიძლიათ გზა განაგრძოთ, — თქვა ყაჩაღმა.

ლუიჯი და ტერეზა გზას გაუდგნენ.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, ტერეზა უფრო და უფრო ეკვროდა თავის შეყვარებულს. მართლაც, ხეებს შორის გამოჩნდა თოფის ლულეები.

როკა-ბიანკის ველი იმყოფებოდა პატარა მთის თხემზე, რომელიც, ალბათ, ოდესღაც ვულკანი იყო და უფრო ადრე ჩაქრა, ვიდრე რომულმა და რემმა¹ (¹ რომული და რემი — ლეგენდარული ძმები, რომელთაც რომი ააშენეს. ლეგენდის მიხედვით, რომული ამ ქალაქის პირველი მეფე იყო.) ალბა მიატოვეს და რომი ააშენეს.

— ეს ყმაწვილი კაცი თქვენ გეძებდათ. თქვენთან ლაპარაკი სურს, — თქვა გუშაგმა.

— აბა, რისი თქმა უნდა? — ჰკითხა ერთ-ერთმა ყაჩაღმა, რომელიც მეთაურს ცვლიდა მისი არყოფნის დროს.

— მე ის მინდა გითხრათ, რომ მწყემსობა მომწყინდა, — უთხრა ვამპამ.

— ოჰ, მესმის, — უთხრა მეთაურის მოადგილემ, — და შენ იმისთვის მოხვედი, რომ ჩვენს რაზმში მიგიღოთ?

— კეთილი იყოს მისი მობრძანება! — დაიძახეს ფერუზინოელმა, პამპინარელმა და ანანიელმა ყაჩაღებმა, რომლებმაც ლუიჯი იცნეს.

— დიახ. მაგრამ მე მარტო თქვენი ამხანაგობა როდი მინდა.

— მაშ, აბა რას გვთხოვ? — ჰკითხეს გაკვირვებულმა ყაჩაღებმა.

— მე მინდა, თქვენი მეთაური გავხდე, — უპასუხა ლუიჯი ვამპამ.

ყაჩაღებმა გადაიხარხარეს.

— კი მაგრამ, რა გააკეთე ისეთი, რომ ეს პატივი დაიმსახურო? — ჰკითხა მეთაურის მოადგილემ.

— მე მოვკალი თქვენი მეთაური კუკუმეტო: შემომხედეთ, მისი ტანისამოსი მე მაცვია; გარდა ამისა, ცეცხლი წავუკიდე სან-ფელიჩეს ვილას, რათა ჩემი საცოლესათვის საქორწინო კაბა მიმერთმია.

ერთი საათის შემდეგ ლუიჯი ვამპა კუკუმეტოს მაგიერ მეთაურად იქნა არჩეული.

— ძვირფასო ალბერ, — მიუბრუნდა ფრანცი თავის მეგობარს, — ახლა როგორი შეხედულებისა ხართ ბატონ ლუიჯი ვამპაზე.

— მე ვამბობ, რომ ის მითია, — უპასუხა ალბერმა, — ის არასოდეს არსებულა.

— მითი რაღაა? — იკითხა პასტრინიმ.

— ამის ახსნას დიდი დრო უნდა, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, — უპასუხა ფრანცმა: — მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ბატონი ვამპა რომის მიდამოებში დათარეშობს და ისიც ისეთი თავხედობით, რომელიც ჯერ არც ერთ ყაჩაღს არ გამოუჩენია.

— პოლიცია ამაოდ ცდილობს მის დაჭერას.

— რას გააწყობ! ის ბარში მწყემსებთანაც არის შეთანხმებული, ტიბრის მეთევზეებთანაც და სანაპიროს კონტრაბანდისტებთანაც. მთებში ეძებენ, მდინარეზეა; მდინარეზე დასდევენ, გაშლილ ზღვაში აღმოჩნდება, და უცებ, როცა ჰგონიათ, რომ კუნძულ ჯილიოზე, გვანუტრიზე ან მონტე-კრისტოზე გაიქცაო, ხელახლა ალბანოზე, ტივოლიში ან რიჩიაშია.

— როგორ ექცევა მოგზაურებს?

— ღმერთო ჩემო! ძალიან უბრალოდ. იმისდა მიხედვით, თუ როგორი მანძილია ქალაქამდე, ის აძლევს მათ რვა, თორმეტი ან ოცდაათი საათის ვადას. შემდეგ, როცა ეს დრო გავა, ერთ საათს კიდევ უწყალობებს. თუ ამ საათის მესამოცე წუთზე ფული არ მოიტანეს, ტყვეს შუბლში ტყვიას ახლის ან მკერდში ხანჯალს უყრის, ესაა და ეს.

— აბა, ალბერ, რას იტყვით, კიდევ აპირებთ კოლიზეისაკენ გარეთა ბულვარით გასეირნებას? — ჰკითხა ფრანცმა.

— რასაკვირველია, თუკი ის გზა უფრო წარმტაცია.

ამ დროს საათმა ცხრაჯერ დარეკა. კარი გაიღო და მეეტლე შემოვიდა.

— თქვენო აღმატებულებავ, ეტლი მზად არის.

— ძალიან კარგი, — თქვა ფრანცმა, — მაშ, აბა კოლიზეისაკენ!

— პოპოლოს კარიბჭით, თუ ქუჩებით, თქვენო აღმატებულებავ? — იკითხა მეეტლემ.

— ეშმაკმა დალაზვროს, ქუჩებით.

— ჩემო ძვირფასო, — უპასუხა ალბერმა, თან წამოდგა და სიგარას მოუკიდა, — უნდა გამოგიტყდეთ, რომ უფრო მამაცი მეგონეთ.

ამის შემდეგ ყმაწვილი კაცები კიბეს ჩაჰყვნენ და ეტლში ჩასხდნენ.

XIII

მოჩვენება

ფრანცმა მაინც იპოვა საშუალება, ისე მიეყვანა ალბერი კოლიზეიმდე, რომ ანტიკური ძეგლებისათვის გვერდი არ აეხვიათ და ამით არ დაეჩრდილათ კოლოსეოსის გიგანტური პროპორციებისაგან მიღებული შთაბეჭდილება. ამისათვის საჭირო იყო ევლოთ ვია-სისტინათი, პირდაპირი კუთხით სანტა-მარია-მაჯორესთან გაეხვიათ და ვია-ურბანა და სან-პიეტრო-ინ-ვინოლით ვია-დელ კოლოსეოს მისდგომოდნენ.

ამ გზას კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: ის ფრანცის ფიქრებს არ დააშორებდა მანეტრო პასტრინის ნაამბობს, რომელშიც ნახსენები იყო კუნძულ მონტე-კრისტოდან

მისი გულთბილი მასპინძელი. ფრანცი ეტლის კუთხეში მიჯდა, თავში ათასი კითხვა უტრიალებდა, მაგრამ ვერც ერთს დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ აძლევდა.

ამ ნაამბობში კიდევ ერთი გარემოება აგონებდა თავის მეგობარ სინდბად მეზღვაურს: ეს იყო საიდუმლო დამოკიდებულება ყაჩაღებსა და მეზღვაურებს შორის; როდესაც ბატონმა პასტრინიმ თქვა, ვამპა თავმესაფარს პოულობს სათევზაო ნავებსა და კონტრაბანდისტებთანო, ფრანცს მოაგონდა კორსიკელი ყაჩაღები, რომლებიც პატარა იახტის ეკიპაჟთან ერთად ვახშობდნენ. ფრანცს ისიც მოაგონდა, რომ იახტამ კურსი მხოლოდ იმიტომ შეცვალა, რომ ეს ორი ყაჩაღი პორტო-ფერაიოში გადმოესვა. სახელმა, რომლითაც მონტე-კრისტოს მასპინძელმა მას თავი გააცნო, და სასტუმროს პატრონის მიერ გამეორებულმა იმისმა სახელმა ფრანცი დაარწმუნა, რომ ეს კაცი პიომბინოს, ჩივიტა-ვეკიას, ოსტისა და გაეტის სანაპიროებზე ისეთივე ქველმოქმედის როლში გამოდიოდა, როგორადაც კორსიკის, ტოსკანისა და ესპანეთის სანაპიროებზე; ხოლო, რადგან თვითონ ის, როგორც ფრანცს გაახსენდა, ტუნისსა და პალერმოზე ლაპარაკობდა, ალბათ, საკმაოდ მრავალი ნაცნობი ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი კაცის გონება ძლიერ იყო შეპყრობილი ამ ფიქრებით, როდესაც მის წინაშე აღიმართა კოლიზიის პირქუში და გიგანტური სილუეტი, — რომლის ნაპრალებშიც მთვარე ისე ისროდა თავის გრძელსა და მკრთალ სხივებს, თითქოს მოჩვენების თვალებიდან წამოსული სხივებიაო, — ყველა ეს ფიქრი უეცრად გაქრა.

ეტლი Meta Sudans-დან¹ (¹ ანტიკური შადრევანის სახელია.) რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. მეეტლემ კარები გამოაღო. ყმაწვილი კაცები გადმოსვლისთანავე ჩიჩერონეს პირისპირ აღმოჩნდნენ, რომელიც თითქოს მიწიდან ამომძვრალიყო.

ალბერსა და ფრანცს სასტუმროდან უკვე მოჰყვებოდა ერთი ჩიჩერონე, ამრიგად, ახლა მათ ორი მეგზური ჰყავდათ.

უნდა ითქვას, რომ რომში ძნელი საქმეა თავიდან აიცილო გამოცდები; მთავარ ჩიჩერონეს გარდა, რომელიც სასტუმროს ზღურბლზე ფეხის შედგმისთანავე დაგეუფლებათ და იმ დღემდე არ მოგეშვებათ, სანამ ქალაქს არ დატოვებთ, არიან კიდევ განსაკუთრებული ჩიჩერონები, რომლებიც ყოველ ძეგლთან, უკეთ, ძეგლის ყოველ ნაწილში, არიან ჩასაფრებული. აი, ამით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, არის თუ არა ჩიჩერონების ნაკლებობა კოლიზიეში, ძეგლებს შორის შესანიშნავ ძეგლში, რომელმაც მარციალს² (² მარციალი — რომაელი პოეტი, რომელმაც თავის გონებამახვილ «ეპიგრამებში» თავისი დროის საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი ასახა.) ათქმევინა: «დაე, მემფისი ჩვენს წინაშე თავს ნუ იქებს თავისი პირამიდების ველური სასწაულით: დაე, ნუ უმდერებენ ბაბილონის საოცრებათ. ყველამ ქედი უნდა მოიხაროს ამ უზარმაზარი შენობის, ცეზარების ამფითეატრის წინაშე და ყველა სადიდებელი ხმა უნდა გაერთიანდეს ამ ძეგლისათვის ხოტბის შესასხმელად».

ფრანცი და ალბერი არც კი ცდილან თავიდან აეცილებინათ ჩიჩერონების ტირანია. ესეც არ იყოს, კოლიზიეში განათებული ჩირადნებით სიარულის უფლება მხოლოდ ჩიჩერონებს აქვთ. ამიტომ ყმაწვილ კაცებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და თავის მეგზურებს სავსებით დაჰყვნენ.

ფრანცისათვის ამ სეირნობაში არაფერი იყო ახალი, რადგან ერთი ათჯერ მაინც ყოფილა აქ. მაგრამ მისი ნაკლებად გამოცდილი მეგობარი პირველად ადგამდა ფეხს ფლავიუს ვესპასიანეს¹ (¹ ვესპასიანე — რომაელი იმპერატორი, ებრაელთა აჯანყების ჩამქრობი (43—104) და კოლიზიის ამშენებელი. მას ეკუთვნის ორი ცნობილი გამოთქმა: «იმპერატორი ფეხზე მდგომი უნდა მოკვდეს» და «ფულს სუნი არ უდის».) მიერ აღმართულ შენობაში. და მისდა საქებად უნდა ითქვას, რომ გამოცდების ბრიყვული

ყბედობის მიუხედავად, ამ მეგლმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მართლაც, ყოვლად შეუძლებელია, რაიმე წარმოდგენა გქონდეს ამ ანტიკური ნანგრევების სიდიადეზე, თუ შენი თვალით არ ნახე, მით უმეტეს ღამით, როდესაც ისინი უფრო გიგანტურები ჩანან სამხრეთის მთვარის შუქზე, მთვარისა, რომელიც მეტოქეობას უწევს დასავლეთის დაისს.

როდესაც ჩაფიქრებულმა ფრანცმა შიგნითა პორტიკებში ასიოდე ნაბიჯი გაიარა, ალბერი დაუთმო მეგზურებს, რომლებსაც არ უნდოდათ უარი ეთქვათ თავიანთ ხელშეუხებელ უფლებებზე, ეჩვენებინათ მათთვის დეტალურად ლომების ხაროები, გლადიატორთა სამყოფელი და ცეზართა პოდიუმი; ფრანცი ნახევრად ჩამონგრეულ კიბეს აპყვა და, სანამ დადგენილი მარშრუტით სეირნობდნენ, სვეტის ჩრდილში ჩამოჯდა. ამ სვეტის პირდაპირ იყო ნაპრალი, საიდანაც შეიძლებოდა გრანიტული გოლიათი დაგენახათ მთელი თავისი სიდიადით.

ფრანცმა თხუთმეტი წუთი დაჰყო სვეტის ჩრდილში და თვალი არ მოუშორებია ალბერისა და მისი მეჩირადნეებისათვის. ისინი უკვე გამოვიდნენ ვემიტორიიდან, რომელიც კოლიზეის მოპირდაპირე ბოლოში მდებარეობს, და ისე ეშვებოდნენ ვესტალი ქალებისათვის განკუთვნილ ადგილებზე, თითქოს მეჩირადნეს აჩრდილები მისდევდნენ. უცებ ფრანცს მოესმა, რომ კოლიზეის სიღრმეში, მისი კიბის მოპირდაპირე კიბეს ქვა მოსწყდა. დროთა მსვლელობით მოწყვეტილი ქვა, რასაკვირველია, იშვიათი მოვლენა როდია, მაგრამ ამჯერად ფრანცს მოეჩვენა, რომ ქვა ადამიანის ფეხმა გადმოაგდო, მას გაურკვეველი ფეხის ნაბიჯების ხმაც კი შემოესმა. უეჭველი იყო, კიბეზე ვიღაც ფეხაკრეფით ადიოდა.

მართლაც, ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა ადამიანის სილუეტი, რომელიც, რაც უფრო მალე ადიოდა კიბის საფეხურებზე, მით უფრო ნათლად ირჩეოდა ჩრდილიდან; კიბის ზედა საფეხურს მთვარის შუქი ანათებდა, მაშინ როდესაც ქვედა საფეხურები უფრო წყვდიადით იყო მოცული.

შესაძლებელი იყო, ეს კაცი მასავით მეზავრი ყოფილიყო, რომელიც ჩიჩერონეს ბრიყვულ ლაპარაკს განმარტოებულ ჭვრეტას არჩევდა და ამიტომ მის გამოჩენაში არაფერი იყო გასაკვირი. მაგრამ ისე გაუბედავად ავიდა კიბის უკანასკნელ საფეხურზე, შეჩერდა, ყური მიუგდო, რომ ცხადი იყო, მას მიზნად ჰქონდა ვიღაცას შეხვედროდა.

ფრანცი ინსტინქტურად სვეტს ამოეფარა.

ათი ფუტის სიმაღლეზე იმ ადგილიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, თალი გამონგრეული იყო ჭის პირის მსგავსად და იქიდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოჩანდა.

ამ თალის გარშემო, საიდანაც, ალბათ, უკვე ასეული წლების მანძილზე მთვარის შუქი იღვრებოდა, იზრდებოდა პატარა ბუჩქნარი, რომლის ნაზი მწვანე ფოთლები გამოკვეთილად იხატებოდა ცის კამარის ფერმკრთალ ლაჟვარდზე. ზემოდან ეშვებოდა დიდი ლიანები და ფათალოს მძლავრი ყლორტები, რომლებიც აფრიალებულ გემსართავებს წააგავდნენ.

პიროვნება, რომლის საიდუმლო გამოჩენამ ასე დააინტერესა ფრანცი, სიბნელებში იდგა, ამიტომ არ შეეძლო გაერჩია მისი სახის ნაკვთები. მაგრამ უცნობის ჩაცმულობის გარჩევა კი მოახერხა. ის გახვეული იყო მუქი ფერის ფართო წამოსასხამში. წამოსასხამის ერთი კალთა, რომელიც მარცხენა მხარზე ჰქონდა გადაგდებული, სახის ქვედა ნაწილს უფარავდა; შუბლსა და თვალებზე ჩამოფხატული ჰქონდა ფართო ფარფლებიანი ქუდი. თალიდან შემოჭრილ შუქზე ადვილი გასარჩევი იყო შავი შარვალი, რომელიც მოხდენილად ეშვებოდა ლაქის ფეხსაცმელზე.

ეს კაცი, უეჭველია, თუ არისტოკრატიულ წრეს არა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების მაღალ ფენას მაინც ეკუთვნოდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში იდგა და, ის იყო, უკვე მოუთმენლობა შეემჩნა, რომ ზემო საფეხურიდან სუსტი ხმაური გაისმა.

იმ წუთშივე ვილაცის ჩრდილმა მთვარის შუქი გადასერა. თაღთან გამოჩნდა კაცი, რომელიც წყვილიადს ჩააშტერდა და წამოსასხამში გახვეული კაცი შენიშნა. მან მაშინვე ხელი ჩაავლო გადმოკიდებულ ლიანას, ჩამოსრიალდა და, როცა მიწიდან სამი ფუტის სიმაღლეზე აღმოჩნდა, მსუბუქად გადმოხტა. ეს კაცი თავიდან ფეხებამდე ტრანსტიბრელის¹ (¹ ესე იგი მდინარე ტიბრის გაღმა მცხოვრების.) ტანისამოსში იყო გამოწყობილი.

— ბოდიშს ვიხდი, თქვენო აღმატებულებავ, რომ გაცდევინეთ, — უთხრა მან რომაულ დიალექტზე, — მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე წუთი დავიგვიანე. ლუთერანის სან-ჯიოვანის კოშკის საათმა ეს არის ათჯერ დარეკა.

— თქვენ კი არ დაიგვიანეთ, მე მოვედი ადრე, — უპასუხა მას უცნობმა წმინდა ტოსკანურ კილოზე, — ამიტომ არავითარი ბოდიშები არ გჭირდებათ. ესეც არ იყოს, მართლაც რომ დაგგვიანებოდათ, ვიცი, ეს თქვენი ბრალი არ იქნებოდა.

— მართალი ბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ, ახლა წმინდა ანგელოზის ციხე-სიმაგრეიდან მოვდივარ და ძლივს შევძელი ბეპოსთან დალაპარაკება.

— ვინ არის ბეპო?

— ბეპო ციხის ზედამხედველია. მას ცოტაოდენ გასამრჯელოს ვაძლევ და მატყობინებს, რა ხდება მისი უწმინდესობის ციხესიმაგრეში.

— ოჰო, ჩემო ძვირფასო, ვხედავ, წინდახედული კაცი ყოფილხართ.

— სხვანაირად არ ივარგებს, თქვენო აღმატებულებავ! ვინ იცის, რა მოხდება, იქნება ერთ დღეს საწყალი პეპინოსავით მეც დამიჭირონ; მაშინ დამჭირდება ვირთაგვა, რათა თოკი გადამიხრას.

— მოკლედ მოსჭერ, რა გაიგე?

— სამშაბათს ორ საათზე, ორ ადამიანს დასჯიან სიკვდილით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება დიდი დღესასწაულების წინ. ერთს დასჯიან mazzolato¹; (¹ ყუის დარტყმით მოკვლა.) ამ საზიზღარმა მოკლა მღვდელი, რომელმაც იგი აღზარდა, და ეს კაცი არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს. მეორე იქნება decapitato²; (² თავის მოკვეთა.) ეს კი ჩვენი საწყალი პეპინოა.

— რას გააწყობ, ჩემო ძვირფასო, თქვენ ისეთ შიშის ზარს სცემთ არა მარტო პაპის ხელისუფლებას, არამედ მეზობელ სახელმწიფოებსაც, რომ მთავრობას სურს, ყველასათვის მაგალითი გახდეს ეს დასჯა.

— მაგრამ პეპინო ხომ ჩვენს რაზმში არ ყოფილა, საცოდავი მწყემსია, და მისი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ სურსათ-სანოვაგეს გვაწვდიდა.

— ამით ის თქვენი თანამზრახველი გახდა. მაგრამ ხომ ხედავთ, შეიწყალეს; თქვენ რომ როდესმე დაგიჭირონ, თავს გაგიჭექყავენ, ის კი გილიოტინაზე აჰყავთ. ერთი სიტყვით, ეს ერთგვარ სხვადასხვაობას შეიტანს ამ გასართობ სანახაობაში და სურათი ყველას გემოვნებას დააკმაყოფილებს.

— მაგრამ სანახაობა, რომელიც მე საზოგადოებისათვის მოვამზადე და რომელსაც იგი სულ არ ელოდება, უფრო საინტერესოა, — უთხრა ტრანსტიბრელმა.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო, უფლება მომეცით გითხრათ, — შეაწყვეტინა წამოსასხამში გახვეულმა კაცმა, — რომ თქვენ რაღაცა სისულელის ჩადენას აპირებთ.

— მე მზად ვარ ყველაფერი ჩავიდინო, ოღონდ სიკვდილით დასჯას გადავარჩინო საწყალი პეპინო, რომელიც ამ უბედურებაში იმიტომ ჩავარდა, რომ მე სამსახური გამიწია.

მადონას ვფიცავ, თავს ლაჩრად ჩავთვლი, თუ ამ პატიოსანი ყმაწვილის გულისათვის არაფერი გავაკეთე.

— რის გაკეთებას აპირებთ?

— ეშაფოტის გარშემო ოცამდე კაცს დავაყენებ და როცა პეპინოს მოიყვანენ, ნიშანს მივცემ, ბადრაგს ხანჯლებით მივცვივდებით და პატიმარს გამოვგლეჯთ.

— ეს მე ძალიან სარისკო საქმედ მიმაჩნია. ჩემი გეგმა ნამდვილად თქვენსაზე უკეთესი მგონია.

— როგორია თქვენი გეგმა, თქვენო აღმატებულებავ?

— მე ორი ათას პიასტრს მივცემ ერთ ჩემ ნაცნობ კაცს, რომელიც მოახერხებს, პეპინოს დასჯა მომავალი წლისთვის გადაიტანოს. ამ ერთი წლის განმავლობაში კი კიდევ ერთ ათას პიასტრს მივცემ მეორე პიროვნებას, ის კი მას ციხიდან გააქცევს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ გაიმარჯვებთ?

— Pardieu¹, (¹ ღმერთმანი.) — თქვა ფრანგულად წამოსასხამში გახვეულმა კაცმა.

— რა თქვით? — ჰკითხა ტრანსტიბრელმა.

— მე იმას ვამბობ, ჩემო ძვირფასო, რომ მარტო მე ჩემი ოქროებით მეტის გაკეთება შემძლია, ვიდრე მთელ თქვენს ხალხს თავისი ხანჯლებით, დამბაჩებით, კარაბინებითა და მუშკეტებით.

— მშვენიერი აზრია, მაგრამ თუ არაფერი გამოგივიდათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც მზად ვიქნებით.

— რახან ასე გინდათ, მზად იყავით, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე შევძლებ იმას, რომ მან პატიება მიიღოს.

— მხედველობაში მიიღეთ ის გარემოება, რომ სამშაბათი ზეგაა და თქვენ მხოლოდ ერთი დღე გრჩებათ.

— მერე რა! დღე ოცდაოთხი საათისაგან შედგება, ყოველი საათი — სამოცი წუთისაგან, ყოველი წუთი — სამოცი წამისაგან, ოთხმოცდაექვს ათას ოთხას წამში კი მრავალი საქმის გაკეთება შეიძლება.

— თუ თქვენმა აღმატებულებამ ყველაფერი კარგად მოაწყო, ჩვენ როგორ გავიგებთ ამ ამბავს?

— ძალიან უბრალოდ. კაფე როსპოლიში მე დავიკავე სამი უკანასკნელი ფანჯარა. თუ მიზანს მივაღწიე, ორ გვერდით ფანჯარაზე გაყოლებული იქნება ყვითელი არშია, ხოლო შუა ფანჯარაზე თეთრი არშია წითელი ჯვრით.

— საუცხოოა. პატიების ქაღალდს ვისი ხელით გადმოგვცემთ?

— გამომიგზავნეთ რომელიმე თქვენი კაცი მომნანიებელი ბერის ტანისამოსში გამოწყობილი და მას მივცემ. თავისი მორთულობის წყალობით ის ეშაფოტამდე მივა და ბუღას თავისი ძმობის ხელმძღვანელს გადასცემს, ეს უკანასკნელი კი ჯალათს ჩააბარებს. მანამდე თქვენ პეპინოს აცნობეთ, თორემ საწყალი შიშისაგან ჰკუპაზე შეიშლება ან მოკვდება და გამოვა, რომ ჩვენ მისთვის ტყუილად გავისარჯეთ.

— მისმინეთ, თქვენო აღმატებულებავ, — უთხრა გლეხმა, — თქვენ ხომ იცით, რომ მე სულით-ხორცამდე თქვენი ერთგული ვარ.

— ყოველ შემთხვევაში, ამისი იმედი მაქვს.

— მაშ ასე, თუ თქვენ დაიხსნით პეპინოს, მაშინ მომავალში ერთგულებაზე მეტს გამოვიჩენ, მე თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები.

— ჩემო ძვირფასო, დაუკვირდით, რას ლაპარაკობთ, შეიძლება ერთ დღეს მე ეგ სიტყვები გაგახსენოთ, იქნებ მეც დამჭირდეთ ოდესმე...

— ძალიან კარგი, თქვენო აღმატებულებავ, საჭირო საათში მე თქვენთან გავჩნდები, ისევე, როგორც თქვენ დღეს აქ გაჩნდით. სადაც უნდა იყოთ, თუნდაც ქვეყნის

დასალიერში, საკმარისია მომწეროთ, ეს გააკეთეო, და მე იმას გავაკეთებ. ისევე ნამდვილად, როგორც მე ნამდვილად მქვია...

— ჩუმად, — შეაჩერა უცნობმა, — ხმაური მესმის.

— ეს ჩირაღდნიანი მოგზაურები კოლიზეის ათვალიერებენ.

— საჭირო არ არის, ერთად დაგვინახონ. ჯამუშმა მეგზურებმა შეიძლება გიცნონ, და როგორი სასიამოვნოც უნდა იყოს ჩემთვის თქვენი მეგობრობა, ჩემო ძვირფასო, თუ გაგვიგეს, რომ ასეთი კარგი ნაცნობები ვართ, ძალიან ვშიშობ, რომ ეს ჩემს ავტორიტეტზე იმოქმედებს.

— მაშ ასე, თუ თქვენ მიზანს მიაღწევთ?..

— შუა ფანჯარაზე გაყოლებული იქნება თეთრი არშია წითელი ჯვრით.

— თუ ვერაფერი მოახერხეთ?

— სამივე ფანჯარა ყვითელი იქნება.

— მაშინ?

— მაშინ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უფლებას გაძლევთ, აამოქმედოთ თქვენი ხანჯლები და მე თვითონაც მოვალ სურათის სანახავად.

— ნახვამდის, თქვენო აღმატებულებავ, მე თქვენი იმედი მაქვს, თქვენც ჩემი იმედი გქონდეთ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ტრანსტიბრელი კიბეებში მიიმალა, უცნობმა კი წამოსასხამით სახე უფრო დაიბურა, ფრანცს ორი ნაბიჯის მოშორებით ჩაუარა და გარეთა საფეხურებით თავისუფლად ჩავიდა არენაზე.

ერთი წამის შემდეგ სიბნელეში გაისმა ფრანცის სახელი, მას ალბერი ეძახდა.

ფრანცმა შეიცადა, სანამ ეს ორი უცნობი საკმაოდ არ დაშორდა, ვინაიდან არ უნდოდა მათთვის გაეგებინებინა, რომ ისინი ლაპარაკობდნენ მოწმის თანდასწრებით, რომელსაც არ უნახავს მათი სახეები, მაგრამ ნათქვამიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია.

ათი წუთის შემდეგ ფრანცი ეტლს სასტუმროსაკენ მიჰყავდა. ყმაწვილ კაცს დავიწყებოდა ყოველგვარი თავაზიანობა და ძლივს უსმენდა ალბერის მეცნიერულ დისერტაციას, სადაც პლინიუსისა¹ (1 პლინიუსი (უმცროსი) — რომაელი ლიტერატორი, იმპერატორ დრაციანეს მეგობარი, ავტორი სახელგანთქმული «ეპისტოლეებისა», რომელნიც უხვ მასალას იძლევიან ანტიკური ზნე-ჩვეულებების გასაცნობად.) და კალპერნიუსის ცნობებზე დაყრდნობით, ლაპარაკი იყო რკინის ბადეებზე, რომლებიც ველურ ცხოველებს ხელს უშლიდა მაყურებლებს სცემოდნენ.

ფრანცი არ ეკამათებოდა ალბერს, ჩქარობდა, მარტოდმარტო დარჩენილიყო, რათა მისი გონება სხვა რამეს არ გაეტაცა და ჩაფიქრებოდა იმას, რაც ახლახან გაიგონა.

იმ ორი კაციდან ერთი უეჭველი უცნობი იყო, იგი მას პირველად ხედავდა და უსმენდა; რაც შეეხება მეორეს — სიბნელე და წამოსასხამი ხელს უშლიდა მისი სახის გარჩევას, მაგრამ მისმა ხმამ ფრანცზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შეუძლებელი იყო, არ ეცნო.

განსაკუთრებით დამცინავ ინტონაციებში რაღაც ისეთი მკვეთრი და ლითონისებური იყო, რომ ფრანცი ისევე შეკრთა კოლიზეიში, როგორც მონტე-კრისტოს მღვიმეში.

ფრანცს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს კაცი სინდბად მეზღვაური იყო. მისი ცნობისმოყვარეობა ამ კაცის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ სხვა მდგომარეობაში ის მას წარუდგებოდა; მაგრამ საუბარი, რომელიც ახლა მან გაიგონა, ინტიმური ხასიათისა იყო და ამიტომ თავი შეიკავა. ფრანცი შიშობდა, ვაითუ ჩემი გამოჩენა უცნობს არ ესიამოვნოსო.

ფრანცი ისე იყო გართული თავისი ფიქრებით, რომ დაძინებაც ვერ შეძლო. მთელი ღამის განმავლობაში თავს იმტვრევდა იმ გარემოებებზე ფიქრით, რომლებიც მღვიმეს

მასპინძელსა და კოლიზიის უცნობ კაცს შეეხებოდა და ამტკიცებდა, რომ ეს ორი კაცი ერთი და იგივე პიროვნება იყო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა თავის ეჭვში.

ფრანცმა გათენების ხანს ჩაიძინა და ამიტომ ძალიან გვიან გამოეღვიძა. ალბერს, როგორც ნამდვილ პარიზელს, უკვე მოესწრო საღამოსათვის ეზრუნა. მას კაცი გაეგზავნა არჯენტინის თეატრში ლოჟის საშოვნელად.

ფრანცს საფრანგეთში წერილები ჰქონდა გასაგზავნი, ამიტომ ეტლი მთელი დღით ალბერს დაუთმო.

ხუთ საათზე ალბერი დაბრუნდა. მან მოიტანა სარეკომენდაციო წერილები, მიიღო მოსაწვევი ბარათები საღამოებზე და დაათვალიერა რომი.

ყველაფერ ამისთვის ალბერს ერთი დღე ეყო. მან იმის გაგებაც კი მოასწრო, თუ რა პიესა იდგმებოდა და რომელი მსახიობები თამაშობდნენ.

იდგმებოდა «პარიზინა», თამაშობდნენ კოხელი, მორიანი და ქალბატონი შპეხი.

მაშ, ჩვენი ყმაწვილები არც ისეთი უიღბლონი გამოდგნენ. მათ უნდა ენახათ «ლუჩია ლამერმურის» ავტორის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ იტალიის ყველაზე გამოჩენილი მსახიობები.

ალბერს თავისი სავარძელი ჰქონდა ბუფის თეატრში და ადგილი ოპერის ბენუარის ლოჟაში, და ვერაფრით ვერ ეგუებოდა იტალიის თეატრებს, სადაც მიღებული არ არის არც ორკესტრში შესვლა, სადაც არც ბალკონებია და არც ღია ლოჟები.

თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ყოველთვის, როცა ფრანცთან ერთად მიდიოდა ოპერაში, თავის თვალისმომჭრელ ტანისამოსში გამოწყობილიყო. მაგრამ ყველაფერი ეს ამაო იყო. პარიზის მაღალი წრის ახალგაზრდობის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ოთხი თვის განმავლობაში, რაც ალბერი იტალიაში დაეხეტებოდა, არც ერთი სამიჯნურო ინტრიგა არ გაუბამს.

ალბერი ზოგჯერ ცდილობდა, ეხუმრა ამ საკითხზე, მაგრამ გულის სიღრმეში თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ეს როგორ, ის, ალბერ დე მორსერი, ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ახალგაზრდა ჯერ კიდევ მოლოდინში იყოს! ეს მარცხი მით უფრო ძნელი ასატანი იყო, რომ ჩვენი ძვირფასი თანამემამულეებისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობის გამო ალბერი დარწმუნებული იყო, იტალიაში დიდი წარმატება ხვდებოდა წილად და პარიზში უკან დაბრუნებისას განტის ბულვარს თავისი გამარჯვებების ამბებით მოხიბლავდა. მაგრამ მწარედ მოტყუვდა. გენუის, ფლორენციისა და ნეაპოლის მოხიბლავი მანდილოსნები მტკიცედ იცავდნენ ერთგულებას, თუ ქმრებისადმი არა, თავიანთი საყვარლებისადმი მაინც. და ალბერმა მწარე დასკვნა გამოიტანა, რომ იტალიელ ქალებს აქაც უპირატესობა აქვთ ფრანგი ქალების წინაშე — ისინი ერთგულები არიან თავიანთ ღალატში.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, რომ იტალიაში, როგორც ყველგან, გამონაკლისი არ იყოს; ალბერი მარტო მოხდენილი კავალერი როდი იყო, ის აგრეთვე მახვილი გონების ყმაწვილიც გახლდათ, უფრო მეტი, ის ვიკონტი იყო, მართალია, ახლად გამომცხვარი ვიკონტი, მაგრამ ჩვენს დროში, როდესაც საჭირო არ არის, საბუთების მოტანა, განა სულ ერთი არ არის საიდან დაიწყებ შენი გვარის წარმოშობის მატთანეს, 1399 წლიდან თუ 1815 წლიდან? გარდა ამისა, მას ჰქონდა წლიური შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლივრი. ერთი სიტყვით, მას ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ პარიზის საზოგადოებაში განებივრებული ყოფილიყო. და ალბერს, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა, რომ არც ერთ ქალაქში, რომელიც კი მან იტალიაში ინახულა, მისთვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევიათ.

ერთი სიტყვით, მას იმედი ჰქონდა, რომ რომში გამარჯვებას მოიპოვებდა, რადგანაც კარნავალი ყველა ქვეყანაში, სადაც კი შემორჩენილია ეს საქებარი ჩვეულება, თავისუფლების დროა, როდესაც ყველაზე მკაცრი ყოფაქცევის ქალებიც კი თავის თავს უფლებას აძლევენ, ათასგვარი სისულელე ჩაიდინონ. რაკი კარნავალი მეორე დღეს იწყებოდა, მისი გახსნის წინ საჭირო იყო, ალბერი თავისი ბრწყინვალეობით გამოჩენილიყო.

ამ მიზნით ალბერმა პირველ იარუსზე ყველაზე ადვილად შესამჩნევი ლოჟა აიღო და საუცხოოდ მოირთო. უნდა ითქვას, რომ პირველი იარუსი ისეთივე არისტოკრატიულად ითვლებოდა, როგორც ბენუარი და ლოჟა. მაგრამ ეს ლოჟა, სადაც შეიძლებოდა თორმეტი ადამიანი მოთავსებულიყო, ყმაწვილ კაცებს უფრო იაფი დაუჯდათ, ვიდრე ამბიგიეს თეატრის ლოჟა დაუჯდებოდათ, სადაც ოთხი კაცი ეტევა.

ალბერს კიდევ სხვა იმედი ჰქონდა: თუ იგი შეძლებდა, დაეპყრო მშვენიერი რომაელი ქალის გული, მაშინ მას, ალბათ, შესთავაზებდნენ ადგილს კარეტაში და, რასაკვირველია, ის კარნავალს არისტოკრატიული კარეტიდან ან თავადის აივნიდან დაინახავდა.

ყველა ამ მოსაზრებამ ალბერი ამ საღამოთი განსაკუთრებით გამოაცოცხლა. ის სცენისაკენ ზურგით იჯდა. ლოჟიდან გადმოწეულიყო და ექვსდუმიანი ბინოკლით ყველა ლამაზ ქალს უყურებდა.

მაგრამ რამდენიც არ ეცადა, არც ერთმა ლამაზმა მანდილოსანმა, თუნდაც ცნობისმოყვარეობისათვის, იგი თავისი შეხედვის ღირსი არ გახადა. ყველანი საუბრობდნენ თავიანთ საქმეებზე, თავიანთ სამიჯნურო ამბებზე, მოსალოდნელ მეჯლისზე, ხვალინდელ კარნავალზე, ისე რომ, ყურადღებას არ აქცევდნენ არც მომღერლებსა და არც წარმოდგენას, გარდა განსაკუთრებული ადგილებისა, როდესაც ყველანი სცენისაკენ მობრუნდებოდნენ ხოლმე, რათა კოზელის რეჟიტატივი მოესმინათ. ტაში დაეკრათ მორიანისათვის, ან მომღერალ ქალ შპეხისათვის «ბრაგო» შეეძახათ, რის შემდეგაც შეწყვეტილ საუბარს ისევ განაგრძობდნენ.

პირველი მოქმედების დასასრულს, ცარიელი ლოჟის კარი გაიღო და შემოვიდა ქალი, რომელიც ფრანცმა პარიზში გაიცნო; იგი მას ისევ საფრანგეთში ეგულებოდა. ალბერმა შენიშნა, რომ მისი მეგობარი ამ ქალის გამოჩენაზე შეიშმუნა, ამიტომ მას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ იცნობთ ამ ქალს?

— დიახ. მოგწონთ?

— მომხიბვლელია, ჩემო ძვირფასო, მით უმეტეს, რომ ქერაა. ოჰ! არაჩვეულებრივი თმები აქვს, ფრანგია?

— არა, ვენეციელია.

— რა ჰქვია?

— გრაფინია გ...

— ჰო, მე მას ვიცნობ სახელით. — შესძახა ალბერმა, — ამბობენ, თავის სილამაზესთან ერთად ჰქვიანიც არისო. ეშმაკმა დალაზვროს, რა სისულელე ჩავიდინე. შემემლო გავცნობოდი ქალბატონ დე ვილფორის უკანასკნელ მეჯლისზე და მე ეს არ გავაკეთე.

— გნებავთ, მე გამოვასწორებ ამ შეცდომას?

— როგორ, ისე ახლოს იცნობთ, რომ შეგიძლიათ მის ლოჟაში შემიყვანოთ?

— მე პატივი მქონდა, სამჯერ თუ ოთხჯერ მესაუბრა მასთან. როგორც მოგეხსენებათ, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მან ეს ვიზიტი თავხედობად არ მიიღოს.

ამ დროს გრაფინიამ შეამჩნია ფრანცი და ხელი მოხდენილად დაუქნია.

— ოჰო, როგორც ჩანს, თქვენ ძალიან კარგ დამოკიდებულებაში ხართ, — უთხრა ალბერმა მეგობარს.

— ჰოდა, შეცდით, ჩვენ, ფრანგები, ყველაფერს ჩვენი სასწორით ვზომავთ; აი, სწორედ ამიტომ არის, რომ განუწყვეტლივ ათას სისულელეს ჩავდივართ საზღვარგარეთ; როდესაც თქვენ ესპანეთში ან, მით უფრო, იტალიაში, იმყოფებით, ნურასოდეს ნუ იმსჯელებთ ადამიანებზე მათი თავისუფალი მოქმედების მიხედვით. მე და გრაფინია ერთმანეთის მიმართ სიმპათიურად ვართ განწყობილი, ეს არის და ეს.

— გულები გაკავშირებთ ერთმანეთთან? — ჰკითხა ალბერმა სიცილით.

— არა, გონება, და მეტი არაფერი, — უპასუხა სერიოზულად ფრანცმა.

— რა შემთხვევამ გამოარკვია ეს ამბავი?

— კოლიზიში სეირნობამ, იმის მსგავსმა, რომელიც მე და თქვენ გვქონდა.

— მთვარის შუქზე?

— დიახ.

— მარტონი იყავით?

— თითქმის.

— და თქვენ საუბრობდით...

— მიცვალებულებზე.

— ოჰო! — შესძახა ალბერმა. — ეს მართლაც მეტად თავის შესაქცევი ამბავია, მაგრამ თუ მე ბედნიერება მომეცა, კავალრობა გავუწიო ამ მშვენიერ გრაფინიას, პირობას გამლევთ, ასეთი მშვენიერი სეირნობის დროს მხოლოდ ცოცხლებზე ველაპარაკო.

— და შეიძლება წააგოთ.

— მანამდე კი, თქვენი დაპირების თანახმად, წარმადგინეთ მასთან.

— იმ წუთშივე, როგორც კი ფარდა ჩამოეშვება.

— ეს წყეული პირველი მოქმედება რა დიდია!

— უსმინე ფინალს, ის ძალიან კარგია, კოხელი არაჩვეულებრივად ასრულებს მას.

— დიახ, მაგრამ შეხედეთ, რა ტანადია!

— შპეხი უდიდეს დრამატულ ეფექტს აღწევს.

— მაგრამ, როდესაც მოგისმენიათ ზონატაგო და მალბრანი...

— როგორ, თქვენ არ მოგწონთ მორიანის სკოლა?

— მე არ მიყვარს, როცა შავგვრემანები ისე მღერიან, როგორც ქერები.

— იცი რა, ჩემო ძვირფასო, — უთხრა ფრანცმა და ზურგი შეაქცია ალბერს, რომელიც ბინოკლს არ აცილებდა გრაფინიას ლოჟას, — თქვენ მართლაც ვერაფრით გასიამოვნებთ ადამიანი.

ბოლოს, ვიკონტ დე მორსერის სასიხარულოდ, ფარდა ჩამოეშვა. ალბერმა ქუდი აიღო, სწრაფად გაისწორა თმა, ყელსახვევი, მანქეტები და ფრანცს განუცხადა, გელოდებითო.

რაკი ფრანცის თვალებით შეკითხვას გრაფინიამაც უპასუხა, გელოდებითო, მან აღარ დააგვიანა შეესრულებინა ალბერის მოუთმენელი სურვილი. ფრანცი და ალბერი გაეშურნენ. გზაში ალბერმა გაისწორა პერანგისა და ფრაკის ნაკეციები. მათ შემოუარეს ამფითეატრს და დააკაკუნეს №4 ლოჟაში, რომელშიც გრაფინია იყო.

ყმაწვილი კაცი, რომელიც გრაფინიას გვერდით სავარძელში იჯდა, იმ წუთშივე წამოდგა და, იტალიური ჩვეულების თანახმად, თავისი ადგილი ახალმოსულებს დაუთმო, რომლებიც თავის მხრივ ასე უნდა მოქცეულიყვნენ, თუ კიდევ სხვა ვინმე შემოვიდოდა.

ფრანცმა გრაფინიას ალბერი წარუდგინა, როგორც თავისი მდგომარეობით და ჭკუით ერთ-ერთი უბრწყინვალესი ახალგაზრდა, რაც, სხვათა შორის, სრული სიმართლე იყო, რადგან პარიზში, იმ საზოგადოებაში, რომელშიც ალბერი ტრიალებდა, ის ყველაზე საუცხოო კავალრად ითვლებოდა. ფრანცმა დასძინა, ალბერი სასოწარკვეთილია იმის გამო, რომ პარიზში ხელიდან გაუშვა თქვენი გაცნობის შესაძლებლობა და მთხოვა

დავხმარებოდი, გამოესწორებინა ეს შეცდომა. ფრანცმა სთხოვა გრაფინიას, ეპატიებინა ასეთი სითამამე.

პასუხად გრაფინიამ ალბერს მომხიზვლელად დაუკრა თავი და ფრანცს ხელი ჩამოართვა. ალბერი, ქალის თხოვნით, მას გვერდით თავისუფალ ადგილზე დაუჯდა, ფრანცი კი მეორე რიგში მოთავსდა გრაფინიას უკან.

ალბერმა საუბრისათვის მშვენიერი თემა მოწახა. ეს იყო პარიზი. ის ელაპარაკებოდა გრაფინიას საერთო ნაცნობებზე. ფრანცი მიხვდა, რომ მისი მეგობარი სწორ გზას ადგა. მას ვეებერთელა ბინოკლი გამოართვა და მაცურებლების დათვალიერება დაიწყო.

პირველი იარუსის ერთ-ერთი ლოჟის ბარიერთან იჯდა რაღაც არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი. მას ბერძნული ტანისამოსი ეცვა, რომელსაც ისე ძალდაუტანებლად ატარებდა, თითქოს მისი ბუნებრივი კოსტიუმი ყოფილიყო.

უკან, ნახევრად სიბნელეში, მოჩანდა მამაკაცი, რომლის სახე ძნელი გასარჩევი იყო. ფრანცმა ალბერს საუბარი შეაწყვეტინა და გრაფინიას ჰკითხა, ხომ არ იცნობთ იმ მომხიზვლელ ალბანელ ქალს, რომელიც არა მარტო მამაკაცების, არამედ ქალების ყურადღებასაც იპყრობსო.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რომში სეზონის დაწყებიდანაა; თეატრის გახსნის დღეს სწორედ მაგ ლოჟაშივე ვნახე და მთელი თვის განმავლობაში არც ერთი წარმოდგენა არ გამოუტოვებია; ხანდახან თან ახლავს ის მამაკაცი, რომელიც ახლა მასთანაა, ხან კი — შავკანიანი მსახური.

— როგორ მოგწონთ იგი? — ჰკითხა კვლავ ფრანცმა.

— ძალიან ლამაზია. მედორა, ალბათ, მას ჰგავდა.

ფრანცმა და გრაფინიამ ერთმანეთს გაუღიმეს, შემდეგ გრაფინიამ განაახლა ალბერთან საუბარი, ფრანცმა კი ბინოკლით ისევ დაუწყო ცქერა მზეთუნახავ ალბანელს.

ფარდა აიხადა. დაიწყო ბალეტი. ეს იყო საუცხოო იტალიური ბალეტი, დადგმული ცნობილი ჰანრის მიერ, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული. ამ ბალეტში ყველა მონაწილე, პირველი მოცეკვავიდან უკანასკნელ სტატისტამდე, მხურვალე მონაწილეობას იღებს, — ასორმოდგენითი კაცი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მოძრაობას აკეთებს და ყველანი ერთად წევენ იმავე ხელს ან იმავე ფეხს.

ბალეტს ერქვა «პოლისკა».

ფრანცი ისე გატაცებული იყო მშვენიერი ალბანელით, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბალეტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი საუცხოო იყო. რაც შეეხება უცნობ ქალს, იგი აშკარა სიამოვნებით უყურებდა სცენას, რაც არ ითქმოდა იმ მამაკაცზე, რომელიც მას ახლდა თან. იგი მთელი ამ ქორეოგრაფიული საოცრების ჩვენების მანძილზე ერთხელაც არ შერხეულა და საყვირების, ციმბალების, თურქული ზარების მიერ გამოწვეული ჯოჯოხეთური ხმაურის მიუხედავად, თითქოს შეუშფოთებელი ძალის ზეციურ სიამოვნებას განიცდიდა.

ბოლოს ბალეტი დამთავრდა და ფარდა პარტერის აღფრთოვანებული ტაშისკვრისას დაიხურა.

საქები ჩვეულების, ოპერაში ბალეტის ჩართვის წყალობით, იტალიაში ანტრაქტები ძალიან ხანმოკლეა; სანამ მოცეკვავეები თავის პირუეტებსა და ანტრაშებს ასრულებენ, მომღერლები ასწრებენ ტანსაცმლის გამოცვლასა და შესვენებას.

დაიწყო მეორე მოქმედების უვერტიურა.

ხემის პირველსავე დარხევაზე ფრანცმა დაინახა, რომ ბურანში წასული მამაკაცი ნელა წამოდგა და ქალს მიუახლოვდა. ქალი მისკენ მიბრუნდა, რამდენიმე სიტყვა უთხრა და ისევ ლოჟის მოაჯირს დაეყრდნო.

უცნობი მამაკაცის სახე ისევ სიბნელეში იყო და ფრანცმა ვერ მოახერხა მისი გარჩევა.

ფარდა აიხადა, ფრანცის ყურადღება უნებურად მსახიობებმა მიიქცის, მისი მზერა ერთი წუთით მოსწყდა ლამაზი ბერძენი ქალის ლოჟას და სცენას მიეპყრო.

მეორე მოქმედება, როგორც ცნობილია, დუეტით იწყება. პარიზინას ძილში აცოს წინაშე წამოსცდება თავისი საიდუმლოება, რომ მას უგო უყვარს. მოტყუებული ქმარი ეჭვიანობის გრძნობის ყველა საფეხურს გაივლის და, ბოლოს, როცა დარწმუნდება, რომ ცოლმა უღალატა, აღვიძებს მას, რათა აცნობოს, როგორი იქნება მისი შურისძიება.

დონიცეტის¹ (¹ დონიცეტი — სახელგანთქმული იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი მელოდიური, დრამატული ეფექტებით მდიდარი ოპერებისა (1798—1848).) ნაყოფიერი კალმის მიერ დაწერილ დუეტთა შორის ეს ყველაზე ლამაზი, ყველაზე მეტყველი, ყველაზე დრამატულია. ფრანცი უკვე მესამედ ისმენდა მას, და თუმცა თავგამოდებული მელომანი არ იყო, ამ დუეტმა მასზე მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფრანცი, ის იყო აპირებდა, თავისი ტაში მაყურებლების აღზნებული ტაშისათვის შეეერთებინა, რომ უცებ, აწეული ხელები გაუშეშდა და «ბრავო» ბაგეებზე მიეყინა.

ლოჟაში მყოფი კაცი მთელი ტანით აღიმართა, მის სახეს სინათლის შუქი მოხვდა, და ფრანცმა დაინახა მონტე-კრისტოს საიდუმლო მცხოვრები, ის, ვისი ტანიცა და ხმაც წინა დღეს, როგორც ეს მას ეგონა, იცნო კოლიზიის ნანგრევებში.

ექვი არ იყო, უცნაური მოგზაური რომში ცხოვრობდა.

როგორც ეტყობოდა, ფრანცის ეს გაკვირვება მთლიანად გამოიხატა მის სახეზე, რადგანაც გრაფინიამ შეხედა მას, გადაიხარხარა და ჰკითხა, რა მოგივიდათო.

— ქალბატონო, — უთხრა ფრანცმა, — მე ეს-ეს არის გკითხეთ, იმ ალბანელ ქალს ხომ არ იცნობთ-მეთქი. ახლა კი მინდა გკითხოთ, მის ქმარს ხომ არ იცნობთ?

— ისევე ნაკლებად, როგორც იმ ქალს.

— თქვენ არასოდეს შეგიმჩნევიათ იგი?

— აი, ნამდვილი ფრანგული შეკითხვა! განა არ იცით, რომ ჩვენთვის, იტალიელი ქალებისათვის, არსებობს მხოლოდ ის, ვინც ჩვენ გვიყვარს.

— ეს მართალია, — უპასუხა ფრანცმა.

— ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო გრაფინიამ და ალბერის ბინოკლით მოპირდაპირე ლოჟისაკენ გაიხედა, — ის კაცი, როგორც ჩანს, ახლახან ამოუყვანიათ საფლავიდან; ეს ვიღაც მიცვალებულია, რომელიც მესაფლავის ნებართვითაა ამოსული საფლავიდან; შეხედეთ, რა გაფითრებულია?

— ის ყოველთვის ასეთია, — უპასუხა ფრანცმა.

— მაშ, თქვენ მას იცნობთ? — ჰკითხა გრაფინიამ; — რაკი ასეა, მე უნდა გკითხოთ, ვინ არის იგი?

— ისე მეცნობა, რომ ასე მგონია, სადღაც მინახავს-მეთქი.

— მართლაც, — თქვა გრაფინიამ და მშვენიერი მხრები ისე შეათამაშა, თითქოს სიცივემ აიტანაო, — თუ ეს კაცი ერთხელ ნახე, მერე ვეღარასოდეს დაივიწყებ.

ფრანცმა იგრძნო, რომ ეს კაცი მარტო მასზე როდი ახდენდა საშინელ შთაბეჭდილებას.

— რას იტყვით? — ჰკითხა ფრანცმა გრაფინიას, როცა ამ უკანასკნელმა უცნობს მეორედ შეხედა ბინოკლით, — რას ფიქრობთ მაგ კაცზე?

— მე ვფიქრობ, რომ იგი განხორციელებული ლორდი რუტვენია.

ბაირონის ხელახალმა გახსენებამ ფრანცი შეაკრთო. თუკი ვინმე მას დაუმტკიცებდა ვამპირების არსებობას, სწორედ ეს კაცი იქნებოდა.

— მე უნდა გავიგო, ვინ არის იგი, — თქვა ფრანცმა და წამოდგა.

— ოჰ, არა! — შეჰყვირა გრაფინიამ, — არა, ნუ დამტოვებთ, იმედი მაქვს, რომ გამაცილებთ და არ გაგიშვებთ.

— როგორ, თქვენ მართლაც გემინიათ? — ყურში ჩასჩურჩულა ფრანცმა.

— მისმინეთ, — უპასუხა ქალმა, — ბაირონი მეფიცებოდა, მწამს ვამპირების არსებობაო. მან მითხრა, თვითონ მინახავს ისინიო; მათი სახეებიც კი ამიწერა. ისინი ზუსტად ასეთები უნდა იყვნენ; შავი თმა, უცნაური ცეცხლის მფრქვევი დიდრონი, მკვდრისფერი თვალები. ყურადღება მიაქციეთ, ის ქალიც ისეთი ჩვეულებრივი ქალი არაა, როგორც ყველა სხვა; ის უცხოელია, ბერძენი სქიზმატიკოსი. შექველია, ისეთივე ჯადოსანია, როგორც თვითონ ის მამაკაცი. მე თქვენ გთხოვთ, ნუ წახვალთ, თუ გინდათ, ხვალ მოძებნეთ, დღეს კი გიცხადებთ, რომ არ გაგიშვებთ.

ფრანცი წინააღმდეგობას უწევდა.

— მისმინეთ, — შეაჩერა ქალმა და წამოდგა, — მე მივდივარ, წარმოდგენის დამთავრებამდე ვეღარ დავრჩები. შინ სტუმრები მყავს, ნუთუ თქვენ იმდენ უზრდელობას გამოიჩინებთ, რომ არ გამაცილებთ?

ფრანცმა პასუხის გაუცემლად ქუდს ხელი წამოავლო, ლოჟის კარი გააღო და გრაფინიას ხელი გაუწოდა.

გრაფინია მართლაც ძალიან აღელვებული იყო. თვითონ ფრანციც ვერ გათავისუფლებულიყო ცრუმორწმუნეობრივი შიშისაგან, მით უმეტეს, რომ გრაფინია ანგარიშიუცემელ შიშს დამორჩილებოდა, მისი შთაბეჭდილება კი მოგონებებით იყო გაძლიერებული. როდესაც ფრანცმა ქალი ეტლში ჩასვა, იგრძნო, რომ იგი ცახცახებდა.

ფრანცმა გრაფინია სახლამდე მიაცილა. მას შინ არავინ უცდიდა. ყმაწვილმა კაცმა ქალს მოტყუებისათვის საყვედური უთხრა.

— მე მართლაც ცუდად ვარ, — უთხრა ქალმა, — და მინდა მარტო დავრჩე. იმ კაცის დანახვამ ძალიან ამაღელვა.

ფრანცმა გაცინება სცადა.

— ნუ იცინით, — უთხრა ქალმა, — აქ არაფერია სასაცილო. ერთი რამე უნდა შემისრულოთ.

— რა?

— ჯერ პირობა მომეცით, რომ შემისრულებთ.

— ყველაფერს, რასაც კი მოისურვებთ, მხოლოდ იმ კაცის ძებნა კი არ უნდა დამიშალოთ ზოგიერთი მიზეზის გამო, რის თქმაც თქვენთვის არ შემიძლია. მე უნდა გავიგო, ვინ არის იგი, საიდან მოდის და სად მიდის.

— საიდან მოდის, წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ სად მიდის, ის კი შემიძლია გითხრათ. ის პირდაპირ ჯოჯოხეთში მიდის.

— დავუბრუნდეთ იმ აღთქმას, რომელსაც თქვენ ჩემგან მოითხოვდით, ქალბატონო.

— ჰო, პირდაპირ სასტუმროში წადით და ამაღამ ნუ ეცდებით იმ კაცთან შეხვედრას. ისინი, ვისაც შორდებით, რაღაცით დაკავშირებული არიან იმათთან, ვისაც ხვდები. ნუ იქნებით შუამავალი ჩემსა და იმ კაცს შორის. ხვალ თუ გნებავდეთ, გამოედევნეთ; ხოლო მე ნურასოდეს ნუ გამაცნობთ მას, თუ არ გინდათ, რომ შიშისაგან გული გამისკდეს. ახლა კი მშვიდობით. ეცადეთ დაიძინოთ, მე კი ვიცი, რომ ჩემს თვალებს ძილი არ მიეკარება.

ამ სიტყვებით გრაფინია გამოემშვიდობა ფრანცს, რომელმაც არ იცოდა, გაათამაშა იგი ამ ქალმა, თუ ნამდვილად შეშინებული იყო.

როდესაც ფრანცი სასტუმროში დაბრუნდა, დაინახა, რომ ალბერი ხალათში და საშინაო შარვალში გამოწყობილი, სავარძელში მოსვენებით გაწოლილიყო და სიგარას ეწეოდა.

— ჰო, ეს თქვენა ხართ? — გამოელაპარაკა იგი ფრანცს, — მართალი გითხრათ, ხვალამდე არ გელოდით.

— ჩემო ძვირფასო ალბერ, — უპასუხა ფრანცმა, — ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა, ერთხელ და სამუდამოდ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ მცდარი შეხედულება

გაქვთ იტალიელ ქალებზე; ესეც არ იყოს, მე მეგონა, თქვენი მარცხი სამიჯნურო საქმეებში გონს მოგიყვანდათ.

— რას გააწყობ? ეშმაკმა დალახვროს ეს ქალები, მათსას ვერაფერს გაიგებ; მკლავში მკლავს გიყრიან, გიჭერენ, ყურში გეჭურჭულებიან, შინამდე თავს გაცილებინებენ, ყოველივე ამის მეთაუდიც საკმაო იქნებოდა, რომ პარიზელ ქალს სახელი გასტეხოდა.

— ჰო, საქმეც სწორედ ეგ არის, იტალიელ ქალებს არაფერი აქვთ დასამალი. ისინი ცხოვრობენ თავიანთ მშვენიერ ქვეყანაში, სადაც «ს»-ს, როგორც ამბობს დანტე, ჟღერს ისე, რომ არ ემალება მხურვალე მზეს. ესეც არ იყოს, თქვენ ხომ თვითონაც დაინახეთ, რომ გრაფინიას მართლაც არ შეეშინდა.

— ვისი? იმ პატივსაცემი მამაკაცის, რომელიც ჩვენს პირდაპირ ლამაზ ბერძენ ქალთან ერთად იჯდა? მე თვითონაც ძალიან მინდოდა გამეგო, ვინ არიან ისინი და სწორედ ამიტომ დერეფანში განგებ შევეჩრეხე. ვერ გამიგია, რა ეშმაკმა ჩაგაგონათ, საიქიოდან მოსული კაცი. ეს არის არაჩვეულებრივად ჩაცმული ლამაზი მამაკაცი. ის, ალბათ, საფრანგეთში ტანისამოსს ბინსა ან ჰაუდმანთან იკერავს, ოდნავ ფერმკრთალია, ეს მართალია. მაგრამ თქვენ ხომ იცით, ფერმკრთალობა წარჩინებულობის ნიშანია.

ფრანცს გაელიმა: ალბერს ეგონა, რომ მეტისმეტად ფერმკრთალი იყო.

— მე თვითონაც დარწმუნებული ვარ, რომ გრაფინიას შეხედულება ამ კაცზე მცდარია. თქვენ გაიგონეთ იმ კაცის ლაპარაკი?

— ახალ ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდა. მე ამას მივხვდი რამდენიმე დამახინჯებული ბერძნული სიტყვის მიხედვით. უნდა გითხრა, ჩემო ძვირფასო, რომ მე კოლეჯში ძლიერი ვიყავი ბერძნულში.

— მაშ, ახალ ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდა?

— როგორც ჩანს.

— აღარაფერია საეჭვო, — ჩაიჩურჩულა ფრანცმა, — ეს ის არის.

— რას ლაპარაკობ?

— არაფერს. რას აკეთებდით?

— სიურპრიზს გიმზადებდით.

— რა სიურპრიზს?

— თქვენ ხომ იცით, რომ ეტლის შოვნა შეუძლებელია.

— ეშმაკმა დალახვროს! ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი ადამიანის ღონეს შესწევდა და ვერაფერი გავაწყეთ.

— მე მშვენიერმა აზრმა გამიელვა.

ფრანცმა უნდობლად შეხედა მას.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა ალბერმა, — თქვენ ისეთი შემოხედვის ღირსი გამხადეთ, რომ მინდა დაკმაყოფილება მოგთხოვოთ.

— მე მზად ვარ დავაკმაყოფილო თქვენი სურვილი, თუ თქვენი იდეა სინამდვილეში ისეთივე კარგია, როგორც ამტკიცებთ.

— მომისმინეთ.

— გისმენთ.

— ეტლის შოვნის არავითარი საშუალება არ არის, ხომ?

— არა.

— არც ცხენების?

— არც ცხენების.

— მაგრამ შეგვიძლია ვიშოვოთ ოთხთვალა?

— შესაძლებელია.

— და წყვილი ხარი.

— ალბათ.

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო. ჩვენ სწორედ ეს გვჭირდება. ოთხთვალა მოვრთოთ, ნეაპოლელი მომკვლელების ტანისამოსი ჩავიცვათ და ლეოპოლდ რობერის¹ (1 რობერი — ფრანგ-შვეიცარიელი მხატვარი, ავტორი სოფლის ცხოვრების ამსახავი სურათებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია მისი «მომკვლეები» (1794—1835).) ცნობილი სურათი განვახორციელოთ. უფრო დიდი მსგავსების მისაღწევად, თუ გრაფინია დათანხმდება, პოცუოლელი ან სორენტოელი გლეხი ქალის ტანისამოსი ჩაიცვას და მასკარადი ამით მხოლოდ მოიგებს. ის ისეთი ლამაზია, რომ ცნობილი სურათის «ბავშვიანი ქალის» ორიგინალად მიიღებენ.

— ღმერთმანი, ამჯერად თქვენ მართალი ხართ, — შეჰყვირა ფრანცმა, — აი, მართლაც ბედნიერი აზრი.

— და უაღრესად პატრიოტულიც. ის აღადგენს ჩვენი ზარმაცი მეფეების დროს. ჰო, ბატონო რომაელებო, თქვენ გეგონათ, რომ ჩვენ თქვენს ქუჩებს ფეხით შემოვივლიდით, როგორც ლაცარონები, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ეტლები და ცხენები არ გყოფნით?

— გაუზიარეთ ვინმეს ეს თქვენი გენიალური გამოგონება?

— ჩვენს მასპინძელს. როდესაც თეატრიდან დავბრუნდი, დავუმახე მას და ჩემი სურვილი განვუცხადე. მან დამარწმუნა, ამაზე ადვილი არაფერიაო. მე მიხდოდა ხარებისათვის რქები მოევარაყებინათ, მაგრამ მან მითხრა, ამას სამი დღე მოუნდებაო. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ამ ფუფუნებაზე.

— სად არის ის?

— ვინ?

— ჩვენი სასტუმროს პატრონი.

— ოთხთვალას საშოვნელად წავიდა. ხვალ შეიძლება უკვე გვიან იყოს.

— მაშ, პასუხს ამაღამვე შეგვატყობინებს.

— მე მას ველი.

იმ წუთში კარები გაიღო და ოთახში თავი შემოყო ბატონმა პასტრინიმ.

— Permesso?¹ (1 შეიძლება? — (იტალ.)) — იკითხა მან.

— რასაკვირველია, შეიძლება, — შეჰყვირა ფრანცმა.

— აბა, რას გვეტყვი? — ჰკითხა ალბერმა, — გვიშოვეთ ოთხთვალა და ხარები?

— მე უკეთესი რამ ვიშოვე, — უპასუხა ბატონმა პასტრინიმ ისეთი იერით, რომ ეტყობოდა, თავის თავით კმაყოფილი იყო.

— ფრთხილად იყავით, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, — უთხრა ალბერმა, — უკეთესზე უკეთესი არ დაილევა.

— თქვენს აღმატებულებას შეუძლია მენდოს, — უთხრა ბატონმა პასტრინიმ თვითდარწმუნებით.

— ბოლოს და ბოლოს გვითხარით, რაშია საქმე? — ჰკითხა თავის მხრივ ფრანცმა.

— თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ გრაფი მონტე-კრისტო იმავე სართულზე ცხოვრობს, რომელზედაც თქვენ.

— როგორ არ ვიცი, — უთხრა ალბერმა, — ეს მისი წყალობითაა, რომ ჩვენ აქ პარიზის გარეუბნის ორი სტუდენტით ვართ შევიწროებულნი.

— ჰოდა, მან გაიგო თქვენი გაჭირვება და გთავაზობთ ორ ადგილს ეტლში და ორ ფანჯარას როსპოლის სასახლეში.

ალბერმა და ფრანცმა ერთმანეთს გადახედეს.

— კი მაგრამ, განა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი კაცის წინადადება, რომელსაც არ ვიცნობთ? — რა კაცია ეს გრაფი მონტე-კრისტო? — ჰკითხა ფრანცმა სასტუმროს პატრონს.

— სიცილიელი თუ მალტელი დიდებულია, ზუსტად არ ვიცი, ბორგეხესავით კეთილშობილი და ოქროს საბადოსავით მდიდარი.

— მე მგონია, თუ ბატონ პასტრინის დავუჯერებთ, — თქვა ფრანცმა, — ისეთ კაცს, როგორც გრაფია, ჩვენი მიწვევა შეეძლო ან წერილობით, ან...

ამ დროს კარებზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — უთხრა ფრანცმა.

კარის ზღურბლზე გამოჩნდა მოხდენილ ლივრეაში გამოწყობილი მსახური.

— გრაფ მონტე-კრისტოსაგან ბარონ ფრანც დ'ეპინეს და ვიკონტ ალბერ დე მორსერს, — თქვა მან და სასტუმროს პატრონს ორი მოსაწვევი ბარათი გაუწოდა.

— გრაფი მონტე-კრისტო, — განაგრძო მსახურმა, — ბატონებს ნებართვას სთხოვს, რომ ხვალ დილას ინახულოს ისინი, გრაფს სურს გაიგოს, რომელ საათზე მიიღებენ მას.

— ვერაფერს იტყვი, — წასჩურჩულა ალბერმა ფრანცს, — ყველაფერი ისეა გაკეთებული, როგორც წესი და რიგი მოითხოვს.

— გადაეცით გრაფს, — უპასუხა ფრანცმა, — რომ ჩვენ თვითონ გვექნება პატივი, პირველად ვინახულოთ იგი.

მსახური გავიდა.

— აი, ამას ჰქვია თავაზიანობის იერიში, — თქვა ალბერმა; — თქვენ მართალი ხართ, ბატონო პასტრინი, თქვენი გრაფი მონტე-კრისტო ნამდვილად ზრდილობიანი კაცია.

— მაშ, მიიღებთ წინადადებას? — ჰკითხა პასტრინიმ.

— რასაკვირველია, — უპასუხა ალბერმა, — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ გული მწყდება ჩვენს ოთხთვალასა და მომკვლელებზე; პალაცო როსპოლის ფანჯარა რომ არ გვინახდაურებდეს ამ დანაკარგს, პირველ აზრზე შეეჭრებოდი; თქვენ რას იტყვით, ფრანც?

— უნდა გითხრათ, რომ მეც პალაცო როსპოლის ფანჯრებმა მომხიბლა, — უპასუხა ფრანცმა.

პალაცო როსპოლიზე ორი ფანჯრის შეთავაზებამ ფრანცს გაახსენა საუბარი უცნობსა და ტრანსტიბრელს შორის, რომელიც მან კოლიზიის ნანგრევებში გაიგონა; ამ საუბარში წამოსასხამში გახვეულმა კაცმა დასჯილის შეწყნარება იკისრა. თუ ეს უკანასკნელი, როგორც ფრანცი ფიქრობდა, იგივე პიროვნება იყო, რომლის გამოჩენამაც არჯენტინის თეატრში იგი ასეთ საგონებელში ჩააგდო, უეჭველია, ის მას ნახავდა და მაშინ არავინ შეუშლიდა ხელს, თავისი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ფრანცმა გვიან დაიძინა. ის უცნობთან შეხვედრაზე და ხვალინდელ დღეზე ოცნებობდა. მართლაც, დილით ყველაფერი უნდა გამორკვეულიყო. ამჯერად კუნძულ მონტე-კრისტოს საიდუმლო მასპინძელი ხელიდან ვეღარ გაუსხლტებოდა, თუ იგი არ ფლობდა გიგესის ბეჭედს, რომლის წყალობითაც შეეძლო უჩინარი გამხდარიყო.

როდესაც ფრანცმა გაიღვიძა, ჯერ კიდევ რვა საათი იყო.

ალბერს, რომელიც ფრანცივით მოუთმენლად არ ელოდა დილას, ტკბილად ეძინა.

ფრანცმა სასტუმროს პატრონთან კაცი გაგზავნა. ეს უკანასკნელი თავისი ჩვეული პირმოთნეობით წარუდგა მას.

— ბატონო პასტრინი, — უთხრა ფრანცმა, — თუ არ ვცდები, დღეს ვილაცის სიკვდილით დასჯაა დანიშნული?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ თქვენ ამას თუ იმიტომ მეუბნებით, რომ ფანჯარა გინდათ, უკვე დაგვიანებულია.

— არა, თუმცა მე რომ მართლა მდომებოდა მისი ნახვა, — უპასუხა ფრანცმა, — ალბათ, მონტე-პინჩოზე ვიმოვიდი ადგილს.

— მე მგონია, თქვენი აღმატებულება არ ისურვებდა გარეულიყო ბრბოში, რომელიც ყოველთვის ავსებს მონტე-პინჩოს.

— ვფიქრობ, რომ მე არ წავალ, — თქვა ფრანცმა, — მაგრამ მინდა ზოგიერთი ცნობა მივიღო.

— რომელი?

— დასასჯელთა რაოდენობა, მათი სახელები და მათი დასჯის სახე.

— თქვენო აღმატებულებავ, ამაზე ადვილი არაფერია. მე სწორედ ახლა მომიტანეს tavolette.

— რა არის ეს tavolette?

— ესაა ფიცრები, რომლებსაც დასჯის წინადადეს ქუჩის კუთხეებში ამაგრებენ, მათზე მიწებებულია დამნაშავეთა სახელები, მათი დანაშაულისა და დასჯის სახე. ეს თავისებური თხოვნაა მორწმუნეთა მიმართ, რომ ილოცონ, რათა ღმერთმა შეუნდოს დამნაშავეებს.

— და თქვენ იმისათვის მოგიტანეს ეს tavolette, რომ თქვენი ლოცვა მორწმუნეთა ლოცვას შეუერთოთ? — ჰკითხა ფრანცმა უნდობლად.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, მე შეთანხმებული ვარ მეაფიშეებთან და მოაქვთ ისევე, როგორც თეატრის აფიშები. თუ რომელიმე ჩემი სტუმარი მოინდომებს სიკვდილით დასჯას დაესწროს, მინდა, იგი წინასწარ იცნობდეს საქმის ვითარებას.

— ჰო, თქვენ ძალიან ყურადღებიანი ხართ, — უთხრა ფრანცმა.

— მე შემძლია დავიტრაბახო, — თქვა ღიმილით ბატონმა პასტრინიმ, — რომ ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემს ძალას არ აღემატება, რათა დავაკმაყოფილო კეთილშობილი უცხოელები, რომლებიც პატივს მცემენ და მენდობიან.

— მე ამას ვხედავ, ჩემო მასპინძელო! დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ამის შესახებ ყველას ვეტყვი. ახლა კი მინდოდა წამეკითხა ერთ-ერთი თქვენი tavollete.

— ეს ძალიან ადვილია, — თქვა სასტუმროს პატრონმა და კარი გამოაღო, — ერთი კიბესთან ჩამოვაკიდებინე.

ბატონი პასტრინი ოთახიდან გავიდა. «ტავოლეტი» ლურსმანიდან ჩამოხსნა და ფრანცს მიუტანა.

— აი, ამ სიკვდილის აფიშის სიტყვასიტყვითი თარგმანი:

«საჯაროდ ცხადდება, რომ სამშაბათს, 22 თებერვალს, კარნავალის პირველ დღეს, უმაღლესი ტრიბუნალის დადგენილებით, პიაცა-დელ-პოპოლოზე სიკვდილით დაისჯებიან: ანდრეა რონდოლო, იოანე ლატრანელის კანონიკის დიდად პატივცემული, წმინდა დონ ჩეზარე ტორლინის მკვლელობის მონაწილე, და პეპინო, როკკა პრიორად წოდებული, შემჩნეული საზიზღარი ყაჩაღის, ლუიჯი ვამპას და მის რაზმთან თანამონაწილეობაში.

«პირველი იქნება mazzolato.

«მეორე — decapitato.

«ღვთისმომიშარი სულები მოწოდებულნი არიან შესთხოვონ ღმერთს, აპატიოს ცოდვები ამ უბედურ დამნაშავეებს».

ეს სწორედ ის იყო, რაც ორი დღის წინათ კოლიზიის ნანგრევებში გაიგონა ფრანცმა. პროგრამაში არ შესულა არავითარი ცვლილება: დამნაშავეების სახელები, მათი დანაშაული, დასჯის საშუალებანი ზუსტად იგივე იყო.

ამგვარად, ალბათ, ტრანსტიბრელი იგივე ლუიჯი ვამპა იყო, ხოლო წამოსასხამში გახვეული კაცი — სინდბად მეზღვაური, რომელიც ისევე, როგორც პორტო-ვეკიოში და ტუნისში, რომშიაც ეწეოდა საქველმოქმედო მოღვაწეობას.

ამასობაში საათმა ცხრაჯერ დარეკა. ფრანცი ალბერის გასაღვიძებლად უნდა წასულიყო, რომ უცებ, თავისდა გასაკვირად, დაინახა ალბერი. იგი საწოლი ოთახიდან უკვე გამოწყობილი გამოდიოდა. კარნავალზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და ლოგინიდან იმაზე ადრე წამოდგა, ვიდრე ფრანცი ელოდა.

— როგორ გგონიათ, ბატონო პასტრინი, — მიუბრუნდა ფრანცი სასტუმროს პატრონს, — რაკი ჩვენ ორივენი მზად ვართ, ხომ არ წარვდგეთ გრაფ მონტე-კრისტოს წინაშე.

— რასაკვირველია! — უპასუხა მან, — გრაფ მონტე-კრისტოს ჩვეულებად აქვს დილით ძალიან ადრე ადგომა და დარწმუნებული ვარ, უკვე ორი საათია, ფეხზეა.

— როგორ გგონიათ, უხერხული არ არის ახლა მისი შეწყუბება?

— დარწმუნებული ვარ, არა.

— ასეთ შემთხვევაში, ალბერ, თუ თქვენ მზად ხართ...

— სავსებით მზად, — უპასუხა ალბერმა.

— მაშ, წავიდეთ და მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მეზობელს თავაზიანი ყურადღებისათვის.

— წავიდეთ.

ფრანცსა და ალბერს მხოლოდ პატარა დერეფანი უნდა გაეველოთ; სასტუმროს პატრონმა დაასწრო მათ და დარეკა. მსახურმა კარი გააღო.

— I signori francesi¹, (¹ ბატონი ფრანგები (იტალ.)) — უთხრა სასტუმროს პატრონმა.

მსახურმა თავი დახარა და სთხოვა, შემობრძანდითო.

მათ გაიარეს მდიდრულად მოწყობილი ორი ოთახი, როგორსაც ისინი არ ელოდნენ პასტრინის სასტუმროში და შევიდნენ უნაკლოდ მორთულ მისაღებ ოთახში. იატაკზე ეგო თურქული ნოხი, კომფორტაბელური სავარძლები თითქოს იწვევდნენ სტუმრებს — მოდით, ჩემს ფაფუკ ბალიშებსა და გადახნიეილ ზურგებზე დაისვენეთო. კედელზე დაკიდებული იყო ცნობილი ოსტატების სურათები და მშვენიერი თოფ-იარაღი, კარებზე ირხეოდა ძვირფასი სარაფარდები.

— თუ თქვენი აღმატებულებანი დაბრძანდებიან, მე წავალ და გრაფს გავაფრთხილებ, — თქვა მსახურმა და მეორე კარით გავიდა.

როდესაც კარი გაიღო, ყმაწვილ კაცებს მოესმათ ბარბითის ხმები, რომლებიც მაშინვე შეწყდა.

ფრანცმა და ალბერმა ერთმანეთს შეხედეს და განაგრძეს სავარძლების, თოფ-იარაღისა და სურათების თვალიერება. რაც უფრო მეტად აკვირდებოდნენ, მით უფრო ძვირფასად ეჩვენებოდათ ისინი.

— აბა, რას იტყვით ამაზე, ჩემო მეგობარო? — ჰკითხა ფრანცმა ალბერს.

— იმას ვიტყვი, ჩემო კარგო, რომ ჩვენი მეზობელი ან ბირჟის მაკლერია, რომელმაც ესპანეთის ფონდების დაკლებაზე ითამაშა, ან ინკოგნიტოდ მოგზაური პრინცი.

— ჩუმად! — შეაჩერა ფრანცმა, — ჩვენ ამას ახლავე გავიგებთ. აი, ისიც.

მართლაც, მათ მოესმათ კარის გაღების ხმა, თითქმის იმავე წუთში სარაფარდები გადაიწია და გამოჩნდა მთელი ამ სიმდიდრის მფლობელი.

ალბერი მის შესახვედრად გაეშურა, ფრანცი კი ადგილზე მიიღურსმა:

ახლადშემოსული, კოლიზის წამოსასხამიანი კაცი, ლოჯაში მჯდომი უცნობი და კუნძულ მონტე-კრისტოს საიდუმლო უცნობი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

XIV LA MAZZOLATA

— ბატონებო, — თქვა გრაფმა მონტე-კრისტომ შემოსვლისას, — ბოდიშს ვიხდი, რომ უფლება მოგეცით, ჩემთვის დაგესწროთ, მაგრამ ვშიშობდი, უფრო ადრე რომ მივიდე, ვაითუ შევაწუხო-მეთქი, ამავე დროს თქვენ შემომითვალეთ, ჩვენ თვითონ მოვალეთ და მეც თქვენს სურვილს დავემორჩილე.

— მე და ფრანცი ათას მადლობას გიძღვნი, გრაფო, — უთხრა ალბერმა. — თქვენ ნამდვილად გვიხსენით გასაჭირისგან. ჩვენ ყველაზე ფანტასტიკურ ეტლს ვიგონებდით, როცა თქვენი თავაზიანი მოწვევა მივიღეთ.

— ღმერთო ჩემო! ბატონებო, ყველაფერში დამნაშავეა ეს სულელი პასტრინი, — თქვა გრაფმა და ყმაწვილი კაცები სავარძელში ჩასაჯდომად მიიწვია, — მას თქვენი გაჭირვების შესახებ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მე კი, განმარტოებული ადამიანი, მხოლოდ შემთხვევას ვეძებდი, რომ ჩემს მეზობლებს გავცნობოდი და როდესაც გავიგე, შეიძლება რამეში გამოვადგე-მეთქი, თქვენ თვითონ ხედავთ, როგორ სწრაფად ჩავეჭიდე ამ შემთხვევას, რათა თქვენ გავცნობოდი.

ყმაწვილმა კაცებმა თავი დაუკრეს. ფრანცს ჯერ ვერ ეპოვა სათქმელი სიტყვა. მას ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: გრაფს ვერ შეატყო, უნდოდა თუ არა მას, ეცნო იგი, ან თვითონ ყოფილიყო მის მიერ შეცნობილი, ამიტომ ფრანცმა არ იცოდა, გადაეკრა სიტყვა მათს პირველ შეხვედრაზე, თუ რაიმე ახალი დამამტკიცებელი საბუთისათვის დაეცადა. ამავე დროს, თუ ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ წინა ღამეს ლოჯაში სწორედ ეს კაცი ნახა, ასევე დაბეჯითებით არ შეეძლო ემტკიცებინა, რომ ერთი დღით უფრო ადრე კოლიზიში იგივე მამაკაცი ნახა. ამიტომ გადაწყვიტა, არ აჩქარებულიყო და გრაფისათვის არაფერი ეთქვა. ამავე დროს ფრანცს გრაფის წინაშე ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მან იცოდა მისი საიდუმლოება, მაშინ, როდესაც გრაფს არავითარი ძალა არ ჰქონდა მასზე, რადგან ფრანცს არაფერი ჰქონდა დასამალი.

ფრანცმა მაინც გადაწყვიტა: მოდი, ისეთ საკითხებზე ჩამოვაგდებ საუბარს, რაც ზოგიერთ ჩემს ეჭვში სინათლეს შეიტანსო:

— ბატონო გრაფო, — თქვა მან, — თქვენ შემოგვთავაზეთ ადგილი თქვენს ეტლში და პალაცო როსპოლის ფანჯარაში, იქნება ისიც გვითხრათ, როგორ შეიძლება პიაცა-დელ-პოპოლოზე რაიმე პოსტის (როგორც ამას იტალიაში ამბობენ) მიღება.

— ჰო! დიახ, — გამოეპასუხა გრაფი უდარდელი ტონით და მორსერს ჩააშტერდა, — პიაცა-დელ-პოპოლოზე დღეს, ვგონებ, რაღაც სიკვდილით დასჯის მსგავსი ხდება.

— დიახ, — უთხრა ფრანცმა, გახარებულმა, რომ გრაფი თვითონ შეეხო მისთვის სასურველ თემას.

— მოიცათ, მოიცათ, ვგონებ გუშინ ჩემი სახლის მმართველს დავავალე, ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის; მე შეიძლება აქაც გაგიწიოთ სამსახური.

გრაფმა ზარის ზონარისაკენ ხელი გასწია და სამჯერ დარეკა.

— თქვენ როდისმე ხომ არ ჩაფიქრებულხართ, როგორ გამოგეყენებინათ დრო სწორად, როგორ გაგეადვილებინათ მსახურებისათვის აქეთ-იქით სიარული? — უთხრა გრაფმა ფრანცს, — აი მე ეს საკითხი შევისწავლე. მაგალითად, კამერდინერს ვურეკავ ერთხელ, მეტრდოტელს — ორჯერ, ხოლო სახლის მმართველს — სამჯერ. ამგვარად არ ვკარგავ არც ერთ წუთს და არც ერთ სიტყვას. მოიცათ, აგერ, ჩემი სახლის მმართველიც.

ოთახში შემოვიდა ორმოცდახუთი თუ ორმოცდაათი წლის მამაკაცი. ის შუაზე გაჭრილი ვაშლივით წააგავდა იმ კონტრაბანდისტს, რომელმაც ფრანცი მღვიმეში შეიყვანა; მაგრამ ამ კაცმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს პირველად ხედავდა. ფრანცი მიხვდა, რომ ასეთი იყო გრაფის ბრძანება.

— ბატონო ბერტუჩო, — უთხრა მას გრაფმა, — გუშინ დაგავალეთ, ფანჯარა გემოვით პიაცა-დელ-პოპოლოზე, რა გააკეთეთ? შეუდექით თუ არა მაგ საქმის თადარიგს?

— დიახ, თქვენო აღმატებულებაჲ, მაგრამ რაკი ძალიან დაგვიანებული იყო...

— როგორ! — შეაწყვეტინა გრაფმა წარბების შექმუხნით, — განა არ გითხარით, ფანჯარა მჭირდება-მეთქი?

— თქვენი აღმატებულება მიიღებს მას, მაგრამ რადგან იგი აღებული ჰქონდა თავად ლობანცევს, იძულებული ვიყავი გადამეხადა ასი...

— კარგი, კარგი, ბატონო ბერტუჩო, ჩემს სტუმრებს თავიდან ააცილეთ ეგ სამეურნეო წვრილმანები. თქვენ გიშოვიათ ფანჯარა, მე სწორედ ეს მიწოდდა. ახლა კი მეეტლეს მისამართი მიეცით და კიბეზე დაგვიცადეთ, უნდა გაგვაცილოთ; კმარა, წადით.

სახლის მმართველმა თავი დაუკრა და კარისაკენ გაბრუნდა.

— მოიცათ, მოიცათ, — შეაჩერა იგი გრაფმა, — კეთილი ინებეთ და ბატონ პასტრინის ჰკითხეთ, მიიღო თუ არა tavolette და შეუძლია თუ არა სიკვდილით დასჯის პროგრამა გამოგვიგზავნოს.

— ნუ შეწუხდებით, — უთხრა ფრანცმა და ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, — მე თვითონ ვნახე tavolette და გადმოვწერე კიდეც; აი, ინებეთ.

— ძალიან კარგი. მაშ, შეგიძლიათ წახვიდეთ, ბატონო ბერტუჩო; მე აღარ მჭირდებათ; მხოლოდ როცა საუზმე მზად იქნება, გაგვაფრთხილეთ. იმედი მაქვს, — მიუბრუნდა იგი სტუმრებს, — პატივს დამდებთ და ჩემთან ისაუბმებთ.

— ბატონო გრაფო, — უთხრა მას ალბერმა. — ჩვენ არ შეგვიძლია, ასე ბოროტად გამოვიყენოთ თქვენი სტუმართმოყვარეობა.

— არა, არა, პირიქით, დიდად მასიამოვნებთ, შეიძლება ერთ დღეს ერთმა თქვენგანმა, ანდა ორივემ ერთად, სამაგიერო გადამიხადოთ პარიზში. ბატონო ბერტუჩო, განკარგულება გაეცით, სუფრა სამი კაცისათვის გაშალონ.

გრაფმა ფრანცს უბის წიგნაკი გამოართვა.

მაშ ასე, — განაგრძო მან ისეთი ხმით, თითქოს თეატრის აფიშას კითხულობსო: — «საჯაროდ ცხადდება, რომ სამშაბათს, 22 თებერვალს, კარნავალის პირველ დღეს, უმაღლესი ტრიბუნალის დადგენილებით, პიაცა-დელ-პოპოლოზე სიკვდილით დაისჯებიან: ანდრეა რონდოლო, იოანე ლატრანელის კანონიკის დიდად პატივცემული წმინდა დონ ჩეზარე ტორლინის მკვლელობის მონაწილე და პეპინო, როკკა პრიორად წოდებული, შემჩნეული საზიზღარი ყაჩაღის, ლუიჯი ვამპასა და მის რაზმთან თანამონაწილეობაში»... ჰმ... «პირველი იქნება mazzolato, მეორე decapitato — დიახ, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ გუშინ საღამოს, მე მგონია, ცვლილება მოხდა ამ ცერემონიალის წესრიგსა და მსვლელობაში.

— ვაჰ! — წამოიძახა ფრანცმა.

— დიახ, გუშინ საღამო კარდინალ როსპილიოზასთან გავატარე და იქ ყური მოვკარი, რომ ერთ-ერთი მსჯავრდადებულის დასჯა გადადებულია.

— ვისი? ანდრეა რონდოლოსი?

— არა, მეორესი, — უპასუხა დაუდევრად გრაფმა და უბის წიგნაკში ჩაიხედა, თითქოს სახელს იგონებდესო, — პეპინოსი, როკკა პრიორად წოდებულის. ამით თქვენ მოკლებული იქნებით გილიოტინის დანახვას, მაგრამ გრჩებათ mazzolato, რომელიც მეტად საინტერესო დასჯაა, თუ მას პირველად ვუყურებთ, ის კი არა, მეორედაც კი. გილიოტინა კი, რომელიც თქვენ, ალბათ, გინახავთ, მეტად უბრალო და მეტად ერთფეროვანია. მასში არაფერია მოულოდნელი. ნაჯახი მიზანს არ ცდება, არ კანკალებს, უბრალოდ არ ურტყამს, საქმეს ოცდაათჯერ არ ჰკიდებს ხელს იმ ჯარისკაცით, გრაფ დე შალეს¹ (1 გრაფი შალე — საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIII მეგობარი, რომელმაც შეთქმულება მოაწყო ამ მეფის ყოვლისშემძლე მინისტრის კარდინალ რიშელიეს წინააღმდეგ და სიკვდილით დაისაჯა (1599-1626).) თავი რომ წააცალა. თუმცა შესაძლებელია, რომელიმე

ჯალათს დაავალა, ამ კლიენტს განსაკუთრებული ყურადღებით მოჰყრობოდა. არა, — დასძინა გრაფმა ზიზლით, — როდესაც ლაპარაკია სიკვდილით დასჯაზე, ნურაფერს მეტყვიით ევროპელებზე. მათ ამ საქმის არაფერი ესმით, ისინი ნამდვილად ბავშვები არიან, ან უფრო მეტი, მოხუცებულები ყველაფერში, რაც შეეხება სისასტიკეს...

— ბატონო გრაფო, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ თქვენ დედამიწის ზურგზე სხვადასხვა ხალხში სიკვდილით დასჯის შედარებით შესწავლას ახდენდით.

— ყოველ შემთხვევაში, არ არის სიკვდილით დასჯის ისეთი სახეობა, რომელიც მე არ მენახოს, — უთხრა ცივად გრაფმა.

— ნუთუ თქვენ სიმოვნებას პოულობთ ამ საშინელ სანახაობაში?

— ჩემი პირველი გრძნობა იყო ზიზლი, მას მოჰყვა გულგრილობა, და ბოლოს ცნობისმოყვარეობაც კი დამებადა.

— ცნობისმოყვარეობა! რა საშინელი სიტყვაა, გესმით თქვენ ეს?

— რატომ, ცხოვრებაში მთავარი საზრუნავი სიკვდილია. ამიტომ განა საინტერესო არ არის შეისწავლო, როგორ შორდება სული სხეულს, და ადამიანები როგორ იტანენ მათი ხასიათისა, ტემპერამენტისა და თვით ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების მიხედვით, ამ უკანასკნელ გადასასვლელს არსებობიდან არარსებობისაკენ? მე გავხედავ, ერთ რამეში დაგარწმუნოთ: რამდენადაც მეტ სულთმობრძავს ხედავს ადამიანი, მით უფრო ადვილია მისთვის სიკვდილი; ამიტომ, დარწმუნებული ვარ, სიკვდილი შეიძლება იყოს წამება, მაგრამ არა მონანიება.

— თქვენ კარგად ვერ გაგიგეთ, — უთხრა ფრანცმა, — უფრო ნათლად გამოთქვით თქვენი აზრები, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაინტერესებს ის, რაზედაც ლაპარაკობთ.

— მისმინეთ, — უთხრა გრაფმა და სახეზე ნაღველი შემოაწვა, როგორც სხვებს სისხლი მოადგებათ ხოლმე, — თუ ვინმე თქვენს მამას, დედას, შეყვარებულს, — ერთი სიტყვით, ვინმე ახლობელ ადამიანს, რომლის გულიდან ამოგლეჯა იქ ტოვებს მარადიულ სიცარიელესა და მარადსისხლდმდინარე ჭრილობას, — აიძულებს მოკვდეს გაუგონარ წამებაში, უსასრულო ტანჯვაში, ნუთუ თქვენ ჩათვლით, რომ საზოგადოებამ საკმარისად დაგაკმაყოფილათ, რაკი გილიოტინის დანამ მკვლელს კეფის ძვლებს და ტრაპეციულ კუნთებს შორის გაუარა და მას, ვისი მიზეზით თქვენ მრავალი წლის განმავლობაში სულიერი ტანჯვა განიცადეთ, რამდენიმე წამის განმავლობაში ფიზიკური ტკივილი განაცდევინა.

— დიახ, ეს მე ვიცი; ადამიანთა მართლმსაჯულება ცუდი მანუგემებელია. მას შეუძლია სისხლის სანაცვლოდ სისხლი დაღვაროს.. ეს არის და ეს. მაგრამ მას იმაზე მეტი არ უნდა მოვთხოვოთ, რის მოცემაც შეუძლია.

— მე კიდევ ვლაპარაკობ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საზოგადოება აღშფოთებულია თავისი ერთ-ერთი წევრის სიკვდილით და სიკვდილს სიკვდილით უპასუხებს; მაგრამ განა არ არსებობს მილიონობით ტანჯვა, რომელიც ადამიანს გულსა ჰგლეჯს და რომელსაც საზოგადოება გვერდს უვლის და შურს არ იძიებს თუნდაც იმ არადადამაკმაყოფილებელი საშუალებითაც კი, რომელზედაც ეს-ეს არის ვლაპარაკობდით. განა არ არის დანაშაულები, რომლებიც უფრო მეტი წამების ღირსია, ვიდრე თურქეთში მიღებული სარზე ჩამოცმა, ირანელების ხუნდი ან იროკეზებში მიღებული ძარღვების ამორთმევა? ამისდა მიუხედავად, გულგრილი საზოგადოება მათ დაუსჯელად ტოვებს... მიპასუხეთ, განა არ არის ისეთი დანაშაულები?

დიახ, — უპასუხა ფრანცმა, — და სწორედ ამიტომ ურიგდებიან დუელის არსებობას, რომ ისინი დაისაჯონ.

— რაო, დუელი! — შეჰყვირა გრაფმა, — დუელი სასიამოვნო საშუალებაა მიზნის მისაღწევად, როცა ეს მიზანი შურისძიებაა. ადამიანმა თქვენ წაგართვათ შეყვარებული,

შეაცდინა თქვენი ცოლი, ნამუსი ახადა თქვენს ქალიშვილს; მთელი თქვენი ცხოვრება, — რომელსაც უფლება ჰქონდა, ღმერთისაგან მიეღო ბედნიერების ნაწილი, შეპირებული მის მიერ შექმნილი ყოველი ადამიანისათვის, ამ ადამიანმა გადააქცია ტანჯვად, უბედურებად და შერცხვენად. და განა თქვენი შურისძიების გრძნობა დაკმაყოფილებული იქნება, თუ ამ კაცს, რომელმაც თქვენი გონება შეარყია, ხოლო გული სასოწარკვეთილებით აგივსოთ, მკერდში დაშნას ატაკებთ ან შუბლს ტყვიით გაუხვრეტთ? კმარა, მეგობრებო! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის ხშირად გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდან, გამართლებული საზოგადოების თვალში და თითქოს ღვთისგანაც მიტევებული, არა, არა, — განაგრძო გრაფმა, — თუ მე მიწერია ოდესმე შური ვიძიო, ასე როდი ვიმოქმედებ.

— თქვენ უარყოფთ დუელს? მაშ გამოწვევას არ მიიღებდით? — ჰკითხა გრაფის თეორიით გაკვირვებულმა ალბერმა.

— არა, რატომ! — უპასუხა გრაფმა, — გამიგეთ, მე დუელში გავალ სულ უბრალო რამისთვის, თუ შეურაცხყოფა მომაცენეს, თუ დამაბრალეს, თითქოს ტყუილი მეთქვას, თუ სილა გამაწნეს, და ამას მით უფრო უდარდელად გავაკეთებ, რომ ფიზიკურ ვარჯიშსა და სამიშროებასთან ბრძოლაში მრავალი წლის მანძილზე ისე დავოსტატდი, რომ უეჭველად მოვკლავდი ჩემს მოწინააღმდეგეს. რასაკვირველია, ყველაფერ ამისათვის ვიბრძოლებდი; რაც შეეხება ხანგრძლივ, დაუსრულებელ, მარადიულ ტანჯვას, მე მას წამებითვე ვუპასუხებდი: «თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ», როგორც ამბობენ აღმოსავლეთის ადამიანები, ყველაფერში ჩვენი მასწავლებლები, ეს რჩეულები, რომელთაც შეძლეს ცხოვრება სიზმრად გადაექციათ, ხოლო სამოთხე — სინამდვილედ.

— მაგრამ რაკი თქვენ საკუთარ საქმეში ერთსა და იმავე დროს მოსამართლეც ხდებით და ჯალათიც, — შეეპასუხა ფრანცი, — ძალიან ძნელია, კანონის საზღვარზე თავი შეიკავოთ და თვითონ არ მოჰყვეთ მისი ძალის ქვეშ. სიძულვილი ბრძაა, მრისხანება — უგუნური და ვინც შურისძიების გრძნობას ეწაფება, რისკსა სწევს, რომ საწამლავს შესვამს.

— დიახ, თუ ის ღარიბი და მოუხერხებელია: მაგრამ თუ მილიონერია და მოხერხებული, ყველაზე უარეს შემთხვევაში მას ელის ის სასჯელი, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობდით, და რომლითაც კაცთმოყვარე საფრანგეთის რევოლუციამ შეცვალა შაყის კვრა და დაბორბლვა. მერედა რა არის მისთვის ტანჯვა, როდესაც შური უკვე იძია? მართალი გითხრათ, მე თითქმის მწყინს, რომ ის საწყალი პეპინო «decapitato» არ იქნება, როგორც ისინი ამბობენ; თქვენ ნახავთ, რამდენ ხანს გრძელდება ის და ღირს თუ არა ამაზე ლაპარაკი. მაგრამ... ბატონებო, რა უცნაურ ამბებზე ვსაუბრობთ კარნავალის პირველ დღეს, რას მოჰყვა ეს საუბარი? ჰო, მართლა, მახსოვს; თქვენ სურვილი გამოთქვით, ადგილი გქონდეთ ჩემს ფანჯარაში; ძალიან კარგი, ასე იყოს. თქვენ მას მიიღებთ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მაგიდას შემოვუსხდეთ, მე მგონია, საუბრე უკვე მზადაა.

მართლაც, მსახურმა სასტუმრო ოთახის ოთხი კარიდან ერთ-ერთი გააღო და საკრამენტალური სიტყვები წარმოთქვა:

— Al suo commodo.¹ (1 სუფრა გაშლილია)

ყმაწვილი კაცები წამოდგნენ და სასადილო ოთახში გავიდნენ. ჩინებულად და შნოიანად გაშლილი საუზმის დროს, ფრანცი ცდილობდა, დაეჭირა ალბერის მზერა და მის სახეზე წაეკითხა ის შთაბეჭდილება, რომელიც მასზე, როგორც ეჭვი არ ეპარებოდა, მასპინძლის სიტყვას უნდა მოეხდინა. მაგრამ იქნება იმიტომ, რომ ალბერმა, მისთვის ჩვეული უდარდელობის გამო, სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია მას, ან იქნებ, იმიტომ, რომ დუელის საკითხში დათმობამ შეარია იგი გრაფთან, ან იქნება იმიტომაც, რომ ადრე მომხდარი ამბები მხოლოდ ფრანცისთვის იყო ცნობილი და მხოლოდ მისთვის

აორკეცებდნენ გრაფის მიერ გამოთქმულ აზრებს. მან ვერ შეამჩნია, რომ მისი მეგობარი რაიმეს ჩაეფიქრებინა; პირიქით, პატივს სცემდა სუფრას, როგორც ადამიანი, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო იტალიური სამზარეულოთი; როგორც ცნობილია, ამ სამზარეულოს მთელს მსოფლიოში ყველაზე ცუდი სახელი აქვს, რაც შეეხება გრაფს, მან ოდნავ დააკარა პირი საქმელს; ასე იტყოდით, თავის სტუმრებთან ერთად სუფრას მხოლოდ ზრდილობის გულისათვის მიუჯდა და მათ წასვლას ელის, რომ შემდეგ თავისთვის რაღაც უცნაური ან განსაკუთრებული კერძი მოატანინოსო.

ამან ფრანცს უნებურად გაახსენა შიში, რომელიც გრაფმა ჩაუნერგა გრაფინია გ...ს და ამ ქალის რწმენა, რომ გრაფი, ესე იგი მის მოპირდაპირე ლოჟაში მჯდომი მამაკაცი — ვამპირიაო.

საუზმის დამთავრების შემდეგ ფრანცმა ჯიბიდან საათი ამოიღო.

— ეგ რა ამბავია? — ჰკითხა გრაფმა.

— მოგვიტევეთ, ბატონო გრაფო, — უპასუხა ფრანცმა, — მაგრამ ჩვენ კიდევ ათასი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

— რა საქმეებია ასეთი?

— ჩვენ ჯერ კოსტიუმები არა გვაქვს, კოსტიუმები კი დღეს აუცილებელია.

— ამაზე ნუ სწუხართ, მე მგონი პიაცა-დელ-პოპოლოზე ჩვენ განსაკუთრებული ოთახი გვექნება; ბრძანებას გავცემ, დაკვეთილი კოსტიუმები იქ მოგვიტანონ და იქვე გადავიცვამთ.

— სიკვდილით დასჯის შემდეგ? — შეჰყვირა ფრანცმა.

— შემდეგ, მანამ, თუ სასჯელის დროს, როგორც თქვენ მოისურვებთ.

— ეშაფოტის პირდაპირ?

— ეშაფოტი ზეიმის ნაწილია.

— იცით, ბატონო გრაფო, მე გადავიფიქრე, — უთხრა ფრანცმა, — თქვენი თავაზიანობის ძალიან. მადლობელი ვარ, მაგრამ დაკვამყოფილდები ადგილით ეტლში და პალაცო როსპოლოს ფანჯრით და გთხოვთ ჩემი ადგილი პიაცა-დელ-პოპოლოზე თქვენს განკარგულებაში იქონიოთ.

— უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მეტად საინტერესო სანახობას მოაკლდებით, — უთხრა გრაფმა.

— თქვენ მომიყვებით, რა მოხდება იქ, — უთხრა ფრანცმა, — დარწმუნებული ვარ, თქვენი ნაამბობი იმაზე ნაკლებ შთაბეჭდილებას როდი მოახდენს, ვიდრე თვითონ სანახაობა. თუმცა, რამდენჯერ მინდოდა მენახა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ვერასოდეს ვერ გადავწყვიტე; თქვენ, ალბერ? — მიუბრუნდა იგი თავის მეგობარს.

— მე მინახავს კასტენის დასჯა, — უპასუხა ვიკონტმა, — მაგრამ, მე მგონია, ცოტა შექეფიფიანებული ვიყავი. ეს იყო კოლეჯის დამთავრების დღეს და ჩვენ ღამე რომელიღაც დუქანში გავატარეთ.

— თუ თქვენ ცუდი არაფერი ჩაგიდენიათ პარიზში, ეს იმის საბაბს როდი გაძლევთ, რომ უცხოეთში არ ჩაიდინოთ. ადამიანი იმისათვის მოგზაურობს, რომ ცოდნა შეიძინოს, ადგილს იმისათვის იცვლის, რომ რაიმე ნახოს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებით, როცა გკითხავენ, როგორ სჯიან სიკვდილით რომშიო, და თქვენ უპასუხებთ: არ ვიცი. გარდა ამისა, ამბობენ, მსჯავრდადებული საზიზღარი არამზადაა, ერთი გარეწარი ვინმეა, მან ბუხრის ზედადგრით მოკლა პატივცემული კანონიკი, რომელსაც შვილივით გაუზრდია. ეშმაკმა დალახვროს, როცა სასულიერო პირსა ჰკლავ, უფრო საპატიო იარაღი უნდა ამოირჩიო, ვიდრე ზედადგარია. მით უმეტეს, თუ ეს სასულიერო პირი შეიძლება მამაშენი იყოს. თქვენ რომ ესპანეთში მოგზაურობდით, განა

ხარების ბრძოლის სანახავად არ წახვიდოდით? მაშ, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ხარების ბრძოლის საყურებლად მივდივართ; გაიხსენეთ ძველი რომაელების ცირკი, სადაც კლავდნენ სამას ლომსა და ასამდე ადამიანს. გაიხსენეთ ოთხმოცი ათასი მაყურებელი, რომელიც ტაშსა სცემს, გაიხსენეთ პატივცემული მატრონები, რომლებსაც თან მოჰყავდათ თავიანთი გასათხოვარი ქალიშვილები, გაიხსენეთ მშვენიერი თეთრხელებიანი ვესტალი ქალები, რომლებიც მშვენიერი თითებით ნიშანს იძლეოდნენ: «აბა, ნუ ზარმაცობთ, ჩქარა მოუღეთ ბოლო იმ კაცს, რომელიც თითქმის უკვე მკვდარია».

— თქვენ წახვალთ, ალბერ? ჰკითხა — ფრანცმა.

— წავალ, ჩემო ძვირფასო. მეც თქვენსავით ვყოყმანობდი, მაგრამ გრაფის მჭევრმეტყველებამ დამაჯერა.

— რაკი თქვენ გინდათ, მაშ, წავიდეთ, — თქვა ფრანცმა, — მაგრამ პიაცა-დელ-პოპოლოს მიმართულებით მინდოდა კორსოზე გამევიღო; შესაძლებელია თუ არა ეს, ბატონო გრაფო?

— ფეხით კი, მაგრამ ეტლით არა.

— კარგი, მე ფეხით წავალ.

— აუცილებლად გინდათ, კორსოზე მოხვდეთ?

— დიახ, იქ რაღაც უნდა ვნახო.

— კარგი, გავიაროთ ფეხით კორსოს ქუჩა, ეტლი ვია-დელ-ბაბუინოთი წავა და პიაცა-დელ-პოპოლოზე დაგვიცდის. მე თვითონაც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ კორსოს ქუჩა გავიაროთ, მინდა ვნახო, შესრულებულია თუ არა ზოგიერთი ჩემი განკარგულება.

— თქვენო აღმატებულება, — მოახსენა მსახურმა, — მომნანიებლის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი თქვენთან საუბრის ნებას თხოულობს.

— ჰო, ვიცი, ვინც არის, — ბატონებო, ხომ არ ინებებთ სასტუმრო ოთახში გაბრძანებას... თქვენ იქ მაგიდაზე დაგხვდებით არაჩვეულებრივი ჰავანური სიგარები, ერთ წუთში მეც თქვენთან გავჩნდები.

ყმაწვილი კაცები წამოდგნენ და ერთ-ერთი კარით გავიდნენ, გრაფი კი, ბოდიშის მოხდის შემდეგ, მეორე კარით გავიდა. ალბერი, რომელიც კარგი სიგარების მოყვარული იყო და ფიქრობდა — დიდ მსხერპლს ვწირავ, რაკი კაფე დე პარის სიგარებს არ ვეწევიო, მაგიდას მიუახლოდა და ნამდვილი «პუროსის» დანახვაზე სიხარულისაგან შეჰყვირა.

— აბა, რას ფიქრობთ გრაფ მონტე-კრისტოზე? — ჰკითხა მას ფრანცმა.

— რას ვფიქრობ? — შეკითხვითვე უპასუხა აშკარად განცვიფრებულმა ალბერმა, — მე ვფიქრობ, რომ იგი მომხიბვლელი ადამიანია, გულთბილი მასპინძელი, რომელსაც ბევრი უნახავს, ბევრი უფიქრია და ბრუტოსივით სტოიკოსთა სკოლას ეკუთვნის. და ყოველივე ამას გარდა, — დასძინა მან და სიამოვნებით გამოუშვა პირიდან ბოლი, რომელიც სპირალურად წავიდა ჭერისაკენ, — იგი მშვენიერი სიგარების მფლობელია.

ასეთი იყო ალბერის შეხედულება გრაფზე, და რადგან ფრანცმა იცოდა, ალბერი ყოველთვის თავს იქებდა — ადამიანებზე და საგნებზე შეხედულებას მხოლოდ კარგა ხნის დაფიქრების შემდეგ გამოვთქვამო, მას აღარ შეკამათებია.

— მიაქციეთ თუ არა ყურადღება ერთ მეტად საინტერესო გარემოებას? — ჰკითხა ფრანცმა.

— მაინც რას?

— როგორი ყურადღებით გაკვირდებოდით.

— მე?

— დიახ, თქვენ.

ალბერი ჩაფიქრდა.

— ეჰ, ამაში არაფერია საკვირველი, — ამოიოხრა მან, — ერთი წელია, რაც პარიზიდან წამოვედი; ალბათ საიქიოდან გამოსულს ვგავარ ჩემი ტანისამოსით და გრაფმა პროვინციელად მიმიღო. შეაცვლევინეთ ეგ აზრი, ჩემო ძვირფასო, და პირველივე შემთხვევაში აუხსენით, რომ ეს ასე არ არის.

ფრანცმა გაიღიმა. ერთი წუთის შემდეგ გრაფი დაბრუნდა:

— აი, მეც აქ ვარ, ბატონებო, და მთლიანად თქვენს განკარგულებაში მიგულეთ. ბრძანება უკვე გაცემულია: ეტლი თავისი გზით პიაცა-დელ-პოპოლოზე წავა, ჩვენც იქ წავიდეთ, კორსოს ქუჩით. აიღეთ რამდენიმე სიგარა, ბატონო მორსერ.

— დიდი სიამოვნებით, — უთხრა ალბერმა, — იტალიური სიგარები ფრანგულზე უარესია. როცა პარიზში ჩამოხვალთ, სამაგიეროს გადაგიხდით.

— უარს არ ვამბობ, იმედი მაქვს, ოდესმე პარიზში ვიქნები და რაკი თქვენი ნებართვა მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს კარზე მოგიკაკუნებთ. წავიდეთ, ბატონებო, წავიდეთ, გვაგვიანდება, უკვე პირველის ნახევარია.

სამივენი ძირს ჩავიდნენ, მეეტლემ მიიღო თავისი ბატონის უკანასკნელი განკარგულება და ვია-დელ-ბაბუინოთი გაემართა. ქვეითად მიმავლები კი წავიდნენ პიაცა-დი-სპანიას და ვია-ფრატონას მიმართულებით, რომელმაც ისინი პალაცო ფიანოსა და პალაცო როსპოლის შუა გაიყვანა.

ფრანცი დაჟინებით უყურებდა ამ სასახლის ფანჯრებს; მას არ დავიწყებია ნიშანი, რომელიც წამოსასხამში გახვეულ კაცსა და ტრანსტიბრელის შორის დათქმულ იქნა კოლიზიში.

— რომელია თქვენი ფანჯრები? — იკითხა მან რაც შეიძლება ბუნებრივი ხმით.

— სამი უკანასკნელი, — უთხრა გრაფმა დაუდევრად, რადგან არავითარი თვალთმაქცობა არ შეუმჩნევია ამ შეკითხვაში.

გვერდის ფანჯარაზე გაყოლებული იყო ყვითელი ქამხა, ხოლო შუაზე — თეთრი წითელი ჯვრით.

წამოსასხამში გახვეულმა კაცმა თავისი სიტყვა შეასრულა და ეჭვი აღარ იყო, რომ წამოსასხამში გახვეული კაცი სწორედ გრაფი იყო.

სამივე ფანჯარა ჯერ კიდევ ცარიელი იყო.

ყველგან კარნავალისათვის ემზადებოდნენ, ალაგებდნენ სკამებს, აწყობდნენ ფიცარნაგებს, ამკობდნენ ფანჯრებს. სანამ ზარი არ დაჰკრავდა, ნიღბები ვერ ბედავდნენ გამოჩენას, ხოლო ეტლები — სეირნობას. მაგრამ იგრძნობოდა, რომ ნიღბები ფანჯრებს უკან იყვნენ დამალული, ხოლო ეტლები — კარებს უკან.

ფრანცი, ალბერი და გრაფი კორსოს მიჰყვებოდნენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ პიაცა-დელ-პოპოლოს, ბრბო უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. ბრბოს ზემოთ აღმართული იყო ობელისკი ჯვრით, რაც, იმას ნიშნავდა, რომ ეს მოედნის შუა ადგილი იყო, ხოლო სამი ქუჩის — ბაბუინოს, კორსოსა და რიპეტის გზაჯვარედინზე აღმართული იყო ემაფოტის ორი ბოძი, რომელთა შორის ელვარებდა გილიოტინის ნახევრად მრგვალი ნაჯახი.

ქუჩის კუთხეში მათ დაინახეს გრაფის სახლის მმართველი, რომელიც თავის ბატონს უცდიდა. ფანჯარა, რომელიც გრაფს ისე ძვირად ჰქონდა დაქირავებული, რომ არ უნდოდა ყმაწვილ კაცებს ეს გაეგოთ, იყო დიდი სასახლის მესამე სართულზე ვია დელ-ბაბუინოსა და მონტე-პინოს ქუჩებს შორის. ეს იყო რაღაც ტუალეტის კაბინეტის მსგავსი ოთახი, რომელიც საწოლ ოთახში გადიოდა. თუ საწოლი ოთახის კარი დაიკეტებოდა, ტუალეტის კაბინეტის მფლობელი, თითქოს შინ იყო, მაგიდაზე ეწყო ჯამბაზის თეთრი და ცისფერი ატლასისაგან შეკერილი მოხდენილი კოსტიუმები.

— რაკი თქვენ მე მომანდეთ კოსტიუმების არჩევა, ასეთები ავარჩიე. ჯერ ერთი, ამ წელიწადს ყველაზე მეტად ეს კოსტიუმებია მოდაში და მეორეც, ძალიან ხელსაყრელია კონფეტისათვის, ვინაიდან ფქვილი არ ემჩნევა.

ფრანცს თითქმის არც კი გაუგონია გრაფის სიტყვები; შეიძლება საკმარისად ვერც კი შეაფასა მისი თავაზიანობა, მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ სანახაობისადმი, რომელსაც წარმოადგენდა პიაცა-დელ-პოპოლო და იმ საშინელი ინსტრუმენტისაკენ, რომელიც ამჟამად მის მთავარ სამკაულს შეადგენდა.

ფრანცი პირველად ხედავდა გილიოტინას. ჩვენ ვამბობთ — გილიოტინას, რადგან რომაული «მანდადაია» ძალიან წააგავს საფრანგეთის სასიკვდილო იარაღს; მას აქვს ისეთივე ნახევარმთვარესავით მომრგვალებული ნაჯახი, რომელიც ჭრის ამოზენიქილი პირით, განსხვავება ისაა, რომ ის უფრო ნაკლები სიმაღლიდან ვარდება. მაგრამ ფიცარზე, რომელზედაც მსჯავრდადებულს აწვენენ, ორი კაცი იჯდა და, როგორც ფრანცმა გაარჩია, დასჯის მოლოდინში პურსა და ძებვს შეექცეოდნენ. ერთმა მათგანმა ფიცარი ასწია, იქიდან ღვინით სავსე ბოთლი ამოიღო, მოსვა და ამხანაგს მიაწოდა. ესენი იყვნენ ჯალათის თანაშემწეები. მათ შეხედვაზე ფრანცმა იგრძნო, რომ თმის ძირებში ოფლმა დაასხა.

მსჯავრდადებულები წინადლით ახალი ციხიდან სანტა-მარია-დელ-პოპოლოს პატარა ეკლესიაში გადაიყვანეს; მათ იქ მთელი ღამე მრავალი სანთლით განათებულ სამლოცველოში გაატარეს; თითოეულ მათგანს ორ-ორი მღვდელი ჰყავდა მიჩენილი, ისინი მათ სიკვდილისათვის ამზადებდნენ; ხოლო ეკლესიის წინ დარაჯები დადიოდნენ.

კარაბინერების ორი რიგი გამწვრივდა ეკლესიის კარიდან ეშაფოტამდე, რომლის გარშემო წრე შეიკრა; თავისუფალი დატოვეს მხოლოდ ათი ფუტი სიგანის გასასვლელი, ხოლო გილიოტინის ირგვლივ — ასიოდე ნაბიჯის ფართობი, მთელი დანარჩენი მოედანი ბრბოს ეჭირა, ბევრ ქალს ბავშვები მხრებზე შეესვა. ეს პატარა მაყურებლები საუკეთესოდ იყვნენ მოთავსებულები ეშაფოტის დასანახავად.

მონტე-პინჩო წააგავდა ვრცელ ამფითეატრს, რომლის ყველა საფეხურზე მაყურებლები იხდნენ. ორივე ეკლესიის აივნებზე ვია-დელ-ბაბუინოს და ვია-დი-რიპეტას კუთხეები სავსე იყო პრივილეგიური საზოგადოებით. კარიბჭეების საფეხურები ზღვის ტალღებს მოგაგონებდათ. კედლის ყოველი ნიში, რომელიც საკმაოდ ფართო იყო, რათა ზედ ადამიანი მოთავსებულიყო, — ცოცხალ ქანდაკებებს კვარცხლბეკის მაგივრობას უწევდა.

გრაფის სიტყვები გამართლდა: ცხოვრებაში სიკვდილზე უფრო საინტერესო სანახავი არაფერი ყოფილა. მაგრამ სიჩუმის მაგიერ, რომელიც შესაფერისი იყო ამ საზეიმო სანახაობისათვის, ბრბოდან მოისმოდა ხმამაღალი ხმაური, სიცილი, სტვენა და მხიარული შეძახილები; როგორც ჩანდა, გრაფი ამაშიც მართალი გამოდგა: სიკვდილით დასჯა ხალხისათვის მხოლოდ კარნავალის დასაწყისი იყო.

უცებ, თითქოს ჯადოსნური ძალის ზეგავლენით, ხმაური შეწყდა და ეკლესიის კარი გაიღო.

ჯერ გამოჩნდნენ მომნანიებელთა ძმობის ბერები, მათ ეცვათ ნაცრისფერი ტომრები, რომლებიც მხოლოდ თვალებთან იყო გამოჭრილი, ხელში ეჭირათ კელაპტრები, წინ მოუძლოდათ მეთაური.

მომნანიებელთა უკან მოდიოდა ძალიან მაღალი მამაკაცი, რომელიც თითქმის ტიტველი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტილოს მოკლე შარვალს. მარცხენა მხარეს ჩამოკიდებული ჰქონდა დიდი ქარქაშიანი დანა, ხოლო მარჯვენა მხარეს — რკინის მძიმე კეტი. ეს იყო ჯალათი. ფეხებზე ეცვა კანაფით კოჭებზე მიმაგრებული სანდლები.

ჯალათის უკან დასჯის რიგის მიხედვით პეპინო და ანდრეა მოდიოდნენ.

თითოეულ მათგანს ორ-ორი მღვდელი მოსდევდა, არც ერთსა და არც მეორეს თვალები ახვეული არ ჰქონდა. პეპინო საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა, როგორც ჩანდა, მას უკვე აცნობეს, რას უმზადებდნენ.

ანდრეას მღვდლები ხელს აშველებდნენ.

მსჯავრდადებულები დროდადრო ჰკოცნიდნენ ჯვარცმას.

მარტო მათი დანახვა იყო საკმარისი, რომ ფრანცს მუხლები მოკვეთოდა. მან ალბერს შეხედა, იგი თავის პერანგით თეთრი იყო; ალბერმა ნახევრამდე მოწეული სიგარა მექანიკურად გადაისროლა.

მხოლოდ გრაფი ჩანდა უგრძნობი. მიწისფერ ლოყებს სიწითლეც კი შეჰპარვოდა, ნესტოები ებერებოდა, როგორც მტაცებელ ცხოველს, რომელმაც სისხლის სუნი იგრძნო, ხოლო ნახევრად გაპოზილი ტუჩებიდან ტურასავით თეთრი, პატარა და წაწვეტებული კბილები უჩანდა.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მას სახეზე ნაზი ღიმილი დასთამაშებდა, რაც ფრანცს არასოდეს შეუმჩნევია, ის განსაკუთრებით მისმა ალერსიანმა, ხავერდოვანმა თვალებმა გააოცა.

მსჯავრდადებულები ემაფოტს უახლოვდებოდნენ და უკვე შეიძლებოდა მათი სახეების გარჩევა, პეპინო ოცდაოთხი თუ ოცდაექვსი წლის ლამაზი, მზისაგან გაშავებული სახის ყმაწვილი იყო. მას თავისუფალი და ველური გამოხედვა ჰქონდა, თავი მაღლა ეჭირა, თითქოს უყურებდა, რომელი მხრიდან მიიღებდა ხსნას.

ანდრეა სქელი და დაბალი კაცი იყო, მისი უხამსი და მკაცრი სახის მიხედვით ძნელი იყო ასაკის გარჩევა. მისთვის შეიძლებოდა დაახლოებით ოცდაათი წელი მიგეცათ. პატიმრობაში წვერები მოეშვა, თავი ერთ მხარეზე ჰქონდა გადახრილი, ფეხებს მიათრევდა, თითქოს მთელი მისი არსება მორჩილებით და მექანიკურად მოძრაობდა მისი ნების გარეშე.

— თქვენ, მგონია, ამბობდით, რომ მარტო ერთს სჯიანო, — უთხრა გრაფს ფრანცმა.

— არც მომიტყუებინებართ. — უთხრა ცივად გრაფმა.

— მსჯავრდადებული კი ორია.

— დიახ, ამ ორიდან ერთი ახლოა სიკვდილთან, მეორე კი დიდხანს იცოცხლებს.

— თუ ის უნდა შეიწყალონ, ახლა სწორედ დროა.

— ასეც არის; შეხედეთ, — თქვა გრაფმა.

მართლაც, როდესაც პეპინო ემაფოტს მიუახლოვდა, მომნანიებელმა, რომელსაც, როგორც ჩანდა, ოდნავ დაუგვიანდა, ჯარისკაცთა ალყა გაარღვია, ისე რომ იგი არ შეუჩერებიათ, ძმობის მეთაურს მიაუხლოვდა და ოთხად დაკეცილი ქაღალდი გადასცა. პეპინოს ანთებულ თვალებს ამ სცენის არც ერთი დეტალი არ გამოჰპარვია: ძმობის მეთაურმა ქაღალდი გაშალა, წაიკითხა და ხელი ასწია.

— კურთხეულ იყოს უფალი და ქება-დიდება მის უწმინდესობას პაპს! — წარმოთქვა მან ხმამაღლა და მკაფიოდ, — ერთი მსჯავრდადებული შეწყნარებულია.

— შეწყნარებული! — წამოიყვირა ბრბომ ერთხმად, — შეწყნარებული!

სიტყვა «შეწყნარებულის» გაგონებაზე ანდრეა თითქოს გამოფხიზლდა და თავი ასწია.

— ვინ არის შეწყნარებული? — დაიყვირა მან.

პეპინო ადგილზე გაშეშდა, მძიმედ ქშენდა და ხმას არ იღებდა.

— შეწყნარებულია პეპინო, როკვა პრიორად წოდებული, — თქვა ძმობის მეთაურმა და ქაღალდი გადასცა კარაბინერების უფროსს. ამ უკანასკნელმა წაიკითხა და უკან დაუბრუნა.

— პეპინო შეწყნარებულია! — წამოიყვირა ანდრეამ და აქამდე გარინდებული, ახლა გამოერკვა, — რატომ შეიწყნარეს იგი და არა მე? ჩვენ ორივენი უნდა მოვმკვდარიყავით, თქვენ აღმითქვით, რომ ის ჩემზე ადრე მოკვდებოდა; თქვენ უფლება არა გაქვთ, მარტო მე მომკლათ, მე არ მინდა მარტო მოვკვდე, არ მინდა!

ანდრეა ხელიდან გაუსხლტა მღვდლებს; ის იკლავებოდა, ღმუოდა, ღრიალებდა და ამოდ ცდილობდა, გაეგლიჯა თოკები, რომლითაც ხელები ჰქონდა შეკრული.

ჯალათმა თავის თანაშემწეებს ნიშანი მისცა, ისინი ემაფოტიდან წამოხტნენ და მსჯავრდადებულს ხელი სტაცეს.

— რა ხდება იქ? — ჰკითხა ფრანცმა გრაფს.

რაკი ყველა რომაულ დიალექტზე ლაპარაკობდა, ფრანცმა კარგად ვერ გაიგო, რაში იყო საქმე.

— რა ხდება იქ? — თქვა გრაფმა, — განა ვერ ხვდებით? აი, ის კაცი, ვინც ახლა უნდა მოკვდეს, მძვინვარებს იმის გამო, რომ მეორე მსჯავრდადებული მასთან ერთად არ კვდება. ნება რომ მისცენ, იგი იმ კაცს ფრჩხილებითა და კბილებით დაგლეჯდა, ოღონდ მისთვისაც წაერთმია სიცოცხლე, რომელსაც მას ართმევენ. ოჰ, ადამიანებო! ადამიანებო! ნიანგთა შთამომავლობავ, როგორც თქვა კარლ მოორმა, — წამოიძახა გრაფმა და ბრბოს მუშტები მოუღერა, — მე თქვენ გცნობთ, ყველა ეპოქაში თქვენ თქვენი თავის ღირსნი ხართ!

ანდრეა და ჯალათის თანაშემწეები მტვერში გორავდნენ; მსჯავრდადებული ყვირილს განაგრძობდა:

— ის უნდა მოკვდეს! მე მინდა, რომ ის მოკვდეს, თქვენ უფლება არა გაქვთ, მარტო მე მომკლათ!

— შეხედეთ, შეხედეთ, — თქვა გრაფმა და ყმაწვილ კაცებს მკლავებში ხელი წაავლო, — გეფიცებით, ღირს ამის დანახვა. აი, ადამიანი, რომელიც დაემორჩილა თავის ბედს, რომელიც მოდიოდა ემაფოტისაკენ, რათა მომკვდარიყო როგორც ლაჩარი, მაგრამ მოდიოდა წინააღმდეგობისა და საყვედურის გარეშე. იცით თქვენ, რა აძლევდა მას ძალას? რა ამშვიდებდა მას? იცით, რატომ ელოდა იგი მორჩილებით სიკვდილით დასჯას? იმიტომ, რომ მეორეც იზიარებდა მის ტანჯვას, იმიტომ რომ მეორეც უნდა მომკვდარიყო. იმიტომ რომ მეორე მასზე ადრე უნდა მომკვდარიყო, მიუყვანეთ ორი ცხვარი ყასაბს, მიიყვანეთ ორი ხარი სასაკლაოზე და ერთ მათგანს აგრძნობინეთ, რომ მისი ამხანაგი არ მოკვდება, ცხვარი და ხარი სიხარულისაგან აბლავლდებიან, ხოლო ადამიანი, რომელსაც ღმერთმა თავისი სახე მისცა, ადამიანი, რომელსაც ღმერთმა მოყვასთა სიყვარული ჩააგონა, როგორც პირველი, ერთადერთი, უმაღლესი კანონი, ადამიანი, რომელსაც ღმერთმა ენა მისცა იმისთვის, რომ თავისი აზრები გამოხატოს, — რას წამოიძახებს, როცა გაიგებს, რომ მისი ამხანაგი გადარჩენილია? — წყევლა-კრულვას. დიდება ადამიანს, ბუნების შედეგს, ქმნილებათა მეფეს.

და გრაფმა გაიცინა ისე საშინლად, როგორც შეუძლია გაეცინოს ადამიანს, რომელსაც ბევრი ტანჯვა გამოუვლია.

ბრძოლა გილიოტინასთან გრძელდებოდა. ეს სანახაობა საშინელი საყურებელი იყო: ჯალათის თანაშემწეები ანდრეას ემაფოტზე მიათრევდნენ. მან თავის წინააღმდეგ აამხედრა მთელი ბრბო და ოცი ათასი ხმა ყვიროდა: «სიკვდილი, სიკვდილი მაგას!»

ფრანცმა უკან დაიხია, მაგრამ გრაფმა ხელახლა მკლავში სტაცა ხელი და ფანჯარასთან გაჩერდა.

— რა მოგდით? — ჰკითხა მან, — გეცოდებათ? ვერაფერს იტყვი, სწორედ მართებული სიბრალულია. თქვენ რომ გითხრან, თქვენი ფანჯრის ქვეშ ცოფიანი ძაღლი დარბისო, თოფს ხელს სტაცებდით, ქუჩაში გამოვარდებოდით და შეუბრალებლად მოჰკლავდით იმ

ძალს, რომელიც, ალბათ, მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ მას სხვა ცოფიანმა ძაღლმა უკბინა, და ჩადის იმასვე, რაც სხვამ გაუკეთა; აი, აქ კი თქვენ გეცოდებათ ადამიანი, რომლისთვისაც არავის უკბენია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მოკლა თავისი კეთილისმყოფელი; და აი, ახლა, რაკი მას სხვისი მოკვლა აღარ შეუძლია, იმიტომ რომ ხელები შეკრული აქვს, გამმაგებით მოითხოვს მასთან სატუსალოში მყოფი ამხანაგის მოკვლას. ერთი შეხედეთ, შეხედეთ!

გრაფის ეს წაქეზება თითქმის ზედმეტი იყო, ფრანცი თვალს ვერ აშორებდა ამ საშინელ სანახაობას. ჯალათის თანაშემწეებმა მსჯავრდადებული ეშაფოტზე აათრიეს და წინააღმდეგობის, კბენისა და ყვირილის მიუხედავად, აიძულეს დაჩოქილიყო. კეტიანი ჯალათი გვერდით დაუდგა. მან ნიშანი მისცა და თანაშემწეები მოშორდნენ, მსჯავრდადებულს წამოდგომა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო, რკინის კეტი ყრუდ მოხვდა მარცხენა საფეთქელში. ანდრეა ხარვიით პირქვე დაენარცხა, შემდეგ ზურგზე შემოტრიალდა, მაშინ ჯალათმა რკინის კეტი გადააგდო, ქარქაშიდან დანა ამოიძრო, ერთი დარტყმით ყელი გამოსჭრა, ფეხით მუცელზე შედგა და თელვა დაუწყო. ფეხის ყოველ დაჭერაზე გამოღადრული ყელიდან სისხლის ნაკადი სჩქეფდა.

ფრანცმა მეტს ვეღარ გაუძლო, ოთახში შებრუნდა და სავარძელში თითქმის გულწასული ჩავარდა.

ალბერმა თვალეები დახუჭა და ფანჯრის ფარდას ჩაებლაუჭა
გრაფი კი თავაწეული იდგა და ბოროტების ანგელოზივით ზეიმობდა.

XV

კარნავალი რომში

როდესაც ფრანცი გონს მოვიდა, დაინახა, რომ ფერმიხდილი ალბერი წყალს სვამდა, გრაფი კი უკვე ჯამბაზის კოსტიუმს იცვამდა. ფრანცმა უნებურად მოედნისაკენ გაიხედა; ეშაფოტი, ჯალათები, დასჯილი — ყველაფერი გამქრალიყო; დარჩენილიყო მხოლოდ ახმაურებული, მოუსვენარი, მხიარული ბრბო, მთელი ხმით გუგუნებდა მონტე-ჩიტორიოს ზარი, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ ან პაპის სიკვდილს, ან კარნავალის გახსნას იუწყება.

— რა ხდება? — ჰკითხა მან გრაფს.

— არაფერი, როგორც ხედავთ, არაფერი; კარნავალი დაიწყო, აბა, ჩქარა ჩავიცვათ!

— საოცარია, — თქვა ფრანცმა, — საშინელი სურათი სიზმარივით გაქრა.

— დიახ, ეს მართლაც სიზმარი იყო, კომმარო, რომელიც თქვენ მოგეჩვენათ.

— მე დიახ, მაგრამ მსჯავრდადებულს?

— მასაც ასევე: განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მან საუკუნოდ მიიძინა, თქვენ კი გაიღვიძეთ; ვის შეუძლია თქვას, რომელი თქვენგანია უფრო ბედნიერი!

— პეპინო? პეპინოს რა მოუვიდა?

— პეპინო გონიერი ყმაწვილია. მას სულ მცირე თავმოყვარეობაც კი არ გააჩნია; იმის მაგივრად, რომ ნაწყენი დარჩენილიყო, რატომ დამივიწყესო, პირიქით, ისარგებლა ამ შემთხვევით, ბრბოში გაერია და გაქრა, ისე რომ მადლობაც კი არ გადაუხდია პატივცემული მღვდლებისათვის, რომლებმაც იგი ეშაფოტამდე მიაცილეს. ადამიანი მართლაც რომ ეგოისტი და უმადური ცხოველია... აბა, ჩაიცვით, ჩემო კარგო, ხომ ხედავთ, ბატონი დე მორსერი მაგალითს გაძლევთ.

— რას იტყვი, ალბერ, — ჰკითხა მას ფრანცმა, — ხარ თუ არა სისულელეების ჩადენის გუნებაზე? ოღონდ იცოდე, სიმართლე მითხარი.

— არა, — უპასუხა ალბერმა, — მაგრამ სინამდვილეში მოხარული ვარ, რომ ყოველივე ეს ვნახე. მე ვეთანხმები გრაფს; თუკი ერთხელ ძალა გეყოფა, ასეთი რამ ნახო, მაშინ იგი ერთადერთი იქნება, რაც შეძლებს, შენში აღზნება გამოიწვიოს.

— თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანის ხასიათის შესწავლა, — თქვა გრაფმა, — სიკვდილი ემაფოტის პირველ საფეხურზევე ადამიანს ხდის ნიღაბს, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა, მაშინ გამოჩნდება ხოლმე მისი ნამდვილი სახე. უნდა გამოვტყდეთ, რომ ანდრეას სახე კარგი შესახედავი არ იყო... ის საზიზღარი, ის გაიძვერა... აბა, ჩაიცვით, ბატონებო, ჩაიცვით.

ფრანცის მხრივ სასაცილო იქნებოდა, მიამიტობა გამოეჩინა და თავისი თანამგზავრებისათვის არ მიეზამა. მან ჩაიცვა კოსტიუმი, აიფარა ნიღაბი, რომელიც მის სახეზე უფრო ფერმკრთალი როდი იყო. შემდეგ დაბლა ჩავიდნენ. კარებთან ელოდათ კანფეტებითა და თაიგულებით სავსე ეტლი.

ძნელია წარმოიდგინო იმაზე მეტი საწინააღმდეგო ცვლილება, რომელიც ახლა მომხდარიყო, პირქუში და მდუმარე სიკვდილის სურათის ადგილი პიაცა-დე-პოპოლოზე მხიარულ და ხმაურიან ორგას დაეჭირა. ნიღბები ზღვასავით მოსდებოდნენ მოედანს, გამოსულიყვნენ ყოველი მხრიდან, ძვრებოდნენ ფანჯრებიდან. ყოველი ქუჩის კუთხეებიდან მოემართებოდნენ პიეროებით, არლეკინებით, ტრანსტიბრელებით, დომინოებით, მარკიზებით, რაინდებით და გლეხებით დატვირთული ეტლები, ისინი ყველანი ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ, ისროდნენ ფქვილით სავსე კვერცხებს, კანფეტებს, თაიგულებს, სახუმარო სიტყვებსა და სატყორცნ ჭურვებს ესროდნენ მეგობრებსა და უცხოებს, მაგრამ არავის ჰქონდა უფლება, გაბრაზებულიყო, ყველანი სიცილით უპასუხებდნენ.

ფრანცი და ალბერი წააგავდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც დიდი მწუხარების გასაქარვებლად დუქანში მიიყვანეს, თანდათან თვრებიან და გრძნობენ, რომ წარსული ნისლით იბურება. ისინი ჯერ კიდევ ახლახან ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ, მაგრამ თანდათან მათაც გადაედო მხიარულება. ასე ეგონათ, გონება გვალაატობსო. მათ უცნაური სურვილი დაებადათ: ამ ხმაურსა, აურზაურსა და გრიგალში გადავარდნილიყვნენ. მეზობელი ეტლიდან გადმოსროლილი კანფეტები მტვერივით შეეყარა მორსერსა და მის თანამგზავრებს, ალბერმა კისერში და ნიღბით დაუფარავ სახის ნაწილზე ისეთი ჩხვლეტა იგრძნო, თითქოს ასობით ქინძისთავი ესროლესო. ამ გარემოებამ აიძულა, თვითონაც მიედო მონაწილეობა ამ ბრძოლაში, რომელშიც უკვე ჩაბმულიყვნენ ყველა შემხვედრი ნიღბები. ისიც, როგორც ყველა სხვა, ეტლში წამოდგა, ტომარაში ხელი ჩაყო, ღონე მოიკრიბა, მთელი სიმარჯვე გამოიყენა და თავის მხრივ მეზობლებს კვერცხები და დრაჟე სტყორცნა.

დაიწყო გაცხოველებული ბრძოლა. ნახევარი საათის წინ ნანახი სცენის მოგონება ორივე ყმაწვილის გონებიდან უკვალოდ წარიშალა. ამ ჭრელმა, ცვალებადმა, თავბრუდამხვევმა სურათმა, რომელიც მათ თვალწინ გადაიშალა, მთლიანად შთანთქა მათი გონება. რაც შეეხება გრაფ მონტე-კრისტოს, როგორც უკვე ვთქვით, სიკვდილით დასჯის დროს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სიმშვიდე.

მართლაც, წარმოიდგინეთ კორსოს დიდი და ლამაზი ქუჩა — ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე გამწვრივებულ ხუთ, ექვსსართულიანი სახლებით, ხალიჩებით მორთული აივნებით და მაუდით მოფარდაგებული ფანჯრებით. აივნებზე და ფანჯრებზე სამასი ათასი მაყურებელი — რომაელები, იტალიელები, ყველა ქვეყნიდან მოსული უცხოელები. ნარევი მთელი არისტოკრატისა — არისტოკრატთა სისხლის, ფულისა და ტალანტისა. ამ სურათით მოხიბლული მშვენიერი ქალები აივნებიდან იყურებოდნენ,

ფანჯრებიდან იხედებოდნენ და ეტლებს კანფეტებს აყრიდნენ, რაზედაც მათ თაიგულებით უპასუხებდნენ. ჰაერში წვიმასავით წამოსული დრაჟეებისა და ზევით ატყორცნილი თაიგულების კორიანტელი იდგა, ხოლო ქვაფენილები გაჭედული იყო მხიარული, გიჟმაჟი ბრბოთი, რომელიც მეტად უცნაურ კოსტიუმებში გამოწყობილიყო. გიგანტური მოსეირნე კომბოსტოები; ადამიანის ტანზე აბლავლებული კამეჩის თავები, უკანა თათებით მოსიარულე ძაღლები! უცებ, მთელ ამ არეულობაში აწეულ ნიღაბქვეშ, როგორც ეს წმინდა ანტონის ცდუნებაშია, კალოს¹ (წმინდა ანტონი — სახელგანთქმული თეზაიდელი ასკეტი, რომელმაც უდაბნოში მრავალ ცდუნებას გაუძლო; მისი ცხოვრების აღწერამ საზრდო მისცა ხალხურ ლეგენდებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს (251—356).

— კალო — ფრანგი გრავიორი და მხატვარი, ფანტასტიკური სურათების ავტორი (1592—1635).) რომ მოელანდა — გამოკრთებოდა რომელიმე ასტარტას მომხიბვლელი სახე, რომელსაც უკან გამოუდგები, მაგრამ გზას გიღობავენ ეშმაკები, სწორედ ისეთები, ღამით რომ ესიზმრებათ ადამიანებს. აი, ყოველივე ამის შემდეგ ოდნავი წარმოდგენა მაინც შეგიძლიათ იქონიოთ, თუ რა არის კარნავალი რომში.

მეორეჯერ შემოვლის შემდეგ გრაფმა თანამგზავრებს ეტლი გააჩერებინა და სთხოვა: ნება მომეცით, დაგტოვოთ და ეტლი თქვენს განკარგულებაში გადმოგცეთო. ფრანცმა თავი ასწია და დაინახა პალაცო როსპოლის ფასადი. შუა ფანჯარაში, რომელზედაც გაყოლებული იყო თეთრი ქამხა წითელი ჯვრით, მოჩანდა ცისფერი დომინო, ამ დომინოს ქვეშ ფრანცმა მაშინვე წარმოიდგინა არჯენტინის თეატრში ნანახი ლამაზი ბერძენი ქალი.

— ბატონებო, — თქვა გრაფმა ეტლიდან გადმოხტომისას, — როდესაც მსახიობებად ყოფნა მოგწყინდებათ და ისურვებთ მაყურებლები გახდეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ ადგილები გელოდებათ ჩემ ფანჯრებთან, მანამდე კი თქვენს განკარგულებაშია ჩემი მეეტლე, ეტლი და მსახურები.

ჩვენ დაგვაავიწყდა გვეთქვა, რომ გრაფის მეეტლე შავი დათვის სამოსელში იყო გამოწყობილი, ზუსტად ისე, როგორც მსახიობი ოდრი «დათვსა და ფაშაში»¹ («დათვი და ფაშა» — სკრიბისა და სენტინის ერთაქტიანი ვოდევილი.) ხოლო სატერფულზე მდგომი ორი მსახური მწვანე მაიმუნებივით იყვნენ გამოწყობილები. მათ ნიღბებს ზამბარები ჰქონდა, რომელთა წყალობით ისინი გამვლელ-გამომვლელებს ემანჭებოდნენ.

ფრანცმა ასეთი თავაზიანი წინადადებისათვის მადლობა გადაუხადა გრაფს, ალბერი კი ამ დროს იმით იყო გართული, რომ თაიგულებს ესროდა ეტლს, რომელშიც კოპწია გლეხის ქალები ისხდნენ.

საუბედუროდ, ეტლების ნაკადი ისევ ამოდრავდა და იმ დროს, როცა ალბერი პიაცა-დელ-პოპოლოსაკენ მიჰქროდა, ეტლი, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო, ვენეციის სასახლისაკენ გაჭენდა.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, უთხრა მან ფრანცს, — არ დაგინახავთ?

— რა?

— აგერ, რომელი გლეხის ქალებით სავსე ეტლი რომ მიჰქრის.

— არა.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მომხიბლავი ქალები არიან.

— რა სამწუხაროა, რომ ნიღაბაფარებული ხართ, — უპასუხა ფრანცმა, — სწორედ შესაფერი მომენტი იყო, ამდენი სატერფილო მარცხი გამარჯვებით აგენაზღაურებინათ.

— მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ კარნავალი მართლაც მომიტანს გამარჯვებას, — უთხრა ალბერმა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად.

ამ იმედის მიუხედავად, ალბერი ამ დღეს არც ერთ სამიჯნურო ფათერაკს არ გადაჰყრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე შეხვედრას იმ ეტლთან, რომელშიც რომელიღაც გლეხის ქალები ისხდნენ. ერთი ასეთი შეხვედრის დროს, შემთხვევით იყო ეს თუ განზრახ, ალბერს ნიღაბი შემოეხსნა.

მაშინ ალბერმა ხელი სტაცა დარჩენილ თაიგულებს და ეტლში გადაისროლა.

ეჭვი არ არის, რომ ერთ-ერთი ამ ქალთაგანი, რომელიც ალბერს მომხიბვლელად ჰყავდა წარმოდგენილი, ნასიამოვნები დარჩა ყურადღებით, იმიტომ რომ, როცა მისი ეტლი ყმაწვილ კაცებს გაუსწორდა, მან თავის მხრივ ალბერს იების თაიგული ესროლა.

ალბერმა თაიგულის დასაჭერად ხელები გასწია, რადგან ფრანცს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ეფიქრა, ეს ყვავილები მე მეკუთვნისო. მან ალბერს ხელი არ შეუშალა, იების კონას დაუფლებოდა. ალბერმა გამარჯვებული იერით იები ღილის კილოში გაიჩქო და ეტლმა ტრიუმფით გზა განაგრძო.

— აი, სამიჯნურო ფათერაკის დასაწყისი, — წამოიძახა ფრანცმა.

— რამდენიც გინდოდეთ, იმდენი იცინეთ, — უპასუხა ალბერმა, — მე კი ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა და ამ თაიგულს მე აღარ მოვიშორებ.

— ეშმაკმა დალახვროს, თუ ასე არ მოიქცევი, ერთმანეთს როგორღა იცნობთ.

მაღე ხუმრობამ სინამდვილის ხასიათი მიიღო, როდესაც ფრანცი და ალბერი ხელახლა შეხვდნენ იმ ეტლს. ალბერის ღილის კილოში დამაგრებული თაიგულის დანახვაზე უცნობმა ქალმა ტაში შემოჰკრა.

— ბრავო, ბრავო, ჩემო ძვირფასო, — შესძახა მას ფრანცმა, — ყველაფერი საუცხოოდ ეწყობა! გსურთ დაგტოვოთ, იქნება თქვენთვის მარტო ყოფნა უფრო სასიამოვნოა.

— არა, ნუ ავჩქარდებით, არ მინდა იფიქროს, რომ საკმარისია ერთი თითის დაქნევა, რათა პაემანზე გავჩნდე საათის ქვეშ. თუ მშვენიერ გლეხის ქალს უნდა, ჩვენი რომანი უფრო შორს წავიდეს, ჩვენ, მას ხვალ ვიპოვით, ან, უფრო სწორად, იგი თვითონ მოგვძებნის, ის მე თავს გამახსენებს და მე გადავწყვეტ, როგორ ვიმოქმედო.

— ყოჩაღ, ალბერ, თქვენ ნესტორივით ბრძენი ხართ და ულისესავით კეთილგონიერი, და თუ თქვენი ცირცია¹ (¹ ცირცია – ზღაპრული ჯადოქარი ქალი, რომელმაც თავის სამყოფელოში, კუნძულზე მისული ოდისევსის თანამგზავრები ღორებად აქცია, რათა ოდისევსისათვის ხელი შეეშალა, გზა განეგრძო.) შეძლებს, რომელიმე ცხოველად გაქციოთ, ის ან ძალიან მოხერხებული ყოფილა, ან ყოვლისშემძლე.

ალბერი მართალი გამოდგა; მშვენიერ უცნობს, როგორც ეტყობოდა, გადაეწყვიტა, რომ დღეისათვის სამიჯნურო თამაში ამით დაემთავრებინა. ყმაწვილმა კაცებმა კიდევ რამდენჯერმე შემოუარეს ირგვლივ, მაგრამ ამაოდ, მათი თვალები ვეღარ პოულობდნენ ეტლს, რომელსაც ისინი ეძებდნენ. უეჭველი იყო, ეს ეტლი რომელიმე გვერდითი ქუჩით მიიშალა.

მაშინ მეგობრები პალაცო როსპოლიში დაბრუნდნენ, მაგრამ აქ უკვე აღარ დაუხვდათ არც გრაფი და არც ცისფერი დომინო. ეს უკანასკნელი გრაფთან ერთად გამქრალიყო. ყვითელ ქამხიან ფანჯარასთან ჯერ ისევ იდგნენ მაყურებლები. ისინიც, ალბათ, გრაფის მიერ იყვნენ მოწვეულები.

ამ წუთში იმავე ზარმა, რომელმაც წინათ კარნავალის დაწყება აუწყა, ახლა მისივე დამთავრება ამცნოთ. კორსოზე ეკიპაჟების ჯაჭვი იმ წუთშივე გაწყდა და ეტლები გვერდით ქუჩებში მიიშალნენ.

ფრანცი და ალბერი სწორედ ვია-დელე-მარატეს პირდაპირ იყვნენ.

მეეტლემ სიტყვის უთქმელად კუთხეში ჩაუხვია. პალაცო პოლი უკან მოიტოვა, პიაცა-დი-სპანიაზე გავიდა და სასტუმროსთან გაჩერდა.

ბატონი პასტრინი თავის სტუმრებს კარის ზღურბლზე გამოეგება.

ფრანცის პირველი საზრუნავი ის იყო, რომ გრაფის ამბავი გაეგო და თავისი სინანული გამოეთქვა იმის გამო, რომ მას დვერ მოუსწრეს. მაგრამ ბატონმა პასტრინიმ იგი დაამშვიდა: გრაფმა მონტე-კრისტომ ახალი ეტლი შეუკვეთა, რომელმაც მას პალაცო როსპოლში ოთხ საათზე მოაკითხაო. გარდა ამისა, გრაფს მისთვის დაევალებინა, ყმაწვილი კაცებისათვის გადაეცა თავისი ლოჟის გასაღები არჯენტინის თეატრში.

ფრანცმა ალბერს ჰკითხა, რა გეგმები გაქვსო, მაგრამ ალბერი უფრო ერთი განზრახვის შესრულებაზე ფიქრობდა, ვიდრე თეატრში წასვლაზე. იმის მაგივრად, ფრანცისათვის პასუხი გაეცა, ბატონ პასტრინის ჰკითხა — მკერავს ხომ ვერ მიშოვითო.

— მკერავს, რად გინდათ? — განცვიფრდა სასტუმროს პატრონი.

— იმიტომ, რომ ხვალისათვის რაც შეიძლება მოხდენილი რომაელი გლეხის ტანისამოსები შგვიკეროს.

პატრინიმ თავი გააქნია.

— როგორ, ხვალისათვის ორი ხელი ტანისამოსი? — შეჰყვირა სასტუმროს პატრონმა, — ბოდიშს ვიხდი თქვენი აღმატებულების წინაშე, მაგრამ ეს წმინდა ფრანგული სურვილია. ორი კოსტიუმი კარნავალის მთელი კვირის განმავლობაში? თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ მკერავს, რომელიც დაგთანხმდებათ, ჟილეტზე ექვსი ლილი დაგიკეროთ, თუნდაც თითოში მთელი სკუდი შეამლიოთ.

— მაშ, უარი უნდა ვთქვათ ასეთ ტანისამოსზე?

— არა, რატომ, შეიძლება გამზადებული კოსტიუმების შეძენა. ეგ საქმე მე დავამალეთ და ხვალ დილას, გამოიღვიძებთ თუ არა, სკამზე დაგხვდებათ ქუდების, ქურთუკებისა და შარვლების მთელი კოლექცია, რითაც, მერწმუნეთ, კმაყოფილი დარჩებით.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა ფრანცმა ალბერს, — ვენდოთ ჩვენს მასპინძელს, მან უკვე დაგვიმტკიცა, რომ მარჯვე კაცია. მაშ, მოდი, დამშვიდებით ვისადილოთ, შემდეგ კი მოვისმინოთ «იტალიელი ქალი ალჟირში».

— დაე, ასე იყოს, მოვისმინოთ ეგ ოპერა, მაგრამ გახსოვდეთ, ბატონო პასტრინი, — მიუბრუნდა იგი კვლავ სასტუმროს პატრონს, — რომ ჩემთვისაც და ჩემი მეგობრისთვისაც აუცილებელია ის ტანისამოსი, რომელიც მე გთხოვთ.

სასტუმროს პატრონმა ერთხელ კიდევ დაუდასტურა — თქვენს აღმატებულებებს არაფერი აქვთ შესაწუხებელი, ყველაფერი თქვენი სურვილისამებრ შესრულდებაო. ამის შემდეგ ფრანცი და ალბერი თავიანთ ოთახებში დაბრუნდნენ, რათა ჯამბაზების ტანისამოსი გამოეცვალათ.

ალბერმა ტანისამოსის გახდისას დიდი იის კონა სიფრთხილით შეინახა. ამ ნიშნით მომხიბვლელ გლეხის ქალს იგი მეორე დღეს უნდა ეცნო.

მეგობრები სუფრას შემოუსხდნენ. ალბერმა ყურადღება მიაქცია იმ განსხვავებას, რომელიც ბატონ პასტრინის და გრაფ მონტე-კრისტოს სამზარეულოს შორის არსებობდა. ფრანცი იმისდა მიუხედავად, რომ გრაფს რაღაც უცნაური წინაზრახვით ეპყრობოდა, იძულებული იყო სინდისის ქვეშ ეღიარებინა, რომ ეს შედარება სრულებითაც არ მეტყველებდა ბატონ პასტრინის სასარგებლოდ. როდესაც მეგობრები დესერტს შეექცეოდნენ, მათთან გრაფის მსახური შემოვიდა, მას უნდოდა გაეგო, როდის ინებებდნენ ყმაწვილი კაცები ეტლს. ფრანცმა და ალბერმა ყოყმანით გადახედეს ერთმანეთს, მსახური მიუხვდა.

— მისმა აღმატებულებამ გრაფმა მონტე-კრისტომ, — თქვა მან, — ბრძანება გასცა, რომ ეტლი მთელი დღის განმავლობაში თქვენს განკარგულებაში იყოს. ასე რომ, თქვენს აღმატებულებებს შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ იგი.

ყმაწვილმა კაცებმა გადაწყვიტეს, ბოლომდე ესარგებლათ გრაფის თავაზიანობით და განკარგულება გასცეს, ეტლში ცხენები შეებათ, თვითონ კი კოსტიუმების

გამოსასცვლელად წავიდნენ, რადგან იმ ბრძოლას, რომელშიც ისინი მონაწილეობას იღებდნენ, ამათი ტანისამოსი რამდენადმე დაეჭმუჭნა.

როდესაც ტანისამოსის გამოცვლა დაამთავრეს, თეატრში გაემგზავრნენ და გრაფის ლოჯაში მოთავსდნენ.

პირველი მოქმედების დროს თავის ლოჯაში შევიდა გრაფინია გ... თავდაპირველად მან იქითკენ გაიხედა, სადაც წინა საღამოს გრაფი იჯდა, იქ მის მაგიერ ქალმა ფრანგი მეგობრები დაინახა. ისინი ისხდნენ იმ კაცის ლოჯაში, რომლის შესახებაც მან ფრანცის წინაშე ოცდაოთხი საათის წინ ასეთი უცნაური შეხედულება გამოთქვა.

ქალი ჭოგრიტით ისე დაჟინებით უყურებდა ფრანცს, რომ ამ უკანასკნელმა იგრძნო, ჩემ მხრივ მეტისმეტი სიმკაცრე იქნება, თუ ახლავე არ დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობაო. ყმაწვილმა კაცებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ იტალიის თეატრების პრივილეგიით, რომლის წყალობით მათ უფლება ეძლეოდათ მაყურებელთა დარბაზი თავის საკუთარ სასტუმრო დარბაზად გადაეყვიათ, წამოდგნენ და თავიანთი ლოჯა მიატოვეს, რათა გრაფინიასადმი თავიანთი პატივისცემა გამოეხატათ.

შევიდნენ თუ არა მის ლოჯაში, გრაფინიამ ფრანცს თავის გვერდით საპატიო ადგილი ანიშნა.

ალბერი უკან დაჯდა.

— მაშ ასე, — უთხრა გრაფინიამ ფრანცს, ისე რომ დაჯდომა არც კი აცალა, — თქვენ, როგორც ჩანს, ძალიან დააჩქარეთ ახლად მოვლენილი ლორდ რუტკენის გაცნობა და კიდევაც დაუმეგობრდით.

— არც ისე ჩქარა, როგორც თქვენ ფიქრობთ, ქალბატონო მაგრამ იმის უარყოფა კი არ შემძლია, რომ მთელი დღის განსმავლობაში მისი თავაზიანობით ვსარგებლობდით.

— როგორ თუ მთელი დღის განმავლობაში?

— დიახ, მთელი დღის; დილით მასთან ვისაუზმეთ, დღისით კორსოზე მისი ეტლით დავსეირნობდით, ხოლო ახლა, საღამოთი, მის ლოჯაში ვსხედვართ.

— მაშ, თქვენ მას იცნობთ?

— ვიცნობ და არც ვიცნობ.

— როგორ?

— ეს გრძელი ისტორიაა...

— მომიყვებით?

— ეს თქვენ შეგაშინებთ.

— აი, სწორედ ეგ არის კარგი.

— ყოველ შემთხვევაში, კვანძის გახსნამდე დაიცადეთ.

— კარგი, მე მიყვარს დამთავრებული ამბები. მაგრამ მანამდე ის მაინც მითხარით, სად შეხვდით ერთმანეთს, ვინ გაგაცნოთ?

— არავინ. ის თვითონ გაგვეცნო.

— როდის?

— გუშინ საღამოს, მას შემდეგ, როდესაც ჩვენ ერთმანეთს დავცილდით.

— ვისი მეშვეობით?

— ღმერთო ჩემო, ჩვენი სასტუმროს მეტად პროზაული პატრონის მეშვეობით.

— მაშ, ისიც სასტუმრო «ლონდონში» ცხოვრობს?

— არათუ სასტუმროში, არამედ იმავე სართულზე ცხოვრობს, რომელზედაც ჩვენ ვართ.

— რა ჰქვია? უეჭველია თქვენ იცით მისი გვარი...

— რასაკვირველია, გრაფი მონტე-კრისტო.

— ეგ რა არის? ეგ ნამდვილი გვარი არაა.

— არა, ეს იმ კუნძულის სახელია, რომელიც მან იყიდა.

— გრაფია?

— ტოსკანელი გრაფი.

— კარგი, ამასაც შევურიგდეთ, — უთხრა მას გრაფინიამ, რომელიც ვენეციის ერთ-ერთ უძველეს გვარს ეკუთვნოდა, — კი მაგრამ, რა კაცია იგი?

— ჰკითხეთ ვიკონტ დე მორსერს.

— გესმით, ბატონო მორსერ, მე თქვენთან მგზავნიან, — უთხრა მას გრაფინიამ.

— ჩვენ მეტისმეტ მიზეზიანობას გამოვიჩინეთ, ქალბატონო, თუ ვიტყვით, რომ იგი მომხიბვლელი არაა, — უპასუხა მას ალბერმა, — ათი წლის მეგობარიც კი არ გაგვიკეთებდა იმას, რაც მან გაგვიკეთა და ამავე დროს ისეთი სიამოვნებით, ისეთი თავაზიანობითა და მგრძობიარობით, რაც ნამდვილად ამჟღავნებს, რომ ის მაღალი წრის კაცია.

— აი, ნახავთ, — თქვა სიცილით გრაფინიამ, — თუ ჩემი ვამპირი ვინმე ახლად გამდიდრებული ვიგინდარა არ აღმოჩნდეს, რომელსაც სურს აპატიონ მისი მიოლიონები და ამიტომ ცდილობს ლარას¹ (!ლარა— ბაირონის ერთ-ერთი ცნობილი პოემის გმირი, რომელიც არავითარ ზნეობრივ ნორმას არ ცნობს, გარდა თავისი ვნებათა ღელვის კარნახისა.) დაემსგავსოს, რათა როტშილდში არ შეეშალოთ. თქვენ ის ქალი ნახეთ?

— რომელი ქალი? — ჰკითხა ფრანცმა ღიმილით.

— გუშინდელი მზეთუნახავი ბერძენი.

— არა, მაგრამ, ჩვენ, მგონი, მისი ბარბითის ხმები გავიგონეთ. თვითონ კი უხილავი იყო.

— როდესაც თქვენ, ჩემო ძვირფასო ფრანც, ამბობთ, უხილავიო, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყუილუბრალოდ ჰქმნით საიდუმლოებას; როგორ გგონიათ, მაშ, ვინ იყო ის ცისფერი დომინო, ყვითელ ქამხაშემოვლებულ ფანჯარასთან რომ იჯდა.

— სად იყო ეგ ფანჯარა? — იკითხა გრაფინიამ.

— პალაცო როსპოლიში.

— მაშ, გრაფს პალაცო როსპოლიში სამი ფანჯარა ჰქონდა?

— დიახ, თქვენ იყავით კორსოზე?

— ვიყავი.

— იქნება შეამჩნიეთ ყვითელ ქამხაშემოვლებული ორი ფანჯარა, შუაში კი თეთრი ქამხა წითელი ჯვრით? ეს სამი ფანჯარა გრაფს ეკუთვნის.

— ჰო, ეს კაცი ნამდვილი ნაბობი ყოფილა! იცით, რა ღირს ეს სამი ფანჯარა კარნავალის დროს და ისიც პალაცო როსპოლიში, საუკეთესო ადგილი კორსოზე?

— ორასი თუ სამასი რომაული სკუდი.

— უკეთესია თქვათ, ორი თუ სამი ათასი.

— ეშმაკმა დალახვროს!

— ასეთ შემოსავალს მას თავისი კუნძული აძლევს?

— მისი კუნძული? იგი მას ერთ გროშსაც არ აძლევს.

— მაშ, რისთვის იყიდა?

— ფანტაზიის კარნახით.

— მაშ, ის ორიგინალია?

— უნდა გამოგიტყდეთ, — თქვა ალბერმა, — რომ რამდენადმე უცნაურად მეჩვენა. ის რომ პარიზში ცხოვრობდეს და საზოგადოებაში გამოდიოდეს, ვიტყოდი, ეს კაცი მასხარა ან გაიძვერაა, რომელიც ლიტერატურამ დაღუპა-მეთქი. დღეს ისეთი მონოლოგები წარმოთქვა, რომლებიც დიდებს ან ანტონის ღირსია¹ (! ანტონი — ალექსანდრე დიუმას

(მამის) რომანტიკული დრამის მთავარი გმირი, საბედისწერო ვნებათაღელვით გამსჭვალული.)

ამ დროს ლოჟაში შემოვიდა ახალი სტუმარი და ფრანცმა, ჩვეულების თანახმად, ადგილი მას დაუთმო. საუბარმა სხვა ხასიათი მიიღო.

ერთი საათის შემდეგ მეგობრები სასტუმროში დაბრუნდნენ. ბატონ პასტრინის უკვე ეზრუნა მათ ტანისამოსზე და არწმუნებდა, უკმაყოფილონი არ დარჩებით ჩემი თადარიგითო.

მართლაც, მეორე დღეს იგი ფრანცის ოთახში შევიდა მკერავთან ერთად, რომელსაც მკლავზე გადაკიდებული ჰქონდა რომაელი გლეხის რვა თუ ცხრა ხელი ტანსაცმელი. მეგობრებმა ტანზე მოირგეს ერთნაირი ტანისამოსი და სასტუმროს პატრონს დაავალეს, თითოეულ ქუდზე ოც-ოცი მეტრი სიგრძის ბაფთები დაეკერებინა და ამავე დროს ეპოვა ორი ჭრელზოლებიანი აბრეშუმის შარფი, სწორედ ისეთი, რომლებსაც რომაელი გლეხები დღესასწაულის დღეებში წელზე იკრავენ ხოლმე.

ალბერს მოთმინება არ ჰყოფნიდა, ენახა, როგორ უხდებოდა თავისი ახალი ტანისამოსი. ეს კოსტიუმი შედგებოდა ქურთუკისა, ლურჯი ხავერდის შარვლისა, ბალთებიანი ფეხსაცმელებისა და აბრეშუმის ჟილეტისაგან. ალბერის გარეგნობას შეეძლო მოეგო მხოლოდ ამ მშვენიერ კოსტიუმში. და როდესაც მან თავის კარგად მოყვანილ წელზე ქამარი შემოიჭირა და გვერდზე მოიგდო ქუდი, რომლის ბაფთები მხრებზე სცემდნენ, ფრანცმა გაიფიქრა, ფიზიკური უპირატესობა, რასაც ჩვენ ზოგიერთ ხალხს ვაწერთ, ხშირად ტანსაცმელზეა დამოკიდებულიო. მაგალითად, თურქები ოდესღაც თვალწარმტაცები ჩანდნენ თავიანთ გრძელ, მყვირალა ფერის ხალათებში, ახლა კი უშნონი გვეჩვენებიან თავიანთ ლურჯ ყელამდე შეკრულ სერთუკებში და ბერძნულ ფესკებში, რაც ისეთ იერს აძლევთ, თითქოს წითელი ლუქით დაბეჭდილი ღვინის ბოთლებიაო.

ფრანცმა რამდენიმე ქათინაური უთხრა ალბერს, რომელიც სარკის წინ იდგა და თავის თავს ისეთი კმაყოფილი იერით უყურებდა, რომელშიც არაფერი იყო ორაზროვანი.

ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ყმაწვილი კაცები, როცა მათთან გრაფი მონტე-კრისტო შემოვიდა.

— ბატონებო, — უთხრა მან, — რა სასიამოვნოც უნდა იყოს სხვებთან ერთად სიხარულის გაზიარება, მარტოობა მაინც უფრო სასიამოვნოა: მე მოვედი გითხრათ, რომ დღეს და მომდევნო დღეებში თქვენს განკარგულებაში ვტოვებ ეტლს, რომელიც გუშინ ასე კარგად გემსახურათ. ჩვენმა მასპინძელმა თქვენ, ალბათ, უკვე გითხრათ, რომ მე დაკავებული მაქვს სამი თუ ოთხი ეტლი; ასე რომ, თქვენ არ შემაწუხებთ; თავისუფლად გამოიყენეთ იგი გნებავთ სიამოვნებისათვის, გნებავთ საქმეების მოსაგვარებლად. თუ ჩემი ნახვა მოგიწევთ, პალაცო როსპოლიში მიპოვით.

ყმაწვილ კაცებს უნდოდათ რაიმე მოემიზებებინათ, მაგრამ არავითარი არსებითი საბაზი არ ჰქონდათ, უარი ეთქვათ მათთვის სასიამოვნო წინადადებაზე.

გრაფმა მონტე-კრისტომ მათთან, დაახლოებით, თხუთმეტი წუთი დაჰყო. იგი ყველაფერზე ძალდაუტანებლად და თავისუფლად ლაპარაკობდა. როგორც ჩვენ უკვე შევნიშნეთ, გრაფი კარგად იცნობდა ყველა ქვეყნის ლიტერატურას და მისი სასტუმრო ოთახის ერთი თვალის გადავლებამ ფრანცი და ალბერი დაარწმუნა, რომ ის ნახატების მოყვარულიც იყო.

მისმა რამდენიმე უპრეტენზიო სიტყვამ ყმაწვილები იმაშიც დაარწმუნა, რომ მისთვის უცხო არ იყო მეცნიერება და, როგორც ჩანდა, ქიმია უფრო აინტერესებდა.

ყმაწვილ კაცებს არ განუზრახავთ, გრაფისათვის სამაგიერო გადაეხადათ ამ მასპინძლობისათვის, რომელიც მან გაუწია. მათ მხრივ ცუდი ხუმრობა იქნებოდა, რომ

მშვენიერი სუფრის ნაცვლად მისთვის ბატონი პასტრინის საკმაოდ უგემური საჭმელები შეეთავაზებინათ, ყმაწვილი კაცები ამაში გულახდილად გამოუტყდნენ გრაფს. გრაფმა ეს ბოდიში მიიღო და დააფასა მათი გულისხმიერება.

ალბერი აღტაცებული იყო გრაფის მანერებით და მის განსწავლულობას რომ ხელი არ შეეშალა, ნამდვილ ჯენტლმენად მიიჩნევდა. ალბერს განსაკუთრებით ის ამბავი ახარებდა, რომ ეტლი მათ სრულ განკარგულებაში ეძლეოდათ. ალბერს თვალი ეჭირა მშვენიერ გლეხის ქალებზე და რაკი ისინი წინა დღეს კოხტა ეტლში დასეირნობდნენ, ძალიან უნდოდა, არ ჩამოვარდნოდა მათ.

ორის ნახევარზე ყმაწვილი კაცები სატუმროდან გამოვიდნენ. მეეტლესა და ლაქიებს რატომღაც თავში მოსვლოდათ, რომ მხეცების ტყავებზე ზემოდან ლივრეები გადაეცვათ, ამას კი ისინი გუშინდელზე უფრო სასაცილოები გაეხადა და ამით ფრანცისა და ალბერის მოწონება დაიმსახურეს.

ალბერის ღილის კილოში თავი დაეხარა დამჭკნარ იის თაიგულს.

ზარის პირველი ჩამოკვრისთანავე მათი ეტლი ვია-ვიტორიას გავლით კორსოსაკენ გაემართა.

მეორე წრეში ყმაწვილ კაცებს ჯამბაზების ტანისამოსში გამოწყობილი ქალების ეტლიდან ცოცხალი იის კონები სტყორცნეს. ალბერი მიხვდა, რომ გუშინდელ გლეხის ქალებს მათსავით კოსტიუმები შეეცვალათ.

ალბერმა დამჭკნარი იები ცოცხლებით შეცვალა, მაგრამ ძველი იების კონა ხელში დაიჭირა და როდესაც ეტლი ეტლს გაუსწორდა, სიყვარულით მიიტანა თავის ბაგესთან. ეს საქციელი, როგორც ეტყობოდა, მოეწონა არა მარტო იის მტყორცნელ ქალს, არამედ მის მხიარულ მეგობრებსაც.

კორსო დღეს გუშინდელზე ნაკლებ გამოცოცხლებული როდი იყო; შესაძლებელია, კარგ დამკვირვებელ თვალს ახლა უფრო მეტი მხიარულება და ხმაური შეენიშნა. გრაფი ერთი წუთით გამოჩნდა თავის ფანჯარაში, მაგრამ როცა ეტლით მეორედ ჩაუარეს, ის უკვე გამქრალიყო.

ცხადია, თამაში ალბერსა და იების თაიგულიან ქალებს შორის მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

საღამოს შინდაბრუნებულ ფრანცს საელჩოდან წერილი დახვდა; აცნობებდნენ, მისი უწმინდესობა ხვალ პატივს დაგდებთ და მიგიღებთო. ფრანცი ყოველთვის, როცა რომში იყო, თხოულობდა ამ წყალობას და ყოველთვის ღებულობდა მას, არა მარტო ღვთისმოსაობის, არამედ მაღლიერების გრძნობის კარნახით; მას არ უნდოდა, ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქი ისე დაეტოვებინა, რომ პატივისცემის ნიშნად მუხლი არ მოეყარა წმ. პეტრეს მოადგილის წინაშე, რომელიც ყველა სათნოების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა.

ამიტომ მას ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ მეორე დღეს კარნავალში მონაწილეობა მიეღო. იმ გულკეთილობის მიუხედავად, რომელიც თან ახლავს მის დიდებულებას, ყველანი მოკრძალებით ემზადებიან გიორგი XVI წოდებული, კეთილშობილი და წინდა მოხუცის წინაშე მუხლის მოსაყრელად.

ვატიკანიდან გამოსვლის შემდეგ ფრანცი პირდაპირ სასტუმროში დაბრუნდა, იგი თავს არიდებდა, რომ გზადაც კი არ მოხვედრილიყო კორსოზე. მას თავი სავსე ჰქონდა ღვთისმოსავი აზრებით და შიშობდა, კარნავალის გიჟური მხიარულებით არ წაებლწა ეს აზრები.

ექვსის ათ წუთზე ალბერიც დაბრუნდა. იგი ძალზე აღტაცებული იყო. ჯამბაზის ტანისამოსში გამოწყობილი ქალი ახლა გლეხი ქალის ტანისამოსში გამოჩენილიყო და როდესაც ალბერის ეტლს მიახლოებოდა, ნიღაბი აეწია.

ქალი მომჯადოებელი ყოფილიყო.

ფრანცმა გულწრფელად მიულოცა ალბერს, ალბერმაც შეიფერა ეს მილოცვა. იგი ამტკიცებდა, ეს უცნობი ქალი ისე შეუდარებლად მოხდენილია, რომ უსათუოდ მაღალ არისტოკრატას უნდა ეკუთვნოდესო. ალბერმა გადაწყვიტა, მისთვის მეორე დღეს ბარათი მიეწერა.

როდესაც ფრანცი ამ აღსარებას ისმენდა, შეამჩნია, რომ ალბერს მისთვის რაღაცის თხოვნა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა; ფრანცი ცდილობდა გამოეტყუებინა იგი და არწმუნებდა — შენი ბედნიერებისათვის ყოველგვარ მსხვერპლს გავიღებ, რაც კი ჩემს შესაძლებლობაშიაო.

ალბერმა სწორედ იმდენ ხანს ათხოვნინა, რამდენსაც მეგობრული თავაზიანობა მოითხოვდა, შემდეგ კი გამოუტყდა, ძალიან დიდ სამსახურს გამიწევ, ხვალ თუ მარტო მე დამითმობ ეტლსო.

ალბერმა ის ამბავი, რომ მშვენიერმა ქალმა სახე დაანახვა, ეტლში მარტო ყოფნას მიაწერა.

თავისთავად ცხადია, ფრანცი ისეთი ეგოისტი არ იყო, რომ ხელი შეეშალა ალბერის სამიჯნურო ინტრიგისათვის, რომელიც მის ცნობისმოყვარეობასაც დააკმაყოფილებდა და მის თავმოყვარეობასაც. მან კარგად იცოდა თავისი ღირსეული ამხანაგის გულახდილობა და დარწმუნებული იყო, თავის სატრფიალო ამბებს დაწვრილებით მოუყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მან სამი წლის განმავლობაში იტალია თითქმის მთლიანად შემოიარა, მაგრამ არც ერთი სამიჯნურო ინტრიგა არ გაუბამს, წინააღმდეგი არ იყო გაეგო, როგორ იკვანძებოდა ასეთი რომანები.

ფრანცი დაჰპირდა ალბერს, კარნავალს პალაცო როსპოლის ფანჯრიდან ვუყურებო.

მართლაც, მეორე დღეს ფრანცი ფანჯრიდან ხედავდა, როგორ ჩაიქროლებდა და ამოიქროლებდა ხოლმე კორსოზე ალბერის ეტლი, ალბერს ხელში ვეებერთელა თაიგული ეჭირა, რომელშიც, ალბათ, სამიჯნურო ბარათი იდო. ეს ეჭვი ფრანცს გაუმართლდა, როდესაც ეს თეთრი კამელიების თაიგული ჯამბაზის ვარდისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ქალის ხელში დაინახა.

როდესაც ალბერი შინ დაბრუნდა, ის უკვე მარტო აღტაცებული კი არ იყო, არამედ ბოდავდა კიდევ. ალბერს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მშვენიერი უცნობი ქალი მას იმითვე უპასუხებდა. ფრანცმა ანგარიში გაუწია მეგობრის სურვილს და უთხრა, ამ ხმაურმა დამძალა და გადავწყვიტე, ხვალინდელი დღე ჩემს ალბომებსა და შენიშვნებს მოვანდომოო.

მართლაც, ალბერი არ შემცდარა თავის ვარაუდში. მეორე დღეს საღამოთი ფრანცის ოთახში შემოვარდა: ხელში ოთხკუთხედი ქალაღი ეჭირა და ჰაერში აფრიალებდა.

— აბა, რა იტყვით? — დაიძახა მან, — განა შევცდი?

— გიპასუხათ! — შესძახა ფრანცმა.

— წაიკითხეთ.

ეს სიტყვები ისეთი ინტონაციით იყო ნათქვამი, რომ შეუძლებელია მისი აღწერა. ფრანცმა ბარათი გამოართვა და წაიკითხა:

«სამშაბათს, საღამოს შვიდ საათზე, ეტლიდან ვია-დეი-პონტეფიჩის პირდაპირ გადმოდით და გაჰყევით გლეხის გოგოს, რომელიც თქვენ მოკოლეტოს წაგართმევთ. როდესაც სან-ჯაკომოს ეკლესიის პირველ საფეხურზე ფეხს შედგამთ, თქვენი კოსტიუმის სახელოზე ჯამბაზის ვარდისფერი ბაფთა მიიმაგრეთ. მანამდე კი ვერ მნახავთ. ერთგულება და საიდუმლოება!».

— აბა, ჩემო კარგო, ამაზე რას იტყვით, — უთხრა ალბერმა ფრანცს.

— იმას ვიტყვი, რომ საქმე სასიკეთოდ შეტრიალებულა.

— მეც ასე ვფიქრობ, — უთხრა ალბერმა, — და ძალიან ვშიშობ, ჰერცოგ ბრაჩანოს მეჯლისზე მარტო არ მოგიხდეთ წასვლა

ფრანცმა და ალბერმა დილით მიწვევა მიიღეს რომის ცნობილი ბანკირის მეჯლისზე.

— ფრთხილად იყავით, ჩემო ალბერ, — უთხრა მას ფრანცმა. — ჰერცოგთან შეიკრიბება მთელი არისტოკრატია და თუ თქვენი მშვენიერი უცნობი ნამდვილად მაღალი წრიდანაა, ისიც იქ უნდა გამოჩნდეს.

— გამოჩნდება ის იქ თუ არა, მე მაინც არ შევიცვლი ჩემს შეხედულებას, — თქვა ალბერმა, — წაიკითხეთ ბარათი? — განაგრძო მან.

— დიახ.

— იცით, როგორ განათლებას ლებულობენ იტალიაში mezzo cito-ს ქალები? ასე ეძახიან ბურჟუაზიას (საშუალო ფენას).

— დიახ, — უპასუხა ფრანცმა.

— მაშ, გადაიკითხეთ ბარათი, დაუკვირდით ხელს და ერთი სტილისტიკური ან ორთოგრაფიული შეცდომა მაინც მიპოვეთ.

მართლაც, ხელნაწერი მშვენიერი იყო, ორთოგრაფია — უნაკლო.

— ილბლიანი კაცი ყოფილხართ, — უთხრა მას ფრანცმა და ბარათი უკან დაუბრუნა.

— რამდენიც გინდოდეთ, იმდენი იცინეთ, რამდენიც გინდოდეთ, იმდენი იხუმრეთ, — უთხრა მან ფრანცს, — მე კი შეყვარებული ვარ.

— ღმერთო ჩემო, მე თქვენ მაშინებთ! — შესძახა ფრანცმა, — როგორც ვხედავ, არა მარტო ჰერცოგ ბრაჩანოს მეჯლისზე წასვლა, არამედ, ვგონებ, ფლორენციაში მარტო მომიხდება დაბრუნება.

— ყოველ შემთხვევაში, თუ ჩემი უცნობი ისეთივე თავაზიანია, როგორი სილამაზეც აქვს, გიცხადებთ, რომ რომში ექვს კვირას მაინც დავრჩები. მე ვაღმერთებ რომს, ესეც არ იყოს, არქიტექტურისადმი ყოველთვის დიდი მიდრეკილება მქონდა.

— კიდევ ერთი-ორი ასეთი შემთხვევა და, იმედი მექნება, წარწერებისა და სიტყვიერების აკადემიის წევრად გიხილავთ.

ალბათ, ალბერი სერიოზულად დაიწყებდა მტკიცებას, რომ მას უფლება ჰქონდა, სკამი მიეღო აკადემიაში, მაგრამ ამ დროს მსახურმა ყმაწვილ კაცებს აცნობა, რომ სადილი მზად იყო, ალბერი სიყვარულის გამო არასოდეს კარგავდა მადას, ამიტომ ამხანაგი დააჩქარა, რადგან, უნდოდა სადილის შემდეგ განეახლებინა შეწყვეტილი საუბარი.

მაგრამ სადილის შემდეგ გრაფის მოსვლა აცნობეს. ორი დღე იყო, რაც ყმაწვილ კაცებს იგი არ ენახათ. ბატონი პასტრინისაგან მათ იცოდნენ, რომ საქმეების გამო ჩივიტა-ვეკიაში გაემგზავრა. გრაფი საღამოთი წასულიყო და ერთი საათის წინ დაბრუნებულიყო.

გრაფს თავი მეტად თავაზიანად ეჭირა. ის ან თავს იკავებდა, ანდა ამჯერად საბაზი არ ჰქონდა მწარე და გესლიანი აზრების გამოსატქმელად. ეს კაცი ფრანცისათვის ნამდვილი გამოცანა იყო. გრაფს, რასაკვირველია, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფრანცმა იცნო იგი, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, მეორედ შეხვედრის დროიდან ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია, რომ ერთხელ იგი უკვე ნანახი ჰყავდა. ფრანცს ძალიან უნდოდა, სიტყვა ჩამოეგდო მათ პირველ შეხვედრაზე, მაგრამ შიშობდა, ვაითუ ამით უსიამოვნება მივაყენო ადამიანს, რომელმაც ჩემსა და ჩემი მეგობრის მიმართ ასეთი თავაზიანობა გამოიჩინაო. ამიტომ ფრანცმაც ისეთივე პოზიცია დაიჭირა, როგორც გრაფმა.

გრაფს გაეგო, რომ ყმაწვილ კაცებს არჯენტინის თეატრის ლოჟის აღება სურდათ, და რაკი ყველა ლოჟა დაკავებული აღმოჩნდა, მოვიდა, რათა თავისი ლოჟის გასაღები შეეთავაზებინა. ყოველ შემთხვევაში, მან ასე ახსნა თავისი ვიზიტი.

ფრანცი და ალბერი არ თანხმდებოდნენ, ვერ მოგაკლებთ ამ სიამოვნებასო, მაგრამ გრაფმა უპასუხა, პალის თეატრში მივდივარ, და თუ თქვენ არ დაიკავებთ ჩემს ლოჟას, მაშინ ცარიელი დარჩებაო.

ამის შემდეგ ყმაწვილი კაცები დათანხმდნენ.

ფრანცი ნელ-ნელა შეეჩვია გრაფის სიფერმკრთალეს, რამაც იგი პირველად ასე გააკვირვა. მას არ შეეძლო მართებულად არ შეეფასებინა გრაფის მკაცრი სილამაზე, რომლისთვისაც სიფერმკრთალე მთავარი ნაკლი, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მთავარი ღირსებაც იყო. გრაფი იყო ნამდვილი ბაირონისებური გმირი და ფრანცისათვის საკმარისი იყო არათუ მისი დანახვა, არამედ მასზე ფიქრიც, რომ იმ წუთშივე მისი მოღუშული სახე წარმოედგინა მანფრედის გორებზე ან ლარას ქუდით. მას შუბლი ნაოჭებით ჰქონდა დაღარული, რაც მწარე, მოუშორებელი ფიქრების მაჩვენებელი იყო. მისი ანთებული გამოხედვა ადამიანს გულის სიღრმემდე სწვდებოდა. დამცინავი და ამაყი ბაგეები განსაკუთრებულ ელფერს აძლევდნენ ყველაფერ იმას, რასაც ამბობდა; აი, სწორედ ამის გამო მისი სიტყვები მსმენელის მეხსიერებაში წარუშლელად იბეჭდებოდნენ.

გრაფი ახლგაზრდა აღარ იყო. ის, ალბათ, ორმოცი წლისა იქნებოდა, მაგრამ არავის შეეპარებოდა ეჭვი, რომ ყოველთვის გამარჯვებული დარჩებოდა ყველა მასზე ახალგაზრდა მოწინააღმდეგესთან შეტაკებაში. ინგლისელი პოეტის გმირებთან მსგავსების გარდა, მას რაღაც დიდი მომხიბვლელობა ჰქონდა.

ალბერი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა იმ ბედნიერ შემთხვევაზე, რომელმაც ის და მისი მეგობარი ამ ადამიანს შეახვედრა. ფრანცი უფრო თავშეკავებულად იქცეოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ისიც მოჰყვა იმ გავლენის ქვეშ, რომელსაც ყოველთვის ახდენდა გარეშე ხალხზე ეს არაჩვეულებრივი ადამიანი.

ფრანცს გაახსენდა, რომ გრაფმა რამდენჯერმე გამოთქვა პარიზში გამგზავრების სურვილი; მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გრაფი თავისი ექსცენტრული ხასიათით, არაჩვეულებრივი გარეგნობით და აუარებელი სიმდიდრით იქ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

მაგრამ ფრანცს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, პარიზში მასთან ერთად ჩასულიყო.

საღამო ჩატარდა ისე, როგორც ჩვეულებრივად ტარდება იტალიის თეატრებში, მაყურებლები სიმღერის მოსმენის ნაცვლად საუბრითა და ვიზიტებით ერთობოდნენ. გრაფინია გ...ს უნდოდა სიტყვა ისევ გრაფზე ჩამოეგდო, მაგრამ ფრანცმა განუცხადა, გაცილებით უფრო საინტერესო ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის სათქმელიო, და ალბერის მოჩვენებითი პროტესტების მიუხედავად, გრაფინიას მოუყვა ის დიდი ამბავი, რომელიც სამი დღეა ორი მეგობრის ზრუნვის საგანს შეადგენდა.

თუ მოგზაურებს დავუჯერებთ, იტალიაში ასეთი სასიყვარულო ინტრიგები იშვიათი მოვლენა როდია. ამიტომ გრაფინიას არავითარი ეჭვი არ დაბადებია და ალბერს მიულოცა სატრფიალო რომანის დასაწყისი, რომელსაც ისეთი პირი უჩანდა, რომ სასიკეთოდ უნდა დამთავრებულიყო.

ყმაწვილი კაცები გრაფინიას გამოეთხოვნენ და შეთანხმდნენ, შეხვედროდნენ ჰერცოგ ბრაჩანოს მეჯლისზე, სადაც მთელი რომი იყო მიწვეული.

თაიგულიანი ქალი თავისი სიტყვის პატრონი გამოდგა. იგი არც მეორე და არც მესამე დღეს აღარ გამოჩენილა და ალბერისათვის თავისი არსებობის ნიშანი არ მიუცია.

ბოლოს დადგა სამშაბათი, კარნავალის უკანასკნელი, ყველაზე ხმაურიანი დღე. ამ დღეს თეატრები გაიღო დილის ცხრა საათიდან, რადგან საღამოთი მარხვა იწყებოდა. ყველა, ვისაც უდროობის, ნადირობის ან უფულობის გამო მონაწილეობა არ მიუღია

დღესასწაულში, სამშაბათს უერთდება ბაკქანალიას და თავისი წვლილი შეაქვს საერთო მოძრაობასა და ხმაურში.

ორი საათიდან ხუთ საათამდე ფრანცი და ალბერი ეტლების რკალში ტრიალებდნენ და ბლუჯებით ესროდნენ კანფეტებს შემხვედრ ეტლებს და ქვეითებს, რომლებიც ცხენის ფეხებსა და ბორბლებს შორის ისე ძვრებოდნენ, რომ, წარმოუდგენელი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, არც ერთი უბედური შემთხვევა, არც ჩხუბი, არც არავითარი ცემა-ტყეპა არ მომხდარა.

იტალიელები ამ მხრივ განსაკუთრებული ხალხია, მათთვის დღესასწაული ნამდვილი დღესასწაულია.

ამ მოთხრობის ავტორს, რომელმაც იტალიაში ექვსი წელი დაჰყო, არ ახსოვს, რომ რომელიმე ზეიმი დაეჩრდილოს ისეთ შემთხვევას, რომელიც ყოველთვის თან სდევს ჩვენს დღესასწაულებს.

ალბერი ჯამბაზის ტანისამოსში თავს იწონებდა. მხარზე გადაგდებული ჰქონდა ვარდისფერი ბაფთა, რომლის ბოლო მუხლამდე სცემდა. რათა რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო, ფრანცმა რომაელი გლეხის კოსტიუმი ჩაიცვა.

რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო, მით უფრო ძლიერდებოდა ხმაური.

ქვაფინელებზე, ეტლებში, ფანჯრებში არ იყო ბაგე, რომელიც მოკუმული ყოფილიყო, მკლავი, რომელიც უმოქმედოდ ყოფილიყო. ნამდვილად მქუხარე შემახილების, დრაჟეს სეტყვის, ფქვილიანი კვერცხების, ნარინჯებისა და ყვავილების გრიგალი იდგა.

სამ საათზე გასროლის ხმამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს გაისმა პიაცა-დე-პოპოლოდან და ვენეციის სასახლიდან, ხალხს დოღის დაწყება აუწყა.

დოღი, ისევე როგორც მოკოლი, კარნავალის უკანასკნელი დღის დამახასიათებელი ეპიზოდია. გასროლის ხმაზე ეტლების ჯაჭვი იმ წუთშივე გაირღვა და ისინი მახლობელ გვერდით ქუჩებში გაიფანტნენ.

ყველა ეს მანევრი საკვირველი სიმარჯვითა და სისწრაფით ხდება, თუმცა პოლიცია სრულებით არ იწუხებს თავს, რომ თითოეულ მონაწილეს თავისი ადგილი მიუთითოს ან მოძრაობას უხელმძღვანელოს.

ცხენოსნები მჭიდროდ გამწკრივდნენ სასახლესთან, გაისმა ცხენების თქარათქური და ხმლების ჟღარუნი.

კარაბინერების რაზმი, თხუთმეტ-თხუთმეტი თითოეულ რიგში, ქუჩის მთელ სიგანეზე გაიშალა და ჭენებით გაქანდა, რათა კორსო დოღისათვის გაეთავისუფლებინათ. როდესაც რაზმი ვენეციის სასახლემდე მივიდა, ახალმა გასროლის ხმამ ხალხს აუწყა, რომ ქუჩა გათავისუფლებული იყო.

თითქმის იმ წუთშივე საერთო გაუგონარ ხმაურში აჩრდილებივით გაირბინა სამი ათასი მაყურებლის ყვირილითა და ზურგზე რკინის ეკლებით შეგულიანებულმა შვიდმა თუ რვა ცხენმა. ცოტა ხნის შემდეგ წმინდა ანგელოზის ციხესიმაგრიდან ქვემეხმა სამჯერ გაისროლა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მესამე ნომერმა მოიგო.

მაშინვე, ყოველგვარი სხვა ნიშნის მიუღებლად, ეტლები ისევ ამოძრავდნენ. ისინი ისევ გაემართნენ კორსოსკენ, თითქოს ერთი წუთით შეჩერებული ნაკადულები ერთბაშად წამოვიდნენ მდინარის კალაპოტისაკენ, და ეს ვეებერთელა მდინარე წინანდელზე უფრო სწრაფად გაჰყვა გრანიტის ორივე ნაპირს.

მაგრამ ახლა ამ დიდძალ ხალხს კიდევ მოემატა ხმაურისა და აურზაურის ახალი წყარო. სცენაზე გამოვიდნენ მოკოლების გამყიდველები.

მოკოლები, ანუ მოკოლეტები ეს არის სხვადასხვა სიდიდის წმინდა სანთლები, ადღგომის კელაპტრიდან დაწყებული, ყველაზე წვრილი სანთლით გათავებული. რომში

კარნავალის უკანასკნელი მოქმედების მონაწილეებს ის ორმაგ, ერთმანეთის საწინააღმდეგო საზრუნავს უჩენს:

1. არ ჩააქრობინო შენი მოკოლეტო.
2. ჩააქრო სხვისი მოკოლეტო.

ამ მხრივ მოკოლეტო სიცოცხლეს წააგავს: მის გადასაცემად ადამიანმა მხოლოდ ერთი საშუალება იპოვა და ისიც ღმერთისაგან მიიღო.

მაგრამ მან აღმოაჩინა ათასი საშუალება მის დასალუპავად, თუმცა მართალია ის ამბავი, რომ ამ საქმეში რამდენადმე ეშმაკი ეხმარებოდა.

მოკოლეტოს ასანთებად საკმარისია, იგი ცეცხლთან მიიტანოთ.

მაგრამ როგორ აღვწეროთ მოკოლეტოების ჩასაქრობად გამოგონებული ათასი საშუალება: ვეებერთელა საბერველები, უზარმაზარი საქრობლები და მარაოები.

ყველა ჩქარობდა მოკოლეტოების ყიდვას, ფრანცმა და ალბერმაც სხვებს მიზამეს.

მალე დაღამდა და ათასი გამყიდველის გამგმირავ ხმაზე «მოკოლი», «მოკოლიტი», ბრბოს თავზე აკიაფდა რამდენიმე ვარსკვლავი, ეს ნიშნის მიცემა გამოდგა.

ათი წუთის შემდეგ ვენეციის სასახლიდან პიაცა-დელ-პოპოლომდე ორმოცი ათასი ცეცხლი აინთო.

ეს იყო მოსიარულე ცეცხლების ზეიმი,

ძნელია ამ სურათის წარმოდგენა, თუ არ გინახავს იგი.

წარმოიდგინეთ, რომ ყველა ვარსკვლავი მოწყდა ცას და დედამიწაზე გიჟური ცეკვა დაიწყო.

ჰაერში ისეთი ხმაური იდგა, რომ ადამიანის ყურს დედამიწის სხვა კუთხეში ამის მსგავსი არაფერი გაუგონია.

ამ მომენტისათვის ირღვევა ყოველგვარი სოციალური სხვაობა.

ფაკინო მისდევს თავადს, თავადი ტრანსტიბრელს, ტრანსტიბრელი — ვაჭარს და თითოეული მათგანი სანთელს უბერავს, აქრობს, ხელახლა ანთებს.

ამ დროს რომ ძველი ეოლი გამოჩენილიყო, მოკოლიტობის მეფედ აღიარებდნენ, ხოლო აკვილიონს — ტახტის მემკვიდრედ.

ეს გაცხარებული ცეცხლოვანი ბრძოლა დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა; კორსო დღესავით იყო განათებული; შესაძლებელი იყო მაყურებელთა მახეების გარჩევა მესამე და მეოთხე სართულზე.

ყოველ ხუთ წუთში ალბერი საათს უყურებდა. ბოლოს, როგორც იქნა, საათის ისრებმა შვიდი უჩვენეს.

მეგობრების ეტლი ზუსტად ვი-დე-პონტეფიჩის პირდაპირ მიდიოდა. ალბერი ეტლიდან გადმოხტა. მას ხელში მოკოლეტო ეჭირა.

ალბერს გარშემო შემოეხვია სამი თუ ოთხი ნილაბი, რათა მისთვის მოკოლეტო ჩაექროთ. მაგრამ მან, როგორც მარჯვე მოკრივემ, ერთი დარტყმით ათი ნაბიჯით უკან გადაისროლა ისინი და წმინდა ჯაკომოს ეკლესიისაკენ გაიქცა.

კარიბჭე სავსე იყო ცნობისმოყვარეებითა და ნიღბებით, რომლებიც იმის ცდაში იყვნენ, რომ ერთმანეთისათვის ჩაექროთ ან წაერთმიათ სანთელი, ფრანცი თვალს აყოლებდა ალბერს. მან დაინახა, როგორ ავიდა იგი ეკლესიის პირველ საფეხურზე. თითქმის იმ წუთშივე ნილაბმა, რომელსაც უკვე ნაცნობი გლეხის ქალის ტანისამოსი ეცვა, მას ხელი გაუწოდა; ამჯერად ალბერმა წინააღმდეგობის გაუწევლად გადასცა მოკოლეტო.

ფრანცი ძალიან შორს იყო, რომ გაეგონა სიტყვები, რომლითაც ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. მაგრამ, როგორც ჩანდა, საუბარი მშვიდობიანად დამთავრდა, რადგან ალბერი და გლეხის ქალი ხელგაყრილები წავიდნენ. ფრანცი კიდევ ცოტა ხანს უყურებდა მათ, მაგრამ ისინი მალე თვალს მოეფარნენ.

უცებ გაისმა ზარის რეკვა, რაც კარნავალის დამთავრების ნიშანი იყო. ამ წუთში სანთლები ერთად ჩაქრა, თითქოს ჯადოსნურმა ძალამ იმოქმედაო. ასე იტყოდით, ძლიერმა ქარმა ერთი შებერვით ჩააქრო ისინიო.

ფრანცი ღრმა წყვილიადში დარჩა.

სინათლესთან ერთად ხმაური შეწყდა, თითქოს იგივე ქარის შებერვამ, რომელმაც სანთლები ჩააქრო, ეს ხმაურიც გაიტაცაო.

სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ იმ ეტლებით გამოწვეული ხმაური, რომლებსაც ნიღბები სახლში მიჰყავდა; ფანჯრებში აქა-იქ იშვიათად მოჩანდა სინათლის შუქი.

კარნავალი დამთავრდა.

XVI

კატაკომბა დე სან-სებასტიანო

შესაძლებელია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფრანცს არასოდეს განეცადოს მხიარულებიდან მწუხარებაში ისეთი სწრაფი გადასვლა, როგორც ახლა განიცადა. ასე იტყოდით, ღამის დემონმა ერთი სულის შებერვით მთელი რომი უზარმაზარ სასაფლაოდ გადააქციაო. წყვილიადს კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ მთვარე მხოლოდ თერთმეტ საათზე უნდა ამოსულიყო. ამიტომ ქუჩები, რომლებსაც ფრანცის ეტლი სერავდა, ძალზე ღრმა წყვილიადით იყო მოცული. ესეცაა, რომ ფრანცს დიდი გზა არ ჰქონდა გასავლელი და ათი წუთის შემდეგ მისი ეტლი, ანუ უფრო სწორად, გრაფის ეტლი, სასტუმრო «ლონდონის» კარებთან გაჩერდა.

მას სადილი ელოდა; რაკი ალბერს გაფრთხილებული ჰყავდა, იმედი არ გქონდეს, ადრე დავბრუნდეთ, ფრანცი მარტო მიუჯდა სუფრას.

ბატონი პასტრინი მიჩვეული იყო იმ გარემოებას, რომ მეგობრები სულ ერთად სადილობდნენ და ამიტომ ალბერი მოიკითხა. ფრანცმა უპასუხა, ალბერი სტუმრად არის მიწვეულიო. მოკოლეტების უეცარმა გაქრობამ, სინათლის წყვილიადით შეცვლამ, სამარისებურმა სიჩუმემ, რომელმაც ხმაური შთანთქა, ფრანცში გამოიწვია ანგარიშმიუცემელი სევდა, რომელსაც არც შეშფოთება აკლდა. თავაზიანი და მზრუნველი მასპინძლის მიუხედავად, რომელიც ფრანცთან სამჯერ თუ ოთხჯერ შემოვიდა იმის გასაგებად, ხომ არაფერი გჭირდებათო, — სადილმა მაინც უჩუმრად ჩაიარა.

ფრანცმა გადაწყვიტა, ალბერისათვის უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაეცადა, ამიტომ ეტლი თერთმეტი საათისათვის დაიბარა და ბატონ პასტრინის სთხოვა, მაშინვე გამაფრთხილე, თუ ალბერი რაიმესთვის სასტუმროში შემოვიდესო. თერთმეტ საათზე ალბერი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ფრანცი გამოეწყო და წავიდა, წასვლის წინ სასტუმროს პატრონი გააფრთხილა, მთელ ღამეს ჰერცოგ ბრაჩანოსთან გავატარებო.

ჰერცოგ ბრაჩანოს სახლი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სახლია მთელ რომში; მისი ცოლი, უძველესი გვარის — კოლონების უკანასკნელი მემკვიდრე, არაჩვეულებრივი დიასახლისია, და ამის გამო მათი მასპინძლობა მთელს ევროპაში ცნობილი გახდა. ორივეს, ფრანცსა და ალბერს, ჰქონდათ სარეკომენდაციო წერილი ჰერცოგთან: ამიტომ ჰერცოგმა ფრანცს მისი მეგობრის ამბავი ჰკითხა. ფრანცმა უპასუხა, იმ დროს დამცილდა, როდესაც მოკოლეტოებს აქრობდნენ — და ვია-მაჩლოსთან თვალთაგან მომეფარაო.

— მაშ, ჯერ არ დაბრუნებულა?

— თერთმეტ საათამდე ველოდი, — უპასუხა ფრანცმა.

— იცით, სად წავიდა?

— არა, ზუსტად არ ვიცი; მაგრამ, მე მგონია, რაღაც პაემანის მსგავსია.

— ეშმაკმა დალახვროს, დღეს ცუდი დღეა, ანუ ცუდი ღამეა ნაგვიანევი სეირნობისათვის, ასე არ არის, გრაფინია?

ეს უკანასკნელი სიტყვები მიმართული იყო გრაფინია გ...სადმი, რომელიც მკლავგაყრილი მიჰყვებოდა ბატონ ტორლონიას, ჰერცოგის ძმას.

მე კი, პირიქით, მგონია, რომ მომხიბლავი საღამოა, უპასუხა გრაფინიამ, — და ისინი, ვინც აქ არის, მხოლოდ იმას იდარდებენ, რომ ასე სწრაფად გაირბინა.

— მე იმათზე როდი ვლაპარაკობ, ვინც აქ არის, — უთხრა ღიმილით გრაფმა: — ერთადერთი საშიშროება, რომელიც მათ ემუქრებათ, ისაა, რომ, თუ ისინი მამაკაცები არიან, თქვენ შეგიყვარებენ, ხოლო თუ ქალები არიან, თქვენი სილამაზის გამო შურით ავად გახდებიან; მე ვგულისხმობ იმათ, ვინც რომის ქუჩებში დაეხეტება.

— ღმერთო ჩემო, მერედა ვინ არის ისეთი, რომელიც ამ დროს რომის ქუჩებში დაეხეტება — თუკი მეჯლისზე არ არის წასული? — იკითხა გრაფინიამ.

— ჩვენი მეგობარი ალბერ დე მორსერი, რომელსაც შვიდ საათზე დავცილდი. — თქვა ფრანცმა, — იგი თავის მშვენიერ უცნობს აედევნა და მას შემდეგ აღარ მინახავს.

— როგორ! და თქვენ არ იცით, სად არის იგი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— იარაღი აქვს?

— ის ჯამბაზის ტანისამოსშია გამოწყობილი.

— არ უნდა გაგეშვათ, — უსაყვედურა გრაფინიამ, — თქვენ ხომ რომს მასზე უკეთ იცნობთ.

— ჰო, როგორ არა! უფრო ადვილი გასაჩერებელი იქნებოდა მესამე ნომერი, რომელმაც დღეს დოღში მოიგო, — უპასუხა ფრანცმა; — ერთი მითხარით, რა შეიძლება მოუვიდეს?

— ვინ იცის! ძალიან ბნელი ღამეა, ხოლო ვია-მაჩელოდან ტიბრამდე ერთი ფეხის ნაბიჯია.

ფრანცს მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც დაინახა, რომ ჰერცოგი და გრაფინია მის პირად შიშს იზიარებდნენ.

— ბატონო ჰერცოგო, სასტუმროს პატრონი გავაფრთხილე, რომ პატივი მექნება ღამე თქვენთან გავატარო. ასე რომ, როგორც კი დაბრუნდება, მაშინვე უნდა მაცნობონ.

— მოიცათ, მე მგონი, ჩემი მსახური სწორედ თქვენ გეძებთ.

— თქვენო აღმატებულებავ, — უთხრა მას მსახურმა, — სასტუმრო «ლონდონის» პატრონმა გამომგზავნა, რათა გაცნობოთ, რომ თქვენ გელოდებათ ვიღაც კაცი ვიკონტ დე მორსერის წერილით.

— ვიკონტ დე მორსერის წერილით! — შეჰყვირა ფრანცმა.

— დიახ.

— მერედა ვინ არის ის კაცი?

— არ ვიცი.

— რატომ აქ არ მომიტანა ის წერილი?

— მოციქულმა არავითარი განმარტება არ მომცა.

— სად არის ის მოციქული?

— წავიდა, როდესაც დაინახა, რომ დარბაზში თქვენს გასაფრთხილებლად შემოვედი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გრაფინიამ, — წადით ჩქარა, საწყალი ყმაწვილი, იქნება რაიმე შეემთხვა.

— გავრბივარ! — უპასუხა ფრანცმა.

— დაბრუნდებით და ყველაფერს გვიამბობთ? — ჰკითხა გრაფინიამ.

— დიახ, თუ რაიმე სერიოზული არ მოხდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიცი ჩემს თავს რას ავუტებ.

— ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად იყავით, — უთხრა გრანინამ.

— ოჰ! დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

ფრანცმა ქუდი აიღო და სწრაფად გავიდა. ჰერცოგთან მისვლისთანავე ფრანცს ეტლი გაეშვა და ორი საათისათვის დაებარებინა; მაგრამ, საბედნიეროდ, ჰერცოგის სასახლიდან, — რომელიც ერთი მხრით კორსოზე გადიოდა, ხოლო მეორეთი წმინდა მოციქულების მოედანზე, — სასტუმრო «ლონდონამდე» ათი წუთის სავალი გზა იყო. როცა ფრანცი სასტუმროს კარებს მიუახლოვდა, დაინახა, რომ შუა ქუჩაში ვიღაცა კაცი იდგა; ფრანცს ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს კაცი ალბერის მოციქული იყო. ის ფართო წამოსასხამში იყო გახვეული. ფრანცი მას მიუახლოვდა, მაგრამ როგორი განცვიფრებული დარჩა, როდესაც პირველად უცნობი თვითონ დაელაპარაკა მას.

— რა ნებავს ჩემგან თქვენს აღმატებულებას? — იკითხა მან და უკან დაიხია.

— ეს თქვენ მომიტანეთ წერილი ბატონ ვიკონტისაგან? — ჰკითხა ფრანცმა.

— თქვენი აღმატებულება ბატონ პასტრინის სასტუმროში ცხოვრობს.

— დიახ.

— თქვენი აღმატებულება ვიკონტთან ერთად მოგზაურობს?

— დიახ.

— რა ჰქვია თქვენს აღმატებულებას?

— ბარონი ფრანც დ'ეპინე.

— მაშ, წერილს სწორედ თქვენს აღმატებულებას სწერენ.

— პასუხი საჭიროა? — ჰკითხა ფრანცმა და წერილი ხელიდან გამოართვა.

— დიახ, ყოველ შემთხვევაში, თქვენს მეგობარს ამის იმედი აქვს.

— ავიდეთ ჩემთან და პასუხს გაგატანთ.

— არა, სჯობს აქ დაგიცდით, — უთხრა მან და ჩაიცინა.

— რატომ?

— თქვენი აღმატებულება მიხვდება, როცა წერილს წაიკითხავს.

— მაშ, აქ გნახავთ?

— აუცილებლად.

ფრანცი სასტუმროში შევიდა; კიბეზე იგი ბატონ პასტრინის შეეჩება.

— რა ამბავია? — იკითხა მან.

— რა ამბავი უნდა იყოს, — უთხრა ფრანცმა.

— ნახეთ ის კაცი, რომელიც თქვენი მეგობრის დავალებითაა მოსული და თქვენთან ლაპარაკი სურს? — ჰკითხა სასტუმროს პატრონმა.

— დიახ, ვნახე, წერილი გადმომცა, — უპასუხა ფრანცმა, — თუ შეიძლება, სინათლე შემოატანინეთ ჩემს ოთახში.

სასტუმროს პატრონმა მსახურს უბრძანა, სანთელი შეეტანა. ფრანცს მოეჩვენა, რომ ბატონ პასტრინის ძალზე შემფოთებული სახე ჰქონდა. ამან კიდევ უფრო გაუძლიერა სურვილი, ალბერის წერილი საჩქაროდ წაეკითხა. როგორც კი მსახურმა სანთელი აანთო, ფრანცმა ქალაქი სწრაფად გაშალა და სინათლესთან მიიტანა. წერილი ალბერის ხელით იყო დაწერილი და ქვემოთ მისი სახელი და გვარი ეწერა. ფრანცმა იგი ორჯერ წაიკითხა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის წერილის შინაარსი.

აი, რა ეწერა იმ წერილში:

«მვირფასო ფრანც, ამ წერილის მიღებისთანავე ჩემი საფულებიდან, რომელსაც თქვენ იპოვით საწერი მაგიდის უჯრაში, ამოიღეთ ჩემი აკრედიტივი. დაუმატეთ თქვენი, თუ ჩემი საკმარისი არ აღმოჩნდება, გაიქცით ტორლონიასთან, გამოართვით მას ოთხი ათასი პიასტრი და გადაეცით ამ წერილის მომტანს. აუცილებელია, რომ ეს თანხა დაუყოვნებლივ მივიღო.»

მეტს აღარაფერს მოგწერთ, რადგან თქვენი იმედი მაქვს, ისევე როგორც თქვენ შეიძლება ჩემი იმედი გქონდეთ.

P. S. I believe now in italian banditti¹. (¹ ახლა მე მწამს იტალიელი ავაზაკების არსებობა (ინგ..))

თქვენი მეგობარი
ალბერ დე მორსერი».

ამ სტრიქონების ქვეშ ხევით მიწერილი იყო რამდენიმე იტალიური სიტყვა:

«Se alle sei della mattina le quattro mila piastre non sono nelle mie mani, alle sette il conte Alberto avra cessato di vivere.

Luigi Vampa».¹ (¹ თუ ექვს საათზე ჩემ ხელთ ოთხი ათასი პიასტრი არ იქნება, შვიდ საათზე გრაფი ალბერი სიცოცხლეს გამოესალმება.

ლუიჯი ვამპა.)

ამ მინაწერმა ფრანცისათვის ყველაფერი გასაგები გახდა; ის მიხვდა, რატომ არ უნდოდა მოციქულს ოთახში ამოსვლა. მას ქუჩა უფრო სანდოდ მიაჩნდა, ვიდრე ფრანცის ოთახი. ალბერი სწორედ იმ ყაჩაღთა მეთაურს ჩაუვარდა ხელში, რომლის არსებობაც არაფრით უნდოდა დაეჯერებინა.

არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ფრანცმა საწერ მაგიდასთან მიიბრინა, უჯრა გამოაღო, საფულე იპოვა და იქიდან აკრედიტივი ამოიღო; აკრედიტივი იყო ექვსი ათას პიასტრზე, აქედან ალბერს სამი ათასი უკვე დაეხარჯა. რაც შეეხება ფრანცს, მას სულ არ ჰქონდა აკრედიტივი; იგი ფლორენციაში ცხოვრობდა და რადგან რომში რამდენიმე დღით იყო ჩამოსული, სულ რაღაც ასამდე ლუიდორი ჰქონდა წამოღებული, აქედან ნახევარიღა დარჩენოდა.

ამგვარად, ალბერისათვის საჭირო თანხას შვიდასი თუ რვაასი პიასტრი აკლდა. ასეთ შემთხვევაში ფრანცს შეეძლო, ბატონ ტორლონიას თავაზიანობის იმედი ჰქონოდა.

ის იყო, იმ წუთშივე ბატონ ბრაჩანოს სასახლეში აპირებდა დაბრუნებას, რომ უცებ გონება ერთმა ფიქრმა გაუნათა.

მას მოაგონდა გრაფი მონტე-კრისტო. ფრანცმა ზარის ზონარისაკენ ხელი გასწია, რომ ბატონი პასტრინის დასაძახებლად ვინმე გაეგზავნა, მაგრამ კარი გაიღო და სასტუმროს პატრონი თვითონ შემოვიდა მასთან.

— ჩემო ძვირფასო პასტრინი, — ჰკითხა მან ფიცხლად, — როგორ გგონიათ, გრაფი შინ არის?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ეს-ეს არის დაბრუნდა.

— ნეტავ ჯერ ხომ არ დაწოლილა?

— არა მგონია.

— მაშ გთხოვთ, შედით მასთან და ნებართვა სთხოვეთ, რომ ვეახლო.

— ბატონი პასტრინი სწრაფად გავიდა, რათა ეს დავალება შეესრულებინა.

ხუთი წუთის შემდეგ იგი უკან დაბრუნდა.

— გრაფი ელის თქვენს აღმატებულებას, — თქვა მან.

ფრანცმა გაიარა ტალანი, მსახურმა იგი გრაფთან შეიყვანა. გრაფი იყო პატარა კაბინეტში, რომელიც ფრანცს ჯერ არ ენახა და რომელშიც კედლის გასწვრივ სავარძლები იდგა. გრაფი მის შესახვედრად წამოდგა.

— რა ბედნიერმა შემთხვევამ მოგიყვანათ ასეთ დროს? — ჰკითხა მან ფრანცს, — იქნებ ჩემთან ერთად ივახშმობთ? ეს თქვენის მხრივ დიდი თავაზიანობა იქნებოდა.

— არა, მე ძალიან სერიოზულ საქმეზე მოვედი.

— საქმეზე? — გაიმეორა გრაფმა და ფრანცს გამჭვალავად შეხედა, — მერე და რა საქმეა ასეთი?

— ჩვენ აქ მარტონი ვართ?
 გრაფი კარებთან მივიდა და უკან დაბრუნდა.
 — სავსებით მარტონი.
 ფრანცმა მას ალბერის წერილი გაუწოდა.
 — წაიკითხეთ, — უთხრა მან.
 გრაფმა წერილი წაიკითხა.
 — ოჰ, ოჰ! — წამოიძახა გრაფმა.
 — მინაწერი წაიკითხეთ?
 — დიახ, ვხედავ:
 «Se alle sei della mattina le quattro mila piastre non sono nelle mie mani, alle sette il conte Alberto avra cessato di vivere.
 Luigi Vampa».
 — რას იტყვით? — ჰკითხა ფრანცმა.
 — გაქვთ წერილში აღნიშნული თანხა?
 — დიახ, არ მყოფნის მხოლოდ რვაასი პიასტრი.
 გრაფი თავის სეკრეტერთან მივიდა და ოქროთი სავსე უჯრა გამოაღო.
 — იმედი მაქვს, — უთხრა მან ფრანცს, — არ მაწყენინებთ და ფულის სათხოვნელად სხვასთან არ მიხვალთ.
 — თქვენ ხომ ხედავთ, რომ, პირიქით, პირდაპირ თქვენთან მოვედი, — უპასუხა ფრანცმა.
 — მე ამის მადლობელი ვარ, აიღეთ. — და მან ფრანცს უჯრაზე ანიშნა.
 — განა აუცილებელია ლუიჯი ვამპასათვის ამ თანხის გაგზავნა? — ჰკითხა ფრანცმა და ახლა იგი თავის მხრივ ჩააშტერდა გრაფს.
 — ღმერთო ჩემო! თქვენ თვითონ განსაჯეთ, მინაწერი საკმარისად გასაგებია.
 — მე მგონია, თქვენ რომ მოინდომებდეთ, — უთხრა ფრანცმა, — გაცილებით ადვილ საშუალებას იპოვიდით.
 — როგორ? — ჰკითხა გაკვირვებულმა გრაფმა.
 — მაგალითად, ჩვენ რომ ერთად წავიდოდეთ ლუიჯი ვამპასთან, დარწმუნებული ვარ, ალბერის განთავისუფლებაზე უარს არ გვეტყვის.
 — მე? კი მაგრამ, რა გავლენა უნდა მქონდეს იმ ყაჩაღზე?
 — როგორ, განა თქვენ მას არ გაუწიეთ ერთი ისეთი სამსახურთაგანი, რომელსაც არ ივიწყებენ?
 — როგორი?
 — განა თქვენ არ დაიხსენით პეპინოს სიცოცხლე?
 — ოჰო! — წარმოთქვა გრაფმა, — თქვენ ვინ გითხრათ ეს.
 — განა თქვენთვის სულ ერთი არ არის? მე ეს ვიცი.
 გრაფი ერთ წუთს გაჩუმებული და წარბშეკრული იდგა.
 — ვთქვათ, წავედი ლუიჯი ვამპასთან, თქვენც წამომყვებით?
 — თუკი ჩემთან ერთად ყოფნა არასასიამოვნოდ არ დაგრჩებათ.
 — კარგი, ასე იყოს; მშვენიერი ამინდია რომის გარეუბნებში გასასეირნებლად. ჩვენ მხოლოდ ნასიამოვნები დავრჩებით.
 — საჭიროა იარაღის წამოღება?
 — რისთვის?
 — ფული?
 — არ არის საჭირო. სად არის წერილის მომტანი?
 — ქუჩაში.

— პასუხს ელის?

— დიახ.

— ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიცოდეთ, სად მივდივართ; მე მას დავუძახებ.

— ამაოდ; მან არ ისურვა ამოსვლა.

— თქვენთან არა, მაგრამ ჩემთან ამოვა.

გრაფი მივიდა კაბინეტის ფანჯარასთან, რომელიც ქუჩაში გადიოდა და თავისებურად დაუსტვინა. წამოსასხამში გახვეული კაცი კედელს მოსცილდა და შუა ქუჩაში გამოვიდა.

— Salite!¹ (¹ ამოდით (იტალ.)) — თქვა გრაფმა ისეთი ტონით, თითქოს მსახურს მისცა ბრძანებაო.

მოციქული მაშინვე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ის კი არა, აჩქარებითაც, დაემორჩილა მას, ოთხი ნაბიჯით პარმადი გადაჭრა და სასტუმროში შემოვიდა. ხუთი წუთის შემდეგ კაბინეტის კარებთან იდგა.

— ჰა! ეს შენა ხარ, პეპინო! — უთხრა გრაფმა.

პასუხის მაგივრად პეპინომ მუხლებზე დაიჩოქა, გრაფს ხელში ხელი სტაცა და ზედ რამდენჯერმე აკოცა.

— ოჰო, შენ ჯერ არ დაგვიწყებია, რომ სიცოცხლე შეგინარჩუნე? საკვირველია, მას შემდეგ კი ერთი კვირა გავიდა, — უთხრა მას გრაფმა.

— არა, თქვენო აღმატებულება, მე ამას არასოდეს დავივიწყებ, — უპასუხა პეპინომ ისეთი ხმით, რომელშიც უღრმესი მადლობა გამოსჴვიოდა.

— არასოდეს? ეს ძალიან დიდი დროა! მაგრამ ისიც კარგია, რომ შენ ასე ფიქრობ. ადექი და მიპასუხე.

პეპინომ შემფოთებით შეხედა ფრანცს.

— მისი აღმატებულების წინაშე შენ შეგიძლია თავისუფლად ილაპარაკო, — უთხრა მან, — ის ჩემი ერთ-ერთი მეგობარია. თქვენ მე უფლებას მომცემთ, რომ ასე მოგმართოთ, — უთხრა ფრანცს გრაფმა ფრანგულად, — ეს აუცილებელია, რათა მას ნდობა ჩაუწუნერგო.

— თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ ჩემი თანდასწრებით, მე გრაფის მეგობარი ვარ. — გაიმეორა ფრანცმა.

— კარგი, — თქვა პეპინომ და გრაფს მიუბრუნდა: — თქვენმა აღმატებულებამ დამკითხოს და მე ვუპასუხებ.

— როგორ ჩაუვარდა ხელში ვიკონტი ალბერი ლუიჯი ვამპას?

— ფრანგის ეტლი რამდენჯერმე შეხვდა იმ ეტლს, რომელშიც ტერეზა იჯდა.

— ყაჩაღთა მეთაურის საცოლუ?

— დიახ. ფრანგმა მას თვალებით თამაში დაუწყო; ტერეზა ხუმრობით უპასუხებდა; ფრანგმა თაიგული სტყორცნა, ტერეზამაც საპასუხოდ იების კონა ესროლა; რასაკვირველია, ყაჩაღთა მეთაურის ნებართვით, რომელიც იმავე ეტლში იჯდა.

— როგორ, — შეჴყვირა ფრანცმა, — ლუიჯი ვამპა იმავე ეტლში იყო, რომელშიც რომელი ქალები ისხდნენ?

— ის მეეტლედ იყო გამოწყობილი და ეტლს მართავდა, — უპასუხა პეპინომ.

— შემდეგ? — ჴვითხა გრაფმა.

— შემდეგ ფრანგმა შეიხსნა ნილაბი; ტერეზამაც მეთაურის ნებართვით სახე უჩვენა; ფრანგმა პაემანი ითხოვა, ტერეზამ დაუნიშნა ადგილი და დრო. ოღონდ სან-ჯაკომოს ეკლესიის საფეხურებზე მას ბეპო ელოდა.

— როგორ? — შეაწყვეტინა ისევ ფრანცმა, — ის გლეხის ქალი, რომელმაც მას მოკოლეტო გამოგლიჯა?..

— ის იყო თხუთმეტი წლის ბიჭი, — უპასუხა პეპინომ, — მაგრამ თქვენს ამხანაგს არ უნდა რცხვენოდეს, რომ ამ ბიჭმა მოატყუა. ის პირველი არ არის, ბეპოს ბევრი ჰყავს ხაფანგში გაბმული.

— ქალაქიდან იგი ბეპომ წაიყვანა? — იკითხა გრაფმა.

— დიახ, სწორედ ასე იყო; ვია-მაჩელოს ბოლოში ეტლი იცდიდა; ბეპო ჩაჯდა და ფრანგი მიიპატიჟა. მან თავაზიანად მარჯვენა მხარე დაუთმო ბეპოს, თვითონ კი გვერდით მიუჯდა. აქ ბეპომ უთხრა, რომ წაიყვანდა ვილაში, რომელიც რომიდან ერთი მილის მოშორებით იყო. ფრანგმა უპასუხა, მზადა ვარ, თუნდაც ქვეყნის დასალიერს გაგყვო; მეეტლე მაშინვე გაჰყვა ვია-დე-რიპეტას, ჩაუარა წმინდა პავლეს კარებს, მაგრამ როცა მინდორზე გავიდნენ, ფრანგმა ზედმეტი თვითნებობის გამოჩენა დაიწყო და ბეპომ მას გულზე ორი დამბაჩა მიადო; იმ წუთშივე მეეტლემ ცხენები დააყენა, შემოტრიალდა და იგივე გააკეთა. ამავე დროს ოთხმა ჩვენგანმა, რომლებიც ალმოს ნაპირებზე იმალებოდნენ, ეტლთან მიიღობინეს. მე მგონია, ფრანგმა თავის დაცვა განიზრახა, როგორც ყური მოვკარი, იგი ბეპოს ყელშიც კი სწვდა; მაგრამ რას გახდებოდა ხუთი შეიარაღებული კაცის წინააღმდეგ? ისღა დარჩენოდა, რომ დანებებულიყო. ფრანგი ეტლიდან გადმოათრიეს და პატარა მდინარის ნაპირ-ნაპირ ტერეზასა და ლუიჯისთან მიიყვანეს, რომლებიც მას სან-სებასტიანოს კატაკომბში ელოდნენ.

— აბა, — მიუბრუნდა გრაფი ფრანგს, — მე მგონია, ეს ისტორია ერთ რამედ ღირს. რას იტყვით? თქვენ ხომ ამ საქმის მცოდნე ხართ.

— დიახ, მე მას ძალიან სასაცილოდ მივიჩნევდი, ეს რომ სხვას შემთხვეოდა და არა ჩემს საწყალ ალბერს, — უპასუხა ფრანგმა.

— დიახ, — თქვა გრაფმა, — თქვენ რომ აქ არ გენახეთ, ეს სამიჯნურო ამბავი თქვენს მეგობარს ძვირად დაუჯდებოდა; მაგრამ დამშვიდდით, ის თავს დააღწევს იმით, რომ ცოტაოდენ შიშს სჭამს.

— მაშ, ჩვენ მასთან მივდივართ?

— რასაკვირველია! მით უმეტეს, რომ ძალიან თვალწარმტაც ადგილზე ყოფილა. იცით თქვენ სან-სებასტიანოს კატაკომბი?

— არა, მე იქ არასოდეს ჩავსულვარ, მაგრამ დიდი ხანია კი მინდა იქაურობის ნახვა.

— აი, სწორედ მშვენიერი შემთხვევა მოგეცათ, უკეთესის ნატვრა არც შეიძლება. ეტლი დაბლა გელოდებათ?

— არა.

— ეს არაფერი; მე ჩემი ეტლი ყოველთვის მზად მყავს, დღისითაც და ღამითაც.

— ცხენები შებმულია?

— დიახ, უნდა გითხრათ, რომ მე ჟინის კაცი ვარ, ზოგჯერ სადილის შემდეგ ან შუადღისას მომინდება სადმე ქვეყნის დასალიერისაკენ გასეირნება და მივემგზავრები. გრაფმა ერთხელ დარეკა; ოთახში კამერდინერი შემოვიდა.

— საჯინიბოდან ეტლი გამოაყვანინეთ, — უთხრა მან, — ბუდეებიდან დამბაჩები ამოიღეთ; მეეტლეს ნუ გააღვიძებთ, ჩვენ ალი წაგვიყვანს.

ერთი წუთის შემდეგ გაისმა ეტლის ხმა, ის კარებთან გაჩერდა.

გრაფმა საათს დახედა.

— პირველის ნახევარია, — თქვა მან. — ჩვენ შეგვეძლო, დილის ხუთ საათზე გავსულიყავით და მაინც დროზე მივიდოდით. მაგრამ შეიძლება ჩვენმა დაგვიანებამ თქვენს მეგობარს მშფოთვარე ღამე გაატარებინოს, ამიტომ უკეთესია, რაც შეიძლება ჩქარა გამოვგლიჯოთ იგი ვერაგებს ხელიდან. მაშ, თქვენ ისევ იმ გადაწყვეტილებაზე დგახართ, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ?

— ისე, როგორც არასდროს.

— მაშ, წავიდეთ.

ფრანცი და გრაფი კაბინეტიდან გავიდნენ, მათ უკან პეპინო მიჰყვებოდა.

კარებთან ეტლი დაუხვდათ. კოფოზე ალი იჯდა. ფრანცმა იცნო მონტე-კრისტოს მღვიმის მუნჯი მონა.

ფრანცი და გრაფი ორადგილიან დახურულ ეტლში ჩასხდნენ; პეპინო ალის გვერდით მოთავსდა და ეტლი გაქროლდა. ალის, როგორც ეტყობოდა, ბრძანება წინასწარ ჰქონდა მიღებული. იგი კორსოზე გავიდა, გადასერა კამპო-ვაჩინო, სტრადა სან-გრეგორიოს გაჰყვა და სან-სებასტიანოს კარიბჭეს მიაღწა. გუშაგს არ უნდოდა ეტლი გაეშვა, მაგრამ გრაფმა მას უჩვენა რომის გუბერნატორის მიერ მოცემული ნებართვა, რომლითაც ქალაქში შესვლისა და გამოსვლის უფლება ეძლეოდა ყოველთვის, დღისით და ღამით, როცა კი მოისურვებდა. გისოსი იმ წუთშივე ასწიეს, გუშაგმა გასამრჯელოდ ოქრო მიიღო და ეტლმა გზა განაგრძო.

იგი მიჰყვებოდა ძველი აპიუსის შარაგზას, რომელსაც ორივე მხრივ სასაფლაოები ეკრა. ამომავალი მთვარის შუქზე დროდადრო ფრანცს ეჩვენებოდა, რომ ნანგრევებიდან გუშაგი გამოდიოდა, მაგრამ პეპინოს ნიშანზე ისევ სიბნელეში ქრებოდა.

კარაკალის ცირკთან მისვლამდე ეტლი გაჩერდა. პეპინომ კარი გამოაღო, ფრანცი და გრაფი გადმოხტნენ.

— ათი წუთის შემდეგ ჩვენ ადგილზე ვიქნებით, — უთხრა გრაფმა თავის თანამგზავს.

შემდეგ მან პეპინო განზე გაიხმო და რაღაც ბრძანება ჩასჩურჩულა. პეპინომ ეტლის ყუთიდან ჩირაღდანი ამოიღო და წავიდა.

გავიდა კიდევ ხუთი წუთი; ფრანცი ხედავდა, როგორ მიდიოდა პეპინო რომის ბორცვებიანი მინდვრის ვიწრო ბილიკზე და როგორ გაქრა იგი მაღალი მოწითალო ფერის ბალახებში, რომელიც ვეებერთელა ლომის აბურმგნილ ფაფარს მოგაგონებდათ.

— გავყვეთ მას, — თქვა გრაფმა.

ფრანცი და გრაფი იმავე ბილიკს გაჰყვნენ. როდესაც ფერდობზე ასი ნაბიჯი გაიარეს, პატარა მინდორში აღმოჩნდნენ.

მალე მათ შენიშნეს, რომ სიბნელეში ორი კაცი ერთმანეთს ელაპარაკებოდა.

— კიდევ წინ წავიდეთ? — იკითხა ფრანცმა, — თუ საჭიროა დავიცადოთ?

— წავიდეთ; პეპინომ, ალბათ, გუშაგები გააფრთხილა, რომ ჩვენ მოვდივართ.

მართლაც, ერთ-ერთი მოლაპარაკე პეპინო გამოდგა, მეორე კი — გუშაგად მდგომი დარაჯი.

ფრანცი და გრაფი მათ მიუახლოვდნენ. ყაჩაღი მიესალმა.

— თქვენო აღმატებულებავ, — უთხრა გრაფს პეპინომ, — კეთილი ინებეთ და უკან გამომყევით, კატაკომბის შესასვლელი აქედან ორ ნაბიჯზეა.

— კარგი, გაგვიძეხი, — უთხრა გრაფმა.

მართლაც, მალე, ბუჩქებს იქით, ლოდებს შუა გამოჩნდა ხვრელი, რომელშიც ერთი კაცი ძლივს შეძვრებოდა.

პეპინო პირველი შემვრა ამ ნაპრალში; მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, მიწისქვეშა ხვრელმა გაფართოება დაიწყო. მაშინ იგი შეჩერდა, ჩირაღდანს მოუკიდა და მოტრიალდა, — უკან მომყვებიან თუ არაო.

გრაფი პირველი შესულიყო ამ სასულეს მსგავს ხვრელში, ფრანცი უკან მიჰყვებოდა.

გზა ქვემოთ ეშვებოდა და თანდათან ფართოვდებოდა; მაგრამ ფრანცი და გრაფი იძულებული იყვნენ, ისევ წელში მოხრილებს ევლოთ, ერთმანეთის გვერდით ძლივს მიაბიჯებდნენ. ასე გაიარეს კიდევ ას ორმოცდაათი ნაბიჯი, როცა ისინი შეაჩერა ძახილმა — «ვინ მოდის».

ჩირაღდნის შუქზე დაინახეს, როგორ იელვა კარაბინის ლულამ.

— «მეგობარი!» — უპასუხა პეპინომ. იგი მარტო წავიდა წინ და ამ მეორე გუშაგს ჩუმად რამდენიმე სიტყვა უთხრა, ეს უკანასკნელიც პირველი გუშაგივით მიესალმა მათ და ღამის სტუმრებს ანიშნა — შეგიძლიათ გზა განაგრძოთო.

გუშაგის უკან ოცსაფეხურიანი კიბე ჩანდა. ფრანცი და გრაფი ამ კიბეს ჩაჰყვნენ და ერთგვარ აკლდამაში მოხვდნენ. აქ ვარსკვლავის ქიმებივით გადიოდა ხუთი გზა. ქვის კედლებზე სართულებივით იყო გამოჭრილი კუბოს მოყვანილობის ნიშნები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ისინი ბოლოს კატაკომბაში შევიდნენ.

ერთ-ერთ ხვრელში, რომლის სიგრძის განსაზღვრაც შეუძლებელი იყო, სინათლის ანარეკლი იჭრებოდა.

გრაფმა ფრანცს მხარზე ხელი დაადო.

— გინდათ, ნახოთ ყაჩაღთა ბანაკი შესვენების დროს? — ჰკითხა მან.

— რასაკვირველია, — უპასუხა ფრანცმა.

— მაშ, კარგი! წამოდით ჩემთან. პეპინო, სინათლე ჩააქრე!

პეპინომ ბრძანება შეასრულა და ფრანცი გრაფთან ერთად ღრმა წყვდიადმა მოიცვა; მხოლოდ მათგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯით წინ კედლებზე ცეკვავდნენ სხივები, რომლებიც უფრო აკიაფდნენ, როდესაც პეპინომ ჩირაღდან ჩააქრო.

ისინი ჩუმად წავიდნენ წინ, გრაფი ისე მიუძღოდა ფრანცს, თითქოს უნარი ჰქონდა, წყვდიადი განეჭვრიტა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ მოკიაფე სხივებს, ფრანციც უფრო ადვილად არჩევდა გზას.

გამოჩნდა სამი თალი, — ერთი მათგანი შუაში კარის მაგივრობას სწევდა.

დიდი კვადრატული ოთახიდან ეს თაღები იმ ტალანს ჰყოფდნენ, რომელშიც გრაფი და ფრანცი იმყოფებოდნენ. ამ ოთახს კედლებში ისეთივე ნიშნები ჰქონდა, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ. შუა ოთახში აღმართული იყო ოთხი ქვა, რომლებიც ოდესღაც საკურთხეველის მაგივრობას ასრულებდნენ, რასაც აღნიშნავდა მათ თავებზე შემორჩენილი ჯვრები.

სვეტის ზემირკველზე იდგა ერთადერთი ლამპა. იგი მკრთალი და ფარფატა შუქით ანათებდა უცნაურ სცენას, რომელიც სიბნელეში დამალული სტუმრების თვალწინ იშლებოდა.

ზემირკველზე დაყრდნობილი, თალისაკენ ზურგშექცეული იჯდა ვიღაც კაცი და კითხულობდა.

ეს იყო ყაჩაღთა უფროსი ლუიჯი ვამპა.

მის ირგვლივ თავი მოეყარა ოც ყაჩაღს. ზოგნი წამოსასხამში იყვნენ გახვეულნი და მიწოლილიყვნენ, ზოგნი კი ისხდნენ, ზურგი მიეყრდნოთ ქვის სკამისათვის, რომელიც ამ აკლდამას უვლიდა ირგვლივ. თითოეულ მათგანს ხელთ კარაბინი ეჭირა.

სიღრმეში, უტყვი და ძლივს გასარჩევი, თითქოს ჩრდილიაო, გუშაგი წინ და უკან დადიოდა რაღაც გამოქვაბულის წინ, რომელსაც კაცი იმით გაარჩევდა, რომ იქ უფრო ბნელოდა.

როდესაც გრაფი დარწმუნდა, რომ ფრანცი დატკბა ამ თვალწარმტაცი სურათით, თითები ტუჩებთან მიიტანა, რათა ენიშნებინა, ჩუმად იყავითო, შემდეგ აიარა კიბის სამი საფეხური, რომლებიც დერეფნიდან აკლდამის მსგავს ოთახში ადიოდა, შუა თალით შიგ შევიდა და ვამპასაკენ გაემართა, რომელიც კითხვით ისე იყო გართული, რომ მისი ფეხის ხმა არ გაუგონია.

— ვინ მოდის? — დაიყვირა გუშაგმა, როდესაც ლამპის შუქზე მეთაურის უკან აღმართული აჩრდილი დაინახა.

ამ ყვირილზე ვამპა სწრაფად გამოვარდა და ქამრიდან დამბაჩა გამოიძრო. იმ წუთშივე ყაჩაღები ფეხზე წამოხტნენ და ოცი კარაბინის ლულა გრაფს დაუმიზნეს.

— კმარა, ჩემო კარგო! — უთხრა მშვიდად გრაფმა, ისე რომ სახის არც ერთი ნაკვთი არ შესტოკებია; — კმარა, ძვირფასო ვამპა, მე მგონია, მეგობრის მისაღებად ეს მეტისმეტი ცერემონიალია.

— ძირს იარაღი! — დაიყვირა ყაჩაღთა მეთაურმა და ცალი ხელი მბრძანებლურად მაღლა ასწია, ხოლო მეორეთი ქუდი მოიხადა, სხვებმაც ქუდეები მოიხადეს მოკრძალებით.

შემდეგ ვამპა მოუბრუნდა გრაფს, რომელიც, როგორც ჩანდა, ამ სცენის ყველა მოქმედ პირს იმორჩილებდა.

— მომიტევეთ, ბატონო გრაფო, მე სრულიად არ ველოდი, რომ თქვენ პატივს დამდებდით და მინახულებდით, ამიტომ ვერ გიცანით.

— როგორც ჩანს, თქვენ ძალიან სუსტი მეეხსიერება გქონიათ, ვამპა. თქვენ გავიწყდებათ არა მარტო ადამიანთა სახეები, არამედ მათთან დადებული პირობაც.

— კი მაგრამ, რა პირობა დამავიწყდა, ბატონო გრაფო? — ჰკითხა ყაჩაღმა ისეთი ადამიანის სახით, რომელსაც სურს დაუყოვნებლივ გამოასწოროს თავისი შეცდომა.

— განა შეთანხმებული არ ვიყავით, რომ არა მარტო მე, არამედ ჩემი მეგობრებიც ხელშეუხებლები ვიქნებოდით.

— რითი დავარღვიე ეს პირობა, თქვენო აღმატებულება?

— თქვენ ამ სადამოს მოიტაცეთ და აქ მოიყვანეთ ვიკონტი ალბერ დე მორსერი; ხოლო ეს კაცი, — განაგრძო გრაფმა ისეთი ხმით, რომ ფრანცს უნებურად შეაჟრჟოლა, — ერთ-ერთი ჩემი მეგობარია. იგი იმავე სასტუმროში ცხოვრობს, სადაც მე ვარ. ეს ყმაწვილი კაცი კორსოზე მთელი კვირის განმავლობაში ჩემი ეტლით დასეირნობდა; ამის მიუხედავად, გიმეორებთ, თქვენ იგი მოიტაცეთ, მოიყვანეთ აქ, — გრაფმა ჯიბიდან წერილი ამოიღო, — და მოითხოვეთ გამოსასყიდი, თითქოს იგი პირველი შემხვედრი ყოფილიყო.

— რატომ არაფერი მითხარით ამის შესახებ, — მიუბრუნდა მეთაური თავისიანებს, რომლებმაც მის მზერას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს, — რატომ მაიძულეთ გამეტეხა სიტყვა, მიცემული გრაფისათვის, ადამიანისათვის, რომელსაც ხელში უჭირავს თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე? ქრისტეს სისხლს ვფიცავ, მე რომ ვფიქრობდე ვინმე თქვენგანმა იცოდა, რომ ეს ყმაწვილი მისი აღმატებულების მეგობარია, ჩემი საკუთარი ხელით ტვინს დავანთხვევინებდი.

— ხომ ხედავთ, — მიუბრუნდა გრაფი ფრანცს, — ხომ სიმართლეს გეუბნებოდით, აქ რაღაც გაუგებრობაა-მეთქი.

— განა თქვენ მარტო არა ხართ? — ჰკითხა შეშფოთებით ვამპამ.

— ჩემთან არის ის, ვისაც ეს წერილი მისწერეთ. მე მინდოდა მისთვის დამემტკიცებინა, რომ ლუიჯი ვამპა არასოდეს ღალატობს თავის სიტყვას. მოგვიახლოვდით, თქვენო აღმატებულება, — უთხრა მან ფრანცს, — ლუიჯი ვამპა თვითონ გეტყვით, რომ იგი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი თავისი შეცდომის გამო.

ფრანცი მას მიუახლოვდა, ყაჩაღთა მეთაურმაც რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა წინ.

— კეთილი იყოს თქვენი ჩვენთან მობრძანება, თქვენო აღმატებულება, — უთხრა მან, — თქვენ გაიგონეთ, რა ბრძანა გრაფმა და გაიგონეთ ჩემი პასუხიც. მე მხოლოდ იმისი თქმაღა შემიძლია, რომ სიამოვნებით გადავიხდით ოთხი ათას პიასტრს, გამოსასყიდი თანხის რაოდენობას, ოღონდ ეს შემთხვევა არ მომხდარიყო.

— კი მაგრამ, სად არის ტყვე? — იკითხა შეშფოთებულმა ფრანცმა, — მე მას ვერ ვხედავ?

— იმედი მაქვს, არაფერი შემთხვევია? — თქვა გრაფმა წარბების შექმუხნით.

— ტყვე იქ არის, — უპასუხა ვამპამ და ხელი იმ გამოქვაბულისაკენ გაიშვირა, რომლის წინ გუშაგი დააბიჯებდა. — მე თვითონ მივალ და შევატყობინებ მისი განთავისუფლების ამბავს.

მეთაური ალბერის საკნისაკენ გაეშურა. ფრანცი და გრაფი მას უკან მიჰყვნენ.

— რას აკეთებს პატიმარი? — ჰკითხა გუშაგს ლუიჯი ვამპამ.

— მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი, მეთაურო, — უპასუხა გუშაგმა, — უკვე ერთი საათია, მისი მოძრაობის ხმა არ გამიგონია.

— მობრძანდით, თქვენო აღმატებულება, — უთხრა გრაფს ვამპამ.

გრაფმა და ფრანცმა აიარეს შვიდი-რვა საფეხური; მათ ისევ წინ მიუძღოდა მეთაური, რომელმაც ურდული გადასწია და კარი გააღო.

მაშინ ლამპის შუქზე, რომელიც აკლდამაში დადგმულ ლამპას ჰგავდა, მათ დაინახეს, რომ ალბერი ერთ-ერთი ყაჩაღის მიერ დათმობილ წამოსასხამში გახვეულიყო და ღრმა ძილით ეძინა.

— ოჰო! — თქვა გრაფმა ისეთი ღიმილით, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი, — ეს ცუდი არ არის ისეთი კაცისათვის, რომელიც დილის შვიდ საათზე უნდა დახვრიტონ.

ვამპაც ერთგვარი აღფრთოვანებით შესცქეროდა მძინარე ალბერს. როგორც ეტყობოდა, მასზე შთაბეჭდილება მოახდინა ამ ყმაწვილი კაცის ვაჟკაცობამ.

— თქვენ მართალი ხართ, ბატონო გრაფო, — უთხრა მან, — ეს კაცი ნამდვილად თქვენ მეგობართა რიცხვს ეკუთვნის.

შემდეგ ალბერს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— თქვენი აღმატებულება გამოღვიძებას ხომ არ იწვევს?

ალბერი გაიზმორა, თვალები მოიფშვნიტა და გაახილა.

— აა, ეს თქვენა ხართ, მეთაურო! ეშმაკმა დალახვროს, რატომ გამაღვიძეთ, მშვენიერ სიზმარს ვხედავდი. მესიზმრა, რომ ტორლონიას ოჯახში გრაფინია გ...სთან გალოპს ვცეკვავდი.

ალბერმა ჯიბიდან საათი ამოიღო, რომელიც იმიტომ დაეტოვებინათ, რომ დროის მსვლელობისათვის თვალყური ედევნებინა.

— ორის ნახევარია, — თქვა მან, — რა ეშმაკები შეგიჩნდათ, რომ ასეთ დროს გამაღვიძეთ?

— მინდოდა მეთქვა, რომ თქვენი აღმატებულება თავისუფალი ბრძანდება-მეთქი.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა ალბერმა შეშფოთებული გულგრილობით, — მომავლისათვის დაიმახსოვრეთ ნაპოლეონ დიდის ნათქვამი: «გამაღვიძეთ მხოლოდ ცუდი ამბების მიღების დროს». თქვენ რომ არ გაგელვიძებინეთ, გალოპს დავამთავრებდი და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე თქვენი მაღლობელი ვიქნებოდი... მაშ, გამოსასყიდი თანხა მოიტანეს?

— არა, თქვენო აღმატებულება.

— აბა, როგორღა მათავისუფლებთ?

— თქვენ გამოსახსნელად მოვიდა ადამიანი, რომელსაც მე ვერაფერზე ვერ ვეტყვი უარს.

— აქა?

— აქ.

— ღმერთმანი, მეტად თავაზიანი კაცი ყოფილა.

ალბერმა ირგვლივ მიმოიხედა და ფრანცი დაინახა.

— როგორ! — შესძახა მან, — ჩემო ძვირფასო ფრანც, ეს თქვენ გამოიჩინეთ ასეთი უსაზღვრო ერთგულება?

— არა, მე კი არა, — უპასუხა ფრანცმა, — ჩვენმა მეზობელმა გრაფმა მონტე-კრისტომ.

— აჰ, ბატონო გრაფო, — თქვა მხიარულად ალბერმა და ყელსახვევი და მანუეტები გაისწორა, — თქვენ ნამდვილად დაუფასებელი ადამიანი ბრძანდებით და მე საუკუნოდ თქვენი მოვალე დავრჩები ჯერ ერთი თქვენი ეტლის, ხოლო მეორე — ჩემი გათავისუფლების გამო. — და მან გრაფს ხელი გაუწოდა. ეს უკანასკნელი შეკრთა, მაგრამ ხელი მაინც მისცა.

ლუიჯი ვამპა განცვიფრებული შესცქეროდა ამ სურათს. ის მიჩვეული იყო, რომ ტყვეები მის წინაშე ცახცახებდნენ. და აი, გამოჩნდა ერთი, რომლის მხიარული განწყობილება სრულიად არ შეცვლილა. რაც შეეხება ფრანცს, ის აღტაცებული იყო, რომ ალბერმა ყაჩაღის თვალშიც არ დაკარგა თავისი ეროვნული ღირსება.

— ძვირფასო ალბერ, — უთხრა მან მეგობარს, — თქვენ თუ აჩქარდებით, კიდევ მივუსწრებთ ტორლონიების მეჯლისს და შეგემღებათ დაამთავროთ შეწყვეტილი გალოპი. ახლა კი აპატიეთ სენიორ ვამპას, რომელიც, უნდა ითქვას, მთელ ამ ამბავში ნამდვილად კეთილშობილურად მოიქცა.

— თქვენ მართალი ხართ, — უთხრა ალბერმა, — ორი საათისთვის მოვასწრებთ იქ მისვლას. ბატონო ლუიჯი, — განაგრძო მან, — სანამ თქვენ აღმატებულებას გამოვემშვიდობებოდე, კიდევ რა ფორმალური მხარეები მაქვს შესასრულებელი?

— არაფერი, — უპასუხა ყაჩაღმა, — თქვენ თავისუფალი ხართ.

— მაშ, გისურვებთ ბედნიერსა და მხიარულ ცხოვრებას. წავიდეთ, ბატონებო, წავიდეთ.

ალბერმა, ფრანცმა და გრაფმა გადაჭრეს კვადრატული ოთახი, ყაჩაღები ქუდმოხდილები იდგნენ.

— პეპინო, — დაიძახა მეთაურმა, — მომეცი ჩირაღდანი.

— რას აპირებთ? — ჰკითხა გრაფმა.

— მინდა გაგაცილოთ, — უპასუხა მეთაურმა: — ეს ყველაზე მცირე პატივია, რომელიც შეიძლება თქვენს აღმატებულებას მივუძღვნა

ვამპამ პეპინოს ხელიდან ჩირაღდანი გამოართვა და სტუმრებს წინ წაუძღვა, მაგრამ არა როგორც მოვალეობის შემსრულებელი მსახური, არამედ როგორც მეფე, რომელსაც უკან ელჩები მიჰყვებიან.

როდესაც კარებთან მივიდნენ, ის დაიხარა.

— ბატონო გრაფო, კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს და იმედი მაქვს, უკვე აღარ მიწყრებით ჩემს მიერ ჩადენილი საქციელის გამო.

— არა, ჩემო ძვირფასო ვამპა, თქვენ ისე თავაზიანად ასწორებთ თქვენს შეცდომას, რომ ის კი არა, თითქმის სურვილი მებადება მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ თქვენ იგი ჩაიდინეთ.

— ბატონებო, — განაგრძო კვლავ ყაჩაღმა და ყმაწვილ კაცებს მიუბრუნდა, — შეიძლება ჩემი მასპინძლობა თქვენ არცთუ ისე მომხიბლავად გეჩვენებათ, მაგრამ თუ ოდესმე მეორედ მოგინდებათ ჩემი ნახვა, სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მოხარული ვიქნები თქვენი ხილვისა.

ფრანცმა და ალბერმა თავი დაუკრეს. გრაფი პირველი გავიდა, მას მიჰყვა ალბერი, ფრანცი კი აგვიანებდა.

— თქვენს აღმატებულებას რისიმე კითხვა სურს? — ჰკითხა ღიმილით ვამპამ.

— დიახ. მე მაინტერესებს, რა წიგნს კითხულობდით ისე გატაცებით, როდესაც ჩვენ შემოვედით?

— ცეზარის «კომენტარებს», — უპასუხა ყაჩაღმა, — ეს ჩემი საყვარელი წიგნია.

— ფრანც, რას აგვიანებთ? — დაუძახა ალბერმა.

— მოვდივართ, მოვდივართ, — უპასუხა ფრანცმა და ნაპრალიდან ისიც გამოძვრა.
— ბოდიშს ვიხდი, — თქვა ალბერმა და უკან დაბრუნდა, — თქვენ ნებას მომცემთ?
და მან ლუიჯის ჩირაღდანზე სიგარას მოუკიდა.

— ახლა კი, ბატონო გრაფო, — თქვა მან, — დროს ნუ დავკარგავთ. მე ძალიან მინდა
დარჩენილი ღამე ჰერცოგ ბრაჩანოსთან გავატარო.

ეტლი მათ იმავე ადგილას უცდიდა, სადაც დატოვეს. გრაფმა ალის რაღაც უთხრა
არაბულად და ცხენები ჭენებით გაქანდნენ.

ზუსტად ორი იყო ალბერის საათზე, როდესაც მეგობრები საცეკვაო დარბაზში
შევიდნენ.

მათმა დაბრუნებამ სენსაცია მოახდინა, მაგრამ რაკი ორივენი ერთად იყვნენ, ალბერის
დაკარგვით გამოწვეული შიში მაშინვე გაქრა.

— ქალბატონო, — მიმართა ვიკონტ დე მორსერმა და გრაფინიას მიუახლოვდა, —
გუშინ ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ, რომ გალოპს დამპირდით. მე ცოტა დაგვიანებით
გახსენებთ ამ თავაზიან დაპირებას. მაგრამ ჩემი მეგობარი, რომელსაც მართალი კაცის
სახელი აქვს მოხვეჭილი, დამიდასტურებს, რომ ეს ჩემი ბრალი არაა.

და რაკი ამ წუთში სწორედ ვალსი დაუკრეს, ალბერმა გრაფინიას წელზე ხელი
მოჰხვია. ქალ-ვაჟი მოცეკვავეებში გაერივნენ.

ფრანცი კი იმაზე ფიქრობდა, რა უცნაურად შეკრთა გრაფი, როდესაც იგი იძულებული
იყო, ალბერისათვის ხელი ჩამოერთმია.

XVII პაემანი

მეორე დღეს, ლოგინიდან წამოდგომისთანავე, ალბერმა ფრანცს შესთავაზა, გრაფთან
მისულიყვნენ სადარბაზოდ; ალბერმა მას წინა საღამოს გადაუხადა მადლობა, მაგრამ
ძალიან კარგად ესმოდა, რომ ასეთი სამსახური ორმაგ მადლობას მოითხოვდა.

ფრანცს, რომელიც გრაფის მიმართ შიშნარევ სიმპათიას გრძნობდა, არ უნდოდა,
ალბერი მარტო გაეშვა და ამიტომ მეგობრები ერთად წავიდნენ; ისინი სასტუმრო ოთახში
შეიყვანეს. ხუთი წუთის შემდეგ გრაფიც გამოჩნდა.

— ბატონო გრაფო, — უთხრა ალბერმა და მიუახლოვდა, — ნება მომეცით, ამ დილით
გაგიმეოროთ ის, რაც გუშინ ასე კარგად ვერ გამოვთქვი: მე არასოდეს დავივიწყებ, თუ
როგორ მდგომარეობაში მომევიღინეთ მხსნელად, და მუდამ მემახსოვრება, რომ თქვენ მე
თითქმის სიცოცხლე მაჩუქეთ.

— ჩემო ძვირფასო მეზობელო, — უპასუხა გრაფმა სიცილით, — თქვენ აზვიადებთ
ჩემს დამსახურებას. მე თქვენ გადაგიჩინეთ სამგზავრო ოცი ათასი ფრანკი, ეს არის და
ეს; თქვენ თვითონაც ხედავთ, რომ ეს სალაპარაკოდ არ ღირს. მაგრამ ნება მიბოძეთ, მე
შეგაქოთ: თქვენ თავი არაჩვეულებრივად გეჭირათ.

— მაშ, რა უნდა მექნა, ბატონო გრაფო! — უთხრა ალბერმა, — მე წარმოვიდგინე, რომ,
ვთქვათ, მომივიდა ჩხუბი, რომელიც დუელით დამთავრდა და მინდოდა ყაჩაღებისათვის
დამემტკიცებინა, რომ, თუმცა ყველა ქვეყანაში იბრძვიან დუელში, მაგრამ მხოლოდ
ფრანგები იბრძვიან სიცილით. თუმცა ეს არაფრით ამცირებს ჩემს თქვენდამი
ვალდებულებას და იმისათვის გეახელით, რომ გკითხოთ, ხომ არაფერში გამოგადგებით
ან პირადად, ან ჩემი მეგობრებისა და ჩემი ნაცნობების შემწეობით. მამაჩემს, გრაფ დე
მორსერს, წარმოშობით ესპანელს, დიდი გავლენა აქვს საფრანგეთში და ესპანეთში; თქვენ
შეგიძლიათ მე და ყველა ისინი, ვისაც მე ვუყვარვარ, თქვენს განკარგულებაში
გვიგულოთ.

— ძალიან კარგი, — უთხრა გრაფმა, — უნდა გამოგიტყდეთ, ბატონო მორსერ, რომ მოველოდი თქვენგან ასეთ წინადადებას და მთელი სულითა და გულით ვღებულობ მას. თვითონაც მინდოდა მეთხოვა ერთი დიდი სამსახური.

— რა სამსახური?

— არასოდეს ვყოფილვარ პარიზში; არ ვიცნობ ქალაქს...

— მართლა! — შესძახა ალბერმა, — თქვენ აქამდე ისე ცხოვრობდით, რომ პარიზი არ გინახავთ? ეს დაუჯერებელია.

— დაუჯერებელია თუ არა, ეს ასეა; მაგრამ მეც თქვენსავით მიმაჩნია, რომ უკვე დროა, გავეცნო განათლებული ქვეყნის დედაქალაქს. კიდევ მეტს გეტყვით: შეიძლება უკვე დიდი ხანია ჩამეტარებინა ეს მოგზაურობა, თუ ისეთი ნაცნობი მეყოლებოდა, რომელიც გამაცნობდა პარიზის საზოგადოებას, სადაც ნაცნობები არ მყავს.

— ისეთ ადამიანს, როგორც თქვენ ბრძანდებით, — შეჰყვირა ალბერმა.

— თქვენ ძალიან თავაზიანი ბრძანდებით; მაგრამ ჩემს თავში ვერ ვხედავ სხვა ღირსებას, გარდა იმისა, რომ შემეძლია მილიონების რაოდენობაში შევეჯიბრო ბატონ აგუადოს ან ბატონ როტშილდს; მე პარიზში იმიტომ როდი მივდივარ, რომ ბირჟაზე ვითამაშო. აი, სწორედ ეს მდგომარეობა მაჩერებდა. მაგრამ თქვენმა წინადადებამ უკვე გადაწყვეტილება მიმაღებინა. ძვირფასო ბატონო მორსერ, იკისრებთ თუ არა (ამ სიტყვებზე გრაფის ბაგეებს უცნაურმა ღიმილმა გადაუარა) კარი გამიხსნათ იმ საზოგადოებაში, რომლისთვისაც მე ისევე უცხო ვიქნები, როგორც ჰურონი ან კოხინხინელი.

— ამ სამსახურს, ბატონო გრაფო, დიდი სიხარულითა და მთელი გულით გაგიწევთ! მით უფრო დიდი სიამოვნებით (ჩემო ძვირფასო ფრანც, გთხოვთ სასაცილოდ ნუ ამიგდებთ), რომ მე პარიზში გამომიძახეს წერილით, რომელიც ამ დილით მივიღე. ამ წერილში ლაპარაკია ჩემს დაკავშირებაზე ძალიან კარგ ოჯახთან, რომელსაც პარიზის მაღალ საზოგადოებაში საუკეთესო ნაცნობობა აქვს.

— მაშ, თქვენ ცოლს თხოულობთ? — ჰკითხა ფრანცმა სიცილით.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, დიახ; ასე რომ, როცა თქვენ პარიზში დაბრუნდებით, მე ცოლიანი და, შეიძლება, ოჯახის მამაც ვიყო. ჩემს თანდაყოლილ სერიოზულობას ეს ძალიან მოუხდება, არა? ყოველ შემთხვევაში, ბატონო გრაფო, გიმეორებთ, მე და ჩემი ახლობლები სულითა და ხორციით თქვენს განკარგულებაში ვართ.

— თანახმა ვარ, — თქვა გრაფმა, — და გარწმუნებთ, მხოლოდ ეს გარემოება მიშლიდა ხელს, სისრულეში მომეყვანა გეგმა, რომელზედაც დიდი ხანია ვფიქრობ.

ფრანცს ერთი წუთითაც კი არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს სწორედ ის გეგმები იყო, რომელთა შესახებაც გრაფს რამდენიმე სიტყვა წამოსცდა მონტე-კრისტოს მღვიმეში და მან ყურადღებით შეხედა გრაფს: უნდოდა, მის სახეზე რაიმე მაინც წაეკითხა იმ გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც მას პარიზში გასამგზავრებლად ამომრავებდა, მაგრამ ძალიან ძნელი იყო, ჩასწვდომოდით ამ კაცის ფიქრებს, მით უმეტეს, როდესაც მათ ღიმილში მალავდა.

— მაგრამ, ბატონო გრაფო, — დაიწყო ისევ ალბერმა, გახარებულმა იმით, რომ მას წილად ხვდა, პარიზის საზოგადოებაში შეეყვანა ისეთი ადამიანი, როგორც გრაფი მონტე-კრისტო იყო, — იქნება თქვენი გეგმა ჰაერშია აგებული, როგორც ეს ხშირად ხდება მოგზაურობის დროს და ის, ქვიშაზე აგებული შენობის მსგავსად, ქარის პირველმა ქროლვამ წაიღოს.

— არა, გარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის: მე მინდა პარიზში წასვლა, ის კი არა — აუცილებელია ჩემი წასვლა.

— მერედა როდის აპირებთ?

— თქვენ თვითონ როდის იქნებით იქ?

— მე, — თქვა ალბერმა, — ღმერთო ჩემო, ორი კვირის, სულ დიდი სამი კვირის შემდეგ; იმ ხანში, რაც უკან დასაბრუნებლად დამჭირდება.

— კარგი, — უთხრა გრაფმა, — მე თქვენ გამლევთ სამ თვეს. ხომ ხედავთ, რომ არ ვპუნწობ.

— და სამ თვეში, — შესძახა სიხარულით ალბერმა, — თქვენ კარებზე დამიკაკუნებთ?

— გინდათ, ზუსტად დავნიშნოთ შეხვედრის დღე და საათი? — უთხრა გრაფმა, — მე გაფრთხილებთ, რომ ზედმიწევნით პუნქტუალური ვარ.

— დღე და საათი? ეს მშვენიერია. — თქვა ალბერმა.

— კარგი! ასე იყოს.

გრაფმა სარკის ახლოს დაკიდებული კალენდრისაკენ ხელი გასწია.

— დღეს ოცდაერთი თებერვალია (მან ჯიბიდან საათი ამოიღო); დილის თერთმეტის ნახევარი. თანახმა ხართ, მელოდოთ ოცდაერთ მათს, დილის თერთმეტის ნახევარზე?

— მშვენიერია, — თქვა ალბერმა, — საუზმე მზად იქნება.

— სად ცხოვრობთ?

— ჰელდერის ქუჩა, №27.

— თქვენ მარტო ცხოვრობთ, არ შეგაწუხებთ?

— მამაჩემის სახლში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი ფლიგელი განცალკევებულად დგას უკანა ეზოში.

— ძალიან კარგი.

გრაფმა უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაწერა: «ჰელდერის ქუჩა, №27, 21 მაისი, დილის თერთმეტის ნახევარზე».

— ახლა კი, — თქვა გრაფმა და უბის წიგნაკი ჯიბეში ჩაიღო, — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე თქვენი საათის ისრებივით ზუსტი ვიქნები.

— ჩემს წასვლამდე კიდევ გნახავთ? — ჰკითხა ალბერმა.

— ეგ იმაზეა დამოკიდებული, როდის მიემგზავრებით.

— მე მივემგზავრები ხვალ, საღამოს ხუთ საათზე.

— მაშ, გამოგემშვიდობებით. საქმეები მაქვს ნეაპოლში და შაბათს ან კვირა საღამოზე ადრე არ დავბრუნდები. თქვენც მიემგზავრებით, ბარონ? — მიუბრუნდა იგი ფრანცს.

— დიახ.

— საფრანგეთში?

— არა, ვენეციაში. მე იტალიაში ერთ ან ორ წელიწადს კიდევ დავრჩები.

— მაშ, ჩვენ ერთმანეთს ვერ ვნახავთ პარიზში?

— ვშიშობ, რომ არ მექნება ეს პატივი.

— მაშ, ბატონებო, კეთილი მგზავრობა, — უთხრა გრაფმა მეგობრებს და ორივე ხელი გაუწოდა.

ფრანცი პირველად ეხებოდა ამ კაცის ხელს; იგი შეკრთა, გრაფს მიცვალებულივით ცივი ხელი ჰქონდა.

— მაშ, გადაწყვეტილია, — თქვა ალბერმა, — თქვენ სიტყვა მომეცით, ხომ? ჰელდერის ქ. №27. ოცდაერთი მაისი, დილის თერთმეტის ნახევარი.

— ოცდაერთ მაისს, დილის თერთმეტის ნახევარზე, ჰელდერის ქუჩა, №27, — გაიმეორა გრაფმა.

ამის შემდეგ ყმაწვილი კაცები გრაფს გამოემშვიდობნენ და გავიდნენ.

— რა მოგივიდათ, — უთხრა ფრანცს ალბერმა, როდესაც თავის ოთახში შევიდნენ, — ძალიან შეფიქრიანებული სახე გაქვთ.

— დიახ, — თქვა ფრანცმა, — უნდა გამოგიტყდეთ, რომ გრაფი უცნაური კაცია და მაწუხებს ის პაემანი, რომელიც თქვენ პარიზში დაუნიშნეთ.

— გაწუხებთ? პაემანი! ღმერთო ჩემო, თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ, ფრანც? — წამოიყვირა ალბერმა.

— რას იზამთ, — უთხრა ფრანცმა, — გავგიჟდი თუ არა, ეს კი ასეა.

— მისმინეთ, — დაიწყო ალბერმა — მე მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა, ჩემი შეხედულება გითხრათ: კარგა ხანია გამჩნევთ, რომ თქვენ გრაფის მიმართ გულგრილობას იჩენთ, ის კი, პირიქით, ყოველთვის თავაზიანი იყო სხვების მიმართ. გაქვთ რაიმე განსაკუთრებული საბუთი მის წინააღმდეგ?

— შესაძლებელია.

— თქვენ მას წინათ შეხვედრიხართ?

— შეხვედრივარ.

— სად?

— პირობას მომცემთ, რომ ამაზე სიტყვას არავისთან დასძრავთ.

— პირობას გაძლევთ.

— პატიოსან სიტყვას?

— პატიოსან სიტყვას.

და ფრანცი მოუყვა ალბერს კუნძულ მონტე-კრისტოზე გასეირნების ამბავს, როგორ შეხვდა იგი კონტარაბანდისტებს, რომელთა შორის იყო ორი კორსიკელი ყაჩაღი. მან დაწვრილებით უამბო, თუ როგორი ზღაპრული მასპინძლობა გაუწია გრაფმა თავის «ათას ერთი ღამის» მღვიმეში, აღწერა ვახშამი, ჰაშიში, ქანდაკებები, სინამდვილე და სიზმარი. ისიც უთხრა, რომ ამ სიზმრიდან მოგონებად და საბუთად დარჩა მხოლოდ პატარა იახტა, რომელიც ჰორიზონტზე ჩანდა და პორტო-ვეკიასაკენ მიცურავდა. შემდეგ გადავიდა რომის ამბებზე; კოლიზეიში ლუიჯისა და გრაფს შორის მოსმენილ საუბარზე, გრაფის დაპირებაზე, რომ ის მიაღწევდა პეპინოს შეწყალებას, რაც მან, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, შეასრულა კიდევ.

ბოლოს გადავიდა წინა ღამის ამბებზე; რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა იგი, როდესაც დაინახა, რომ გამოსასყიდ თანხას რვაასი პიასტრი აკლდა. შემდეგ უცებ როგორ გაუელვა აზრმა, გრაფ მონტე-კრისტოსათვის მიემართა, რაც ასე კეთილად დაგვირგვინდა.

ალბერი მთელი ყურადღებით უსმენდა ფრანცს.

— ჰოდა, მერე რა? — თქვა მან, როდესაც ფრანცმა მოყოლა დაამთავრა, — ყოველივე ამაში რას ხედავთ საძრახისს? გრაფი მოგზაურია, მას აქვს საკუთარი ხომალდი, რადგან მდიდარია. წადით პორტსმუტში ან საუტჰემპტონში და თქვენ დაინახავთ, რომ ნავსადგურები სავსეა იახტებით, რომლებიც მდიდარ ინგლისელებს ეკუთვნის, ისინიც ისეთივე ფანტაზიის ხალხია. გრაფი ბინას იკეთებს მონტე-კრისტოზე, რათა მოგზაურობის დროს თავშესაფარი ჰქონდეს, რათა არ ჭამოს ისეთი საძაგელი კერძები, ჩვენ რომ გვწამლავს. — მე აი, უკვე ოთხი თვეა — თქვენ კი ოთხი წელი; რათა არ დაწვეს ისეთ საძაგელ ლოგინზე, სადაც ძილი შეუძლებელია, მოაწყო მონტე-კრისტოზე ბინა. ტოსკანის მთავრობას რომ არ წაერთმია და მისი შრომა წყალში არ ჩაეყარა, იყიდა კუნძული და იგივე სახელი დაირქვა. ჩემო ძვირფასო, აბა, მოიგონეთ და მითხარით, თქვენი ნაცნობებიდან რამდენი ატარებს მამულის სახელს, რომელიც არასოდეს ყოფილა მისი საკუთრება.

— კი მაგრამ, კორსიკელი ყაჩაღები, რომლებიც მის ამალაში შედიოდნენ? — თქვა ფრანცმა.

— ჰოდა, თუნდაც ეგ. რა არის მანდ გასაკვირი? თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ კორსიკელი ყაჩაღები მტაცებლები კი არ არიან, არამედ უბრალოდ დევნილები, რომლებიც მშობლიური ქალაქიდან ან მშობლიური სოფლიდან გვაროვნული სისხლის აღების ადათმა განდევნა. მათი საზოგადოება თქვენ სახელს არ გაგიტეხთ. რაც შემეხება მე, გიცხადებთ, რომ თუ ოდესმე კორსიკაში მოვხვდი, სანამ გუბერნატორთან და პრეფექტთან გამოვცხადებოდე, ვითხოვ, კოლომბას ყაჩაღებთან წარმადგინონ, თუკი მათი მოძებნა შესაძლებელი გახდება. მე ისინი მომხიბვლელებად მიმაჩნია.

— ვამპა და მისი ბანდა, — უპასუხა ფრანცმა, — ესენი ხომ ნამდვილი მძარცველი ყაჩაღები არიან, იმედი მაქვს, ამაზე კამათს არ დამიწყებთ. როგორ გგონიათ, რა გავლენას ახდენს გრაფი ამგვარ ადამიანებზე?

— მე მგონია, ჩემო ძვირფასო, რაკი ამ გავლენას სიცოცხლეს უნდა ვუმაღლოდე, არ შემფერის მეტისმეტად კრიტიკულად მივუდგე მას. ამიტომ იმის მაგივრად, რომ თქვენსავით ეს გრაფს დანაშაულად ჩავუთვალო, ნება მომეცით, ვაპატიო ჩემს მეზობელს, ვინაიდან თუ მან არ იხსნა ჩემი სიცოცხლე, — ეს მეტისმეტი გაზვიადება იქნებოდა, — ყოველ შემთხვევაში, ოთხი ათასი პიასტრი გადამირჩინა; ეს ჩვენს ფულზე შეადგენს არანაკლებ ოცდაოთხი ათას ფრანკს; ვეჭვობ, საფრანგეთში ასე ძვირად დავფასებულებიყავი, რაც იმას ამტკიცებს, — დასძინა ალბერმა სიცილით, — რომ წინასწარმეტყველს მის სამშობლოში არავინ აღიარებს.

— ჰო, მართლა, სამშობლოზე გამახსენდა; რომელი ქვეყნიდან არის გრაფი? რომელია მისი დედაენა? რა სახსრებით არსებობს? საიდან მოდის მისი უზომო სიმდიდრე? როგორი იყო პირველი ნახევარი მისი საიდუმლო და უცნობი ცხოვრებისა, რომელმაც მეორე ნახევარზე დააჩნია მიზანტროპიის პირქუში კვალი? აი, თქვენ ადგილზე რის გაგებას შევეცდებოდი.

— ძვირფასო ფრანც, — უპასუხა ალბერმა, — როდესაც თქვენ ჩემი წერილი მიიღეთ და ნახეთ, რომ გრაფის დახმარება გვჭირდებოდა, თქვენ მას უთხარით: ჩემი მეგობარი ალბერ დე მორსერი საფრთხეშია, მომეხმარეთ, დავიხსნათ იგიო, ასე იყო არა?

— დიახ.

— განა მან გკითხათ, ვინ არის ბატონი ალბერ დე მორსერი? საიდან მოდის მისი გვარი? საიდან მოდის მისი სიმდიდრე? რა სახსრებით ცხოვრობს? სად არის მისი სამშობლო? სად დაიბადა? მითხარით, გკითხათ ყოველივე ეს?

— არა. უნდა გამოვტყდე, რომ არა.

— ის უბრალოდ ადგა და წამოვიდა. მან მე გამომგლიჯა ბატონ ვამპას ხელიდან. როგორც თქვენ ამბობთ, თავი ძალიან კარგად მეჭირა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ სინამდვილეში ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი. და აი, როდესაც ასეთი სამსახურის სანაცვლოდ მთხოვს მისთვის გავაკეთო ის, რასაც თითქმის ყოველდღე ვუკეთებ პარიზში ჩამოსულ რუს ან იტალიელ თავადს, ესე იგი მთხოვს გავაცნო პარიზის საზოგადოებას, თქვენ გინდათ, უარი ვუთხრა ამაზე? კმარა, ფრანც, თქვენ ჭკუაზე შემლილხართ.

უნდა ითქვას, რომ ჩვეულების წინააღმდეგ სიამრთლე ამჯერად ალბერის მხარეზე იყო.

— ერთი სიტყვით, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცით, — ამოიოხრა ფრანცმა, — რადგან, რასაც თქვენ ამბობთ, ყველაფერი ძალზე დამაჯერებელია, ამაში გამოვტყდები; მაგრამ ისიც მართალია, რომ გრაფი მონტე-კრისტო უცნაური კაცია.

— გრაფი მონტე-კრისტო ფილანტროპია. მან თქვენ არ გითხრათ, რისთვის მიდის პარიზში; ჰოდა, მისმინეთ: ის მიდის, მონაწილეობა მიიღოს მონტიონის პრემიების კონკურსში¹, (¹ ბარონი მონტიონი — განათლებული პარიზელი ფილანტროპი, რომელმაც

რამდენიმე პრემია დააარსა ქველმოქმედი ადამიანების და მწერლების დასაჯილდოებლად (1733—1820).) ხოლო თუ მას ჩემი ხმა სჭირდება და გავლენა იმ უმწიკვე ადამიანისა, რომელზედაც დამოკიდებულია პრემიების მიღება, პირველს მე მას ვაძლევ, ხოლო მეორისათვის თავდებობას ვკისრულობ ამით, ჩემო ძვირფასო ფრანც, დავამთავროთ ჩვენი საუბარი და სუფრას მივუსხდეთ. შემდეგ კი უკანასკნელად შევავლოთ თვალი წმინდა პეტრეს ტაძარს.

მართლაც, მეგობრებმა ინახულეს წმინდა პეტრეს ტაძარი, ხოლო მეორე დღეს, შუადღის ხუთ საათზე, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ალბერ დე მორსერი პარიზში დაბრუნდა, ფრანც დ'ეპინე კი ორი კვირით ვენეციაში გაემგზავრა.

მაგრამ ალბერი ისე შიშობდა, მის სტუმარს არ დავიწყებოდა დანიშნული პაემანი, რომ, სანამ ეტლში ჩაჯდებოდა, მსახურ ბიჭს გაატანა სადარბაზო ბარათი, რომელსაც «ვიკონტ ალბერ დე მორსერი»-ს ქვემოთ ფანქრით მიაწერა: 21 მაისი, დილის თერთმეტის ნახევარზე, ჰელდერის ქ. №27.

შინაარსი

ალექსანდრე დიუმა— შოთა რევიშვილი

ნაწილი პირველი

I მარსელი. დაბრუნება

II მამა და შვილი

III კატალანი

IV შეთქმულება

V ნიშნობა

VI მეფის პროკურორის თანაშემწე

VII დაკითხვა

VIII ციხესიმაგრე იფი

IX ნიშნობის დღის საღამო

X ტიულერის პატარა კაბინეტი

XI კორსიკელი კაციჭამია

XII მამა და შვილი

XIII ასი დღე

XIV პატიმარი გაშმაგებული და პატიმარი შეშლილი

XV ნომერი 34 და ნომერი 27

XVI იტალიელი მეცნიერი

XVII აბატის საკანი

XVIII აბატ ფარიას განძეული

XIX მესამე შეტევა

XX ციხესიმაგრე იფის სასაფლაო

XXI კუნძული ტიბულენი

ნაწილი მეორე

I კონტრაბანდისტები

II კუნძული მონტე-კრისტო

III თვალისმომჭრელი სინათლე

- IV უცნობი
- V ტრაქტირი — «გარდის ხიდი»
- VI ამბავი
- VII პატიმართა სიები
- VIII სავაჭრო სახლი მორელი
- IX ხუთი სექტემბერი
- X იტალია. სინდბად მეზღვაური
- XI გამოფხიზლება
- XII რომაელი ყაჩაღები
- XIII მოჩვენება
- XIV La Mazzolata
- XV კარნავალი რომში
- XVI კატაკომბა დე სან-სებასტიანო
- XVII პაემანი

გრაფი მონტე-კრისტო

ნაწილი მესამე

თავი I სტუმრები

ელდერის ქუჩის იმ სახლში, სადაც ალბერ დე მორსერმა ჯერ კიდევ რომში ყოფნის დროს გრაფ მონტე-კრისტოს პაემანი დაუნიშნა, ოცდაერთ მაისს დილიდანვე სამზადისი იყო, რათა ყმაწვილი კაცის მიერ მოწვეულ სტუმარს ღირსეულად დახვედროდნენ.

ალბერ დე მორსერი ცხოვრობდა ცალკე ფლიგელში, რომელიც გადიოდა დიდი ეზოს კუთხეში, — სამზარეულო-საკუქნაო-საჯინბოს პირდაპირ. ფლიგელის ორი ფანჯარა გადაჰყურებდა ქუჩას, სამი — ეზოს, ხოლო ორი დანარჩენი კი — ბაღს.

ეზოსა და ბაღს შუა აღმართული იყო გრაფ და გრაფინია დე მორსერების ნათელი და ფართო საცხოვრებელი — ნაპოლეონის დროინდელი არქიტექტურის ცუდი გემოვნებით აშენებული შენობა.

მთელ მამულს, ქუჩის გასწვრივ, გაყოლებული ჰქონდა ქვის კედელი, ალაგ-ალაგ ყვავილის ლარნაკებით შემკული და შუაზე გაჭრილი, ოქროთი მოვარაყებული შუბებიანი კარით, რომელიც სადარბაზო შესასვლელი იყო. მეკარის ბინის გვერდით მდებარე პატარა კარი განკუთვნილი იყო მოსამსახურეებისა და ქვეითად შემსვლელ-გამომსვლელი ბატონებისათვის.

ალბერის საცხოვრებელი ფლიგელი ისე იყო შერჩეული, რომ იგრძნობოდა ნაზი წინდახედულობა დედისა, რომელსაც არ უნდოდა შვილს დაშორებოდა და ამავე დროს კარგად ესმოდა, რომ ყმაწვილ კაცს ამ ასაკში სრული თავისუფლება ესაჭიროებოდა. მეორე მხრივ ჩანდა გონიერი ეგოიზმი მდიდარი მშობლების უსაქმური და თავისუფალი ცხოვრების მოყვარული ყმაწვილი კაცისა, რომელსაც ამ ცხოვრებას ისე უვარაყებენ, როგორც ჩიტს გალიას.

ქუჩისპირა ფანჯრებიდან ალბერს შეეძლო დაკვირვება ეწარმოებინა გარე სამყაროზე; ყმაწვილი კაცებისათვის ხომ აუცილებელია, რომ მათ ჰორიზონტზე ყოველთვის ციალებდნენ ლამაზი ქალები, თუნდაც ეს ჰორიზონტი ქუჩა იყოს. ხოლო თუ დაკვირვების საგანი უფრო მეტ შესწავლას მოითხოვდა, ალბერს შეეძლო გასულიყო იმ პატარა ჭიშკრით, რომელიც შეესაბამებოდა მეკარის ბინის გვერდით მოთავსებულ პატარა კარს და რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ეს პატარა ჭიშკარი ისე შეუმჩნეველი იყო, იფიქრებდით, ალბათ, შენობის აგების დილიდანვე საბოლოოდ მიუვიწყებიათო. მაგრამ მზრუნველობით გაზეთილი კლიტე და კოჭაკები იმაზე მეტყველებდნენ, რომ მას ხშირად საიდუმლოდ იყენებდნენ. ეს მალული ჭიშკარი, მეტოქეობას უწევდა ორ დანარჩენ გამოსასვლელს და დასცინოდა მეკარეს, რომლის სიფხიზლეს და უფლებამოსილებას შეუმჩნეველი რჩებოდა, რომ იგი უნაზესი ხმის გაგონებაზე ან სათუთი თითების წინასწარ შეთანხმებულ კაკუნზე იღებოდა, როგორც «ათას ერთი ღამის» მღვიმის ცნობილი კარი, როგორც ალი-ბაბას ჯადოქრული სეზამი.

ეს კარი გადიოდა ვრცელ და მყუდრო დერეფანში, რომელიც მოსაცდელი ოთახის მაგივრობას სწევდა. ამ დერეფნის მარჯვნივ მოთავსებული იყო ალბერის სასადილო ოთახი ეზოში გამავალი ფანჯრებით, ხოლო მარცხნივ პატარა სასტუმრო ბაღში

გამავალი ფანჯრებით. ფანჯრების წინ მარაოსავით გაშლილი ბუჩქები და მცოცავი მცენარეები ამ ორი ოთახის შინაგან ცხოვრებას უხილავს ხდიდნენ მოურიდელო თვალისაგან, რადგან ეს ოთახები პირველ სართულზე იყო მოთავსებული და შიგ კაცი მხოლოდ ქუჩიდან და ბაღიდან თუ შეიხედავდა.

მეორე სართულზეც ზუსტად ასეთივე ორი ოთახი იყო და დამატებით კიდევ ერთი, დერეფნის ასწვრივ. აქ მოთავსებული იყო სასტუმრო, საწოლი და ბუდეური.

ქვედა სართულის სასტუმრო ოთახი, ალჟირის სავარძლის ფორმისა, თამბაქოს მწვევლთათვის იყო განკუთვნილი.

მეორე სართულის ბუდეური საწოლ ოთახში გადიოდა და უჩინარი კარით პირდაპირ კიბეს უერთდებოდა. ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, სიფრთხილისათვის ყოველგვარი ზომები იყო მიღებული.

მთელი მესამე სართული ეჭირა ფართო ატელიეს — ეს იყო მხატვრის თუ დენდის საკერპე, სადაც ერთმანეთზე ზედიზედ ზვინივით იყო მიყრილი ალბერის ჟინის დასაოკებელი სხვადასხვანაირი საგნები: სანადირო ბუკი, კონტრაბასები, ფლეიტები, მთელი ორკესტრი, რადგან ერთ დროს ალბერი თუ მუსიკისადმი დიდ მიდრეკილებას არ იჩენდა, სურვილი მაინც ჰქონდა შეესწავლა იგი. აქ იყო მოლბერტები, პალიტრები, პასტელის საღებავები, რადგან მუსიკის მოყვარულმა ძალიან მალე თავი მხატვრად წარმოიდგინა. ბოლოს აქ იყო ბლაგვი დანები, კრივის ხელთათმანები, ესპადრონები და ყოველგვარი სახის ჯოხები. ამ ეპოქის მაღალი საზოგადოების ახალგაზრდობის ტრადიციების მიხედვით, ალბერი უფრო მეტი ახირებით, ვიდრე მუსიკასა და მხატვრობას, ეწაფებოდა სამ ხელოვნებას, რომელიც ამთავრებს თანამედროვე ლომის აღზრდას. ეს სამი ხელოვნება გახლავთ: ფარიკაობა, კრივი და ჯოხებით ჩხუბი. ალბერი ამ სტუდიაში ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობისათვის რიგრიგობით ღებულობდა გრიზეს, კუკსას და შარლ ლე-ბუშეს.

ამ ოთახის დანარჩენ მოწყობილობას შეადგენდა ფრანცისკ პირველის დროინდელი კარადა, სავსე ჩინური ფაიფურით, იაპონური ლარნაკებით, ლუკა დელა როზიას ქაშანურებით და ბერნარ დე პალისის თეფშებით; ანტიკური სავარძლები, რომელზედაც შეიძლება ოდესღაც ისხდნენ ჰენრიხ IV ან სიული, ლუდოვიკო XIII ან რიშელიე, რადგან მათ შორის ორ სავარძელზე ღერბი იყო ამოჩუქურთმებული ლაჟვარდოვანი მინდორზე ციალი რომ გაჰქონდა სამეფო გვირგვინით დამშვენებულ საფრანგეთის სამ შროშანს, — ყოველივე ეს, უეჭველია ლუვრის სასახლიდან ან, ყოველ შემთხვევაში, სამეფოს ციხე-დარბაზიდან იყო მოტანილი.

ამ მუქი ფერის, უზადო გემოვნების სავარძლებზე უწესრიგოდ ეყარა თვალისმომჭრელი ფერის მდიდრული ქსოვილები, ირანის მზით შეფერადებულები, ან კალკუტის თუ ჩანდერნაგორის ქალების თითებქვეშ აყვავილებული. რისთვის იდო აქ ეს ქსოვილები, ამას ვერავინ იტყოდა. ისინი თვალს ატკბობდნენ და ელოდნენ დანიშნულებას, რომელიც უცნობი იყო თვით მათი მფლობელისათვის. მანამდე კი თავიანთი ოქროსფერი და აბრეშუმოვანი სხივებით ოთახს ანათებდნენ.

ყველაზე თვალსაჩინო ადგილას იდგა როლერისა და ბლანშის ნამუშევარი — წითელი ხის როიალი; ის თავისი ზომით ჩვენი «პაწაწინა» სასტუმრო ოთახების შესაფერისი იყო, მაგრამ ისე ჟღერდა, თითქოს მთელი ორკესტრი უკრავსო. ბეთჰოვენის, ვებერის, მოცარტის, ჰაიდნის, გრეტრის და პორპორის შედევრულ ნაწარმოებების შესრულების დროს კი უფრო მეტი მგრძნობიარობა ემატებოდა.

ყველაფერი: კედლები, კარები, ქერი შემკული იყო ხმლებით, ხანჯლებით, დანებით, ჯოხებით, ნაჯახებით, — მთელი საჭურველი მოოქრული, მოვერცხლილი

და მოზარნაშებული; მინერალების ქვები, ჰერბარიუმები, ჩიტების ფიტულები უმოძრაოდ გაშემებული ფრთებით და ერთხელ და სამუდამოდ გაღებული ნისკარტით.

რა თქმა უნდა, ეს ალბერის საყვარელი ოთახი იყო.

მაგრამ, ამის მიუხედავად, პაემანის დღეს დილის ტანსაცმელში გამოწყობილი ალბერი ქვედა სართულის პატარა ოთახში მოკალათებულიყო. ფართო, რბილი სავარძლის წინ მდგომ მაგიდაზე, ჰოლანდიურ ქაშანურ ქილებში ელაგა სხვადასხვა ხარისხის საუკეთესო თამბაქო: პეტერბურგის ყვითლით დაწყებული, სინაის შავი თუთუნით გათავებული. აქ იყო მერილენდიც, პორტო-რიკოც და ლატაკიც. მათ გვერდით სურნელოვან ყუთებში სიგრძისა და ხარისხის მიხედვით ჩაწყობილი იყო პუროსები, რეგალია, ჰავანა და მანილა. ღია კარადაში მოჩანდა გერმანული ჩიბუხების კოლექცია, მარჯნით დამშვენებული ქარვის მუნდშტუკიანი ჩიბუხის ტარები, ოქროგადაკრული ყალიონები გველივით დახვეული ტარასკონის განიერი ყელით, რომელნიც ელოდნენ მწვევლთა ჟინს ან მოწონებსა. ალბერი თვითონ იძლეოდა განკარგულებებს ამ სიმეტრიული უწყესრიგობის მოსაგვარებლად, რომელსაც თანამედროვე სტუმრები კარგი საუზმის და ერთი ჭიქა ყავის შემდეგ ჭერისაკენ უცნაური სპირალებით ამავე ბოლში სიამოვნებით შეჰყურებდნენ.

ათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ოთახში კამერდინერი შემოვიდა; თუ მხედველობაში არ მივიღებთ თხუთმეტი წლის ჯონ გრუმს, რომელიც მხოლოდ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა, ეს კამერდინერი მორსერის ერთადერთი მსახური იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვეულებრივ დღეებში მის განკარგულებაში იყო მშობლების მზარეული, ხოლო საზეიმო დღეებში მამის ლაქიაც.

კამერდინერმა ჟერმენმა, რომელიც თავისი ახალგაზრდა ბატონის სრული ნდობით სარგებლობდა, მაგიდაზე გაზეთების დასტა დააწყო და ალბერს წერილების გროვა გადასცა.

ალბერმა ამ წერილებს უგულისყუროდ შეხედა, ამოარჩია მოხდენილი ხელით დაწერილი ორი სურნელოვანი კონვერტი, გახსნა ისინი და მთელი ყურადღებით წაიკითხა.

— როგორ მიიღეთ ეს წერილები? — ჰკითხა მან.

— ერთი ფოსტით, ხოლო მეორე ქალბატონ დანგლარის კამერდინერმა მოიტანა.

— გადაეცით ქალბატონ დანგლარს, რომ თანახმა ვარ ლოჟაში ვეწვიო... მოიცათ... შემდეგ გაუარეთ როზას; გადაეცით, რომ ავასრულებ მის თხოვნას და ოპერიდან მასთან შევივლი ვახშმად. თქვენ მას წაუღებთ კიპრის, ხერესის და მალაგის ექვს ბოთლ საუკეთესო ღვინოს და ერთ კასრ ოსტენდეს ხამანწკს. ხამანწკები ბორელს გამოართვით და არ დაგავიწყდეთ უთხრათ, რომ ჩემთვის გინდათ.

— საუზმე როდის მოგართვათ?

— ახლა რომელი საათია?

— ათს აკლია თხუთმეტი წუთი.

— ზუსტად თერთმეტის ნახევარზე. დებრეს შეიძლება სამინისტროში ექჩარებოდეს... ესეც არ იყოს (ალბერმა უბის წიგნაკში ჩაიხედა), მე სწორედ ასე დავუნიშნე გრაფს: ოცდაერთ მაისს თერთმეტის ნახევარზე, და მიუხედავად იმისა, რომ მისი დაპირება დიდად არ მჯერა, ზუსტი მინდა ვიყო. ჰო, მართლა, გრაფინია ხომ არ ამდგარა?

— თუ ბატონ ვიკონტს ნებავს, წავალ, გავიგებ.

— კარგი... სთხოვეთ მას ლიქიორებით სავსე ყუთი, ჩემი ნაკლულია. უთხარით, რომ მასთან ვიქნები სამ საათზე და ნებართვაც სთხოვეთ, სტუმარი წარვუდგინო.

კამერდინერი გავიდა. ალბერი დივანში გადაწვა, გადაშალა გაზეთები, გადახედა თეატრების რეპერტუარს და რაკი ნახა, რომ ოპერა იდგმებოდა და არა ბალეტი, სახე მოელუშა. განცხადებებში გულმოდგინედ მოძებნა კბილებისათვის ახალი საშუალება, რომელზედაც მას ელაპარაკნენ. შემდეგ კი ერთიმეორის მიყოლებით გადაისროლა პარიზის სამივე, ყველაზე გავრცელებული გაზეთი და ნელი მთქნარებით ჩაიბურტყუნა:

— გაზეთები დღითი დღე უფრო მოსაწყენი ხდება.

ამ დროს კარის წინ გაჩერდა მსუბუქი ეტლი. ერთი წუთის შემდეგ ოთახში კამერდინერი შემოვიდა და ბატონ ლუსიენ დებრეს მოსვლა მოახსენა.

ოთახში შემოვიდა მაღალი, ქერა, ფერმკრთალი ყმაწვილი კაცი. ნაცრისფერი თვალები, წვრილი, მოკუმული ტუჩები ჰქონდა და ისე იყურებოდა, როგორც თავის თავში დაჯერებულმა ადამიანმა იცის. მას ეცვა ოქროსღილებიანი ლურჯი ფრაკი, რომელსაც თეთრი ჰალსტუხი ამშვენებდა. წმინდა აბრემუმის ზონარზე დაკიდებული ჰქონდა კუს ტყავის მონოკლი, რომელსაც წარბისა და სიგმატური კუნთის წყალობით დროდადრო მარჯვენა თვალზე ათავსებდა. ამ კაცს ნახევრად ოფიციალური იერი ჰქონდა. იგი არც იღიმებოდა და არც ხმას იღებდა.

— გამარჯობა, ლუსიენ. — უთხრა ალბერმა. — ჩემო ძვირფასო, მაშინებს თქვენი ასეთი მეტისმეტი სიზუსტე: ყველაზე გვიან მოგელოდით, თქვენ ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, მაშინ გამოცხადდით, საუბრე კი თერთმეტის ნახევრისთვისაა დანიშნული. ეს უცნაური ამბავია. შემთხვევით თქვენი სამინისტრო კაბინეტი ხომ არ დაეცა.

— არა, ძვირფასო, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და დივანში ჩაჯდა, — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. ჩვენ ყოველთვის ვქანაობთ და არასოდეს არ ვეცემით; მე უკვე იმ აზრს დავადექი, რომ შეუცვლელელები ვართ, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ნახევარკუნძულის საქმეები საბოლოოდ ამტკიცებს ჩვენს მდგომარეობას.

— ჰო, მართლა, თქვენ ხომ ესპანეთიდან აძევებთ დონ კარლოსს.

— არა, ძვირფასო, ნუ ურევთ. ჩვენ მას საფრანგეთის საზღვრების მეორე მხარეს ვაგზავნით და ბურჟუი მეფურ მასპინძლობას ვპირდებით.

— ბურჟუი?

— ეშმაკმა დალახვროს, მას სამდურავი არაფერი აქვს. ბურჟუი — კარლოს მეშვიდეს დედაქალაქია. როგორ! ეს თქვენ არ იცოდით? გუშინდელს აქეთ მთელმა პარიზმა იცის, ხოლო გუშინწინ ეს ამბავი ბირჟაშიც ცოდნიათ, რადგან ბატონმა დანგლარმა (მე ვერ გამიგია, როგორ იგებს ის კაცი ახალ ამბებს მაშინვე, როგორც ჩვენ) ფასების აწევაზე ითამაშა და მილიონი მოიგო.

— თქვენ კი, როგორც ჩანს, ახალი ბაფთა შეგიძენიათ. თქვენს აბზინდზე ცისფერი ზოლია, რომელიც წინათ არ გქონიათ.

— დიახ, მე გამომიგზავნეს კარლოს მესამის ვარსკვლავი, — თქვა დებრემ დაუდევრად.

— თავს ისე ნუ მაჩვენებთ, თითქოს გულგრილად შეხვდით მაგ ამბებს, გამოტყდით, რომ გსიამოვნებთ მისი მიღება.

— კაცმა რომ თქვას, მართალი ხართ, დიახ, მსიამოვნებს, როგორც ტუალეტის დამატება. ვარსკვლავი მეტისმეტად უხდება ღილებზე შეკრულ ფრაკს, ეს ძალიან მომხიბვლელია.

— და ემსგავსები პრინც უელსელს ან ჰერცოგ რეიხშტადელს, — უთხრა ღიმილით მორსერმა.

— აი, რატომ მოვედი ასე დილაადრიანად, ჩემო ძვირფასო.

— ესე იგი იმიტომ, რომ კარლოს მესამის ვარსკვლავი მიიღეთ და გინდოდათ ჩემთვის გეცნობებინათ ეს სასიამოვნო ამბავი?

— არა, ამიტომ არა. წუხელ მთელი ღამე წერილების დაგზავნაში გავატარე: ოცდახუთი დიპლომატიური დეპეშა შევადგინე. სახლში გათენებისას დავბრუნდი, მინდოდა დამეძინა, მაგრამ თავი ამტკივდა; ამიტომ გადავწყვიტე ერთი საათი ცხენით მესეირნა. ბულონის ტყეში მომწყინდა და შიმშილი ვიგრძენი. ეს ორი მტრული გრძნობა, რომლებიც ერთად იშვიათად არიან, ამ დილით ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა და შექმნა რაღაც კარლისტ-რესპუბლიკელთა კავშირის მსგავსი; მაშინ გამახსენდა, რომ ამ დილით თქვენთან ვქეიფობდით და აი, მეც აქ ვარ; მშია, დამანაყრეთ, მოწყენილი ვარ, გამართეთ.

— ეგ ჩემი მოვალეობაა, როგორც მასპინძლისა, — უთხრა ალბერმა და კამერდინერს დაურეკა. ამასობაში კი ლუსიენი თავისი ფირუზებით მოჭედილი ოქროს ბუნიკიანი ჯოხით ჰაერში ისროდა გადაშლილ გაზეთებს. — ჟერმონ, მოგვიტანეთ ერთი ბოთლი ღვინო და ბისკვიტი. მანამდე კი, ჩემო ძვირფასო ლუსიენ, აი სიგარები, რასაკვირველია, კონტრაბანდისტული. გირჩევთ გასინჯოთ და თხოვოთ თქვენს მინისტრს, რომ კაკლის ხეების ფოთლების ნაცვლად, კეთილი მოქალაქეები მისი წყალობით რომ სწევენ, ჩვენც ასეთი სიგარები მოგვყიდოს.

— ეშმაკმა დალაზეროს, არც მთლად ასეა საქმე. როგორც კი თქვენ ამ სიგარებს მთავრობიდან მიიღებთ, მაშინვე საზიზღრად მოგეჩვენებათ. ესეც არ იყოს, ეს ეხება არა საგარეო საქმეთა სამინისტროს, არამედ ფინანსთა სამინისტროს. მიმართეთ ბატონ იუმანს, არაპირდაპირი გადასახადების დეპარტამენტში, დერეფანი ა 126.

— სიმართლე უნდა ითქვას, მანცვიფრებთ თქვენი საქმეში ჩახედულობით. მაგრამ რაღას უცდით, აიღეთ სიგარა! — უთხრა ალბერმა.

ლუსიენმა მოვარაყებულ შანდალში ჩადგმულ ვარდისფერ სანთელზე მანილს მოუკიდა და სავარძელში გადაწვა.

— ჩემო ძვირფასო ვიკონტ, — უთხრა მან ალბერს, — ვერ გრძნობთ რაოდენ ბედნიერი ხართ, რომ არაფერი გაქვთ გასაკეთებელი.

— თქვენ რაღას გააკეთებდით, ჩემო ძვირფასო სამეფოს დამაწყნარებელი, არაფერი რომ არ გქონდეთ გასაკეთებელი? — უპასუხა ალბერმა ოდნავი ირონიით. — როგორ! თქვენ ხართ მინისტრის პირადი მდივანი, ერთდროულად გარეული დიდი ევროპის პოლიტიკის ყოველგვარ გაიმვერობაში და პარიზის უწვრილმანეს ინტრიგებში, თქვენ იცავთ მეფეებს, და რაც უფრო სასიამოვნოა, დედოფლებსაც, აფუძნებთ პარტიებს, ხელმძღვანელობთ არჩევნებს, კალმისა და ტელეგრაფის საშუალებით თქვენს კაბინეტში აღწევთ უფრო მეტს, ვიდრე ნაპოლეონი ბრძოლის ველზე აღწევდა თავისი ხმლითა და გამარჯვებებით. ხელფასს გარდა წლიურ შემოსავალში გაქვთ ოცდახუთი ათასი ლივრი, გყავთ ცხენი, რომელშიც შატო-რენემ ოთხასი ლუიდორი შემოგთავაზათ და მაინც არ დაუთმეთ. თქვენ გემსახურებათ თერძი, რომელიც არც ერთ შარვალს არ გიფუჭებთ, თქვენს განკარგულებაშია ოპერა, ჟოკეი-კლუბი და თეატრი ვარიეტე. და ყოველივე ამაში, ნუთუ გასართობი ვერაფერი ნახეთ? კარგი, რახან ასეა, მაშ მე გაგართობთ.

— ეგ როგორ?

— ახალი ნაცნობობით.

— მამაკაცია თუ ქალი?

— მამაკაცი.

— მე მამაკაცებს ისედაც ბევრს ვიცნობ.

— მაგრამ ისეთს, რომელზედაც გელაპარაკებით, არ იცნობთ.

— საიდანაა? ქვეყნის დასალიერიდან?

— შესაძლებელია, უფრო შორიდან.

— ეშმაკმა დალახვროს! იმედი მაქვს, რომ მას არ მოაქვს თქვენი საუზმე.

— არა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, საუზმე აქ დედაჩემის სამზარეულოში მზადდება. მაშ, თქვენ ძალიან გშიებიათ?

— დიახ, უნდა გამოგიტყდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის თქმა დამამცირებელია, გუშინ ბატონ ვილფორთან ვისადილე, თქვენც შეგინიშნავთ ალბათ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ სასამართლოს მსახურებს ძალიან ცუდი საქმელები აქვთ. კაცი იფიქრებს, სინდისის ქენჯნა აწუხებთო.

— ეშმაკმა დალახვროს, აგინეთ სხვისი სადილები; ერთი ეს მითხარით, თქვენს მინისტრებს როგორი საქმელები აქვთ?

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წესიერ ხალხს არ ვვპატიჟებთ ხოლმე. და მერწმუნეთ, ზოგჯერ იძულებული რომ არ ვხდებოდეთ მაგიდაზე მოვიწვიოთ კეთილმოაზროვნე და ჩვენი ხმის მომცემი პლებეები, მაშინ ერთი უბედურება იქნებოდა ჩვენი შინ სადილობა.

— რაკი ასეა, ჩემო კარგო, დალიე კიდევ ერთი ჭიქა ხერესის ღვინო და ბისკვიტი დააყოლე.

— სიამოვნებით, თქვენი ესპანური ღვინო მშვენიერია; როგორც ხედავთ, ჩვენ სავსებით მართალნი ვიყავით, როცა ამ ქვეყანას ვაწყნარებდით.

— კარგი, მაგრამ დონ კარლოსი?

— დონ კარლოსი ბორდოს ღვინოს დალევს, ხოლო ათი წლის შემდეგ მის ვაჟიშვილს პატარა დედოფალზე დავწერთ ჯვარს.

— სამაგიეროდ თქვენ მიიღებთ ოქროს ვერძს, თუ ისევ სამინისტროში დარჩით. — როგორც ვხედავ, ალბერ, თქვენ გინდათ ამ დილით ფუჭი ლაპარაკით გამაძლოთ.

— რას იზამთ, დაგეთანხმებით, ეს ყველაზე მეტად ართობს კუჭს, მაგრამ მოიცათ, ბოშანის ხმა მესმის. თქვენ მასთან იკამათეთ და დამშვიდდებით.

— რაზე უნდა ვიკამათო?

— იმაზე, რასაც გაზეთებში სწერენ.

— მერე და მე ხომ გაზეთებს არ ვკითხულობ! — ზიზღით წარმოთქვა ლუსიენმა.

— მაშ, კამათისათვის უფრო მეტი საფუძველი გაქვთ.

— ბატონი ბოშანი! — მოახსენა კამერდინერმა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბასრო კალამო! — თქვა ალბერმა, წამოდგა და ყმაწვილ კაცს მიეგება. — აგერ, დებრეც, რომელიც ვერ გიტანთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს სტატეებს არ კითხულობს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს.

— ის სავსებით მართალია, — უპასუხა ბოშანმა, — მეც ასევე ვარ განწყობილი მის მიმართ. ვაკრიტიკებ ისე, რომ არც კი ვიცი მისი საქმიანობა. გამარჯობათ, კომანდორო.

— აა, თქვენ ეს უკვე იცით? — უპასუხა ღიმილით მინისტრის პირადმა მდივანმა და ჟურნალისტს ხელი ჩამოართვა.

— ღმერთო ჩემო, აბა რა!

— მერე რას ლაპარაკობენ ამაზე საზოგადოებაში?

— რომელ საზოგადოებაში? ქრისტეს დაბადებიდან 1838 წლამდე ბევრი ჩამოითვლება.

— კრიტიკოს-პოლიტიკოსების საზოგადოებაში, სადაც თქვენ ერთ-ერთი ლომთაგანი ხართ.

— ამბობენ, ეს სავსებით სამართლიანიაო, და რომ თქვენ საკმაოდ თესავთ წითელს, რათა ცოტაოდენი ლურჯი ამოვიდეს.

— ჰო, ჰო, ცუდად არ არის ნათქვამი, — უთხრა ლუსიენმა, — რატომ ჩვენს მხარეზე არა ხარ, ძვირფასო ბოშან? თქვენი ჭკუის პატრონი სამ-ოთხ წელიწადში კარიერას გაიკეთებდით.

— იმისათვის, რომ თქვენ რჩევას დავუჯერო, მხოლოდ ერთ რამეს ვუცდი, სამინისტროს, რომელიც შეძლებდა ექვს თვეს გაემლო. ახლა ერთი სიტყვა, ძვირფასო ალბერ, მით უმეტეს, რომ საწყალ ლუსიენსაც უნდა მივცე სულის მოთქმის საშუალება. ჩვენ ვსაუზმობთ თუ ვსადილობთ? უნდა გითხრათ, რომ პალატაში მეჩქარება. მაშ, როგორც ხედავთ, ჩვენს ხელობაში მარტო ია-ვარდები არ არის.

— ვისაუზმებთ, მხოლოდ ორ პიროვნებას ველოდებით და როგორც კი მოვლენ, მაშინვე მაგიდას შემოვუსხდებით.

— ვინ არიან ისინი? — ჰკითხა ბოშანმა.

— ერთი არისტოკრატია, მეორე დიპლომატი. — უპასუხა ალბერმა.

— მაშ, არისტოკრატს ორი საათი უნდა დავუცადოთ, დიპლომატს კიდევ უფრო მეტი. არა, წავალ და პალატაში ვისაუზმებ, თქვენ კი ტკბილეულზე მოგისწრებთ. შემინახეთ მარწყვი, ყავა და სიგარები.

— თავი გაანებე ასეთ ლაპარაკს, ბოშან, თუნდა არისტოკრატი მონტომრენსი იყოს, თუნდა დიპლომატი მეტერნიხი, ჩვენ, სულ ერთია, მაგიდას თერთმეტის ნახევარზე შემოვუსხდებით. მანამდე კი დებრეს მაგალითს მიბადეთ. გასინჯეთ ჩემი ხერესის ღვინო და ბისკვიტი დააყოლეთ.

— კარგი, ვრჩები, ამ დილით ჩემთვის აუცილებელია გართობა.

— დებრეც სწორედ თქვენსავით არის განწყობილი. მე კი მგონია, როცა მინისტრი მოწყენილია, ოპოზიცია მხიარულ გუნებაზე უნდა იყოს.

— დიახ, მაგრამ თქვენ არ იცით რა მემუქრება. დღეს დილით დეპუტატთა პალატაში ბატონ დანგლარის სიტყვა უნდა მოვისმინო, ხოლო სადამოს მის ცოლთან — საფრანგეთის პერის ტრაგედია. ეშმაკსაც წაუღია ეს კონსტიტუციური წყობილება: თუკი არჩევის უფლება გვაქვს, მაშ როგორღა ავირჩიეთ დანგლარი.

— მესმის, თქვენ გსურთ გამხიარულდეთ.

— დანგლარის სიტყვაზე ცუდს ნურაფერს მეტყვიით, — თქვა დებრემ, — ისიც ხომ თქვენ გაძლევთ ხმას, ესე იგი ოპოზიციაშია.

— აი, უბედურებაც მაგაშია! მე ველოდები, როდის გაუშვებთ მას ლუქსემბურგის სასახლეში სალაყბოდ, აი მაშინ კი ვიცინებ გულიანად.

— ჩემო ძვირფასო, — მიუბრუნდა ალბერი ბოშანს, — როგორ ეტყობა, რომ ესპანეთში საქმეები მოუწესრიგებელია, დღეს თქვენ ძალიან იკბინებით. გაიხსენეთ, რას ლაპარაკობენ პარიზის საზოგადოებაში ჩემს ქორწინებაზე მადმუაზელ ეჟენი დანგლართან. სინდისის ქვეშ რომ ითქვას, ხომ არ შემიძლია უფლება მოგცეთ ცუდი თქვათ ისეთი ადამიანის მჭევრმეტყველებაზე, რომელიც ერთ დღეს მეტყვის: «ბატონო ვიკონტო, თქვენ იცით, რომ ჩემს ქალიშვილს ორ მილიონს ვაძლევ მზითევში».

— ეგ ქორწინება არასოდეს მოხდება. მეფემ იგი ბარონი გახადა, შეუძლია პერამდე აიყვანოს, მაგრამ მისგან არისტოკრატს ვერასოდეს გამოიყვანს. გრაფ დე მორსერი კი მეტად დიდი არისტოკრატია, რომ რაღაც საწყალი ორი მილიონის გულისათვის მეზალიანსზე¹ (¹ სოციალურად უთანასწორო ქორწინება.) დათანხმდეს. ვიკონტ დე მორსერს შეუძლია ითხოვოს მხოლოდ მარკიზა.

— ორი მილიონი! ყოველ შემთხვევაში, ეს კარგი საქმეა. — თქვა მორსერმა.

— ეს არის რომელიმე ბულვარის თეატრის ან ბოტანიკური ბაღისა და რაპეს შორის არსებული სარკინიგზო ხაზის სააქციო კაპიტალი.

— ყურს ნუ უგდებთ, მორსერ, ილაპარაკოს, — უთხრა ზანტად დებრემ. — იქორწინეთ. თქვენ ხომ ფულის სავსე ტომარას თხოულობთ? ასეა ხომ? მაშ განა თქვენთვის სულ ერთი არ არის მასზე ერთი ღერბით ნაკლები იქნება თუ ერთი ნულით მეტი. თქვენს ღერბზე შვიდი მერლეტი გაქვთ, სამს მეუღლეს მისცემთ და ოთხი კიდევ დაგრჩებათ. ეს ერთით მაინც მეტია, ვიდრე ჰერცოგ გიზის ღერბი, ის კი კინალამ საფრანგეთის მეფე გახდა, ხოლო მისი ბიძაშვილი გერმანიის იმპერატორი იყო.

— კაცმა რომ თქვას, ლუსიენ, მგონი მართალი ხართ.» — უთხრა გულისყურგაბნეულმა ალბერმა.

— რასაკვირველია! ესეც არ იყოს, ყველა მილიონერი დიდგვაროვანია, როგორც ბუში.

— ჩუმად! ასე ნუ ლაპარაკობთ, — უთხრა მას სიცილით ბოშანმა. — თორემ აგერ შატო-რენოს ხომ ხედავთ, იგი თავისი წინაპრის რენე დე მონტობანის ხმლით განგმირავთ, რათა ამ პარადოქსული მანიიდან განგკურნოთ.

— ამით ის დასცემს თავის ღირსებას, — უპასუხა ლუსიენმა, — რადგან მე ძალიან დაბალი წარმოშობისა ვარ.

— ოჰო! — შეჰყვირა ბოშანმა, — აი სამინისტრომ ბერანჟეს მოტივებზე დაიწყო სიმღერა, — ღმერთო ჩემო, სადამდე მივდივართ!

— ბატონი დე შატო-რენო! ბატონი მაქსიმილიან მორელი! — მოახსენა კამერდინერმა.

— მაშ ყველანი შევიკრიბეთ! — წამოიძახა ბოშანმა, — და საუზმეც შეგვიძლია დავიწყოთ. ალბერ, თუ არ ვცდები, თქვენ მხოლოდ ორ პიროვნებას ელოდით.

— მორელი! — ჩაიჩურჩულა გაკვირვებულმა ალბერმა, — მორელი! ვინ არის ეს მორელი?

მაგრამ წინადადება არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მას მკლავი დაუჭირა შატო-რენომ, ოცდაათი წლის ლამაზმა ყმაწვილმა კაცმა, თავიდან ფეხებამდე არისტოკრატმა ანუ გიზის გარეგნობის და მარტემარის ჭკუის მქონემ.

— ნება მიბოძეთ, ჩემო ძვირფასო, — უთხრა მან ალბერს, — წარმოგიდგინოთ სპაჰის¹ (¹ სპაჰი — საფრანგეთის ცხენოსანი ჯარის ნაწილები ჩრდილო და დასავლეთ აფრიკაში, შემდგარი ადგილობრივი მოსახლეობიდან.) კაპიტანი მაქსიმილიან მორელი, ჩემი მეგობარი და მხსნელი. ერთი სიტყვით, ასეთ კაცს რეკომენდაცია არ სჭირდება, მიესალმე ჩემს გმირს, ვიკონტ.

შატო-რენო განზე გადაგა და ადგილი დაუთმო მაღალსა და წარმოსადეგ, ფართოშუბლიან გამგმირავთვალებიან და შავულვაშებიან ყმაწვილ კაცს. ეს ყმაწვილი კაცი ჩვენს მკითხველებს მარსელში ისეთ დრამატულ ვითარებაში ჰყავთ ნანახი, რომ არ შეიძლება დავიწყებული ჰყავდეთ. მას გულმკერდს უმშვენებდა ტანზე კოხტად მორგებული ნახევრად ფრანგული და ნახევრად აღმოსავლური მდიდრული მუნდირი, რომელზედაც ამოქარგული იყო საპატო ლეგიონის ჯვარი. ახალგაზრდა ოფიცერი მოხდენილი თავაზიანობით დაიხარა. მას კოხტა მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, რადგან წარმოსადეგი იყო.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მას ალბერმა გულთბილი თავაზიანობით, — ბარონმა შატო-რენომ წინასწარ იცოდა, რომ მასიამოვნებდა თქვენი გაცნობით. თქვენ მისი მეგობარი ყოფილხართ, მაშ ჩვენი მეგობარიც გახდებით.

— ძალიან კარგი, — გამოეპასუხა შატო-რენო, — ინატრეთ, ჩემო ძვირფასო ვიკონტ, გასაჭირში მან თქვენთვისაც იგივე გააკეთოს, რაც ჩემთვის ჩაიდინა.

— კი მაგრამ, რა გააკეთა ასეთი? — ჰკითხა ალბერმა.

— ღმერთო ჩემო, ეს სალაპარაკოდაც არ ღირს. — თქვა მორელმა.

— როგორ! სალაპარაკოდაც არ ღირს? — წამოიძახა შატო-რენომ, — განა სიცოცხლე იმად არა ღირს, რომ მასზე ილაპარაკონ?.. მართლაც, თქვენ მეტისმეტი ფილოსოფოსი ხართ, ჩემო ძვირფასო მორელ... შეგიძლიათ ასე ილაპარაკოთ იმიტომ, რომ ყოველდღე საფრთხეში აგდებთ თქვენს სიცოცხლეს, მაგრამ მე, რომელსაც ერთხელ შემთხვევით შეხვდა ასეთი რამ...

— თქვენი საუბრიდან, ბატონო ბარონ, ჩემთვის მხოლოდ ისაა ნათელი, რომ კაპიტანმა მორელმა სიცოცხლე გაჩუქათ.

— დიახ, მართალი ბრძანდებით, — თქვა შატო-რენომ.

— როგორ მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ბოშანმა.

— ბოშან, ძვირფასო მეგობარო, ხომ იცით, რომ შიმშილისაგან ვკვდები, ძალიან ნუ გააგრძელებინებთ! — შეეხვეწა დებრე.

— განა მე გიშლით ხელს, რომ მაგიდას შემოვუსხდეთ?.. — თქვა ბოშანმა, — შატო-რენოს შეუძლია ყოველივე საუზმის დროს მოგვიყვეს.

— ბატონებო, — დაიწყო მორსერმა, — მიიღეთ მხედველობაში, რომ ჯერ მხოლოდ თერთმეტის თხუთმეტი წუთია და ჩვენ ვუცდით უკანასკნელ სტუმარს.

— ჰო, მართლა, დიპლომატს, — წამოიძახა დებრემ.

— დიპლომატია, თუ სხვა რომელიმე პროფესიის კაცი, ეს არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ერთი რამ — დავალება მივეცი და მან ეს დავალება ჩემს სასარგებლოდ ისე კარგად შეასრულა, მეფე რომ ვიყო, მყისვე ყველა ჩემი ორდენების კავალრად დავნიშნავდი, თუნდაც ჩემს განკარგულებაში ერთდროულად ყოფილიყო ოქროს ვერძი და წვივსაკრავი.

— რაკი ჯერ ვერ ვსაუზმობთ, — თქვა დებრემ, — მოდი, ბარონ, შენც ჩვენსავით ერთი ჭიქა ხერესის ღვინო გადაჰკარი და ეგ ამბავიც მოგვიყევი.

— თქვენ ყველამ იცით, რომ ამას წინათ განვიზორახე აფრიკაში გამგზავრება, — დაიწყო შატო-რენომ.

— ეს არის გზა, რომელიც თქვენმა წინაპრებმა დაგისახეს, ძვირფასო შატო-რენო, — შეაწყვეტინა მხიარულად მორსერმა.

— დიახ, მაგრამ საეჭვოა, რომ თქვენ მათ მსგავსად ამ საქმეში ქრისტეს საფლავის განთავისუფლება გამოძრავებდათ, — დასძინა ბოშანმა.

— თქვენ მართალი ხართ, ბოშან, — უპასუხა ახალგაზრდა არისტოკრატმა, — უბრალოდ, როგორც მოყვარულს, მინდოდა დამბაჩა გამესროლა. მოგეხსენებათ, დუელს ვერ ვიტან მას შემდეგ, რაც ორმა ჩემმა სეკუნდანტმა, რომლებიც საქმის მოსაგვარებლად ავირჩიე, მაიბულეს ხელი დამეჩეჩვა ჩემი საუკეთესო მეგობრისათვის... ეჰ, საწყალი ფრანც დ'ეპინე. მას თქვენ ყველა იცნობთ.

— დიახ! ეს მართალია, თქვენ მას ოდესღაც შეებრძოლეთ, — უთხრა დებრემ. — მაგრამ მიზეზი?

— ეშმაკმა დასწყევლოს, თუ მახსოვდეს, — უპასუხა შატო-რენომ, — მაგრამ ის კი ძალიან კარგად მახსოვს, რომ ნიჭის გამოჩენის მიზნით გადავწყვიტე არაბებზე მეხმარა ახალი დამბაჩები, რომლებიც ის იყო საჩუქრად მომართვეს. ამიტომ გავემგზავრე ორანში, ორანიდან კონსტანტინში და იქ სწორედ იმ დროს ჩავედი, როცა ალყას ხსნიდნენ. მეც სხვებთან ერთად უკან ვიხევდი. ორი დღე და ღამე, როგორც იქნა, გავუძელი დღისით წვიმას და ღამით თოვლს. ბოლოს, მესამე დღიას, ჩემი

ცხენი სიცივისაგან მოკვდა. საწყალი ცხოველი მიჩვეული იყო ახალსა და თბილ თავლას... ეს იყო არაბული ცხენი, მაგრამ სამშობლო ვერ იცნო, რაკი არაბეთში ათ გრადუსს ყინვას შეხვდა.

— აი თურმე რატომ გინდათ ჩემი ინგლისური ცხენის ყიდვა, — უთხრა დებრემ, — იმედი გაქვთ, რომ ის უფრო აიტანს სიცივეს.

— სცდებით, დავიფიცე, აღარასოდეს არ დავბრუნდე აფრიკაში.

— ასე ძალიან შეშინდით? — ჰკითხა ბოშანმა.

— უნდა გამოგიტყდეთ, — უპასუხა შატო-რენომ, — ამის საბაბიც მქონდა! მაშ ასე, ჩემი ცხენი მოკვდა; მე ქვეითად ვიხევდი; უცებ ექვსმა არაბმა ალყა შემომარტყა და თავის გაგდებინებას მიპირებდნენ. ორი მათგანი თოფით მოვკალი, ორი დამბაჩის პირდაპირ სროლით. მაგრამ ორი კიდევ დარჩა. მე კი უიარაღოდ დავრჩი. ერთმა არაბმა თმაში მტაცა ხელი. აი ახლა ამიტომ ვატარებ ასე მოკლედ შეკრეჭილ თმას, ვინ იცის, რა მოხდება, — მეორემ კი ყელზე თავისი იატაკანი დამადო. ის იყო უკვე ვიგრძენი რკინის მწველი სიცივე, რომ ამ ბატონმა, რომელსაც თქვენ ახლა აქ ხედავთ, შეუტია არაბებს. დამბაჩით მოჰკლა ის, ვისაც თმით ვეჭირე და თავი გაუჩეხა მას, ვინც იატაკანით ყელის გამოლადვრას მიპირებდა. ამ დღეს ეს ბატონი თავის მოვალეობად თვლიდა ეხსნა ვისიმე სიცოცხლე, შემთხვევამ ისურვა, რომ ეს მე ვყოფილიყავი. როცა გავმდიდრდები, კლაგმანს ან მეროკეტს შევუკვეთავ «შემთხვევის» ქანდაკებას.

— დიახ, — თქვა ღიმილით მორელმა, — ეს იყო ხუთ სექტემბერს, იმ დღის წლისთავზე, როცა მამაჩემი ასე სასწაულებრივად გადარჩა; მას შემდეგ ყოველ წელიწადს, რამდენადაც ჩემს ძალებს შესწევს, ამ დღესასწაულს მე რაიმეთი აღვნიშნავ ხოლმე.

— გმირული საქმით, არა? — შეაწყვეტინა შატო-რენომ.

— მოკლედ რომ ვთქვათ, ბედი მეწია, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს ამბავი; როდესაც ყელის გამოლადვრას გადამარჩინა, სიცივისაგან მიხსნა. თავისი წამოსასხამის ნახევარი კი არ მომცა წმიდა მარტინით, მთელი წამოსასხამი დამითმო; მერე შიმშილსაც გადამარჩინა და გამინაწილა... აბა გამოიცანით რა?

— ფელიქსის პაშტეტი? — ჰკითხა ბოშანმა.

— არა, თავისი ცხენი. და თითოეულმა ჩვენგანმა სიამოვნებით შევჭამეთ თითო ნაჭერი; ეს დიდი მსხვერპლი იყო.

— ცხენი? — ჰკითხა სიცილით მორსერმა.

— მართლაც დიდი მსხვერპლია, — უპასუხა შატო-რენომ., — ჰკითხეთ დებრეს, გაიმეტებს თუ არა ის თავის ინგლისურ რაშს უცხოელისათვის? — უცხოელისათვის არა, — უპასუხა დებრემ, — მაგრამ მეგობრისათვის შეიძლება.

— მე წინასწარ ვგრძნობდი, რომ ჩემი მეგობარი გახდებოდა, ბარონ, — თქვა მორელმა, — ისე რაც გნებავთ ის დაარქვით ჩემს საქციელს — თუნდ გმრობა, თუნდ მსხვერპლის გაღება, მაგრამ უკვე მქონდა პატივი მეთქვა, რომ ამ დღეს ბედისათვის რითიმე უნდა გადამეხადა იმ მოულოდნელი ბედნიერების სამაგიერო, რომელიც ჩვენს ოჯახს ეწია.

— ეს ამბავი, რომელზედაც მორელი გაკვრით ლაპარაკობს, — განაგრძო შატო-რენომ, — ძალიან საინტერესოა და როცა უკეთ გაეცნობით ერთმანეთს, მოგიყვებათ მას. დღეს კი დავიკმაყოფილოთ კუჭი და ნუ გავყვებით მოგონებებს. ალბერ, რომელ საათზე ვსაუზნობთ?

— თერთმეტის ნახევარზე.

— ზუსტად? — ჰკითხა დებრემ და საათი ამოიღო.

— გაიღეთ მოწყალეობა და მაჩუქეთ კიდევ ხუთი წუთი, მეც ხომ მხსნელს ველი. —
თქვა მორსერმა.

— ვინ მხსნელს?

— ჩემსას, ეშმაკმა დალახვროს, როგორ გგონიათ, არ შეიძლება მე რაიმედან
დამიხსნან ისევე, როგორც ყველა, ან განა მარტო არაბები ჰკვეთენ თავს? ჩვენი საუზმე
ფილანტროპიულია, და იმედი მაქვს, რომ ჩვენს მაგიდასთან, ყოველ შემთხვევაში,
კაცობრიობის ორი კეთილისმყოფელი დაჯდება.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა დებრემ, — ჩვენ მხოლოდ ერთი პრემია გვაქვს?

— მერე რა, მისცემენ მას, ვისაც არაფრით დაუმსახურებია მისი მიღება. — თქვა
ბოშანმა, — ჩვეულებრივად აკადემია უხერხული მდგომარეობიდან ასე გამოდის
ხოლმე.

— საიდან მოდის თქვენი მხსნელი? — იკითხა დებრემ: — ბოდიშს ვიხდი, თქვენ
ვგონებ უკვე მიპასუხეთ, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ ვბედავ კიდევ გავიმეორო ეს
შეკითხვა.

— მართალი გითხრათ, თვითონაც არ ვიცი. — უპასუხა ალბერმა, — ამ სამი თვის
წინ, როცა მე ის დავპატიჟე, რომში გახლდათ. მაგრამ მას შემდეგ ვის შეუძლია თქვას,
სად არ იყო.

— თქვენ გგონიათ, ის თავის სიტყვას ზუსტად შეასრულებს? — ჰკითხა დებრემ.

— ვფიქრობ, მისთვის შეუძლებელი არაფერია. — უპასუხა მორსერმა.

— მხედველობაში მიიღეთ ის ამბავი, რომ შეღავათიანი ხუთი წუთის ჩათვლით
გრჩებათ ათი.

— კარგი, მაშ გამოვიყენებ ამ დროს და მოგიყვებით ჩემი სტუმრის შესახებ.

— ბოდიში, — შეაწყვეტინა ბოშანმა, — შეიძლება თქვენი ნაამბობიდან ფელეტონი
შევადგინო?

— დიახ, და ისიც ძალიან საინტერესო.

— მაშ დაიწყეთ, როგორც ხედავთ, დეპუტატთა პალატაში ვერ მივდივარ; ეს მაინც
გავაკეთო.

— ამ უკანასკნელი კარნავალის დროს მე რომში ვიყავი, — დაიწყო მორსერმა.

— ჩვენ ეს ვიცით, — დაემოწმა ბოშანი.

— დიახ, მაგრამ ის არ იცით, რომ ყაჩაღებს ჩავუვარდი ხელში.

— ყაჩაღები არ არსებობენ, — თქვა დებრემ.

— არა, არიან, და მერე როგორი შემადრწუნებელნი, ანუ საგანგებონი. მე ისინი
საშინელებამდე მშვენიერებად მეჩვენენ.

— მოდი გამოტყდით, ჩემო ძვირფასო ალბერ, რომ თქვენი მზარეული აგვიანებს,
რომ მარენიდან ან ოსტენდედან ხამანწკები ჯერ არ მოუტანიათ და თქვენ ქალბატონ
მენტენონის წაბამულობით სადილი ზღაპრით გინდათ შესცვალოთ, აბა გამოტყდით,
ჩვენ იმდენად თავაზიანები ვართ, რომ მოგიტევებთ და მოვისმენთ თქვენს
მოთხრობას, რაგინდ ფანტასტიკურიც უნდა იყოს იგი.

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ფანტასტიკურია, გეუბნებით, თავიდან
ბოლომდე მართალია. მაშ ასე, ყაჩაღებმა შემიპყრეს და წამიყვანეს ძალიან მოსაწყენ
ადგილას, რომელსაც კატაკომბი სან-სებასტიანო ჰქვია.

— მე ვიცი ეგ ადგილი, — თქვა შატო-რენომ, — იქ კინაღამ ციებ-ცხელებას
შევეყარე.

— მე კი ნამდვილად შევეყარე, — თქვა მორსერმა. — მაშ ასე, ყაჩაღებმა
გამომიცხადეს, რომ ტყვე ვიყავი და ჩემს გამოსასყიდად საჭირო იყო სულ ცოტა
რაღაც ოთხი ათასი რომაული ეკიუ, ესე იგი ოცდაექვსი ათასი ტურული ლივრი.

საუბედუროდ, მე მხოლოდ 1.500 მქონდა. ჩემი მგზავრობა დასასრულს უახლოვდებოდა და კრედიტი ილეოდა. წერილი მივწერე ფრანცს. ღმერთო ჩემო, ფრანციც ხომ იქ იყო და შეგიძლიათ ჰკითხოთ, თუ ერთი სიტყვა მაინც მოვიტყუე. მივწერე ფრანცს, თუ დილის ექვს საათზე ოთხიათას ეკიუთი არ გამოცხადდი, შვიდის ათ წუთზე ნეტარ წმინდანთა და დიდებულ წამებულთა დასში ჩარიცხულად მიგულეთ-მეთქი. დამიჯერეთ, ლუიჯი ვამპა თავის სიტყვას პატიოსნად ასრულებდა.

— მერე ფრანცმა მოგიტანათ ოთხი ათასი ეკიუ? — ჰკითხა შატო-რენომ. — ეშმაკმა დალაზხვროს! ოთხი ათასი ეკიუს შოვნა არ გაგიჭირდება, როდესაც გქვია ფრანც დ'ეპინე ან ალბერ დე მორსერი.

— არა, ფული არ მოუტანია. მოვიდა იმ კაცის თანხლებით, ვისზეც მე გელაპარაკებით და რომელსაც, იმედი მაქვს, წარმოგიდგენთ.

— მაშ ეს ბატონი ჰერკულესი ყოფილა, რომელმაც კაკა მოჰკლა, ან ჰერმესი, ანდრომელა რომ გაანთავისუფლა?

— არა, ის ჩემი სიმაღლის კაცია.

— თავით ფეხებამდე შეიარაღებული?

— მას წინდის ჩხირიც კი არ ჰქონდა.

— მაშ თქვენს გამოსასყიდს მოიტანდა.

— მან ატამანს ყურში ორი სიტყვა უთხრა და მე გამათავისუფლეს.

— ბოდიშიც კი მოუხადეს, რომ თქვენ დაგატყვევეს? — უთხრა ბოშანმა.

— სწორედ რომ ასე იყო, — უპასუხა მორსერმა.

— ეს კაცი არიოსტო ხომ არ არის?.. — ჰკითხა დებრემ.

— არა, ის უბრალოდ გრაფი მონტე-კრისტოა.

— ასეთი გვარი არ არსებობს.

— მეც ასე მგონია, — თქვა შატო-რენომ ისეთი კაცის რწმენით, რომელმაც ზეპირად იცოდა ევროპის ყველა საგვარეულო სიგელი, — ვის გაუგონია ოდესმე გრაფ მონტე-კრისტოზე?

— შეიძლება იგი წმინდა ქვეყნიდანაა, — განაგრძო ისევ ბოშანმა, — ალბათ, მისი რომელიმე წინაპარი გოლგოთას ფლობდა, როგორც მარტომარები მკვდარ ზღვას.

— ბოდიში, ბატონებო, — ჩაერია საუბარში მორელი, — შეიძლება მე გამოგიყვანოთ გაჭირვებიდან: მონტე-კრისტო — ეს პატარა კუნძულია, რომლის არსებობის შესახებ მამაჩემის მეზღვაურებისაგან მსმენია. ეს არის ქვიშნარი ხმელთა შუა ზღვაში, ატომი დაუსრულებლობაში.

— სწორედ ასეა, — უპასუხა ალბერმა. — და ის კაცი, ვისზედაც მე ვლაპარაკობ, ამ ქვიშნარის, ამ ატომის მბრძანებელია. გრაფის ტიტული კი მან, ალბათ, სადმე ტოსკანაში იყიდა.

— მაშ, თქვენი გრაფი მდიდარია?

— ვფიქრობ, რომ მდიდარია.

— ეგ ხომ უნდა ჩანდეს.

— ცდებით, დებრე.

— მე თქვენი უკვე აღარ მესმის.

— წაგიკითხავთ «ათას ერთი ღამე»?

— ღმერთო ჩემო, ეგ რა საკითხავია.

— იცით ის ადამიანები, რომლებიც ამ წიგნში გხვდებიან, მდიდრები არიან თუ ღარიბები? რა აქვთ მათ, პურის მარცვლები, თუ ლალები და აღმასები? ისინი ღარიბი მეთევზეები გგონიათ და უცებ შეგიყვანენ რომელიღაც საიდუმლო მღვიმეში, სადაც იმდენი სიმდიდრე დაგხვდებათ, რომ მთელი ინდოეთის ყიდვას შეძლებთ.

— მერე?

— მერე ის, რომ ჩემი გრაფი მონტე-კრისტო ერთ-ერთი ასეთი მეთევზეთაგანია; მას სახელიც კი ამ წიგნიდან აქვს; მას ჰქვია სინდბად მეზღვაური, და მასაც აქვს ოქროთი სავსე მღვიმე.

— თქვენ ნახეთ ეს მღვიმე, მორსერ? — ჰკითხა ბოშანმა.

— მე არა, მაგრამ ფრანცმა ნახა. იცოდეთ ფრანცთან ამის შესახებ სიტყვა არ წამოგცდეთ! ფრანცი იქ თვალეზაკრული შეიყვანეს. მას ემსახურებოდნენ მუნჯები და ქალები, რომელთა წინაშე თვით კლეოპატრაც კი არაფერია, თუმცა ქალების არსებობაში დარწმუნებული არ არის, რადგან ისინი მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც მან ჰაშიში გასინჯა. ამიტომ შესაძლებელია ქანდაკებები ქალებად მიიღო.

ყმაწვილი კაცები ისეთი სახით უყურებდნენ მორსერს, თითქოს მათი თვალები ამბობდნენ: «შეიშალე, თუ ჩვენ გვასულელებო».

— ასეთი რამ, — თქვა ჩაფიქრებულმა მორელმა, — გამიგონია მოხუცი მეზღვაურისაგან, რომელსაც პენელონი ჰქვია.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ბატონი მორელი მხარს მიჭერს, — წამოიძახა ალბერმა, — თქვენ კი, პირიქით, ვგონებ გწყინთ, რომ გზის მაჩვენებელ გორგალს აგდებს ჩემს ლაბირინთში.

— ბოდიშს გიხდით, ძვირფასო მეგობარო, — უთხრა მას დებრემ, — მაგრამ თქვენ ისეთ დაუჯერებელ ამბავს ყვებით, რომ...

— დაუჯერებელია, რადგან თქვენი ელჩები და კონსულები ამის შესახებ არაფერს გატყობინებენ, დრო არ რჩებათ; ისინი ხომ თავიანთ თანამემამულე მოგზაურებს ავიწროებენ.

— აი, ხედავთ, გაბრაზდით და თავს ესხმით ჩვენ საწყალ წარმომადგენლებს. ღმერთო ჩემო! როგორღა შეუძლიათ მათ თქვენი ინტერესების დაცვა; პალატა მათ ყოველდღე უკლებს ხელფასს; და ამ ადგილის მსურველები უკვე აღარ არიან. ალბერ, გინდათ ელჩობა? მოგიხერხებთ, კონსტანტინოპოლში დაგნიშნონ.

— ეგ მაკლია! იმისათვის, რომ სულთანმა, როგორც კი ოდნავ მუჰამედ-ალის მხარს დავიჭერ, თოკები გამომიგზავნოს და ჩემივე მდივნებმა დამახრჩონ!

— აი, ხედავთ, — თქვა დებრემ.

— დიახ, მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი უშლის ხელს, რომ ჩემი გრაფი მონტე-კრისტო არსებობს...

— ამქვეყნად ყველა არსებობს! აღმოაჩინე რაღაც სასწაული!

— რასაკვირველია, ყველა არსებობს, მაგრამ არა ისეთ პირობებში. ყველას როდი ჰყავს შავკანიანი მონები, მეფური სამხატვრო გალერეები, სამუზეუმო იარაღი, ცხენები, რომელთა ფასი ექვსი ათასი ფრანკია, და ბერძენი საყვარლები.

— გინახავთ ის ბერძენი ქალი?

— დიახ, ვნახე და მოვისმინე კიდეც მისი დაკვრა. ვნახე ვალეს თეატრში და მოვისმინე, როდესაც ერთხელ გრაფთან ვსაუზმობდით.

— მაშ თქვენი არაჩვეულებრივი გრაფი ჰამს კიდევაც?

— სიმართლე ვთქვა, თუ ჰამს, ისე ცოტას, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

— ნახეთ, ის ვამპირი აღმოჩნდება.

— იცინეთ, თუ გსურთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ასეთივე აზრი გამოთქვა გრაფინია გ—მ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ლორდ რუტვენს იცნობდა.

— ჰო, რა მშვენიერებაა, — წამოიძახა ბოშანმა, — ეს შესანიშნავია ისეთი ადამიანისათვის, რომელიც ჟურნალისტიკას არ მისდევს. ეს ღირს «კონსტიტუციონალის» საოცარ ზღვის გველად: ვამპირი, ეს საუცხოო რამაა.

— მწითური თვალები, რომლის გუგები სურვილის მიხედვით ხან ფართოვდებიან და ხან ვიწროვდებიან. არწივისებური ცხვირი, მშვენიერი გაშლილი შუბლი, მკვდრის ფერი, შავი წვერი, თეთრი ბასრი კბილები და არაჩვეულებრივი ზრდილობიანი საქციელი. — თქვე დებრემ.

— დიახ, სწორედ ასეა, ლუსიენ, — უთხრა მორსერმა, — ყველაფერი ზუსტად ემთხვევა. დიახ, ზრდილობა მახვილი და გესლიანი. ამ კაცთან ყოფნის დროს მე ხშირად მაჭრჟოლებდა; ერთხელ, როდესაც ჩვენ ერთად ვუყურებდით სიკვდილით დასჯას, ვიფიქრე, საცაა გული წამივა-მეთქი, მაგრამ ჩემზე უფრო მეტად იმოქმედა გრაფმა და მისმა გულგრილმა საუბარმა სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სახეობაზე, ვიდრე მსჯავრდადებულის ყვირილმა და ჯალათების ყურებამ, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ.

— ხომ არ შეგიყვანათ მან კოლიზიის ნანგრევებში იმისათვის, რომ სისხლი გამოეწოვა? — ჰკითხა ბოშანმა.

— როდესაც გაგათავისუფლათ, ხელი ხომ არ მოგაწერინათ ალისფერი პერგამენტის ქაღალდზე, რომ მას მიეცით თქვენი სული, როგორც ისაკმა პირმშობის უფლება.

— რამდენიც გინდოდეთ, იმდენი იცინეთ, — უთხრა მორსერმა ოდნავი წყენით. — როცა თქვენ გიყურებთ, მშვენიერო პარიზელებო, განდის ბულვარზე სეირნობას გაჩვეულებო, ბულონის ტყის სტუმრებო და მახსენდება ის კაცი, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენ სხვადასხვა ჯიშის ადამიანები ვართ.

— მე ამით ვამაყობ! — თქვა ბოშანმა.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენი მონტე-კრისტო, — დასძინა შატო-რენომ, — მოცლილობის დროს მშვენიერი კაცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის საქმეებს იტალიელ ყაჩაღებთან.

— იტალიელი ყაჩაღები არ არსებობენ! — თქვა დებრემ.

— და არც ვამპირი, — დასძინა ბოშანმა.

— არც გრაფი მონტე-კრისტო, — განაგრძო დებრემ. — გესმით, ჩემო ძვირფასო ალბერ, საათი უკვე თერთმეტის ნახევარს რეკავს.

— გამოტყდით, რომ საშინელი სიზმარი ნახეთ, ახლა კი წავიდეთ, ვისაუზმოთ, — თქვა ბოშანმა.

საათს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა რეკვა, რომ კარი გაიღო და ჟერმონმა მოახსენა:

— მისი ბრწყინვალეობა, გრაფი მონტე-კრისტო!

ყველა დამსწრე უნებურად შეკრთა. ეს, უთუოდ, ალბერის ნაამბობის შედეგი იყო. ალბერმაც ვერ დასძლია უეცარი მღელვარება.

არავის გაუგონია ქუჩაში ეტლის ხმაური, არც მოსაცდელ ოთახში ფეხის ნაბიჯების ხმა, კარიც თავისთავად და ჩუმად გაიღო.

კარის ზღურბლზე გამოჩნდა გრაფი მონტე-კრისტო. ის ძალიან უბრალოდ იყო ჩაცმული. მაგრამ ყველაზე მომთხოვნი ლომიც კი ვერაფერს დაიწუნებდა მის ტანისამოსში, ყველაფერი მშვენიერი გემოვნებით იყო შერჩეული. ეტყობოდა, კოსტიუმი, ქუდი, საცვლები დახელოვნებულ ხელს მოემზადებინა.

შესახედავად ის ოცდათხუთმეტი წლის კაცს ჰგავდა. ყველაზე მეტი განცვიფრება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ის არაჩვეულებრივად გავდა იმ პორტრეტს, რომელიც დებრემ მოხაზა.

გრაფი ღიმილით წამოვიდა ალბერისაკენ, რომელიც მას შეეგება და მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— სიზუსტე მეფეების ზრდილობააო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამტკიცებდა ერთი ჩვენი მონარქთაგანი, — თქვა მონტე-კრისტომ, — მაგრამ მოგზაურები, როგორი ძლიერი სურვილიც უნდა ჰქონდეთ, ყოველთვის ვერ დაიცავენ ამ წესებს. მე მაინც იმედი მაქვს, ჩემო ძვირფასო ვიკონტ, მხედველობაში მიიღებთ ჩემს გულწრფელ სურვილს ზუსტი ვყოფილიყავი და მაპატიებთ, თუ ორისამი წუთით მაინც დავაგვიანე. ხუთას ლიეს დაბრკოლების გარეშე ყოველთვის ვერ გაივლი, მით უმეტეს საფრანგეთში, სადაც, როგორც ამბობენ, აკრძალულია მეეტლეების ცემა.

— ბატონო გრაფო, მე სწორედ თქვენი სტუმრობის შესახებ ველაპარაკებოდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც იმ შემთხვევის გამო შევკრიბე, რომ თქვენ ჩემთან მობრძანებას აპირებდით. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ისინი. გრაფი შატო-რენო, რომლის კეთილშობილება უტოლდება თორმეტ პერს და რომლის წინაპრებიც მრგვალ მაგიდას უხდნენ; ბატონი ლუსიენ დებრე — საგარეო მინისტრის პირადი მდივანი; ბატონი ბოშანი — საშიში ჟურნალისტი, მეხი საფრანგეთის მთავრობისა, თუმცა საკმაოდ ცნობილია თავის ქვეყანაში, მაგრამ ვერაფერს გაიგონებდით იტალიაში, რადგან მისი გაზეთი იქ აკრძალულია. ბოლოს, სპაჰის კაპიტანი მაქსიმილიან მორელი.

ამ სახელის გაგონებაზე გრაფმა, რომელიც აქამდე ყველას თავაზიანად, მაგრამ წმინდა ინგლისური გულგრილობით ესალმებოდა, უნებურად ნაბიჯი წადგა; მის ფერმიხდილ ლოყებზე წამიერმა სიწითლემ გადაირბინა.

— თქვენ ატარებთ გამარჯვებული ფრანგის მუნდირს, — უთხრა მან მორელს, — ეს მშვენიერია.

ძნელი სათქმელია, რა გრძნობამ მისცა გრაფის ხმას ასეთი მჟღერადობა და გამოიწვია მღელვარება მის თვალებში, რომლებიც მშვიდი, წყნარი და ნათელი იყვნენ, როდესაც მათ საბაზი არ ჰქონდათ დანისლული ყოფილიყვნენ.

— თქვენ არასოდეს გინახავთ ჩვენი აფრიკელები? — ჰკითხა ალბერმა.

— არასოდეს, — უპასუხა გრაფმა, რომელმაც კვლავ დაიმორჩილა თავისი თავი.

— ამ მუნდირის ქვეშ სცემს ჩვენი არმიის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი და უშიშარი გული.

— ეჰ! ბატონო ვიკონტ, — შეაწყვეტინა მორელმა.

— მათქმევინეთ, კაპიტანო... ჩვენ ახლა გავიგეთ, — განაგრძო ალბერმა, — ბატონი მორელის ისეთი გამირული საქციელი, რომ თუმცა მას დღეს პირველად ვხედავ, ნებართვას ვთხოვ წარმოგიდგინოთ, როგორც ჩემი მეგობარი.

ამ სიტყვების გაგონებაზე, უცნაურად გაშტერებულმა გამოხედვამ, სწრაფმა სიწითლემ და წამწამების ოდნავმა რხევამ კვლავ გასცა გრაფის მღელვარება.

— მაშ ასე! — თქვა მან. — მაშ კაპიტანი კეთილშობილი კაცია. მით უკეთესი!

ეს წამოძახილი, რომელიც გრაფის საკუთარ ფიქრებს უფრო პასუხობდა, ვიდრე ალბერის სიტყვებს, ყველას უცნაურად ეჩვენა, განსაკუთრებით მორელს, რომელმაც მონტე-კრისტოს გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ეს წამოძახილი ამავე დროს ისეთი ნაზი და, თუ შეიძლება ითქვას, ისეთი საამო იყო, რომ ამ უცნაურობის მიუხედავად, მორელს არ შეეძლო ნაწყენი დარჩენილიყო.

— რატომ შეეპარა ეჭვი? — ჰკითხა ბოშანმა შატო-რენოს.

— მართლაც საინტერესოა, — უპასუხა შატო-რენომ, რომელმაც არისტოკრატის გამჭრიახი და მახვილი თვალით მაშინვე შეძლო მონტე-კრისტოში შეეცნო ის, რაც შესაცნობი იყო. — ალბერს არ მოვუტყუებებო. გრაფი არაჩვეულებრივი პიროვნებაა. რას იტყვის მორელი?

— მე მგონი, მას გულწრფელი მზერა და სასიამოვნო ხმა აქვს, და მიუხედავად იმისა, ჩემს მიმართ უცნაური შენიშვნა გამოთქვა, მე იგი მომწონს.

— ბატონებო, — თქვა ალბერმა, — ჟერმონმა მომახსენა, რომ საუზმე უკვე მზად არის. ძვირფასო გრაფო, ნება მიბოძეთ გზა გიჩვენოთ.

ყველანი ჩუმად გავიდნენ სასადილო ოთახში და თავიანთი ადგილები დაიკავეს.

— ბატონებო, — თქვა გრაფმა და სკამზე დაჯდა, — ნება მიბოძეთ გამოგიტყდეთ და ამით ბოდიში მოვიხადო ყველა იმ უზრდელო საქციელისათვის, რომელიც შეიძლება ჩავიდინო. მე აქ უცხო ვარ, უფრო მეტი, პირველად ვარ პარიზში, ამიტომ საფრანგეთის ცხოვრება ჩემთვის სავსებით უცნობია. აქამდე მე აღმოსავლურ ყაიდაზე ვცხოვრობდი, რაც სავსებით ეწინააღმდეგება საფრანგეთის ადათებსა და ტრადიციებს. გთხოვთ მომიტევეთ, თუ ჩემში ნახავთ ბევრ რამეს თურქულს, ნეაპოლურს ან არაბულს. ახლა კი საუზმეს შევუდგეთ.

— როგორ ითქვა ყოველივე ეს, — ჩაიჩურჩულა ბოშანმა, — ის ნამდვილი დარბაისელია.

— დიდი დარბაისელი, — დასძინა დებრემ.

— ყველა ქვეყნის დარბაისელი, ბატონო დებრე, — დაასკვნა შატო-რენომ.

თავი II

საუზმე

როგორც ჩვენს მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, გრაფი ჭამაში ძალიან თავდაჭერილი იყო. ამიტომ ალბერმა შიში გამოთქვა, ვაი-თუ პარიზის ცხოვრება თავისი უაღრესად მატერიალური, მაგრამ ამავე დროს აუცილებელი მხრით თავიდანვე არ მოეწონოს ჩვენს სტუმარსო.

— ჩემო ძვირფასო გრაფო, — მიმართა მან, — როგორც ხედავთ, ძალიან ვშიშობ, რომ ელდერის ქუჩის სამზარეულო ნაკლებად მოგეწონებათ, ვიდრე პიაცა დი სპანიაზასი. მე წინასწარ უნდა გამეგო თქვენი გემოვნება და ამის მიხედვით დამემზადებინა კერძები.

— თქვენ რომ უფრო ახლოს მიცნობდეთ, ბატონო ჩემო, — უპასუხა ღიმილით გრაფმა, — ასეთ უბრალო რამეზე თავს არ შეიწუხებდით, მით უმეტეს ჩემისთანა მოგზაურისათვის, რომელიც ნეაპოლში მაკარონით იკვებებოდა, მილანში — პოლენტით, ვალენსიაში — ოლაპოდრიდათი, კონსტანტინოპოლში — ფლავით, ინდოეთში — კარიკით, ხოლო ჩინეთში — მერცხლის ბუდეებით. ჩემისთანა კოსმოპოლიტისათვის სამზარეულოს საკითხი არ არსებობს. ვჭამ ყველაფერს და ყველგან, მაგრამ ცოტას. დღეს კი, როდესაც თქვენ ზომიერებას მისაყვედურებთ, ძალზე დამშეული ვარ, გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია.

— როგორ თუ გუშინდელს აქეთ? — შესძახეს სტუმრებმა. — მაშ თქვენ მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში არაფერი გიჭამიათ.

— დიახ, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — იძულებული ვიყავი გზიდან გადამეხვია, რადგან ზოგიერთი ცნობები უნდა შემეკრიბა ნიძის მიდამოებში, ამის გამო შემავიანდა და აღარ მინდოდა სადმე გავეჩრებულიყავი.

— მაშ თქვენ ეტლში ისაუზმეთ? — ჰკითხა მორსერმა.

— არა, მეძინა; ასე ვიქცევი ყოველთვის, როცა მოწყენილი ვარ და არ მინდა გავერთო, ან როცა მშია და ჭამის სურვილი არა მაქვს.

— მაშ თქვენ შეგიძლიათ აიძულოთ თქვენი თავი, რომ დაიძინოთ? — ჰკითხა მორელმა.

— თითქმის ასეა.

— ამისათვის გაქვთ რაიმე რეცეპტი?

— უებარი.

— აი, რა იქნებოდა ჩინებული ჩვენთვის, აფრიკელებისათვის, რომლებსაც ყოველთვის როდი გვაქვს საჭმელი და კიდევ უფრო იშვიათად სასმელი, — თქვა მორელმა.

— დიახ, — გამოეპასუხა მონტე-კრისტო, — მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი რეცეპტი კარგია ჩემისთანა ადამიანისათვის, რომელიც სრულიად სხვაგვარად ცხოვრობს, ჯარში კი ძალიან საფრთხილოა. შეიძლება სწორედ მაშინ არ გაგელვიდოს, როცა საჭიროა.

— შეიძლება გავიგოთ, რა რეცეპტია ასეთი? — ჰკითხა დებრემ.

— ღმერთო ჩემო, რასაკვირველია, შეიძლება, — თქვა მონტე-კრისტომ, — მე ამას საიდუმლოდ არ ვინახავ. ეს არის ძვირფასი ნარევი საუკეთესო ოპიუმისა, რომელთა გულისათვის თვითონ წავედი კანტონში, რათა მის ავკარგობაში დავრწმუნებულიყავი, და აღმოსავლეთში ტიგრსა და ევფრატს შუა შეგროვილ საუკეთესო ჰაშიშისა; მათ თანაბარი რაოდენობით აზავებენ და აკეთებენ აბებს, რომლებსაც ყლაპავენ, როცა უნდათ დაიძინონ. ათი წუთის შემდეგ იწყება მოქმედება. ჰკითხეთ ფრანც დ'ეპინეს, მან ერთ დღეს, ვგონებ, იგემა ეს აბები.

— დიახ, — უპასუხა მორსერმა, — მან გაკვრით მითხრა ამის შესახებ და სიამოვნებითაც იგონებს.

— მაშასადამე, — დაიწყო ბოშანმა, რომელიც როგორც ჟურნალისტს შეეფერება, უნდობლობას იჩენდა, — მაშასადამე, ეს წამალი თქვენ ყოველთვის თან დაგაქვთ?

— ყოველთვის, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— ჩემ მხრივ უზრდელობა ხომ არ იქნებოდა, რომ ამ ძვირფასი აბების ჩვენება გთხოვოთ? — განაგრძო ბოშანმა, რომელსაც იმედი ჰქონდა უცხოელი ტყუილში დაექიროს.

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა გრაფმა და ჯიბიდან მთლიანი ზურმუხტისაგან გამოთლილი კოლოფი ამოიღო. ამ კოლოფს ჰქონდა ოქროს სახურავი, რომელიც ხრახნზე იხსნებოდა და გზას აძლევდა ცერისოდენა მომწვანო ფერის ბურთულს. ამ ბურთულს ჰქონდა მწვავე და გამჭვალავი სუნი. ამჯერად ზურმუხტის კოლოფში ოთხი თუ ხუთი ბურთულა იდო, მაგრამ შიგ თორმეტამდე ასეთი ბურთულა ჩაეტეოდა.

ამ კოლოფმა მთელი მაგიდა ჩამოიარა, სტუმრებს ხელიდან ხელში გადაჰქონდათ იგი უფრო იმიტომ, რომ ძვირფასი ზურმუხტისათვის შეეხედათ, ვიდრე ეს აბები ენახათ ან დაეცნოსათ.

— მზარეული გიმზადებთ ამ აბებს? — ჰკითხა ბოშანმა.

— ოჰ, არა, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — უღირს ხელებს როდი ვანდობ ჩემს საუკეთესო სიამოვნებას. ცუდი ქიმიკოსი არ გახლავართ, თვითონვე ვამზადებ მათ.

— აი საუცხოო ზურმუხტი, ასეთი დიდი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, თუმცა დედაჩემს კარგი საგვარეულო ნივთები აქვს. — თქვა შატო-რენომ.

— მე სამი ასეთი ზურმუხტი მქონდა, — დაიწყო ისევ მონტე-კრისტომ. — ერთი მათგანი ვაჩუქე ფადიშაჰს, რომელმაც ამ ზურმუხტით თავისი ხმალი დაამშვენა. მეორე მის უწმინდესობა პაპს, რომელმაც იგი თავის ტიარაში ჩაასმევინა, მის წინამორბედ პიუ მეშვიდისათვის იმპერატორ ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარ თითქმის ტოლფასოვან ზურმუხტის პირდაპირ, რომელიც სილამაზით ბევრად ჩამოუვარდებოდა მას. მესამე ჩემთვის დავიტოვე და ამოვალრუვებინე, რამაც

ნაწილობრივ ფასი დაუკარგა, მაგრამ უფრო მოსახერხებელი გახდა იმ მიზნისათვის, რისთვისაც უნდა გამომეყენებინა.

ყველანი განცვიფრებით შეჰყურებდნენ მონტე-კრისტოს, მაგრამ იგი ისე უბრალოდ ლაპარაკობდა, რომ ცხადი შეიქმნა ან სიმართლეს ამბობდა, ან არა და შემოიღო იყო. თუმცა ზურმუხტი, რომელიც მათ ჯერ ისევ ხელში ეჭირათ, პირველ მოსაზრებას უფრო ამართლებდა.

— ასეთი ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ იმ ორმა მბრძანებელმა რა მოგცათ? — ჰკითხა დებრემ.

— ფადიშაჰმა თავისუფლება მიანიჭა ქალს, — უპასუხა გრაფმა, — ჩვენმა უწმინდესობა პაპმა კი სიცოცხლე აჩუქა მამაკაცს. ამრიგად ერთხელ ცხოვრებაში მეც ისეთივე ყოვლისშემძლე ვიყავი, თითქოს ღმერთს ტახტისათვის გავეჩინე.

— ის, ვინც თქვენ გაანთავისუფლეთ, პეპინო იყო, არა? — შესძახა მორსერმა, — მისთვის გამოიყენეთ თქვენ შეწყალების უფლება?

— შესაძლებელია, — უთხრა მონტე-კრისტომ ღიმილით.

— ბატონო გრაფო, ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მსიამოვნებს თქვენი საუბრის მოსმენა, — უთხრა მას მორსერმა, — ჩემს მეგობრებს თქვენი თავი უკვე გავაცანი, როგორც ზღაპრული კაცი; როგორც გრძნეული «ათას ერთი ღამიდან», როგორც საშუალო საუკუნეების ჯადოქარი, მაგრამ პარიზელები ისეთ მიდრეკილებას იჩენენ პარადოქსისადმი, რომ ფანტაზიის ნაყოფად სთვლიან უდაო სინამდვილეს, როდესაც ეს სინამდვილე არ თავსდება მათი ყოველდღიური არსებობის სფეროში. აი, მაგალითად, ბოშანი ყოველდღე ბეჭდავს, დებრე კი კითხულობს, რომ ბულვარზე შეაჩერეს და გადარცვეს ჟოკეი-კლუბის დაგვიანებული წევრი; რომ სენ-დენის ქუჩაზე ან სენ-ჟერმენის გარეუბანში მოჰკლეს ოთხი კაცი. რომ ტამპლეს ბულვარის კაფეში ან იულიანის ტერმებში დაიჭირეს ათი, თხუთმეტი, ოცი ქურდი. აი, ასეთ ამბებს წერენ და მარემებში, რომის კამპანიში და პონტის ჭაობებში ყაჩაღების არსებობას კი უარჰყოფენ. ბატონო გრაფო, გთხოვთ თქვენ თვითონ უთხრათ მათ, რომ ნამდვილად ყაჩაღებს ჩავუვარდი ხელში და თქვენი დიდსულოვანი ჩარევის გარეშე, კატაკომბ სან-სებასტიანოში, ალბათ, მკვდრეთით აღდგენის მოლოდინში ვიქნებოდი იმის მაგივრად, რომ დღეს ელდერის ქუჩაზე, ჩემს ბეჩავ სახლში გაგმასპინძლებოდით.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მონტე-კრისტომ, — თქვენ დამპირდით, რომ ასეთ წვრილმანებს არასოდეს არ გამახსენდებით.

— მე ამის პირობა არ მომიცია! — შესძახა მორსერმა, — ალბათ სხვა ვიღაცაში გეშლებით, რომელსაც იგივე სამსახური გაუწიეთ. პირიქით, გთხოვთ ამაზე ვილაპარაკოთ; რადგან ამით თქვენ გაიმეორებთ არა მარტო იმას, რაც მე ვიცი, არამედ ბევრს იტყვით იმაზედაც, რაც მე არ ვიცი.

— მე მგონია, თქვენ მთელ ამ ამბავში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდით და ჩემზე ნაკლებ არ უნდა იცოდეთ, რაც მოხდა, — უთხრა ღიმილით გრაფმა.

— თუ მე ვიტყვი ყველაფერს, რაც ვიცი, პირობას მომცემთ თქვით ის, რაც მე არ ვიცი? — ჰკითხა მორსერმა.

— ეს სავსებით სამართლიანი იქნება, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— მაშ ასე, — განაგრძო მორსერმა, — ვიწყებ მოყოლას, თუმცა ეს ჩემს თავმოყვარეობას შელახავს. სამი დღის მანძილზე მეგონა, რომ მეაშვიკებოდა ნილაბი, რომელიც არისტოკრატად მივიღე — ტულიის ან პოპეის პირდაპირ შთამომავლად. სინამდვილეში კი თურმე მათამაშებდა სოფლელი მზეთუნახავი, ყურადღება მიაქციეთ — მე ვამბობ მზეთუნახავი იმისათვის, რომ არ ვთქვა გლეხის ქალი-მეთქი. უფრო მეტიც, ისეთი სულელი გამოვდექი, რომ გლეხის ქალად მივიჩნიე თხუთმეტი

წლის უწვერ-ულვაშო და ტანადი ყაჩაღი, როდესაც დავაპირე მის უმწიკვლო ბეჭზე კოცნის დალი დამესვა, მან ყელში დამბაჩა მომაბჯინა და შვიდი თუ რვა ამხანაგის დახმარებით წამიყვანა, უფრო უკეთ, წამათრია კატაკომბ სან-სებასტიანოში, სადაც ვნახე ყაჩაღების ფრიად განათლებული მეთაური. იგი ცეზარის «ჩანაწერებს» კითხულობდა, და კითხვის შეწყვეტა მხოლოდ იმისათვის ინება, რომ ჩემთვის ეთქვა: თუ მეორე დღეს დილის ექვსი საათისათვის მის სალაროში ოთხი ათას პიასტრს არ შევიტანდი, მაშინ შვიდის თხუთმეტ წუთზე უკვე ცოცხლებში აღარ ვიქნებოდი. ამის შესახებ მივწერე ფრანცს, რომელსაც ეს წერილი ლუიჯი ვამპას მინაწერით დღესაც აქვს, თუ ეჭვი გეპარებათ, მივწერ, ხელწერა შეამოწმებინოს და გამოგზავნოს. აი ყოველივე ის, რაც მე ვიცი, მაგრამ ვერ მივძმვდარვარ, როგორ მოახერხეთ ასეთი პატივისცემის დამსახურება რომაელ ყაჩაღებში, რომლებიც დიდ სიძუნწეს იჩენდნენ ამ მხრივ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეცა და ფრანციც აღფრთოვანებული ვიყავით.

— ეს სულ უბრალო ამბავია, — უპასუხა გრაფმა, — ათ წელიწადზე მეტია, რაც ლუიჯი ვამპას ვიცნობ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ის მწყემსი ბიჭი იყო. მას ოქროს ფული ვაჩუქე იმისთვის, რომ გზა მიჩვენა. მან კი, რათა დავალებული არ დარჩენილიყო, მაჩუქა ხანჯალი, რომელსაც თავისი საკუთარი ხელით გამოთლილი ტარი ჰქონდა. ეს ხანჯალი თქვენ ჩემი იარაღების კოლექციაში ნახეთ. კარგა ხნის შემდეგ, არ ვიცი მას დაავიწყდა ამ მცირე საჩუქრების გაცვლა, თუ ვერ მიცნო, ჩემი ტყვედ ჩაგდება მოინდომა, მაგრამ პირიქით გამოვიდა, მე დავაპატიმრე იგი და მასთან ერთად ათამდე ყაჩაღი. შემემლო ისინი გადამეცა რომის მართლმსაჯულებისათვის, რომელიც მარჯვედ მოქმედებს და განსაკუთრებით ლუიჯი ვამპას პატივსაცემად უფრო დააჩქარებდა საქმეს. მაგრამ ეს არ ჩავიდინე — იგი ამხანაგებთან ერთად გავათავისუფლე.

— იმ პირობით, რომ კვლავ აღარ შეეცოდათ, — თქვა ჟურნალისტმა სიცილით. — მე სიამოვნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ მათ თავისი სიტყვა სინდისიერად აასრულეს.

— არა, ეგ არა, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — ჩვენ სულ უბრალო პირობა დავდეთ. მას არასოდეს არ უნდა ეხლო ხელი არც ჩემთვის, არც ჩემი მეგობრებისათვის. შეიძლება თქვენ, ბატონო სოციალისტებო, პროგრესისტებო და ჰუმანისტებო ჩემი ლაპარაკი უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ მე არასოდეს ვზრუნავ მახლობლებზე, არასოდეს ვცდილობ დავიცვა საზოგადოება, რომელიც მე არ მიცავს, უფრო მეტიც, რომელიც ჩემით დაინტერესდება მხოლოდ მაშინ, როცა უნდა რაიმე მავნოს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასა და ახლობლებსაც უარს ვუბნები პატივისცემაზე და ნეიტრალიტეტს ვიცავ, ისინი მაინც დავალებული მრჩებიან.

— მაღლობა ღმერთს! — შესძახა შატო-რენომ, — აი, მამაცი ადამიანი, რომელიც პატიოსნად და დაუფარავად ქადაგებს ეგოიზმს, მშვენიერია, ბრავო, ბატონო გრაფო.

— ყოველ შემთხვევაში, — გულახდილად თქვა მორელმა, დარწმუნებული ვარ, გრაფს სანანებლად არ დარჩა ის გარემოება, რომ ერთხელ თავის სიცოცხლეში უღალატა იმ პრინციპებს, რომლებიც ეს-ეს არის ასე დაბეჯითებით დაიცვა.

— მერე და რით ვუღალატე ამ პრინციპებს, ბატონო ჩემო? — ჰკითხა მონტე-კრისტომ, რომელიც დროდადრო ისე დაკვირვებით შეხედავდა ხოლმე მორელს, რომ ამ გამბედავმა ყმაწვილმა რამდენჯერმე თვალები დახარა გრაფის ნათელსა და გულდია შეხედვაზე.

— მე მგონია, — განაგრძო ისევ მორელმა, — მორსერის განთავისუფლებით, რომელსაც თქვენ არ იცნობდით, სამსახური გაუწიეთ ახლობელსაც და საზოგადოებასაც.

— რომლისთვისაც მორსერი არის მისი საუკეთესო სამკაული, — თქვა მნიშვნელოვნად ბოშანმა, და ერთი მოსმით გამოსცალა შამპანურით სავსე ჭიქა.

— ბატონო გრაფო, — შესძახა მორსერმა, — თქვენ წინააღმდეგობაში ვარდებით, ამით მინდა გითხრათ, რომ ყველაზე ლოგიკური კაცი ხართ მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ. აი, ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ეგოისტი კი არა, პირიქით, ფილანტროპი ხართ. ბატონო გრაფო, თქვენ საკუთარ თავს აღმოსავლეთის ქვეყნის შვილს უწოდებთ, ამბობთ, რომ ლევანტელი, მალაელი, ინდოელი, ჩინელი, ველური ხართ წარმოშობით, მონტე-კრისტოდ იწოდებით, თქვენი ნათლობის სახელია სინდბად მეზღვაური და რა დღიდანაც ფეხი შემოდგით პარიზის მიწაზე, განიმსჭვალეთ ან დაგეუფლათ ჩვენი ექსცენტრიული, პარიზელებისათვის დამახასიათებელი მთავარი ღირსება ან ნაკლი. თქვენ თქვენს თავს მიაწერთ ნაკლს, რომელიც არ გახასიათებთ და მალავთ სათნოებას, რომელიც თქვენ გაქვთ.

— ძვირფასო ვიკონტ, — უთხრა მას მონტე-კრისტომ, — ჩემს სიტყვებში ან ჩემს საქციელში ვერაფერს ვხედავ ისეთს, რომ თქვენ ან თქვენმა სტუმრებმა ქება შემასხათ. თქვენ ჩემთვის უცხო არ იყავით. უკვე გიცნობდით, მანამდე დაგითმეთ ორი ოთახი, გიმასპინძლებოდით საუზმით, გათხოვეთ ერთი ჩემი ეტლთაგანი, კორსოზე ერთად ვათვალიერებდით ნიღბებს, პიაცო დელ-პოპოლოს ფანჯრიდან ერთად ვუყურებდით სიკვდილით დასჯას, რომელმაც თქვენზე ისე იმოქმედა, რომ კინაღამ გული წაგივიდათ. და აი ყოველივე ამის შემდეგ, მითხარით, ბატონებო, შემეძლო დამეტოვებინა ჩემი სტუმარი ამ საშინელი ყაჩაღების ხელში, როგორც თქვენ მათ ეძახით? ესეც არ იყოს, ძალიან კარგად იცით, თქვენი განთავისუფლების დროს ფარული ფიქრი მამოძრავებდა. ვფიქრობდი, როცა საფრანგეთში ჩამოვიდოდი, თქვენ გამიწევდით სამსახურს და გამაცნობდით პარიზის საზოგადოებას. ადრე თქვენ ეს წინადადება შეიძლება სხვათა შორის ნათქვამი მოგეჩვენათ, ახლა ხომ ხედავთ, რომ ჭეშმარიტი სინამდვილეა. ბედს უნდა დაემორჩილოთ, რათა თქვენს სიტყვას არ უღალატოთ.

— მე შევასრულე ჩემს სიტყვას, — უპასუხა მორსერმა, — მაგრამ ძალიან ვშიშობ, გულგატეხილი არ დარჩეთ. თქვენ მიჩვეული ხართ მხატვრულ ადგილებს, არაჩვეულებრივ თავგადასავლებს, ფანტასტიკურ ჰორიზონტებს. ჩვენთან არაფერი არ ჰგავს იმას, რასაც მიგაჩვიათ თქვენმა მდიდრული მოვლენებით სავსე ცხოვრებამ. ჩვენი ჩიმბორაბია — მონმარტია, ჩვენი ჰიმალაი — მონგალესი, ჩვენი დიდი უდაბნოა გრენელის ველი და აქაც თხრიან არტეზიულ ჭებს ქარავნებისათვის. ჩვენ გვყავს ქურდები და საკმაოდ ბევრი, თუმცა არც იმდენი, რამდენსაც ამბობენ. მაგრამ ამ ქურდებს გაცილებით უფრო მეტად ეშინიათ უბრალო ჯაშუშების, ვიდრე გამოჩენილი დიდკაცების. ერთი სიტყვით, საფრანგეთი ისეთი პროზაული ქვეყანაა და პარიზი ისეთი ცივილიზებული ქალაქია, რომ ჩვენს ყველა ოთხმოცდახუთ დეპარტამენტში, მე ვამბობ ოთხმოცდახუთში იმიტომ, რომ კორსიკა გამომყავს საფრანგეთის პროვინციის შემადგენლობიდან, — ყველა ამ დეპარტამენტში თქვენ ვერ იპოვით სულ პატარა გორაკსაც კი, სადაც არ იყო ტელეგრაფი და რამდენიმე ბნელი მღვიმე, სადაც პოლიციას გაყვანილი არ ჰქონდეს გაზი. ასე რომ, ჩემო ძვირფასო გრაფო, მე შემიძლია მხოლოდ ერთი სამსახური გაგიწიოთ და ამაში მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ, წარგადგინოთ ყველგან, ან პირადად ან ჩემი მეგობრების საშუალებით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამაში არავინ გჭირდებათ, თქვენი სახელით, თქვენი სიმდიდრით და თქვენი ჭკუით (მონტე-კრისტო დაიხარა და ოდნავი ირონიით გაიღიმა), თქვენ თვითონ ყველგან წარიდგენთ თავს. სინამდვილეში, თუკი შემიძლია რამეში გამოგადგეთ, ეს იქნება ის, რომ მე ვიცნობ

პარიზის ცხოვრებას, ცოტაოდენი კომფორტის საკითხებიც მესმის, ვიცი სად რომელი მაღაზიაა. აი, ამაში თუ გამოგადგებით — მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ, რომ შესაფერისი ბინა მოგაძებნინოთ და კარგადაც მოგაწყობთ. ვერ გავხედავ ჩემი ბინიდან დაგითმობთ ოთახები, ისე როგორც ეს თქვენ რომში გააკეთეთ: თუმცა ეგოიზმს არ ვქადაგებ, მაგრამ თავით ფეხებამდე ეგოისტი ვარ, აქ ჩემს გარდა ადამიანის ჩრდილიც კი არ დაეტეოდა, თუნდაც იგი ქალისა ყოფილიყო.

— ოჰო, ეს შენიშვნა მაფიქრებინებს, რომ თქვენ ცოლის თხოვას აპირებთ, — თქვა გრაფმა. — რომში, ვგონებ, სიტყვა გადამიკარით რაღაც საქორწინო გეგმებზე. ხომ არ უნდა მოგილოცოთ მომავალი ბედნიერება?

— ეს ჯერ ისევ გეგმებია, ბატონო გრაფო.

— და საკმაოდ გაურკვეველიც, — ჩაერია ლაპარაკში დებრე.

— არაფერიც, — წამოიძახა მორსერმა, — მამაჩემს სურს ეს ქორწინება. ბატონო გრაფო, იმედი მაქვს რაც შეიძლება მალე წარმოგიდგინოთ თუ ცოლი არა, საცოლე მაინც — მადმუაზელ ეჟენი დანგლარი.

— ეჟენი დანგლარი! — გაიმეორა მონტე-კრისტომ, — მოიცათ, მამა მისი ბარონი დანგლარი ხომ არ არის?

— დიახ, — უპასუხა მორსერმა, — მაგრამ ახალი ფორმაციის ბარონი.

— თუკი სახელმწიფოს წინაშე მან ეს ტიტული დაიმსახურა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— უდიდესი, — თქვა ბოშანმა. — თუმცა იგი სულით ლიბერალი იყო, 1829 წელს 10 მილიონი სესხი გამოუშვა კარლ მეათისათვის. ამის გამო მეფემ იგი ბარონი და საპატო ლეგიონის კავალერი გახადა, ასე რომ იგი თავის ჯილდოს ჟილეტის ჯიბეში კი არ ატარებს, როგორც ეს შეიძლება გვეფიქრა, არამედ წესისამებრ, ფრაკის ღილზე.

— ოჰ, ბოშან, ბოშან, — უთხრა სიცილით მორსერმა, — ეს სიტყვები «კორსარისა» და «შარივარისათვის» შეინახეთ, ჩემს წინაშე კი დაზოგეთ ჩემი მომავალი სასიამაო. შემდეგ იგი მონტე-კრისტოს მიუბრუნდა.

— თქვენ ეს-ეს არის ისე წარმოთქვით ეს გვარი, თითქოს იცნობდეთ ბარონს.

— არა, არ ვიცნობ, — უპასუხა დაუდევრად მონტე-კრისტომ. — მაგრამ, ალბათ, მალე გავიცნობ, რადგან მე მის ბანკში ანგარიში მაქვს გახსნილი საბანკო ფირმების — ლონდონის «რიჩარდ და ბლაუნისა», ვენის «არშტეინ და ესკელსისა» და რომის «ტომსონ და ფრენჩის» მიერ.

ამ ორი უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმისას მონტე-კრისტომ აღმაცერად გადახედა მაქსიმილიან მორელს.

თუ უცხოელი ფიქრობდა მაქსიმილიან მორელზე გავლენა მოეხდინა, ის არ შემცდარა. მაქსიმილიანი ისე შეკრთა, თითქოს ელექტროდენმა დაჰკრაო.

— «ტომსონ და ფრენჩი»? თქვენ იცნობთ ამ საბანკო ფირმას, ბატონო ჩემო? — ჰკითხა მან.

— ეს ჩემი ბანკირები არიან ქრისტიანული სამყაროს დედა-ქალაქში, — უპასუხა გრაფმა, — შემიძლია მათთან რამეში გამოგადგეთ?

— დიახ, ბატონო გრაფო, შეიძლება დაგვეხმაროთ ერთ ძიებაში, რომელიც აქამდე უწყალოდ მიმდინარეობს. ამ საბანკო ფირმამ ოდესღაც ჩვენს ფირმას დიდი სამსახური გაუწია და არ ვიცი რატომ უარყოფს ამ სამსახურს.

— მე თქვენს განკარგულებაში ვარ, — უთხრა მონტე-კრისტომ და დაიხარა.

— ძალიან შორს წაგვიყვანა დანგლარზე ლაპარაკმა და საუბრის თემას ავცდით, — შენიშნა მორსერმა. — ჩვენ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ გრაფ მონტე-კრისტოსათვის

შესაფერისი ბინა მოგვეძებნა. მოდით ყველამ ვიფიქროთ, სად დავასახლოთ დიდი პარიზის ახალი სტუმარი.

— სენ-ჟერმენის გარეუბანში შეუძლია იშოვოს პატარა სასახლე ბალითა და ეზოთი, — თქვა შატო-რენომ.

— შატო-რენო, თქვენ მხოლოდ ამ მოსაწყენ და აუტანელ სენ-ჟერმენის გარეუბანს იცნობთ, — შეაწყვეტინა დებრემ. — ნუ დაუჯერებთ, გრაფო, მოეწყვეთ დ'ანტენის გზატკეცილზე: ეს პარიზის ნამდვილი ცენტრია.

— ოპერის ბულვარი, — ჩაერია ბოშანი, — მეორე სართული აივნიანი სახლით. ბატონი გრაფი უბრძანებს იქ მიუტანონ სირმის ამოქარგული მაუდის ბალიშები, გადადგება აივანზე, გააბოლებს ჩიბუხს, გადაყლაპავს თავის აბებს და მის წინ გადაშლილ ქალაქს დაუწყებს ყურებას.

— მორელ, თქვენ ვერაფერი მოიფიქრეთ, რომ არაფერს ამბობთ? — ჰკითხა მას შატო-რენომ.

— პირიქით, მოვიფიქრე, მაგრამ ვიცდიდი, ხომ არ მოხიბლავდა გრაფს თქვენს მიერ შეთავაზებული ბრწყინვალე წინადადებები. მაგრამ რაკი არაფერი გიპასუხათ, გავბედავ შევთავაზო პატარა მშვენიერი ბინა პომპადურისეულ სასახლეში, რომელსაც უკვე ერთი წელია ჩემი და ქირაობს მელეის ქუჩაზე.

— თქვენ გყავთ და? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, ბატონო, და ისიც მშვენიერი და.

— გათხოვილია? — უკვე მეცხრე წელია.

— ბედნიერია? — ჰკითხა გრაფმა.

— ბედნიერია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ადამიანის ბედნიერება, — უთხრა მაქსიმილიანმა, — ის ცოლად გაჰყვა ემანუელ ერბოს, იმ კაცს, ვისაც იგი უყვარდა და ვინც ჩვენ უბედურებაში არ მიგვატოვა.

მონტე-კრისტომ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— შვებულებაში ყოფნის დროს მასთან ვცხოვრობ, და მზად ვარ ჩემს სიძესთან ერთად გემსახუროთ, თუკი რაიმე დაგჭირდებათ.

— ერთ წუთს შეჩერდით! — წამოიძახა ალბერმა, მანამ მონტე-კრისტო უპასუხებდა, — რას ჩადიხართ, ბატონო მორელ? თქვენ გინდათ მოგზაური სინდბად მეზღვაური ოჯახურ ცხოვრებაში ჩაამწყვდიოთ, თქვენ გინდათ პატრიარქად გადააქციოთ ადამიანი, რომელიც პარიზის დასათვალიერებლად ჩამოვიდა?

— არავითარ შემთხვევაში, — უპასუხა მორელმა ღიმილით, — ჩემი და ოცდახუთი წლისაა, სიძე — ოცდაათის, ისინი ახალგაზრდები და სიცოცხლით სავსენი არიან. ესეც არ იყოს, გრაფი ცალკე იცხოვრებს და თავის მასპინძლებს მხოლოდ მაშინ შეხვდება, როცა მოისურვებს.

— გმადლობთ ბატონო, გმადლობთ, — უთხრა მორელს მონტე-კრისტომ, — მოხარული ვიქნები თქვენი დისა და სიძის გაცნობის, თუკი თქვენ ამ პატივს დამდებთ; მაგრამ ვერ მივიღებ, ბატონებო, ვერც ერთი თქვენგანის წინადადებას, ვინაიდან ჩემთვის ბინა უკვე გამზადებულია.

— როგორ! შესძახა მორსერმა, — სასტუმროში აპირებთ ცხოვრებას? თქვენთვის ეს ძალზე მოუხერხებელი იქნება.

— განა მე ცუდად ვცხოვრობდი რომში? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ღმერთო ჩემო! რომში თქვენი ოთახების მოწყობაზე ორმოცდაათი ათასი პიასტრი დახარჯეთ, მაგრამ ყოველთვის ხომ ასეთ ხარჯებს არ გასწევთ.

— ეგ არ შემაჩერებდა, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — მაგრამ მე მინდა, რომ პარიზში საკუთარი სახლი მქონდეს, ამიტომ წინასწარ გამოვაგზავნე ჩემი კამერდინერი, რომელმაც, ალბათ, უკვე იყიდა ბინა და მოაწყო კიდეც.

— მაშ თქვენ გყავთ კამერდინერი, რომელიც პარიზს იცნობს? — შესძახა ბოშანმა.

— ისიც ჩემსავით პირველად არის საფრანგეთში; ის შავკანიანია, და ამავე დროს მუნჯიც, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— მაშ ეგ ალია? — შეჰყვირა ალბერმა საერთო გაკვირებაში.

— დიახ, სწორედ ის, ჩემი მუნჯი ნუბიელი, ვგონებ თქვენ იგი რომში ნახეთ.

— დიახ, რასაკვირველია, — უპასუხა მორსერმა, — მშვენივრად მახსოვს, მაგრამ ძალიან მიკვირს, როგორ დაავალეთ ნუბიელს და ისიც მუნჯს პარიზში ბინის ყიდვა და მისი მოწყობა? უბედურმა, ალბათ, ყველაფერი არია.

— ცდებით, ბატონო, პირიქით, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ჩემი გემონების მიხედვით შეარჩია. თქვენ კი მოგეხსენებათ, რომ ჩემი გემოვნება სხვებისას არ ჰგავს. ის უკვე ერთი კვირაა, რაც აქ არის; ალბათ, მან შემოირბინა მთელი ქალაქი, როგორც კარგმა მონადირე ძაღლმა, რომელიც მარტო ნადირობს. ის იცნობს ჩემს ჟინს, ჩემს გემოვნებას, ჩემს მოთხოვნილებებს, და ალბათ ყველაფერი ჩემი გემოვნების მიხედვით მოაწყო. მან იცოდა, რომ დღეს ათ საათზე ჩამოვიდოდი და ცხრა საათის შემდეგ მელოდა ფონტენებლოს კარიბჭესთან და აი, გადმომცა ეს ქალაქი, რომელზედაც ჩემი ახალი მისამართი სწერია.

და მონტე-კრისტომ ალბერს ფურცელი გადასცა.

— «ელისეს მინდორი, 130». — წაიკითხა მორსერმა.

— ოჰო, ეს მართლაც ორიგინალურია! — წამოიძახა ბოშანმა.

— და ნამდვილად თავადურიც, — დასძინა შატო-რენომ.

— როგორ! თქვენ ჯერ არ გინახავთ თქვენი ბინა? — ჰკითხა დებრემ.

— არა, უკვე გითხარით, რომ მინდოდა ზუსტად დანიშნულ დროზე მოვსულიყავი, ტანისამოსიც კი ეტლში გამოვიცვალე და მხოლოდ ვიკონტის კარებთან გადმოვედი.

ყმაწვილმა კაცებმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, გრაფი მონტე-კრისტო კომედიას ხომ არ თამაშობსო. მაგრამ ამ კაცის ყოველ სიტყვაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან უცნაურები იყვნენ, იმდენი უბრალოება გამოსჭვიოდა, რომ არ შეიძლებოდა ტყუილად მიგეჩნიათ; ესეც არ იყოს, რაში სჭირდებოდა ტყუილები?

— როგორც ჩანს, — დაიწყო ბოშანმა, — ჩვენ უნდა დავჯერდეთ იმ მცირე სამსახურს, რომელსაც შევძლებთ. მე, როგორც ჟურნალისტი, გრაფს პარიზის ყველა თეატრებისა და ლოჟების კარებს ვუღებ.

— გმადლობთ, — უპასუხა ღიმილით მონტე-კრისტომ. — ჩემს საქმეთა მმართველს ნაბრძანები აქვს ყოველ თეატრში თითო ლოჟა დაეკავებინა.

— თქვენი საქმეთა მმართველიც ნუბიელია და მუნჯიც? — ჰკითხა დებრემ.

— არა, ის უბრალოდ თქვენი თანამემამულეა, თუკი საერთოდ კორსიკელი შეიძლება ვისიმე თანამემამულედ ჩავთვალოთ. თქვენ მას იცნობთ, ბატონო მორსერ!

— შემთხვევით ეს ის მარჯვე სინიორ ბერტუჩო ხომ არ არის, რომელიც ასე ოსტატურად ქირაობს ფანჯრებს?

— დიახ, დიახ. თქვენ იგი ნახეთ, როდესაც პატივი დამდეთ და ჩემთან საუზმობდით. ძალიან მამაცი კაცია, ჯარისკაციც იყო, კონტრაბანდისტიც, ერთი სიტყვით, ცოტ-ცოტა ყველაფერი. ვერ დავიფიცავ, რომ მას უსიამოვნება არ ჰქონოდა

ქანდარმებთან რაიმე უბრალო საქმისათვის, მაგალითად, დანის დარტყმის მაგვარი საქმის გამო.

— და ეს მსოფლიოს პატიოსანი მოქალაქე თქვენ საქმეთა მმართველად აიყვანეთ? — ჰკითხა დებრემ. — რამდენს გპარავთ წელიწადში?

— დარწმუნებული ვარ, სხვებზე მეტს არა, მაგრამ იგი ძალიან კარგად აგვარებს ჩემს საქმეებს, მისთვის შეუძლებელი არაფერია.

— ამგვარად, თქვენ მეურნეობა უკვე მოგვარებული გაქვთ, სახლი ნაყიდია ელისეს მინდვრებზე, გყავთ მოსამსახურე, საქმეთა მმართველი, გაკლიათ მხოლოდ საყვარელი.

ალბერს გაეღიმა. მას გაახსენდა მშვენიერი ალბანელი თუ ბერძენი ქალი, რომელიც ვალესა და არჟენტინის თეატრების ლოჟებში ნახა.

— სატრფოზე ცოტა უკეთესი მყავს, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — მე მყავს მონა. თქვენ საყვარლებს ოპერაში, ვოდევილისა და ვარიეტეს თეატრებში ქირაობთ, მე კი ჩემი მონა კონტანტინოპოლში ვიყიდე. ესე იგი უფრო ძვირი მიზის, მაგრამ სამაგიეროდ აღარ მჭირდება თავის შეწუხება.

— თქვენ გავიწყდებათ, — უთხრა სიცილით დებრემ, — რომ ჩვენ, როგორც ეს თქვა მეფე შარლმა, თავისუფალი ფრანკები ვართ და თქვენი მონა თავისუფალი გახდა, როგორც კი ფეხი შემოდგა ჩვენს მიწაზე.

— მერედა ვინ ეტყვის ამას? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— პირველი შემხვედრი.

— ის მხოლოდ ახალ ბერძნულს ლაპარაკობს.

— ჰო, მაშინ სხვა საქმეა.

— იმედია, ჩვენ მას ვნახავთ? — ჰკითხა ბოშანმა, — მუნჯს გარდა საჭურისებიც ხომ არა გყავთ?

— ღმერთმანი არა, ჩემი ორიენტალიზმით მე ჯერ აქამდე არ მივსულვარ; ყველას, ვინც გარს მახვევია, შეუძლიათ, როცა უნდათ, მაშინ მიმატოვონ. და თუკი ასეთ ნაბიჯს გადადგამენ, მათთვის აღარც მე ვიქნები საჭირო და აღარც სხვა. შეიძლება ამიტომ არ მტოვებენ ისინი მე.

სტუმრები უკვე დიდი ხანია ტკბილეულსა და სიგარებს შეექცეოდნენ.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა დებრემ ალბერს და წამოდგა, — უკვე სამის ნახევარია. თქვენი სტუმარი მომხიბვლელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი სასიამოვნო საზოგადოება, რომელსაც არ უნდა გამოემშვიდობო, ზოგჯერ იგი ცუდითაც კი უნდა შეცვალო. უკვე დროა სამინისტროში წავიდე. გრაფის შესახებ მოველაპარაკები მინისტრს, ხომ უნდა გავიგოთ ვინ არის იგი.

— ფრთხილად იყავით, — უთხრა მორსერმა, — ყველაზე შორსმჭვრეტელებმაც კი ამ საქმეში უკან დაიხიეს.

— ჩვენ პოლიციისათვის გვაძლევენ სამ მილიონს, მართალია, ეს თანხა ყოველთვის წინასწარ არის დახარჯული, მაგრამ ამ საქმისათვის, ყოველ შემთხვევაში, ორმოცდაათი ათასი ფრანკი დაგროვდება.

— როდესაც გაიგებთ ვინ არის, იმედი მაქვს მეტყვიით?

— ამის პირობას გაძლევთ. ნახვამდის, ალბერ. ბატონებო, მაქვს პატივი დაგემშვიდობოთ.

და როცა დებრე მოსაცდელ ოთახში გავიდა, ხმამაღლა დაიძახა:

— უბრძანეთ ეტლი მომგვარონ!

— ალბერ, — უთხრა მას ბოშანმა, — როგორც ჩანს პალატაში ვეღარ მოვხვდები, მაგრამ ჩემს მკითხველებს ბატონ დანგლარის სიტყვებზე უფრო საინტერესო მასალებს მივაწვდი.

— ღვთის გულისათვის, ბოშან — შეეხვეწა მორსერი, — გთხოვ არც ერთი სიტყვა არ დაწერო. ნუ წამართმევ უპირატესობას, პირადად მე წარვადგინო იგი საზოგადოების წინაშე და ახსნა-განმარტებაც მივცე. მართლაც, ხომ ძალზე საინტერესო კაცია?

— უფრო მეტი, — უპასუხა შატო-რენომ, — ეს მართლაც ყველაზე უცნაური კაცია მათ შორის, ვინც კი აქამდე შემხვედრია. მოდიხართ, მორელი?

— ახლავე, მხოლოდ გრაფს ბარათს გადავცემ ჩემი მისამართით. მან იმდენი მოკრძალება გამოიჩინა, რომ დაგვიბრდა მელეის ქუჩა¹¹⁴-ში გვინახულოს.

— გარწმუნებთ, არ გადავთქვამ ჩემს სიტყვას, — უთხრა გრაფმა და თავი დაუკრა. მაქსიმილიან მორელი და შატო-რენო ერთად გავიდნენ და მონტე-კრისტო მარტო დატოვეს მორსერთან.

თავი III

წარდგენა

გრაფთან მარტო დარჩენილმა ალბერმა მიმართა:

— ბატონო გრაფო, ნება მიბოძეთ ჩემს მოვალეობას შევუდგე, როგორც ჩიჩერონე და გიჩვენოთ უცოლო კაცის ბინის ნიმუში. იტალიის სასახლეებში გაჩვეულს მოგიხდებათ შეისწავლოთ, რამდენ ფუტ კვადრატულ ფართობზე თავსდება პარიზელი ყმაწვილი კაცი, რომელიც აქაურთა შეხედულებით, არცთუ ისე ცუდად ცხოვრობს. ოთახიდან ოთახში გასვლისას ფანჯრებს გამოვადებთ, რათა სული არ შეგეხუთოთ.

მონტე-კრისტოს უკვე ნანახი ჰქონდა სასადილო დარბაზი და ქვედა სართულის სასტუმროს ოთახი. ალბერმა იგი ჯერ თავის ატელიეში შეიყვანა; როგორც მკითხველს ემახსოვრება, ეს მისი საყვარელი ოთახი იყო.

მონტე-კრისტო ღირსეული შემფასებელი იყო ყოველივე იმისა, რაც აქ ალბერს დაეგროვებინა: ძველებური სკივრები, იაპონური ფაიფური, აღმოსავლური ქსოვილები, ვენეციური მიწა, ჭურჭლეული, ყველა ქვეყნის იარაღი — ყოველივე ეს გრაფისათვის ნაცნობი იყო და თვალის ერთი გადავლებით საზღვრავდა საუკუნეს, ქვეყანას და წარმოშობას. მორსერს განზრახული ჰქონდა მისთვის ახსნა-განმარტება მიეცა, მაგრამ პირიქით გამოვიდა. იგი გრაფის ხელმძღვანელობით გადიოდა არქეოლოგიის, მინერალოგიისა და ბუნებისმეტყველების კურსს. ამის შემდეგ ისინი ორივენი ქვედა სართულში ჩავიდნენ. ალბერი თავის სტუმარს დარბაზში შეუძღვა. ამ სალონში კედლები მოფენილი იყო თანამედროვე მხატვრების სურათებით. აქ იყო დიუპრეს პეიზაჟები: მაღალი ლერწმები, ტანაყრილი ხეები, აბღავლებული ძროხები და მშვენიერი ცა. აქ ნახავდით დელაკრუას თეთრ ბურნუსებში შემოსილ არაბელ ცხენოსნებს, წელზე ბრჭყვიალა ქამრებით და მოზარნაშებული იარაღით, რაშები გამმაგებით იკბინებოდნენ, ხოლო ადამიანები რკინის კეტებით იბრძოდნენ. შეხვდებოდით აგრეთვე ბულანჟეს აკვარელს — «პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი». ეს სურათი შესრულებული იყო იმ სიძლიერით, რომელიც მხატვარს პოეტის მეტოქედ ხდის. იყო დიასის ტილოებიც, რომლის ყვავილები ცოცხალ ყვავილებზე უფრო მშვენიერია და მზე უფრო ბრწყინვალეა, ვიდრე ნამდვილი მზე; ბოლოს —

დეკამპის სურათები, სალვატორ როზას სურათებივით კოლორიტიანი, მაგრამ უფრო პოეტური. აქ ნახავდით აგრეთვე ჟინოსა და მიულერის პასტელებს, რომლებიც ანგელოსის თავიანთ ბავშვებს და ქალწულის სახეებიან ქალებს გამოსახავდნენ. ნახავდით დოზას აღმოსავლეთში მოგზაურობის ალბომიდან ამოხეულ გვერდებს, რომლებიც მას შესრულებული ჰქონდა ფანქრით რამდენიმე წამის განმავლობაში აქლემის ზურგზე ან მეჩეთის გუმბათქვეშ; ერთი სიტყვით, აქ ნახავდით ყველაფერს, რაც შეიძლებოდა მიეცა თანამედროვე საზოგადოებას წარსული საუკუნეების გამქრალი და დაღუპული ხელოვნების სანაცვლოდ.

ალბერი მოელოდა, რომ ამჯერად მაინც რითიმე გააკვირვებდა უცხოელ სტუმარს და უჩვენებდა რაიმე ახალს; მაგრამ უსაზღვრო იყო მისი განცვიფრება, როცა დაინახა, რომ გრაფს წარწერების წაკითხვა არც კი სჭირდებოდა, იგი მაშინვე ასახელებდა იმ სურათების ავტორებსაც კი, რომლებიც მხოლოდ ინიციალებით იყვნენ წარმოდგენილი, ისიც იმგვარად, რომ ჩანდა, არა მარტო გვარით იცნობდა ამ მხატვრებს, არამედ თვითული მათგანის ნიჭის შესწავლა და შეფასებაც მოესწრო.

სასტუმრო ოთახიდან ისინი საწოლ ოთახში გავიდნენ. ეს ოთახი ერთსა და იმავე დროს როგორც მოხდენილი, ასევე მკაცრი გემოვნების ნიმუში იყო. აქ კედელზე ელვარებდა მქრალ ოქროს ჩარჩოში ჩასმული ერთადერთი პორტრეტი, მაგრამ მას ხელს აწერდა ლეოპოლდ რობერი.

ამ პორტრეტმა მაშინვე მიიპყრო გრაფის ყურადღება. იგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა და მის წინ გაჩერდა.

ეს იყო სურათი ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის შავგვრემანი ქალისა, რომელიც ნახევრად დახრილი ქუთუთოებიდან ანთებული თვალებით იცქირებოდა; მას ეცვა კატალანელი მეთევზე ქალის მოხდენილი კოსტიუმი წითელ და შავზოლებიანი კორსაჟით. თმებში ოქროს ქინძისთავები ჰქონდა გაბნეული. ამ ქალს თვალები ზღვისკენ მიეპყრო და მისი მოხდენილი სილუეტი გარკვევით იხატებოდა ლაჟვარდოვანი ცისა და ტალღების ფონზე.

ოთახში ბნელოდა, თორემ ალბერი შეამჩნევდა, რომ გრაფს მიცვალებულის ფერი დაედო, ბეჭები და გულ-მკერდი ნერვიულმა ცახცახმა აუთრთოლა.

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა, მონტე-კრისტო თვალს არ აშორებდა პორტრეტს.

— თქვენ მშვენიერი საყვარელი გყოლიათ, ვიკონტ, — უთხრა მან ალბერს, — და ეს სამეჯლისო კოსტიუმიც ძალიან უხდება.

— ბატონო გრაფო, ამ სურათის გვერდით სხვა სურათი რომ ეკიდოს, ამ შეცდომას არ გაპატიებდით. თქვენ არ იცნობთ დედაჩემს, ეს მისი პორტრეტია, რომელიც ექვსი თუ რვა წლის წინათ მან თავისი სურვილით დაახატვინა. კოსტიუმი, როგორც ჩანს, ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ მსგავსება ისეთი დიდია, რომ ასე მგონია დედაჩემს ვხედავ ისეთს, როგორც იგი 1830 წელს იყო. გრაფინიამ ეს პორტრეტი შეუკვეთა მაშინ, როდესაც გრაფი პარიზში არ იმყოფებოდა. უეჭველია, იგი ფიქრობდა ქმრისათვის სასიამოვნო სიურპრიზი დაეხვედრებინა, მაგრამ მოხდა მეტად უცნაური ამბავი, მამაჩემს პორტრეტი რატომღაც არ მოეწონა, თვით მხატვრის ხელოვნებამაც ვერ დასძლია მისი ანტიპატია ამ სურათის მიმართ, თუმცა თქვენც ხედავთ, რომ ეს ლეოპოლდ რობერის საუკეთესო ტილოთაგანია. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, ბატონო გრაფო, მამაჩემი, გრაფი დე მორსერი ერთ-ერთი თავგამოდებული პირთაგანია მათ შორის, ვინც ლუქსემბურგის დარბაზში თათბირობს, სამხედრო საქმის საუკეთესო მცოდნე, მაგრამ ხელოვნების მეტისმეტად საშუალო შემფასებელი. იგივე როდი ითქმის დედაჩემზე, რომელიც თვითონ კარგად ხატავს და იმდენად კარგად აფასებს ამ მხატვრულ ნაწარმოებს, რომ ვერ შეძლო სულ მოეცილებინა და მე მაჩუქა, რათა

იგი იშვიათად მოხვედროდა მამაჩემის თვალს. მე თქვენ გაჩვენებთ გროს მიერ შესრულებულ მამაჩემის პორტრეტს. მომიტევეთ, რომ ამგვარ საოჯახო წვრილმან ამბებს გიყვებით. მაგრამ რაკი პატივი მექნება გრაფთან წარგადგინოთ, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ მასთან ამ სურათის ქება არ წამოგცდეთ. ეს პორტრეტი დიდ გავლენას ახდენს დედაჩემზედაც, როდესაც ის ჩემთან მოდის ხოლმე; ისე ვერ შეხედავს მას, რომ თვალებზე ცრემლი არ მოადგეს. ამ პორტრეტის გამო გამოწვეული უსიამოვნება ერთადერთია გრაფსა და მის მეუღლეს შორის, რომლებიც ოცი წლის ცოლ-ქმარი არიან და დღესაც ისე ექცევიან ერთმანეთს, როგორც პირველ დღეს.

მონტე-კრისტომ სწრაფად შეხედა ალბერს, უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა ამ სიტყვაში დაფარული აზრი, მაგრამ მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ყმაწვილი კაცი ამას სავსებით გულუბრყვილოდ ლაპარაკობდა.

— ახლა კი, — განაგრძო ალბერმა, — რაკი თქვენ უკვე ნახეთ მთელი ჩემი სიმდიდრე, ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ, რამდენადაც უმნიშვნელო უნდა იყოს იგი, გთხოვთ ისე იგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ სახლში, იმისთვის, რომ უფრო თავისუფლად იყოთ, ბატონ დე მორსერთან გაგიძღვებით, მას ჯერ კიდევ რომიდან მოვწერე იმ სამსახურის შესახებ, რომელიც თქვენ გამიწიეთ, ასევე ვაცნობე თქვენი დაპირება, რომ პარიზში გვინახულებდით. შემძლია დაგარწმუნოთ, რომ გრაფი და მისი მეუღლე მოუთმენლად ელიან იმ შემთხვევას, რომ მადლობა გადაგიხადონ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ამგვარი ამბები თქვენ მობეზრებული გაქვთ და ოჯახური სცენები სინდბად მეზღვაურს გულს ვერ აუჩუყებს; თქვენ იმდენი რამ გინახავთ! თუმცა მაინც მიიღეთ ჩემი წინადადება და ჩათვალეთ იგი როგორც პარიზის ცხოვრებაში ფეხის შედგმა, იმ ცხოვრებაში, რომელიც შედგება თავაზიანობის, წარდგინებებისა და დარბაზობებისაგან.

მონტე-კრისტომ ხმის ამოუღებელივ თავი დაუკრა. იგი ამ წინადადებას არც აღფრთოვანებით ღებულობდა და არც წყენით, არამედ როგორც მაღალი საზოგადოების თავაზიანობა მოითხოვდა, რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა ზრდილობიანი ადამიანისათვის.

ალბერმა თავის კამერდინერს დაუძახა და უბრძანა გრაფ დე მორსერსა და მისი მეუღლისათვის მოეხსენებინათ, რომ გრაფ დე მონტე-კრისტოს მათი ნახვა სურდა.

ალბერი მონტე-კრისტოსთან ერთად უკან გაჰყვა მას.

გრაფ დე მორსერის მოსაცდელ ოთახში უპირველეს ყოვლისა თვალში გეცემოდათ სალონში შემავალ კარზე მიკრული ღერბის ფარი, რომლის მდიდრული ჩარჩო და ოთახის მორთულობასთან შეხამება იმაზე მეტყველებდა, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ღერბს სახლის პატრონი.

მონტე-კრისტო ღერბის წინ გაჩერდა და ყურადღებით დააცქერდა.

ლაჟვარდოვან ფონზე გადაბმულად განლაგებული იყო შვიდი მერლეტი.

— უეჭველია, ბატონო ალბერ, ეს თქვენი საგვარეულო ღერბია? — ჰკითხა მან. — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მე ვიცნობ ღერბებს, რაც მათი გარჩევის საშუალებას მაძლევს, სავსებით უცოდინარი ვარ ჰერალდიკაში. მე ხომ შემთხვევითი გრაფი ვარ, ტოსკანაში წმიდა სტეფანეს კომანდორობის დაფუძვნებისათვის გამოჩეკილი და შეიძლება არც კი მიმეღო ეს ტიტული, სულ რომ არ ეძახათ, როცა ბევრს მოგზაურობ, ეს აუცილებლად საჭიროაო. მართლაც, ეტლის კარებზე ხომ უნდა გქონდეს რაიმე ნიშანი, თუნდაც იმისათვის, რომ საბაჟო მოხელეებმა თვალიერება არ დაგიწყონ. ამიტომ მომიტევეთ, რომ ასეთი კითხვით მოგმართეთ.

— ამაში არაფერია უხერხული, ბატონო გრაფო, — უპასუხა მორსერმა უბრალო დამაჯერებლობით, — თქვენ გამოიცანით, ეს ჩვენი ღერბია, უფრო სწორედ მამაჩემის

საგვარეულო ღერბი. მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი შეერთებულია მეორე ღერბთან — ესაა ვერცხლის კოშკი მეწამულ ფონზე. ეს დედაჩემის საგვარეულო ღერბია. დედის ხაზით მე ესპანელი ვარ, მორსერები კი ფრანგები არიან და, როგორც გამიგონია, ეს ერთ-ერთი უძველესი გვარია მთელს სამხრეთ საფრანგეთში.

— დიახ, — თქვა მონტე-კრისტომ, — მერლეტები სწორედ ამაზე მიუთითებენ. თითქმის ყველა შეიარაღებული პილიგრიმები, რომლებიც წმიდა მიწის დასაპყრობად მიდიოდნენ, თავიანთ ღერბად ირჩევდნენ ჯვარს — მათი მისიის ნიშანს, ან მძლევარ ჩიტებს — შორეული მოგზაურობის სიმბოლოს. მათ იმედი ჰქონდათ, ეს გზა რწმენის ფრთებზე შეესრულებინათ. მამათქვენის რომელიღაც წინაპარი, ალბათ, მონაწილეობას იღებდა ერთ-ერთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. თუ ეს წმიდა ლუის ლაშქრობა იყო, ჩვენ მეცამეტე საუკუნესთან გვექნება საქმე, ეს კი არცთუ ისე ცუდია.

— შესაძლებელია, — უთხრა დე მორსერმა, — მამაჩემს კაბინეტში აქვს საგვარეულო შტო, რომელიც ყოველივეს გაგვიმარტავს. მე ოდესღაც მათ კომენტარიები გავუკეთე, რომელშიც დოზიე და ჟოკურიც კი ჰკუის სასწავლებელს იბოვნინდნენ. ახლა ეს აღარ მიტაცებს, მაგრამ, როგორც თქვენმა ჩიჩერონემ, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის დროს ძალიან დიდი ინტერესების გამოჩენა დაიწყეს ასეთი ამბების მიმართ.

— ასეთ შემთხვევაში თქვენს მთავრობას თავის წარსულში სხვა უკეთესი რამ უნდა აერჩია, ვიდრე ჩემს მიერ თქვენს ძეგლებზე შენიშნული ორი აბრა, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ ჰერლანდიკურ აზრს. თქვენ კი, ვიკონტ, თქვენს მთავრობაზე ბედნიერი ხართ, რადგან თქვენი ღერბი მშვენიერია და ფანტაზიას აღიზიანებს. დიახ, ეს ძალიან კარგია. თქვენ ერთსა და იმავე დროს ესპანელიცა ხართ და პროვანსელიც, ამით აიხსნება, რომ პორტრეტი, რომელიც თქვენ მე მაჩვენეთ, — ჰგავს მშვენიერს, შავგვრემანი სახის კეთილშობილ კატალანელ ქალს, რომელმაც ასე აღმაფრთოვანა.

ადამიანი ან ედიპი უნდა ყოფილიყო, ან თვით სფინქსი, რომ მიხვედრილიყო იმ ირონიას, რომელიც გრაფმა ამ სიტყვებში ჩააქსოვა და რომელიც გარეგნულად თითქოს მეტისმეტი თავაზიანობით იყო ნათქვამი; ასე რომ, მორსერმა მას ღიმილით მადლობა გადაუხადა და ხელი ჰკრა იმ კარს, რომელზეც ღერბი ეკიდა და რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, სასტუმრო ოთახში გადიოდა.

ამ ოთახშიც ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ეკიდა პორტრეტი. ეს იყო ოცათხუთმეტი-ოცდათვრამეტი წლის მამაკაცი გენერლის მუნდირში, ჩალიჩის ეპოლეტებით — ეს იყო მაღალი ჩინის ნიშანი, — კისერზე საპატიო ლეგიონის ბაფთით — ეს იყო კომანდირის რანგის მაუწყებელი. გულ-მკერდზე მარჯვნივ მაცხოვრის ორდენი ეკიდა, მარცხნივ — კარლ III, აქედან კი ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ეს კაცი მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში ესპანეთსა და საბერძნეთში ან ორივე ამ ქვეყანაში დიპლომატიურ მისიას ასრულებდა.

მონტე-კრისტო ამ პორტრეტსაც ისევე ყურადღებით ათვალიერებდა, როგორც პირველს, რომ უცებ გაიღო გვერდითი კარი და იგი თვით გრაფ დე მორსერის პირისპირ აღმოჩნდა. ეს იყო ორმოცი-ორმოცდახუთი წლის მამაკაცი, მაგრამ შესახედავად ორმოცდაათი წლისას ჰგავდა. მისი შავი წვერ-ულვაში უცნაურად ეწინააღმდეგებოდა მთლად გათეთრებულ თმას, რომელიც სამხედრო ყაიდაზე ჰქონდა შეკრეჭილი. მას სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, ღილოკავში დამაგრებული ნაირფერი ბაფთა მოგაგონებდათ იმ ორდენებს, რომლითაც დაჯილდოებული იყო. ეს კაცი საკმაოდ მედიდური იერიითა და ზომიერი ნაბიჯებით შემოვიდა. მონტე-

კრისტოს მის შესახებდრად ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს, ასე იტყოდით, ფეხები იატაკზე მიეწება, ხოლო თვალები გრაფ დე მორსერზე გაუშემდაო.

— მამაჩემი, — თქვა ყმაწვილმა კაცმა, — მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ გრაფი მონტე-კრისტო, დიდსულოვანი მეგობარი, რომელსაც, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, ბედნიერება მქონდა მძიმე წუთებში შევხვედროდი.

— კეთილი იყოს გრაფის მობრძანება, ჩვენი ოჯახისათვის იგი სასურველი სტუმარია, — თქვა გრაფმა და მონტე-კრისტოს ღიმილით მიესალმა. — მან ჩვენს ოჯახს შეუწარმოა ერთადერთი მემკვიდრე და ისეთი სამსახური გაგვიწია, რომ საუკუნო მადლობელი ვართ.

ამ სიტყვების თქმის დროს გრაფ დე მორსერმა მონტე-კრისტოს სავარძელზე ანიშნა და თვითონაც ფანჯრის პირდაპირ დაჯდა.

მონტე-კრისტო სავარძელში ისე მოეწყო, რომ ხავერდის ფართო ფარდების ჩრდილში დარჩენილიყო და გრაფის დადლილსა და ზრუნვით ჩაფიქრებულ სახეზე შეუმჩნევლად წაეკითხა მის ნაადრევ ნაოქებში აღბეჭდილი საიდუმლო ტანჯვის ისტორია.

— ქალბატონი დე მორსერი, როდესაც თქვენი მოსვლა აცნობეს, ტულეტით იყო დაკავებული, ასე რომ ათ წუთში ისიც აქ იქნება.

— ჩემთვის დიდი პატივია, — თქვა მონტე-კრისტომ, — პარიზში ჩამოსვლისთანავე ისეთ ადამიანთან შეხვედრა, რომლის დამსახურება მისი დიდების ტოლია და რომლის მიმართ ბედი, როგორც გამონაკლისი, მუდამ სამართლიანი ყოფილა. ვინ იცის, შეიძლება იგი მიტიჯის ველებში ან ატლასის მთებში მარშალის კვერთხსაც გიმზადებთ?

— ოჰ, არა, — უპასუხა გრაფმა და სახეზე ოდნავმა სიწითლემ გადაჰკრა. — მე სამსახური დავტოვე რესტავრაციის პერიოდში, პერის ხარისხამდე ამაღლებული, მონაწილეობას ვღებულობდი პირველ ლაშქრობებში და მარშალ დე ბურმონის ხელქვეითად ვმუშაობდი. იმედი მქონდა მხედართმთავრის ადგილს მივიღებდი და შეიძლება ეს იმედი გამმართლებოდა, ტახტზე რომ სამეფო გვარის უფროსი შტო დარჩენილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, ივლისის რევოლუცია იმდენად ბრწყინვალე იყო, რომ თავს უფლება მისცა უმადური ყოფილიყო იმ დამსახურების მიმართ, რომლებიც იმპერატორის პერიოდით არ თარიღდებოდნენ. ამიტომ მე სამსახურიდან დავეთხოვე; როცა ადამიანი ჩემსავით ეპოლეტებს ბრძოლის ველზე მოიპოვებს, მას არ ეხერხება მანევრირება სასტუმროს მოკრიალებულ იატაკზე; ამგვარად, სამხედრო სამსახური დავტოვე, ხელი მოვკიდე პოლიტიკას, მრეწველობას, ვსწავლობდი გამოყენებით ხელოვნებებს. ყოველთვის მაინტერესებდა ეს საკითხები, მაგრამ ოცი წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურში ყოფნა ამის საშუალებას არ მაძლევდა.

— აი, სწორედ ამაში ჩანს თქვენი ერის უპირატესობა სხვებზე, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — თქვენ, დიდი გვარის წარმომადგენელი, დიდძალი სიმდიდრის მფლობელი, დათანხმდით, რომ პირველი ჩინები ჯარისკაცობაში მოგეპოვებინათ. ეს იშვიათი შემთხვევაა. და როცა მიიღეთ გენერლობა, საფრანგეთის პერობა, საპატიო ლეგიონის კომანდრობა, თანახმა ხართ დაიწყოთ ახალი რაღაცის შესწავლა, არა ჯილდოსათვის, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ სარგებლობა მოუტანოს თქვენს ახლობლებს. დიახ, ბატონო, ეს მართლაც ლამაზია, უფრო მეტიც, განსაცვიფრებელია.

ალბერი მონტე-კრისტოს შეჰყურებდა და გაკვირვებით უსმენდა. იგი მიჩვეული არ იყო მონტე-კრისტო ასეთი აღფრთოვანებული ენაზე.

— სამწუხაროდ, — განაგრძო უცხოელმა, უეჭველია იმისათვის, რომ გაექარვებინა მორსერის სახეზე ოდნავ შესამჩნევი ნაღველი, რომელიც მისმა სიტყვებმა

გამოიწვიეს, — ჩვენ, იტალიელები, ასე როდი ვიქცევით, ჩვენ ვიზრდებით ისე, როგორც ეს ჩვენი მოდგმისთვისაა დამახასიათებელი; და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვინარჩუნებთ იმავე სახეს, ხშირად ჩვენი ცხოვრების იმავე უსარგებლობასაც კი.

— ბატონო გრაფო, — შეაწყვეტინა გრაფ დე მორსერმა, — ისეთი ღირსების ადამიანისათვის, როგორც თქვენ ხართ, იტალია შესაფერისი სამშობლო არ გახლავთ, საფრანგეთი კი თქვენ გულში ჩაგიკრავთ; უპასუხეთ მის მოწოდებას, მან შეიძლება ყველას მიმართ უმადურობა არ გამოიჩინოს. საფრანგეთი ცუდად ექცევა თავის შვილებს, მაგრამ ჩვეულებრივად დიდსულოვნად ღებულობს უცხოელებს.

— მამაჩემო, — უთხრა ღიმილით ალბერმა, — ჩანს თქვენ არ იცნობთ მონტე-კრისტოს. ის, რაც მას დააკმაყოფილებს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქითაა: ის არ მიისწრაფვის პატივისცემს და მისგან იღებს მხოლოდ იმას, რაც მის პასპორტში ეტევა.

— აი, ყველაზე სწორი მსჯელობა ჩემს შესახებ, რომელიც კი ოდესმე გამიგონია. — უპასუხა უცხოელმა.

— ბატონ მონტე-კრისტოს საშუალება ჰქონდა ისე მოეწყო თავისი ცხოვრება, როგორც მას სურდა, — თქვა ოხვრით გრაფ დე მორსერმა, — და მან აირჩია იავარდებით მოფენილი გზა.

— სწორედ ასეა, — უპასუხა მონტე-კრისტომ და სახეზე ისეთი ღიმილი გადაეფინა, რომლის გადმოცემას ვერ შეძლებს ვერც ერთი მხატვარი და ვერც ერთი ფიზიონომისტი.

— მე რომ თქვენი დადლისა არ მეშინოდეს, — თქვა გენერალმა, უეჭველია მისი ქცევით აღფრთოვანებულმა, — პალატაში წაგიყვანდით. დღეს მეტად საინტერესო სხდომა იქნება მათთვის, ვინც არ იცნობს თანამედროვე სენატორებს.

— ბატონო გრაფო, თუ ასეთ წინადადებას სხვა დროს შემომთავაზებთ, ძალიან მადლობელი დავრჩები, მაგრამ ამჯერად, რაკი თქვენს მეუღლესთან წარდგენის იმედით მომხიბლეს, მე დავიცდი.

— აი, დედაჩემიც, — წამოიძახა ალბერმა.

გრაფი მონტე-კრისტო სწრაფად შემოტრიალდა და დაინახა ერთ ადგილზე გაქვავებული და გაფითრებული გრაფინია დე მორსერი. იგი იმ კარის მოპირდაპირე კარით შემოსულიყო, საიდანაც მისი ქმარი გამოვიდა. გრაფ მონტე-კრისტოს შეხედვაზე ქალმა დაუშვა ხელი, რომელიც რატომღაც კარის ოქროს თასმაზე ეკიდა. იგი უკვე რამდენიმე წამის განმავლობაში იდგა აქ და, ცხადია, გაიგონა მონტე-კრისტოს მიერ უკანასკნელად წარმოთქმული სიტყვები.

გრაფი მონტე-კრისტო წამოდგა და ქალს თავი მდაბლად დაუკრა. ისიც თავის მხრივ ხმის ამოუღებლივ ცერემონიულად მიესალმა.

— ღმერთო ჩემო, რა მოგდით, ქალბატონო? — ჰკითხა გრაფ დე მორსერმა, — იქნებ აქ ძალიან ცხელა და თავს ცუდად გრძნობთ?

— დედაჩემო, თქვენ ცუდად ხართ? — შესძახა ალბერმა და მერსედესისკენ გაიქცა.

მერსედესმა ორივეს ღიმილით გადაუხადა მადლობა.

— არა, — უპასუხა მან, — მე ამაღელვა ძვირფას სტუმართან შეხვედრამ, თუ ის არა, დღეს ხომ ჩვენ თვალთაგან შეუჩერებლივ ცრემლი გვედინებოდა და ძაძვით ვიქნებოდით შემოსილი. ბატონო გრაფო, — განაგრძო მან და მონტე-კრისტოს დედოფალივით მედიდურად მიუახლოვდა, — მე თქვენგან ჩემი ვაჟიშვილის სიცოცხლითა ვარ დავალებული და ასეთი სიკეთისათვის გლოცავთ. ამჟამად

უდიდეს სიამოვნებას განვიცდი იმის გამო, რომ თქვენ საშუალება მოგვეცით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ.

გრაფმა ხელმეორედ დაუკრა თავი, მაგრამ ამჯერად უფრო მდაბლად, ვიდრე პირველად. ის უფრო გაფითრებული იყო, ვიდრე მერსედესი.

— ქალბატონო, — თქვა მან, — ბატონი გრაფი და თქვენ მეტისმეტად აზვიადებთ უბრალო საქციელს. გადაარჩინო ადამიანი, წამებას ააცდინო მამა და გაუფრთხილდე დედის ცრემლებს, ეს კეთილი საქმე კი არა, ადამიანის მოვალეობაა.

ეს სიტყვები წარმოთქმული იყო სინაზითა და თავაზიანობით. ქალბატონმაც ასევე უპასუხა.

— ჩემი შვილი ნამდვილად ბედნიერია, ბატონო გრაფო, რომ მას თქვენისთანა მეგობარი ჰყავს. მადლობას ვუძღვნი ღმერთს, რომ მან ასე ისურვა.

და მერსედესმა უსაზღვრო მადლობის გამოსახატავად ლამაზი თვალები ცისკენ აღაპყრო. მონტე-კრისტოს მოეჩვენა, რომ მის თვალებში ცრემლები გაბრწყინდა.

გრაფი დე მორსერი თავის ცოლს მიუახლოვდა.

— ქალბატონო, გრაფ დე მონტე-კრისტოსთან მე უკვე მოვიხადე ბოდიში იმის გამო, რომ იძულებული ვარ დავტოვო იგი. გთხოვთ, თქვენც ჩემს მაგიერ მოიხადოთ ბოდიში. სხდომა ორ საათზე იწყება, ახლა უკვე სამია, მე კი სიტყვით უნდა გამოვიდე.

— წაბრძანდით, ბატონო, ვეცდები სტუმარს უთქვენობა არ ვაგრძნობინო. — უთხრა ქმარს გრაფინია დე მორსერმა, რომელსაც ხმა ჯერ ისევ უთრთოდა. — ბატონო გრაფო, — მიუბრუნდა იგი მონტე-კრისტოს, — ხომ არ დაგვდებთ პატივს მთელ დღეს ჩვენთან დარჩეთ?

— დიდ მადლობას გიხდით, ქალბატონო, მაგრამ, როგორც ხედავთ, თქვენს სახლში ამ დილით პირდაპირ სამგზავრო კარეტიდან გადმოვედი. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მომაწყვეს პარიზში. ისიც დაახლოებით ძლივს ვიცი, რა ადგილას არის ჩემი ბინა. რასაკვირველია, ეს დიდი არაფერია, მაგრამ მაინც მაწუხებს.

— ყოველ შემთხვევაში, იმის პირობას მაინც მოგვცემთ, რომ სხვა დროს მაინც გვექნება ასეთი ბედნიერება? — ჰკითხა გრაფის მეუღლემ.

მონტე-კრისტომ უსიტყვოდ თავი დაუკრა, რაც შეიძლებოდა თანხმობის ნიშნად მიეღო.

— მაშ, აღარ დაგაყოვნებთ. არ მინდა ჩემი მადლიერების გრძნობა უზრდელობაში ან აბეზარობაში გადავიდეს, — უთხრა გრაფინიამ.

— ძვირფასო გრაფო, — მიმართა მას ახლა ალბერმა, — თუ ინებებთ, შევეცდები გადაგიხადოთ ის სამსახური, რომელიც რომში გამიწიეთ. გთხოვთ ჩემი ეტლი თქვენს განკარგულებაში იგულოთ, სანამ თქვენსას შეუკვეთავდეთ.

— ასეთი თავაზიანობისათვის დიდ მადლობას გიხდით, ვიკონტ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მაგრამ ვფიქრობ ბატონმა ბერტუჩომ მართებულად გამოიყენა ის ოთხ-ნახევარი საათი, რომელიც მის განკარგულებაში დავტოვე და იმედი მაქვს თქვენს კარებთან ეტლი მელოდება.

ალბერი გრაფის მხრივ მიჩვეული იყო ასეთ სასწაულებრივ ამბებს; მან იცოდა, რომ იგი ნერონივით შეუძლებელისაკენ მიისწრაფოდა, ამიტომ ეს ამბავი სრულებით არ გაჰკვირვებია. მაგრამ უნდოდა თვითონ დარწმუნებულიყო, როგორ შესრულდა მისი ბრძანება და ამიტომ გრაფი სასტუმროს კარამდე მიაცილა.

მონტე-კრისტო არ შემცდარა: როგორც კი გრაფ დე მორსერის მოსაცდელ ოთახში გამოვიდა, სწორედ ის მსახური, რომელმაც რომში ფრანცსა და ალბერს გრაფ მონტე-კრისტოს სადარბაზო ბარათები მოუტანა, გარეთ გავარდა და როდესაც გამოჩენილი

მოგზაური პარმალზე გავიდა, დაინახა, რომ ეტლი ელოდა. ეს იყო კელერის სახელოსნოდან გამოსული ორადგილიანი ეტლი. მასში შებმული იყო სწორედ ის ცხენები, რომლებზედაც, როგორც პარიზის ყველა ლომისათვის ცნობილი იყო, დრეიმ უარი თქვა თვრამეტი ათას ფრანკად დაეთმო.

— ვიკონტ, — მიუბრუნდა გრაფი ალბერს, — ჩემთან ახლავე ვერ მიგიპატიუებთ ნაუცხათევეად მოწყობილ ბინაში. მოგეხსენებათ, მე ვუფრთხილდები ისეთი ადამიანის რეპუტაციასაც კი, რომელსაც შეუძლია დროებით ბინაზეც კარგად მოეწყოს. მომეცით ერთი დღის ვადა, მერე კი ნება მიბოძეთ მოგიწვიოთ. მაშინ, დარწმუნებული ვარ, არ ვუღალატებ სტუმართმოყვარეობის კანონებს.

— ბატონო გრაფო, რაკი თქვენ ერთ დღეს მოითხოვთ, მჯერა, რომ ბინას კი არა, სასახლეს მაჩვენებთ. უეჭველია, თქვენ რომელიმე კეთილი გენია გემსახურებათ.

— დაე ასე იფიქრონ, — უპასუხა მონტე-კრისტომ და თავისი მშვენიერი ეტლის ხავერდგადაკრულ საფეხურზე ფეხი შედგა, — ეს მე წარმატებას მომიპოვებს ქალებში.

თქვა ეს თუ არა, სწრაფად ჩაჯდა ეტლში, კარი მოიკეტა და ცხენები ჭენებით წავიდნენ. მაგრამ გრაფმა მაინც შეასწრო თვალი, როგორ შეირხა იმ სალონის ფანჯრის ფარდები, სადაც გრაფ დე მორსერის მეუღლე იმყოფებოდა.

როდესაც ალბერი დედასთან დაბრუნდა, იგი ბუდუარში ხავერდის ღრმა სავარძელში მჯდომი დახვდა. ოთახში ბნელოდა, მხოლოდ აქა-იქ ელვარებდა ლარნაკებზე და ოქროს ჩარჩოების კუთხეებში სხივების ანარეკლი.

გრაფინიას თმაზე შემოხვეული ჰქონდა ჰაეროვანი ქსოვილი, რომლის ჩრდილში ალბერს არ შეეძლო დედის სახის გამომეტყველების გარჩევა, მაგრამ მას მოეჩვენა, რომ ქალს ხმა უკანკალებდა. ალბერმა ისიც იგრძნო, რომ ვარდებისა და ჰელიოტროპების სურნელებაში შერეული იყო საყნოსავი მარილის მწვავე სუნი. ალბერმა შეშფოთებით შენიშნა, რომ ბუხარზე, ბრტყელ ლარნაკზე იდო შაგრენის ბუდიდან ამოღებული ფლაკონი.

— ავად ხართ, დედაჩემო? — შეჰყვირა მან შესვლისთანავე, — ჩემს აქ არყოფნაში ცუდად ხომ არ გახდით?

— მე? არა, ჩემო ალბერ, მაგრამ ხომ იცით, ყველა ეს ვარდები, ტუბეროზები და თურინჯის ყვავილები მეტისმეტ მძაფრ სურნელებას გამოსცემენ, მით უმეტეს ახლა, როდესაც პირველი ცხელი დღეები დაიწყო...

— მაშ უნდა გავიტანოთ, — და ალბერმა ხელი ჩამოჰკრა ზარის ზონარს. — თქვენ მართლაც შეუძლოდ ხართ. ჯერ კიდევ აქ რომ შემოხვედით, მეტისმეტად ფერმიხდილი იყავით.

— შენ ამბობ, ალბერ, რომ ფერმიხდილი ვიყავი?

— სიფერმკრთალე თქვენ ძალიან გიხდებათ, დედაჩემო, მაგრამ ამ გარემოებამ მე და მამაჩემი ძალზე შეგვაშინა.

— ეგ მამაშენმა გითხრა? — ჰკითხა სწრაფად მერსედესმა.

— არა, დედა, ეს მან თქვენ თვითონ გითხრათ, გახსოვთ?

— არ მახსოვს.

ოთახში მსახური შემოვიდა. მან გაიგონა ალბერის ზარის რეკვა და ბრძანებას უცდიდა.

— ეს ყვავილები მოსაცდელ ოთახში გაიტანეთ, — უთხრა ვიკონტმა, — იგი გრაფინიაზე ცუდად მოქმედებს.

მსახური ბრძანების შესრულებას შეუდგა.

სანამ მას ყვავილები გაჰქონდა, ალბერი და დედამისი ხმას არ იღებდნენ.

— სადაური გვარია მონტე-კრისტო? — იკითხა გრაფინიამ, როდესაც მსახურმა უკანასკნელი ყვავილის ლარნაკიც გაიტანა. — გვარია, მამულის სახელია თუ უბრალოდ ტიტული.

— მე მგონია, ტიტულია, დედაჩემო. გრაფმა იყიდა კუნძული ტოსკანის არქიპელაგზე და როგორც ამ დილით თვითონ თქვა, კომანდორობა დააფუძნა. თქვენ ხომ იცით, რომ ეს მიღებულია ფლორენციაში წმიდა სტეფანეს ორდენში, პარმაში წმიდა გიორგის ორდენში და თვით მალტის ჯვრის ორდენში. ერთი სიტყვით, ის არავითარ პრეტენზიებს არ აცხადებს დიდკაცობაზე და თავის თავს შემთხვევით გრაფს უწოდებს, თუმცა რომში ყველა დარწმუნებულია, რომ ის დიდგვაროვანია.

— მას არაჩვეულებრივი მანერები აქვს, — თქვა გრაფის მეუღლემ. — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომიჩვენა იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, რაც ჩვენთან იყო.

— ოჰ, დედაჩემო, მას უნაკლო, სრულყოფილი საქციელი აქვს, მან ბევრად გადააჭარბა ყოველივეს, რაც მე მინახავს ევროპის სამი ყველაზე ამაყი თავადაზნაურების — ინგლისელების, ესპანელებისა და გერმანელების წრეებში.

გრაფინია ერთ ხანს ჩაფიქრდა, და მცირე ყოყმანის შემდეგ განაგრძო:

— შენ ხომ ნახე, ძვირფასო ალბერ... ხომ გესმის, მე გეკითხები... როგორც დედა, ნახე გრაფი მონტე-კრისტო თავის ოჯახში; შენ შორსმჭვრეტელი ხარ, იცნობ მაღალ საზოგადოებას, უფრო მეტი ტაქტი გაქვს, ვიდრე ეს ჩვეულებრივად შენს ასაკს შეჰფერის; როგორ გგონია, მიგაჩნია გრაფი იმად, რადაც იგი გვეჩვენება?

— მერედა რად გვეჩვენება იგი?

— შენ თვითონ თქვი ახლა — დიდგვაროვნად.

— მე ის გითხარით, დედაჩემო, რასაც მასზე ფიქრობენ.

— შენ, შენ თვითონ რას ფიქრობ?

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჯერ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ვფიქრობ მალტიელი უნდა იყოს.

— მე მის წარმოშობას კი არ გეკითხები, არამედ რას ფიქრობ მის პიროვნებაზე, როგორც ადამიანზე.

— ჰო, ეს სხვა საქმეა. მე ამ კაცში იმდენი უცნაური რამ შევამჩნიე, რომ მას ვუყურებ, როგორც ბაირონისეულ გმირს, რომელსაც უბედურებამ თავისი საბედისწერო დაღი დაასვა, როგორც რომელიმე მანფრედს, ლარას ან ვერნერს, ერთი სიტყვით, როგორც უძველესი გვარის ნატეხს, ადამიანს, რომელმაც დაჰკარგა მამაპაპისეული მემკვიდრეობა და ისევ გამდიდრდა თავისი გამბედავი გენიის წყალობით, რომელმაც იგი საზოგადოებრივ კანონებზე მაღლა აიყვანა.

— შენ გინდა თქვა...

— მე მინდა ვთქვა, რომ მონტე-კრისტო — ეს არის კუნძული ხმელთა შუა ზღვაში. ამ კუნძულზე არც მცხოვრებია, არც გარნიზონი დგას. ეს არის ყველა ერების კონტრაბანდისტების და მეკობრეების თავშესაფარი. ვინ იცის, იქნებ ეს ღირსეული საქმოსნები თავიანთ ბატონს მასპინძლობის საფასურს აძლევენ.

— ეს შესაძლებელია, — თქვა ჩაფიქრებულმა გრაფინიამ.

— ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო ალბერმა, — კონტრაბანდისტია იგი თუ არა, თქვენ თვითონაც დამეთანხმებით, დედაჩემო, რომ გრაფი მონტე-კრისტო შესანიშნავი ადამიანია და მას დიდი წარმატება ექნება პარიზის სალონებში. აი, თუნდაც, ამ დილით, მაღალ საზოგადოებაში გამოჩენა იმით დაიწყო, რომ ყველა განაცვიფრა, თვით შატო-რენოც.

— რამდენი წლის იქნება გრაფი? — იკითხა მერსედესმა. როგორც ეტყობოდა, ამ კითხვას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

— ოცდათხუთმეტი-ოცდათექვსმეტი წლის.

— ასე ახალგაზრდა, შეუძლებელია! — თქვა მერსედესმა. ამით იგი ერთსა და იმავე დროს ალბერსაც გამოეპასუხა და თავის საკუთარ ფიქრსაც.

— ეს ნამდვილად ასეა. სამჯერ თუ ოთხჯერ მან ჩემთან თქვა, რასაკვირველია არა წინასწარ განზრახვით — «ამა და ამ დროს მე ხუთი წლის ვიყავი, ამა და ამ დროს ცხრა წლის, ხოლო ამა და ამ დროს — თორმეტი წლისაო». ცნობისმოყვარეობის გამო ვადარებდი ამ რიცხვებს, და ისინი ყოველთვის ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ეს უცნაური კაცი, რომლის წლოვანების განსაზღვრა დარწმუნებული ვარ შეუძლებელია, ოცდათხუთმეტი წლისაა. გაიხსენეთ რა ცოცხალი თვალები აქვს, რა შავი თმა; და მიუხედავად იმისა, რომ ფერმკრთალია, შუბლზე არც ერთი ნაოჭი არა აქვს. იგი არა მარტო ძლიერია, არამედ ახალგაზრდაც.

გრაფინიამ თავი ჩაქინდრა, თითქოს მწარე ფიქრების ტალღამ დაამძიმაო.

— და ეს კაცი შენ მეგობრულად გექცევა, ალბერ? — ჰკითხა მერსედესმა ნერვული თრთოლვით.

— მე ასე მგონია.

— შენ... შენც გიყვარს იგი?

— მე იგი მომწონს, დედა, რაც უნდა თქვას ფრანც დ'ეპინემ, რომელსაც უნდოდა დავერწმუნებინე, რომ იგი საიქიოდან დაბრუნებული ადამიანია.

გრაფინია შეკრთა.

— ალბერ, — უთხრა მან შეცვლილი ხმით, — ალბერ, შენ ყოველთვის გიცავდი ახალი ნაცნობებისაგან. მაგრამ ახლა უკვე ვაჟკაცი ხარ და თვით შეგიძლია ჩემთვის რჩევის მოცემა. თუმცა მაინც გაგიმეორებ: ფრთხილად იყავი, ალბერ.

— დედაჩემო, რათა თქვენმა რჩევამ რაიმე სარგებლობა მომიტანოს, წინასწარ უნდა ვიცოდე რას გავუფრთხილდე. გრაფი მონტე-კრისტო ქალაქს არასოდეს თამაშობს, სვამს მხოლოდ ესპანური ღვინით შეფერილ წყალს. იგი იმდენად მდიდარია, ფული რომ მესესხოს სიცილი ამიტყდებოდა. მაშ რატომ უნდა ვუფრთხილდე გრაფს?

— შენ მართალი ხარ, — უპასუხა გრაფინიამ, — ჩემი შიში სისულელეა, მით უმეტეს ლაპარაკია ისეთ ადამიანზე, რომელმაც შენ სიცოცხლე გაჩუქა. მართლა, ალბერ, მამაშენმა კარგად მიიღო იგი? ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ გრაფის მიმართ. გრაფი დე მორსერი ზოგჯერ დაკავებულია თავისი საქმეებით და იქნება უნებურად...

— მამაჩემმა იგი არაჩვეულებრივად მიიღო, — შეაწყვეტინა ალბერმა, — უფრო მეტს ვიტყვი, მას მეტისმეტად ესიამოვნა ორი თუ სამი კომპლიმენტი, რომლებიც გრაფმა ისე მარჯვე დროს უთხრა, თითქოს მას უკვე ოცდაათი წელია იცნობს. ეს ქათინაური უსათუოდ ესიამოვნა მამაჩემს, — დასძინა სიცილით ალბერმა, — ასე რომ ისინი საუკეთესო მეგობრებით დასცილდნენ ერთმანეთს. მამაჩემს ისიც კი უნდოდა, რომ თავისი სიტყვის მოსასმენად მონტე-კრისტო პალატაში წაეყვანა.

გრაფინიამ არაფერი უპასუხა. იგი ღრმა ფიქრებს გაეტაცნა, თვალებიც კი დახუჭა. ყმაწვილი კაცი დედის წინ იდგა და ისეთი სიყვარულით შეჰყურებდა, რომელიც განსაკუთრებით ნაზი და ამაღელვებელია, როცა დედა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ლამაზი; როდესაც ალბერმა დაინახა, რომ მერსედესმა თვალები დახუჭა და თანაზომიერი სუნთქვა დაიწყო, იფიქრა, ჩაეძინაო, ფეხის წვერებზე გავიდა და კარი ფრთხილად მიიხურა.

— ეს კაცი კი არა, ეშმაკია... — ჩაიჩურჩულა მან და თავი გაიქნია. — ჯერ კიდევ რომში ვწინასწარმეტყველებდი, რომ ის დიდ სენსაციას მოახდენდა მაღალ

საზოგადოებაში, მე ვზომავ შეუცდომელი თერმომეტრით. თუკი მან დედაჩემის ყურადღება მიიქცია, მაშასადამე იგი მართლაც შესანიშნავი კაცია.

და ალბერი თავის საჯინბოსკენ გაემართა. მაგრამ გულში სწყინდა, რომ გრაფ მონტე-კრისტოს თითიც კი არ გაუნძრევია და ისეთი ცხენები შეუბეს ეტლში, რომ მცოდნეების თვალში მისი ქურანები მეორე ადგილზე გადადიოდნენ.

— გადაწყვეტილია, — გაიფიქრა მან, — ადამიანთა თანასწორობა არ არსებობს; უნდა ვთხოვო მამაჩემს ეს აზრი განავითაროს ზედა პალატაში.

თავი IV

ბატონი ბერტუჩო

ამასობაში გრაფი თავის ბინაში მივიდა. გზაში ექვსი წუთი დასჭირდა. ეს ექვსი წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისთვის ყურადღება მიექცია ათობით ყმაწვილ კაცს, რომლებმაც იცოდნენ მის ეტლში შებმული ცხენების ფასი, მაგრამ თვითონ არ შეეძლოთ მათი შეძენა. ყმაწვილი კაცები ჭენებით დაედევნენ გრაფის ეტლს, რათა თვალი მაინც მოეკრათ იმ ბრწყინვალე დიდებულისათვის, რომელსაც თავისთვის უფლება მიეცა თითოეული ცხენი ათიათას ფრანკად ეყიდა.

ალის მიერ არჩეული ბინა, რომელიც გრაფ მონტე-კრისტოსათვის ქალაქის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, თუ გორაკით წავიდოდით, ელისეის მინდვრების მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. გარშემო მას ეზო და ბაღი ეკრა. შუა ეზოში აღმართული ხშირფოთლოვანი ხეები ფარავდნენ ფასადის ნაწილს. ამ ხეების მარჯვენა და მარცხენა მხარეს, თითქოს ორი მკლავიანო, გაწოლილიყო ორი ხეივანი, ეს გახლდათ ეტლების გზა შემოსასვლელი კარიდან ორმაგ პარმაღამდე, რომლის თითოეულ საფეხურზე, კუთხეებში ყვავილებით სავსე ფაიფურის ლარნაკები ელაგა. სახლი განცალკევებით იდგა გაშლილ, ფართო ეზოში. ცენტრალური შესასვლელის გარდა მას ჰქონდა მეორე კარიც, რომელიც პონტიეს ქუჩაზე გადიოდა.

სანამ მეეტლე მეკარეს გასძახებდა, მძიმე კარი კოჭაკებზე შეტრიალდა; გრაფი შორიდანვე დაინახეს, მას პარიზში, ისევე როგორც რომში და როგორც საერთოდ ყველგან, ელვისებური სისწრაფით ემსახურებოდნენ. ასე რომ მეეტლეს სვლა არ შეუნელებია, ცხენები ეზოში ჭენებით შეიყვანა, ეტლს ნახევარი წრე შემოახაზინა. შესასვლელი კარი უფრო ადრე დაიხურა, ვიდრე ხეივნის ქვიშაზე ეტლის თვლების ჭრიალის ხმა შეწყდებოდა.

ეტლი პარმაღის მარცხენა მხარეს გაჩერდა. მის კარებთან ორი კაცი გაჩნდა. ერთი მათგანი იყო ალი, რომელმაც თავის ბატონს ნამდვილი გულწრფელი სიხარულით გაუღიმა, ამ უკანასკნელმა კი მხოლოდ შეხედვით დააჯილდოვა; მეორე თავმდაბლად მიესალმა მონტე-კრისტოს და ხელი გაუწოდა, რათა ეტლიდან ჩამოსვლაში დახმარებოდა.

— გმადლობთ, ბერტუჩო, — თქვა მონტე-კრისტომ და მსუბუქად გადმოახტა ეტლის სამ საფეხურს, — ნოტარიუსი სადღაა?

— პატარა სასტუმრო ოთახში ელოდება თქვენს ბრწყინვალეებას. — უპასუხა ბერტუჩომ.

— სადარბაზო ბარათები? მე ხომ გითხარით, როგორც კი ბინის ნომერს გაიგებთ, მაშინვე შეუკვეთეთ-მეთქი.

— ბატონო გრაფო, მზად გახლავთ. მე ვიყავი პალე-როიალის საუკეთესო გრავიორთან, მან ჩემს თვალწინ გაამზადა ისინი და პირველივე სადარბაზო ბარათი თქვენი ბრძანების თანახმად დეპუტატ ბატონ ბარონ დანგლარს მივართვი, შოსე

დანტენის ქუჩა 17, დანარჩენები კი თქვენი ბრწყინვალეების საწოლი ოთახის ბუხარზე ალაგია.

— კარგი. რომელი საათია?

— ოთხი გახლავთ.

მონტე-კრისტომ ქუდი, ხელთათმანები და ჯოხი გადასცა იმ ფრანგ მსახურს, რომელიც გრაფ დე მორსერის მოსაცდელი ოთახიდან ეტლის დასამახებლად გამოვიდა და იმ სასტუმრო ოთახისკენ წავიდა, სადაც ნოტარიუსი უცდიდა. წინ ბერტუჩო მიუძღოდა და გზას უჩვენებდა.

— ეს რა უბადრუკი ქანდაკებები დგას მოსაცდელ ოთახში? — თქვა მონტე-კრისტომ, — იმედი მაქვს გაიტანენ.

ბერტუჩომ უხმოდ დახარა თავი.

მართლაც, როგორც საქმეთა მმართველმა თქვა, ნოტარიუსი პატარა სასტუმრო ოთახში ელოდა.

ეს გახლდათ პარიზის ერთ-ერთი სამდივნოს გადამწერი (გარეგნულად პატიოსანი შესახედაობის), რომელიც გარეუბნის ნოტარიუსის ბრწყინვალე თანამდებობამდე ამაღლებულიყო.

— ბატონ ნოტარიუსს დავალებული აქვს მოაგვაროს იმ სახლის გაყიდვის საქმეები, რომლის შექმნასაც მე ვაპირებ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, ბატონო გრაფო, — უპასუხა ნოტარიუსმა.

— ნასყიდობის სიგელი მზად არის?

— დიახ, ბატონო გრაფო.

— თან მოიტანეთ?

— აი, ინებეთ.

— ძალიან კარგი, ახლა მიბრძანეთ, სად მდებარეობს სახლი, რომელსაც მე ვყიდულობ? — ჰკითხა დაუდევრად მონტე-კრისტომ ისე, რომ ეს კითხვა ბერტუჩოსაც ეკუთვნოდა და ნოტარიუსსაც.

საქმეთა მმართველმა მოძრაობით აჩვენა, რომ ამ საქმისა არაფერი ვიცო.

ნოტარიუსმა მონტე-კრისტოს გაკვირვებით შეხედა.

— როგორ? — წამოიძახა მან, — ბატონმა გრაფმა არ იცის იმ სახლის მდებარეობა, რომელსაც იგი ყიდულობს?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, — უთხრა გრაფმა.

— გრაფს არ უნახავს იგი?

— რა ეშმაკი მანახვებდა? კადიქსიდან მხოლოდ ამ დილით ჩამოვედი, პარიზში სხვა დროს არასოდეს ვყოფილვარ, თვით საფრანგეთის მიწაზეც პირველად დავდგი ფეხი.

— ჰო, ეს სხვა საქმეა, — უპასუხა ნოტარიუსმა. — სახლი, რომლის ყიდვასაც თქვენ აპირებთ, ოტეილში მდებარეობს.

ბერტუჩო ამ სიტყვების გაგონებაზე გაფითრდა.

— მერედა სად არის ეგ ოტეილი? — ჰკითხა გრაფმა.

— აქედან ორი ნაბიჯის მანძილზეა, ბატონო გრაფო, — უთხრა ნოტარიუსმა, — იქვე, პასის შემდეგ. ეს არის მომხიბვლელი ადგილი ბულონის ტყის მიდამოებში.

— ასე ახლოს? — თქვა გრაფმა, — მე მინდოდა სახლი ქალაქგარეთ, ეს კი რა გამოვიდა? ეშმაკმა დალახვროს, ბერტუჩო, რამ გაფიქრებინათ ზედ ქალაქის კარიბჭესთან ბინის ამორჩევა.

— მე! — უცნაური სისწრაფით წამოიყვირა საქმეთა მმართველმა. — ბატონს ჩემთვის არ დაუვალებია ამ სახლის ყიდვა. იქნება თქვენმა ბრწყინვალეობამ გაიხსენოს, ვის ჰქონდა მინდობილი ეს საქმე.

— ჰო, მართალი ხართ, — თქვა მონტე-კრისტომ, — ახლა მომაგონდა. გაზეთში წავიკითხე განცხადება და მომხიბლა მაცდურმა სათაურმა — «სახლი ქალაქგარეთ».

— ჯერ კიდევ გვიან არ არის, — უთხრა აჩქარებით ბერტუჩომ, — და თუ თქვენი ბრწყინვალეობა დამავალებს სხვაგან მოვძებნო, გამოვნახავ უკეთეს ბინას ან ანგენში, ან ფოტენე-ო-როზში, ან ბედვიუში.

— არა, — ერთი სიტყვით უპასუხა დაუდევრად მონტე-კრისტომ, — რაკი ეს სახლი უკვე გამოძებნილია, დარჩეს. მე მას ვყიდულობ.

თქვენი ბრწყინვალეობა მართალი ბრძანდება, — თქვა სწრაფად ნოტარიუსმა, რომელსაც თავისი გასამრჯელოს დაკარგვისა ეშინოდა. — ეს მშვენიერი მამულია, მდინარე, ხშირი ჭალა, კეთილმოწყობილი ბინა, თუმცა კარგა ხანია მივიწყებულია; შენობა ახალი არაა, რა თქმა უნდა, დაძველებულია მისი მოწყობილობაც. იგი დიდ ღირებულებას წარმოადგენს, მით უმეტეს ახლა, როდესაც ძველებური საგნები ასე მოსწონთ. მომიტევეთ, მაგრამ მე მგონია, თქვენი ბრწყინვალეობა იზიარებს თანამედროვეთა გემოვნებას.

— განაგრძეთ საუბარი, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მაშ, წესიერი ბინაა?

— ბატონო გრაფო, უფრო მეტი, ის დიდებულია.

— გადაწყდა. ხელიდან არ უნდა გავუშვათ ასეთი შემთხვევა, — თქვა მონტე-კრისტომ, — მომეცით ნასყიდობის სიგელი, ბატონო ნოტარიუსო.

და მან სწრაფად მოაწერა ხელი სიგელს, მხოლოდ თვალი გადაავლო იმ მუხლს, სადაც აღნიშნული იყო სახლის მდებარეობა და მფლობელთა გვარები.

— ბატონო ბერტუჩო, — თქვა მან, — მოუტანეთ ნოტარიუსს ორმოცდათხუთმეტი ათასი ფრანკი.

საქმეთა მმართველმა ფეხი აითრია და ოთახიდან გავიდა. როდესაც მობრუნდა, ხელში მთელი დასტა ბანკის ბილეთები ეჭირა. ნოტარიუსმა იგი ისეთი ადამიანის გულმოდგინებით გადათვალა, რომელმაც იცის, რომ ამ თანხაში მისი გასამრჯელოც შედის.

— მაშ ასე, — თქვა გრაფმა მონტე-კრისტომ, — ყოველგვარი ფორმალობა შესრულებულია?

— ყოველგვარი, ბატონო გრაფო.

— გასაღებები თქვენა გაქვთ?

— იგი ინახება მეკარესთან, რომელიც იმ სახლს დარაჯობს. მაგრამ აი, ინებეთ ბრძანება, რომლის თანახმად ის თქვენ ახალ სამფლობელოში ჩაგასახლებთ.

— ძალიან კარგი.

და მონტე-კრისტომ ნოტარიუსს თავი დაუქნია, რაც იმას ნიშნავდა, აღარ მჭირდებოდა, მიბრძანდითო.

— მაგრამ მე მგონი, — გაბედა თქმა პატიოსანმა ნოტარიუსმა, — ბატონი გრაფი შეცდა, ყველა დაქვითვის შემდეგ მეკუთვნის მხოლოდ ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

— თქვენი გასამრჯელო?

— ამაში შედის, ბატონო გრაფო.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ აქ ოტეილიდან მოხვედით?

— დიახ, რასაკვირველია.

— ჰოდა, ხომ უნდა ანაზღაურდეს თქვენი შეწუხება, — უთხრა მონტე-კრისტომ და ხელეებით ანიშნა — დაამთავრეთ ამაზე ლაპარაკი, მიბრძანდითო.

ნოტარიუსი თავს იატაკამდე სცემდა და უკან-უკან იხევდა. იმ დღიდან, რაც ის ნოტარიუსთა სიაში იყო შეტანილი, პირველად ხედავდა ასეთ კლიენტს.

— გააცილეთ ბატონი ნოტარიუსი. — უთხრა გრაფმა ბერტუჩოს.

საქმეთა მმართველი ნოტარიუსს გაჰყვა.

როცა გრაფი მარტო დარჩა, ჯიბიდან გასაღებით გადაკეტილი საქალაქადე ამოიღო და გახსნა პატარა გასაღებით, რომელიც ყელზე ეკიდა. ამ გასაღებს ის არასოდეს იცილებდა.

მონტე-კრისტომ საქალაქადის რამდენიმე გვერდი გადაშალა და ბოლოს შეჩერდა იმ ფურცელზე, რომელზედაც რაღაცა ნიშნები იყო და შეადარა მაგიდაზე დადებულ ნასყიდობის სიგელს, თითქოს თავის მეხსიერებას ამოწმებო.

— ოტეილი, ფონტენის ქუჩა, ნომერი ოცდარვა; სწორედ ასეა, — თქვა მან. — ახლა უნდა გაირკვეს, რამდენად შეიძლება მიენდო რელიგიური შიშით ან ფიზიკური ტკივილით გამოწვეულ აღსარებას.

— ბერტუჩო! — დაუყვირა მან და ზარს დაჰკრა რაღაც პატარა ჩაქურჩის მსგავსი, რომელსაც საკეცი ტარი ჰქონდა. ამან კი ტამტამის მსგავსი მკვეთრი და გრძელი ბგერები გამოსცა. — ბერტუჩო!

კარის ზღურბლზე საქმეთა მმართველი გამოჩნდა.

— ბერტუჩო, — უთხრა მას გრაფმა, — როგორც მახსოვს, თქვენ მგონი ერთხელ მითხარით, რომ საფრანგეთში ხართ ნამყოფი!

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, საფრანგეთის ზოგიერთ ნაწილში.

— თქვენ ალბათ იცნობთ პარიზის გარეუბნებს?

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, არა, — უპასუხა საქმეთა მმართველმა ცახცახით, რაც მონტე-კრისტომ, რომელიც კარგად ერკვეოდა ამგვარ ამბებში — სამართლიანად მიაწერა ძლიერ შეშფოთებას.

— სამწუხაროა, რომ პარიზის გარეუბნებში არ ყოფილხართ, — უთხრა გრაფმა, — იმიტომ, რომ მე ამ საღამოსვე მიხდოდა დამეთვალაიერებინა ჩემი ახალი სამფლობელო და რაკი თქვენ ჩემთან ერთად წამოხვიდოდით, შეგეძლოთ სასარგებლო ცნობები მოგეწოდებინათ.

— ოტეილში! — შეჰყვირა ბერტუჩომ, რომელსაც შავგვრემან სახეზე თითქმის მკვდრის ფერი დაედო.

— ჰოდა, მერე რაო, მე თქვენ გეკითხებით, რას ხედავთ იმაში გასაკვირველს, რომ თქვენ ოტეილში უნდა წახვიდეთ. რაკი თქვენ ჩემთან მსახურობთ, როცა ოტეილში ვიცხოვრებ, თქვენც ხომ იქ მოგიწევთ ყოფნა.

თავის ბატონის მბრძანებლურ გამოხედვაზე, ბატონმა ბერტუჩომ თავი ჩაქინდრა და გაშეშდა.

— ეს რა ამბავია? რა მოგდით? ხომ არ მიბრძანებთ ორჯერ დავრეკო, რომ ეტლი მომგვარონ? — უთხრა მონტე-კრისტომ ისეთი ტონით, როგორითაც ლუდოვიკო მეთოთხმეტემ წარმოთქვა ცნობილი გამოთქმა: «კინალამ არ მალოდინეს».

ბერტუჩო სასტუმრო ოთახიდან სწრაფად მოსაცდელ ოთახში გავარდა და ყრუ ხმით დაიძახა:

ეტლი მის ბრწყინვალეზავს!

მონტე-კრისტომ ორი თუ სამი წერილი დაწერა, როდესაც უკანასკნელს ბეჭდავდა, კარებში საქმეთა მმართველი გამოჩნდა.

— მის ბრწყინვალეზავს ეტლი უცდის! — უთხრა მან.

— კარგი, აიღეთ ქუდი და ხელთათმანები, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— მაშ, მე თქვენ ბრწყინვალეზავსთან ერთად მოვდივარ? — შესძახა ბერტუჩომ.

— რასაკვირველია, თქვენ ხომ განკარგულებების გაცემა დაგჭირდებათ, რაკი მე იქ უნდა ვიცხოვრო.

არასოდეს ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს გრაფისათვის სიტყვა შეებრუნებინოს და საქმეთა მმართველიც ხმის ამოუღებლივ უკან გაჰყვა. გრაფი ეტლში ჩაჯდა და ბერტუქოს ანიშნა, ისიც ასევე მოქცეულიყო.

საქმეთა მმართველი მოკრძალებით დაჯდა წინა სკამზე.

თავი V

სახლი ოტეილში

მონტე-კრისტომ შეამჩნია, რომ პარმადიდან ჩამოსვლის დროს ბერტუქომ პირჯვარი კორსიკანულად გადაიწერა, ესე იგი, ცერი თითით ჰაერში ჯვარი შემოხაზა, ხოლო ეტლში ასვლისას მოკლე ლოცვა ჩაიჩურჩულა. სხვა ყველა არაცნობისმოყვარე ადამიანი ანგარიშს გაუწევდა იმ გარემოებას, რომ ღირსეული საქმეთა მმართველი რაღაც უცნაურ ზიზღს იჩენდა გრაფის მიერ განზრახულ ქალაქგარეთ გასეირნებისადმი. მაგრამ, როგორც ჩანდა, მონტე-კრისტო მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო, რომ ბერტუქო ამ მგზავრობიდან გაენთავისუფლებინა. ოცი წუთის შემდეგ ისინი უკვე ოტეილში იყვნენ. საქმეთა მმართველის მღელვარება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. როდესაც სოფელში შევიდნენ, ეტლის კუთხეში მომწყვდეული ბერტუქო ძრწოლით ათვალაიერებდა ყოველ სახლს, რომელსაც ისინი ჩაუვლიდნენ ხოლმე.

— ეტლი გააჩერებინეთ ფონტენის ქუჩაზე ოცდარვა ნომერთან, — გასცა განკარგულება გრაფმა და შეუბრალებლად შეხედა საქმეთა მმართველს, რომელსაც ამ ბრძანებას აძლევდა.

ბერტუქოს სახეზე ოფლმა დაასხა, მაგრამ მაინც დაემორჩილა, ეტლიდან თავი გამოჰყო და მეეტლეს დაუძახა:

— ფონტენის ქუჩა, ნომერი ოცდარვა.

ეს სახლი სოფლის ბოლოს მდებარეობდა. სანამ ისინი ეტლით მიემგზავრებოდნენ, დაღამდა, უკეთ ვთქვათ, მთელ ცას გადაეფარა ელექტრონით დატვირთული ღრუბელი, რომელიც ამ ნაადრევ დაისს დრამატული სცენის საზეიმო ხასიათს აძლევდა. ეტლი გაჩერდა, მსახური მყისვე მასთან გაჩნდა, რათა კარი გამოეღო.

— ეგ რა ამბავია, ბერტუქო, — უთხრა მას გრაფმა, — გამოსვლას აღარ აპირებთ? მაშ თქვენ ეტლში რჩებით? რა დაგემართათ?

— ბერტუქო ეტლიდან სწრაფად გამოვიდა და თავის ბატონს მხარი მიუშვირა. გრაფი დაეყრდნო მის მხარს და ეტლის სამ საფეხურზე ნელ-ნელა ჩამოვიდა.

— დააკაკუნეთ და ჩემი მოსვლა აცნობეთ.

ბერტუქომ დააკაკუნა. კარი გაიღო და მეკარე გამოჩნდა.

— რა გნებავთ? — იკითხა მან.

— ეს თქვენი ახალი ბატონია, კეთილო ადამიანო, — უპასუხა მსახურმა, და მან მეკარეს გაუწოდა ნოტარიუსის მიერ მიცემული ნასყიდობის სიგელი.

— მაშ სახლი გაყიდულია? — იკითხა მეკარემ, — ამიერიდან ეს ბატონი აქ იცხოვრებს?

— დიახ, ჩემო მეგობარო, — მე შევეცდები თქვენ გული არ დაგწყდეთ ძველ ბატონზე.

— ჰო, ბატონო ჩემო, — უთხრა მეკარემ, — მე არ ვწუხვარ, რადგან მას იშვიათად ვხედავდით. აი, უკვე ხუთი წელია, რაც აქ არ მოსულა, მართალი თქვას კაცმა, ძალიან კარგად მოიქცა, რომ გაყიდა სახლი, რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევდა.

— რა გვარი იყო თქვენი ყოფილი ბატონი? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— მარკიზ დე სენ-მერანი. დარწმუნებული ვარ, ამ სახლში ის ფასი ვერ აიღო, რაც მას უღირდა.

— მარკიზ დე სენ-მერანი, — გაიმეორა მონტე-კრისტომ, — ეს გვარი თითქოს მეცნობა: მარკიზ დე სენ-მერანი...

და გრაფმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს იგონებო.

— ძველი აზნაური, — განაგრძო მეკარემ, — ბურბონების ერთგული მსახური: მას ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ბატონ დე ვილფორს მიათხოვა. ეს უკანასკნელი მეფის პროკურორად მსახურობდა ჯერ ნიმში, შემდეგ ვერსალში.

მონტე-კრისტომ ბერტუქოს გადახედა, იგი კედელზე უფრო თეთრი იყო და რათა არ დაცემულიყო, კედელს მიყრდნობოდა.

— ამ აზნაურის ქალიშვილი ხომ არ გარდაცვლილა? — ჰკითხა მონტე-კრისტომ, — მგონი ასე მაქვს ყური მოკრული.

— დიახ, ბატონო, უკვე ოცდაერთი წელია, და მას შემდეგ, ჩვენ სამჯერაც კი არ დაგვინახავს საწყალი მარკიზი.

— გმადლობთ, გმადლობთ, — შეაწყვეტინა მონტე-კრისტომ. ბერტუქოს დატანჯული სახის დანახვამ იგი დაარწმუნა, რომ აღარ შეიძლებოდა სიმი კიდევ უფრო დაჭიმულიყო, რადგან მოსალოდნელი იყო მისი გაწყვეტა. — გმადლობთ, ახლა კი სანათური მომეცით, კეთილო ადამიანო.

— ბატონს გაცილებს ნებავს?

— არა, რა საჭიროა, გზას ბერტუქო გამინათებს.

და მონტე-კრისტომ ამ სიტყვებს თან დააყოლა ორი ოქროს ფული, რამაც ლოცვა-კურთხევა და ოხვრა გამოიწვია.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მეკარემ მას შემდეგ, რაც უშედეგოდ აფათურა ხელები ბუხრის თავზე და თაროებზე, — სანთელი არა მაქვს.

— ბერტუქო, ეტლიდან აიღეთ ფანარი და ბინა დამათვალიერებინეთ, — უთხრა მას გრაფმა.

საქმეთა მმართველი ხმის ამოუღებელივ დაემორჩილა, მაგრამ ხელი, რომლითაც ფანარი ეჭირა, ისე უკანკალებდა, რომ ადვილი მისახვედრი იყო, რა ძვირად უღირდა მას ეს მორჩილება.

მათ შემოიარეს საკმაოდ ფართო ქვედა სართული, რომელიც შედგებოდა სალონის სააბაზანო და ორი საწოლი ოთახისაგან. ერთი ამ საწოლ ოთახთაგანი უერთდებოდა ხვეულ კიბეს, რომელიც ბაღში გადიოდა.

— აი, ხედავთ, განცალკევებული გასასვლელი — ეს ძალიან ხელსაყრელია. გამინათეთ, ბერტუქო. წინ იარეთ, ერთი ვნახთო, სად გაგვიყვანს ეს კიბე.

— ბაღში, თქვენო ბრწყინვალეზავ. — უთხრა ბერტუქომ.

— ერთი მიზრძანეთ, ეგ თქვენ საიდან იცით?

— მე მინდა ვთქვა, რომ ის ბაღში უნდა გადიოდეს.

— კარგი, ამაში ჩვენ თვითონ დავრწმუნდეთ.

ბერტუქომ ამოიოხრა და წინ წავიდა. კიბე მართლაც ბაღში გადიოდა.

საქმეთა მმართველი გარეთა კართან გაჩერდა.

— რა მოგდით, ბერტუქო? — უთხრა მას გრაფმა.

მაგრამ ის, ვისაც მონტე-კრისტო მიმართავდა, დარეტიანებული, გაოგნებული და განადგურებული იყო. თითქოს მისი გზადაკარგული თვალები ირგვლივ წარსულის საშინელ კვალს ეძებდნენ, ხოლო დაკრუნჩხული ხელები უკუაგდებდნენ შემზარავ მოგონებებს.

— ჰო, რაო! — არ ეშვებოდა გრაფი მონტე-კრისტო.

— არა, არა! — წამოიყვირა ბერტუჩო, ფანარი ძირს დადგა და კედლის კუთხეს მიეყრდნო. — არა, ბატონო, მე იქით ფეხს აღარ გადავადგამ, ეს შეუძლებელია.

— ეს რას ნიშნავს? — წარმოთქვა მონტე-კრისტომ მოუდრეკელი ხმით.

— თქვენც ხომ ხედავთ, რომ აქ რაღაც უბედურებაა, — წამოიყვირა საქმეთა მმართველმა. — სახლის ყიდვას აპირებდით პარიზში და ყიდულობთ მას ოტეილში, ისიც სწორედ ფონტენის ქუჩაზე ოცდარვა ნომერს. ოჰ, ბატონო, რატომ შინ არ გითხარით ყველაფერი! თქვენ არ დამამალებდით წამოსვლას. იმედი მქონდა, რომ თქვენი ბრწყინვალეებისათვის ნაყიდი სახლი სხვა იქნებოდა და არა ეს. თითქოს ოტეილში სხვა სახლი არ იყოს, გარდა იმ სახლისა, სადაც მკვლელობა მოხდა!

— რაო, რაო, რა საზიზღარ სიტყვებს ლაპარაკობთ? — შეჩერდა უცბად მონტე-კრისტო, — ეშმაკმა დალაზხროს, ეს რა კაცია! ნამდვილი კორსიკელი, ყოველთვის რაღაც საიდუმლოება და ცრუმორწმუნეობანი. ბერტუჩო, აიღეთ ფანარი და ბალი დავათვალიეროთ. იმედი მაქვს, ჩემთან არ შეგეშინდებათ.

ბერტუჩომ ფანარი აიღო და დაემორჩილა. კარი გაიღო და გამოჩნდა მქრქალი ცა, რომელზედაც მთვარე ამაოდ შებმოდა ღრუბლების ზღვას, რომელიც მას ფარავდა თავისი ბნელი ტალღებით; ეს ღრუბლები მხოლოდ წუთიერად გაანათებდნენ ხოლმე, მერე კი ისევ უსასრულოების სიღრმეში იკარგებოდნენ.

საქმეთა მმართველს უნდოდა მარჯვნივ გაეხვია.

— არა, ბერტუჩო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — რატომ ვიაროთ ხეივნებით, როცა მშვენიერი კორდია. პირდაპირ წავიდეთ.

ბერტუჩომ შუბლიდან ოფლის ღვარი ჩამოიწმინდა, მაგრამ მაინც მარცხნივ განაგრძო სიარული.

მონტე-კრისტო კი, პირიქით, მარჯვნივ მიიწევდა და როდესაც ხეების ჯგუფს მიუახლოვდა, შეჩერდა.

საქმეთა მმართველმა თავი ვეღარ შეიკავა.

— გასცილდით, თქვენო ბრწყინვალეზავ, გემუდარებით, გასცილდით, — შეჰყვირა ბერტუჩომ. — თქვენ სწორედ იმ ადგილას დგახართ.

— რა ადგილას? — იმ ადგილას, სადაც იგი დაეცა.

— ჩემო ძვირფასო ბერტუჩო. — უთხრა სიცილით მონტე-კრისტომ, — გთხოვთ, გონს მოხვიდეთ. ჩვენ ხომ სარტენში ან კორტში არა ვართ. ეს ხომ უღრანი ტყე კი არა, ინგლისური ბაღია, მართალია ცუდად მოვლილი, ამაში გეთანხმებით, მაგრამ ამისათვის რა საჭიროა ცილისწამება.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ნუ დგახართ მანდ, გემუდარებით, ნუ დგახართ მანდ.

— თქვენ ლამის გაგიჟდეთ, ბატონო ბერტუჩო. — უპასუხა ცივად გრაფმა. — თუ ასეა, მითხარით და საავადმყოფოში გაგაგზავნით, სანამ რაიმე უბედურება მოხდებოდეს.

— სამწუხაროდ, თქვენო ბრწყინვალეზავ, — თქვა ბერტუჩომ, თან თავი ისე გაიქნია და ხელებიც ისე გაშალა, რომ მონტე-კრისტოს გაეცინებოდა, მისი გონება უფრო მნიშვნელოვანი ფიქრებით რომ არ ყოფილიყო დატვირთული, — უბედურება უკვე მოხდა.

— ბატონო ბერტუჩო, — უთხრა გრაფმა, — მე ჩემს მოვალეობად ვთვლი, გაგაფრთხილოთ, რომ მაგ ხელების ქნევით მკლავებს იღრმობთ, თვალის კაკლებს კი ისე ატრიალებთ, როგორც შლეგიანი, რომელსაც ტანში ეშმაკი შეჯდომია და იქიდან გამოსვლას აღარ აპირებს; კარგა ხანია შევამჩნიე, რომ ყველაზე ჯიუტი ეშმაკი — ეს საიდუმლოებაა. ვიცოდი, რომ თქვენ კორსიკელი ხართ. ყოველთვის გიცნობდით, როგორც ბნელი წარსულის მქონე ადამიანს და ვენდეტაზე ფიქრში ჩაფლულს, მაგრამ იტალიაში ამას ყურადღებას არ ვაქცევდი იმიტომ, რომ ამგვარი ამბები იქ მიღებულია. საფრანგეთში კი მკვლელობას ჩვეულებრივად ძალიან ცუდი თვალთ უყურებენ. აქ არიან ჟანდარმები, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ საქმით, სასამართლოები, რომელიც ამის გამო სჯიან, და ემაფოტები, რომლებიც შურს იძიებენ.

ბერტუჩომ გულ-ხელი დაიკრიფა და რაკი ამ დროს მას ფანარი ისევ ხელში ეჭირა, შუქი მის შიშისაგან შეძრწუნებულ სახეს მოხვდა.

მონტე-კრისტომ ისეთი თვალებით შეხედას მას, როგორადაც იგი ანდრეას დასჯას უყურებდა; შემდეგ წაიჭურჩულა სიტყვები, რომლებმაც ისევ ააცახცახა საწყალი საქმეთა მმართველი:

— მაშ აბატ ბუზონის მოვუტყუებებივარ, როდესაც მან საფრანგეთში ათას რვაას ოცდაცხრა წელს მოგზაურობის დროს თქვენ ჩემთან სარეკომენდაციო წერილით გამოგზავნათ, რომელშიც იგი თქვენს დადებით მხარეებზე ლაპარაკობდა. რახან ასეა, მე წერილს მივწერ აბატს: მან პასუხი უნდა აგოს თავის რეკომენდაციაზე, და უეჭველია გავიგებ, რა მკვლელობაზეა ლაპარაკი. მაგრამ გაფრთხილებთ, ბატონო ბერტუჩო, რომ ჩვეულებად მაქვს პატივი ვცე იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც ვცხოვრობ ხოლმე და არავითარი სურვილი არა მაქვს თქვენი გულისათვის საფრანგეთის მართლმსაჯულებას გადავეკიდო.

— ნუ იზამთ ამას, თქვენო ბრწყინვალეზავ, განა თქვენ ერგულად არ გემსახურებოდით! — შეჰყვირა სასოწარკვეთილებამდე მისულმა ბერტუჩომ. — მე ყოველთვის პატიოსანი ადამიანი ვიყავი და რამდენადაც შემემლო, ვცდილობდი სიკეთე მეთესა.

— ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — უთხრა გრაფმა, — მაგრამ ეშმაკმა დალაზხვროს, მაშ რამ აგაღელვათ? ეს ცუდი ნიშანია. თუ კაცს სინდისი წმინდა აქვს, ფერი არ ეკარგება და ხელებიც არ უკანკალებს.

— მაგრამ, ბატონო გრაფო, — დაიწყო გაუბედავად ბერტუჩომ, — განა თქვენ თვითონ არ მითხარით, რომ აბატმა ბუზონიმ, რომელმაც მოისმინა ჩემი აღსარება ნიმის საპატიმროში, გაგაფრთხილათ, რომ ჩემს სინდისს მძიმე ტვირთი აწევს?

— დიახ, მაგრამ რაკი მან თქვენ რეკომენდაცია გაგიწიათ, როგორც საუკეთესო საქმეთა მმართველს, ვიფიქრე, ალბათ რაღაცა მოიპარა-მეთქი და სხვა არაფერი.

— რას ბრძანებთ, ბატონო გრაფო! — თქვა ზიზლით ბერტუჩომ.

— ან არადა, როგორც კორსიკელმა, თავი ვერ შეიკავეთ სურვილისაგან, რომ ტყავი დაგემზადებინათ, როგორც ამას იტყვიან თქვენს ქვეყანაში, როდესაც, მას ვინმეს აცლიან.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავთ, დიახ, ჩემო კეთილო ბატონო, სწორედ ეს არის? — შეჰყვირა ბერტუჩომ და გრაფს ფეხქვეშ ჩაუვარდა. — დიახ, ეს იყო შურისძიება, გეფიცებით შურისძიება და სხვა არაფერი.

— ეს მესმის, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ სწორედ ამ სახლს მიჰყავხართ ამ მდგომარეობამდე.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ეს ბუნებრივია, — უპასუხა ბერტუჩომ, — შურისძიება ხომ ამ სახლში მოხდა.

— როგორ! ჩემს სახლში?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგრამ ეს სახლი მაშინ თქვენ არ გეკუთვნოდათ. — უპასუხა გულუბრყვილოდ ბერტუჩომ.

— მაშ ვის ეკუთვნოდა? მეკარემ რა თქვა, მგონი მარკიზ დე სენ-მერანსო... ეშმაკმა დალაზვროს, რისთვის უნდა გეძიათ შური მარკიზ დე სენ-მერანზე?

— თქვენო ბრწყინვალეზავ, სხვაზე ვიძიე შური და არა მასზე.

— რა უცნაური დამთხვევაა, — თქვა მონტე-კრისტომ, რომელიც, როგორც ჩანდა, ხმამაღლა უპასუხებდა თავის ფიქრებს, — თქვენ შემთხვევით მოხვედით იმ სახლში, სადაც მოხდა ის ამბავი, რომელიც თქვენში სინდისის ასეთ საშინელ ქენჯნას იწვევს.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, დარწმუნებული ვარ, ეს ბედისწერაა. ჯერ ერთი, თქვენ სახლს ყიდულობთ სწორედ ოტეილში, და ეს სახლი სწორედ ის გამოდგება, რომელშიც მკვლელობა ჩავიდინე. თქვენ ბაღში სწორედ იმ კიბეებით ეშვებით, რომლითაც იგი ჩავიდა; თქვენ შეჩერდით სწორედ იმ ადგილზე, სადაც მე მას დანა ჩავეცი; აქედან ორი ნაბიჯის დაშორებით ამ ჭადრის ქვეშ იყო ორმო, რომელშიც მან ჩვილი ბავშვი ჩამარხა; არა ეს ყველაფერი შემთხვევითი როდია, იმიტომ რომ მაშინ შემთხვევა მეტისმეტად დაემსგავსებოდა განგებას.

— კარგი, ბატონო კორსიკელო, დავუშვათ, რომ ეს განგებაა. მე ყოველთვის თანახმა ვარ დავუშვა ის, რაც გნებავთ, მით უმეტეს, უნდა დავუთმო ადამიანებს, რომლებსაც ავადმყოფი გონება აქვთ. ახლა კი აზრები მოიკრიბეთ და ყველაფერი მომიყევით.

— ეს ამბავი ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოვყევი და ისიც აბატ ბუზონისთან. ასეთ ამბებს, — დასძინა ბერტუჩომ და თავი გაიქნია, — მხოლოდ აღსარების დროს ამბობენ.

— მაშ, ჩემო ძვირფასო ბერტუჩო, — თქვა გრაფმა, — თქვენ მოძღვართან გაგაგზავნით; შეგიძლიათ მასავით კარტეზიანელი ან ბენარდინელი გახდეთ და მასთან თქვენს საიდუმლოებაზე ისაუბროთ. მე კი მეშინია ისეთი მოურავის, რომელსაც ასეთი მოჩვენებები დაუფლებია, არ მომწონს, როცა მსახურებს ემინიათ საღამოობით ჩემს ბაღში სეირნობის. ესეც არ იყოს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სრულებით არა მაქვს სურვილი პოლიციის კომისარი მესტუმროს, რადგან, მხედველობაში იქონიეთ, ბატონო ბერტუჩო, იტალიაში მართლმსაჯულება ფულს უსაქმურობისათვის იღებს, საფრანგეთში კი, პირიქით, — როდესაც მოქმედებენ. მე თქვენ ნაწილობრივ კორსიკელი მეგონეთ, ნაწილობრივ კონტრაბანდისტი, მაგრამ ძალზე მარჯვე საქმეთა მმართველი. ახლა კი ვხედავ, რომ სხვა თვისებებიც გაგაჩნიათ. მე თქვენ აღარ მჭირდებით, ბატონო ბერტუჩო.

— ოჰ, თქვენო ბრწყინვალეზავ! — შეჰყვირა ამ მუქარით თავზარდაცემულმა საქმეთა მმართველმა. — თუ თქვენ მხოლოდ ამის გულისათვის გინდათ დამითხოვოთ სამსახურიდან, მე ვილაპარაკებ, მე გეტყვით ყველაფერს, სჯობს ეშაფოტზე ავიდე, ვიდრე თქვენგან წავიდე.

— ეს სხვა საქმეა, — თქვა მონტე-კრისტომ. — მაგრამ ერთ რამეს დაუფიქრდით: თუ ტყუილების თქმას აპირებთ, სჯობს ნურაფერს იტყვიეთ.

— არა, ბატონო, ჩემს სულს გეფიცებით, ყველაფერს გეტყვით, აბატმა ბუზონიმაც კი ჩემი საიდუმლოების მხოლოდ ნაწილი იცოდა. მაგრამ გემუდარებით, გაშორდით მაგ ჭადარს. აი, მთვარე ღრუბლებიდან გამოდის, თქვენ კი აქ დგახართ წამოსასხამში

გახვეული, რომელიც თქვენს ტანს ფარავს, და იგი ისე ჰგავს ბატონ დე ვილფორის წამოსასხამს...

— როგორ! — შეჰყვირა მონტე-კრისტომ, — მაშ ის ვილფორი იყო...

— თქვენი ბრწყინვალეობა მას იცნობს?

— ის მეფის პროკურორი იყო ნიმში?

— დიახ.

— და ცოლად შეირთო მარკიზ დე სენ-მერანის ქალიშვილი?

— დიახ.

— და რომელსაც ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ იგი იყო ძალზე პატიოსანი, მკაცრი და სასტიკი მოსამართლე?

— რაო, ბატონო გრაფო, — შეჰყვირა ბერტუჩომ, — ამ კაცს უმწიკვლო რეპუტაცია აქვს?

— დიახ.

— ...ის უსინდისო ადამიანი იყო.

— შეუძლებელია, — თქვა მონტე-კრისტომ.

— ეს სწორედ ასეა.

— ნუთუ? — თქვა მონტე-კრისტომ, — თქვენ ამის დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

— ყოველ შემთხვევაში, მქონდა.

— და თქვენ იგი დაჰკარგეთ? უბედურო.

— დიახ, მაგრამ თუ კარგად მოიძებნება, შეიძლება მისი ნახვა.

— მართლა? — თქვა გრაფმა. — მომიყევით ამის შესახებ, ბერტუჩო, რადგან ამ ამბავმა ინტერესი გამიღვიძა.

გრაფმა წაიმღერა მელოდია «ლუჩია»-დან და სკამზე ჩამოჯდა. ბერტუჩო კი ამასობაში გონებას იკრებდა, რათა თავისი მოგონებებისათვის თავი მოეყარა.

ბერტუჩო ფეხზე იდგა გრაფის წინაშე.

თავი VI

ვენდეტა

— ბატონი გრაფი როგორ ინებებს, საიდან დავიწყო ამბის მოყოლა. — ჰკითხა ბერტუჩომ.

— საიდანაც გინდათ, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მე ხომ არაფერი ვიცი.

— მე კი მეგონა აბატმა ბუზონიმ თქვენს ბრწყინვალეობას უთხრა, რომ...

— დიახ, რაღაც დეტალები, მაგრამ მას შემდეგ შვიდი თუ რვა წელი გავიდა და ყველაფერი დამავიწყდა.

— მაშ იმისი შიში არ მექნება, რომ თქვენს ბრწყინვალეობას თავს შევაწყენ...

— დაიწყეთ, ბატონო ბერტუჩო, დაიწყეთ, თქვენ მე ამ საღამოს გაზეთის მაგივრობას გამიწევთ.

— ეს ამბავი ათას რვაას თხუთმეტ წელს დაიწყო.

— ოჰო, — თქვა მონტე-კრისტომ, — 1815 წელი. ეს გუშინდელი დღე როდია.

— დიახ, ბატონო გრაფო, მაგრამ თითოეული უმნიშვნელო დეტალიც კი ისე ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში, თითქოს გუშინ მოხდა. მყავდა უფროსი ძმა, რომელიც იმპერატორის ჯარში მსახურობდა და ლეიტენანტის ხარისხს მიაღწია პოლკში, რომელიც მთლიანად კორსიკელებისაგან შედგებოდა. ეს ძმა იყო ჩემი ერთადერთი მეგობარი. როცა ჩვენ ობლები დავრჩით, ის თვრამეტი წლისა იყო, მე კი — ხუთის;

მან საკუთარი შვილივით გამზარდა. ათას რვაას თოთხმეტ წელს, ბურბონების დროს ჩემმა ძმამ ცოლი შეირთო. იმპერატორი კუნძულ ელბიდან დაბრუნდა, ჩემი ძმა ისევ ჯარში წავიდა, ვატერლოოსთან მსუბუქად დაიჭრა და არმიასთან ერთად ლუარას იქით დაიხია.

— ბატონო ბერტუჩო, თქვენ მგონი ასი დღის ისტორიას მიყვებით, — შეაწყვეტინა გრაფმა, — ეგ კი, თუ არ ვცდები, უკვე დაწერილია.

— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, დასაწყისისათვის ეს დეტალები აუცილებელია, თქვენ შემპირდით, რომ მოთმინებით მომისმენდით.

— განაგრძეთ, მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ.

— ერთ დღეს წერილი მივიღეთ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ვცხოვრობდით პატარა სოფელ როლიანოში, კორსოს კონცხის განაპირას. ეს წერილი ჩემი ძმისაგან იყო. იგი გვწერდა, რომ ჯარი დაეთხოვათ და შინ შატორუს, კლერმონ-ფერანის, პიუის და ნიმის გავლით ბრუნდებოდა. მთხოვდა, თუ ფული გაქვს, გაგზავნე ნაცნობ მეტრაქტირესთანო, რომელთანაც რაღაც საქმეები მქონდა.

— კონტრაბანდისტული? — შეეკითხა მონტე-კრისტო.

— ღმერთო ჩემო, რითიმე ხომ უნდა იარსებოს ადამიანმა.

— რასაკვირველია, განაგრძეთ.

— უკვე გითხარით, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ჩემი ძმა ძალიან მიყვარდა. გადავწყვიტე ფული თვითონ ჩამეტანა. ათას ფრანკამდე მქონდა დაგროვილი, ხუთასი ჩემ რძალს, ასუნტას დავუტოვე, მეორე ხუთასი ჯიბეში ჩავიდე და ნიმისაკენ გავწიე. ეს ძნელი საქმე როდი იყო. მქონდა საკუთარი ნავი და ზღვაში ტვირთი უნდა მიმეღო; ყველაფერი ისე ეწყობოდა, როგორც მე მინდოდა.

მაგრამ როცა ტვირთი მივიღე, ქარმა მიმართულება შეიცვალა და ჩვენ ოთხი თუ ხუთი დღე ისე დავყავით, რომ ვერ შევძელით რონში შესვლა. ბოლოს, როგორც იყო, მოვახერხეთ რონში გადასვლა და არლამდე ავედით. ნავი ბელგრადსა და ბოკერს შუა დავტოვე და ნიმისაკენ გავემართე.

— ჩვენ უკვე საქმის არსს ვუახლოვდებით, არა?

— დიახ, ბატონო, მომიტევეთ, მაგრამ, როგორც თქვენი ბრწყინვალეზავ თვითონაც დარწმუნდება, მე მხოლოდ აუცილებელ ამბებზე ვლაპარაკობ. ამ დროს სამხრეთ საფრანგეთში ხოცვა-ჟლეტა იყო. აქ თარეშობდა სამი ყაჩაღი. მათი სახელებია: ტრესტალონი, ტრიუფემი და გრაფანი, ისინი ქუჩებში ჰკლავდნენ ყველას, ვინც ბონაპარტისტობაში იყო შენიშნული. უეჭველია, თქვენს ბრწყინვალეზავს გაუგონია ასეთი მკვლელების შესახებ.

— ისე, გაკვრით. მე მაშინ საფრანგეთიდან შორს ვიყავი. განაგრძეთ.

— ნიმში ჩვენ ნამდვილად სისხლის ტბებში გვიწევდა სიარული. ყოველ ნაბიჯზე ადამიანის გვამს შეხვდებოდით, მკვლელები ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ, ჰკლავდნენ, ძარცვავდნენ, სწვავდნენ.

«ამ სასაკლავოს დანახვაზე მე შიშმა ამიტანა. მაგრამ ჩემ თავზე კი არ ვწუხდი, უბრალო კორსიკელ მეთევზეს რისა უნდა მშინებოდა, პირიქით, ჩვენთვის, კონტრაბანდისტებისათვის, ეს ოქროს ხანა იყო. მე ჩემი ძმის გამო ვშიშობდი. ის ხომ იმპერატორის ჯარში მსახურობდა, ლუარის არმიიდან მუნდირითა და სამხრეებით ბრუნდებოდა და, კაცმა რომ თქვას, მას მართლაც უნდა შინებოდა.

«ნაცნობ მეტრაქტირესთან მივირბინე. წინათგრძნობას არ მოვუტყუებოვარ. ჩემი ძმა წინადღეს ჩამოსულიყო ნიმში და სწორედ იმ სახლის კართან მოეკლათ, სადაც თავშესაფარის პოვნას აპირებდა.

«მე ყოველმხრივ ვცდილობდი მკვლელის კვალისათვის მიმეგნო, მაგრამ ხალხი დაშინებული იყო და ვერავინ ბედავდა მათ დასახელებას. მაშინ მე გამახსენდა საფრანგეთის სამართალი, რომლის შესახებ ბევრი ქება გამოიგონია და რომელსაც არავის და არაფრის ეშინია. ჰოდა, მეც მეფის პროკურორთან მივედი.

— მეფის პროკურორის გვარი დე ვილფორი იყო? — ჰკითხა დაუდევრად მონტე-კრისტომ.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, იგი გადმოსული იყო მარსელიდან, სადაც მეფის პროკურორის თანაშემწედ მუშაობდა. გულმოდგინე საქმიანობისათვის იგი ასე დააწინაურეს. როგორც ამბობენ, მან პირველმა აცნობა ბურბონების მთავრობას ნაპოლეონის კუნძულ ელბიდან გადმოსვლა.

— მაშ თქვენ მეფის პროკურორთან მიხვედით, — შეაწყვეტინა მონტე-კრისტომ.

«— ვინ იყო თქვენი ძმა? — მკითხა მეფის პროკურორმა.

«— კორსიკული ბატალიონის ლეიტენანტი.

«— ესე იგი, უზურპატორის ჯარისკაცი?

«— საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი.

«— რას იზამ, — მიპასუხა მან, — თქვენმა ძმამ ხმალი ამოიღო და ხმალმავე იმსხვერპლა კიდეც.

«— თქვენ ცდებით, ბატონო, იგი ხანჯლითაა მოკლული.

«— რა გნებავთ ჩემგან? — მკითხა პროკურორმა.

«— მე უკვე გითხარით: მინდა შური იძიოთ.

«— ვისზე?

«— მის მკვლელებზე.

«— განა მე ვიცი ვინ არიან ისინი?

«— უბრძანეთ მოძებნონ.

«— რისთვის? თქვენი ძმა, ალბათ, ვინმეს წაეჩხუბა და დუელში დამარცხდა.

ყველა ეს ძველი ჯარისკაცები მიდრეკილებას იჩენენ სიშმაგისადმი. ეს მათ გაუდიოდათ თავიანთი იმპერატორის დროს, მაგრამ ახლა სხვა დროა. ჩვენს სამხრეთელებს არ უყვართ არც ჯარისკაცები და არც სიშმაგე.

«— ბატონო პროკურორო, — დავიწყე ისევ მე, — ჩემი გულისთვის როდი გთხოვთ. ვიგლოვებ თუ შურს ვიძიებ, ეს ჩემი საქმეა; მაგრამ საწყალ ჩემ ძმას ჰყავდა ცოლი და მეც თუ რამე უბედურება შემემთხვა, ის ბეჩავი შიმშილით მოკვდება, რადგან ჩემი ძმის შრომით ცხოვრობდა. მცირე პენსია მაინც დაუნიშნეთ.

«— ყოველ რევოლუციას მსხვერპლი მოჰყვება, — მიპასუხა ბატონ დე ვილფორმა, — თქვენი ძმა ამ უკანასკნელი გადატრიალების მსხვერპლი გახდა. ეს უბედურებაა, მაგრამ მთავრობა ვალდებული არ არის თქვენს ოჯახს ამის გამო პენსია დაუნიშნოს... ჩვენ რომ გაგვესამართლებინა უზურპატორის მომხრეები, რომლებიც როიალისტების წინააღმდეგ შურს იძიებდნენ, როდესაც ძალა მათ ხელში იყო, დღეს შეიძლება თქვენი ძმა უკვე სიკვდილმისჯილი ყოფილიყო. რაც მოხდა, სავსებით ბუნებრივია. ეს შურისძიების კანონია.

«— რას ამბობთ, — შევეყვირე მე, — განა დასაშვებია ასე მსჯელობდეთ თქვენ, მართლმსაჯულების მსახური!

«— ღმერთმანი ყველა ეს კორსიკელები შემლილები არიან, — მიპასუხა დე ვილფორმა, — და ასე ჰგონიათ, რომ მათი თანამემამულე ჯერ ისევ იმპერატორია. ჩემო კარგო, თქვენ ცდებით, ის დრო წავიდა; შეიძლებოდა ჩემთან ასე გელაპარაკათ ორი თვის წინ, ახლა უკვე დაგვიანებულია. გაეთრიეთ აქედან და თუ თქვენ არ ინებებთ შეასრულოთ ეს ბრძანება, ძალით გავაყვანიებ თქვენს თავს.

«მე ამ კაცს თვალს არ ვაცილებდი და ვფიქრობდი, კიდეც რომ ვთხოვო, იქნებ რამე გამოვიდეს-მეთქი.

«მაგრამ ეს ადამიანი კი არა, ქვა იყო. მე მას მივუახლოვდი.

«— ძალიან კარგი, — ვუთხარი ხმადაბლა, — რაკი თქვენ ასე კარგად იცნობთ კორსიკელებს, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ისინი თავისი სიტყვის პატრონები არიან. მაშ თქვენი ფიქრით მკვლევლები კარგად მოქცეულან, რომ მოჰკლეს ჩემი ძმა, რაკი იგი ბონაპარტისტი იყო, თქვენ კი როიალისტი ხართ. ძალიან კარგი, მეც ბონაპარტისტი ვარ და გაფრთხილებთ: მე თქვენ მოგკლავთ. ამ წუთიდან მე თქვენ ვენდეტას გიცხადებთ. იცოდეთ ეს და მიფრთხილდით, პირველსავე შემთხვევაში, როგორც კი პირისპირ შევხვდებით ერთმანეთს, თქვენი უკანასკნელი საათი დაჰკრავს.

«და სანამ იგი გონს მოვიდოდა, კარი გამოვაღე და გამოვიქეცი.

— ოჰო, ბერტუჩო, — თქვა მონტე-კრისტომ, — თქვენისთანა პატიოსანი შესახედაობის ადამიანს შეეძლო ასეთი სიტყვები ეთქვა და ისიც მეფის პროკურორისათვის? ეს კარგი არ არის! ყოველ შემთხვევაში მან ის მაინც თუ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა ვენდეტა.

— იმდენად კარგად, რომ იმ წუთიდან შინ ჩაიკეტა, გარეთ მარტო არ გამოდიოდა და ბრძანება გასცა ყველგან ვეძებნე. საბედნიეროდ, ისე კარგად ვიყავი დამალული, რომ ჩემს კვალს ვერ მიაგნო. მაშინ იგი შიშმა შეიპყრო, ეშინოდა ნიშში დარჩენა და ითხოვა სხვაგან გადაეყვანათ. რაკი გავლენიანი პირი იყო, ვერსალში გადაიყვანეს. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ კორსიკელისათვის რომელმაც ფიცი დადო მტერზე შური იძიოს, მანძილი არ არსებობს. როგორ არ ჩქარობდა, მაგრამ მისი ეტლი ნახევარი დღის სავალით თუ გამასწრებდა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხით მივლევდი.

«თავი და თავი ის კი არ იყო, რომ იგი მომეკლა, — ასჯერ მაინც მქონდა ასეთი შემთხვევა — არამედ ისე მომეკლა, რომ არავის შევემჩნიე და არ დავეკავებინე. მე ხომ უკვე მარტო ჩემ თავს არ ვეკუთვნოდი — რძალი მყავდა სარჩენი. მთელი სამი თვე ვდარაჯობდი ვილფორს. ამ ხნის განმავლობაში მას ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ისე, რომ ჩემს თვალს გაჰპარვოდა. ბოლოს შევნიშნე, რომ საიდუმლოდ დადიოდა ოტეილში. უკან გავყევი და დავინახე, რომ შევიდა იმ სახლში, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით. მაგრამ სხვებივით მთავარი კარით როდი შედიოდა. იგი მოვიდოდა ცხენით ან ეტლით, მაგრამ მათ ტრაქტირში სტოვებდა და აგერ, იმ პატარა ჭიშკრით შემოდიოდა, ხედავთ?

მონტე-კრისტომ თავი დაუქნია, რითაც ანიშნა, რომ იგი სიბნელეში ხედავდა იმ პატარა კარს, რომელსაც ბერტუჩო უჩვენებდა.

— მე უკვე არავითარი საქმე აღარ მქონდა ვერსალში, გადმოვსახლდი ოტეილში და ცნობების შეგროვებას შევუდექი. რაკი გადაწყვეტილი მქონდა მისი დაჭერა, სწორედ აქ უნდა გამეზო ხაფანგში.

«სახლი, როგორც ეს თქვენს ბრწყინვალეებას მეკარემ უთხრა, ეკუთვნოდა მარკიზ დე სენ-მერანს, დე ვილფორის სიმამრს. მარკიზ დე სენ-მერანი მარსელში ცხოვრობდა და ქალაქგარეთ მდებარე სახლი მას არ სჭირდებოდა. ხმები დადიოდა, რომ მარკიზმა იგი მიაქირავა ახალგაზრდა ქვრივს, რომელსაც ბარონესას სახელწოდებით იცნობდნენ.

«მართლაც, ერთ საღამოს, როდესაც ბაღის კედლიდან გადავიხედე, დავინახე ახალგაზრდა ლამაზი ქალი, იგი მარტოდმარტო დასეირნობდა ბაღში და დროდადრო გასცქეროდა პატარა ჭიშკარს. მივხვდი, ამ საღამოს იგი ბატონ დე

ვილფორს ელოდა. როდესაც ამ ქალმა ისე ახლო ჩამიარა, რომ სიბნელეში შევძელი მისი ნაკვთების გარჩევა, დავინახე, რომ ის იყო თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ტანადი, ქერა ქალი. რაკი მას უბრალო ხალათი ეცვა, წელზე არაფერი ჰქონდა მოჭერილი, შევამჩნიე, რომ ფეხმძიმედ იყო და მშობიარობა არცთუ ისე შორს უნდა ყოფილიყო.

«რამდენიმე წუთის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და ბაღში მამაკაცი შემოვიდა. ახალგაზრდა ქალი, რამდენადაც შეეძლო, სწრაფად გაიქცა მის შესახვედრად. ერთმანეთს გადაეხვივნენ, ნაზად გადაკოცნეს და სახლში შევიდნენ.

«ეს კაცი ბატონი დე ვილფორი გახლდათ. მე ვფიქრობდი: უკან დაბრუნებისას, მით უმეტეს, თუკი ღამით მოუწევდა წამოსვლა, მას მარტოს უნდა გამოეველო მთელი ბაღი.

— ვინ იყო ის ქალი? — ჰკითხა გრაფმა, — შემდეგ მაინც თუ გაიგეთ მისი ვინაობა.

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, — უპასუხა ბერტუჩომ, — თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ამის დრო არ მქონდა.

— განაგრძეთ.

— იმ საღამოს ალბათ შევძლებდი მეფის პროკურორის მოკვლას, მაგრამ ჯერ ბაღის ყოველი კუთხე არ მქონდა შესწავლილი, ვშიშობდი, თუ უცებ ვერ მოვკალი, მის ყვირილზე ვინმე მოვა საშველად და ვაითუ გაქცევა ვერ მოვასწრო-მეთქი. გადავწყვიტე, ჩემი განზრახვა შემდეგ შეხვედრამდე გადამედო. რათა უკეთ მედევნებინა თვალყური და არაფერი გამომპარვოდა, პატარა ოთახი ვიქირავე იმ ქუჩაზე, რომელიც ბაღის კედლის გასწვრივ გადიოდა.

«სამი დღის შემდეგ, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე დავინახე, ამ სახლიდან როგორ გამოვიდა მსახური და ცხენის ჭენებით სევრის გზისაკენ გასწია. მივხვდი, რომ იგი ვერსალისაკენ მიდიოდა, და არც შევმცდარვარ. სამი საათის შემდეგ მტვერში ამოსვრილი უკან დაბრუნდა. თავის დავალება უკვე შეესრულებინა. ათი წუთის შემდეგ ქვეითად მოსულმა, წამოსასხამში გახვეულმა მამაკაცმა ჭიშკარი შეაღო და შიგნიდან გადაკეტა.

«სწრაფად გამოვედი სახლიდან, ვილფორის სახე არ დამინახავს, მაგრამ ჩემი გულის ცემის მიხედვით ვიცანი იგი. გადავჭერი ქუჩა და მივედი სამანის ქვასთან, რომელიც ბაღის კუთხის სიახლოვეს იდო და რომლის დახმარებით პირველად ვიხედებოდი ბაღში.

«მაგრამ ამჯერად მარტო ყურებას არ დავჯერდი, ჯიბიდან დანა ამოვიღე, დავრწმუნდი რომ პირი კარგად ჰქონდა გალესილი და კედლიდან ბაღში გადავხტი.

«უპირველეს ყოვლისა, ჭიშკართან მივირბინე. გასაღები კლიტეში დაეტოვებინათ, მაგრამ უბრალო სიფრთხილის გამო ორჯერ გადაეტრიალებინათ.

«ამგვარად, ხელს არაფერი მიშლიდა, რომ ამ ჭიშკრით გავქცეულიყავი. ბაღის დათვალიერებას შევუდექი. იგი გრძელი და ოთხკუთხი იყო, შუა გულში სწორი კორდი იყო, მის კუთხეებში იზრდებოდა ხშირფოთლოვანი ხეები და შემოდგომის ყვავილების ბუჩქები. დე ვილფორს ამ ხეებისათვის გვერდით უნდა ჩაეველო, რათა სახლიდან ჭიშკრამდე მისულიყო, ან ჭიშკრიდან სახლამდე.

«სექტემბრის მიწურული იდგა. ქარი მთელი ძალით უბერავდა. მკრთალ მთვარეს ყოველ წუთში შავი ღრუბლები ეფარებოდა. მთვარე მხოლოდ სახლისაკენ მიმავალ ხეივანების ქვიშას აშუქებდა, მაგრამ ვერ სჭრიდა ხეებში ჩაწოლილ სიბნელეს, ასე რომ ადამიანს თავისუფლად შეეძლო დამალულიყო ამ ხეებში და იმის შიში არ ჰქონოდა, რომ ვინმე შეამჩნევდა.

«მე დავიმაღლე იმ ადგილას, სადაც ვილფორს ყველაზე ახლოს უნდა ჩაევლო. ის იყო ამოვეფარე ხეებს, რომ უცებ ქარის ზუზუნში კვნესა შემომესმა. ქარი ზედ ჩემი შუბლის წინ ხრიდა ხეებს. როგორც მოგეხსენებათ, თქვენო ბრწყინვალეზავ, თუმცა თქვენ ეს საიდან უნდა იცოდეთ, რომ მას, ვინც მკვლელობისათვის ემზადება, ყურში გამუდმებით ესმის ყრუ ხმები. გავიდა ორი საათი. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე გავიგონე იგივე კვნესა. შუალამის საათმა დაჰკრა.

«ჯერ კიდევ ისმოდა საათის უკანასკნელი დარტყმის გრძელი და მოგუგუნე ხმა, რომ სინათლის მკრთალი შუქი დავინახე იმ ოთახის ფანჯრებში, რომლის საიდუმლო კიბეებითაც ჩვენ ეს არის ახლა ჩამოვედით ამ ბაღში.

«კარი გაიღო და წამოსასხამში გახვეული კაცი ისევ გამოჩნდა».

«ეს იყო საშინელი წუთი, მაგრამ მე დიდი ხანია ვემზადებოდი ამ მომენტისათვის, ასე რომ არც კი შევტოკებულვარ; დანა ამოვიღე, გავხსენი და დასარტყმელად გავემზადე.

«წამოსასხამში გახვეული კაცი პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. სანამ უჩრდილო ადგილზე მოაბიჯებდა, შევნიშნე, რომ მარჯვენა ხელში რაღაც იარაღი ეჭირა. შემეშინდა, მაგრამ შებრძოლებისა კი არა, არამედ მარცხისა. როცა რამდენიმე ნაბიჯზე მომიახლოვდა, დავინახე, რომ ის, რაც მე იარაღად მივიღე, ბარი იყო.

«ვერც კი მოვასწარი მომესაზრებინა, რა მიზნით ეჭირა დე ვილფორს ბარი, რომ ის ამ ხეების წინ გაჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა და ორმოს თხრა დაიწყო. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ წამოსასხამის ქვეშ, რომელიც მიწაზე დაეგდო, რათა ხელი არ შემლოდა მუშაობაში, რაღაც ჰქონდა შენახული.

«უნდა გამოგიტყდეთ, სიძულვილის გრძნობას ცნობისმოყვარეობაც დაემატა. მინდოდა გამეგო, რას აპირებდა დე ვილფორი. სუნთქვა შევიკარი, არ ვირხეოდი, ვიდექი და ველოდი.

«შემდეგ თავში ერთმა ფიქრმა გამირბინა. და ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც დავინახე, რომ მეფის პროკურორმა თავის წამოსასხამიდან გამოაძვრინა ორი ფუტი სიგრძისა და შვიდი დიუმის სიგანის პატარა ყუთი.

«დავაცადე ყუთი ორმოში ჩაედო და მიწა მიეყარა. შემდეგ ფხვიერ მიწას ფეხებით დაუწყო ტკეპნა, რათა დაეფარა შუალამის მუშაობის კვალი. აი, სწორედ ამ დროს ვეცი, გულში დანა გავურჭე და ვუთხარი:

«— მე ვარ ჯიოვანო ბერტუჩო! მე გკლავ ჩემი ძმის გამო. შენი განძი წილად ხვდება მის ქვრივს. ხომ ხედავ, შურისძიება უფრო კარგად შევძელი, ვიდრე ამას მოველოდი.

«ვერ გეტყვით, გაიგონა თუ არა ეს სიტყვები. არა მგონია, რადგან ისე წაიქცა, რომ არც კი დაუყვირია. ვიგრძენი, რომ მისი სისხლი შადრევანივით შემესხა სახეზე და ხელებზე. მაგრამ მთვრალი ვიყავ, ვბოდავდი. მისი სისხლი მაგრილებდა, იმის მაგიერ, რომ დავეწვი. ბარის დახმარებით ყუთი სწრაფად ამოვავდე მიწიდან. შემდეგ რათა კვალი არ შეემჩნიათ, ორმო ისევ ამოვავსე, ბარი კედელს იქით გადავისროლე, ჭიშკარს ვეცი, გარედან ორჯერ გადავკეტე, გასაღები თან წამოვიღე და სირბილით თავს ვუშველე.

— მაშ ასე! — თქვა მონტე-კრისტომ, — როგორც ვხედავ, ეს იყო ქურდობის სურვილით გამოწვეული უბრალო მკვლელობა.

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, — შეესიტყვა ბერტუჩო, — ეს იყო ვენდეტა ვალის გადახდით.

— ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი თანხა თუ იყო?

— იქ ფული არ ყოფილა.

— ჰო, მომაგონდა, — თქვა მონტე-კრისტომ, — თქვენ მგონი ბავშვზე ლაპარაკობდით.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალე ბავშვო. მივირბინე მდინარესთან, ნაპირზე ჩამოვჯექე, ვჩქარობდი მენახა, რა იდო ყუთში და კლიტე დანით გავტეხე.

«იქ თხელი ბატისტის ჩვრებში გახვეული ახალდაბადებული ბავშვი იდო. გაწითლებული სახე და ჩალურჯებული ხელები იმას მეტყველებდნენ, რომ იგი დაეხრჩო კისერზე შემოხვეულ ჩიპსს. ჯერ ისევ თბილი იყო, ამიტომ ვერ გადავწყვიტე გადამეგდო მდინარეში, რომელიც ჩემ ფეხქვეშ მიედინებოდა. ერთბაშად ვიგრძენი, რომ გულ-მკერდის არეში რაღაცამ ფეთქვა დაიწყო. მას ყელიდან ჭიპი მოვაცილე და რაკი ბასტიას ჰოსპიტალში ოდესღაც სანიტრად ვმუშაობდი, გავაკეთე ის, რასაც გააკეთებდა ყველა ექიმი ჩემს ადგილზე. მის ფილტვებში ჰაერს ვუშვებდი, თხუთმეტწუთიანი გაუგონარი ცდის შემდეგ ბავშვმა სუნთქვა დაიწყო და დაიჩხავლა. ჩემ მხრივ მეც დავიყვირე, მაგრამ ეს იყო სიხარულის ყვირილი. მაშ დმერთს არ დავუწყევლივარ, — გავიფიქრე, — რახან იგი უფლებას მაძლევს სიცოცხლე დავუბრუნო მის ქმნილებას იმის სანაცვლოდ, რომელიც სხვას წავართვი!

კი მაგრამ, რა უყავით ბავშვს? — ჰკითხა მონტე-კრისტომ. — იგი მეტად უხერხული ტვირთი იქნებოდა გასაქცევად გამზადებული ადამიანისათვის.

— სწორედ ამიტომაც ერთი წუთითაც არ მიფიქრია იგი ჩემთან დამეტოვებინა; მაგრამ ვიცოდი, რომ პარიზში იყო უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, სადაც ღებულობდნენ ასეთ უბედურ არსებათ. სადარაჯოზე განვაცხადე, რომ ბავშვი გზაში ვიპოვე და ვიკითხე სად იყო ბავშვთა თავშესაფარი. ნათქვამის დასადასტურებლად ყუთი დავიმოწმე. ბატისტის ჩვრები მეტყველებდნენ, რომ ბავშვს მდიდარი მშობლები ჰყავდა. სისხლი, რომლითაც მე ვიყავი მოსვრილი, ისევე შეეძლოთ ბავშვის სისხლად ჩაეთვალო, როგორც სხვა ვინმესი. ჩემ ნაამბობს არავისში ეჭვი არ აღუძრავს. მიმასწავლეს ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც ანფერის ქუჩის ბოლოს მდებარეობდა. არტახი ორად გავხიე, ისე რომ ორი ასოდან, რომელიც მასზე იყო აღბეჭდილი, ერთი ბავშვს დავუტოვე, მეორე კი მე შევინახე. ამის შემდეგ ჩემი ტვირთი კარის ზღურბლზე დავდე, ზარი დავრეკე და რაც ძალ-ღონე მქონდა მოვკურცხლე. ორი კვირის შემდეგ მე უკვე როლიანოში ვიყავი და ასუნტას ვეუბნებოდი:

«— თავი ინუგეშე, ჩემო დაო, ისრაელი მოკვდა, მაგრამ მე შური ვიძიე მის მაგიერ.

«— მაშინ მან მკითხა ამეხსნა ამ სიტყვების მნიშვნელობა და მეც მოვუყევი ყველაფერი, რაც გადამხდა.

«— ჯიოვან, — მითხრა ასუნტამ, — ბავშვი თან უნდა წამოგეყვანა, ჩვენ მას მშობლების მაგივრობას გავუწევდით, რომელიც მან დაჰკარგა. ჩვენ მას დავარქმევდით ბენედეტოს,¹ (¹ ბენედეტო — დალოცვილი, კურთხეული.) და ასეთი კეთილი მოქმედებისათვის ღმერთი ნამდვილად დაგვლოცავდა.

«პასუხის ნაცვლად მივეცი იმ ჩვარის ნახევარი, რომელიც იმისათვის შევინახე, რომ ბავშვი მომეთხოვა იმ შემთხვევაში, თუ გავმდიდრდებოდი.

— მერედა რა ასოები იყო აღნიშნული ამ ჩვრებზე? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— H და N ბარონის გვირგვინის ქვეშ.

— ღმერთო ნუ მიწყენ, თქვენ ერკვევით ღერბებში, ეშმაკმა დალახვროს, სად ისწავლეთ ჰერალდიკა?

— თქვენთან სამსახურში, ბატონო გრაფო, ყველაფერს ისწავლის ადამიანი.

— განაგრძეთ. მე ორი რამ მაინტერესებს...

— რა, თქვენო ბრწყინვალე ბავშვო?

- რა მოუვიდა პატარა ბიჭს, თქვენ ვგონებ მითხარით, რომ ის ბავშვი ბიჭი იყო.
- არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, მე არ მახსოვს, რომ ეს მეთქვას.
- მაშ ალბათ მომესმა, მოვტყუებულვარ.

— არა, თქვენ არ შემცდარხართ, იგი ნამდვილად ბიჭი იყო. თქვენს ბრწყინვალეზავს კიდევ აინტერესებდა რაღაცის გაგება.

— მე მინდა ვიცოდე, რა დანაშაულს გაბრალებდნენ, როდესაც თქვენ მოძღვარს ითხოვდით და თქვენთან ამ თხოვნაზე ნიმის ციხეში აბატი ბუზონი გამოცხადდა.

— მაშინ ეს ამბავი, თქვენო ბრწყინვალეზავ, შეიძლება ძალიან გამიგრძელდეს.

— მერე რა მოხდა? ჯერ მხოლოდ ათი საათია, თქვენ ხომ იცით, რომ მე გვიან ვიძინებ და, ვფიქრობ, არც თქვენ გაქვთ ძილის სურვილი.

ბერტუჩომ თავი დაუკრა და ამბის მოყოლა განაგრძო:

— ერთი მხრივ, რათა ის მოგონებები გამეფანტა, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევდნენ, და მეორეს მხრივ, რათა საწყალი ქვრივისათვის ლუკმაპური მეშოვა, ისევ აღზნებით მოვკიდე ხელი კონტრაბანდისტობას. ეს საქმე ახლა უფრო ადვილი იყო, რადგან კანონები უფრო შერბილდა, როგორც ეს საერთოდ რევოლუციის შემდეგ ხდება ხოლმე. განსაკუთრებით ცუდი დაცვა ჰქონდა სამხრეთის სანაპიროებს მუდმივი აჯანყებების გამო, რომლებიც ხან ავინიონში, ხან ნიმში, ხან კი იუზესში ხდებოდა. მთავრობის მიერ მიცემული ეს შესვენება ჩვენ იმისათვის გამოვიყენეთ, რომ კავშირი დაგვემყარებინა მთელი სანაპიროს მოსახლეობასთან. მას შემდეგ, რაც ჩემი ძმა მოჰკლეს ნიმის ქუჩაზე, არ მინდოდა ამ ქალაქში დავბრუნებულიყავ. ტრაქტირის პატრონმა, რომელთანაც ჩვენ საქმეებს ვაწარმოებდით, რაკი დაინახა, რომ აღარ ვაკითხავდით, თვითონ მოგვძებნა და თავისი ტრაქტირის განყოფილება გახსნა ბელგრადიდან ბოკერში მიმავალ გზაზე «გარდის ხიდის» სახელწოდებით. ამგვარად, ჩვენ ეგ-მორტის, მარტიგის და ბუკის გზებზე ათობით საქონლის საწყობი გვექონდა, ხოლო გაჭირვების შემთხვევაში თავშესაფარს ვპოულობდით და ვემალეობდით საბაჟო მოხელეებსა თუ ჟანდარმებს. კონტრაბანდისტობა სასარგებლო ხელობაა, როდესაც მას ჭკვიანად და ენერგიულად იყენებ. რაც შემეხება მე, მთებში ვცხოვრობდი. ახლა განსაკუთრებით უნდა მშინებოდა ჟანდარმებისა და საბაჟო მოხელეებისა. ცნობილია, რომ ყოველგვარი ძიება წარსულით ინტერესდება, ჩემ წარსულში კი შეიძლებოდა ეპოვათ უფრო სერიოზული რამ, ვიდრე კონტრაბანდისტული სიგარები ან უნებართვოდ შემოტანილი არყის პატარა კასრები. ამგვარად, დაპატიმრებას ათჯერ სიკვდილი მერჩია; პირდაპირ განსაცვიფრებელ საქმეებს ჩავდიოდი და არა ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ გადამეტებული სიფრთხილე საკუთარი ტყავის მიმართ ყველაზე მეტად უშლის ხელს ჩვენი გეგმის შესრულებას, რომელიც მოითხოვს სწრაფ გადაწყვეტილებას და გამბედაობას. მართლაც, ერთხელ თუ გადასწყვეტ არ გაუფრთხილდე შენს სიცოცხლეს, უკვე აღარ გავხარ სხვა ადამიანებს, ანუ უკეთ, სხვა ადამიანები აღარ გგვანან შენ; ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს ღებულობს, იმ წუთშივე იგრძნობს, როგორ იზრდება მისი ძალები და ფართოვდება მისი ჰორიზონტი.

— ფილოსოფოსობთ, ბატონო ბერტუჩო, — შეაწყვეტინა გრაფმა, — როგორც ჩანს, თქვენ, ცხოვრებაში ცოტა-ცოტათი ყველაფერზე მოგიკიდიათ ხელი.

— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— არა უშავს, არა უშავს, მაგრამ ფილოსოფოსობა ღამის თეთრთმეტის ნახევარზე, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია. თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრება არა მაქვს, იმიტომ, რომ რასაც თქვენ ამბობთ, მე სწორად მიმაჩნია. ეს კი არ ითქმის ყველა ფილოსოფიური სისტემის მიმართ.

— ჩემი მგზავრობანი სულ უფრო შორეული და უფრო სარგებლიანი ხდებოდა. ასუნტა კარგი დიასახლისი იყო და ჩვენი პატარა ქონება იზრდებოდა. ერთ დღეს, როდესაც კვლავ მივემგზავრებოდი, ასუნტამ მითხრა: — «წადი და მე სიურპრიზს დაგახვედრებო».

«ბევრი ვეცადე გამეგო რას აპირებდა, მაგრამ უშედეგოდ, არაფერს მეუბნებოდა და მე გავემგზავრე.

«ჩემი ეს მგზავრობა თითქმის ექვს კვირას გაგრძელდა, ლუკში ერბოთი დავიტვირთეთ, ლიფორნოში — ინგლისური ბამბის ქსოვილებით. ეს საქონელი ყოველგვარი ხიფათის გარეშე გადმოვტვირთეთ, ყველაფერი გავყიდეთ და შინ მხიარულები დავბრუნდით.

«პირველი, რაც მე ასუნტას ოთახში შესვლისას დავინახე, ეს იყო ოთახის მოწყობილობასთან შედარებით მდიდრულ აკვანში მწოლიარე შვიდი-რვა თვის ბავშვი. მე სიხარულისაგან შევეყვირე. მას შემდეგ, რაც მეფის პროკურორი მოვკალი, მიგდებულ ბავშვზე ფიქრი მოსვენებას არ მამლევდა. უნდა გითხრათ, რომ თვითონ მკვლელობა სულაც არ მაწუხებდა.

«საწყალი ასუნტა ყველაფერს მიმხვდარიყო: ესარგებლა ჩემი არ ყოფნით, არტახის ნახევარი აელო, ზუსტად ჩაეწერა დღე და საათი, როდესაც ბავშვი თავშესაფრის ზღუდესთან იქნა მიგდებული და თვითონ წასულიყო პარიზში მის ჩამოსაყვანად. მისთვის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიეცათ ბიჭუნა.

«უნდა გამოგიტყდეთ, ბატონო გრაფო, როდესაც ის საცოდავი ქმნილება აკვანში მმინარე დავინახე, თავი ველარ შევიკავე და თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა.

«— ასუნტა, — შევეყვირე მე, — შენ მართლაც კარგი ქალი ხარ და განგება დაგლოცავს.

— აი, ეს კი ისეთი დასაჯერებელი აღარაა, როგორც შენი ფილოსოფია, — შენიშნა მონტე-კრისტომ, — თუმცა ეს რწმენის ამბავია.

— მართალი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ, — განაგრძო ბერტუჩომ, განგებამ სწორედ ეს ბავშვი მოავლინა ჩემს დასასჯელად. არასოდეს უკუღმართი ბუნება არ გამომჟღავნებულა ასე ნაადრევად, როგორც მასში, თუმცა ვერ იტყოდით, რომ ცუდად ზრდიდნენ: ჩემი რძალი ისე უვლიდა, როგორც თავადიშვილს შეეფერება. ეს იყო საუცხოო სახის ბავშვი, ღია ცისფერი თვალებით, ასეთი ფერი გვხვდება ჩინურ ფაიფურზე და კარგად შეეხამება სახის რძისფერ კანს. ოღონდ ოქროსფერი, ქერა თმა მის სახეს ოდნავ უცნაურ იერს აძლევდა, განსაკუთრებით ცოცხალი მზერისა და ემმაკური ღიმილის დროს. არსებობს ანდაზა, წითური ადამიანები ან ძალიან კარგები არიან, ან ძალიან ცუდებიო. საუბედუროდ, ეს ანდაზა, ზედგამოჭრილი გამოდგა ბენედეტოს მიმართ, ბავშვობიდანვე მხოლოდ ცუდ მხარეებს ამჟღავნებდა. მართალია, მისი დედობილის უწყინარი ხასიათი ხელს უწყობდა მის ამ მიდრეკილებებს. ჩემი საწყალი რძალი ხუთ ლიეს მანძილზე მიდიოდა ახლად შემოსული ხილისა და ყველაზე ძვირი ტკბილეულის საყიდლად — ის ბავშვი კი პოლის ფორთოხლების და გენუის გამხმარ ხილთან შედარებით უპირატესობას აძლევდა მეზობლის ღობიდან მოპარულ წაბლს, ან მათ ბანზე გამხმარ ვაშლის ჩირს, თუმცა მის განკარგულებაში იყო წაბლი და ვაშლი ჩვენი საკუთარი ბაღიდან.

«ერთხელ, როდესაც ბენედეტო ხუთი თუ ექვსი წლისა იყო, ჩვენმა მეზობელმა ვასილიომ, რომელიც არასოდეს არ კეტავდა ქისას და თავის ძვირფასეულობას, რადგანაც, როგორ თქვენს ბრწყინვალეზავს მოეხსენება, კორსიკაში ქურდები არ არიან, შემოგვჩვილა, რომ მას ლუიდორი დაეკარგა. თავდაპირველად გვეგონა, რომ ფული

სწორად ვერ დაითვალა, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ არ შემცდარა. ამ დღეს ბენედეტო შინიდან დილაადრიანად გავიდა და ძალზე შეშფოთებული ვიყავით, მაგრამ საღამოთი დაბრუნდა და თან მაიმუნი მოათრია. მან გვითხრა, მაიმუნი ხეზე ჯაჭვით მიბმული ვიპოვეო. უკვე ერთი თვე იყო, რაც ამ ბოროტ ბიჭს, რომელმაც არ იცოდა რა გამოეგონებინა, აჩემებული ჰქონდა მაიმუნი ჩაეგდო ხელში. ეს საუბედურო ფანტაზია, ალბათ, ჩაუნერგა ჯამბაზმა, რომელმაც როლიანოში ჩამოიარა: მას რამდენიმე მაიმუნი ჰყავდა, რომლებიც ათასგვარ ოინს ჩადიოდნენ და ბენედეტო მეტისმეტად გაართეს.

«— ჩვენს ტყეებში მაიმუნებს ვერ შეხვდებოდი, მით უმეტეს მიჯაჭვულს, გამოტყდი, როგორ იშოვე იგი, — ვუთხარი მას.

«ბენედეტო თავისას არ იშლიდა და ჰყვებოდა ისეთ დეტალებს, რომლებიც მის ფანტაზიას უფრო სდებდნენ პატივს, ვიდრე სიმართლის სიყვარულს. მოთმინებიდან გამოვედი, ბავშვს სიცილი აუტყდა, მე დავემუქრე, მან ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

«— შენ არ შეგიძლია ჩემი ცემა, — მითხრა მან, — ამის უფლება არა გაქვს, შენ მამაჩემი არა ხარ.

«ჩვენ დღესაც არ ვიცით, ვინ გაუმხილა მას ეს საბედისწერო საიდუმლოება, რომელსაც ასეთი დიდი სიფრთხილით ვუმალავდით. ასე იყო თუ ისე, ამ პასუხმა, რომელშიც გამომჟღავნდა ბავშვის მთელი ბუნება, თითქმის შემაშინა და აწეული ხელი ჩამომივარდა, ისე რომ დამნაშავეს არც კი შევხებივარ. ბავშვი ზეიმობდა. ამ გამარჯვებამ ისე გაათამამა, რომ მას აქეთ ასუნტა, რომლის სიყვარული ბენედეტოს მიმართ მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ნაკლებ იმსახურებდა ის ამას, მთელ თავის ფულს მისი ჟინის დასაკმაყოფილებლად ხარჯავდა, ვინაიდან ქალს ძალა არ ჰყოფნიდა მისთვის უარი ეთქვა. სანამ როლიანოში ვიყავი, ამ საძაგელი ბიჭის საქციელი კიდევ ასატანი იყო, მაგრამ როგორც კი წავიდოდი, ბენედეტო ოჯახის უფროსი ხდებოდა და ყველაფერი თავუკუდმა მიდიოდა. ის თერთმეტი წლისა არც კი იქნებოდა, ამხანაგები კი არჩეული ჰყავდა თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკთა შორის, რომლებიც ბასტიში და კორტში ყველაზე საშიშ პიროვნებებად ითვლებოდნენ და ცუდი მოქმედებებისათვის უარეს სახელწოდებას იმსახურებდნენ. მათ შესახებ მთავრობისაგან არაერთხელ ვიყავით გაფრთხილებული.

«შევშინდი: ყოველგვარ კვლევა-ძიებას ჩემთვის შეიძლებოდა დამდუპველი შედეგი მოჰყოლოდა. სწორედ ამ დროს კორსოდან მეტად სერიოზული მგზავრობა მელოდა. დიდხანს ვფიქრობდი და რაკი წინათგრძნობა მიკარნახებდა, რომ ამით უბედურებას ავიცილებდი, გადავწყვიტე ბენედეტო თან წამეყვანა. იმედი მქონდა, კონტრაბანდისტების მკაცრი და მძიმე ცხოვრება, მკაცრი საზღვაო დისციპლინა შესცვლიდა ამ გაფუჭებულ თუ არა, საბოლოოდ გახრწნილ ხასიათს.

«ბენედეტოს დავუმახე და ჩემთან ერთად გამგზავრება შევთავაზე. ამ წინადადებას თან დავაყოლე ყოველგვარი დაპირებები, რითაც შეიძლებოდა მოხიბლულიყო თორმეტი წლის ბიჭი.

«ის ყურს უგდებდა ჩემს ლაპარკს და როდესაც დავამთავრე, გადაიხარხარა.

«— გაგიჟდით, ბიძაჩემო! — თქვა მან (ასე მომმართავდა იგი, როდესაც კარგ გუნებაზე იყო). — გავცვალო ჩემი ცხოვრება, ჩემი ტკბილი და საუცხოო სიზარმაცე თქვენს ცხოვრებაში და იმ საშინელ შრომაში, რომელსაც თქვენ ეწეებით! ღამით გავიყინო, დღისით სიციხით დავიწვა! მუდამ ვიმალო, ხოლო გამოჩენისთანავე ტყვიას ველოდო; და ყოველივე ეს იმისათვის, რომ ცოტაოდენი ფული ვიშოვო; ფული რამდენიც მინდა, იმდენი მაქვს. დედაჩემი ასუნტა, როგორც კი მოვითხოვ, მაშინვე

მამლევს. მაშ, როგორც თვითონაც ხედავთ, სულელი უნდა ვიყო, რომ თქვენი წინადადება მივიღო.

«მისმა ასეთმა თავხედობამ და მსჯელობამ გამაშტერა. ბენედეტო თავის ამხანაგებს მიუბრუნდა, მე შორიდან ვხედავდი, რომ იგი მათ ჩემზე ანიშნებდა და დამცინოდა.

— მომხიბვლელი ბავშვი! — ჩაიჩურჩულა მონტე-კრისტომ.

— ოჰ, ის რომ ჩემი ყოფილიყო, — თქვა ბერტუჩომ, — ჩემი შვილი რომ ყოფილიყო, ან ყოველ შემთხვევაში ძმისშვილი მაინც, შევძლებდი კიდევ დამეყენებინა სწორ გზაზე, რადგანაც უფლების შეგნება ძალას გვაძლევს. მაგრამ ის აზრი, რომ უნდა მეცემა ბავშვი, რომელსაც მამა მოვუკალი, მისი გამოსწორების ყოველგვარ შესაძლებლობას მიკარგავდა. კეთილ რჩევებს ვაძლევდი იმ უბედურ ჩემ რძალს, რომელიც ყოველთვის იცავდა ბავშვს. ერთხელ გამომიტყდა, რომ რამდენჯერმე საკმაოდ დიდი თანხა დაკარგა. მაშინვე ვუთხარი სხვა ადგილას შეენახა, ჩვენი მცირე ქონება. ხოლო მე, უკვე გადაწყვეტილება მიღებული მქონდა. ბენედეტო კარგად კითხულობდა, წერდა და ანგარიშობდა, რადგანაც, როდესაც შემთხვევით სწავლის სურვილი მოუვლიდა, ერთ დღეში ითვისებდა იმას, რასაც სხვები ერთ კვირას ანდომებდნენ. როგორც უკვე გითხარით, გადაწყვეტილი მქონდა ის საქმეთა მწარმოებლად გამეყოლებინა შორეული ნაოსნობის რომელიმე ხომალდისათვის. ერთ მშვენიერ დღეს, გაუფრთხილებლად, შინიდან გამეყვანა და გემზე დამეტოვებინა. კაპიტანს ჩავაბარებდი და ამგვარად მისი მომავალი მთლიანად მასზე იქნებოდა დამოკიდებული.

«ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საფრანგეთში გავემგზავრე.

«ამჯერად მთელი ჩვენი ოპერაციები უნდა შესრულებულიყო ლიონის ყურეში. მისი შესრულება რაც დრო გადიოდა, უფრო ძნელდებოდა, რადგან უკვე 1829 წელი იდგა. მშვიდობიანობა მთლიანად აღადგინეს და ზღვის სანაპიროზე ზედამხედველობა უფრო მკაცრი გახდა, ვიდრე ოდესმე. ეს ზედამხედველობა დროებით კიდევ უფრო გაძლიერდა, იმის გამო, რომ ბოკერში ბაზრობა გაიხსნა.

«ჯერ საქმე შეუფერხებლად მიდიოდა, ჩვენი ნავი, რომელსაც ორმაგი ფსკერი ჰქონდა კონტრაბანდისტული საქონლის დასამატებლად, დავაყენეთ მრავალ ნავს შორის, რომლებიც გამწვრივებული იყო რონის ორივე ნაპირზე ბოკერიდან არღამდე. აქ მოსვლისთანავე შევუდექი აკრძალული საქონლის გადმოტვირთვას და ქალაქში გადაგზავნას, იმ ადამიანების საშუალებით, რომლებსაც ჩვენთან კავშირი ჰქონდათ, ან მეტრაქტირების დახმარებით, რომლებთანაც საწყობები გვექონდა. არ ვიცი წარმატებამ თავბრუ დაგვახვია და სიფხიზლე დაგვაავიწყა, თუ გავცეს, ერთხელ, დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე, როდესაც სავახშმოდ შევიკრიბეთ, ჩვენთან მოირბინა შეშფოთებულმა მორბედმა ბიჭმა და შეგვატყობინა, რომ ჩვენსკენ მოდიოდა საბაჟო მოხელეების მთელი რაზმი. სიმართლე გითხრათ, ჩვენ შეგვაშინა არა საბაჟო მოხელეების რაზმმა — რონას ნაპირებზე მაშინ მთელი ასეულები დახეტიალობდნენ — არამედ იმ სიფრთ ხილემ, რაც, იმ ბიჭის თქმით, რაზმში იჩენდა, რათა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. იმ წუთშივე ფეხზე წამოვიჭერით, მაგრამ უკვე დაგვგვიანებოდა. ჩვენი ნავი, უეჭველია ალყაშემორტყმული იყო. საბაჟო მოხელეებს შორის რამდენიმე ჟანდარმი შევნიშნე, და რაკი მათ დანახვაზე ისეთივე სიმხდალეს ვიჩენდი, რამდენადაც უშიშრად ვხვდებოდი სხვა დანარჩენ სამხედრო რაზმებს, სწრაფად ჩავედი ნავის ტრიუმში და სატვირთო ფანჯრიდან მდინარეში გადავეშვი. წყლის ქვეშ მივცურავდი და მხოლოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ თუ ამოვყოფდი თავს ჰაერის ჩასასუნთქად. ასე რომ, შეუმჩნეველად მივცურე ახლად

გათხრილ თხრილამდე, რომელიც რონას აერთებდა ბოკერიდან გმორტისაკენ მიმავალ არხთან. რაკი ამ ადგილამდე მივალწიე, თავი უკვე გადარჩენილად მივიჩნიე, რადგან შემეძლო შეუმჩნევლად მეცურა. ამრიგად, ყოველგვარი ხიფათის გარეშე არხამდე მივალწიე. ეს გზა შემთხვევით როდი ავირჩიე, მე უკვე ვუთხარი თქვენს ბრწყინვალეებას, რომ ნიმელ მეტრაქტირეს პატარა დუქანი ეკავა ბოკერისაკენ მიმავალ გზაზე.

— დიახ, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მშვენივრად მახსოვს, — თუ არ ვცდები, ეს კაცი თქვენი ამხანაგი იყო.

— დიახ, დიახ. — უპასუხა ბერტუჩომ, — მაგრამ მან შვიდი თუ რვა წლის წინათ თავისი ტრაქტირი მიჰყიდა ყოფილ მარსელელ თერძს, რომელიც თავის ხელობამ გააღარიბა და გადაწყვიტა ბედი სხვა საქმეში ეცადა. რასაკვირველია, კავშირი, რომელიც პირველ მფლობელთან გვქონდა, მეორესთანაც განვაგრძეთ. აი, სწორედ ამ კაცთან ვფიქრობდი თავის შეფარებას.

— რა ერქვა ამ კაცს? — ჰკითხა მონტე-კრისტომ, რომელიც, ეტყობოდა, ისევ დაინტერესდა იმ ამბით, რომელსაც ბერტუჩო ჰყვებოდა.

— გასპარ კადრუსი. მას ცოლი ჰყავდა სოფელ კარკონტადან. ამ ქალს ჩვენ ყველანი მხოლოდ ამ სოფლის სახელით ვიცნობდით. ეს საწყალი ქალი ჭაობის ციებით იყო დაავადებული, თანდათან ილეოდა და სიკვდილის პირამდე იყო მისული. რაც შეეხება მამაკაცს, ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის ჯანმრთელი ვაჟკაცი იყო. მან მძიმე წუთებში არა ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი მახვილი გონება და სიმამაცე.

— რომელ წელს მოხდა ეს ამბავი, როგორა თქვით? — შეეკითხა მონტე-კრისტო.

— 1829 წელს, ბატონო გრაფო.

— რომელ თვეში? — ივნისში.

— დასაწყისში, თუ ბოლოს?

— ეს იყო სამ ივნისს, საღამოთი.

— მაშ ასე, — გაიმეორა მონტე-კრისტომ, — სამი ივნისი, 1829 წ. კარგი, განაგრძეთ.

— მე ვფიქრობდი კადრუსისათვის მეთხოვა თავშესაფარი. მაგრამ რაკი თვით მშვიდობიან ვითარებაშიც კი ჩვენ მასთან ქუჩისპირა კარით არ შევიდოდით, გადავწყვიტე არ გადამეხვია ამ ჩვეულებისათვის: გადავხტი ბაღის ბოლოზე, ხოხვით გავძვერი ზეთისხილის ტანდაბალ და გარეული ლეღვის ხეებს შორის და იმის შიშით, ვაითუ კადრუსს ტრაქტირში ვინმე ჰყავს-მეთქი, მივედი ფიცრულამდე, რომელშიც ხშირად უკეთ გამიტარებია ღამე, ვიდრე საუკეთესო ლოჯინში.

«ამ ფიცრულს ქვედა სართულის ოთახისაგან ჰყოფდა მხოლოდ ტიხარი, რომელშიც ჭუჭრუტანები განგებ იყო დატოვებული, რათა ჩვენ შესაძლებლობა გვქონოდა გვეთვალთვალა, ხელსაყრელი დრო შეგვერჩია და გვეცნობებინა, რომ მეზობლად ვიმყოფებოდით. თუ კადრუსი მარტო აღმოჩნდებოდა, ვფიქრობდი ჩემი მისვლა მეცნობებინა და მასთან დამემთავრებინა საბაჟო მოხელეების მიერ შეწყვეტილი ვახშამი. ამის შემდეგ კი მესარგებლა ქარიშხლის მოახლოებით, რონის ნაპირებზე დავბრუნებულიყავ და გამეგო რა მოუვიდა ნავს და მასში მყოფთ. ამგვარად, ჩუმად შევძვერი ფიცრულში და კარგადაც მოვიქეცი, რადგანაც სწორედ ამ დროს კადრუსი შინ დაბრუნდა ვიღაც უცნობთან ერთად.

დავდუმდი და ლოდინი დავუწყე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჩემი მასპინძლის საიდუმლოება გამეგო, არამედ არ შემეძლო სხვანაირად მოქცეულიყავი; ესეც არ იყოს, ერთი ათჯერ მაინც მქონია ასეთი შემთხვევა.

«ის კაცი, რომელიც კადრუსს მოჰყვა, უეჭველია უცხო იყო სამხრეთ საფრანგეთისათვის. ეს იყო იმ ერთი სოვდაგართაგანი, რომელიც ბოკერის ბაზარზე

ძვირფასი ნივთების გასასყიდად მოდის და აქ რჩება ერთი თვის განმავლობაში, სანამ გრძელდება ეს ბაზრობა, რომელიც ევროპის ყველა ქვეყნების ვაჭრებსა და მყიდველებს იზიდავს; აქ ზოგჯერ ასი, ას ორმოცდაათი ათასი ფრანკის გარიგებას ახდენენ.

«კადრუსი პირველი შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით, როცა დაინახა, რომ ქვედა სართულის დარბაზი ცარიელი იყო და მხოლოდ ძალი იცავდა მას, თავის ცოლს დაუძახა.

— კარკონტა, იმ ღირსეულ მღვდელს არ მოუტყუებივართ, ალმასი ნამდვილია.

გაისმა მხიარული შემახილი და თითქმის მაშინვე კიბეები ააჭრიალა სისუსტისა და ავადმყოფობისაგან დამძიმებულმა ფეხებმა.

«— რა თქვი? — ჰკითხა მიცვალებულზე უფრო გაფითრებულმა კარკონტამ.

«— იმას ვამბობ, რომ ალმასი ნამდვილია, და ეს ბატონი, პარიზის ერთ-ერთი უპირველესი ოქრომჭედელი, მზადაა მოგვცეს ორმოცდაათი ათასი ფრანკი, მაგრამ იმის დასარწმუნებლად, რომ ეს ქვა ნამდვილად ჩვენია, ითხოვს შენც მოუყვე, რა ჯადოსნური გზით ჩავგივარდა ხელში ეს ქვა. მანამდე კი, — მიუბრუნდა იგი თავის სტუმარს, — კეთილი ინებეთ და დაბრძანდით. ახლა ისეთი დიდი სიცხეებია, რომ გასაგრილებელი არ გაწყენთ, წავალ მოვიტან რამეს.

«ოქრომჭედელი ყურადღებით ათვალთვრებდა ტრაქტირს. მას თვალში ხვდებოდა იმ ადამიანთა სიღარიბე, რომლებიც წინადადებას აძლევდნენ ეყიდა თავადის ზარდახშის შესაფერისი ალმასი.

«— დაიწყეთ, ქალბატონო, — უთხრა კარკონტას ოქრომჭედელმა, რომელსაც, როგორც ჩანდა, უნდოდა ესარგებლა ქმრის არყოფნით, რომ მას ცოლზე რაიმე გავლენა არ მოეხდინა და გამოერკვია, როგორ დაემთხვეოდა ერთმანეთს ორივე მონაყოლი.

«— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ალაქლაქდა ქალი, — ეს ღვთის წყალობაა, რომელსაც ჩვენ სრულებით არ ველოდით. წარმოიდგინეთ, ძვირფასო ბატონო, რომ ჩემი ქმარი 1814 თუ 1815 წლებში მეგობრობდა ერთ მეზღვაურს, რომელსაც ერქვა ედმონდ დანტესი. იმ საწყალ ყმაწვილს, რომელიც კადრუსმა სულ მიივიწყა, გახსენებია იგი და სიკვდილის წინ მისთვის დაუტოვებია ის ალმასი, რომელიც თქვენ ნახეთ.

«— კი მაგრამ, როგორ გახდა იგი ამ ალმასის მფლობელი? — ჰკითხა ოქრომჭედელმა. — სანამ დაიჭერდნენ, მანამდე ხომ არ ჰქონია ეს ქვა?

«— არა ბატონო. — უპასუხა ქალმა. — მას ციხეში გაუცვნია ძალიან მდიდარი ინგლისელი. ეს კაცი, რომელიც მასთან ერთად იყო საკანში, ავად გამხდარა; დანტესი მას თურმე ღვიძლ ძმასავით უვლიდა. ციხიდან გამოსვლისას ამ ინგლისელს ალმასი უჩუქებია საწყალი დანტესისათვის, რომელიც ნაკლებ ბედნიერი აღმოჩნდა, ვიდრე იგი და ციხეში მოკვდა. დანტესმა კი სიკვდილის წინ ალმასი ჩვენ გვიანდერმა და გადასცა ღირსეულ აბატს, რომელმაც ამ დილით მოგიტანა იგი.

«— მან თითქმის იგივე გაიმეორა, — ჩაიჩურჩულა ოქრომჭედელმა. — ბოლოს და ბოლოს ეს ამბავი შეიძლება მართლაც ასე მოხდა, თუმცა პირველი შეხედვით დაუჯერებელი გვეჩვენება. მაშ თუ ასეა, — თქვა მან ხმამაღლა, — საქმე მხოლოდ ფასშია, რომელზედაც ჩვენ ჯერ არ შევთანხმებულვართ.

«— როგორ თუ ჯერ არ შევთანხმებულვართ, — თქვა კადრუსმა, — მეგონა, თქვენ დათანხმდით იმ ფასს, რომელსაც მე მოგიტხოვდი.

«— ესე იგი, თქვენ თანახმა ხართ, — თქვა უცნობმა, — მიიღოთ ორმოცი ათასი ფრანკი, რომელიც მე შემოგთავაზეთ.

«— ორმოცი ათასი ფრანკი! — შეჰყვირა კარკონტამ, — არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ ასეთ ფასში. აბატმა გვითხრა, რომ იგი უზუდეოდ ორმოცდაათი ათასი ფრანკი ღირს.

«— რა ერქვა იმ აბატს?

«— აბატი ბუზონი. — უპასუხა ქალმა.

«— მაშ, ის უცხოელი იყო?

«— ვგონებ იტალიელი იყო, მანტუის მიდამოებიდან.

«— მიჩვენეთ ალმასი, — თქვა ოქრომჭედელმა, — კიდევ ერთხელ ვნახო; ზოგჯერ ერთი დანახვით კაცი შეცდება ქვების შეფასებაში.

«კადრუსმა ჯიბიდან ამოიღო შაგრენის ტყავში გახვეული პატარა ყუთი, გახსნა იგი და უცნობს მისცა. ალმასის დანახვაზე, რომელიც პატარა კაკლის ოდენა იყო (ისე მახსოვს, თითქოს ახლა ვხედავ), კარკონტას თვალები სიხარბით აუელვარდა.

— თქვენ რაღას ფიქრობდით, ბატონო ყურისმგდელო? — ჰკითხა მონტე-კრისტომ. — დაიჯერეთ ეს ლამაზი ზღაპარი?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, კადრუსს ბოროტ ადამიანად არ ვთვლიდი, რომ მას შეეძლო რაიმე დანაშაული ჩაედინა ან რაიმე მოეპარა.

— ეს უფრო თქვენს გულს დებს პატივს, ვიდრე თქვენს გამოცდილებას, ბატონო ბერტუჩო. იცნობდით თქვენ იმ ედმონდ დანტესს?

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, მასზე იმ დღემდე და არც მას შემდეგ არაფერი მსმენია. მხოლოდ ერთხელ მისი სახელი გავიგონე აბატ ბუზონისაგან, როდესაც მან ნიმის ციხეში მინახულა.

— კარგი, განაგრძეთ.

«ოქრომჭედელმა კადრუსს ხელიდან ბეჭედი გამოართვა და ჯიბიდან მარწუხი და პაწაწკინტელა თითბერის სასწორი ამოიღო. შემდეგ ოქროს პოჭოჭიკები, რომლებიც ალმასს ამაგრებდა, განზე გასწია, ალმასი ბუდიდან ამოიღო და ფრთხილად სასწორზე დადო.

«— მე თანახმა ვარ ორმოცდახუთი ათასი ფრანკი მოგცეთ, — თქვა მან, — მაგრამ არავითარ შემთხვევაში არც ერთი გროში ზედმეტი, ესეც არ იყოს, რაკი ეს ალმასის ნამდვილი ფასია, მეც თან სწორედ ეს თანხა წამოვიღე.

«— ეს არაფერია, — უთხრა კადრუსმა, — მე წამოგყვებით ბოკერში დანარჩენი 5 000 ფრანკის მისაღებად.

«— არა, უპასუხა ოქრომჭედელმა და კადრუსს ბუდე და ალმასი დაუბრუნა, — მეტი არ შეიძლება. ის კი არა, ვწუხვარ, რომ ეს თანხა შემოგთავაზეთ, რადგან ქვას აქვს წუნი (ზადი), რომელიც მე პირველად ვერ შევნიშნე. მაგრამ რა გაეწყობა, სიტყვის პატრონი ვარ, ვთქვი ორმოცდახუთი ათასი ფრანკი და აღარ გადავთქვამ.

— ყოველ შემთხვევაში ალმასი ისევ ბუდეში ჩადეთ, — თქვა გაბრაზებით კარკონტამ.

«— თქვენ მართალი ხართ, — თქვა ოქრომჭედელმა და ქვა ბუდეში ჩასვა.

«— კარგი, კარგი, — თქვა კადრუსმა და ბუდე ჯიბეში ჩაიღო, — არაფერია, სხვას მივყიდით.

«— დიახ, — უპასუხა ოქრომჭედელმა, — მაგრამ სხვასთან ისე ადვილად ვერ გაარიგებთ საქმეს, როგორც ჩემთან. სხვა არ დაიჯერებს იმ ამბავს, რომლებიც თქვენ მე მითხარით. სინამდვილეს არა ჰგავს, რომ თქვენი მდგომარეობის კაცი ფლობდეს ორმოცდაათი ათას ფრანკად ღირებულ ალმასს; იგი აცნობებს მთავრობას, მოსამებნი გახდება აბატი ბუზონი, ხოლო ისეთი აბატების პოვნა, რომლებიც ორი ათას ლუიდორად ღირებულ ალმასებს არიგებენ, ძნელია. მართლმსაჯულება ალმასს

ყადაღას დაადებს, თქვენ ციხეში ჩაგსვამენ და თუ გამართლდებით, სამი თუ ოთხი თვის შემდეგ გაგათავისუფლებენ. მაგრამ გამოირკვევა, რომ ალმასი სასამართლოს სამდივნოში დაიკარგა, ან ორმოცდაათი ათას, ან შეიძლება ორმოცდათხუთმეტი ათას ფრანკად ღირებული ალმასის ნაცვლად მოგცემენ ყალბ ქვას, სამ ფრანკად ღირებულს; ამგვარად, ამ ალმასის გაყიდვა, დამეთანხმები, ჩემო კეთილო კაცო, რამდენადმე სარიკსო საქმეა.

«კადრუსმა და მისმა ცოლმა ერთმანეთს გადახედეს.

«— არა, — განაცხადა კადრუსმა, — ჩვენ იმდენად მდიდრები არა ვართ, რომ ხუთი ათასი ფრანკი დაგვარგოთ,

«— როგორც გინდოდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — უთხრა ოქრომჭედელმა, — მე კი, როგორც ხედავთ, ნაღდი ფული წამოვიღე.

«და მან ერთი ჯიბიდან მუჭით ამოიღო ოქროს ფულები, რომელთა ბრჭყვიალმა მეტრაქტირეს თვალები აუჭრელა, ხოლო მეორე ჯიბიდან — ქალაღდის ფულების დასტა.

«ნათლად ჩანდა, რომ კადრუსის გონებაში მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა. ცხადი იყო, შაგრენის ტყავის პატარა ბუდე, რომელსაც ის ხელში ატრიალებდა, მის თვალში თავისი ღირებულებით არ შეესატყვისებოდა იმ დიდ თანხას, რომელიც მას თვალებს უჭრელებდა.

«კადრუსი ცოლს მიუბრუნდა:

«— რას იტყვით? — ჰკითხა მან ჩურჩულით.

«— მიეცი, მიეცი. ის რომ ბოკერში უალმასოდ დაბრუნდეს, დაგვაბეზღებს და, როგორც ამბობს, ვინ იცის, შევძლებთ კი ოდესმე ხმა მივაწვდინოთ აბატ ბუზონის.

— კარგი, ეგრე იყოს, — უთხრა კადრუსმა, — ორმოცდახუთიათას ფრანკად წაიღეთ ალმასი; მაგრამ ჩემს ცოლს სურს ოქროს ძეწკვი, მე კი წყვილი ვერცხლის აბზინდი.

ოქრომჭედელმა ჯიბიდან ამოიღო გრძელი კოლოფი, რომელშიც დასახელებული საგნების რამდენიმე ნიმუში იდო.

«— აიღეთ, — თქვა მან, — საქმეებში წვრილმანი კაცი არა ვარ.

«ქალმა აირჩია ხუთი ლუიდორის ღირებულების ძეწკვი, ხოლო ქმარმა წყვილი აბზინდი, რომელიც თხუთმეტი ფრანკი ეღირებოდა.

«— დარწმუნებული ვარ, უკვე კმაყოფილები ხართ? — უთხრა მათ ოქრომჭედელმა.

«— აბატმა გვითხრა, რომ ეს 50.000 ფრანკი ღირს. — ჩაიჩურჩულა კადრუსმა.

«— კმარა, კმარა! აი, აუტანელი ადამიანი, — განაგრძო უცნობმა და ალმასი გამოართვა, — მე მას ჩავუთვალე ორმოცდახუთი ათასი ფრანკი, ორ-ნახევარი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი, ესე იგი კაპიტალი, რომელზედაც მეც არ ვიტყოდი უარს, ის კი მაინც უკმაყოფილოა!

«— სად არის ის ორმოცდახუთი ათასი ფრანკი? — ჰკითხა კადრუსმა ჩახლეჩილი ხმით.

«— აი, ინებეთ, — უთხრა ოქრომჭედელმა.

«და მან მაგიდაზე დაუთვალა თხუთმეტი ათასი ფრანკი ოქრო და 30 000 ქალაღდის ფული.

«— მოითმინეთ, ლამპას ავანთებ, — თქვა კარკონტამ, — უკვე ბნელა და იქნებ დათვლაში შევცდეთ.

«მართლაც, სანამ ისინი კამათობდნენ, უკვე დაღამდა, რასაც მოჰყვა ქარიშხალი, რომელიც უკვე ნახევარი საათი იყო იმუქრებოდა; სადღაც შორს მოისმოდა ყრუ

ქუხილი. მაგრამ არც უცნობი, არც კადრუსი, არც კარკონტა ამ გარემოებას სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას, ისინი მთლიანად შთაენთქა მოგების დემონს.

«თვითონ მეც რაღაც უცნაური მოჯადოება ვიგრძენი ამ ოქროს ფულებისა და ბანკის ბილეთების დანახვაზე. ასე მეგონა, სიზმარს ვხედავდი და, როგორც ეს სიზმარში ხდება ხოლმე, ერთ ადგილას ვიყავი მილურსმული.

«კადრუსმა რამდენჯერმე გადათვალ-გადმოთვალა ოქროს ფულები და ბანკის ბილეთები. შემდეგ ცოლს გადასცა, რომელმაც ასევე რამდენჯერმე გადათვალ-გადმოთვალა.

«ამ ხნის განმავლობაში ოქრომჭედელი ლამპის შუქზე სინჯავდა ალმასს, რომელიც ისე ელვარებდა, რომ ავიწყებდა ნამდვილ ელვას, რომელიც ქარიშხალს აუწყებდა და ფანჯრებს ანათებდა.

«— აბა, რას იტყვით? ანგარიში სწორია? — ჰკითხა ოქრომჭედელმა.

«— დიახ, — უპასუხა კადრუსმა, — კარკონტა, მოიტანე ქისა და რაიმე პარკიც მოძებნე.

«კარკონტა განჯინასთან მივიდა და ტყავის ძველი საფულით დაბრუნდა, საიდანაც რამდენიმე დასვრილი წერილი ამოიღო და მის მაგიერ ბანკის ბილეთები შეინახა; მან მოიტანა აგრეთვე პარკი, რომელშიც ორი თუ სამი ექვსლივრიანი ეკიუ იდო, რაც, ალბათ, ამ საცოდავი ცოლ-ქმრის მთელ ქონებას შეადგენდა.

«— თუმცა, შეიძლება ათი ათასი ფრანკი დაგვაკელით, მაგრამ მე მაინც გულით გთავაზობთ ჩვენთან ივანშმოთ, — უთხრა კადრუსმა.

«— გმადლობთ, — უპასუხა უცნობმა, — მაგრამ უკვე გვიან არის და ბოკერში უნდა დავბრუნდე, ცოლს შეეშინდება, — მან ჯიბიდან საათი ამოიღო, — ეშმაკმა დალაზხროს, მალე ცხრა საათი იქნება, ბოკერში შუალამემდე ვერ მიხვალ. ნახვამდის, მეგობრებო. თუ თქვენთან კიდევ მოხვდება ბუზონის მსგავსი აბატი, მომიგონეთ.

«— ერთი კვირის შემდეგ თქვენ უკვე ბოკერში აღარ იქნებით, რადგან ბაზრობა მომავალ კვირას მთავრდება. — უთხრა კადრუსმა.

«— არა უშავს. მომწერეთ პარიზში, ბატონ ჟოანეს, პალე-როიალი, პიერის გალერეა¹⁴⁵. თუ საჭირო იქნება, მე სპეციალურად ჩამოვალ.

«უცებ დაიქუხა და ისე ძლიერ გაიელვა, რომ ლამპის შუქი თითქმის დაჰფარა.

«— როგორ წახვალთ ამისთანა ამინდში? — უთხრა კადრუსმა.

«— ჭექა-ქუხილის არ მეშინია, — თქვა ოქრომჭედელმა.

«— ქურდების? — ჰკითხა კარკონტამ, — ბაზრობის დროს გზები არცთუ ისე სანდოა.

«— ჰო, რაც შეეხება მძარცველებს, აი რა მაქვს მათთვის, — თქვა ჟოანესმა და ჯიბიდან გატენილი წყვილი პატარა დამბაჩა ამოიღო, — აი, ძაღლები, ერთდროულად რომ იყეფებიან და იკბინებიან კიდევ.

«კადრუსმა და მისმა ცოლმა ერთმანეთს დაღვრემილად გადახედეს, როგორც ჩანდა, მათ გონებაში ორთავეს ერთად გაურბინა რაღაც საშინელმა ფიქრმა.

«— მამ კეთილი მგზავრობა, — უთხრა კადრუსმა.

«— გმადლობთ, — უპასუხა ოქრომჭედელმა.

«— მან აიღო თავისი ჯოხი, რომელიც ძველ სკივრზე იყო მიყუდებული და გავიდა. იმ დროს, როდესაც მან კარი გამოაღო, ოთახში ისეთი ძლიერი ქარის ნაკადი შეიჭრა, რომ კინაღამ ლამპა ჩააქრო.

«— რა ამინდია, მე კი ორი ლიე მაქვს გასავლელი, — თქვა ოქრომჭედელმა.

«— დარჩით, — უთხრა კადრუსმა, — აქ გაათიეთ ღამე.

«— დიახ, დარჩით, — გაუმეორა კარკონტამ აცხაცახებული ხმით, — ვეცდებით კარგი მასპინძლობა გაგიწიოთ.

«— არა, შეუძლებელია, ღამით აუცილებლად ბოკერში უნდა ვიყო, ნახვამდის. კადრუსი ზანტად მივიდა კარის ზღურბლამდე.

«— თვალთან თითს ვერ მიიტან, — ჩაილაპარაკა უკვე ოთახიდან გასულმა ოქრომჭედელმა. — საით უნდა წავიდე, მარჯვნივ თუ მარცხნივ?

«— მარჯვნივ, — უპასუხა კადრუსმა, — გზას არ აცდებით, გზის გასწვრივ ორივე მხარეზე ხეების რიგია გაჭიმული.

«— კარგი, მე უკვე გავერკვიე, — მოისმა შორიდან ოქრომჭედლის ხმა.

«— დახურე კარი, — დაუძახა კარკონტამ ქმარს, — არ მიყვარს ქუხილის დროს კარის ღიად დატოვება.

«— მით უმეტეს თუ სახლში ფულია, არა? — ჰკითხა კადრუსმა და გასაღები ორჯერ გადაატრიალა.

კადრუსი განჯინასთან მივიდა, ქისა და პარკი გადმოიღო და ორივემ ხელახლა უკვე მესამედ დაიწყეს თავიანთი ოქროს ფულებისა და ასიგნაციების გადათვლა.

«არასოდეს მინახავს ისეთი სიხარბე, როგორსაც გამოხატავდნენ მკრთალ ლამპის შუქზე განათებული სახეები. განსაკუთრებით საზიზღარი იყო ქალი. ციებ-ცხელებით გამოწვეული კანკალი, რომელიც წინათ ჰქონდა, ახლა გაორკეცებოდა, მის ფერმკრთალ სახეს მიცვალებულის ფერი გადაკვროდა, ჩავარდნილ თვალებს გიზგიზი გაჰქონდა.

«— რატომ შესთავაზე ღამის გათევა? — უთხრა მან ქმარს ყურ ხმით.

«— იმიტომ... იმიტომ... რომ ბოკერში ღამით მგზავრობა მისთვის ძნელი იქნებოდა, — უპასუხა შემკრთალმა კადრუსმა.

«— ჰო, თქვა ქალმა ენით აუწერელი გამომეტყველებით, — მე კი მეგონა სხვა განზრახვა გქონდა.

«— დედაკაცო, დედაკაცო, — შესძახა კადრუსმა. — რატომ გაქვს ასეთი ფიქრები, და თუკი გებადება, რატომ გულშივე არ ინახავ?

«— რაც უნდა თქვა, — უთხრა კარკონტამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — შენ მამაკაცი არა ხარ.

«— ვითომ რატომ? — ჰკითხა კადრუსმა.

«— შენ რომ მამაკაცი ყოფილიყავი, ის აქედან არ წავიდოდა.

«— დედაკაცო!

«— ან ბოკერამდე ვერ მიაღწევდა.

«— დედაკაცო!

«— გზა გვერდით უხვევს, მან კი სხვა გზა არ იცის, ხოლო არხის გასწვრივ ბილიკია, რომელიც გზას ამოკლებს.

«— დედაკაცო, ღმერთს ნუ აწყენინებ, გესმის!

«მართლაც ამ დროს გაისმა შემზარავი გრგვინვა და თითქმის იმ წუთშივე მთელი ოთახი გაანათა მოლურჯო ელვამ, გაისმა საშინელი მეხის ხმა, რომლის გრგვინვა ნელ-ნელა მიწყდა, თითქოს ენანებოდა დაწყევლილი სახლის მიტოვება.

«— უფალო! — წამოიძახა კარკონტამ და პირჯვარი გადაიწერა.

«იმ წუთშივე, იმ საშინო სიჩუმეში, რომელიც ჩვეულებრივად ქუხილს მოჰყვება ხოლმე, კარის კაკუნი გაისმა.

«კადრუსი და მისი ცოლი შეკრთნენ და შიშით ერთმანეთს შეხედეს.

«— ვინ არის? — დაიძახა კადრუსმა, წამოხტა, მაგიდაზე დაყრილი ოქროს ფულები და ასიგნაციები მოხვეტა და ორივე ხელი გადააფარა.

«— მე ვარ. — უპასუხა ვიდაცის ხმამ.
«— ვინ თქვენ?
«— მე, ოქრომჭედელი ჟოანესი.
«— აი, შენ კიდევ იტყვი, რომ მე უფალს ვანრისხებ, — უთხრა ქმარს კარკონტამ საზარელი ღიმილით, — თვითონ კეთილმა ღმერთმა მოაბრუნა იგი ჩვენთან.
«— აცახცახებული და გაფითრებული კადრუსი სკამზე დაეშვა.
«კარკონტა, პირიქით, წამოდგა, მტკიცე ნაბიჯებით წავიდა და კარი გამოაღო.
«— შემობრძანდით, ძვირფასო ბატონო ჟოანეს, — უთხრა მან.
«— ღმერთმანი, — თქვა წვიმისაგან მთლად გაწუწულმა ოქრომჭედელმა, — თითქოს თვით ეშმაკი მიშლის ხელს, რომ დღეს ბოკერში დავბრუნდე. ორი ბოროტებისაგან უნდა აირჩიო ნაკლები, ბატონო კადრუსო. თქვენ შემომთავაზეთ მასპინძლობა, მე ვლებულობ ამ წინადადებას და დავბრუნდი თქვენთან ღამის გასათევად.
კადრუსმა რაღაც ჩაიბურტყუნა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.
კარკონტამ ოქრომჭედლის შემოსვლის შემდეგ კარი გასაღებით ორჯერ გადაკეტა.

თავი VII

სისხლის წვიმა

«ოთახში შემოსვლისთანავე ოქრომჭედელმა იქაურობას გამოცდილი თვალი მოავლო, მაგრამ ვერაფერი ნახა ისეთი, რომ ეჭვი აღძვროდა, თუკი უკვე არ ჰქონდა იგი, ან განემტკიცებინა თუკი გააჩნდა.

«კადრუსი ისევ ორივე ხელით გადაფარებოდა ქალაღის ფულს და ოქროებს. კარკონტა, რამდენადაც შეეძლო, ალერსიანად უღიმოდა სტუმარს.

— ოჰო! გეტყობათ შეგეშინდათ, ანგარიშში ხომ არ მოვტყუვდითო, რაკი ჩემი წასვლის შემდეგ ხელახლა დაგიწყიათ თქვენი სიმდიდრის გადათვლა. — უთხრა ოქრომჭედელმა.

— არა — უპასუხა კადრუსმა, — მაგრამ შემთხვევა, რომელმაც ჩვენ იგი მოგვცა, იმდენად მოულოდნელია, რომ გვიძნელდება მისი დაჯერება და თუ თვალნათლივ ნივთიერ დასაბუთებას ვერ ვხედავთ, ისე თავი სიზმარში გვგონია.

«ოქრომჭედელს გაეღიმა.

«— ათევს ვინმე ღამეს ამ თქვენს ტრაქტირში? — იკითხა მან.

«— არა, — უპასუხა კადრუსმა, — ძალიან ახლოს ვართ ქალაქიდან და ღამით არავინ რჩება.

«— მაშ მე ძალიან შეგაწუხებთ?

«— ვინ? თქვენ, ჩემო ძვირფასო ბატონო? — გეფიცებით, სრულებითაც არა. — უთხრა თავაზიანად კარკონტამ.

«— მერედა სად მომათავსებთ?

«— ზედა ოთახში.

«— ის ხომ თქვენია? — არა უშავს, ჩვენ მეორე საწოლი გვიდგას გვერდითა ოთახში.

«კადრუსმა გაკვირვებით შეხედა ცოლს.

«ოქრომჭედელმა რაღაც სიმღერა წამოიწყო, თან ზურგი მიუშვირა ბუხარს, რომელშიც კარკონტამ სტუმრის გასაშრობად ფიჩხის კონა შეუკეთა.

«ამასობაში კარკონტამ მაგიდის კუთხეში ხელსახოცი გაშალა და ზედ დააწყო ღარიბული სადილის ნარჩენები, რასაც ორი თუ სამი კვერცხის ტაფამწვარი დაუმატა.

«კადრუსმა ასიგნაციები საქალაქო საბჭოში ჩააღება, ოქრო პარკში ჩაყარა, ხოლო ორივე ერთად კი განჯინაში შეინახა. ჩაფიქრებული და მოღუშული კადრუსი ბოლთას სცემდა ოთახში, მხოლოდ დროდადრო თუ ასწევდა თავს და შეხედავდა ოქრომჭედელს, რომელიც ორთქლში იყო გახვეული და ბუხარს ხან ერთ და ხან მეორე გვერდს უშვებდა.

«კარკონტამ მაგიდაზე ბოთლით ღვინო დადგა.

«— თუ ინებებთ, ვახშამი მზადაა. — უთხრა მან.

«— თქვენ? — ჰკითხა ჟოანესმა.

«— მე არ ვივარაუდებ. — უპასუხა კადრუსმა.

«— ჩვენ გვიან ვისადილეთ, — დასძინა სწრაფად კარკონტამ.

«— მაშ მარტო უნდა ვივარაუდოთ? — ჰკითხა ოქრომჭედელმა.

«— ჩვენ მოგემსახურებით. — უპასუხა კარკონტამ ისეთი დაუზარებლობით, რასაც იგი არ იჩენდა თვით ფასიანი სტუმრების მიმართაც კი.

«დროდადრო კადრუსი ცოლს ელვასავით სწრაფ მზერას სტყორცნიდა ხოლმე.

«ქარიშხალი გრძელდებოდა.

«— გესმით? გესმით? — თქვა კარკონტამ, — ღმერთმანი ძალიან კარგად მოიქეცით, რომ დაბრუნდით.

«— თუ ქარიშხალი დაცხრა, სანამ ვახშამს დავამთავრებდე, სულ ერთია მაინც წავალ. — უპასუხა ოქრომჭედელმა.

«— ეს მისტრალია, ხვალამდე გაგრძელდება. — გამოელაპარა კადრუსი, თავი გაიქნია და მძიმედ ამოიოხრა.

«— ჰო, მით უარესი მათთვის, ვინც ამ დროს გზაში არიან. — თქვა ოქრომჭედელმა და მაგიდას მიუჯდა.

«— დიახ, ისინი ღამეს ცუდად გაატარებენ, — უპასუხა კარკონტამ.

«ოქრომჭედელი ვახშამობას შეუდგა, კარკონტა კი ემსახურებოდა, როგორც ეს შეეფერება ყურადღებიან დიასახლისს. ჩვეულებრივად ჭირვეული და უხიაგი დედაკაცი ზრდილობისა და თავაზიანობის ნიშნულად გადაქცეულიყო. ოქრომჭედელს რომ იგი ადრე სცნობოდა, ასეთი დიდი ცვლილება, რასაკვირველია, მას გააკვირვებდა და ეჭვს აღუძრავდა. რაც შეეხება კადრუსს, ის ხმას არ იღებდა, ოთახში კვლავ ბოლთას სცემდა, თითქოს სტუმრის შეხედვასაც კი გაურბოდა.

«როდესაც ვახშამი დამთავრდა, კადრუსმა თვითონ გამოალო კარები.

«— ვგონებ ქარიშხალი დაცხრა, — თქვა მან.

«მაგრამ სწორედ იმ წუთში, თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ცდებოდა, საშინელმა გრგვინვამ მთელი სახლი შეაზანზარა, კარებიდან შემოიჭრა ქარი და წვიმა და ლამპა ჩააქრო. კადრუსმა კარები მოხურა. კარკონტამ ნაკვერჩხალზე სანთელს მოუკიდა.

«— თქვენ, ვგონებ, დაღლილი ხართ, — უთხრა მან ოქრომჭედელს, — საწოლზე უკვე სუფთა ზეწრები დაგიფინეთ, შეგიძლიათ ზემოთ აბრძანდეთ და დამშვიდებით დაიძინოთ.

«ჟოანესი კიდევ ცოტა ხანს დარჩა, უნდოდა დარწმუნებულიყო ქარიშხალი აპირებდა დაცხრომას თუ არა, და რაკი შეატყო, რომ ჭექა-ქუხილი და წვიმა უფრო ძლიერდებოდა, მასპინძლებს ძილი ნებისა უსურვა და კიბეზე ავიდა.

«ის მიდიოდა ჩემს ზემოთ, მესმოდა მისი ნაბიჯებით გამოწვეული ჭრიალი.

«კარკონტა ხარბი მზერით აცილებდა, მაშინ როდესაც კადრუსმა, პირიქით, ზურგი შეაქცია და არც კი გაუხედია.

«ყველა ეს დეტალი, რომელიც შემდეგ აღვადგინე, არ მანცვიფრებდა, როცა ჩემ თვალწინ ხდებოდა. რაც მოხდა, ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალმასის ისტორიას, რომელიც დაუჯერებლად მეჩვენა, ყველაფერი თავის რიგით მიდიოდა.

«ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა მესარგებლა იმ წუთითვე, როგორც კი ქარიშხალი გადაიღებდა, ამიტომ ვიფიქრე რამდენიმე საათით წამეძინა და ამ ფიცრულიდან შუალამისას გავსულიყავი.

«მესმოდა, როგორ ცდილობდა ოქრომჭედელი კარგად მოწყობილიყო, რომ ღამე ტკბილად გაეთენებინა. მალე საწოლის ჭრიალიც გავიგონე: იგი დაწვა.

«ვგრძნობდი, რომ თვალეები ჩემდა უნებურად მეხუჭებოდა, მაგრამ რაკი ეჭვი არაფერზე აღმძვრია, აღარც ვცადე ძილს შევბრძოლებოდი. უკანასკნელად შევიხედე მეზობელ ოთახში. კადრუსი გრძელ მაგიდასთან იჯდა ხის მერხზე, რომლებიც სოფლის დუქნებში ჩვეულებრივი სკამების მაგივრობას სწევენ, ჩემსკენ ზურგი ჰქონდა მობრუნებული, ისე რომ არ შემემლო მისი სახის დანახვა; ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ შევხედავდი, ვინაიდან თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული.

«კარკონტა ცოტა ხანს უყურებდა კადრუსს, შემდეგ მხრები აიჩეჩა და მის პირდაპირ დაჯდა.

«იმ დროს მიმქრალი ალი წაეკიდა ფიჩხის გამხმარ ტოტს და სუსტმა სინათლემ დაბნელებული ოთახი ოდნავ გაანათა. კარკონტა თვალს არ აშორებდა თავის ქმარს, და რადგან ეს უკანასკნელი ისევ იმ მდგომარეობაში იჯდა, მოკრუნჩხული თითები გასწია და მის შუბლს შეეხო.

«კადრუსი შეკრთა. მე მომეჩვენა, რომ ქალი ტუჩებს აცმაცუნებდა. არ ვიცი, ის ლაპარაკობდა ძალიან ხმადაბლა, თუ ძილმა მომიდუნა გრძნობები, ხმა ჩემამდე არ აღწევდა. თვალეებშიც ბინდი ჩამიდგა და თავს უკვე ანგარიშს ველარ ვაძლევდი, სიზმარში ვიყავი თუ ცხადში. ბოლოს თვალეები დამეხუჭა და დავკარგე ჩემი თავის შეგრძნობა.

«ღრმა ძილში ვიყავი, როდესაც გამაღვიძა დამბაჩის ხმამ და საშინელმა ყვირილმა. ზედა ოთახიდან მოისმა არეული ნაბიჯების ხმა და რაღაცა მძიმედ დაეცა კიბეზე, სწორედ ჩემ თავს ზევით.

«ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი. მესმოდა კვნესა, დახშული ყვირილის ხმა, თითქოს სადღაც იბრძოდნენ.

«უკანასკნელმა შეყვირებამ, წინანდელზე ხანგრძლივმა, რომელიც კვნესამ შეცვალა, საბოლოოდ გამომიყვანა გარინდებისაგან.

«იდაყვებზე წამოვიწიე, თვალეები გავახილე, რომელზედაც, როგორც მომეჩვენა, კიბის ფიცრებიდან წვეთ-წვეთად მეცემოდა თბილი წვიმა.

«საშინელ ხმაურს სრული სიჩუმე მოჰყვა. ზედა ოთახიდან შემომესმა მამაკაცის ნაბიჯების ხმა; კიბემაც დაიჭრაჭუნა. მამაკაცი ქვედა ოთახში ჩამოვიდა, ბუხარს მიუახლოვდა და სანთელს მოუკიდა.

«ეს კაცი კადრუსი იყო. სახე გაფითრებოდა და ხალათი სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.

«ანთებული სანთლით ხელში სწრაფად აირბინა კიბე. კვლავ შემომესმა მისი სწრაფი და შეშფოთებული ნაბიჯების ხმა.

ცოტა ხანს შემდეგ იგი კვლავ ძირს ჩამოვიდა. ხელში ყუთი ეჭირა. როდესაც დარწმუნდა, რომ ალმასი ნამდვილად შიგ იყო, ჯერ ერთ ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ მეორეში. ბოლოს, უეჭველია, გადაწყვიტა, ჯიბე საიმედო დასამალი ადგილი არ არისო, ამიტომ თავის წითელ ცხვირსახოცში გაახვია და ყელზე შემოიხვია.

მერე განჯინასთან მიიღბინა და იქიდან ასიგნაციები და ოქროები გამოიღო. ერთი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა, მეორე — ქურთუკის ჯიბეში, ხელი დასტაცა ორ თუ სამ პერანგს, გარეთ გავარდა და სიბნელეში მიიძალა. მაშინ ჩემთვის ყველაფერი ნათელი და ცხადი გახდა. ჩემ თავს ვკიცხავდი იმისთვის, რაც მოხდა, თითქოს ნამდვილი დამნაშავე ვყოფილიყავი. მომეჩვენა, თითქოს კვნესა შემომესმაო. გავიფიქრე, უბედური ოქრომჭედელი შეიძლება ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს-მეთქი. იქნება ჩემი დახმარებით ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდო ბოროტმოქმედება, რომელიც თუ არ ჩამიდენია, საშუალება მივეცი მომხდარიყო. ბეჭებით მივაწეე ცუდად შეკრულ ფიცრებს, რომლებიც წინა ოთახს ჰყოფდნენ იმ ფიცრულიდან, სადაც მე ვიწეე. ფიცრები დამყვნენ და მე სახლში გავჩნდი.

«მაშინვე სანთელს ვტაცე ხელი და ავიღბინე კიბე, რომელზედაც გარდიგარდმო ეგდო ვიღაცის სხეული. ეს კარკონტას გვამი აღმოჩნდა.

«დამბაჩა, რომლის გასროლის ხმა გავიგონე, სწორედ მისთვის დაემიზნებინათ. ტყვიას კარკონტასთვის კისერი გაეხვრიტა. ორმაგი ჭრილობიდან სისხლი ნაკადულივით მოსდიოდა. პირიდანაც სისხლის შადრევანი ასხამდა. ის მკვდარი იყო.

«გადავაბიჯე მის გვამს და გზა განვაგრძე.

«საწოლი ოთახი საშინლად იყო არეული, რამდენიმე ნივთი თავდაყირა ეგდო. ზეწრები, რომლებსაც საწყალი ოქრომჭედელი ჩაბლაუჭებოდა, აქა-იქ იყო მიყრილი. თვითონ ის გამოტოლიყო იატაკზე თავით კედლისაკენ და ცურავდა სისხლის გუბეში, რომელიც გულ-მკერდის სამ დიდ ჭრილობას დაეყენებინა.

«მეოთხე ჭრილობაში დარჩენოდა დიდი სამზარეულო დანა, რომელსაც მხოლოდ ტარი მოუჩანდა.

«ფეხებში წამომედო მეორე დამბაჩა, დაუცლელი, ალბათ, იმიტომ, რომ თოფისწამალი დანესტიანებულიყო.

«ოქრომჭედელს მივუახლოვდი. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩემი ნაბიჯების, განსაკუთრებით ფიცრების ჭრიალზე ამღვრეული თვალები გაახილა, ერთი წუთით შემომამტერდა, ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო და სული განუტევა.

«ამ საშინელმა სანახაობამ თითქმის სიგიჟემდე მიმიყვანა. რაკი ველარავის ვმველოდი, მხოლოდ გაქცევაზე ვფიქრობდი. თავში ხელები ვიტაცე და საზარელი ყვირილით კიბეს ვეცი.

«დაბლა ოთახში დამხვდა ხუთი თუ ექვსი საბაჟოს მოხელე და ორი-სამი ჟანდარმი — მთელი შეიარაღებული რაზმი.

«დამაკავეს. არც კი მიცდია წინააღმდეგობის გაწევა. უკვე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. მინდოდა მელაპარაკა, მაგრამ პირიდან რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები ამომდიოდა.

«დავინახე, რომ საბაჟო მოხელეები და ჟანდარმები ერთმანეთს ჩემსკენ თითით ანიშნებდნენ. ტანზე დავიხედე — სულ სისხლში ვიყავი ამოსვრილი. ის თბილი წვიმა, რომელიც კიბის ფიცრებიდან მეწვეთებოდა, კარკონტას სისხლი ყოფილიყო.

«თითით ვანიშნე ის ადგილი, სადაც დამალული ვიყავი.

«— რის თქმა უნდა? — იკითხა ჟანდარმმა.

«ერთი საბაჟო მოხელეთაგანი იმ ადგილთან მივიდა.

«— იმის თქმა უნდა, რომ ამ ოთახში იქიდან გადმოძვრა, — თქვა მან და ჟანდარმს უჩვენა შენგრეული ადგილი, საიდანაც მე ნამდვილად გადმოვძვერი.

«მაშინღა მივხვდი, რომ მკვლელად მთვლიდნენ. ამ გარემოებამ ხმაცა და ძალაც დამიბრუნა და ორ მამაკაცს, რომლებსაც ვეჭირე, ხელიდან გავუსხლტი და ყვირილი მოვრთე:

«— არა, ეს მე არა ვარ, ეს მე არა ვარ.

«ორმა ჟანდარმმა კარაბინები დამიმიზნა.

«— თუ გაინძერი, იმ წუთშივე გესვრით. — მითხრეს მათ.

«— ხომ გეუბნებით, ეს მე არ ჩამიდენია-მეთქი. — კვლავ ვიყვირე მე.

«— ეს შეგიძლია უთხრა ნიმიის მოსამართლეებს. — მიპასუხა ჟანდარმმა. —

მანამდე კი გამოგვეყვი და გირჩევთ წინააღმდეგობა არ გაგვიწიო.

«— არც ვფიქრობდი წინააღმდეგობის გაწევას. საშინელებითა და მოულოდნელობით ქანცგამოლეული ვიყავი. ჟანდარმებმა ხელბორკილები დამადეს, ცხენის კუდზე მიმაბეს და ნიში ჩამიყვანეს.

«როგორც გამოირკვა, უკან დამდევენობდა საბაჟოს ერთი მოხელე, რომელსაც თვალთაგან მივფარებოდი კარკონტას დუქანთან. ალბათ იფიქრა, ღამეს აქ გაათევსო და ამხანაგების გასაფრთხილებლად წასულა. ისინი დაბრუნდნენ სწორედ იმ დროს, როდესაც დამბაჩის ხმა გაისმა და მეც ისეთი აშკარა ბოროტმოქმედებაზე წამასწრეს, რომ მაშინვე მივხვდი, ძნელი იქნებოდა ჩემი უდანაშაულობის დამტკიცება.

«მხოლოდ ერთი გამოსავალი დამრჩა: უპირველეს ყოვლისა, ვთხოვე გამომძიებელს მოემბნინებინა ვინმე აბატი ბუზონი, რომელიც იმ დილით «გარდის ხიდის» ტრაქტირში გაჩერდა. თუ კადრუსს ყოველივე ეს გამოგონილი ჰქონდა, თუ ეს ამბავი სინამდვილეში არ მოხდა, ჩემი საქმე წასული იყო. განა დაიჭერდნენ კადრუსს და ის გამოტყდებოდა?

«ორი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ჩემი გამომძიებლის საქებრად უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო აბატის საპოვნელად. თითქმის ყოველივე იმედი დავკარგე. კადრუსი ვერ დაიჭირეს. ჩემი გასამართლება უნდა შემდგარიყო უახლოეს სესიაზე, რომ უეცრად, 8 სექტემბერს, ესე იგი მკვლელობიდან სამი თვისა და ხუთი დღის შემდეგ, ციხეში გამოცხადდა აბატი ბუზონი, რომელსაც უკვე აღარ ველოდი და განაცხადა, გავიგე ვიღაც პატიმარს ჩემთან ლაპარაკი სდომებიაო. როგორც მან თვითონ მითხრა, ეს ამბავი მას მარსელში გაეგო და საჩქაროდ წამოსულიყო, რათა ჩემი სურვილი დაეკმაყოფილებინა.

«შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი აღტაცებით მივიღე იგი. მოვუყევი ყველაფერი, რის მოწმეც ვიყავი და შემფოთებით დავიწყე აღმასის ამბავი. ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ, ის სრული სიმართლე გამოდგა, ასევე ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ, რაც ვუთხარი, ყველაფერი დამიჯერა. მომაჯადოვა მისმა ღმობიერებამ, ისიც დავინახე, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი ჩემი ქვეყნის ჩვევები, ამიტომ გავიფიქრე, იქნებ ამ სათნო ბაგეთაგან მივიღო პატიება და აღსარების დროს დაწვრილებით მოვუყევი რაც ოტეილში მოხდა. იმას, რაც მე გულის კარნახით გავაკეთე, ისეთი შედეგი მოჰყვა, რაც ანგარიშით გაკეთებულს მოჰყვებოდა. რადგან გამოვტყედი პირველ მკვლელობაში, თუმცა არავინ მამალეზდა ეს მისთვის მეთქვა, აბატი დარწმუნდა, რომ მეორის ჩამდენი მე არ ვიყავი. წასვლის დროს მან იმედი მომცა და დამპირდა, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მართლმსაჯულება შენს სიმართლეში დავარწმუნო.

«როდესაც დავინახე, რომ პატიმრობის პირობები თანდათან მიმსუბუქდებოდა, და ისიც გავიგე, რომ ჩემი საქმის გარჩევა შემდეგი სესიისათვის გადაიდო, მივხვდი, რომ აბატი ჩემით დაინტერესდა.

«ამ ხნის განმავლობაში განგებამ ინება, რომ საზღვარგარეთ დაეჭირათ კადრუსი და საფრანგეთში ჩამოეყვანათ. ის ყველაფერში გამოტყდა. დანაშაულის წინასწარგანზრახვა, და მით უფრო წაქეზება, თავის ცოლს გადააბრალა. მას სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, მე კი გამათავისუფლეს.

— სწორედ მაშინ გამოცხადდით ჩემთან აბატი ბუზონის წერილით? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, აბატი დაინტერესდა ჩემი ბედით. «თქვენ კონტრაბანდისტობა დაგლუპავთ, თუ ციხიდან გახვალთ, თავი გაანებეთ ამ საქმიანობას». — მითხრა მან.

«— მამაო! — შევყვირე მე, — მერე რითი ვიცხოვრო, ან რითი ვარჩინო ჩემი უბედური რძალი?»

«— ერთმა ჩემმა სულიერმა ვაჟიშვილმა, — მითხრა მან, — რომელიც მე დიდ პატივს მცემს, დამავალა მოვუძებნო სანდო კაცი. გინდათ ასეთი პიროვნება იყოთ? გაგაგზავნით მასთან»

«— მამაო, რა კეთილი ბრძანდებით. — შევძახე მე.

«— შემომფიცეთ, რომ ეს ჩემი საქციელი სანანებლად არ დამრჩება.

«ხელები აღვაპყრე ფიცის მისაცემად.

«— არა, საჭირო არ არის, — მითხრა მან. — მე ვიცნობ კორსიკელებს და მიყვარს ისინი. აი, თქვენი რეკომენდაცია.

«და მან დაწერა რამდენიმე სტრიქონი, რომელიც მე თქვენ გადმოგეცით და რის საფუძველზეც თქვენმა ბრწყინვალეზავმა სამსახურში მიმიღო. ახლა სიამაყის გრძნობით შემიძლია ვკითხო თქვენს ბრწყინვალეზავს, როდისმე უკმაყოფილო თუ იყავით ჩემით?»

— არა, — უპასუხა გრაფმა. — კმაყოფილებით ვაღიარებ, რომ თქვენ კარგი მსახური ხართ, ბერტუჩო, თუმცა სრულ ნდობას არ მიცხადებთ.

— მე, ბატონო გრაფო?

— დიახ, თქვენ. ეგ როგორ მოხდა, რომ თურმე რძალი და ნაშვილები ვაჟი გყოლიათ, არასოდეს კი არც ერთზე და არც მეორეზე ჩემთან არ გილაპარაკნიათ.

— ეჰ, თქვენო ბრწყინვალეზავ, მოსაყოლი დამრჩა ჩემი ცხოვრების ყველაზე სამწუხარო ნაწილი. მე კორსიკაში გავემგზავრე. თქვენ თვითონაც გამიგებთ, როგორ ვჩქარობდი მენახა და დამემშვიდებინა საწყალი ჩემი რძალი. მაგრამ როცა როლიანოში ჩავედი, გავიგე, რომ თავს დიდი უბედურება დამტყდომოდა. ისეთი საშინელი ამბავი მომხდარიყო, რაც დღესაც ახსოვთ მეზობლებს. საწყალმა რძალმა დაუჯერა ჩემ რჩევას და უარს ეუბნებოდა ბენედეტოს, რომელიც ყოველ წუთში ფულს სთხოვდა. ერთ დილას ის დამუქრებოდა და მთელი დღით გადაკარგულიყო. საწყალმა ასუნტამ, რომელსაც შვილივით უყვარდა ის გარეწარი, ბევრი იტირა თურმე. დაღამდა. ასუნტა თავის შვილობილს ელოდა და არ წვებოდა. ღამის თეთრთმეტ საათზე ბენედეტო დაბრუნებულიყო ორი მეგობრის თანხლებით, რომლებიც ყველა საძაგელ საქმეში მუდამ მასთან იყვნენ. ჩემ რძალს უნდოდა თურმე ბენედეტოს გადახვეოდა, მაგრამ ყმაწვილებს მისთვის ხელი ეტაცათ და ერთ მათგანს, ვშიშობ, რომ ეს იყო ის საძაგელი ბავშვი, დაეყვირა:

«— წამება ვითამაშოთ და იგი იძულებული გახდება გვითხრას, სადა აქვს შენახული ფული.

«სწორედ ამ დროს ჩვენი მეზობელი ვასილიო, ბასტიაში იმყოფებოდა თურმე და შინ მხოლოდ მისი ცოლი ყოფილიყო. ამ ქალის გარდა არავის შეეძლო დაენახა და გაეგონა ის, რაც ხდებოდა ჩემი რძლის ოჯახში. ორ ყმაწვილ კაცს დაეჭირა საწყალი

ასუნტა, რომელსაც ვერ წარმოედგინა ასეთი სისაძაგლის ჩადენა და თავის მომავალ ჯალათებს უღიმოდა თურმე. მესამეს ფანჯრებზე და კარებზე ბარიკადები აეგო, შემდეგ სამივე ერთად მისცვივდნენ და ცდილობდნენ დაეხშოთ შიშით გამოწვეული ყვირილი, რომელიც საწყალ ქალს ამ დროს დაეწყო. ასუნტა ფეხებით ცეცხლთან მიეთრიათ. მათ ეფიქრათ, ამით ქალს აიძულებდნენ ეთქვა, სად ინახებოდა ჩვენი ფული. მაგრამ სანამ ასუნტა მათ ებრძოდა, ცეცხლი ტანისამოსზე წაჰკიდებოდა. მაშინ მათ თავი გაენებებინათ მისთვის შიშით, ცეცხლი ჩვენც არ მოგვედოსო. აღმოდებული ქალი თურმე კარებს ეცა, მაგრამ კარები დაკეტილი დახვედროდა. ფანჯარას მივარდა, მაგრამ ფანჯარაც აჭედილი იყო. ვასილიოს ცოლს გაეგონა საშინელი კივილი. ასუნტა შველას ითხოვდა თურმე. მალე მისი ხმა უფრო მისუსტებულიყო, ყვირილის ნაცვლად კვნესოდა თურმე. მეორე დღეს, შიშსა და მღელვარებაში გატარებული ღამის შემდეგ ვასილიოს ცოლმა გაბედა შინიდან გამოსვლა და მართლმსაჯულების წარმომადგენელს ჩვენი ბინის კარი გაატეხინა თურმე. ასუნტა დამწვარი ეგდო, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავდა. კარადის კარები ჩამტვრეული აღმოჩნდა. ფული გამქრალიყო. ამის შემდეგ ბენედეტო როლეანოში აღარ მინახავს და არც მის შესახებ გამიგონია რაიმე.

«ასეთი სამწუხარო ამბის გაგების შემდეგ თქვენ ბრწყინვალეებასთან მოვედი, — განაგრძო ბერტუჩომ, — ბენედეტოზე აბა რაღას გეტყოდით, რადგან გაქრა, აღარც ჩემს რძალზე მქონდა სათქმელი, იგი ცოცხლებში აღარ იყო.

— რას ფიქრობდით თქვენ ამ საზარელ ამბავზე? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— რომ ეს იყო სასჯელი ჩემი დანაშაულისათვის, — უპასუხა ბერტუჩომ, — ოჰ! ეს ვილფორები წყეული გვარის შთამომავალნი არიან.

— მეც ასე ვფიქრობ, — ჩაიჩურჩულა გრაფმა კუმტად.

— ახლა, — დაიწყო ბერტუჩომ, — თქვენი ბრწყინვალეებისათვის უკვე გასაგებია, რომ ამ სახლს, რომელიც ამდენი ხანია არ მინახავს, ბაღს, რომელშიც ასე მოულოდნელად მოვხვდი, ამ ადგილს, სადაც მე კაცი მოვკალი შეეძლო ჩემში გამოეწვია სასტიკი მტანჯავი მღელვარება, რომლის მიზეზის გაგებაც თქვენ გასურდათ. უნდა გითხრათ, დარწმუნებული არა ვარ, რომ აქ, ჩემს ფეხქვეშ, იმ საფლავში, რომელიც მან თავისი ბავშვისათვის გათხარა, ბატონი ვილფორი არ განისვენებს.

— ყველაფერი შესაძლებელია, — თქვა მონტე-კრისტომ და სკამიდან წამოდგა, — და ისიც კი, — დასძინა ჩუმად, — რომ მეფის პროკურორი ჯერ კიდევ ცოცხალია. აბატი ბუზონი კარგად მოიქცა, რომ ჩემთან გამოგზავნათ. თქვენც კარგად მოიქეცით, რომ თქვენი თავგადასავალი მიაღებთ. უკვე ცუდს აღარ ვიფიქრებ თქვენზე. რაც შეეხება შეუფერებლად სახელშერქმეულ ბენედეტოს, არასოდეს გიცდიათ გეპოვათ მისი კვალი? არ გიცდიათ გაგეგოთ, რა მოუვიდა?

— არასოდეს. რომ ვიცოდე კიდევ მისი ადგილსამყოფელი, არ მოვისურვებდი მის ნახვას, პირიქით, გავექცეოდი როგორც ურჩხულს. არა, საბედნიეროდ, არავისგან არასოდეს მსმენია მისი სახელი და არც მისი ამბავი. იმედი მაქვს, ცოცხალი აღარ არის.

— მაგის იმედი ნუ გაქვს, ბერტუჩო, — უთხრა გრაფმა, — ბოროტი ადამიანები ასე ადვილად არ კვდებიან. ღმერთი იფარავს მათ, რათა შემდეგ შურისძიების იარაღად გამოიყენოს.

— დაე ასე იყოს, — თქვა ბერტუჩომ, — მაგრამ ღმერთს ერთს ვთხოვ, იგი არასოდეს შემახვედროს. ახლა თქვენ, ბატონო გრაფო, უკვე ყველაფერი იცით, —

განაგრძო ბერტუჩომ და თავი ჩაქინდრა, — თქვენ ჩემი მოსამართლე ხართ აქ დედამიწაზე, ისე როგორც ღმერთი ცაში. ხომ არ მეტყვიტ რასმე დასამშვიდებელს?

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, მე შემძლია გაგიმეოროთ ის, რაც გითხრათ აბატმა ბუზონიმ: ვილფორი, რომელსაცმთქვენ დანა ჩაეცით, ღირსი იყო იმ სასჯელისა, იმისათვის, რაც თქვენს მიმართ ჩაიდინა, და იქნებ სხვა რამისთვისაც. თუ ბენედეტო ცოცხალია, როგორც გითხარით, ის ღვთის შურისძიების იარაღი შეიქნება და შემდეგ თვითონაც დაისჯება. თქვენ კი მხოლოდ ერთ რამეში შეიძლება უსაყვედუროთ თქვენს თავს: როდესაც ბავშვი სიკვდილს გადაარჩინეთ, რატომ არ დაუბრუნეთ იგი დედას. ეს დანაშაულია, ბერტუჩო.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნამდვილად დამნაშავე ვარ, ლაჩრულად მოვიქეცი. რაკი ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე, ერთი რამ დამრჩენოდა, დამებრუნებინა იგი დედისათვის, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ზოგიერთი ცნობის შეგროვება, ამით ხალხის ყურადღებას მივიქცევი და შეიძლება თავი გამეცა. არ მინდოდა სიკვდილი, ცხოვრებასთან მაკავშირებდა ჩემი რძალი და თანდაყოლილი თავმოყვარეობა კორსიკელისა, რომელსაც ჩვეულებად აქვს შური იძიოს, სანამ ბოლომდე გაიმარჯვებდეს და ბოლოს, შეიძლება იმიტომაც, რომ უბრალოდ სიცოცხლე მიყვარდა. ისეთი მამაცი როდი ვარ, როგორც საწყალი ჩემი ძმა იყო.

ბერტუჩომ სახეზე ხელები აიფარა. მონტე-კრისტომ მას იდუმალი და ხანგრძლივი მზერა მიაპყრო.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ, რომელსაც დრო და ადგილი უფრო მეტ საზეიმო ელფერს აძლევდა, გრაფმა მისთვის უჩვეულო მელანქოლიური ხმით დაიწყო:

— რათა ღირსეულად დავამთავროთ ჩვენი საუბარი, რომელიც შეიძლება უკანასკნელი იყოს ამ შემთხვევის მიმართ, ბატონო ბერტუჩო, უნდა დაიმახსოვროთ ჩემი სიტყვები, რომელიც მე ხშირად გამიგონია აბატი ბუზონისაგან: «ყოველგვარ უბედურებას ორი წამალი აქვს — დრო და სიჩუმე». ახლა კი ბაღში მსურს გავისეირნო. ის, რაც თქვენში, ამ საშინელი შემთხვევის მონაწილეში მტანჯავ მღელვარებას იწვევს, მე, პირიქით, სასიამოვნო განცდებს მგვრის, და აორკეცებს ამ მამულის ღირებულებას. ეს ხეები, ხედავთ, ბატონო ბერტუჩო, სასიამოვნოა იმით, რომ ჩრდილს იძლევა, ჩრდილი კი სასიამოვნოა იმით, რომ იწვევს მოჩვენებებსა და ოცნებას. როდესაც მე ბაღს ვყიდულობდი, ვფიქრობდი, რომ ვიძენდი შემოღობილ ადგილს — ეს შემოღობილი ადგილი კი აღმოჩნდა ბაღი, რომელიც სავესეა კონტრაქტით გაუთვალისწინებელი მოჩვენებებით. მე მიყვარს მოჩვენებები. არასოდეს გამიგია, რომ მიცვალებულებს ექვსი ათასი წლის მანძილზე გაეკეთებინოთ იმდენი ბოროტება, რასაც ცოცხლები ერთ დღეში ჩადიან. შინ დაბრუნდით, ბერტუჩო, და მშვიდად დაიძინეთ. თუ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თქვენი სულიერი მამა თქვენს მიმართ ისეთ ღმობიერებას არ გამოიჩენს, როგორც აბატი ბუზონი, მიხმეთ და, თუ ცოცხალი ვიქნები, ისეთ სიტყვას მოვძებნი, რომელიც მშვიდად დაამინებს იმ ძნელ, მარადისობად წოდებულ გზაზე წასასვლელად გამზადებულ თქვენ სულს.

ბერტუჩომ გრაფს პატივისცემით დაუკრა თავი, ამოიოხრა და გაეცალა.

მონტე-კრისტო მარტო დარჩა. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— აჰ, ამ ჭადრის ახლოს, — ჩაიჩურჩულა მან, — არის საფლავი, სადაც ბავშვი მარხია. იქ ჭიშკარი, საიდანაც ბაღში შემოდიოდნენ. იმ კუთხეში საიდუმლო კიბეა, რომელიც საწოლ ოთახში გადის. არა მგონია ყოველივე ამის შეტანა საჭირო იყოს

უბის წიგნაკში, რადგან ჩემ თვალწინ, ჩემს ირგვლივ, ჩემს ფეხქვეშ რელიეფური ცოცხალი გეგმაა.

გრაფმა ერთხელ კიდევ შემოიარა ბაღი და ეტლისაკენ წავიდა. ბერტუჩომ დაინახა, რომ გრაფი ჩაფიქრებული იყო, ამიტომ ხმაამოუღებელივ მეეტლის გვერდით დაჯდა.

ეტლმა გეზი პარიზისაკენ აიღო.

იმ საღამოსვე გრაფი დაბრუნდა თავის ბინაში ელისეს მინდვრებზე და მთელი შენობა ისე შემოიარა, თითქოს მრავალი წლის განმავლობაში იცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლს პირველად ათვალთქვებდა, მას ისე არც ერთი კარი არ გამოუღია, არც ერთ კიბეზე ფეხი არ შეუდგამს და არც ერთ დერეფანში არ გაუხვევია, რომ სწორედ იქ არ მისულიყო, სადაც მას უნდოდა მოხვედრილიყო. გრაფს ამ ღამის მოგზაურობაში თან ახლდა ალი. მონტე-კრისტომ ბერტუჩოს მისცა რამდენიმე დავალება, რომელიც ეხებოდა ოთახების მორთულობასა და განაწილებას. შემდეგ საათს დახედა და ყურადღებიან ნუბიელს შემდეგი კითხვით მიმართა:

— უკვე თორმეტის ნახევარია, საცაა ჰაიდე მოვა. გააფრთხილეთ თუ არა ფრანგი მსახური ქალები?

ალიმ ხელი გაიწვდინა ლამაზი ბერძენი ქალისათვის განკუთვნილი ოთახისაკენ. ეს ოთახი ისეთი მონდომებით იყო მიმალული, კარებზე რომ ხალიჩა ჩამოგეკიდათ, მთელ ბინას ისე შემოივლიდით, ვერ მიხვდებოდით, თუ იქ სასტუმრო და ორი საწოლი ოთახი იყო. როგორც ვთქვით, ალიმ ხელი კარებისაკენ გაიწვდინა, მარცხენა ხელის სამი თითი ასწია, ძილის გამოსახატავად თავი ხელისგულზე დაიდო და თვალები დახუჭა.

— მივხვდი, — თქვა მონტე-კრისტომ, რომელიც მიჩვეული იყო ალისთან ამ ენაზე საუბარს, — სამივე მსახური ქალი დასაძინებელ ოთახში ელოდება, ასეა ხომ?

ალიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ამ საღამოს ქალბატონი დადლილი იქნება, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — უეჭველია დასვენებას მოისურვებს. არავინ გაუბას საუბარი. ფრანგი მსახური ქალები მხოლოდ მიესალმებიან თავის ახალ ქალბატონს და გაეცლებიან. თვალყური გეჭიროს? ბერძენმა მსახურმა ქალმა ურთიერთობა არ გააბას ფრანგ მსახურ ქალებთან.

ალიმ თავი დახარა.

მაღე გაისმა ხმა, რომელიც მეკარეს უხმობდა. კარები გაიღო, ხეივანში შემოვიდა ეტლი და პარმალთან გაჩერდა.

გრაფი ძირს ჩავიდა. ეტლის კარი ღია იყო. გრაფმა ხელი გაუწოდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავით-ფეხებამდე გახვეული იყო ოქროთი მოქარგულ მწვანე აბრეშუმის მანტიასში.

ყმაწვილი ქალი სიყვარულითა და პატივისცემით ეამბორა გამოწვდილ ხელს და წარმოთქვა რამდენიმე საალერსო სიტყვა, რაზედაც გრაფმა უპასუხა ნაზი სერიოზულობით იმ მქდერავ ენაზე, რომელიც მოხუცმა ჰომეროსმა თავის ღმერთების ბაგეებში მოათავსა.

ამის შემდეგ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც წინ ვარდისფერი ცვილის სანთლით აღჭურვილი ალი მიუძღოდა, თავის ბინაში შევიდა. ეს ის მზეთუნახავი იყო, რომელიც მონტე-კრისტოს ახლდა იტალიაში. გრაფიც მისთვის განკუთვნილ პავილიონში შევიდა.

ღამის პირველის ნახევარზე მთელ სახლში სინათლე ჩაქრა და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ყველას ეძინა.

თავი VIII

განუსაზღვრელი კრედიტი

მეორე დღეს, დაახლოებით დღის ორ საათზე მონტე-კრისტოს კარებთან გაჩერდა ეტლი, რომელშიც შებმული იყო ორი საუცხოო ინგლისური ცხენი. ეტლიდან, რომლის კარებზე გამოხატული იყო ბარონის გვირგვინი, გადმოიხედა მამაკაცმა და მეკარესთან გრუმი გაგზავნა საკითხავად, შინ იყო თუ არა გრაფი მონტე-კრისტო. ამ მამაკაცს ეცვა ლურჯი ფრაკი, ამავე ფერის აბრეშუმის, ღილებიანი, ვეებერთელა ოქროს ძეწკვით შემკული თეთრი ჟილეტი და ყავისფერი შარვალი. შუბლზე გადმოვარცხნილი თმა იმდენად შავი ჰქონდა, რომ ეჭვი შეგეპარებოდათ მის ბუნებრიობაში, მით უფრო, რომ იგი არ შეესაბამებოდა შუბლის ღრმა ნაოჭებს, რომელთაც იგი ვერ ფარავდა. ერთი სიტყვით, ეს იყო ორმოცდაათი წლის მამაკაცი, რომელსაც სურდა ხალხს ორმოცი წლისად სჩვენებოდა.

სანამ პასუხს მოუტანდნენ, იგი თითქმის თავხედური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა სახლის გარეგნულ მხარეს. ეტლის ფანჯრიდან შეეძლო დაენახა მხოლოდ ბაღის ნაწილი და რამდენიმე ლივრეიანი მსახური, რომლებიც ბაღში მიდი-მოდოდნენ. ამ კაცს ცოცხალი თვალეები უფრო ეშინებოდა ვიდრე ჭკვიანური. ტუჩები იმდენად წვრილი ჰქონდა, რომ უფრო მოკუმული მოუჩანდა, ვიდრე წინ გამოშვერილი. ფართო და ამოწეული ღაწვები — უტყუარი ნიშანი ვერაგობისა, ვიწრო შუბლი, ამოზურცული კეფა, ვეებერთელა, ნაკლებ არისტოკრატიული ყურები, ყოველ ფიზიონომისტში ზიზღს გამოიწვევდა ამ ტიპის მიმართ, რომელიც თავისი საუცხოო ცხენებით, პერანგზე საკინძებად დამაგრებული ბრილიანტებით, ერთი ღილაკილოდან მეორე ღილაკილომდე გაჭიმული წითელი ბაფთით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გაუნათლებელ ხალხზე.

გრუმმა მეკარის ფანჯარაზე დააკაკუნა და იკითხა:

— აქ ცხოვრობს გრაფი მონტე-კრისტო?

— დიახ, აქ ცხოვრობს მისი ბრწყინვალეობა, მაგრამ... — უპასუხა მეკარემ და რჩევისათვის ალის შეხედა.

ალიმ უარყოფის ნიშნად თავი გაუქნია.

— მაგრამ რა?.. — იკითხა გრუმმა.

— მისი ბრწყინვალეობა არ ღებულობს. — უთხრა მეკარემ.

— რაკი ასეა, ინებეთ ჩემი ბატონის ბარონ დანგლარის სადარბაზო ბარათი, გადაეცით იგი გრაფ მონტე-კრისტოს და უთხარით, რომ პალატაში მიმავალმა ჩემმა ბატონმა გზად მხოლოდ იმიტომ შემოუხვია, რათა მისი ხილვის პატივი ჰქონოდა.

— მე უფლება არა მაქვს ველაპარაკო მის ბრწყინვალეობას, — უპასუხა მეკარემ. — ამ დავალებას კამერდინერი შეგისრულებთ.

გრუმი ეტლისაკენ წავიდა.

— რას იტყვი? — ჰკითხა დანგლარმა.

დარცხვენელმა ბიჭმა თავის ბატონს მეკარის სიტყვები გადასცა.

— ოჰო, მაშ ის ბატონი დიდი ვინმე ყოფილა, რაკი მას ბრწყინვალეობით მიმართავენ, და მასთან საუბრის უფლება მხოლოდ კამერდინერს აქვს. მაგრამ სულ ერთია, რაკი კრედიტი ჩემს ბანკში აქვს გახსნილი, მაინც ვნახავ, როცა ფული დასჭირდება.

დანგლარი ეტლში ღრმად გადაწვა და მეეტლეს, ისე რომ ქუჩის მეორე მხარეზე გაეგონათ, გასძახა:

— «დეპუტატთა პალატისაკენ!»

დროზე გაფრთხილებულმა მონტე-კრისტომ თავისი ფლიგელის ჟალუზიდან დაინახა დატონი დანგლარი და საუცხოო დურბინდის დახმარებით შეძლო მისი შეთვალეირება. გრაფმაც ბარონის მიმართ ისეთივე ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა, როგორც დანგლარი სახლს, ბაღს და მსახურთა ლივრეებს აკვირდებოდა.

— აშკარაა, — თქმა მან ზიზღით და დურბინდის მილი ისევ ძვლის ბუდეში ჩადო, — აშკარაა, ეს კაცი ბინძური პიროვნებაა. როგორ შეიძლება, ადამიანმა პირველი დანახვისთანავე არ შეიცნო გველი მისი ბრტყელი შუბლით, ქორი — ამობურცული თავის ქალით და ძელქორი წაწვეტილი ნისკარტით.

— ალი! — დაიყვირა მან და სპილენძის ზარს დაჰკრა.

ალი შემოვიდა.

— დაუძახეთ ბერტუჩოს. — უთხრა მას გრაფმა.

იმწყურთშივე ბერტუჩოც გაჩნდა.

— თქვენი ბრწყინვალეობა მკითხულობდა? — თქვა მან.

— დიახ, დაინახეთ ცხენები, რომლებიც ეს-ეს არის ჩემს კარებთან იდგნენ?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეობავ, საუცხოო ცხენები იყო.

— მერე? მას შემდეგ, რაც გიბრძანეთ, პარიზის საუკეთესო ცხენები მომგვარეთ-მეთქი, როგორ მოხდა, რომ ამ ქალაქში კიდევ აღმოჩნდნენ ჩემი ცხენების სწორები და ისინი ჩემ საჯინიბოში არ დგანან? — უთხრა გრაფმა წარბების შეკვრით.

გრაფის შეკრული წარბების დანახვაზე და მკაცრი ხმის გაგონებაზე ალიმ თავი დახარა.

— შენი ბრალი როდია, კეთილო ალი, — უთხრა გრაფმა არაბულად ისეთი ალერსიანი ხმით და სახის ისეთი გამომეტყველებით, როგორც მისგან ძნელი მოსალოდნელი იყო, — შენ იგლისური ცხენების არაფერი გესმის.

ალის სახე კვლავ გაუნათდა.

— ბატონო გრაფო, — უთხრა ბერტუჩომ, — ცხენები, რომლებზედაც თქვენ ლაპარაკობთ, გასაყიდი არ იყო.

მონტე-კრისტომ მხრები აიჩეჩა.

— იცოდეთ, ბატონო ბერტუჩო, ყველაფერი გაიყიდება, როდესაც შესაფერის ფასს შეაძლევთ.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, ბატონმა დანგლარმა იმ ცხენებში თექვსმეტი ათასი ფრანკი გადაიხადა.

— თქვენ კი მისთვის ოცდათორმეტი ათასი ფრანკი შეგეძლიათ: დანგლარი ბანკირია, ბანკირი კი არასოდეს გაუშვებს შემთხვევას თავისი კაპიტალი გააორკეცოს.

— ბატონი გრაფი ამას სერიოზულად ამბობს? — იკითხა ბერტუჩომ.

მონტე-კრისტომ საქმეთა მმართველს შეხედა და სახეზე გაკვირვება გამოეხატა, რომ შეკითხვას უბედავდნენ.

— დღეს საღამოს, — თქვა მან, სადარბაზოდ მივდივარ. მე მინდა ეს ცხენები ჩემს ეტლში იყვნენ შებმულნი და ისიც ახალი აკაზმულობით.

ბერტუჩომ თავი დაუკრა, გაეცალა, მაგრამ კარებთან შეჩერდა.

— რომელ საათზე მიდის თქვენი ბრწყინვალეობა სადარბაზოდ? — იკითხა მან.

— ხუთ საათზე. — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— მე მინდა მოვაგონო თქვენს ბრწყინვალეობას, რომ ახლა ორი საათია. — თქვა გაუბედავად ბერტუჩომ.

— ვიცი, — მოუჭრა გრაფმა და ალის მიუბრუნდა.

— ყველა ცხენი ქალბატონის წინ გაატარეთ, შესაძლებლობა მიეცით აირჩიოს ის წყვილი, რომელიც მას მოეწონება. ჰკითხეთ აგრეთვე, სურს თუ არა ჩემთან ერთად

სადილობა და თუ თანახმა იქნება, სუფრა მის ოთახში გაგვიშალონ. ახლა კი წადით და კამერდინერი გამოგზავნეთ.

გავიდა თუ არა ალი, ოთახში კამერდინერი შემოვიდა.

— ბაპტისენ, — უთხრა გრაფმა, — თქვენ უკვე ერთი წელია ჩემთან მუშაობთ. ჩვეულებრივად ასეთ ვადას ვაძლევ მსახურებს გამოცდისათვის. თქვენ მე მომწონხართ.

ბაპტისენმა თავი დაუკრა.

— საკითხავი დარჩა, გაწყობთ თუ არა თქვენ ჩემისთანა ბატონთან სამსახური?

— ოჰ! თქვენო ბრწყინვალეზავ, — წარმოთქვა სწრაფად ბაპტისენმა.

— ბოლომდე მომისმინეთ, — შეაწყვეტინა გრაფმა. — თქვენ წელიწადში ათას ხუთას ფრანკს ღებულობთ, ესე იგი, მამაცი ოფიცრის ხელფასს, ოფიცერი კი ყოველდღე საფრთხეში იგდებს თავს, თქვენ ისეთ კერძებს მიირთმევთ, რომელიც შემურდებოდა კანცელარიის მრავალ უფროსს — უბედური მოხელეები გაცილებით უფრო დატვირთულები არიან, ვიდრე თქვენ. თვით მსახურს გყავთ მსახურები, რომლებიც ზრუნავენ თქვენს საცვლებზე და ტანსაცმელზე. ათას ხუთას ფრანკს გარდა, ჩემი ტუალეტისათვის საჭირო ნივთების შეძენისას მპარავთ დაახლოებით ათას ხუთას ფრანკს წელიწადში.

— ოჰ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

— მე არ ვჩივი, ბაპტისენ, ეს ზომიერია. თუმცა ვისურვებდი ეს თანხა აღარ გადიდებულიყო. ერთი სიტყვით, ვერსად ვერ იპოვით იმ ადგილზე უკეთესს, რომელიც თქვენ ბედმა გარგუნათ. მე არასოდეს ვცემ მსახურებს, არასოდეს ვაგინებ, არ ვუბრაზდები, ყოველთვის ვაპატიებ შეცდომას, მაგრამ დაუდევრობას და გულმაღვიწყობას კი — არასოდეს. ჩემი განკარგულება ჩვეულებრივად მოკლეა, მაგრამ ნათელი და ზუსტი. მირჩევნია ის ორ-სამჯერ გავიმეორო, ვიდრე გაუგებარი დარჩეს. საკმაოდ მდიდარი ვარ იმისათვის, რომ ვიცოდე ის, რაც მაინტერესებს, მე კი გაფრთხილებთ, რომ მეტისმეტად ცნობისმოყვარე ვარ. ამიტომ თუ სადმე გავიგე, რომ ჩემზე ილაპარაკეთ, სულ ერთია, კარგი ან ცუდი, განსაჯეთ ჩემი მოქმედებანი, თვალყური ადევნეთ ჩემ საქციელს, იმ წუთშივე დატოვებთ ჩემ ბინას. მსახურებს მხოლოდ ერთხელ ვაფრთხილებ. თქვენ უკვე გაფრთხილებული ხართ, ბაპტისენ. მიბრძანდით.

ბაპტისენმა თავი დაუკრა და წასასვლელად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— ჰო, მართლა, — თქვა გრაფმა, — დამავიწყდა მეთქვა, რომ ყოველწლიურად ჩემი მსახურების სახელზე განსაზღვრულ თანხას ვდებ. ისინი, ვისაც სამსახურიდან ვითხოვ, რასაკვირველია, კარგავენ ამ თანხას დანარჩენი მსახურების სასარგებლოდ, რომლებიც მას მიიღებენ ჩემი სიკვდილის შემდეგ. უკვე ერთი წელია, რაც თქვენ ჩემთან მსახურობთ. თქვენს ქონებას საფუძველი ჩაყრილი აქვს, თქვენზე არის დამოკიდებული მისი გადიდება.

გრაფის ამ სიტყვებმა, წარმოთქმულმა ალის თანდასწრებით, რომელიც შეუშფოთებლად იდგა, რადგან ფრანგული ენის არაფერი ესმოდა, ბაპტისენზე შთაბეჭდილება მოახდინა; ეს შთაბეჭდილება გასაგებია ყველასათვის, ვინც კი ფრანგი მსახურის ფსიქოლოგიას იცნობს.

— ვეცდები ყველაფერი შევუხამო თქვენი ბრწყინვალეების სურვილებს, — უთხრა მან, — ამავე დროს ბატონი ალის მაგალითით ვიხელმძღვანელო.

— არავითარ შემთხვევაში. — თქვა გრაფმა ცივი ხმით. — ღირსებებთან ერთად ალის ბევრი ნაკლი აქვს, მას არ წაბადოთ, ვინაიდან იგი გამონაკლისია. ის ხელფასს არ

დებულობს. ალი მსახური როდია, იგი ჩემი მონაა, ჩემი გოშიაა; თუ იგი თავის მოვალეობას უღალატებს, კი არ გავაგდებ — მოვკლავ.

ბაპტისენმა თვალეზი დააჭყიტა.

— ექვი გეპარებათ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

და მან ალის გაუმეორა ის, რაც ბაპტისენს ფრანგულად უთხრა.

ალიმ მოისმინა, გაუღიმა, მიუახლოვდა, ცალ მუხლზე დაუჭოქა და პატივისცემით ხელზე ეამბორა.

ამ თვალსაჩინო გაკვეთილმა საბოლოოდ გააცვიფრა ბაპტისენი.

გრაფმა ბაპტისენს ანიშნა გასულიყო. ალი თავის ბატონს გაჰყვა. ისინი კაბინეტში შევიდნენ და დიდხანს საუბრობდნენ.

ხუთ საათზე გრაფმა სამჯერ დაჰკრა ზარი. ერთი ზარით იგი ალის ეძახდა, ორით — ბაპტისენს, სამით — ბერტუჩოს.

კაბინეტში ბერტუჩო შემოვიდა.

— ჩემი ცხენები! — თქვა გრაფმა.

— ეტლში არიან შებმული, — უპასუხა ბერტუჩომ, — მე უნდა ვეახლო თქვენს ბრწყინვალეებს? — არა, მეეტლე, ბაპტისენი და ალი საკმარისი არიან.

გრაფი ძირს ჩამოვიდა, დაინახა, რომ მის ეტლში სწორედ ის ცხენები შეებათ, რომლებიც ამ დილით დანგლარის ეტლში იყვნენ შებმული, და მისი აღტაცება გამოიწვიეს.

როდესაც ცხენებს ჩაუარა, გრაფმა თვალი გადაავლო მათ.

— მართლაც საუცხოონი არიან, ძალიან კარგად მოიქეციან, ბერტუჩო, რომ იყიდეთ ეს ცხენები, თუმცა კი ცოტა დაგვიანებით. — უთხრა მან საქმეთა მმართველს.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, მეტად გამიძნელდა მათი ხელში ჩაგდება და ძალიან ძვირიც დამიჯდა.

— ამით ცხენებმა თავისი სიმშვენიერე დაკარგეს? — იკითხა გრაფმა მხრების აჩეჩვით.

— თუ თქვენი ბრწყინვალეება კმაყოფილია, ყველაფერი რიგზეა. სად მიბრძანდება თქვენი ბრწყინვალეება?

— შოსე დ'ანტენის ქუჩაზე, ბარონ დანგლართან.

ეს საუბარი პარმალზე მიმდინარეობდა. ბერტუჩომ ფეხი გადადგა, რომ კიბის პირველ საფეხურზე ჩასულიყო.

— მოიცათ, ბერტუჩო, — შეაჩერა იგი გრაფმა, — მე მინდა მიწის ნაკვეთი ვიყიდო ზღვის სანაპიროზე, თუნდაც ნორმანდიაში ჰავრსა და ბულონს შუა, როგორც ხედავთ, არჩევანში თვისუფლებას გაძლევთ. მაგრამ იმ მიწის ნაკვეთზე უსათუოდ უნდა იყოს პატარა ნავსადგური, ყურე ან უბე, რომელშიც შეეძლება შესვლა და დადგომა ჩემს კორვეტს. მისი წყალშიდი მხოლოდ თხუთმეტი ფუტია. ხომალდი გასასვლელად მზად უნდა იყოს დღისა და ღამის ყოველ დროს, როდესაც კი ნიშანს მივცემ.

ნოტარიუსებთან შეაგროვეთ ცნობები ისეთი მიწის ნაკვეთის შესახებ, რომლებიც ჩემს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, შემდეგ თვითონ წადით სანახავად და თუ მოგეწონებათ, თქვენს სახელზე შეიძინეთ. კორვეტი ალბათ უკვე ფეკანის გზაზეა?

— სწორედ იმ სადამოს, როდესაც მარსელი დავტოვეთ, დავინახე, რომ ზღვაში გავიდა.

— იახტა?

— იახტას ბრძანება აქვს მიღებული მარტიეში იდგეს.

— კარგით, დროდადრო ორივე კაპიტანთან მიწერ-მოწერა აწარმოეთ, რომ არ ჩაეძინოთ.

— გემზე რას იტყვით?

— იმაზე, რომელიც შალონში დგას?

— დიახ.

— იგივე განკარგულებები შესრულდეს, რაც იმ ორიალქნიანი გემის მიმართაა გაცემული.

— მესმის.

— როგორც კი მიწის ნაკვეთს შევიძენთ, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზებზე ყოველი ათი ლიეს მანძილზე სადგურები მოაწყვეთ ცხენების გამოსაცვლელად.

— თქვენს ბრწყინვალეებას შეუძლია ჩემი იმედი იქონიოს.

გრაფმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაუქნია, სწრაფად ავიდა ეტლში, საუცხოო ცხენებმა ჭენებით გასწიეს და მხოლოდ ბანკირის სახლთან შეჩერდნენ.

დანგლარი სარკინიგზო კომისიის თათბირს თავმჯდომარეობდა. სხდომა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მას გრაფ მონტე-კრისტოს მოსვლა აცნობეს.

გრაფის სახელის გაგონებაზე დანგლარი წამოდგა.

— ბატონებო, — მიმართა მან თავის კოლეგებს, რომლებიდანაც რამდენიმე ქვემო და ზემო პალატის საპატიო წევრი იყო, — ბოდიშს ვიხდი, რომ უნდა დაგტოვოთ. წარმოგიდგენიათ, «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლმა გამომიგზავნა ვიღაც გრაფი მონტე-კრისტო, რომელსაც განუსაზღვრელი კრედიტი გაუხსნა. ჩემი უცხოელი კორესპონდენტები ასეთ უკბილო ხუმრობას პირველად მიბედავენ. გამიგებთ, ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და დღეს დილით შევიარე იმ ყალბსახელიან გრაფთან. ის რომ ნამდვილი გრაფი იყოს, თვითონაც გესმით, ასეთი მდიდარი არ იქნებოდა.

ბატონმა გრაფმა არ ისურვა ჩემი მიღება. რას იტყვით ამაზე? ასე ხომ მეფის შთამომავალნი ან ლამაზი ქალები თუ ექცევიან ადამიანებს. სხვათა შორის, სახლი ელისეს მინდვრებზე, რომელიც ნამდვილად მას ეკუთვნის, მომეწონა. მაგრამ განუსაზღვრელი კრედიტი, — განაგრძო დანგლარმა ბილწი ღიმილით, — მეტად ადიდებს იმ ბანკირის მოთხოვნებს, რომელთანაც ეს კრედიტია გახსნილი. ასე რომ, ბატონებო, მოთმინება არ მყოფნის ვნახო ეს ვაჭბატონი. ვგონებ, მისტიფიკაციას მიკეთებენ, მაგრამ მათ არ იციან ვისთან აქვთ საქმე. ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს.

ეს სიტყვები მან ისეთი გამომეტყველებით თქვა, რომ ცხვირის ნესტოებიც კი დაებერა. დანგლარმა სტუმრები მიატოვა და გავიდა თეთრ ოქროთი მოვარაყებულ სასტუმრო ოთახში, რომელიც განთქმულია შოსე დ'ანტენში. დანგლარის განკარგულებით სტუმარი სწორედ იქ შეიყვანეს, რათა მაშინვე განეცვიფრებინა.

გრაფი ფეხზე დამდგარი ათვალთვლებდა ალბანისა და ფატორეს სურათების ასლებს, რომელიც ბანკირისათვის ორიგინალად შეეტყუებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასლებს წარმოადგენდნენ, მაინც არ შეეხამებოდნენ ვარდკაჭკაჭა ვარაყებს, რომლებიც ჭერს ამშვენებდნენ.

დანგლარის ნაბიჯების ხმაზე გრაფი შემობრუნდა.

დანგლარმა მსუბუქად დაუკრა თავი და ანიშნა ჩამჯდარიყო მოოქროვილ ხის სავარძელში, რომელზედაც გადაკრული იყო ოქრომკედით ამოქარგული თეთრი ატლასი.

გრაფი დაჯდა.

— ბატონ მონტე-კრისტოსთან მაქვს პატივი საუბრისა?

— მე კი, ბატონ ბარონ დანგლართან, უპასუხა გრაფმა, — საპატიო ლეგიონის კავალერთან, დეპუტატთა პალატის წევრთან?

მონტე-კრისტომ გაიმეორა ყველა ის ტიტული, რომელიც ბარონის სადარბაზო ბარათზე ამოიკითხა.

დანგლარმა იგრძნო დაცინვა და ტუჩები მოიკვნიტა.

— მაპატიეთ, თუ მაშინვე იმ ტიტულით არ მოგმართეთ, რომლითაც თქვენი მოსვლა მაცნობეს; — უთხრა მან, — მაგრამ, როგორც იცით, დემოკრატიული მთავრობის დროს ვცხოვრობთ და მეც ხალხთა ინტერესების წარმომადგენელი ვარ.

— ისე რომ, რაკი შეეჩვიეთ ბარონად მოგიხსენიონ, გადაეჩვიეთ სხვებს გრაფები უწოდოთ. — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— ამას გულგრილად ვუყურებ, — უპასუხა დანგლარმა, — ზოგიერთი დამსახურებისათვის მომცეს ბარონის ტიტული და გამხადეს საპატიო ლეგიონის კავალერი, მაგრამ...

— მაგრამ უარი თქვით თქვენს ტიტულებზე, როგორც ერთ დროს მონტემორანსიმ და ლაფაეტმა ჰქნეს? ესაა მაგალითი ღირსეული მიზანძვისათვის, ბატონო ჩემო.

— სავსებით არა, რასაკვირველია, — უპასუხა შემკრთალმა დანგლარმა, — მოსამსახურეები, ხომ გესმით...

— დიახ, მოსამსახურეებისათვის თქვენ «მისი ბრწყინვალეობა» ხართ, ჟურნალისტებისათვის — «მოწყალეო ხელმწიფე», ხოლო თქვენი ამომრჩევლებისათვის — მოქალაქე. ამ ნიუანსებს კონსტიტუციური წყობილების დროს გასავალი აქვს. ეს მე ძალიან კარგად მესმის.

დანგლარმა კვლავ ტუჩზე იკბინა. მიხვდა, რომ ამ საკითხებში მონტე-კრისტო მასზე ძლიერი იყო და გადაწყვიტა მისთვის ჩვეულ სფეროში გადასულიყო.

— ბატონო გრაფო, — თქმა მან თავის დაკვრით, — მე უწყება მივიღე «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლიდან.

— ძალიან მოხარული ვარ, ბარონო, ნება მიბოძეთ ისე მოგმართოთ, როგორც თქვენი მსახურეები მოგმართავენ. ეს ცუდი ჩვეულება მიღებული მაქვს იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობენ ბარონები, სწორედ იმიტომ, რომ იქ ახლებს არ ჰქმნიან. მოხიბლული ვარ-მეთქი, გეუბნებით, რადგან აღარ დამჭირდება თვით წარმოგიდგინოთ ჩემი თავი, რაც ყოველთვის უხერხულია. მამ თქვენ ბრძანებთ, რომ უწყება მიიღეთ?

— დიახ, — უთხრა დანგლარმა, — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მთლიანად ვერ გავიგე მისი აზრი.

— რას ბრძანებთ?

— ამის გამო პატივი მქონდა თქვენთან შემომევილო ზოგიერთი განმარტებისათვის. — ბრძანეთ, გისმენთ.

— ცნობა, — თქვა დანგლარმა, — ვგონებ თანა მაქვს, — დანგლარმა ჯიბეებში დაიწყო ძებნა, — აქ არის. ეს ცნობა გრაფს ჩემს ბანკში უხსნის განუსაზღვრელ კრედიტს.

— მერე, რა არის ამაში გაუგებარი, ბატონო ბარონო?

— არაფერი, მხოლოდ ერთი სიტყვა «განუსაზღვრელი».

— ნუთუ ეს ფრანგული სიტყვა არაა? — ამას ინგლისელები სწერენ.

— არა, სინტაქსის თვალსაზრისით ყველაფერი სწორია, მაგრამ ბუზჰალტერიის მხრივ ამას ვერ ვიტყვით.

— როგორ, ბატონო, სავაჭრო სახლი «ტომსონი და ფრენჩი» თქვენის აზრით სანდო არ არის? — ჰკითხა მონტე-კრისტომ რამდენადაც შეეძლო მიამიტად, — ეშმაკმა დალაზხროს, ეს არ მსიამოვნებს, იქ ცოტაოდენი ფული მაქვს დაბანდებული.

— არა, ის სავსებით სანდოა, — უპასუხა დანგლარმა თითქმის დაცინვით, — მაგრამ თვითონ სიტყვა «განუსაზღვრელი» ფინანსურ ლექსიკონში იმდენად ბუნდოვანია...

— საზღვარი რომ არა აქვს, არა? — თქვა მონტე-კრისტომ.

— სწორედ ამის თქმა მინდოდა. ყველაფერი გაურკვეველი იწვევს ეჭვს, ხოლო ეჭვში თავი შეიკავეო, — ამბობს ბრძენი.

— ეს კი იმას ნიშნავს, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — რომ თუ «ტომსონ და ფრენჩის» «სავაჭრო სახლი სულელურად იქცევა, დანგლარის ბანკს არ სურს მის მაგალითს მიჰბადოს.

— ეგ როგორ, ბატონო გრაფო?

— სულ უბრალოდ: ბატონებს ტომსონსა და ფრენჩს თანხების რაოდენობა არ აბრკოლებს; ბატონ დანგლარისათვის კი არსებობს ზღვარი. ის ბრძენი ადამიანია, როგორც ახლახან თვითონ თქვა.

— ბატონო გრაფო, ჯერ არავის დაუთვლია ჩემი სალარო, — უპასუხა ამაყად დანგლარმა.

— ასეთ შემთხვევაში, მე ვიქნები პირველი, ვინც ამას გააკეთებს, — უთხრა გრაფმა.

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, რომ განმარტებები, რომლებსაც თქვენ მთხოვთ, ძალიან ჰგავს მერყეობას.

დანგლარმა ტუჩი მოიკვნითა: ეს უკვე მეორედ დაამარცხა ამ კაცმა და ახლა უკვე ისეთ სფეროში, სადაც ის თავს მყარ ნიადაგზე გრძნობდა, მისი დამცინავი თავაზიანობა ყალბი იყო და თავის წინააღმდეგობაში — უხეშობაში გადადიოდა. მონტე-კრისტო, პირიქით, მეტად თავაზიანად იღიმებოდა და სურვილისამებრ გულუბრყვილო იერს ღებულობდა, რაც მას უპირატესობას ანიჭებდა.

— ერთი სიტყვით, ბატონო გრაფო, — თქვა დანგლარმა მცირე სიჩუმის შემდეგ, — მინდოდა გაგეგოთ ჩემი და გთხოვთ დაასახელოთ თანხა, რომლის მიღებასაც ვარაუდობთ.

— ბატონო ჩემო, რაკი განუსაზღვრელი კრედიტი ვითხოვე, მაშასადამე წინასწარ არ ვიცი რა თანხა დამჭირდება, — უპასუხა მონტე-კრისტომ, რომელსაც იოტის ოდენადაც არ უნდოდა დაეთმო ამ საუბარში.

ბანკირმა იფიქრა, ახლა კი მე ვაჯობეო და ამაყი ღიმილით სავარძელში გადაწვა.

— თამამად თქვით, — უთხრა მან, — ბატონო გრაფო, დანგლარის სავაჭრო სახლის ფინანსები თუმცა შეზღუდულია, მაგრამ დარწმუნდებით, რომ შეუძლია დააკმაყოფილოს ძალზე მაღალი მოთხოვნილებები და მილიონიც რომ გვთხოვოთ...

— რაო? — ჩაეკითხა მონტე-კრისტო.

— მე ვთქვი, მილიონი-მეთქი, — გაიმეორა დანგლარმა სულელური აპლომბით.

— მილიონი რა ბედენაა? — თქვა გრაფმა, — ღმერთო დიდებულიო, მარტო მილიონი რომ მჭირდებოდეს, კრედიტს როგორ გავხსნიდი ასეთი პატარა თანხისათვის. მილიონი ყოველთვის მაქვს საფულეში ან სამგზავრო ნესესერში.

და მონტე-კრისტომ ამოიღო თავისი პატარა უბის წიგნაკი, რომელშიც იდო მისი სადარბაზო ბარათები და ორი ხუთ ხუთ ათას ფრანკიანი ობლიგაცია.

დანგლარისთანა ადამიანისათვის ჩხვლეტა არ კმაროდა, მისთვის თავში უნდა ჩაგერტყათ. კომბალის დარტყმამ შედეგი გამოიღო. ბანკირი დატორტმანდა და თავბრუსხვევა იგრძნო. მონტე-კრისტოს უაზრო თვალები მიაშტერა, გუგები საშიშრად გაუფართოვდა.

— მოდით, გამოტყდით, — უთხრა მონტე-კრისტომ, — რომ არ ენდობით «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლს. ღმერთო ჩემო, ეს ბუნებრივია. ვგრძნობდი ეს ასე იქნებოდა და სიფრთხილისათვის ზომები მივიღე, თუმცა ასეთ საქმეებში კარგად ვერ ვერკვეოდი. აი, კიდევ ორი ისეთი უწყება, როგორც თქვენ მიიღეთ. ერთი გაცემულია არშტნეი და ესოლეს ვენის სავაჭრო სახლიდან ბატონ როტშილდისადმი, ხოლო მეორე ლონდონის ბერინგის სავაჭრო სახლიდან ბატონ დაფიტისადმი. საკმარისია ერთი სიტყვა მითხრათ, აგაცილებთ ყოველგვარ საზრუნავს და ერთ-ერთ ამ ბანკთაგანს მივადგები.

გათავდა. დანგლარი დამარცხდა. მან აცახცახებული ხელებით გაშალა ვენისა და ლონდონის უწყებები, რომლებიც გრაფმა ზიზლით გადააწოდა. ხელმოწერის სინამდვილე ისეთი მონდომებით შეამოწმა, რომ მონტე-კრისტო შეურაცხყოფად მიიღებდა, რომ იგი ბანკირის აბნეულობისათვის არ მიეწერა.

— დიახ, ეს სამი ხელმოწერა მილიონებს უდრის, — თქვა დანგლარმა და წამოდგა, თითქოს უნდოდა პატივი ეცა ოქროს სიძლიერისთვის, რომელიც მის წინ სავარძელში მჯდარ ადამიანში იყო განსახიერებული. — სამი განუსაზღვრელი კრედიტი, სამ სავაჭრო სახლზე. ბოდიშს ვიხდი, ბატონო გრაფო, ეჭვი აღარ მეპარება, მაგრამ განცვიფრებას კი ვერ ვძალავ.

— თქვენს სავაჭრო სახლს ვერაფრით ვერ გავაკვირებ, — უპასუხა მონტე-კრისტომ რაც შეიძლება თავაზიანად. — ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ...

— დაასახელეთ, გრაფო, თქვენს განკარგულებაში ვარ.

— კარგი, რაკი შევთანხმდით... ხომ შევთანხმდით?

დანგლარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ეჭვი აღარ გეპარებათ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ბატონო გრაფო, — შესძახა ბანკირმა, — არასოდეს მქონდა იგი.

— არა, თქვენ გინდოდათ საბუთი. ეს არის და ეს. კარგი, რაკი შევთანხმდით, — გაიმეორა გრაფმა, — და თქვენც ეჭვი აღარ გეპარებათ, თუ ინებებთ პირველ წელს დავთქვათ რაღაც განსაზღვრული თანხა — ვთქვათ ექვსი მილიონი.

— ექვსი მილიონი?! კარგი! თქვა სულისშებუთვით დანგლარმა.

— მეტი რომ მჭირდებოდეს, ვიტყოდი, — თქვა დაუდევრად მონტე-კრისტომ, — მაგრამ საფრანგეთში ერთი წლით ვფიქრობ დარჩენას და არა მგონია ამ თანხას გადავაჭარბო. ერთი სიტყვით, მომავალი გვიჩვენებს. დასაწყისში გამოგზავნეთ ხუთი ათასი ფრანკი, შინ ვიქნები დილის თერთმეტ საათამდე, გინდ არ ვიყო, ჩემს საქმეთა მმართველს დავუტოვებ მინდობილობას.

— ფული ხვალ დილის ათ საათზე გექნებათ. — უპასუხა დანგლარმა, — როგორ ინებებთ — ოქროთი, ქაღალდით თუ ვერცხლით?

— თუ შეიძლება ნახევარი ოქრო და ნახევარი — ქაღალდი.

გრაფი წამოდგა.

— უნდა გამოგიტყდეთ, გრაფო, მეგონა ზუსტი ცნობები მქონდა ევროპის ყველა ცნობილ სიმდიდრის შესახებ, მაგრამ როგორც ხედავთ, თქვენ სიმდიდრეზე, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს, არაფერი ვიცოდი, ალბათ დიდი ხნის ისტორია არა აქვს.

— პირიქით, ძალიან დიდი ხნისაა, — უთხრა მონტე-კრისტომ, — ეს იყო რაღაც საოჯახო განძეულის მსგავსი, რომლის ხელის შეხება აკრძალული იყო, დაგროვილმა პროცენტებმა გაასამკვეცეს კაპიტალი. ანდერძით დანიშნული დრო გავიდა რამდენიმე წლის წინათ, ასე რომ დიდი ხანი არაა, რაც ვსარგებლობ. ამიტომ, ბუნებრივია, მის შესახებ არაფერი იცოდეთ. ერთი სიტყვით, თქვენ მალე ახლოს გაეცნობით მას.

ამ სიტყვებზე გრაფმა გაიღიმა იმ ფერმკრთალი ღიმილით, რომელიც ასე აშინებდა ფრანც დ'ეპინეს.

— თქვენი გემოვნებებითა და წადილებით, — განაგრძო დანგლარმა, — ჩვენს დედაქალაქში ისეთ ფუფუნებას შექმნით, რომ დაგვჩრდილავთ ჩვენ, საცოდავ მილიონერებს. რაკი ხელოვნების მოყვარული ჩანხართ (როდესაც შემოვედი შევნიშნე სურათებს ათვალიერებდით), ნება მიბოძეთ ჩემი გალერეა დაგათვალიერებინოთ. ცნობილი მხატვრების ძველი სურათებია, ორიგინალობის გარანტიით არ მიყვარს ახლები.

— მართალს ბრძანებთ, მათ ყველას ერთი დიდი ნაკლი აქვთ, ვერ მოასწრეს დაძველება.

— გიჩვენებთ ტორვალდსენის, ბარტოლონის, კანოვას ზოგიერთ ქანდაკებას, — ყველანი უცხოელები არიან. როგორც ხედავთ, არ მიყვარს ფრანგი მხატვრები და მოქანდაკეები.

— უფლება გაქვთ უსამართლო იყვეთ მათ მიმართ, ისინი ხომ თქვენი თანამედროვენი არიან.

— მაგრამ ეს ამბავი გადავდოთ იმ დროისათვის, როცა უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს. დღეს კი, თუ ნებას მომცემთ, წარგადგენთ ქალბატონ დანგლართან, მაპატიეთ ჩემი აჩქარება, მაგრამ ასეთი კლიენტი, როგორც თქვენა ბრძანებდით, თითქმის ოჯახის წევრი ხდება.

მონტე-კრისტომ თავი დაუკრა იმის ნიშნად, რომ ღებულობდა პატივს, რომელიც მას ფინანსისტმა დასდო.

დანგლარმა დარეკა. შემოვიდა ბრწყინვალე ლივრეაში გამოწყობილი მსახური.

— ბარონესა შინ არის? — იკითხა დანგლარმა.

— დიახ, ბატონო ბარონო, — უპასუხა მსახურმა.

— მარტოა?

— არა, ბარონესას სტუმრები ჰყავს.

— უხერხული ხომ არ იქნება სხვების თანდასწრებით წარგადგინოთ, ინკოგნიტოდ ხომ არ აპირებთ დარჩენას?

— არა, ბატონო ბარონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ სიცილით, — მე არა მაქვს ამის უფლება.

— ვინ არის ქალბატონთან? ბატონი დებრე? — ჰკითხა დანგლარმა გულუბრყვილოდ, რაზედაც გულში ჩაეცინა მონტე-კრისტოს, რომელსაც უკვე გაეგო ფინანსისტის საოჯახო ცხოვრების გამჭვირვალე საიდუმლოებანი.

— დიახ, ბატონო ბარონო.

დანგლარმა თავი დაუქნია, შემდეგ მონტე-კრისტოს მიუბრუნდა:

— ბატონი ლუსიენ დებრე, — თქვა მან, — ჩვენი ძველი მეგობარია; იგი საგარეო საქმეთა მინისტრის პირადი მდივანია. რაც შეეხება ჩემ ცოლს, ჩემთან შეუღლებით არათანასწორ ქორწინებას დათანხმდა, რადგან უძველესი გვარის წარმომადგენელია; მისი ქალიშვილობის გვარია სერვიესი, ხოლო პირველი ქორწინებიდან მარკიზ დე ნარგონის გვარს ატარებდა.

— არ მაქვს პატივი ვიცნობდე ქალბატონ დანგლარს, ხოლო ლუსიენ დებრეს კი უკვე შევხვდი.

— ეგ სადა? — ჰკითხა დანგლარმა.

— ბატონ მორსერთან.

— მაშ თქვენ იცნობთ ახალგაზრდა ვიკონტს?

— მას შევხვდი რომში კარნავალის დროს.

— ჰო, დიახ, — თქვა დანგლარმა. — გამიგონია, რაღაც ნანგრევებში მძარცველებთან და ყაჩაღებთან მომხდარი უცნაური ფათერაკის შესახებ. იგი რაღაც სასწაულს გამოუყვანია იმ ადგილიდან. ვგონებ იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ჩემს ცოლსა და ქალიშვილს უყვებოდა ამ ამბავს.

— ქალბატონი ბატონებს ელის. — მოახსენა მსახურმა.

— წინ გაგიძღვებით გზის მაჩვენებლად, — უთხრა დანგლარმა თავის დაკვრით.

— მოგყვებით! — უპასუხა გრაფმა.

თავი IX

აბრაში ცხენები

ბარონმა გრაფის თანხლებით გაიარა გრძელი რიგი ოთახებისა, რომლებიც გამოირჩეოდნენ დამძიმებული მდიდრული მორთულობით და უგემოვნო ფუფუნებით. ბოლოს, როგორც იქნა, მივიდნენ ქალბატონ დანგლარის ბუდეურამდე. ეს იყო პატარა რვაკუთხი ოთახი, რომლის კედლებს ინდოეთის მარმარილო და ვარდისფერი ატლასი ეკრა. ოთახში იდგა მოვარაყული ძველებური სავარძლები, რომლებსაც ძველებურივე ფარჩა ჰქონდა გადაკრული. კარებს ზემოთ, ბუმეს ჟანრის მიხედვით, მწყემსური სურათები ეხატა, ორი მედალიონის ფორმის შესანიშნავი პასტელი ეგუებოდა ოთახის დანარჩენ მოწყობილობას და მთელ ბინაში ამ ერთადერთ პატარა ოთახს რაღაც თავისებურ ელფერს აძლევდა. მართალი უნდა ითქვას, რომ წილად ხვდა ბედნიერება არ მოყოლილიყო დანგლარისა და მისი არქიტექტორის — იმპერიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და წარჩინებული ხელოვანის მიერ შემუშავებულ საერთო გეგმაში. მისი მორთულობის საკითხს თვით ბარონესა და ლუსიენ დებრე განაგებდნენ. ამიტომ დანგლარი, სიძველეთა დიდი მოყვარული, — ისეთი გაგებით, როგორც ეს დირექტორის დროს ესმოდათ, — ამ კოპწია კუთხეს, სადაც, სხვათა შორის, მას იმ პირობით ღებულობდნენ, რომ ვისიმე მოყვანით თავისი მოსვლა გაემართლებინა, უპატივცემულობით ეპყრობოდა. ამგვარად, დანგლარი კი არ წარადგენდა ხოლმე სტუმრებს, არამედ პირიქით, მას კარგად ან ცუდად იმის მიხედვით ღებულობდნენ, თუ რამდენად მოსწონდა ან არ მოსწონდა ბარონესას ამ სტუმრის გარეგნობა.

ქალბატონი დანგლარი, რომლის სილამაზე ჯერ კიდევ ქებას იმსახურებდა, — თუმცა იგი უკვე ოცდათექვსმეტი წლისა იყო, — როიალთან იჯდა. ეს იყო მარკეტელის ხელოვნების პაწაწკინტელი შედევი. ლუსიენ დებრე კი სამუშაო მაგიდასთან ალბომს ათვალიერებდა.

ლუსიენს გრაფის მისვლამდე უკვე მოესწრო მის შესახებ საკმარისად ესაუბრა ბარონესასთან. მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გრაფმა ალბერთან საუზმის დროს მის სტუმრებზე; და მიუხედავად იმისა, რომ დებრეს ძნელად თუ გააკვირვებდით, ეს შთაბეჭდილება მასში ჯერ კიდევ არ წაშლილიყო. ეს იგრძნობოდა იმ ცნობებში, რომლებიც ბარონესას გრაფის შესახებ მიაწვდინა. ამგვარად, ქალბატონ დანგლარში მორსერის ადრინდელი მონაყოლით და

ლუსიენის მიერ ამჟამად დაწვრილებით გადმოცემული ცნობებით აღძრულმა ცნობისმოყვარეობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. როიალიცა და ალბომიც მხოლოდ მაღალი საზოგადოების ეშმაკობა იყო, რითაც ისინი თავიანთი მღელვარების დაფარვას ფიქრობდნენ. ყოველივე ამის გამო ბარონესამ დანგლარი მისთვის უჩვეულო ღიმილით მიიღო, ხოლო გრაფის სალამს ცერემონიალური რევერანსით უპასუხა.

ლუსიენი თავის მხრივ ისე მიესალმა გრაფს, როგორც ახლადგაცნობილ ადამიანს, ხოლო, დანგლარს — მეგობრულად.

— ქალბატონო, — თქვა დანგლარმა, — ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ბატონი მონტე-კრისტო, რომელსაც დაბეჯითებით რეკომენდაციას უწევენ ჩემი რომელი კორესპონდენტები. პირადად მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ დავამატო და ამით იგი მაშინვე ყველა ჩვენი მშვენიერი მანდილოსნის კერპი გახდება. გრაფი პარიზში ჩამოვიდა იმ განზრახვით, რომ ერთი წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ექვსი მილიონი დახარჯოს; ეს გარემოება კი ჩვენ გვპირდება მეჯლისების, სადილებისა და ვახშმების მთელ სერიებს, რომლებშიც, იმედი მაქვს, გრაფი არ დაგვივიწყებს ისევე, როგორც ჩვენ არ გამოვტოვებთ მას თუნდ სულ პატარა წვეულებაც გავმართოთ.

ეს წარდგინება წარმოთქმული იყო საკმაოდ უხეში მლიქვნელობით, მაგრამ რაკი პარიზში იშვიათი შემთხვევაა ისეთ ადამიანთან შეხვედრა, რომელიც ერთ წელიწადში თავადის ქონების დახარჯვას აპირებს, ქალბატონმა დანგლარმა ინტერესით გახედა გრაფს.

— მაშ თქვენ, ბატონო გრაფო, ჩამოხვედით?...

— ჰკითხა ბარონესამ.

— გუშინ დილით, ქალბატონო.

— თქვენი ჩვეულების თანახმად, რაზედაც უკვე მელაპარაკნენ, ქვეყნის დასალიერიდან ჩამოხვედით?

— ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ კადიქსიდან, ქალბატონო.

— ძალიან ცუდ დროს მოგიხდათ ჩამოსვლა. პარიზი ზაფხულში აუტანელია, აღარ იმართება მეჯლისები, დღესასწაულები, წვეულებები. იტალიური ოპერა ლონდონს წავიდა, ფრანგულს კი პარიზის გარდა ყველგან შეხვდებით. რაც შეეხება საფრანგეთის თეატრს, როგორც თქვენთვის ცნობილია, იგი უკვე აღარ არსებობს. გართობისათვის დაგვრჩა მხოლოდ რაღაც უბადრუკი დოღი მარსის მოედანზე და სატორიში. ბატონო გრაფო, თქვენი ცხენები მიიღებენ შეჯიბრებაში მონაწილეობას?

— ქალბატონო, გავაკეთებ ყველაფერს, რაც პარიზშია მიღებული, თუკი წილად მხვდება ბედნიერება ვიპოვო ადამიანი, ვინც ჯეროვნად გამაცნობს ფრანგულ ჩვეულებებს.

— ბატონო გრაფო, გიყვართ ცხენები?

— ჩემი ცხოვრების ნახევარი აღმოსავლეთში გავატარე, აღმოსავლეთის ხალხი კი, ქალბატონო, ამქვეყნად ყველაზე მეტად ორ რამეს აფასებს — ცხენების კეთილშობილებას და ქალების სილამაზეს.

— ბატონო გრაფო, თუნდაც თავაზიანობისათვის, ქალები პირველად უნდა დაგესახელებინათ, — უთხრა ბარონესამ.

— ხომ ხედავთ, რა მართალი ვიყავი, როდესაც ფრანგული ჩვეულების გასაცნობად დამრიგებელს ვნატრობდი.

სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ქალბატონ დანგლარის რჩეული მსახური ქალი, თავის ქალბატონს მიუახლოვდა და ყურში რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა.

ქალბატონი დანგლარი გაფითრდა.

— შეუძლებელია! — თქვა მან.

— სიმართლე გახლავთ, ქალბატონო, — უპასუხა მსახურმა.

ქალბატონი დანგლარი ქმარს მიუბრუნდა.

— მართალია, ბატონო ჩემო?

— რა, ქალბატონო? — ჰკითხა აღელვებულმა დანგლარმა.

— ის, რაც მსახურმა მითხრა.

— მერედა რა გითხრათ?

— მითხრა, რომ საჯინიბოში ჩემი ცხენების გამოსაყვანად შესულ მეეტლეს ისინი იქ აღარ დახვედრია. მე თქვენ გეკითხებით, რას ნიშნავს ეს?

— ქალბატონო, მისმინეთ. — უთხრა დანგლარმა.

— დიახ, გისმენთ, ძალიან მაინტერესებს რას ბრძანებთ: დაე ეს ბატონები იყვნენ ჩვენი მსაჯულები. მე კი იმით დავიწყებ, რომ ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები, ბატონებო, — განაგრძო ბარონესამ, — ბატონ დანგლარს საჯინიბოში ათი ცხენი ჰყავს. ამ ათიდან ორი საუცხოო ცხენი, პარიზის ყველაზე კარგი წყვილი მე მეკუთვნის. ბატონო დებრე, თქვენ იცნობთ ჩემ აბრაშებს, და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ქალბატონი დე ვილფორი ეტლს მთხოვს და მეც შევპირდი ხვალისათვის ბულონის ტყეში სასეირნოდ ცხენები მეთხოვებინა, ისინი გაქრნენ. ბატონ დანგლარს, ალბათ, შემთხვევა მიეცა ამ ცხენებში რამდენიმე ათასი ფრანკი მოეგო და მან ისინი გაჰყიდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საზიზღარი ხალხია ეს ვაჭრები.

— ქალბატონო, ის ცხენები მეტისმეტი შმაგები იყვნენ. ისინი ხომ ოთხი წლისანია არიან. მე მუდამ ვშიშობდი არაფერი შეგმთხვეოდათ, — უპასუხა დანგლარმა.

— ბატონო ბარონ, თქვენ ძალიან კარგად იცით, — თქვა ბარონესამ, — რომ უკვე ერთი თვეა მემსახურება პარიზის საუკეთესო მეეტლე, თუ ისიც არ გაყიდეთ ცხენებთან ერთად.

— ძვირფასო მეგობარო, მე თქვენ გიშოვით სწორედ ისეთ ცხენებს, უკეთესებსაც, თუ ეს შესაძლებელი იქნება; მაგრამ მშვიდდებს, დამჯერებს, ისეთებს, რომლებიც ისეთ შიშს აღარ მომგვრიან, როგორც ის ცხენები.

ბარონესამ მხრები ზიზღით აიჩეჩა.

დანგლარმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ასეთ მოქმედებაში მხოლოდ ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამომხატველი ჟესტი დაინახაო და მონტე-კრისტოს მიუბრუნდა:

— ბატონო გრაფო, ვწუხვარ ადრე არ გიცნობდით; თქვენ ხომ ახლა ეწყობით? — დიახ, — უპასუხა გრაფმა.

— იმ ცხენებს თქვენ შემოგთავაზებდით. წარმოგიდგენიათ, ჩალის ფასად გავეყიდე, მაგრამ, როგორც გითხარით, მინდოდა თავიდან მომეშორებინა. ისეთი ცხენები ყმაწვილკაცების საქმეა.

— გმადლობთ, ბატონო დანგლარ; ამ დილით საკმაოდ კარგი ცხენები ვიყიდე და არცთუ ისე ძვირად. შეხედეთ, ბატონო დებრე, თქვენ ვგონებ ცხენების მოყვარული ბრძანდებით.

სანამ დებრე ფანჯარასთან მივიდოდა, დანგლარი თავის ცოლს მიუახლოვდა.

— წარმოიდგინეთ, ქალბატონო, — დაიწყო მან ჩურჩულით, — რომ ამ ცხენებში დილით გასაგიჟებელი ფასი შემადლიეს. არ ვიცი ვინ არის ის სულელი, რომელსაც გაკოტრება განუზრახავს და ამ დილით საქმეთა მმართველი გამომიგზავნა, მაგრამ რა მენადვლება, თექვსმეტი ათასი ფრანკი მოგება ვნახე. ნუ მიბრაზდებით, იმ თანხიდან ოთხი ათას ფრანკს თქვენ მოგცემთ, ორს კი — ეჟენის.

ქალბატონმა დანგლარმა ქმარს გამანადგურებლად შეხედა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა დებრემ.
— რა მოხდა? — ჰკითხა ბარონესამ.
— არა, მე არ ვცდები, გრაფის ეტლში სწორედ თქვენი ცხენებია შებმული.
— ჩემი აბრაშები! — წამოიძახა ქალბატონმა დანგლარმა და ფანჯარასთან მიიღრინა.
— ნამდვილად ჩემი ცხენებია, — თქვა მან.
დანგლარი გაოგნებული იდგა.
— შეუძლებელია, — წარმოთქვა გრაფმა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გაუკვირდა.
— შეუძლებელია! — ჩაიჩურჩულა ბანკირმა.
ბარონესამ ყურში რამდენიმე სიტყვა უთხრა დებრეს, ეს უკანასკნელი კი მონტე-კრისტოს მიუახლოვდა.
— ქალბატონს აინტერესებს, მისმა ქმარმა რამდენად მოგყიდათ ეს ცხენები.
— მართალი გითხრათ, — უთხრა გრაფმა, — არ ვიცი, ეს ჩემი საქმეთა მმართველის სიურპრიზია. თუ არ ვცდები, ოცდაათი ათას ფრანკამდე დაჯდა.
დებრე ქალბატონ დანგლართან მივიდა პასუხის გადასაცემად.
დანგლარი ფერმიხდილი და შემკრთალი იდგა. გრაფმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეუბნებოდა:
— აი, ხომ ხედავთ, რამდენად უმადურები არიან ქალები. თქვენმა წინდახედულებამ მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინა. უმადურები — ეს შესაფერი არ არის. უკეთესი იქნებოდა გვეთქვა — უგნურები. რას იზამ, ადამიანს ყოველთვის ის იზიდავს, რაც საშიშია. დამიჯერეთ, ძვირფასო ბარონო, ყველაფერს ჯობია, ისინი თავის ნებაზე მივუშვათ და თუ ფეხს წაიმტვრევენ, მხოლოდ თავის თავს დააბრალონ.
დანგლარმა არაფერი უპასუხა: ის გრძნობდა, რომ ახლო მომავალში დიდი უსიამოვნება ელოდა; ბარონესას უკვე შეეკრა წარბები და იუპიტერ ოლიმპიელივით ქარიშხალს იუწყებოდა. რაკი დებრემ ქარიშხლის სიახლოვე იგრძნო, რაღაც მოიმიზეზა და წავიდა. მონტე-კრისტოს არ უნდოდა შეერყია თავისი მდგომარეობა, რომელზედაც ის იმედებს ამყარებდა და გადაწყვიტა აღარ დარჩენილიყო. იგი ქალბატონ დანგლარს გამოემშვიდობა და გავიდა. ასე რომ, ბარონი გაბრაზებულ ცოლს შეატოვა.
«ძალიან კარგი, — ფიქრობდა მონტე-კრისტო, — მოხდა ის, რაც მე მინდოდა. ახლა შემძლია ზავი ჩამოვაგდო ცოლ-ქმარს შუა და ერთსა და იმავე დროს მოვიგო ბარონისა და ბარონესას გული. რა ბედნიერებაა, მაგრამ მე ჯერ არ წარვუდგენივარ მადმუაზელ ეჭენი დანგლარისათვის, რომლის გაცნობა ძალიან მინდოდა. თუმცა, — განაგრძო მან მისთვის ჩვეული ღიმილით, — ჩვენ ხომ პარიზში ვართ და ამისი დრო გვექნება, შემდეგისათვის იყოს!..»
ასეთ ფიქრებში გართული გრაფი ჩაჯდა ეტლში და შინ დაბრუნდა.
ორი საათის შემდეგ ქალბატონმა დანგლარმა მონტე-კრისტოსაგან მომხიბვლელი წერილი მიიღო. იგი სწერდა, არ მინდა პარიზის საზოგადოებაში ჩემი დებიუტი ლამაზი ქალის წყენინებით დავიწყო და ამიტომ თხოვდა ცხენები უკან მიეღო.
ცხენები ისევე იყვნენ შეკაზმული, როგორც დილით ბარონესამ ნახა. მხოლოდ თითოეულ როზეტში, რომლებიც ყურებზე ჰქონდათ ჩამოცმული, გრაფის მითითებით თითო ალმასი ჩაედოთ.

წერილი დანგლარმაც მიიღო. გრაფი სთხოვდა ბარონესასათვის ნება მიეცა დაეკმაყოფილებინა მილიონერის ეს კაპრიზი, ხოლო მისთვის ეპატიებინა აღმოსავლური მანერა, რომლითაც ის ამ ცხენებს აბრუნებდა.

საღამოთი მონტე-კრისტო აღის თანხლებით იტელიში წავიდა.

მეორე დღეს, დაახლოებით სამ საათზე, გრაფის ზარის ხმაზე ალი მის კაბინეტში გაჩნდა.

— ალი, შენგან ხშირად გამიგონია, რომ ქამანდს კარგად ისვრი, — უთხრა მან მუნჯ მსახურს.

ალიმ თავი დაუქნია და ამაყად გაიჭიმა.

— ისე, რომ ქამანდით შეძლებდი ხარის შეჩერებას?

ალიმ თავი დაუქნია.

— ვეფხვისაც?

ალიმ ისევ დაუქნია თავი.

— ლომის?

ალიმ ისეთი მდგომარეობა მიიღო, თითქოს ქამანდას ისროდა და თავშეუკავებელი ღმუილი აღმოხდა.

— მესმის, — უთხრა მონტე-კრისტომ, — შენ ლომზე გინადირია.

ალიმ ამაყად დაუქნია თავი.

— შეგიძლია გააჩერო ორი გაგიჟებული ცხენი?

ალის გაელიმა.

— მაშ მისმინე: — უთხრა მონტე-კრისტომ, — საცაა ჩვენ სახლს ჩაუქროლებს ეტლი, რომელშიც შებმული იქნება ორი გაშმაგებული აბრაში ცხენი. სწორედ ისინი, რომლებიც მე გუშინ მყავდა. კიდევ რომ გაგიტანოს, ეტლი ჩემს კარებთან უნდა გააჩერო.

ალი ქუჩაში გავიდა და კარებთან ქვაფენილის გასწვრივ ხაზი გაავლო, შემდეგ ისევ დაბრუნდა და გრაფს უჩვენა ხაზი, რომელსაც ის თვალს არ აცილებდა.

გრაფმა მას მხრებზე მსუბუქად დაჰკრა ხელი. საერთოდ ასე უხდიდა ხოლმე ალის მადლობას. ამის შემდეგ ნუბიელი ისევ გარეთ გავიდა. ქუჩისა და სახლის კუთხეში ქვის ბოძკინტზე ჩამოჯდა და ჩიბუხი გააბოლა, გრაფი მონტე-კრისტო კი თავის ოთახში შევიდა, მას უკვე აღარაფრის დარდი აღარ აწუხებდა.

მაგრამ ხუთი საათისათვის, ესე იგი, როდესაც იგი ეტლის ჩამოვლას ელოდა, ოდნავი მოუთმენლობის ნიშნები დაეტყო. ის ბოლთასა სცემდა ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩაში გადიოდნენ. დროდადრო ყურს მიუგდებდა და ფანჯარასთან მივიდოდა, საიდანაც ალის ხედავდა: ნუბიელი თანაბრად უშვებდა თამბაქოს ბოლს, რაც იმას მოწმობდა, რომ იგი მთლიანად ჩაფლულიყო ამ მნიშვნელოვან საქმეში.

უცებ შორიდან მოისმა ეტლის ბორბლების ხმაური, რომელიც ელვის სისწრაფით ახლოვდებოდა. შემდეგ გამოჩნდა ეტლი, მეეტლე ამაოდ ცდილობდა შეეჩერებინა გაგიჟებული ცხენები, ისინი გაშმაგებით მოქროდნენ.

ეტლში იჯდა ახალგაზრდა ქალი და შვიდი თუ რვა წლის ბავშვი. ისინი ერთმანეთს მიკვროდნენ და შიშისაგან ყვირილიც ვეღარ მოეხერხებინათ. ეტლი ჭრაჭუნობდა; საკმარისი იყო ბორბალი ქვას ან ძელს მოხვედროდა, რომ იგი ნაკუწ-ნაკუწად ქცეულიყო. ეტლი შუა ქვაფენილზე მოდიოდა და ყოველი მხრიდან მოისმოდა შიშის შეძახილები.

უცებ ალიმ თავისი ჩიბუხი განზე გადადო, ჯიბიდიან ქამანდა ამოიღო, გადაისროლა და სამმაგი რგოლი მარცხენა ცხენის წინა ფეხებს მოსდო. ცხენმა იგი სამი თუ ოთხი ნაბიჯის მანძილზე გაათრია, შემდეგ ხელნა გატყდა, ამან კი ხელი

შეუშალა მეორე ცხენს, გზა განეგრძო. მეეტლემ ისარგებლა ამ შემთხვევით და კოფოდან გადმოხტა, მაგრამ ალიმ თავისი რკინის თითებით უკვე მოასწრო ცხენის ჩიჩვირის ჩაჭერა; ტკივილისაგან გამწარებულმა ცხენმა ჭიხვინი მორთო და მეორე ცხენის გვერდით ჩაიჩოქა.

ყოველივე ამას იმაზე მეტი დრო არ დასჭირებია, რაც ტყვიას მიზანში მოსახვედრად მოუხდებოდა.

ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ იმ სახლიდან, რომლის კარების წინ ეს ამბავი ხდებოდა, გამოვარდნილიყო მამაკაცი რამდენიმე მსახურის თანხლებით. ის იყო მეეტლემ კარი გამოაღო, რომ ამ მამაკაცმა ეტლიდან გამოიყვანა ქალი, რომელიც ცალი ხელით ჯერ ისევ ბალიშს ეჭიდებოდა, ხოლო მეორე გულწასული შვილისათვის მკერდში ჩაეჭიდა. მონტე-კრისტომ ორივენი სასტუმრო ოთახში აიყვანა და სავარძელში დააწვინა.

— ნუღარაფრის გეშინიათ, ქალბატონო, უკვე გადარჩით, — უთხრა მან.

ქალი გონს მოვიდა და პასუხის მაგივრად თავისი ვაჟიშვილი უჩვენა. მისი თვალები სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველურად გამოხატავდნენ მუდარას.

მართლაც ბავშვი ჯერ ისევ გულწასული იყო.

— მესმის, ქალბატონო, — უთხრა გრაფმა და ბავშვს სინჯვა დაუწყო. — დამშვიდდით, არაფერი დაშავებია, მხოლოდ შეშინებულია.

— ბატონო ჩემო, — დაიყვირა დედამ, — ნუ მეუბნებით ამას დასამშვიდებლად, ხედავთ რა გაფითრებულია. ჩემო ბიჭიკო! ჩემო შვილო! ჩემო ედუარდ, ხმა გაეც დედაშენს. ღვთის გულისათვის სასწრაფოდ გაგზავნეთ ვინმე ექიმთან. ყველაფერს მივცემ, ოღონდ შვილი გადამირჩინონ.

მონტე-კრისტომ ხელის მოძრაობით სცადა ატირებული დედა გაეჩერებინა. შემდეგ ერთი ყუთი გააღო და ოქროგადაკრული ბოჭკემის ბროლის ფლაკონი ამოიღო, რომელიც სავსე იყო სისხლივით წითელი სითხით და ბავშვს ბაგეებზე დააწვეთა.

ჯერ ისევ გაფითრებულმა ბავშვმა მაშინვე თვალები გაახილა. დედამ სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა.

— სად ვარ და ვის უნდა ვუმაძლოდე ამ ბედნიერებას ასეთი საშინელების შემდეგ?

— თქვენ იმყოფებით ადამიანთან, რომელიც ბედნიერია, რომ უბედურებას აგაცილათ, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— ოჰ, ეს წყეული ცნობისმოყვარეობა! — თქვა ქალმა. — მთელი პარიზი ქალბატონ დანგლარის საუცხოო ცხენებზე ლაპარაკობდა და მეც გავსულელდი, მოვინდომე ამ ცხენებით გასეირნება.

— როგორ? — წამოიძახა გრაფმა შესანიშნავად გათამაშებული გაკვირვებით, — განა ეს ბარონესას ცხენებია?

— დიახ, ბატონო, თქვენ მას იცნობთ?

— ქალბატონ დანგლარს? მაქვს ეს ბედნიერება, და ჩემი სიხარული გაორკეცდა იმის გამო, რომ აგცდათ საშიშროება, რომელიც ამ ცხენების გამო გელოდათ. უბედურების შემთხვევაში ბრალს მე დამდებდნენ. ეს ცხენები გუშინ ბარონისაგან ვიყიდე, მაგრამ ბარონესას ისე დასწყდა გული, რომ გუშინვე უკან დავუბრუნე და ვთხოვე ჩემგან საჩუქრად მიეღო.

— მაშ თქვენა ხართ გრაფი მონტე-კრისტო, ვიზედაც ერმინა გუშინ ამდენი მესაუბრა?

— დიახ, ქალბატონო, — უპასუხა გრაფმა.

— მე ელოიზა დე ვილფორი ვარ.

გრაფმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს გვარი პირველად გაეგონა.

— რა მადლობელი იქნება თქვენი ბატონი დე ვილფორი, — განაგრძო ელოიზამ, — თქვენ ხომ ორივეს სიცოცხლე გვაჩუქეთ; თქვენ დაუბრუნეთ მას ცოლი და ვაჟიშვილი. თუ არა თქვენი მამაცი მსახური, ჩვენი ორივენი დავიღუპებოდით.

— ქალბატონო, ახლაც შიშისაგან მაჟრჟოლებს, როდესაც წარმოვიდგენ, რა უბედურება გელოდათ.

— იმედი მაქვს უფლებას მომცემთ დავაჯილდოვო იმ კაცის თავდადება.

— ქალბატონო, გთხოვთ ალის ნუ წამიხდენთ ნურც ქებით და ნურც ჯილდოებით, არ მინდა იგი ასეთ რამეებს მივაჩვიო. ალი ჩემი მონაა. თქვენ რომ სიკვდილს გადაგარჩინათ, ამით მე გამიწია სამსახური, ჩემი სამსახური კი მისი მოვალეობაა.

— ის ხომ საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც ამ მბრძანებლურმა ტონმა გასტეხა.

— ეს სიცოცხლე მე ვაჩუქე მას, ასე რომ იგი მე მეკუთვნის, — უპასუხა გრაფმა.

ქალბატონი დე ვილფორი გაჩუმდა; შესაძლოა ის ფიქრობდა, რატომ ახდენდა ეს მამაკაცი პირველი დანახვისთანავე ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას.

ამ წუთიერი სიჩუმის განმავლობაში გრაფმა შეძლო თავისუფლად დაეთვალიერებინა ბავშვი, რომელსაც დედა სახეს უკოცნიდა. ის იყო პატარა, სათუთი, მას წითურთმიან ბავშვებისათვის დამახასიათებელი თეთრი კანი ჰქონდა. მის ამოზნექილ შუბლს ფარავდა სქელი, გაფშევილი შავი თმა, რომელიც მხრებამდე სცემდა, ჩარჩოში სვამდა მის სახეს და აორკვეცებდა მისი თვალების ცოცხალ გამოხედვას, რომელშიც ვერაგი თვალთმაქცობა და ბავშვური ბოროტება იხატებოდა. მას ჰქონდა დიდი პირი და წვრილი, ოდნავ ვარდისფერი ტუჩები. ამ რვა წლის ბავშვისათვის, მისი სახის ნაკვთების მიხედვით, შეიძლებოდა თორმეტი წელი მიგეცათ. გონს მოვიდა თუ არა, მაშინვე გაუსხლტა თავის დედას და მიირბინა იმ ყუთთან, საიდანაც გრაფმა ელექსირის შუშა ამოიღო. შემდეგ ნებართვის მიუღებლად, როგორც ეს თავნება ბავშვებს სჩვევიათ, ფლაკონებს გახსნა დაუწყო.

— ხელს ნუ ახლებ, ჩემო მეგობარო, — უთხრა სწრაფად მონტე-კრისტომ, — ზოგიერთი მათგანი საშიშია, არამც თუ დალევით, არამედ ყნოსვითაც კი.

ქალბატონი დე ვილფორი გაფითრდა, ბავშვს ხელი გააშვებინა და თავისკენ მიიზიდა. მაგრამ როდესაც დამშვიდდა, სწრაფად გადაავლო თვალი წამლების ყუთს, რაც გრაფს არ გამოპარვია. ამ დროს ალი შემოვიდა.

ქალბატონ დე ვილფორს სახე გაუნათდა, ბავშვი კიდევ უფრო მაგრად ჩაიხუტა და უთხრა:

— ედუარდ, შეხედე ამ ღირსეულ მსახურს, ძალიან მამაცია, მან თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, რათა გაგიჟებული ცხენები და დასამსხვრევად განწირული ეტლი შეეჩერებინა. მადლობა გადაუხადე! თუ ის არა, ჩვენ ახლა ცოცხლები არ ვიქნებოდით.

ბავშვმა ტუჩები აიმრიზა და ზიზღით შეტრიალდა.

— რა მახინჯია, — თქვა მან.

გრაფს გაეღიმა, თითქოს ბავშვი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ის ელოდა.

ქალბატონი დე ვილფორი შვილს გაუჯავრდა, მაგრამ ისე ღმობიერად, რომ საეჭვოა ჟან-ჟაკ რუსოს მოსწონებოდა, პატარა ბიჭუნას რომ ემილი რქმეოდა.

— ხედავ, — უთხრა გრაფმა ალის არაბულ ენაზე, — ეს ქალბატონი სთხოვს თავის ვაჟიშვილს მადლობა გადაგიხადოს იმიტომ, რომ ორივეს სიცოცხლე აჩუქე, ბავშვი კი ამბობს, რომ შენ ძალიან მახინჯი ხარ.

ალიმ ერთი წუთით მოაბრუნა თავისი ჭკვიანური სახე და ბავშვს ისე შეხედა, რომ გამომეტყველება არ შეუცვლია; მაგრამ ნესტოების ცახცახმა მონტე-კრისტო მიახვედრა, რომ იგი გულში იყო დაჭრილი.

— გრაფო, თქვენ ყოველთვის ამ ბინაში ცხოვრობთ? — ჰკითხა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა გრაფმა, — აქ იშვიათად თუ შემოვივლი ხოლმე. საერთოდ ელისეს მინდვრებზე, ოცდაათ ნომერში ვცხოვრობ. ვხედავ, თქვენ სავსებით მომჯობინდით და წასვლას აპირებთ. ბრძანება უკვე გავეცი, იგივე ცხენები ჩემს ეტლში შეაბამან და ალი, ის მახინჯი ადამიანი, — მონტე-კრისტომ ბავშვს გაუღიმა, — შინ წაგიყვანთ, თქვენი მეეტლე კი აქ დარჩება, რათა თვალი ადევნოს ეტლის შეკეთებას. როგორც კი თავის საქმეს დაამთავრებს, ჩემს ცხენებს შეუბამს და პირდაპირ ქალბატონ დანგლარს მიჰგვრის.

— იმავე ცხენებით ვერასგზით ვერ გავბედავ უკან გაბრუნებას. — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— ნახავთ, ქალბატონო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — რომ ალის ხელში ისინი ბატკნებივით უწყინარები გახდებიან.

ამასობაში ალი მივიდა ცხენებთან, რომლებიც ძლივს წამოაყენეს. ხელში ეჭირა სურნელოვანი ძმრით გაჟღენთილი პატარა ღრუბელი, რითაც ოფლითა და დუჟით დაფარული ცხვირის ნესტოები და საფეთქლები დაუზილა. ცხენებმა მაშინვე ჭიხვინი დაიწყეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ტანით ცახცახებდნენ.

შემდეგ მრავალრიცხოვან ბრბოს თვალწინ, რომელიც დამტვრეული ეტლის სანახავად და მომხდარი ამბის გაგონებაზე მოსულიყო, ალიმ ბრძანება გასცა ცხენები გრაფის კარეტაში შეებათ, თვითონ სადავეები ხელში დაიჭირა და კოფოზე ავიდა. მაყურებლები განცვიფრებული დარჩნენ: რამდენიმე წუთის წინ ისინი მოწმენი იყვნენ, როგორ გაშმაგებით მოქროდნენ ეს ცხენები, ახლა კი ალის მათრახის გადაკვრაც დასჭირდა, რომ ადგილიდან დაემრა; ეს ნაქები აბრაშები იმდენად გაშემებულები, გაქვავებული, მიძკვდარებულები იყვნენ, რომ ძლივს წავიდნენ მოდუნებული ნაბიჯით, ასე რომ ქალბატონ დე ვილფორს დაახლოებით ორი საათი მოუხდა, რათა მისულიყო სენტ-ონორეს გარეუბნამდე, სადაც იგი ცხოვრობდა.

შინ დაბრუნების შემდეგ, როგორც კი ოჯახში პირველი მღელვარება მიყუჩდა, მან ქალბატონ დანგლარს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

«ძვირფასო ერმინა!

მე და ჩემი ვაჟი ეს-ეს არის რაღაც სასწაულებრივი ძალით სიკვდილს გადაგვარჩინა გრაფმა მონტე-კრისტომ, რომელზედაც გუშინ საღამოს ჩვენ იმდენი ვილაპარაკეთ; მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ მას დღეს შევხვდებოდი, თქვენ მასზე მელაპარაკებოდით დიდი აღტაცებით, რასაც ჩემი ბეჩავი ჭკუამახვილობით დავცინოდით, მაგრამ დღეს ვხედავ, რომ თქვენი აღტაცება საკმარისი არ არის ამ ადამიანის ღირსეულად დასაფასებლად. რანელაგში თქვენმა ცხენებმა გაგვიტაცეს და ალბათ მე და ჩემი საცოდავი ედუარდი პირველსავე ხეს ან ქვას მივემსხვრეოდით, თუ უცებ ვიღაც არაბს, ზანგს, ნუბიელს — ერთი სიტყვით შავკანიანს, გრაფის მსახურს, ვგონებ მისი ბრძანებით, არ შეეჩერებინა გაგიჟებული ცხენები. მან თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მაგრამ ალბათ რაღაც სასწაულებრივმა ძალამ გადაარჩინა. ამასობაში გრაფმაც მოგვისწრო, თავის ბინაში შეგვიყვანა და ჩემს ედუარდს სიცოცხლე დაუბრუნა. შინ მე მისი საკუთარი ეტლით დავბრუნდი, თქვენ ეტლს კი ხვალ დაგიბრუნებენ. ცხენები ასეთი საშინელი შემთხვევის შემდეგ ძალზე დასუსტდნენ. გაბრუებული არიან, თითქოს თავისათვის ვერ უპატიებიათ, რომ

ადამიანმა შეძლო მათი მოთვინიერება. გრაფმა დამავალა გადმოგცეთ, რომ ისინი თუ საჯინიბოში მშვიდად გაატარებენ ორ დღეს და მხოლოდ ქერს სჭამენ, ისევე ისეთი გაფურჩვნილები, ესე იგი, საშიშები იქნებიან, როგორც გუშინ იყვნენ.

ნახვამდის! მადლობას არ გიხდით გასეირნებისათვის, მაგრამ ჩემს მხრივ უმადურობა იქნებოდა დაგმდურებოდით თქვენი ცხენების კაპრიზისათვის, რადგან ამ კაპრიზს უნდა ვუმაღლოდე, რომ გრაფ მონტე-კრისტოს გაცნობის შემთხვევა მომეცა. ეს წარჩინებული უცხოელი კი მისი მილიონების გარეშე ისეთ საინტერესო და საიდუმლო პიროვნებად მიმაჩნია, რომ ძალ-ღონეს არ დავზოგავ მის გამოსაცნობად, თუნდაც ამისათვის თქვენი ცხენებით ბულონის ტყეში ხელახლა მომიწიოს გასეირნება. ედუარდმა ეს შემთხვევა გადაიტანა განსაცვიფრებელი ვაჟკაცობით. მართალია, გული წაუვიდა, მაგრამ მანამდე ერთხელაც არ დაუყვირია, და გონს მოსვლის შემდეგ წვეთი ცრემლი არ გადმოუგდია. თქვენ იტყვიტ, რომ დედობრივი სიყვარული მაბრმავებს, მაგრამ ამ ნახსა და სათუთ სხეულში რკინის სულია. ჩემი ძვირფასი ვალენტინა მხურვალე სალამს უძღვნის თქვენს ძვირფას ეჭენის, მე კი მთელი გულითა და სულით გკოცნით ელოიზა დე ვილფორი.

როგორმე მომეცით საშუალება თქვენთან შევხვდე გრაფ მონტე-კრისტოს. აუცილებლად მინდა მისი ნახვა. სხვათა შორის, შევძელი დამერწმუნებინა ბატონი ვილფორი, მასთან მისულიყო სადარბაზოდ. იმედი მაქვს ასეც მოიქცევა».

სადამოთი ოტეილთან მომხდარი ამბავი ყველას პირზე ეკერა. ალბერი ამ ამბავს უყვებოდა დედას, შატო-რენე ყვებოდა ჟოკეი-კლუბში, დებრე — მინისტრის სალონში. თვით ბოშანმაც კი ყურადღება გამოიჩინა გრაფის მიმართ და თავის გაზეთში ოცსტრიქონიანი ინფორმაცია მოათავსა ოტეილში მომხდარ ამბავზე, რამაც წარჩინებული უცხოელი გმირად გადააქცია არისტოკრატი ქალთა წრეში.

ძალიან ბევრნი ქალბატონ დე ვილფორს სადარბაზო ბარათებს უტოვებდნენ, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ გაემეორებინათ თავიანთი ვიზიტი და პირადად მისი პირიდან გაეგოთ დაწვრილებითი ამბავი ამ უცნაურ შემთხვევაზე.

ბატონმა დე ვილფორმა, კი, როგორც ელოიზა სწერდა, ჩაიცვა შავი ფრაკი, თეთრი ხელთათმანები გაიკეთა, მსახურები საუკეთესო ლივერამში გამოაწყო და ჩაჯდა თავის ეტლში, რომლითაც იმავე საღამოს ელისეს მინდვრებში 130 სახლთან გაჩერდა.

თავი X

ვილოსოფია

გრაფ მონტე კრისტოს პარიზის საზოგადოებაში დიდხანს რომ ეცხოვრა, ღირსეულად შეაფასებდა ბატონ დე ვილფორის საქციელს.

სასახლეში კარგად მიღებულ ბატონ დე ვილფორს — სულ ერთია მეფედ უფროსი შტოდან იქნებოდა, თუ უმცროსიდან, ხოლო პირველ მინისტრად დოქტრინერი, ლიბერალი, თუ კონსერვატორი — სასამართლოს უწყებაში მაღალი თანამდებობა ეკავა და ამ ადგილზე დამაგრებული იყო, როგორც ვინმე არლე ან მოლე¹. (¹ პარიზის პარლამენტის თავმჯდომარეები XVII საუკუნეში.) მას მოხერხებული ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, როგორც ეს აქვთ ადამიანებს, რომელნიც არასოდეს დამარცხებულან პოლიტიკაში, უმრავლესობას სძულდა, ზოგიერთები კი მხურვალედ იცავდნენ, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა.

მისი სალონი ახალგაზრდა ცოლითა და პირველი ცოლისაგან დატოვებული თვრამეტი წლის ქალიშვილით გამოცოცხლებული, პარიზის ერთ-ერთი იმ მკაცრ

სალონთაგანი იყო, სადაც გამეფებულია ტრადიციის კულტი და ეტიკეტის რელიგია. ცივი თავაზიანობა, მთავრობის პრინციპებისადმი აბსოლუტური ერთგულება, ღრმა ზიზღი თეორიებისა და თეორეტიკოსების მიმართ, ღრმა ზიზღი ყოველგვარი ფილოსოფიისადმი — აი, რა წარმოადგენდა ბატონ დე ვილფორის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მოჩვენებით არსს. ვილფორი მარტო მართლმსაჯულების უწყების მსახური კი არა, თითქმის დიპლომატიც იყო. მისი დამოკიდებულება ყოფილ სასახლესთან, რომელსაც ის ყოველთვის თავაზიანობით და ღირსებით იხსენიებდა, ახალ სასახლესაც აიძულებდა, მას პატივისცემით მოქცეოდა. მან იმდენი იცოდა, რომ არათუ ანგარიშს უწევდნენ, არამედ ზოგჯერ რჩევასაც ჰკითხავდნენ. იქნება საქმე სხვაგვარად დატრიალებულიყო, ვილფორის თავიდან მოშორება რომ შესძლებოდათ, მაგრამ იგი სუზერენისადმი ურჩი ფეოდალივით მიუდგომელ ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტა. ეს ციხე-სიმაგრე გახლდათ მეფის პროკურორის თანამდებობა. ამ უპირატესობის გამოყენება მან საუკეთესოდ იცოდა; ამ თანამდებობას მარტო დეპუტატობის სავარძელზე თუ გასცვლიდა, რაც საშუალებას მისცემდა ნეიტრალიტეტი ოპოზიციით შეეცვალა.

ჩვეულებრივად ბატონი დე ვილფორი იშვიათად არიგებდა სადარბაზო ბარათებს და თვითონაც ასევე იშვიათად დადიოდა ვიზიტებზე. ამ მისიას მის მაგიერ ცოლი ასრულებდა. საზოგადოებაში მიჩვეული იყვნენ ამ გარემოებას და მოსამართლის მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან საქმიანობას აწერდნენ იმას, რაც სინამდვილეში გამოწვეული იყო ანგარიშიანი სიამაყით, ხაზგასმული არისტოკრატიზმით, რომელსაც საფუძვლად უდევს აქსიომა: «გამომამჟღავნე, რომ პატივს სცემ შენს თავს — სხვებიც პატივს გცემენ». ეს აქსიომა ჩვენს საზოგადოებაში ასჯერ უფრო სასარგებლოა, ვიდრე საბერძნეთში მეორე აქსიომა იყო: «შეიცან შენი თავი», რომელიც ამჟამად შეცვლილია გაცილებით უფრო ადვილი, ხელსაყრელი ხელოვნებით — შეიცნო სხვები. მეგობრებისათვის ვილფორი ყოვლისშემძლე მფარველი იყო; მტრებისათვის — საიდუმლო, მაგრამ შეურიგებელი მოწინააღმდეგე; გულგრილებისთვის — უფრო კანონის ქანდაკება, ვიდრე ცოცხალი ადამიანი. ამაყი შესახედაობა, უსიცოცხლო სახე, მქრქალი, უფერული უხეშად გამგმირავი და გამომცდელი მზერა — ასეთი იყო ეს კაცი, რომლის კვარცხლბეკი ჯერ ააგო და შემდეგ გაამაგრა ერთმანეთზე მოხერხებულად ახუხულავებულმა ოთხმა რევოლუციამ.

ვილფორს საფრანგეთში ნაკლებად ცნობისმოყვარე და ნაკლებად ბანალური ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ის ყოველ წელს მართავდა მეჯლისებს, მაგრამ თვითონ იქ თხუთმეტი წუთით გამოჩნდებოდა, ესე იგი ორმოცდახუთი წუთით ნაკლები დროით, ვიდრე მეფე ჩნდებოდა სასახლის მეჯლისებზე. მას ვერასოდეს ვერ ხედავდნენ ვერც თეატრებში, ვერც კონცერტებზე, ერთი სიტყვით, ვერც ერთ საზოგადოებრივ ადგილში. იშვიათად თამაშობდა ვისტს. ასეთ შემთხვევაში ცდილობდნენ მისთვის ღირსეული პარტნიორები შეერჩიათ: ელჩი, არქიეპისკოპოსი, თავადი, პრეზიდენტი ან დაქვრივებული ჰერცოგინია.

აი, როგორი იყო ის ადამიანი, რომლის ეტლიც გრაფ მონტე-კრისტოს კარებთან გაჩერდა.

კამერდინერმა გრაფს ბატონ დე ვილფორის მოსვლა სწორედ მაშინ აცნობა, როდესაც ის დიდ მაგიდაზე იყო დაყრდნობილი და რუკაზე სანკტ-პეტერბურგიდან ჩინეთისაკენ მიმავალ გზას სწავლობდა.

მეფის პროკურორი ისეთივე მძიმე და მოზომილი ნაბიჯებით შემოვიდა, როგორც სასამართლო დარბაზში შედიოდა. ეს იყო იგივე კაცი, უფრო სწორედ, გაგრძელება იმ

კაცისა, რომელსაც ჩვენ ოდესღაც მარსელში ვიცნობდით, როგორც პროკურორის თანაშემწეს: თავისი პრინციპებისადმი ერთგულ ბუნებას მასში არავითარი ცვლილება არ შეეტანა. მაშინ იგი გამხდარი იყო, ახლა ოდნავ დასრულებულიყო, ხოლო სიფერმკრთალე სიყვითლეს შეეცვალა. ღრმად ჩამჯდარი თვალები ჩავარდნოდა, ისე რომ თვალის უპეებთან შეერთებული ოქროს სათვალეები სახის ნაწილი გეგონებოდათ. თეთრ ჰალსტუხს გარდა, მთელი მისი ტანსაცმელი შავი ფერისა იყო. ამ სამგლოვიარო ფერს არღვევდა ღილაკში დამაგრებული წითელი ბაფთა, რომელიც ფუნჯით დახატულ სისხლის ზოლსა ჰგავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონტე-კრისტომ თავის დაჭერა იცოდა, სალამის მიცემის დროს პროკურორს აშკარა ცნობისმოყვარეობით შეხედა. ვილფორი, ბუნებით უნდობი, ხოლო განსაკუთრებით კი მაღალი საზოგადოების მიმართ ეჭვიანი, განწყობილი იყო ისე შეხედა კეთილშობილი უცხოელისათვის (უკვე ასე ეძახდნენ მონტე-კრისტოს), როგორც ავანტიურისტისათვის, რომელმაც მოღვაწეობის ახალი ასპარეზი აირჩია, ან გაქცეული დამნაშავისათვის, ვიდრე პაპის ტახტის თავადისა ან სულთანისათვის «ათას ერთი ღამიდან».

— ბატონო ჩემო, — დაიწყო ვილფორმა ისეთი წკავწკავა ხმით, რომელსაც პროკურორები ორატორული გამოსვლის დროს იყენებენ ხოლმე, და რომლისგანაც მათ არ შეუძლიათ, ან არ უნდათ გაინთავისუფლონ თავი საუბრის დროსაც კი, — ბატონო ჩემო, განსაკუთრებული სამსახური, რომელიც გუშინ ჩემს ცოლ-შვილს გაუწიეთ, მაიძულებს მადლობა გადაგიხადოთ და სწორედ ამიტომაც გეახელით, რომ ჩემი მოვალეობა მოვიხადო.

ამ სიტყვების წარმოთქმისას პროკურორის მკაცრ გამოხედვაში მისი დამახასიათებელი ამპარტავნობა მოჩანდა. მან ეს სიტყვები წარმოთქვა მთავარი პროკურორისათვის ჩვეული ტონით, და თან კისერი და მხრები ისე გააშეშა, რომ მლიქვნელებს ათქმევინებდა: — კანონის ცოცხალი ქანდაკებააო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — გამოეპასუხა გრაფი ყინულივით ცივი ხმით, — მე ძალზე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი დედისათვის შვილის გადარჩენა. როგორც ამბობენ, დედობრივი სიყვარული ყველაზე წმინდა გრძნობაა. ბედნიერება, რომელიც წილად მხვდა, განთავისუფლებთ აუცილებლობისაგან შეასრულოთ ის, რასაც ვალს უწოდებთ, და რაც ჩემთვის უეჭველად დიდი პატივია; ამ პატივს, რასაკვირველია, მეტად ვაფასებ, რადგან ვიცი, რომ ბატონი დე ვილფორი იშვიათად თუ ვინმეს ხდის პატივისცემის ღირსად. მაგრამ რაგინდ უნდა ვაფასებდე ამ გარემოებას, ჩემს თვალში ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე შინაგან კმაყოფილებას.

ასეთი მოულოდნელი შემოტევისაგან განცვიფრებული ვილფორი შეკრთა, როგორც ჯარისკაცი, რომელიც გრძნობს, რომ ჯავშანში მახვილი გაუტარეს. ბაგეებზე ზიზღის ნაოჭი აღებეჭდა, რაც მეტყველებდა, რომ იგი მონტე-კრისტოს თავაზიან ადამიანთა რიცხვს არ აკუთვნებდა.

ვილფორმა ირგვლივ მიმოიხედა; იგი ახალ თემას ეძებდა, რათა უიმედოდ შეწყვეტილი საუბარი განეახლებინა. სწორედ ამ დროს მან შეამჩნია რუკა, რომელსაც მონტე-კრისტო მისი შემოსვლის დროს ათვალთვლებდა.

— გეოგრაფია გიტაცებთ? — ჰკითხა მან. — ეს ვრცელი სფეროა, განსაკუთრებით თქვენთვის; როგორც ამტკიცებენ, თქვენ იმდენი ქვეყანა გაქვთ შემოვლილი, რამდენიც ამ ატლასზეა აღბეჭდილი.

— დიახ, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — განზრახული მაქვს, საერთოდ კაცობრიობის მიმართ გავაკეთო ის, რასაც თქვენ ყოველდღე გამონაკლისების მიმართ ჩადიხართ, — ესე იგი ფიზიოლოგიური გამორკვევა ჩავატარო. ვფიქრობ, ამით

გამიადვილდება მთელიდან ნაწილამდე მისვლა, ვიდრე ნაწილიდან — მთელამდე. ალგებრული აქსიომა მოითხოვს, რომ ცნობილიდან გამოიყვანოთ უცნობი და არა უცნობიდან ცნობილი... გთხოვთ დაბრძანდეთ.

მონტე-კრისტომ მეფის პროკურორს ხელით ანიშნა სავარძელი, ხოლო ვილფორი იძულებული იყო ეს სავარძელი თვითონ მოეწია მაგიდასთან. მონტე-კრისტო კი იმ სავარძელში ჩაჯდა, რომელზედაც ვილფორის შემოსვლის დროს იყო დაყრდნობილი. ამგვარად, მასპინძელი ნახევრად შემობრუნებული იჯდა სტუმრისაკენ, ხოლო ზურგი ფანჯრისაკენ მიებრუნებინა, იგი იდაყვებით ეყრდნობოდა რუკას, რომელიც ახლა საუბრის თემას წარმოადგენდა. საუბარი სწორედ ისეთ ხასიათს ღებულობდა, როგორც მორსერთან და დანგლართან ჰქონდა, თუ სიტუაციით არა, მონაწილეთა მდგომარეობის მიხედვით მაინც.

— ჰო, თქვენ ფილოსოფოსობთ, — დაიწყო ვილფორმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, რომლის დროსაც საშიშ მეტოქესთან დაპირისპირებულ ძალოსანივით ღონეს იკრებდა. — ღმერთმანი, მეც რომ თქვენსავით მოცლილი ვიყო, ნაკლებად მოსაწყენ საქმეს მოვკიდებდი ხელს.

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — როდესაც ადამიანს მზის შუქზე სწავლობ, იგი საკმაოდ საზიზღრად გეჩვენება. თქვენ, ვგონებ, ბრძანეთ, რომ მე მოცლილი ვარ. ერთი მიბრძანეთ, თქვენ თვითონ როგორ გგონიათ, აკეთებთ რამეს? უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, როგორ ფიქრობთ, რასაც თქვენ აკეთებთ, იმად ღირს, რომ რაიმე დავარქვათ?

უცნაური მოწინააღმდეგის ამ ახალმა შემოტევამ ვილფორის განცვიფრება გააორკეცა. კარგა ხანია პროკურორს არ გაეგონა ასეთი თამამი პარადოქსი, ან, უფრო სწორად, პირველად ისმენდა მას.

მეფის პროკურორმა გადაწყვიტა პასუხი გაეცა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ უცხოელი ბრძანდებით, და როგორც თქვენ თვითონ თქვით, ცხოვრების ნაწილი აღმოსავლეთში გაგიტარებიათ: ამიტომ, ბუნებრივია, არ გეცოდინებათ, რომ ადამიანთა მართლმსაჯულება, რომელიც მეტად აჩქარებულია ბარბაროსულ ქვეყნებში, ჩვენთან ფრთხილად და მეთოდურად მოქმედებს.

— როგორ არა, როგორ არა, ეს ანტიკური ერების *Pede Poena claudo*-ა¹. (¹ *Pede Poena claudo* — კოჭლი (ე. ი. აუჩქარებელი) სასჯელი (ლათ.).) მე ვიცი ყოველივე ეს, რადგან ყოველ ქვეყანაში ყველაზე მეტად სწორედ მართლმსაჯულება მაინტერესებს. ყოველი ერის სისხლის სამართლის პროცედურას ვადარებ ბუნებრივ მართლმსაჯულებას და, უნდა გითხრათ, რომ პირველყოფილ ადამიანთა კანონი, შურისძიების კანონი, მე მგონი ღმერთს ყველაზე მეტად მოსწონს.

— ეს კანონი რომ შემოვიღოთ, — უთხრა მეფის პროკურორმა, — ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ძალიან გამარტივდებოდა და, როგორც თქვენ ეს-ეს არის ბრძანეთ, ჩვენს მოსამართლეებს, მართლაც, არაფერი ექნებოდათ გასაკეთებელი.

— შეიძლება ეგ დროც მოვიდეს, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მოგეხსენებათ ადამიანთა გამოგონებანი რთულიდან მარტივისაკენ მიდის, მარტივი კი ყოველთვის სრულყოფილია.

— მაგრამ ჯერჯერობით, — თქვა მეფის პროკურორმა, — არსებობს ჩვენი კოდექსები ერთიმეორის საწინააღმდეგო მუხლებით, რომლებიც ამოღებულია გალიელთა ადათებიდან, რომის სამართლიდან და ფრანკთა ტრადიციებიდან. უნდა დამეთანხმოთ, რომ ყველა ამ კანონების ათვისება არც ისე ადვილია. ამისათვის

საჭიროა დიდი ხნის შრომა, ხოლო შესწავლის შემდეგ საკმაოდ დიდი გონებრივი ნიჭი, რათა ისინი არ დაგვავიწყდეს,

— მეც მაგ შეხედულებისა ვარ, მაგრამ ის, რაც თქვენ იცით საფრანგეთის კანონებზე, მე ვიცი ყველა ერის კოდექსების შესახებ, ინგლისის, თურქეთის, იაპონიის, ინდოეთის კანონები ჩემთვის ისევე კარგადაა ცნობილი, როგორც საფრანგეთის. ამიტომ მართალი ვიყავი, როცა გითხარით, რომ (მოგეხსენებათ ბატონო, რომ ყველაფერი შედარებითია), — შედარებით იმასთან, რაც მე გავაკეთე, თქვენ ცოტას აკეთებთ, და იმასთან შედარებით, რაც მე შემისწავლია, თქვენ ჯერ კიდევ ბერი რამის შესწავლა დაგჭირდებათ.

— კი მაგრამ, რისთვის შეისწავლეთ ყოველივე ეს? — ჰკითხა განცვიფრებულმა ვილფორმა.

მონტე-კრისტოს გაელიმა.

— როგორც ვხედავ, — უთხრა მან, — მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი ადამიანის რეპუტაცია გაქვთ, თქვენ საგნებს უყურებთ მატერიალური და ყოველდღიური თვალსაზრისით, რომელიც იწყება და თავდება ადამიანით, ესე იგი ყველაზე შეზღუდული და ვიწრო თვალსაზრისით, რომელიც კი ადამიანის გონებისთვისაა შესაძლებელი.

— გარკვევით ბრძანეთ, რის თქმა გინდათ? — ჰკითხა უფრო მეტად განცვიფრებულმა ვილფორმა, — კარგად ვერ გაგიგეთ.

— მე მინდა გითხრათ, რომ თუმცა თქვენი მზერა ხალხის სოციალური ორგანიზაციისადრე მიპყრობილი, თქვენ ხედავთ მხოლოდ მანქანის მექანიზმს და არა იმ სრულყოფილ ოსტატს, რომელსაც იგი მოძრაობაში მოჰყავს; მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ ამჩნევთ მხოლოდ მეფეების ან მინისტრების მიერ დანიშნულ მოხელეებს, ხოლო ადამიანები, რომლებიც ღმერთმა ამ მოხელეებზე მაღლა დააყენა და დაავალა თავისი მისიის და არა უბრალოდ თავისი თანამდებობის შესრულება, მხედველობის გარეშე რჩება თქვენს ბეც თვალებს. ეს ადამიანთა არარაობის, მისი სუსტი და არასრულყოფილი ორგანოების შედეგია. ტობიმ ჩვეულებრივ ჭაბუკად მიიღო ანგელოსი, რომელსაც მისთვის თვალთა სინათლე უნდა დაებრუნებინა; ხალხებს ატილა, რომელიც მათ გასანადგურებლად მივიდა, ისეთივე უბრალო დამპყრობლად მიაჩნდათ, როგორც სხვები. ისინი ორივენი, ერთიც და მეორეც, იძულებული გახდნენ თავისი ღვთაებრივი დანიშნულება ეღიარებინათ, რათა ისინი ეცნოთ. ერთმა თქვა: «მე ღმერთის ანგელოსი ვარ», მეორემ — «მე ღვთის ურო ვარ».

— და თქვენ თვლით თქვენს თავს ერთ-ერთ ისეთ არაჩვეულებრივ არსებად, რომელზედაც ახლა ლაპარაკობდით? — ჰკითხა განცვიფრებულმა ვილფორმა, რომელსაც ეგონა, რომ ფანატიკოსს ან შემოიღობს ელაპარაკებოდა.

— რატომ არა, — უპასუხა ცივად მონტე-კრისტომ.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო გრაფო, — უთხრა გაოგნებულმა ვილფორმა, — მაგრამ მომიტევეთ, არ ვიცოდი, რომ ისეთ ადამიანთან მოვდიოდი, რომლის ცოდნა და გონება ადამიანის ჩვეულებრივ ცოდნას და გონებას აღემატება. ჩვენთან, ცივილიზაციით გაფუჭებულ უბედურ ადამიანებთან მიღებული არაა, რომ თქვენი მსგავსი უზარმაზარი ქონების მფლობელები — ყოველ შემთხვევაში ასე ირწმუნებიან — ხომ ხედავთ, მე არაფერს არ გეკითხებით, მხოლოდ იმას ვიმეორებ, რასაც ხალხი ლაპარაკობს, — ჰოდა, ჩვენთან მიღებული არაა, რომ ეს განებივრებული მდიდრები დროს ჰკარგავდნენ სოციალურ პრობლემებზე, ფილოსოფიურ ოცნებებზე, რომლებიც შექმნილია იმათ დასამშვიდებლად, ვისაც ღმერთმა უარი უთხრა მიწიერ ბედნიერებაზე.

— ერთი მიბრძანეთ, — უთხრა გრაფმა, — ნუთუ იმ მაღალ მდგომარეობას, რომელიც ახლა გიჭირავთ, ისე მიაღწიეთ, რომ არასოდეს გიფიქრიათ და დაგინახავთ, რომ შესაძლებელია გამონაკლისი არსებობდეს. ნუთუ თქვენი მზერით, რომელიც მახვილი და უტყუარი უნდა იყოს, არასოდეს ცდილობართ შეჭრილიყავით ადამიანის ნამდვილ არსში, რომელსაც ეს მზერა მიაპყართ? განა მოსამართლე მარტო კანონის საუკეთესო მომმარჯვებელი უნდა იყოს, ან ბნელი სტატიების გონებამახვილი განმმარტებელი, და არა ფოლადის ზონდი, გამომრკვევი ადამიანების გულებისა, ის ოქროს სასინჯი ქვა, რომლითაც ადამიანთა სულებია შექმნილი-ლიგატურის მეტ-ნაკლები ნარევით.

— თქვენ მე გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებთ, — უთხრა ვილფორმა, — მე არასოდეს მომისმენია, რომ ვინმე თქვენსავით ლაპარაკობდეს.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ ჩვეულებრივი ცხოვრების წრეში ხართ ჩაკეტილი და არასოდეს გაგიბედიათ ასვლა მაღალ სფეროში, რომელიც ღმერთმა უხილავი და განსაკუთრებული ქმნილებებით დაასახლა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს სფეროები არსებობენ, რომ ჩვენს ირგვლივ არიან უხილავი და განსაკუთრებული ქმნილებები?

— რატომაც არა! განა თქვენ ხედავთ ჰაერს, რომელსაც სუნთქავთ და ურომლისოდაც ვერ იარსებებდით.

— მაგრამ, ჩვენ განა ვხედავთ იმ არსებებს, რომლებზედაც ლაპარაკობთ?

— არა, თქვენ მათ ხედავთ, როდესაც ღმერთს სურს ისინი მატერიალად იქცნენ. თქვენ ეხებით მათ, ეჯახებით, ესაუბრებით და ისინი პასუხს გაძლევენ.

— გამოგიტყდებით, — თქვა ღიმილით ვილფორმა, — მე მინდა წინასწარ გამაფრთხილონ, როდესაც ერთი ასეთი არსებათაგანი ჩემს პირისპირ აღმოჩნდება.

— სურვილი შეგისრულდებათ: — ეს-ეს არის უკვე გაგაფრთხილეს და ახლა კიდევ გაფრთხილებთ.

— ასე რომ, თქვენ თვითონ?..

— დიახ, მე ერთ-ერთი იმ განსაკუთრებულ არსებათაგანი ვარ. დიახ, ბატონო ჩემო, და მგონი დღემდე არც ერთი კაცი იმ მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორშიც მე ვარ. მეფეების სამფლობელოები შეზღუდულია ან მთებით ან მდინარეებით ან სხვათა ჩვეულებებითა და ადათებით ან სხვათა ენით. ჩემი სამეფო კი განუსაზღვრელია ისევე, როგორც მსოფლიო, რადგან მე არც იტალიელი ვარ, არც ესპანელი, არც ფრანგი, არც ინდოელი, არც ამერიკელი, მე კოსმოპოლიტი ვარ. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ჩათვლის თავს ჩემს სამშობლოდ. მხოლოდ ღმერთმა უწყის რომელ სახელმწიფოში მოვკვდები. მე ვითვისებ ყველა ადათს და ვლაპარაკობ ყველა ენაზე. თქვენ გგონიათ, მე ფრანგი ვარ, ხომ ასეა, იმიტომ რომ ფრანგულად ისევე თავისუფლად და სუფთად ვლაპარაკობ, როგორც თქვენ. ალის, ჩემს ნუბიელს, არაბი ვგონივარ, ბერტუჩოს, ჩემს საქმეთა მმართველს, — რომაელი, ჰაიდეს, ჩემს მონას — ბერძენი. მე არ ვეკუთვნი არც ერთ ქვეყანას და მფარველობას არ ვთხოვ არც ერთ მთავრობას, არც ერთ ადამიანს არ ვთვლი ჩემს ძმად, — ამიტომ არც ერთი ის წინააღმდეგობა, რომელიც ხელ-ფეხს უკრავს სუსტებს, ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. მე მხოლოდ ორი მტერი მყავს, არ ვიტყვი რომ ჩემი დამმარცხებლები, რადგან ჩემი შეუდრეკელობით ბოლოს დავიმორჩილებ მათ. ეს არის დრო და სივრცე. მესამე, ყველაზე საშიში არის ის, რომ მე მომაკვდავი ვარ. მხოლოდ სიკვდილს შეუძლია შემაჩეროს და ისიც სანამ მიზანს მივაღწევდე: დანარჩენი ყველაფერი, რასაც ადამიანები ეძახიან ბედის უკუღმა ტრიალს — გადატაკება, ცვლილებები, შემთხვევები — ყველაფერი ეს წინასწარ მაქვს გათვალისწინებული. ზოგიერთი

მათგანი შეიძლება შემეხოს, მაგრამ ვერც ერთი ვერ წამაქცევს. სანამ არ მოვკვდები ყოველთვის დავრჩები ის, რაც ახლა ვარ. აი, რატომ გეუბნებით ისეთ ამბებს, რაც თქვენ არასოდეს გაგიგონიათ თვით მეფეთა პირიდანაც კი, იმიტომ რომ, მეფეებს თქვენ სჭირდებით, ხოლო დანარჩენ ადამიანებს თქვენი ეშინიათ. ამ ჩვენს უხეიროდ მოწყობილ საზოგადოებაში ვინ არ ამბობს: «იქნებ ოდესმე მეც დამჭირდეს მეფის პროკურორი».

— განა, თქვენ თვითონ არ გეხებათ ეს გარემოება? რაკი საფრანგეთში ცხოვრობთ, ბუნებრივია, საფრანგეთის კანონებს ემორჩილებით.

— ეს ვიცი, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მაგრამ როდესაც რომელიმე ქვეყანაში წასვლას ვაპირებ, პირველად ჩემთვის ცნობილი გზებით ვცდილობ შევისწავლო ყველა ის ადამიანი, რომლებიც შეიძლება რამეში გამომადგნენ, ან პირიქით, საშიშროებას მიქადიან და ვაღწევ იმას, რომ მათ ვიცნობ ისევე კარგად და შეიძლება უფრო კარგადაც, ვიდრე ისინი თავის თავს იცნობენ. ამის შედეგად კი, მეფის პროკურორო, ვისთანაც მე საქმე მექნება, უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე მე.

— თქვენ გინდათ თქვათ, — დაიწყო ყოყმანით ვილფორმა, — რაკი ადამიანთა ბუნება სუსტია, ცხოვრებაში დაშვებული აქვთ... შეცდომები?

— შეცდომები... თუ დანაშაული, — უთხრა დაუდევრად მონტე-კრისტომ.

— მაშ ადამიანთა შორის, რომელთაც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ძმებად არ თვლით, თქვენ ერთადერთი სრულყოფილი ხართ? — განაგრძო ოდნავ შეცვლილი ხმით ვილფორმა.

— არა, სრულყოფილი კი არა, — უპასუხა გრაფმა, — შეუღწევადი, ეს არის და ეს. მაგრამ თუ არ გსიამოვნებთ, მოდით შევწყვიტოთ ამ თემაზე საუბარი. მე ისე არ მაშინებს თქვენი მართლმსაჯულება, როგორც თქვენ ჩემი შორსმჭვრეტელობა.

— არა, არა, — უპასუხა სწრაფად ვილფორმა: მას ცხადად ეტყობოდა შეეშინდა, გრაფს არ ეგონოს ამ საკითხზე საუბრის შეწყვეტა მსურსო. — რატომ? ბრწყინვალე და აღმაფრთოვანებელი საუბრით თქვენ ამიყვანეთ ჩვეულებრივ სიმაღლეზე ზევით. ჩვენ კი არ ვსაუბრობთ, არამედ ვმსჯელობთ. მოგეხსენებათ, რომ ზოგჯერ კამათში ღვთისმეტყველები სორბონის კათედრიდან ან ფილოსოფოსები თავიანთ კამათში ერთმანეთს მკაცრ სიმართლეს ეუბნებიან; დავუშვათ, რომ ჩვენ ვმსჯელობთ სოციალურ ღვთისმეტყველებაზე ან ღვთისმეტყველურ ფილოსოფიაზე; რაგინდ მწარე უნდა იყოს, მე თქვენ შემდეგ ჭეშმარიტებას გეტყვით: «ჩემო ძმაო, თქვენ სიამაყის მსხვერპლი ხართ, თქვენ სხვებზე მეტი ხართ, მაგრამ თქვენზე დიდია ღმერთი».

— ყველაზე დიდია, მოწყალეო ხელმწიფე! — უპასუხა მონტე-კრისტომ ისეთი გამგმირავი ხმით, რომ ვილფორმა უნებურად შეკრთა. — მე ჩემს სიამაყეს ვიყენებ იმ ადამიანების მიმართ, იმ საძაგელი ქვეწარმავლების მიმართ, რომლებიც ყოველთვის მზად არიან აღსდგნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათზე მაღლაა და ვინც მათ არ ეგება ფეხქვეშ. მაგრამ მე ქედს არ ვიხრი ღმერთის წინაშე, რომელმაც არარაობიდან გამომიყვანა და მაქცია იმად, რაც მე ახლა ვარ.

— ასეთ შემთხვევაში, აღფრთოვანებული ვარ თქვენით, გრაფო, — უთხრა ვილფორმა, რომელმაც მთელი ამ უცნაური საუბრის განმავლობაში თავის თანამოსაუბრეს პირველად მიმართა ამ ტიტულით. — თუ თქვენ მართლაც ძლიერი ხართ, თუ თქვენ მართლაც მაღალი არსება ხართ, თუ თქვენ წმინდა და შეუღწევადი ადამიანი ხართ, — მართალი ბრძანდებით; ეს არსებითად ერთი და იგივეა და თქვენი

სიამაყე გასაგებია. ამაზეა დამყარებული ძალაუფლება. მაგრამ ხომ არსებობს ისეთი რამ, რისკენაც თქვენ ისწრაფვით?

— მქონდა ერთი მისწრაფება.

— რა?

— მეც ისევე, როგორც ყოველი ადამიანი ცხოვრებაში, ერთხელ სატანამ ამიყვანა დედამიწის ყველაზე მაღალ მთაზე; მან მე იქიდან დამანახვა ქვეყანა და ისე, როგორც ოდესღაც ქრისტეს, მითხრა: «კაცის შვილო, მითხარი რა გაგიკეთო ისეთი, რომ ჩემს წინაშე ქედი მოიხარო?» მე დიდხანს ვფიქრობდი, რადგან კარგახანია ჩემს სულში დაბუდებული იყო საშინელი ოცნება. ბოლოს ვუპასუხე: «მისმინე, ყოველთვის მსმენია განგების შესახებ, მაგრამ არასოდეს მინახავს იგი და არც მისი მსგავსი რამ, ამიტომ გადავწყვიტე, რომ განგება არ არსებობს. მე მინდა განგებად ვიქცე, რადგან ამქვეყნად იმაზე უფრო მაღალი და სრულყოფილი ძალა არ არსებობს, ვიდრე დასაჯო და დააჯილდოვო». სატანამ თავი დახარა და მითხრა: «შენ შეცდი, განგება არსებობს, მაგრამ შენ ვერ ხედავ მას, ღვთის შვილი ისევე უხილავია, როგორც მისი მამა. შენ არ გინახავს არაფერი მისი მსგავსი, რადგან იგი მოძრაობს საიდუმლო ზამბარებით და დადის ბნელი გზებით. მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ გაგიკეთო, გადაგაქციო განგების იარაღად». ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ, შეიძლება მე წავიწყმიდე სული, მაგრამ სულ ერთია ხელახლა რომ დამჭირდეს ხელშეკრულების დადება, მე უკან არ დავიხევდი.

ვილფორი უსაზღვრო განცვიფრებით შესცქეროდა მონტე-კრისტოს.

— გრაფო, — ჰკითხა მან, — გყავთ თუ არა თქვენ მშობლები?

— არა, მე მარტოდმარტო ვარ ამქვეყნად.

— მით უარესი!

— რატომ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— იმიტომ, რომ შეიძლება მოწმე გახდეთ სანახაობისა, რომელიც გასტეხს თქვენს სიამაყეს. თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ სიკვდილი გაშინებთ.

— მე ის კი არ მითქვამს, რომ სიკვდილის მემშინია, არამედ მხოლოდ მას შეუძლია შემაჩეროს-მეთქი.

— მოხუცებულობა?

— სანამ მოვხუცდებოდე, ჩემს მისიას დავასრულებ.

— სიგიჟე?

— სიგიჟის პირას უკვე ვიყავი, ხომ მოგეხსენებათ აქსიომა: «non bis in idem»¹. (1 ორჯერ ერთი და იმავესათვის პასუხს არ აგებენ (ლათ.).) ეს სისხლის სამართლის აქსიომაა, მაშასადამე, თქვენს კომპეტენციაში შედის.

— ბატონო გრაფო, — დაიწყო ისევ ვილფორმა, — საშიშია არა მარტო სიკვდილი, მოხუცებულობა ან სიგიჟე, — არსებობს კიდევ, მაგალითად, დამბლა, მეხისებური დარტყმა, რომელიც, მართალია, არ გსპობს, მაგრამ მას შემდეგ ყველაფერი დამთავრებულია. თქვენ ჯერ ისევ თქვენ ხართ და უკვე აღარც თქვენ ხართ. თქვენ, რომელიც თითქმის არიელის მსგავსი ანგელოსი იყავით, უმოძრაო მასად იქცევით, თითქმის კალიბრის მსგავს ცხოველად. ადამიანთა ენაზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამას უბრალოდ დამბლას ეძახიან. ბატონო გრაფო, გთხოვთ როდისმე ჩემთან შემოიაროთ საუბრის გასაგრძელებლად, თუკი მოისურვებთ შეხვდეთ მოწინააღმდეგეს, რომელსაც უნარი შესწევს გაგიგოთ და სწყურია დაგამარცხოთ. მე თქვენ განახებთ მამაჩემს, ბატონ ნუარტიე დე ვილფორს, პირველი რევოლუციის ერთ-ერთ მხურვალე იაკობინელს, რომელშიც ბრწყინვალე გამბედაობა დაკავშირებული იყო ჯანსაღ აგებულებასთან. თუ ამ კაცს თქვენსავით მსოფლიოს

ყველა სახელმწიფო არ უნახავს, სამაგიეროდ მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს დამხობაში. ისიც, თქვენსავით, ღმერთის თუ არა, უზენაესი არსების, განგების თუ არა, ზედის მოციქულად მაინც თვლიდა თავს. მერედა რა, ტვინში სისხლის მამოძრავებელი ძარღვის გაწყვეტამ ყველაფერი ერთ დღეში, ერთ საათში კი არა, ერთ წამში გაანადგურა. ჯერ კიდევ წინა დღეს ნუარტიე, ყოფილი იაკობინელი, ყოფილი სენატორი, ყოფილი კარბონარი, რომელსაც არაფრად მიაჩნდა გილიოტინა, არც ქვემეხი და არც ხანჯალი, ნუარტიე, რომელიც რევოლუციებს ეთამაშებოდა, ნუარტიე, რომლისათვისაც საფრანგეთი მხოლოდ ჭადრაკის ვეებერთელა დაფა იყო, სადაც უნდა გამქრალიყვნენ პაიკები, ეტლები, მხედრები და ლაზიერიც, რათა მეფისათვის შამათი გაეკეთებინა, — მეორე დღეს ეს მრისხანე ნუარტიე გადაიქცა «საცოდავ ნუარტიედ», უმოძრაო მოხუცად, რომელიც ოჯახის ყველაზე სუსტი წევრის, თავისი შვილიშვილის, ვალენტინას ძალაუფლების ქვეშ მოექცა. იგი იქცა მუნჯ და გაციებულ გვამად, რომელიც ცხოვრობს უტანჯველად, მარტო იმისათვის, რომ მატერიას დრო მისცეს თანდათან საბოლოოდ გახრწნამდე მივიდეს.

— საუბედუროდ, — უახრა მონტე-კრისტომ, — ამ სანახაობაში არც ჩემი თვალებისა და არც ჩემი გონებისათვის ახალი არ იქნება არაფერი. მე ცოტა რამ ექიმობისაც გამეგება; მეც ისევე, როგორც ჩემი თანამომძენი, ხშირად ვეებდი სულს ცოცხალ ან მკვდარ მატერიაში. მაგრამ, განგების მსგავსად, ჩემი თვალებისათვის ისიც უხილავი დარჩა, თუმცა გული კი გრძნობდა. ასობით ავტორი, სოკრატის, სენეკას, წმინდა ავგუსტინეს, ან გალის შემდეგ ლექსად და პროზად იმავე შედარებებს იყენებდნენ, რაც თქვენ გამოიყენეთ. მე მესმის, რომ მამის ტანჯვას შეუძლია ძლიერად შეცვალოს ვაჟის შეხედულებები. რაკი პატივს მდებთ და მიწვევთ, მოვალ და იმ საშინელ სანახაობას, რომელიც ასე უნდა სტანჯავდეს თქვენს ოჯახს, მორჩილებით შევისწავლი.

— ეს უეჭველია ასეც იქნებოდა, ღმერთს რომ უხვი ჯილდოთი არ აენაზღაურებინა ეს დანაკლისი. მოხუცის გვერდით, რომელიც ნელი ნაბიჯით ეშვება საფლავში, სიცოცხლის საზღვარზე დგას ორი ბავშვი: ვალენტინა, — ჩემი ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან მადმუაზელ რენე დე სენ-მერანისაგან და ედუარდი, — ვაჟიშვილი, რომელიც თქვენ სიკვდილს გადაარჩინეთ.

— რა დასკვნას აკეთებთ თქვენ ამ ანაზღაურებიდან? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— რომ ვნებებით თავბრუდახვეულმა მამაჩემმა ჩაიდინა ერთ-ერთი იმ შეცდომათაგანი, რომელიც ეპარება ადამიანთა მართლმსაჯულებას, მაგრამ უხილავი არ რჩება ღვთის სამართალს!.. ღმერთმა გადაწყვიტა დაესაჯა მარტო ერთი ადამიანი და გაანადგურა მხოლოდ იგი.

მონტე-კრისტო კვლავ იღიმებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ისეთი ღმუილი აღმოხდა, რომ ვილფორი უკან მოუხედავად გაიქცეოდა, გაგონება რომ შეძლებოდა.

— ნახვეამდის, ბატონო გრაფო, — განაგრძო მეფის პროკურორმა, რომელიც უკვე კარგა ხანია წასასვლელად გამზადებული ფეხზე დამდგარი საუბრობდა, — მე გტოვებთ ღრმა პატივისცემის გრძნობით, რაც თქვენთვის შეიძლება სასიამოვნო დარჩეს მას შემდეგ, როდესაც უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს, რადგან ყოველ შემთხვევაში მე ბანალური ადამიანი არა ვარ. გარდა ამისა, ქალბატონ დე ვილფორის სახით თქვენ სამუდამო მეგობარი შეიძინეთ.

გრაფმა თავი დაუკრა და ვილფორი მხოლოდ თავის კაბინეტის კარამდე მიაცილა, მეფის პროკურორი ქვევით ჩავიდა და კარეტისაკენ გაემართა. მას წინ მიუძღოდა ორი მსახური, რომლებმაც კარეტის კარები სწრაფად გამოაღეს.

როდესაც მეფის პროკურორი თვალს მოეფარა, მონტე-კრისტომ ღრმად ამოისუნთქა და გაიცინა.

— არა, — თქვა მან, — კმარა შხამი; რაკი ჩემი გული სავსეა შხამით, საწინააღმდეგო საშუალება მოვძებნოთ.

და მან მოგუგუნე ზარს ერთხელ დაარტყა.

— მე ქალბატონთან ვიქნები, — უთხრა შემოსულ ალის, — ნახევარი საათის შემდეგ ეტლი მომგვარონ.

თავი XI

ჰაიდუ

მკითხველებს ახსოვთ გრაფ მონტე-კრისტოს ახალი, ან უფრო სწორად, ძველი ნაცნობები: ესენი იყვნენ მელეს ქუჩაზე მცხოვრები მაქსიმილიანი, ჟიული და ემანუელი.

მათთან სასიამოვნო შეხვედრის მოლოდინმა, ამ რამდენიმე ბედნიერ წუთზე ოცნებამ, სადაც ის თავისი ნებით შევიდა, ვილფორის წასვლისთანავე მონტე-კრისტოს სახე გაუნათა. ზარის დარეკვის ხმაზე შემოსულმა ალიმ უჩვეულო სიხარულით გაბრწყინებული გრაფის სახე დაინახა, მაშინვე ფეხაკრეფით უკან გაბრუნდა და სუნთქვა შეიკრა, ვინაიდან ემინოდა არ გაეფანტა ის კეთილი აზრები, რომლებიც მისი ფიქრით ბატონს გარს ეხვეოდნენ.

შუადღე იყო; გრაფმა ჰაიდეს სანახავად ერთი საათი მოიტოვა. ამ დიდი ხნის განაწამებ სულს თითქოს სიხარული ერთბაშად არ ეუფლებოდა, ის თითქოს განცდებისათვის შემზადებას მოითხოვდა, ისევე როგორც ზოგიერთი სული ძლიერი განცდებისათვის ემზადება.

ახალგაზრდა ბერძენი ქალის ოთახები, როგორც ვთქვით, სრულიად განცალკევებული იყო გრაფ მონტე-კრისტოს ბინისაგან. ჰაიდეს ოთახები აღმოსავლეთის სტილზე იყო მრთული. იატაკზე ეგო სქელი თურქული ხალიჩები, კედლების მთელ სიგრძეზე ეკიდა ფარდები, ხოლო თითოეულ ოთახში კედლების გასწვრივ გაჭიმული იყო განიერი დივნები უწესრიგოდ დაყრილი ბალიშებით.

ჰაიდეს ემსახურებოდა სამი ფრანგი და ერთი ბერძენი ქალი. ფრანგები მოთავსებული იყვნენ პირველ ოთახში; პატარა ოქროს ზარის გაგონებისთანავე ისინი მზად იყვნენ შეერბინათ და შეესრულებინათ ბრძანება ბერძენი მსახური ქალისა, რომელმაც იმდენად კარგად იცოდა ფრანგული, რომ შეეძლო ქალბატონის სურვილი გადაეცა პირის ფარეშებისათვის, რომლებსაც მონტე-კრისტომ დაავალა ჰაიდეს დედოფალივით მოქცეოდნენ.

თვითონ ყმაწვილ ქალს ყველაზე შორეული ოთახი ეკავა, ესე იგი, მრგვალი ბუდუარი, რომელშიც დღის სინათლე მხოლოდ ზევიდან, ვარდისფერი მინებიდან შედიოდა. ატლასის ბალიშებზე, იგი დივანზე ოდნავ იყო მიყრდნობილი. ნებივრად მოხრილი მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო, ტუჩებთან მიეტანა მარჯნის მუნდშტუკი, რომელსაც დამაგრებული ჰქონდა ყალიონის მოღუნული მილი: ეს იმიტომ, რომ თამბაქოს ბოლი, რასაც თავისი ნაზი სუნთქვით ამოსწოვდა, მხოლოდ ბენზონიან წყალში გატარების შემდეგ გადაეყლაპა.

ეს პოზა სავსებით ბუნებრივია აღმოსავლელ ქალებისათვის, ფრანგ ქალებს კი ის თვალთმაქცურ კეკლუც ქცევად ჩათვლებოდა.

ჰაიდეს ეცვა ეპირის ქალებისათვის დამახასიათებელი კოსტიუმი: ნათელი ვარდებით ამოქარგული თეთრი ატლასის შარვალი, დაშვებული ბავშვურ, პატარა

ფეხებამდე, რომელიც მარმარილოს ქანდაკება გეგონებოდათ, ოქროთი და ბრილიანტებით შემკული პატარა ქოშები რომ არ სცმოდა. ტანთ ემოსა თეთრი და ცისფერზოლებიანი ზედატანი, ვერცხლის ძაფით ამოქარგული ღილაკებით და მარგალიტის ღილებით, განიერი, უკან გადაგდებული სახელოებით, რომელშიც ხელებს თავისუფლად ამოძრავებდა, გულთან სამი ბრილიანტის ღილით შეკრული თავისებური კორსეტი ისე ჰქონდა შეჭრილი, რომ ახალგაზრდა ქალს ყელი და გულმკერდის ზედა ნაწილი უჩანდა. წელზე შემოკრული ჰქონდა აბრეშუმის ფოჩიანი მკვეთრი ფერის გრძელი სარტყელი — ჩვენი პარიზელი კოპწია ქალების საოცნებო საგანი. თავზე ეხურა ოდნავ გვერდზე გადაწეული მარგალიტებით მოჭედილი ოქროს პატარა ქუდი, ხოლო ლურჯ ფერში გარდამავალ შავ თმაში გარჭობილი ჰქონდა მეწამული ფერის ცოცხალი ვარდი.

რაც შეეხება სახის სილამაზეს, ეს იყო სრულყოფილი ბერძნული მშვენიერება: დიდრონი შავი თვალები, სწორი ცხვირი, მარჯნის ბაგეები და მარგალიტის კბილები.

მთელი ეს სიმშვენიერე გაცისკროვნებული იყო გაზაფხულივით სურნელოვან და ნარნარ ახალგაზრდა არსებაში. ჰაიდე ცხრამეტი ან ოცი წლის თუ იქნებოდა.

მონტე-კრისტომ ბერძენ მსახურ ქალს დაუძახა და უბრძანა ჰაიდესათვის შესვლის ნებართვა ეთხოვა.

პასუხის ნაცვლად ჰაიდემ მსახურ ქალს სადა ფარდა გადააწვეინა და კარის ოთხკუთხ ჩარჩოში, როგორც შესანიშნავი სურათი, წამოწოლილი ქალიშვილი გამოჩნდა.

მონტე-კრისტო ოთახში შევიდა.

ჰაიდე იდაყვებზე წამოიწია, მუნდშტუკისათვის ხელი არ გაუშვია, მაგრამ გრაფს ღიმილით თავისუფალი ხელი გაუწოდა.

— რატომ ითხოვთ ჩემთან შემოსვლის ნებართვას? — იკითხა მან სპარტელი და ათინელი ქალების მჟღერ ენაზე, — რატომ? განა თქვენ ჩემი მეფე არა ხართ, ხოლო მე თქვენნი მონა?

მონტე-კრისტოს გაეღიმა.

— ჰაიდე, თქვენ იცით... — უთხრა მან.

— რატომ ჩვეულებისამებრ შენობით არ მომმართავ? — შეაწყვეტინა ბერძენმა ქალიშვილმა, — განა რაიმე დავაშავე? თუ ასეა შეცდომისათვის უნდა დამსაჯო და არა თქვენობით მელაპარაკო.

— ჰაიდე, — დაიწყო გრაფმა, — ხომ იცი, რომ საფრანგეთში ვართ, მაშასადამე შენ თავისუფალი ხარ.

— თავისუფალი? როგორ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— შეგიძლია დამტოვო.

— შენ დაგტოვო? — რატომ უნდა დაგტოვო?

— ვინ იცის! ჩვენ აქ ხალხს შევხვდებით...

— მე არავის ნახვა არა მსურს.

— მაგრამ იმ ლამაზ ყმაწვილებს შორის, რომლებსაც შენ შეხვდები, თუკი ვინმე მოგეწონება, მე არ ვიქნები ისეთი მკაცრი...

— არასოდეს არავინ შემხვედრია შენზე ლამაზი და არავინ არ მყვარებია მამაჩემსა და შენს გარდა.

— საცოდაო ბავშვო, ეს იმიტომ, რომ შენ ჩემსა და მამაშენის გარდა არავის დალაპარაკებინარ.

— მერე რა? არც მინდა სხვებს ვესაუბრო. მამაჩემი მე «ჩემო სიხარულოს» მეძახდა, შენ კი «ჩემო საყვარელოს» მიწოდებ. ორივე კი «ჩემო ბავშვო» მომმართავთ.

— გახსოვს მამაშენი, ჰაიდე?

ქალიშვილს გაეღიმა.

— ის აი, აქ და აი, აქ არის, — თქვა მან და ხელი თვალებზე და გულთან მიიტანა.

— მე? მე სადღა ვარ? — ჰკითხა ღიმილით მონტე-კრისტომ.

— შენ ყველგან ხარ. — უთხრა მან.

მონტე-კრისტომ ჰაიდეს საკოცნელად ხელი გამოართვა, მაგრამ მიამიტმა ბავშვმა ხელი წართვა და შუბლი მიუშვირა.

— ჰაიდე, ახლა შენ უკვე იცი, რომ თავისუფალი ხარ, ქალბატონი და დედოფალი ხარ. შეგიძლია ატარო შენი ტანისამოსი, შეგიძლია გაიხადო. როცა ისურვებ შინ იქნები, როცა არა — გარეთ გახვალ. ეტლი შენთვის მუდამ მზად იქნება. ალი და მირტო ყველგან გაგაცილებენ და შენს ყოველ ბრძანებას შეასრულებენ. მაგრამ მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ...

— თქვი.

— საიდუმლოდ შეინახე შენი წარმოშობა, ერთი სიტყვაც არ თქვა შენს წარსულზე. როგორ მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდე, არ წამოგცდეს შენი სახელოვანი მამისა და არც შენი უბედური დედის სახელი.

— მე უკვე გითხარი, მბრძანებელო, — არავის დაველაპარაკები-მეთქი.

— მისმინე, ჰაიდე, შეიძლება ეს აღმოსავლური კარჩაკეტილობა პარიზში შეუძლებელი გახდეს: განაგრძე ჩრდილოეთის ქვეყნების ადათების შესწავლა, როგორც ამას აკეთებდი რომს, ფლორენციას, მილანსა და მადრიდში. სულ ერთია აქ დარჩები საცხოვრებლად თუ აღმოსავლეთში დაბრუნდები, მაინც გამოგადგება.

ქალიშვილმა დანამული დიდი თვალები გრაფს მიაპყრო და უთხრა:

— თუ აღმოსავლეთში დავბრუნდებით — გინდა თქვა, ჩემო მბრძანებელო?

— დიახ, ჩემო ბავშვო, — უთხრა მონტე-კრისტომ: — ძალიან კარგად იცი, რომ მე შენ არასოდეს მოგატყუებ. ხე კი არ შორდება ყვავილებს, არამედ ყვავილები ცილდებიან მას.

— მე არასოდეს მიგატოვებ, ჩემო ბატონო, — უთხრა ჰაიდემ, — რადგან დარწმუნებული ვარ უშენოდ ვერ ვიცოცხლებ.

— საცოდავო ბავშვო, ათი წლის შემდეგ მე უკვე მოხუცი ვიქნები, შენ კი — ისევ ახალგაზრდა.

— მამაჩემს გრძელი და თეთრი წვერები ჰქონდა და იგი მაინც მიყვარდა; სამოცი წლისა იყო, მაგრამ ყველა იმ ლამაზ ყმაწვილზე უკეთესად მეჩვენებოდა, ვინც კი შემხვედრია.

— ჰაიდე, მითხარი, როგორ გგონია, შეეგუები აქაურ ცხოვრებას?

— შენ თუ გნახავ?

— ყოველდღე.

— მაშ რაღას მეკითხები?

— მეშინია არ მოგწყინდეს.

— არა, ჩემო მბრძანებელო, დილას ვიფიქრებ, რომ შენ უნდა მოხვიდე, საღამოობით მოვიგონებ, რომ შენ მოხვედი. საერთოდ კი, როდესაც მარტო ვარ, მოგონებებს ვემღევი, მე ვხედავ ვეებერთელა სურათებს, ფართო ჰორიზონტებს, შორს პინდოსსა და ოლიმპს. ამას გარდა, ჩემს გულში სამი გრძნობაა: სევდა, სიყვარული და მადლიერება. ეს გრძნობები კი არასოდეს მოგაწყენენ.

— შენ ეპირის ღირსეული შვილი ხარ, ჰაიდე, ნაზი და პოეტური, ჩანს, რომ იმ ღმერთების ჩამომავალი ხარ, რომლებიც შენს მხარეში დაიბადნენ. დამშვიდდი, ჩემო

ბავშვო, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ შენი ახალგაზრდობა ამაოდ არ დაიკარგოს. თუ შენ მამასავით გიყვარვარ, მე შვილივით შემოგტრფი.

— შენ ცდები, ჩემო ბატონო, მე შენ ისე არ მიყვარხარ, როგორც მამაჩემი. ჩემი სიყვარული შენს მიმართ სულ სხვაგვარი გრძნობაა: მამაჩემი გარდაიცვალა, მაგრამ მე ცოცხალი დავრჩი, ხოლო შენ თუ მოკვდები — მეც მოკვდები.

გრაფმა ღრმა სინაზის ღიმილით ქალიშვილს ხელი გაუწოდა, ქალმა ზედ ბაგეები დააკონა.

ამგვარად, მორელებთან შესახვედრად გამზადებული გრაფი პინდარის ლექსის ჩურჩულით გავიდა გარეთ.

— «ახალგაზრდობა — ყვავილია, სიყვარული მისი ნაყოფი... ბედნიერია ის მებაღე, ვისთვისაც ის ნელ-ნელა მწიფდებოდა».

მისი ბრძანების თანახმად ეტლი მზად იყო. გრაფი ეტლში ჩაჯდა და ცხენებმა, როგორც ყოველთვის, ჭენებით გასწიეს.

თავი XII

მორელების ოჯახი

რამდენიმე წუთის შემდეგ გრაფის ეტლი მელეს ქუჩაზე ¹⁷ სახლთან გაჩერდა.

ეს იყო თეთრი სახლი, ეზოს ამშვენებდა ლამაზი ყვავილების თეთრი ბუჩქი.

მეკარეში, რომელმაც გრაფს ჭიშკარი გაუღო, მან მოხუცი კოკლესი იცნო. მაგრამ იმის გამო, რომ კოკლესს, როგორც ეს მკითხველს ემახსოვრება, მხოლოდ ცალი თვალი ჰქონდა ჯანმრთელი და ისიც ცხრა წლის განმავლობაში საკმაოდ დასუსტებოდა, მან გრაფი ველარ იცნო.

ეტლი რომ პარმალთან გაჩერებულიყო, უნდა შემოევლო პატარა შადრევანისათვის, რომლის აუზი მოჭედილი იყო ლოკოკინებითა და კენჭებით. ამ აუზის მშვენიერება მთელი უბნის მცხოვრებლებში შურს იწვევდა და სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ მორელების სახლს «პატარა ვერსალი» დაარქვეს. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ აუზში უამრავი წითელი და ყვითელი თევზი დაცურავდა.

პირველ სართულს გარდა, რომელიც ეკავა სამზარეულოებსა და სარდაფებს, იყო კიდევ ორი სართული სხვენით. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა სახლი შეიძინა დიდ სახელოსნოსთან, პავილიონთან და ბაღთან ერთად. ემანუელი მაშინვე მიხვდა, რომ შენობის ასეთი მდებარეობა მისთვის სასარგებლო იქნებოდა. ყმაწვილმა კაცმა თავისთვის დაიტოვა სახლი ბაღის ნახევარით და თავის სამფლობელოსა და სახელოსნოს შუა, რომელიც მან გააქირავა პავილიონთან და ბაღის მეორე ნახევართან ერთად, კედელი ააგო. ამრიგად ემანუელი ძალიან იაფადაც მოეწყო და განცალკევებითაც, ისე, როგორც სენ-ჟერმენის გარეუბნის ყველაზე თავნება მკვიდრი.

სასადილო ოთახი მთლად მუხის ხისა იყო, სასტუმრო — ლურჯ ხავერდგადაკრული წითელი ხისა, დასამინებელი — ლიმონის ხისა, რომელსაც ქამხად მწვანე აბრეშუმის ნაშიყიანი ქსოვილი ჰქონდა გაყოლებული. ამ ოთახებს გარდა იყო კიდევ სამუშაო კაბინეტი ემანუელისათვის, რომელიც არავითარ მუშაობას არ ეწეოდა, და მუსიკის ოთახი ჟიულისათვის, რომელიც არც ერთ საკრავზე არ უკრავდა.

მესამე სართული მთლიანად მაქსიმილიანის განკარგულებაში იყო; მისი ბინა ზუსტად მისი დის ბინის გამეორებას წარმოადგენდა. მხოლოდ მაქსიმილიანს სასადილო ოთახი საბილიარდოდ გადაეცემა; იქ თავისი მეგობრები დაჰყავდა.

როდესაც კარებთან გრაფის ეტლი გაჩერდა, მაქსიმილიანი სიგარას ეწეოდა და თვალს ადევნებდა როგორ ასუფთავებდნენ მის ცხენებს.

როგორც ვთქვით, ჭიშკარი კოკლესმა გამოაღო, ბაპტისენი კი კოფოდან გადმოხტა და იკითხა, თუ შეიძლება გრაფმა მონტე-კრისტომ ნახოს ქალბატონი და ბატონი ერბო და ბატონი მაქსიმილიან მორელიო.

— გრაფი მონტე-კრისტო! — შეჰყვირა მორელმა, სიგარა გადააგდო და სწრაფად სტუმართან გაჩნდა. — როგორ თუ შეიძლება, ეს განა საკითხავია! ოჰ, გმადლობთ, ათასჯერ გიხდით მადლობას, ბატონო გრაფო, რომ დაპირება არ დაგავიწყდათ.

ახალგაზრდა ოფიცერმა გრაფს ისე გულთბილად ჩამოართვა ხელი, რომ ამ უკანასკნელს ეჭვი არ შეჰპარვია მისი სიტყვების გულწრფელობაში. გრაფმა დაინახა, რომ მას მოუთმენლად ელოდნენ და სიხარულით ღებულობდნენ.

— წამობრძანდით, წამობრძანდით! — უთხრა მას მაქსიმილიანმა, — მე თვით გაგიძღვებით. თქვენისთანა ადამიანის სახელს მსახური არ უნდა ახსენებდეს. ჩემი და ბაღში დამჭკნარ ყვავილებს სჭრის, სიძე ექვსიოდე ნაბიჯის მოშორებით თავის გაზეთებს «პრესს» და «დებატს» კითხულობს. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ქალბატონი ერბო, თქვენ წინასწარ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არა უმეტეს ოთხი მეტრი ფართობის ორბიტში ემანუელსაც შეხვდებით, და პირიქით, როგორც ამას პოლიტექნიკურ სკოლაში ამბობენ.

მათი ნაბიჯების ხმაზე თავი ასწია აბრემუმისხალათიანმა ოცდახუთი წლის ყმაწვილმა ქალმა, რომელიც ყვითელი ვარდების ბუჩქს გულმოდგინედ აცლიდა დამჭკნარ ფურცლებს.

ეს ქალი იყო ჩვენი პატარა ჟიული, რომელიც, როგორც «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლის წარმომადგენელმა იწინასწარმეტყველა, მადამ ერბო გამხდარიყო. უცხოელის დანახვაზე ქალმა წამოიყვირა. მაქსიმილიანმა სიცილი დაიწყო.

— ნუ სწუხხარ, ჩემო დაო, — უთხრა მან, — თუმცა ბატონი გრაფი სულ რამდენიმე დღეა რაც პარიზშია, მაგრამ უკვე იცის რა არის რანტიეს მეუღლე მარედან, ხოლო თუ არ იცის, მაშინ შენი დანახვით გაიგებს.

— ბატონო ჩემო, — თქვა ჟიულიმ, — თქვენი ასე მოყვანა ჩემი ძმის მხრივ ღალატია. ის სულ არ ფიქრობს, როგორი შესახედავია მისი საწყალი და. პენელონ... პენელონ!

მოხუცმა, რომელიც ბენგალიის ვარდების გარშემო მიწას ბარავდა, ბარი მიწაში ჩაარჭო, ქუდი მოიხადა და მათთან მივიდა, თან ცდილობდა საღეჭი თუთუნის რაც შეიძლება კარგად დაემალა, ამიტომ უკანა კბილებში გადაიტანა. მის ჯერ კიდევ ხშირ თმას ვერცხლისფერი ზოლები დაყვებოდა. ბრინჯაოსფერი სახის კანი და ცოცხალი თვალები მეტყველებდნენ, რომ იგი ეკვატორის მზეზე დამწვარი და ქარბუქებს მიჩვეული ძველი მეზღვაური იყო.

— მეძახდით, მადმუაზელ ჟიული? — ჰკითხა მან. — გისმენთ.

პენელონი ძველი ჩვეულებით თავის ბატონის ქალიშვილს მადმუაზელ ჟიულის ეძახდა და ვერასგზოთ ვერ მიჩვეულიყო, მადამ ერბო ეწოდებინა.

— პენელონ, — უთხრა ჟიულიმ, — წადი გააფრთხილე ბატონი ემანუელი, რომ ჩვენ ძვირფასი სტუმარი გყავს, მაქსიმილიანი კი გრაფს სასტუმროში შეუძღვება.

ჟიული მონტე-კრისტოს მიუბრუნდა.

— იმედი მაქვს ნებას მომცემთ ერთი წუთით დაგტოვოთ? — და ისე, რომ გრაფის პასუხს არ დაუცადა, ყვავილნარს შემოურბინა და გვერდითი ბილიკით სახლისაკენ მოჰკურცხლა.

— ძვირფასო მორელ, — მიმართა გრაფმა, — გული მტკივა, რომ თქვენი ოჯახის მყუდროება დავარდვიე.

— შეხედეთ, შეხედეთ, — იცინოდა მაქსიმილიანი, — ქმარიც გარბის, რათა ქურთუკი სერთუკით შეცვალოს! ეს იმიტომ, რომ თქვენ გიცნობენ მელეს ქუჩაზე და დამიჯერეთ, გელოდნენ.

— მე მგონი, თქვენი ოჯახი ბედნიერია, — თქვა გრაფმა და თითქოს ამით საკუთარ ფიქრებს გამოეპასუხა.

— დიახ, ბატონო გრაფო, მათ ყველაფერი გააჩნიათ იმისათვის, რომ ბედნიერები იყვნენ. ახალგაზრდები არიან, სიცოცხლით სავსენი, ერთმანეთი უყვართ და მიუხედავად იმისა, რომ წინათ დიდი სიმდიდრე უნახავთ, დღეს თავი როტშილდებად მიაჩნიათ ოცდახუთი ათასი ფრანკი შემოსავლით.

— ოცდახუთი ათასი ფრანკი, ეს ცოტაა, — თქვა მონტე-კრისტომ ისეთი სინაზით, რომ მაქსიმილიანის გულში მოსიყვარულე მამის ხმასავით გაისმა, — მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები ამაზე არ გაჩერდებიან, ისინიც მილიონერები გახდებიან. თქვენი სიმე ექიმია თუ ადვოკატი?

— ის ნეგოციანტი იყო და განსვენებული მამაჩემის საქმეს მოჰკვიდა ხელი. მამაჩემმა სიკვდილის შემდეგ 500 ათასი ფრანკი დატოვა, აქედან ნახევარი მე მერგო, ნახევარი კი ჩემს დას, რადგან ჩვენ მხოლოდ ორნი ვიყავით. ემანუელს, როდესაც იგი ჩემს დას თხოულობდა, კეთილშობილი პატიოსნების, ნათელი ჭკუისა და შეულახავი ავტორიტეტის გარდა არაფერი გააჩნდა. მას უნდოდა შეეძინა იმდენივე სიმდიდრე, რამდენიც მის ცოლს ჰქონდა; მან იმუშავა, სანამ ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი არ შეაგროვა. ამისათვის ექვსი წელი დასჭირდა. გეფიცებით, ბატონო გრაფო, აუღელვებლად ვერ შეხედავდით ამ ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი შრომისმოყვარეობის, ურთიერთთანხმობის და უნარის მიხედვით ღირსები იყვნენ საგრძნობი სიმდიდრე მოეპოვებინათ, მაგრამ მათ არ ისურვეს რაიმე ცვლილება შეეტანათ მამის სავაჭრო სახლის ადათებში და ექვსი წელი დასჭირდათ იმისათვის, რისთვისაც ახალი ყალიბის ადამიანებს ორი ან სამი წელი ეყოფოდათ. მარსელში დღესაც კი აღფრთოვანებული არიან მათი ვაჟკაცური თავგანწირვით. ბოლოს, ერთ დღეს ემანუელი მივიდა თავის ცოლთან, რომელიც მოვალეებისათვის ფულის გადახდას ამთავრებდა.

— ჟიული, — უთხრა მან, — აი, უკანასკნელი ასი ფრანკი, რომელიც ეს-ეს არის გადმომცა კოკლესმა, იგი ავსებს იმ ორას ორმოცდაათ ათას ფრანკს, რომელიც ჩვენი ქონების საზღვრად დავადგინეთ. კმაყოფილი იქნები ამ პატარა თანხით, რომელსაც ჩვენ უნდა დავჯერდეთ? ჩვენი სავაჭრო სახლი წელიწადში მილიონს აბრუნებს და შეიძლება ორმოცი ათასი ფრანკი მოგება მოგვცეს. თუ მოვისურვებთ, ჩვენს კლიენტურას ერთ საათში სამასი ათასი ფრანკად გავყიდით. აი, ბატონი დელონეს წერილი, იგი ამ თანხას გვთავაზობს ჩვენს ფირმაში, რომელიც უნდა თავისას შეუერთოს. გადაწყვიტე, როგორ მოვიქცეთ.

— მეგობარო, — უთხრა ჩემმა დამ, — მორელის სავაჭრო სახლს მხოლოდ მორელი უნდა განაგებდეს. განა არა ღირს უარი ვთქვათ სამასი ათას ფრანკზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავიხსნათ მამაჩემის სახელი ბედის უკუღმართობისაგან?

— მეც ასე ვფიქრობდი, — უპასუხა ემანუელმა, — მაგრამ მინდოდა შენი აზრი გამეგო.

— მაშ ასე. ჩვენ მივიღეთ ყველა თანხა, რომელიც უნდა შემოსულიყო, ყველა ვალი გავისტუმრეთ. უკვე შეგვიძლია ჯამი გამოვიყვანოთ და სალარო დავკეტოთ. მაშ, გამოვიყვანოთ ეს ჯამი და დავკეტოთ სალარო.

«იმ წუთშივე გადაწყვეტილება შეასრულეს, სამი საათი იყო. ოთხის თხუთმეტ წუთზე მოვიდა კლიენტი, რომელსაც უნდოდა ორი გემი დაეზღვია. ეს წარმოადგენდა თხუთმეტი ათასი ფრანკის სუფთა მოგებას.

«— კეთილ ინებეთ და ამ დაზღვევისათვის მიმართეთ ჩვენს კოლეგა ბატონ დელონეს. ჩვენ უკვე ლიკვიდაცია ვუყავით ჩვენს საქმეებს, — უთხრა მას ემანუელმა.

«— როდის აქეთ? — ჰკითხა გაკვირვებულმა კლიენტმა.

«— თხუთმეტი წუთის წინ.

— აი, ამგვარად, — განაგრძო ღიმილით მაქსიმილიანმა, — ჩემი დისა და სიძის წლიური მოგება ოცდახუთ ათას ფრანკზე დავიდა.

ის იყო მაქსიმილიანმა დაამთავრა ამბის მოყოლა, რომელიც გრაფს გულს სიხარულით უვსებდა, რომ სერთუკიანი და ქუდიანი ემანუელი გამოჩნდა. იგი გრაფს მიესალმა ისეთი ადამიანის სახით, რომელმაც იცის თავისი სტუმრის ფასი. შემდეგ გრაფს თავისი აყვავებული პატარა ბაღი შემოატარა და შინ შეიყვანა.

სასტუმრო ოთახში ყვავილების სურნელება იდგა; ეს ყვავილები ვეებერთელა იაპონურ ლარნაკში ეწყო. კარის ზღურბლზე გრაფს შეეგება მართებულად ჩაცმული ჟიული, რომელსაც თმაც კოპწიად გადაევარცხნა (ყოველივე ეს მას ათ წუთში მოესწრო!).

ვოლიერიდან მოისმოდა ჩიტების მხიარული ჟღურტული. ტირიფისა და ვარდისფერი აკაციის ტოტები თავისი აყვავებული მტევნებით ხავერდის ცისფერი ფარდებიდან იჭყიტებოდნენ. ამ შესანიშნავ კუთხეში ყველაფერი, ჩიტების ჭიკჭიკიდან დაწყებული მასპინძლის ღიმილით გათავებული, სიმშვიდით სუნთქავდა.

გრაფმა ოთახში შემოსვლისთანავე იგრძნო, რომ მასაც გადაედო ამ ადამიანთა ბედნიერება; ის ხმას არ იღებდა, ფიქრებს წაეღო, დავიწყებოდა, რომ პირველი მისალმების გამო შეწყვეტილი საუბარი მას უნდა განეახლებინა.

გრაფმა იგრძნო უხერხული სიჩუმე და თავს ძალა დაატანა, ფიქრებს დაღწეოდა.

— ქალბატონო, — თქვა მან ბოლოს, — მაპატიეთ ჩემი მღელვარება. ეს ალბათ, უცნაურად მოგეჩვენათ, — თქვენ მიჩვეული ხართ ამ სიმშვიდეს და ბედნიერებას, მაგრამ ჩემთვის ისეთი ახალი ამბავია კმაყოფილი ადამიანის ხილვა, რომ თვალს ვერ გაცილებთ ვერც თქვენ და ვერც თქვენს ქმარს.

— ჩვენ, მართლაც, ძალიან ბედნიერები ვართ, ბატონო გრაფო, — უპასუხა ჟიულიმ, — მაგრამ დიდხანს კი ვიტანჯებოდით. ალბათ ცოტანი არიან ისეთები, რომელთაც ასე ძვირად დაუჯდათ თავისი ბედნიერება.

გრაფის სახეზე ცნობისმოყვარეობა გამოიხატა.

— ეს ოჯახის გრძელი ისტორიაა, როგორც უკვე გითხრათ შატო-რენომ, — უთხრა მაქსიმილიანმა. — თქვენ, გრაფო, მიჩვეული ხართ უდიდეს უბედურებასაც და უდიდეს სიხარულსაც, ოჯახური სცენები თქვენთვის ნაკლებ საინტერესოა. ჟიულიმ მართალი გითხრათ, ჩვენ ბევრი ტანჯვა გადავიტანეთ, მაგრამ ის არ გაცილებია ოჯახის ვიწრო ჩარჩოებს.

— ღმერთმა, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ტანჯვაში ნუგეში გცათ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, ბატონო გრაფო, ჩვენ ამისი თქმა შეგვიძლია, რადგან იგი ისე მოგვექცა, როგორც თავის რჩეულებს: მან თავისი ანგელოსი გამოგვიგზავნა.

გრაფი წამოწითლდა, მღელვარების დასაფარავად ჩაახველა და ტუჩებთან ცხვირსახოცი მიიტანა.

— ის, ვინც პორფირის აკვანში დაიბადა და არაფერი უნატრია, მან არ იცის რა არის ცხოვრების ბედნიერება, ისევე, როგორც არ იცის ნათელი ცის დაფასება, იმან, ვისაც არასოდეს თავისი სიცოცხლე არ მიუხდვია გამძვინვარებულ ზღვაში გადაგდებული ოთხი ფიცრისათვის, — თქვა ემანუელმა.

მონტე-კრისტო წამოდგა, პასუხი არ გაუცია. ემინოდა აკანკალებულ ხმას არ გაეცა მისი მღელვარება და ოთახში სეირნობა დაიწყო.

— თქვენ, ალბათ, ჩვენი ფუფუნება ღიმილს გგვრით, ბატონო გრაფო, — უთხრა ღიმილით მაქსიმილიანმა, რომელიც თვალს არ აცილებდა მონტე-კრისტოს.

— არა, არა, — უპასუხა ძალზე გაფითრებულმა მონტე-კრისტომ, რომელსაც ერთი ხელი აძგერებულ გულზე მიედო, მეორე კი გაემვირა ბროლის ხუფისაკენ, რომლის ქვეშ შავი ხავერდის ბალიშზე მზრუნველობით იდო აბრეშუმის მოქსოვილი ქისა. — ვუყურებ და მაინტერესებს, ეს რა ქისაა, რომლის ერთ მხარეს რაღაც ქალაქი დევს, მეორე მხარეს კი — საკმაოდ დიდი ალმასი.

მაქსიმილიანმა სერიოზული სახე მიიღო და უპასუხა:

— აქ, ბატონო გრაფო, ჩვენი ოჯახის ყველაზე ძვირფასი განძია.

— ალმასი მართლაც კარგია. — თქვა მონტე-კრისტომ.

— ჩემი ძმა ქვის ღირებულებაზე კი არ ლაპარაკობს, თუმცა მას ასი ათას ფრანკს აფასებენ. მაქსიმილიანს იმისი თქმა უნდა, რომ ნივთები, რომლებიც ქისაში ინახება, რელიკვიებია იმ ანგელოსისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

— არ მესმის თქვენი სიტყვები და ვერც განმარტებას გთხოვთ, — უთხრა თავის დაკვრით მონტე-კრისტომ, — არ მინდა უზრდელობაში ჩამომართვათ.

— უზრდელობაო ბრძანეთ? პირიქით, მოხარული ვართ, რომ ამ თემაზე საუბრის შემთხვევა გვემლევა! ჩვენ რომ საიდუმლოდ გვინდოდეს იმ კეთილშობილი საქციელის შენახვა, რომელზედაც ეს ქისა მეტყველებს, ასე გამოსაჩენ ადგილას არ დავდებდით. არა, ჩვენ გვინდა შესაძლებლობა მოგვეცეს ამ ქისის ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რათა ჩვენმა უცნობმა კეთილისმყოფელმა თავი გამოამჟღავნოს.

— ჰო, ასეა საქმე? — ჩაილაპარაკა ყრუ ხმით მონტე-კრისტომ.

— გრაფო, — მიმართა მაქსიმილიანმა, ბროლის ხუფი ასწია და მოკრძალებით ემთხვია მოქსოვილ ქისას, — ეს ქისა ხელში ეჭირა ადამიანს, რომელმაც მამაჩემი სიკვდილისაგან იხსნა, ჩვენ — გალატაკებისაგან, ჩვენი გვარი — შერცხვენისაგან, ადამიანს, რომლის წყალობითაც, დღეს ყოველი მხრიდან გვესმის როგორ აღფრთოვანებული არიან ჩვენი ბედით. ეს წერილი, — მაქსიმილიანმა ქისიდან წერილი ამოიღო და გრაფს გაუწოდა, — დაწერილია იმ დღეს, როდესაც მამაჩემმა მიიღო სასოწარკვეთილი გადაწყვეტილება. ეს ალმასი კი იმ დიდსულოვანმა უცნობმა მზითვად მისცა ჩემს დას.

მონტე-კრისტომ წერილი გახსნა და უსაზღვრო ბედნიერების გრძნობით წაიკითხა. ეს იყო ჩვენი მკითხველებისათვის ნაცნობი, ჟიულის სახელზე დაწერილი ბარათი, რომელსაც ხელს აწერდა სინდბად მეზღვაური.

— უცნობმაო, ამბობთ თქვენ? ესე იგი ის ადამიანი, რომელმაც სამსახური გაგიწიათ, თქვენთვის უცნობი დარჩა?

— დიახ, ბატონო გრაფო, — დაიწყო მაქსიმილიანმა. — ჩვენ არ გვექონია ბედნიერება ხელი ჩამოგვერთვა მისთვის. მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ღმერთისათვის არ გვეთხოვოს ეს მოწყალება. ყველა ამ მოქმედებაში იმდენი საიდუმლო იყო, რომ დღემდე ვერ გავრკვეულვართ. ყველაფერს მართავდა უხილავი ხელი, ისეთივე ყოვლისშემძლე, როგორც ჯადოსანის ხელია.

— მე ჯერ არ დამიკარგავს იმედი, რომ ერთ დღეს ისევე ვემთხვიო მის ხელს, როგორც ვკოცნი ამ ქისას, რომელსაც ის შეეხო, — თქვა ჟიულიმ. — ოთხი წლის წინათ პენელონი ტრიესტში იყო. პენელონი, გრაფო, ის მამაცი მეზღვაურია, რომელიც თქვენ ბარით ხელში ნახეთ, და ბოცმანობიდან მეზღვედ იქცა. ტრისეტში, სანაპიროზე მან ნახა ინგლისელი, რომელიც იახტაში ჯდებოდა. პენელონმა ამ ინგლისელში შეიცნო ის კაცი, 1829 წელს ხუთ ივლისს მამაჩემთან რომ მოვიდა და ხუთ სექტემბერს კი ეს ბარათი გამომიგზავნა. პენელონი ამტკიცებდა, ის ინგლისელი სწორედ ჩვენი კეთილისმყოფელი იყო, მაგრამ დალაპარაკება ვერ გაუბედია.

— ინგლისელი!... — თქვა ჩაფიქრებით მონტე-კრისტომ, რომელსაც აკრთობდა ჟიულის ყოველი შეხედვა. — თქვენ ამბობთ ინგლისელიო.

— დიახ, ინგლისელი, რომელიც ჩვენთან გამოცხადდა, როგორც რომის სავაჭრო სახლის «ტომსონ და ფრენჩის» რწმუნებული. აი, სწორედ ამიტომ შევკრთი მორსერთან, როდესაც თქვენ ბრძანეთ, რომ ტომსონი და ფრენჩი ჩემი ბანკირები არიანო. გრაფო, როგორც გითხარით, ეს ამბავი 1829 წელს მოხდა და ღვთის გულისათვის მითხარით, ხომ არ იცნობდით იმ ინგლისელს? — შეეხვეწა მაქსიმილიანი.

— თქვენ ამბობთ, რომ «ტომსონ და ფრენჩის» სავაჭრო სახლი მუდამ უარყოფდა, რომ ეს სამსახური მან გაგიწიათ?

— დიახ.

— ასეთ შემთხვევაში ის ინგლისელი შეიძლება რაიმე კეთილი საქმით დავალებული იყოს მამათქვენის წინაშე, რომელსაც არც კი ახსოვდა, რომ მას სიკვითე გაუკეთა და შემთხვევით ისარგებლა, რომ სამაგიერო გადაეხადა.

— ყველაფერი შეიძლება ვიფიქროთ, ბატონო გრაფო, თვით სასწაულიც კი.

— რა ერქვა იმ ინგლისელს? — იკითხა მონტე-კრისტომ.

— ის მხოლოდ იმ სახელს ატარებდა, რომელიც ბარათზე ეწერა — სინდბად მეზღვაური, — უპასუხა ჟიულიმ და უფრო ყურადღებით დააკვირდა გრაფს.

— ეს, ალბათ, ფსევდონიმი და არა სახელი.

რაკი დაინახა გრაფმა, რომ ჟიული უფრო და უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებოდა და მისი ხმის ბგერებსაც იჭერდა, დასძინა: — ის კაცი დაახლოებით ჩემი სიმაღლის ხომ არ იყო, ან ოდნავ უფრო მაღალი და გამხდარი, მაღალი საყელოთი, შემოჭერილი ყელსახვევით, ტანზე შემოსხლეტილი და ღილებით მაგრად შეკრული სერთუკით, ხელში კი მუდამ ფანქარი ეჭირა, არა?

— მაშ თქვენ მას იცნობთ? — შესძახა ჟიულიმ სიხარულისაგან გაბრწყინებული თვალებით.

— არა, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მე მხოლოდ ჩემს მოსაზრებას ვამბობ. მე ვიცნობდი ვინმე ლორდ უილმორს, რომელიც ხელგაშლილი იყო ასეთ საქმეებში.

— ისე რომ არ ამჟღავნებდა თავის თავს?

— ეს იყო უცნაური ადამიანი, არ სჯეროდა მაღლიერება.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ჟიულიმ ენით აუწერელი ხმით და ხელები შემოჰკრა, — მაშ რა სჯერა იმ უბედურს?

— ყოველ შემთხვევაში არ სჯეროდა მაშინ, როდესაც მე ვხვდებოდი, — თქვა მონტე-კრისტომ, რომელიც ჟიულის გულიდან ამოხეთქილმა ხმამ უსაზღვროდ შეატოკა. — შემდეგ შეიძლება თვითონაც დარწმუნდა, რომ მაღლიერება არსებობს.

— თქვენ იცნობთ იმ ადამიანს, გრაფო? — ჰკითხა ემანუელმა.

— თუ თქვენ მას იცნობთ, — შესძახა ჟიულიმ, — გვითხარით, შეგიძლიათ მასთან წაგვიყვანოთ, გვიჩვენოთ, გვითხრათ მისი სამყოფელი? მისმინე, მაქსიმილიანი,

მისმინე, ემანუელ, თუ ჩვენ ოდესმე შევხვდებით მას, იგი ვერ შეძლებს არ დაუჯეროს ჩვენს გულის ხმას.

მონტე-კრისტომ იგრძნო, რომ თვალებში ცრემლები მოადგა და კვლავ სიარული დაიწყო.

— ღვთის გულისთვის, გრაფო, თუ იცით რამე იმ ადამიანის შესახებ, გვითხარით. — უთხრა მაქსიმილიანმა.

— ამაოა, — უპასუხა მონტე-კრისტომ, რომელიც ცდილობდა თავისი ხმის მღელვარება დაეფარა. — თუ თქვენი კეთილისმყოფელი ლორდი უილმორია, ვშიშობ, როდისმე შეხვდეთ. მე მას დავცილდი სამი წლის წინათ პალერმოში, ის ყველაზე ზღაპრულ ქვეყნებში აპირებდა გამგზავრებას, ასე რომ ეჭვი მეპარება როდესმე დაბრუნდეს.

— რა სასტიკი ხართ, გრაფო! — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ჟიულიმ და თვალები ცრემლებით ავესო.

— ქალბატონო, — თქვა გრაფმა გულში ჩამწვდომი ხმით, რომელიც თვალს არ აცილებდა ჟიულის ლოყაზე ჩამოგორებულ გამჭვირვალე მარგალიტებს: — ის რომ ახლა თქვენ გხედავდეთ, ხელახლა შეიყვარებდა ცხოვრებას, რადგან ცრემლები, რომლებსაც თქვენ აფრქვევთ, მას კაცობრიობასთან შეარიგებდა.

მონტე-კრისტომ ხელი გაუწოდა ჟიულის. გრაფის მზერითა და ხმით მოჯადოებულმა ჟიულიმ ხელი შეაგება.

— მაგრამ იმ ლორდ უილმორს ხომ ჰქონდა სამშობლო, ჰყავდა მშობლები, ჰქონდა ოჯახი. ვინმე ხომ იცნობდა მას? და განა ჩვენ არ შეგვეძლო... — თქვა ჟიულიმ, რომელიც უკანასკნელ იმედებს ებღაუჭებოდა.

— არ ღირს მისი ძებნა, ქალბატონო, — უთხრა გრაფმა, — ნუ ააგებთ ოცნების კოშკებს იმ სიტყვებზე, რომლებიც წამომცდა. საეჭვოა, ლორდი უილმორი იყოს ის ადამიანი, რომელსაც თქვენ ეძებთ. ის ჩემი მეგობარი იყო, მე ვიცოდი ყველა მისი საიდუმლო და ამასაც მომიყვებოდა.

— მას თქვენთვის არაფერი უთქვამს ამის შესახებ? — შესძახა ჟიულიმ.

— არაფერი.

— არასოდეს, არც ერთი სიტყვა, რომლითაც შეგეძლოთ გეფიქრათ...

— არასოდეს.

— თქვენ რომ უცებ თქვით მისი სახელი?

— ხომ იცით, რა არ მოუვა ხოლმე ადამიანს თავში.

— ჩემო დაო, — შეაჩერა თავისი და მაქსიმილიანმა, რომელიც შეეცადა გრაფს მიშველებოდა: — ბატონი გრაფი მართალია. გაიხსენე, რას გვეუბნებოდა ხოლმე ძალიან ხშირად ჩვენი კეთილი მამა. ჩვენთვის ბედნიერება ინგლისელს არ მოუტანიაო.

მონტე-კრისტო შეკრთა.

— მამათქვენი, ბატონი მორელი გეუბნებოდათ, რომ... — თქვა ფიცხლად გრაფმა.

— მამაჩემი, ბატონო გრაფო, ამ მოვლენას ისე უყურებდა, როგორც სასწაულს. მას სჯეროდა, რომ ჩვენი კეთილისმყოფელი სასაფლაოდან წამოდგა. ეს ისეთი ამაღელვებელი გრძნობა იყო, რომ თუმცა მე მას არ ვიზიარებდი, არ მინდოდა ჩამეკლა იგი მის კეთილ გულში. ხშირად ფიქრებში წასული იმეორებდა ხოლმე დაღუპული ძვირფასი მეგობრის სახელს. სიკვდილის წინ, როდესაც მარადიულობის სიახლოვემ მისი აზრები იმქვეყნიური სინათლით გაანათა, მისი ეჭვი რწმენაში გადავიდა. სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა, იყო: «მაქსიმილიან, ეს იყო ედმონდ დანტესი!»

გრაფის სიფერმკრთალე ამ სიტყვებზე საშინელი სანახავი შეიქნა. სისხლი გულზე მოაწვა და ხმას ვეღარ იღებდა. საათს დახედა, თითქოს დრო დაავიწყდაო, ქუდი აიღო, რაღაც უეცრად და უხერხულად გამოემშვიდობა ქალბატონ ერბოს, ხოლო ემანუელსა და მაქსიმილიანს ხელი ჩამოართვა.

— ქალბატონო, — უთხრა მან, — ნება მიბოძეთ ზოგჯერ გინახულოთ ხოლმე. თქვენი ოჯახი მე მიყვარს და მადლობელი ვარ მიღებისათვის. დიდი ხნის შემდეგ თქვენთან პირველად დამავიწყდა დრო. — და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა.

— რა უცნაური კაცია ეს გრაფი მონტე-კრისტო, — თქვა ემანუელმა.

— დიახ, — უპასუხა მაქსიმილიანმა, — მაგრამ მე მჯერა, რომ მას შესანიშნავი გული აქვს და რომ ჩვენ ვუყვარვართ.

— მე კი, — თქვა ჟიულიმ, — მისი ხმა გულის სიღრმემდე ჩამწვდა და რამდენჯერმე მომეჩვენა კიდევაც, რომ ეს ხმა პირველად არ მესმოდა.

თავი XIII

პირამე და თისბე¹ (¹ პირამე — ახალგაზრდა ბაბილონელი ქალი, რომლის ტრაგიკული სიყვარული თისბესადმი რომაელ პოეტს ოვიდიუსს აქვს მოთხრობილი.)

სენტო-ონორეს გარეუბნის ორი მესამედის გავლის შემდეგ, მშვენიერი კერძო ბინის უკან, რომელიც გამოირჩევა ამ მდიდარი უბნის სახლებს შორისაც კი, გადაჭიმულია ვრცელი ბაღი. ამ ბაღის ხშირი წაბლის ხეები ზევიდან დაჰყურებენ ციხე-სიმაგრის მსგავს ვეებერთელა კედლებს და ყოველ გაზაფხულზე თავის თეთრსა და ვარდისფერ ყვავილებს აბნევენ ოთხკუთხ ბოძებზე მდგარ წახნაგოვანი ქვის ლარნაკებში. ამ ბოძებს შუა ჩასმულია ლუდოვიკო XIII დროინდელი რკინის გისოსებიანი კარი.

თუმცა ამ ლარნაკებში იზრდება შესანიშნავი ნემსიწვერები, რომლებიც ქარის ქროლაზე არწევენ თავის მეწამული ფერის ყვავილებსა და წინწკლებიან ფოთლებს, მაგრამ ამ დიდებული შესასვლელით უკვე დიდი ხანია არ სარგებლობენ. სახლის მფლობელებმა გადაწყვიტეს თავისთვის დაეტოვებინათ მხოლოდ სახლი, გარეუბანში გამავალი ეზო და გისოსებშემოვლებული ბაღი; ამ ბაღის უკან იყო შესანიშნავი ბოსტანი, რომელიც წინათ ამ მამულს ეკუთვნოდა. მაგრამ გამოჩნდა სპეკულაციის დემონი და ბოსტნის გვერდით მოინიშნა ქუჩა, რომელსაც მეტოქეობა უნდა გაეწია სენტ-ონორეს გარეუბნად წოდებულ პარიზის ვეებერთელა არტერიისათვის. რაკი უსათუოდ უნდა გაყვანილიყო ეს ქუჩა, რომელსაც რკინის ფირფიტის წყალობით სახელი შეერქვა, ბოსტანი გაყიდეს.

მაგრამ, როცა საქმე ეხება სპეკულაციის დემონს, ადამიანი ვარაუდობს, ხოლო კაპიტალი — განაგებს. ასე რომ უკვე მონათლული ქუჩა თავისივე აკვანში ჩაკვდა. ბოსტნის ახალმა მფლობელმა, რომელსაც ძვირი დაუჯდა მიწის ეს ნაკვეთი, ვეღარ შეძლო მისი ხელსაყრელ ფასში გაყიდვა და მიწის გამძირების ცდაში, რათა ადრე თუ გვიან ჭარბად აენახლაურებინა დახარჯული ფული ან უქმად მდებარე კაპიტალი, იმას დასჯერდა, რომ ეს ნაკვეთი მებოსტნეებს მისცა იჯარით წელიწადში ხუთას ფრანკად.

ამრიგად, იგი თავის ფულზე მხოლოდ ნახევარ პროცენტს ღებულობდა, რაც ახლანდელი დროის თვალსაზრისით ძალიან ცოტაა, რადგან ბევრნი ორმოცდაათ პროცენტს ღებულობენ და მაინც წუწუნებენ.

ასეა თუ ისე, როგორც უკვე ვთქვით, ბაღის კარი, რომელიც ბოსტანში გადიოდა, გაუქმებული იყო, ხოლო მის კოჭაკებს ჟანგი სჭამდა. უფრო მეტი: რათა ბილწ მებოსტნეებს თავიანთი პლებეური მზერით არ შეერყვნათ არისტოკრატიული ბაღი, კარი მიწიდან ექვსი ფუტის სიმაღლეზე ფიცრებით იყო შემოჭედილი, თუმც არც ისე მჭიდროდ, რომ ჭუჭრუტანებიდან შიგ არ შეგეხედათ. მაგრამ ამ საპატიო სახლს მოურიდებელი მზერისა არ ეშინოდა.

ამ ბოსტანში კომბოსტოს, სტაფილოს, ბოლოკის, მუხუდოსა და ნესვის მაგიერ იზრდება მაღალი იონჯა — ერთადერთი კულტურა, დამამტკიცებელი, რომ ვიღაცა კიდევ ფიქრობს ამ მივიწყებულ ადგილზე. ამ ყორემემოვლებულ მიწის ნაკვეთში დაგეგმილი ქუჩიდან მხოლოდ დაბალი ჭიშკრით შეიძლება შემოსვლა; ეს ნაკვეთი იმდენად მწირი აღმოჩნდა, რომ ნახევარ პროცენტსაც აღარ იძლეოდა და ამიტომ მოიჯარადრეებმა ერთი კვირის წინათ მიატოვეს.

სასახლის გვერდით კედლის ზღუდეს დაჰყურებს უკვე ნახსენები წაბლის ხეები, რაც ხელს არ უშლის სხვა აყვავებულ და გაბარდნილ ხეებს მათ შუა შეიჭრან ჰაერს მოწყურებული ტოტებით. ბაღის ერთ კუთხეში, სადაც ხშირ ფოთლებს შორის დღის სინათლე ძლივს აღწევს, დგას ერთი ქვის და რამდენიმე ხის სკამი. ეს გარემოება კი იმას მეტყველებს, რომ ესაა სახლის რომელიმე მცხოვრების არჩეული ან საპაემანო ადგილი. თვით სახლი ასიოდე ნაბიჯის მოშორებით დგას და ამწვანებულ ხეებში ძლივს ჩანს. ერთი სიტყვით, ამ მყუდრო ადგილის არჩევა იმითაც აიხსნება, რომ იქ მზის სხივები არ ატანს, პაპანაქება დღეებშიაც კი გრილა და ჩიტების ჭიკჭიკი გაისმის. ამასთანავე, ეს ადგილი ერთსა და იმავე დროს მოშორებულია სახლსაც და ქუჩასაც, ესე იგი საქმიანობასაც და ხმაურსაც.

ერთხელ, სადამოჟამს, პაპანაქება სიცხიან დღეს, რომელიც ამ გაზაფხულმა პარიზის მცხოვრებლებს უძღვნა, იმ ქვის სკამზე იდო წიგნი, ქოლგა, სამუშაო კალათა და ნახევრადმოქარგული ცხვირსახოცი. ფიცრებით აჭედილ კართან იდგა ყმაწვილი ქალი და ჭუჭრუტანიდან ჩვენთვის ნაცნობ დაცარიელებულ ბოსტანში იცქირებოდა.

თითქმის იმწუთშივე გაიღო ბოსტნის ჭიშკარი. შემოვიდა მაღალი, ვაჟკაცური გარეგნობის ყმაწვილი კაცი. მას ეცვა ხამი სატინის ხალათი, თავზე ეხურა ხავერდის ჩიხაქუდი; წვერ-ულვაში და მეტად მოვლილი შავი თმა სრულიად არ შეეფერებოდა მის უბრალო ტანისამოსს.

რათა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უთვალთვალებდა, ყმაწვილმა კაცმა სწრაფად მიმოიხედა, ჭიშკარი გადაკეტა და ჩქარი ნაბიჯით ბაღის კარისაკენ წავიდა.

როგორც ეტყობოდა, ქალიშვილი მას ამ ტანსაცმელში არ ელოდა და შიშით უკან დაიხია.

შეყვარებული ყმაწვილი კაცის თვალებმა ჭუჭრუტანებიდანაც კი შენიშნა, როგორ გაიელვა ცისფერ სარტყელიანმა თეთრმა კაბამ. მან კარებთან მიირბინა და ბაგეები ჭუჭრუტანას მიადო:

— ნუ გეშინია, ვალენტინა, ეს მე ვარ, — დაუმახა ვაჟმა.

ქალიშვილი მიუახლოვდა.

— რატომ მოხვედით დღეს ასე გვიან? — ჰკითხა მან. — ხომ იცით, რომ მალე სადილობაა, და რა დიდი დიპლომატია და სიფრთხილე მჭირდება, რომ ჩემი საქარგავით აქ მოვიდე, თავი დავაღწიო

დედინაცვალს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მზვერავს, მოსამსახურეს, ჯაშუშად რომ მყავს მოჩენილი, ძმას, რომელიც თავს მამბობს. როდესაც დაგვიანების მიზეზს

მეტყვით, იმასაც ამიხსნით, რას ნიშნავს თქვენი ტანისამოსი, რომლის გამო კინაღამ ვერ გიცანით.

— ძვირფასო ვალენტინა, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა, — თქვენ ჩემი სიყვარულისათვის ისეთი მიუწვდომელი ხართ, რომ ამაზე ლაპარაკს ვერ გიბედავთ, მაგრამ როდესაც გხედავთ, თავს ვერ ვიკავებ და გეუბნებით, რომ თაყვანსა გცემთ. და ჩემი საკუთარი სიტყვების გამოძახილი მევე მამშვიდებს, როდესაც ვეღარა გხედავთ. ახლა კი მადლობას მოგახსენებთ საყვედურისათვის. ეს საყვედური მომხიბვლელია; ეს იმას ამტკიცებს, არა, იმის თქმას ვერ გავბედავ, რომ მიცდიდით, — არამედ იმას, რომ ჩემზე ფიქრობდით. გინდათ გაიგოთ, რატომ დავიგვიანე და რატომ ვარ ასე ჩაცმული? ამას ახლავე გეტყვით და იმედი მაქვს მაპატიებთ: მე ხელობა ავირჩიე.

— ხელობა?.. რის თქმა გინდათ, მაქსიმელიან? განა ისეთი ბედნიერები ვართ, რომ სახუმაროდ გავხადოთ ის, რაც ჩვენ ორივეს გვებება?

— ღმერთმა დამიფაროს ვიხუმრო იმაზე, რაც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია! — წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, — დავიღალე მინდორში სირბილით და კედლებზე ხტომით. მართალი გითხრათ, მაშინებდა ფიქრი, რომ ერთ დღეს მამათქვენი სამართალში მიმცემდა, როგორც ქურდს, ეს შეარცხვენდა საფრანგეთის მთელ არმიას. ამავე დროს ვშიშობდი ეჭვი არ აღედრა სპაჰის კაპიტნის მუდმივ ტრიალს ამ ადგილებში, სადაც არ არის არც ერთი ალყაშემორტყმული პატარა ციხე-სიმაგრე და არც ერთი დასაცავი ფორტი. ამიტომ მეზალე გავხდი და ამ სახელწოდების შესაფერისი ტანისამოსიც შევიძინე.

— რა სისულელეა.

— პირიქით, ჩემი ცხოვრების მანძილზე ყველაზე ჭკვიანური საქციელი მგონია, რადგან ეს უზრუნველყოფს ჩვენს უშიშროებას.

— ამიხსენით გეთაყვა, რაშია საქმე.

— მაშ მისმინეთ! მე ამ ბოსტნის მფლობელთან ვიყავი. ადრინდელ მოიჯარადრეს ხელშეკრულების ვადა გაუვიდა და ამჯერად მე გამოვართვი ეს მიწის ნაკვეთი. მთელი ეს იონჯა, რომელსაც თქვენ უყურებთ, ახლა ჩემი საკუთრებაა. აღარაფერი მიშლის ხელს ამ ბალახებში ქოხი ავიშენო და თქვენგან ორ ნაბიჯზე ვიცხოვრო. ბედნიერი ვარ და ვერც ვმაღავ! წარმოიდგინეთ, ვალენტინა, რომ ყოველივე ამის ყიდვა შესაძლებელია ფულით. დაუჯერებელია, არა? მაგრამ მთელი ეს ნეტარება, ბედნიერება, სიხარული, რისთვისაც ათი წლის სიცოცხლეს მივცემდი, ახა გამოიცანით რა დამიჯდა?.. წელიწადში ხუთასი ფრანკი, რაც სამჯერად უნდა გადავიხადო. როგორც ხედავთ, აღარაფრის მეშინია. ჩემს მიწაზე ვდგავარ, თავისუფლად შემიძლია გალავანს კიბე მოვადგა და თქვენს ბაღში ვიცქირო. დარაჯები ვეღარას დამაკლებენ. უფლება მაქვს ჩემს სიყვარულზე გელაპარაკოთ, თუკი სიამაყე არ შეილახება იმით, რომ ეს სიტყვები სამუშაო ხალათში გამოწყობილ, ხავერდის ქუდიან საწყალ დღიური მუშის პირიდან ამოვა.

გაკვირვებულმა ვალენტინამ სიხარულისაგან ოდნავ შეჰკვივლა, შემდეგ თითქოს შურიანმა ღრუბელმა მოულოდნელი ჩრდილი მოჰფინა მის გულში ანთებულ მზის სხივსო, მოწყენით უთხრა:

— დღეიდან მეტისმეტად თავისუფალნი ვიქნებით, მაქსიმელიან, ჩვენი ბედნიერება ღმერთის ცდუნებაა და თუ თავისუფლება ბოროტად გამოვიყენეთ, ის დაგვლუპავს.

— როგორ მეუბნებით ამას, მეგობარო! მას შემდეგ, რაც თქვენ გიცნობთ, ყოველდღე გიმტკიცებთ, რომ ჩემი აზრები და სიცოცხლე თქვენს აზრებსა და სიცოცხლეს დავუმორჩილე. რატომ მომენდეთ? ჩემი პატიოსნების გამო, ასე არაა?

როცა მითხარით, რაღაც ბუნდოვანი წინათგრძნობა საფრთხეს მაუწყებსო — მე ჩემი ერთგულება შემოგთავაზებთ, და არავითარი ჯილდო არ მომითხოვია, გარდა იმ ბედნიერებისა, რომ თქვენი მსახური ვყოფილიყავი. განა მას აქეთ ან სიტყვით ან რაიმე მოქმედებით მოგეცით საბაზი გული გაგტეხოდათ? თქვენ გამომარჩიეთ იმათ შორის, რომლებიც ბედნიერები იქნებოდნენ თქვენთვის თავი გაეწირათ, თქვენ, საცოდაო ბავშვო, მითხარით, რომ ბატონ დ'ეპინეს დანიშნული იყავით, რომ ეს ქორწინება მამათქვენის გადაწყვეტილება იყო და, მაშასადამე, გარდუვალიც, რადგან ბატონ დე ვილფორის სურვილი აუცილებლად უნდა შესრულდეს. ჰოდა, მერე? მე ჩრდილში დავრჩი, ყველა იმედი დავამყარე დროზე... და არა ჩემსა და თქვენს ნებაზე. თქვენ კი, ვალენტინა, გიყვარვართ, გეცოდებით... ეს უკვე მითხარით, გმადლობთ ამ ძვირფასი სიტყვებისათვის. მხოლოდ გთხოვთ, ისინი ზოგჯერ მაინც გამიმეოროთ, რათა ყველაფერი დამავიწყოს.

— აი, სწორედ ამან მოგცათ სითამამე, მაქსიმილიან, ამან გახადა ჩემი ცხოვრება სასიხარულოც და უბედურიც. ხშირად ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, რა სჯობს ჩემთვის — დედინაცვლის სიმკაცრე და მისი ბრმა სიყვარული ვაჟიშვილის მიმართ, თუ საშიშროებით სავსე ბედნიერება, რომელსაც თქვენთან ყოფნით ვგრძნობ.

— საშიშროება? — შეჰყვირა მაქსიმილიანმა; — როგორ შეგიძლიათ ასეთი მკაცრი და უსამართლო სიტყვა თქვათ! განა ჩემზე მორჩილი მონა სადმე გინახავთ? ვალენტინა, თქვენ უფლება მომეცით ზოგჯერ გელაპარაკოთ, მაგრამ იმის უფლება კი არ მოგიციათ, რომ თქვენთან შეხვედრები ვეძიო, მე დაგემორჩილეთ. მას შემდეგ, რაც ამ ბაღში შემოსვლის და ამ კარებიდან ლაპარაკის საშუალება გამოვნახე — ერთი სიტყვით, მოვახერხე ასე ახლოს ვიყო თქვენთან და თქვენ ვერ გხედავდით, მითხარით ერთხელ მაინც თუ გთხოვეთ ნებართვა გისოსებიდან თქვენი კაბის ბოლოს შევხებოდი? განა როდისმე ვცადე გადამელახა ეს გალავანი, ეს სასაცილო ზღუდე ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ყმაწვილისათვის? განა ოდესმე გისაყვედურეთ სიმკაცრე, გამოგიტყდით ჩემს სურვილებში? წარსული დროის რაინდივით ჩემს სიტყვაზე ვარ მიჯაჭვული, ამაში მაინც დამეთანხმეთ, რომ უსამართლო ადამიანად არ ჩავთვალათ.

— ეს მართალია, — თქვა ვალენტინამ და ჭუჭრუტანაში თითის წვერი გაჰყო. მაქსიმილიანმა ტუჩები დააწება. — მართალია, თქვენ პატიოსანი მეგობარი ხართ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო მაქსიმილიან, ასე ხომ თქვენი ინტერესებისათვის მოქმედებდით?.. კარგად იცოდით, რომ მონა, როგორც კი მომთხოვნი გახდებოდა, ყველაფერს დაკარგავდა. დამპირდით ძმობა გაგეწიათ ჩემთვის, ადამიანისათვის, ვისაც არა ჰყავს მეგობრები, ვინც მამამ დაივიწყა და დედინაცვალი ავიწროებს, ვისაც ერთადერთ ნუგეშად უძრავი, მუნჯი, გაციებული მოხუცი ჰყავს. ამ მოხუცს არ ძალუძს მკლავის განძრევა, რათა ხელი ჩამომართვას და მხოლოდ თვალებით მელაპარაკება, მის გულშიც ჩემდამი ცოტაოდენი სითბოა შემორჩენილი. ბედმა მწარედ დამცინა, ყველა იმათი მტერი და მსხვერპლი გამხადა, ვინც ჩემზე ძლიერია, მეგობრად და მხარის დამჭერად კი გვამი დამიტოვა. მაქსიმილიან, გიმეორებთ, ძალზე უბედური ვარ და ძალიან კარგად იქცევით, რომ ჩემზე ფიქრობთ და არა საკუთარ თავზე.

— ვალენტინა, — დაიწყო ყმაწვილმა კაცმა მღელვარებით, — არ გეტყვით, რომ ამქვეყნად მართო თქვენ მიყვარხართ, — მე მიყვარს ჩემი და და ჩემი სიძეც. მაგრამ ისინი მიყვარს მშვიდი და ნაზი სიყვარულით, რომელიც არ გავს იმ გრძნობას, რომელიც თქვენს მიმართ მაქვს. როცა თქვენზე ვფიქრობ, სისხლი მიდუღს, სუნთქვა მიჭირს, გული მიცემს; მაგრამ ეს ძალა, ეს ცეცხლი, ეს არაადამიანური სიძლიერე

თქვენდამი სიყვარულით არის გამოწვეული. როგორც კი მეტყვით, იმ წუთშივე მას თქვენს ბედნიერებას მივუძღვნი. ამბობენ, ფრანც დ'ეპინე ერთ წელიწადს კიდევ არ ჩამოვაო. ერთ წელიწადში ვინ იცის რამდენი ბედნიერი შემთხვევა მოგვეცემა, რამდენი სასიამოვნო მოვლენა მოხდება. იმედი ვიქონიოთ, იმედი ისეთი კარგი და ტკბილია! თქვენ, ვალენტინა, ეგოიზმს მაყვედრით, მაგრამ ვინ იყავით თქვენ ჩემთვის? უმანკო ვენერას მშვენიერი და ცივი ქანდაკება. რას მპირდებოდით ჩემი ერთგულების, მორჩილების და თავის შეკავების სანაცვლოდ? არაფერს. რითი მაჯილდოვდით? მცირედით. ჩემთან ლაპარაკობთ ბატონ დ'ეპინეზე, თქვენს საქმროზე და ოხრავთ იმის გახსენებაზე, რომ ერთ დღეს მისი გახდებით. მისმინეთ, ვალენტინა, ნუთუ მხოლოდ ეგა გაქვთ გულში? მე თქვენ გწირავთ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სულს, მხოლოდ თქვენთვის მიძგერს გული. და აი, როდესაც მე მთელი ჩემი არსებით თქვენ გეკუთვნით, როდესაც მე გულში ვამბობ, მოვკვდები, თუ ვალენტინას დავკარგავ-მეთქი, თქვენ არც კი გაძრწუნებთ აზრი, რომ სხვისი იქნებით! მე რომ თქვენს ადგილას ვიყო და ვგრძნობდე ვინმეს ისე ვუყვარვარ, როგორც მე თქვენ მიყვარხართ, ამ გისოსებში ასჯერ გავუწვდიდი ხელს საცოდავ მაქსიმილიანს და ვეტყვოდი: «მე თქვენი ვიქნები, მაქსიმილიან, თქვენი, სააქაოს და საიქიოსაც».

ვალენტინამ არაფერი უპასუხა, მაგრამ ყმაწვილმა კაცმა იგრძნო, რომ იგი ტიროდა და ოხრავდა. ამ გარემოებამ მაქსიმილიანზე სწრაფად იქონია გავლენა.

— ვალენტინა, ვალენტინა, დაივიწყეთ ჩემი სიტყვები, თუკი ამით გული გატკინეთ! — შესძახა ყმაწვილმა კაცმა.

— არა, არა, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ განა არ ხედავთ, რომ ამქვეყნად მარტოდმარტო ვარ, საკუთარ სახლში თავს უცხოთაგან ვგრძნობ, რადგან მამაჩემი თითქმის უცხოა ჩემთვის. აი, უკვე ათი წელია ჩემს ნებას ყოველდღე, ყოველ საათობით, ყოველ წუთობით სთელავს ჩემი უფროსების რკინის ნებისყოფა. არავინ ამჩნევს ჩემს ტანჯვას, მხოლოდ თქვენ გაგანდეთ იგი. გარეგნულად თითქოს ყველა კარგადაა ჩემთან, ყველას ვუყვარვარ, მაგრამ სინამდვილეში ყველა მტრულადაა განწყობილი. ხალხი ამბობს, ბატონი დე ვილფორი მეტად სერიოზული და მკაცრი კაცია, რომ შვილის მიმართ დიდი სინაზე გამოიჩინოს, მაგრამ სამაგიეროდ ვალენტინა იმით უნდა იყოს კმაყოფილი, რომ ქალბატონ დე ვილფორში მეორე დედა ჰყოვაო. ჰოდა, ხალხი ცდება: მამაჩემი გულგრილია ჩემს მიმართ, დედინაცვალს კი სასტიკად ვძულვარ, და ეს სიძულვილი მით უფრო საშინელია, რომ იგი მას მუდამ ღიმილით ჰფარავს.

— თქვენ სძულხართ, ვალენტინა? როგორ შეიძლება თქვენი შემულება? — მეგობარო, — უთხრა ვალენტინამ, — უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი ჩემდამი სიძულვილი გამოწვეულია იმით, რომ იგი აღმერთებს ჩემს ძმას, ედუარდს.

— მერე? — მართალია, ამ ამბავში უცნაურია ფულის გარევა, მაგრამ, ვგონებ, მისი სიძულვილი სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული. ჩემს დედინაცვალს ქონება არა აქვს. მე კი დედის სიკვდილის შემდეგ დიდი მემკვიდრეობა მივიღე და ეს სიმდიდრე გაორკეცდება იმით, რომ ერთ დღეს დამრჩება ბატონ დე სენ-მერანისა და მისი მეუღლის მემკვიდრეობაც. აი შურის მიზეზიც ვგონებ ეს არის. ღმერთო ჩემო, რომ შემემძლოს, ჩემი ქონების ნახევარს მივცემდი, ოღონდ მამაჩემის სახლში საკუთარ შვილად მეგრძნო თავი. რასაკვირველია, ამ წუთშივე ასე მოვიქცეოდი.

— საცოდავო ვალენტინა.

— დიახ, მე შებორკილი ვარ და ამავე დროს სუსტი; ზოგჯერ გავიფიქრებ, ჩემი ბორკილები მამაგრებენ-მეთქი და მეშინია მათი გადაგდება. გარდა ამისა, მამაჩემი ისეთი კაცი არ არის, რომ არ გავუგონო და დაუსჯელი გადავურჩე. იგი ჩემი

მბრძანებელია, თქვენც ასევე მოგექცეოდით და თვით მეფესაც კი, იმიტომ, რომ ძლიერია თავისი უმწიკვლო წარსულით და თითქმის მიუწვდომელი მდგომარეობით. გეფიცებით, მაქსიმელიან, მე არ ვებმები ბრძოლაში, იმიტომ, რომ ვშიშობ ჩემთან ერთად თქვენც არ დაგლუპოთ.

— ვალენტინა, არ შეიძლება ასე სასოწარკვეთილებამდე მისვლა, მომავლისადმი უიმედო თვალთ ყურება, — უთხრა მაქსიმელიანმა.

— მეგობარო, მასზე მე წარსულის მიხედვით ვმსჯელობ, — უთხრა ქალიშვილმა.

— მისმინე, ვალენტინა, თუ არისტოკრატიული თვალსაზრისით მე ბრწყინვალე საქმრო არა ვარ, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამით ვეკუთვნი იმ საზოგადოებას, რომელშიაც თქვენ ცხოვრობთ. წავიდა ის დრო, როდესაც საფრანგეთში ორი საფრანგეთი იყო. მონარქიის დროინდელი დიდებულები შეერივნენ იმპერიის დიდებულებს. ხმალის არისტოკრატია დაუმოყვრდა ქვემეხების არისტოკრატიას. მე კი ამ უკანასკნელს ვეკუთვნი. ჯარში ბრწყინვალე მომავალი მელის. თუმცა მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი ქონება გამაჩნია. ამას გარდა, ჩვენს მხარეში დღესაც ახსოვთ და პატივს სცემენ მამაჩემის ხსოვნას, მას იგონებენ, როგორც ერთ-ერთ უკეთილშობილეს ნეოციანტს. მე ვამბობ, ჩვენს მხარეში-მეთქი იმიტომ, რომ თქვენც თითქმის მარსელიდან ხართ, ვალენტინა.

— ნუ მელაპარაკებით მარსელზე, მაქსიმელიან, მართო ეგ ერთი სიტყვა მაგონებს ჩემს კეთილ დედას, ყველას მიერ დატოვებულ ანგელოსს, რომელიც ცოტა ხანი იცავდა თავის შვილს აქ, მიწაზე — და დარწმუნებული ვარ კვლავ იცავს მას მუდმივი სასუფეველიდან, ზეციდან. ეჰ, მაქსიმელიან, საწყალი დედაჩემი რომ ცოცხალი იყოს, რაღა შემაშინებდა. ვეტყვოდი, რომ მიყვარხართ და ის ჩვენ ორივეს დაგვლოცავდა.

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, — უთხრა მაქსიმელიანმა, — მაშინ მე ვეღარ გაგიცნობდით, ვალენტინა, თქვენ თვითონ თქვით, ბედნიერი ვიქნებოდით. ბედნიერი ვალენტინა კი მე მოწყალების თვალთ არ გადმომხედავდა.

— მეგობარო, ამაში ცდებით... — შესძახა ვალენტინამ... — მაგრამ ერთი მითხარით...

— რა გითხრათ? — ჰკითხა მაქსიმელიანმა, რაკი ქალს ყოყმანი შეატყო.

— მითხარით, — განაგრძო ქალიშვილმა, — მამათქვენს და მამაჩემს მარსელში ოდესმე რაიმე უსიამოვნება ხომ არ ჰქონიათ?

— რამდენადაც ვიცი, არა, — უპასუხა მაქსიმელიანმა, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მამათქვენი ბურბონების მხურვალე დამცველი იყო, მამაჩემი კი იმპერატორის ერთგული. ვფიქრობ, ეს იყო მათი ერთადერთი უთანხმოება. რატომ მეკითხებით?

— ახლავე გეტყვით. — უთხრა ქალიშვილმა, — ყველაფერი უნდა იცოდეთ. ეს მაშინ მოხდა, როდესაც გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ თქვენ საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება მოგენიჭათ, ყველანი ბაბუა ნუარტიესთან ვიყავით, იქ იყო დანგლარიც. იცით, ის ბანკირი, რომლის ცხენებმა სამი დღის წინ კინალამ სიცოცხლეს გამოასალმეს ჩემი ძმა და დედინაცვალი. მე ბაბუას ხმამაღლა ვუკითხავდი გაზეთს, დანარჩენები კი მადმუაზელ დანგლარის გათხოვებაზე მსჯელობდნენ. როდესაც იმ ადგილას მივედი, სადაც თქვენს შესახებ ეწერა, — მე ეს უკვე ვიცოდი, რადგან ადრე მაცნობეთ ეს სასიამოვნო ამბავი, — ერთი სიტყვით, როცა იმ ადგილას მივედი, თავი ძალზე ბედნიერად ვიგრძენი... მაგრამ ვლელავდი, რადგან თქვენი გვარი ხმამაღლა უნდა წამეკითხა. რასაკვირველია, გამოვტოვებდი, მაგრამ შევშინდი, ცუდად არ ჩამომართვან-მეთქი, ძალღონე მოვიკრიბე და წავიკითხე.

— ძვირფასო ვალენტინა.

— როგორც კი თქვენი გვარი წავიკითხე, მამაჩემი შემობრუნდა; მე ისე ვიყავი დარწმუნებული, თქვენი გვარი ყველას მეხვიით დაეცემოდა (ხედავთ რა სულელი ვარ), მომეჩვენა, თითქოს მამაჩემი შეკრთა, ისევე როგორც ბატონი დანგლარი (ეს კი, დარწმუნებული ვარ, ჩემი წარმოდგენა იყო).

«— მორელი? — მოითმინეთ, — თქვა მამაჩემმა წარბების შეკვრით: — იგი იმ მარსელელი მორელებიდან ხომ არ მოდის, გაშმაგებული ბონაპარტისტები რომ იყვნენ და 1815 წელს საქმე გაგვიჭირეს?»

«— დიახ, — უპასუხა დანგლარმა, — ვგონებ გემთმეპატრონის ვაჟიშვილია.

— ჰო! — წამოიძახა მაქსიმილიანმა, — მერე მამათქვენმა რა უთხრა?

— საშინელება, გამეორებასაც კი ვერ გიბედავთ.

— მაინც მითხარით, — შეეხვეწა მაქსიმილიანი ღიმილით.

«— მათმა იმპერატორმა, — განაგრძო მამაჩემმა წარბების შექმუხვით, — იცოდა ამ ფანატიკოსებისათვის ადგილის მიჩენა. ის მათ საზარბაზნე ხორცს ეძახდა. სწორედ ამ სახელის ღირსნი იყვნენ. მიხარია, რომ ახალი მთავრობა იცავს ამ მხსნელ პრინციპს. მივესალმებოდი მთავრობას, თუ ის ამ მიზნით აღჟირს შეინარჩუნებდა, თუმცა აღჟირი ჩვენ ძვირი გვიჯდება.

— ეს მართლაც საკმაოდ უხეში პოლიტიკაა, — უთხრა მაქსიმილიანმა, — მაგრამ ნუ გაწუხებთ ბატონ დე ვილფორის სიტყვები. მამაჩემი ამ მხრივ მამათქვენს არ ჩამორჩებოდა, ის მუდამ იმეორებდა: «ვერაფრით გამიგია, რად არ შეკრებს ამდენი ჭკვიანური საქმეების მოქმედი იმპერატორი მოსამართლეებისა და ადვოკატებისაგან პოლკს მოწინავე პოზიციაზე გასაგზავნადო?» როგორც ხედავთ, ჩემო კარგო, ისინი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან ხატოვან გამოთქმებში და გულჩვილობაში. ვალენტინა, ერთი მიახრით, რა პასუხი გასცა დანგლარმა ვილფორის ასეთ გამოსვლას?

— გაიცინა მისთვის ჩვეული თვალთმაქცური სიცილით, რომელიც მე ასეთი მკაცრი მეჩვენება. ერთი წუთის შემდეგ ორივენი ადგნენ და გავიდნენ. მაშინ შევნიშნე, რომ ბაბუაჩემი ძალზე აღელვებული იყო. უნდა გითხრათ, მაქსიმილიან, რომ ამ დამბლადაცემული ადამიანის მღელვარებას მარტო მე ვამჩნევ. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ ამ სიტყვებმა მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. საწყალ ბაბუაჩემს ვილა უწევს ანგარიშს. კიცხავდნენ მის იმპერატორს, რომლის მიმართ მისი ერთგულება ფანატიკოსობამდე იყო მისული.

— მისი სახელი ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელთაგანი იყო იმპერიის ეპოქაში, — თქვა მაქსიმილიანმა. — ის სენატორი იყო და, როგორც იცით, ვალენტინა, ან იქნებ არ იცოდეთ, მონაწილეობას იღებდა ყველა შეთქმულებაში, რომლებიც რესტავრაციის დროს მოაწყო.

— დიახ, ბევრჯერ მსმენია როგორ ჩურჩულებდნენ ხოლმე ამაზე, უცნაურად მეჩვენება: ბაბუა-ბონაპარტისტი, მამა — როიალისტი. უცნაურია სწორედ... მერე მე ბაბუაჩემს მივუბრუნდი. მან თვალით გაზეთი მანიშნა.

«— რა მოგივიდათ, ბაბუა, კმაყოფილი ხართ? — ვკითხე მე.

«თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

«— იმით, რაც თქვა მამაჩემმა? — ვკითხე ისევ.

«უარის ნიშნად თავი გააქნია.

«— იმით, რაც თქვა დანგლარმა?

«ისევ უარი მივიღე.

«— იმით, რომ ბატონი მორელი, ვერ გავბედე მეთქვა მაქსიმილიანი-მეთქი — საპატიო ლეგიონის კავალერია?»

«მან თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

— დაიჯერებთ, მაქსიმილიან, თუმცა იგი ვერ გიცნობთ, მაინც კმაყოფილი იყო, რომ საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება მოგენიჭათ. შეიძლება ეს სიგიჟის ნიშანი იყო. ამბობენ, იგი ბავშვური ხასიათის ხდებოდა. მე კი მისმა «ჰომ» დიდად მასიამოვნა.

— რა უცნაურია, — თქვა ფიქრებში გართულმა მაქსიმილიანმა, — მამათქვენს ვმულვარ, ბაბუას კი პირიქით... რა უცნაური ამბავია ეს პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები.

— ჩუმად! — შესძახა ვალენტინამ. — დაიმაღეთ, თავს უშველეთ, მოდიან.

მაქსიმილიანმა ბარს ხელი სტაცა და იონჯას უმოწყალოდ დაუწყო ბარვა.

— მადმუაზელ, მადმუაზელ! — ისმოდა ხეებს იქიდან ვიღაცის ხმა, — ქალბატონი დე ვილფორი ყველგან გეძებთ, სალონში სტუმარი იცდის.

— სტუმარი? — თქვა აღელვებულმა ვალენტინამ, — ვინ უნდა იყოს?

— დიდებული სენიორი, თავადიაო, ამბობენ, გრაფი მონტე-კრისტო.

— მოვდივარ, მოვდივარ! — ხმამაღლა მიაძახა ვალენტინამ.

ბაღის კარის მეორე მხარეს მდგომარე ყმაწვილი კაცი, რომლისთვისაც ეს სიტყვები «მოვდივარ, მოვდივარ» ყოველი შეხვედრის შემდეგ გამომშვიდობების ნიშანი იყო, გრაფ მონტე-კრისტოს სახელის გაგონებაზე შეკრთა.

— ნეტავი მონტე-კრისტო საიდან იცნობს ვილფორს? — ჩაილაპარაკა მაქსიმილიანმა და ჩაფიქრებული ბარს დაეყრდნო.

თავი XIV

ტოქსიკოლოგია

ეს მართლაც გრაფი მონტე-კრისტო იყო. ქალბატონ დე ვილფორთან იმ განზრახვით მოვიდა, რომ მეფის პროკურორისათვის ვიზიტი გადაეხადა. გასაგებია, რომ მონტე-კრისტოს სახელის გაგონებაზე მთელი სახლი მღელვარებამ მოიცვა.

როდესაც ქალბატონ დე ვილფორს გრაფის მოსვლა აცნობეს, იგი მარტო იყო სასტუმრო ოთახში; მყისვე მსახური გაგზავნა ვაჟიშვილის დასამახებლად, რათა ბავშვს ხელახლა გადაეხადა მადლობა. ედუარდმა, რომელსაც ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ესმოდა ლაპარაკი ამ დიდებულ პიროვნებაზე, სწრაფად მოირბინა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დედას გაუგონა, ან მადლობის გადახდას აპირებდა, არამედ იმისათვის, რომ რაიმე ეხუმრა, რაზედაც დედამისი მუდამ ამბობდა: «რა აუტანელი ბავშვია, მაგრამ რა ვქნა, ვერ დავსჯი, უნდა ვაპატიო, ისეთი გონებამახვილია».

ჩვეულებრივად მიღებული თავაზიანი მისალმების შემდეგ გრაფმა ბატონი დე ვილფორი იკითხა.

— ჩემი ქმარი იუსტიციის მინისტრთან სადილობს, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, — ახლახან წავიდა, დარწმუნებული ვარ სანანებლად დარჩება, რომ თქვენი ხილვის ბედნიერება არ მიეცა.

გრაფს სასტუმრო ოთახში ორი სტუმარი დახვდა; ისინიც მას თვალს არ ამორებდნენ; ცოტა ხნის შემდეგ წამოდგნენ, რათა წასულიყვნენ, მაგრამ ცოტათი შეჩერდნენ, უფრო ცნობისმოყვარეობის, ვიდრე თავაზიანობის გამო.

— ჰო, მართლა, რას აკეთებს თქვენი და ვალენტინა? — ჰკითხა ედუარდს ქალბატონმა დე ვილფორმა; — გააფრთხილეთ, რომ გრაფს უნდა წარვუდგინო.

— თქვენ ქალიშვილი გყავთ, ქალბატონო? — ჰკითხა გრაფმა, — ალბათ, ჯერ სულ ბავშვია?

— ის ბატონ დე ვილფრის ქალიშვილია პირველი ქორწინებიდან, მოზრდილი და ლამაზი გოგონაა.

— მაგრამ მელანქოლიური, — შეაწყვეტინა ედუარდმა, რომელსაც უნდოდა ქუდზე ჯილა დაემაგრებინა, ამიტომ საუცხოო თუთიყუშს კუდიდან ფრთები გამოაძრო. ამ უკანასკნელმა კი ტკივილისაგან ოქროს ქანდარაზე სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო.

— გაჩუმდი, ედუარდ, — უთხრა მას ქალბატონმა დე ვილფორმა, და მხოლოდ ამისი თქმა აკმარა.

შემდეგ კი ისევ გრაფს მიუბრუნდა.

— ეს ცელქი ბიჭი თითქმის მართალია. იგი იმეორებს იმას, რაც მისი თანდასწრებით ხშირად აღმინიშნავს გულისტკივილით: მადმუაზელ დე ვილფორი, ჩვენი ცდის მიუხედავად როგორმე გავართოთ, სევდიანია და ერთთავად ნაღვლიანი, რაც ნაწილობრივ მომხიბვლელობას უკარგავს მის სილამაზეს. მაგრამ ის არ ჩანს, ედუარდ, წადი, გაიგე მიზეზი.

— იმიტომ რომ ეძებენ იქ, სადაც იგი არ არის.

— სად ეძებენ?

— ბაბუა ნუარტიესთან.

— შენი ფიქრით იქ არ არის?

— არა, არა, არა, — უპასუხა ბავშვმა სიმღერით.

მაშ სად არის? თუ იცი, თქვი.

— დიდი წაბლის ხეებთან, — განაგრძო ბოროტმა ბავშვმა; იგი დედის ყვირილის მიუხედავად ცოცხალ ბუჩებს აყლაპებდა თუთიყუშს, რომელსაც, ეტყობოდა, ძალიან სიამოვნებდა ასეთი ნანადირევი.

ის იყო ქალბატონმა დე ვილფორმა ზარის დასარეკად ხელი გაიწოდა, რათა მოახლისთვის ვალენტინას ადგილსამყოფელი ეთქვა, რომ უცებ ოთახში თვითონ ვალენტინა გამოჩნდა. ის მართლაც მოწყენილი ჩანდა და, თუ ძალიან დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

ვალენტინა, რომელიც თხრობის სიჩქარის გამო ჩვენს მკითხველებს გარეგნული აღწერის გარეშე წარვუდგინეთ, ცხრამეტი წლის, მაღალი, ტანადი ქალიშვილი იყო. ღია წაბლისფერი თმა და მუქი ლურჯი თვალები ჰქონდა, მოთენთილივით დადიოდა, მაგრამ ისევე მოხდენილად, როგორც დედამისი; თლილი თეთრი ხელები ჰქონდა, სადაფის ყელი, ლოყებზე ნაზი სიწითლე გადაჰკვროდა. პირველი შეხედვით მოგაგონებდათ იმ ლამაზ ინგლისელ ქალებს, რომლებსაც პოეტურად წყლის სარკეში მაცქერალ ყელმოღერებულ გედებს ადარებენ.

როგორც ვთქვით, ვალენტინა ოთახში შემოვიდა და რაკი დედინაცვლის გვერდით ის უცხოელი დაინახა, რომელზედაც იმდენი რამ გაეგონა, ყოველგვარი ქალიშვილური პრანჭვის გარეშე მიესალმა, მაგრამ თვალი ისეთი მოხდენილობით გაუსწორა, რომ გრაფი უფრო მეტი ყურადღებით დააცქერდა და წამოდგა.

— მადმუაზელ დე ვილფორი, ჩემი გერი, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, დივანის ბალიშს მიეყრდნო და გრაფს ხელით ვალენტინა ანიშნა.

— ბატონი მონტე-კრისტო, ჩინეთის მეფე, კოხიხინის იმპერატორი, — თქვა ცელქმა ბიჭუნამ და დას ეშმაკურად გადახედა.

ამჯერად ქალბატონი დე ვილფორი გაფითრდა. მზად იყო რისხვად დატყდომოდა ედუარდად წოდებულ ოჯახის უბედურებას. მაგრამ გრაფს, პირიქით გაეღიმა, თითქოს ალერსიანი თვალებითაც კი შეხედა ბიჭუნას, რამაც დედის გული უსაზღვრო სიხარულით აავსო.

— ქალბატონო, განაახლა საუბარი გრაფმა, რომელიც ხან ქალბატონ დე ვილფორს შეხედავდა, ხან ვალენტინას, — ვგონებ, უკვე მქონდა პატივი თქვენი და მადმუაზელ დე ვილფორის ხილვისა; ამ რამდენიმე წუთის წინ ამ ფიქრმა თავში გამირბინა; ხოლო როდესაც მადმუაზელი შემოვიდა, მისმა გამოხედვამ სინათლის სხივით გაანათა ჩუმი ბუნდოვანი მოგონება, მაპატიეთ ეს გამოთქმა.

— საეჭვოა ასე იყოს. ვალენტინა დე ვილფორს არ უყვარს საზოგადოება და ჩვენც იშვიათად ვსერირობთ ხოლმე, — უთხრა ახალგაზრდა ქალმა.

— არც მადმუაზელ დე ვილფორი, არც თქვენ და არც ეს მშვენიერი ჭინკა, საზოგადოებაში არ მინახიხართ. ესეც არ იყოს, პარიზის საზოგადოება ჩემთვის სავსებით უცნობია. უკვე მქონდა პატივი მეთქვა, რომ პარიზში რამდენიმე დღის ჩამოსული ვარ. არა, თუ უფლებას მომცემთ მოვიგონებ... მოითმინეთ...

გრაფმა შუბლზე ხელი მიიდო, თითქოს მოგონებებს თავი უნდა მოუყაროსო.

— არა, ეს იყო სუფთა ჰაერზე... ეს იყო... არ ვიცი... მაგრამ რატომღაც ამასთან დაკავშირებით მაგონდება ნათელი მზიანი დღე და რაღაც რელიგიური დღესასწაულის მსგავსი... მადმუაზელ დე ვილფორს ხელში ყვავილები ეჭირა, ბავშვი ბაღში ლამაზ ფარშავანგს დასდევდა. თქვენ კი ყურძნების ტალავარში იჯექით... მომეშველთ, ქალბატონო, ნუთუ რაც გითხარით, არაფერს გაგონებთ?

— მართალი გითხრათ, არაფერს, — უპასუხა ქალბატონმა დე ვილფორმა, — მაგრამ ამავე დროს დარწმუნებული ვარ, სადმე რომ მენახეთ, თქვენი სახე ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლებოდა.

— ბატონმა გრაფმა შეიძლება იტალიაში გვნახა? — თქვა მორცხვად ვალენტინამ.

— მართლაც იტალიაში... ეს შესაძლებელია, — თქვა გრაფმა, — თქვენ გიმოგზაურიათ იტალიაში, მადმუაზელ?

— მე და ქალბატონი დე ვილფორი ორი წლის წინ ვიყავით იქ. ექიმებს ჩემი ფილტვების მდგომარეობა აშინებდათ და გვირჩიეს ნეაპოლში გვეცხოვრა. ჩვენ გზად შევჩერდით ბოლონიაში, პერუჯში და რომში.

— სწორედ ასეა, მადმუაზელ, — შესძახა გრაფმა, რომლისთვისაც თითქოს ეს უბრალო მითითება საკმარისი გამოდგა, რათა მოგონებებში გარკვეულიყო. — ეს იყო პერუჯში ქრისტეს სხეულის დღესასწაულის დროს, საფოსტო სასტუმროს ბაღში, სადაც შემთხვევამ ჩვენ ყველანი, თქვენ ქალბატონო, მადმუაზელ დე ვილფორი და თქვენი ვაჟიშვილი ერთად შეგვყარა, და სადაც თქვენი ხილვის პატივი მქონდა.

— ბატონო გრაფო, მე კარგად მახსოვს პერუჯი, საფოსტო სასტუმროს ბაღი და დღესასწაული, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, — ძალიან ვცდილობ, მრცხვენია, რომ ასეთი ცუდი მეხსიერება მაქვს, მაგრამ ვერასგზით ვერ მოვიგონე, რომ თქვენი ხილვის პატივი მქონოდეს.

— ეს უცნაურია, მაგრამ არც მე მახსოვს, — თქვა ვალენტინამ და თავისი მშვენიერი თვალები გრაფს მიაპყრო.

— მე კი კარგად მახსოვს, — თქვა ედუარდმა.

— ახლავე მოგეშველებით, ქალბატონო, — უთხრა მას გრაფმა, — პაპანება სიცხე იყო. თქვენ ელოდით ცხენებს, რომელთა მოყვანას დღესასწაულის გამო აგვიანებდნენ. მადმუაზელი ბაღის სიღრმეში მიიმალა, ედუარდი კი ფარშავანგის დევნაში გაუჩინარდა.

— მე ის დავიჭირე, დედა, გახსოვს და სამი ფრთაც გამოვადრე, — თქვა ედუარდმა.

— თქვენ, ქალბატონო, ყურძნის ტალავარში დარჩით. ნუთუ არ გაგონდებათ, ქვის სკამზე იჯექით და შვილების მოსვლამდე ვილაცასთან დიდხანს საუბრობდით?

— მართალია, — თქვა ქალბატონმა ვილფორმა და გაწითლდა, — მომაგონდა გრძელ შავ წამოსასხამში გახვეული მამაკაცი — ის ვგონებ ექიმი იყო.

— დიახ, ქალბატონო, ის კაცი მე გახლდით. იმ სასტუმროში ორი კვირა ვცხოვრობდი. ციებისაგან განვკურნე ჩემი კამერდინერი, ხოლო სიყვითლისაგან სასტუმროს პატრონი. ასე რომ, გამოჩენილ მკურნალად მიმიჩნის. ჩვენ, ქალბატონო, დიდხანს ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე — პერუჯინოსა, რაფაელსა, ადათებსა, კოსტიუმებსა, გამოჩენილ აკატოფანზე, რომლის საიდუმლოება თითო-ოროლა კაცმა კიდევ იცის პერუჯში.

— დიახ, მართალია, — თქვა ფიცხლად ქალბატონმა დე ვილფორმა და შეშფოთება დაეტყო, — დიახ, მაგონდება.

— მე დეტალურად არ მახსოვს თქვენი სიტყვები, ქალბატონო, — განაგრძო სრულიად დამშვიდებულმა გრაფმა, — მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ თქვენ იზიარებდით საერთო გაუგებრობას ჩემს შესახებ და რჩევას მთხოვდით მადმუაზელ დე ვილფორის ჯანმრთელობაზე.

— რაკი ავადმყოფები მოარჩინეთ, მაშ ნამდვილი მკურნალი იყავით, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— მოლიერი ან ბომარშე ამაზე ასე გიპასუხებდნენ: სწორედ იმიტომ მოარჩინა, რომ ექიმი არ იყო. მე კი არ მომირჩენია ავადმყოფები, ისინი თვითონ გამოჯანმრთელდნენ. მე იმის თქმა შემიძლია, რომ საფუძვლიანად შევისწავლე ქიმია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ მხოლოდ როგორც მოყვარულმა. ხომ გამიგეთ...

ამ დროს საათმა ექვსი დარეკა.

— აი, უკვე ექვსი საათია, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელსაც აღელვება ეტყობოდა, — ვალენტინა, იქნებ გაიგოთ სადილს ხომ არ ინებებს ბაბუა ნუარტიე?

ვალენტინა წამოდგა, გრაფს თავი დაუკრა და ოთახიდან ხმის ამოუღებლივ გავიდა.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ჩემი მიზეზით გაგზავნეთ მადმუაზელ დე ვილფორი? — ჰკითხა გრაფმა, როდესაც ვალენტინა გავიდა.

— არავითარ შემთხვევაში, — უპასუხა სწრაფად ახალგაზრდა ქალმა: — ამ დროს ჩვენ ბატონ ნუარტიესთან მიგვაქვს ბეჩავი კერძი, რომელიც ამაგრებს მის საცოდავ არსებობას. თქვენთვის ცნობილია რა სავალალო მდგომარეობაშია ჩემი მამამთილი?

— დიახ, ქალბატონო, ბატონმა დე ვილფორმა უკვე მითხრა: ვგონებ დამბლადაცემულია?

— დიახ, საუბედუროდ, საწყალ მოხუცს განძრევაც კი არ შეუძლია; ამ ადამიანურ მანქანაში მხოლოდ სული ბჟუტავს, სუსტი და მთრთოლვარე, როგორც ჩასაქრობად გამზადებული ლამპა. ბოდიშს ვიხდი, ბატონო გრაფო, რომ ოჯახის უბედურებაზე ბაასით გაწუხებთ; საუბარი სწორედ მაშინ შეგაწყვეტინეთ, როდესაც ბრძანეთ, რომ დახელოვნებული ქიმიკოსი ხართ.

— ეს არ მითქვამს, — უპასუხა ღიმილით გრაფმა, — პირიქით, ქიმია მხოლოდ იმიტომ შევისწავლე, რომ გადაწყვეტილი მქონდა უპირატესად აღმოსავლეთში მეცხოვრა და სურვილი მქონდა მეფე მითრიდატისათვის წამებადა.

— Mithridates, rex Ponticus¹, (¹ მითრიდატი, პონტოს მეფე (ლათ.)) — თქვა პატარა ცელქმა და თან მშვენიერ ალბომის ფურცლებიდან სილუეტები გამოსჭრა, — სწორედ ის, პონტოს მეფე, რომელიც ყოველ დილით საუზმეზე ნაღებთან ერთად ერთ ფინჯან საწამლავს სვამდა.

— ედუარდ, ბოროტო ბავშვო, — შეჰყვირა ქალბატონმა დე ვილფორმა და ვაჟიშვილს ხელიდან დამახინჯებული ალბომი გამოართვა, — აუტანელი ხარ, თავი მოგვაბეზრე. წადი აქედან, წადი შენს დასთან, ბაბუა ნუარტიეს ოთახში.

— ალბომი... — თქვა ბავშვმა.

— როგორ თუ ალბომი?

— დიახ, მინდა ალბომი.

— რატომ ამოსჭერი სურათები?

— იმიტომ, რომ ასე მომწონს.

— წადი, გამეცალე.

— სანამ ალბომს არ მივიღებ, ფეხსაც არ მოვიცვლი, — თქვა ბავშვმა, თავის ჩვეულების ერთგულმა, — არავისთვის არაფერი დაეთმო და სავარძელში ჩაჯდა.

— წაიღე და თავი დაგვანებე, — უთხრა მას ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელმაც ბავშვს ალბომი მისცა და კარამდე მიაცილა.

გრაფი თვალს არ აშორებდა ქალბატონ დე ვილფორს.

— ვნახოთ კარს მიხურავს თუ არა, — ჩაიჩურჩულა მან.

ქალბატონმა დე ვილფორმა კარი მონდომებით მიხურა. გრაფმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერაფერი შეამჩნია.

ახალგაზრდა ქალმა შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა და ისევ თავის სავარძელში ჩაჯდა.

— ნება მიბოძეთ გითხრათ, — თქვა გრაფმა ჩვენთვის ნაცნობი გულუბრყვილობით, — თქვენ მეტად მკაცრად ექცევით იმ მშვენიერ ოინბაზს.

— სხვაგვარად შეუძლებელია, — უპასუხა ქალბატონმა დე ვილფორმა ნამდვილად დედობრივი აპლომბით.

— როდესაც მეფე მითრიდატზე ვლაპარაკობდით, ედუარდმა კორნელი ნეპოტის ციტატა მოიყვანა და თქვენ სწორედ იმ ადგილზე შეაწყვეტინეთ, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი მასწავლებელი დროს უქმად არ კარგავს, ხოლო თქვენი ვაჟიშვილი თავისი ასაკისათვის ძალზე განვითარებულია, — თქვა გრაფმა.

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა ქებით ნასიამოვნებმა დედამ, — ის ძალზე ნიჭიერი ბავშვია და რაც უნდა, ყველაფერს იმახსოვრებს. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — მეტად თავნებაა... მაგრამ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რაც მან თქვა. ბატონო გრაფო, გჯერათ, რომ მითრიდატი სიფრთხილისათვის წინასწარ ზომებს ღებულობდა და ეს მას შველოდა?

— იმდენად მჯერა, რომ თვით ვიყენებდი ამ საშუალებას, რათა არ მოვეწამლეთ ნეაპოლს, პალერმოს და სმირნაში, ესე იგი სამ შემთხვევაში, როდესაც თუ ეს ღონისძიება არა, სიცოცხლეს უნდა გამოვსალმებოდი.

— და იმ საშუალებამ გიშველათ?

— უებარი გამოდგა.

— დიახ, მახსოვს, რაღაც ამის მსგავსი პერუჯში მომიყევით.

— მართლა? — თქვა გრაფმა შესანიშნავად გათამამებული გაკვირვებით. — სრულებით არ მახსოვს.

— მე გეკითხებოდით, საწამლავი ერთნაირად თუ მოქმედებს ჩრდილოეთელებზე და სამხრეთელებზე-მეთქი, თქვენ კი მიპასუხეთ, რომ იგი ჩრდილოეთელების ცივ და ლიმფატურ ტემპერამენტზე უფრო ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე სამხრეთელების ენერგიულ და ფიცხ ბუნებაზეო.

— მართალია, — თქვა მონტე-კრისტომ, — მქონდა შემთხვევა მენახა, როგორ ყლაპავდნენ რუსები ყოველგვარი ვნების გარეშე მცენარეულ ნივთიერებებს, რომლებიც იმ წუთშივე გააფრთხობინებდა სულს ნეაპოლიტანელს ან არაბს.

— მაშ, თქვენი ფიქრით, ამ მხრივ ჩვენში უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე აღმოსავლეთში და ადამიანი საწამლავის ყლაპვას უფრო ადვილად შეეგუება ნისლიან და წვიმიან ქვეყანაში, ვიდრე უფრო ცხელ კლიმატში?

— რასაკვირველია, მაგრამ ეს მას დაიცავს მხოლოდ იმ საწამლავისაგან, რომელსაც ორგანიზმი შეაჩვია.

— დიახ, მესმის; მაგალითად, როგორ მიაჩვევდით თქვენს ორგანიზმს ან უფრო სწორად, როგორ მიაჩვიეთ თქვენი ორგანიზმი.

— ეს ძალიან ადვილია; წარმოიდგინეთ, რომ წინასწარ იცით, რომელი საწამლავით გიპირებენ მოწამვლას... მაგალითისათვის დავუშვათ, ეს საწამლავი იყოს ბრუცინი...

— ბრუცინი, ვგონებ ყალბი ანგუსტურის ქერქიდან¹ (¹ *Brucea ferruginea* (ავტორი შენ.)) მიიღება, არა? — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— სწორედ ასეა, ქალბატონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ; — როგორც ვხედავ, ბევრს ვედარაფერს გასწავლით, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ, ასეთი ცოდნა ქალებში იშვიათია.

— უნდა გამოგიტყდეთ, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, — გატაცებული ვარ საიდუმლო მეცნიერებებით, რომლებიც წარმოდგენებს აღელვებენ, როგორც პოეზია, და ამოიხსნებიან ციფრებით, როგორც ალგებრული განტოლება. მაგრამ, გთხოვთ, განაგრძოთ, ის, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, ძალიან მაინტერესებს.

— მაშ ასე, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — დავუშვათ, ის საწამლავი ბრუცინია: პირველ დღეს თქვენ მას მიიღებთ ერთ მილიგრამს, მეორე დღეს — ორ მილიგრამს; ათი დღის შემდეგ, ამგვარად ცენტიგრამამდე ახვალთ. ოცი დღის შემდეგ დღეში თუ მილიგრამს მივუმატებთ, სამ ცენტიგრამამდე ახვალთ, ესე იგი უვნებლად მიიღებთ ისეთ დოზას, რაც ძალიან საშიში იქნებოდა ყოველი ადამიანისათვის, ვისაც წინასწარ ასეთი ზომები არ მიუღია. ბოლოს, ერთი თვის შემდეგ, თუ თქვენთან ერთად ვინმე სურიდან ჭიქა წყალს დალევდა, ის სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა, თქვენ კი უქეიფოდ შეიქნებოდით და ამით იგრძნობდით, რომ წყალში საწამლავი ნივთიერება იყო გარეული.

— ამას გარდა სხვა საწამლავის საწინააღმდეგო საშუალება არაფერი იცით?

— არა, არ ვიცი.

— მე რამდენჯერმე წამიკითხავს და გადამიკითხავს მითრიდატის ისტორია, — თქვა ჩაფიქრებულმა ქალბატონმა დე ვილფორმა, მაგრამ ზღაპარი მეგონა.

— არა, ისტორიკოსების ჩვეულების წინააღმდეგ, ეს სიმართლეა. მაგრამ ვხედავ, ჩვენი საუბრის თემა თქვენთვის უბრალო ჟინის ამბავი არაა. ორი წლის წინათ მსგავს შეკითხვებს მაძლევდით და, როგორც თქვენ თვითონ ბრძანეთ, დიდი ხანია დაინტერესებული ხართ მითრიდატის ისტორიით.

— ეს მართალია, ბატონო გრაფო. ახალგაზრდობაში ყველაზე მეტად ორი მეცნიერება მიყვარდა — ბოტანიკა და მინერალოგია. ხოლო უფრო გვიან, როდესაც დავრწმუნდი, რომ სამკურნალო ბალახების გამოყენების შესწავლა ხშირად იძლევა აღმოსავლეთის ხალხის ისტორიის და ამ ხალხის მთელი ცხოვრების გასაღებს, ისევე როგორც ყვავილები ემსახურება მათი სიყვარულის გაგებას, ვნანობ, რომ ვაჟად არ დავიბადე, რათა ფლამელი, ფონტანა, ან კაბანისი გავმხდარიყავი.

— მით უმეტეს, ქალბატონო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — რომ აღმოსავლეთში საწამლავს მარტო ჯავშნად კი არ იყენებენ მითრიდატივით, არამედ მისგან ხანჯალსაც აკეთებენ. მეცნიერება მათ ხელში მარტო თავდაცვის იარაღი კი არ არის, არამედ თავდასხმისაც. ერთით ისინი თავს იცავენ ფიზიკური ტანჯვისაგან, მეორეთი თავის მტრებს ებრძვიან. ოპიუმი, ბელადონა, ყალბი ანგუსტური, გველხოკერას კანი, წყავის ხე შველის დააძინონ ისინი, ვისაც მათი გაღვიძება სურდა. ყველა ეგვიპტელი, თურქი ან ბერძენი ქალი, მათ შორის ისინიც, ვისაც თქვენ აქ კეთილ მოხუცებს უწოდებთ, ქიმიაში თავისი ცოდნით ანცვიფრებს ყოველ ექიმს, ხოლო ფსიქოლოგიის სფეროში თავისი ცნობებით აშფოთებს ყოველ სულიერ მამას.

— მართლა? — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელსაც მთელი ამ საუბრის დროს თვალები რაღაც უცნაურად უბრწყინავდა.

— რასაკვირველია, მართლა, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — დიახ, აღმოსავლეთის დრამების კვანძები იკვრება სიყვარულის სამსალაში, ხოლო იხსნება მომაკვდინებელ ბალახში; იქ ადამიანს ან ისეთ სასმელს აძლევენ, რომელიც ცას უხსნის და ან ისეთს, რომელიც ჯოჯოხეთში აგდებს. აქ იმდენი სხვადასხვა ნიუანსია, რამდენიც უცნაურობა და ჟინია ადამიანის ფიზიკურ და მორალურ ბუნებაში. უფრო მეტიც, ამ ქიმიკოსთა ხელოვნება შესანიშნავად ახამებს ავადმყოფებს და წამალს სიყვარულის და შურისძიების სურვილებთან.

— მაგრამ, ბატონო გრაფო, — უთხრა ახალგაზრდა ქალმა, — აღმოსავლეთის საზოგადოება, რომელშიც თქვენი ცხოვრების ნაწილი გაატარეთ, ალბათ, ისეთივე ფანტასტიკურია, როგორც მათი საუცხოო ზღაპრები; და იქ, ალბათ, შესაძლებელია მოკლა ადამიანი და პასუხი არ აგო. მაშ, იქ ნამდვილად არსებობს გალანის¹ (¹ ანტუან გალანი — ფრანგი ორიენტალისტი, რომელმაც თარგმნა «ათას ერთი ღამე» (1646—1715).) მიერ აღწერილი ბაგდადი ან ბაასორა? ის სულთანები და ვეზირები, რომლებიც მართავენ ამ საზოგადოებას და წარმოადგენენ იმას, რასაც საფრანგეთში მთავრობა ჰქვია, ნამდვილად ჰარუნ-ალ-რაშიდები და ჯაფარები არიან? ისინი არა მარტო დანაშაულს აპატიებენ მომწამვლელს, არამედ პირველი მინისტრის პოსტზე ნიშნავენ მათ. და თუ მისი დანაშაული ეშმაკურად და მარჯვედ იქნა ჩადენილი, ამ დანაშაულის ისტორიას ოქროს ასოებით აჭრევიანებენ, რათა მოწყენილობისას გაერთნენ?

— არა, ქალბატონო, ფანტასტიკური ამბების ეპოქა აღმოსავლეთშიც გაქრა. იქაც, მხოლოდ სხვაგვარი სახელწოდებით და სხვაგვარ კოსტიუმებში არსებობენ პოლიციის კომისრები, გამომძიებლები, მეფის პროკურორები და ექსპერტები. იქ შესანიშნავად იციან ჩამოხრჩობა, თავის მოჭრა და დამნაშავეთა სარზე წამოცმა; მაგრამ ამ დამნაშავეებს, მარჯვე ოინბაზებს, შეუძლიათ გაექცნენ ადამიანთა მართლმსაჯულებას და წარმატებით დააგვირგვინონ თავისი გეგმები. ჩვენში კი ვინმე უგნური, რომელსაც შურისა და სიხარბის დემონი დაეუფლა და სურს ბოლო მოუღოს მტერს ან სიცოცხლეს გამოასალმოს ღრმად მოხუცი ნათესავი, სხვისი გვართ მეთაფთიაქსთან მიდის, — ამით მისი პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე ნამდვილი გვართ, — და იმ მიზეზით, რომ თავგები ძილს მიფრთხობენო, ხუთ ან ექვს აფთიაქში შეივლის, ეს კი ხუთჯერ და ექვსჯერ უფრო აადვილებს მის პოვნას. რაკი საჭირო საშუალება იმოვნა, იგი თავის მტერს ან ღრმად მოხუცებულ ნათესავს დარიშხანს ისეთი დოზით აძლევს, რომ მამონტს ან მატოდონტს ადგილზევე დააწვენდა და ყოველგვარი თვალსაჩინო მიზეზის გარეშე მსხვერპლი ისეთ ღრიალს იწყებს, რომ მთელი უბანი ფეხზე დგება. ამ დროს გაჩნდება პოლიციელებისა და ჟანდარმების მთელი გროვა. მაშინვე აფრენენ კაცს ექიმის მოსაყვანად. ექიმი ჰკვეთავს

მიცვალეულს და კუჭ-ნაწლავებიდან კოვზით ამოაქვს დარიშხანი. მეორე დღეს ასამდე გაზეთში ქვეყნდება ახალი ამბავი მსხვერპლისა და მკვლელის აღნიშვნით. სალამოს მეთაფთიაქე ან მეთაფთიაქეები მოდიან და აცხადებენ: «მე მივყიდე დარიშხანი იმ ვაჟბატონს». მაშინ იმ ყეყე მკვლელს დააპატიმრებენ, ციხეში ჩასვამენ, დაჰკითხავენ, ვინმეს დაუპირისპირებენ, არცხვენენ, ასამართლებენ და გილიოტინაზე აჰყავთ. თუ ის საკმაოდ მაღალი წოდების ქალბატონი აღმოჩნდა, სამუდამო კატორღას უსჯიან. აი, როგორ ეკიდებიან ქიმიას თქვენი ჩრდილოელები. უნდა ითქვას დერუ¹ (1 ანტუან-ფრანსუა დერუ — მომწამვლელი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს პარიზში 1777 წელს.) უფრო ჭკვიანი იყო.

— რა გაეწყობა, გრაფ, — უთხრა სიცილით ქალბატონმა დე ვილფორმა, — ადამიანები იმას აკეთებენ, რაც შეუძლიათ. ყველამ ხომ არ იცის მედიჩებისა და ბორჯიების საიდუმლოება.

— ახლა, — თქვა გრაფმა მხრების აჩეჩით, — გინდათ გითხრათ, რატომ ხდება ამგვარი სისულელები? იმიტომ, რომ თქვენ თეატრებში, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო იმ პიესების წაკითხვით, რომლებიც იქ იდგმება, ადამიანები ერთი მოსმით სვამენ საწამლავს ფლაკონიდან ან ბეჭდის ბუდიდან და უსულოდ ეცემიან. ხუთი წუთის შემდეგ ფარდა იხურება და მაყურებლები იშლებიან. მკვლელობის შედეგი უცნობია: თქვენ ვერასოდეს დაინახავთ ვერც შარფშემორტყმული პოლიციის კომისარს, ვერც კაპრალს ოთხი ჯარისკაცის თანხლებით და ზოგიერთი მოკლე ჭკუის პატრონი ფიქრობს, რომ ცხოვრებაშიც ყველაფერი ასე ხდება. მაგრამ გასცილდით საფრანგეთის საზღვრებს, გაემგზავრეთ ალეპოში, ქაიროში, თუნდაც ნეაპოლში ან რომში, თქვენ იქ ქუჩაში შეხვდებით ტანად, ცოცხალ, ვარდისფერი სახის ადამიანებს, რომლებზედაც, კოჭლი ემმაკი შემთხვევით რომ შეგხვედროდათ, გეტყოდათ: «ეს ვაჟბატონი უკვე სამი თვეა, რაც მოწამლულია და ერთი თვის შემდეგ ამ ქვეყანას გამოეთხოვება».

— მაშ მიუგნიათ ცნობილი აკვა-ტოფანოს საიდუმლოებისათვის, რაზედაც პერუჯში მეუბნებოდით, დაკარგულიაო? — ჰკითხა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— ღმერთო ჩემო! ქალბატონო, ამქვეყნად განა იკარგება რაიმე. ხელოვნება მოგზაურობს დედამიწის გარშემო და საგნები სხვა სახელწოდებას ღებულობენ, ეს არის და ეს, მაგრამ მდაბიო ხალხი ვერ ერკვევა ამაში. შედეგი კი ყოველთვის ერთი და იგივეა. საწამლავები აზიანებენ ამა თუ იმ ორგანოებს — ერთი მოქმედებს კუჭზე, მეორე გონებაზე, მესამე ნაწლავებზე. ჰოდა ასე, საწამლავი იწვევს ხველებას, ხველება კი გადადის ფილტვების ანთებაში ან მეცნიერების წიგნში აღნიშნულ რომელიმე ავადმყოფობაში, რაც მას ხელს არ უშლის მომაკვდინებელი იყოს. და თავისთავად სახიფათოც რომ არ ყოფილიყო, ასეთი გახდებოდა წამლის წყალობით, რითაც თქვენი გულუბრყვილო ექიმები, უმეტესად ცუდი ქიმიკოსები, ავადმყოფობას ებრძვიან. ან, პირიქით, ეხმარებიან: ეს შემთხვევის ამბავია. და აი, ადამიანს კლავენ ხელოვნების ყოველგვარი წესის მიხედვით, კანონი კი უძლურია, ისე, როგორც ამბობდა ჩემი მეგობარი, კეთილი აბატი ადელმონტე ტაორმინიდან, სიცილიის საუკეთესო ქიმიკოსი, რომელმაც კარგად შეისწავლა ეს ნაციონალური მოვლენები.

— ეს საშინელებაა, მაგრამ მომხიბვლელი, — თქვა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ისე დამაბული უსმენდა, რომ არც კი შერხეულა. — უნდა გამოგიტყდეთ, ყოველივე ეს შუა საუკუნეების გამოგონებად მიმაჩნდა.

— დიახ, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენს ეპოქაში ის კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა. მაშ რას ემსახურება დრო, წახალისება, მედლები, ორდენები, მონტიონის პრემიები, რისთვის არის ყოველივე ეს თუ არა საზოგადოების სრულყოფისათვის?

ხოლო ადამიანი სრულყოფას მაშინ მიაღწევს, როდესაც ღმერთის მსგავსად შეძლებს თავის სურვილის მიხედვით რაიმე შექმნას და გაანადგუროს. განადგურება მან უკვე ისწავლა — ნახევარი გზა უკვე გავლილია.

— ამგვარად, — დაიწყო ისევ ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც დაჟინებით ისევ თავის მიზანს დაუბრუნდა, — ბორჯიას, მედიჩის, რენეს, რუჯურის და უფრო გვიან ბარონ ტრენკის საწამლავები, რომლებიც ასე ბორტად გამოიყენეს თანამედროვე დრამასა და რომანში...

— ხელოვნების ნაწარმოებები იყვნენ და სხვა არაფერი, — უპასუხა გრაფმა, — როგორ გგონიათ, ნამდვილი მეცნიერი უბრალოდ მიმართავს ინდივიდუმს? არავითარ შემთხვევაში. მეცნიერებს უყვართ რიკოშეტები, ჯამბაზობა, ფანტაზია, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ასე, მაგალითად, კეთილი აბატი ადელმონტე, რომელზედაც გელაპარაკებოდით, ამ მხრივ გასაოცარ ცდებს აკეთებდა.

— მართლა!

— დიახ, აი, მაგალითს მოგიყვანთ: მას ჰქონდა შესანიშნავი ბაღი საკსე ბოსტნეულით, ყვავილებით და ხილით. ამ ბოსტნეულთა შორის ის არჩევდა ყველაზე უბიწოს, ერთ თავ კომბოსტოს. სამი დღის განმავლობაში ამ კომბოსტოს ასხამდა დარიშხანის ხსნარს. მესამე დღეს კომბოსტო დაავადდებოდა, გაყვითლდებოდა, მისი მოჭრის დრო დგებოდა; ყველას თვალში ის დამწიფებული და ძველებურად უმწიკვლო ჩანდა. მხოლოდ აბატმა ადელმონტემ იცოდა მისი მოწამვლის ამბავი. შემდეგ ამ კომბოსტოს ჭრიდა და შინ მიჰქონდა. აიყვანდა ერთ ბაჭიას (აბატი ადელმონტეს ჰქონდა ბაჭიების, კატებისა და ზღვის გოჭების მთელი კოლექცია, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდა მისი ბოსტნეულის, ყვავილებისა და ხილის კოლექციას). მაშ ასე, აბატი ადელმონტე ბაჭიას საჭმელად აძლევდა კოსბოსტოს: ბაჭია კვდებოდა, რომელი გამომძიებელი დაინახავდა ამაში რაიმე დანაშაულს? რომელ მეფის პროკურორს მოუვიდოდა თავში აზრი, საქმე აღედრა მაჟენდის ან ფლურენსას¹ (¹ ფლურენსა და მაჟენდი — ფრანგი ფიზიოლოგები.) წინააღმდეგ მათ მიერ მოკლული ბაჭიების, კატების და ზღვის გოჭების გამო? არც ერთს, ამგვარად, ბაჭია კვდება და მართლმსაჯულებას არავითარი ეჭვი არ ებადება. აბატი ადელმონტე მზარეულ ქალს უბრძანებს მკვდარი ბაჭია გამოშიგნოს და კუჭ-ნაწლავი სანეხვეზე გადაყაროს. იქვე დადის ქათამი, რომელიც ამ ნაწლავებს წიწკნის, ისიც ავად ხდება და მეორე დღეს კვდება. სანამ ის სასიკვდილოდ ფართხალებს, გადაიქროლებს ქორი (ადელმონტეს ქვეყანაში ბევრი ქორი იცის), დაეცემა მკვდარ ქათამს, კლდეზე მიაქვს და ჭამს. სამი დღის შემდეგ საწყალ ქორს, რომელიც მას აქეთ, რაც ქათამი ჭამა, თავს ცუდად გრძნობდა — უცებ თავბრუ ეხვევა და პირდაპირ მძიმედ ეშვება თქვენს თევზის მოსაშენებელში. თქვენ კი, მოგეხსენებათ რა ხარბები არიან ქარიყლაპია, გველთევზა და მესენა, წარმოიდგინეთ, მეორე დღეს სადილად მოგიტანეს ის გველთევზა, ქარიყლაპია და მესენა, რომლებიც მოწამლულთა მეოთხე თაობაა. თქვენი სტუმარი მეხუთე იქნებოდა და რვა თუ ათი დღის შემდეგ სულს განუტევებდა ან ნაწლავების ავადმყოფობით, ან გულის შეტევით, ან კიდევ კუჭის დაჩირქებით. გაკვეთის შემდეგ ექიმები ამბობენ: «სიკვდილი გამოიწვია ღვიძლის სიმსივნემ ან ტიფმა».

— მაგრამ ეს შემთხვევების ჯაჭვი შეიძლება ძალიან ადვილად გაწყდეს. ხომ შეიძლება ქორი სწორედ საჭირო მომენტში არ გადაფრინდეს, ან თევზის მოსაშენებლიდან სამი ნაბიჯის დაშორებით ჩამოვარდეს, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— ჰოდა, ხელოვნებაც მაგაშია. რათა აღმოსავლეთში კარგი ქიმიკოსი გახდე, შემთხვევების მართვაც უნდა შეგეძლოს, იქ ამას აღწევენ.

ქალბატონი დე ვილფორი ჩაფიქრებული უსმენდა.

— მაგრამ დარიშხანის კვალი არ ქრება, როგორი სახითაც უნდა მოხვდეს იგი ადამიანის სხეულში; მას სულ ერთია აღმოაჩენენ, თუკი მისი დოზა ადამიანის მოსაკლავად საკმაოა.

— დიახ, დიახ, მეც სწორედ ეს ვუთხარი კეთილ ადელმონტეს. ის ჩაფიქრდა, გაიღიმა და მიპასუხა სიცილიური ანდაზით, რომელიც ვგონებ ფრანგულადაც არის: «შვილო ჩემო, ქვეყნიერება ერთ დღეში კი არა, შვიდ დღეში შეიქმნა; მოდით კვირას».

კვირას მე ხელახლა მივედი მასთან; იმის მაგივრად, რომ კომბოსტო დარიშხანით მოერწყა, ახლა სტრიხნინში დაყენებული მარილის ხსნარით რწყავდა, strychnos colubrina-თი როგორც ამას მეცნიერებაში უწოდებენ. ამჯერად კომბოსტო სრულებით არ ჩანდა დაავადებული. ბაჭიასაც ეჭვი არ შეჰპარვია, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ მოკვდა. ქათამმა იგი გაწიწკნა და მეორე დღეს ისიც მოკვდა. მაშინ ქორის მაგიერ ქათამი ჩვენ წამოვიღეთ და გავკვეთეთ. ამჯერად გამქრალიყო ყველა განსაკუთრებული სიმპტომი, დარჩენილიყო მხოლოდ საერთო. არც ერთ ორგანოში არ აღმოჩნდა რაიმე სპეციფიკური ნიშანი. მოხდა მხოლოდ ნერვული სისტემის გაღიზიანება და ტვინში სისხლის ჩაქცევა. ქათამი მოკლა აპოპლექსიამ და არა საწამლავემა. ქათამებს ეს იშვიათად ემართებათ, ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ ძალიან ხშირად მოსდით ადამიანებს.

ქალბატონი დე ვილფორი კიდევ უფრო ჩაფიქრდა.

— რა ბჭედნიერებაა, — თქვა მან, — რომ მსგავს პრეპარატებს მხოლოდ ქიმიკოსები ამზადებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობის ერთი ნაწილი მეორეს მოწამლავდა.

— ქიმიკოსები თუ ქიმიით დაინტერესებული ადამიანები, — უპასუხა დაუდევრად მონტე-კრისტომ.

— გარდა ამისა, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელმაც ფიქრების გასაფანტავად თავს ძალა დაატანა, — რაგინდ მოხერხებულად უნდა ჩაიდინონ ადამიანებმა დანაშაული, იგი მაინც დანაშაულად რჩება. და თუ დამნაშავე ადამიანი მართლმსაჯულებას გადაურჩა, ღვთის განგებას ვერსად გაექცევა. აღმოსავლეთის ხალხს სინდისი ისე არ აწუხებს, როგორც ჩვენ, და მათ კეთილგონიერად გააუქმეს ჯოჯოხეთი. ამაშია მთელი საქმე.

— ბუნებრივია, თქვენისთანა წმინდა სულის ადამიანში ასეთი კითხვები დაიბადოს, მაგრამ საღი მსჯელობა უკუაგდებს მათ. ადამიანის აზროვნების ბნელი მხარე მთლიანად გამოხატულია ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილ პარადოქსში — იცით თქვენ? — «მანდარინი, რომელსაც ხუთი ათასი მილის მანძილიდან თითის წვერის განძრევით ჰკლავენ». ადამიანის მთელი ცხოვრება სავსეა ასეთი მოქმედებებით და მის გონებაში მუდამ იზადება მსგავსი ოცნებები. თქვენ იშვიათად იპოვით ისეთ ადამიანს, რომელიც დამშვიდებით ურჭობს დანას თავის ახლობელს, ანდა სიცოცხლის გამოსასალმებლად აძლევს დარიშხანის ისეთ დოზას, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვქონდა. ეს მართლაც ექსცენტრიულობა ან სისულელე იქნებოდა. ამისათვის აუცილებელია კაცს სისხლი უდუღდეს, მაჯა გამშაგებით უცემდეს, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდეს. მაგრამ თუ სიტყვას შერბილებული სინონიმით შევცვლით, როგორც ეს ფილოლოგიაში ხდება, თქვენ საზიზღარი მკვლელობის ნაცვლად მას, ვინც ხელს გიშლით, უბრალოდ იცილებთ გზიდან, და ამას აკეთებთ ჩუმად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ისე რომ ამას თან არ ახლდეს ტანჯვა,

წამება, რაც მსხვერპლს წამებულად აქცევს, თქვენ კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სისხლისმსმელ მხეცად; თუ არ არის არც სისხლი, არც გმინვა, არც კრუნჩხვები და, რაც მთავარია, არ არის საშინელი და საეჭვო სწრაფი ბოლო, მაშინ თქვენ გაექცევით ადამიანთა მართლმსაჯულებას, რომელიც გეუბნებათ: «ნუ არღვევთ საზოგადოების მყუდროებას». აი როგორ მოქმედებენ და როგორ აღწევენ თავის მიზანს აღმოსავლეთში, სადაც სერიოზულ და ფლეგმატურ ადამიანებს დრო არ ენაწებათ, როცა საქმე ეხება რამდენადმე რთულ ვითარებას.

— სინდისი? — იკითხა აღელვებულმა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც შეეცადა ოხვრა ჩაეხშო.

— დიახ, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — დიახ, საბედნიეროდ არის სინდისი, ურომლისოდაც ძალზე უბედურები ვიქნებოდით. ყოველგვარი ენერგიული მოქმედების შემდეგ ჩვენი სინდისი გვიხსნის ხოლმე; და ის ამის ათას გასამართლებელ საბუთს გვაძლევს ჩვენ, თავიანთი თავის მოსამართლეებს. თუმცა ეს საბუთები მშვიდ ძილს გვინარჩუნებენ, ისინი ჩვენ სიცოცხლეს ტრიბუნალისაგან ვერ დაიცავდნენ. ედუარდ მეოთხის ორივე ვაჟიშვილის მოკვლის შემდეგ რიჩარდ III სინდისმა ალბათ შესანიშნავად დაამშვიდა. მართლაც მას შეეძლო თავის თავისთვის ეთქვა: «ამ ბავშვებმა, მკაცრი და მჩაგვრელი მეფის შვილებმა, მემკვიდრეობით მიიღეს მათი მამის ბიწიერებანი, რაც ჩემს გარდა ვერავინ ვერ შეამჩნია მათ ბავშვურ მიდრეკილებებში. ეს ბავშვები ხელს მიშლიდნენ ბედნიერი ცხოვრება შემექმნა ინგლისელი ხალხისათვის, რომელსაც ისინი აუცილებლად უბედურებას მოუტანდნენ». ასე ამშვიდებდა სინდისი ლედი მაკბეტსაც, რომელსაც, რაც უნდა თქვას შექსპირმა, სურდა ტახტზე თავისი ვაჟიშვილი დაესვა და არა ქმარი. დიახ, დედობრივი სიყვარული, ეს ისეთი სანთობაა, ისეთი ყოვლის შემძლე ძალაა, რომელიც ბევრ რამეს ამართლებს, მისი სინდისი რომ არ მიშველებოდა, დუნკანის სიკვდილის შემდეგ ლედი მაკბეტი ძალზე უბედური იქნებოდა.

ქალბატონი დე ვილფორი ხარბად იჭერდა ამ საშინელ დასკვნებს და საზარელ პარადოქსებს, რომლებსაც გრაფი მისთვის ჩვეული გულუბრყვილო ირონიით წარმოთქვამდა.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ ქალმა თქვა:

— გრაფო, თქვენ საშინელი დასკვნები გამოგყავთ და ქვეყნიერებას საკმაოდ მუქ ფერებში ხედავთ! კაცობრიობაზე ასე იმიტომ ხომ არ მსჯელობთ, რომ კოლბიდან და რეტორტიდან უცქერით? სინამდვილეში ხომ გამოჩენილი ქიმიკოსი ხართ და ის ელექსირი, რომელიც ჩემს ვაჟს მიეცით და რომელმაც იგი ასე ძალით მოაბრუნა...

— ქალბატონო, ძალიან ნუ ენდობით მას, — უთხრა მონტე-კრისტომ, — ერთი წვეთი ელექსირი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სიცოცხლე დაებრუნებინა მომაკვდავი ბავშვისათვის, მაგრამ სამი წვეთი ფილტვებში სისხლს ჩაუქცევდა და გულისცემას აუჩქარებდა. ექვსი წვეთი — სუნთქვას შეუკრავდა და მისი გულის წასვლა გაცილებით სერიოზული იქნებოდა, ხოლო ათი წვეთი კი იქვე მოკლავდა. ხომ გახსოვთ, როგორ სწრაფად მოვაშორე ფლაკონი, როდესაც ხელის ხლება დააპირა.

— მაშ ის ძლიერი საწამლავი ყოფილა!

— ღმერთო ჩემო, სრულებითაც არა. უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ, რომ საწამლავები თავისთავად არ არსებობენ. მედიცინა იყენებს ყველაზე ძლიერ საწამლავებს, მაგრამ თუ მათ ჯეროვნად გამოვიყენებთ, ისინი მარგებელ წამლად გადაიქცევიან.

— მაშ რა იყო?

— ეს პრეპარატი გამოიგონა ჩემმა მეგობარმა კეთილმა აბატმა ადელმონტემ და მანვე მასწავლა მისი გამოყენება.

— როგორც ჩანს, ეს საუკეთესო საშუალება უნდა იყოს კრუნჩხვის წინააღმდეგ, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— შესანიშნავი, თქვენ შეგეძლოთ ამაში დარწმუნებულიყავით, მე მას ხშირად ვიყენებ, რასაკვირველია, ყოველგვარი სიფრთხილით, — დასძინა მონტე-კრისტომ სიცილით.

— რასაკვირველია, — ისეთივე ტონით გამოეპასუხა ქალბატონი დე ვილფორი. — აი ჩემისთანა ნერვიული და გულის წასვლის მიდრეკილების მქონე ადამიანისათვის ძალიან საჭიროა ადელმონტეს მსგავსი ექიმი, რომელიც რამეს მოიფიქრებდა, რათა თავისუფლად მესუნთქა და იმის შიში არ მქონოდა, რომ სულის ხუთვა მომკლავდა. რაკი საფრანგეთში ასეთი ექიმის პოვნა ადვილი საქმე არ არის, ხოლო საეჭვოა თქვენი აბატი ჩემი შულისათვის პარიზში ჩამოვიდეს, ჯერჯერობით ისევ ბატონ პლანშის წამლებს უნდა დავჯერდე. ჩვეულებრივად პიტნისა და ჰოფმანის წვეთებს ვღებულობ. აი აბები, რომლებსაც სპეციალური შეკვეთით მიმზადებენ. ესენი ორმაგ დოზას შეიცავენ.

მონტე-კრისტომ გახსნა ახალგაზრდა ქალის მიერ მიწოდებული კუს ნიჟარის კოლოფი და ისე დაყნოსა, როგორც ამ საქმეში ჩახედულ ადამიანს შეეფერებოდა.

— შესანიშნავი ამბებია, — უთხრა მან, — მაგრამ აუცილებელია მათი გადაყლაპვა, ეს კი გულის წასვლის შემთხვევაში ყოველთვის შესაძლებელი როდია. მე ჩემს საშუალებას ვარჩევდი.

— რასაკვირველია, მეც მას მივანიჭებდი უპირატესობას, მით უმეტეს, ვნახე მისი მოქმედება, მაგრამ ეს, ალბათ, საიდუმლოებაა და მე ისეთი მოურიდებელი არ გახლავართ, რომ გამოკითხვა დაგიწყოთ.

— მე კი იმდენად თავზიანი გახლავართ, რომ ამ საიდუმლოებას გეტყვით, — თქვა მონტე-კრისტომ და წამოდგა.

— ბატონო გრაფო!

— მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეთ, მცირე დოზით ის წამალია, დიდით — საწამლავი. ერთი წვეთი სიცოცხლეს უბრუნებს ადამიანს, რაშიც თქვენ თვითონ დარწმუნდით; ხუთი ან ექვსი უსათუოდ სიკვდილს გამოიწვევს, მით უფრო უეცარს, რომ ჭიქა ღვინოში გახსნილი, სასმელს სრულიად არ უცვლის გემოს. კმარა, მეტს აღარაფერს ვამბობ, ქალბატონო, თორემ ვინმე იფიქრებს თითქოს რჩევას გაძლევდით.

საათმა შვიდის ნახევარი დარეკა. ქალბატონ დე ვილფორს მოახსენეს მისი მეგობრის მოსვლა, რომელსაც მასთან უნდა ესაუბრა.

— მე რომ პატივი მქონდეს, მესამედ ან მეოთხედ გხედავდეთ და არა მეორედ, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — პატივი მქონდეს თქვენი მეგობარი ვიყო და არა მხოლოდ თქვენგან დავალებული, დავიჟინებდი სადილად დარჩენილიყავით და თქვენს უარს არ მივიღებდი.

— დიდი მადლობელი ვარ, ქალბატონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — არასგზით არ შემიძლია. ერთ ბერძენ თავადის ქალს, რომელსაც ჯერ ოპერა არ უნახავს, პირობა მივეცი თეატრში გავაცილო, მას ჩემი იმედი აქვს.

— რაკი ასეა, ნახვამდის, მაგრამ ჩემი წამალი არ დაგავიწყდეთ.

— არავითარ შემთხვევაში, ამისათვის უნდა დამავიწყდეს ის დრო, რომელიც თქვენთან საუბარში გავატარე, ეს კი ყოვლად შეუძლებელია.

მონტე-კრისტომ თავი დაუკრა და გავიდა.

ქალბატონი დე ვილფორი ჩაფიქრდა.

— აი უცნაური ადამიანი, — ჩაილაპარაკა მან, — რატომღაც მგონია, რომ მას ადელმონტე ჰქვია.

რაც შეეხება მონტე-კრისტოს, საუბრის შედეგმა მის მოლოდინს გადააჭარბა

— აი, ნოყიერი ნიადაგი, დარწმუნებული ვარ, მასში გადაგდებული თესლი უქმად არ დაიკარგება, — გაიფიქრა მან.

მეორე დღეს თავის სიტყვის პატრონმა მონტე-კრისტომ ქალბატონ დე ვილფორს შეპირებული რეცეპტი გაუგზავნა.

თავი XV

რობერტი-სატანა

ოპერის მომიზეზება მით უფრო დამაჯერებელი იყო, რომ ამ საღამოს მეფის მუსიკალურ აკადემიაში ეწყობოდა დიდი ზეიმი. ლევასერი, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, პირველად გამოდიოდა ბერტრამის როლში და მოდაში მიღებული კომპოზიტორის ნაწარმოები, როგორც ყოველთვის, პარიზის ყველაზე ბრწყინვალე საზოგადოებას იზიდავდა.

ალბერს, ისევე როგორც მრავალ მდიდარ ახალგაზრდას, ორკესტრში თავისი სავარძელი ჰქონდა. გარდა ამისა მისთვის ყოველთვის მოიძებნებოდა ადგილი ახლო ნაცნობების ათამდე ლოჟაში, თუ არ ჩავთვლით კიდევ თანამედროვე ბრწყინვალე ახალგაზრდების ლოჟებს, რომლებითაც ის სრული უფლებით სარგებლობდა.

მეზობელი სავარძელი შატო-რენოს ეკუთვნოდა.

ბოშანი, როგორც ეს ჟურნალისტს შეეფერება, მთელი დარბაზის მეფე იყო და სადაც უნდოდა იქ დაჯდებოდა.

იმ საღამოს ლუსიენ დებრეს განკარგულებაში იყო მინისტრთა ლოჟა, რომელიც მან გრაფ დე მორსერს შესთავაზა, ამ უკანასკნელმა კი, რაკი მერსედესმა უარი უთხრა, დანგლარს გადასცა და შეუთვალა დაგვიანებით შემოვივლი, თუკი ბარონესა და მისი ქალიშვილი ლოჟის მიღებას ისურვებენო. ქალებს, რასაკვირველია, უარი არ უთქვამთ. არავინ ისე არ ეტანება უფასო ლოჟებს, როგორც მილიონერი.

რაც შეეხება დანგლარს, მან განაცხადა, რომ პოლიტიკური პრინციპები და ოპოზიციის დეპუტატის მდგომარეობა უფლებას არ აძლევდა მინისტრის ლოჟაში დამჯდარიყო. ამიტომ ბარონესამ ლუსიენს ბარათი გაუგზავნა, რომელშიც თხოვდა მის წასაყვანად გამოევიღო, რა ექნა, ოპერაში მარტო ექენისთან ერთად ხომ არ წავიდოდა.

მართლაც, ლოჟაში მარტო ქალები რომ მსხდარიყვნენ, ამას საძრახისად მიიჩნევდნენ. მაგრამ თუ მადმუაზელ დანგლარი ოპერაში დედასთან და დედის საყვარელთან ერთად წავიდოდა, მაშინ არავის აღარაფერი ექნებოდა სათქმელი. რა გაეწყობოდა, უნდა შევურიგდეთ საზოგადოების ჩვეულებებს.

ფარდა, როგორც ყოველთვის, თითქმის ცარიელ დარბაზში გაიხსნა. ოპერაში სპექტაკლის დაწყების შემდეგ მოსვლა — ესეც მაღალი წრის ჩვეულებაა. ასე რომ დროზე მოსულ ხალხს პირველი მოქმედების დროს საშუალება არა აქვთ უყურონ და უსმინონ პიესას. ისინი მხოლოდ გვიან მოსულ მაყურებლებს ათვალთვლებენ და კარის ჭრიალსა და საუბარს ისმენენ.

— შეხედეთ, — დაიძახა უცებ ალბერმა, როდესაც შენიშნა, რომ ქვედა გვერდითი ლოჟის კარი გაიღო, — შეხედეთ, გრაფინია გ...

— ვინ არის გრაფინია გ — ჰკითხა შატო-რენომ.

— ბარონო, არ გეპატიებათ ასეთი კითხვის მოცემა; თქვენ არ იცით ვინ არის გრაფინია...

— ჰო, მართლა, ის მომხიზვლელი ვენეციელი ქალი ხომ არ არის? — ჰკითხა შატო-რენომ.

— დიახ, სწორედ ის გახლავთ.

ამ დროს გრაფინია გ...მ ალბერი შენიშნა და მის სალამს ღიმილით და თავის დაქნევით უპასუხა.

— თქვენ მას იცნობთ? — ჰკითხა შატო-რენომ.

— დიახ, ფრანცმა გამაცნო რომში, — უთხრა ალბერმა.

— ხომ არ გამიწევთ პარიზში იგივე სამსახურს, რაც ფრანცმა რომში გაგიწიათ?

— სიამოვნებით.

— სიჩუმე! — დაუყვირეს პარტერიდან.

ყმაწვილმა კაცებმა საუბარი განაგრძეს, ეტყობოდათ, სულ არ აწუხებდათ მოისმენდა თუ არა პარტერი მუსიკას.

— იგი მარსის მინდორზე გამართულ დოღზე იყო, — თქვა შატო-რენომ.

— დღეს?

— დიახ.

— ჰო, მართლა, დღეს ხომ დოღი იყო. თქვენ ითამაშეთ?

— ძალიან მცირე თანხით, ორმოცდაათი ლუიდორი დავდე.

— ვინ მოიგო?

— «ნაუტილუსმა». მე ფული მასზე დავდე.

— კი მაგრამ, ხომ სამი შემოვლა იყო?

— დიახ, ჟოკეი კლუბის ჯილდოები იყო. ოქროს თასი. ძალიან უცნაური შემთხვევაც კი მოხდა.

— რა?

— გაჩუმდებით თუ არა, — დაუყვირეს ისევ პარტერიდან.

— რა მოხდა? — გაუმეორა კითხვა ალბერმა.

— ეს დოღი მოიგო სავსებით უცნობმა ცხენმა და მხედარმა.

— ეგ როგორ? — არავინ მიაქცია ყურადღება ცხენს, რომელიც ვამპას სახელით იყო ჩაწერილი და მხედარს, რომელიც იობის სახელით იყო აღნიშნული. უცებ გამოჩნდა საუცხოო წაბლისფერი რაში და მუშტისოდენა მხედარი. იძულებული იყვნენ მისთვის ჯიბეებში ოცი გირვანქა ტყვია ჩაედოთ, ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა მთელი სამი ადლით გაესწრო «არიელისა» და «ბარბაროსისათვის», რომლებიც მასთან ერთად მირბოდნენ.

— ასე რომ ვერ გაიგეთ ვის ეკუთვნოდა ცხენი და მხედარი?

— ვერა.

— თქვენ ამბობთ, რომ ცხენი სახელი იყო.....

— ვამპა.

— მაშ ამ საქმეში მე თქვენზე მეტი გამეგება: ვიცი ვის ეკუთვნის ის ცხენი.

— ბოლოს და ბოლოს გაჩუმდით, — ახლა მესამედ დაუყვირეს პარტერიდან.

ამჯერად აღშფოთება ისეთი დიდი იყო, ყმაწვილი კაცები, როგორც იქნა მიხვდნენ, რომ ეს სიტყვები მათი მისამართით იყო ნათქვამი. ისინი შემოტრიალდნენ, უნდოდათ გაეგოთ ვინ იყო პასუხისმგებელი ასეთი თავხედობისათვის, მაგრამ აღარავინ გამოხმაურებიათ და ისევ სცენისაკენ მიბრუნდნენ.

სწორედ ამ დროს გაიღო მინისტრის ლოჯა. ქალბატონმა დანგლარმა, მისმა ქალიშვილმა და ლუსიენ დებრემ თავიანთი ადგილები დაიკავეს.

— აი თქვენი ნაცნობებიც, ვიკონტ, — თქვა შატო-რენომ. — მაგრამ რა ეშმაკებს უყურებთ მარჯვენაც? ხედავთ, გეძებენ.

ალბერი შემოტრიალდა, მისი თვალები ქალბატონ დანგლარის თვალებს შეხვდა. ბარონესა მარაოს რხევით მიესალმა. რაც შეეხება მადმუაზელ ეჟენის, მან ძლივს კეთილინება თავისი დიდი შავი თვალები ორკესტრის სავარძლებისათვის მიეპყრო.

— მართალი გითხრათ, ჩემო ძვირფასო, — თქვა შატო-რენომ, — თუ არაფერს ვიტყვით მეზალიანსზე — არა მგონია, ეს გარემოება ძალიან გაწუხებდეთ, — ვერაფრით ვერ გამიგია, რა გაქვთ მადმუაზელ დანგლარის საწინააღმდეგო, ის ძალზე ლამაზია.

— რასაკვირველია, ძალზე ლამაზია, — უპასუხა ალბერმა, მაგრამ როდესაც საქმე სილამაზეს ეხება, მე ვარჩევდი უფრო ნაზს, უფრო საამოს, ერთი სიტყვით უფრო ქალურს.

— ერთი შეხედეთ ახლანდელ ახალგაზრდებს, — თქვა შატო-რენომ, — რომელიც, რადგან ის ოცდაათი წლის იყო, ალბერს მშობლიური ტონით ელაპარაკებოდა, — ისინი არასოდეს არიან კმაყოფილნი. ეგ როგორ, ჩემო ძვირფასო, მონადირე დიანას მსგავსი საცოლე მოგიძებნეს და თქვენ მაინც უკმაყოფილო ხართ?

— დიახ, სწორედ ასეა. მე ვარჩევდი მილოსელ ან კაპუელ ვენერას მსგავს სილამაზეს. ეს დიანა-მონადირე, რომელსაც გარს მუდამ თავისი ნიძვები ახვევია, მაკრობს; ვშიშობ აქტეონის ბედი არ მხვდეს წილად.

მართლაც, ამ ქალის დანახვისთანავე იგივე გრძნობები დაგებადებოდათ, რომელშიც მორსერი გამოტყდა. მადმუაზელ დანგლარი ლამაზი იყო, მაგრამ, როგორც ალბერმა თქვა, მის სილამაზეში იყო რაღაც სიმკაცრე. მას ჰქონდა ბუნებით ხვეული მშვენიერი შავი თმა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ის წინააღმდეგობას უწევდა მის დამპყრობ ხელებს; თმასავით საუცხოო წარბებქვეშ, რომელთა ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ ზოგჯერ შეიკვრებოდნენ ხოლმე, მოჩანდნენ შავი თვალები, რომელნიც ადამიანს აცვიფრებდნენ თავისი მტკიცე გამომეტყველებით, რაც ასე უჩვეულოა ქალთა მზერისათვის. ცხვირი სწორედ ისეთი ჰქონდა, როგორსაც მოქანდაკე იუნონას გამოუძერწავდა. მხოლოდ პირი ცოტათი დიდი ჰქონდა; სამაგიეროდ, საუცხოო ჩამწკრივებული კბილები აძლიერებდნენ ტუჩების სიწითლეს, რომელიც მის ფერმკრთალ სახეზე მკვეთრად გამოირჩეოდა. ბოლოს, პირის კუთხეში ჩვეულებრივზე უფრო დიდი ხალი, ერთხელ კიდევ უსვამდა ხაზს ამ სახის პატრონის მტკიცე ნებისყოფას, რაც ალბერს ასე აკრობდა.

ეჟენის ტანი შეეფერებოდა მის სახეს, რომლის აღწერაც ვცადეთ. იგი, როგორც შატო-რენომ თქვა, დიანა-მონადირეს მოგაგონებდათ, მაგრამ მის სილამაზეში უფრო მეტი სიმტკიცე და ძალა ჩანდა.

თუ მის მიერ მიღებულ განათლებაში რაიმე ნაკლი მოიძებნებოდა, ეს ის გახლდათ, რომ ზოგიერთი ნაკვთების მსგავსად, ისიც უფრო მამრობით სქესს შეეფერებოდა. ეჟენი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა, ხატვა ემარჯვებოდა, წერდა ლექსებს და თხზავდა მუსიკას. ამ უკანასკნელ ხელოვნებას ის განსაკუთრებით ეტანებოდა და თავის სკოლის ღარიბ ამხანაგებთან ერთად სწავლობდა. ამ ყმაწვილ ქალს, როგორც ირწმუნებოდნენ, ყველა საჭირო მონაცემი ჰქონდა, რომ შესანიშნავი მომღერალი გამხდარიყო. ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი ამ ქალიშვილს მამობრივი მზრუნველობით ექცეოდა თურმე და იმ იმედით ამცაადინებდა, რომ ერთ დღეს მისი ხმა მას გაამდიდრებდა.

იმის შესაძლებლობა, რომ ლუიზა დარმილი — ასე ეძახდნენ ახალგაზრდა მომღერალ ქალს — ერთ მშვენიერ დღეს თეატრში გამოვიდოდა, მადმუაზელ დანგლარს ხელს უშლიდა მასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენილიყო, მაგრამ შინ კი ღებულობდა. თუმცა ლუიზა ბანკირის სახლში მეგობრის დამოუკიდებელი მდგომარეობით არ სარგებლობდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო მასწავლებელი.

ქალბატონ დანგლარის ლოჟაში შემოსვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ფარდა დაეშვა. ნახევარსაათიანი ანტრაქტი მაცურებლებს შესაძლებლობას აძლევდა ფოიეში ესეირნათ ან ნაცნობები მოენახულებინათ. ორკესტრის სავარძლები თითქმის დაცარიელდა.

ალბერმა და შატო-რენომ ყველაზე ადრე დატოვეს თავიანთი ადგილები. ქალბატონ დანგლარს ერთი წუთით ეგონა, ალბერის ეს სიჩქარე გამოწვეული იყო მათთან მისვლის სურვილით, თავისი ქალისაკენ გადაიხარა და ჩურჩულით გააფრთხილა. ამ უკანასკნელმა მხოლოდ ღიმილით გაიქნია თავი. სწორედ იმ წუთში, თითქოს ეჟენის უიმედობის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, მორსერი პირველი იარუსის გვერდით ლოჟაში გამოჩნდა. ეს იყო გრაფინია გ...ს ლოჟა.

— აი, თქვენც აქა ხართ, ბატონო მოგზაურო, — უთხრა გრაფინიამ და ძველი ნაცნობივით გაუწოდა ხელი. — ძალიან სასიამოვნოა, რომ მიცანით და, რაც მთავარია, გამომარჩიეთ და პირველად მე მინახულეთ.

— დამიჯერეთ, გრაფინია, — უპასუხა ალბერმა, — რომ გამეგო პარიზში ბრძანდებოდით და თქვენი მისამართი მცოდნოდა, ასე დიდხანს არ დავაყოვნებდი. მაგრამ უფლება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი მეგობარი, ბარონი შატო-რენო, საფრანგეთში იშვიათად შემორჩენილი არისტოკრატთაგანი. ეს არის ახლა მაცნობა, რომ თქვენ დღეს მარსის მინდორში დოღს დასწრებიხართ.

შატო-რენომ თავი დაუკრა.

— თქვენც დოღზე იყავით? — ჰკითხა ფიცხლად გრაფინიამ.

— დიახ, ქალბატონო.

— ხომ ვერ მეტყვით, ვის ეკუთვნოდა ის ცხენი, რომელმაც ჟოკეი-კლუბის ჯილდო მოიპოვა? — ჰკითხა ისევ გრაფინია გ...მ.

— ვერ გეტყვით, ახლახან ალბერს სწორედ იგივე კითხვა დავუსვი, — უპასუხა შატო-რენომ.

— ამისი ცოდნა თქვენთვის აუცილებელია, ქალბატონო? — ჰკითხა ალბერმა.

— რისი?

— ვინ არის ცხენის პატრონი?

— აუცილებლად, წარმოიდგინეთ... მაგრამ შემთხვევით თქვენ იქნებ იცნობთ მას, ვიკონტ?

— ქალბატონო, თქვენ რაღაცის თქმა გინდოდათ, დაიწყეთ და აღარ დაამთავრეთ.

— დიახ, წარმოიდგინეთ, რომ იმ საუცხოო წაბლისფერმა ცხენმა და პატარა ვარდისფერხალათიანმა მხედარმა პირველი შეხედვისთანავე ისეთი სიმპათია შთამინერგეს, თითქოს მათზე დადებული მქონდა ჩემი ნახევარი ქონება; როდესაც დავინახე, რომ ისინი პირველები მოვიდნენ და სხვებს ბევრად გაუსწრეს, ისე გამეხარდა, გიჟივით ტაშის ცემა დავიწყე. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც შინ დაბრუნებულს კიბეებზე ის ვარდისფერხალათიანი მხედარი შემომხვდა. ვიფიქრე, გამარჯვებული მხედარიც, ალბათ, იმავე სახლში ცხოვრობს, რომელშიც მე-მეთქი, მაგრამ როდესაც პირველი სასტუმრო ოთახის კარი გამოვაღე, მაშინვე თვალში

მეცა ოქროს თასი, რომელიც დღეს უცნობმა ცხენმა და უცნობმა მხედარმა მოიგეს. თასში იდო ბარათი: «გრაფინია გ...ს ლორდ რუტვენი».

— სწორედ ასეა, — თქვა მორსერმა.

— როგორ, სწორედ ასე, ამით რისი თქმა გასურთ?

— მე მინდა გითხრათ, რომ ის სწორედ ლორდი რუტვენია.

— რომელი ლორდი რუტვენია?

— ჩვენი ვამპირი, რომელიც არჯენტინის თეატრში ვნახეთ.

— მართლა? — შესძახა გრაფინიამ; — მაშ ის აქ არის?

— რასაკვირველია.

— თქვენ ხვდებით? დებულობთ? დადიხართ მასთან?

— ის ჩემი ახლობელი მეგობარია და ბატონ შატო-რენოს აქვს ბედნიერება მისი ნაცნობი იყოს.

— რამ გაფიქრებინათ, რომ ჯილდო მან მოიგო?

— იმან, რომ მისი ცხენი ჩაწერილია ვამპას სახელით.

— მერე რა?

— არ გახსოვთ იმ ცნობილი ყაჩაღის სახელი, რომელმაც ტყვედ ჩამიგდო?

— დიახ, დიახ.

— რომლის ხელიდან გრაფმა რაღაც სასწაულებრივად გამომგლიჯა?

— დიახ.

— მას ერქვა ვამპა. ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ნამდვილად ის არის.

— კი მაგრამ, თასი მე რატომ გამომიგზავნა?

— ჯერ ერთი, გრაფინია, მე ბევრს ველაპარაკებოდი თქვენზე — ამაში შეგიძლიათ დამერწმუნოთ. მეორეც ის, რომ იგი ადამიანთაგანა თანამემამულის შეხვედრამ და ბედნიერად იგრძნო თავი იმ ინტერესის გამო, რომელიც თქვენ მის მიმართ გამოიჩინეთ.

— იმედი მაქვს, არაფერი გითქვამთ იმ სისულელეებზე, რომლებსაც მისი მისამართით ვამბობდით.

— მართალი გითხრათ, მაგას ვერ დავიფიცებ, მაგრამ ის, რომ თასი ლორდ რუტვენის სახელით გადმოგცათ...

— ეს საშინელებაა, მას, ალბათ, სიკვდილივით ვძულვარ.

— განა მისი საქციელი მტრობაზე მეტყველებს?

— უნდა გამოვტყდე, რომ არა.

— ხომ ხედავთ.

— მაშ ის პარიზშია?

— დიახ.

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

— ერთი კვირის განმავლობაში მასზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ შემდეგ ინგლისის დედოფალმა გვირგვინი დაიდგა, მადმუაზელ მარსს ბრილიანტები მოჰარეს და ახლა იმაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— ჩემო ძვირფასო, — შეაწყვეტინა შატო-რენომ, — აშკარად ჩანს, რომ გრაფი თქვენი მეგობარია, რადგან თქვენ მას ამის შესაფერისად ექცევით. ნუ დაუჯერებთ, გრაფინია, პარიზში მხოლოდ გრაფ მონტე-კრისტოზე ლაპარაკობენ. გრაფმა იმით დაიწყო, რომ ქალბატონ დანგლარს ოცდაათი ათას ფრანკად ღირებული წყვილი ცხენი აჩუქა. შემდეგ, ქალბატონი დე ვილფრი სიკვდილს გადაარჩინა; და ბოლოს, როგორც ჩანს, ჟოკეი-კლუბის ჯილდო მოიპოვა. მე, პირიქით, რაც უნდა თქვას მორსერმა, ვამტკიცებ, რომ ახლაც ყველანი გრაფით არიან დაინტერესებულნი და

ჯერ ერთ თვეს კიდევ მასზე ილაპარაკებენ, თუ კვლავ ორიგინალობას განაგრძობს; ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ეს მისი ცხოვრების ჩვეულებრივი მანერაა.

— ეს შესაძლებელია, — თქვა მორსერმა, — ჰო, მართლა, ვინ დაიკავა რუსეთის ელჩის ყოფილი ლოჟა?

— რომელი? — იკითხა გრაფინიამ.

— პირველ იარუსზე, სვეტებს შორის. ის, ვგონებ, სულ ახლახან მოურთავთ.

— მართალი ხართ, — თქვა შატო-რენომ, — პირველი მოქმედების დროს ნეტავი იყო ვინმე?

— სადა? — იმ ლოჟაში.

— არა, — უპასუხა გრაფინიამ, — არავინ დამინახავს. მაშ ასე, — განაგრძო გრაფინიამ და საუბრის პირველ თემას დაუბრუნდა. — თქვენი ფიქრით ჯილდო გრაფმა მონტე-კრისტომ მოიგო?

— დარწმუნებული ვარ.

— და თასიც მან გამომიგზავნა?

— ეჭვს გარეშეა.

— მაგრამ მას არ ვიცნობ და ძალიან მინდა თასი უკან დავუბრუნო, — თქვა გრაფინიამ.

— ამას ნუ იზამთ. იგი სხვას გამოგიგზავნით, უკეთესს, მთლიანი საფირონისაგან ან ლალისაგან გამოკვეთილს. ყოველთვის ასე იქცევა. რა გაეწყობა, ამ გარემოებას უნდა შეურიგდეთ.

ამ დროს ზარმა მეორე მოქმედების დაწყება აუწყათ. ალბერი წამოდგა, რათა თავისი ადგილი დაეკავებინა.

— კიდევ გნახავთ? — ჰკითხა გრაფინიამ.

— ანტრაქტის დროს, თუ ნებას მომცემთ, მოვალ გავიგო, რით შემეძლება პარიზში გემსახუროთ.

— ბატონებო, — უთხრა გრაფინიამ, — შაბათობით, სალამოს საათებში, ჩემი მეგობრებისათვის მე შინა ვარ, რივოლის ქ. 122. მეწვიეთ.

ყმაწვილმა კაცებმა თავი დაუკრეს და გავიდნენ.

როდესაც დარბაზში შევიდნენ, დაინახეს, რომ მთელი პარტერი ფეხზე იდგა და დარბაზის ერთ წერტილს მისჩერებოდნენ. ყმაწვილმა კაცებმაც გაიხედეს და მათი მზერა რუსეთის ელჩის ყოფილ ლოჟაზე შეჩერდა. ლოჟაში ის იყო შემოსულიყო შავტანსაცმლიანი ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის მამაკაცი, აღმოსავლურად გამოწყობილი ქალის თანხლებით. ეს ისეთი ლამაზი ქალი იყო და ისეთი მდიდრული კოსტიუმი ეცვა, რომ, როგორც ვთქვით, მაშინვე ყველას მზერა მიიპყრო.

— მონტე-კრისტოა თავისი ბერძენი ქალით, — თქვა ალბერმა.

ეს მართლაც გრაფი და ჰაიდე იყვნენ.

რამდენიმე წუთში ჰაიდემ მიიპყრო არა მარტო პარტერის, არამედ მთელი დარბაზის ყურადღება: ქალები ლოჟებიდან თავს ყოფდნენ, რათა დაენახათ ქალის სინათლეზე, როგორ ჩანჩქერივით მოედინებოდა აელვარებული აღმასები.

მთელმა მეორე მოქმედებამ ყრუ ხმაურში ჩაიარა, რაც იმას მეტყველებდა, რომ ხალხი განცვიფრებული და აღელვებული იყო. არავის უფიქრია სიჩუმე აღედგინა. ეს ახალგაზრდა ქალი ისეთი ლამაზი, ისეთი ბრწყინვალე იყო, რომ თვალი უკეთესს ვერ ნახავდა.

ამჟამად ქალბატონ დანგლარის ნიშანმა ალბერი მიახვედრა, რომ ანტრაქტზე მასთან უნდა შესულიყო.

ალბერი საკმაოდ კარგად აღზრდილი ახალგაზრდა იყო: რაკი ნათლად გააგებინეს, რომ მისი ნახვა სურდათ, აღარ ალოდინა. გათავდა თუ არა მოქმედება, სწრაფად მათი ლოჟისაკენ გასწია.

ალბერი ორივე ქალს მიესალმა, ხოლო დებრეს ხელი გაუწოდა.

ბარონესა მას მომხიბვლელი ღიმილით შეხვდა, ეჟენი — მისთვის ჩვეული გულცივობით.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა მას დებრემ, — თქვენ ხედავთ სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანს, რომელმაც საშველად გიხმოთ. ქალბატონი დანგლარი სეტყვასავით მაყრის კითხვებს გრაფის შესახებ. ის მოითხოვს, მე ვიცოდე, ვინ არის გრაფი, საიდან მოდის, საით აპირებს გამგზავრებას, ღმერთმანი კალიოსტრო არა ვარ და რათა როგორმე თავი დავაღწიო, ვუთხარი: «ყოველივე ეს ჰკითხეთ მორსერს, ის თავის ხუთი თითივით იცნობს მონტე-კრისტოს-მეთქი». და აი, თქვენც გიხმეს.

— ეს წარმოუდგენელია, — თქვა ბარონესამ, — ნახევარი მილიონი საიდუმლო ფონდი განკარგულებაში გქონდეს და ამაზე მეტად გარკვეული არ იყო.

— ქალბატონო, დამიჯერეთ, — უთხრა ლუსიენმა, — ნახევარი მილიონი რომ მქონდეს, სხვა რამისათვის გამოვიყენებდი და არა იმისათვის, რომ ცნობები შემეკრიბა გრაფ მონტე-კრისტოზე, რომელსაც ჩემს თვალში მხოლოდ ის ღირსება აქვს, რომ ორი ნაბობის ოდენა სიმდიდრის პატრონია. მაგრამ ადგილს ვუთმობ ჩემს მეგობარს მორსერს; მას მიმართეთ, ეგ მე უკვე აღარ მეხება.

— საეჭვოა, ნაბობს ჩემთვის ოცდაათი ათას ფრანკად ღირებული წყვილი ცხენი გამოეგზავნა და ყურებში ოთხი ალმასი ჩაედო — თითო ხუთი ათას ფრანკად ღირებული.

— ალმასები, — თქვა სიცილით მორსერმა; — ეს მისი გატაცებაა. პოტიომკინივით ჯიბეები სულ ალმასებით აქვს დატენილი... და ისე აპნევს, როგორც ცეროდენა კენჭებს.

— მან ალბათ სადმე ალმასის საბადოები აღმოაჩინა, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა, — იცით, რომ ბარონის ბანკში მას განუსაზღვრელი კრედიტი აქვს?

— არა, არ ვიცოდი, მაგრამ ეს ამბავი არ მაცვიფრებს, — უთხრა ალბერმა.

— მან ბატონ დანგლარს განუცხადა, რომ აპირებს პარიზში ერთი წელიწადი დარჩეს და ექვსი მილიონი დახარჯოს.

— ეს, ალბათ, ირანის შაჰია, რომელიც ინკოგნიტოდ მოგზაურობს.

— რა ლამაზი ქალი ახლავს! — თქვა ეჟენიმ, — შენიშნეთ, ბატონო, ლუსიენ?

— მართალი გითხრათ, თქვენ ერთადერთი ქალი ხართ ჩემს ნაცნობთა შორის, რომელიც ასე სამართლიან შეფასებას აძლევთ ქალებს.

ლუსიენმა თვალებთან მონოკლი მიიტანა.

— მშვენიერებაა, — თქვა მან.

— ბატონო მორსერ, იცით ვინ არის ის ქალი?

— მადმაზელ, ვიცი მხოლოდ დაახლოებით, ისევე როგორც ყველაფერი, რაც ეხება იმ საიდუმლო პიროვნებას, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ — ბერძენი ქალი გახლავთ. — უპასუხა ალბერმა ამ დაჟინებულ კითხვას.

— ეს მისი ჩაცმულობიდანაც ჩანს, რასაც თქვენ გვეუბნებით, უკვე მთელი დარბაზისათვის ცნობილია.

— ძალიან მწყინს, რომ ასეთი უვიცი ჩიჩერონე ვარ, — თქვა ალბერმა, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩემი ცნობები ამით მთავრდება. ვიცი კიდევ ერთი რამ, ის ქალი

მუსიკოსია. ერთხელ, როდესაც გრაფთან ვსაუბრობდით, მესმოდა ბარბითის ხმა. მის გარდა სხვა იქ ბარბითს ვერავინ დაუკრავდა.

— მაშ თქვენი გრაფი სტუმრებსაც ღებულობს? — ჰკითხა ქალბატონმა დანგლარმა.

— და, გეფიცებით, ძალიან მდიდრულადაც.

— უნდა ვაიძულოთ დანგლარი, სადილი ან მეჯლისი მოაწყოს მის პატივსაცემად, რათა სამაგიეროდ მიგვიპატიჟოს.

— განა წახვიდოდით მასთან? — ჰკითხა სიცილით დებრემ.

— რატომაც არა? ქმართან ერთად.

— კი მაგრამ, ის საიდუმლო გრაფი ხომ უცოლოა.

— ხომ ხედავთ, რომ უცოლო არ ყოფილა, — უპასუხა ბარონესამ სიცილით და ლამაზ ბერძენ ქალზე მიუთითა.

— ეს ქალი მონაა. გახსოვთ, მორსერ, მან ეს თვითონ გვითხრა, როდესაც თქვენთან ვსაუბრობდით.

— დამეთანხმეთ, ძვირფასო ლუსიენ, — უთხრა ბარონესამ, — რომ მას უფრო მეფის ასულის შეხედულება აქვს.

— «ათას ერთი ლამიდან», — დასძინა მორსერმა.

— თანახმა ვარ, მაგრამ რა ქმნის მეფის ასულს, ჩემო ძვირფასო? ალმასები. მას კი სულ ალმასები აყრია.

— ძალიან ბევრიც, — თქვა ეჟენიმ, — უიმისოდ იგი უფრო ლამაზი იქნებოდა. მაშინ გამოჩნდებოდა მისი მშვენიერი ყელი და ხელები.

— ოჰ, ეს მხატვრები, ხედავთ, უკვე აენტო, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა.

— მე მიყვარს ყველაფერი მშვენიერი, — უპასუხა ეჟენიმ.

— ასეთ შემთხვევაში, რას იტყვით გრაფზე, — ჰკითხა დებრემ, — მე მგონი არც ის არის ულამაზო.

— გრაფი? — თქვა ეჟენიმ, თითქოს აქამდე არც კი უფიქრია მისთვის შეეხედა, — გრაფი მეტისმეტად ფერმკრთალია.

— დიახ, — თქვა მორსერმა, — სწორედ ამ სიფერმკრთალის საიდუმლოებას ვეძებთ. გრაფინია გ... ამბობს, რომ ის ვამპირია.

— განა გრაფინია გ... დაბრუნდა? — იკითხა ბარონესამ.

— დედაჩემო, ის გვერდით ლოჯაში ზის, თითქმის ჩვენს პირდაპირ: ხედავთ მშვენიერ ქერათმიან ქალს? ის გახლავთ.

— დიახ, ვხედავ, — უპასუხა ქალბატონმა დანგლარმა, — იცით როგორ უნდა მოიქცეთ, მორსერ?

— მიბრძანეთ, ბარონესა.

— უნდა ნახოთ გრაფი მონტე-კრისტო და ჩვენთან შემოიყვანოთ.

— ეგ რისთვის? — ჰკითხა ეჟენიმ.

— იმისათვის, რომ ვესაუბროთ. განა შენ არ გაინტერესებს მისი ნახვა?

— სრულებით არა.

— უცნაური ბავშვი, — ჩაიჩურჩულა ბარონესამ.

— ის, ალბათ, თვითონაც მოვა. — უთხრა ალბერმა, — ხედავთ, ქალბატონო, დაგინახათ და სალამს გაძლევთ.

ქალბატონი დანგლარი გრაფის სალამს მომხიბვლელი ღიმილით გამოეპასუხა.

— კარგი, — თქვა მორსერმა, — მსხვერპლად შეგეწირებით: გტოვებთ, ვნახავ მოსახერხებელია თუ არა მასთან ლაპარაკი.

— მიდით მასთან ლოჯაში; ეს ყველაზე ადვილია.

— მაგრამ მე არ წარვუდგენივარ.

— ვისთან?
— მზეთუნახავ ბერძენთან.
— განა თქვენ თვითონ არა თქვით, ის მონააო?
— თქვენ კი ამტკიცებთ, რომ ის მეფის ასულია... იქნებ გრაფმა დამინახოს, რომ გავდივარ და თვითონაც გამოვიდეს.

— შესაძლებელია. წადით.

— მივდივარ.

ალბერმა თავი დაუკრა და გავიდა. მართლაც, როდესაც გრაფის ლოჟას ჩაუარა, კარი გაიღო და მონტე-კრისტო გამოვიდა. დერეფანში მდგომ ალის რამდენიმე სიტყვა უთხრა არაბულ ენაზე და ალბერს მკლავი გაუყარა.

ალიმ კარი მიხურა და მის წინ გაჩერდა. ნუბიელის გარშემო დერეფანში ხალხი მოგროვდა.

— მართალი გითხრათ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — თქვენი პარიზი უცნაური ქალაქია, ხოლო თქვენი პარიზელები საკვირველი ხალხი. შეიძლება იფიქრო, პირველად ხედავენ ნუბიელს. შეხედეთ, როგორ შეჯგუფდნენ საწყალი ალის გარშემო, რომელსაც ვერ გაუგია რა ხდება. ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, პარიზელი რომ ტუნისში, კონსტანტინოპოლში, ბალდადში ან ქაიროში ჩავიდეს, მის გარშემო ხალხი არასოდეს მოგროვდება.

— ეს იმიტომ, რომ აღმოსავლეთის ხალხი გონიერია და მარტო იმას უყურებს, რაც შეხედვის ღირსია. დამიჯერეთ, ალი ასეთი წარმატებით იმიტომ სარგებლობს, რომ თქვენ გეკუთვნით, თქვენ კი ახლა პარიზში ყველაზე მოდური ადამიანი ხართ.

— მართლა? რას უნდა ვუმაძღლოდე ამ ბედნიერებას?

— ღმერთო ჩემო, თქვენს თავს. თქვენ საჩუქრად მიგაქვთ ათას ლუიდორად ღირებული წყვილი ცხენი; სიკვდილიდან იხსნით მეფის პროკურორის ცოლს; მაიორ ბლეკის სახელით დოღზე აგზავნით საუცხოო წმინდა სისხლის წაბლისფერ ბედაურს და უისტიტისოდენა მხედრებს. დაბოლოს, იგებთ ოქროს თასებს და უგზავნით მას ლამაზ ქალებს.

— ვინ ეშმაკმა გითხრას ეს ლამაზი ზღაპარი?

— ღმერთო ჩემო, პირველი — ქალბატონმა დანგლარმა, რომელსაც სურვილი კლავს თავის ლოჟაში გიხილოთ, ან, უფრო სწორად, სხვებმა დაგინახონ მის ლოჟაში; მეორე — ბოშანის გაზეთმა; მესამე კი მე თვითონ გამოვიცანი. რატომ არქმევთ თქვენს ცხენს ვამპას, თუ ინკოგნიტოდ აპირებთ დარჩენას.

— მართალი ხართ! — უთხრა გრაფმა, — ეს გაუფრთხილებლობაა, მაგრამ ერთი მიზრძანეთ, გრაფი მორსერი არ დადის ოპერაში? ყველგან ვეძებ, მაგრამ ვერ შევნიშნე.

— დღეს ის აქ იქნება.

— სადა?

ვგონებ ბარონესას ლოჟაში.

— ის მშვენიერი ქმნილება, ბარონესას გვერდით რომ ზის მისი ქალიშვილია?

— დიახ.

— ნება მიბოძეთ მოგილოცოთ.

მორსერმა გაიღიმა.

— ამაზე დაწვრილებით სხვა დროს მოვილაპარაკოთ. — როგორ მოგწონთ მუსიკა?

— რომელი მუსიკა?

— რომელსაც ახლა უსმინეთ.

— საუცხოო მუსიკაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იგი დაწერა ადამიანმა, ხოლო ასრულებენ ორფეხიანი და უფრთო ჩიტები, როგორც ამბობდა განსვენებული დიოგენი.

— ჰო, ასეა საქმე? — ძვირფასო გრაფო, კაცი იფიქრებს, რომ როცა მოისურვებთ, შეგიძლიათ დატკბეთ სამოთხის ანგელოსთა შვიდი გუნდით.

— თითქმის რომ ასეა, ვიკონტ, როდესაც საუცხოო მუსიკის მოსმენა მსურს, ისეთის, როგორც არასოდეს სმენია მომაკვდავი ადამიანის ყურებს, მე ვიძინებ.

— თქვენ სწორედ შესანიშნავ ადგილას მოხვდით: იძინეთ, ძვირფასო გრაფო, იძინეთ, ოპერა მხოლოდ ამისათვის არის შექმნილი.

— არა, გულახდილად გითხრათ, თქვენი ორკესტრი ძალიან ხმაურობს. იმ მილისათვის, რომელზედაც გელაპარაკებით, საჭიროა სიმშვიდე და სიჩუმე, გარდა ამისა ერთგვარი შემზადება.

— ცნობილი ჰაშიში?

— დიახ, სწორედ ის. ვიკონტ, როდესაც მუსიკის მოსმენას მოისურვებთ, ჩემთან მობრძანდით ვახშმად.

— მე უკვე მოვისმინე იგი, როდესაც თქვენთან ვსაუზმობდი.

— რომში?

— დიახ.

— ეს იყო ჰაიდეს ბარბითი. საწყალი დევნილი ზოგჯერ იმით ერთობა, რომ ჩემ საამებლად თავისი ქვეყნის სიმღერებს უკრავს.

ალბერს აღარაფერი უკითხავს. გრაფიც გაჩუმდა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა.

— მომიტევეთ, — უთხრა გრაფმა და თავის ლოჟისაკენ გაემართა.

— რას ბრძანებთ!

— გთხოვთ გრაფინია გ...ს სალამი გადასცეთ მისი ვამპირისაგან.

— ბარონესას?

— გადაეცით, თუ ნებას მომცემს, სპექტაკლის განმავლობაში პატივი მექნება ჩემი მოკრძალება გამოვხატო.

დაიწყო მესამე მოქმედება. მესამე მოქმედების დროს გრაფი დე მორსერი თავისი დაპირების თანახმად, ქალბატონ დანგლარის ლოჟაში შევიდა.

გრაფი არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს, ვისაც მღელვარება შეაქვს მაყურებელთა დარბაზში. ასე რომ, ლოჟაში მყოფთა გარდა, მისი შემოსვლა არავის შეუნიშნავს.

მონტე-კრისტომ მაინც მოჰკრა თვალი და ბაგეებზე ოდნავმა ღიმილმა გადაურბინა.

რაც შეეხება ჰაიდეს, მას შემდეგ, რაც ფარდა აიწია, გარშემო ველარაფერს ხედავდა. როგორც ყველა პრიმიტიულ ადამიანს, მას იტაცებდა ყველაფერი, რაც ელაპარაკება სმენასა და მხედველობას.

მესამე მოქმედებამ ჩვეულებისამებრ ჩაიარა; ბალერინებმა ნობლემ, ჟიულიმ და ლერუმ შეასრულეს თავისი ჩვეულებრივი ანტრაშა. რობერტ მარიომ გრენადის პრინცი გამოიწვია; ბოლოს დიდებულმა მეფემ, თავის შვილთან ხელჩაკიდებულმა, დარბაზი გაიარა, რათა მაყურებლებისათვის თავისი ხავერდის მანტია ეჩვენებინა. ამის შემდეგ ფარდა დაეშვა და მაყურებლები მყისვე ფოიეში და დერეფნებში გაიფანტნენ.

გრაფი მონტე-კრისტო თავის ლოჟიდან გამოვიდა და რამდენიმე წუთში ქალბატონ დანგლარის ლოჟაში გაჩნდა.

ბარონესამ თავი ვერ შეიკავა და გაკვირვებისა და სიხარულის შემახილი აღმოხდა.

— როგორ მიხარია თქვენი ხილვა, ვჩქარობდი სიტყვიერი მადლობა დამემატებინა ბარათით მოწერილ მადლობისათვის.

— ქალბატონო, ნუთუ თქვენ კიდევ გახსოვთ ეს წვრილმანი? მე კი თითქმის უკვე დამავიწყდა.

— დიახ, მაგრამ იმის დავიწყება ხომ არ შეიძლება, რომ მეორე დღეს ჩემი მეგობარი ქალბატონი დე ვილფორი იხსენით საფრთხისაგან, რომელიც სწორედ იმ ცხენების გამო შეიძლებოდა შეხვედროდა.

— არც ამისათვის ვიმსახურებ მადლობას. ჩემს ნუბიელ ალის ჰქონდა ბედნიერება ეს სამსახური ქალბატონ დე ვილფორისათვის გაეწია.

— ჩემი შვილიც ალიმ დაიხსნა რომელიც ყაჩაღებისაგან? — ჰკითხა ბატონმა დე მორსერმა.

— არა, ბატონო გრაფო, — უპასუხა მონტე-კრისტომ და გრაფის გამოწვდილ ხელს თავისი ხელი შეაგება. — ამჯერად ვლემულობ მადლობას, მაგრამ თქვენ ერთხელ უკვე მითხარით იგი და მრცხვენია, რომ კიდევ მიმეორებთ. დამდეთ პატივი, ქალბატონო, და თქვენს ქალიშვილთან წარმადგინეთ.

— ის უკვე გიცნობთ, ყოველ შემთხვევაში, სახელით მაინც, რადგან ეს რამდენიმე დღეა მხოლოდ თქვენზე ვლაპარაკობთ. ეჟენი, — მიუბრუნდა იგი ქალიშვილს, — გრაფი მონტე-კრისტო!

გრაფი დაიხარა: მადმუაზელ დანგლარმა თავი ოდნავ დაუკრა.

— თქვენთან ერთად ლოჟაში საუცხოო ქალი ზის — უთხრა მან, — ის თქვენი ქალიშვილია, ბატონო გრაფო?

— არა, მადმუაზელ, — უპასუხა ამ უსაზღვრო გულუბრყვილობითა თუ განსაცვიფრებელი აპლომბით გაკვირვებულმა გრაფმა. — ის საწყალი ბერძენი ქალია. მე მისი მეურვე ვარ.

— რა ჰქვია?

— ჰაიდე. — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— ბერძენი! — ჩაიჩურჩულა გრაფმა დე მორსერმა.

— დიახ, გრაფო, — გამოეპასუხა ქალბატონი დანგლარი, — ერთი მიბრძანეთ, ალი-ტიბელინის სასახლეში, სადაც თქვენი სამსახურით სახელი მოიხვეჭეთ, ასეთი შესანიშნავი კოსტიუმი გინახავთ, როგორსაც ახლა ვხედავთ?

— მაშ თქვენ იანინაში მსახურობდით, გრაფო? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— მე ფაშის ჯარების გენერალ-ინსპექტორი ვიყავი, — უპასუხა მორსერმა, — და ჩემი მცირე ქონება, ამას არ ვმაღავ, ალბანეთის ცნობილი ბელადის წყალობით მაქვს.

— ერთი შეხედეთ ამ ქალს, — არ ეშვებოდა ქალბატონი დანგლარი.

— სად არის? — ჩაიბურტყუნა მორსერმა.

— აი, — უთხრა მონტე-კრისტომ, გრაფს მხარზე ხელი დაადო და მასთან ერთად ლოჟის ბარიერისაკენ გადაიხარა.

ამ წუთში ჰაიდემ, რომელიც გრაფს თვალებით ეძებდა, მისი გაფითრებული სახე გრაფ დე მორსერთან ერთად დაინახა, რომლისთვისაც მონტე-კრისტოს მხარზე ხელი გადაედო. ამ სანახაობამ ქალიშვილზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მედუზის თავი დაენახოს. წინ წამოიწია, თითქოს ორივეს თვალებით შეჭმა უნდოდა. შემდეგ უცებ უკან გადაიხარა. გაისმა სუსტი კივილი, რომელიც ახლო მეზობლებმა და ალიმ გაიგონა. ნუბიელმა მაშინვე კარი შეაღო.

— შეხედეთ, — თქვა ეჟენიმ, — რა მოუვიდა თქვენს შვილობილს, ვგონებ ცუდად გახდა.

— მართლაც ასეა, — თქვა გრაფმა, — მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, ჰაიდე ძალზე ნერვიულია და მგრძნობიარე ყოველგვარი სურნელების მიმართ. საკმარისია შეიყნოსოს სურნელება, რომელიც მას არ ეამება, რომ გული წაუვიდეს; მაგრამ, — განაგრძო გრაფმა და ჯიბიდან ფლაკონი ამოიღო, — მე მაქვს მისი განსაკურნებელი წამალი.

გრაფმა ბარონესას და მის ქალიშვილს თავი დაუკრა, გრაფ დე მორსერს და დებრეს ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი და ქალბატონ დანგლარის ლოჟიდან გამოვიდა.

როდესაც გრაფი თავის ლოჟაში დაბრუნდა, ჰაიდე ისევ ძალზე გაფითრებული დახვდა. შესვლა ვერ მოასწრო, რომ ქალმა მაშინვე მკლავში სტაცა ხელი.

მონტე-კრისტომ შენიშნა, რომ ახალგაზრდა ქალს ხელები ოფლიანი და ყინულივით ცივი ჰქონდა.

— ვის ელაპარაკებოდით, ჩემო ბატონო? — ჰკითხა მან.

— გრაფ დე მორსერს, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — ის შენ სახელოვან მამასთან მსახურობდა და ამბობს, ჩემს სიმდიდრეს მას უნდა ვუმაღლოდეო.

— საძაგელი! — შეჰყვირა ჰაიდემ, — ეს მაგან მიჰყიდა მამაჩემი თურქებს და მისი ქონების ფასი დალატია. ნუთუ თქვენ ეს არ იცოდით, ჩემო ძვირფასო მბრძანებელო?

— ეპირში რაღაცა ამდაგვარს მოგვარი ყური, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მაგრამ დაწვრილებით არ ვიცი. წავიდეთ, ჩემო შვილო, შენ ყველაფერს მომიყვები. ეს ამბავი ძალზე საინტერესო უნდა იყოს.

— დიახ, დიახ, წავიდეთ, ასე მგონია მოგვკვდები, თუ კიდევ ამ კაცის სიახლოვეს დავრჩები.

ჰაიდე სწრაფად წამოდგა, მარგალიტითა და მარჯნით მოქარგული თეთრი ქიშმირის ბურნუესში გაეხვია, და ლოჟიდან აჩქარებით სწორედ იმ დროს გავიდა, როდესაც ფარდა აიხადა.

— შეხედეთ, — უთხრა გრაფინია გ...მ ალბერს, რომელიც მასთან ხელახლა დაბრუნდა, — ის ისე არ იქცევა, როგორც ყველა. მოკრძალებით უსმენს «რობერტის» მესამე მოქმედებას და მიდის სწორედ იმ დროს, როდესაც მეოთხე მოქმედება იწყება.

თავი XVI

თამაში ბირჟაზე

ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალბერ დე მორსერი გრაფ მონტე-კრისტოს საკუთარ ბინაში ესტუმრა. ელისეს მინდვრებზე. ამ ბინას უკვე მიეღო სასახლის ის ელფერი, რასაც გრაფი თავისი უსაზღვრო ქონების წყალობით თვით დროებით საცხოვრებლებსაც კი აძლევდა. ის მივიდა, რათა ქალბატონ დანგლარის სახელით კვლავ გადაეხადა მადლობა, ერთხელ უკვე გამოთქმული წერილში, რომელსაც ხელს აწერდა ბარონესა დანგლარი, ქალიშვილობის გვარით ერმინა დე სერვიე.

ალბერს თან ახლდა ლუსიენ დებრე. მან მეგობრის სიტყვებს რამდენიმე ქათინაური დაუმატა, რომელსაც, რასაკვირველია, ოფიციალური სახე არ ჰქონია, მაგრამ რომლის სათავე გრაფის გაკვირვებულ თვალებს არ გამოჰპარვია. გრაფს ისიც კი მოეჩვენა, რომ ლუსიენი მის სანახავად ორმაგმა ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა და რომ ნახევარი ამ გრძნობისა შოსე დ'ანტენის ქუჩის მცხოვრებლებიდან გამომდინარეობდა. მართლაც, გრაფი არ შეცდებოდა, თუ წარმოიდგენდა, რომ ქალბატონმა დანგლარმა, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება საკუთარი თვალით ენახა

როგორ ცხოვრობდა ადამიანი, რომელიც ოცდაათი ათას ფრანკად ღირებულ ცხენებს ასაჩუქრებს და თეატრში მარგალიტებით შემოსილი მონა ქალით დადის, — სანდო პირებს დაავალა ცნობები შეეკრიბა მისი ოჯახური ცხოვრების შესახებ.

მაგრამ გრაფი თითქოს მიხვდა, რომ მისი მოსვლა დაკავშირებული იყო ბარონესას ცნობისმოყვარეობასთან.

— თქვენ ხშირად ხვდებით ბარონ დანგლარს? — ჰკითხა მან ალბერ დე მორსერს.

— რასაკვირველია, გრაფო, ხომ გახსოვთ, რა გითხარით.

— მაშ ყველაფერი ძველებურადაა?

— უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე — თქვა ალბერმა — ეს გადაწყვეტილი საქმეა.

როგორც ეტყობოდა, ლუსიენმა გაიფიქრა, ჩემი მონაწილეობა ბაასში ამით უნდა განისაზღვროსო, თვალზე კუს მონოკლი გაიკეთა და ოთახში სიარული დაიწყო; თავისი ჯოხის ოქროს ბუნიკი პირში ჩაედო და იარაღსა და სურათებს ათვალიერებდა.

— თქვენი სიტყვების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, საკითხის საბოლოო გადაჭრა ასე მალე არ უნდა მომხდარიყო.

— რა გაეწყობა? მოვლენები ისე მალე ხდება, რომ ვერც კი ამჩნევ. შენ მათზე არ ფიქრობ, ისინი კი შენზე ფიქრობენ, და როდესაც უკან მოიხედავ, გაკვირვებული რჩები, რომ ისინი ასე შორს წასულან. მამაჩემი და ბატონი დანგლარი ერთად მუშაობდნენ ესპანეთში. მამაჩემი ჯარში, ბატონი დანგლარი კი სასურსათო დარგში. რევოლუციის მიერ გადატაკებულმა მამაჩემმა სწორედ იქ ჩაუყარა საფუძველი თავის მშვენიერ სამხედრო და პოლიტიკურ კარიერას; ბატონმა დანგლარმა კი, რომელსაც არასოდეს გააჩნდა მამაკაცისეული მემკვიდრეობა, თავის საუცხოო პოლიტიკური და ფინანსური სარბიელი იქ დაიწყო.

— დიახ, მართალი ხართ, — თქვა მონტე-კრისტომ, — მაგონდება, დანგლართან ყოფნის დროს, იგი მელაპარაკა ამაზე. — გრაფმა შეხედა ლუსიენს, რომელიც ალბომს ფურცლავდა და დასძინა: — მადმუაზელ ეჟენი ხომ ლამაზია! — როგორც მახსოვს, ეჟენი ჰქვია, ასეა არა?

— ძალიან კარგია, ანუ უფრო სწორად, ძალიან ლამაზია, — უპასუხა ალბერმა, — მაგრამ მე ასეთი სილამაზის შემფასებელი არა ვარ. მე ღირსი არა ვარ.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს უკვე მისი ქმარი იყოთ.

— ეჰ, — ამოიოხრა ალბერმა და ახლა თვითონ დაინტერესდა, რითი იყო გართული ლუსიენი.

— იცით რა, — თქვა მონტე-კრისტომ ხმის დაწევით, — მე მგონია, თქვენ აღფრთოვანებით არ ხვდებით ამ ქორწინებას.

— მადმუაზელ დანგლარი, ჩემი შეხედულებით, მეტად მდიდარია, ეს მე მაშინებს.

— აი, მიზეზიც ამას ჰქვია! — უპასუხა მონტე-კრისტომ, — განა თქვენ თვითონ მდიდარი არა ხართ?

— მამაჩემის წლიური შემოსავალი რაღაც ორმოცდაათი ათას ლივრს უდრის და, როდესაც ცოლს მოვიყვან, ალბათ, ათ ან თხუთმეტ ათასს მე გამომიყოფს.

— რასაკვირველია, ეს საკმაოდ მცირე თანხაა, — თქვა გრაფმა, — განსაკუთრებით პარიზისათვის; მაგრამ ამქვეყნად სიმდიდრე ყველაფერი როდია: კარგი გვარი და კარგი მდგომარეობა საზოგადოებაში ხომ რაღაცას ნიშნავს. თქვენ ცნობილი გვარი გაქვთ, ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობა გიჭირავს; გარდა ამისა, გრაფი დე მორსერი ჯარისკაცია და სასიამოვნო სანახავია, როდესაც ბაიარდის უანგარობა შეკავშირებულია დიუგეკლენის¹ (¹ პიერ ბაიარდი («რაინდი უშიშარი და უებრო») და ბერტრან დიუგეკლენი «— სახელოვანი მხედართმთავრები. პირველი ფრანცისკ I

დროს, — ხოლო მეორე — ასწლიანი ომების პერიოდში.) სიღარიბესთან, უანგარობა — მზის მშვენიერი სხივია, რომელშიც უფრო ნათლად ბრწყინავს პატიოსანი მახვილი. ჩემის აზრით, პირიქით, უკეთესი შესაფერი ქორწინება აღარ შეიძლება; მადმუაზელ დანგლარი სიმდიდრეს მოგიტანთ, თქვენ კი მას — კეთილშობილ გვარს მისცემთ.

ალბერმა თავი გაიქნია და ჩაფიქრდა.

— არის კიდევ ერთი გარემოება. — თქვა მან.

— უნდა გამოგიტყდეთ, — განაგრძო გრაფმა, — ვერაფრით ვერ გამიგია თქვენი ზიზღი ლამაზი და მდიდარი ქალიშვილის მიმართ.

— ღმერთო ჩემო, თუ ამას შეიძლება ზიზღი ვუწოდოთ, მაშინ მარტო მე არ განვიცდი მას. — უთხრა მორსერმა.

— კიდევ ვინ არის? ხომ ამბობდით, რომ მამათქვენს ეს ქორწინება სურს.

— დედაჩემი. დედაჩემს კი მახვილი და უტყუარი თვალი აქვს. და აი, სწორედ მას არ მოსწონს ეს ქორწინება, მე არ ვიცი, რა აქვს დანგლარების საწინააღმდეგო.

— ჰო, ეს გასაგებია, — თქვა გრაფმა ოდნავ ნაძალადევი ტონით. — გრაფინია დე მორსერს — ზრდილობის, არისტოკრატიზმის, სულიერი სიწმინდის განსახიერებას — ოდნავ აშინებს უხეში, მძიმე და მდაბიო ხელის შეხება, ეს ბუნებრივია.

— არ ვიცი, მართლაც ასეა თუ არა, — უთხრა ალბერმა; — მაგრამ ის კი ვიცი, თუ ეს ქორწინება მოხდა, ის უბედური იქნება. უკვე თვე-ნახევრის წინ გადაწყვეტილი იყო შევკრებილიყავით საქმიანი მხარის გადასაწყვეტად, მაგრამ მე ისეთი შაკიკი დამეწყო...

— ნამდვილი? — ჰკითხა გრაფმა ღიმილით.

— დიახ, ნამდვილი, ალბათ შიშისაგან... — ამის გამო თათბირი ორი თვით გადაიდო. ხომ გესმით, არაფერია საჩქარო; მე ჯერ ოცდაერთი წლის არც კი ვარ, ეყენი კი მხოლოდ ჩვიდმეტისაა, მაგრამ ორი თვის ვადა მომავალ კვირას თავდება. უნდა შევასრულო მოვალეობა. თქვენ, ძვირფასო გრაფო, ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მამრწუნებს ეს გარემოება... ეჰ, რა ბედნიერი ხართ, რომ თავისუფალი ბრძანდებით!

— მერედა ვინ გიშლით, რომ თქვენც თავისუფალი იყოთ?

— მამაჩემისათვის მეტისმეტად საწყენი იქნება, რომ ეყენი დანგლარი არ ვითხოვო.

— მაშ ითხოვეთ, — უთხრა გრაფმა მხრების რაღაც განსაკუთრებული აჩეჩვით.

— დიახ, — თქვა მორსერმა; — მაგრამ დედაჩემისათვის ეს საწყენი კი არა, უბედურება იქნებოდა.

— მაშ ნუ ითხოვთ, — თქვა გრაფმა.

— მოვიფიქრებ, ვეცდები, მაგრამ თქვენ რჩევას ხომ მომცემთ? და იქნებ ამ გაჭირვებიდანაც გამომიყვანოთ? იცით რა, ოღონდ ჩემს ტკბილ დედას გული არ ვატკინო, თანახმა ვარ მამაჩემს ვაწყენინო.

მონტე-კრისტო შემობრუნდა. იგი აღელვებული ჩანდა.

— რითი ერთობით, — მიმართა მან დებრეს, რომელიც ოთახის მეორე კუთხეში, ღრმა სავარძელში იჯდა, მარჯვენა ხელში ფანქარი ეჭირა, მეორეში კი უბის წიგნაკი, — პუსენს იხატავთ?

— მე? — უპასუხა მშვიდად დებრემ, — მე ისე მიყვარს მხატვრობა, რომ გადახატვას არ დავიწყებ, — პირიქით, სავსებით საწინააღმდეგო მოქმედებას ჩავდივარ, ვანგარიშობ.

— ანგარიშობთ?

— დიახ, ვანგარიშობ. ეს არაპირდაპირ თქვენც გეხებათ, ვიკონტ. ვაჯამებ, რამდენი მოიგო დანგლარის ბანკმა ჰაიტის ფასიანი ქაღალდების უკანასკნელ აწვევაზე. სამ დღეში აქციებმა ორას ექვსიდან ოთხასცხრამდე აიწია, წინდახედულმა ბანკირმა კი ორასექვსად დიდი რაოდენობის აქციები იყიდა. ჩემი გამოანგარიშებით, სამასი ათასი ლივრი უნდა მოეგო.

— ეს არაა მისი უდიდესი გამარჯვება, — თქვა ალბერმა, — ამ წელიწადში ესპანეთის სესხზე ხომ მილიონი მოგება ნახა?

— მისმინეთ, ჩემო ძვირფასო, — უთხრა ლუსიენმა, — გრაფ მონტე-კრისტოს შეემლო თქვენთვის იტალიელებივით ეთქვა:

Danaro e santità

Meta della metà¹ (1 ფიცი და სიწმინდე ნახევრის ნახევარია.)

და ეს უკვე ბევრია. ასე რომ, როცა ამგვარ ამბებზე მელაპარაკებთან, მე მხრებს ვიჩეჩავ.

— მაგრამ თქვენ თვითონ ლაპარაკობთ ჰაიტიზე, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— ჰაიტი — სხვა საქმეა; ჰაიტი — ეს ბირჟის ეკარტეა; შეიძლება გიყვარდეს ბულიოტი, გატაცებული იყო ვისტიტ, აღმერთებდე ბოსტონს და ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ამას თავი გაანებო; მაგრამ ეკარტე ყოველთვის გიზიდავს — ეს თითქოს საქმლის საკმაზია. მაშ ასე, გუშინ დანგლარმა გაყიდა ოთხასექვსად და ჯიბეში ჩაიღო სამასი ათასი ფრანკი; დღემდე რომ მოეცადა, ასიგნაციები ისევ დაეცემოდა ორასხუთამდე, და სამასი ათასი ფრანკის მოგების ნაცვლად ის წააგებდა ოც, ოცდახუთ ათასს.

— მერედა რატომ დაეცა ოთხასცხრიდან ორასხუთამდე? — იკითხა გრაფმა მონტე-კრისტომ, — მომიტევეთ, მაგრამ მე მეტისმეტად გამოუცდელი ვარ ამ საბირჟო ინტრიგებში.

— იმიტომ, რომ ცნობები ერთმანეთს მისდევენ და არ ემთხვევიან, — უპასუხა სიცილით ალბერმა.

— ეშმაკმა დალახვროს, — წამოიძახა გრაფმა, — გამოდის, რომ ბატონმა დანგლარმა ერთ დღეს შეიძლება მოიგოს ან წააგოს სამასი ათასი ფრანკი? მაშ ის ძალიან მდიდარი ყოფილა?

— ბატონი დანგლარი კი არა თამაშობს, არამედ მისი ცოლი! — წამოიძახა სწრაფად ლუსიენმა, — ის ჭეშმარიტად გულადი ქალია.

— მაგრამ თქვენ ხომ გონიერი ადამიანი ბრძანდებით, ლუსიენ, კარგად მოგეხსენებათ ცნობების ფასი, რადგან პირველ წყაროსთან იმყოფებით; კარგი იქნებოდა შეგეჩერებინათ იგი, — უთხრა სიცილით ალბერმა.

— როგორ შეემძლო როდესაც ქმარმა ვერაფერი გააწყო. ხომ იცით ბარონესას ხასიათი, არავის გავლენის ქვეშ არ მოხვდება და აკეთებს მხოლოდ იმას, რაც სურს.

— მე რომ თქვენს ადგილას ვიყო... — თქვა ალბერმა.

— რას იზამდით?

— განვკურნავდი. ეს დიდი სამსახური იქნებოდა მისი მომავალი სიძისათვის.

— ეგ როგორ?

— ღმერთო ჩემო, ძალიან უბრალოდ. მე მას გაკვეთილს მივცემდი.

— გაკვეთილს?

— დიახ, თქვენი მდგომარეობა — მინისტრის პირადი მდივნის თანამდებობა, ავტორიტეტად გხდით ახალი ცნობების მიმართ; საკმარისია პირი გააღოთ და ბირჟის აგენტები თქვენი სიტყვების სტენოგრაფიას ჩაწერენ. ისე მოაწყეთ, რომ ერთ გათამაშებაზე ასიათასი ფრანკი წააგოს და იგი შემდეგში გაფრთხილდება.

— ვერ გაგიგეთ, — ჩაილაპარაკა ლუსიენმა.

— ეს სავსებით ცხადია, — უპასუხა ალბერმა ნამდვილი გულუბრყვილობით: — ერთ მშვენიერ დილას აცნობეთ მას რაიმე გაუგონარი ამბავი, ტელეგრამა, რომლის შინაარსი მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ; მაგალითად, რომ წინა დღეს ჰენრი IV ნახეს გაბრიელთან. ეს გამოიწვევს ბირჟაზე ფასების აწევას, ის ისარგებლებს ამ შემთხვევით და უსათუოდ წააგებს, როდესაც ბოშანი მეორე დღეს თავის გაზეთში დაწერს: «საქმეში ჩახედული ადამიანების მტკიცება, ვითომ მეფე ჰენრი IV გუმინ გაბრიელთან ნახეს, არ შეეფერება სინამდვილეს: ასეთ ფაქტს არასოდეს ჰქონია ადგილი, მეფე ჰენრი IV ფეხი არ გამოუდგამს ახალი ხიდიდან».

ლუსიენმა ძალით გაიცინა. მონტე-კრისტოს, რომელიც ამ საუბრის დროს გარეგნულად ინდიფერენტული სახით იჯდა, არ გამოჰპარვია არც ერთი სიტყვა, და მისმა გამჭრიახმა მზერამ დაიჭირა პირადი მდივნის საიდუმლო შემფოთება.

ამ შემფოთების გამო, რომელიც სრულიად შეუმჩნეველი იყო ალბერისათვის, ლუსიენმა შეამოკლა თავისი ვიზიტი.

ეტყობოდა, თავი უხერხულად იგრძნო. გაცილების დროს გრაფმა მას დაბალი ხმით რამდენიმე სიტყვა უთხრა; ლუსიენმა უპასუხა:

— სიამოვნებით, გრაფო. თანახმა ვარ.

— აბა დაფიქრდით, ალბერ, ბატონ დებრეს თანდასწრებით განა მართებულია ასეთი ლაპარაკი თქვენს სიდედრზე?

— ძალიან გთხოვთ, გრაფო, — შეაჩერა მორსერმა, — წინასწარ ნუ ხმარობთ ამ სიტყვას.

— მაშ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გრაფინია ნამდვილად ასე წინააღმდეგია ამ ქორწინებისა?

— იმდენად წინააღმდეგია, რომ ბარონესა იშვიათად დადის ჩვენთან, დედაჩემი კი — თავის სიცოცხლეში მგონი ორჯერ თუ სამჯერ იყო ქალბატონ დანგლართან.

— ასეთ შემთხვევაში, — უთხრა გრაფმა, — გავთამამდეები და გავზედავ გულახდილად გელაპარაკოთ: ბატონი დანგლარი ჩემი ბანკირია, ბატონმა დე ვილფორმა დიდი მადლობა გადამიხადა იმ სამსახურის სანაცვლოდ, რომელიც მათთვის ბედნიერმა შემთხვევამ გამაწევინა. მე ვგრძნობ, რომ ყოველივე ამას მოჰყვება მთელი ზვავი სადილებისა და რაუტებისა. რათა არ გამოვიდეს, თითქოს ყოველივე ამას ქედმაღლურად უგულუბელვყოფ და თუ გნებავთ, რათა თვითონ დავასწრო სხვებს, მე ვპატიჟებ ჩემს ვილაში ოტელიში ბატონ დანგლარს და ბატონ ვილფორს თავის მეუღლეებთან ერთად. თუ ამ სადილზე თქვენც მოგიწევთ, ისევე როგორც გრაფ და გრაფინია დე მორსერს, ხომ არ დაემსგავსება ეს რაღაც ნიშნობის მსგავს წინა შეხვედრას? ყოველ შემთხვევაში, ასე ხომ არ მოეჩვენება გრაფინია დე მორსერს, მით უმეტეს, თუ ბარონმა დანგლარმა პატივი დამდო და თან თავისი ქალიშვილი მოიყვანა? ამის გამო დედათქვენი შემიჯავრებს, მე კი არავითარ შემთხვევაში არ მსურს ეს მოხდეს, პირიქით, — გთხოვთ, როცა შემთხვევა მოგეცემათ, დაარწმუნოთ, რომ მე ძალიან ვუფრთხილდები მის კარგ შეხედულებას ჩემზე.

— დამიჯერეთ, გრაფო, — უპასუხა მორსერმა, — მადლობას გიხდით ასეთი გულახდილობისათვის და თანახმა ვარ თქვენს სადილს არ დავესწრო. თქვენ ამბობთ, რომ უფრთხილდებით დედაჩემის შეხედულებას, — მას ხომ ძალიან კარგი შეხედულება აქვს თქვენზე.

— თქვენ ასე გგონიათ? — შეეკითხა გრაფი დაინტერესებით.

— ამაში დარწმუნებული ვარ. ჩვენგან რომ წახვედით, მთელი საათი თქვენზე ვსაუბრობდით. მაგრამ ჩვენი საუბრის თემას დავუბრუნდეთ. დედაჩემმა რომ გაიგოს რა ყურადღებას იჩენთ მის მიმართ — მე გავბედავ ვუთხრა ეს ამბავი — დარწმუნებული ვარ, ძალზე მადლიერი დარჩება. თუმცა, სამაგიეროდ მამაჩემი გამმაგდება.

გრაფს გაეცინა.

— აი, — უთხრა მან ალბერს, — ახლა თქვენთვის ცნობილია საქმის არსი. მე მგონია, მარტო მამათქვენი კი არ განრისხდება; ბატონი და ქალბატონი დანგლარები მეტისმეტად უზრდელ კაცად ჩამთვლიან. მათ იციან, რომ ჩვენ უბრალოდ ვხვდებით ერთმანეთს, რომ პარიზში თქვენ ჩემი ყველაზე ძველი ნაცნობი ხართ; და აი, უცებ თქვენ ჩემთან სადილზე არ აღმოჩნდებით; ისინი მკითხავენ, რატომ არ მოგიწვიეთ. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ შეეცადეთ რაღაც სიმართლის მსგავსი მიპატიჟება გამოიგონოთ და ბარათით მაცნობოთ. თქვენ ხომ იცით, ბანკირებისათვის მხოლოდ წერილობით საბუთს აქვს ფასი.

— მე ამაზე უკეთესს გავაკეთებ, ბატონო გრაფო, — უთხრა ალბერმა, — დედაჩემს ზღვის პირას უნდა წასვლა. რომელი დღისათვის არის დანიშნული თქვენი სადილი?

— შაბათისთვის.

— ძალიან კარგი. დღეს სამშაბათია; ჩვენ ხვალ საღამოს გავემგზავრებით, ხოლო ზეგ უკვე ტრეპორში ვიქნებით; იცით რა, გრაფო, თქვენ მხრივ ეს საუცხოო საქციელია, რომ ადამიანებს უხერხულ მდგომარეობაში არ აყენებთ.

— თქვენ უფრო მეტად მაფასებთ, ვიდრე ამისი ღირსი ვარ. მე მინდა თქვენ გასიამოვნოთ, ეს არის და ეს. — უპასუხა გრაფმა.

— როდის დაგზავნეთ თქვენი მოსაწვევი ბარათები?

— დღეს.

— ძალიან კარგი. ახლავე გავიქცევი დანგლართან და ვაცნობებ, რომ ხვალ დედასთან ერთად პარიზს ვტოვებ. მე თქვენ არ მინახავხართ და, რასაკვირველია, არაფერი ვიცი თქვენი სადილის შესახებ.

— გონს მოდით! დაგავიწყდათ დებრე, რომელმაც ეს-ეს არის ჩემთან გნახათ.

— ჰო, მართლა.

— პირიქით, მე თქვენ გნახეთ და აქვე ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე დაგპატიჟეთ. თქვენ კი გულუბრყვილოდ მიპასუხეთ, რომ ვერ იქნებით ჩემი სტუმარი, რადგან ტრეპორში მიემგზავრებით.

— კარგი, ამაზე შევთანხმდით. მაგრამ თქვენ იქნებ გამგზავრებამდე ინახულოთ დედაჩემი.

— მის გამგზავრებამდე ეს ძალიან ძნელი საქმეა, გარდა ამისა, ხელს შევუშლი თქვენ სამზადისს.

— მაშ უკეთესი საქმე გააკეთეთ. აქამდე თქვენ მომხიბლავი ადამიანი იყავით, დაიმსახურეთ ჩვენი თაყვანისცემა.

— რა უნდა გავაკეთო, რომ ამ სრულყოფას მივაღწიო.

— რა უნდა გააკეთოთ?

— დიახ, ამას გეკითხებით.

— დღეს თქვენ ქარივით თავისუფალი ხართ; სადილად ჩვენთან წამობრძანდით. ჩვენ სულ მარტონი ვიქნებით — თქვენ, დედაჩემი და მე. დედაჩემს თქვენ მხოლოდ ოდნავ მოჰკარით თვალი. ახლა მას უფრო ახლოს გაიცნობთ. ის საოცარი ქალია, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ამქვეყნად არ არსებობს მეორე მისი მსგავსი, რომელიც ოცი წლით მასზე ახალგაზრდა იყოს. ძალიან მალე, გრაფინია დე მორსერის გარდა,

გაჩნდებოდა ვიკონტესა დე მორსერიც. რაც შეეხება მამაჩემს, მას თქვენ ვერ ნახავთ; დღეს კომისია აქვს და დიდ რეფერენდართან სადილობს. წავიდეთ, მოგზაურობაზე ვისაუბროთ. თქვენ მთელი ქვეყნიერება მოგივლიათ, მოგვიყევით თქვენი თავგადასავალი, მოგვიყევით იმ მზეთუნახავი ბერძენი ქალის ისტორია, რომელიც თქვენთან ერთად ოპერაში იყო, და რომელსაც მონას უწოდებთ, მაგრამ მეფის ასულივით კი ექცევით. ჩვენ ვილაპარაკებთ იტალიურად, ესპანურად. დამეთანხმეთ, დედაჩემი მადლობელი დაგრჩებათ.

— დიდად მადლობელი ვარ, ვიკონტე, — უთხრა გრაფმა, — თქვენი წინადადება ძალზე მომხიბვლელია; ვწუხვარ, რომ ვერ ვღებულობ. ტყუილად ფიქრობთ, რომ თავისუფალი ვარ; პირიქით, მე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს დანიშნული.

— ფრთხილად, ბატონო გრაფო, თქვენ ეს ეს არის მასწავლეთ, როგორ ავიცილო თავიდან არასასიამოვნო სადილი. მე საბუთი მჭირდება. საბედნიეროდ, დანგლარივით ბანკირი არა ვარ, მაგრამ გაფრთხილებთ, ისეთივე ეჭვიანი ვარ, როგორც იგი.

— კარგი, მე თქვენ მოგცემთ საბუთს, — თქვა გრაფმა და დარეკა.

— უკვე მეორედ ამბობთ უარს დედაჩემთან სადილობაზე, გეტყობათ მტკიცე გადაწყვეტილება გაქვთ მიღებული, — უთხრა მორსერმა.

მონტე-კრისტო შეკრთა.

— იმედი მაქვს, ასე არ ფიქრობთ, — თქვა მან, — ჰო, მართლა, აი ჩემი საბუთიც. ოთახში ბაპტისენი შემოვიდა და კართან გაჩერდა.

— მე ხომ გაფრთხილებული არ ვიყავი, რომ თქვენ მოხვიდოდით? ასეა ხომ?

— როგორ ვთქვა, თქვენ ისეთი არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ, რომ ვერ დავიფიცავ.

— ყოველ შემთხვევაში იმას მაინც ხომ ვერ განვსაზღვრავდი, რომ სადილად დამპატიყებდით.

— ჰო, ეს ყოველ შემთხვევაში, მართალია.

— ძალიან კარგი. მისმინეთ, ბაპტისენ, დღეს დილით, როდესაც კაბინეტში დაგიძახეთ, რა გითხარით?

— ხუთი საათის შემდეგ თქვენს ბრწყინვალეობასთან არავინ შემოვუშვა.

— შემდეგ?

— ბატონო გრაფო... — დაიწყო ალბერმა.

— არა, ძვირფასო ვიკონტე, მე მინდა თავიდან მოვიშორო ის საიდუმლოების რეკუტაცია, რომელიც მე თქვენ შემიქმენით. ძნელია მუდამ მანფრედის როლში გამოსვლა! მე მინდა ყველას დასანახავად ვცხოვრობდე. შემდეგ?.. განაგრძეთ, ბაპტისენ.

— შემდეგ მიგველო მხოლოდ მაიორი ბარტოლომეო კავალკანტი თავის ვაჟიშვილთან ერთად.

— ხომ გესმით, აიორი ბარტოლომეო კავალკანტი, იტალიის ერთ-ერთი უძველესი გვარის თავადი, რომლის გენეალოგიით დაინტერესება ინება თვით დანტემ... როგორც გახსოვთ, და შეიძლება არც გახსოდეთ, «ჯოჯოხეთის» მეათე ქებაში; გარდა ამისა, მისი ვაჟიშვილი დაახლოებით თქვენი ასაკის მომხიბვლელი ყმაწვილი კაცია, ვიკონტე, და იმავე ტიტულს ატარებს. პარიზის საზოგადოებაში ის შემოდის თავისი მამის მილიონების იმედით. მაიორი დღეს ჩემთან მოიყვანს თავის ვაჟიშვილს ანდრეას — კონტინოს, როგორც ამას ჩვენს იტალიაში ამბობენ. ის მას მანდობს, და თუ ამის ღირსია, წინ წავწევ. თქვენ ხომ მომეხმარებით?

— რასაკვირველია! მაშ ის მაიორი კავალკანტი თქვენი ძველი მეგობარია? —
ჰკითხა ალბერმა!

— არავითარ შემთხვევაში! ის ძალიან ღირსეული ბატონია; თავაზიანი, თავმდაბალი, მორიდებული, ასეთები იტალიაში ძალიან ბევრია; ისინი ძველი გვარის შთამომავლები არიან. რამდენჯერმე შევხვედრივარ ფლორენციაში, ბოლონიაში თუ ლუკაში; მაცნობა თავისი ჩამოსვლა პარიზში. მგზავრობაში გაცნობილი ხალხი ძალზე მომთხოვნია: თქვენგან ყოველთვის ელიან იმ მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც ერთხელ შემთხვევით მათ მიმართ გამოიჩინეთ, თითქოს კულტურულ ადამიანს, რომელსაც ყველასთან განურჩევლად შეუძლია გაატაროს სასიამოვნო დრო, ფარული მოტივები არა ჰქონდეს. კეთილ მაიორ კავალკანტის უნდა ხელახლა შეხედოს პარიზს, რომელიც მან მხოლოდ გზად ნახა, იმპერიის დროს, როდესაც მოსკოვში თავის გასაყინავად მიემგზავრებოდა. მე კარგი სადილით გავუმასპინძლდები; ის თავის ვაჟიშვილს დამიტოვებს. დავპირდები, მივხედავ და მივცემ საშუალებას ისე გაერთოს, როგორც მოესურვება-მეთქი და ჩვენ ბარიბარში ვიქნებით.

— საუცხოოა, — თქვა ალბერმა, — ვხედავ, თქვენ დაუფასებელი მენტორი ხართ. მაშ ასე, ნახვამდის; ჩვენ კვირას დავბრუნდებით. ჰო, მართლა, ფრანცის წერილი მივიღე.

— მართლა! — თქვა მონტე-კრისტომ, — ის კვლავ კმაყოფილია იტალიით?

— ვგონებ ასეა. თუმცა სწუხს, რომ თქვენ იქ არა ხართ... იწერება, რომ თქვენ რომის მზე იყავით და უთქვენოდ იქ ღრუბლიანი ამინდია. ვერ ვიტყვი, ამტკიცებს თუ არა, რომ იქ წვიმებია.

— მაშ თქვენს მეგობარს ფრანცს ჩემზე შეხედულება შეუცვლია?

— პირიქით, განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ თქვენ ფანტასტიკური პიროვნება ხართ; აი, სწორედ ამიტომ წყდება გული, რომ იქ არა ხართ.

— მომხიბვლელი ყმაწვილი კაცია! — თქვა მონტე-კრისტომ, — მისდამი მხურვალე სიმპათიით განვეწყე ჩვენი გაცნობის პირველსავე საღამოს, როდესაც ის ვახშმის ძებნაში იყო და სიამოვნებით დათანხმდა ჩემთან ევახშმა. თუ არ ვცდები, ის გენერალ დ'ეპინეს ვაჟია.

— დიახ.

— სწორედ ის, რომელიც ასე ვერაგულად მოჰკლეს ათას რვაას თხუთმეტ წელს?

— დიახ, ბონაპარტისტებმა.

— ჰო, ჰო, სწორედ ასეა! მართალი გითხრათ, ძალიან მომწონს. იმასაც ხომ არ უპირებენ დაქორწინებას?

— დიახ, ის ჯვარს იწერს მადმუაზელ ვილფორზე.

— გადაწყვეტილია?

— ისევე, როგორც ჩემი ჯვარისწერა მადმუაზელ დანგლარზე. — უპასუხა სიცილით ალბერმა.

— თქვენ იცინით?..

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი ფიქრით, ამ ქორწინებაშიც ისეთივე ორმხრივი სიმპათიაა, როგორც ჩემსა და მადმუაზელ დანგლარს შორის. მაგრამ, სიმართლე ვთქვათ, ძვირფასო გრაფო, ჩვენ ისე ვჭორობთ ქალებზე, როგორც ქალები — მამაკაცებზე; ეს არ გვეპატიება.

ალბერი წამოდგა.

— თქვენ უკვე მიდიხართ?

— ეს მეტისმეტად თავაზიანი შეკითხვაა. უკვე ორი საათია თავს გაბეზრებთ და თქვენ კიდევ იმდენ თავაზიანობას იჩენთ, რომ მეკითხებით მივდივარ თუ არა. ჭეშმარიტად, გრაფო, ამქვეყნად თქვენ ყველაზე თავაზიანი ადამიანი ხართ. და რა გაწვრთნილები არიან თქვენი მსახურები. განსაკუთრებით ბაპტისენი. არასოდეს შემხვედრია ასეთი. ჩემი მსახურები ყოველთვის თითქოს ბაძავენ საფრანგეთის თეატრის მსახურებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი სიტყვა აქვთ სათქმელი და ამისათვის ყოველთვის რამპასთან მიდიან. თუ ბაპტისენს ოდესმე გამოეთხოვებით, მე დამითმეთ.

— შევთანხმდით, ვიკონტ.

— მომითმინეთ, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. გადაეცით ჩემი მოკრძალებული სალამი თქვენს თავმდაბალ სენიორ კავალკანტე — დეი კავალკანტის, რომელიც ლუკიდან ჩამოდის. და თუ ის შემთხვევით, წინააღმდეგი არ იქნება თავის ვაჟიშვილს ჯვარი დასწეროს, მოუძებნეთ საცოლე ძალზე მდიდარი, კეთილშობილური გვარის დედიდან, და ბარონესა — მამიდან. მე თქვენ ამაში დაგეხმარებით.

— რაო, რაო! — წამოიძახა მონტე-კრისტომ, — ნუთუ ასეა საქმე?

— დიახ.

— გულს ნუ გაიტეხთ, ვინ იცის, რა მოხდება.

— ოჰ, გრაფო! — შეჰყვირა მორსერმა, — რა დიდ სამსახურს გამიწევდით, და ასჯერ კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებდით, თუ თქვენი წყალობით უცოლოდ დავრჩები, თუნდაც ათიოდე წელიწადი.

— ყველაფერი შესაძლებელია, — უპასუხა სერიოზულად მონტე-კრისტომ. როდესაც ალბერს გამოეთხოვა, თავისთან დაბრუნდა და სამჯერ დარეკა.

შემოვიდა ბერტუჩო.

— ბერტუჩო, — უთხრა მან, — შაბათს მე სტუმრებს ვღებულობ ჩემს ქალაქგარეთა სახლში ოტეილში.

ბერტუჩო ოდნავ შეკრთა.

— გისმენთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, — თქვა მან.

— თქვენ აუცილებლად მჭირდებით, — განაგრძო გრაფმა, — რომ ყველაფერი ჯეროვნად მოეწყოს. ის სახლი ძალიან ლამაზია, ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ლამაზი გახდეს.

— ამისათვის საჭიროა მთლიანად განახლდეს, თქვენო ბრწყინვალეზავ. შპალერი სულ მოძველებულია.

— ყველგან შეცვალეთ, საწოლი ოთახის გარდა, რომელსაც წითელი აბრეშუმი აქვს გადაკრული; ამ ოთახს ისე დატოვებთ, როგორც არის.

ბერტუჩომ თავი დაუკრა.

— ასევე ხელი არ ახლოთ ბაღს. სამაგიეროდ ეზოში, რაც გინდათ ის გააკეთეთ; მესიამოვნებოდა, კიდევაც თუ მას ვერ იცნობენ.

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩეთ, მაგრამ უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი, თუ თქვენი ბრწყინვალეზავ სადილის შესახებ განკარგულების მიცემას ინებებდა.

— მართლა, ძვირფასო ბერტუჩო, — უთხრა გრაფმა, — მას შემდეგ, რაც პარიზში იმყოფებით, რაღაც უცხოეთში ჩავარდნილ ადამიანს გავხართ და ექვებით სავსე ხართ. როგორ, ჩემი ნათქვამი აღარ გესმით?

— იქნებ თქვენმა ბრწყინვალეზავმ მითხრას, ვის პატიჟებს.

— ჯერ მე თვითონაც არ ვიცი, და არც თქვენ გჭირდებათ მაგის ცოდნა. ლუკული სადილობს ლუკულთან, ეს არის და ეს.

ბერტუჩომ თავი დაუკრა და გავიდა.

თავი XVII

მაიორი კავალკანტი

არც გრაფი, არც ბაპტისენი არ ტყუოდნენ, როდესაც მორსერს აცნობეს ლუკიდან ჩამოსული მაიორის ვიზიტი, რის გამოც მონტე-კრისტომ უარი თქვა სადილად მიპატიჟებაზე.

ის იყო საათმა შვიდი დაჰკრა და ორი საათი გავიდა, რაც ბერტუჩო გრაფის ბრძანების თანახმად ოტეილში გაემგზავრა, როდესაც კარებთან გაჩერდა ეტლი, საიდანაც ორმოცდათორმეტი წლის მამაკაცი გადმოვიდა; შემდეგ ეტლი, თითქოს დარცხვენილი, სწრაფად გაეცალა იქაურობას. ამ მამაკაცს ეცვა მწვანე შავზონრებიანი ბრანდენბურგული სერთუკი, რომელიც ევროპაში, ალბათ, არასოდეს გაქრება; ლურჯი მაუდის განიერი შარვალი, ჯერ კიდევ ახალი, მაგრამ რამდენადმე უფერული, სქელლანჩებიანი ჩექმები, ნატის ხელთათმანები, ჟანდარმის თავსაბურავის მსგავსი ქუდი. მის თეთრ ნაწიბურიან შავ საყელოს ძაღლის საყელურად მიიჩნევდით, თუ პატრონს თავისი სურვილით არ ჰქონოდა გაკეთებული. ამ მხატვრულ კოსტიუმში გამოწყობილი პიროვნება ჭიმკართან მივიდა, ზარი დარეკა და იკითხა, ელისეს მინდვრების ავენიუს¹³⁰ სახლში ცხოვრობდა თუ არა გრაფი მონტე-კრისტო, როდესაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, შიგ შევიდა, კარი მიიხურა და პარმალისაკენ გასწია.

ბაპტისენი, რომელმაც წინასწარ აღწერით უკვე იცოდა სტუმრის გარეგნობა, ვესტიბიულში ელოდა. მან მაშინვე იცნო იგი პატარა, კუთხოვანი თავით, ჭადარაშერეული თმებით და ხშირი, თეთრი უღვაშებით. მოსულმა ვერც კი მოასწრო თავისი ვინაობა გაემხილა მარჯვე კამერდინერისათვის, რომ გრაფ მონტე-კრისტოს უკვე აცნობეს მისი მოსვლა.

უცხოელი ყველაზე უბრალოდ მოწყობილ სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. გრაფი უკვე ელოდა აქ და ღიმილით შეეგება.

— ძვირფასო მაიორო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მე თქვენ გელოდით.

— მართლა? — ჰკითხა ლუკიდან მოსულმა, — თქვენი ბრწყინვალეობა მელოდა?

— დიახ, მე გაფრთხილებული ვიყავი, რომ დღეს შვიდ საათზე მოხვიდოდით.

— რომ მე თქვენთან მოვიდოდი? გაფრთხილებული იყავით?

— დიახ.

— მით უკეთესი! უნდა გამოგიტყდეთ, ვშიშობდი, ვაითუ ეს სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს-მეთქი.

— რომელი?

— რომ თქვენ გაეფრთხილებინეთ.

— ოჰ, არა!

— მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით?

— დარწმუნებული ვარ.

— თქვენი ბრწყინვალეობა დღეს შვიდ საათზე ნამდვილად მე მელოდა?

— დიახ, თქვენ. თუმცა შევამოწმეთ.

— არა, თუ მე მელოდით, მაშინ არა ღირს, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა.

— რატომ არა, რატომ არა? — თქვა მონტე-კრისტომ.

ლუკიდან ჩამოსულს ოდნავი შეშფოთება დაეტყო.

— მოისმინეთ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — თქვენ ხომ მარკიზ ბარტოლომეო კავალკანტი ხართ?

— ბარტოლომეო კავალკანტი. — სიხარულით გაიმეორა ლუკიდან ჩამოსულმა, — ნამდვილად ასეა.

— ავსტრიის არმიის ყოფილი მაიორი?

— განა მე მაიორი ვიყავი? — იკითხა მორცხვად ძველმა მეომარმა.

— დიახ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — თქვენ მაიორი იყავით, ასე ეძახიან საფრანგეთში იმ ჩინს, რომელსაც თქვენ იტალიაში ატარებდით.

— კარგი, — უპასუხა ლუკიდან ჩამოსულმა, — ჩემთვის, ხომ გესმით, სულ ერთია...

— თუმცა, თქვენ აქ საკუთარი გულისწადილით არ ჩამოსულხართ, — დაიწყო მონტე-კრისტომ.

— ჰო, რასაკვირველია.

— თქვენ ჩემთან გამოგზავნეს.

— დიახ.

— კეთილმა აბატმა ბუზონიმ?

— დიახ, დიახ, — შეჰყვირა გახარებულმა მაიორმა.

— თან წერილიცა გაქვთ?

— ინებეთ.

— ეშმაკმა დალახვროს, მომეცით, რაღას უცდით.

მონტე-კრისტომ წერილი გამოართვა, გახსნა და წაიკითხა. მაიორი გრაფს გაკვირვებული ფართო თვალებით შეჰყურებდა; ხან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ოთახს და ისევ უცვლელად მის მფლობელზე გადადიოდა.

— დიახ, ასეა... აბატი იწერება: «მაიორ კავალკანტი, ლუკის ღირსეული პატრიცი, ფლორენციელი კავალკანტების შთამომავალი, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — რომლის წლიური შემოსავალი ნახევარი მილიონია»...

მონტე-კრისტომ წერილს თვალი მოაშორა და მაიორს თავი დაუკრა.

— ნახევარი მილიონი! — თქვა მან, ეშმაკმა დალახვროს, ძვირფასო ბატონო კავალკანტი!

— განა იქ ნახევარი მილიონი წერია? — ჰკითხა ლუკიდან ჩამოსულმა.

— დიახ... შავით თეთრზე; ალბათ ასეცაა; აბატი ბუზონი ყველაზე კარგად იცნობს ევროპის დიდ სიმდიდრეებს.

— კარგი, ნახევარი მილიონი იყო, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა, — მაგრამ, ღმერთმანი, არ მეგონა, რომ ასეთი დიდი ციფრი იქნებოდა.

— იმიტომ, რომ საქმეთა მმართველი გქურდავთ; რას გააწყობთ, ძვირფასო ბატონო კავალკანტი, ეს ჩვენი საერთო ხვედრია.

— თქვენ მე თვალები ამიხილეთ, — სერიოზულად შენიშნა ლუკიდან ჩამოსულმა, — გავაგდებ იმ სამაგელს.

მონტე-კრისტომ განაგრძო:

— «ბედნიერებისათვის მას მხოლოდ ერთი რამ აკლია».

— ღმერთო ჩემო, დიახ, მხოლოდ ერთი რამ! — თქვა ოხვრით ლუკიდან ჩამოსულმა.

— «იპოვოს სათაყვანო ვაჟიშვილი».

— სათაყვანო ვაჟიშვილი!

— «რომელიც ბავშვობაში მოიტაცეს მისი კეთილშობილი ოჯახის მტრებმა თუ ბოშებმა».

— ხუთი წლის ასაკში, — თქვა მძიმე ოხვრით ლუკიდან ჩამოსულმა და თვალები ზეცას ალაპყრო.

— უბედური მამა! — თქვა მონტე-კრისტომ. შემდეგ კითხვა განაგრძო:

— «ბატონო გრაფო, მე მას ვაცნობე, რომ თქვენ შეგიძლიათ აპოვნინოთ ვაჟიშვილი, რომელსაც ამაოდ ეძებს თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამით მას დავუბრუნე იმედი, დავუბრუნე სიცოცხლე».

ლუკიდან ჩამოსულმა მონტე-კრისტოს რაღაც ბუნდოვანი შეშფოთებით შეხედა.

— შეიძლება გაპოვნინონთ, — უთხრა მონტე-კრისტომ.

მაიორი გაიჭიმა.

— მაშასადამე, წერილი თავიდან ბოლომდე მართალი გამოდგა?

— ნუთუ თქვენ ამაში ეჭვი გეპარებოდათ, ძვირფასო ბატონო ბარტოლომეო?

— არა, არა; არც ერთი წუთით! რას ბრძანებთ! ისეთი სერიოზული ადამიანი, სასულიერო ხარისხის მქონე, როგორცაა აბატი ბუზონი, ასეთ ხუმრობას არ იკადრებდა; მაგრამ ყველაფერი არ წაგიკითხავთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ.

— ჰო, მართალი ხართ, არის კიდევ მინაწერი, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— დიახ, — გაიმეორა ლუკიდან ჩამოსულმა. — დიახ... მინაწერი...

— «რათა მაიორი კავალკანტი ერთი ბანკიდან მეორეში ფულის გადაგზავნით არ შეწყუბდეს, სამგზავრო ხარჯებისათვის ვუგზავნი ორი ათას ფრანკის ქვითარს და თქვენს სახელზე კრედიტს ორმოცდარვა ათას ფრანკს, რომელიც თქვენ ჩემი გმართებთ».

მაიორი შეშფოთებული ადევნებდა თვალს ამ მინაწერის კითხვას.

— მაშ ასე, — თქვა მონტე-კრისტომ.

— მან მითხრა, — ჩაიჩურჩულა ლუკიდან ჩამოსულმა. — ასე. რომ... გრაფი... — განაგრძო მან.

— რა? — შეეკითხა მონტე-კრისტო.

— რომ მინაწერი...

— რა მინაწერი?

— ამასაც ისევე შეწყნარებით ღებულობთ, როგორც მთელ წერილს?

— რასაკვირველია. მე და აბატი ბუზონის ჩვენი ანგარიშები გვაქვს. სწორედ არ მახსოვს, ზუსტად ორმოცდარვა ათასი ფრანკი მმართველს თუ არა, მაგრამ რამდენიმე ამა თუ იმ მხარეს გადაყოლილი ზედმეტი ასიგნაცია ჩვენ არ გვაწუხებს. როგორ, ძვირფასო ბატონო კავალკანტი, თქვენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ამ მინაწერს?

— გამოგიტყდებით, — უპასუხა ლუკიდან ჩამოსულმა, — რომ მთლიანად მივენდე აბატი ბუზონის ხელმოწერას და სხვა ფული არ მომიმარაგებია. ამიტომ, იმედი ამ თანხაზე რომ არ გამმართლებოდა, პარიზში ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდი.

— განა თქვენისთანა კაცი, შესაძლოა სადმე გაჭირვებაში ჩავარდეს? — უთხრა მონტე-კრისტომ.

— თუ არავის იცნობ — შენიშნა ლუკიდან ჩამოსულმა.

— სამაგიეროდ თქვენ გიცნობენ.

— დიახ, მე მიცნობენ; ასე რომ...

— დაამთავრეთ წინადადება, ძვირფასო ბატონო კავალკანტი.

— ასე რომ თქვენ გადმომცემთ ორმოცდარვა ათას ლივრს.

— პირველი მოთხოვნისთანავე.

გაკვირვებისაგან მაიორმა თვალები დააჭყიტა.

— დაბრძანდით, ბატონო, — უთხრა მონტე-კრისტომ. — მართალი გითხრათ, არ ვიცი რა მომივიდა... თხუთმეტი წუთია ფეხზე გაგაჩერეთ.

— არა უშავს.

მაიორმა სავარძელი გამოსწია და ჩაჯდა.

— ხომ არ ინებებთ, — ჰკითხა გრაფმა, — ჭიქა ხერესს, პორტვეინს ან ალიკანტეს?

— ალიკანტე იყოს; ეს ჩემი საყვარელი ღვინოა.

— საუკეთესო ღვინო მაქვს. ბისკვიტიც, არა?

— კარგი, ბისკვიტი იყოს, რაკი მაძალებთ.

მონტე-კრისტომ დარეკა. შემოვიდა ბაპტისენი.

გრაფი მიუახლოვდა.

— რას იტყვი?.. — ჰკითხა მან ჩუმიად.

— ყმაწვილი კაცი უკვე აქ არის, უპასუხა ასევე ჩუმიად კამერდინერმა.

— ძალიან კარგი, სად შეიყვანეთ?

— თქვენი ბრძანების თანახმად, ლურჯ სასტუმროში.

— საუცხოოა, მოიტანეთ ერთი ბოთლი ალიკანტე და ბისკვიტი.

ბაპტისენი გავიდა.

— მართალი გითხრათ, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ, რომ ასე გაწუხებთ, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა.

— რას ბრძანებთ! — უპასუხა მონტე-კრისტომ.

ბაპტისენი დაბრუნდა და თან ღვინით სავსე ბოთლი, ჭიქები და ბისკვიტი შემოიტანა.

გრაფმა ერთი ჭიქა აავსო, ხოლო მეორეში ჩაასხა რამდენიმე წვეთი იმ თხევადი ლალისა, რომელიც ბოთლში იყო. ბოთლს ეხვია ობობას ქსელი და სხვა რაღაცა მისი მსგავსი, რაც უფრო დამაჯერებლად მეტყველებდა ღვინის სიძველეზე, ვიდრე ნაოჭები — ადამიანის წლოვანებაზე.

მაიორი არჩევანში არ შემცდარა: მან აიღო სავსე ჭიქა და ბისკვიტი.

გრაფმა ბაპტისენს უბრძანა ლანგარი სტუმართან ახლოს დაედგა; ამ უკანასკნელმა ჯერ მოსვა ღვინო, შემდეგ სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა და ბისკვიტი ჭიქაში ფრთხილად დაასველა.

— მაშ ასე, ბატონო ჩემო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — თქვენ ცხვრობდით ლუკში, იყავით მდიდარი, კეთილშობილი, საერთო პატივისცემით სარგებლობდით, ყველაფერი გქონდათ იმისათვის, რომ ბედნიერი ყოფილიყავით.

— ყველაფერი, თქვენო ბრწყინვალეზავ, — უპასუხა მაიორმა და ბისკვიტი გადაყლაპა, — ნამდვილად ყველაფერი.

— თქვენს ბედნიერებას მხოლოდ ერთი რამ აკლდა?

— მხოლოდ ერთი რამ, — უპასუხა ლუკიდან ჩამოსულმა.

— გეპოვათ თქვენი ვაჟიშვილი?

— ეჰ, — თქვა საპატიო მაიორმა და მეორე ბისკვიტი აიღო, — ის ძალიან მაკლდა. მან თვალები ცისკენ ალაპყრო და შეეცადა ამოეოხრა.

— ახლა მითხარით, ძვირფასო ბატონო კავალკანტი, — უთხრა მონტე-კრისტომ, — ეს სადაური ვაჟიშვილია, რომელზედაც თქვენ ასე სწუხხართ? მე მითხრეს, რომ თქვენ უცოლო ხართ.

— ყველას ასე ეგონა, — უთხრა მაიორმა, — თვით მეც...

— ჰო, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — და თქვენ არ უარყოფდით ამ ხმებს: — ახალგაზრდობის ცოდვა, რომელიც გინდოდათ ხალხის თვალში დაგეფარათ.

ლუკიდან ჩამოსული სავარძელში გაიჭიმა, შემდეგ რაც შეიძლებოდა დამშვიდებული და ღირსეული სახე მიიღო, თან თვალები დახარა ან იმიტომ, რომ თავი უფრო დარწმუნებულად ეგრძნო, ან იმიტომ, რომ თავის წარმოდგენას მიშველებოდა; ამავე დროს ქვეშ-ქვეშ გადახედავდა ხოლმე გრაფს, რომლის სახეზე შერჩენილი ღიმილი კვლავ კეთილ განწყობილ ცნობისმოყვარეობაზე მეტყველებდა.

— დიახ, ბატონო, მინდოდა დამემალა ეს შეცდომა.

— თქვენი გულისთვის არა, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მამაკაცებს ეს ცოდვად არ ეთვლებათ.

— რასაკვირველია, ჩემი გულისთვის არა, — უპასუხა მაიორმა ღიმილით და თავის ქნევით.

— მისი დედის გამო, — თქვა გრაფმა.

— მისი დედის გამო! — შეჰყვირა ლუკიდან ჩამოსულმა და ახლა მესამე ბისკვიტის ჭამა დაიწყო, — მისი საწყალი დედის გამო.

— დალიეთ, ჩემო ძვირფასო ბატონო კავალკანტი, — უთხრა მონტე-კრისტომ და ჭიქა მეორედ შეუვსო ალიკანტეს ღვინით, — მღელვარება სულს გიხუთავთ.

— მისი საწყალი დედის გამო, — ჩაიბურტყუნა ლუკიდან ჩამოსულმა, რომელიც ცდილობდა ძალა დაეტანებინა საცრემლე ჯირკვალზე, რათა თვალები ყალბი ცრემლით დაენამა.

— რამდენადაც მახსოვს, ის იტალიის ერთ-ერთი დიდებული ოჯახიდან იყო.

— პატრიცის ქალიშვილი ფიეზოლედან, ბატონო გრაფო, პატრიცის ქალიშვილი ფიეზოლედან.

— მას ერქვა...

— თქვენ მისი სახელის გაგება გსურთ?

— ღმერთო ჩემო, შეგიძლიათ არ მითხრათ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — ჩემთვის იგი ცნობილია.

— თქვენი ბრწყინვალეებისათვის ყველაფერი ცნობილია, — უპასუხა თავის დაკვრით ლუკიდან ჩამოსულმა.

— ოლივა კორსინარი, ხომ ასეა?

— ოლივა კორსინარი.

— მარკიზა?

— მარკიზა!

— და მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, თქვენ მაინც ითხოვეთ იგი?

— დიახ, ბოლოს როგორც იქნა.

— თქვენ თან ჩამოიტანეთ ყველა საჭირო დოკუმენტი? — განაგრძო მონტე-კრისტომ.

— რა დოკუმენტი? — ჰკითხა ლუკიდან ჩამოსულმა.

— ქორწინების ქალაღი და ვაჟიშვილის დაბადების მოწმობა.

— ბავშვის დაბადების მოწმობა?

— თქვენი ვაჟიშვილის ანდრეა კავალკანტის დაბადების მოწმობა, განა მას ანდრეა არ ჰქვია?

— ვგონებ ასეა, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა.

— როგორ თუ ვგონებ? — იცით რა, მაგის მტკიცებას ვერ გავბედავ, ის უკვე კარგა ხანია დაკარგულია.

— თქვენ მართალი ხართ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მაგრამ საბუთები თანა გაქვთ?

— მწუხარებით უნდა გაუწყოთ, რომ გაფრთხილებული არ ვყოფილვარ ეს საბუთები მომემარაგებინა და ამიტომ თავი არ შემიწუხებია მათი წამოღებით.

— ეშმაკმა დალაზვროს, — თქვა მონტე-კრისტომ.

— განა ისინი ასე საჭიროა?

— აუცილებელია!

ლუკიდან ჩამოსულმა შუბლი მოიფხანა.

— ოჰ, per Bacco!¹ (1 ვფიცავარ ბახუსს! (იტალ.).) — თქვა მან, — აუცილებელი!

— რასაკვირველია; აქ რომ ვინმეს ეჭვი დაებადოს ნამდვილია თუ არა თქვენი ქორწინება, კანონიერია თუ არა თქვენი ვაჟიშვილის დაბადება!

— თქვენ მართალი ბრძანდებით, შეიძლება ვინმე დაეჭვდეს.

— თქვენ ვაჟიშვილს არასასიამოვნოდ დარჩებოდა.

— ეს იმისათვის საბედისწერო იქნებოდა.

— ამის გამო მან შეიძლება დაკარგოს მშვენიერი საცოლე;

— O, peccato!² (2 რა სამწუხაროა! (იტალ.).)

— საფრანგეთში, ხომ გესმით, ამას მკაცრად უყურებენ. ეს, იტალია როდია, აქ არ შეიძლება მღვდელთან მიხვიდე და უთხრა: «ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ჯვარი დაგვწერე». საფრანგეთში სამოქალაქო ქორწინებაა დადგენილი, ხოლო სამოქალაქო ქორწინებისათვის საჭიროა პიროვნების ვინაობის დამამტკიცებელი საბუთები.

— აი უბედურება, მე ეს საბუთები არა მაქვს.

— საბედნიეროდ, მე მაქვს ისინი. — უთხრა მონტე-კრისტომ.

— თქვენ?

— დიახ.

— თქვენ ისინი გაქვთ?

— დიახ, მაქვს.

ლუკიდან ჩამოსულმა დაინახა, რომ ამ საბუთების უქონლობა მის მოგზაურობას ყოველივე აზრს უკარგავდა, შეეშინდა ამ მდგომარეობას სიძნელეები არ გამოეწვია ორმოცდარვა ათასი ფრანკის საკითხში. — ეს კი ნამდვილად ბედნიერებაა, — თქვა მან, — დიახ, ეს ნამდვილად ბედნიერებაა. მე ხომ ამაზე არც მიფიქრია.

— ღმერთო ჩემო, მჯერა. ყველაფერზე ხომ ვერ იფიქრებს ადამიანი. მაგრამ თქვენდა საბედნიეროდ აბატი ბუზონიმ იფიქრა ამ საკითხზე.

— ძვირფასი აბატი!

— წინდახედული კაცია.

— შესანიშნავი ადამიანია, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა, — მან გადმოგიგზავნათ ისინი?

— აი, საბუთები.

ლუკიდან ჩამოსულმა აღფრთოვანების ნიშნად გულზე ხელები მიიღო.

— ოლივა კორსინარზე თქვენ ჯვარი დაგიწერიათ მონტე-კატინში წმინდა პავლეს ეკლესიაში; აი მღვდლის ცნობა.

— დიახ. ნადვილად ეს არის, — თქვა მაიორმა და გაკვირვებულმა ქალაღებს დაუწყო სინჯვა.

— აი, ანდრეა კავალკანტის ნათლობის მოწმობა, რომელიც მღვდელს სარავეცში გაუცია.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მაიორმა.

— მაშ, აიღეთ ეს ქალაღები, მე არ მჭირდება; მიეცით თქვენს ვაჟიშვილს, ის კარგად შეინახავს.

— ეჭვი არაა... მას რომ ისინი დაეკარგა...

— დიახ... რა მოხდებოდა მას რომ ისინი დაეკარგა? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— მაშინ იძულებული ვიქნებოდი იქ მიმეწერა, ახლის მიღებას კი დიდი დრო დასჭირდებოდა.

— დიახ, ეს მართლაც ძნელი იქნებოდა, — თქვა მონტე-კრისტომ.

— თითქმის შეუძლებელი, — უპასუხა ლუკიდან ჩამოსულმა.

— მოხარული ვარ, რომ გესმით ამ საბუთების ფასი.

— მე ვთვლი, რომ ისინი დაუფასებელია.

— ახლა, — თქვა მონტე-კრისტომ, — რაც შეეხება ყმაწვილი კაცის დედას...

— რაც შეეხება მარკიზა კორსინარის...

— ღმერთო ჩემო! — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა, რომლის გზაზე სულ ახალ-ახალი წინააღმდეგობანი იხატებოდა, — ნუთუ ისიც დაგვჭირდება?

— არა, — თქვა მონტე-კრისტომ, — თუმცა ის ხომ...

— დიახ, დიახ... ის...

— მან ხომ თავისი ვალი მოიხადა ბუნების წინაშე.

— დიახ, — ჩაეჭიდა მის სიტყვებს ლუკიდან ჩამოსული.

— მე ეს ვიცოდი, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — უკვე ათი წელია, რაც გარდაიცვალა.

— მე ჯერ კიდევ დავტირი მას. — თქვა მაიორმა. ჯიბიდან უჯრედებიანი ცხვირსახოცი ამოიღო, და ჯერ მარცხენა თვალი ამოიწმინდა, მერე მარჯვენა.

— რა გაეწყობა, — თქვა მონტე-კრისტომ, — ჩვენ ყველა სიკვდილის შვილები ვართ. ახლა თქვენ გესმით, ძვირფასო ბატონო კავალკანტი, რომ საფრანგეთში საჭირო არ არის იმისი ცოდნა, რომ თქვენ თხუთმეტი წელია შვილს დამორებული ხართ, ბოშების ისტორია, რომლებიც ბავშვებს იტაცებენ, ჩვენთან მოდამი არ არის. თქვენ ზრდიდით პროვინციის კოლეჟში და ახლა გსურთ მისი განათლება სრულყოფამდე აიყვანოთ პარიზის მაღალ საზოგადოებაში. ამიტომ დატოვეთ ვია-რეჯო, სადაც თქვენი ცოლის სიკვდილის შემდეგ ცხოვრობდით. ეს სავსებით საკმარისი იქნება.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია.

— მაშ ყველაფერი რიგზეა.

— თუ ვინმე გაიგებს ამ განშორების შესახებ...

— მაშინ რა უნდა ვთქვა?

— რომ ორგულმა აღმზრდელმა თქვენი ოჯახის მტრებს მიჰყიდა...

— ესე იგი, კორსინარებმა?

— რასაკვირველია, — გაიტაცეს ბავშვი, რათა თქვენი გვარი გამქრალიყო.

— სწორია, ის ხომ ერთადერთი ვაჟი იყო.

— ახლა კი, როდესაც ყველაფერზე შევთანხმდით, განაახლეთ თქვენი მოგონებები: ისინი უკვე აღარ გიმტყუნებენ, უეჭველია ხვდებით, რომ სიურპრიზი მოგიმზადდეთ.

— სასიამოვნო? — ჰკითხა ლუკიდან ჩამოსულმა.

— ვხედავ, — თქვა მონტე-კრისტომ, — რომ მამის თვალი და გული არ ტყუვდება.

— ჰმ, — ჩაიბურტყუნა მაიორმა.

— ვინმემ საიდუმლოება გათქვა, უფრო სწორად, მიხვდით, რომ აქ არის?

— ვინ არის აქ?

— თქვენი ბავშვი, თქვენი ვაჟიშვილი, თქვენი ანდრეა.

— მივხვდი, — უპასუხა ლუკიდან ჩამოსულმა მეტისმეტი ფლეგმატურობით: — მაშ ის აქ არის?

— დიახ, აქვე, — უთხრა მონტე-კრისტომ; — კამერდინერმა, რომელიც ეს-ეს არის შემოვიდა, მისი მოსვლა მაცნობა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — უპასუხა მაიორმა, რომელიც ყოველ შემახილზე თავისი კურტაკის ზონრებს ისწორებდა.

— ძვირფასო ბატონო კავალკანტი, — უთხრა მონტე-კრისტომ, — თქვენი მღელვარება ჩემთვის გასაგებია. დრო უნდა მოგცეთ, რათა გონება მოიკრიბოთ. გარდა ამისა, მე მინდა ამ ბედნიერი შეხვედრისათვის შევამზადო ყმაწვილი კაციც, რომელიც, ალბათ თქვენსავით მოუთმენლობას იჩენს.

— ეჭვი არ მეპარება, — თქვა კავალკანტი.

— მაშ ასე, თხუთმეტ წუთში ჩვენც აქ ვიქნებით.

— მაშ თქვენ აქ მომიყვანეთ? იმდენ სიკეთეს გამოიჩენთ, რომ თვითონ წარმომიდგენთ?

— არა, მე არ მინდა მამისა და შვილის შუა ჩავდგე. თქვენ მარტონი იქნებით, ბატონო მაიორო, მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თუნდ სისხლის ხმა დამუნჯდეს, მაინც არ შევცდებით: ის ამ კარით შემოვა. ის ქერა, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად ქერა, ლამაზი კაცია, სასიამოვნო მანერებით; თუმცა თქვენ თვითონ დაინახავთ.

— ჰო, მართლა, — თქვა მაიორმა, — იცით თუ არა, რომ მე მხოლოდ თან წამოვიღე ორი ათასი ფრანკი, რომელიც კეთილ აბატ ბუზონისაგან მივიღე. ნაწილი გზაში დავკარგე და...

— და თქვენ ფული გჭირდებათ... ეს სრულიად სამართლიანია, ძვირფასო ბატონო კავალკანტი. აი, ინებეთ, ანგარიშის დამრგვალებისათვის რვა ათას ფრანკიანი ბანკის ბილეთები.

მაიორს თვალები წითელი ლალებივით გაუბრწყინდა.

— მაშ ჩემზე კიდევ ორმოცი ათასი ფრანკი დარჩება, — თქვა მონტე-კრისტომ.

— იქნებ თქვენს ბრწყინვალეობას ხელწერილი ნებავს? — ჰკითხა მაიორმა და ფული თავისი კურტაკის შიგნითა ჯიბეში დამალა.

— რისთვის? — უთხრა გრაფმა.

— როგორც გასამართლებელი საბუთი, აბატ ბუზონისთან ანგარიშის გასწორების დროს.

— თქვენ მომცემთ საერთო ხელწერილს, როდესაც დარჩენილ ორმოციათას ფრანკს მიიღებთ. პატიოსან ადამიანებს შორის ეს სიფრთხილე ზედმეტია.

— დიახ, მართალია, პატიოსან ადამიანებს შორის, — თქვა მაიორმა.

— კიდევ ერთი სიტყვა, მარკიზ.

— ბრძანეთ.

— თქვენ ნებას დამრთავთ, მცირე რჩევა მოგცეთ?

— რასაკვირველია, გთხოვთ!

— ცუდი არ იქნებოდა, ეს კურტაკი გადაგეგდოთ.

— მართლაც! — თქვა მაიორმა და თავის ტანისამოსს არცთუ უკმაყოფილოდ გადახედა.

— დიახ, ასეთებს ჯერ ისევ ატარებენ ვია-რეჯიში, მაგრამ პარიზში, მისი ელეგანტობის მიუხედავად, მოდიდან გადასულია.

— ეს საწყენია, — თქვა ლუკიდან ჩამოსულმა.

— თუ ასე მოგწონთ, გამგზავრების წინ ისევ ჩაიცვით.

— ახლა რა ვატარო?

— რაც თქვენს სკივრში აღმოჩნდება.

— როგორ თუ სკივრში? მე თან მხოლოდ საგზაო პარკი მაქვს.

— თან, რასაკვირველია. რისთვის უნდა შეიჭუბოთ თავი? ესეც არ იყოს, ძველ ჯარისკაცს უყვარს თავისუფლად სიარული.

— აი, სწორედ ამიტომ...

— მაგრამ წინდახედული კაცი ხართ და ბარგი ადრე გამოგიგზავნიათ. ისინი გუშინ მიიღეს პრინციპის სასტუმროში, რიშელიეს ქუჩაზე, სადაც ოთახი შეგიკვეთიათ.

— მაშ სკივრებში?..

— მე მგონია, თქვენ კამერდინერს უბრძანეთ, რომ შიგ საჭირო ნივთები ჩაელაგებინა: სამოქალაქო ტანსაცმელი, მუნდირები. განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში მუნდირი ჩაიცვით, ეს ძალიან ეფექტურია. მაგრამ ორდენები არ დაგავიწყდეთ. საფრანგეთში ორდენებს დასცინიან, მაგრამ მაინც ატარებენ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — თქვა მაიორმა, რომელიც უფრო და უფრო განცვიფრებაში მოდიოდა.

— ახლა კი, — უთხრა მონტე-კრისტომ, — როდესაც თქვენი გული გამაგრებულია, დიდი მღელვარებისათვის მოემზადეთ, ბატონო კავალკანტი, თქვენი ვაჟის ანდრეას სანახავად.

გრაფმა აღფრთოვანებულ მაიორს ღიმილით თავი დაუკრა და ფარდების უკან მიიმალა.

თავი XVIII

ანდრეა კავალკანტი

გარფი მონტე-კრისტო შევიდა ბაპტისენის მიერ ლურჯად წოდებულ სასტუმროში. იქ უცდიდა საკმაოდ კოხტად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, რომელიც ამ სასახლის კარიბჭესთან ნახევარი საათის წინ დაქირავებულმა კაბრიოლეტმა მოიყვანა. ბაპტისენმა ადვილად იცნო იგი; ეს იყო მაღალი, ქერათმიანი, წითურწვერიანი და შავთვალეზიანი ყმაწვილი კაცი. სახის კანი თვალისმომჭრელი თეთრი და ელვარე ჰქონდა.

იმ დროს, როდესაც გრაფი სასტუმროში შევიდა, ყმაწვილი კაცი დივანზე დაუდევრად იყო გაწოლილი და თავის ფეხსაცმელებს უგულისყუროდ სცემდა ჯოხის ოქროს ბუნიკს.

მონტე-კრისტოს დანახვაზე სწრაფად წამოხტა.

— გრაფი მონტე-კრისტო?

— დიახ, — უპასუხა გრაფმა, — მე კი ვგონებ, ბედნიერება მაქვს ველაპარაკო ვიკონტ ანდრეა კავალკანტის?

— ვიკონტი ანდრეა კავალკანტი, — გაიმეორა ყმაწვილმა კაცმა და ძალდაუტანებლად თავი დახარა.

— თქვენ ჩემს სახელზე წერილი უნდა გქონდეთ, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— მე არ ვახსენებ ხელმოწერის გამო, რადგან იგი რამდენადმე უცნაურად მეჩვენა.

— სინდბად მეზღვაური, არა?

— სწორედ ასეა. და რაკი «ათას ერთი ღამის» სინდბად მეზღვაურის გარდა ეს სახელი არსად გამიგონია...

— ის სწორედ მათი ერთ-ერთი შთამომავალთაგანია, ჩემი მეგობარი, ძალზე მდიდარი კაცი. ინგლისელი, უფრო მეტი, ვიდრე ორიგინალი, თითქმის გიჟი; მისი ნამდვილი სახელია ლორდი უილმორი.

— ჰო, ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, — თქვა ანდრეამ. — მაშინ ყველაფერი შესანიშნავად ეწყობა. ეს ის ინგლისელია, რომელიც მე გავიცანი... დიახ, ძალიან კარგი, ბატონო გრაფო, მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

— თუ ის, რაც პატივი დამდეთ და მითხარით, სიმართლეა, — უთხრა ღიმილით გრაფმა, — ვიმედოვნებ, უარს არ მეტყვიით მაცნობოთ ზოგიერთი დაწვრილებითი ამბავი თქვენი და თქვენი მშობლების შესახებ.

— სიამოვნებით, ბატონო გრაფო, «— უპასუხა ყმაწვილმა კაცმა თავისუფლად, რაც მის კარგ მეხსიერებაზე მეტყველებდა. — მე, როგორც თქვენ ბრძანეთ, ვიკონტ ანდრეა კავალკანტი გახლავართ, მაიორ ბარტოლომეო კავალკანტის ვაჟიშვილი, იმ კავალკანტების შთამომავალი, რომლებიც ჩაწერილი არიან ფლორენციის ოქროს წიგნში. ჩვენმა ოჯახმა, დღემდე ჯერ კიდევ კარგად შეძლებულმა, რადგან მამაჩემის წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონს უდრის, ბევრი უბედურება გადაიტანა; მე თვითონ, როდესაც ხუთი თუ ექვსი წლის ვიყავი, გამიტაცა ვერაგმა აღმზრდელმა; და თხუთმეტი წელია, რაც ჩემი მშობელი არ მინახავს. მას შემდეგ, რაც ჰკუაში ჩავვარდი, რაც თავისუფალი გავხდი და მხოლოდ ჩემს თავს ვეკუთვნი, დავემბე მას, მაგრამ ამოდ. და აი, თქვენი მეგობრის — სინდბად მეზღვაურის წერილი მატყობინებს, რომ იგი პარიზშია და უფლებას მამლევს თქვენ მოგმართოთ მისი ამბის გასაგებად.

— რასაც თქვენ ყვებით, ვიკონტ, მართლაც რომ ძალზე საინტერესოა, — უთხრა გრაფმა და მოურიდებელი ყმაწვილი კაცის სახეს, რომელსაც სატანური სილამაზე ჰქონდა, ნაღვლიანი კმაყოფილებით შეხედა, — ძალიან კარგად მოიქეცი, რომ ჩემი მეგობრის სინდბად მეზღვაურის რჩევას დაუჯერეთ, რადგან მამათქვენი მართლაც პარიზშია და თქვენ გეძებთ.

გრაფი დარბაზში შემოსვლისთანავე თვალს არ აშორებდა ყმაწვილ კაცს, აღფრთოვანებული იყო მისი მზერით და ხმის სიმტკიცით, მაგრამ ისეთ ბუნებრივ სიტყვებზე, როგორცაა: «მამათქვენი პარიზშია და გეძებთ», ანდრეა წამოხტა და დაიყვირა:

— მამაჩემი, მამაჩემი აქ არის?

— რასაკვირველია, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მამათქვენი ბარტოლომეო კავალკანტი.

ყმაწვილი კაცის სახეზე აღბეჭდილი შიში იმწუთშივე გაქრა.

— ჰო, დიახ, მართალია, — თქვა მან, — მაიორი ბარტოლომეო კავალკანტი. მაშ, გრაფ, თქვენ ამბობთ, რომ ძვირფასი მამაჩემი აქ არის?

— დიახ, ბატონო, უფრო მეტიც: ეს-ეს არის მასთან ვიყავი. დიდი ხნის წინათ დაკარგული საყვარელი ვაჟიშვილის ამბავმა, რომელსაც იგი მომიყვა, ჩემზე ძალიან იმოქმედა. მის ტანჯვას, მის შიშს, მის იმედებს, სიმართლე ითქვას, შეეძლო ამადელვებელი პოემა შეექმნა. და აი, ერთ დღეს მას აცნობეს, რომ გამტაცებლები თანახმანი არიან დაუბრუნონ შვილი, ან აცნობონ მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ სამაგიეროდ დიდძალ ფულს მოითხოვენ. ვერაფერმა შეაჩერა მოსიყვარულე მამა; ეს ფული მას იტალიისათვის ვიზირებულ პასპორტთან ერთად პიემონტის საზღვარზე გაუგზავნა. თქვენ იმ დროს, მგონი, სამხრეთ საფრანგეთში იყავით?

— დიახ, გრაფო, — უპასუხა ანდრეამ ოდნავ შემკრთალი სახით, — დიახ, სამხრეთ საფრანგეთში ვიყავი.

— ნიცაში თქვენთვის ეტლი უნდა ყოფილიყო გამზადებული.

— მართალი ბრძანდებით. მან ნიციდან გენუაში ჩამიყვანა; გენუიდან — ტურინში, ტურინიდან — შამბერში, შამბერიდან — პონ დე-ბუვაზენში, პონ დე-ბუვაზენიდან — პარიზში.

— საუცხოოა! მას იმედი ჰქონდა გზაში შეგხვდებოდათ, რადგან ისიც მაგ გზით მოდიოდა; აი, ამიტომ გქონდათ დანიშნული ასეთი მარშრუტი.

— მაგრამ, — თქვა ანდრეამ, — თუნდ ჩემი ძვირფასი მამა შემხვედროდა, ვეჭვობ ვეცნე: მას შემდეგ, რაც მას დამაცვილეს, რამდენადმე შევიცვალე.

— სისხლის ხმა? — თქვა მონტე-კრისტომ.

— დიახ, მართალია, მე არ მიფიქრია სისხლის ხმაზე, — თქვა ყმაწვილმა კაცმა.

— ახლა მარკიზ კავალკანტის მხოლოდ ერთი რამ აწუხებს, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — სახელდობრ, რას აკეთებდით იმ ხნის განმავლობაში, რაც მასთან დაშორებული იყავით? როგორ გექცეოდნენ თქვენი მჩაგვრელები? გექცეოდნენ თუ არა იმ პატივისცემით, რაც თქვენს გვარს შეეფერებოდა? ზნეობრივი წამების დროს, რომელიც ასჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა, ხომ არ შესუსტდა თქვენი ნიჭი, რომლითაც ბუნებამ ასე უხვად დაგაჯილდოვებდა და შეგიძლიათ თუ არა ხელახლა დაიჭიროთ ის მაღალი მდგომარეობა, რომლის უფლებაც გაქვთ.

— ბატონო ჩემო... — ჩაიბურტყუნა აბნეულად ყმაწვილმა კაცმა, — დარწმუნებული ვარ, არავითარი ყალბი დაბეზღება...

— რას ბრძანებთ! თქვენ შესახებ პირველად ჩემი მეგობრის ფილანტროპ ლორდ უილმორისაგან გავიგონე. მან მითხრა, რომ რაღაც გაჭირვებულ მდგომარეობაში გნახათ, არ ვიცი, რა იყო ასეთი. გამოკითხვა არ დამიწყია — ცნობისმოყვარე არა ვარ. რაკი მან თქვენს მიმართ თანაგრძნობა გამოიჩინა, მას თქვენში ყოფილა რაღაც ამის ღირსი. მან თქვა, რომ სურვილი აქვს საზოგადოებაში ის მდგომარეობა დაგიბრუნოთ, რომელიც დაჰკარგეთ, რომ ის მოძებნის მამათქვენს და იპოვის კიდევ; მართლაც, დაიწყო მისი ძებნა, და იპოვა კიდევ, რადგან მამათქვენი აქ არის; ბოლოს, მან გუშინ გამაფრთხილა, რომ ჩამოდიოდა და მომცა ზოგიერთი მითითება, რომელიც თქვენს ქონებას ეხება; აი, სულ ეს არის. ვიცი, ჩემი მეგობარი უილმორი დიდი ორიგინალია, მაგრამ რაკი იმავე დროს იგი მართალი და ოქროს მადაროსავით მდიდარი ადამიანია და შესაძლებლობა აქვს ორიგინალობა გასწიოს, ისე რომ გაღარიბების არ შეეშინდეს, მე პირობა მივეცი მისი მითითებები შემესრულებინა. ახლა, ბატონო ჩემო, გთხოვთ შეკითხვაზე არ გამიბრაზდეთ: რაკი ერთგვარი მფარველობა უნდა გაგიწიოთ, მინდა ვიცოდე, თქვენმა უბედურებამ, რომელშიც თქვენ დამნაშავე არა ხართ და რომელიც არაფრით ამცირებს ჩემს თქვენდამი პატივისცემას, — რამდენადმე უცხო ხომ არ გაგხადათ იმ საზოგადოებისათვის, სადაც თქვენი ქონების და თქვენი გვარის მიხედვით ასეთი წარჩინებული მდგომარეობა უნდა დაიკავოთ?

— ამ მხრივ სავსებით დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც სანამ გრაფი ლაპარაკობდა, თავისი აპლომბი დაუბრუნდა. — გამტაცებლებმა მამას უეჭველად იმ განზრახვით მომაცვილეს, რომ უფრო გვიან მისთვის მივეყიდეთ, ასეც მოიქცნენ, მათ ივარაუდეს, რომ კარგი ფასის მისაღებად საჭირო იყო შენარჩუნებინათ ჩემი ღირებულება, და თუ შესაძლებლობა ექნებოდათ, პირიქით, გაედიდებინათ კიდევაც; ასე რომ, საკმარისად კარგი განათლება მივიღე; ბავშვების გამტაცებლები დაახლოებით ისე მექცეოდნენ, როგორც ექცეოდნენ მცირე აზიელი მონათმფლობელები თავიანთ მონებს, რომლებიდანაც მათ სწავლული გრამატიკოსების, ექიმების და ფილოსოფოსების გამოყვანა სურდათ, რათა რომში უფრო ძვირად გაეყიდათ.

მონტე-კრისტომ კმაყოფილებით გაიღიმა, როგორც ჩანდა, ანდრეა კავალკანტისაგან ის ნაკლებს მოელოდა.

— ხოლო, — განაგრძო ანდრეამ, — თუ ჩემს აღზრდაში აღმოჩნდება ზოგიერთი ნაკლი, ან უფრო სწორად, მაღალი საზოგადოებისათვის შეუფერებელი ჩვევები,

იმედი მაქვს მხედველობაში მიიღებენ იმ უბედურებას, რომელიც ჩემს ბავშვობას და სიჭაბუკეს ახლდა, და ჩემს მიმართ შემწყნარებლობას გამოიჩინენ.

— კარგით, — უთხრა დაუდევრად გრაფმა, — ვიკონტ, თქვენ ისე მოიქცევით, როგორც მოგესურვებათ, — ეს თქვენი პირადი საქმეა და მხოლოდ თქვენ შეგეხებათ; მაგრამ მე თქვენს ადგილზე, დამიჯერეთ, მთელ ამ ფათერაკებზე ერთ სიტყვასაც არ დავძრავდი. თქვენი ცხოვრება რომანს წააგავს, ხოლო ყვითელყდიანი რომანის გამაღმერთებელი საზოგადოება უცნაური უნდობლობით ეკიდება იმათ, რომლებსაც ცხოვრება ცოცხალ ყდაში სვამს, თუნდაც იგი ისე მოოქრული იყოს, როგორც თქვენია. თავს უფლებას ვაძლევ, აი, ამ სიძნელეთა შესახებ მოგახსენოთ, ვიკონტო. ვერც კი მოასწრებთ ვინმეს მოუყვით თქვენი ცხოვრების ეს ამაღელვებელი ისტორია, რომ იგი უკვე მთელ პარიზს მოირბენს საკმაოდ დამახინჯებული სახით. იძულებული იქნებით ანტონის როლი გაითამაშოთ, ხოლო ასეთი ანტონების დრო უკვე წავიდა. შეიძლება ცნობისმოყვარეობა გამოიწვიოთ, ესეც ერთგვარ წარმატებას მოგიპოვებთ, მაგრამ ყველას არ სიამოვნებს დაკვირვებისა და დაცინვის საგანი იყოს. ამ მდგომარეობამ თქვენ შეიძლება დაგლалოთ.

— მე მგონი, თქვენ მართალი ბრძანდებით, გრაფო, — უთხრა ანდრეამ, რომელიც მონტე-კრისტოს ჩამტერებულ მხერაზე უნებურად გაფითრდა. — ეს სერიოზული უხერხულობაა.

— მაგრამ გადაჭარბებაც არ ღირს, — თქვა მონტე-კრისტომ, — იმის შიშით, შეცდომა არ დავუშვაო, შეიძლება კაცმა სისულელე ჩაიდინოს. არა, უბრალოდ, დაფიქრებულად უნდა მოიქცეთ; ხოლო თქვენისთანა ჭკვიანი კაცისათვის ამის გაკეთება მით უფრო ადვილია, რომ ამას თქვენი ინტერესი მოითხოვს. ყველაფერი, რაც თქვენს წარსულში ბნელია, უნდა უკუაგდოთ საბუთებითა და ღირსეული მეგობრების დამოწმებით.

ანდრეა შეკრთა.

— მე სიამოვნებით ვიქნებოდი თქვენი თავმდეები, — უთხრა მონტე-კრისტომ, მაგრამ ჩვეულებად მაქვს ეჭვით მოვექცე კარგ მეგობრებსაც და სხვებსაც აღვუძრა იგი. ასე რომ, ჩემს ამპლუას არ შევასრულებდი, როგორც ამბობენ მსახიობები, და ხიფათი შემექნებოდა, რომ სტვენით გამიმასპინძლებოდნენ, ეს კი ზედმეტია.

— მაგრამ, ბატონო გრაფო, — დაიწყო ანდრეამ თამამად, — ლორდ უილმორის პატივისცემის გამო, რომელმაც მე თქვენთან გამიწია რეკომენდაცია...

— დიახ, რასაკვირველია, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მაგრამ ლორდ უილმორს ჩემთვის არ დაუფარავს, რომ თქვენ რამდენადმე ქარიშხლიანი ახალგაზრდობა გაატარეთ. არა, არა, — თქვა გრაფმა, როდესაც ანდრეას მოძრაობა შენიშნა, — მე თქვენგან აღსარებას არ ვითხოვ. თუმცა მამათქვენი, მაიორი კავალკანტი, ამისათვის გამოიძახეს ლუკიდან, რომ თქვენ სხვა არავინ დაგჭირდეთ. თქვენ მას ახლა ნახავთ; ცოტა არ იყოს უჟმურია, თავი მედიდურად უჭირავს, მაგრამ ეს მუნდირის შედეგია, და როდესაც გაიგებენ, ავსტრიის ჯარებში თვრამეტ წელიწადს მსახურობდაო, ყველაფერს აპატიებენ. ჩვენ საერთოდ მომთხოვნები არა ვართ ავსტრიელების მიმართ. მაგრამ, გარწმუნებთ, როგორც მამა, სრულიად მისაღებია.

— თქვენ მე მამშვიდებთ, გრაფო; ისე დიდი ხანია დამორებული ვარ მას, რომ სულ არ მახსოვს.

— გარდა ამისა, ხომ იცით, დიდი ქონება გაიძულებთ ბევრ რამეს შეწყნარებით უყუროთ.

— მამაჩემი ნამდვილად მდიდარია?

— ის მილიონერია... ხუთასი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი აქვს.

— მაშ, ჩემი მდგომარეობა საკმაოდ... სასიამოვნო იქნება? — იმედიანად ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— ძალზე სასიამოვნო, ჩემო ძვირფასო; სანამ თქვენ პარიზში იქნებით, წელიწადში ორმოცდაათი ათასი ლივრი დაგინიშნათ.

— ასეთ შემთხვევაში, მუდმივად პარიზში ვიცხოვრებ.

— ეჰ, ვის შეუძლია თქვას, რა იქნება მომავალში? ძვირფასო, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

ანდრეამ ამოიოხრა.

— მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, — თქვა მან, — სანამ მე პარიზში ვარ და... სანამ მდგომარეობა არ მაიძულებს გავემგზავრო, იმ ფულით, რომელიც თქვენ ეს-ეს არის ახსენეთ, უზრუნველყოფილი ვიქნები?

— რასაკვირველია.

— მამაჩემის მიერ? — შემფოთებით ჰკითხა ანდრეამ.

— დიახ, მაგრამ ლორდ უილმორის თავდებობით, რომელმაც მამათქვენის თხოვნით ბატონ დანგლართან, პარიზის ერთ-ერთ ყველაზე სანდო ბანკირთან, ყოველთვიურად კრედიტი გაგიხსნათ ხუთი ათასი ფრანკის რაოდენობით.

— მამაჩემი დიდხანს აპირებს პარიზში დარჩენას? — ჰკითხა ანდრეამ შემფოთებით.

— მხოლოდ რამდენიმე დღეს, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — სამსახური მხოლოდ ორი-სამი კვირით ათავისუფლებს.

— ოჰ, ძვირფასო მამა! — თქვა ამ სწრაფი გამგზავრებით ცხადად გახარებულმა ანდრეამ.

— ამიტომ, — თქვა მონტე-კრისტომ, და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ გაიგო ამ სიტყვების ტონი, — ამიტომ არ მინდა ერთი წუთითაც დავაგვიანო თქვენი შეხვედრა. მზადა ხართ გადაეხვიოთ ღირსეულ ბატონ კავალკანტის?

— იმედი მაქვს, თქვენ ამაში ეჭვი არ გეპარებათ.

— მაშ, შედით იმ სასტუმროში, ჩემო მეგობარო; თქვენ იქ ნახავთ მამათქვენს; ის თქვენ გელით.

ანდრეამ გრაფს თავმდაბლად დაუკრა თავი და დარბაზში შევიდა.

გრაფმა თვალებით გააცილა იგი და როდესაც დაინახა, რომ გავიდა, გამოსწია ერთ-ერთ სურათში დამალული ზამბარა, რომელმაც, რაკი ჩარჩოდან გამოვიდა, დატოვა ჭუჭრუტანა. ეს მონტე-კრისტოს საშუალებას აძლევდა დაენახა ყველაფერი, რაც სასტუმროში ხდებოდა.

ანდრეამ კარი მიიხურა და მაიორისაკენ გაემართა, ეს უკანასკნელი კი ნაბიჯების ხმის გაგონებისთანავე წამოდგა.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო მამავ, — თქვა ანდრეამ ისე ხმამაღლა, რომ გრაფს დაკეტილ კარებში გაეგონა, — ნუთუ ეს თქვენა ხართ?

— გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ვაჟიშვილო, — უთხრა მაიორმა სერიოზულად.

— რა ბედნიერებაა ამდენი წლის განშორების შემდეგ კვლავ შეხვედრა, — თქვა ანდრეამ და კარისაკენ გაიხედა.

— დიახ, ნამდვილად ხანგრძლივი განშორება იყო.

— არ გადაგეხვიოთ, ბატონო ჩემო? — ჰკითხა ანდრეამ.

— როგორც გინდათ, ჩემო ვაჟიშვილო, — უთხრა მაიორმა. და მათ ერთმანეთი გადაკოცნეს ისევე, როგორც ეს ფრანგულ თეატრში ხდება: ლოყაზე ლოყის მიდებით.

— მაშ, ჩვენ ისევ ერთად ვართ! — თქვა ანდრეამ.

— ჩვენ ისევ ერთად ვართ, — გაიმეორა მაიორმა.

— რომ აღარასოდეს განვშორდეთ?

— პირიქით, ძვირფასო შვილო, მე მგონია, საფრანგეთი მეორე სამშობლოდ მიგაჩნიათ?

— უნდა გამოგიტყდეთ, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა, — სასოწარკვეთილებამდე მივიდოდი, საფრანგეთის დატოვება რომ მომიხდეს.

— მე კი, ხომ გესმით, ლუკის გარეთ ცხოვრებას ვერ შევძლებ. ასე რომ, პირველი შესაძლებლობისთანავე იტალიაში დავბრუნდები.

— მაგრამ წასვლამდე ძვირფასო მამა, თქვენ, რასაკვირველია, მომცემთ საბუთებს, რომელთა საფუძველზე ჩემი წარმოშობის დამტკიცებას შევძლებ.

— რა თქმა უნდა, სწორედ ამისთვის ჩამოვედი სასწრაფოდ, დიდი გაჭირვება გადამხდა იმისათვის, რომ თქვენ შეგხვედროდით და ეს საბუთები გადმომეცა, ამის გაკეთება მხოლოდ უაზრობა იქნებოდა. ამაზე წავიდა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

— და ის საბუთები...

— აი, ისინი.

ანდრეამ ხარბად დასტაცა ხელი მამამისის ქორწინების და თავისი ნათლობის მოწმობას, შემდეგ ნამდვილი ვაჟიშვილისათვის ჩვეული სულწასულობით გაშალა და ორივე აქტი სწრაფი და გაწაფული თვალებით გადაიკითხა, რაც საკმაოდ კარგ გამოცდილებას და, ამავე დროს, ცოცხალ ინტერესს მოწმობდა.

როდესაც დაამთავრა, მის სახეზე ენით გამოუთქმელი სიხარული აღიბეჭდა და მაიორს უცნაური ღიმილით შეხედა.

— ოჰო, მამ იტალიაში კატორღა უკვე აღარ არსებობს? — თქვა მან სუფთა ტოსკანურ კილოზე.

მაიორი გაიჭიმა.

— ეგ რატომ დაგჭირდათ? — ჰკითხა მან.

— იმიტომ, რომ იქ დაუსჯელად ბეჭდავენ ასეთ საბუთებს. ამის ნახევარი სიყალბისათვის, ჩემო ძვირფასო მამა, საფრანგეთში ხუთი წლით ტულონში გაგზავნიდნენ სააგარაკოდ.

— რა თქვით? — ჰკითხა მაიორმა, და შეეცადა დიდებული იერი მიეღო.

— ძვირფასო ბატონო კავალკანტი, — თქვა ანდრეამ და მაიორს იდაყვში ხელი მოჰკიდა, — რამდენს გიხდინა იმისათვის, რომ მამაჩემი იყოთ?

მაიორს უნდოდა ეპასუხა.

— სსს... — უთხრა ანდრეამ და ხმას დაუდაბლა, — მე მოგცემთ ნდობის მაგალითს: მე წელიწადში ორმოცდაათი ათას ფრანკს მამლევინ იმისათვის, რომ თქვენი შვილის როლი გავითამაშო, ყოველ შემთხვევაში, გასაგებია, არავითარი სურვილი არა მაქვს უარი ვთქვა იმაზე, რომ თქვენ მამაჩემი ხართ.

მაიორმა ირგვლივ შემოფოთებით მიმოიხედა.

— ნუ სწუხხართ, აქ არავინ არის, — უთხრა ანდრეამ, — ესეც არ იყოს, ჩვენ იტალიურად ვლაპარაკობთ.

— მე კი, — უთხრა ლუკიდან ჩამოსულმა, — ერთდროულად ორმოცდაათ ათას ფრანკს მამლევინ.

— ბატონო კავალკანტი, — ჰკითხა ანდრეამ, — გჯერათ თქვენ ჯადოქრული ზღაპრები?

— წინათ არა მჯეროდა, ახლა კი უნდა დავიჯერო.

— მაშ, თქვენ დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

მაიორმა ჯიბიდან პეშვით ოქროს ფულები ამოიღო.

— ხელშესახები, როგორც ხედავთ.

— მაშ, თქვენის ფიქრით, შემძლია ვერწმუნო დაპირებებს, რომლებიც მე მომცეს?

— მე მგონი, სარწმუნოა.

— და ის კეთილი გრაფი მათ შეასრულებს?

— ზუსტად; მაგრამ ამას რომ მივალწიოთ, თქვენ თვითონაც გესმით, საჭიროა კარგად შევასრულოთ ჩვენი როლები.

— მაგას რა თქმა უნდა.

— მე — ნაზი მამა...

— მე კი — მოკრძალებული ვაჟიშვილი, რაკი მათ სურთ, რომ თქვენი შვილი ვიყო.

— ვის «მათ»?

— ეშმაკმა დალახვროს, არაფერი ვიცი, მათ, ვინც წერილს გვწერენ.. თქვენ ხომ წერილი მიიღეთ?

— მივიღე.

— ვისგან? — ვინმე აბატი ბუზონისაგან.

— თქვენ მას არ იცნობთ?

— არასოდეს მინახავს.

— რა ეწერა ამ წერილში?

— არ გამცემთ?

— რისთვის გაგცემთ? ჩვენ ხომ საერთო ინტერესები გვაქვს.

— მაშ წაიკითხეთ.

და მაიორმა ყმაწვილ კაცს წერილი გადასცა.

ანდრეამ დაბალი ხმით წაიკითხა:

«თქვენ ღარიბი ხართ, უბედური სიბერე გელით. გინდათ გახდეთ თუ მდიდარი არა, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელი ადამიანი მაინც?

ამ წუთშივე გაემგზავრეთ პარიზში და მიაკითხეთ გრაფ მონტე-კრისტოს, ელისეს მინდვრების ავენიუ, 130. თქვენ მას ჰკითხავთ თქვენი ვაჟიშვილის ამბავს; ის დაბადებულია მარკიზა კორსინარისთან ქორწინებიდან და ხუთი წლის ასაკში მოგტაცეს.

ამ ვაჟიშვილს ჰქვია ანდრეა კავალკანტი.

რათა ეჭვი არ დაგებადოთ, რომ ქვემოთ ხელის მომწერს თქვენთვის სიკეთე სურს, ამ წერილთან ერთად მიიღებთ:

«1. ორიათას ოთხასი ტოსკანური ლივრის ქვითარს, გასანაღდელებელს ბატონ გოცის ბანკის მიერ ფლორენციაში.

2. სარეკომენდაციო წერილს გრაფ მონტე-კრისტოსთან, რომელიც ჩემი დავალებით ორმოცდარვა ათას ფრანკს გადაგიხდის.

გამოცხადდით გრაფთან 26 მაისს, საღამოს შვიდ საათზე.

აბატი ბუზონი».

— სწორედ ასეა.

— რას ნიშნავს ეს «სწორედ ასეა?» ამით რისი თქმა გსურთ? — ჰკითხა მაიორმა.

— რომ მეც მივიღე თითქმის ასეთივე წერილი.

— თქვენ?

— დიახ, მე!

— აბატი ბუზონისაგან?

— არა.

— მაშ ვისგან?

— ერთი ინგლისელის, ვიღაც ლრდ უილმორისაგან, რომელიც თავის თავს სინდბად მეზღვაურს უწოდებს.

— და რომელსაც თქვენც ისევე იცნობთ, როგორც მე აბატ ბუზონის.

— არა, მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ.

— თქვენ ის გინახავთ?

— დიახ, ერთხელ.

— სადა?

— ამას კი ვერ გეტყვით: მაშინ თქვენ იმდენივე გეცოდინებათ, რამდენიც მე, ეს კი ზედმეტია.

— იმ წერილში რას გატყობინებენ?..

— წაიკითხეთ.

— «თქვენ ღარიბი ხართ და სამწუხარო მომავალი გელით. გინდათ მიიღოთ დიდებული გვარი, იყოთ თავისუფალი, მდიდარი?»

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა ანდრეამ, რომელიც ქუსლებზე ირხეოდა, — თითქოს ეს საკითხავია.

— «ჩაჯექით საფოსტო ეტლში, რომელიც ნიციდან გენუისკენ მიმავალ გზაზე დაგელოდებათ. გაემგზავრეთ ტურინით, შამბერიტ და პონ-დევუაზენით. გამოცხადდით გრაფ მონტე-კრისტოსთან, ელისეს მინდვრების ავენიუ, 130; ოცდაექვს მაისს, საღამოს შვიდ საათზე, და ჰკითხეთ მამათქვენის შესახებ.

თქვენ მარკიზ ბარტოლომეო კავალკანტის და მარკიზა ოლივა კორსინარის ვაჟიშვილი ხართ, როგორც ამას ამტკიცებენ დოკუმენტები, რომელთაც თქვენ მარკიზი გადმოგცემთ; ისინი უფლებას მოგცემენ ამ გვარით გამოცხადდეთ პარიზის საზოგადოებაში.

რაც შეეხება თქვენს მდგომარეობას, ორმოცდაათი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი საშუალებას მოგცემთ ღირსეულად გეჭიროთ თავი.

ამასთან ერთად გეგზავნებათ ხუთი ათასი ლივრის ქვითარი ნიცში ბატონ ფერეას ბანკზე გამოწერილი და სარეკომენდაციო წერილი გრაფ მონტე-კრისტოსთან, რომელსაც დავავალე თქვენს საჭიროებებზე იზრუნოს.

სინდბად მეზღვაური».

— ოჰო! ეს ძალიან კარგია! — შენიშნა მაიორმა.

— მართლაც, არა?

— ნახეთ გრაფი?

— ეს არის მისი ოთახიდან გამოვედი.

— მან დაადასტურა ეს წერილი?

— სავსებით.

— რაიმე გესმით ამ ამბავში?

— სიმართლე გითხრათ, არაფერი.

— აქ ვიღაცას ასულელებენ.

— ყოველ შემთხვევაში, არა ჩვენ.

— არა, რასაკვირველია.

— მაშ...

— ჩვენ რა გვენაღვლება, ასეა არა?

სწორედ ამის თქმა მინდოდა; ვითამაშოთ ბოლომდე და მეგობრულად.

— ეგრე იყოს; თქვენ ნახავთ, რომ მე თქვენი ღირსეული პატრონი ვიქნები.

— ამაში ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, ჩემო ძვირფასო მამავ.

— თქვენ დიდ პატივს მღებთ, ძვირფასო შვილო.

მონტე-კრისტომ ეს მომენტი აირჩია სასტუმროში დასაბრუნებლად. მისი ნაბიჯების ხმაზე მოსაუბრეები ერთმანეთს გადაეხვივნენ. გრაფმა მათ გადახვეულებს მოუსწრო.

— აბა, რას იტყვით, მარკიზ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ, — როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ თქვენი ვაჟიშვილით.

— ოჰ, გრაფო, სიხარულისაგან სული მეხუთება.

— თქვენ, ყმაწვილო კაცო?

— სიხარულისაგან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

— ბედნიერი მამა! ბედნიერი შვილი! — თქვა გრაფმა.

— მხოლოდ ერთი რამ მაღონებს, — თქვა მაიორმა, — ის, რომ პარიზი სწრაფად უნდა დავტოვო.

— ძვირფასო ბატონო კავალკანტი, — უთხრა მონტე-კრისტომ, — იმედი მაქვს ისე არ წახვალთ, რომ საშუალება არ მომცეთ ზოგიერთი ჩემი მეგობარი გაგაცნოთ.

— მე თქვენს განკარგულებაში ვარ, ბატონო გრაფო, — უპასუხა მაიორმა.

— ახლა, ყმაწვილო კაცო, აღსარება თქვით.

— ვისთან?

— მამათქვენთან. გულახდილად უთხარით, როგორია თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

— ეშმაკმა დალახვროს, თქვენ მტკივნეულ ადგილს შეეხეთ, — თქვა ანდრეამ.

— გესმით, მაიორო? — უთხრა მონტე-კრისტომ.

— რასაკვირველია, მესმის.

— მაგრამ ხვდებით?

— საუცხოოდ.

— ეს ძვირფასი ბავშვი ამბობს, რომ ფული სჭირდება.

— მერე მე რა უნდა ვქნა?

— მისცეთ.

— მე?

— დიახ, თქვენ.

მონტე-კრისტო მათ შუა ჩადგა.

— აიღეთ, — უთხრა მან ანდრეას და ხელში დასტა ბანკის ბილეთები მიაჩქია.

— რა არის ეს? — მამათქვენის პასუხი.

— მამაჩემის? — თქვენ ხომ სიტყვა გადაუკარით, რომ ფული გჭირდებათ?

— დიახ, მერე? — ჰოდა აი, მან დამავალა თქვენთვის გადმომეცა იგი.

— ჩემი შემოსავლის ანგარიშზე?

— არა, ეს ფული დასაბინავებელი ხარჯებიდანაა.

— ძვირფასი მამა!

— ჩუმად! — უთხრა მონტე-კრისტომ, — ხომ ხედავთ, მას არ უნდა გითხრათ, რომ ეს მისგანაა.

— ძალიან ვაფასებ მის გულისხმიერებას, — თქვა ანდრეამ და ფული ჯიბეში ჩაიტენა.

— კარგი, — უთხრა გრაფმა, — ახლა წადით.

— როდის გვექნება პატივი ხელახლა ვნახოთ თქვენი ბრწყინვალეობა? — ჰკითხა კავალკანტი.

— ჰო, მართლა, — თქვა ანდრეამ, — როდის გვექნება ეს პატივი?

— თუ ინებებთ, თუნდაც შაბათს... დიახ... სწორედ შაბათს. ქალაქგარეთ სახლში, ოტეილში, ფონტენის ქუჩა 128. სადილად რამდენიმე კაცი მეყოლება და, სხვათა

შორის, ბატონი დანგლარიც, თქვენი ბანკირი. მე მას გაგაცნობთ; იგი ორივეს უნდა გიცნობდეთ, მან ხომ ფული უნდა გიხადოთ.

— საპარადო ფორმაში? — ჰკითხა მაიორმა დაბალი ხმით.

— საპარადო ფორმაში: მუნდირი, ორდენები, მოკლე შარვალი.

— მე? — ჰკითხა ანდრეამ.

— ძალიან უბრალოდ: შავი შარვალი, ლაკის ფეხსაცმელები, თეთრი ჟილეტი; შავი ან ლურჯი ფრაკი, გრძელი ჰალსტუხი; ტანისამოსი ბლენს ან ვერონიკს შევუკვეთე, თუ მათი მისამართი არ იცით, ბაპტისენი გეტყვით. რაც უფრო ნაკლებად პრეტენზიულად იქნებით ჩაცმული, თქვენი სახსრების მიხედვით, მით უკეთეს ეფექტს მოახდენთ. ცხენების ყიდვისას დევდიოს მიმართეთ, ეტლი კი ბაპტისენს შეუკვეთეთ.

— რომელ საათზე შეგვიძლია გამოცხადება? — ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— დაახლოებით შვიდის ნახევარზე.

— კარგი, — თქვა მაიორმა და ქუდს ხელი წაატანა.

კავალკანტებმა გრაფს თავი დაუკრეს და გავიდნენ.

გრაფი ფანჯარასთან მივიდა და დაინახა, რომ მკლავი-მკლავ გაყრილმა კავალკანტებმა ეზოში გაიარეს.

— აი, ჭეშმარიტად ორი გაიძვერა! — თქვა მან, — რა სამწუხაროა, რომ ისინი სინამდვილეში მამა-შვილი არ არიან.

ის ცოტა ხანს მწუხარე ფიქრებმა წაიღო.

— წავალ მორელებთან, — თქვა მან, — მე მგონი ზიზღი უფრო მახრჩობს, ვიდრე სიძულვილი.

თავი XIX

იონჯით დათესილი ბოსტანი

ახლა ჩვენმა მკითხველებმა უფლება მოგვცენ ბატონ დე ვილფორის სახლის მოსაზღვრე ბოსტანს დავუბრუნდეთ, სადაც წაბლის ხეებში ჩაფლული რიკულების უკან ჩვენს ნაცნობებს შევხვდებით.

ამჯერად პირველი მაქსიმელიანი მოვიდა. ეს ისაა, რომ მიკვრია ლოყით ბოსტნის ფიცრის ტიხარს და დარაჯობს, როდის გამოჩნდება ბაღში ხეებს შუა ნაცნობი ჩრდილი, ან როდის აახმაურებს ატლასის ფეხსაცმელი ხეივნის ქვიშას.

ბოლოს გაისმა ნანატრი ფეხის ხმა, მაგრამ ერთის მაგიერ ორი ჩრდილი ახლოვდებოდა. ვალენტინას დაგვიანების მიზეზი იყო ქალბატონ დანგლარისა და ეჟენის სტუმრობა, ამან შეაფერხა შეყვარებულთა პაემანი. ვალენტინას არ უნდოდა ეს პაემანი სავსებით ჩაშლოდა, ამიტომ მადმუაზელ დანგლარს ბაღში გასეირნება შესთავაზა. ამით უნდოდა მაქსიმელიანისათვის დაემტკიცებინა, რომ იგი დამნაშავე არ იყო დაგვიანებაში, რომელიც ყმაწვილ კაცს, ალბათ, ძალიან აწუხებდა.

მორელმა, შეყვარებულებისათვის დამახასიათებელი ინტუიციით, ეს გაიგო და გულზე მოემვა. ვალენტინა ისე ახლოს არ მოდიოდა, რომ მისი ლაპარაკი გასაგონი ყოფილიყო, მაგრამ იმგვარად სეირნობდა, რომ მაქსიმელიანი ავლილსაც ხედავდა და ჩამოვლილსაც; ყოველთვის, როდესაც ქალი ვაჟს ჩაუვლიდა, თანამგზავრისათვის შეუმჩნეველი მზერით, ატყობინებდა:

«მოითმინე, მეგობარო, ხომ ხედავ, რომ დამნაშავე არა ვარ», მაქსიმელიანიც ითმენდა და აღფრთოვანებაში მოდიოდა იმ კონტრასტით, რომელიც ამ ორ ქალიშვილს შორის არსებობდა. ერთი ქერა, მიბნედილი თვალებით, ლამაზი, ნორჩი

ტირიფივით მოქნილი. მეორე — შავგვრემანი, ამაყი თვალებითა და ალვისხესავით ტანაყრილი. რა თქმა უნდა, ამ ორი პიროვნების შედარების დროს მთელი უპირატესობა, ყმაწვილი კაცის თვალში, მაინც ვალენტინას მხარეს იყო.

ნახევარი საათის სეირნობის შემდეგ ქალიშვილები იქაურობას გაეცალნენ. მაქსიმილიანი მიხვდა, რომ ქალბატონ დანგლარის ვიზიტი დასასრულს უახლოვდებოდა.

მართლაც, ერთი წუთის შემდეგ ვალენტინა მარტო დაბრუნდა. ქალიშვილს ეშინოდა, არავის შეემჩნია და ნელა მოდიოდა. იმის მაგივრად, რომ პირდაპირ კარებთან მისულიყო, სკამზე დაჯდა, შემდეგ, თითქოს შემთხვევით, თვალი მოავლო ყველა ბუჩქს და ხეივანს. როდესაც სიფრთხილისათვის ყველა ეს ზომები მიიღო, ჭიშკართან მიიბრინა.

— ვალენტინა, — გაისმა ხმა.

— გამარჯობათ, მაქსიმილიან, გალოდინეთ, მაგრამ მიზეზი თქვენთვის ნათელია.

— დიახ, მე ვიცანი მადმუაზელ დანგლარი, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ამ ახალგაზრდა ქალის მეგობარი იყავით.

— მერედა ვინ გითხრათ, რომ მეგობრები ვართ?

— არავინ, მაგრამ ისე მკლავგაყრილები სეირნობდით და საუბარიც რაღაც ისეთი გქონდათ, რომ ასე მომეჩვენა. ვისაც უნდა შეეხედა, იტყოდა: სკოლის ამხანაგები ერთმანეთს საიდუმლოებას უმჟღავნებენო.

— ჩვენ მართლაც გამოვუტყდით ერთმანეთს, — თქვა ვალენტინამ: — მან აღიარა, რომ არ სურს ბატონ დე მორსერის ცოლობა, მე კი ვეუბნებოდი, უბედური ვიქნები, თუ ბატონ დ'ეპინესთან დავქორწინდი-მეთქი.

— ძვირფასო ვალენტინა!

— აი, ამიტომ მოგეჩვენათ, რომ მე და ექვნი გულითადი მეგობრები ვართ, — განაგრძო ყმაწვილმა ქალმა: — როდესაც ვლაპარაკობდი ადამიანზე, რომელიც მძულს, ვფიქრობდი იმაზე, ვინც მიყვარს.

— რა კარგი ხართ, ვალენტინა, და რა ბევრია თქვენში ის, რაც არასოდეს იქნება მადმუაზელ დანგლარში — ის აუხსნელი მომხიბლაობა, რომელიც ქალისათვის იგივეა, რაც ყვავილისათვის სურნელება, ხოლო ნაყოფისათვის სიტკბოება. ყვავილისათვის და ნაყოფისათვისაც მარტო სილამაზე ხომ არ არის საკმარისი.

— ეს თქვენ ჩემი სიყვარულის გამო გეჩვენებათ, მაქსიმილიან.

— არა, ვალენტინა, გეფიცებით არა. აი ახლა მე თქვენ ორივეს გიყურებდით და, პატიოსან სიტყვას გეუბნებით, მართებულად ვაფასებდი მადმუაზელ დანგლარის სილამაზეს, მაგრამ ვერ გამეგო, როგორ შეიძლება მისი შეყვარება.

— ეს იმიტომ, რომ, როგორც თქვენ თვითონ თქვით, მეც აქ ვიყავი და ეს გარემოება კი მიკერძოებულს გხდით.

— არა... მაგრამ მითხარით... გეკითხებით უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო, რომელიც აიხსნება ჩემი შეხედულებით მადმუაზელ დანგლარზე...

— და ალბათ უსამართლო შეხედულებით, თუმც არ ვიცი რაზეა ლაპარაკი. როდესაც თქვენ ჩვენ გვასამართლებთ, საწყალ ქალებს, შეწყნარების იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

— განა როდესაც ქალები ლაპარაკობთ, ძალიან სამართლიანები ხართ ერთმანეთის მიმართ.

— ეს იმიტომ, რომ ჩვენი მსჯელობა ყოველთვის მიკერძოებულია. მაგრამ თქვენს შეკითხვას დავუბრუნდეთ.

— მადმუაზელ დანგლარს ვინმე უყვარს, რომ ბატონი დე მორსერის ცოლობა არა სურს?

— მაქსიმილიან, მე უკვე გითხარით, რომ ექენი ჩემი მეგობარი არ არის.

— ღმერთო ჩემო, — თქვა მორელმა, — ქალიშვილები თუნდ მეგობრებიც არ იყვნენ, ერთმანეთს მაინც უმყდავნებენ საიდუმლოებას; გამოტყდით, რომ თქვენ კითხეთ ამის შესახებ. ვხედავ, იღიმებით.

— როგორც ჩანს, მაქსიმილიან, თქვენ ხელს არ გიშლით ეს ფიცრულის ტიხარი?

— თქვით, რა გითხრათ?

— მითხრა, რომ არავიან უყვარს, — თქვა ვალენტინამ, — რომ გათხოვების ფიქრი შიშსა ჰგვრის; მისთვის ბედნიერება თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებაა და თითქმის სურს, მამამისი გაღარიბდეს; მაშინ თავის მეგობარ ლუიზა დარმილივით შეძლებს მსახიობი გახდეს.

— აი, ხომ ხედავთ!

— მერედა ეს რას ამტკიცებს? — ჰკითხა ვალენტინამ.

— არაფერს, — უპასუხა ღიმილით მაქსიმილიანმა.

— მაშ რატომ იღიმებით?

— აი, ხომ ხედავთ, თქვენც აქეთ იყურებით, — უთხრა მაქსიმილიანმა.

— გინდათ, გაგეცლებით?

— არა, არა! მოდით თქვენზე ვილაპარაკოთ.

— დიახ, მართალი ხართ, ათი წუთიღა დაგვრჩა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა დამწუხრებულმა მაქსიმილიანმა.

— დიახ, მაქსიმილიან, მართალი ხართ, — უთხრა სევდიანად ვალენტინამ, — ცუდი მეგობარი გყვართ. თქვენ ბედნიერებისათვის ხართ შექმნილი და ჩემი გულისათვის როგორ ცხოვრებას ეწევით; დამიჯერეთ, ამის გამო მწარედ ვკიცხავ ჩემს თავს.

— მერე რა, ვალენტინა, განა სულ ერთი არ არის: თუკი ეს ჩემთვის ბედნიერებაა! ამ მუდმივ ლოდინს ანაზღაურებს თქვენთან გატარებული ხუთი წუთი, თქვენს მიერ წარმოთქმული ორი სიტყვა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ღმერთს არ შეეძლო შეექმნა ორი ასე ჰარმონიულად შეთანხმებული გული და არ შეეძლო ასე სასწაულებრივად შეეერთებინა ისინი, რათა შემდეგ გაეყარა.

— გმადლობთ, მაქსიმილიან, იმედი იქონიეთ ორივეს მაგიერ: ეს მე თითქმის ბედნიერს მხდის.

— კიდევ რა შეგემთხვათ, ვალენტინა, რომ ასე ჩქარა მტოვებთ?

— არ ვიცი; ქალბატონმა დე ვილფორმა მთხოვა მასთან შევიარო; მითხრა, უნდა გაცნობო ისეთი რამ, რაზედაც დამოკიდებულია შენი ქონების ნაწილი. ოჰ, ღმერთო ჩემო, ძალზე მდიდარი ვარ; წაიღონ ჩემი ქონების ნახევარი, ოღონდ სიმშვიდე და თავისუფლება მომცენ — თქვენ ღარიბიც გეყვარებით; ხომ ასეა, მორელ?

— ყოველთვის მეყვარებით; რა ბედენაა ჩემთვის სიმდიდრე ან სიღარიბე, — ოღონდ ვალენტინა იყოს ჩემთან და დარწმუნებული ვიყო, რომ ვერავინ წამართმევს მას! მაგრამ ერთი მითხარით, ეს ამბავი ხომ არ შეიძლება თქვენს გათხოვებას შეეხებოდეს?..

— არა მგონია.

— მისმინეთ, ვალენტინა, მაგრამ ნუ შეშინდებით: სანამ ცოცხალი ვარ, მე თქვენს გარდა არავისი არ ვიქნები.

— თქვენ გგონიათ, ეს მე მამშვიდებს, მაქსიმილიან?

— ბოდიშს ვიხდი! მართალი ხართ, კარგად ვერ გამოვთქვი. იმისი თქმა მინდოდა, რომ ამ დღეებში მორსერს შევხვდი.

— მერე?

— როგორც იცით, ბატონი ფრანცი მისი მეგობარია.

— მერე რა?

— მან ფრანცის წერილი მიიღო, ატყობინებს, მალე დავბრუნდებიო.

ვალენტინა გაფითრდა და გისოსს მიეყრდნო.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ასეა? — თქვა მან, — მაგრამ არა, ამის შესახებ ქალბატონი დე ვილფორი არ მაცნობებდა.

— რატომ?

— რატომ... მე თვითონაც არ ვიცი... მაგრამ ასე მგონია, რომ ქალბატონი დე ვილფორი, თუმცა აშკარად ამ ქორწინების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ გულში არ თანაუგრძნობს.

— ვალენტინა, ასე მგონია, ქალბატონ დე ვილფორის გაღმერთებას დავიწყებ.

— ნუ აჩქარდებით, მაქსიმილიან, — უთხრა ვალენტინამ ნაღვლიანი ღიმილით.

— თუ ის არ თანაუგრძნობს ამ ქორწინებას, შეიძლება სხვა რომელიმე წინადადებას კარგი თვალთ შეხედოს.

— ამის იმედი ნუ გექნებათ, მაქსიმილიან; ქალბატონი დე ვილფორი წინააღმდეგია არა საქმროების, არამედ — საერთოდ გათხოვების.

— როგორ თუ გათხოვების? თუ გათხოვების წინააღმდეგია, თვითონ რატომ გაჰყვა ქმარს?

— თქვენ ვერ გამიგეთ, მაქსიმილიან; როდესაც ერთი წლის წინ გამოვაცხადე მონასტერში წასვლა მინდა-მეთქი, მან თუმცა საჭიროდ მიიჩნია უარი ეთქვა ამ წინადადებაზე, მაგრამ გულში გაუხარდა. მამაჩემიც კი დათანხმდა, დარწმუნებულ ვარ, მისი წაქეზებით; მე შემაჩერა მხოლოდ საწყალმა ბაბუამ. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მაქსიმილიან, როგორი მეტყველი თვალები აქვს ამ უბედურ მოხუცს, რომელსაც ამქვეყნად მარტო მე ვუყვარვარ — ღმერთმა მომიტევოს თუ ვცოდავ — და რომელიც მხოლოდ მე ერთს მიყვარს. რომ იცოდეთ, როგორ შემომხედა, როდესაც ჩემი გადაწყვეტილება გაიგო. რამდენი საყვედური იყო მის სახეზე და სასოწარკვეთილება მის ცრემლებში, რომელიც უძრავ სახეზე ყოველი ჩვილისა და ოხვრის გარეშე სდიოდა. მე შემრცხვა, ფეხებში ჩაუვარდი და შევყვირე: «მაპატიე, მაპატიე, ბაბუა! დე, რაც მომივა ის მომივიდეს. მე თქვენ არ დაგშორდებით». მაშინ მან თვალები ზეცას აღაპყრო... მაქსიმილიან, შეიძლება ბევრი ტანჯვა გადამხდეს, მაგრამ ამ ტანჯვისათვის მე წინასწარ დამაჯილდოვა ჩემი მოხუცი ბაბუას მზერამ.

— ძვირფასო ვალენტინა! თქვენ ანგელოზი ხართ და მართალი გითხრათ, არ ვიცი, რით დავიმსახურე, როდესაც მარჯვნივ და მარცხნივ ბედუინებს ვმუსრავდი — იქნებ ღმერთმა მხედველობაში მიიღო, რომ ისინი ურწმუნონი არიან — რითი დავიმსახურე ბედნიერება, თქვენ მეცანით. ერთი მითხარით, ვალენტინა, რატომ უნდა იყოს ქალბატონი დე ვილფორი თქვენი გათხოვების წინააღმდეგი.

— განა არ გაიგონეთ, ეს-ეს არის გითხარით, მდიდარი ვარ, ძალზე მდიდარი-მეთქი. დედის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობად დამრჩა ორმოცდაათი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი; ჩემი ბებია და ბაბუა — მარკიზა და მარკიზი სენ-მერანები ამდენივეს დამიტოვებენ, ბატონ დე ნუარტიესაც, ცხადია, განზრახული აქვთ თავის ერთადერთ მემკვიდრედ მე დამტოვოს. ასე რომ, ჩემთან შედარებით, ჩემი ძმა ედუარდი, რომელიც ქალბატონი დე ვილფორის მხრიდან არაფერს ელის,

ღარიბია. ქალბატონი დე ვილფორი კი აღმერთებს ამ ბავშვს. მე თუ მონასტერში წავალ, მთელი ჩემი ქონება დარჩება მამაჩემს, რომელიც იქნება მარკიზის, მისი მეუღლის და ჩემი მემკვიდრე. შემდეგ კი ყოველივე მის ვაჟიშვილზე გადავა.

— უცნაურია, საიდან არის ეს სიხარბე ლამაზსა და ახალგაზრდა ქალში.

— ის თავის ვაჟზე ფიქრობს და არა თავის თავზე, და რასაც თქვენ დანაშაულად თვლით, დედობრივი სიყვარულის თვალსაზრისით, თითქმის სათნოებაა.

— მისმინეთ, ვალენტინა, თქვენი ქონების ნაწილი რომ მისცეთ? — უთხრა მორელმა.

— როგორ უნდა მივმართო ასეთი წინადადებით ქალს, რომელსაც პირზე მუდამ თავისი უანგარობა აკერია!

— ვალენტინა, ჩემი სიყვარული ჩემთვის ყოველთვის წმიდათა წმიდა იყო და, როგორც ყველაფერ წმინდას, მე მას მოკრძალების საბურველში ვმაღავდი, გულის სიღრმეში ვინახავდი. ამჟვეყნად არავინ, ჩემმა დამაც ეჭვითაც კი არაფერი იცის ამ სიყვარულზე, ეს საიდუმლოება მე არ მითქვამს არც ერთი ადამიანისათვის.

ვალენტინა, უფლებას მომცემთ, მეგობარს გავანდო იგი?

ვალენტინა შეკრთა.

— მეგობარს? — თქვა მან, — ღმერთო ჩემო, მაქსიმილიან, ამის გაგონებაზედაც კი ჟრუანტელი მივლის. მერედა ვინ არის ეს მეგობარი?

— მისმინეთ, ვალენტინა: განვიცდით თუ არა ოდესმე ვინმეს მიმართ ისეთი დაუძლეველი სიმპათია, რომ მის პირველსავე დანახვაზე გიგრძენიათ, თითქოს უკვე დიდი ხანია მას იცნობთ და თქვენ თავს ეკითხებით, სად და როდის გინახავთ; შემდეგ, რაკი ძალა არ შეგწევთ ადგილი და დრო გაიხსენოთ, თავს აჯერებთ, რომ ეს იყო წინათ იმ ქვეყანაში, და რომ ეს სიმპათია მხოლოდ გაღვიძებული მოგონებაა?

— დიახ.

— ჰოდა, აი სწორედ ასეთი განცდა მქონდა იმ არაჩვეულებრივი ადამიანის პირველსავე დანახვაზე.

— არაჩვეულებრივი ადამიანის?

— დიახ.

— დიდი ხანია, რაც მას იცნობთ?

— რაღაც ერთი კვირა თუ ათი დღეა.

— და თქვენ მეგობარს უწოდებთ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ერთი კვირაა იცნობთ? არ მეგონა, მაქსიმილიან, რომ ასე უხვად არიგებდით მშვენიერ სახელს — მეგობარი.

— ლოგიკურად თქვენ მართალი ხართ, ვალენტინა; მაგრამ რაც გინდათ ის თქვით, უარს ვერ იტყვი ამ ინსტინქტურ გრძნობაზე. დარწმუნებული ვარ, ეს კაცი გარეული იქნება ყველაფერში, რაც მომავალში კარგი შემემთხვევა. და მე ზოგჯერ მეჩვენება, რომ იგი თავისი ღრმა მზერით სჭვრეტს ამ მომავალს, ხოლო თავისი ყოვლისშემძლე ხელით მას მართავს.

— მაშ იმ გულთმისანი ყოფილა? — უთხრა ღიმილით ვალენტინამ.

— მართალი გითხრათ, — უპასუხა მაქსიმილიანმა, — მე ზოგჯერ მზად ვარ დავიჯერო, რომ იგი წინასწარ სჭვრეტს, განსაკუთრებით კარგ რამეს.

— გამაცანით იგი, მაქსიმილიან, — უთხრა ნაღვლიანად ვალენტინამ, — მინდა მითხრას, ვიპოვი თუ არა სიყვარულში ჩემი ამდენი ტანჯვის სანაზღაუროს?

— ჩემო საწყალო მეგობარო, თქვენ მას იცნობთ.

— მე?

— დიახ. იმ კაცმა სიკვდილს გადაარჩინა თქვენი დედინაცვალი და თქვენი ძმა.

— გრაფი მონტე-კრისტო?

— დიახ!

— არა, — შესძახა ვალენტინამ, — ის ვერასოდეს ვერ იქნება ჩემი მეგობარი, ის ჩემი დედინაცვლის დიდი მეგობარია.

— გრაფი, თქვენი დედინაცვლის მეგობარი, ვალენტინა? ჩემი გრძნობა არ მომატყუებს. დარწმუნებული ვარ, ცდებით.

— ოჰ, თქვენ რომ იცოდეთ, მაქსიმილიან! ახლა ჩვენს ოჯახში ედუარდი კი არ მეფობს, არამედ გრაფი. დედინაცვალი ქედს იხრის იმის წინაშე, იგი მას მიაჩნია ყველა საკაცობრიო ცოდნის წყაროდ, მამაჩემი აღფრთოვანებულია ამ კაცით, გესმით, აღფრთოვანებული-მეთქი და ამბობს, რომ მას არასოდეს გაუგონია ასე მჭევრმეტყველურად გამოთქმული მაღალი აზრები. ედუარდი მას აღმერთებს და, თუმცა მისი დიდი შავი თვალების ეშინია, დანახვისთანავე ხელეზგაშლილი მისკენ გარბის; გრაფი მონტე-კრისტო ჩვენს სახლში მამაჩემის და ქალბატონი დე ვილფორის სტუმარი კი აღარაა, არამედ ისე იქცევა, როგორც თავის სახლში.

— ძალიან კარგი, ძვირფასო ვალენტინა, თუ ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ამბობთ, უკვე უნდა გეგრძნოთ, ან ჩქარა იგრძნობთ ამ კაცის უშუალო გავლენას. ის იტალიაში ხვდება ალბერ დე მორსერს და მას ხელიდან გლეჯს ყაჩაღებს; ის ეცნობა ქალბატონ დანგლარს — და მას მეფურ საჩუქარს უგზავნის; თქვენი დედინაცვალი და ძმა, მისი სახლის კარიბჭესთან გაიქროლებენ ეტლით — და მისი ნუბიელი მათ სიცოცხლეს აჩუქებს. ამ კაცს ნამდვილად რაღაცა ძალა აქვს თავის გარშემო მყოფებზე გავლენა მოახდინოს. მე არავისში არ მინახავს, რომ უბრალო გემოვნება ასე შერწყმული იყოს მედიდურობასთან. როდესაც მილიმის, მის ღიმილში იმდენ სინაზეს ვხედავ, რომ მიკვირს, რად ეჩვენებათ იგი ზოგიერთებს მწარედ. მითხარით, ვალენტინა, როდესმე გაგიღიმათ ამგვარად? თუკი გაგიღიმათ, თქვენ ბედნიერი იქნებით.

— მე! — შესძახა ყმაწვილმა ქალმა, — მაქსიმილიან, ის არც კი მიყურებს, უფრო მეტი, როცა შემთხვევით ჩავუვლი, პირს იბრუნებს. არა, ის დიდსულოვანი არ არის, მას არა აქვს ისეთი თვალები, რომლებიც გულის ნადებს კითხულობენ. მას არა აქვს ისეთი გამჭვალავი მზერა, რომელსაც თქვენ აღწერთ. ის რომ დიდსულოვანი ადამიანი იყოს, როცა ამ სახლში ასეთი ნაღვლიანი და განმარტოებული მნახა, თავისი გავლენით დამიფარავდა; თუ ის ნამდვილად, როგორც თქვენ ამბობთ, მზის როლს თამაშობს, თავისი სხივებით ჩემს გულს გაათბობდა. მაქსიმილიან, თქვენ ამბობთ, რომ მას უყვარხართ; საიდან იცით ეს? ადამიანები ხშირად ალერსიანად უცქერიან თქვენსავით ხუთი ფუტი და ექვსი დუიმის სიმაღლის, ღონიერ და გრძელულვამიან ოფიცრებს, რომელთაც დიდი ხმალი ჰკიდიათ, მაგრამ დაუფიქრებლად სჭყლეტენ უბედურ, თვალცრემლიან ქალიშვილს.

— ვალენტინა, გეფიცებით, ცდებით!

— ეს რომ სხვაგვარად იყოს, მაქსიმილიან, ის რომ დიპლომატიურად მექცეოდეს, როგორც ადამიანი, რომელსაც სურს ასე თუ ისე ფეხი მოიკიდოს ოჯახში, ერთხელ მაინც გამიღიმებდა იმ ღიმილით, რომელსაც თქვენ ასე აქებთ. მაგრამ არა, ის ხედავს, რომ უბედური ვარ, და ესმის, რომ ჩემგან არავითარი სარგებლობა არ ექნება: ამიტომ ყურადღებასაც კი არ მაქცევს. ვინ იცის, მამაჩემის და ქალბატონი დე ვილფორის ან ჩემი ძმის საამებლად იმანაც დევნა დამიწყოს, თუ მის ხელთ იქნება! მოდით გულახდილები ვიყოთ. მე არა ვარ ისეთი ქალი, რომ უმიზეზოდ ამითვალწუნონ, ამას თვითონ თქვენ ამბობთ. მომიტევეთ, — განაგრძო ახალგაზრდა ქალმა, როდესაც დაინახა, როგორი გავლენა მოახდინეს ამ სიტყვებმა მაქსიმილიანზე, — მე ავი ვარ და

ამ კაცის შესახებ ისეთ რამეს ვამბობ, რაც თვითონ არ მეგულებოდა ჩემში. მისმინეთ, მე არ უარყოფ, რომ ამ კაცში არის ძალა, რომელზედაც თქვენ მელაპარაკებოდით; ეს ძალა ჩემზედაც კი ახდენს გავლენას; მაგრამ, როგორც ხედავთ, ის უკუღმართად მოქმედებს და კეთილ გრძნობებს ჰკლავს.

— კარგი, ვალენტინა, — უთხრა ოხვრით ყმაწვილმა კაცმა, — ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ; მას არაფერს ვეტყვი.

— როგორც ვხედავ, მეგობარო, თქვენ გული გატკინეთ, — უთხრა ვალენტინამ, — ოჰ, რატომ არ შემიძლია ხელი გამოგიწოდოთ ბოდიშის სათხოვნელად? მე თვითონაც კმაყოფილი ვიქნები, თუ გადამაჯერებდით. ერთი მითხარით, მაინც რა გაგიკეთათ ასეთი გრაფმა მონტე-კრისტომ?

— უნდა გამოგიტყდეთ, ვალენტინა, ასეთი კითხვით — «მაინც რა გაგიკეთათო», ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ; არაფერი განსაკუთრებული, ეს მეტად კარგად ვიცი. ჩემი მისდამი გრძნობა ინსტინქტურია, მასში არაფერი არ არის გონივრულად განსჯილი. განა მზემ რამე გააკეთა ჩემთვის? არა. ის მათბობს და მის შუქზე თქვენ გხედავთ. ეს არის და ეს. განა ამა თუ იმ სურნელებამ რაიმე გააკეთა ჩემთვის? არა; იგი მხოლოდ ესიამოვნება ჩემს ორგანიზმს. თუ მკითხეს, რატომ მიყვარს ეს სურნელება, სხვა ვერაფერს ვეტყვი. გრაფისადმი ჩემს მეგობრულ გრძნობაშიც არის რაღაც უცნაური, ისევე როგორც მის ჩემდამი დამოკიდებულებაში. შინაგანი ხმა მეუბნება, ეს მოულოდნელი ურთიერთ სიმპათია შემთხვევითი არ არისო. მე რაღაც კავშირს ვგრძნობ მის უბრალო საქციელსა, მის ყველაზე დაფარულ აზრებსა და ჩემს მოქმედებას და აზრებს შორის. თქვენ ისევ დამცინებთ, ვალენტინა, მაგრამ მას აქეთ, რაც ეს კაცი გავიცანი, ერთი სულელური აზრი დამეხდა: რაც კარგი რამ მემართება, მისგან გამომდინარეობს-მეთქი. ოცდაათი წელი კი ისე ვიცხოვრე, რომ ასეთი მფარველის საჭიროება არ მიგრძენია, აი, მაგალითი: მან შაბათს სადილად მიმიწვია, ეს სავსებით ბუნებრივია ჩვენს დამოკიდებულებაში, არა? მაგრამ შემდეგ რას ვგებულობ? ამ სადილზე მოპატიჟებული არიან მამათქვენი და თქვენი დედინაცვალი. მე მათ შევხვდები, და ვინ იცის რა შედეგი მოჰყვება მას? ეს თითქოს გარეგნულად სულ უბრალო შემთხვევაა; მაგრამ მასში მე რაღაც განსაკუთრებულს ვხედავ; ის ჩემში რაღაც უცნაურ რწმენას ჰბადებს. მე ჩემს თავს ვეუბნები, რომ გრავს, ამ არაჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც ყველაფერს ხვდება, უნდოდა ბატონ დე ვილფორთან და მის მეუღლესთან შევეხვედრებინე. და ზოგჯერ, გეფიცებით, მის თვალეში ვეძებ, ჩემი სიყვარული ხომ არ გამოიცნო-მეთქი.

— ჩემო კარგო მეგობარო, — უთხრა ვალენტინამ, — მეოცნებედ ჩავთვლიდით და ნამდვილად შემაშინებდა თქვენი ჭკუა, მარტო თქვენგან რომ მესმოდეს ასეთი მსჯელობა. როგორ! შემთხვევის გარდა სხვას რას ხედავთ ამ შეხვედრაში? აბა, კარგად დაუფიქრდით. მამაჩემი, რომელიც არასოდეს დადის სტუმრად, ერთი ათჯერ მაინც შეეცადა ქალბატონ დე ვილფორისათვის უარი ეთქმევინებინა ამ მიპატიჟებაზე, მაგრამ ქალს, პირიქით, სურვილი ქენჯნის ნახოს ამ არაჩვეულებრივი ნაბობის სახლი, და თუმცა ძალიან გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა, რომ ქმარიც თან წაჰყვეს. არა, არა, დამიჯერეთ, ამქვეყნად, მაქსიმელიან, თქვენს გარდა, შველას არავისგან ველი; ბაბუაჩემი ცოცხალი ლეშია, ხოლო დედაჩემი — უსხეულო აჩრდილია.

— მე ვგრძნობ, ვალენტინა, რომ მართალი ხართ, და ლოგიკა თქვენს მხარეზეა, — უთხრა მაქსიმელიანმა, — მაგრამ თქვენი ნაზი ხმა, რომელიც ყოველთვის მბრძანებლურად მოქმედებს ჩემზე, ამჯერად ვერ მარწმუნებს.

— თქვენ კი, — უპასუხა ვალენტინამ, — თუ სხვა მაგალითი არა გაქვთ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ...

— შემოდგომა გითხრათ კიდევ ერთი, — თქვა გაუბედავად მაქსიმელიანმა, — მაგრამ უფრო სულელური, ვიდრე პირველი.

— მით უარესი, — თქვა ღიმილით ვალენტინამ.

— მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო მორელმა, — ჩემთვის იგი დამაჯერებელია; ათი წლის განმავლობაში, რაც ჯარში ვმსახურობ, რამდენჯერ გადამარჩინა შინაგანმა ხმამ, რომელიც უცებ მკარნახობდა მარჯვნივ გადავწეულიყავი თუ მარცხნივ, რათა გასაგმირავად წამოსული ტყვია ამცდენოდა.

— ძვირფასო მაქსიმელიან, რატომ ჩემს ლოცვას არ მიაწერთ ტყვიის ასეთ მოძრაობას? როდესაც თქვენ იქა ხართ, მე ვთხოვ ღმერთსა და დედაჩემს, არა ჩემი გულისათვის, არამედ თქვენთვის.

— დიახ, მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, — უთხრა ღიმილით მორელმა, — მაგრამ წინათ, როდესაც მე თქვენ არ გიცნობდით?

— კარგი, მეგობარო, რახან არ გინდათ ჩემგან დავალებული იყოთ, იმ მაგალითს დავუბრუნდეთ, რომელიც თქვენ სულელურად მიგაჩნიათ.

— კარგი, მაშ ჭუჭრუტანაში გამოიხედეთ, ხედავთ იქ ხის ქვეშ ახალ ცხენს, რომლითაც მე მოვედი?

— რა საუცხოო ცხენია! — შესძახა ვალენტინამ, — რატომ კარებთან არ მოიყვანეთ? მე დაველაპარაკებოდი და ის გამიგონებდა.

— როგორც ხედავთ, ეს ძალიან ძვირფასი ცხენია, — უთხრა მაქსიმელიანმა, — თქვენ კი იცით, ვალენტინა, რომ ჩემი სახსრები შეზღუდულია და მე გონიერი კაცი ვარ. ჰოდა, აი, ერთ ვაჭართან ვნახე ეს შესანიშნავი მედეა, ასე ვეძახი ამ ცხენს. ფასი ვიკითხე, მიპასუხა: ოთხი ათას ხუთასი ფრანკი ღირსო; იძულებული ვიყავი თავი შემეკავებინა, მე მგონი გამიგებთ, და გავეცალე. უნდა გამოგიტყდეთ, გული დამწყდა, რადგან ცხენი ნაზად შემომყურებდა, თავით მეაღერებოდა და ჩემს წინაშე მომხიზლავად და კობტად ჯირითობდა. იმ საღამოს ჩემთან შეიკრიბნენ მეგობრები: შატო-რენო, დებრე და კიდევ ერთი ექვსიოდე კაცი, რომლებსაც თქვენ ბედნიერება გაქვთ გვარებითაც კი არ იცნობდით. გადაწყვიტეს ბულოტი ეთამაშათ. მე ქალაქის არასოდეს ვეთამაშობ, რადგან არც ისე მდიდარი ვარ, რომ წავაგო და არც ისე ღარიბი, რომ მოგება ვინატრო. მაგრამ რაკი ეს ჩემ სახლში ხდებოდა, სხვა რა გზა მქონდა, ქალაქის მოსატანად კაცი გავგზავნიე.

როგორც კი სათამაშო მაგიდას შემოვუსხედით, მოვიდა გრაფი მონტე-კრისტო. ისიც მაგიდას მიუჯდა. დავიწყეთ თამაში და მე მოვიგე: ძლივს ვბედავ გამოგიტყდეთ, ვალენტინა, რომ ხუთი ათასი ფრანკი მოვიგე. დაახლოებით შუაღამისას სტუმრები დაიშალნენ. მე ვერ მოვითმინე, კაბრიოლეტი ვიქირავე და ცხენების ვაჭართან გავემგზავრე. აღელვებულმა და აცახცახებულმა ზარი დავრეკე; იმას, ვინც კარები გამიღო, ალბათ, გიჟი ვეგონე. მე მეორე კარით საჯინიბოს ვეცი და ბაგაში შევიხედე. საბედნიეროდ, მედეა დამშვიდებით თივას სჭამდა. ხელი ვტაცე უნაგირს, თვითონ შევკაზმე და აღვირი ამოვდე. მედეა ყოველივე ამას სიამოვნებით ემორჩილებოდა. შემდეგ გაშტერებულ ვაჭარს ხელში ოთხი ათას ხუთასი ფრანკი ჩავუდე და დავბრუნდი ან უფრო სწორად, მთელი ღამის განმავლობაში ელისეს მინდვრებზე წინ და უკან დავაქროლებდი ჩემს ცხენს. და იცით? გრაფის ფანჯრები განათებული იყო, მე მომეჩვენა, რომ ფარდების უკან მისი ჩრდილი დავინახე. ახლა, ვალენტინა, დავიფიცებ, რომ გრაფმა იცოდა როგორ მინდოდა ის ცხენი და განგებ წააგო, რათა მე ის მეყიდა.

— ჩემო ძვირფასო მაქსიმელიან, — თქვა ვალენტინამ, — თქვენ მართლაც ძალიან დიდი ფანტაზიორი ხართ... თქვენ დიხანს არ გეყვარებათ... ადამიანი, რომელიც

თქვენს მსგავსად პოეტურ ოცნებებში დაფრინავს, ვერ შეძლებს გაიხაროს ისეთ მონოტონურ სიყვარულში, როგორც ჩვენია... მაგრამ, ღმერთო ჩემო, მეძახიან... გესმით?

— ვალენტინა, — უთხრა მაქსიმილიანმა, — ჭუჭრუტანაში გამოყავით... ყველაზე პატარა თითი, რათა ვემთხვიო.

მაქსიმილიან, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ერთმანეთისათვის მხოლოდ ორი ხმა, ორი ჩრდილი ვიქნებით.

— როგორც გინდოდეთ, ვალენტინა.

— თქვენ ბედნიერი იქნებით, თუ სურვილს შეგისრულებთ?

— ოჰ, დიახ.

ვალენტინა სკამზე ავიდა და ჭუჭრუტანაში თითი კი არ გაჰყო, არამედ ღობეზე მთელი მკლავი გადადო.

მაქსიმილიანმა შეჰყვირა, ტუმბოზე ახტა, სათაყვანებელ ხელს ეცა და მხურვალე ტუჩებით დაეკონა; მაგრამ იმავე წუთში პატარა მკლავი გაუსხლტა და მორელს მხოლოდ მოესმა როგორ გარბოდა ვალენტინა, შეიძლება განცდილი გრძნობებით შეშინებული.

ნაწილი მეოთხე

თავი I

ბატონი ნუარტიე დე ვილფორი

აი, რა მოხდა მეფის პროკურორის ბინაში ქალბატონ დანგლარისა და მისი ქალიშვილის წასვლის შემდეგ, იმ დროს, როდესაც ჩვენს მიერ გადმოცემული საუბარი მიმდინარეობდა.

ბატონი დე ვილფორი ცოლის თანხლებით მამის ოთახში შევიდა. რაც შეეხება ვალენტინას, ჩვენ ვიცით სადაც იყო იგი.

როდესაც მოხუცს მიესალმნენ და ბარუა, ნუარტიეს სამსახურში ოცდახუთი წლის მანძილზე ნამყოფი მსახური, გარეთ გაუშვეს, ორივენი დასხდნენ.

ბატონი ნუარტიე იჯდა ბორბლებიან დიდ სავარძელში, სადაც მას დილაობით სვამდნენ და საღამოობით გადმოჰყავდათ. წინ ედგა სარკე, რომელშიც მთელი ოთახი მოჩანდა. ასე რომ, შეეძლო ოდნავაც არ შერხეულიყო — რაც მისთვის შეუძლებელიც იყო — და დაენახა ვინ შემოვიდოდა, ვინ გადიოდა, ან რა კეთებოდა მის ირგვლივ. ცხედარივით უძრავი, ცოცხალი და გონიერი თვალებით უყურებდა თავის შვილებს, რომელთა ცერემონიული მისალმება რაღაც ოფიციალურის და მოულოდნელის მაუწყებელი იყო.

მხედველობა და სმენა, მარტოდენ ეს ორი გრძნობა, ორი ნაპერწკალივით ჯერ კიდევ ბჟუტავდა უკვე სამი მეოთხედით საფლავისათვის გამზადებულ სხეულში. ამ ორი გრძნობიდანაც მხოლოდ ერთი მეტყველებდა შინაგან ცხოვრებაზე, რომელიც ჯერ კიდევ ფეთქავდა ამ ქანდაკებაში; შინაგანი ცხოვრების გამომხატველი მზერა მიაგავდა შორეულ სინათლეს, ღამით უდაბნოში გზააბნეულ მგზავრს რომ ამცნობს, სადღაც ამ სიჩუმეში და სიბნელებაში ცოცხალი არსება ფხიზლობსო.

სამაგიეროდ, მოხუცი ნუარტიეს შავ თვალებში, რომლის ზემოთ აზიდული იყო შავი წარბები, მაშინ, როდესაც მხრებზე დაშვებული გრძელი თმა სულ გასთეთრებოდა, ამ თვალებში — როგორც ეს საერთოდ სხვების ხარჯზე მომქმედ ორგანოში ხდება ხოლმე — თავი მოეყარა მთელს ენერგიას, მთელს სიმარჯვეს,

მთელს ძალას, გონებას, რომლებიც ოდესღაც მის სხეულსა და სულს აცოცხლებდნენ. მართალია, მას აკლდა ხელების და სხეულის მოძრაობა, არ ჰქონდა ხმის ამოდების უნარი, მაგრამ მბრძანებლური მზერა ყოველივე ამის მაგივრობას ეწეოდა. თვალები მბრძანებლობდნენ, თვალები იხდიდნენ მადლობას; ეს იყო ლეში ცოცხალი თვალებით. არაფერი იყო იმაზე საშიში, როგორც ეს მარმარილოს სახე, რომლის ზემო ნაწილში დროდადრო იფეთქებდა მრისხანება, ან სიხარული. ამ უბედური დამბლადაცემულის ენა მხოლოდ სამ პიროვნებას ესმოდა: ვილფორს, ვალენტინას და იმ მოხუც მსახურს, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. მაგრამ რადგან ვილფორი, იშვიათად, მხოლოდ მაშინ ნახულობდა მამამისს, როდესაც ეს აუცილებელი იყო, და ამ შეხვედრის დროსაც არ ცდილობდა ესამოვნებინა მისთვის, თუმცა კარგად ესმოდა მისი, მოხუცის ერთადერთი ბედნიერება შვილიშვილი იყო. ვალენტინამ ერთგულების, სიყვარულის და მოთმინების წყალობით შეისწავლა ნუარტიეს ყველა აზრის თვალეში ამოკითხვა. სხვებისათვის მუნჯ, გაუგებარ ენას ის პასუხობდა მთელი თავისი ხმით, სახით, ხელით და გულით, იმგვარად, რომ გაცხოველებული ბაასი იმართებოდა ყმაწვილ ქალსა და თითქმის გვამად ქცეულ, მიხრწნილ სხეულს შორის, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა დიდად გამჭრიახი და ნათელი გონება. ეს გახლდათ ძლიერი ნებისყოფის მქონე, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა სხეულში მფეთქავი სული, რომელსაც ეს სხეული აღარ ემორჩილებოდა.

ამგვარად, ვალენტინამ შეძლო მიიმე ამოცანის გადაწყვეტა: გაეგო მოხუცის აზრები და გადაეცა თავისი. და აი, ამ უნარის წყალობით თითქმის არ იყო შემთხვევა, რომ ყოველდღიურ საკითხებში მას სავსებით ზუსტად არ გაეგო ამ ცოცხალი სულის სურვილი ან ნახევრად უგრძნობი ლემის მოთხოვნილება.

რაც შეეხება ბარუას, როგორც ვთქვით, ის ოცდახუთი წლის მანძილზე ემსახურებოდა თავის ბატონს და ისე კარგად იცოდა მისი ჩვევები, რომ ნუარტიეს არც კი სჭირდებოდა რაიმე ეთხოვა.

ვილფორს, იმ უცნაური საუბრის დასაწყებად, რომლისათვისაც ის თავის მამასთან მოვიდა, არც ერთისა და არც მეორის დახმარება არ სჭირდებოდა. მან თვითონ, როგორც უკვე ვთქვით, საუკეთესოდ იცოდა მოხუცის ლექსიკონი და თუ ასე იშვიათად ესაუბრებოდა, ეს მხოლოდ მისი გულგრილობით აიხსნებოდა. სწორედ ამიტომაც მან ვალენტინა ბაღში სასაქონოდ გაისტუმრა, ბარუა კი დაითხოვა. ბატონი დე ვილფორი მამის მარჯვნივ მოთავსდა, ქალბატონი დე ვილფორი კი — მარცხნივ.

— ბატონო ჩემო, — მიმართა შვილმა, — ნუ გაგიკვირდებათ, რომ ვალენტინა ჩვენთან ერთად არ მოვიდა და ბარუაც გავისტუმრე; ის, რაც უნდა შეგატყობინოთ, არ შეიძლება ყმაწვილი ქალის ან მსახურის თანდასწრებით ითქვას; ქალბატონმა დე ვილფორმა და მე რაღაცა უნდა გაცნობოთ.

ამ შესავლის დროს ნუარტიეს სახის გამომეტყველებას არავითარი ცვლილება არ დატყობია, დე ვილფორის თვალეშ კი, პირიქით, თითქოს მოხუცის გულის სიღრმეში შეჭრა სურდათ.

— ჩვენ, მე და ქალბატონი ვილფორი, — განაგრძო მეფის პროკურორმა, მისთვის ჩვეული ცივი ხმით, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, არასოდეს ღალატობდა, — დარწმუნებული ვართ ამ ცნობას თანაგრძნობით მიიღებთ.

მოხუცის თვალეში ისევ უძრავად იყვნენ; ის მხოლოდ უსმენდა.

— ბატონო ჩემო, — დაიწყო ვილფორმა, — ჩვენ ვალენტინას ვათხოვებთ.

თვით სანთლის ნიღაბიც კი ვერ შეხვდებოდა ამ ცნობას ისე ცივად, როგორც მოხუცის სახე.

— ქორწილი სამი თვის შემდეგ იქნება, — განაგრძო ვილფორმა.

მოხუცის თვალები ისევ უსიცოცხლონი დარჩნენ.

ახლა თავის მხრივ ქალბატონმა დე ვილფორმა ამოიღო ხმა:

— ჩვენ ვიფიქრეთ, — დასძინა აჩქარებით მან, — რომ ეს ცნობა თქვენ დაგაინტერესებდათ, ბატონო ჩემო; გარდა ამისა, ვგონებ ყოველთვის შეთვისებული იყავით ვალენტიანასთან, ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, გითხრათ მისთვის განკუთვნილი ყმაწვილი კაცის გვარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საქმროთაგანია მათ შორის, ვისი შერთვის იმედიც შეიძლებოდა ვალენტიანას ჰქონოდა; ის, ვინც მისთვის გვინდა და ვისი გვარიც თქვენთვის, ალბათ, უცნობი არ არის, მდიდარია, კარგი ოჯახის შვილია. მისი ყოფაქცევა და გემოვნება გარანტიას იძლევა, რომ ვალენტინა ბედნიერი იქნება. ლაპარაკია ფრანც დე კენელზე — ბარონ დ'ეპინზე.

ვილფორმა, სანამ მისი ცოლი ამ პატარა სიტყვას ამბობდა, მოხუცს თვალები წინანდელზე უფრო მეტი დაკვირვებით ჩააშტერა. როგორც კი ქალბატონმა დე ვილფორმა ფრანცის სახელი წარმოთქვა, ნუარტიეს შვილისათვის ესოდენ ნაცნობ თვალებში, შეკრთომა გამოეხატა და ქუთუთოებს შუა, რომლებიც თითქოს სალაპარაკოდ გამზადებული ბაგეებივით გაეხსნა, ელვამ დაურბინა.

მეფის პროკურორმა, რომელმაც იცოდა მამამისისა და ფრანცის მამას შორის არსებული ძველი აშკარა მტრობა, გაიგო ეს ცეცხლი და მღელვარება, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი შეუნიშნავს და ცოლის მიერ შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— ბატონო ჩემო, თქვენ კარგად გესმით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ვალენტინა, რომელსაც მალე ცხრამეტი წელი შეუსრულდება, ბოლოს და ბოლოს დაბინავდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ დაგვავიწყდით ამ საკითხის გადაწყვეტის დროს და წინასწარ დარწმუნებული ვართ, ვალენტიანას ქმარი თანახმა იქნება, თუ ჩვენთან ცხოვრებაზე არა, ეს შეავიწროვებდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, ყოველ შემთხვევაში იმაზე, რომ თქვენ მათთან გეცხოვრათ. ვალენტიანას ხომ ძალიან უყვარხართ და თქვენც, ალბათ, ასევე გიყვართ იგი. ამგვარად, თქვენი ჩვეულებრივი ცხოვრება არაფრით შეიცვლება, განსხვავება მხოლოდ იმაში იქნება, რომ ერთის მაგიერ ორი ბავშვი მოგივლით.

ნუარტიეს ანთებული თვალები სისხლით აევსო.

ეტყობოდა მოხუცის გულში რაღაც საშინელება ხდებოდა; ცხადი იყო ტკივილისა და მრისხანების ყვირილი გამოსავალს ვერ პოულობდა და ახრჩობდა. მას სახეზე ალმური ასდიოდა, ტუჩები გალურჯებოდა.

ვილფორმა ფანჯარა დამშვიდებით გამოაღო და დასძინა:

— აქ ძალიან ცხელა, ამიტომ ბატონ ნუარტიეს სუნთქვა უჭირს.

შემდეგ ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, მაგრამ აღარ დამჯდარა.

— ეს ქორწინება, — დაიწყო ისევ ქალბატონმა დე ვილფორმა, — მოსწონთ ბატონ დ'ეპინესა და მის ნათესავებს; ისინი, სხვათა შორის, მხოლოდ ორნიღა არიან — ბიძა და ბიცოლა. დედამისი მასზე მშობიარობას გადაყვა, ხოლო მამა მოუკლეს ათას რვაას თხუთმეტ წელს, როდესაც ბავშვი ორი წლისა არც კი იყო, ასე რომ, ის მარტო თავის თავზეა დამოკიდებული.

— უცნაური მკვლელია მოხდა, — თქვა ვილფორმა, — დამნაშავეები გამოუცნობელნი დარჩნენ; ეჭვი ბევრზე ჰქონდათ, მაგრამ ვერავიფიქრებდნენ.

ნუარტიემ თავს ისეთი ძალა დაატანა, რომ ტუჩები თითქოს ღიმისათვის მოღრცა.

— თუმცა, უნდა ითქვას, — განაგრძო ვილფორმა, — ჭეშმარიტი დამნაშავეები ისინი არიან, ვინც იციან რომ დანაშაული ჩაიდინეს. ისინი, ვინც შეიძლება სიცოცხლეში განსაჯოს ადამიანთა მართლმსაჯულებამ, ხოლო სიკვდილის შემდეგ ღვთის სამართალმა, მოხარული იქნებოდნენ თქვენს ადგილას აღმოჩენილიყვნენ და შესაძლებლობა ჰქონოდათ ფრანც დ'ეპინესათვის ქალიშვილი შეეთავაზებინათ, რათა ამით ოდნავი ეჭვიც კი გაექარწყლებინათ.

ნუარტიემ დასამშვიდებლად ისეთი ძალა მოიკრიბა, რაც ნაკლებ მოსალოდნელი იყო ამ დამბლადაცემული ადამიანისაგან.

— ო, მე მესმის, — უპასუხა ვილფორს მისმა მზერამ, რომელშიც ერთდროულად გამოიხატა ზიზღი და მრისხანება.

ვილფორმა ამ გამოხედვას, რომელიც კარგად გაიგო, მხრების ოდნავი აჩეჩვით უპასუხა.

შემდეგ ცოლს ანიშნა, წამომდგარიყო.

— ახლა კი, ბატონო ჩემო, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, — ნება მოგვეცით გამოგემშვიდობოთ. ხომ არ ინებებთ ედუარდი შემოვიდეს თქვენთან?

შეთანხმებული იყვნენ, რომ მოხუცი თანხმობას თვალების დახუჭვით გამოხატავდა, უარს — თვალების დახამხამებით, ხოლო რაიმე სურვილს — თვალების ზეცაში აპყრობით.

თუ ვალენტინას ნახვა სურდა, მხოლოდ მარჯვენა თვალს ხუჭავდა, თუ ბარუას უხმობდა — მარცხენას.

ქალბატონი დე ვილფორის წინადადების გაგონებაზე, მან თვალები რამდენჯერმე სწრაფად დაახამხამა.

ქალბატონმა დე ვილფორმა ასეთ აშკარა უარზე ტუჩები მოიკვნითა.

— იქნებ ვალენტინა გამოგიგზავნოთ? — ჰკითხა მან.

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა თვალების სწრაფი დახუჭვით.

ცოლი და ქმარი გამოემშვიდობნენ მოხუცს და გავიდნენ. თან განკარგულება გასცეს ვალენტინასათვის დაეძახათ, რომელიც, სხვათა შორის, უკვე გაფრთხილებულ იყო, რომ დღისით ბაბუას დასჭირდებოდა.

ვალენტინა მოხუცთან მღელვარებისაგან ჯერ ისევ გაწითლებული შევიდა. მისთვის საკმარისი იყო ერთი შეხედვა, რომ მიხვედრილიყო როგორ იტანჯებოდა ბაბუა და რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი.

— კეთილო ბაბუა, — შეჰყვირა მან, — რა მოხდა, გაწყენინეს და შენ გაბრაზდი?

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა თვალების დახუჭვით.

— ვინ გაგაბრაზათ? მამაჩემმა? არა; ქალბატონმა დე ვილფორმა? არა; მე? მოხუცმა თანხმობის ნიშნად თვალები დახუჭა.

— მე? — ჰკითხა ხელახლა გაკვირვებულმა ვალენტინამ.

მოხუცმა იგივე ნიშანი გაიმეორა.

— კი მაგრამ, რა ჩავიდინე ასეთი, ძვირფასო ბაბუა? — შეჰყვირა ვალენტინამ.

არავითარი პასუხი; ვალენტინამ განაგრძო:

— დღეს არ მინახავხარ; მამ ჩემზე ვინმემ რაიმე გითხრა?

— დიახ, — უპასუხა სწრაფად მოხუცის მზერამ.

— ვეცდები როგორმე მივხვდე, რაშია საქმე, ღმერთო ჩემო, გეფიცები ბაბუა... ჰო!.. აი რა! ბატონი დე ვილფორი და მისი მეუღლე ეს-ეს არის თქვენგან გამოვიდნენ, არა?

— დიახ.

— და მათ გითხრეს ის ამბავი, რომელმაც ასე გაგაბრაზათ? რა უნდა იყოს? გინდა მათ ვკითხავ, რათა პატიების თხოვნა შევძლო?

— არა, არა, — უპასუხა მოხუცმა.

— შენ მე მაშინებ! რა უნდა ეთქვათ!

ქალიშვილი ჩაფიქრდა.

— ჰო, მივხვდი, — თქვა მან ხმის დაწევით და მოხუცს მიუახლოვდა, — შეიძლება ისინი ჩემ გათხოვებაზე ლაპარაკობდნენ.

— დიახ, — უპასუხა მრისხანე გამოხედვამ.

— მესმის; შენ ბრაზობ, რომ აქამდე ჩუმად ვიყავი. მაგრამ იცი რა, მათ სასტიკად ამიკრძალეს შენთან ამაზე ლაპარაკი; მეც არაფერს მეუბნებოდნენ, და სრულიად შემთხვევით გავიგე ეს საიდუმლოება. აი, ამიტომ არ ვიყავი გულახდილი შენთან. მომიტევე, ბაბუა.

ისევ უძრავი და უგრძობი მზერა, თითქოს ეუბნებოდა: «მე მარტო შენი სიჩუმე კი რა მადონებსო».

— მაშ რაშია საქმე? — ჰკითხა ქალიშვილმა; — შენ გგონია, ჩემო კეთილო ბაბუა, რაკი გავთხოვდები, დამავიწყდები და დაგტოვებ?

— არა, — უპასუხა მოხუცმა.

— მაშ გითხრეს, რომ ბატონი დ'ეპინე თანახმაა ერთად ვიცხოვროთ?

— დიახ.

— მაშ რატომ ბრაზობ?

მოხუცის თვალეზმა უსაზღვრო სინაზე გამოხატეს.

— დიახ, მესმის, — თქვა ვალენტინამ, — იმიტომ, რომ გიყვარვარ.

მოხუცმა ანიშნა, რომ მართალი ხარო.

— და შენ გეშინია, უბედური არ ვიყო?

— დიახ.

— შენ არ გიყვარს ფრანცი?

თვალეზმა რამდენჯერმე გაიმეორეს:

— არა, არა, არა.

— მაშ შენ ძალიან გიმძიმს, ბაბუა?

— დიახ.

— ჰოდა, კარგი, მისმინე, — უთხრა ვალენტინამ. ნუარტიეს წინ დაიჩოქა და კისერზე ხელები მოხვია, — მეც ძალიან მიმძიმს, იმიტომ რომ არც მე მიყვარს ფრანც დ'ეპინე.

ბაბუას თვალეზში სიხარულის სხივებმა იელვეს.

— გახსოვს როგორ გამიბრაზდი, როცა მონასტერში წასვლა დავაპირე?

მოხუცის გამშრალი ქუთუთოები ცრემლმა დანამა.

— ჰოდა აი, — განაგრძო ვალენტინამ, — ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ თავიდან ამეცდინა ქორწინება, რომელსაც სასოწარკვეთილებამდე მივყავარ.

ნუარტიეს სუნთქვა გაუძნელდა.

— მაშ ეს ქორწინება დიდ მწუხარებას გაყენებთ, ბაბუა? ღმერთო ჩემო, შენ ჩემი დახმარება რომ შეგეძლოს, ჩვენ ორივეს მათი გეგმების ჩაშლა რომ შეგეძებლოს! მაგრამ ნათელი გონებისა და ძლიერი ნებისყოფის მიუხედავად, უძლური ხარ მათთან შედარებით და როდესაც საქმე ეხება ბრძოლას, შენც ისეთივე სუსტი ხარ, როგორც მე, ის კი არა, კიდევ უფრო სუსტი. როდესაც ძლიერი და ჯანმრთელი იყავი, შეგეძლო ჩემი დაცვა, მაგრამ ახლა მხოლოდ თუ გამიგებ და ჩემს მწუხარებასა და სიხარულს გაიზიარებ. ეს უკანასკნელი ბედნიერებაა, რომლის წართმევა ღმერთს დაავიწყდა.

ამ სიტყვებზე ნუარტიეს თვალეზში ისეთი დიდი ეშმაკობა გამოიხატა, რომ ქალიშვილმა იფიქრა, ალბათ უნდა მითხრას:

— შენ ცდები, მე ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია შენთვის.

— შენ შეგიძლია რითიმე დამეხმარო, ძვირფასო ბაბუა? — ვალენტინამ სიტყვებით გამოხატა მისი აზრი.

— დიახ.

ნუარტიემ თვალები ზეცას აღაპყრო. ეს, მათი შეთანხმების თანახმად, მოხუცის სურვილს გამოხატავდა.

— რა გინდა, ძვირფასო ბაბუა? ვეცდები გაგიგო.

ვალენტინა, როგორც კი რაიმე აზრი დაებადებოდა, მაშინვე ხმამაღლა ამბობდა; მაგრამ მოხუცი ყველაფერზე უარით პასუხობდა.

— კარგი, — უთხრა მან, — რაკი ასეთი მიუხვედრელი ვარ, უკანასკნელ ზომას მივმართოთ.

და ქალიშვილმა დაიწყო ალფაბეტის ჩამოთვლა ანიდან ნარამდე, თან ღიმილით თვალს არ აშორებდა დამბლადაცემულს. ნარზე ნუარტიემ თანხმობის ნიშანი მისცა.

— ჰო, მაშ ის სიტყვა ნარით იწყება; მაშ საქმე ნართან გვაქვს. კარგი, რა გვინდა ამ ნარისაგან? ნა, ნე, ნი, ნო,

— დიახ. დიახ. — თქვა მოხუცმა.

— ჰო! ეს ნო?

— დიახ. ვალენტინამ ლექსიკონი მოიტანა, ნუარტიეს მერხზე დაუდო და გადაუშალა; როდესაც დაინახა, რომ მოხუცის თვალები ფურცელზე შეჩერდა, მისი თითი სწრაფად სვეტებში ხან ზევით და ხან ქვევით ასრიალდა.

ექვსი წლის მანძილზე, იმ დღიდან, რაც ნუარტიე ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომელშიც ახლა იმყოფებოდა, ვალენტინამ ადვილად შეისწავლა ეს საქმე, და მოხუცის აზრებს ისე სწრაფად გებულობდა, თითქოს თვით ნუარტიე ეძებდა ლექსიკონში მისთვის საჭირო სიტყვებს.

სიტყვა ნოტარიუსზე მოხუცმა ანიშნა, გაჩერებულიყო.

— ნოტარიუსი, შენ გინდა ნოტარიუსი, ბაბუა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

ნუარტიემ ანიშნა, რომ ნამდვილად ნოტარიუსი უნდოდა.

— მაშ ნოტარიუსის მოსაყვანად გავგზავნოთ კაცი? — ჰკითხა ვალენტინამ.

— დიახ, — ანიშნა მოხუცმა.

— მამაჩემმა უნდა იცოდეს ამის შესახებ?

— დიახ.

— ძალიან გეჩქარება ნოტარიუსის მოყვანა?

— დიახ.

— მაშ ახლავე მოვაყვანინებთ. მარტო ეს გასურდა, ძვირფასო ბაბუა?

— დიახ.

ვალენტინამ ზართან მიირბინა და მსახური გამოიძახა, რათა ბაბუასთან ბატონი დე ვილფორი ან მისი ცოლი ეხმო.

— კმაყოფილი ხარ? — ჰკითხა ვალენტინამ; — დიახ... რასაკვირველია, განა ასე ადვილი იყო ამის გამოცნობა!

და ვალენტინამ ბაბუას ისე გაუღიმა, როგორც ბავშვს გაუღიმებენ ხოლმე.

ოთახში შემოვიდა ვილფორი, რომელიც ბარუამ მოიყვანა.

— რა გნებავთ, ბატონო ჩემო? — ჰკითხა მან დამბლადაცემულს.

— მამა, ბაბუას ნოტარიუსის ნახვა უნდა.

ამ უცნაურსა და მოულოდნელ მოთხოვნაზე ბატონმა დე ვილფორმა დამბლადაცემულს თვალი თვალში გაუყარა.

— დიახ, — უპასუხა მან მტკიცედ, რაც იმას მეტყველებდა, რომ იგი მზად იყო ბრძოლა მიეღო, რაკი ვალენტინას და მოხუცი მსახურის დახმარებით თავისი სურვილის გადაცემა მოახერხა.

— თქვენ ნოტარიუსის ნახვა გსურთ? — გაიმეორა ვილფორმა.

— დიახ.

— რატომ? ნუარტიემ არაფერი უპასუხა.

— რისთვის გჭირდებათ ნოტარიუსი? — ჰკითხა ვილფორმა.

დამბლადაცემულის მზერა უძრავი და უტყვი იყო; ეს კი ნიშნავდა: «მე ჩემსას მოვითხოვ».

— რომ რაიმე საწყენი შეგვახვედროთ? — ჰკითხა ვილფორმა. — რად გჭირდებათ?

— მაგრამ რაკი ჩემი ბატონი ნოტარიუსს თხოულობს, — თქვა ბარუამ ძველი მსახურის სიჯიუტით, — მაშასადამე სჭირდება და მე ნოტარიუსის დასამახებლად მივდივარ.

ბარუა, ნუარტიეს გარდა, სხვა ბატონს არ სცნობდა, და დაუშვებლად მიაჩნდა მისი სურვილების წინააღმდეგ წასვლა.

— დიახ, ნოტარიუსის ნახვა მსურს, — ანიშნა მოხუცმა თვალების დახუჭვით, მაგრამ ისეთი გამომწვევი იერით, რომელიც ამბობდა: «ვნახოთ, გაბედავ ჩემი სურვილი არ შეასრულო».

— კარგი, რაკი ასე დაჟინებით მოითხოვთ ნოტარიუსს, მოიყვანენ. მაგრამ მე ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენ და ჩემს მაგივრად, იმიტომ, რომ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩავდგებით.

— სულ ერთია, — თქვა ბარუამ, — მე მაინც მივდივარ მის მოსაყვანად.

და მოხუცი მსახური გამარჯვებული გავიდა.

თავი II

ანდერძი

როდესაც ბარუა გავიდა, ნუარტიემ ვალენტინას ეშმაკურად და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. ქალიშვილმა გაიგო ეს შეხედვა, გაიგო იგი ვილფორმაც, რადგან შუბლი მოელუშა და წარბები შეიკრა.

ვილფორმა სკამი აიღო, მოხუცის პირდაპირ დაჯდა და ლოდინი დაიწყო.

ნუარტიე მას სრულიად გულგრილად უყურებდა, მაგრამ თვალების მოძრაობით ვალენტინას უბრძანა არ შეშფოთებულიყო და ისიც ოთახში დარჩენილიყო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბარუა ნოტარიუსთან ერთად შემოვიდა.

— ბატონო, — უთხრა ვილფორმა მისალმების შემდეგ, — თქვენ გამოგიძახათ ბატონმა ნუარტიე დე ვილფორმა, რომელიც აქ გახლავთ; საერთო დამბლამ მას წაართვა მთელი სხეული და ხმა, მხოლოდ ჩვენ ვიგებთ და ისიც დიდი გაჭირვებით ნაწყვეტ ნაწყვეტად მის აზრებს.

ნუარტიემ ვალენტინას ისეთი სერიოზული და მბრძანებლური თვალებით შეხედა, რომ ის დაუყოვნებლივ გამოექცომაგა:

— მე, ბატონო, ყველაფერი მესმის, რასაც ბაბუაჩემი ამბობს.

— ეს ყველაფერი აბსოლუტურად მართალია, როგორც ეს უკვე გზაშიც მოვახსენე ბატონ ნოტარიუსს — დაემოწმა ბარუა.

— ნება მიბოძეთ გითხრათ, ბატონო, და თქვენც, მადმუაზელ, — მიუბრუნდა იგი დე ვილფორს და ვალენტინას, — რომ ეს ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც თანამდებობის პირს მძიმე პასუხისმგებლობის გარეშე არ შეუძლია მოფიქრებულად

იმოქმედოს, რათა აქტი კანონიერად ჩაითვალოს. ნოტარიუსი, უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ზუსტად გადმოსცემს იმის ნებას, ვინც კარნახობს, მე კი არ შემძლია დარწმუნებული ვიყო მეტყველების უნარმოკლებული კლიენტის თანხმობაში ან, პირიქით, უთანხმოებაში; და რადგან მისი სასურველი ან არასასურველი საგანი მისი სიმუნჯის გამო ჩემთვის გაუგებარი დარჩება, ჩემი მონაწილეობა სრულიად უშედეგოა და კანონის საწინააღმდეგო იქნებოდა.

ნოტარიუსს უნდოდა იქაურობას გასცლოდა. მეფის პროკურორს ტუჩებზე გადაუარა გამარჯვების ძნელად შესამჩნევმა ღიმილმა. თავის მხრივ ნუარტიემ ვალენტინას ისეთი ნაღვლიანი გამომეტყველებით შეხედა, რომ ქალმა ნოტარიუსს გზა გადაუღობა.

— ბატონო ნოტარიუსო, — თქვა მან, — ენა, რომლითაც ბაბუას ველაპარაკები, იმდენად ადვილია, რომ რამდენიმე წუთში შემძლია ისევე კარგად შეგასწავლოთ, როგორც მე ვიცი. ბრძანეთ, რა არის საჭირო, რომ თქვენი სინდისი სრულიად დამშვიდებული იყოს?

— ის, რაც საჭიროა ჩვენი აქტის კანონიერებისათვის, მადმუაზელ, — უპასუხა ნოტარიუსმა; — ესე იგი, თანხმობის ან უარყოფის რწმენა. შეიძლება ანდერძის დამწერს სხეული დაავადებული ჰქონდეს, მაგრამ სრულ ჭკუაზე კი უნდა იყოს.

— ბატონო ნოტარიუსო, ორი ნიშანი დაგარწმუნებთ, რომ ბაბუას გონება არასოდეს ჰქონია ისეთი საღი, როგორც ახლა აქვს. ბატონი ნუარტიე, რომელსაც არც ხმა აქვს და არც მოძრაობა შეუძლია, თანხმობის ნიშნად თვალებს ხუჭავს, ხოლო «არას» სათქმელად თვალებს რამდენჯერმე დაახამხამებს. ამის ცოდნა საკმარისია მასთან გამოსალაპარაკებლად; სცადეთ.

მზერა, რომელიც მოხუცმა ვალენტინას მიაპყრო, ისეთი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით იყო სავსე, რომ ნოტარიუსიც კი მიხვდა.

— ბატონო ჩემო, გაიგონეთ და გაიგეთ ყველაფერი ის, რაც თქვენმა შვილიშვილმა თქვა? — ჰკითხა ნოტარიუსმა.

ნუარტიემ ნელა დახუჭა ორივე თვალი და ერთი წამის შემდეგ ისევ გააღო.

— და თქვენ ადასტურებთ მის ნათქვამს? ესე იგი, მის მიერ დასახელებული ნიშნები სწორედ ისაა, რომლის დახმარებით სხვებს თქვენ აზრებს გადასცემთ?

— დიახ, — უჩვენა კვლავ მოხუცმა.

— მაშ თქვენ გამომიძახეთ?

— დიახ.

— თქვენი ანდერძის შესადგენად?

— დიახ.

— და არ გინდათ ამ ანდერძის შეუდგენლად წავიდე?

დამბლადაცემულმა თვალემა სწრაფად და რამდენჯერმე დაახამხამა.

— აი, ახლა ხომ უკვე გესმით მისი ენა, ბატონო ნოტარიუსო, და თქვენი სინდისიც დამშვიდებული იქნება, — უთხრა ქალიშვილმა.

მაგრამ სანამ ნოტარიუსი პასუხს გასცემდა, ვილფორმა იგი განზე გაიხმო.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მან. — ნუთუ თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ საშინელი ფიზიკური შერყევა, რომელიც გადაიტანა ნუარტიე დე ვილფორმა, ძლიერად არ იმოქმედებდა მის გონებაზე?

— მე ეგ ამბავი ისე არ მაშინებს, როგორც ის, თუ როგორი გზით უნდა გავიგოთ მისი აზრები, რათა პასუხები მივიღოთ.

— თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ეს შეუძლებელია, — უთხრა ვილფორმა.

ვალენტინა და მოხუცი უსმენდნენ ამ საუბარს. ნუარტიე ვალენტინას ჩააშტერდა; ეს მზერა მოითხოვდა, რომ მას სწრაფად საწინააღმდეგო პასუხი გაეცა.

— ამაზე ნუ შეწუხდებით, ბატონო ნოტარიუსო, — უთხრა ყმაწვილმა ქალმა, — როგორი ძნელიც უნდა იყოს, ან უფრო სწორად, რაგინდ ძნელად უნდა მოგეჩვენოთ ბაბუას აზრის გაგება, მე თქვენ მას ისე აგიხსნით, რომ არავითარი ეჭვი არ დაგრჩებათ. აი, უკვე ექვსი წელია, რაც ბატონ ნუარტიეს ახლოს ვარ, დაე თვითონ თქვას, ამ ხნის განმავლობაში ერთი შემთხვევა მაინც თუ იყო, რომ რომელიმე სურვილი გულში დარჩენოდეს, იმის გამო, რომ ვერ გავიგე?

— არა, — ანიშნა ნუარტიემ.

— მაშ, ვსინჯოთ, — თქვა ნოტარიუსმა; — თანახმა ხართ, მადმუაზელ დე ვილფორი თქვენი მთარგმნელი იყოს?

დამბლადაცემულმა ანიშნა, — თანახმა ვარო.

— ძალიან კარგი! ერთი ეს მიბრძანეთ, რა გნებავთ ჩემგან? და როგორი აქტის შედეგა გასურთ?

ვალენტინამ დაიწყო ალფაბეტის ასოების დასახელება. როგორც კი «ა» თქვა, ნუარტიეს მეტყველმა მზერამ იგი შეაჩერა.

— ბატონ ნუარტიეს ასო «ა» სურს. — თქვა ნოტარიუსმა. — ეს გასაგებია.

— მოითმინეთ, — თქვა ვალენტინამ და შემდეგ ბაბუას მიუბრუნდა: ან... ან... მოხუცმა მაშინვე შეაჩერა იგი.

მაშინ ვალენტინამ ლექსიკონი აიღო და ყურადღებიანი ნოტარიუსის თვალწინ დაიწყო შლა.

— ანდერძი, — უჩვენა ნუარტიეს მზერით შეჩერებულმა ყმაწვილი ქალის თითებმა.

— ანდერძი, — წამოიყვირა ნოტარიუსმა, — ცხადია, ბატონს ანდერძის შედეგა სურს.

— დიახ, — რამდენჯერმე ანიშნა ნუარტიემ.

— თქვენ თვითონაც დამეთანხმებით, რომ ეს საკვირველებაა, — მიუბრუნდა ნოტარიუსი განცვიფრებულ ვილფორს.

— მართლაც. — გამოეპასუხა ვილფორი, — და უფრო საოცარი იქნება ეს ანდერძი, რადგან ეჭვი მეპარება, მისი პუნქტები სიტყვა-სიტყვით დალაგდნენ ქალაქზე ჩემი ქალიშვილის დახელოვნებული კარნახის გარეშე. ვალენტინა კი შეიძლება ძალიან დაინტერესებული იყოს ამ ანდერძით და ამიტომ ვერ გამოდგეს ბატონი ნუარტიე დე ვილფორის გაუგებარი სურვილების გადმოსაცემად.

— არა, არა, არა! — ანიშნა მოხუცმა.

— როგორ, — თქვა ვილფორმა, — ვალენტინა დაინტერესებული არ არის თქვენი ანდერძით?

— არა, ანიშნა დამბლადაცემულმა.

— ბატონო ჩემო, — უთხრა ამ ცდით აღფრთოვანებულმა ნოტარიუსმა, რომელიც უკვე ემზადებოდა საზოგადოებისათვის დაწვრილებით ემცნო ეს მხატვრული ეპიზოდი, — ბატონო ჩემო, ის, რაც ეს-ეს არის შეუძლებლად მიმაჩნდა, ახლა სრულიად ადვილი მეჩვენება. ეს ანდერძი საიდუმლო ანდერძი იქნება, ესე იგი, კანონით გათვალისწინებული და ნებადართული, თუ ის გამოცხადებულია შვიდი მოწმის თანდასწრებით. დროის თვალსაზრისით, მას ალბათ ჩვეულებრივ ანდერძზე ბევრად მეტი არ მოუწდება; უპირველეს ყოვლისა, არსებობს მუდამ უცვლელი, დაკანონებული ფორმები; რაც შეეხება დაწვრილებით ცნობებს, ამაზე მიგვითითებს თვით ანდერძის დამწერის საქმის მდგომარეობა და ასევე თქვენც, ვინც აწარმოებდით

და იცნობდით მათ. იმისათვის, რომ ეს აქტი უდაო იყოს, ჩვენ მას სრულიად უცილობელს გავხდით; ერთი ჩემი კოლეგათაგანი მე თანაშემწის მაგივრობას გამიწევს, და ჩვეულების წინააღმდეგ დაესწრება მის შედგენას. ეს თქვენ დაგაკმაყოფილებთ, ბატონო? — მიუბრუნდა იგი მოხუცს.

— დიახ, — უპასუხა ნუარტიემ, გახარებულმა იმით, რომ გაუგეს.

«ნეტავი რას ფიქრობს?» — ეკითხებოდა თავის თავს ვილფორი, რომელსაც მაღალი მდგომარეობა იძულებულს ხდიდა თავი შეეკავებინა; მას ჯერ ვერაფრით გაეგო, რა მიზანი ამომრავებდა მამამისს.

იგი შემოტრიალდა, რომ გაეგზავნა ვინმე იმ მეორე ნოტარიუსის მოსაყვანად, რომელიც პირველმა დაასახელა. მაგრამ ბარუას ყველაფერი მოესმინა, თავისი ბატონის სურვილი გაეგო და უკვე მოესწრო წასვლა.

მაშინ მეფის პროკურორმა ცოლს შეუთვალა მაღლა ამოსულიყო.

თხუთმეტ წუთში ყველანი დამბლადაცემულის ოთახში შეიკრიბნენ. მოვიდა მეორე ნოტარიუსიც.

ორივე ნოტარიუსი სწრაფად შეთანხმდა. ბატონ ნუარტიეს წაუკითხეს ანდერძის ჩვეულებრივი ტექსტი, შემდეგ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ჭკუის შესამოწმებლად, პირველი ნოტარიუსი მოხუცს მიუბრუნდა:

— როდესაც ანდერძს წერენ, ამას ვისიმე სასარგებლოდ აკეთებენ.

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— გაქვთ თუ არა წარმოდგენა თქვენი ქონების ღირებულებაზე?

— დიახ.

— მე თქვენ დაგისახელებთ რამდენიმე ციფრს, რომლებიც თანდათან გაიზრდება, და როდესაც იქამდე მივალ, რომელიც თქვენ სწორად მიგაჩნიათ, გამაჩერეთ.

— დიახ.

ამ დაკითხვაში იყო რაღაც დღესასწაულებრივი და მართლაც, შეიძლება გონების ბრძოლა უსუსურ სხეულთან ასე ნათლად არასოდეს არ გამომჟღავნებულა. ეს იყო, თუ ამაღელვებელი არა, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო სანახაობა.

ნუარტიეს გარშემო წრე შეიკრა; მეორე ნოტარიუსი მაგიდას მიუჯდა და საწერად მოემზადა; პირველი კი დამბლადაცემულის წინ იდგა და შეკითხვებს აძლევდა.

— თქვენი ქონება სამასი ათას ფრანკზე მეტია, არა? — ჰკითხა ნოტარიუსმა.

ნუარტიემ თანხმობის ნიშანი მისცა.

— იგი ოთხასი ათას ფრანკს შეადგენს? — ჰკითხა ნოტარიუსმა.

ნუარტიეს არაფერი უნიშნებია.

— ხუთასი ათასი ფრანკი!

ნუარტიე ისევ უძრავი დარჩა.

— ექვსასი ათასი? შვიდასი ათასი? რვაასი ათასი? ცხრაასი ათასი?

ნუარტიემ ანიშნა — დიახო.

— მაშ თქვენ ცხრაასი ათასი ფრანკის მფლობელი ხართ?

— დიახ.

— უძრავი ქონებით? — ჰკითხა ნოტარიუსმა.

ნუარტიემ ანიშნა — არაო.

— სახელმწიფოს პროცენტისანი ქაღალდებით?

ნუარტიემ ანიშნა — დიახო.

— ეს ქაღალდები თქვენ ხელზე გაქვთ?

ნუარტიემ მოხუც მსახურს შეხედა, ბარუა ოთახიდან გავიდა და ერთი წუთის შემდეგ პატარა ყუთით დაბრუნდა.

— ნებას მომცემთ, ეს ყუთი გავხსნათ?

ნუარტიემ ანიშნა — დიახო.

ყუთი გახსნეს, შიგ აღმოჩნდა სახელმწიფო ბანკის ცხრაასი ათასი ფრანკის ქაღალდები.

პირველმა ნოტარიუსმა ბანკის ქაღალდები ერთიმეორის მიყოლებით მეორე ნოტარიუსს გადასცა; ანგარიში სწორი იყო, როგორც ამას ნუარტიეც აღნიშნავდა.

— ყველაფერი სწორია, თქვა მან, — სავსებით ცხადია, რომ მისი გონება ნათელი და მტკიცეა.

შემდეგ იგი დამბლადაცემულს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მაშ ასე, თქვენ ცხრაასი ათასი ფრანკი კაპიტალის მფლობელი ხართ და ამ ქაღალდების წყალობით, რომელშიც ეს კაპიტალი მოათავსეთ, ორმოცი ათას ფრანკ წლიურ შემოსავალს ღებულობთ?

— დიახ, — უპასუხა ნუარტიემ.

— ვის გინდათ ეს ქონება დაუტოვოთ?

— აქ საეჭვო არაფერია, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა; — ბატონ ნუარტიე დე ვილფორს უყვარს თავისი შვილიშვილი ვალენტინა დე ვილფორი; ის უკვე ექვსი წელია უვლის მას; თავისი დაუღალავი ზრუნვით ბაბუას სიყვარული დაისახურა, მე ვიტყვოდი, მისი მადლიერება; მაშასადამე სავსებით სამართლიანია, რომ მას, ერთგულებისათვის ჯილდო მიეზღოს.

ბატონ ნუარტიეს თვალები გაუბრწყინდა, რაც ამტკიცებდა, რომ იგი ვერ გააბრიყვა ქალბატონ დე ვილფორის ყალბმა თანაგრძნობამ იმ განზრახვის მიმართ, რომელიც მას მიაწერა.

— მაშ იმ ცხრაასი ათას ფრანკს თქვენ უტოვებთ მადმუაზელ დე ვილფორს? — ჰკითხა ნოტარიუსმა, რომელიც ფიქრობდა, მხოლოდ ამ მუხლის ჩაწერა დასჭირდებოდა; მაგრამ მას მაინც სურდა დარწმუნებულიყო ნუარტიეს თანხმობაში და საშუალება მიეცა ამ არაჩვეულებრივი სურათის დამსწრეებისათვის ისინიც დარწმუნებულიყვნენ.

ვალენტინა ოდნავ განზე იდგა და თავჩაქინდრული ტიროდა; მოხუცმა მას ღრმა სინაზის გრძნობის გამომხატველი თვალებით შეხედა; შემდეგ მზერა ნოტარიუსზე გადაიტანა და თვალები ძლიერ გარკვევით დაახამხამა.

— არა? — თქვა ნოტარიუსმა, — როგორ, თქვენ განა ვალენტინა დე ვილფორს არ სტოვებთ თქვენს ერთადერთ მემკვიდრედ?

ნუარტიემ ანიშნა — არაო.

— თქვენ არ ცდებით? — ჰკითხა განცვიფრებულმა ნოტარიუსმა. — თქვენ ნამდვილად არას ამბობთ?

— არა! — გაიმეორა ნუარტიემ, — არა!

ვალენტინამ თავი აიღო; ის გაოგნებული იყო იმით კი არა, რომ მემკვიდრედ არ სტოვებდნენ, არამედ იმით, რომ შეძლო გამოეწვია ის გრძნობა, რომელსაც საერთოდ ასეთ მოქმედებამდე მიჰყავს ადამიანი.

მაგრამ ნუარტიე მას ისეთი ღრმა სინაზის გრძნობით შეჰყურებდა, რომ ქალიშვილმა წამოიყვირა:

— მე მესმის, ბაბუა, თქვენ მხოლოდ ქონებას მართმევთ, მაგრამ თქვენ სიყვარულს კი არა!

— დიახ, დიახ, რასაკვირველია, — ამბობდნენ დამბლადაცემული მოხუცის თვალები, რომლებიც ისე მეტყველად დაიხუჭნენ, რომ არ შეიძლებოდა ვალენტინა შემცდარიყო.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ჩაიჩურჩულა ქალმა.

ამავე დროს ამ უარმა ქალბატონ დე ვილფორს მოულოდნელი იმედი ჩაუსახა. იგი მოხუცს მიუახლოვდა.

— მაშ, ძვირფასო ბატონო ნუარტიე, თქვენ ქონებას უტოვებთ თქვენს შვილიშვილს ედუარდ დე ვილფორს? — ჰკითხა მან.

მოხუცმა თვალეზი რაღაც საშინლად დაახამხამა; ისინი თითქმის სიძულვილს გამოხატავდნენ.

— არა. — გაიმეორა ნოტარიუსმა;

— მაშ თქვენ ვაჟიშვილს, რომელიც აქ ბრძანდება?

— არა, — უპასუხა ისევ მოხუცმა.

ორივე ნოტარიუსმა განცვიფრებით გადახედა ერთმანეთს; ვილფორი და მისი ცოლი გაწითლდნენ — ერთს სირცხვილმა აულეწა სახე, მეორეს — ბრაზმა.

— კი მაგრამ, რა გაგიკეთეთ ასეთი, ბაბუა? — უთხრა ვალენტინამ, — თქვენ უკვე აღარ გიყვარვართ?

მოხუცმა ჯერ ბატონ დე ვილფორს გადახედა, შემდეგ მის მეუღლეს და ბოლოს ღრმა სინაზის გრძნობით ვალენტინაზე შეჩერდა.

— მისმინე, ბაბუა — უთხრა ახალგაზრდა ქალმა, — თუკი გიყვარვართ, როგორ დავაკავშიროთ ეს სიყვარული იმასთან, რასაც შენ ახლა ჩადიხარ. შენ მე მიცნობ, იცი რომ არასოდეს შენს ქონებაზე არ მიფიქრია; ესეც არ იყოს, ამბობენ, რომ დედის სიკვდილის შემდეგ მე დიდი მემკვიდრეობა მივიღე, ძალიან დიდიც. მაშ ამიხსენი, რაშია საქმე?

ნუარტიემ თავისი მხურვალე მზერა ვალენტინას ხელს მიაპყრო.

— ჩემი ხელი? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— მისი ხელი, — გაიმეორეს დამსწრეებმა.

— ეჰ, ბატონებო, — თქვა ვილფორმა, — ხომ ხედავთ, რომ ყოველივე ეს უშედეგოა და მამაჩემი თავის ჭკუაზე არაა.

— მე მივხვდი, — წამოიყვირა უცებ ვალენტინამ, — ჩემი გათხოვება, არა, ბაბუა?

— დიახ, დიახ, დიახ. — სამჯერ გაიმეორა მოხუცმა და ყოველთვის, როდესაც ქუთუთოებს სწევდა, თვალეზიდან მრისხანების ნაპერწკლებს ისროდა.

— შენ ჩვენი უკმაყოფილო ხარ ამ ქორწინების გამო, არა?

— დიახ.

— მაგრამ ეს უაზრობაა, — თქვა ვილფორმა.

— მომიტევეთ, ბატონო, — უთხრა ნოტარიუსმა, — ყოველივე ეს პირიქით, ძალიან ლოგიკურია და ჩემი შეხედულებით ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

— შენ არ გინდა, რომ ფრანც დ'ეპინეს გავყვე?

— არა, არ მინდა, — გამოხატეს მოხუცის თვალეზი.

— და თქვენ მემკვიდრეობას უკარგავთ შვილიშვილს იმის გამო, რომ თქვენი სურვილის წინააღმდეგ თხოვდება? — შეჰყვირა ნოტარიუსმა.

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა.

— თუ ეს ქორწინება არა, ის თქვენი მემკვიდრე იქნებოდა?

— დიახ.

მოხუცის ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ნოტარიუსები თათბირობდნენ; ვალენტინა ბაბუას მადლიერების ღიმილით შეჰყურებდა. ვილფორი თხელ ტუჩებს იკვნეტდა, მისი ცოლი ვერ მალავდა სახეზე ძალაუნებურად აღბეჭდილ სიხარულს.

— მაგრამ, მე მგონია, — თქვა დე ვილფორმა, რომელმაც პირველმა დაარღვია სიჩუმე, — მხოლოდ მე ვარ მოწოდებული განვსაჯო, რამდენად შესაფერია ეს ქორწინება: მხოლოდ მე ერთი ვარ ბატონი ჩემი შვილის ხელისა, და მე მინდა, რომ იგი ბატონ ფრანც დ'ეპინეს გაჰყვეს: ის მისი ცოლი იქნება.

ატირებული ვალენტინა სავარძელში ჩაეშვა.

— ბატონო ჩემო, — მიუბრუნდა ნოტარიუსი მოხუცს, — რას უპირებთ თქვენს ქონებას იმ შემთხვევაში, თუ მადმუაზელ დე ვილფორი ბატონ დ'ეპინეს გაჰყვება? მოხუცი უძრავად იყო.

— ესე იგი, — თქვა მან, — თქვენ მაინც ფიქრობთ ამ ფულის განაწილებას?

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— თქვენი ოჯახის რომელიმე წევრის სასარგებლოდ?

— არა.

— ღარიბების სასარგებლოდ?

— დიახ.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ კანონი არ მოგცემთ უფლებას, შვილს არაფერი დაუტოვოთ.

— დიახ.

— ესე იგი, გაცემთ იმ ნაწილს, რომლის გაცემა კანონით შეგიძლიათ, არა? ნუარტიე ისევ უძრავად იყო.

— თქვენ დაბეჯითებით დგახართ იმ აზრზე, რომ მთელი თქვენი ქონება ანდერძით გაიცეს?

— დიახ.

— მაგრამ თქვენი სიკვდილის შემდეგ თქვენ ანდერძს გაასაჩივრებენ.

— არა.

— მამაჩემი მე მიცნობს, ბატონო ნოტარიუსო, — თქვა ვილფორმა, — მან იცის, რომ მისი ნება ჩემთვის წმინდაა; ესეც არ იყოს, მას ესმის, რომ ჩემს მდგომარეობაში არ შემიძლია ღარიბებს შევებრძოლო.

ნუარტიეს თვალები გამარჯვებას გამოხატავდნენ.

— თქვენ როგორ გადაწყვეტთ, ბატონო? — ჰკითხა ნოტარიუსმა ვილფორს.

— არც როგორ; მამაჩემმა ასე გადაწყვიტა, მე ვიცი, რომ ის თავის

გადაწყვეტილებას არ სცვლის. ისღა დამრჩენია, დავემორჩილო. ეს ცხრაასი ათასი ფრანკი ოჯახიდან გავა და თავშესაფრებს გაამდიდრებს; მაგრამ მე არ შევასრულებ მოხუცის ჟინს და ჩემი სინდისის კარნახით ვიმოქმედებ.

იგი ცოლთან ერთად გავიდა, და მამამისს საშუალება მისცა თავისი სურვილისამებრ ემოქმედა.

იმავე დღეს ანდერძი შეადგინეს, მოიყვანეს მოწმეები; წაიკითხეს; მოხუცმა მოიწონა. შემდეგ ანდერძი მოწმეების თანდასწრებით დაბეჭდეს და შესანახად მისცეს ბატონ დემანს, ვილფორის ოჯახის ნოტარიუსს.

თავი III

ტელეგრაფი

როდესაც ცოლი და ქმარი თავისთან დაბრუნდნენ, გაიგეს, რომ სადარბაზოდ მოსულიყო გრაფი მონტე-კრისტო და მათ სასტუმრო ოთახში ელოდა. ქალბატონი დე ვილფორი ძალიან აღელვებული იყო და არ სურდა პირდაპირ შეხვედროდა. ამიტომ საწოლ ოთახში გავიდა. თავის თავში უფრო დარწმუნებული მეფის პროკურორი კი

პირდაპირ სასტუმრო ოთახისკენ გაემართა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა თავის დაჭერა და სახის გამომეტყველებასაც სურვილის მიხედვით იცვლიდა, ვერ შეძლო მოწყენილობის დაფარვა; გრაფმა, რომელსაც ბაგეებზე გასხივოსნებული ღიმილი დასთამაშებდა, ყურადღება მიაქცია მის ჩაფიქრებულსა და მოღუშულ სახეს.

— ღმერთო ჩემო! რა მოგივიდათ, ბატონო დე ვილფორ? — ჰკითხა მან პირველი მისალმების შემდეგ. — შეიძლება სწორედ იმ დროს მოვედი, როდესაც საკმაოდ სერიოზულ საბრალმდებლო აქტს სწერდით.

ვილფორი შეეცადა გაეღიმა.

— არა, გრაფო, — უთხრა მან. — ამ შემთხვევაში მსხვერპლი თვითონ მე ვარ. საქმე წავაგე. ხოლო საბრალმდებლო აქტს შემთხვევა, სიჯიუტე და სიგიჟე ადგენენ.

— ამით რისი თქმა გასურთ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ შესანიშნავად გათამაშებული თანაგრძნობით, — მართლაც რაიმე სერიოზული უსიამოვნება შეგემთხვია?

— ბატონო გრაფო, სალაპარაკოდ არა ღირს, — უთხრა ვილფორმა სიმწარით სავსე სიმშვიდით. — არაფერია, უბრალოდ, ფულის დაკარგვაა.

— დიახ, რასაკვირველია, — უპასუხა გრაფმა, — ფულის დაკარგვა არაფერია თქვენისთანა ქონების პატრონისათვის, და ფილოსოფიური, ამაღლებული გონების ადამიანისათვის, როგორც თქვენა ხართ.

— ამიტომ, — უთხრა ვილფორმა, — ფულების დაკარგვა კი არ მალონებს, თუმცა ცხრაასი ათასი ფრანკი იმდაღ ღირს, რომ გული დაგწყვიტოს, ან, ყოველ შემთხვევაში, დაგაჯავრიანოს. ყველაზე მეტად გულსა მტკენს ბედის ეს თამაში, შემთხვევა, ბედნიერება, არ ვიცი რა დავარქვა იმ ძალას, რომელმაც ეს დარტყმა მომაცენა, მოსპო ჩემი იმედები სიმდიდრეზე და ბავშვობაში გადასული მოხუცის ჟინიანობის გამო იქნება ჩემი ქალიშვილის მომავალიც გაანადგურა.

— ღმერთო ჩემო! რას ამბობთ! — შეჰყვირა გრაფმა. — ცხრაასი ათასი ფრანკიო, თქვით თქვენ? მართალი ხართ, ეს თანხა იმდაღ ღირს, რომ ფილოსოფოსსაც კი გული დასწყდეს. მერედა ვინ მოგაყენათ ასეთი მწუხარება?

— მამაჩემმა, რომელზედაც გელაპარაკეთ.

— ბატონმა ნუარტიემ! ნუთუ? მაგრამ რამდენადაც მახსოვს, თქვენ მითხარით, რომ იგი მთლად დამბლადაცემულია და ყოველგვარი მოქმედების უნარი დაკარგული აქვს?

— ფიზიკური უნარი დიახ, მართლაც დაკარგული აქვს, არ შეუძლია მოძრაობა, ლაპარაკი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, აზროვნებს, სურვილი აქვს, მოქმედებს. ხუთი წუთია მისი ოთახიდან გამოვედი, ახლა ის იმით არის დაკავებული, რომ ორ ნოტარიუსს თავის ანდერძს კარნახობს.

— მაშ, ლაპარაკი შესძლებია?

— არა, მოახერხა თავისი აზრი გაეგებინებინა მათთვის.

— როგორ?

— მზერით! მისი თვალები ცოცხლობენ და როგორც ხედავთ, ჰკლავენ კიდევაც.

— ჩემო მეგობარო! — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც ის იყო ოთახში შემოვიდა, — შეიძლება თქვენ აზვიადებთ?

— ქალბატონო... — მიესალმა მას გრაფი თავის დაკვირვებით.

ქალბატონი დე ვილფორი მეტად მომხიბვლელი ღიმილით გამოეპასუხა.

— რა მესმის ბატონ დე ვილფორისაგან? — ჰკითხა მონტე-კრისტომ, — რა გაუგებარი რისხვია!

— გაუგებარი, სწორედ რომ ასეა! — თქვა მეფის პროკურორმა მხრების აჩეჩვით, — ეს მოხუცის ჟინიანობის შედეგია.

— განა არავითარი საშუალება არ არსებობს გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ?

— არის, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა; — მხოლოდ ბატონ დე ვილფორზეა დამოკიდებული, რომ მოხუცის ანდერძი შედგენილ იქნას ვალენტინას სასარგებლოდ და არა პირიქით, მის საზარალოდ.

როდესაც გრაფმა შეატყო, რომ ცოლ-ქმარმა გადაკვრით დაიწყეს ლაპარაკი, გონებაგაფანტული კაცის სახე მიიღო, ღრმად დაკვირვებითა და აშკარა მოწონებით უყურებდა ედუარდს, რომელმაც ჩიტის წყლის ჯამში მელანი ჩაასხა.

— ჩემო ძვირფასო, — მიმართა ცოლს დე ვილფორმა, — თქვენ იცით, რომ სურვილი არა მაქვს ჩემს სახლში პატრიარქის როლი გავითამაშო და არასოდეს მიფიქრია, თითქოს ქვეყნის ბედი ჩემი თავის ქნევაზე იყოს დამოკიდებული. მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ჩემი ოჯახი ანგარიშს უწევდეს ჩემს გადაწყვეტილებებს და მოხუცის სიგიჟე და ბავშვის ჟინი არ ანგრევდნენ ჩემს მიერ დიდი ხნის წინ მოფიქრებულ გეგმას. ბარონი დ'ეპინე ჩემი მეგობარი იყო, ეს თქვენთვის ცნობილია, და მისი ვაჟი ჩვენი ქალიშვილისათვის საუკეთესო საქმროა.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — ვალენტინა შეუთანხმდა მას?.. შესაძლებელია... ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების და არ გამიკვირდება, თუ ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ და გავიგონეთ, მათ მიერ წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესრულება აღმოჩნდება.

— დამიჯერეთ, ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა, — ასე როდი ამბობენ უარს კაპიტალზე, რომელიც ცხრაას ათას ფრანკს შეადგენს.

— ის უარს იტყოდა ამ ქვეყანაზედაც კი, ერთი წლის წინ ხომ მონასტერში აპირებდა წასვლას.

— სულ ერთია, — თქვა ვილფორმა, — მე ვთქვი, ქალბატონო, რომ ეს ქორწინება შედეგა!

— მამათქვენის სურვილის წინააღმდეგ? — ჰკითხა ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელიც შეეცადა ახლა მეორე სიმზე დაეკრა. — ეს ძალიან სერიოზული ამბავია.

მონტე-კრისტოს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყურს არ უგდებდეს, მაგრამ სინამდვილეში ამ საუბრიდან ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია.

— ქალბატონო, — დაიწყო ისევ ვილფორმა, — უნდა გითხრათ, რომ ყოველთვის პატივს ვცემდი მამაჩემს იმიტომ, რომ ბუნებრივი, შვილური გრძნობა შეერწყა მის მორალურ უპირატესობის შეგნებას; თუ გნებავთ იმიტომაც, რომ მამა ჩვენთვის ორმხრივად წმინდა: როგორც ჩვენი შემქმნელი და როგორც ჩვენი ბატონი. მაგრამ დღეს ხომ არ შემიძლია გონიერად მივიჩნიო ის მოხუცი, რომელსაც მამის სიძულვილის გამო მისი ვაჟიც სძულს; ჩემს მხრივ, სისულელე იქნებოდა ჩემი მოქმედება მისი ჟინისათვის შემეთანხმებინა. კვლავ ბატონ ნუარტიეს პატივისმცემელი ვრჩები, უსაყვედუროდ დავემორჩილები ფულად დაჯარიმებას, რითაც მან დამსაჯა; მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება შეუცვლელი დარჩება, და საზოგადოება განსჯის, ვის მხარეზეა საღი გონება. მე გავათხოვებ ჩემს ქალიშვილს ბარონ ფრანც დ'ეპინეზე იმიტომ, რომ ეს ქორწინება კარგ და საპატიო ქორწინებად მიმაჩნია, მსურს ჩემი ქალიშვილი იმას მივათხოვო, ვინც მომწონს.

— მაშ ასე, — თქვა გრაფმა, რომელსაც მეფის პროკურორმა თვალებით სთხოვა თავისი შეხედულების მოწონება, — მაშ ასე! ბატონი ნუარტიე მადმუაზელ ვალენტინას მემკვიდრეობას იმიტომ უკარგავს, რომ ის ბარონ ფრანც დ'ეპინეს მიჰყვება?

— სწორედ რომ მიზეზი ეგ გახლავთ, — თქვა ვილფორმა მხრების აჩქვით.

— ყოველ შემთხვევაში, ხელშესახები მიზეზი ესაა, — დასძინა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— დამიჯერეთ, ქალბატონო, ნამდვილი მიზეზი ეს გახლავთ, მე კარგად ვიცნობ მამაჩემს.

— წარმოგიდგენიათ? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა; — მითხარით გეთაყვა, ბარონი დ'ეპინე რითია სხვებზე ნაკლები?

— მართლაც, — თქვა გრაფმა, — მე შევხვედრივარ ბატონ ფრანც დ'ეპინეს, ის ხომ ვაჟია გენერალ კენელის, რომელსაც შარლ X შემდეგ ბარონ დ'ეპინეს ტიტული მიენიჭა.

— სწორედ ის გახლავთ, — უთხრა ვილფორმა.

— ის ყმაწვილი ძალიან მომხიბვლელად მეჩვენა!

— ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ საბაბია, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — მოხუცები მტარვალეები ხდებიან მათ მიმართ, ვინც უყვართ. ბატონ ნუარტიეს თავისი შვილიშვილის გათხოვება არ სურს.

— მაგრამ ამ სიძულვილს შეიძლება რაიმე მიზეზი ჰქონდეს? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ღმერთო ჩემო! საიდან შეიძლება ამის ცოდნა?

— შეიძლება აქ რაიმე პოლიტიკური ანტიპატია იმალება?

— მართლაც, მამაჩემი და ბატონ დ'ეპინეს მამა არეულ დროს ცხოვრობდნენ; მე მხოლოდ მისი უკანასკნელი დღეების მომსწრე გახლავართ, — თქვა ვილფორმა.

— მამათქვენი, ვგონებ, ბონაპარტისტი იყო, არა? — ჰკითხა გრაფმა. — მახსოვს, რომ რაღაც ამის მსგავსი მითხარით.

— მამაჩემი, უპირველეს ყოვლისა, იაკობინელი იყო, — უთხრა ვილფორმა, — და სენატორის წამოსასხამმა, რომელიც ნაპოლეონმა მას მხრებზე გადააცვა, შეცვალა მხოლოდ მისი ჩაცმულობა და არა თვითონ იგი. როდესაც მამაჩემი შეთქმულებაში მონაწილეობდა, ამას აკეთებდა არა ნაპოლეონის სიყვარულის, არამედ ბურბონების სიძულვილის გამო; ყველაზე საშინელი მასში ის იყო, რომ ყოველთვის იბრძოდა არა განუხორციელებელი უტოპიისათვის, არამედ ნამდვილად შესაძლებლისათვის. ამას კი მოსდევდა საშინელი თეორია მონტანიარებისა, რომლებიც თავისი მიზნის მისაღწევად არაფრის წინაშე არ იხევდნენ.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — საქმეც ამაშია. ნუარტიე და დ'ეპინე პოლიტიკურ ნიადაგზე შეეჯახნენ ერთმანეთს. გენერალი დ'ეპინე თუმცა ნაპოლეონის ჯარში მსახურობდა, მაგრამ სულით როიალისტი იყო, ხომ ასეა? განა იგი ის გენერალი არ არის, რომელიც მოკლეს ღამით ბონაპარტისტების კლუბიდან გამოსული, სადაც იგი იმ იმედით მიიწვიეს, რომ მასში თანამომძე ეპოვათ?

ვილფორმა გრაფს თითქმის შიშით შეხედა.

— ვცდები? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— პირიქით, გრაფო, ნამდვილად ასეა, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა, — სწორედ იმისათვის, რომ წინანდელი მტრობის ყოველგვარი კვალი მოსპოს, ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა სიყვარულით დააკავშიროს ორი ბავშვი, რომელთა მამებს ერთმანეთი სძულდათ.

— საუცხოო აზრია! — თქვა მონტე-კრისტომ. — გულმოწყალებით სავსე აზრი; საზოგადოება ტაშისცემით უნდა შეხვდეს მას. მართლაც საუცხოო იქნებოდა მადმუაზელ ნუარტიე დე ვილფორი მაღამ დ'ეპინე გახდეს.

ვილფორი შეკრთა და მონტე-კრისტოს შეხედა, თითქოს უნდოდა მისი გულის სიღრმეში ამოეკითხა ის განზრახვა, რომელმაც მას ეს სიტყვები ათქმევინა.

მაგრამ გრაფის ბაგეებზე ჩვეულებრივი კეთილმოსურნე ღიმილი აღბეჭდილიყო და ამჯერადაც, თავისი გამსჭვალავი მზერის მიუხედავად, მეფის პროკურორმა ზედაკანის გარდა ვერაფერი დაინახა.

— ამიტომაც, — განაგრძო ვილფორმა, — თუმცა ბაბუას ქონების დაკარგვა ვალენტინასათვის დიდი უბედურებაა, მე მაინც არა მგონია, რომ ამით ჩაიშალოს ქორწინება; არა მგონია, ბატონი დ'ეპინე შეაშფოთოს ამ ფულის დაკარგვამ; ის დაინახავს რომ მე, ყოველ შემთხვევაში, ამ თანხაზე მეტი ვღირვარ; მე, რომელიც მისი გულისათვის მსხვერპლად ვიღებ ამ ფულს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სიტყვის პატრონი ვიყო; ის მხედველობაში მიიღებს იმ გარემოებას, რომ ვალენტინამ დედის სიკვდილის შემდეგ ისედაც დიდი მემკვიდრეობა მიიღო, ეს მემკვიდრეობა ინახება მარკიზ დე სენ-მერანსა და მის მეუღლესთან, ვალენტინას ბებიასა და ბაბუასთან დედის მხრიდან; მოხუცებს სათუთად უყვართ ქალიშვილი.

— მოხუცები იმსახურებენ იმას, რომ უყვარდეთ და ისევე უვლიდნენ, როგორც ვალენტინა ბატონ ნუარტიეს უვლის, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა; — სხვათა შორის, ამ ერთ თვეში ისინი პარიზში ჩამოვლენ. ვფიქრობ, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ ვალენტინასათვის საჭირო აღარ იქნება კვლავ ბატონ ნუარტიეს უჯდეს, როგორც ამას აქამდე აკეთებდა.

გრაფი თავაზიანად უსმენდა ამ შეურაცხმყოფელი თავმოყვარეობისა და მოტყუებული ანგარების შეუთანხმებელ ხმებს.

— წინასწარ გთხოვთ მომიტევოთ იმაზე, რასაც ვიტყვი, — თქვა მონტე-კრისტომ მცირე სიჩუმის შემდეგ, — თუ ბატონი ნუარტიე ქონებას უკარგავს ვალენტინას, დამნაშავეს იმაში, რომ გათხოვებას აპირებს, იმ ადამიანზე, რომლის მამას იგი ვერ იტანდა, მე მგონია, ასეთი საყვედური არ ეთქმის პატარა ედუარდს.

— ხომ ასეა, გრაფ? — შეჰყვირა ქალბატონმა დე ვილფორმა ენით გამოუთქმელი ხმის ინტონაციით. — ეს მართლაც უსამართლობაა, საშინელი უსამართლობა. საწყალი ედუარდი, ისიც ხომ ვალენტინასავით ბატონ ნუარტიეს შვილიშვილია, ვალენტინა რომ ფრანც დ'ეპინეს არ მიყვებოდეს, ნუარტიე მთელ თავის ქონებას მას დაუტოვებდა. უფრო მეტი, ედუარდი ოჯახის გვარის მატარებელია, და ვალენტინა, ბაბუამაც რომ დაუკარგოს მემკვიდრეობა, სამჯერ უფრო მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე იგი.

მონტე-კრისტო უსმენდა, მაგრამ ხმას აღარ იღებდა.

— იცით რა, გრაფო, — მიმართა ვილფორმა, — ნულარ ვილაპარაკებთ ამ ოჯახურ უსიამოვნებაზე: დიახ, ჩემი ქონება წავა ღარიბთა შემოსავლის გასადიდებლად, დღეს კი სწორედ ისინი არიან ნამდვილი მდიდრები. დიახ, მამაჩემმა დამაკარგვინა კანონიერი იმედი ისიც უმიზეზოდ; მაგრამ მე მოვიქეცი ისე, როგორც ეს ჭკუათმყოფელ კაცს შეშვენის, როგორც კეთილშობილი ადამიანი. ბატონი დ'ეპინეს წლიურ შემოსავალს მე იმ თანხიდან დავპირდი — და იგი მას მიიღებს, თუნდაც ამის გამო ყველაზე მეტად სასტიკ ზარალზე მომიწიოს წასვლა.

— იქნებ, — დაიწყო ქალბატონმა დე ვილფორმა, რომელსაც გულის სიღრმეში მოსვენებას არ აძლევდა აკვიატებული აზრი, — იქნებ უკეთესი იყოს ეს არასასიამოვნო ამბავი დ'ეპინესათვის გვეცნობებინა, რომ მან თავისი სიტყვა თვითონ წაიღოს უკან.

— ოჰ! ეს დიდი უბედურება იქნებოდა! — წამოიყვირა ბატონმა დე ვილფორმა.

— დიდი უბედურება? — შეეკითხა მონტე-კრისტო.

— რასაკვირველია, — თქვა რამდენადმე დამშვიდებულმა ვილფორმა, — თუნდაც ფულის მიზეზით მოხდეს ქორწინების ჩაშლა, მაინც ჩრდილს აყენებს ქალიშვილს; გარდა ამისა, ის ძველი ხმები, რომლისათვის ბოლო მინდოდა მომელო, ხელახლა ამოჰყოფენ თავს. არა, ეს არ მოხდება! ბატონი დ'ეპინე, თუ ის პატიოსანი კაცია, თავს ახლა უფრო მეტად იგრძნობს ვალდებულად, რომ ვალენტინას მემკვიდრეობა წაართვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მას მხოლოდ სიხარბე ამოძრავებდა. არა, ეს შეუძლებელია!

— მეც მაგ აზრისა ვარ, — თქვა მონტე-კრისტომ და ქალბატონ დე ვილფორს ჩააშტერდა; — მე რომ ბატონ დე ვილფორის ისეთი მეგობარი ვიყო, რომ რჩევის მიცემა შემემდლოს, ვეტყვი: რაკი ფრანც დ'ეპინე, როგორც ამბობენ, მალე უნდა ჩამოვიდეს, ეს საქმე ისე უნდა წაიყვანოთ, რომ უკვე ჩაშლა აღარ შეიძლებოდეს. ერთი სიტყვით, დავიწყებდი ბრძოლას, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბატონ დე ვილფორის გამარჯვებით დამთავრებულიყო.

მეფის პროკურორი წამოდგა, ცხადად ეტყობოდა, რომ გახარებული იყო. მისი ცოლი კი ოდნავ გაფითრდა.

— ძალიან კარგი. სწორედ ამის მოსმენა მინდოდა და თქვენი რჩევით ვისარგებლებ. — დასძინა ვილფორმა და მონტე-კრისტოს ხელი გაუწოდა, — მას ასე, ყველამ, ვინც ამ სახლში ცხოვრობთ, რაც ამ დღეს მოხდა, არაფრად ჩავთვალოთ: ჩვენი გეგმები უცვლელი რჩება.

— ბატონო ჩემო, — უთხრა გრაფმა, — რაგინდ უსამართლო უნდა იყოს საზოგადოება, ის შეაფასებს თქვენს გადაწყვეტილებას, თქვენი მეგობრები ამით იამაყებენ, ხოლო ბატონი დ'ეპინე — მადმუაზელ დე ვილფორის თხოვნა სულ უმზითვოდაც რომ მოუხდეს, თუმცა ეს ასე არ არის, ბედნიერი იქნება იმ ოჯახში ფეხის შემოდგმით, სადაც შეუძლიათ ასეთი თავის განწირვამდე ამაღლდნენ იმისათვის, რომ თავისი სიტყვა არ გასტეხონ და თავისი მოვალეობა შეასრულონ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გრაფი ადგა და წასასვლელად გაემზადა.

— გვტოვებთ, ბატონო გრაფო? — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა.

— იძულებული ვარ, ქალბატონო. მე მხოლოდ იმისათვის შემოვიარე, რათა მოგაგონოთ თქვენი დაპირება, რომ შაბათს მესტუმრებით.

— ნუთუ იფიქრეთ, რომ დაგვაიწყებოდა?

— თქვენ მეტისმეტად კეთილი ხართ, ქალბატონო; მაგრამ ბატონი დე ვილფორი დაკავებულია სერიოზული და ზოგჯერ ისეთი გადაუდებელი საქმეებით...

— ჩემმა ქმარმა სიტყვა მომცა, გრაფო, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, რომ იგი თავისი სიტყვის პატრონია მაშინაც კი, როცა ამით ბევრს კარგავს, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ მოგებული დარჩება.

— სადილი ელისეის მინდვრების სახლში გექნებათ? — ჰკითხა ვილფორმა.

— არა, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — და მით უფრო დასაფასებელია თქვენი თავგანწირვა: ქალაქგარეთ იქნება.

— ქალაქგარეთ?

— დიახ.

— მერედა სად? პარიზის მიდამოებში, არა?

— ზედ კარიბჭესთან, სადარაჯოდან ნახევარი საათის სავალია — ოტეილში.

— ოტეილში! — შეჰყვირა მეფის პროკურორმა. — ჰო, მართლა, ქალბატონმა დე ვილფორმა მითხრა, რომ ოტეილში ცხოვრობთ, მას ხომ სწორედ თქვენს სახლში აღმოუჩინეს დახმარება. რა ადგილასაა ეგ ოტეილი?

— ფონტენის ქუჩაზე.

— ფონტენის ქუჩაზე? — იკითხა ვილფორმა ყრუ ხმით, — რომელ ნომერში?
— ოცდარვაში.
— მაშ, ქალბატონ დე სენ-მერანს თქვენთვის მოუყიდა ის სახლი! — შეჰყვირა ვილფორმა.
— მარკიზ დე სენ-მერანს? — ჰკითხა მონტე-კრისტომ. — განა ეს სახლი მარკიზ დენ სენ-მერანს ეკუთვნოდა?
— დიახ, — უპასუხა ქალბატონმა დე ვილფორმა. — ბატონო გრაფო, ერთ რამეში თუ დამეთანხმებით.
— რაში?
— რომ ეს საუცხოო ბინაა, ხომ ასეა?
— მომხიბვლელი.
— ჩემი ქმარი კი ყოველთვის წინააღმდეგი იყო იქ დავსახლებულიყავით.
— მართალი გითხრათ, — თქვა მონტე-კრისტომ, — ეს წინარწმენაა, რომელიც მე ვერ გამიგია.
— მე არ მიყვარს ოტელი, — თქვა ძალდატანებით მეფის პროკურორმა.
— იმედი მაქვს მე არ ვიქნები ისეთი უბედური, — უთხრა შემფოთებით მონტე-კრისტომ, — რომ ამ სიძულვილმა წამართვას ბედნიერება ჩემთან გიხილოთ.
— არა, გრაფო... იმედი მაქვს... დამიჯერეთ, გავაკეთებ ყველაფერს, რაც შესაძლებელი იქნება... — ჩაიბურტყუნა დე ვილფორმა.
— არა, ბატონო, მე არავითარ ბოდიშებს არ ვღებულობ. — უპასუხა მონტე-კრისტომ, — შაბათს, ექვს საათზე, გელით, და თუ არ მოხვალთ, მაშინ შეიძლება ვიფიქრო... რომ ამ სახლთან, რომელშიც უკვე ოცი წელია არავინ ცხოვრობდა, დაკავშირებულია რაიმე ავის მომასწავებელი სისხლიანი ლეგენდა.
— მე მოვალ, გრაფო, მოვალ, — უთხრა სწრაფად ვილფორმა.
— გმადლობთ, ახლა კი ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, — უთხრა გრაფმა.
— მართლა, გრაფო, თქვენ გვითხარით, რომ იძულებული ხართ დაგვტოვოთ, — მიმართა ქალბატონმა დე ვილფორმა, — და თითქოს იმის თქმასაც აპირებდით, რა მიზეზით, მაგრამ სწორედ ამ დროს შეგაწყვეტინეთ და სხვა თემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.
— სიმართლე გითხრათ, ქალბატონო, — ვშიშობ გამოგიტყდეთ, საით ვაპირებდი წასვლას.
— სულ ერთია, თქვით.
— მე, როგორც ნამდვილი დოყლაპია, მივდივარ ერთი რამის სანახავად, რომელზედაც ხშირად მთელი საათობით მიოცნებია.
— რა არის ასეთი?
— ტელეგრაფი? — გაიმეორა ქალბატონმა დე ვილფორმა.
— დიახ, ტელეგრაფი. ზოგჯერ მზიან ამინდში გზის პირას, ბორცვზე მინახავს ზემოთ აღმართული შავი და სახსრებიანი ხელები, რომლებიც ვეებერთელა ხოჭოს თათებს მიაგავენ. და გარწმუნებთ, რომ მათ ყოველთვის მღელვარებით ვუყურებდი. ვფიქრობდი, ეს უცნაური ნიშნები — ასე ნათლად რომ სერავენ ჰაერსა და სამასი ლიეს მანძილიდან მაგიდასთან მჯდომი ადამიანის უხილავ ნებას გადასცემენ ხაზის ბოლოს მეორე მაგიდასთან მჯდომ ადამიანს, ნაცრისფერ ღრუბლებზე ან ცისფერ ცაზე იხატებოდნენ მხოლოდ ამ ყოვლისშემძლე მბრძანებლის ძალით. მაშინ მე ვფიქრობდი სულებზე, ხილვებზე, სილფებზე, გნომებზე. ერთი სიტყვით, საიდუმლო ძალებზე და ვიცინოდი. მაგრამ არასოდეს აღმძვრია სურვილი ახლოს მენახა ეს დიდი თეთრმუხლიანი და შავთათებიანი ვეებერთელა მწერი; მე მეშინოდა მის ქვის

ფრთებქვეშ მეპოვა პატარა ადამიანური არსება, ძალიან საპატიო, ძალიან პედანტური, ცოდნით, საიდუმლოებითა და ჯადოქრობით დატენილი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ ყოველგვარი ტელეგრაფი მოძრაობაში მოჰყავს საცოდავ მსახურს, რომელიც წელიწადში ათას ორას ფრანკს იღებს და რომელიც მთელი დღე ასტრონომივით ზეცას, მეთევზესავით წყალს, უსაქმურ მოსეირნესავით პეიზაჟს კი არ შეჰყურებს, არამედ ისეთივე თეთრმუცლიან და შავთათებიან მწერს, კორესპონდენტს, რომელიც მისგან სამი ოთხი ლიეს მანძილზე იმყოფება. მე დავინტერესდი ახლოს მენახა ცოცხალი აბრეშუმის ჭია და დავსწრებოდი მის კომედიას, როგორ ეთამაშება თავისი პარკის სიღრმიდან მეზობელ აბრეშუმის ჭიას და ერთიმეორის მიყოლებით სჭიმავს ძაფებს.

— და თქვენ იქ მიდიხართ?

— დიახ, იქ.

— რომელ ტელეგრაფში? შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ ობსერვატორიის?

— არავითარ შემთხვევაში; იქ შევხვდები ადამიანებს, რომლებიც მაიძულებენ გამაგებინონ ის, რის გაგებაც არ მსურს და ჩემი სურვილის წინააღმდეგ. ამიხსნიან იმ საიდუმლოებას, რომელიც თვითონ არ ესმით. ეშმაკმა დალაზხროს, მე მინდა შევინარჩუნო ილუზიები მწერების შესახებ; საკმარისია, რომ დავკარგე ილუზიები ადამიანთა მიმართ, ასე რომ, არც შინაგან სამინისტროს და არც ობსერვატორიის ტელეგრაფში წავალ. მე მინდა ტელეგრაფი გაშლილ მინდორში, რათა დავინახო საცოდავი, თავის კოშკურაში გაქვავებული ყმაწვილი კაცი.

— თუმცა თქვენ ცნობილი დიდებული ხართ, მაგრამ უცნაური ბრძანებულხართ, — უთხრა მას ვილფორმა.

— რომელი ხაზის დათვალიერებას მირჩევთ?

— იმის, რომელიც ამჟამად ყველაზე დატვირთულია.

— კარგი, მაშასადამე ესპანურის?

— რასაკვირველია, თუ გინდათ, რომ მინისტრის წერილი აგიხსნან...

— არა, არა, — უთხრა მონტე-კრისტომ, — პირიქით, ხომ გითხარით არაფრის გაგება არ მინდა-მეთქი. იმ წუთიდანვე, როგორც კი რამეს გავიგებ, ტელეგრაფი შეწყვეტს ჩემთვის არსებობას და დარჩება მხოლოდ ბატონ დიუშატლეს ან ბატონ მონტალივეს მიერ გაგზავნილი ნიშანი, რომელიც ბაიონის პრეფექტს ორი ბერძნული სიტყვით ?????????????? გადასცა... მე კი მინდა შავთათებიანი მწერი და საშინელი სიტყვა მათ დავუტოვო, ხოლო მთელი ჩემი პატივისცემა მათდამი შევინარჩუნო.

— მაშ გავიმგზავრეთ, რადგან ორ საათში დაბნელდება და უკვე ვეღარაფერს დავინახავთ.

— ღმერთო ჩემო, თქვენ მე მაშინებთ, რომელი მათგანია უფრო ახლოს?

— ბაიონის გზაზე?

— დიახ, თუნდაც ბაიონის გზაზე.

— შატლონის.

— შატლონის შემდეგ?

— მე მგონი მონლერის კოშკზე უნდა იყოს.

— გმადლობთ, ნახვამდის. შაბათს ჩემს შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ.

კარებში გრაფი შეეჩეხა ნოტარიუსებს, რომლებმაც ის იყო ვალენტინას მემკვიდრეობა დაუკარგეს და მეტად კმაყოფილი იყვნენ ისეთი აქტის შედგენით, რომელიც მათ პატივსა სდებდა.

საშუალება მეზღეს თავიდან მოაცილო ციყვები, რომლებიც მის ატმებს ჭამენ

იმავე საღამოს კი არა, როგორც მან თქვა, არამედ მეორე დღეს, გრაფი მონტე-კრისტო ანზერის სადარაჯოდან გამოვიდა და ორლენის გზას დაადგა. ჩაუარა სოფელ ლინას, მაგრამ არ გაჩერებულა ტელეგრაფთან, რომელიც სწორედ იმ დროს თავის გრძელსა და გამხმარ ხელებს ამოძრავებდა, მივიდა მონლერის კოშკამდე, რომელიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, ამავე სახელწოდების ველის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს.

გორაკის ძირში გრაფი ეტლიდან გადმოვიდა და ვიწრო წრიული ბილიკით, რომლის სიგანე ერთ-ნახევარ ფუტს უდრიდა, მთის გზას შეუდგა. როდესაც მწვერვალზე ავიდა, ღობის წინაშე აღმოჩნდა, რომელშიც მწვანე ნაყოფს უკვე შეეცვალა ვარდისფერი და თეთრი ყვავილები.

გრაფმა ჭიშკარს დაუწყო ძებნა და მალეც იპოვა. ეს იყო ტირიფის კოჭაკებზე დამაგრებული ხის ჭიშკარი, რომელიც ლურსმნითა და თოკით იკეტებოდა. მონტე-კრისტო სწრაფად გაერკვა ამ მექანიზმში და ჭიშკარი გააღო.

გრაფი აღმოჩნდა პატარა ბაღში, რომლის სიგრძე ოცი ნაბიჯი იქნებოდა, სიგანე — თორმეტი. ერთის მხრივ მას ეკრა წნული ღობის ის ნაწილი, რომელიც ჩარჩოში იყო ჩასმული — ჩვენ მიერ ჭიშკრად წოდებული მექანიზმი, მეორეს მხრივ კი მიხაკებით, ყვითელი მათიოლიებით მოფენილი და სუროებით შემორკალული ძველი კოშკი.

არავინ იტყოდა, რომ ამ ყვავილებში ჩამჯდარ და დაღარულ კოშკს, რომელთანაც, თითქოს როგორც ბებიასთან შვილიშვილები მისულიყვნენ მისალოცად, შეეძლო ბევრი საშინელი დრამა გადმოეცა, რომ მას მრისხანე ყურებთან ერთად, რომლებსაც ძველი თქმულება კედლებს აწერს, ხმაც აღმოჩნდებოდა.

ამ ბაღს შემოვივლიდით წითელი ქვიშით მოყრილი პატარა ბილიკით; ამ ბილიკს არშიად შემოვლებული ჰქონდა მრავალწლოვანი სქელი ბუა, რომლის ჩრდილები აღფრთოვანებაში მოიყვანდა დელაკრუას, ჩვენს თანამედროვე რუბენსს. ამ ბილიკს რვიანის ფორმა ჰქონდა და მოსახვევებში იხლართებოდა, ასე რომ, ოცი ნაბიჯის მანძილზე ადვილად შეგეძლოთ სამოცი ნაბიჯი გაგველოთ. არასოდეს ფლორასათვის, ამ კეთილი ლათინელი მეზღეების ახალგაზრდა და მხიარული ღვთაებისათვის სამსახური არ გაუწევიათ ასეთი მონდომებია და გულით, როგორც ამ პატარა ბაღში.

მართლაც, ვარდის ოც ბუჩქზე, რომელიც ყვავილნარს ქმნიდა, არც ერთ ფოთოლს არ ჰქონდა წინწკალი, არც ერთი ძარღვი დამახინჯებული არ იყო მწვანე მღილით, რომელიც ნოტიო ნიადაგზე აღმოცენებულ მცენარეს ღრღნის. ამ ბაღს კი სინოტივე არ აკლდა, ამაზე მეტყველებდა მურივით შავი მიწა და ხეების ხშირი ფოთლები. ესეც არ იყოს, ბუნებრივ სინოტივეს სწრაფად შეცვლიდა ხელოვნური, ბაღის კუთხეში წყლით სავსე კასრის წყალობით, რომლის მწვანე ზედაპირზე მუდამ უძრავად გაჩერებულები ისხდნენ ბაყაყი და გომბემო. რომლებიც ალბათ სხვადასხვა ხასიათის გამო, წრის საწინააღმდეგო მიმართულებით ისხდნენ და ერთმანეთისათვის ზურგი ჰქონდათ შექცეული.

სხვათა შორის, ბილიკზე ბალახის ერთ ღერსაც ვერ იპოვიდით, ყვავილნარზე კი არც ერთ გამხმარ ყლორტს; არც ერთი კოპწია ქალი თავის ფაიფურის ჟარდინიერიაში ისე არ უვლის და არ სხლავს ნემსისწვერას, კაკტუსს, დეკას, როგორც ამას აკეთებდა ბაღის ჯერ კიდევ უხილავი პატრონი.

მონტე-კრისტომ ჭიშკარი მიხურა, თოკი ლურსმანზე დაამაგრა და მთელ ამ მამულს თვალი გადაავლო.

— როგორც ჩანს, — გაიფიქრა მან, ტელეგრაფისტს მეზღვრები ჰყავს ან თვითონაა გატაცებული მეზღვრებით.

უცებ ის დაეჯახა რაღაცას, ფოთლებით სავსე ურიკის უკან მოკუნტულს; და ეს რაღაც გაკვირვებული შემახილით გასწორდა. მონტე-კრისტო პირისპირ აღმოჩნდა ორმოცდაათი წლის კაცის წინაშე; ეს კაცი მარწყვებს კრეფდა და ფოთლებზე აწყობდა.

მას ჰქონდა ვაზის თორმეტი ფოთოლი და თითქმის იმდენივე მარწყვი.

წამოწევის დროს მოხუც კაცს კინაღამ არ დაუცვივდა მარწყვი, ფოთლები და თეფში.

— მოსავალს ჰკრეფთ, ბატონო? — ჰკითხა მონტე-კრისტომ ღიმილით.

— ბოდის ვიხდი, ბატონო, — უპასუხა მოხუცმა და ხელი ქუდთან მიიტანა, — მართალია ზევით არა ვარ, მაგრამ სწორედ ახლახან ჩამოვედი.

— ჩემზე ნუ სწუხხართ, — უთხრა გრაფმა, — თუ კიდევ დაგრჩათ, განაგრძეთ მარწყვის კრეფა.

— კიდევ ათი დამრჩა; — უპასუხა მოხუცმა. — თერთმეტი მოგვკრიფე, სულ კი ოცდაერთი მაქვს, ხუთით მეტი, ვიდრე შარშან. მაგრამ ეს გასაკვირი არ გახლავთ, წელს თბილი გაზაფხული იყო, მარწყვს კი, ბატონო, რა უნდა, თუ არა მზე! აი, ამიტომ თექვსმეტის მაგიერ, რომელიც შარშან მქონდა, წელს, ხედავთ, თერთმეტი მოკრეფილი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი... ღმერთო ჩემო, ორი აკლია. ჯერ კიდევ გუშინ, დარწმუნებული ვარ, ისინი აქ იყო, გადავთვალე კიდევ. ეს, ალბათ, დეიდა სიმონის ბიჭმა გააქრო. დავინახე, როგორ ყიალებდა ამ დილით აქ. ოხ, პატარა საძაგელი, სხვის ბაღში ქურდობს, ეტყობა არ იცის, რა მოყვება ასეთ საქციელს.

— მართლაც, ეს სერიოზული ამბავია, — უთხრა მონტე-კრისტომ. — მაგრამ მხედველობაში უნდა მიიღონ დამნაშავეს ასაკი და მისი ღორმუცელობა.

— რასაკვირველია, — უპასუხა მეზღვემ. — მაგრამ ეს საქმეს არ შველის. კიდევ ერთხელ გთხოვთ, მომიტევოთ, ბატონო ჩემო; უფროსს ხომ არ ვალოდინებ?

იგი დაშინებული ათვალისებრებდა გრაფს და მის ლურჯ ფრავს.

— დამშვიდდით, მეგობარო, — უთხრა გრაფმა ღიმილით, რომელიც მისი სურვილის მიხედვით შეიძლება საშინელიც ყოფილიყო და კეთილმოსურნეც, ამჯერად კი მხოლოდ კეთილმოსურნეობას გამოხატავდა, — თქვენს შესამოწმებლად მოსული უფროსი როდი ვარ, უბრალო მგზავრი გახლავართ; აქ ცნობისმოყვარეობამ მომიყვანა და ლამის არის ამის გამო ჩემი თავი გავკიცხო, რადგან ვხედავ, დროს გართმევთ.

— ოჰ, ჩემი დრო ძვირი არ ღირს, — შეეპასუხა მოხუცი ნაღვლიანი ხმით, — თუმცა ის სახელმწიფოსია და არ უნდა ვკარგავდე უქმად, მაგრამ მანიშნებს, რომ ერთი საათით დასვენება შეგიძლიათ (მან მზის საათს შეხედა, რადგან მონლერის კომპის ბაღში ყველაფერი იყო, თვით მზის საათიც კი). — ხომ ხედავთ, მე კიდევ ათი წუთი დამრჩა, ჩემი მარწყვი კი დამწიფდა და კიდევ ერთი დღე ზედმეტიც რომ დავტოვო... ესეც არ იყოს, დამიჯერეთ ბატონო, რომ მას ციყვები მინადგურებენ.

— ოჰო, ამას კი არასოდეს ვიფიქრებდი, — უპასუხა მონტე-კრისტომ სერიოზული სახით, — ციყვები არასასიამოვნო მეზობლები არიან, რადგან ჩვენ მათ თაფლში მოხარშულს არ ვჭამთ, როგორც ამას რომაელები აკეთებდნენ.

— რაო, რომაელები მათ სჭამდნენ? — ჰკითხა მეზღვემ, — ციყვებს სჭამდნენ?

— მე ეს პეტრონიუსის წიგნში წამიკითხავს, — უთხრა გრაფმა.

— ნუთუ? მაგრამ არა მგონია გემრიელი იყოს. თუმცა, ამბობენ: «მსუქანი, როგორც ციყვიო», და არც გასაკვირია მსუქნები იყვნენ. მთელი დღე სძინავთ და მხოლოდ

იმიტომ იღვიძებენ, რომ მთელი ღამე ღრღნან. იცით, გასულ წელს ოთხი ჭერამი მქონდა; ერთი იმათ გამიფუჭეს. დამწიფდა აგრეთვე პრიალა კანიანი ატამი — აი ეს ხომ იშვიათი ხილია — ჰოდა, რა, ბატონო ჩემო, მათ ამ ატამს კედლისკენ შებრუნებული მხარე გამოუჭამეს; საუცხოო, იშვიათი გემოს ატამი იყო. არასოდეს ისეთი არ მიჭამია.

— თქვენ ის შეჭამეთ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ესე იგი დარჩენილი ნახევარი, გასაგებია! ის ჩინებული იყო. დიახ, ის ვაჟბატონები საუკეთესო ჩასატკბარუნებულს არჩევენ, სწორედ ისე, როგორც დეიდა სიმონის ბიჭი. მან, რასაკვირველია, ყველაზე ცუდი მარწყვები არ აირჩია! მაგრამ წელს, — განაგრძო მეზალემ. — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ასეთი რამ არ შემემთხვევა. თუნდაც მთელ ღამეს ვუდარაჯებ, როდესაც ხილი დამწიფებას დაიწყებს.

მონტე-კრისტომ რაც ნახა და გაიგონა, საკმარისი იყო. ყოველ ადამიანს აქვს თავისი ვნება, რომელიც გულს უღრღნის, ისე როგორც ყოველ ნაყოფს თავისი ჭია; ტელეგრაფისტის ვნება მეზალეობა იყო. მან კრეფა დაუწყო ვაზის ფოთლებს, რომლებიც მტევნებს მზისაგან ეჩრდილებოდა და მით მოხუცის გული მოიგო.

— თქვენ ტელეგრაფის სანახავად მობრძანდით, ბატონო? — ჰკითხა მან.

— დიახ. თუკი ეს თქვენი უფლებებით აკრძალული არ არის.

— არავითარ შემთხვევაში, — უპასუხა მეზალემ, — ამაში ხომ საშიში არაფერია; არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რას გადავცემთ.

— ჰო, მითხრეს, რომ თქვენ იმეორებთ ნიშნებს, რომლებიც თვითონ არ გესმით, — უთხრა გრაფმა.

— რასაკვირველია, და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, — უპასუხა სიცილით ტელეგრაფისტმა.

— ეგ რატომ?

— იმიტომ, რომ ამით არავითარი პასუხისმგებლობა არ მაკისრია. მე ვარ მანქანა, მხოლოდ მანქანა და რაკი ვმოდრაობ, სხვას ჩემგან არაფერს მოითხოვენ.

«ემმაკმა დალახვროს, — გაიფიქრა მონტე-კრისტომ, — შემთხვევით ნუთუ ისეთ კაცს წავაწყდი, რომელიც არაფრისაკენ არ მიილტვის, მაშინ არ გამიმართლდა».

— ბატონო ჩემო, — თქვა მეზალემ და მზის საათს გადახედა, — ის ათი წუთიც თავდება და ჩემს ადგილს უნდა დავუბრუნდე. ხომ არ გნებავთ ჩემთან ერთად ამობრძანდეთ?

— მოგყვებით.

მონტე-კრისტო შევიდა კოშკში, რომელიც სამ სართულად იყო გაყოფილი; დაბლა სართულში კედელზე მიყუდებული იყო სამიწათმოქმედო იარაღები — ბარები, ფოცხები, სარწყავები — ეს იყო ამ ოთახის მთელი მოწყობილობა. მეორე სართული ჩვეულებრივი საცხოვრებელი, ან უფრო სწორად, მოსამსახურის ღამის საცხოვრებელი ოთახი იყო; აქ იდგა რამდენიმე ღარიბული საოჯახო ავეჯი, საწოლი, მაგიდა, ორი სკამი, ქვის პირსაბანი და ჭერზე ჩამოკიდებული თივის კონები; გრაფმა იცნო სურნელოვანი მუხუდო და ესპანური ლობიო, რომლის მარცვლებს მოხუცი ერთად ინახავდა. ყოველივე ეს სწავლული ბოტანიკოსის გულმოდგინებით, იარლიყებით მოემარაგებინა.

— ერთი მითხარით, ჩემო კარგო, ბევრი დრო სჭირდება ტელეგრაფის საქმის შესწავლას? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიდხანს გრძელდება არა სწავლა, არამედ შტატგარეშე სამსახური.

— ხელფასს რამდენს ღებულობთ?

— ათას ფრანკს, ბატონო.
— ცოტაა.
— დიახ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ბინასაც იძლევიან.
მონტე-კრისტომ ოთახი შეათვალა.
— ესაა აკლია, რომ ამ ოთახის დაკარგვა ეშინოდეს, — ჩაიჩურჩულა მან.
ავიდნენ მესამე სართულზე; ეს იყო ტელეგრაფის ოთახი. მონტე-კრისტომ შეათვალა რკინის ორივე სახელური, რომლის დახმარებით მოხელე მანქანას ამოძრავებდა.
— ეს ძალზე საინტერესოა, — თქვა მან, — მაგრამ ასეთი ცხოვრება, ალბათ, მოსაწყენი გეჩვენებათ!
— დიახ, დასაწყისში იმის გამო, რომ სულ შეჰყურებ, კისერი გიშემდება; მაგრამ ერთი ან ორი წლის შემდეგ ეჩვევი; მერე ჩვენ გვაქვს შესვენების საათები და თავისუფალი დღეები.
— თავისუფალი დღეები?
— დიახ.
— როდის?
— როდესაც ნისლია.
— ჰო, ეს სწორია.
— ეს ჩემი დღესასწაულებია; ასეთ დღეებში ბაღში ჩამოვდივარ, ვრგავ, ვკრიჭავ, მუხლუხობს ვკრეფ. ერთი სიტყვით, დრო შეუმჩნეველად გარბის.
— დიდი ხანია რაც აქ ხართ?
— ათი წელი და ხუთი კიდევ შტატგარეშე სამსახური, ასე რომ სულ თხუთმეტი წელია.
— თქვენ თვითონ რამდენი...
— ორმოცდათხუთმეტის გახლავართ.
— რამდენი წელი უნდა იმსახუროთ, რომ პენსია მიიღოთ?
— ეჰ, ბატონო, ოცდახუთი წელი.
— მერედა რამდენია ეგ პენსია?
— ასი ეკიუ.
— საცოდაო კაცობრიობავ! — ჩაიჩურჩულა მონტე-კრისტომ.
— რა ბრძანეთ, ბატონო? — ჰკითხა მოხელემ.
— მე ვთქვი, რომ ეს ძალიან საინტერესოა.
— რა არის საინტერესო?
— ყველაფერი ის, რასაც თქვენ მიჩვენებთ... და თქვენ სრულებით არაფერი გესმით მაგ ნიშნების?
— სრულებით არაფერი.
— არც არასოდეს გიცდიათ გაგეგოთ?
— არასოდეს; რაში მჭირდება.
— მაგრამ ხომ არის ისეთი ნიშნები, რომლებიც უშუალოდ თქვენ გეხებათ?
— რასაკვირველია.
— და იმათ თქვენ იგებთ?
— ისინი ყოველთვის ერთი და იგივეა.
— ისინი იტყობინებიან?..
— «არაფერია ახალი», «თქვენ თავისუფალი საათი გაქვთ», ან «ხვალამდე».
— ჰო, ეს მართლაც უდანაშაულო ნიშნებია, — თქვა გრაფმა მონტე-კრისტომ. — მაგრამ ერთი შეხედვით, თქვენი კორესპონდენტი ვგონებ მოძრაობაში მოდის.

- დიახ, სწორია; — გმადლობთ, ბატონო.
- მერედა რას ამბობს? რაიმე ისეთს, რაც თქვენ გესმით?
- მეკითხება, მზად ვარ თუ არა.
- და თქვენ პასუხობთ?..
- ნიშნით, რომელიც მიუთითებს ჩემს კორესპონდენტს მარჯვნივ, რომ მე მზად ვარ და ამავე დროს, წინადადებას აძლევს კორესპონდენტს მარცხნივ, თავის მხრივ მოემზადოს.
- ძალიან მოფიქრებულადაა გაკეთებული, — თქვა გრაფმა.
- აი, თქვენ დაინახავთ, — განაგრძო ამაყად მოხუცმა, — ხუთ წუთში ლაპარაკს დაიწყებს.
- მაშასადამე, ჩემს განკარგულებაშია მთელი ხუთი წუთი, — თქვა მონტე-კრისტომ, — ეს უფრო ბევრია, ვიდრე მე მჭირდება. ჩემო ძვირფასო, — უთხრა მან მოხუცს, — ნება მიბოძეთ ერთი შეკითხვა მოგცეთ.
- ბრძანეთ.
- გიყვართ მებაღეობა?
- გატაცებით.
- თქვენ ბედნიერი იქნებოდით ოცი ფუტის ნაცვლად ორი დღიური ფართობის ბაღი რომ გქონდეთ?
- ბატონო, მე მას ამქვეყნიურ სამოთხედ გადავაქცევდი.
- ათასი ფრანკით გიჭირთ ცხოვრება?
- საკმაოდ ცუდად, მაგრამ მაინც ვცხოვრობ.
- დიახ, მაგრამ საცოდავი ბაღი გაქვთ.
- დიახ, ეს მართალია, ბაღი დიდი არ არის.
- გარდა ამისა, უამრავი ციყვია, რომლებიც ყველაფერს ანადგურებენ.
- დიახ, ეს ჩემი უბედურებაა.
- ერთი მითხარით, რა მოხდება, რომ თქვენს საბედნიეროდ იმ დროს შეტრიალდეთ, როდესაც თქვენი კორესპონდენტი ამომრავდება?
- ვერ დავინახავდი მის ნიშნებს.
- მერე?
- მე ვერ გავიმეორებდი მათ.
- მერე?
- მაშინ დამაჯარიმებენ, რომ დაუდევრობის გამო ვერ შევძელი მათი გამეორება.
- რამდენით?
- ასი ფრანკით.
- წლიური შემოსავლის მეთათვის ნაწილით; არა უშავს!
- რა გაეწყობა, — თქვა მოხელემ.
- ეს თქვენ შეგმთხვევიათ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.
- ერთხელ, ბატონო ჩემო, როდესაც ყვითელი ვარდის ბუჩქებს ვამყნობდი.
- კარგი, ახლა ეს მითხარით, ამ ნიშნებში რაიმეს შეცვლა ან სხვების გადაცემა რომ მოგენდომებინათ?
- ჰო, მაშინ სხვაა; მაშინ დამითხოვდნენ და პენსიას დაკარგავდი.
- სამას ფრანკს?
- დიახ, ბატონო, ასი ეკიუთი; ასე რომ, გამიგებთ, არასოდეს ჩავიდენ მსგავს რაიმეს.
- თქვენი თხუთმეტი წლის სამსახურის ხელფასის ტოლი თანხის გულისათვისაც კი? ამაზე ღირს ჩაფიქრება, რას იტყვიოთ?

— თხუთმეტი ათასი ფრანკის გულისათვის?
— დიახ.
— ბატონო ჩემო, თქვენ მე მაშინებთ.
— ერთი თქვენც!
— ბატონო ჩემო, თქვენ გინდათ შემაცდინოთ.
— სწორედ ასეა, თხუთმეტი ათასი ფრანკი!
— ბატონო ჩემო, სჯობს მომცეთ საშუალება უკეთ შევხედო ჩემს მარჯვენა კორესპონდენტს.
— პირიქით, მას კი ნუ უყურებთ, ამას შეხედეთ.
— რა არის ეს?
— როგორ? თქვენ არ იცნობთ ამ ქალღმერთს?
— ბანკის ბილეთები!
— ნამდვილები, და აქ ასეთი თხუთმეტია.
— ვისია ისინი?
— თუ მოისურვებთ, თქვენი იქნება.
— ჩემი! — შეჰყვირა სულშეხუთულმა მოხელემ.
— ღმერთო ჩემო, დიახ, მთლიანად თქვენი საკუთრება.
— ბატონო ჩემო, ჩემი მარჯვენა კორესპონდენტი ამოდრავდა.
— მერე რა, ამოდრავდეს.
— ბატონო, თქვენ გამაცდინეთ და დამაჯარიმებენ.
— ეს თქვენ ასი ფრანკი დაგიჯდებათ; ხომ ხედავთ, თქვენს ინტერესებში შედის ამ თხუთმეტი ათასი ფრანკის ბანკის ბილეთების აღება.
— ბატონო, ჩემი მარჯვენა კორესპონდენტი მოთმინებას კარგავს, ის იმეორებს ნიშნებს.
— ნუ აქცევთ ყურადღებას, გაიმეოროს, თქვენ კი ეს აიღეთ.
გრაფმა მოხელეს ხელში ბანკის ბილეთების დასტა ჩაუდო.
— მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — თქვენ ვერ შეძლებთ თხუთმეტი ათასი ფრანკით ცხოვრებას.
— მე კიდევ მრჩება ჩემი ადგილი.
— არა, თქვენ მას დაკარგავთ. იმიტომ, რომ თქვენ ახლა მისცემთ სულ სხვა ნიშანს, ვიდრე თქვენმა კორესპონდენტმა გადმოგცათ.
— ოჰ, ბატონო ჩემო, რას მთავაზობთ?
— ბავშვურ ცელქობას.
— ბატონო ჩემო, თუ მე მას არ დამაძალებენ...
— მე ნამდვილად ვაპირებ დამალებას.
მონტე-კრისტომ ჯიბიდან ბანკის ბილეთების მეორე დასტა ამოიღო.
— აქ კიდევ ათი ათასი ფრანკია, — თქვა მან, იმ თხუთმეტთან ერთად, რომელიც ჯიბეში გაქვთ, ოცდახუთი ათასი გამოგივით. ხუთი ათასად თქვენ იყიდით პატარა ლამაზ სახლს და ორ დღიურ მიწას. დანრჩენი ოცი ათასი მოგცემთ ათას ფრანკ წლიურ შემოსავალს.
— ორი დღიური ფართობის ბაღი!
— და ათასი ფრანკი შემოსავალი.
— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..
— მიიღეთ, რაღას უცდით!
და მონტე-კრისტომ მოხელეს ეს ათი ათასი ფრანკი ძალათი ჩაუდო ხელში.
— რა უნდა ვქნა?

- არაფერი ისეთი.
- მაინც?
- გაიმეორეთ ეს ნიშნები.

მონტე-კრისტომ ჯიბიდან ქალაქი ამოიღო, რომელზედაც გამოხატული იყო სამი ნიშანი და ნომრები, რომლებიც მიუთითებდნენ, როგორი წესრიგით უნდა გადაეცათ ისინი.

- როგორც ხედავთ, ეს დიდ დროს არ წაგართმევთ.
- დიახ, მაგრამ...

— ახლა თქვენ უკვე გექნებათ პრიალაკანიანი ატმები და ყველაფერი, რასაც მოისურვებთ.

დარტყმა მიზანში მოხვდა: სულ მთლად გაოფლილმა და აღზუნებისაგან გაწითლებულმა მოხუცმა ერთიმეორის მიყოლებით გადასცა გრაფის მიერ მიცემული ნიშნები, მარჯვენა კორესპონდენტის შემფოთებული მოწოდების მიუხედავად, რომელმაც არაფერი იცოდა ამ ამბის, და იმ აზრს დაადგა, რომ ატმების მოყვარული გაგიჟდაო.

რაც შეეხება მარცხენა კორესპონდენტს, ის კეთილსინდისიერად იმეორებდა მის ნიშნებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიღებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

— თქვენ ახლა მდიდარი ხართ. — უთხრა მონტე-კრისტომ.

— დიახ, — უპასუხა მოხელემ, — მაგრამ რა ფასად?

— მისმინეთ, ჩემო მეგობარო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — არ მინდა, სინდისი გქენჯნიდეთ. დამიჯერეთ, გეფიცებით, არავინ ვაგინე, მხოლოდ ღმერთს მოვემსახურე.

მოხელე ბანკის ბილეთებს ათვალთქვებდა, ხელით სინჯავდა, ითვლიდა; ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. ბოლოს თავისი ოთახისაკენ გაიქცა, რათა წყალი დაეღია, მაგრამ პირსაბანამდეც კი ვერ მოასწრო მისვლა და თავის გამხმარ ცერცვებში გულწასული დაეცა.

ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც ტელეგრაფის ცნობა შინაგან სამინისტრომდე მივიდა, დებრემ ეტლში ცხენები შეაბმევინა და დანგლარებისაკენ წააყვანინა.

— თქვენს ქმარს აქვს ესპანეთის სესხის ობლიგაციები? — ჰკითხა მან ბარონესას.

— რა თქმა უნდა! ექვსი მილიონის.

— როგორ ფასშიც უნდა იყოს, სწრაფად გაყიდოს.

— რატომ? — იმიტომ, რომ დონ კარლოსი ბურჟიდან გაიქცა და ესპანეთში დაბრუნდა.

— საიდან იცით?

იქიდან, — უთხრა დებრემ მხრების აჩეჩით, — საიდანაც ჩემთვის ყველაფერი ცნობილია.

ბარონესამ აღარ გაამეორებინა; მაშინვე ქმართან მიიჭრა; ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ თავის აგენტთან მიიღებინა და უბრძანა, სესხი, რა ფასიც უნდა შეეძლიათ გაეყიდა.

როგორც კი დაინახეს, რომ დანგლარი ყიდდა, ესპანეთის სესხის ქალაქები მაშინვე დაეცა. დანგლარმა ამაში დაკარგა ხუთასი ათასი ფრანკი, მაგრამ სამაგიეროდ ყველა ობლიგაცია მოიშორა.

საღამოთი «მოამბე» იტყობინებოდა:

«დონ კარლოსი, მასზე დაწესებული მეთვალყურეობის მიუხედავად, ბურჟიდან ფარულად გაიქცა და ესპანეთში კატალონიის საზღვრით დაბრუნდა. ბარსელონა აჯანყდა და მის მხარეზე გადავიდა».

მთელი სადამო ლაპარაკობდნენ დანგლარის წინდახედულობაზე, რომელმაც მოასწრო ყველა თავისი სესხის ობლიგაციის გაყიდვა, ამ მებირჟეს ბედზე, რომელმაც ასეთ კატასტროფაში მხოლოდ ხუთასი ფრანკი დაკარგა.

ხოლო იმათ, რომლებსაც შემორჩათ თავისი სესხი ანდა დანგლარის სესხი იყიდეს, თავი გაკოტრებულად მიაჩნდათ და ძალიან ცუდად გაატარეს. ღამე.

მეორე დღეს «ოფიციალურ გაზეთში» დაბეჭდილი იყო: — «მომამბის» გუმინდელი ცნობა, დონ კარლოსის გაქცევის და ბარსელონის აჯანყების შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

მეფე დონ კარლოსს ბურჟი არ დაუტოვებია და ნახევარკუნძულზედაც სრული სიმშვიდეა.

ეს შეცდომა გამოწვეული იყო ტელეგრაფის ნიშანის მიზეზით, რომელიც ბურჟის გამო სწორად ვერ გაიგეს»

ობლიგაციებმა იმ ღირებულებაზე ორჯერ უფრო მეტად აიწია, ვიდრე დაცემამდე ჰქონდათ. საერთოდ, თუ წაგებას და მოგების შესაძლებლობას ერთად ვიანგარიშებთ, დანგლარს მილიონის ზარალი მოუვიდა.

— უნდა ითქვას, — უთხრა მონტე-კრისტომ მორელს, რომელიც მასთან იყო იმ დროს, როდესაც ეს უცნაური საბირჟო გადატრიალების ამბავი მოიტანეს, რომელსაც დანგლარი ემსხვერპლა, — რომ ოცდახუთი ათას ფრანკად აღმოჩენა მოვახდინე, რომელშიც სიამოვნებით გადავიხდიდი ასი ათას ფრანკს.

— რაში მდგომარეობს თქვენი აღმოჩენა? — ჰკითხა მაქსიმილიანმა.

— საშუალება გამოვნახე ერთი მებაღისათვის მომეცილებინა ციყვები, რომლებიც ატმებს ანადგურებდნენ.

თავი V

მოჩვენებები

ოტეილის სახლში გარეგნულად არავითარი ბრწყინვალება არ ჩანდა, არაფერი ისეთი, რაც მოსალოდნელი იყო დიდებულ გრაფ მონტე-კრისტოსათვის განკუთვნილი ბინისაგან; მაგრამ ეს უბრალოება აიხსნებოდა თვით სახლის პატრონის სურვილით, რომელსაც მკაცრი განკარგულება ჰქონდა გაცემული, გარედან არაფერი შეეცვალათ. ამაში დასარწმუნებლად საკმარისი იყო შიგნით შეგეხედათ. შეაღებდით თუ არა კარს, სურათი მაშინვე იცვლებოდა.

ოთახების მოწყობით და სიჩქარით, რომლითაც მან ყოველივე ეს გააკეთა, ბერტუჩომ მოლოდინს გადააჭარბა. ისევე როგორც ერთ დროს ჰერცოგმა ანტენმა ბრძანება გასცა ერთ ღამეში გაეჩეხათ მთელი ხეივანი, რომელიც ხელს უშლიდა ლუდოვიკო XIV მზერას, ბერტუჩომ სამ დღეში მორთო სრულიად დაცარიელებული ეზო. ვეებერთელა ბელტიანი ფესვებით ჩამოტანილი მშვენიერი ჭადრები და ნეკერჩხლები ჩრდილავდნენ სასახლის მთავარ ფასადს, რომლის წინ ბალახებით დაფარული რიყის ქვების მაგიერ, გადაშლილიყო მთლიანი კორდი და დილით ჩაწყობილ ბელტებს უკვე ვრცელი ხალიჩა მოექსოვათ. ამ ხალიჩაზე ისევ ბრწყინავდნენ მორწყვის შედეგად დარჩენილი წყლის წვეთები.

ერთი სიტყვით, ყველა განკარგულება გრაფიდან გამომდინარეობდა, ბერტუჩოს მან თვითონ გადასცა გეგმა, რომელშიც მოცემული იყო დასარგავი ხეების რიცხვი და განლაგება. ასევე სიგრძე და ფორმა კორდისა, რომელსაც ქვაფენილი უნდა შეეცვალა.

ამგვარად სახეშეცვლილი სახლის ცნობა ძნელი გახდა. ბერტუჩო თვითონ ამტკიცებდა, რომ ამ მწვანე ჩარჩოში ვერ სცნობდა მას.

საქმეთა მმართველი წინააღმდეგი არ იქნებოდა ბაღშიც შეეტანა ცვლილებები, მაგრამ გრაფმა კატეგორიულად აუკრძალა რაიმესათვის ხელი ეხლო. ბერტუჩომ ზარალი იმით აინაზღაურა, რომ წინა ოთახი, კიბეები და ბუხრები ყვავილებით შეამკო.

ერთი სიტყვით, საქმეთა მმართველი ბრძანების შესრულების არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ხოლო მის ბატონს ბრძანების შესანიშნავი უნარი ჰქონდა. და აი, ყოველივე ამის გამო ამ სახლს, ოცი წლის განმავლობაში დაუსახლებელს, ჯერ კიდევ გუშინ ასეთ პირქუშსა და სევდიანს, გაჟღენთილს იმ უხამსი სურნელებით, რომელსაც შეიძლება დროის სურნელება ეწოდოს, ერთ მშვენიერ დღეს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო, და იმ სურნელებით აივსო, რომელიც ბატონს უყვარდა; აქ სინათლევ იმდენი იყო, როგორც მას მოსწონდა. მოვიდოდა თუ არა გრაფი, მაშინვე ხელთ ჰქონდა წიგნები და იარაღები, თვალწინ — საყვარელი მგალობელი ჩიტები ჰყავდა; მთელი ეს სახლი, დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებული, ტყეში დაძინებული მზეთუნახავის ციხე-კოშკივით ცოცხლდებოდა, მღეროდა და იფურჩქნებოდა. ის იმ ბინებს ჰგავდა, რომლებიც ჩვენთვის დიდი ხანია ძვირფასია, და რომლებშიც, მათი დატოვების შემდეგ უვნებლად ჩვენი სულის ნაწილს ვტოვებთ.

ამ ლამაზ ეზოში მიდი-მოდიოდნენ მხიარული მსახურები; ერთნი სამზარეულოში ტრიალებდნენ და ახლად შეკეთებულ კიბეებზე ისეთი სახით დარბოდნენ, თითქოს ყოველთვის ამ სახლში ცხოვრობდნენ. მეორენი — მიჩენილები იყვნენ თავლებზე, სადაც ნომრებით განლაგებული ეტლები თითქოს ნახევარი საუკუნის განმავლობაში იდგნენ იქ — და საჯინბოებზე, სადაც ცხენები შვრიის ცოხნაში ჭიხვინით უპასუხებდნენ მეჯინბოებს, რომლებიც მათ უფრო მოწონებით ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ზოგიერთი მსახური თავის ბატონს ელაპარაკება.

ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო კედლის გასწვრივ მდებარე ორ კარადაში და დაახლოებით ორი ათას ტომს შეიცავდა. მთელი ერთი განყოფილება განკუთვნილი იყო ახალი რომანებისათვის — წინადღით გამოსულები უკვე ადგილზე იყვნენ და თავიანთი გარეკანის წითელსა და ოქროსფერ სხივებს ისროდნენ.

სახლის მეორე მხარეს მოთავსებული იყო ორანჟერეა, იაპონურ ლარნაკებში ჩასმული იშვიათი მცენარეებით, რომლებიც თვალსა და ყნოსვას აჯადოებდნენ. ორანჟერეის შუაგულში იდგა ბილიარდი, თითქოს ერთი საათის წინ მიტოვებული მოთამაშეების მიერ, რომლებმაც მთვლემარე ბურთები მწვანე მაუდზე დატოვეს.

მხოლოდ ერთი ოთახი გადაურჩა ჯადოქარ ბერტუჩოს. ის მდებარეობდა მეორე სართულის მარცხენა კუთხეში, სადაც ასვლა შეიძლებოდა მთავარი კიბით, ხოლო გამოსვლა საიდუმლო კიბით; ამ ოთახს მსახურები ცნობისმოყვარეობით ჩაუვლიდნენ ხოლმე, ბერტუჩო კი — შიშით.

ზუსტად ხუთ საათზე გრაფი ალის თანხლებით ოტეილის სახლთან გაჩერდა. ბერტუჩო მის მოსვლას შემფოთებული მოუთმენლობით ელოდა; იმედი ჰქონდა, ქება დაემსახურებინა და ამავე დროს შიშობდა, ვაითუ პირქუშად შემომხედონო.

მონტე-კრისტო ეტლიდან ეზოში გადმოვიდა. მთელი სახლი შემოიარა, ბაღიც შეათვალიერა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, არც მოწონება გამოუთქვამს, არც უკმაყოფილება.

მხოლოდ თავის საწოლ ოთახში, რომელიც დაკეტილი ოთახის პირდაპირ მდებარეობდა, თითოთ ვარდისფერი ხის პატარა კარადა ანიშნა — ეს კარადა მას პირველი მისვლისთანავე მოეწონა.

— ეს მხოლოდ ხელთათმანებისათვის გამოდგება, — თქვა მან.

— ნამდვილად, თქვენო ბრწყინვალეზავ, — უპასუხა აღფრთოვანებულმა ბერტუჩომ, — გამოადეთ, თქვენ იქ ხელთათმანებს ნახავთ.

სხვა კარადებშიც სწორედ ის აღმოჩნდა, რასაც გრაფი მოელოდა: ფლაკონები, სიგარეტები, ძვირფასი ნივთები.

— კარგია! — თქვა მონტე-კრისტომ.

— ბერტუჩო გაეცალა. ის გულის სიღრმემდე ბედნიერი იყო: ამდენად დიდი და ყოვლისშემძლე გავლენა ჰქონდა ამ კაცს ყველაზე, ვინც გარს ერტყა.

ზუსტად ექვს საათზე კარიბჭესთან გაისმა ცხენის თქარათქური. ეს ჩვენმა სპაჰის კაპიტანმა მოიქროლა მედეათი.

— დარწმუნებული ვარ, პირველი მოვედი, — შესძახა მას მორელმა, — განგებ ავჩქარდი, მინდოდა ცოტახანს თქვენთან დავრჩენილიყავი, სანამ დანარჩენები მოვიდოდნენ. ჟიულიმ და ემანუილმა ათასი სალამი შემოგივალეს. იცით, აქ დიდებულადა ხართ მოწყობილი! მითხარით, გრაფო, თქვენი მსახურები კარგად მოუვლიან ჩემს ცხენს?

— დამშვიდებული იყავით, ჩემო ძვირფასო მაქსიმილიან, მათ იციან თავისი საქმე.

— ძალიან კარგი შემშრალეა უნდა. რომ იცოდეთ, როგორ მოჰქროდა. ნამდვილი გრიგალია.

— მაშ, აბა როგორ გინდათ, ხუთი ათას ფრანკად ღირებული ცხენი. — უთხრა მონტე-კრისტომ ისეთი ტონით, როგორც მამა შვილს ელაპარაკება.

— თქვენ გული გწყდებათ? — უთხრა მორელმა თავისი გულწრფელი ღიმილით.

— მე? ღმერთმა დამიფაროს! — უპასუხა გრაფმა. — არა. მეწყინებოდა, რომ იგი ცუდი გამომდგარიყო.

— ის ისეთი კარგია, ძვირფასო გრაფო, რომ შატო-რენო, საფრანგეთში პირველი მცოდნე, და დებრე, რომელიც სამინისტროს არაბულ ცხენებზე ჯირითობს, ახლაც მომდევნ და, როგორც ხედავთ, ჩამომრჩნენ, ხოლო მათ ფეხდაფეხ მოჰყვებიან ბარონესა დანგლარის ცხენები, რომლებიც საათში ექვს ლიეს გადიან, არც მეტს, არც ნაკლებს.

— მაშ ისინიც მალე გამოჩნდებიან? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, აი ისინიც.

და მართლაც, გაიღო ჭიშკარი და გამოჩნდა ეტლში შებმული აქაფებული წყვილი, და ორიც მძიმედ აქშინებული ცხენი. ეტლმა წრე შემოავლო და ორი ცხენოსანის თანხლებით პარმადთან შეჩერდა.

დებრე სწრაფად ჩამოხტა და ეტლის კარი გამოაღო. ყმაწვილმა კაცმა ხელი გაუწოდა ბარონესას, ეს უკანასკნელი გადმოსვლისას რაღაცნაირად შეიშმუშნა, რაც მონტე-კრისტოს გარდა ყველას შეუმჩნეველი დარჩა.

გრაფის მზერას არაფერი გამოეპარებოდა; ამ შემშმუშვნის დროს მან დაინახა, რომ იელვა პატარა, ასევე შეუმჩნეველმა ბარათმა, რომელიც ქალბატონ დანგლარის ხელიდან მინისტრის მდივნის ხელში მოხერხებულად გადავიდა. ეს გარემოება ამ საქმეში დახელოვნებაზე მეტყველებდა.

ცოლის შემდეგ გამოჩნდა ბანკირი, რომელიც ისე გაფითრებულიყო, რომ საფლავიდან ამოღებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ეტლიდან გადმოსულს.

სწრაფი და გამომცდელი მზერით, რომელიც მხოლოდ მონტე-კრისტოსათვის იყო გასაგები, ქალბატონმა დანგლარმა თვალი შეავლო ჭიშკარს და სახლის ფასადს; შემდეგ მან დაიმორჩილა ოდნავი მღელვარება, რომელიც უეჭველად სახეზე აღებეჭდებოდა, ამ სახეს გაფითრების უნარი რომ ჰქონოდა, პარმალის კიბეს აჰყვა და მორელს მიმართა:

— ბატონო, თქვენ ჩემი მეგობარი რომ იყოთ, გკითხავდით, ცხენს ხომ არ გაყიდით-მეთქი.

მორელს გაეღიმა; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მას ტუჩები მოეღრიცა და მონტე-კრისტოს ისე შეხედა, თითქოს ეხვეწებოდა, გამომიყვანე ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდანო.

გრაფი მიუხვდა.

— ოჰ, ქალბატონო, რატომ მე არ მეხება თქვენი შეკითხვა? — უთხრა მან.

— თქვენთან, ბატონო გრაფო, — უპასუხა ბარონესამ, — ადამიანს უფლება არ აქვს რაიმე ისურვოს, იმიტომ რომ დარწმუნებულია მას მიიღებს. აი სწორედ ამიტომ მივმართე ბატონ მორელს.

— სამწუხაროდ, — უთხრა გრაფმა, — უნდა გაცნობოთ, რომ ბატონი მორელი ვერ გაჰყიდის თავის ცხენს; ამ ცხენის დატოვება მისი ღირსების საკითხია.

— ეგ როგორ?

— მას ნიძლავი აქვს დადებული, რომ მედეას ექვს თვეში გახედნის. ახლა ხომ გესმით, ქალბატონო? თუ ეს ცხენი დანიშნულ ვადამდე მოიშორა, მარტო ნიძლავს კი არ წააგებს; იტყვიან, შეეშინდაო. ხოლო სპაჰის კაპიტანი თვით ლამაზი ქალის ჟინისათვისაც კი, — თუმცა ჩემი შეხედულებით ამ ქვეყანაზე ეს უდიდესი წმიდათა წმიდაა, — ვერ დაუშვებს, რომ მასზე ასეთი ხმები დაყარონ.

— ხომ ხედავთ, ქალბატონო, — უთხრა მორელმა და მონტე-კრისტოს მადლიერების ღიმილით შეხედა.

— ესეც არ იყოს, — თქვა დანგლარმა ძალდატანებული ღიმილით, რომელიც ცუდად ფარავდა მის ბუზღუნა ტონს, — თქვენ ისედაც საკმაოდ გყავთ ცხენები.

ქალბატონ დანგლარს ჩვეულებად არ ჰქონდა ამგვარი გამოსვლები დაუსჯელად დაეტოვებინა; ამიტომ ყმაწვილი კაცები ძალზე განაცვიფრა იმ გარემოებამ, რომ ბარონესამ არაფერი უპასუხა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც კი გაეგონა.

მონტე-კრისტო, რომელსაც ღიმილს გვრიდა ეს უჩვეულო მორჩილების გამომხატველი სიჩუმე, ბარონესას აჩვენებდა ჩინური ფაიფურის ვეებერთელა ლარნაკებს, რომლებშიც იკლავებოდნენ ისეთი დიდი და დამუშავებული ზღვის მცენარეები, რომ იფიქრებდით, მარტო ბუნებას შეეძლო შეექმნა ისინი ასე ძლიერები, ქორფები და ჭკვიანურად გადახლართულებიო.

ბარონესა აღფრთოვანებული იყო.

— აქ შეიძლება გადმოირგოს წაბლის ხე ტიულერიდან? — ჰკითხა მან, — როგორ მოახერხეს ასეთი ვეებერთელა ლარნაკების გამოწვა?

— ეჰ, ქალბატონო, — უთხრა მონტე-კრისტომ, — განა შეგვიძლია ასეთ შეკითხვას ვუპასუხოთ ჩვენ, პატარა ქანდაკებების და მარმაშივით თხელი შუშების ოსტატებმა? ეს არის სხვა საუკუნეების ნამუშევარი, რამდენადმე დედამიწისა და ზღვის გენიების მიერ შექმნილი.

— ოჰო, მერედა რომელ ეპოქას ეკუთვნის ეს ლარნაკები?

— არ ვიცი; გამიგონია მხოლოდ, რომ ჩინეთის რომელიღაც იმპერატორმა ააშენებინა განსაკუთრებული გამოსაწვავი ქურა; ამ ქურაში გამოუწვავთ, ერთიმეორეს მიყოლებით, თორმეტი ასეთი ლარნაკი. ორი მათგანი ცეცხლში გამსკდარა; დანარჩენი ათი სამასი საჟენის სიღრმეზე ჩაუშვიათ ზღვაში. ზღვამ იცოდა, რას მოითხოვდნენ მისგან, შემოაკრა მას თავისი წყალმცენარეები, დაფარა მარჯნებით, შეაფერადა მისი ნიჟარები; ყველაფერი ეს ზღვის სიღრმეში იყო ორი საუკუნის განმავლობაში, რადგან იმპერატორი, რომელიც ამ ცდას აწარმოებდა, რევოლუციამ აღგავა; მის შემდეგ დარჩა მხოლოდ ბარათი, რომელიც ამტკიცებდა, რომ გამომწვარი ლარნაკები ზღვის უფსკრულში იყო ჩაშვებული. ორასი წლის შემდეგ ნახეს ეს ბარათი და გადაწყვიტეს მათი ამოღება. მყვინთავები სპეციალური მოწყობილობებით ზღვაში ჩაეშენენ და ძებნა დაუწყეს. მაგრამ ათიდან მხოლოდ სამი ნახეს; დანარჩენები ზღვის ტალღებს დაემსხვრია და გაექრო. მე მიყვარს ეს ლარნაკები. ზოგჯერ წარმოვიდგენ, რომ მის სიღრმეში თავიანთი ცივი და მქრქალი თვალებით განცვიფრებით იმზირებიან საიდუმლო და შიშისმომგვრელი უფორმო ურჩხულები, ისეთები, რომელთა დანახვა მხოლოდ მყვინთავებს შეუძლიათ, და რომ შიგ იმალებიან მტრისგან დევნილი თევზების მირიადები.

ამასობაში დანგლარი, რომელიც გულგრილი იყო იშვიათი ნივთების მიმართ, ერთიმეორის მიყოლებით მექანიკურად სწყვეტდა საუცხოო ფორთოხლის ხის ფოთლებს; როდესაც გული იჯერა, კაქტუსზე გადავიდა, მაგრამ კაქტუსი ისეთივე დამყოლი არ გამოდგა და მწარედ უჩხვლიტა.

იგი შეკრთა და თვალები მოიფშვნიტა, თითქოს ძილისაგან გამოერკვაო.

— ბატონო ბარონ, — მიმართა ღიმილით მონტე-კრისტომ, — თქვენთან, მხატვრობის მოყვარულ და საუცხოო ტილოების მფლობელ ადამიანთან, ვერ გავბედავ ჩემი სურათების ქებას. აი, ორი ჰობემა, პაულ პოტერი, მირისი, ორი ჰერარდ დოუ, რაფაელი, ვან დეიკი, სურბარანი და ორი-სამი მურილიო, რომლებიც ღირსნი არიან წარმოვიდგინოთ.

— მოთმინეთ! — თქვა დებრემ, — აი ჰობემა, მე მას ვიცნობ.

— მართლა?

— დიახ, მუზეუმს შესთავზეს, ეყიდა იგი.

— იქ ვგონებ არც ერთი სურათი არა აქვთ ჰობემასი? — შენიშნა მონტე-კრისტომ.

— დიახ, მაგრამ მაინც უარი თქვეს მის ყიდვაზე.

— რატომ? — ჰკითხა შატო-რენომ.

— თქვენი გულუბრყვილობა მომხიბვლელია; იმიტომ, რომ მთავრობას საამისო თანხები არ გააჩნია.

— მომიტევეთ, — უპასუხა შატო-რენომ. — უკვე რვა წელია ყოველდღე მესმის ეს სიტყვები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე.

— თანდათან მიეჩვევით, — უთხრა დებრემ.

— არა მგონია, — უპასუხა შატო-რენომ.

— მაიორი ბარტოლომეო კავალკანტი, ვიკონტ ანდრეა კავალკანტი. — მოახსენა ბაპტისენმა.

მაღაზიიდან ახლახან გამოტანილი შავი ატლასის მაღალი ჰალსტუხი, ახლახან გაპარსული წვერი, შევერცხლილი უღვაშები, დამაჯერებელი მზერა, სამი ვარსკვლავითა და ხუთი ჯვრით დამშვენებული მაიორის მუნდირი, ძველი ჯარისკაცის უმწიკვლო მხედრული თავდაჭერა! — ასე გამოცხადდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ნაზი მამა, მაიორი ბარტოლომეო კავალკანტი.

მის გვერდით გაღიმებული მოდიოდა ახალ ტანისამოსში გამოწყობილი ვიკონტი ანდრეა კავალკანტი, ჩვენთვის ასეთი ნაცნობი მოკრძალებული ვაჟიშვილი.

მორელი, დებრე და შატო-რენო ერთმანეთს ესაუბრებოდნენ; მათი მზერა მამიდან შვილზე გადადიოდა და ბუნებრივად ჩერდებოდა ამ უკანასკნელზე, რომელსაც ისინი თითქოს დაწვრილებით სწავლობდნენ.

— კავალკანტი! — თქვა დებრემ.

— ეშმაკმა დალახვროს, კარგი გვარია! — თქვა მორელმა.

— დიახ, — თქვა შატო-რენომ, — იტალიელები კარგ გვარებს ირქმევენ, მაგრამ ცუდად იცვამენ.

— თქვენ უსამართლო ხართ, შატო-რენო, — გამოეპასუხა დებრე. — მისი კოსტიუმი ძალიან კარგადაა შეკერილი და ამავე დროს ახალიცაა.

— აი, სწორედ ეს არ მომწონს. ამ ვაჟბატონს ისეთი შეხედულება აქვს, თითქოს დღეს ტანისამოსი პირველად ჩაუცვამს.

— ვინ არიან ეს ბატონები? — ჰკითხა დანგლარმა მონტე-კრისტოს.

— ხომ გაიგონეთ, კავალკანტები.

— ამით მხოლოდ მათ გვარს ვიგებ და სხვა არაფერს.

— ჰო, მართალი ბმანდებით, თქვენ ვერ ერკვევით ჩვენი იტალიის დიდკაცებში: «კავალკანტი» — ეს დიდკაცს ნიშნავს.

— დიდი ქონება აქვთ? — ჰკითხა ბანკირმა.

— ზღაპრული.

— რას აკეთებენ?

— ამაოდ ცდილობენ ნელ-ნელა დახარჯონ. ჰო, მართლა, თქვენს ბანკში არიან აკრედიტებულნი, მათ ეს მითხრეს სამი დღის წინათ, როდესაც ჩემთან იყვნენ. ისინი თქვენს გულისთვის მოვიპატიჟე. ახლავე წარმოგიდგინო.

— მე მგონია, ძალიან სუფთად ლაპარაკობენ ფრანგულს. — თქვა დანგლარმა.

— ვაჟი სამხრეთ საფრანგეთში იზრდებოდა რომელიღაც კოლეჯში, მარსელში თუ მის მიდამოებში. ის ახლა ძალიან აღფრთოვანებულია.

— რით? — ჰკითხა ბარონესამ.

— ფრანგი ქალებით, ქალბატონო. მას უნდა აუცილებლად პარიზელ ქალზე დაიწეროს ჯვარი.

— საუცხოო აზრი ჰქონია, — თქვა დანგლარმა მხრების აჩეჩვით.

ქალბატონმა დანგლარმა ქმარს გადახედა, სხვა დროს ეს შეხედვა ქარიშხლის მაუწყებელი იქნებოდა, მაგრამ ქალი ამჯერად გაჩუმდა.

— ბარონი დღეს რაღაც ძალიან ცუდ ხასიათზეა, — უთხრა ქალბატონ დანგლარს მონტე-კრისტომ, — შემთხვევით მინისტრად ხომ არ უპირებენ დაყენებას.

— რამდენადაც ვიცი, ჯერ არა. მე კი მგონია, რომ ბირჟაზე ითამაშა, წააგო და ახლა არ იცის ვისზე იყაროს ჯავრი.

— ბატონი და ქალბატონი დე ვილფორი, — გამოაცხადა ბაპტისენმა.

მეფის პროკურორი და მისი მეუღლე ოთახში შემოვიდნენ. ბატონ დე ვილფორს, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს კარგად ფლობდა, აღელვება ეტყობოდა. როდესაც მონტე-კრისტომ მას ხელი ჩამოართვა, იგრძნო, რომ ხელი უცახცახებდა.

— ცხადია, მხოლოდ ქალებს შეუძლიათ ითვალთმაქცონ, — გაიფიქრა მონტე-კრისტომ ქალბატონ დანგლარის შეხედვაზე, რომელიც მეფის პროკურორს უღიმოდა, მის ცოლს კი კოცნიდა.

მისაღმების შემდეგ გრაფმა შენიშნა, რომ ბერტუჩო, რომელიც აქამდე ბუფეტში იყო დაკავებული, გაძვრა პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც ემიჯნებოდა დარბაზს, სადაც სტუმრები იყვნენ.

გრაფი მასთან გავიდა.

— რა გინდა, ბერტუჩო? — ჰკითხა მან.

— თქვენს ბრწყინვალეობას არ უთქვამს რამდენი სტუმარი ეყოლებოდა.

— ეს მართალია.

— რამდენზე გავაწყო მაგიდა?

— თქვენ თვითონ დათვალეთ.

— ყველანი მოვიდნენ, თქვენო ბრწყინვალეობავ?

— დიახ.

ბერტუჩომ ნახევრად ღია კარიდან შეიხედა.

მონტე-კრისტო ჩააცქერდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა ბერტუჩომ.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ის ქალი... ის ქალი...

— რომელი?

— თეთრკაბიანი და სულ ბრილიანტებით შემკული, ქერა...

— ქალბატონი დანგლარი?

— მისი სახელი არ ვიცი, მაგრამ ის, ის არის, ის არის!

— ვინ «ის»?

— ქალი ბალიდან. ფეხმძიმედ რომ იყო! ის, რომელიც ვიღაცის მოლოდინში სეირნობდა... მოლოდინში...

ბერტუჩოს პირი ღიად დარჩა, გაფითრებულს თმა ყალყზე დაუდგა.

— ვის მოლოდინში?

ბერტუჩომ ხმისამოუღებელი ვილფორზე ანიშნა, თითქმის ისევე, როგორც მაკბეტი ბანკოს მიუთითებს.

— ღმერთო ჩემო... — ჩაიჩურჩულა მან ბოლოს, — ხედავთ?

— რას? ვის?

— მას...

— მას? ბატონ მეფის პროკურორ დე ვილფორს? რასაკვირველია, ვხედავ.

— მაშ მე ის არ მომიკლავს?

— მისმინე ჩემო კარგო ბერტუჩო, თქვენ ვგონებ ჭკუაზე შეიშალებთ, — უთხრა გრაფმა.

— მაშ ის არ მომკვდარა!

— რასაკვირველია, არა! ის არ მომკვდარა; როგორც ხედავთ, იმის მაგივრად, რომ ხანჯალი მარცხენა ფერდში მეექვსე და მეშვიდე ნეკნს შუა გაგერჭოთ, ისე როგორც ეს თქვენ თანამემამულეებს სჩვევიათ, თქვენ ცოტა ზემოთ ან ქვემოთ გაგირჭვიათ, მართლმსაჯულების ხალხი კი ასე ადვილად როდი კვდება. ან უფრო სწორედ, ის, რაც მომიყევით, მართალი არაა — ეს იყო მხოლოდ თქვენი წარმოდგენა, ჰალუცინაცია. ჩაგეძინათ ისე, რომ კარგად ვერ მოინელეთ თქვენი შურისძიება, ის კუჭზე დაგაწვათ და თქვენ სიზმარში კომმარი ნახეთ. ეს არის და ეს. კმარა, ახლა გონს მოდით და დათვალეთ: ბატონი და ქალბატონი დე ვილფორი — ორი; ბატონი და ქალბატონი დანგლარი — ოთხი; შატო-რენო, დებრე, მორელი — შვიდი; მაიორი ბარტოლომეო კავალკანტი — რვა.

— რვა, — გაიმეორა ბერტუჩომ.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! ეშმაკმა დალახვროს რა გემართებათ? ერთი სტუმარი გამოგრჩათ... შეხედეთ ოდნავ მარცხნივ... აი აქ... ბატონი ანდრეა კავალკანტი; შავფრაკიანი ყმაწვილი კაცი, რომელიც მურილის მადონას ათვალიერებს, აი მობრუნდა.

— ამჯერად ბერტუჩომ კინალამ დაიყვირა, მაგრამ მონტე-კრისტომ ისე შეხედა, რომ ხმა ჩაუწყდა.

— ბენედეტო, — ჩაიჩურჩულა მან ძლივს გასაგონად, — ეს ბედისწერაა!

— ბატონო ბერტუჩო, — საათმა შვიდის ნახევარი დაჰკრა, — უთხრა მკაცრად გრაფმა. — მე განკარგულება გავეცი, ამ დროისათვის სუფრა გაშლილი ყოფილიყო. თქვენ იცით, რომ ლოდინი არ მიყვარს!

და მონტე-კრისტო დაბრუნდა სასტუმრო ოთახში, სადაც მას წვეულნი ელოდნენ, ხოლო ბერტუჩო კედელ-კედელ სასადილო ოთახში შევიდა.

ხუთი წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახის ორივე კარი გაიღო. გამოჩნდა ბერტუჩო, რომელმაც, როგორც ვატელმა შანტიში,¹ (1 ვატელი — პრინც კონდეს მსახურთუხუცესი, რომელმაც დაშნით თავი მოიკლა, როცა დაინახა, რომ იგვიანებდა მეფე ლუდოვიკო XIV-ს გასამასპინძლებლად დაკვეთილი თევზის კერძი.)

უკანასკნელი გმირული ძალა მოიკრიბა და განაცხადა:

— სუფრა გაშლილია, თქვენო ბრწყინვალეზავ!

მონტე-კრისტომ ქალბატონ დე ვილფორს ხელი გაუწოდა.

— ბატონო ვილფორ, გთხოვთ ბარონესა დანგლარს გაუწიოთ კავალრობა, — უთხრა მან მეფის პროკურორს.

ვილფორი დაემორჩილა, და ყველანი სასადილო ოთახში გადავიდნენ.

თავი VI

სადილი

სავსები ცხადი იყო, რომ სასადილო ოთახში გავლისას ყველა სტუმარი ერთ გრძნობას შეეპყრო. ვერ გაეგოთ, რა სასწაულებრივმა ძალამ აიძულა ყველანი ამ სახლში შეკრებილიყვნენ. და თუმცა ზოგიერთი მათგანი აქ მოხვედრით გაკვირვებული და შემფოთებულიც კი იყო, მაგრამ მაინც არ უნდოდათ აქ არ ყოფილიყვნენ.

ამავე დროს გრაფთან ასე ხანმოკლე ნაცნობობა, მისი ექსცენტრული და მარტოხელა ცხოვრება, მისი შეუცნობი და თითქმის ზღაპრული სიმდიდრე მამაკაცებს ავალეზდა წინდახედულობა გამოეჩინათ, ხოლო ქალებს — მეორედ აღარ შეედეგათ ფეხი ამ სახლში, სადაც არ იყვნენ ქალები, რომელთაც მათი მიღება შეეძლოთ. მაგრამ მამაკაცებმა დაარღვიეს სიფრთხილის კანონები, ხოლო ქალებმა — თავაზიანობის წესები; დაუძლეველმა ცნობისმოყვარეობამ მათ ყველაფერი დაავიწყა.

თვით კავალკანტებიც კი — მამა თავისი ქედმაღლობის, ხოლო შვილი თავისი სითამამის მიუხედავად — შემფოთებული ჩანდნენ იმით, რომ ამ ადამიანის სახლში რომლის მიზანი მათთვის გაუგებარი იყო, შეხვდნენ სხვა ადამიანებს, რომლებსაც პირველად ხედავდნენ.

ქალბატონი დანგლარი უნებურად შეკრთა, როდესაც დაინახა, რომ ვილფორი, მონტე-კრისტოს თხოვნით, ხელს სთავაზობდა მას, ხოლო ვილფორს, როდესაც მან ბარონესას ხელის შეხება იგრძნო, შენიშნა ოქროს სათვალეებიდან, რომ თვალეები აემღვრა.

გრაფს არც ერთისა და არც მეორის შეშფოთება არ გამოჰპარვია. მთავალყურისათვის ყველა ამ ადამიანის თუნდ უბრალო შეხებაც დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

ვილფორის მარჯვნივ ქალბატონი დანგლარი დაჯდა, მარცხნივ მორელი.

გრაფი კი ქალბატონ ვილფორსა და დანგლარს შუა იჯდა.

დანარჩენი ადგილები ეკავათ დებრეს, რომელიც მამა და შვილ კავალკანტებს შუა იჯდა, და შატო-რენოს, რომელიც ქალბატონ დე ვილფორსა და მორელს შუა მოთავსდა.

დიდებული სუფრა გაიშალა. მონტე-კრისტომ მიზნად დაისახა მთლად დაემხო პარიზელთა ჩვევები და უფრო მეტად სტუმართა ცნობისმოყვარეობა დაეცხრო, ვიდრე მათი მამა. მათ სთავაზობდნენ აღმოსავლურ ლხინს, მაგრამ ისეთს, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ არაბი ფერიების ლხინი.

ქვეყნის ოთხი ნაწილის ყველანაირი ხილი, ახალი, ქორფა, ისეთი, როგორიც შეიძლებოდა მოხვედრილიყო ევროპის დოვლათში, პირამიდებივით აღმართულიყვნენ ჩინურ ლარნაკებსა და იაპონურ თასებში. მზრწყინავ ბუმბულიანმა იშვიათმა ფრინველებმა, ვერცხლის თევზებზე გაწოლილმა გოლიათურმა თევზებმა, არქიპელაგის, მცირე აზიის, სამხრეთ აფრიკის ყველა ღვინოებმა ძვირფას ჭურჭლებში, რომელთა უცნაური მოყვანილობა მათ თითქოს უფრო სურნელოვანს ხდიდა, თითქოს აპიციუსის¹ (¹ აპიციუსი — რომაელი გასტრონომი, რომელიც იმპერატორ ავგუსტის და ტიბერიუსის დროს ცხოვრობდა.) ლხინიაო, ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით გაიარეს ამ პარიზელთა თვალწინ, რომლებსაც დასაშვებად მიაჩნდათ ათი კაცისათვის გაწყობილი სუფრა ათასი ლუიდორი დამჯდარიყო, მაგრამ იმ პირობით, თუ კლეოპატრასავით მარგალიტებს გადაყლაპავდნენ, ან ლორენცო მედიჩივით, გამდნარ ოქროს დალევდნენ.

მონტე-კრისტომ საერთო განცვიფრება შენიშნა; გაიცინა და თავის თავზე დაიწყო ხუმრობა.

— ბატონებო, — თქვა მან, — უნდა დამეთანხმოთ, რომ კეთილდღეობის განსაზღვრულ საფეხურზე მხოლოდ გადაჭარბებაა აუცილებელი, ისევე როგორც ქალები, რასაკვირველია, დაგვეთანხმებიან, რომ ეგზალტაციის გარკვეულ საფეხურზე რეალურია მხოლოდ იდეალი. გავყვეთ ამ აზრის მსვლელობას. რა არის სასწაული? ის, რაც ჩვენ არ გვესმის. რა არის ნამდვილად ყველაზე სანატრელი? ის, რაც მიუწვდომელია. მაშ ასე, გაუგებარის დანახვა, მიუწვდომელის მოპოვება — აი, ამას ვუძღვენი მთელი ჩემი ცხოვრება. ამას ვაღწევ ორი საშუალებით: ფულითა და ნებისყოფით. ჩემი ჟინის განსახორციელებლად მე ისეთივე სიმტკიცეს ვიჩენ, როგორსაც თქვენ, ბატონო დანგლარ, რკინიგზის გასაყვანად; თქვენ, ბატონო დე ვილფორ — სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად; თქვენ, ბატონო დებრე — რომელიმე სახელმწიფოს დასამშვიდებლად; თქვენ, ბატონო შატო-რენო — ქალებისთვის თავის მოსაწონებლად; თქვენ, კი, მორელ — ისეთი ცხენის გასახედნად, რომელსაც ვერავინ იმორჩილებს. აი, მაგალითად, შეხედეთ ამ ორ თევზს, ერთი სანკტ-პეტერბურგიდან ორმოცდაათი ლიეს მანძილის დაშორებით დაიბადა, მეორე კი — ნეაპოლიდან ხუთი ლიეს დაშორებით; განა თავშესაქცევი არ არის მათი ერთ მაგიდაზე მოთავსება?

— მერედა რა თევზებია ასეთი? — ჰკითხა დანგლარმა.

— აი, ბატონი შატო-რენო რუსეთში ცხოვრობდა, იგი გეტყვით რა ქვია ერთ მათგანს, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — ხოლო მაიორ კავალკანტი იტალიელი გახლავთ და მეორეს დაგვისახელებს.

— ეს, ჩემი აზრით, სტერლადია.
— სწორია.
— ეს კი, — თქვა კავალკანტიმ, — თუ არ ვცდები, სალამურა თევზია.
— სწორედ ასეა. ახლა კი, ბატონო დანგლარ, ჰკითხეთ ამ ბატონებს, სად იჭერენ ამ თევზებს.
— სტერლადებს მხოლოდ ვოლგაზე იჭერენ, — თქვა შატო-რენომ.
— მე კი ვიცი, რომ ფუზაროს ტბის გარდა სხვაგან ვერსად იპოვით ასეთ დიდ სალამურა თევზებს. — თქვა კავალკანტიმ.
— დიახ, სწორედ ასეა; ერთი ვოგიდან მოვიდა, მეორე — ფუზაროს ტბიდან.
— შეუძლებელია, — წამოიძახეს სტუმრებმა ერთხმად.
— აი, მე სწორედ ეს მსიამოვნებს, — თქვა მონტე-კრისტომ, — მე ნერონივით cupitor impossibilum¹ (¹ შეუძლებლობის მაძიებელი.) ვარ. თქვენ თვითონაც ხომ განიცადეთ სიამოვნება! ეს თევზები, სინამდვილეში ქორჭილაზე ან ორაგულზე ნაკლებები, თქვენ შეიძლება ჩინებულებად მოგეჩვენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის მიუწვდომელი იყვნენ, ახლა კი მაგიდაზე აწყვია.
— კი მაგრამ, როგორ მოახერხეთ ამ თევზების პარიზში ჩამოტანა?
— ღმერთო ჩემო! რა არის ამაზე ადვილი. ისინი ჩამომიტანეს დიდი კასრებით, ერთში ჩაგდებული იყო მდინარის ბალახი, და ლელები, მეორეში — ლერწამი და ტბის მცენარეულობა; ეს კასრები მოათავსეს მათთვის სპეციალურად გამზადებულ ფორნებზე; სტერლადმა ასე იცოცხლა თორმეტ დღეს, სალამურა თევზმა კი რვა დღეს და ორივენი ცოცხლები ჩაბარდნენ ჩემს მზარეულს, რომელმაც ერთი რძეში მოჰკლა, მეორე ღვინოში. თქვენ არ გჯერათ, დანგლარ?
— ყოველ შემთხვევაში, ეჭვი მეპარება, — უპასუხა დანგლარმა მისთვის ჩვეული დაძაბული ღიმილით.
— ბაპტისენ, მოუხმო მონტე-კრისტომ, — მოატანინეთ მეორე სტერლადი და მეორე სალამურა თევზი, ხომ იცით, სხვა კასრებით რომ ჩამოიყვანეს და ჯერ კიდევ ცოცხლები არიან.
დანგლარმა თვალები გადმოკარკლა; საზოგადოებამ ტაში შემოჰკრა.
ოთხმა მსახურმა წყალმცენარეებით მოფენილი ორი კასრი შემოიტანა; თითოეულ მათგანში ფართხალობდნენ ისეთი თევზები, რომლებიც მაგიდაზე ელაგა.
— მაგრამ რატომ ორ-ორი გყავთ თითოეული ჯიშისა? — ჰკითხა დანგლარმა.
— იმიტომ, რომ ერთი მათგანი შეიძლება მომკვდარიყო. — უპასუხა უბრალოდ მონტე-კრისტომ.
— თქვენ მართლაც განსაცვიფრებელი ადამიანი ხართ, — უთხრა დანგლარმა, — რაც უნდა თქვან ფილოსოფოსებმა, სიმდიდრე ძალიან კარგია.
— მთავარია კაცი გამომგონებელი იყო, — დასძინა ქალბატონმა დანგლარმა.
— ეს ჩემი დამსახურება არ გახლავთ, ქალბატონო; იგი რომაელების გამოგონებაა. პლინი გადმოგვცემს, რომ ოსტიიდან რომში, მონათა შენაცვლებით, რომლებსაც ისინი თავზე დადგმული მოჰქონდათ, ღებულობდნენ mulus-ის ჯიშად წოდებულ თევზებს. აღწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს თევზი დორადაა. მისი ცოცხლად მიღება ფუფუნებად ითვლებოდა კიდევ იმიტომ, რომ მისი სიკვდილის ყურება ძალიან თავშესაქცევი ყოფილა, რადგან სიკვდილის დროს ის რამდენჯერმე იცვლიდა ფერს და ბოლოს ცისარტყელასავით სპექტრის ყველა ფერს ღებულობდა, რის შემდეგ სამზარეულოში აგზავნიდნენ. ეს აგონია მის ღირსებად ითვლებოდა. თუ მას ცოცხალს არ ხედავდნენ, მკვდარის გამოყენებას გაურბოდნენ.
— ჰო, — თქვა დებრემ, — მაგრამ ოსტიიდან რომამდე შვიდი თუ რვა ლიეა.

— ეს მართალია, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მაგრამ განა დიდი დამსახურებაა ლუკულის შემდეგ გაჩნდე ათას რვაასი წლის დაგვიანებით, თუკი არ შეგიძლია მას გაუსწრო?

ორივე კავალკანტი დაჭყეტილი თვალებით იცქირებოდა, მაგრამ იმდენი ჭკუა კი გამოიჩინეს, რომ ხმა არ ამოუღიათ.

— ყოველივე ეს ძალიან საინტერესოა, — თქვა შატო-რენომ, — მაგრამ უნდა გამოვტყდე, ყველაზე უფრო აღფრთოვანებაში მოვყავარ იმ სისწრაფეს, რომლითაც თქვენი ბრძანებები სრულდება. ბატონო გრაფო, ეს სახლი, ხომ მართალია, თქვენ ხუთი თუ ექვსი დღის წინ იყიდეთ?

— დიახ, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— ჰოდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ერთ კვირაში მან სავსებით იცვალა სახე; თუ არ ვცდები, სხვა შესასვლელი ჰქონდა, და ეზოც მოკირწყლული და ცარიელი იყო, დღეს კი საუცხოო მოლითაა დაფარული და ეს ხეებიც ასი წლისას ჰგვანან.

— რას იზამთ, მიყვარს მწვანე მოლი და ჩრდილი, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— მართლაც, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — წინათ აქ ქუჩაში გამავალი ჭიშკრით შემოდის და ჩემი სასწაულებრივი გულის წასვლის დღეს, მახსოვს, სახლში თქვენ პირდაპირ ქუჩიდან შემომიყვანეთ.

— დიახ, ქალბატონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ; მაგრამ მას შემდეგ ვარჩიე ისეთი შესასვლელი, რომელიც საშუალებას მაძლევს გალაგნიდან ბულონის ტყეს ვუყურო.

— ოთხ დღეში, — თქვა მორელმა, — ეს სასწაულია!

— მართლაც, — კვერი დაუკრა შატო-რენომ, — ძველი სახლიდან ახლის შექმნა ჭეშმარიტად სასწაულია; ეს იყო ძალზე ძველი სახლი და ამავე დროს ძალიან სევდიანიც. მახსოვს ორი თუ სამი წლის წინ, როდესაც მარკიზ დე სენ-მერანმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, დედაჩემმა დამავალა დამეთვალისწინებინა იგი.

— მარკიზ დე სენ-მერანი? — წამოიძახა ქალბატონმა დე ვილფორმა, — განა ეს სახლი, სანამ თქვენ იყიდდით, მარკიზ დე სენ-მერანს ეკუთვნოდა?

— როგორც ჩანს... — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— როგორ თუ როგორც ჩანს? არ იცით, ვისგან იყიდეთ სახლი?

— უნდა გამოვტყდე, რომ არა, ყველა ეს წვრილმანი ამბები ჩემს მმართველს აქვს მინდობილი.

— უკვე ათი წელია, რაც ამ სახლში არავინ ცხოვრობს, — დაიწყო შატო-რენომ, — მეტად სევდიანი სანახავი იყო მისი დახურული დარბაზები, გამოკეტილი კარები და გაბარდული ეზო. მართალი რომ ითქვას, თუ ის მეფის პროკურორის სიმამრის კუთვნილება არ ყოფილიყო, შეიძლებოდა იმ დაწყევლილ სახლად მიგვეჩნია, სადაც ოდესღაც დიდი ბოროტმოქმედება მოხდა.

ვილფორმა, რომელიც აქამდე არ მიჰკარებია არაჩვეულებრივი ღვინით სავსე ჭიქებს, ერთ მათგანს ხელი სტაცა და სულმოუთქმელად გამოცალა.

მონტე-კრისტოს ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე შატო-რენოს სიტყვის შემდეგ ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია.

— უცნაურია, ბარონო, მაგრამ მეც ასეთმა ფიქრმა გამიელვა თავში, როდესაც აქ პირველად შემოვედი. ეს სახლი მე ისე პირქუშად მომეჩვენა, არასოდეს ვიყიდდი, რომ ჩემს მმართველს უკვე არ მოეგვარებინა ეს საქმე. იმ გაიძვერას ნოტარიუსმა, ალბათ, ფული აჩუქა.

— შესაძლებელია, — ჩაიბურტყუნა ვილფორმა და გაღიმება სცადა, — მაგრამ დამიჯერეთ, ამ ქრთამის მიცემაში მე არაფერ შუაში ვარ. მარკიზ დე სენ-მერანს

უნდოდა, რომ შენობა, რომელიც მისი შვილიშვილის მზითვის ნაწილს შეადგენდა, გაყიდულიყო, რადგან სამი-ოთხი წელი კიდევ რომ დაუსახლებელი დარჩენილიყო, აუცილებლად დაინგრეოდა.

ამჯერად მორელი გაფითრდა.

— განსაკუთრებით ერთი ოთახი, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ისევე როგორც ყველა ოთახები, წითელქსოვილგადაკრული, არ ვიცი რატომ, მეტისმეტად ტრაგიკული მეჩვენა.

— ეგ სადა? — ჰკითხა დებრემ, რატომ ტრაგიკული?

— განა ინსტინქტურ გრძნობებში თავს ანგარიშს ვაძლევთ? — თქვა მონტე-კრისტომ. — განა არ არის ისეთი ადგილები, რომლებიც სევდასა გგვრის? რატომ? შენ თვითონ არ იცი; მოგონებათა გადაჯაჭვის შედეგად, აზრის ჟინიანობის გამო, რომელსაც გადავყავართ სხვა ეპოქაში და სხვა ადგილებში, რომლებსაც შეიძლება არაფერი საერთო არ ჰქონდეთ იმ დროსთან და ადგილთან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით... და ეს ოთახი საოცრად მაგონებდა მარკიზ დე განჟის მეუღლის¹, (¹ მარკიზ დე განჟის მეუღლე 1667 წ. მოკლულ იქნა მისი მაზლების კავალეს და აბატ განჟების მიერ.) ან დეზდემონას ოთახს. მაგრამ რაკი სადილი დავამთავრეთ, სანამ ბაღში ყავის დასალევად გავიდოდეთ, თუ გნებავთ დაგათვალიერებინებთ იმ ოთახს.

მონტე-კრისტომ სტუმრებს გამომცდელი თვალთ შეხედა; ქალბატონი დე ვილფორი წამოდგა; წამოდგა აგრეთვე მონტე-კრისტოც და ყველამ მათ მაგალითს მიბაძა.

ვილფორი და ქალბატონი დანგლარი ცოტა ხანს თითქოს თავთავიანთ ადგილებს დაეწებნენ, ისინი შიშისაგან გაქვავებულები ხმისამოუღებელივ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— გაიგონეთ? — ჰკითხა ქალბატონმა დანგლარმა.

— უნდა წავიდეთ, — უთხრა ვილფორმა, წამოდგა და ხელი გაუწოდა.

ცნობისმოყვარეობით წაქეზებული სტუმრები უკვე მთელ სახლში გაფანტულიყვნენ, დარწმუნებულნი, რომ დათვალიერება მარტო ამ ოთახით არ ამოიწურებოდა და შესაძლებლობა ექნებოდათ ენახათ ამ ნანგრევის სხვა ნაწილები, რომლიდანაც მონტე-კრისტომ სასახლე შექმნა. ამიტომ ყველანი გაღებულ კარებს მიაწყდნენ. მონტე-კრისტომ ორ ჩამორჩენილთაც დაუცადა; შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელებიც გამოვიდნენ, სტუმრებს ისე გაუღიმა, მათ რომ ამ ღიმილის მნიშვნელობა გაეგოთ, გაცილებით მეტად შეაშფოთებდათ, ვიდრე ის ოთახი, რომელშიც უნდა შესულიყვნენ.

მართლაც, მთელი ბინის დათვალიერებით დაიწყეს; შემოიარეს აღმოსავლურად მორთული საცხოვრებელი ოთახები, სადაც დივნები და ბალიშები საწოლების მაგივრობას ასრულებდნენ, ხოლო ჩიბუხები და იარაღები — ავეჯეულობისას. გაიარეს საუკეთესო მხატვრების სურათებით შემკული სასტუმრო დარბაზები; შევიდნენ მშვენიერფერებიან, ფანტასტიკურსურათებიან, საუცხოო ჩინურ ქსოვილებგადაკრულ ბუდუარებში; ბოლოს, როგორც იქნა მიაღწიეს საიდუმლო ოთახამდე.

აქ არაფერი იყო არაჩვეულებრივი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ბინდის მიუხედავად, სინათლე არ ენთო და მასში ყველაფერი სიძველით სუნთქავდა, მაშინ როდესაც დანარჩენი ოთახები ახალ სამოსელში იყვნენ გახვეულნი.

— ოჰ! — წამოიყვირა ქალბატონმა დე ვილფორმა, — მართლაც შემზარავია.

ქალბატონი დანგლარი შეეცადა რაღაც წაებურტყუნებინა, მაგრამ მისი სიტყვები არავის გაუგონია.

სტუმრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შენიშვნები, საიდანაც ის დასკვნა გამოდიოდა, რომ წითელი ოთახი მართლაც ავბედითი იყო.

— ხომ ასეა? — თქვა მონტე-კრისტომ, — ერთი შეხედვით, რა უცნაურად დგას ეს საწოლი, რა პირქუში და სისხლიანი შპალერია. და ეს ორი პორტრეტი, პასტელით შესრულებული, რომლებიც სინესტეს გაუფერმკრთალებია. განა არ გეჩვენებათ, რომ მათი გაფითრებული ბაგეები და შეშინებული თვალები ამბობენ: «ჩვენ ვნახეთ».

ვილფორს მკვდრის ფერი დაედო, ქალბატონი დანგლარი ტახტზე დაეშვა ბუხრის მახლობლად.

— ერმინა, — თქვა ღიმილით ქალბატონმა დე ვილფორმა, — როგორ გყოფნით ძალა იჯდეთ ტახტზე, რომელზედაც შესაძლებელია დანაშაული მოხდა?

ქალბატონი დანგლარი სწრაფად წამოდგა.

— ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — თქვა მონტე-კრისტომ.

— კიდევ რა? — ჰკითხა დებრემ, რომელსაც არ გამოჰპარვია ქალბატონ დანგლარის მღელვარება.

— ჰო, კიდევ რა? — ჰკითხა დანგლარმა, — უნდა გამოვტყდე, ჯერ მე განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ; თქვენ, ბატონო კავალკანტი?

— ჰო, ჩვენ პიზაში გვაქვს უგოლინოს კომპი, ფერარაში — ტასოს სადილეგო, ხოლო რიმინიში — ფრანჩესკასა და პაოლოს ოთახი.

— დიახ, მაგრამ თქვენ არა გაქვთ ასეთი კიბეები, — თქვა მონტე-კრისტომ და თან შპალერში ჩამალული კარი გამოაღო, — შეხედეთ და მითხარით, რას ფიქრობთ მასზე?

— რა შავბედითი ხრახნისებური კიბეა! — თქვა სიცილით შატო-რენომ.

«— მართლაც, თქვა დებრემ, — არ ვიცი, შეიძლება მე იოსის ღვინო მაყენებს ასეთ ნაღვლიან ხასიათზე, მაგრამ ამ სახლს შავბენელ აზრებამდე მივყავარ.

რაც შეეხება მორელს, იმ წუთიდან, როდესაც ვალენტინას მზითვევი ახსენეს, მოიწყინა და ხმა არ ამოიუღია.

— წარმოიდგინეთ, — თქვა მონტე-კრისტომ, — რომელიმე ოტელო ან აბატი დე განჟი, ბნელ და ქარიშხლიან ღამეში ამ კიბეებზე ფეხაკრეფით ჩამავალი, რაიმე შავბედითი ტვირთით, რომლის დამალვას ჩქარობს, თუ ღვთის არა, ადამიანთა თვალებიდან მაინც.

ქალბატონი დანგლარი კინალამ უგრძნობლად ჩაუვარდა ხელებში ბატონ დე ვილფორს, რომელიც თვითონაც იძულებული იყო კედელს მიყრდნობოდა.

— ღმერთო ჩემო, რა მოგივიდათ, ქალბატონო? — შეჰყვირა დებრემ, — როგორ გაფითრდით!

— გასაგებია, რაც მოსდის, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — გრაფი მონტე-კრისტო საშინელ ამბავს გვიყვება, ალბათ იმიტომ, რომ ყველანი შიშისაგან დავიხოცოთ.

— ეს მართალია, — თქვა ვილფორმა, — გრაფო, თქვენ მართლაც აშინებთ ქალებს.

— რა მოგივიდათ? — გაუმეორა ჩურჩულით დებრემ ქალბატონ დანგლარს.

— არაფერი, არაფერი, — უპასუხა მან და თავს ძალა დაატანა, — ოთახში შეხუთული ჰაერია, სხვა არაფერი.

— ხომ არ გნებავთ ბაღში ჩავიდეთ? — ჰკითხა დებრემ, ქალბატონ დანგლარს ხელი შესთავზა და საიდუმლო კიბისაკენ წავიდა.

— არა, არა. — უპასუხა ბარონესამ, — მირჩევნია ჯერ აქ დავრჩე.

— ქალბატონო, ნუთუ მართლა შეშინდით? — უთხრა მას მონტე-კრისტომ.

— არა, გრაფო, — უპასუხა ქალბატონმა დანგლარმა, — მაგრამ თქვენ ჰიპოთეზებს ისე ალაგებთ, რომ ფანტაზია რეალურ ამბად გეჩვენება.

— ღმერთო ჩემო, რასაკვირველია, — თქვა ღიმილით მონტე-კრისტომ, — ეს ყველაფერი ფანტაზიის შედეგია. რატომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის მშვიდობიანი, ოჯახის დედის პატიოსანი საწოლი ოთახი; ეს საწოლი მეწამული ფერის გადასაფარებლით — ღვთაება ლუცინას მოსვლით გაბედნიერებული საწოლია, ხოლო ეს კიბე უბრალოდ გასასვლელია, რომელზედაც ოდნავ გასაგონად, რათა არ შეაშფოთოს მშობიარის ძილი, ისმის როგორ ჩადის კიბეებზე ექიმი ან ძიძა, ან თვით მამა, რომელსაც დაძინებული ბავშვი მიჰყავს?

ამჯერად ქალბატონმა დანგლარმა, რომელიც უნდა დაემშვიდებინა ასეთი მშვიდი სურათის აღწერას, ამოიოხრა და ნამდვილად გული წაუვიდა.

— ქალბატონი დანგლარი ცუდადაა, — ჩაიბურტყუნა დე ვილფორმა, — თავის ეტლში ხომ არ გადავიყვანოთ?

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მონტე-კრისტომ, — მე კი ჩემი ფლაკონი არ წამომიღია.

— მე მაქვს ჩემი, — უთხრა ქალბატონმა დე ვილფორმა.

და მან მონტე-კრისტოს გადასცა წითელი სითხით სავსე ფლაკონი, სწორედ ისეთი, რომლის კეთილი მოქმედება გრაფმა ედუარდზე სცადა.

— ოჰო!.. — თქვა მონტე-კრისტომ და ქალბატონ დე ვილფორს ხელიდან ფლაკონი გამოართვა.

— დიახ, — ჩაიჩურჩულა ქალმა, — თქვენი მითითებით ვიხელმძღვანელებ.

— შედეგი კარგია?

— მე მგონი.

ამასობაში ქალბატონი დანგლარი მეზობელ ოთახში გაიყვანეს.

მონტე-კრისტომ მას ტუჩებზე წითელი სითხე დააწვეთა. იგი გონს მოვიდა.

— უჰ, რა საშინელი სიზმარი იყო! — თქვა ქალმა.

ვილფორმა მაგრად მოუჭირა ხელი, უნდოდა ენიშნებინა, რომ ეს სიზმარი არ იყო.

მოიკითხეს ბატონი დანგლარი, მაგრამ პოეტური განცდებისათვის ნაკლებად განწყობილი, ის უკვე დიდი ხანია ბაღში ჩასულიყო და კავალკანტ მამას ლივორნოსა და ფლორენციის შემაერთებელ რკინიგზის პროექტზე ესაუბრებოდა.

მონტე-კრისტო, როგორც ეტყობოდა, სასოწარკვეთილი იყო; მან ხელი გამოსდო ქალბატონ დანგლარს და გაიყვანა ბაღში, სადაც იპოვეს ბატონი დანგლარი, იგი ყავას მიირთმევდა მამა და შვილ კავალკანტებთან ერთად.

— ნუთუ მართლა ასე შეგეშინდათ, ქალბატონო? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— არა, გრაფო, მაგრამ თქვენ თვითონ იცით, ჩვენზე შთაბეჭდილებები განწყობილებისდა მიხედვით მოქმედებს.

ვილფორმა სცადა გაეცინა.

— და ასეთ შემთხვევაში, ხომ გესმით, — თქვა მან, — საკმარისია უბრალო წარმოდგენა, ქიმერული...

— გინდათ დაიჯერეთ, გინდათ არა, — თქვა მონტე-კრისტომ, — მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სახლში ბოროტმოქმედება მოხდა.

— ფრთხილად იყავით, — თქვა ქალბატონმა დე ვილფორმა, — აქ მეფის პროკურორი ესწრება.

— კარგი, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — რაკი ყველაფერი ასე დაემთხვა, ვისარგებლებ შემთხვევით, რათა განცხადებით გამოვიდე.

— განცხადებით? — იკითხა ვილფორმა.

— დიახ, მოწმეების თანდასწრებით.

— ყოველივე ეს ძალიან საინტერესოა, — თქვა დებრემ, — და თუ ნამდვილად ბოროტმოქმედებაა, საჭმელს ადვილად მოვინელებთ.

— ბოროტმოქმედება გახლავთ, — თქვა მონტე-კრისტომ. — აქეთა გთხოვთ, ბატონებო; გთხოვთ, ბატონო ვილფორ; რათა ჩემი განცხადება კანონიერი იყოს, კომპეტენტური პირის თანდასწრებით უნდა გამოითქვას.

მონტე-კრისტომ ვილფორს მკლავი გაუყარა, ამავე დროს ქალბატონი დანგლარი ახლოს მიიზიდა და მეფის პროკურორი ჭადრისკენ წაიყვანა, სადაც უფრო მეტი ჩრდილი იყო.

დანარჩენი სტუმრები უკან გაჰყვნენ.

— შეხედეთ, — თქვა მონტე-კრისტომ, — აი, აქ (მონტე-კრისტომ ფეხი დაჰკრა), რათა ბებერი ხეებისათვის ახალი საზრდო მიმეცა, ვუბრძანე ნიადაგი დაებარათ და შავი მიწა ჩაეყარათ; მიწის თხრის დროს მუშები წააწყდნენ ყუთს ან, უფრო სწორედ, ყუთის რკინის ნაწილებს, რომელთა შორის მოთავსებული იყო ჩვილი ბავშვის ჩონჩხი. იმედი მაქვს ეს უკვე ფანტასმაგორია აღარ არის!

მონტე-კრისტომ იგრძნო, როგორ დაიჭიმა ქალბატონ დანგლარის იდაყვი და როგორ შეკრთა ბატონ დე ვილფორის ხელი.

— ჩვილი ბავშვი? — გაიმეორა დებრემ; — ეშმაკმა დალახვროს, საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობს.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა შატო-რენომ, — მაშ არ შევმცდარვარ, როდესაც ვამბობდი სახლებსაც კი თავისი სული და სახე აქვთ, რომელზედაც მათი შინაგანი არსი ისახება-მეთქი. სახლი სევდიანი იყო, იმიტომ რომ სინდისი ქენჯნიდა, ჰოდა, სინდისი იმიტომ ქენჯნიდა, რომ ის ბოროტმოქმედებას მალავდა.

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ბოროტმოქმედებას, — თქვა ვილფორმა და თავს უკანასკნელი ძალა დაატანა.

— როგორ, ჩვილი ბავშვის ცოცხლად დამარხვა, თქვენის აზრით, დანაშაული არ არის! — წამოიძახა მონტე-კრისტომ, — კი მაგრამ, ბატონო მეფის პროკურორო, რას უწოდებთ ასეთ მოქმედებას?

— რა იცით, რომ ცოცხლად დამარხეს?

— მაშ რატომ დამარხავდნენ აქ? ეს ბალი სასაფლაო არასოდეს ყოფილა.

— თქვენში, საფრანგეთში როგორ ექცევიან ბავშვის მკვლელებს? — იკითხა გულუბრყვილოდ მაიორ კავალკანტიმ.

— ღმერთო ჩემო, უბრალოდ თავს ჰკვეთენ! — უპასუხა დანგლარმა.

— ჰო, თავს ჰკვეთენ, — გაიმეორა კავალკანტიმ.

— ვგონებ ასეა, არა, ბატონო დე ვილფორ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— დიახ, გრაფო, — უპასუხა ხმამ, რომელშიც უკვე აღარაფერი იყო ადამიანური. გრაფი მონტე-კრისტო მიხვდა, რომ ის ორი ადამიანი, რომელთათვისაც მან ეს სცენა მოამზადა, ამაზე მეტის ატანას ვეღარ შეძლებდნენ და აღარ უნდოდა ძალიან შორს წასულიყო.

— ყავა, ბატონებო! — თქვა მან, — ჩვენ სულ დაგვავიწყდა ყავა!

და მან თავისი სტუმრები ისევ მიიყვანა სუფრასთან, რომელიც შუა ეზოში იდგა.

— მართლაც, გრაფო, — მიმართა ქალბატონმა დანგლარმა, — მრცხვენია, რომ ასეთი სისუსტე გამოვიჩინე, რომ საშინელმა ამბებმა წონასწორობიდან გამომიყვანა: თუ შეიძლება დავჯდები, გთხოვთ. — და იგი სკამზე დაეშვა.

მონტე-კრისტომ თავი დაუკრა და ქალბატონ დე ვილფორთან მივიდა.

— მე მგონია, ქალბატონ დანგლარს ისევ სჭირდება თქვენი ფლაკონი, — უთხრა მან.

მაგრამ სანამ ქალბატონი დე ვილფორი თავის მეგობარ ქალთან მივიდოდა, მეფის პროკურორმა უკვე წასჩურჩულა ქალბატონ დანგლარს:

— ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ.

— როდის?

— ხვალ.

— სად?

— ჩემს კაბინეტში... სასამართლოში, თუ თქვენ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო; ჩემის აზრით, ეს ყველაზე უშიშარი ადგილია.

— მოვალ.

ამ დროს ქალბატონი დე ვილფორიც მიუახლოვდა.

— მადლობას გიხდით, მეგობარო, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა და გაღიმება სცადა, — ყველაფერმა გამიარა, და თავსაც გაცილებით უკეთ ვგრძნობ.

თავი VII

მათხოვარი

უკვე გვიან იყო; ქალბატონმა დე ვილფორმა სურვილი გამოთქვა პარიზში დაბრუნებულიყო, ქალბატონმა დანგლარმა კი, ვერ გაბედა თქმა, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად უქეიფოდ გრძნობდა თავს.

ცოლის თხოვნით ვილფორმა პირველმა მისცა გამგზავრების ნიშანი. მან ქალბატონ დანგლარს ადგილი შესთავაზა თავის ლანდოში, რათა მის ცოლს მიეხედა მისთვის. რაც შეეხება დანგლარს, ის კავალკანტისთან საინტერესო საქმიან საუბარში იყო გართული და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რაც მის გარშემო ხდებოდა.

როდესაც მონტე-კრისტომ ქალბატონ დე ვილფორს ფლაკონი სთხოვა, შენიშნა როგორ მიუახლოვდა ვილფორი ქალბატონ დანგლარს; მას ესმოდა მეფის პროკურორის მდგომარეობა და მიხვდა, რა უთხრა მან ქალს, თუმცა ისე ჩუმად ელაპარაკებოდა, რომ თვით ქალბატონმა დანგლარმაც კი ძლივს გაიგონა.

გრაფი არაფერში გარეულა, მან ყურადღების გარეშე დატოვა მორელის, შატო-რენოს და დებრეს ცხენებით გამგზავრება და აგრეთვე ქალების ვილფორის ლანდოთი წასვლაც. დანგლარმა კავალკანტი-მამისაგან მეტისმეტად აღფრთოვანებულმა, იგი თავის კარეტაში მიიპატიჟა.

რაც შეეხება ანდრეა კავალკანტის, იგი გაეშურა თავის ტილბურისაკენ, რომელიც ჭიმკართან უცდიდა. ტილბურში შებმული იყო ვეებერთელა მუქი ნაცრისფერი ცხენი, რომლის აღვირი ეჭირა ფეხისწვერებზე შემდგარ მეტისმეტად გაინგლისელებულ გრუმს.

სადილზე ანდრეა ცოტას ლაპარაკობდა; ის ძალზე აზრიანი ყმაწვილი იყო და, ბუნებრივია, ემინოდა, რაიმე სისულელე არ ეთქვა ამ მდიდარ და გავლენიან ადამიანთა საზოგადოებაში; ის მხოლოდ ფართოდ დაღებული თვალებით შიშით გადახედავდა ხოლმე მეფის პროკურორს.

შემდეგ იგი ხელთ იგდო ბატონმა დანგლარმა, რომელმაც სწრაფად თვალი მოავლო გაბღენძილ მაიორს და მის საკმაოდ მორცხვ ვაჟიშვილს, ყველა ეს ნიშანი შეუფერა მონტე-კრისტოს მასპინძლობას და გადაწყვიტა, რომ საქმე ჰქონდა პარიზში მოსულ ნაბობთან, რომელსაც სურდა თავისი მემკვიდრის აღზრდა დაესრულებინა მაღალ წრეში.

ამიტომ იგი გამოუთქმელი მოკრძალებით უქცერდა მაიორის ნეკზე გაბრწყინებულ ბრილიანტს. მაიორს, როგორც ფრთხილს და გამოცდილ ადამიანს, შეშინებოდა რაიმე არ შემთხვეოდა მის ბანკის ბილეთებს, და სასწრაფოდ ძვირფას ნივთებად ექცია. სადილის შემდეგ, ვითომდა მრეწველობაზე და მგზავრობაზე საუბრის საბაბით მან მამასა და შვილს გამოჰკითხა, როგორ ცხოვრებას ეწეოდნენ ისინი; ხოლო მამა და შვილი, გაფრთხილებულები, რომ სწორედ დანგლართან ექნებოდათ გახსნილი ანგარიში, — ერთს — ორმოცდარვა ათას ფრანკზე ერთდროულად, ხოლო მეორეს ორმოცდაათი ათას ლივრზე ყოველწლიურად, — ბანკირს ისეთი მოჭარბებული თავაზიანობით ექცეოდნენ, რომ თითქოს მზად იყვნენ მისი მსახურებისათვის ჩამოერთვათ ხელი, ოღონდ ამით მაღლიერების გრძნობა გამოეხატათ.

ერთი გარემოება კიდევ უფრო აორკეცებდა იმ პატივისცემას, კინაღამ ვთქვით — იმ მოკრძალებას, რომელიც კავალკანტიმ დანგლარში აღძრა. ჰორაციის პრინციპის «nil admirari»¹ (1 არაფერი გაიკვირვო (არაფერმა აგაღელვოს).) ერთგული მაიორი იმით დაკმაყოფილდა, რომ თავისი ცოდნა გამოამჟღავნა განცხადებით, თუ რომელ ტბაში იჭერდნენ საუკეთესო სალამურა თევზებს, ხოლო შემდეგ ხმამაღულელებივ მიირთვა თავისი კერძი. დანგლარმა დაასკვნა, რომ ასეთი მდიდრული საჭმელი ჩვეულებრივი ამბავია კავალკანტების გამოჩენილი შთამომავლისათვის, რომელიც ლუკში, თავის სახლში, ალბათ, შვეიცარიიდან გამოწერილი კალმახებით და ბრეტანიდან გამოგზავნილი ხამანწკებით იკვებება, რომლებსაც ის ისეთივე საშუალებებით ღებულობს, როგორითაც გრაფმა სალამურა თევზი ფუზაროს ტბიდან, ხოლო სტელადი ვოლგიდან მიიღო.

ამიტომ მან კეთილგანწყობილად მოისმინა კავალკანტის სიტყვა:

— ბატონო ჩემო, ხვალ პატივი მექნება საქმეზე გეახლოთ.

— მე კი, ბატონო, — უპასუხა დანგლარმა, — ბედნიერი ვიქნები თქვენი ხილვით.

ამის შემდეგ მან კავალკანტს შესთავაზა, თუ თქვენი შვილის მარტო გაშვება არ შეგაწუხებთ, «პრინციპის» სასტუმროში მიგიყვანთო.

კავალკანტიმ უპასუხა, ჩემი შვილი კარგა ხანია მიჩვეულია დამოუკიდებელი ყმაწვილი კაცის ცხოვრებასო; მას ჰყავს საკუთარი ცხენები და ეტლი, და რადგან აქ ცალ-ცალკე მოვედით, რატომ არ შეიძლება ისევ ცალ-ცალკე წავიდეთო.

მაშ ასე, მაიორი კავალკანტი დანგლარის ეტლში ჩაჯდა. ბანკირი სულ უფრო და უფრო აღფრთოვანებული იყო ამ კაცის მსჯელობით ანგარიშიანობაზე და მომჭირნეობაზე, თუმცა თავის შვილს ორმოცდაათი ათას ფრანკს აძლევდა წელიწადში. ეს კი გვაფიქრებინებდა, რომ მას წელიწადში ხუთასი-ექვსასი ათასი შემოსავალი ჰქონდა.

ამ დროს ანდრეა, რათა უფრო მედიდური იერი მიეცა თავის თავისათვის, გრუმს უჯავრდებოდა, რატომ პირდაპირ პარმალთან არ მოხვედი და ჭიმკართან გაჩერდი, რად მაიძულე მთელი ოცდაათი ნაბიჯი გამომევლო ქილბურამდე მოსასვლელადო.

გრუმმა მორჩილებით მოისმინა დატუქსვა; შემდეგ, რათა შეეჩერებინა მოუთმენელი ცხენი, რომელიც მიწას ტორს სცემდა, მარცხენა ხელი ლაგამში სტაცა, ხოლო მარჯვენათი სადავეები ანდრეას გადააწოდა. ამ უკანასკნელმა სადავეები ჩამოართვა და ლაქის ფეხსაცმლიანი ფეხი საფეხურზე შედგა.

სწორედ ამ დროს ვიღაცამ ხელი მხარზე დაადო. ყმაწვილი კაცი შემოტრიალდა, იფიქრა მონტე-კრისტოს ან დანგლარს რისიმე თქმა დაავიწყდათ და უკანასკნელ წუთს გაახსენდათო.

მაგრამ მათ მაგივრად უცნაური სახე დაინახა, მზისაგან დამწვარი, მხატვრის ნატურისთვის გამოსადეგი, მოშვებული ხშირი წვერით, ნაკვერჩხალივით ანთებული თვალებით და დამცინავი ღიმილით, რომელიც აშუქებდა ოცდათორმეტ მიჯრილ თეთრ კბილს, წვეტიანებს და ხარბებს, სწორედ ისეთს, როგორც მგელს ან ტურას აქვს.

ამ კაცს მქრქალი ფერის გაჭადრაგებულ თმაზე წაკრული ჰქონდა წითელუჯრებიანი ხილაბანდი; მისი მაღალი და გამხდარი ტანი გახვეული იყო მეტისმეტად დახეულ და ჭუჭყიან ხალათში. ასე გეგონებოდათ, მოძრაობის დროს, როგორც ჩონჩხს, მის ძვლებს ტკაცანი უნდა გაჰქონდესო. ხელი, რომელმაც ანდრეას მხარზე დაჰკრა, ან უკეთ, რომელიც მან დაინახა, გიგანტური ეჩვენა.

ვერ ვიტყვით, ტილბურის ფარნის შუქზე იცნო ეს სახე, თუ მისმა საშინელმა შესახედაობამ თავზარი დასცა, ყოველ შემთხვევაში, ანდრეა შეკრთა და უკან დაიხია.

— რა გნებავთ ჩემგან? — ჰკითხა მან.

— ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო, — უპასუხა ამ კაცმა და თან წითელ ხილაბანდზე ხელი მიიღო, — შეიძლება ხელს გიშლით, მაგრამ თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

— ღამით არ მათხოვრობენ, — უთხრა გრუმმა და სცადა თავისი ბატონისათვის ჩამოეცილებინა აბეზარი მათხოვარი.

— მე არ ვმათხოვრობ, ლამაზო ყმაწვილო, — უთხრა უცნობმა კაცმა ირონიული ღიმილით, რომელიც რაღაც ისე საშინლად ჟღერდა, რომ მსახურმა უკან დაიხია, — მე მსურს მხოლოდ ორი სიტყვა ვუთხრა თქვენს ბატონს; მან დაახლოებით ორი კვირის წინ დავალება მომცა.

— მისმინეთ, — უთხრა ანდრეამ თავის მხრივ საკმაოდ მტკიცე ხმით, რათა მსახურს მისი შეშფოთება არ შეემჩნია, — რა გნებავთ, ჩქარა მითხარით, მეგობარო.

— მე მინდა... — წარმოთქვა ძლივს გასაგონად წითელხილაბანდიანმა, — რომ გადამარჩინოთ პარიზში ფეხით დაბრუნებას. ძალიან დაღლილი ვარ და რადგან შენსავით კარგად არ მისაძლია, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

ანდრეა შეაკრთო ამ უცნაურმა მიმართვამ.

— ბოლოს და ბოლოს რა გნებავთ? — ჰკითხა მან.

— მე მინდა... მე მინდა... რომ შენი ლამაზი ეტლით წამიყვანო.

ანდრეა გაფითრდა, მაგრამ პასუხი არ მიუცია.

— დიახ, წარმოიდგინეთ, — უთხრა წითელხილაბანდიანმა, თან ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ყმაწვილ კაცს გამომწვევად შეხედა, — მე ეს მსურს! გესმის, ჩემო პატარა ბენედეტო?

ამ სახელის ხსენებაზე, ანდრეა, როგორც ეტყობოდა, უფრო დამთმობი გახდა, რადგან გრუმს მიუახლოვდა და უთხრა:

— ამ კაცს მე ნამდვილად მივეცი დავალება და ანგარიში უნდა ჩამაბაროს.

სადარაჯომდე ფეხით წადი, იქ კაბრიოლეტი იქირავეთ, რათა ძალიან არ დაავგიანოთ.

განცვიფრებული მსახური გაეცალა.

— ყოველ შემთხვევაში, საშუალება მომეცით სიბნელეში შევიდე, — უთხრა ანდრეამ.

— ჰო, ამაზე თუა ლაპარაკი, მე თვითონ წაგიყვან ხელსაყრელ ადგილზე; აი, ნახავთ, — უთხრა წითელხილაბანდიანმა კაცმა.

მან ცხენს სადავეებში მოჰკიდა ხელი და ტილბური ბნელ კუთხეში შეიყვანა. აქ მართლაც არავის შეეძლო დაენახა ის პატივი, რომელიც მას ანდრეამ სცა.

— ეს კარგი ეტლით გასასეირნებლად კი არ გავაკეთე, — უთხრა მან, — არა, უბრალოდ დაღლილი ვარ და ამავე დროს საქმეებზე მინდა მოგელაპარაკოთ.

— კარგი, დაჯექით, — უთხრა ანდრეამ.

სამწუხაროდ ბნელოდა, თორემ მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა აბრეშუმის ხალიჩებზე დამჯდარი მაწანწალა, ხოლო მის გვერდით მოხდენილი ყმაწვილი კაცი, რომელიც ტილბურს მართავდა.

ანდრეამ ისე გაიარა მთელი სოფელი, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავისი თანამგზავრისათვის, რომელიც თვითონაც ხმას არ იღებდა, და მხოლოდ იღიმებოდა, თითქოს კმაყოფილი იყო, რომ ასეთი შესანიშნავი ეტლით სეირნობდა.

როგორც კი ოტეილს გასცილდნენ, ანდრეამ ირგვლივ მიმოიხედა, უეჭველია დასარწმუნებლად, ხომ არავინ უყურებდა და უსმენდა; შემდეგ ცხენი შეაჩერა, გულზე ხელები გადაიჭდო და წითელხილაბანდიანს მიუბრუნდა.

— მისმინეთ, — უთხრა მან, — რატომ არღვევთ ჩემს მყუდროებას?

— არა, შენ ეს მითხარი, ჩემო ბიჭო, რატომ არ მენდობი?

— რაში არ გენდობით?

— რაში? კიდევ მეკითხები? ჩვენ ერთმანეთს დავცილდით ვარის ხიდზე, შენ მითხარი, რომ პიემონტში და ტოსკანში მიდიოდი, — მაგრამ არაფერი მაგის მსგავსი, შენ პარიზში აღმოჩნდი.

— მერე, ეს თქვენ რა, ხელს გიშლით?

— პირიქით, იმედი მაქვს, სარგებლობას მომიტანს.

— ოჰო, ოჰო; ესე იგი, თქვენ გინდათ ჩემით სპეკულაცია გასწიოთ? — უთხრა ანდრეამ.

— რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები?

— გაფრთხილებთ, ბიძია კადრუს, რომ ეს უნაყოფია.

— ღმერთო ჩემო, ნუ ბრაზდები, პატარავ; შენ უნდა იცოდე, რას ნიშნავს უბედურება; უბედურება კი ადამიანს შურიანსა ხდის. მე მგონია, შენ პიემონტში და ტოსკანაში დაეხეტები და ჩიჩერონეს ტვირთმზიდავის ჭაპანს ეწევი. მთელი გულითა და სულით მეცოდები, ისე როგორც საკუთარი ვაჟიშვილი; ხომ გახსოვს, მე ყოველთვის, ჩემო ბავშვო-მეთქი, გეძახდი.

— ჰო, მერე? მერე?

— ეჰ, შე თოფის წამალო! ცოტა მოითმინე.

— მე ისედაც მომთმენი ვარ. აბა, დაამთავრეთ.

— და აი, ამის მაგივრად, გხვდები სადარაჯოსთან, ტილბურში გრუმთან ერთად, თავით ფეხებამდე ახლებში გამოწყობილს. მაშ, შენ ოქროს საბადოები აღმოგიჩენია ან მაკლერის პატენტი გიყიდია?

— მაშ, თქვენ გშურთ?

— არა, მე უბრალოდ კმაყოფილი ვარ, ისეთი კმაყოფილი, რომ მოლოცვაც კი მოვინდომე, პატარავ. მაგრამ, რაკი შესაფერისად ჩაცმული არ ვიყავი, სიფრთხილისათვის წინასწარი ზომები მივიღე, რათა არ შემერცხვინე.

— ძალიან დიდი სიფრთხილეა! — უთხრა ანდრეამ, — მსახურის თანდასწრებით დალაპარაკება.

— რას იზამ, ჩემო შვილო! როცა შეგხვდი, მაშინ დაგელაპარაკე. ეტლი მსუბუქი გაქვს, ცხენი სწრაფი, თვითონ კი გველთევზასავით სრიალა ხარ; დღეს რომ გამეშვი, ხვალ, ალბათ, ვერც კი დაგიჭერდი.

— ხომ ხედავთ, რომ სრულიად არ ვიმალები.

— ეს შენი ბედნიერებაა; ძალიან მინდა იგივე ვთქვა ჩემს თავზე; მე კი ვიმალები; გარდა ამისა, მეშინოდა, ვაითუ არ მიცნოს-მეთქი; მაგრამ შენ მიცანი; — დასძინა კადრუსმა ბილწი ღიმილით; — ეს შენის მხრივ დიდი თავაზიანობაა.

— კარგი, თქვით რა გნებავთ? — უთხრა ანდრეამ.

— შენ მე თქვენობით მელაპარაკები; ეს არ ვარგა, ბენედეტო. მე ხომ შენი ძველი ამხანაგი ვარ; ფრთხილად იყავი, მომთხოვნი გავხდები.

ამ მუქარამ ყმაწვილი კაცის მრისხანება გაანელა; იგრძნო, რომ იძულებული იყო დაეთმო.

მან ცხენი ისევ ჭენებით წაიყვანა.

— კადრუს, შენი მხრით კარგი არაა, რომ ასე მექცევი, — უთხრა ანდრეამ, — თვითონ ამბობ, ძველი ამხანაგები ვართო, შენ მარსელიდან ხარ, მე კი...

— მაშ შენ ახლა უკვე იცი, ვინა ხარ?

— არა, მაგრამ მე გავიზარდე კორსიკაში. შენ მოხუცი ხარ და ჯიუტი, მე ახალგაზრდა და კერპი. ცუდი იქნება თუ ჩვენ ერთმანეთს დავუწყებთ მუქარას, ჩვენთვის ჯობია ყველაფერი კეთილად გადავწყვიტოთ. განა მე დამნაშავე ვარ, რომ ბედმა გამიღიმა, შენ კი ისევ ძველებურად არ გწყალობს?

— მაშ, შენ მართლა გაგიღიმა ბედმა? მაშ, გრუმი, ტილბური და კოსტიუმი ნათხოვარი არ არის? მით უკეთესი! — უთხრა კადრუსმა სიხარბისაგან გაბრწყინებული თვალებით.

— ჰო, შენ ამას თვითონაც კარგად ხედავ და გესმის, რაკი დამელაპარაკე, — უთხრა უფრო მეტად აღელვებულმა ანდრეამ, — მე რომ შენსავით თავზე წითელი ხილაბანდი მქონოდა წაკრული, ჭუჭყიანი ხალათი და ძირგახვრეტილი ფეხსაცმელები მცმოდა, მაშინ არ მიცნობდი.

— აი, ხედავ, როგორ გეზიზღები, პატარავ, ეს ძალიან ცუდია. ახლა, როდესაც გიპოვე, არაფერი მიშლის საუკეთესო მაუდით შევიმოსო. მე ხომ ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი; თუ ორი კოსტიუმი გაქვს, ერთს მე მომცემ; როდესაც შენ ძალიან გშიოდა, მეც ხომ გაძლევდი ჩემ წილ წვენსა და ცერცვს.

— ეს მართალია, — თქვა ანდრეამ.

— რა მადაც გქონდა! ახლაც კარგი მადა გაქვს?

— რასაკვირველია! — უთხრა სიცილით ანდრეამ.

— წარმოდგენილი მაქვს, როგორ ისადილე იმ თავადთან, რომელიდანაც ახლა მოდიხარ.

— ის თავადი არაა, მხოლოდ გრაფია.

— გრაფი? მდიდარია?

— დიახ, მაგრამ მისი იმედი ნუ გექნება, ამ ბატონთან ადვილი არ გახლავს საქმის დაჭერა.

— ღმერთო ჩემო! დამშვიდდი! ხელს არავინ ახლებს, მარტო შენ გყავდეს. მაგრამ, შენ კი, — დასძინა კადრუსმა და მის ბაგეებზე კვლავ ბილწი ღიმილი გადაიჭიმა, — მოგიხდება ჯიბეებზე ხელის გაკვრა. ხომ გესმის!

— თქვი, რამდენი გინდა?

— მე მგონია, თვეში ასი ფრანკით...

— რაო?

— შეიძლება ვიარსებო...

— ასი ფრანკი?

— თუმც შენც გესმის, რომ ცუდად, მაგრამ...

— მაგრამ?

— ას ორმოცდა ათი ფრანკით მე შესანიშნავად მოვეწყობი.
— აი, ორასი, — უთხრა ანდრეამ.
და კადრუსს ხელში ათი ლუიდორი ჩაუდო.
— კარგი. — უთხრა კადრუსმა.
— თვის პირველ რიცხვში მოდი ხოლმე მეკარესთან და ყოველთვის ამდენსვე მიიღებ.
— აი, შენ ისევ მამცირებ! ეგ როგორ? მაიძულებ შინაყმებს მივმართო. არა, მე მინდა მარტო შენთან მქონდეს საქმე.
— კარგი, თვის პირველ რიცხვებში მოდი ხოლმე ჩემთან, და ყოველ შემთხვევაში, სანამ შემოსავალი მექნება, შენც შენსას მიიღებ.
— კარგი, კარგი, მე ვხედავ, რომ შენში არ შევმცდარვარ. კარგი ყმაწვილი ხარ, კარგია რომ ბედი შენისთანა ყმაწვილებს ეწვევა ხოლმე. ერთი მომიყევი, როგორ გაგიჭრა ბედმა?
— მაგისი ცოდნა რაში გჭირდება? — ჰკითხა კავალკანტიმ.
— ეშმაკმა დალახვროს, ისევ უნდობლობა!
— არა. მე მამაჩემი ვიპოვე.
— ნამდვილი მამა?
— იმდენად... რამდენადაც ფულებს მამღვებს...
— შენც იმდენად გჯერა და პატივსაც სცემ, სწორია ხომ? რა ჰქვია მამაშენს?
— მაიორი კავალკანტი.
— ის შენით კმაყოფილია?
— ჯერჯერობით, როგორც ჩანს, კმაყოფილია.
— მერე ვინ გაპოვნინა იგი?
— გრაფმა მონტე-კრისტომ.
— ვისთანაც შენ ახლა იყავი?
— დიახ.
— მისმინე, შეეცადე ბაბუად მომაწყო მასთან, რაკი ასეთი საქმეებისათვის მოუკიდია ხელი.
— კარგი, მოველაპარაკები შენს შესახებ; მანამდე რას გააკეთებ?
— მე?
— დიახ, შენ.
— ძალიან თავაზიანობას იჩენ, რომ ამაზე სწუხხარ, — უთხრა კადრუსმა.
— მე მგონია, რაკი შენ ჩემით დაინტერესებული ხარ, — უთხრა ანდრეამ, — მეც, ჩემი მხრით უფლება მაქვს გამოგკითხო.
— სწორია... მე ოთახს ვიქირავებ შესაფერ ბინაში, გამოვეწყობი როგორც საჭიროა, ყოველდღე გავიპარსავ და კაფეში ვივლი გაზეთების წასაკითხად. საღამოობით თეატრში ვივლი კლაკიორების კომპანიასთან ერთად. საერთოდ, დასასვენებლად გასული, მეფუნთუშის სახეს მივიღებ; ყოველთვის ამაზე ვოცნებობდი.
— კარგი, ასე იყოს! თუ შენს განზრახვას სისრულეში მოიყვან და ჭკუით მოიქცევი, ყველაფერი შესანიშნავად წავა.
— ერთი შეხედეთ ამ ბოსუეს!¹ (1 ბოსუე — ეპისკოპოსი. გამოჩენილი ორატორი და მწერალი.) შენ, შენ ვილა გახდები? საფრანგეთის პერი?
— ყველაფერი შესაძლებელია! — უთხრა ანდრეამ.
— მაიორი კავალკანტი შესაძლებელია პერია... მაგრამ საუბედუროდ ამ საქმეში მემკვიდრეობა გაუქმებულია.

— გეთაყვათ, პოლიტიკას თავი დაანებეთ, კადრუს!.. აი შენ უკვე მიიღე რაც გინდოდა, ჩვენც მოვედით, მაშ ჩამოხტი და მიიმალე.

— არა, ჩემო მეგობარო.

— როგორ თუ არა?

— შენ თვითონ განსაჯე, ჩემო კარგო; თავზე წითელი ხილაბანდი, ძირგახვრეტილი ფეხსაცმელები, არავითარი საბუთი და ჯიბეში ათი ლუიდორი, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც შიგ უკვე იყო. სულ ერთად ორასი ფრანკი. დიახ, სადარაჯოსთან უეჭველად დამიჭერენ. თავის გასამართლებლად უნდა ვთქვა, რომ ეს შენ მომეცი ათი ლუიდორი, დაიწყება ძიება. გაიგებენ, რომ ტულონი დაუკითხავად დავტოვე და ეტაპებით ხმელთაშუა ზღვამდე მიმიყვანენ. მე ისევ უბრალოდ 1106 გავხდები და მშვიდობით ჩემო ოცნებავ დასასვენებლად გასულ მეფუნთუშეზე.

არავითარ შემთხვევაში, ჩემო ბიჭო; მე ვარჩევ ღირსეულად ვიცხოვრო დედაქალაქში! ანდრეამ წარბები შეიკრა; მაიორ კავალკანტის ვითომდა შვილი, როგორც თვითონ აღიარა, ძალზე კერპი იყო. მან ცხენი შეაჩერა და სწრაფად მიმოიხედა: სანამ გარემოს ზვერავდა, მისი ხელი თითქოს უნებურად ჯიბეში ჩასრიალდა და ჯიბის დამბაჩის ჩახმახი მოსინჯა.

მაგრამ ამავე დროს კადრუსმაც, რომელიც ერთი წამითაც არ აცილებდა თვალს თანამგზავრს, ხელი უკან სარტყელში იტაცა და სიფრთხილით, ჩუმად დიდი ესპანური დანა გაშალა, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის მუდამ თან ატარებდა.

მეგობრები, როგორც მკითხველმაც დაინახა, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ და ერთმანეთს გაუგეს; ანდრეამ ჯიბიდან ხელი წყნარად ამოიღო და წითურ ულვაშებზე გადაისვა.

— მაშ, მეგობარო კადრუს, შენ ბოლოს და ბოლოს ბედნიერად იცხოვრებ?

— ამისათვის რაც შესაძლებელია ყველაფერს გავაკეთებ, — უპასუხა გარის ხიდის მეტრაქტირემ და თან დანა ჩაკეცა.

— კარგი, მაშ პარიზში მივდივართ. მაგრამ როგორ გახვალ სადარაჯოს, რომ ეჭვი არ აღძრას! მე მგონია, ასეთი ტანსაცმლით შენ ეტლში უფრო საშიშ მდგომარეობაში იგდებ თავს, ვიდრე ქვეითად მგზავრობით ჩაიგდებდი.

— მოიცა, — უთხრა კადრუსმა, — ახლავე დაინახავ.

კადრუსმა თავზე ანდრეას ქუდი დაიხურა, გრუმის მიერ ეტლში დატოვებული დიდსაყელოიანი წამოსასხამი მოიხურა და კარგი ოჯახიდან გამოსული მსახურის მსგავსად ყურადღებიანი სახე მიიღო.

— მე რა, ასე ქუდმოხდილი წავიდე? — ჰკითხა ანდრეამ.

— ერთი დამიხედეთ! — ჩაიფრუტუნა კადრუსმა, — დღეს ისეთი ქარიანი ამინდია, შეიძლებოდა ქუდი გადაეძრო.

— კარგი, წავიდეთ და ამით დავამთავროთ, — უთხრა ანდრეამ.

— მერედა ვინ გიშლის ხელს? — ჰკითხა კადრუსმა, — იმედი მაქვს, მე არა.

— სსსუ... — ჩაიჩურჩულა კავალკანტიმ.

სადარაჯო მშვიდობით გაიარეს.

პირველსავე განივ ქუჩაზე ანდრეამ ცხენი გააჩერა და კადრუსი მიწაზე გადმოხტა.

— მოიცა, წამოსასხამი და ჩემი ქუდი? — ჰკითხა ანდრეამ.

— ხომ არ გინდა გავცივდე, — უპასუხა კადრუსმა.

— მე?

— შენ ახალგაზრდა ხარ, მე უკვე მოხუცი; ნახვამდის, ბენედეტო!

და იგი ქუჩის კუთხეში მიიმალა.

— ეჰ! ნუთუ ამქვეყნად სრული ბედნიერება შეუძლებელია! — თქვა ამოხვრით ანდრეამ.

თავი VIII

ოჯახური სცენა

ლუდოვიკო XV მოედანთან ყმაწვილი კაცები ერთმანეთს დაცილდნენ. მორელი ბულვარისაკენ წავიდა, შატო-რენო რევოლუციის ხიდისაკენ, დებრე კი სანაპიროს გაჰყვა.

მორელი და შატო-რენო, ალბათ, თავის ოჯახურ კერებს დაუბრუნდებოდნენ, როგორც ჯერ კიდევ ამბობენ პალატის ტრიბუნიდან ლამაზად აწყობილ სიტყვებში, ან რიშელიეს ქუჩის თეატრებში ლამაზად დაწერილ პიესებში; მაგრამ დებრე ასე როდი მოიქცა. ლუვრის კარიბჭესთან მან მარცხნივ გადაუხვია, ჭენებით გადასერა კარუსელის მოედანი, გაიარა სენ-როკის ქუჩა, შემდეგ მიშოდერის ქუჩისაკენ გადაუხვია და დანგლარის სახლთან სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც ვილფორის ლანდომ, რომელმაც თვით იგი თავის ცოლთან ერთად სენტ-ონორეს გარეუბანში დატოვა, ბარონესა შინ მიიყვანა.

დებრე, როგორც ოჯახის მეგობარი, პირველი შევიდა ეზოში, სადავეები მსახურს გადაუგდო, თვითონ კი ეტლისაკენ წამოვიდა, რათა ჩამოსვლაში დახმარებოდა ქალბატონ დანგლარს, ხელი გაეწოდებინა და ოთახამდე მიეცილებინა.

როგორც კი ჭიშკარი მიიხურა და დებრე ქალბატონ დანგლართან ეზოში დარჩა, ქალს მიუბრუნდა:

— რა მოგივიდათ, ერმინა? რატომ გახდით ცუდად, როდესაც გრაფი იმ ამბავს, ან, უფრო სწორედ, იმ ზღაპარს ჰყვებოდა?

— იმიტომ, რომ დღეს თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი, ჩემო მეგობარო, — უპასუხა ბარონესამ.

— არა, ერმინა, — შეეპასუხა დებრე, — მე ამას არასოდეს დავიჯერებ. პირიქით, მშვენიერ ხასიათზე იყავით, მართალია, ბატონი დანგლარი ცოტა უგუნებოდ ჩანდა, მაგრამ მე ვიცი, რომ მის უგუნებობას დიდ ყურადღებას არ აქცევთ. თქვენ ვიღაცამ გაწყენინათ. მომიყვით რაშია საქმე, მე ვერ მოვითმენ, რომ ვინმემ გაწყენინოთ.

— გარწმუნებთ, ლუსიენ, რომ ცდებით, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა, — როგორც გითხარით, უქეიფოდ ვიყავი, გარდა ამისა, ცუდ გუნებაზედაც, რაც თქვენც შეამჩნიეთ და რაზედაც საუბარი საჭიროდ არ ჩავთვალე.

ცხადია, ქალბატონი დანგლარი იმყოფებოდა იმ ნერვული აღგზნების ქვეშ, რომელშიც ქალები ხშირად თავის თავს ვერ აძლევენ ანგარიშს. ან მან, როგორც დებრემ გამოიცნო, განიცადა რაღაც ფარული შეძრწუნება, რომელშიც არ უნდოდა ვისმეს გამოტყდომოდა. დებრემ, რომელიც მიჩვეული იყო უმიზეზო ნერვიულობას და სთვლიდა მას ქალის ბუნების ერთ-ერთ ელემენტად, აღარ დააძალა. გადაწყვიტა ხელსაყრელი მომენტისთვის დაეცადა, როდესაც ხელახლა იქნებოდა შესაძლებელი ამ კითხვის დასმა, ან როდესაც ქალი თვითონ მოისურვებდა გამომტყდარიყო.

თავისი საწოლი ოთახის კარებთან ბარონესა შეხვდა მადმუაზელ კორნელის, თავის ერთგულ პირისფარემს.

— რას აკეთებს ჩემი ქალიშვილი? — ჰკითხა ქალბატონმა დანგლარმა.

— მთელი ღამე მეცადინეობდა, მერე კი დაწვა, — უპასუხა მადმუაზელ კორნელიმ.

— მე მგონია, ვიღაც როიალზე უკრავს?

— ეს მადმუაზელ ლუიზა დარმილია, მადმუაზელ ეჟენი კი ლოგინში წევს.

— კარგი, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა. — გახდაში მომეხმარეთ.

საწოლ ოთახში შევიდნენ. დებრე ფართო დივანზე გაწვა, ხოლო ქალბატონი დანგლარი მადმუაზელ კორნელისთან ერთად თავის ტუალეტის კაბინეტში შევიდა.

— მითხარით, ლუსიენ, — დაუძახა კარებს იქიდან ქალბატონმა დანგლარმა, — ისევ უჩივით ეჟენის, რომ თქვენთან არ სურს ლაპარაკი?

— ქალბატონო, მარტო მე როდი ვჩივი, — უპასუხა ლუსიენმა, რომელიც ბარონესას ძაღლს ეთამაშებოდა, ძაღლი კი ოჯახის მეგობრად თვლიდა და მუდამ ეალერსებოდა, — მახსოვს, ამ დღეებში ყური მოვკარი, როგორ ჩიოდა თქვენთან მორსერი, რომ თავის საცოლეს ვერაფრით სიტყვა ვერ წამოაცდენინა.

— ეს მართალია, — უპასუხა ქალბატონმა დანგლარმა; — მაგრამ მე მგონია მალე ყველაფერი ეს შეიცვლება და ეჟენი თქვენთან გამოცხადდება კაბინეტში.

— ჩემთან კაბინეტში?

— მე მინდა ვთქვა, მინისტრის კაბინეტში-მეთქი.

— რატომ?

— ოპერაში ანგაჟემენტის მოწყობის სათხოვნელად. მართალი გითხრათ, არასოდეს მინახავს მუსიკით ასეთი გატაცება. მაღალი წრის საზოგადოების ქალიშვილისათვის ეს სასაცილოა!

დებრეს გაეღიმა.

— კარგი! — თქვა მან, — მოვიდეს, რაკი თქვენ და ბარონი თანახმანი ხართ. ჩვენ მოვუწყობთ ანგაჟემენტს და ვეცდებით, მის ღირსებას შეეფერებოდეს, თუმცა მეტისმეტად ღარიბები ვართ, რომ გავისტუმროთ ისეთი ტალანტი, როგორიც მას აქვს.

— წადით, კორნელი, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა, — უკვე აღარ მჭირდებათ.

კორნელი წავიდა, და ერთი წუთის შემდეგ ქალბატონი დანგლარი ტუალეტის კაბინეტიდან გამოვიდა თვალწარმტაც ნეგლიჟეში. იგი ლუსიენის გვერდით დაჯდა და ჩაფიქრებულმა პატარა ესპანურ მეძებარს დაუწყო ფერება.

ლუსიენი ერთ ხანს ხმაამოუღებლივ შეჰყურებდა.

— მისმინეთ, ერმინა, — უთხრა მან ბოლოს, — გულახდილად მითხარით: რაღაცამ გული გატკინათ, ხომ მართალია?

— არა, — უპასუხა ქალმა.

მაგრამ მას სული ეხუთებოდა, წამოდგა, სცადა ღრმად ამოესუნთქა და სარკესთან მივიდა,

— დღეს საფრთხობელას ვგავარ. — თქვა მან.

დებრე ღიმილით წამოდგა, უნდოდა ბარონესასთან მისულიყო და ამ მხრივ დაემშვიდებინა, რომ უცებ კარი გაიღო.

ოთახში დანგლარი შემოვიდა, დებრე ხელახლა დაეშვა დივანზე.

კარის ჭრიალზე ქალბატონი დანგლარი შემოტრიალდა და თავის ქმარს გაკვირვებით შეხედა. იგი არ ცდილა ეს გაკვირვება დაემალა.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო, — თქვა ბანკირმა, — საღამო მშვიდობისა, დებრე.

ქალბატონმა დანგლარმა, უეჭველია ბარონის ასე მოულოდნელად შემოსვლა მიაწერა იმას, რომ ბარონს სურდა როგორმე გამოესწორებინა ის მწარე სიტყვები, რომლებიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე წამოსცდა.

მან თავი ამაყად დაიჭირა, ქმარს პასუხი არ გასცა და ლუსიენს მიუბრუნდა.

— წამიკითხეთ რამე, ბატონო დებრე, — უთხრა მან.

დებრე, რომელიც ამ ვიზიტმა თავდაპირველად ოდნავ შეაშფოთა, ბარონესას მშვიდი სახის დანახვაზე თვითონაც დამშვიდდა და ხელი გასწია წიგნისაკენ, რომელშიც მოვარაყებულის სადაფის დანა იდო.

— მომიტევეთ, — თქვა ბანკირმა, — მაგრამ თქვენ დაღლილი ხართ, და დროა დაისვენოთ; უკვე თერთმეტი საათია, ბატონი დებრე კი ძალიან შორს ცხოვრობს.

დებრე გაშეშდა; იმიტომ კი არა, რომ დანლარის ტონი მშვიდი და თავაზიანი არ იყო, — არა, ამ სიმშვიდეში და თავაზიანობაში მოჩანდა უჩვეულო მზადება, ამჯერად ანგარიში არ გაეწია ცოლის სურვილისათვის.

ბარონესაც განცვიფრებული იყო და თავისი გაკვირვება გამოხატა შეხედვით, რომელიც მის ქმარს, ალბათ, ჩააფიქრებდა, თვალეები გაზეთში რომ არ ჰქონოდა ჩამტერებული, სადაც იგი ბირჟის ბიულეტენს ეძებდა.

ამრიგად, ეს ამაყი შეხედვა ამაო გამოდგა და მიზანს სრულებით ვერ მიაღწია.

ბატონო დებრე, თქვა ბარონესამ, მხედველობაში გქონდეთ, რომ ძილის ოდნავი სურვილიც კი არა მაქვს, და ბევრი რამ მინდა გითხრა; თუნდაც ძილი მოგერიოთ, მთელი ღამე უნდა მისმინოთ.

თქვენს სამსახურში მიგულეთ, ქალბატონო, უპასუხა ლუსიენმა ფლეგმატურად.

ძვირფასო ბატონო ლუსიენ, მიმართა ბანკირმა, გთხოვთ, ამ საღამოს თავს ნუ მოიკლავთ ქალბატონ დანგლარის ლაქლაქის ყურის გდებით; შეგიძლიათ ასეთივე წარმატებით ხვალაც მოისმინოთ, ეს საღამო კი მე მეკუთვნის, ჩემთვის ვიტოვებ და თქვენი ნებართვით მას ჩემ ცოლთან სერიოზულ საუბარს ვუძღვნი.

ამჯერად დარტყმა ისეთი პირდაპირი და მარჯვე იყო, რომ ლუსიენი და ბარონესა ორივე გააბრუა; მათ ერთმანეთს გადახედეს, თითქოს დასაყრდენს ეძებდნენ ამ თავდასხმის წინააღმდეგ. მაგრამ ოჯახის უფროსის ხელშეუხებელმა უფლებამ დასძლია და გამარჯვება ქმრის მხარეზე დარჩა.

ნუკი იფიქრებთ, რომ მე თქვენ გაგდებთ, ძვირფასო დებრე, განაგრძო დანგლარმა, არა, არავითარ შემთხვევაში! მაგრამ წინასწარ გაუთვალისწინებელი ვითარება მაიძულებს დღესვე მოველაპარაკო ბარონესას; ეს ისე იშვიათად ხდება, რომ იმედია არ გამიბრაზდებით.

დებრემ რამდენიმე სიტყვა ჩაიბურტყუნა, გამოემშვიდობა და გასვლის დროს როგორც ნატანი «ატალიაში»,¹ (¹ «ატალია» — რახინის ტრაგედია ბიბლიური დროის ებრაელების ცხოვრებიდან.) ავეჯს დაეჯახა.

— პირდაპირ განსაცვიფრებელია, — ჩაილაპარაკა, როცა კარები გაიხურა. — რა ადვილად გვერევინ ეს ქმრები, რომლებსაც ჩვენ ყოველთვის დავცინით.

როდესაც ლუსიენი გავიდა, დანგლარმა მისი ადგილი დაიკავა დივანზე, გადაშლილი წიგნი დახურა, წარმოუდგენლად დამაბული პოზა მიიღო და ძაღლთან თამაში განაგრძო. მაგრამ რაკი ძაღლს, რომელიც მისდამი ნაკლებ სიმპათიურად იყო განწყობილი, ვიდრე დებრესადმი, უნდოდა ეკბინა, დანგლარმა კისერში წაავლო ხელი და ოთახის მეორე მხარეს ტახტზე გადაისროლა.

ძაღლმა წაიწკმუტუნა; მაგრამ რაკი იგრძნო, რომ ტახტზე დაეცა, ბალიშს ამოეფარა, ასეთი უჩვეულო მოპყრობით განცვიფრებული გაჩუმდა და აღარ განძრეულა.

— წარმატებებს აღწევთ, ბატონო, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა თვალის დაუხამხამებლად, — ჩვეულებრივად უხეში ხართ, დღეს კი ნამდვილ ცხოველივით იქცევით.

— ეს იმიტომ, რომ ამ საღამოს მე ჩვეულებრივზე უფრო ცუდ ხასიათზე ვარ.

ერმინამ ბანკირს უდიდესი ზიზღით შეხედა. ჩვეულებრივად ასეთი ზიზღით სავსე მზერას მოთმინებიდან გამოყავდა ამაყი დანგლარი; მაგრამ ამ საღამოს, როგორც ჩანდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

— რაში მეკითხება თქვენი ცუდი გუნება? — უპასუხა ქმრის სიმშვიდით აღშფოთებულმა ბარონესამ. — ეს მე არ მეხება. თქვენი ცუდი გუნებით თქვენს ოთახში ჩაიკეტეთ, ან თქვენს კანტორაში გამოამქლავნეთ იგი; გყავთ მოხელეები, რომლებსაც ფულებს უხდით, და აი, მათზე იყარეთ ჯავრი!

— არა, ქალბატონო, — უპასუხა დანგლარმა; — თქვენი რჩევა უადგილოა და ამიტომ არც მინდა მისი მოსმენა. ჩემი კანტორა ოქროს მდინარეა, ასე ამბობს ვგონებ ბატონი დემუტეი, არ მინდა ხელი შევეშალო მის დინებას, ავამღვრიო მისი წყალი. ჩემი მოხელეები — პატიოსანი ადამიანები არიან. ისინი ქონების დაგროვებაში მეხმარებიან და, თუ მათ შრომას მათი შედეგის მიხედვით შევაფასებთ, მე გაცილებით ნაკლებს ვუხდი, ვიდრე ეკუთვნით. რისთვის უნდა გავუბრაზდე? სამაგიეროდ მაბრაზებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩემი სადილებით იკვებებიან, ჩემს ცხენებს ქანცავენ და სალაროს მიცარიელებენ.

— ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც სალაროს გიცარიელებენ? გთხოვთ, ბატონო ჩემო, უფრო ნათლად თქვათ.

— დამშვიდდით, თუ ასე გამოცანებით ვლაპარაკობ, იმის იმედი მაქვს, რომ დიდხანს არ დაგჭირდებათ გასაღების მოძებნა, — გამოეპასუხა დანგლარი. — ჩემს სალაროს აცარიელებენ ისინი, ვისაც ერთ საათში იქიდან გამოაქვთ ხუთასი ათასი ფრანკი.

— მე თქვენი არ მესმის, — უთხრა ბარონესამ, რომელიც ცდილობდა ხმის კანკალი და სახეზე ადენილი ალმური დაემალა.

— პირიქით, თქვენ ძალიან კარგად გესმით, — უპასუხა დანგლარმა, — მაგრამ რაკი ჯიუტობთ, გეტყვით, რომ ესპანეთის სესხზე შვიდასი ათასი ფრანკი დააკარგე.

— ოჰო, — უთხრა დაცინვით ბარონესამ, — და თქვენ ამაში მე მადანაშაულებთ?

— რატომ არა?

— მე ვარ დამნაშავე, რომ შვიდასი ათასი ფრანკი დააკარგეთ?

— ყოველ შემთხვევაში, მე არა.

— ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო, მე თქვენ აგიკრძალეთ ჩემთან ფულზე ლაპარაკი; — უთხრა უხეშად ბარონესამ, — ამ ენას მიჩვეული არა ვარ არც ჩემ მშობლებთან, არც ჩემი პირველი ქმრის სახლში.

— ეს მე მჯერა, — უთხრა დანგლარმა, — არც ერთ მათგანს გროშიც არ გააჩნდა.

— მით უმეტეს, არ შეიძლებოდა მცოდნოდა თქვენი ბანკირული ჟარგონი, რომლითაც დილიდან საღამომდე ყურები მაქვს გამოჭედილი. ვერ ვიტან ეკიუების ჩხარუნს, რომლებსაც ითვლიან და გადათვლიან ხოლმე. არ ვიცი, რა უნდა იყოს ამაზე საშინელი — ნუთუ მარტო თქვენი ხმა?

«— უცნაურია სწორედ, მე კი მეგონა, რომ თქვენ დაინტერესებული იყავით ჩემი ფულადი ოპერაციებით! — უთხრა დანგლარმა.

— მე? ვინ გაფიქრებინათ ასეთი სისულელე.

— თქვენ თვითონ.

— მაგალითს დამისახელებთ?

— რასაკვირველია.

— ძალიან მაინტერესებს, მითხარით როდის მოხდა ასეთი ამბავი.

— ღმერთო ჩემო, სულ უბრალოდ. თებერვალში თქვენ პირველი დამელაპარაკეთ ჰაიტის სესხზე; თქვენ ვითომ სიზმარში ნახეთ, რომ ჰავრის ნავსადგურს მოადგა გემი

და მოიტანა ცნობა ვალის გადახდისა, რომელიც ქრისტეს მეორე მოსვლამდე გადადებულად მიაჩნდათ. მე ვიცი, რომ თქვენ სიზმრები გისრულდებათ: ამიტომ დავავალე ჩუმ-ჩუმად ეყიდათ ჰაიტის სესხის ყველა ტალონი, როგორსაც კი შეხვდებოდნენ და მე ოთხასი ათასი ფრანკი მოვიგე, აქედან სუფთად ასი ათასი თქვენ მიიღეთ. როგორც გსურდათ, ისე დახარჯეთ ეს თანხა, ამაში მე არ გავრეულვარ.

«მარტში ლაპარაკი იყო რკინიგზის კონცესიაზე. ერთმანეთს ეცილებოდა სამი ამხანაგობა, რომლებიც ერთნაირ გარანტიას იძლეოდნენ. თქვენ მითხარით, ვითომ შინაგანი გრძნობა გკარნახობდათ, რომ უპირატესობა ექნებოდა ეგრეთწოდებულ სამხრეთის ამხანაგობას.

«თუმც ამტკიცებთ, რომ ფულის საქმეები თქვენთვის უცნობია, მე მაინც მეჩვენება, რომ თქვენი შინაგანი გრძნობა ზოგიერთ საკითხში ძალზე გაწაფულია.

«მაშ ასე, მე მაშინვე ჩემს ანგარიშზე ჩავიწერე სამხრეთის ამხანაგობის აქციების ორი მესამედი. უპირატესობა მართლაც მას ხვდა, როგორც თქვენ იწინასწარმეტყველეთ, აქციის ფასმა სამმაგად აიწია და მე ამაზე მილიონი მოგება ვნახე, რომლიდანაც ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი ქინძისთავებისათვის მოგეცათ. რაში გამოიყენეთ ეს ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი?

— ბოლოს და ბოლოს რას უმიზნებთ? — შესძახა მოუთმენლობისა და ჯავრისაგან აცახცახებულმა ბარონესამ.

— მოითმინეთ, ქალბატონო, ახლავე დავამთავრებ.

— მადლობა ღმერთს!

— აპრილში თქვენ ისადილეთ მინისტრთან; საუბრობდნენ ესპანეთზე, და თქვენ შემთხვევით ყური მოჰკარით საიდუმლო ბაასს: ლაპარაკი იყო დონ კარლოსის გაძევებაზე. მე ვიყიდე ესპანეთის სესხი. გაძევება მოხდა და მე ექვსასი ათასი ფრანკი მოვიგე, იმ დღეს, როდესაც კარლოს V ბიდასოუში გადავიდა. ამ ექვსასი ათასი ფრანკიდან თქვენ მიიღეთ ორმოცდაათი ათასი ეკიუ. ეს ფული თქვენი კუთვნილება იყო, როგორც გინდოდათ, ისე გამოიყენეთ, ამის ანგარიშს არ გთხოვთ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ წელიწადს თქვენ ხუთასი ათასი ლივრი მიიღეთ.

— მერე?

— მერე? ჰოდა, სწორედ მაგაშია უბედურება, რომ საქმე მერე წავიდა ცუდად.

— თქვენ უცნაური გამოთქმები გაქვთ... მართლაც...

— ისინი ჩემს აზრებს გადმოსცემენ, მეც ეს მინდა... მერე, ეს იყო სამი დღის წინ.

სამი დღის წინ თქვენ პოლიტიკაზე ესაუბრებოდით დებრეს, და მისი საუბრიდან მოგეჩვენათ, რომ დონ კარლოსი ესპანეთში დაბრუნდა; მაშინ მე გავყიდე ჩემი სესხი; ახალი ამბავი ყველას მოედო, დაიწყო პანიკა, მე უკვე კი აღარ ვყიდდი, მუქთად ვამლევდი; მეორე დღეს გამოირკვა, რომ ცნობა ყალბი იყო, და ამ ყალბი ცნობის გამო მე დავკარგე შვიდასი ათასი ფრანკი.

— მერე?

— მერე ის, რომ თუ მე თქვენ ვამლევთ ჩემი მოგების მეოთხედ ნაწილს, ასევე უნდა ამინაზღაუროთ წაგების მეოთხედი ნაწილი; შვიდასი ათასი ფრანკის მეოთხედი ას სამოცდათხუთმეტი ათასი ფრანკია.

— რასაც თქვენ ამბობთ, ეს ნამდვილი მიქარვაა და მე, მართალი გითხრათ, ვერ გამიგია მთელ ამ ისტორიას რატომ მიაწერეთ დებრეს სახელი.

— იმიტომ, რომ თუ შემთხვევით ას სამოცდათხუთმეტი ათასი ფრანკი არ აღმოგაჩნდათ, რომელიც მე მჭირდება, უნდა მეგობრებს დაესესხოთ, და რადგან დებრე თქვენი მეგობარია...

— რა სისამაგლეა! — შეჰყვირა ქალბატონმა დანგლარმა.

— თუ შეიძლება, ქალბატონო, ჟესტების, ყვირილის და თანამედროვე დრამის გარეშე. თორემ იძულებული ვიქნები ვიფიქრო, როგორ დამცინის დებრე და ითვლის ამ წუთას ათას ლივრს, რომელიც თქვენ მას ამ წელიწადში გადაეცით, და თავის გულში ამბობს, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვა ის, რისი პოვნაც ვერ შეძლეს საუკეთესო მოთამაშეებმა: რულეტი, რომელშიც იგებენ მიუხედავად იმისა, რომ არაფერს დებენ და წაგების შემთხვევაში არაფერს კარგავენ.

ბარონესამ მოთმინება დაკარგა.

— არამზადავ, — შეჰყვირა მან, — იმის თქმას გაბედავთ, რომ არ იცოდით ის, რაშიც დღეს ბედავთ ბრალი დამდოთ?

— მე არ ვამბობ, რომ ვიცოდი და არც იმას ვამბობ, რომ არ ვიცოდი. მე გეუბნებით: გაიხსენეთ ჩემი მოქმედება ოთხი წლის განმავლობაში, რაც თქვენ უკვე ჩემი ცოლი აღარა ხართ, ხოლო მე თქვენი ქმარი და დაინახავთ, რამდენად სწორი დასკვნაა. ჩვენი განშორების წინა დღეებში თქვენ მოისურვეთ მუსიკაში გემეცადინათ იმ გამოჩენილ ბარიტონთან, რომელიც ასეთი წარმატებით პირველად გამოვიდა იტალიურ თეატრში. მე კი გადავწყვიტე ცეკვა მესწავლა იმ მოცეკვავე ქალის ხელმძღვანელობით, რომელმაც ლონდონში გაითქვა სახელი. ეს კი, თქვენი და ჩემი სწავლება ერთად, დაახლოებით ასი ათასი ფრანკი დამიჯდა. არაფერი მითქვამს ამის შესახებ იმიტომ, რომ ოჯახში ჰარმონიაა საჭირო. ასი ათასი ფრანკი იმისათვის, რომ ცოლმაც და ქმარმაც საფუძვლიანად შეისწავლონ მუსიკა და ცეკვა, ეს არც ისე ძვირია. მალე მუსიკა მოგბეზრდათ და სურვილი დაგებადათ მინისტრის მდივნის ხელმძღვანელობით დიპლომატიური ხელოვნება შეგესწავლათ; მე არ გიშლით. ხომ გესმით? რა მესაქმება, რაკი თქვენ თვითონ იხდით გაკვეთილების ფულს. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემს სალაროს მიუბრუნდით, და თქვენი განათლება შეიძლება თვეში შვიდასი ათასი ფრანკი დამიჯდეს. შესდექ, ქალბატონო! აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს. თუ დიპლომატი გაკვეთილებს მოგცემთ უფასოდ, მე ავიტან მას, თუ არა და ფებს ვეღარ შემოდგამს ჩემს ოჯახში. გესმით, ქალბატონო?

— ეს მეტის მეტია, ბატონო ჩემო! — შეჰყვირა სულშეხუთულმა ერმინამ, — ეს სიბილწეა! თქვენ ყველა საზღვარი გადალახეთ.

მაგრამ მე სიამოვნებით ვუყურებ, — თქვა დანგლარმა, — რომ თქვენ მე არ ჩამომრჩებით და კეთილი ნებით ასრულებთ მცნებას: «ქალი უნდა დაჰყვეს ქმრის ნებას».

— თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ!

— მართალი ხართ. შევწყვიტოთ ამაზე და მშვიდად განვაგრძოთ საუბარი. მე პირადად არასოდეს ვერეოდი თქვენს საქმეებში, განა მარტო თქვენი სიკეთისათვის; მობაძეთ ჩემს მაგალითს. თქვენ ამბობთ, რომ ჩემი ფულების ამბავი თქვენ არ გეკითხებათ, ძალიან კარგი, ასე იყოს. თქვენი საკუთარი გამოიყენეთ და ჩემსას ნურც ამრავლებთ და ნურც აკლებთ. შეიძლება ეს უბრალოდ გამცემლური ოინია? მინისტრი გაშმაგებულია იმით, რომ ოპოზიციაში ვარ და შურს ჩემი პოპულარობა, შეიძლება ბატონ დებრეს მოელაპარაკა, რომ გამაღატაკონ?

— როგორ ჰგავს სიმართლეს!

— ძალიანაც. სად გაგონილა... ყალბი სატელეგრაფო ცნობა, — შეუძლებელი, თითქმის შეუძლებელი რამაა. ორმა უკანასკნელმა ტელეგრაფმა გადასცა სხივებისაგან სავსებით განსხვავებული ნიშნები... მართლაც, თითქოს განგებ ჩემთვის გააკეთეს.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, — უთხრა ბარონესამ უფრო მეტი მორჩილებით, — რომ ის მოხელე დაითხოვეს და გასამართლებასაც უპირებდნენ; ბრძანებაც კი იყო გაცემული მისი დაპატიმრების შესახებ, მაგრამ მოხელე გაიქცა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ იგი ან გიჟია, ან დამნაშავე... არა, ეს შეცდომა იყო.

— დიახ, მაგრამ ამ შეცდომაზე იცინიან სულელი ადამიანები. მან უძილო ღამე გაატარებინა მინიტრს, ამ შეცდომის გულისათვის ბატონი სახელმწიფო მდივნები ქაღალდებს ჯღაბნიან, მე კი ის შვიდასი ათასი ფრანკი მიჯდება.

— კარგი, თუკი ეს ასეა, — უთხრა უცებ ერმინამ, — თუკი ყველაფერი ეს დებრედან მოდის, რატომ მელაპარაკებით ამაზე მე და არა თვით დებრეს? რატომ ადანაშაულებთ მამაკაცს და პასუხს თხოვთ ქალს?

— მერე, განა მე ვიცნობ ბატონ დებრეს? — უთხრა დანგლარმა, — განა მე მინდა ვიცნობდე მას? განა უნდა ვიცოდე, რომ ის რჩევებს გაძლევთ? განა მე მსურს ამ რჩევების დაჯერება? განა მე ვთამაშობ ბირჟაზე? არა, ყოველივე ეს თქვენ გეხებათ და არა მე.

— მაგრამ, რაკი ეს თქვენთვის ხელსაყრელია...

დანგლარმა მხრები აიჩეჩა.

— მართლაც რა სულელები არიან ქალები! თავი გენიოსებად მიაჩნიათ, თუ ერთი ან ათი სამიჯნურო ინტრიგა ისე გააბეს, რომ მთელი პარიზი არ აალაპარაკეს. მაგრამ მხედველობაში იქონიეთ ის გარემოება, რომ თუნდაც ქმარს დაუძალოთ თქვენი თავგადასავალი — და ეს ყველაზე უფრო ადვილია, იმიტომ რომ უმრავლეს შემთხვევაში ქმრებს არ უნდათ დაინახონ — მაშინაც კი თქვენ იქნებოდით საცოდავი ასლი მაღალი წრიდან გამოსული თქვენი მეგობარი ქალებისა. მაგრამ არც ასეა საქმე: მე ყოველთვის ყველაფერს ვიგებდი: თექვსმეტი წლის განმავლობაში თქვენ შეიძლება რაიმე აზრი დამიმალეთ, მაგრამ არც ერთი მოძრაობა, არც ერთი მოქმედება, არც ერთი შეცდომა მე არ გამომჟღავნებია. თქვენ აღფრთოვანებული იყავით თქვენი საქციელით და გეგონათ მატყუებდით, მაგრამ რა გამოვიდა? ჩემი თვალთმაქცური მიამიტობის წყალობით, თქვენს მეგობრებს შორის, ვილფორიდან დაწყებული დებრემდე, არავინ ყოფილა ისეთი, რომ ჩემი არ შინებოდა. არავინ ყოფილა ისეთი, რომ ანგარიში არ გაეწია ჩემთვის, როგორც ოჯახის უფროსისათვის. ესაა ერთადერთი რამ, რასაც მე მოვითხოვ; ბოლოს, ვერავინ გაგიბედავდათ ისე ელაპარაკა ჩემზე, როგორც დღეს მე თვითონ გელაპარაკებით. უფლებას გაძლევთ საზიზღრად წარმომიდგინოთ, მაგრამ იმის უფლებას კი არ მოგცემთ, რომ დასაცინი გამხადოთ, და რაც მთავარია, კატეგორიულად გიკრძალავთ გამალატაკოთ.

სანამ ვილფორის სახელს იტყოდა, ბარონესას, როგორც იყო, ეჭირა თავი, მაგრამ ამ სახელის ხსენებაზე გაფითრდა, ზამბარით ამოდრავებულივით წამოდგა, ხელები გაიწვდინა და, თითქოს მოჩვენებას მოუწოდებდა, ქმრისაკენ გადადგა ნაბიჯი; გეგონებოდათ, უნდოდა უკანასკნელი სიტყვა საიდუმლოებისა, რომელიც ან დანგლარმა თვითონ არ იცოდა, ან იქნებ რაღაც ბილწი ანგარიშის გამო, როგორიც საერთოდ ყველა მისი ანგარიში იყო, არ უნდოდა საბოლოოდ გაეცა.

— ვილფორი? რას ნიშნავს ეს? რისი თქმა გინდათ?

— ეს იმას ნიშნავს, ქალბატონო, რომ თქვენმა პირველმა ქმარმა — ბატონ დე ნარგონმა, რომელიც არც ფილოსოფოსი იყო და არც ბანკირი, ან იქნება ერთიც იყო და მეორეც, — დაინახა, რომ ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებდა მეფის პროკურორისაგან, და დარდმა თუ მრისხანებამ მოჰკლა, რადგან ცხრა თვის შინ არყოფნის შემდეგ დაბრუნდა, თქვენ კი ექვსი თვის ფეხმძიმე დაუხვდით. მე უხეში ვარ, მე არა მარტო ვიცი ეს, არამედ ამით ვამაყოფ კიდეც. ეს ერთი იმ

საშუალებათაგანია, რომლითაც წარმატებებს ვაღწევ ჩემს კომერციულ საქმეებში. იმის მაგივრად, რომ ბატონ დე ნარგონს თვითონ მოეკლა კაცი, რატომ დაუშვა, რომ ის თვითონ მოჰკლეს? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა კაპიტალი, რომელიც უნდა დაეცვა. მე კი ჩემს კაპიტალს ვეკუთვნი; მე ჩემი თანაამხანაგის დებრეს მიზეზით დავკარგე შვიდი ათასი ფრანკი. შემოიტანეთ თავისი წვლილი ამ ზარალში, და ჩვენ კვლავ ერთად განვაგრძობთ საქმეებს. ან განაცხადოს, რომ არ შეუძლია ამ ასსამოცდათხუთმეტი ათასი ფრანკის გადახდა და გააკეთოს ის, რასაც აკეთებენ ბანკროტები, — გაქრეს. რასაკვირველია, მე ვიცი — ეს მომხიბვლელი ყმაწვილი კაცია, როდესაც მისი ცნობები სწორია; მაგრამ თუ ისინი სწორი არ არიან, მაშინ საზოგადოებაში მოიძებნება ორმოცდაათი სხვა, რომლებიც მასზე გაცილებით მეტად ფასობენ.

ქალბატონი დანგლარი განადგურებული იყო; მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ამ შემოტევის საპასუხოდ. იგი სავარძელში ჩავარდა; ფიქრობდა ვილფორზე, იმაზე, რაც სადილზე მოხდა, იმ უბედურებათა უცნაურ ჯაჭვზე, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში დაატყდა მის სახლს და ოჯახური მშვიდი მყუდროება უხამსი პაექრობით შეცვალა.

დანგლარმა არც კი შეხედა მას, თუმცა ქალი მთელი მონდომებით ცდილობდა გული წასვლოდა. დანგლარს ხმა არ ამოუღია, საწოლი ოთახის კარი მიიხურა და თავის ოთახში გავიდა; ისე რომ, ქალბატონ დანგლარს, რომელიც ნახევარი გულისწასვლისაგან მოსულიერდა, შეიძლება ეფიქრა, რომ ცუდი სიზმარი ნახა.

თავი IX

ქორწინების გეგმები

ამ სცენის მეორე დღეს, იმ დროს, როდესაც სამინისტროში მიმავალი დებრე ქალბატონ დანგლართან შეივლიდა ხოლმე, მისი ეტლი ეზოში არ გამოჩენილა.

სწორედ ამ საათზე, ესე იგი პირველის ნახევარზე, ქალბატონმა დანგლარმა ეტლი მოითხოვა და შინიდან გავიდა.

ფარდის უკან ამოფარებული დანგლარი უთვალთვალედა ამ გამგზავრებას, რომელსაც იგი ელოდა. მან განკარგულება გასცა, მაშინვე ეცნობებინათ ქალბატონ დანგლარის დაბრუნება; მაგრამ ორი საათისათვის ჯერ დაბრუნებული არ იყო.

ორი საათზე დანგლარმა ცხენები მოითხოვა, პალატაში წავიდა და ბიუჯეტის მოწინააღმდეგე ორატორთა სიაში ჩაეწერა.

თორმეტიდან ორ საათამდე დანგლარი თავის კაბინეტიდან არ გამოსულა, სულ უფრო იღუშებოდა, კითხულობდა დეპეშებს, ანგარიშობდა გაუთავებელ ციფრებს და მნახველებს დებულობდა; მათ შორის იყო ჭადარა გაბლენძილი მაიორი კავალკანტიც, რომელიც, როგორც ყოველთვის, პუნქტუალური, წინააღმდეგობით დათქმულ საათზე გამოცხადდა, რათა ბანკირთან თავისი საქმეები დაემთავრებინა.

პალატიდან გამოსული დანგლარი, სხდომის დროს მეტისმეტად აღელვებული იყო; უფრო მკვახედ, ვიდრე ოდესმე, თავს დაესხა სამინისტროს, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს უბრძანა ელისეს მინდვრების აგენიუს 130 წასულიყო.

მონტე-კრისტო შინ იყო, მაგრამ ვიღაცა ჰყავდა და დანგლარს თხოვა რამდენიმე წუთი სასტუმროში მოეცადა.

სანამ ბანკირი სასტუმრო ოთახში იცდიდა, კარი გაიღო და აბატის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი შემოვიდა; იგი ეტყობოდა უფრო ახლოს იცნობდა გრაფს და იმის

მაგივრად, რომ დანგლარით მოეცადა, მიესალმა, შიგნითა ოთახებში შევიდა და მიიშალა.

თითქმის იმ წუთშივე კარი, რომლითაც მღვდელი გავიდა, გაიღო და მონტე-კრისტო გამოჩნდა.

— მომიტევეთ, ძვირფასო ბარონო, — თქვა მან, — პარიზში ეს არის ჩამოვიდა ჩემი ერთი მეგობართაგანი, აბატი ბუზონი. თქვენ იგი, ალბათ, დაინახეთ, როცა ჩემთან შემოვიდა; დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და ძალიან არ მეყო მაშინვე დამეტოვებინა. იმედი მაქვს გამიგებთ და მომიტევებთ, რომ გაცდევინეთ.

— რას ბრძანებთ, — უთხრა დანგლარმა, — ეს სავსებით ბუნებრივია; მე ვხედავ, რომ უდროოდ დროს მოვედი; ახლავე წავალ.

— არავითარ შემთხვევაში; პირიქით, დაბრძანდით. მაგრამ ღმერთო ჩემო, რა მოგივიდათ? ძალიან ჩაფიქრებული სახე გაქვთ; თქვენ მე ნამდვილად მაშინებთ. დაღონებული კაპიტალისტი კომეტას ჰგავს, იგი ქვეყნიერებას ყოველთვის უბედურებას ამცნობს.

— საქმე ისაა, ძვირფასო გრაფო, რომ მე უკვე რამდენიმე დღეა მარცხი მღევს თან, სულ ცუდ ამბებს ვგებულობ.

— ღმერთო ჩემო! თქვენ ისევ წააგეთ ბირჟაზე? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— არა, მე ამ სენისაგან, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც განვიკურნე; ამჯერად უბრალოდ ერთი გაკოტრება მოხდა ტრიესტში.

— მართლა? თქვენ, ალბათ, ჯაკობო მანფრედის გაკოტრებაზე ლაპარაკობთ?

— სწორედ იმაზე. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც აღარც კი მახსოვს, რამდენი ხანია, წელიწადში ჩემთან რვაასი თუ ცხრაასი ათასი ფრანკის საქმეს აწარმოებს. არასოდეს არავითარი დანაკლისი, არასოდეს არც ერთი დაგვიანება; გამბედავი კაცი, რომელიც ასწორებდა ანგარიშს, როგორც თავადი... რომელიც ვალს იხდის. მე ავანსად გადავურიცხე მილიონი და უცებ იმ წყეულმა ჯაკობო მანფრედიმ გადახდა შეწყვიტა.

— მართლა?

— გაუგონარი უბედურებაა. მე გავეცი მის სახელზე ექვსასი ათასი ლივრის თამასუქი, რომელიც უკან გადაუხდელად დამიბრუნდა. გარდა ამისა, კიდევ მიღვეს ოთხასი ათასი ფრანკის თამასუქი, რომელიც მისმა პარიზელმა კორესპონდენტმა ამ თვის ბოლოს უნდა გაანაღდოს. დღეს ოცდაათი რიცხვია. კაცს ფულის მისაღებად ვაგზავნი; მაგრამ რა! კორესპონდენტი მიმალულა. თუ ესპანეთის ისტორიას ჩავთვლით, მე საუცხოოდ ვამთავრებ ამ თვეს.

— განა ასე ბევრი დაკარგეთ ესპანეთის ისტორიაზე?

— რასაკვირველია, ჩემი სალაროდან გაფრინდა შვიდასი ათასი ფრანკი — არც მეტი არც ნაკლები.

— ეშმაკმა დალახვროს! ასე როგორ ჩავარდით? თქვენ ხომ მოწიფული მგელი ხართ.

— სულ ჩემი ცოლია დამნაშავე. სიზმარში ნახა, რომ დონ კარლოსი ესპანეთში დაბრუნდა; მას სჯერა სიზმრები: ამბობს, ეს მაგნეტიზმიაო, და როდესაც რამეს ხედავს, გვარწმუნებს, ყველაფერი უეჭველად ასე იქნებაო. მე უფლება მივეცი ეთამაშა ისე, როგორც თვითონ საჭიროდ ჩათვლიდა: მას თავისი საკუთარი საშუალებები აქვს და საკუთარი მაკლერი ჰყავს. ითამაშა და წააგო. მართალია, ჩემი ფულით არ თამაშობდა, არამედ თავისით, მაგრამ თქვენ გესმით, როცა ცოლი შვიდასი ათას ფრანკს აგებს, ეს ქმარზედაც ახდენს გავლენას. როგორ! ეს თქვენ არ იცოდით? ამის გამო ისეთი დიდი ხმაური ატყდა.

დიახ, ყური კი მოვკარი, მაგრამ დაწვრილებითი ამბები არ ვიცოდი; გარდა ამისა, ამ ბირჟის საქმეებში სრულიად უვიცი ვარ.

— მაშ, თქვენ არ თამაშობთ ხოლმე?

— მე? მერედა როდის უნდა ვითამაშო? ისედაც ძლივს ავუდივარ ჩემი შემოსავლების ანგარიშს. მაშინ იძულებული ვიქნებოდი საქმეთა მმართველს გარდა მოხელე და მოლარე გამეჩინა. ჰო, მართლა, ესპანეთის ხსენებაზე; მე მგონია, ქალბატონ დანგლარს მარტო სიზმრიდან არ გაუგია დონ კარლოსის დაბრუნება. განა გაზეთებში ამის შესახებ არაფერი ეწერა?

— ნუთუ გაზეთებისა გჯერათ?

— არავითარ შემთხვევაში; მაგრამ, მგონია, ის პატიოსანი «მოამბე» გამონაკლისია და მხოლოდ ნამდვილ ამბებს, ტელეგრაფით გადაცემულ ცნობებს იყენებს.

— აი, სწორედ ეს არის გაუგებარი, — გამოეპასუხა დანგლარი. — ცნობა დონ კარლოსის დაბრუნების შესახებ ხომ ნამდვილად ტელეგრაფითაა მიღებული.

— ასე რომ, — თქვა მონტე-კრისტომ, — ამ თვეში თქვენ დაკარგეთ დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი ფრანკი?

— დაახლოებით კი არა, ზუსტად.

— ეშმაკმა დალახვროს! მესამეხარისხოვანი ქონების მქონე ადამიანისათვის ეს სასტიკი დარტყმაა.

— როგორ თუ მესამეხარისხოვანი! — უთხრა რამდენადმე ნაწყენმა დანგლარმა.

— დიახ, რასაკვირველია, — განაგრძო მონტე-კრისტომ, — ჩემი შეხედულებით არსებობს სამი კატეგორიის სიმდიდრე: პირველხარისხოვანი ქონება, მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი. პირველი ხარისხის ქონებას მე ვეძახი ისეთს, რომელსაც ხელშესახები სიმდიდრე შეადგენს: მიწები, მდაროები, ისეთი სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები, როგორცაა საფრანგეთი, ავსტრია, ინგლისი, — და თუ ეს ქონება მდაროები და ქაღალდები, სულ საერთო ჯამში ას მილიონს შეადგენს. მეორეხარისხოვან სიმდიდრეს მე ვეძახი საწარმოო დაწესებულებებს, სააქციო ამხანაგობებს, მეფის ნაცვლობას და თავადობას, რომელიც ორმოცდაათ მილიონ კაპიტალზე მილიონ-ნახევარ წლიურ შემოსავალს იძლევა. ბოლოს მესამეხარისხოვანი ქონება — ეს არის ბრუნვაში გაშვებული კაპიტალი. აქ მოგება სხვის ნებაზე ან შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, აქ ვინმეს გაკოტრებამ შეიძლება ზარალი მოგვაყენოს, ტელეგრაფის ცნობამ და შემთხვევითმა სპეკულაციებმა შეგვარყიოს, — ერთი სიტყვით, ესაა ბედის წყალობაზე დამოკიდებული საქმე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ უმდაბლესი ძალა, თუ მას შევადარებთ უმაღლეს ძალას — ბუნების ძალას; საერთოდ ფიქტიურმა ან ნამდვილმა კაპიტალმა შეიძლება თხუთმეტ მილიონს მიაღწიოს. თქვენი მდგომარეობა ხომ სწორედ ასეთია?

— დიახ, — უპასუხა დანგლარმა.

— აქედან კი გამომდინარეობს, — განაგრძო მონტე-კრისტომ შეუშფოთებლად, — რომ თუ მომდევნო ექვსი თვეც ზედიზედ ასე დამთავრდა, როგორც მიმდინარე, მესამეხარისხოვანი ფირმა, სიკვდილის პირას აღმოჩნდება.

— ჰო, — თქვა დანგლარმა უხალისო ღიმილით, — თქვენ ძალიან შორს წახვედით.

— ვთქვათ შვიდი თვე, — განაგრძო მონტე-კრისტომ იმავე ტონით, — მითხარით, ოდესმე ჩაფიქრებულხართ იმაზე, რომ შვიდჯერ მილიონ შვიდასი ათასი ფრანკი — ეს თითქმის თორმეტი მილიონია?... არა? და მართალიც ბრძანდებით, იმიტომ რომ ასეთი ფიქრის შემდეგ, უკვე რისკს ვეღარ გასწევთ თქვენი კაპიტალით, რომელიც ფინანსისტისათვის იგივეა, რაც კანი ცივილიზებული ადამიანისათვის. ჩვენ

ვატარებთ ცოტად თუ ბევრად მდიდრულ ტანისამოსებს, და ისინი წონას გვამლევენ, მაგრამ როდესაც ადამიანი კვდება, მას რჩება მხოლოდ თავისი კანი. თქვენც ასევე, როდესაც საქმეებს მოიცილებთ, დაგრჩებათ თქვენი ნამდვილი ქონება, სულ დიდი ხუთი-ექვსი მილიონი. რადგან მესამეხარისხოვანი ქონება სინამდვილეში თვალთ დასანახის მხოლოდ მესამედს ან მეოთხედს წარმოადგენს, ისევე, როგორც სარკინიგზო ლოკომოტივი კვამლში უზარმაზარი ჩანს, ისე კი მხოლოდ მეტ-ნაკლებად ძლიერი მანქანაა. ჰოდა, აი რა, ხუთი მილიონიდან, თქვენი ნამდვილი აქტივიდან, ეს არის დაკარგეთ თითქმის ორი მილიონი, შესაბამისად, შემცირდა თქვენი ფიქტიური ქონება, თქვენი კრედიტი; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემო ძვირფასო ბატონო დანგლარ, თქვენ სისხლი ამოგიღეს და თუ ასეთი რამ ოთხჯერ განმეორდა, მოკვდებით. ფრთხილად იყავით, ჩემო ძვირფასო მეგობარო! იქნება ფული გჭირდებათ? გინდათ, გასესხებთ?

— თქვენ ცუდი მოანგარიშე ყოფილხართ, — შესძახა დანგლარმა, რომელიც შეეცადა მოეშველიებინა მთელი თავისი სიბრძნე და თავდაჭერილობა, — სწორედ ამ წუთში ჩემი სალარო უკვე აივსო სხვა, მომგებიანი სპეკულაციის წყალობით. სისხლის დაკარგვა ანაზღაურებულია კვებით. მე ბრძოლა წავაგე ესპანეთში, დავმარცხდი ტრიესტში, მაგრამ ჩემმა ინდოეთის ფლოტმა შეიძლება ხელთ იგდო რამდენიმე ხომალდი; ჩემი პიონერები მექსიკაში რაიმე საბადოს წააწყდებოდნენ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ იარა მანც რჩება და პირველ ზარალისთანავე იგი ისევ გაიხსნება.

— არა, რადგან მე დარწმუნებული ვმოქმედებ, — განაგრძო დანგლარმა იმ გარეწარის უხამსი ტრაზახით, რომელსაც ჩეულებად გადაექცა თავის ქება, — ჩემს წასაქცევად საჭირო იქნებოდა სამი მთავრობის დამხობა.

— მერე რა? ასეთი რამეებიც მომხდარა.

— მთელი მოსავლის დაღუპვა?

— გაიხსენეთ შვიდი მსუქანი და შვიდი გამხდარი ძროხის ამბავი.

— ან ზღვა რომ ნაპირებს დაშორდეს, როგორც ეს მოხდა ფარაონის დროს; მაგრამ ზღვები ხომ ბევრია, გემებს კი ქარავნები შესცვლიდნენ.

— მით უკეთესი, მით უკეთესი, ძვირფასო ბატონო დანგლარ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მე ვხედავ, რომ შევცდი: თქვენ ეკუთვნით მეორეხარისხოვან კაპიტალისტებს.

— გავბედავ ვიფიქრო, რომ შემძლია პრეტენზია განვაცხადო ამ პატივზე, — თქვა დანგლარმა მისთვის ჩვეული ერთფეროვანი ღიმილით, რაც მონტე-კრისტოს აგონებდა ზეთოვან მთვარეს, რომელსაც ცუდი მხატვრები ხატავენ ნანგრევების გასანათებლად. — მაგრამ რაკი საქმეებზე დავიწყეთ ლაპარაკი, — დასძინა მან, გახარებულმა, რომ საუბრის შეცვლისათვის საბაბი ნახა, — მითხარით, რა შემძლია გავაკეთო ბატონ კავალკანტისათვის?

— მისცეთ ფული თუ აკრედიტივი აქვს თქვენს ბანკში, და თუ ამ აკრედიტივს ენდობით.

— სავსებით ვენდობი! დღეს დილით ის ჩემთან გამოცხადდა ორმოცი ათასი ფრანკის ჩეკით, რომელსაც ხელს აწერდა აბატი ბუზონი, ეს ჩეკი თქვენ ჩემთვის გადმოგეზავნათ თქვენი ბლანკით. თქვენ ხომ გესმით, მე მყისვე გადავთვალე ორმოცი ქალაღი.

მონტე-კრისტომ სრული მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

— მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი როდია, — განაგრძო დანგლარმა, — მან ჩემთან კრედიტი გაუხსნა თავის ვაჭიშვილს.

— მომიტევეთ მოურიდებელი შეკითხვა, რამდენს აძლევს ვაჟიშვილს?

— თვეში ხუთი ათას ფრანკს.

— წელიწადში სამოცი ათასი! მეც სწორედ ასე ვფიქრობდი; — უთხრა მონტე-კრისტომ მხრების აჩეჩით. — კავალკანტები საშინელი მუნწები არიან. რა არის ყმაწვილი კაცისათვის თვეში ხუთი ათასი ფრანკი?

— მაგრამ თქვენ გესმით, თუ ყმაწვილ კაცს ზედმეტად დასჭირდება რამდენიმე ათასი...

— არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ; მამამისი არ გაისტუმრებს; თქვენ არ იცნობთ იტალიელ მილიონერებს; ისინი ნამდვილი ჰარპაგონები არიან. მერედა ვინ გაუხსნა ეგ კრედიტი?

— ფენცის ბანკმა, ფლორენციის ერთ-ერთმა საუკეთესო ფირმამ.

— მე იმისი თქმა არ მინდა, რომ წაგება გემუქრებათ, არავითარ შემთხვევაში; მაგრამ მაინც ნუ გამოხვალთ კრედიტის საზღვრებიდან.

— მაშ თქვენ მაინცდამაინც არ ენდობით იმ კავალკანტის?

— მე? მე მისი ხელწერილით ათ მილიონს მივცემ. ჩემის აზრით, ძვირფასო ბარონ, აქ მეორეხარისხოვან სიმდიდრესთან გვაქვს საქმე.

— ის კი რა უბრალოა! მე მას მხოლოდ ჩვეულებრივ მაიორად მივიღებდი.

— და ამით პატივსაც დასდებდით; თქვენ მართალი ხართ, არცთუ ისე შთამაგონებელი შესახედაობა აქვს. როდესაც პირველად ვნახე, მუნდირში დაობებული ოფიცრის შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ყველა იტალიელი ასეთია; ისინი ძველ ებრაელებს წააგავან, როდესაც აღმოსავლეთის მოგვებივით არ ბრწყინავენ.

— ვაჟიშვილი უკეთ გამოიყურება, — თქვა დანგლარმა.

— დიახ, ცოტა მორცხვია, მაგრამ საერთოდ მოსაწონია. მე მის გამო ოდნავ ვშიშობდი.

— რატომ? — იმიტომ რომ, როდესაც ჩემთან ნახეთ, ეს იყო მისი თითქმის პირველი გამოსვლა საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს. ის ძალიან მკაცრ აღმზრდელებთან ერთად მოგზაურობდა და პარიზში არასოდეს ყოფილა.

— ამბობენ, ყველა ეს დიდგვაროვანი იტალიელები, ჩვეულებრივად, ჯვარს თავიანთი წრის ქალებზე იწერენო, არა? — ჰკითხა დაუდევრად დანგლარმა; — მათ უყვართ თავიანთი სიმდიდრის გაერთიანებაო.

— ჩვეულებრივად დიახ; მაგრამ კავალკანტი ორიგინალური ტიპია და ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც თვითონ სურს, მან უეჭველია შვილი საფრანგეთში იმიტომ ჩამოიყვანა, რომ დააქორწინოს.

— თქვენ ასე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

— აქ იციან მისი ქონების ამბავი?

— ამაზე ბევრს ლაპარაკობენ; მაგრამ ზოგიერთები მას მილიონს მიაწერენ, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, ერთი გროშიც კი არ უგდიაო.

— თქვენი შეხედულება როგორია?

— ჩემი შეხედულება სუბიექტურია, ასე რომ, იგი ანგარიშგასაწევი არაა.

— მაგრამ მაინც...

— ჩემი შეხედულება... ეს კავალკანტები ოდესღაც არმიებს მეთაურობდნენ, პროვინციებს მართავდნენ. ჩემი შეხედულებით ყველა ამ ძველ პოდესტებს ყოფილ კონდოტიერების ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჩაფლული აქვთ მილიონები, რაც მხოლოდ გვარის უფროსებმა იციან, და თანაც ისინი თავიანთ მემკვიდრეებს

თაობიდან თაობაში გადასცემენ. ამიტომ ყველა ისინი ყვითლები და მაგრები არიან, როგორც რესპუბლიკის დროინდელი ფლორინები, რომლებსაც ისე დიდხანს უცქერიან, რომ ამ ოქროს ანარეკლი სახეზე ემჩნევათ.

— სწორედ ასეა, — უთხრა დანგლარმა, — და ეს იმითაც აიხსნება, რომ არც ერთ მათგანს ერთი მტკაველი მიწაც კი არა აქვს.

— ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცოტა; მე თვით მარტო კავალკანტის სასახლე ვნახე ლუკში.

— ჰო, მას სასახლეც აქვს? — თქვა სიცილით დანგლარმა, — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

— დიახ, მაგრამ ისიც ფინანსთა მინისტრს მიაქირავა, თვითონ კი პატარა სახლში ცხოვრობს. ხომ გითხარით, ძუნწი კაცია-მეთქი.

— ოჰ, ოჰ, თქვენ მას ძალიან არ სწყალობთ.

— მისმინეთ, მე მას თითქმის არც კი ვიცნობ; ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ შევხვედრივარ. ყველაფერი, რაც მის შესახებ ვიცი, აბატი ბუზონისაგან და თვით მისგან გამიგონია. ამ დილით ის მელაპარაკა თავის გეგმებზე ვაჟიშვილის შესახებ და მაგრძობინა, რომ მოსწყინდა თავის კაპიტალის შენახვა იტალიაში, ამ მკვდარ ქვეყანაში; ის წინააღმდეგი არაა თავისი მილიონები ბრუნვაში გაუშვას ან საფრანგეთში ან ინგლისში. მხედველობაში იქონიეთ, თუმცა დიდ პატივს ვცემ აბატ ბუზონის, მაგრამ არაფერზე პასუხს არ ვაგებ.

— არა უშავს, კლიენტისათვის მაინც მადლობას გიხდით; ასეთი გვარი დაამშვენებს ჩემს დავთრებს; ჩემი მოლარეც, რომელსაც ავუხსენი ვინ არიან კავალკანტები, ძალიან ამაცობს. ჰო, მართლა, უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო გეკითხებით — როდესაც ეს ხალხი ვაჟიშვილებს ჯვარს სწერენ, აძლევენ თუ არა მზითვს?

— ღმერთო ჩემო! გააჩნია როდის და როგორ. მე ვიცნობდი ერთ იტალიელ თავადს, რომელიც ოქროს საზადოსავით მდიდარი იყო ტოსკანის დიდებული გვარის შთამომავალი. თუ მისი ვაჟიშვილები მისი სურვილის მიხედვით თხოულობდნენ ცოლებს, მილიონებს აძლევდა, ხოლო თუ პირიქით, მისი სურვილის წინააღმდეგ, თვეში მხოლოდ ოცდაათ ეკიუს აძლევდა. დავუშვათ, ანდრეამ ცოლი მამის სურვილის მიხედვით ითხოვა, მაშინ მაიორმა შეიძლება ორი, ან სამი მილიონი მისცეს. მაგალითად, თუ ის საცოლე ბანკირის ქალიშვილი აღმოჩნდა, შეიძლება ვაჟის სიმამრის საქმეებშიც კი ჩაერიოს. მაგრამ, დავუშვათ, საცოლე არ მოეწონა; მაშინ მშვიდობით; მოხუცი კავალკანტი თავის სალაროს გასაღებს აიღებს, კლიტეში ორჯერ გადაატრიალებს, და ჩვენი ანდრეა იძულებული იქნება პარიზელი ქარაფშუტა ყმაწვილი კაცის ცხოვრება დაიწყოს. ბანქოში ან კამათლებში იეშმაკოს.

— ეს ყმაწვილი საცოლედ ბავარიის ან პერუს პრინცესას გამონახავს; მზითვად გვირგვინს მოითხოვს ელდორადოს პოტოსის დამატებით.

— ცდებით, ეს იტალიელი დიდებულები ხშირად თხოულობენ უბრალო მოკვდავებს; მათ იუპიტერივით უყვართ ჯიშის შერევა. მაგრამ ერთი მითხარით, ძვირფასო ბარონო, რა კითხვებს მაძლევთ? ანდრეას დაქორწინებას ხომ არ აპირებთ?

— ღმერთმანი, ეს ცუდი საქმე არ იქნებოდა; მე კი საქმოსანი ვარ.

— იმედი მაქვს არა მადმუაზელ დანგლარზე? ხომ არ ისურვებთ, ალბერმა ყელი გამოსჭრას საწყალ ანდრეას.

— ალბერმა! — თქვა მხრების აჩეჩვით დანგლარმა, — მისთვის სულ ერთია.

— განა ის თქვენ ქალზე არაა დანიშნული?

— ესე იგი მე და მორსერმა ვილაპარაკეთ ამ ქორწინების შესახებ; მაგრამ ქალბატონი დე მორსერი და ალბერი...

— მე მგონია, მადმუაზელ დანგლარი ვიკონტ დე მორსერზე ნაკლები არაა.

— მადმუაზელ დანგლარს ნამდვილად კარგი მზითევი ექნება, ამაში ეჭვი არ მეპარება, მით უმეტეს, თუ ტელეგრაფი აღარ ისულელებს.

— საქმე მარტო მზითევიში როდია. მაგრამ, გახსენებაზე, ერთი მითხარით.....

— რა?

— რატომ არ მოიპატიჟეთ იმ სადილზე მორსერი და მისი მშობლები?

— მოვიპატიჟე, მაგრამ დედასთან ერთად დიეპში უნდა გამგზავრებულიყო; ქალბატონ დე მორსერისათვის ზღვის ჰაერი ურჩევიათ.

— დიახ, დიახ, — თქვა დანგლარმა სიცილით, — ზღვის ჰაერი ალბათ მოუხდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქალიშვილობაში იმას სუნთქავდა.

მონტე-კრისტოს თითქოს არ გაუგონია მისი ნათქვამი.

— მაგრამ მაინც, — დაიწყო ისევ გრაფმა, — ალბერი თუ მადმუაზელ დანგლარივით მდიდარი არაა, სამაგიეროდ, დამეთანხმებით, რომ კარგი გვარიშვილია.

— ჩემი ფიქრით, არც ჩემია ნაკლები.

— რასაკვირველია, თქვენი გვარი პოპულარულია, და მან დაამშვენა ის ტიტული, რომლითაც მის დამშვენებას ფიქრობდნენ; მაგრამ თქვენ მეტად ჭკვიანი კაცი ბრძანდებით და უნდა გესმოდეთ, რომ ზოგიერთი ცრურწმენა მეტად მყარია და მას ვერ აღმოფხვრი, ამიტომ ხუთასი წლის კეთილშობილება უფრო მეტად ფასობს, ვიდრე 25 წლის.

— აი, სწორედ ამიტომაც, — თქვა დანგლარმა, თან სცადა ირონიულად გაეღიმა, — ანდრეა კავალკანტს უპირატესობას მივცემდი ალბერ დე მორსერის წინაშე.

— მე მგონი, მორსერები არაფრით ჩამორჩებიან კავალკანტებს? — უთხრა მონტე-კრისტომ.

— მორსერები!... მისმინეთ, ძვირფასო გრაფო, — უთხრა დანგლარმა, — დარბაისელი ხართ, არა?

— იმედი მაქვს.

— ამავე დროს გერბების მცოდნე?

— ცოტას ვერკვევი.

— კარგი, ჩემსას შეხედეთ; ჩემი უფრო საიმედოა, ვიდრე მორსერის გერბი.

— ეგ რატომ

— იმიტომ, რომ მე დაბადებით ბარონი არა ვარ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დანგლარი მქვია.

— მერე რა?

— და ყოველ შემთხვევაში მორსერი არა.

— როგორ თუ მორსერი არა?

— არავითარი მაგის მსგავსი.

— ეს რას ნიშნავს?

— მე ვიდაცამ გამხადა ბარონი, ასე რომ მე ნამდვილად ბარონი ვარ; მან კი თავისი თავი თვითონ გაიხადა გრაფად, ასე რომ, ის სრულიადაც არ არის გრაფი.

— შეუძლებელია!

— მისმინეთ, ძვირფასო გრაფო, — განაგრძო დანგლარმა, — ბატონი დე მორსერი აგერ ოცდაათი წელია, რაც ჩემი მეგობარია; მე არასოდეს ვამაყობ ჩემი გერბით, იმიტომ, რომ ვიცი რითი დავიწყე.

— ეს ან დიდ თავმდაბლობაზე ან დიდ სიამაყეზე მეტყველებს, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— ჰოდა აი, რა, როდესაც მე წვრილი მოხელე ვიყავი, მორსერი უბრალო მეთევზე იყო.

— და რა ერქვა მაშინ?

— ფერნანდი.

— უბრალოდ ფერნანდი?

— ფერნანდ მონდეგო.

— თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

— ეშმაკმა დალაზვროს! ცოტა თევზი როდი მოუყიდია.

— მაშ რატომ აძლევთ მის ვაჟს თქვენს ქალიშვილს?

— იმიტომ, რომ ფერნანდი და დანგლარი ორივე გაიძვერობით ვართ განდიდებულნი. მოვიპოვეთ აზნაურის ტიტულები, გავმდიდრდით და ერთმანეთს ტოლს არ ვუდებთ; მაგრამ მაინც არის ისეთი რამეები, რაც იმაზე ითქვა, ჩემზე კი — არასოდეს.

— მაგალითად?

— ისე, არაფერი.

— ჰო, მესმის; თქვენმა სიტყვებმა გამახსენეს რაღაც, დაკავშირებული ფერნანდ მონდეგოს სახელთან; მე უკვე გამიგონია ეს სახელი საბერძნეთში.

— ალი ფაშას ამბავთან დაკავშირებით?

— სავსებით მართალი ხართ.

— დიახ, ეს მისი საიდუმლოებაა, — თქვა დანგლარმა, — და გამოგიტყდებით, არაფერს დავზოგავდი მის გასაგებად.

— თუ ძალიან მონიდომებთ, ეს ძნელი არ არის.

— ეგ როგორ?

— საბერძნეთში თქვენ, ალბათ, გყავთ რომელიმე კორესპონდენტი?

— რასაკვირველია.

— იანინაში?

— სადაც გინდათ, ყველგან...

— ჰოდა, ძალიან კარგი. მისწერეთ თქვენს კორესპონდენტს იანინაში და ჰკითხეთ, რა როლი ითამაშა ფერნანდად წოდებულმა ფრანგმა ალი-ტებელანის კატასტროფაში.

— თქვენ მართალი ხართ! — შესძახა დანგლარმა და სწრაფად წამოდგა. — დღესვე დავწერ.

— დაწერეთ.

— აუცილებლად.

— და თუ რაიმე სასკანდალოს გაიგებთ...

— გაცნობებთ.

— მადლობელი დაგრჩებით.

დანგლარი ოთახიდან გავარდა და თავის ეტლს ეცა.

თავი X

მეფის პროკურორის კაბინეტი

თავი დავანებოთ დანგლარს, რომელსაც ეტლი ჭენებით მიაქროლებს, და გავყვეთ ქალბატონ დანგლარს, დილით რომ გამოვიდა სასეირნოდ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პირველის ნახევარზე ქალბატონმა დანგლარმა ცხენები მოითხოვა და შინიდან ეტლით გაემგზავრა. სენ-ჟერმენის გარეუბნისაკენ გაემართა, მაზარინის ქუჩასთან შეუხვია და მეეტლეს უბრძანა, ახალი ხიდის პასაჟთან გაჩერებულიყო.

ქალბატონი დანგლარი ჩამოვიდა და პასაჟი გადასჭრა. მას ძალიან უბრალოდ ეცვა, როგორც ეს დილით გამოსულ მოხდენილ ქალს შეეფერება.

გენეგოს ქუჩაზე ფიაკრი იქირავა და უბრძანა არლეს ქუჩისაკენ წასულიყო.

როგორც კი ეტლში აღმოჩნდა, ჯიბიდან მაშინვე ძალიან სქელი შავი პირბადე ამოიღო და ჩალის ქუდზე დაამაგრა; შემდეგ ქუდი თავზე დაიხურა, ჯიბის პატარა სარკეში ჩაიხედა და სიამოვნებით დარწმუნდა, რომ მხოლოდ მის თეთრ კანს და მბრწყინავ თვალებს გაარჩევდნენ.

ფიაკრმა გაიარა ახალი ხიდი და დოფინის მოედნიდან არლეს ეზოში შეუხვია; მეეტლემ კარი გამოაღო თუ არა, ქალბატონმა დანგლარმა ფული გადაუხადა, კიბეს მიაშურა, სწრაფად აირბინა და მსუბუქი ნაბიჯით დარბაზში შევიდა.

დილაობით სასამართლოს შენობაში ყოველთვის ბევრი საქმეა და მეტად დატვირთულია ხალხი. ხოლო საქმიან ხალხს სად სცალია ქალების საყურებლად! ქალბატონმა დანგლარმა მსუბუქი ნაბიჯით დარბაზი ისე გადაჭრა, რომ ათამდე ქალის ყურადღება თუ მიიქცია, რომლებიც თავიანთ ადვოკატებს ელოდნენ.

ვილფორის მოსაცდელი ოთახი ხალხით იყო სავსე: ქალბატონ დანგლარს არც კი დასჭირებია თავისი გვარის დასახელება; როგორც კი გამოჩნდა, შიკრიკი მაშინვე მიუახლოვდა, ჰკითხა ნამდვილად ის ქალი იყო თუ არა, რომელსაც ბატონმა მეფის პროკურორმა მიღება დაუნიშნა, და დადებითი პასუხის შემდეგ, განსაკუთრებული დერეფნებით ბატონ დე ვილფორის კაბინეტში შეიყვანა.

მეფის პროკურორი სავარძელში იჯდა, ზურგი კარისაკენ ჰქონდა მიბრუნებული და წერდა; მან გაიგონა, როგორ გაიღო კარი და როგორ წარმოთქვა შიკრიკმა: «მობრძანდით, ქალბატონო», ისიც მოესმა, როგორ დაიხურა კარი, მაგრამ არც კი შერხეულა. შეწყდა თუ არა შიკრიკის ფეხის ხმა, იგი მაშინვე სწრაფად წამოდგა, კარი გასაღებით დაკეტა, ფარდები დაუშვა და კაბინეტის ყველა კუთხე შეათვალიერა.

შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, ვერავინ დაინახავდა და ვერც ყურს დაუგდებდა, საბოლოოდ დამშვიდდა და ქალბატონ დანგლარს მიუახლოვდა.

— ასეთი სიზუსტისათვის მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო.

და ქალს სავარძელი შესთავაზა. ქალბატონი დანგლარი დაჯდა; გული ისე უცემდა, რომ ძლივს სუნთქავდა.

— უკვე დიდი ხანია, ქალბატონო, არ მქონია ბედნიერება თქვენთან მარტო მესაუბრა, — უთხრა ბატონმა დე ვილფორმა, სავარძელში ჩაჯდა და ისე მოტრიალდა, რომ ქალბატონ დანგლართან პირისპირ აღმოჩენილიყო, — და ჩემდა სამწუხაროდ ერთმანეთს იმისათვის შევხვდით, რომ ძალზე მძიმე საუბარი დავიწყოთ.

— მაგრამ ხომ ხედავთ, თქვენს პირველსავე დამახეებაზე მოვედი, თუმცა ეს საუბარი ჩემთვის უფრო მძიმე უნდა იყოს, ვიდრე თქვენთვის.

ვილფორმა მწარედ გაიღიმა.

— მაშ მართალი ყოფილა, — თქვა მან და უფრო თავის საკუთარ აზრებს გამოეპასუხა, ვიდრე ქალბატონ დანგლარის სიტყვებს, — მაშ, მართალი ყოფილა, რომ ყველა ჩვენი მოქმედებანი ჩვენს წარსულზე ხან ბნელსა და ხან ნათელ ნიშანს

სტოვებენ! მართალი ყოფილა, რომ ჩვენი ნაბიჯები ცხოვრების გზაზე წააგავს ქვიშაზე ქვემდრომის ხობვას და ზედ კვალს აჩენს. ეჰ, რამდენი რწყავს ამ კვალს ცრემლებით.

— ბატონო ჩემო, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა, — თქვენ ხომ ხვდებით, რამდენად აღელვებული ვარ? მაშ გთხოვთ შემიბრალოთ. ამ ოთახში, ამ სავარძელში რამდენი აცახცახებული და დარცხვენილი ბოროტმოქმედი მჯდარა და ახლა აქ ვზივარ მე, მეც დარცხვენილი და აცახცახებული... იცით რა, მთელი ჩემი გონება უნდა მოვიკრიბო, რომ თავი ბოროტმოქმედად არ ვიგრძნო, თქვენ კი მრისხანე მსაჯულად მეჩვენოთ.

ვილფორმა თავი გაიქნია და მძიმედ ამოიოხრა.

— მე კი, — თქვა მან, — ჩემ თავს ვეუბნები, რომ ჩემი ადგილი დამნაშავეს სკამზეა და არა მოსამართლის სავარძელზე.

— თქვენი? — ჰკითხა განცვიფრებულმა ქალბატონმა დანგლარმა.

— დიახ, ჩემი.

— მე მგონია, თქვენ, თქვენი პურიტანული შეხედულებებით აზვიადებთ, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა და მის ლამაზ თვალებში ცეცხლმა იელვა. — ვის აღზნებულ ახალგაზრდობას არ დაუტოვებია კვალი, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ? ყველა ვნების ფსკერზე, ყველა სიამოვნების უკან, ყოველთვის იმალება სინდისის ქენჯნა. ამიტომაც სახარებამ, — უბედურთა მყუდრო თავშესაფარმა — საბრალო ქალებს დასაყრდენად მოგვცა შესანიშნავი იგავი ცოდვილ ქალწულზე და მემავ ქალზე. გამოვტყდები, რომ ჩემი ახალგაზრდობის გატაცების გახსენებაზე მე ზოგჯერ ვფიქრობ, რომ უფალი მომიტევებს, რადგან თუ გამართლება არა, მონანიება მაინც ვპოვე ჩემს ტანჯვებში; თქვენ რისი უნდა გეშინოდეთ? მამაკაცებს ყოველთვის ამართლებს საზოგადოება, ხოლო სამარცხვინო ამბებს შარავანდედით მოსავს.

— ქალბატონო, — გამოეპასუხა ვილფორი, — თქვენ მიცნობთ; მე პირმოთნე არა ვარ, ყოველ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არასოდეს ვყოფილვარ პირმოთნე. თუ მკაცრი სახე მაქვს, ეს იმიტომ, რომ იგი ასეთი გახადეს უსასრულო უბედურებებმა; და გული რომ არ გამქვავებოდა, როგორ გადაიტანდა იმ დარტყმებს, რომლებიც მე მხვდა წილად?... ახალგაზრდობაში მე ასეთი არ ვიყავი, ასეთი არ ვიყავი აგრეთვე ჩემი ჯვრისწერის დღეს, როდესაც მარსელში გრანდ-კურის ქუჩაზე მაგიდას ვუჯექი. მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩემში და ჩემს ირგვლივაც. მთელი ჩემი სიცოცხლე წინააღმდეგობათა მუსვრას მოვანდომე, ნებით თუ უნებლიეთ, განზრახვით თუ შემთხვევით გზად თუ ვინმე მეღობებოდა, რათა ეს წინააღმდეგობები აღემართათ. იშვიათად ხდება, რომ იმას, რაც მხურვალედ გწადია, ასევე მხურვალედ არ იცავდნენ სხვები; შენ კი გინდა მიიღო სანატრელი რამ, ხელიდან გამოგლიჯო მათ. ადამიანთა ცუდი საქციელი, უმრავლეს შემთხვევაში, იბადება პირადი აუცილებლობის მომიზეზებით. შემდეგ, როდესაც აღზნების, შიშის ან უგუნურების წუთებში ცუდი საქციელი უკვე ჩაიდინე, ხედავ, რომ მისი თავიდან აცილება ძნელი არ ყოფილა. აღმოჩნდება, რომ გზა, რომელიც ჩვენი სიბრძავეს დროს შეუმჩნეველი იყო, ძალზე ადვილი სავალი და უბრალო ყოფილა; და ჩვენ თავს ვეუბნებით: რატომ არ გავაკეთე ეს და გავაკეთე ის? თქვენ, ქალებს, პირიქით, სინდისის ქენჯნა იშვიათად გაწუხებთ, იმიტომ, რომ თქვენ თვითონ იშვიათად ღებულობთ გადაწყვეტილებებს; თქვენი უბედურება თითქმის არასოდეს არ არის თქვენზე დამოკიდებული, თქვენ თითქმის ყოველთვის სხვისი დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე ხართ.

— ყოველ შემთხვევაში, — უპასუხა ქალბატონმა დანგლარმა, — უნდა დამეთანხმოთ, რომ თუ დამნაშავე ვარ, თუ ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარ, სამაგიეროდ წუხელის მკაცრი სასჯელი მივიღე.

— უბედური ქალი! — თქვა ვილფორმა, და თან ხელზე ხელი მოუჭირა, — სასჯელი მეტად მკაცრი იყო, იმიტომ, რომ თქვენ ორჯერ მზად იყავით მისი სიმძიმის ქვეშ ღონე მიგხდომოდათ, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— უნდა გითხრათ... ქალბატონო, მოიკრიბეთ მთელი თქვენი ვაჟკაცობა, იმიტომ, რომ ეს ჯერ კიდევ დასასრული არ არის!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა შემინებულმა ქალბატონმა დანგლარმა, — კიდევ რა უნდა იყოს?

— თქვენ მარტო წარსულზე ფიქრობთ, ის ნამდვილად ბნელია. წარმოდგინეთ თქვენი მომავალი, კიდევ უფრო ბნელი მომავალი... უეჭველად საშინელი... შესაძლებელია, სისხლით შეღებილი...

ბარონესამ იცოდა, რა გულგრილი იყო ვილფორი. ის იმდენად შეაშინა მისმა აღზნებამ, რომ უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

— როგორ აღსდგა ეს საშინელი წარსული? — შესძახა ვილფორმა; — როგორ წამოდგა სასაფლაოს სიღრმიდან და ჩვენი გულის ფსკერიდან მოჩვენებასავით, რომ შიშისაგან გაგვაფითროს და სირცხვილისაგან გაგვაწითლოს!

— ეჰ, — თქვა ერმინამ, — ეს, ალბათ, შემთხვევაა.

— შემთხვევა! — გამოეპასუხა ვილფორი, — არა, არა, ქალბატონო, შემთხვევითობა არ არსებობს.

— როგორ არა; განა ეს შემთხვევითობა არ არის, თუმცა საბედისწერო? გრაფმა მონტე-კრისტომ შემთხვევით იყიდა ეს სახლი, შემთხვევით დაავალა მიწის ამოთხრა. და განა შემთხვევით არ არის, რომ ხეებსქვეშ იპოვეს საცოდავი ბავშვის ჩონჩხი? უმანკო არსება, მე მისთვის ერთხელაც კი არ მიკოცნია, მაგრამ მის გამო ბევრი ცრემლი კი დავღვარე. ოჰ, ჩემი სული გრაფისაკენ მიილტვოდა, როდესაც იგი ყვავილებქვეშ ნაპოვნ ძვირფას ნემსზე ლაპარაკობდა.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა ყრუდ ვილფორმა, — სწორედ ეს არის ის საშინელი ამბავი, რომელიც მე უნდა გითხრათ; ყვავილების ქვეშ არავითარი ნემსი არ უნახავთ, მიწაში არავითარი ბავშვი არ ამოუთხრიათ. საჭირო არ არის ტირილი და ოხვრა, უნდა ვძრწოდეთ.

— რისი თქმა გინდათ? — შეჰყვირა მთლად აცახცახებულმა ბარონესამ.

— იმისი თქმა მინდა, რომ გრაფ მონტე-კრისტოს ამ ხეების თხრის დროს არ შეეძლო ეპოვა არც ბავშვის ჩონჩხი, არც რკინის ყუთის ნაწილები, რადგან იქ არ იყო არც ერთი და არც მეორე.

— არც ერთი, არც მეორე! — გაიმეორა ქალბატონმა დანგლარმა და მეფის პროკურორს ფართოდ გაღებულნი შემინებულნი თვალებით შეხედა. — არ იყო, არც ერთი და არც მეორე! — გაიმეორა მან კიდევ ერთხელ ისეთი ადამიანივით, რომელიც ცდილობს სიტყვებით, საკუთარი ხმის ბგერებით შეაჩეროს ნახევრად ფარული აზრი.

— არა, არა, არა. — თქვა ვილფორმა. — ასჯერ გიმეორებთ, რომ არა. — და სახეზე ხელები აიფარა.

— მაშ საწყალი ბავშვი იქ არ დაგიმარხავთ? რატომ მომატყუეთ? მითხარით, რატომ?

— არა, იქ დავმარხე, მაგრამ მომისმინეთ, ქალბატონო, მომისმინეთ და შემიცოდებთ. ოცი წლის განმავლობაში ვატარებდი მტანჯველ ტვირთს და არაფერს გიზიარებდით, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა გითხრათ.

— ღმერთო ჩემო! თქვენ მე მაშინებთ! მაგრამ სულ ერთია, თქვით, გისმენთ.

— გახსოვთ, როგორ ჩაიარა იმ უბედურმა ღამემ, როდესაც წითელ შპალერგაკრულ ოთახში თქვენ სული გეხუთებოდათ ლოგინში, მე კი ისევე სულის ხუთვით ველოდებოდი თქვენს განთავისუფლებას? ბავშვი გაჩნდა და მე გადმომცეს იგი უძრავი, სულშეხუთული, ხმას რომ არ იღებდა ოდნავადაც კი; ჩვენ იგი მკვდარი გვეგონა.

ქალბატონი დანგლარი სწრაფად ამოძრავდა, თითქოს წამოდგომა უნდოდა.

მაგრამ ვილფორმა შეაჩერა იგი, ხელები გადაიჭდო, თითქოს ევედრებოდა — მისმინეო.

— ჩვენ იგი მკვდარი გვეგონა, — გაიმეორა მან; — მე ჩავდე ყუთში, რომელსაც მისთვის კუბოს მაგივრობა უნდა გაეწია, ჩავედი ბაღში, საფლავი ამოვთხარე და სწრაფად დავმარხე. ის იყო მიწის დაყრა მოვასწარი, რომ თავს დამეცა კორსიკელი. ჩემს წინაშე ლანდმა გაირბინა და თითქოს ელვამ გაანათა: ტკივილი ვიგრძენი, მინდოდა მეყვირა, ყინულივით ცივმა ჟრუანტელმა მთელ ტანში დამიარა. უგრძნობლად ძირს დავეცი და მეგონა უკვე მოვკვდი. არასოდეს დავივიწყებ თქვენს შეუდარებელ გამბედაობას. როდესაც გონს მოვედი, კიბეებთან მოვფოფხდი, თქვენ კი თვით მომაკვდავი, ჩემთან ჩამოხვედით. აუცილებელი იყო, რომ ეს საშინელი შემთხვევა საიდუმლოდ შეგვეჩინა. თქვენ გეყოთ სიმამაცე, ძიძის დახმარებით შინ დაბრუნებულიყავით; მე ჩემი ჭრილობა დუელით ავხსენი. მიუხედავად იმისა, რომ ძნელი იყო, მაინც შევძელით საიდუმლოების დაფარვა; მე ვერსაღში გადამიყვანეს; სამი თვე ვებრძოდი სიკვდილს; ბოლოს, რაკი შემატყვეს, რომ სიცოცხლეს ვუბრუნდებოდი, მირჩიეს სამხრეთის ჰაერი და მზე. ოთხ კაცს მიყვავდი პარიზიდან შალონში, დღეში ექვს ლიეს გადიოდნენ. ქალბატონი ვილფორი უკან მომდევდა ეტლით. შალონიდან სონაზე გავცურე, იქიდან რონაზე და არლამდე მივალწიე; არლში კვლავ საკაცეზე დამდეს და ასე მივედი მარსელამდე. ჩემი გამოჯანმრთელება ექვს თვეს გაგრძელდა; აღარაფერი მესმოდა თქვენს შესახებ, ვერც ვბედავდი მეკითხა, როგორ იყავით. როდესაც პარიზში დავბრუნდი, გავიგე, რომ დაქვრივებულიყავით და დანგლარს გაჰყოლოდით.

«რაზე ვფიქრობდი მე მას შემდეგ, რაც გონზე მოვედი? სულ ერთ რამეზე, იმ ჩვილი ბავშვის გვამზე. ყოველ ღამე მესიზმრებოდა, რომ იგი სასაფლაოდან ამოდიოდა და თითოთ მემუქრებოდა. და აი, როგორც კი პარიზში დავბრუნდი, ამბავი ვიკითხე: იმ სახლში არავინ ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი მივატოვეთ, მაგრამ ცხრა წლით გაექირავებინათ. მე წავედი მდგმურებთან: ისეთი სახე მივიღე, თითქოს არ მინდოდა, ჩემი განსვენებული ცოლის მშობლების სახლი სხვის ხელში გადასულიყო და შევთავაზე, პირობის დარღვევის სანაცვლოდ პირგასამტეხლო გადამეხადა. ექვსი ათასი ფრანკი მომთხოვეს. მზად ვიყავი გადამეხადა ათი და ოცი ათასიც. ფული თან მქონდა და ხელშეკრულება იმ წუთშივე დავარღვიეთ; რაკი ეს საქმე მოვაგვარე, იმ წუთშივე ოტეილისაკენ გავწიე. არავინ შესულიყო იმ სახლში მას შემდეგ, რაც მე გამოვედი.

«დღის ხუთი საათი იყო, წითელ ოთახში ავედი და დაღამებას დავუცადე.

«ამ ლოდინში უფრო მრისხანედ მეჩვენა ის, რასაც მთელი წლის განმავლობაში ჩემ თავს ვუმეორებდი დიდად შემფოთებული.

— იმ კორსიკელმა, რომელმაც ვენდეტა გამომიცხადა, ნიმიდან პარიზში გამომსდია, ბაღში დაიძალა და ხანჯალი ჩამცა. მან დაინახა, როგორ ამოვთხარე საფლავი და დავმარხე ბავშვი; მას შეეძლო გაეგო თქვენი ვინაობა; შეიძლება გაიგო კიდეც... ვინ იცის, შეიძლება კიდეც როდისმე გადაგახდევინოთ ამ საშინელი საიდუმლოს შენახვის საფასური!.. ეს მისთვის ყველაზე ტკბილი შურისძიება იქნება, როცა გაიგებს, რომ მისმა ხანჯალმა არ მომკლა. ამიტომ აუცილებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება მალე მომესპო წარსულის ყველა კვალი, — მისი წუთიერი საბუთები; ისიც საკმარისია, რომ იგი ყოველთვის იცხოვრებს ჩემს გონებაში.

«აი, ამიტომ დავახევი ხელშეკრულება, ამიტომ წამოვიყვანე ცხენი ჭენებით და ვუცდიდი ამ ოთახში.

« დაღამდა; მე ვუცდიდი მთლად ჩამოხნელებულიყო; ოთახში უსანთლოდ ვიჯექი, ქარი ფარდებს არხევდა, მათ უკან ჩასაფრებული ჯაშუშები მელანდებოდა; დროდადრო ვთრთოდი; ჩემს უკან საწოლი იდგა, მელანდებოდა, თითქოს თქვენ კვნესოდით და მოხედვის მეშინოდა. ამ სიჩუმეში მესმოდა საკუთარი გულისცემა. იგი ისე მძლავრად სცემდა, რომ მეგონა ჭრილობა ისევ გამეხსნება- მეთქი. ბოლოს სოფელში ერთიმეორის მიყოლებით ყველა ხმა მიწყდა. მივხვდი, რომ აღარაფერი იყო საშიში, ვერც ვერავინ დამინახავდა. მივხვდი, რომ ვერც ვერავინ გამიგონებდა და გადავწყვიტე ბაღში ჩავსულიყავი.

«იცით რა, ერმინა, მე სხვებზე უფრო მშიშარა როდი ვარ, მაგრამ როდესაც ყელზე ჩამოკიდებული კიბის გასაღები ჩამოვიხსენი, რომელიც ჩვენთვის, ორივესათვის ძვირფასი იყო და რომელიც თქვენ ოქროს ბეჭედზე დაამაგრეთ, — კარი გავაღე და დავინახე, რომ ფანჯარაში შემოჭრილი მთვარის გრძელი სხივი მოჩვენებასავით ეცემოდა ხვეულ კიბეს, კედელს ვეცი და კინალამ დავიყვირე; ასე მეგონა ვგიჟდებოდი.

«ბოლოს, როგორც იქნა, ღონე მოვიკრიბე. კიბეზე ნელ-ნელა დავეშვი. მხოლოდ მუხლების საშინელი კანკალი ვერაფრით ვერ დაძლიე. მოაჯირს ვეყრდნობოდი, თორემ უსათუოდ დავეცემოდი.

როგორც იქნა ქვეითა კარამდე მივადწიე; ამ კარს უკან კედელზე მიყუდებული იყო ბარი. თანა მქონდა საიდუმლო ფარანი; როცა შუა მინდორამდე მივედი, ავანთე და გზა განვაგრძე.

«ნოემბრის ბოლო რიცხვები იყო; ბაღში სიმწვანე გამქრალიყო, ხეებს, თითქოს ჩონჩხებიაო, თავისი გრძელი გამხმარი ხელები გაეწვდინათ, ხოლო ჩამოცვენილ ფოთლებს და ქვიმას ჩემს ფეხებქვეშ შრიალი გაჰქონდა.

«შიში გულს ისე მიკუმშავდა, რომ როდესაც ბუჩქებს მივუახლოვდი, ჯიბიდან დამბაჩა ამოვიღე და ჩახმახი ფეხზე შევაცენე. მე სულ მელანდებოდა, რომ ტოტებიდან კორსიკელი მითვალთვალებდა.

«ბუჩქები საიდუმლო ფარნით გავანათე; იქ არავინ იყო. ირგვლივ მიმოვიხედე: სულ მარტო ვიყავი; არავითარი ხმაური არ არღვევდა სიჩუმეს, მხოლოდ ბუ გაჰკიოდა ბოროტად და გულის გამგმირავად, თითქოს ღამის მოჩვენებებს ეძახდა.

«ფარანი ჩამოვკიდე ორად გაყოფილ ტოტზე, რომელიც ჯერ შარშანაც შევამჩნიე სწორედ იმ ადგილას, სადაც მაშინ საფლავი ამოვთხარე;

«ზაფხულის განმავლობაში აქ სქელი ბალახი ამოსულიყო, ხოლო შემოდგომაზე იგი არავის მოეთიბა. ადგილმა, სადაც ბალახი ნაკლები იყო, მაინც მიიქცია ჩემი ყურადღება. ცხადი იყო, რომ მაშინ მიწა ამ ადგილზე ამოვთხარე. მუშაობას შევუდექი. «როგორც იქნა დადგა წუთი, რომელსაც უკვე ერთ წელზე მეტი ველოდი.

«სამაგიეროდ როგორი იმედი მქონდა, როგორი მონდომებით ვთხრიდი, როგორ ვაკვირდებოდი ბელტის თითოეულ გოროხს. როგორც კი მეგონა, ბარი რაღაცას მოხვდა-მეთქი, არაფერი აღმოჩნდებოდა. ორჯერ უფრო დიდი ორმო ამოვთხარე, ვიდრე პირველი იყო. ვიფიქრე, შევცდი ალბათ, ადგილი სწორად ვერ გამოვიცანი-მეთქი; ვათვალიერებდი ხეებს, ვაკვირდებოდი, ვცდილობდი ყველაფერი დაწვრილებით გამეხსენებინა. შიშველ ტოტებში ცივი გამსჭვალავი ქარი ქროდა, მე კი შუბლზე ოფლი ღვარად გადმომდიოდა. გამახსენდა, რომ ხანჯალი სწორედ მაშინ დამარტყეს, როდესაც საფლავს მიწას ვაყრიდი; ამ დროს ხელით ტირიფნარს ვეყრდნობოდი, ჩემს უკან იყო ხელოვნური ლოდი, რომელიც მოსეირნეებს სკამის მაგივრობას უწყევდა; როდესაც დავეცი, ხელით ამ ცივ ქვას შევეხე. ახლა ტირიფნარი ჩემგან მარჯვნივ იყო, ლოდი კი უკან; მე მიწაზე ისე დავეცი, როგორც მაშინ, შემდეგ წამოვდექი და კვლავ თხრა და ორმოს გაღრმავება დავიწყე. არაფერი იყო. ყუთი არ აღმოჩნდა.»

— ყუთი არ აღმოჩნდა? — ჩაიჩურჩულა ქალბატონმა დანგლარმა და შიშისაგან კინადამ სული შეეხუთა.

— არ გეგონოთ, რომ ამ ცდით შევიზღუდე, — განაგრძო ვილფორმა, — არა, არა! მთელი ჭალა გადავქექე, ვიფიქრე, მკვლელმა ყუთი იმ მიზნით ამოთხარა, რომ შიგ საგანძური ეგონა და თან წაიღო, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ შეცდა, შეიძლება ისევ ხელახლა ჩამარხა-მეთქი. მერე უცებ გამიელვა აზრმა, რომ იქნებ ასეთი სიფრთხილე არც კი გამოიჩინა და უბრალოდ სადმე მიაგდო-მეთქი. ასეთ შემთხვევაში ძიების გასაგრძელებლად განთიადისათვის უნდა დამეცადა. ოთახში დავბრუნდი და ვიცდიდი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!

— როგორც კი ინათა, ისევ ბაღში ჩავედი. პირველად ჭალა დავათვალიერე, იმედი მქონდა მეპოვა რაიმე კვალი, რაც ღამით შეუმჩნეველი დამრჩა. სიგრძით ოცი და სიგანით ორ ფუტზე მეტი მიწა გადავთხარე. დაქირავებული მუშა ერთ დღეში ვერ გააკეთებდა იმას, რაც მე ერთ საათში გავაკეთე. ვერაფერი ვიპოვე, აბსოლუტურად ვერაფერი.

«მაშინ დავიწყე ყუთის ძებნა იმ მოსაზრებით, რომ სადმე მიაგდეს. ეს შეიძლებოდა ჭიშკრისკენ მიმავალ გზაზე მომხდარიყო; მაგრამ ეს ახალი ცდა ისევე უშედეგო აღმოჩნდა, როგორც პირველი. გული გავიმაგრე და ისევ ჭალას დავუბრუნდი, რომელზედაც უკვე აღარავითარ იმედს არ ვამყარებდი.

— ღმერთო ჩემო, ეს მდგომარეობა მართლაც გააგიჟებდა ადამიანს, — შეჰყვირა ქალბატონმა დანგლარმა.

— ერთი წუთით ამისი იმედი მქონდა, — უთხრა ვილფორმა, მაგრამ ეს ბედნიერება არ მეღირსა. მე მაინც მოვიკრიბე მთელი ძალა, გონება და თავს ვკითხე: «რატომ წაიღო იმ კაცმა ის გვამი?»

— თქვენ თვითონ არ თქვით, — გამოეპასუხა ქალბატონი დანგლარი, — რათა საბუთი ჰქონოდაო.

— არა, ქალბატონო, ეს შეუძლებელი იყო. გვამს ერთი წლის განმავლობაში არ მაღავენ, მას მართლმსაჯულებას უდგენენ და ჩვენებას აძლევენ. ამის მსგავსი კი არაფერი მომხდარა.

— მაშ რა მოხდა? — ჰკითხა ცახცახით ერმინამ.

— მოხდა რაღაც გაცილებით უფრო საშინელი, გაცილებით საბედისწერო, სახიფათო ჩვენთვის; ბავშვი, ალბათ, ცოცხალი იყო და მკვლელმა იგი გადაარჩინა. ქალბატონმა დანგლარმა საშინლად წამოიყვირა და ვილფორს ხელებში ეცა.

— ჩემი ბავშვი ცოცხალი იყო! — თქვა მან, — ჩემი ბავშვი ცოცხალი დამარხეთ, ბატონო! თქვენ დარწმუნებული არ იყავით, რომ იგი მკვდარი იყო და მაინც დამარხეთ!

ქალბატონი დანგლარი მეფის პროკურორის წინაშე მთელი ტანით აღიმართა, მუქარით შეჰყურებდა და მის ხელებს თავისი პატარა ხელებით იჭერდა.

— განა შემიძლია ამისი ცოდნა?! ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, — უპასუხა ვილფორმა. მისი გაშტერებული მზერა იმას მეტყველებდა, რომ ეს ძლიერი კაცი სასოწარკვეთილებისა და სიგიჟის საზღვარზე იდგა.

— ჩემი ბავშვი, ჩემი საცოდავი ბავშვი! — შეჰყვირა ბარონესამ, რომელიც სავარძელში ჩაეშვა და შეეცადა ქვითინი ცხვირსახოცში ჩაეხშო.

ვილფორი გონს მოვიდა და მიხვდა, რომ დედის მრისხანებას იმ შემთხვევაში აიცილებდა, თუ ქალბატონ დანგლარსაც იმავე შიშს ჩაუნერგავდა, რასაც თვითონ განიცდიდა.

— ხომ გესმით, თუ ეს ასეა, ჩვენ დავიღუპეთ, — უთხრა მან და ბარონესას მიუახლოვდა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა უფრო ხმადაბლა ელაპარაკა. — ეს ბავშვი ცოცხალია და ვილაცამ იცის ამის შესახებ, ვილაცა ფლობს ჩვენს საიდუმლოებას; და რაკი მონტე-კრისტო გველაპარაკება საფლავიდან ამოთხრილ ბავშვზე, რომელიც იქ აღარ იყო — მაშასადამე, ეს საიდუმლოება მან იცის.

— ღმერთო, ღმერთო სამართლიანო! ეს შენი შურისძიებაა, — ჩაიჩურჩულა ქალბატონმა დანგლარმა.

ვილფორმა რაღაც ღმუილით უპასუხა.

— მაგრამ, სად არის ბავშვი, სად? — იმეორებდა დედა.

— ჰო, როგორ ვეძებდი მას! — თქვა ვილფორმა ხელების მტვრევით, — როგორ ვუხმობდი გრძელ, უძილო ღამეებში! რამდენჯერ მინატრია მეფის სიმდიდრე, რომ მილიონობით ადამიანებისაგან მეყიდა მათი საიდუმლოება და ამ საიდუმლოებათა შორის მიმეგნო ჩემი საიდუმლოებისათვის. ბოლოს, ერთხელ, როდესაც უკვე მეასედ მოვკიდე ხელი ბარს და მეასედ ვკითხე ჩემს თავს — რა უნდა ექნა იმ კორსიკელს ბავშვისათვის, ლტოლვილისათვის ბავშვი ხომ ტვირთია, ცოცხალი რომ ნახა, შეიძლება წყალში გადააგდო?

— შეუძლებელია! — შეჰყვირა ქალბატონმა დანგლარმა; — შურისძიების გამო შეიძლება მოჰკლა ადამიანი, მაგრამ გულგრილად ვერ დაახრჩობ ბავშვს.

— შეიძლება ბავშვთა თავშესაფარში წაიყვანა, — თქვა ვილფორმა.

— დიახ, დიახ, — შეჰყვირა ქალბატონმა დანგლარმა, — ჩემი ბავშვი იქ არის, ბატონო!

— მე ბავშვთა თავშესაფარში გავიქეცი და გავიგე, რომ იმ სალამოს, ოც სექტემბერს, შესასვლელში ბავშვი დაედოთ, ის გახვეული ყოფილიყო თხელი ტილოს ჩვრებში. ჩვარი, ეტყობა, განგებ ისე იყო გახეული, რომ ამ ნახევარზე ბარონის გერბის ნახევარი და ასო «ნ» დარჩენილიყო.

— სწორედ ასეა, სწორედ ასეა, — შეჰყვირა ქალბატონმა დანგლარმა, — მთელ ჩემს თეთრეულს ასეთი ნიშანი ჰქონდა; დე ნარგონი ბარონი იყო, ეს ჩემი ინიციალია. მადლობა ღმერთს, ჩემი ბავშვი არ მომკვდარა!

— არა, არ მომკვდარა.

— თქვენ მეუბნებით ამას და არ გეშინიათ, რომ სიხარულისაგან მოვკვდე? სად არის იგი? სად არის ჩემი ბავშვი?

ვილფორმა მხრები აიჩეჩა.

— განა ვიცი! — თქვა მან; — როგორ გგონიათ, რომ მცოდნოდა, გაიძულებდით გადაგეტანათ ყველა ეს მღელვარება, როგორც ამას დრამატურები და რომანისტები სჩადიან? არა, არ ვიცი! ჩემამდე ექვსი თვით ადრე ბავშვის წასაყვანად მისულა ვიღაცა ქალი და ჩვრის მეორე ნახევარი მოუტანია. ამ ქალმა კანონით გათვალისწინებული ყველა საბუთი წარმოადგინა და ბავშვი მისცესო.

— თქვენ უნდა გაგეგოთ ვინ იყო ის ქალი, მოგეძებნათ იგი!

— თქვენის აზრით, რას ვაკეთებდი, ქალბატონო? სასამართლოს ძიების საბაბით მის კვალს ყველაზე მარჯვე გამომძიებლები და პოლიციის ყველაზე გამოცდილი აგენტები დავადევნე. კვალს შალონამდე მიჰყვნენ; აქ იგი დაიკარგა.

— დაიკარგა?

— დიახ, დაიკარგა, სამუდამოდ დაიკარგა.

ქალბატონმა დანგლარმა მოისმინა ვილფორის ნაამბობი და თითოეულ მოვლენას ხან ცრემლით, ხან ოხვრით, ხან წამომახილებით გასცა პასუხი.

— სულ ეს არის? — თქვა მან, — და თქვენ ამით დაკმაყოფილდით?

— არა, — უპასუხა ვილფორმა, — მე არასოდეს შემიწყვეტია ძებნა, კითხვა, ცნობების შეგროვება. თუმცა ისიც მართალია, რომ უკანასკნელი ორი-სამი წელი ცოტა შევისვენე. მაგრამ ახლა კიდევ უფრო დაჟინებით, ჯიუტად მოვკიდებ ხელს, ვიდრე ოდესმე. მე მივაღწევ წარმატებას, გესმით; რადგან ახლა სინდისი კი არა, შიში მამოძრავებს.

— მე მგონია, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა, — გრაფმა მონტე-კრისტომ არაფერი იცის, თორემ, ჩემი აზრით, ის არ მოისურვებდა ჩვენთან დაახლოებას.

— ადამიანთა ბოროტებას საზღვარი არა აქვს, — თქვა ვილფორმა. — ის უფრო უსაზღვროა, ვიდრე ღმერთის მოწყალება. მიაქციეთ ყურადღება იმ კაცის თვალებს, როდესაც ჩვენ გველაპარაკებოდა?

— არა.

— ოდესმე დაკვირვებხართ მას?

— რასაკვირველია. უცნაური კაცია და სხვა არაფერი. მხოლოდ ერთმა ამბავმა გამაოცა: იმ ჩინებულ სადილზე, რომლითაც იგი ჩვენ გაგვიმასპინძლდა, პირი არაფრისთვის დაუკარებია, არც ერთი კერძი არ გაუსინჯავს.

— დიახ, დიახ! — თქვა ვილფორმა, — მეც შევამჩნიე. მაშინ რომ მცოდნოდა ის, რაც ახლა ვიცი, მეც არაფერს მივეკარებოდი; ვიფიქრებდი, მოწამვლას გვიპირებს-მეთქი.

— მაგრამ, ხომ ხედავთ, შეცდებოდით.

— დიახ, რასაკვირველია; მაგრამ მერწმუნეთ, ამ კაცს სხვა გეგმები აქვს; აი, ამიტომ მინდოდა თქვენი ნახვა და მოლაპარაკება, ამიტომ მინდოდა ყველასაგან დამეფარეთ, განსაკუთრებით კი იმისაგან. მითხარით, — განაგრძო ვილფორმა და თვალები ბარონესას უფრო მეტად მიაშტერა, — თქვენ არავისთვის გითქვამთ ჩვენი დამოკიდებულების ამბავი?

— არასოდეს, არავისთვის.

— მომიტევეთ ასეთი დაჟინება, მაგრამ როდესაც გეკითხებით, არავისთვის გითქვამთ-მეთქი, — განაგრძო რბილად ვილფორმა, — ეს ნიშნავს არავისთვის ამქვეყნად.

— დიახ, დიახ, ძალიან კარგად მესმის, — უთხრა ბარონესამ და გაწითლდა არავისთვის ამქვეყნად.

— თქვენ ჩვეულებად არა გაქვთ საღამოთი ჩაიწეროთ ის, რაც დღისით მოხდა? დღიურებს არა წერთ?

— არა, ჩემი ცხოვრება ფუქსავატურად მიდის; და მე თვითონაც არ მახსოვს იგი.
— ძილში არ ლაპარაკობთ?
— ბავშვივით მძინავს, განა არ გახსოვთ?
ბარონესას სიწითლე გადაეკრა, ვილფორი კი გაფითრდა.
— ჰო, მართლა, — თქვა მან ძლივს გასაგონად.
— ახლა რას აპირებთ? — ჰკითხა ბარონესამ.
— ახლა? ვიცი რაც უნდა გავაკეთო, — უპასუხა ვილფორმა, — ერთ კვირაში უკვე მეცოდინება, ვინ არის მონტე-კრისტო, საიდან მოდის, სად მიდის, და რატომ გვიყვება მის ბაღში ამოთხრილი ბავშვის ამბავს.
ვილფორმა ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა, გრაფს რომ გაეგონა, შეკრთებოდა.
შემდეგ ქალბატონ დანგლარს მის მიერ უხალისოდ გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და მოწიწებით მიაცილა კარამდე.
ქალბატონმა დანგლარმა სხვა ფიაკრი იქირავა, პასაჟამდე მივიდა, მეორე მხარეს იპოვა თავისი ეტლი და მეეტლე, რომელიც ქალბატონის მოლოდინში კოფოზე მშვიდად თვლემდა.

თავი XI

მიპატიჟება

იმავე დღეს, დაახლოებით იმ დროს, როდესაც ქალბატონი დანგლარი მეფის პროკურორთან ჩვენს მიერ აღწერილ ვიზიტზე იყო, ელდერის ქუჩაზე გამოჩნდა სამგზავრო ეტლი, ¹²⁷ სახლის ჭიმკარში შევიდა და ეზოში გაჩერდა.
ეტლის კარი გამოიღო, იქიდან გადმოვიდა ქალბატონი დე მორსერი, რომელიც თავის ვაჟს მკლავზე დაყრდნობოდა.
ალბერმა დედა ოთახამდე მიაცილა, მაშინვე აბაზანა და ეტლი შეუკვეთა და როგორც კი თავის პირისფარემის ხელიდან გათავისუფლდა, უბრძანა ელისეის მინდვრებზე წაეყვანათ გრაფ მონტე-კრისტოსთან.
გრაფმა იგი მისთვის ჩვეული ღიმილით მიიღო. ეს რაღაც უცნაური ამბავი იყო; შეუძლებელი იყო თუნდაც ცოტათი მაინც დაუფლებოდით ამ კაცის გონებას ან გულს. ყველა, ვინც კი შეეცდებოდა ძალათი შეჭრილიყო მის სულში, გადაულახავ კედელს წააწყდებოდა.
მორსერმა, რომელიც მისკენ ხელგამლილი გაეშურა, მის დანახვაზე ხელები უნებურად დაუშვა და, გრაფის მეგობრული ღიმილის მიუხედავად, მარტო ხელის ჩამორთმევა გაბედა.
თავის მხრივ, გრაფი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ოდნავ შეეხო მის ხელს.
— აი, ძვირფასო გრაფო, მეც აქა ვარ, — უთხრა ალბერმა.
— კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება.
— მხოლოდ ერთი საათია, რაც ჩამოვედი.
— დიეპიდან?
— ტრეპორიდან.
— ჰო, მართლა.
— და ჩემი პირველი ვიზიტი თქვენ გეკუთვნით.
— ეს თქვენი მხრივ ძალიან მოსაწონია, — უთხრა მონტე-კრისტომ ისევე გულგრილად, როგორც სხვა რომელსამე წინადადებას იტყოდა.
— აბა, მითხარით, რა არის ახალი?

— თქვენ მე მეკითხებით ახალ ამბავს, მე უცხოელს?
 — ვერ გამოგეთ; მინდოდა მეკითხა, ჩემთვის თუ რამე გააკეთეთ-მეთქი.
 — განა თქვენ რამე დამავალეთ? — უთხრა მონტე-კრისტომ და ვითომდა შეშფოთებული სახე მიიღო.

— ოჰ, გულგრილობის ნიღაბს ნუ იფარებთ, — უთხრა ალბერმა, — ამბობენ, რომ არის სიმპათიური კვაშირი, რომელიც შორ მანძილზე მოქმედებს; ჰოდა, აი რა, ტრეპორში მე ვიგრძენი ასეთი ელექტრული დენი; შეიძლება, თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ ჩემთვის, მაგრამ ფიქრობდით მაინც.

— ეს შესაძლებელია, — უთხრა მონტე-კრისტომ, — მე მართლაც ვფიქრობდი თქვენზე, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, მაგნიტური დენი, რომლის გამტაცებელი მე ვიყავი, ჩემს გარეშე მოქმედობდა.

— მართლა? მომიყევით, როგორ იყო?
 — ძალიან უბრალოდ. ჩემთან სადილობდა დანგლარი.
 — ეს ძალიან კარგად ვიცი, მე და დედაჩემი სწორედ იმიტომ გავემგზავრეთ, რომ მის შეხვედრას განვრიდებოდით.
 — სამაგიეროდ, ის სადილობდა ანდრეა კავალკანტისთან ერთად.
 — თქვენს იტალიელ თავადთან ერთად?
 — რა საჭიროა გაზვიადება, ანდრეა თავის თავს მხოლოდ ვიკონტს უწოდებს.
 — თავის თავს უწოდებს?
 — სწორედ ასეა.
 — მაშ ის ვიკონტი არ არის?
 — მე საიდან უნდა ვიცოდე? ის ასე ეძახის თავის თავს და მეც ასე მივმართავ, ასე მიმართავენ სხვებიც; განა ეს იგივე რა არის, რომ იგი ნამდვილად ვიკონტი?
 — ორიგინალურ აზრებს გამოთქვამთ! კარგი, მერე?
 — რა, მერე?
 — თქვენთან სადილობდა დანგლარი?
 — დიახ.
 — და თქვენი ვიკონტი ანდრეა კავალკანტი?
 — ვიკონტი ანდრეა კავალკანტი. მამამისი მარკიზი, ქალბატონი დანგლარი, ქალბატონი და ბატონი დე ვილფორები, მომხიბვლელი ყმაწვილები: დებრე, მაქსიმილიან მორელი და... კიდევ ვინ? მოითმინეთ... ჰო, შატო-რენო.

— ლაპარაკობდნენ ჩემზე?
 — არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ.
 — მით უარესი.
 — რატომ? ვგონებ თქვენ თვითონ გასურდათ დავიწყებოდით, აი, თქვენი ნატვრა ასრულდა.

— ძვირფასო გრაფო, თუ ჩემზე არ ლაპარაკობდნენ, მაშინ, ალბათ ბევრს ფიქრობდნენ, ამას კი სასოწარკვეთილებამდე მივყავარ.

— მაგრამ თქვენთვის სულ ერთი არ არის, რაკი მადმუაზელ დანგლარი არ იყო მათ რიცხვში, ვისაც თქვენზე უნდა ეფიქრა? ჰო, მართლა, იმას შინაც შეეძლო ეფიქრა თქვენზე.

— ჰო, ამ მხრივ დამშვიდებული ვარ; და თუ კიდევაც ფიქრობდა, ალბათ ისევე, როგორც მე მასზე.

— რა გულის ამაჩუყებელი სიმპათიებია! — თქვა გრაფმა, — მაშ თქვენ ერთმანეთს ვერ იტანთ?

— მისმინეთ, გრაფო, — უთხრა მორსერმა, — მადმუაზელ დანგლარს რომ შეეძლოს შემთხვევით იმ წამებისათვის, რომელსაც მე, კაცმა რომ თქვას, მისი გულისათვის არ განვიცდი, და დამაჯილდოვოს ამის გამო, ანგარიში არ გაუწიოს ჯვარისწერის პირობებს, რომელზედაც ჩვენმა ოჯახებმა მოილაპარაკეს, მე აღფრთოვანებული ვიქნებოდი. მოკლედ რომ ვთქვათ, მე ვფიქრობ, მადმუაზელ დანგლარისაგან მომხიბვლელი საყვარელი გამოვიდოდა, ცოლის როლში კი, ეშმაკმა დალახვროს!..

— ცუდი შეხედულება არ გქონიათ თქვენს მომავალ ცოლზე, — უთხრა სიცილით მონტე-კრისტომ.

— დიახ, ეს ცოტა უხეშად გამომივიდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სწორია. ამოცანების განხორციელება კი შეუძლებელია. იმისთვის, რომ განსაზღვრულ მიზანს მივაღწიოთ, აუცილებელია, მადმუაზელ დანგლარი ჩემი ცოლი გახდეს, ესე იგი ჩემთან ერთად იცხოვროს, ჩემს გვერდით იფიქროს, იმღეროს, დაუკრას და ჩემგან ათი ნაბიჯის მანძილზე ლექსები წეროს, ყოველივე ეს მე მაშინებს. საყვარელს შეიძლება დასცილდე, მაგრამ ცოლი, ეშმაკმა დალახვროს, სულ სხვა რამაა. ხოლო მადმუაზელ დანგლართან თუნდაც შორი მანძილიდან მუდმივი დაკავშირება, — ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა.

— თქვენს გულს ვერაფრით ვერ მოიგებს კაცი, ვიკონტ.

— დიახ, რადგან ხშირად მე ვოცნებობ შეუძლებელზე.

— რაზე?

— შემხვდეს ისეთი ცოლი, როგორც მამაჩემს შეხვდა.

მონტე-კრისტო გაფითრდა, ხელში საუცხოო დამბაჩები აათმაშა და სწრაფად ჩახმახები მოსწია.

— მამ მამათქვენი ძალზე ბედნიერი იყო? — ჰკითხა მან.

— იცით გრაფო, რა შეხედულებისა ვარ დედაჩემზე: ანგელოზია, შეხედეთ, ჯერ ისევ მშვენიერია, ისევე ჭკვიანია, როგორც ყოველთვის იყო, უფრო გულკეთილია, ვიდრე ოდესმე; ჩვენ ეს-ეს არის ტრეპორიდან მოვდივართ; ჩვეულებრივად ვაჟისათვის დედის თანხლება თავაზიანობაა ან მოვალეობის შესრულება. მე კი მასთან მარტოდმარტო ოთხი დღე გავატარე და, გეტყვით, თავს უფრო ბედნიერად, უფრო დასვენებულად, უფრო პოეტურად ვგრძნობდი, ვიდრე იმ შემთხვევაში ვიგრძნობდი, ტრეპორში დედოფალი მამი ან ტიტანია რომ მეტარებინა.

ასეთი სრულყოფა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს ადამიანს; კაცმა რომ ყური დაგიგდოთ, ნამდვილად უცოლოდ დარჩენას მოინდომებს.

— საქმეც სწორედ ისაა, უთხრა მორსერმა, — ვიცი, რომ ქვეყნად არსებობს სრულყოფილი ქალი და არ მივისწრაფი მადმუაზელ დანგლარზე დავიწერო ჯვარი. შეგიმჩნევიათ, როგორი ბრწყინვალე ფერებით ღებავს ჩვენი ეგოიზმი ყველაფერს, რაც ჩვენ გვეკუთვნის? მარლეს ან ფოსენას ვიტრინაში მოელვარე ბრილიანტი გაცილებით უფრო მშვენიერი გვეჩვენება მას შემდეგ, როცა იგი ჩვენი ხდება. მაგრამ თუ დავრწმუნდებით, რომ არსებობს მეორე, უფრო წყალჯავარიანი ბრილიანტი, ხოლო ჩვენ უფრო ცუდი გვერგო, ხომ გესმით ეს წამება?

— ოჰ, ამაოებავ! — ჩაიჩურჩულა მონტე-კრისტომ.

— აი ამიტომ, სიხარულისაგან შევხტები იმ დღეს, როდესაც ეყენი გაიგებს, რომ მე უმნიშვნელო ატომი ვარ და, იმდენი ასეული ფრანკიც კი არ მაქვს, რამდენიც მას მილიონი აქვს.

მონტე-კრისტოს გაეღიმა.

— მე სხვა რამეზეც ვიფიქრე, — განაგრძო ალბერმა: ფრანცს უყვარს ყველაფერი ექსცენტრული; მე მინდოდა მეიძულებინა შეეყვარებინა მადმუაზელ დანგლარი. ოთხი წერილი მივწერე და ქალბატონი დანგლარი ძალზე მიმზიდველ ფერებში აღვწერე, მაგრამ ფრანცმა შეუშფოთებლად მიპასუხა: «მართალია მე ექსცენტრული კაცი ვარ, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩემი სიტყვა უკან წავიღო».

— აი, რას ნიშნავს თავდადებული მეგობარი; მეორეს ცოლად სთავაზობდე ქალს, რომელიც თვითონ მხოლოდ საყვარლად გინდა.

ალბერს გაელიდა.

— ჰო, მართლა, — განაგრძო მან, — ჩვენი ძვირფასი ფრანცი ბრუნდება; თუმცა, თქვენ, ვგონებ, არ გიყვართ?

— მე? — უთხრა მონტე-კრისტომ, — ძვირფასო ვიკონტ, საიდან მოიტანეთ, რომ იგი არ მიყვარს? მე ყველა მიყვარს.

— მათ რიცხვში მეც... გმადლობთ.

— ერთმანეთში ნუ აურევთ ცნებებს, — უთხრა მონტე-კრისტომ. — მე მიყვარს ყველა ისე, როგორც უფალი გვავალებს ჩვენი ახლობლების სიყვარულს: — ქრისტიანული სიყვარულით; მხოლოდ რამდენიმე პიროვნება მძულს.

დავუბრუნდეთ ფრანცს, თქვენ ამბობთ, რომ ის მალე ჩამოვა!

— დიახ, ბატონმა დე ვილფორმა გამოიძახა. როგორც ჩანს, მასაც ისევე ეჩქარება მადმუაზელ ვალენტინას გათხოვება, როგორც ბატონ დანგლარს მადმუაზელ ეჟენის გათხოვება. როგორც ეტყობა, მოწიფული ქალიშვილის შინ ყოფნა ძნელი საქმე ყოფილა. მამებს, მე მგონია, ამის გამო აციებთ და მაჯა წუთში ოთხმოცდაათჯერ უცემთ, სანამ მათგან არ განთავისუფლდებიან.

— მაგრამ ბატონი დ'ეპინე თქვენ არა გგავთ; ის მოთმინებით იტანს თავის მდგომარეობას.

— უფრო მეტი; ფრანცი ამას სერიოზულად დებულობს; ის თეთრ ჰალსტუხებს ატარებს და უკვე ლაპარაკობს თავის ოჯახზე. გარდა ამისა, ვილფორებს ძალიან პატივს სცემს.

— სავსებით დამსახურებულად, არა?

— ალბათ. ვილფორი ყოველთვის მკაცრ, მაგრამ სამართლიან კაცად ითვლება.

— მადლობა ღმერთს, — თქვა მონტე-კრისტომ, — აი, ადამიანი, რომელზედაც თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ისე არ მსჯელობთ, როგორც დანგლარზე.

— შეიძლება იმიტომ, რომ მის ქალიშვილს არ ვთხოვლობ, — უპასუხა სიცილით ალბერმა.

— თქვენ მართლაც გულზვიადი, ფუქსავატი ხართ, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— მე?

— დიახ, თქვენ. მაგრამ აიღეთ სიგარა.

— სიამოვნებით. რატომ გგონივართ ქარაფშუტა?

— იმიტომ, რომ ასე გაშმაგებით იცავთ თავს და იბრძვით მადმუაზელ დანგლარის შერთვის წინააღმდეგ. ღმერთო ჩემო, დაე მოვლენები თავის რიგით წავიდეს. იქნებ თქვენ პირველმა არ თქვათ უარი სიტყვაზე.

— ოჰ, — თქვა ალბერმა ფართოდ გაღებულ თვალებით.

— ეშმაკმა დალახვროს, ძალით ხომ არ დაგადგამენ უღელს. მისმინეთ, ვიკონტ, — განაგრძო მონტე-კრისტომ სხვა ტონით, — თქვენ სერიოზულად გსურთ კავშირის გაწყვეტა?

— ამის გულისათვის ასი ათას ფრანკს მივცემდი.

— მაშ გაიხარეთ: დანგლარი მზადაა ორჯერ მეტი გადაიხადოს, ოღონდ იმავე მიზანს მიაღწიოს.

— მართლა? აი, ბედნიერება! — თქვა ალბერმა, რომლის სახეზე მაინც გაირბინა ოდნავმა ღიმილმა. — ძვირფასო გრაფო, ბატონ დანგლარს ამისათვის რაღაცა მიზეზი ექნება?

— აჰა, სიამაყე და ეგოიზმი! ადამიანი ყოველთვის ასეთია: სხვის თავმოყვარეობას ნაჯახით სცემს, ხოლო როდესაც მისას ნემსით უჭხვლეტენ, ყვირილს მორთავს.

— არა! მაგრამ მე მეგონა, რომ ბატონი დანგლარი...

— აღფრთოვანებული უნდა იყოს თქვენი პიროვნებით, არა? მაგრამ, ცნობილია, რომ დანგლარს ცუდი გემოვნება აქვს, და ის უფრო სხვის მიერაა აღფრთოვანებული.

— ვის მიერ, მაინც?

— რა მოგახსენოთ, შეისწავლეთ, დააკვირდით, დაიჭირეთ გადაკრული სიტყვები და ყოველივე ეს თქვენს სასარგებლოდ გამოიყენეთ.

— კარგი, მესმის; მისმინეთ, დედაჩემმა... არა, არა დედაჩემმა კი არა, ვცდები, უფრო სწორედ, მამაჩემმა უნდა საცეკვაო საღამო გამართოს.

— წელიწადის ამ დროს?

— ახლა მოდად იქცა ზაფხულში საცეკვაო საღამოების გამართვა.

— ასეც არ იყოს, საკმარისია გრაფინიამ მოისურვოს და ისინი მოდური გახდებოდნენ.

— ცუდად არ არის ნათქვამი! ეს სუფთა პარიზული საღამოებია, ვინც ივლისში პარიზში რჩება ნამდვილი პარიზელია. თქვენ არ ითავებთ მოწვევა გადასცეთ ბატონ კავალკანტის?

— საღამო როდის არის დანიშნული?

— შაბათს.

— მოხუცი კავალკანტი უკვე წასული იქნება.

— მაგრამ შვილი დარჩება. იქნებ მისი მოყვანა დაივალოთ?

— მისმინეთ, ვიკონტ, მე მას არ ვიცნობ.

— არ იცნობთ?

— არა, პირველად სამი თუ ოთხი დღის წინ ვნახე, და მისთვის პასუხს სრულიადაც ვერ ვაგებ.

— მაგრამ, თქვენ რომ მას კარგად ღებულობთ?

— მე — სხვა საქმეა. მას ჩემთან რეკომენდაცია გაუწია ერთმა პატივცემულმა აბატმა, რომელიც იქნებ თვითონაც შემცდარია. თუ თქვენ თვითონ მოიწვევთ მას, ძალიან კარგი იქნება. ჩემთვის კი უხერხულია. შემდეგ რომ მადმუაზელ დანგლარზე იქორწინოს, თქვენ შუამავლობას დამწამებთ, ყელის გამოჭრას მომინდომებთ, გარდა ამისა, ისიც არ ვიცი — მე თვითონ ვიქნები თუ არა.

— სადა?

— თქვენს საცეკვაო საღამოზე.

— მერედა რატომ არ მოხვალთ?

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მიგიპატიჟებოვართ.

— მე სწორედ იმისათვის გეახელით, რომ პირადად დაგპატიჟოთ.

— ეს ძალიან მოსაწონია, მაგრამ შეიძლება ვერ მოვიცალო.

— ერთ რამეს გეტყვით და იმედი მაქვს თქვენს საქმეებს მსხვერპლად მოიტანთ.

— თქვით.

— ამას დედაჩემი გთხოვთ.

— გრაფინია დე მორსერი? — ჰკითხა შეკრთომით მონტე-კრისტომ.

— უნდა გითხრათ, ბატონო გრაფო, რომ დედა გულახდილად საუბრობს ჩემთან. და თუ თქვენ არ გითრთოდათ ის სიმპათიური სიმები, რომლებზედაც მე გელაპარაკებოდით, ეს იმიტომ, რომ საერთოდ არ გქონიათ ისინი; მთელი ოთხი დღის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ თქვენზე ვლაპარაკობდით.

— ჩემზე? მართალი გითხრათ, ძალიან მაკრთობთ.

— მისმინეთ, ეს ბუნებრივია: თქვენ ხომ ცოცხალი გამოცანა ხართ.

— ნუთუ დედათქვენისთვისაც გამოცანა ვარ? მართალი გითხრათ, ფანტაზიის ასეთი თამაშისათვის იგი საკმაოდ ჭკვიანად მიმაჩნდა.

— დიახ, ძვირფასო გრაფო, თქვენ გამოცანა ხართ ყველასათვის, და ასევე დედაჩემისათვისაც. ყველას მიერ აღიარებული, მაგრამ ყველას მიერ გამოუცნობი; დამშვიდდით, თქვენ ისევ გადაუწყვეტელ ამოცანად დარჩით. დედაჩემი ყოველთვის მხოლოდ იმას კითხულობს, როგორ მოხდა, რომ ასე ახალგაზრდა ხართ. მე მგონია, იგი გულში კალიოსტროდ ან გრაფ სენ-ჟერმენად გღებულობთ, როგორც გრაფინია გ. — ლორდ რუტვენად. პირველივე შემთხვევაში, როგორც კი ქალბატონ დე მორსერს შეხვდებით, საბოლოოდ დარწმუნდებით ამაში. ეს თქვენთვის ძნელი არაა. თქვენ ხომ, ერთი მათგანივით ფილოსოფიური ქვა გაქვთ, ხოლო მეორესავით — გონება.

— გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, — უთხრა გრაფმა ღიმილით. — მე ვეცდები ყველა ვარაუდი გავამართლო.

— ისე რომ, შაბათს მოხვალთ?

— რაკი ქალბატონი დე მორსერი მთხოვს.

— ეს ძალიან მოსაწონია თქვენს მხრივ.

— ბატონი დანგლარი?

— ჰო, მას უკვე სამმაგი მოწვევა გაუმზადეს; ეს საქმე მამაჩემმა იდო თავს. ჩვენ ასევე ვეცდებით მოვიწვიოთ დიდი დაგესო¹ (¹ დაგესო — სახელგანთქმული ფრანგი იურისტი მეცნიერი და ორატორი, უმწიკვლო ხასიათის ადამიანი (XVIII ს.) ბატონი დე ვილფორი; მაგრამ ამის იმედი არა გვაქვს.

— ანდაზა ამბობს, რომ იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო.

— თქვენ ცეკვავთ, ძვირფასო გრაფო?

— მე?

— დიახ, თქვენ. განა გასაკვირი იქნებოდა, რომ ცეკვავდეთ!

— მართლაც, ორმოცი წლის ასაკამდე... არა, მე არ ვცეკვავ; მაგრამ მიყვარს ცეკვის ყურება. ქალბატონი დე მორსერი ცეკვავს?

— არც ის ცეკვავს, თქვენ ისაუბრებთ, მას ისე სწყურია თქვენთან საუბარი.

— მართლა?

— პატიოსან სიტყვას გეუბნებით! და უნდა გითხრათ, რომ თქვენ პირველი მამაკაცი ხართ, რომელთანაც დედაჩემმა საუბრის სურვილი გამოთქვა.

ალბერმა თავისი ქუდი აიღო და წამოდგა; გრაფმა კარამდე მიაცილა.

— მე ვნანობ, — უთხრა მან ალბერს პარმალზე.

— რის გამო?

— ჩემი მოურიდებლობის გამო, თქვენთან ასე არ უნდა მელაპარაკა დანგლარზე.

— პირიქით, მასზე კიდევ უფრო მეტი ილაპარაკეთ, უფრო ხშირად ილაპარაკეთ, მუდამ ილაპარაკეთ, მაგრამ მხოლოდ ასეთნაირად.

— კარგი, თქვენ მე დამამშვიდეთ. მართლა, როდის ჩამოდის დ'ეპინე?

— არა უგვიანეს ხუთი-ექვსი დღისა.

— მისი ქორწილი როდისღაა?

— როგორც კი ბატონი და ქალბატონი დე სენ-მერანები ჩამოვლენ.

— როცა დ'ეპინე ჩამოვა, მომიყვანეთ. თუმცა ირწმუნებით, რომ არ მიყვარს, მაგრამ, მართალი გითხრათ, მისი ნახვა გამეხარდება.

— გისმენთ, ბატონო, თქვენი ბრძანება შესრულდება. ყოველ შემთხვევაში, შაბათს ხომ აუცილებლად მოხვალთ?

— რასაკვირველია, სიტყვა მოგეცით.

გრაფმა ალბერს თვალი გააყოლა და ხელი დაუქნია. შემდეგ, როდესაც ალბერი თავის ეტლში ჩაჯდა, გრაფი მობრუნდა და ბერტუჩო დაინახა.

— აბა, რას იტყვით, ბერტუჩო? — ჰკითხა გრაფმა.

— ის ქალი იყო სასამართლოში, — უპასუხა საქმეთა მმართველმა.

დიდხანს დარჩა?

— საათ-ნახევარი.

— შემდეგ შინ დაბრუნდა?

— პირდაპირ.

— ძალიან კარგი. ძვირფასო ბერტუჩო, — უთხრა გრაფმა, — ახლა რჩევას მოგცემთ: ნორმანდიაში გაემგზავრეთ და ის პატარა მამული მოძებნეთ, რომელზედაც მე გელაპარაკეთ.

ბერტუჩომ თავი დაუკრა, და რაკი მისი საკუთარი სურვილი სავსებით ემთხვეოდა მიღებულ ბრძანებას, იმ სადამოსვე გაემგზავრა.

თავი XI

ბიება

ვილფორმა შეასრულა ქალბატონ დანგლარისათვის, და რაც მთავარია, თავის თავისათვის მიცემული სიტყვა და შეეცადა გაეგო, საიდან უნდა სცოდნოდა გრაფ მონტე-კრისტოს ოტელიში მომხდარი ამბავი.

მან იმავე დღეს მისწერა ვინმე ბოვილს, ციხის ყოფილ ინსპექტორს, რომელიც უფრო დიდი ჩინით სამძებრო პოლიციაში გადმოიყვანეს. ამ უკანასკნელმა ორი დღის ვადა მოითხოვა, რათა ზუსტად გაეგო, ვისგან შეიძლებოდა ცნობების მიღება.

ორი დღის შემდეგ ვილფორმა მიიღო შემდეგი ბარათი:

«პიროვნებას, რომელსაც გრაფ მონტე-კრისტოს უწოდებენ, ახლოს იცნობს მდიდარი უცხოელი, რომელიც ზოგჯერ ჩამოდის ხოლმე პარიზში და ამჟამადაც აქ იმყოფება; მას იცნობს აგრეთვე აბატი ბუზონი, სიცილიელი მღვდელი, რომელმაც აღმოსავლეთში თავისი კეთილი საქმეებით გაითქვა სახელი».

ვილფორმა განკარგულება გასცა ამ უცხოელების შესახებ დაუყოვნებლივ შეეკრიბათ ზუსტი ცნობები. მეორე დღეს მისი ბრძანება შესრულებული იყო და აი, როგორი ცნობები მიიღო.

აბატი, რომელიც პარიზში მხოლოდ ერთი თვით ჩამოვიდა, ცხოვრობს სენ-სიუპლისის ეკლესიის უკან, პატარა ორსართულიან სახლში; ეს სახლი სულ ოთხი ოთახისაგან შედგება — ორია ზემოთ და ორი ქვემოთ. აბატი მისი ერთადერთი ბინადარია.

ქვედა სართულში მდებარეობს სასადილო ოთახი, მაგიდით, სკამებით და კაკლის ხის ბუფეტით. ხით მოპირკეთებული თეთრად შეღებილი სასტუმრო ოთახი, მოკლებულია ყოველვარ სამკაულებს, ხალიჩებს და კედლის საათს — როგორც ჩანს, პირად ცხოვრებაში აბატი კმაყოფილდება მხოლოდ აუცილებელი საგნებით.

მართალია, აბატი უპირატესობას აძლევს მეორე სართულის სასტუმრო ოთახს, ეს სასტუმრო ანუ უფრო სწორად ბიბლიოთეკა გატენილია ღვთისმეტყველების

წიგნებით და ხელნაწერებით; ამ ოთახში, როგორც მისი კამერდინერი ამბობს, იგი თვეობით იკეტება. კამერდინერი მნახველებს ათვალიერებს კარებში გამოჭრილი პატარა მოძრავი სარკმელიდან და თუ მათი სახეები მისთვის უცნობია, ან არ მოსწონს, პასუხობს, რომ ბატონი აბატი პარიზში არ არისო; ბევრი ამ პასუხს სჯერდება, რადგან იციან, რომ აბატი ბევრს მოგზაურობს და ეს მოგზაურობა ზოგჯერ ხანგრძლივია.

ერთი სიტყვით, შინ არის აბატი თუ არა, პარიზშია თუ ქაიროში, იგი მუდამ ეხმარება ღარიბებს, და ეს პატარა სარკმელი ემსახურება მოწყალეებას, რომელსაც თავის ბატონის სახელით კამერდინერი განუწყვეტლივ არიგებს.

ბიბლიოთეკის გვერდით მოთავსებულია საწოლი ოთახი. უფარდებო საწოლი, უტრეხტის ყვითელ ხავერდგადაკრული ოთხი სავარძელი და ერთი დივანი საწიგნესთან ერთად შეადგენს ამ ოჯახის მთელ ავეჯს.

რაც შეეხება ლორდ უილმორს, ის ცხოვრობდა ფონტენ სენ-ჟორჟის ქუჩაზე. ეს ერთი იმ ინგლისელ ტურისტთაგანი იყო, რომლებიც მოგზაურობაში მთელ თავის ქონებას ხარჯავდნენ. ის ქირაობს ყოველმხრივ კეთილმოწყობილ ბინას, სადაც დღეში მხოლოდ ორ-სამ საათს ატარებს და იშვიათად ათევეს ღამეს. მისი ერთადერთი უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ არაფრით არ სურს ფრანგულად ლაპარაკი, თუმცა, როგორც ამტკიცებენ, ფრანგულად შესანიშნავად წერს.

მეორე დღეს, როდესაც ეს ძვირფასი ცნობები მეფის პროკურორს წარუდგინეს, ფერუს ქუჩის კუთხეში ეტლიდან გადმოსულმა ვიდაცა კაცმა მუქმწვანედ შეღებილ კარიბჭესთან დააკაკუნა.

— ბატონი აბატი დილიდანვე გასულია, — უპასუხა კამერდინერმა.

— მე შემემლო არ დავჯერებოდი ასეთ პასუხს, — უპასუხა მოსულმა, — იმიტომ რომ ისეთი პიროვნების დავალებით მოვდივარ, რომლისთვისაც ყველა ყოველთვის შინ არის, მაგრამ კეთილი ინებეთ და გადაეცით აბატ ბუზონის...

— ხომ გითხარით, შინ არ არის-მეთქი, — უპასუხა კამერდინერმა.

— კარგი, მაშ, როდესაც დაბრუნდება, ეს ბარათი და დაბეჭდილი ქაღალდი გადაეცით. ამ საღამოს რვა საათზე აბატი ბუზონი შინ იქნება?

— რასაკვირველია, ბატონო, თუკი სამუშაოს არ ჩაუჯდა: მაშინ კი ეს იგივეა, რომ თითქო შინ არ იყოს.

— კარგი, მაშ ამ საღამოს დათქმულ საათზე მოვალ, — უთხრა უცნობმა და გაეცალა.

მართლაც დათქმულ საათზე ის კაცი იმავე ეტლით მოვიდა. მაგრამ ამჯერად ეტლი ფერუს ქუჩის კუთხეში კი არ გაუჩერებია, არამედ მუქმწვანე კარიბჭესთან მიიყვანა. დააბრახუნა, კარიბჭე გაუღეს და იგი შევიდა.

— ბატონი აბატი შინ არის? — იკითხა მან.

— დიახ, ბიბლიოთეკაში მუშაობს; თქვენ მოგელით, ბატონო, — უპასუხა კამერდინერმა.

უცნობი საკმაოდ ძნელად ასასვლელ კიბეს აჰყვა და მაგიდასთან, რომელიც განათებული იყო ვეებერთელა აბაჟურიანი ლამპის შუქით, მაშინ, როდესაც ოთახის დანარჩენი ნაწილი სიბნელით იყო მოცული, დაინახა მღვდლის სამოსელში გამოწყობილი აბატი, რომელსაც თავი დაფარული ჰქონდა წამოსასხამით. ასეთ წამოსასხამებს შუა საუკუნეებში სწავლულნი იხურავდნენ ხოლმე.

— პატივი მაქვს ბატონ ბუზონის ველაპარაკო? — ჰკითხა უცნობმა.

— დიახ, ბატონო, — უპასუხა აბატმა, — თქვენ კი ის პიროვნება ბრძანდებით, რომელიც ციხის ყოფილმა ინსპექტორმა ბატონმა ბოვილმა პოლიციის პრეფექტის სახელით გამოგაგზავნათ?

— დიახ, ბატონო, — უპასუხა მოსულმა ერთგვარი ყოყმანით და ოდნავ სიწითლემ გადაჰკრა.

აბატმა გაისწორა დიდი სათვალე, რომელიც არა მარტო თვალებს, არამედ შუბლსაც უფარავდა, ხელახლა დაჯდა, თან მოსულს ანიშნა — დაბრძანდითო.

— გისმენთ, ბატონო, — უთხრა აბატმა ძლიერი იტალიური აქცენტით.

— მისია, რომელიც მე ჩემს თავზე ავიღე, ბატონო ჩემო, — დაიწყო მოსულმა ისე, თითქოს თითოეულ სიტყვას სწონის და ძლივს ლაპარაკობსო. — სანდოა იმისთვისაც, ვინც ასრულებს და იმისთვისაც, ვისაც მიმართავენ.

აბატმა თავი დაუკრა.

— დიახ, — განაგრძო უცნობმა, — თქვენი პატიოსნება, ბატონო აბატო, კარგად არის ცნობილი პოლიციის პრეფექტისათვის, რომელიც, როგორც თანამდებობის პირი, ისე მოგმართავს და სურს გაიგოს ერთი რამ, რითაც დაინტერესებულია სამძებრო პოლიცია, რომლის სახელითაც მე თქვენთან გამოვცხადდი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბატონო აბატო, რომ არც მეგობრული კავშირი, არც პირადი მოსაზრება არ გაიძულებთ სიმართლე დაუმალოთ მართლმსაჯულებას.

— რასაკვირველია, თუ ის, რის გაგებაც თქვენ გსურთ, არაფრით შელახავს ჩემს სინდისს. მე მღვდელი ვარ, ბატონო, და აღსარების საიდუმლოება, მაგალითად, ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ ჩემთვის და ღვთის სამართლისთვის და არა ჩემთვის და ადამიანთა მართლმსაჯულებისთვის.

— ოჰ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო აბატო, — უთხრა უცნობმა, — ყოველ შემთხვევაში, თქვენს სინდისს არ შევაშფოთებთ.

ამ სიტყვებზე აბატი აბაჟურის კიდეს ისე დააწვა, რომ საწინააღმდეგო მხარე აიწია და შუქი მთლიანად უცნობს მიადგა, აბატის სახე კი ჩრდილში დარჩა.

— მომიტევეთ, ბატონო, მაგრამ ეს შუქი თვალებს საშინლად მჭრის. — უთხრა პრეფექტის პოლიციის წარმომადგენელმა.

აბატმა მწვანე თალფაქი ჩამოუშვა.

— ახლა, ბატონო, გისმენთ. ილაპარაკეთ.

— ვიწყებ. თქვენ იცნობთ გრაფ მონტე-კრისტოს?

— თქვენ მხედველობაში გყავთ ბატონი ძაკონე?

— ძაკონე!.. განა მას მონტე-კრისტო არა ჰქვია?

— მონტე-კრისტო ადგილის, ან უფრო სწორედ, კლდის სახელია, და არა გვარი.

— ეგრე იყოს; სიტყვებზე ნუ ვიკამათებთ, და რაკი მონტე-კრისტო და ძაკონე ერთი და იგივე პიროვნებაა...

— აბსოლუტურად ერთი და იგივე.

— ვილაპარაკოთ ბატონ ძაკონეზე.

— ვილაპარაკოთ.

— მე გკითხეთ, თუ იცნობთ-მეთქი?

— ძალიან კარგადაც.

— ვინ არის იგი?

— მალტის მდიდარი გემთმეპატრონის ვაჟიშვილი.

— დიახ, ეს მეც ვიცი. ასე ამბობენ, მაგრამ თქვენც მიხვდებით, რომ პოლიცია ვერ დაკმაყოფილდება იმით, რასაც «ლაპარაკობენ».

— ესეცაა, რომ — უთხრა აბატმა ნაზი ღიმილით, — თუ ის, რასაც «ლაპარაკობენ», მართალია, იძულებული ვხდებით ამით დავკმაყოფილდეთ, და პოლიციაც ისე მოიქცეს, როგორც ყველა.

— მაგრამ თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რასაც ლაპარაკობთ?

— ეგ როგორ! «თუ დარწმუნებული ვარ?»

— გამიგეთ, ბატონო, მე ეჭვი არ მეპარება თქვენს გულწრფელობაში; მხოლოდ გეკითხებით, დარწმუნებული თუ ხართ-მეთქი?

— მისმინეთ, მე ვიცნობდი ძაკონეს მამას.

— ჰო!

— დიახ, ჯერ კიდევ ბავშვობაში მის ვაჟიშვილთან რამდენჯერ მითამაშნია ნავთსაშენში.

— მაგრამ მისი გრაფის ტიტული?

— ხომ იცით, ამის ყიდვა შეიძლება.

— იტალიაში?

— ყველგან.

— მაგრამ მისი უსაზღვრო სიმდიდრე, როგორც ისევ ლაპარაკობენ...

— ეს მართალია, — უპასუხა აბატმა, — მისი სიმდიდრე მართლაც უსაზღვროა.

— თქვენი აზრით, მაინც რამდენი უნდა იყოს?

— ალბათ, წელიწადში ასორმოდდაათი—ორასი ათასი ლივრი.

— ჰო, ეს სავსებით მისაღებია, — უთხრა უცნობმა, — თორემ სამ და ოთხ მილიონზედაც კი ლაპარაკობენ.

— ორასი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი, ბატონო, სწორედ ოთხი მილიონის კაპიტალსა ჰქმნის.

— მაგრამ სამ-ოთხ მილიონ წლიურ შემოსავალზე ლაპარაკობენ.

— ეს შეუძლებელია.

— თქვენ იცნობთ მის კუნძულ მონტე-კრისტოს?

— რასაკვირველია, მას იცნობს ყველა, ვისაც პალერმოდან, ნეაპოლიდან ან რომიდან საფრანგეთში ზღვით უმოგზაურია: გემები მას გვერდს ჩაუვლიან ხოლმე.

— ირწმუნებიან, ძალიან მომხიბვლელი ადგილიაო.

— ეს კლდეა.

— კი მაგრამ, გრაფმა რატომ იყიდა კლდე?

— სწორედ იმიტომ, რომ გრაფი გამხდარიყო. თუ გინდათ იტალიაში გრაფი იყოთ, ჯერ საგრაფოს უნდა ფლობდეთ.

— თქვენ, ალბათ, რაიმე გაგიგონიათ ბატონი ძაკონეს ჭაბუკობის თავგადასავალის შესახებ?

— მამის?

— არა, შვილის.

— ჰო, აი, ამას კი დარწმუნებით ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი სწორედ ჭაბუკობის წლებში დავკარგე მხედველობიდან.

— ის ომში იყო?

— ვგონებ სამხედრო სამსახურში იყო.

— რომელ ნაწილებში?

— ფლოტში.

— მითხარით, თქვენ მისი სულიერი მამა არა ხართ?

— არა, ბატონო; ის ვგონებ ლუთერანია.

— როგორ ლუთერანი?

— მე ვამბობ, «ვგონებ»-მეთქი; და არ ვამტკიცებ. თუმცა, მე მეგონა, საფრანგეთში რელიგიის თავისუფლებაა, არა განა?!

— რასაკვირველია, და ჩვენ ახლა გვანტერესებს არა მისი რელიგიური რწმენა, არამედ მისი საქმიანობა; ბატონ პოლიციის პრეფექტის სახელით წინადადებას გაძლევთ, გვითხრათ ყველაფერი, რაც მის შესახებ იცით.

— მას ძალზე ქველმოქმედ ადამიანად თვლიან; დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მან აღმოსავლეთის ქრისტიანებს აღმოუჩინა, ჩვენმა წმინდა მამა პაპმა იგი ქრისტეს ორდენის კავალერი გახადა. ამ ჯილდოს იგი მხოლოდ მეფის შთამომავლებს ანიჭებს. მას ხუთი თუ ექვსი მაღალი ხარისხის ორდენი აქვს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მეფეებს თუ სახელმწიფოებს გაუწია.

— ამ ორდენებს ატარებს?

— არა, მაგრამ ამაყობს ამ ორდენებით; ის ამბობს, რომ კაცობრიობის კეთილისმყოფელთათვის მიცემული ჯილდოები უფრო მოსწონს, ვიდრე ადამიანთა გამნადგურებელთათვის მიცემული.

— მაშ ეს კაცი კვაკერია?

— დიახ, მაგრამ არა ფართო ფარფლებიანი ქუდით და ყავისფერი სერთუკით.

— ყავს მეგობრები?

— დიახ, ყველა, ვინც მას იცნობს, მისი მეგობარია.

— კი მაგრამ, ვინმე მტერი ხომ მაინც ჰყავს?

— ერთადერთი.

— რა ჰქვია?

— ლორდ უილმორი.

— სად არის იგი?

— ახლა პარიზშია.

— და მას შეუძლია ცნობები მომაწოდოს?

— ძალიან ძვირფასი. ის ინდოეთში იმ დროს იმყოფებოდა, როდესაც ძაკონეც იქ იყო.

— იცით სად ცხოვრობს იგი?

— სადღაც შოსე-დ'ანტენზე; მაგრამ მე არ ვიცი არც ქუჩა და არც სახლის ნომერი.

— თქვენ გეჯავრებათ ის ინგლისელი?

— მე მიყვარს ძაკონე, ის კი მას სძულს; ამიტომ ჩვენ გულცივი დამოკიდებულება გვაქვს.

— როგორ გგონიათ, ბატონო აბატო, ამას გარდა გრაფი მონტე-კრისტო არასოდეს ყოფილა საფრანგეთში?

— ჰო, ამაზე კი შემიძლია ზუსტად გიპასუხოთ. საფრანგეთში, ბატონო, იგი არასოდეს ყოფილა: ექვსი თვის წინ მომმართა, რომ მისთვის საჭირო ცნობები შემეკრიბა. მე თვითონაც არ ვიცოდი, როდის ვიქნებოდი პარიზში და ამიტომ ბატონი კავალკანტი გავუგზავნე.

— ანდრეა?

— არა; ბარტოლომეო, მამა;

— ძალიან კარგი, ბატონო; მე მხოლოდ ერთი შეკითხვაღა დამრჩა და პატიოსნების, კაცთმოყვარეობის და რელიგიის სახელით მოვითხოვ უქარაგმოდ მიპასუხოთ.

— ბრძანეთ, ბატონო.

— იცით თუ არა რა მიზნით იყიდა გრაფმა სახლი ოტეილში?

— რასაკვირველია, მან ეს თვითონ მითხრა.

— ბრძანეთ, რა მიზნით?

— იმ მიზნით, რომ შეშლილთა საავადმყოფო მოეწყო, ისეთი, როგორც პალერმოში ბარონ პიზანიმ დააარსა, გაგიგონით ამ საავადმყოფოს ამბავი?

— გამიგონია.

— ეს შესანიშნავი დაწესებულებაა.

და ამ სიტყვებზე აბატმა სტუმარს თავი ისეთი სახით დაუკრა, თითქოს უნდოდა მიეხვედრებინა, წინააღმდეგი არა ვარ, ისევ შეწყვეტილ სამუშაოს დავუბრუნდეთ.

უცნობი მიუხვდა აბატს, ან შეიძლება ყველა თავისი კითხვა ამოწურა და წამოდგა. აბატმა იგი კარამდე მიაცილა.

— თქვენ უხვად არიგებთ მოწყალებას, — უთხრა უცნობმა, — და თუმცა თავი მდიდარ ადამიანად მოგაქვთ, მინდოდა თქვენი ღარიბებისათვის ერთი რამ შემომეთავაზებინა.

— გმადლობთ, ბატონო; მაგრამ ერთადერთი, რასაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ვუფრთხილდები, ის არის, რომ სიკეთე, რომელსაც მე ვაკეთებ, ჩემგან გამოდიოდეს.

— მაგრამ მაინც...

— ეს ჩემი უცვლელი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო. ეჰ, ყოველ მდიდარს გზაზე იმდენი სიღარიბე შეხვდება.

აბატმა კარი გააღო და ერთხელ კიდევ დაუკრა თავი; სტუმარმაც თავის მხრივ თავი დაუკრა და გავიდა.

ეტლმა იგი პირდაპირ ვილფორთან მიიყვანა.

ერთი საათის შემდეგ ეტლი ისევ გამოვიდა და ამჯერად ფონტენ-სენ-ჟორჟის ქუჩისკენ გაემართა. იგი გაჩერდა 15 სახლთან. სწორედ აქ ცხოვრობდა ლორდი უილმორი.

უცნობი ლორდი უილმორს მიღებას თხოვდა. ეს მიღება საღამოს ათი საათისათვის დაუნიშნა ლორდმა. ათს ათი წუთი აკლდა, როცა ბატონი პოლიციის პრეფექტის წარმომადგენელი გამოცხადდა, მაგრამ მას უთხრეს, ლორდი უილმორი, ეს სიზუსტისა და პუნქტუალობის განსახიერება, ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ ათ საათზე უეჭველად მოვაო.

უცნობი სასტუმრო ოთახში უცდიდა.

ეს სასტუმრო არაფრით გამოირჩევა ჩვეულებრივ მოწყობილ სასტუმრო ოთახებისაგან.

ბუხარზე იდგა სევრის ორი თანამედროვე ლარნაკი, საათი ამურით, რომელიც მშვილდს ეზიდებოდა; ორგანყოფილებიანი სარკის გვერდით ორი გრავიურა ეკიდა — ერთზე გამოხატული იყო ჰომეროსი თავისი მძლოლითურთ, მეორეზე — ბელიზარი, რომელიც მოწყალებას ითხოვს. ნაცრისფერ შპალერს ნაცრისფერივე ნაყშები ჰქონდა; ავეჯს წითელი მაუდი ეკრა. ასეთი იყო ლორდ უილმორის სასტუმრო ოთახი.

იგი განათებული იყო მქრქალი ფერის მრგვალი შუშებით, რომლებიც სუსტ ანარეკლს იძლეოდნენ, თითქოს პრეფექტის პოლიციის წარმომადგენლის გადაღლილი მხედველობისათვის განგებ შეუფუებიათო.

ათი წუთის შემდეგ საათმა ათი დაჰკრა; მეხუთე დარტყმაზე კარი გაიღო და ლორდი უილმორი შემოვიდა.

ლორდი უილმორი იყო საკმაოდ მაღალი კაცი, არაჩვეულებრივი წითური ქილვაშებით, ძალზე თეთრი სახის კანით, ქერა, შეჭადარავებული თმით. იგი ჩაცმული იყო წმინდა ინგლისური ექსცენტრიულობით: ესე იგი, ეცვა ოქროს დილუბიანი ლურჯი ფრაკი მაღალი პიკის საყელოთი, ისეთი, როგორსაც 1811 წელს

ატარებდნენ, თეთრი კაზმირის ჟილეტი და ნანკის თეთრი შარვალი. რომელიც მისთვის ძალიან მოკლე იყო და რომელიც იმავე მატერიის პაქანაგების წყალობით მუხლამდე არ აღიოდა.

პირველი მისი სიტყვები ასეთი იყო:

— თქვენთვის ცნობილია, ბატონო, რომ ფრანგულად არ ვლაპარაკობ?

— მე, ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ თქვენ ჩვენს ენაზე ლაპარაკი არ გიყვართ, — უთხრა პოლიციის პრეფექტის წარმომადგენელმა.

— მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ, — განაგრძო ლორდმა უილმორმა, — მართალია არ ვლაპარაკობ, მაგრამ ყველაფერი მესმის.

— მე კი, — გამოეპასუხა უცნობი და ინგლისურ ენაზე გადავიდა, — მე საკმაოდ კარგად ვლაპარაკობ ინგლისურად, რათა ეს საუბარი ჩავატარო. ნუ შეწუხდებით, ბატონო.

— ჰო! — წარმოთქვა ლორდ უილმორმა წმინდა ბრეტონელისათვის დამახასიათებელი ინტონაციით.

პოლიციის პრეფექტის წარმომადგენელმა ლორდ უილმორს სარეკომენდაციო წერილი გადასცა. უკანასკნელმა იგი ნამდვილი ინგლისური ფლეგმატობით წაიკითხა; შემდეგ, როდესაც კითხვა დაამთავრა, ინგლისურად თქვა:

— მესმის, ძალიან კარგად მესმის.

უცნობმა შეკითხვების მიცემა დაიწყო.

ეს შეკითხვები თითქმის ისეთივე იყო, როგორც მან აბატ ბუზონის მიმართა. მაგრამ ლორდი უილმორი, გრაფ მონტე-კრისტოსადმი მტრულად განწყობილი, ისე თავშეკავებული არ იყო, როგორც აბატი, ამიტომ მისი პასუხები გაცილებით უფრო ურცელი გამოვიდა. იგი მოყვა მონტე-კრისტოს ახალგაზრდობის ამბავს. მისი სიტყვით, მონტე-კრისტო ათი წლისა იყო, როდესაც ერთ-ერთ იმ პატარა ინდოელი მთავრის სამსახურში შევიდა, რომლებიც მუდამ ინგლისს ეომებოდნენ; აი, სწორედ პირველად იქ შეხვედროდა მას ლორდი უილმორი, და მათ ერთმანეთის წინააღმდეგ უბრძოლიათ. ამ ომის დროს ძაკონე ტყვედ წაუყვანიათ ინგლისში და ბონტში მოუთავსებიათ, იქიდან ცურვით გამოპარულა. ამის შემდეგ დაწყებულა მისი მოგზაურობა, მისი დუელები და სამიჯნურო თავგადასავლები. საბერძნეთში იფეთქა აჯანყებამ და ის საბერძნეთის ჯარში ჩაწერილა. აქ სამსახურში ყოფნის დროს თესალიის მთებში ვერცხლის საბადოები აღმოუჩენია, მაგრამ ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. ნავარინის შემდეგ, როდესაც საბერძნეთის მთავრობა განმტკიცდა, მეფე ოტონისათვის ამ საბადოების დამუშავების პრივილეგია უთხოვია და მიუღია კიდევ. აი, სწორედ აქედან მოდის მისი უსაზღვრო სიმდიდრეო; ლორდ უილმორის სიტყვით, იგი გრაფს წელიწადში ერთი მილიონიდან ორ მილიონამდე შემოსავალს აძლევდა; მაგრამ შეიძლებოდა უცებ გამოლეულიყო, თუ მადანი გამოიფიტებოდა.

— იცით, რისთვის ჩამოვიდა იგი საფრანგეთში? — ჰკითხა სტუმარმა.

— მას სურს რკინიგზის მშენებლობებზე სპეკულაცია გასწიოს, — უთხრა ლორდ უილმორმა; — გარდა ამისა, გამოცდილი ქიმიკოსი და ძალიან კარგი ფიზიკოსია; მან გამოიგონა ახალი ტიპის ტელეგრაფი და უნდა ხმარებაში შეიტანოს.

— დაახლოებით რამდენს ხარჯავს წელიწადში? — ჰკითხა პოლიციის პრეფექტის წარმომადგენელმა.

— ხუთას თუ ექვსას ათას ფრანკს, — თქვა ლორდმა, — ის ძუნწია.

ცხადი იყო, რომ ინგლისელს შური ალაპარაკებდა და რაკი არ იცოდა როგორ დაედრახა, სიძუნწე დააბრალა.

- იცით რამე მისი სახლის შესახებ ოტეილში?
- რასაკვირველია.
- აბა, რა იცით?
- თქვენ მეკითხებით, რა მიზნით იყიდა იგი?
- დიახ.

— ჰოდა, აი რისთვის. გრაფი სპეკულანტია და უეჭველია მისი ცდები და უტოპიები გააღატაკებს: ის ამტკიცებს, რომ ოტეილში, იმ სახლის სიახლოვეს, რომელიც მან იყიდა, არის მინერალური წყარო, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ბანერდე-ლუმონის და კოტრეს სამკურნალო წყლებს. ამ სახლში ის აპირებს Badehaus-ის მოწყობას, როგორც გერმანელები ამბობენ. მან ორჯერ თუ სამჯერ უკვე გადათხარა თავისი ბაღი, რათა იმ წყაროსათვის მიეგნო, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა; ამიტომ, აი ნახავთ, მოკლე ხანში მისი სახლის არემარეში მდებარე ყველა სახლს იყიდის. და რაკი მე მასზე გაბრაზებული ვარ, იმედი მაქვს, თავის რკინიგზაზე, თავის ელექტროტელეგრაფზე ან თავის აბაზანების ექსპლოატაციაზე გაღატაკდება. მე ფეხდაფეხ დავყვები და იმედი მაქვს გავიხარებ მისი გაღატაკებით, რომელიც ადრე თუ გვიან გარდუვალია.

— კი მაგრამ, რატომ უყურებთ ასე მტრულად? — ჰკითხა მოსულმა.

— იმიტომ რომ, — უპასუხა ლორდ უილმორმა, — იმიტომ რომ, როცა ის ინგლისში იყო, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის ცოლი შეაცდინა.

— კი მაგრამ, თუ გაბრაზებული ხართ, რატომ შურს არ იძიებთ?

— მე უკვე სამჯერ შევებრძოლე გრაფს, — უთხრა ინგლისელმა: — პირველად დამბაჩებით, მეორედ დაშნებით, მესამედ — ესპადრონებით.

— როგორი შედეგები მოჰყვა ამ დუელებს?

— პირველად მკლავი დამიმტვრია, მეორედ დაშნა ფილტვებში გამირჭო, და მესამედ აი, ეს ჭრილობა მომაყენა.

ამ სიტყვებზე ინგლისელმა ყურებამდე აწეული საყელო გადაიწია და უჩვენა ჭრილობა, რომლის სიწითლე მეტყველებდა, რომ იგი ახალი წარმშობისა იყო.

— ასე რომ, მე მასზე ძალიან გაბრაზებული ვარ, — გაიმეორა ინგლისელმა, — და მხოლოდ ჩემი ხელით მოკვდება.

— მაგრამ მანამდე, ალბათ, ჯერ კიდევ შორსაა, — თქვა პრეფექტის წარმომადგენელმა.

— ჰო, — წამოიძახა ინგლისელმა, — მე ყოველდღე დავდივარ ტირში, ხოლო დღეგამოშვებით გრიზიე დადის ჩემთან.

ეს იყო ყველაფერი, რაც უნცობს უნდა გაეგო, ან უფრო სწორად, ყველაფერი, რაც ინგლისელმა იცოდა. ამიტომ აგენტი წამოდგა, ლორდ უილმორს თავი დაუკრა, და როდესაც ეს უკანასკნელი ინგლისური სიცივიტა და თავაზიანობით გამოეთხოვა, წავიდა.

თავის მხრივ ლორდ უილმორი, როდესაც გაიგონა, რომ აგენტმა ქუჩის კარი გაიხურა, თავის საწოლ ოთახისაკენ გაემურა, ერთი თვალის დახამხამებაში ჩამოიცილა ქერა თმა, წითური ქილვაშები, ჩადგმული ყბები, ჭრილობა და ისევ დაიბრუნა შავი თმა, მქრქალი ფერი და გრაფ მონტე-კრისტოს მარგალიტის კბილები.

ისიც მართალია, რომ ბატონ დე ვილფორის სახლში დაბრუნდა არა პოლიციის პრეფექტის წარმომადგენელი, არამედ თვითონ ბატონი დე ვილფორი.

ორივე ამ შეხვედრამ მეფის პროკურორი რამდენადმე დაამშვიდა, იმიტომ რომ, თუ რაიმე განსაკუთრებულად დამამშვიდებელი არ გაიგო, სამაგიეროდ არც რაიმე შესაშფოთებელი გაუგია.

ყოველივე ამის წყალობით, მეფის პროკურორმა პირველად ოტეილის სადილის შემდეგ ღამე რამდენადმე მშვიდად გაატარა.

თავი XIII

საზაფხულო მეჯლისი

ივლისის ყველაზე ცხელი დღეები იდგა, ჩვეულებრივ გათენდა ის შაბათი, როდესაც მორსერებთან მეჯლისი უნდა შემდგარიყო.

საღამოს ათი საათი იყო. გრაფის ბაღის ვეებერთელა ხეები გარკვევით იხატებოდნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ლაჟვარდოვან ფონზე, სადაც დაცურავდა ღრუბლის ნაფლეთები, ცოტა ხნის წინათ დამცხრალი ქარიშხლის ნაშთი.

ქვემო სართულის სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა მუსიკის, ვალსისა და გალოპის მოცეკვავეთა ფეხის ხმაური, ხოლო რიკულებიანი დარბაზებიდან სინათლის კამკაშა სხივთა კონა იჭრებოდა.

ბაღში ტრიალებდა ათამდე მსახური, რომლებსაც ოჯახის დიასახლისმა, დამშვიდებულმა იმით, რომ თანდათან გამოიდარა, ბრძანება მისცა ვახშამი იქ გაეწყოთ.

ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო ვახშმისათვის სუფრა სასადილო ოთახში გაეშალათ, I თუ კორდის დიდი კარავის ქვეშ. ვარსკვლავებით მოჭედილმა საუცხოო ლურჯმა ცამ საკითხი კარავისა და კორდის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ბაღის ხეივნებში, იტალიურ ჩვეულებისამებრ, სხვადასხვა ფერის ფარნებს ანთებდნენ, ხოლო ვახშმისათვის გაშლილ სუფრაზე სანთლებსა და ყვავილებს ალაგებდნენ. ისე როგორც ეს მიღებულია იმ ქვეყნებში, სადაც რამდენადმე მაინც ესმით სუფრის კულტურა — სახე კულტურისა, რომელიც დამთავრებული ფორმით ყველაზე იშვიათად გვხვდება.

როდესაც გრაფინია დე მორსერი, მოსამსახურეებისათვის განკარგულებების გაცემის შემდეგ, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, ოთახები უკვე სტუმრებით ივსებოდა. მათ იზიდავდა არა იმდენად გრაფის მაღალი მდგომარეობა, რამდენადაც მისი მეუღლის მომხიბვლელი სტუმართმოყვარეობა. ყველანი წინასწარ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მერსედესის კარგი გემოვნების წყალობით ამ მეჯლისზე ბევრი რამ იქნებოდა ისეთი, რაც შემდეგ სალაპარაკოდ ან შეიძლება მისაბამადაც გამოდგებოდა.

ქალბატონმა დანგლარმა, რომელიც ძალზე შეაშფოთა ჩვენს მიერ აღწერილმა ამბავმა, არ იცოდა წასულიყო თუ არა ქალბატონ დე მორსერთან; მაგრამ დილით მისი კარეტა შეხვდა ბატონ დე ვილფორის კარეტას, ვილფორმა ანიშნა და კარეტები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. მეფის პროკურორი ფანჯრიდან გადმოიხარა და ჰკითხა:

- თქვენ ხომ იქნებით ქალბატონ დე მორსერთან?
- არა, — უპასუხა ქალბატონმა დანგლარმა, — მე თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ.
- ძალიან ცდებით, — უთხრა ვილფორმა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.
- საჭიროა თქვენ იქ გნახონ.
- თქვენ ასე გგონიათ? — ჰკითხა ბარონესამ.
- მე ამაში დარწმუნებული ვარ.
- რაკი ასეა, ვიქნები.

და კარეტები სხვადასხვა მიმართულებით გაუდგნენ გზას. ამრიგად, ქალბატონი დანგლარი მეჯლისზე მოვიდა. მაყურებელს თვალს ჭრიდა არა მარტო მისი

სილამაზე, არამედ მისი თვალწარმტაცი ტანისამოსიც. ის სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც მერსედესი მოპირდაპირე კარით შემოდიოდა.

გრაფინიამ ქალბატონ დანგლარის შესახვედრად ალბერი გაგზავნა. იგი ბარონესას მიუახლოვდა, მისი ტანსაცმლის გამო რამდენიმე სავსებით დამსახურებული ქათინაური უთხრა და ხელი გაუწოდა, რათა იმ მიმართულებით წაეყვანა, საითაც მოისურვებდა.

ამავე დროს ალბერმა ირგვლივ მიმოიხედა.

— ჩემს ქალიშვილს ეძებთ? — ჰკითხა ღიმილით ბარონესამ.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეა. — უთხრა ალბერმა. — ნუთუ იმდენად მკაცრი აღმოჩნდით, რომ იგი თან არ მოიყვანეთ?

— დამშვიდდით; იგი მადმუაზელ დე ვილფორს შეხვდა და ერთად მოდიან; ხედავთ, აი, ისინიც, ორივე თეთრ კაბებში გამოწყობილნი, ერთი კამელიების თაიგულით, მეორე კი კესანეს კონით, მაგრამ, ერთი მითხარით...

— თქვენც ვინმეს ეძებთ? — ჰკითხა ღიმილით ალბერმა.

— განა თქვენ გრაფ მონტე-კრისტოს არ ელით?

— ჩვიდმეტი! — უპასუხა ალბერმა.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— მე მინდა გითხრათ, — უთხრა სიცილით ალბერმა, — რომ თქვენ მეჩვიდმეტე მაძლევთ ამ შეკითხვას. ბედი აქვს გრაფს!.. შეიძლება მივულოცოთ.

— და თქვენ ყველას ისევე უპასუხებთ, როგორც მე?

— ჰო, მართლა, ბოდიში, არც კი მიპასუხია. დამშვიდდით, ქალბატონო, ეს მოდაში მიღებული კაცი ჩვენთან იქნება, ის დაგვდებს ასეთ პატივს.

— იყავით გუშინ ოპერაში?

— არა.

— ის იქ იყო.

— მართლა? და ამ ექსცენტრიულმა ადამიანმა რაიმე ახალი ორიგინალობა ხომ არ ჩაიდინა?

— განა უამისობა შეუძლია? ელსლერი «კოჭლ ეშმაკში» ცეკვავდა; ალბანელი თავადის ქალი აღფრთოვანებული იყო; კაჩუჩის შემდეგ გრაფმა თაიგულში საუცხოო ბეჭედი ჩადო და მშვენიერ მოცეკვავე ქალს გადაუგდო. ეს უკანასკნელი კი მადლობის ნიშნად მესამე მოქმედებაში მისი ბეჭდით გამოვიდა. მისი ალბანელი თავადის ქალიც მოვა?

— არა, არა, უარი უნდა თქვათ მისი ხილვის სიამოვნებაზე; ამ ქალის მდგომარეობა გრაფის სახლში საკმარისად გარკვეული არ გახლავთ.

— მისმინეთ, დამტოვეთ აქ და წადით, ქალბატონ დე ვილფორს მიესალმეთ, — უთხრა ბარონესამ, — მე ვხედავ, რომ მას თქვენთან საუბრის სურვილი ჰკლავს.

ალბერმა ქალბატონ დანგლარს თავი დაუკრა და ქალბატონ დე ვილფორისაკენ გაემშურა, რომელიც უკვე შორიდანვე მოემზადა მასთან სალაპარაკოდ.

— ნიძლავს დავდებ, — არ დააცადა თქმა ალბერმა, მე გეტყვით რის თქმას აპირებთ.

— ნუთუ? — თუ ზუსტად გამოვიცანი, გამომიტყდებით?

— დიახ.

— პატიოსან სიტყვას მაძლევთ?

— პატიოსან სიტყვას.

— თქვენ გინდათ მკითხოთ, აქ არის თუ არა გრაფი მონტე-კრისტო, ან მოვა თუ არა იგი.

— სრულიადაც არა. ახლა მე იგი არ მაინტერესებს. მე მინდა გკითხოთ, ფრანცის თუ იცით რამე?

— დიახ, გუშინ მისი წერილი მივიღე.

— რას გწერთ?

— წერილს ვაგზავნი და თვითონაც იმავე დღეს მოვემგზავრებიო.

— ძალიან კარგი. ახლა კი გრაფის ამბავი მითხარით.

— გრაფი მოვა, ნუ სწუხხართ.

— თქვენ იცით, რომ მას მარტო გრაფი მონტე-კრისტო არა ჰქვია?

— არა, არ ვიცი.

— მონტე-კრისტო — ეს კუნძულის სახელია, მას ამას გარდა გვარიც აქვს.

— არასოდეს გამიგონია.

— მაშ მე თქვენზე მეტი მცოდნია; მას ჰქვია მაკონე.

— შესაძლებელია.

— ის მალტელია.

— ესეც შესაძლებელია.

— გემთმეპატრონის ვაჟიშვილი.

— იცით რა, ყველაფერი ეს რომ ხმამაღლა მოყვით, დიდი წარმატება გექნებათ.

— მას ინდოეთში უმსახურია, თესალიაში ამუშავებს ვერცხლის მადნებს და პარიზში ჩამოვიდა, რათა ოტეილში მინერალური წყლების ექსპლოატაცია დაიწყოს.

— ღმერთმანი, ახალი ამბები თუ გინდა, — თქვა მორსერმა, — სწორედ ეს არის! ნებას მომცემთ გავიმეორრო?

— დიახ, მაგრამ თანდათანობით, და ნუ იტყვით, რომ ეს ჩემგან მოდის.

— რატომ? — იმიტომ, რომ ეს ყურმოკრული საიდუმლოებაა.

— ვისი?

— პოლიციის.

— მაშ, ამაზე უკვე ულაპარაკიათ...

— გუშინ სადამოს პრეფექტთან. ხომ გესმით, მთელი პარიზი აღელვებული იყო ამ არაჩვეულებრივი ფუფუნების ხილვით, და პოლიციამ ცნობები შეაგროვა.

— ოჰო, ისღა აკლიათ, რომ გრაფი მაწანწალასავით დაიჭირონ იმის გამო, რომ იგი ძალიან მდიდარია.

— სიმართლე ითქვას, ეს შეიძლება ასეც მომხდარიყო, ცნობები რომ ასეთი ხელსაყრელი არ აღმოჩენილიყო.

— საწყალი გრაფი! იცის კი მან, რა საშიშროება ემუქრება?

— არა მგონია.

— ასეთ შემთხვევაში საჭიროა მისი გაფრთხილება. როგორც კი მოვა, მაშინვე შევატყობინებ.

სწორედ ამ დროს მათ მიუახლოვდა ცოცხალთვალეზიანი შავგვრემანი ლამაზი ყმაწვილი კაცი და ქალბატონ დე ვილფორს თავი დაუკრა.

ალბერმა ხელი გაუწოდა.

— ქალბატონო, — თქვა ალბერმა, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ მაქსიმილიან მორელი, სპაჰის კაპიტანი, ჩვენი ერთ-ერთი სახელოვანი და, რაც მთავარია, მამაცი ოფიცერთაგანი.

— მე უკვე მქონდა ბედნიერება გამეცნო ბატონი მორელი ოტეილში, გრაფ მონტე-კრისტოსთან, — უპასუხა ქალბატონმა დე ვილფორმა და შესამჩნევი გულგრილობით პირი მიიბრუნა.

ამ პასუხმა და განსაკუთრებით ამ ტონმა საწყალ მორელს გული შეუკუმშა; მაგრამ მას ჯილდო ელოდა: როდესაც შემოტრიალდა, კარებში თეთრ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი დაინახა; მისი ფართოდ გაღებულ და თითქოს არაფრისმთქმელი თვალები მორელისაკენ იყვნენ მიპყრობილი; ახალგაზრდა ქალმა ტუჩებთან ნელა მიიტანა კესანეს თაიგული.

მორელმა გაიგო ეს მისალმება და თვალების იმავე გამომეტყველებით თავის მხრივ ცხვირსახოცი მიიტანა ტუჩებთან; და ეს დარბაზის სივრცით დაშორებული ორი ცოცხალი ქანდაკება, რომელთაც გული ძლიერად უცემდათ და მარმარილოსავით ცივი სახეები ჰქონდათ, — ერთი წუთით თავდავიწყებას მიეცნენ, ან, უფრო სწორად, ამ უსიტყვო ჭვრეტაში ყველაფერი დაივიწყეს.

ისინი შეიძლება დიდხანს მდგარიყვნენ ასე, ერთმანეთში შთანთქმულნი, და ვერავის შეემჩნია მათი თავდავიწყება, მაგრამ დარბაზში მონტე-კრისტო შემოვიდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელოვნური მიმზიდველობა იყო ეს თუ ბუნებრივი, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო გრაფი, ყველგან საერთო ყურადღებას იმსახურებდა. მაგრამ ეს ყურადღება არ აიხსნებოდა არც მისი წუნდაუდებლად გამოჭრილი, უბრალო და უორდენებო ფრაკით, არც ამოუქარგავი თეთრი ჟილეტით, არც არაჩვეულებრივად სწორ ფეხებზე შემოსხლეტილი შარვლით. — ის საზოგადოებას იპყრობდა მქრქალი სახის ფერით, შავი თმით, მშვიდი და ნათელი სახით, ღრმა და ნაღვლიანი თვალებით, ბოლოს არაჩვეულებრივად მოხაზული პირით, რომელიც ისე ადვილად გამოხატავდა ქედმაღლურ ზიზღს.

ბევრი მამაკაცი იყო მასზე ლამაზი, მაგრამ არავინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო. ყველაფერი მასში გონებისა და გრძნობის სიღრმეს გამოხატავდა. განუწყვეტელ გონებრივ მუშაობას მისი სახის ნაკვეთებისა, გამოხედვისა და თვით უმნიშვნელო მიმოხვრისთვისაც შეუდარებელი გამომეტყველება და სიმტკიცე მიენიჭებინა.

გარდა ამისა, ჩვენს პარიზულ საზოგადოებას, ესოდენ უცნაურს, შეიძლება არც კი შეემჩნია ყოველივე ეს, აქ დამალული რომ არ ყოფილიყო რაღაც უსაზღვრო სიმდიდრით მოვარაყებული საიდუმლოება.

ასე იყო თუ ისე, გრაფი ცნობისმოყვარე მზერის და მისალმებათა სეტყვის ქვეშ გრაფინია დე მორსერისაკენ გაეშურა; ქალბატონი დე მორსერი ყვავილებით მორთულ ბუხართან იდგა; მან კარების პირდაპირ ჩამოკიდებულ სარკეში დაინახა, როგორ შემოვიდა მონტე-კრისტო და შესახვედრად მოემზადა.

ამიტომ ქალბატონი დე მორსერი მისკენ დაძაბული ღიმილით სწორედ იმ დროს შემოტრიალდა, როდესაც იგი მოწიწებით მის წინ დაიხარა.

უეჭველია ქალი ფიქრობდა, რომ გრაფი დაელაპარაკებოდა; უეჭველია, გრაფიც თავის მხრივ ფიქრობდა, რომ ქალი რაიმეს ეტყოდა; მაგრამ არც ერთი ხმას არ იღებდა. ეტყობოდა, ამ წუთში უმართებულოდ მიაჩნდათ ბანალური სიტყვები.

მისალმების შემდეგ გრაფი მონტე-კრისტო ალბერისაკენ წავიდა, რომელიც მის შესახვედრად ხელებგაშლილი მოდიოდა.

— თქვენ უკვე ნახეთ ქალბატონი დე მორსერი? — ჰკითხა ალბერმა.

— ეს-ეს არის მქონდა პატივი მივსალმებოდი მას, — უპასუხა გრაფმა, — მაგრამ მამათქვენი ჯერ არ მინახავს.

— აი, ხომ ხედავთ? იგი პოლიტიკაზე ესაუბრება დიდად სახელგანთქმული პირების პატარა ჯგუფს.

— ნუთუ ყველა სახელგანთქმული ადამიანები არიან? მე კი არ ვიცოდი! მერედა რითი გაითქვეს სახელი? როგორც მოგეხსენებათ, სახელის მოხვეჭა მრავალნაირად შეიძლება.

— აი, იქ რომ დგას მაღალი, გამხდარი კაცი, მეცნიერია, მან რომის გარეუბნებში ხვლიკის ისეთი სახეობა აღმოაჩინა, რომელსაც ხერხემალი ერთი მალით მეტი აქვს, ვიდრე სხვებს, და აღმოჩენის შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა აკადემიაში. ამის გამო მას დიდხანს ედავებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება ამ მაღალ, გამხდარ კაცს დარჩა. მაღალ დიდი ხმაური გამოიწვია მეცნიერთა სამყაროში. მაღალი გამხდარი კაცი, მხოლოდ საპატიო ლეგიონის კავალერი იყო, ახლა კი მას ოფიცრის ჯვარი აქვს.

— მაღლობა ღმერთს, — თქვა მონტე-კრისტომ, — ჩემის აზრით, დამსახურებულად მიუღია ეს ჯილდო. ასე რომ, თუ კიდევ ერთი მაღა იპოვა, კომანდორად გახდიან?

— შესაძლებელია, — უთხრა მორსერმა.

— აი თურმე ვინ ყოფილა ის, რომელსაც თავში აზრი მოსვლია აქ მწვანედ ამოქარგული უცნაური ლურჯი ფრაკით მობრძანებულიყო?

— ეს ტანისამოსი მისი გამოგონილი როდია: ამაში დამნაშავეა რესპუბლიკა; იგი, როგორც მოგეხსენებათ, თავისი მხატვრული გემოვნებით იყო ცნობილი და რაკი უნდოდა აკადემიკოსები მუნდირებით შეემოსა, დავიდს¹ (¹ ლუი დავიდი — გამოჩენილი ფრანგი მხატვარი, რომელიც ხელოვნების დარგს ხელმძღვანელობდა საფრანგეთის რევოლუციის დროს (1748—1825).) დაავალა მათთვის კოსტიუმები დაეხატა.

— მაშ ეს კაცი აკადემიკოსია? — თქვა მონტე-კრისტომ.

— უკვე ერთი კვირაა ამ სწავლულთა ასამბლეას ეკუთვნის.

— რაში გამოიხატება მისი დამსახურება, მისი სპეციალობა?

— სპეციალობა? მე მგონი იგი ბაჭიებს თავში ქინძისთავეებს ურჭობს, ქათმებს ენდროთი კვებავს და ვეშაპის უღვაშით ძაღლებს ზურგის ტვინს აცლის.

— ამიტომ არის მეცნიერებათა აკადემიაში?

— არა, საფრანგეთის აკადემიაში.

— კი მაგრამ, საფრანგეთის აკადემია რა შუაშია?

— მე ფქვენ ახლა აგიხსნით; ამბობენ...

— რომ მისმა ცდებმა მძლავრად წასწიეს წინ მეცნიერება, არა?

— არა, რომ ის მშვენივრად წერს.

— ეს, ალბათ, უსაზღვროდ ეპირფერება თავმოყვარე ბაჭიებს, რომლებსაც იგი თავში ქინძისთავეებს ურჭობს, ქათმებს, რომლებსაც ის ძვლებს წითელ ფერად უღებავს და ძაღლებს, რომლებსაც ზურგის ტვინს აცლის?

ალბერმა გადაიხარხარა.

— აი, ეს ვინაა? — ჰკითხა გრაფმა.

— რომელი?

— აქედან მესამე.

— ჰო, დიდილოსფერ ფრაკში?

— დიახ.

— ეს მამაჩემის კოლეგაა. ამას წინათ მხურვალედ გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ პერების პალატის წევრებს მუნდირის ტარების უფლება მიკუთვნებოდათ. მის სიტყვას ამ საკითხზე დიდი წარმატება ხვდა; ის ცუდ დამოკიდებულებაში იყო

ლიბერალურ პრესასთან, მაგრამ მისმა კეთილშობილურმა პროტესტმა სასახლის განზრახვათა წინააღმდეგ ამ პრესას შეარიგა. ამბობენ, ელჩად ნიშნავენო.

— კი მაგრამ, რითი დაიმსახურა პერობა?

— ორი თუ სამი კომიკური ოპერა დაწერა, აქვს გაზეთი «საუკუნეს» ხუთი თუ ექვსი აქცია და ხუთი თუ ექვსი წელი ხმას აძლევდა სამინისტროს.

— ვაშა, ვიკონტ, — თქვა მონტე-კრისტომ სიცილით, თქვენ მომხიბვლელი ჩიჩერონე ხართ; ახლა ერთი სამსახური უნდა გთხოვოთ. ხომ გამიწევთ?

— რა არის ასეთი?

— ნუ გამაცნობთ ამ ვაჟბატონებს, ხოლო თუ ისინი მოისურვებენ ჩემს გაცნობას, გამაფრთხილეთ.

ამ წუთში გრაფმა იგრძნო, რომ ვიღაცამ მკლავში ხელი მოჰკიდა; იგი მობრუნდა და დანგლარი დაინახა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ, ბარონო? — თქვა მან.

— რატომ მეძახით ბარონს? — უთხრა დანგლარმა, — ხომ იცით, რომ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ჩემს ტიტულს. თქვენ კი არა გგავართ, ვიკონტ; თქვენ მას ძალიან უფრთხილდებით, არა?

— რასაკვირველია, — უპასუხა ალბერმა, ვიკონტი რომ არ ვიყო, არარაობად ვიქცეოდი, თქვენ კი თავისუფლად შეგიძლიათ გასწიოთ ბარონის ტიტული და მაინც მილიონერი დარჩეთ.

— ეს, მე მგონია, საუკეთესო ტიტულია ივლისის მონარქის დროს, — თქვა დანგლარმა.

— საუბედუროდ, — ჩაერია მონტე-კრისტო, — მილიონერობა ისეთივე მუდმივი წოდება არაა, როგორც ბარონობა, საფრანგეთის პერობა ან აკადემიკოსობა; ამის დამამტკიცებელ საბუთად გამოგვადგებოდნენ ფრანკფურტელი მილიონერები ფრანკი და პულმანი, რომლებიც ეს-ეს არის გაკოტრდნენ.

— მართლა? — თქვა გაფითრებულმა დანგლარმა.

— დიახ. ეს ცნობა დღეს შიკრიკმა ჩამომიტანა; მე მათ ბანკში რაღაც მილიონამდე მქონდა; მაგრამ დროზე გამაფრთხილეს, და დაახლოებით ერთი თვის წინ უკან გამოვითხოვე ჩემი ფული.

— ღმერთო ჩემო! — თქვა დანგლარმა, — მათ ჩემს ბანკზე თორმეტი ათასი ფრანკის ვექსილები გადმომირიცხეს.

— მაშ, თქვენ გაფრთხილებული ხართ; ახლა მათი ხელმოწერა მხოლოდ ხუთი პროცენტი ღირს.

— დიახ, მაგრამ ძალიან გვიან გამაფრთხილეს; მე უკვე გავანადღე მათი თამასუქები, — თქვა დანგლარმა.

— რა გაეწყობა, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — აი, კიდევ ორასი ათასი ფრანკი, რომელიც სხვებს მოჰყვა...

— სსს... — შეაწყვეტინა დანგლარმა; — ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, განსაკუთრებით კავალკანტის ვაჟიშვილთან, — დასძინა ბანკირმა და მონტე-კრისტოს მიუახლოვდა, შემდეგ სახე მიიბრუნა და ყმაწვილ კაცს გაუღიმა.

ალბერი გრაფს მოსცილდა, რათა თავის დედას მოლაპარაკებოდა, დანგლარი კი კავალკანტის ვაჟიშვილის მისასალმებლად გაეშურა.

მონტე-კრისტო ერთი წუთით მარტო დარჩა.

დარბაზში ჰაერი უფრო იხუთებოდა.

მსახურები სასტუმრო ოთახებში დაატარებდნენ ხილით და ნაყინით სავსე ლანგრებს.

მონტე-კრისტომ ოფლისაგან დასველებული სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა; მაგრამ უკან დაიხია, როდესაც მის წინ ლანგარი ჩამოატარეს და არაფერი გასაგრძელებელი არ აუღია.

ქალბატონი დე მორსერი მონტე-კრისტოს მხედველობიდან ერთი წუთითაც არ ჰკარგავდა. მან დაინახა, როგორ ჩაატარეს მის წინ ლანგარი, რომელსაც ხელიც კი არ დააკარა და, პირიქით, უკან დაიხია.

— ალბერ, — უთხრა მან შვილს, მიაქციე ყურადღება ერთ გარემოებას?

— სახელდობრ რას?

— გრაფმა არც ერთხელ არ მიიღო მამაშენის სადილზე მიპატიჟება.

— დიახ, მაგრამ იგი დათანხმდა ჩემთან ესაუზმა, და ეს საუზმე მისთვის საზოგადოებაში შესვლა იყო.

— შენ სხვა ხარ და გრაფ დე მორსერი სხვაა, — ჩაიჩურჩულა მერსედესმა, — მე კი მას შემოსვლის წუთიდან ვუთვალთვალებ.

— მერე?

— მას აქამდე ხელი არაფრისთვის წაუკარებია.

— გრაფი ძალიან თავდაჭერილი კაცია.

მერსედესმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— მიუახლოვდი და როდესაც ლანგარს ჩამოატარებენ, თხოვე რამე აიღოს.

— რატომ, დედა?

— მომანიჭე ეგ სიამოვნება, ალბერ, — უთხრა მერსედესმა.

ალბერმა დედას ხელზე აკოცა და გრაფს მიუახლოვდა.

მათ წინ ჩამოატარეს ლანგარი; ქალბატონმა დე მორსერმა დაინახა, ალბერი როგორ დაჟინებით ეპატიჟებოდა, ნაყინიანი ლამბაქიც კი აიღო და შესთავაზა, მაგრამ მონტე-კრისტომ ჯიუტი უარით უპასუხა.

ალბერი დედასთან დაბრუნდა; გრაფინია ძალზე გაფითრებული იყო.

— აი, ხედავ, — თქვა ქალმა, — უარი გითხრა.

— დიახ. კი მაგრამ, ეს რად გაწუხებთ?

— იცი, ალბერ, ქალები ხომ უცნაური ქმნილებები არიან. მესიამოვნებოდა, რომ გრაფს ჩემს სახლში თუნდაც ბროწეულის მარცვალი შეეჭამა. თუმცა მას შეიძლება არც კი მოსწონს ფრანგული კერძები, იქნებ რაიმე განსაკუთრებული გემოვნება აქვს.

— ღმერთო ჩემო, არა! მე თვითონ ვარ მოწმე, რომ იტალიაში ის ყველაფერს ჭამდა, ალბათ, დღეს თავს ცუდად გრძნობს.

— ესეც არ იყოს, — განაგრძო გრაფინიამ, — რაკი მან მთელი ცხოვრება ცხელ ქვეყნებში გაატარა, იქნებ სიცხე ისე არ აწუხებს, როგორც ჩვენ.

— არა მგონია; ის ჩიოდა სული მეხუთეობაო და იკითხა, თუ ფანჯრები გააღეს, რატომ ამასთანავე დარაბებიც არ გამოადესო.

— მართლა, მე მაქვს საშუალება, რომლითაც შემიძლია შევამოწმო ეს უარი მისი ურყევი გადაწყვეტილებაა თუ არა, — თქვა მერსედესმა და სასტუმროში გავიდა.

ერთი წუთის შემდეგ დარაბები გაიღო, ფანჯრის წინ გაზრდილი ჟასმინისა და ციცაბარდას ბუჩქებს იქით გამოჩნდა ფარნებით განათებული ბაღი და კარავის ქვეშ გაშლილი სუფრა.

მოცეკვავე წყვილებმა, ქალაღდის მოთამაშეებმა და მოსაუბრეებმა სიხარულისაგან შეჰკვივლეს; მათი ფილტვები სიამოვნებით სუნთქავდნენ ნაკადებად შემოსულ სუფთა ჰაერს.

იმავე წუთში გამოჩნდა ადრინდელზე მეტად გაფითრებული მერსედესი, მაგრამ ისეთი მტკიცე სახით, რომელიც იშვიათად ჰქონდა ხოლმე. ის პირდაპირ იმ ჯგუფისაკენ წავიდა, რომელიც მის ქმარს ეხვია გარშემო.

ნუ აჩერებთ აქ ჩვენს სტუმრებს, გრაფო, —

უთხრა მან თავის ქმარს, — რაკი ბანქოს არ თამაშობენ, ამ შეხუთულ ჰაერს, არჩევენ სუფთა ჰაერი ისუნთქონ.

— ქალბატონო, — თქვა თავაზიანად მოხუცმა გენერალმა, რომელიც 1808 წელს მღეროდა «Partons pour la Syrie¹», (¹ გავემგზავროთ სირიაში.) — ჩვენ მარტო ბაღში არ წავალთ.

— კარგი, — თქვა მერსედესმა, — მაშინ მე მოგცემთ მაგალითს. — იგი მონტე-კრისტოს მიუბრუნდა და უთხრა:

— ბატონო გრაფო, დამდეთ პატივი და მკლავი მომაწოდეთ.

გრაფი კინალამ დატორტმანდა ამ უბრალო სიტყვების გამო. შემდეგ ერთი წამით მერსედესს ჩააშტერდა. ეს იყო მხოლოდ ელვასავით სწრაფი შეხედვა, მაგრამ მონტე-კრისტომ მასში იმდენი აზრი ჩააქსოვა, რომ მერსედესს ეგონა, მთელი საუკუნე გრძელდებოდა...

მან ხელი გაუწოდა გრაფინიას; ქალი დაეყრდნო, ან უფრო სწორად, ძლივს შეეხო თავის პატარა ხელით. და ისინი ძირს დაემჯნენ პარმალის კიბით, რომელიც დეკათი და კამელიებით იყო შემოზღუდული.

მათ კვალს იმავე და სხვა კიბეებით სიხარულის შემახილებით გაჰყვა ოცამდე სტუმარი, რომელთაც ბაღში სეირნობა ერჩიათ.

თავი XIV

პურ-მარილი

ქალბატონმა დე მორსერმა თავის თანამგზავრებთან ერთად გაიარა ცაცხვის ხეივანების მწვანე თაღქვეშ, რომელიც სათბურისაკენ მიდიოდა.

— სასტუმრო ოთახში ძალიან ცხელოდა არა, ბატონო გრაფო? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ, ქალბატონო, და მშვენიერი იყო თქვენი აზრი, რომ ყველა დარაბა და კარი გაგელოთ.

როდესაც გრაფი ამ სიტყვებს ამბობდა, მან შენიშნა, რომ მერსედესს ხელი უცახცახებდა.

— კი მაგრამ, განა არ შეგცივდებათ ამ თხელ კაბაში და ზურგზე მოხურულ გაზის შარვში? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— იცით სად მიმყავხართ? — უთხრა მერსედესმა, ისე რომ კითხვისათვის პასუხი არ გაუცია.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მაგრამ, როგორც ხედავთ, წინააღმდეგობას არ გიწევთ.

— ორანჟერიისაკენ, რომელიც ხეივნის ბოლოს მოჩანს.

მონტე-კრისტომ გაკვირვებით შეხედა მერსედესს, მაგრამ ქალი უხმოდ განაგრძობდა გზას და მონტე-კრისტოც გაჩუმდა.

ისინი მივიდნენ საუცხოო ხეხილით სავსე სათბურამდე. ხილი უკვე ივლისის დასაწყისისათვის დამწიფებულიყო ამ ტემპერატურის ქვეშ, რომელიც ენაცვლებოდა მზის სითბოს, ესოდენ იშვიათს ჩვენში.

გრაფინიამ მონტე-კრისტოს ხელი გაუშვა, ვაზს მიუახლოვდა და მუსკატის ერთი მტევანი მოწყვიტა.

— აიღეთ, გრაფო, — უთხრა მან ისეთი სევდიანი ღიმილით, თითქოს საცაა თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივაო, — ვიცი, ჩვენი ფრანგული ყურძენი ვერ შეედრება თქვენს სიცილიის ან კიპროსის ყურძენს, მაგრამ იმედი მაქვს შემწყნარებლობას გამოიჩინთ ჩვენი საცოდავი ჩრდილოეთის მზის მიმართ.

გრაფმა თავი დაუკრა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— თქვენ უარს ამბობთ? — ჰკითხა მერსედესმა აკანკალებული ხმით.

— ქალბატონო, უდიდესი თავმდაბლობით გთხოვთ მომიტევოთ, მე მუსკატს საერთოდ არა ვჭამ.

მერსედესმა ამოიოხრა და მტევანი დააგდო.

მეზობელი ხეხილის რაყაზე ეკიდა საუცხოო ატამი, ისიც სათბურის ტემპერატურაში ხელოვნურად დამწიფებული. მერსედესი ხავერდოვან ნაყოფს მიუახლოვდა და მოწყვიტა.

— მაშ ეს ატამი აიღეთ, — უთხრა მან.

გრაფმა ხელის მოძრაობით უარი გაიმეორა.

— ოჰ, ისევ! — თქვა ქალმა ისეთი სასოწარკვეთილი ხმით, რომელიც თითქოს ქვითინში ჩაიხშო, — მართლაც ბედი არ მწყალობს.

ამ სურათს დიდი ხნის სიჩუმე მოჰყვა; ატამიც მტევნის გვერდით, ქვიშაზე დაეცა.

— იცით, ბატონო გრაფო, — დაიწყო ბოლოს ისევ მერსედესმა და მონტე-კრისტოს მუდარის თვალებით შეხედა, — არსებობს არაბული ჩვეულება; ადამიანები, რომელნიც ერთ ჭერქვეშ მიიღებენ პურ-მარილს, სამუდამო მეგობრები რჩებიან.

— ეს მე ვიცი, ქალბატონო, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — მაგრამ ჩვენ საფრანგეთში ვართ და არა არაბეთში, საფრანგეთში კი არ არსებობს მუდმივი მეგობრობა, ისევე, როგორც არ არსებობს პურ-მარილის გაზიარება.

— მაგრამ, მაინც, — უთხრა გრაფინიამ, რომელიც მონტე-კრისტოს პირდაპირ თვალეში უყურებდა და თითქმის კრუნჩხვით ორივე ხელეში მკლავში ჩაავლო, — ჩვენ მეგობრები ვართ, არა?

გრაფს სისხლი გულზე მოაწვა და მიცვალებულივით გაფითრდა, შემდეგ მას სახე გაუწითლდა და რამდენიმე წამის განმავლობაში თვალეზე ბინდი გადაეფარა, ისე, როგორც ეს ადამიანს თავბრუდახვევის დროს ემართება.

— რასაკვირველია, ქალბატონო, — უპასუხა მან, — ანდა რატომ არ უნდა ვიყვეთ მეგობრები?

ეს ტონი ისე შორს იყო იმისაგან, რაც მერსედესს სწყყროდა, რომ მან ამოიოხრა, თითქოს კვნესისო.

— გმადლობთ, — უთხრა მან და წინ წავიდა.

მათ მთელი ბაღი ისე შემოიარეს, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

— გრაფ, — დაიწყო უცებ მერსედესმა ათწუთიანი მდუმარე სეირნობის შემდეგ, — მართალია, რომ თქვენ ბევრი რამ გინახავთ, ბევრი გიმოგზაურიათ, ბევრი გიტანჯიათ?

— დიახ, ქალბატონო, ბევრი ტანჯვა გამივლია, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— მაგრამ ახლა თქვენ ბედნიერი ხართ?

— რასაკვირველია, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — რადგან არავის ჩემი ჩივილი არ გაუგონია.

— და ახლანდელი თქვენი ბედნიერება ამსუბუქებს თქვენს სულს?

— ჩემი ახლანდელი ბედნიერება, წარსულ უბედურებას აიწონის, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— ცოლიანი ბრძანდებით?

— ცოლიანი? — გაიმეორა მონტე-კრისტომ შეკრთომით, — ვინ გითხრათ ეს?

— არავის უთქვამს; მაგრამ თქვენ ოპერაში რამდენჯერმე გნახეს ახალგაზრდა და ლამაზ ქალთან ერთად.

— ის მხევალია, რომელიც კონსტანტინოპოლში ვიყიდე, თავადის ქალიშვილია; მე ვიშვილე, რადგან ამქვეყნად არც ერთი ახლობელი ადამიანი არა მყავს.

— მაშ, თქვენ მარტო ცხოვრობთ?

— მარტო.

— არ გყავთ, და... ვაჟიშვილი, მამა?

— არავინ არა მყავს.

— კი მაგრამ, როგორ შეგიძლიათ იცხოვროთ ასე, არ გყავდეთ ვინმე, რომელიც დაგაკავშირებდათ ცხოვრებასთან?

— ეს ჩემი ბრალი არ არის, ქალბატონო. მალტაში მიყვარდა ერთი ქალიშვილი და ის იყო უნდა მეთხოვა, რომ ქარიშხალივით თავს დაგვატყდა ომი და მისგან შორს გადამტყორცნა. მე მეგონა, საკმარისად ვუყვარდი, რათა ჩემთვის დაეცადა, რათა თვით ჩემი საფლავის ერთგული დარჩენილიყო. როდესაც დავბრუნდი, უკვე გათხოვილი დამხვდა. ოც წელს გადაცილებული ყოველი მამაკაცისათვის ეს ჩვეულებრივი ისტორიაა. შეიძლება მე სხვებზე უფრო მგრძნობიარე გული აღმომჩნდა, და შეიძლება იმაზე მეტი ვიტანჯე, ვიდრე ჩემს ადგილზე სხვა დაიტანჯებოდა, ეს არის და ეს.

გრაფინია ერთი წუთით შეჩერდა, თითქოს სუნთქვა შეეკრა და ეს შეჩერება მისთვის აუცილებელი იყო.

— დიახ, — თქვა მან, — და ეს სიყვარული თქვენს გულზე ლოდვიით დარჩა... სიცოცხლეში ადამიანს ნამდვილად მხოლოდ ერთხელ უყვარს... მერე ის ქალი აღარასოდეს აღარ გინახავთ?

— არასოდეს?

— არასოდეს!

— მე აღარ დავბრუნებულვარ იქ, სადაც იგი ცხოვრობდა.

— მალტაში?

— დიახ, მალტაში.

— ის ახლაც მალტაშია?

— ასე მგონია.

— თქვენ აპატიეთ ის ტანჯვა, რომელიც მან მოგაყენათ?

— მას, დიახ.

— მხოლოდ მას; თქვენ ისევ გძულთ ისინი, ვინც მას დაგაშორათ?

— არავითარ შემთხვევაში. რატომ უნდა მძულდნენ?

გრაფინია მონტე-კრისტოს წინ გაჩერდა; ხელში მას კვლავ სურნელოვანი მტევანი ეჭირა.

— აიღეთ, — უთხრა მან.

— მე საერთოდ არ ვჭამ მუსკატს, უთხრა მონტე-კრისტომ იმდაგვარად, თითქოს ამ თემაზე საუბარი არასოდეს ჰქონოდა.

გრაფინიამ ყურძნის მტევანი სასოწარკვეთილებით უახლოესი ბუჩქისაკენ გადაისროლა.

— შეუდრეკელი, — ჩაიჩურჩულა მან.

მონტე-კრისტო ისე შეუშფოთებული დარჩა, თითქოს ეს საყვედური მას არ შეეხებოდა.

ამ დროს მათთან ალბერმა მოიბრინა.

— ოჰ! დედაჩემო, — თქვა მან, — დიდი უბედურებაა!

— რა ამბავია, რა მოხდა? — ჰკითხა გრაფინიამ და მთელი ტანით აიმართა, თითქოს სიზმრიდან სინამდვილეს უბრუნდებოდა, — უბედურებაო, ამბობ? მართლაც, ახლა უბედურებები უნდა დაიწყოს.

— ბატონი დე ვილფორი მოვიდა.

— მერე?

— ის ქალიშვილისა და ცოლის წასაყვანად მოვიდა.

— რატომ?

— პარიზში ჩამოსულა მარკიზ დე სენ-მერანის მეუღლე, რომელსაც ჩამოუტანია ამბავი, რომ მარკიზ დე სენ-მერანი გზაზე, მარსელიდან პირველსავე საფოსტო სადგურამდე გარდაცვლილა. ქალბატონი დე ვილფორი ძალზე მხიარულობდა, დიდხანს ვერ მიხვდა და არც უნდოდა დაეჯერებინა; მაგრამ მადმუაზელ ვალენტინა, მამის სიფრთხილის მიუხედავად, პირველსავე სიტყვებზე ყველაფერს მიხვდა; ამ დარტყმამ მასზე მეხივით იმოქმედა და გულწასული დაეცა.

— კი მაგრამ, მარკიზ დე სენ-მერანი რად ერგება მადმუაზელ დე ვილფორს? — იკითხა გრაფმა.

— ბაბუამისია დედის მხრივ. ის მოდიოდა, რათა დაეჩქარებინა ფრანცისა და მისი შვილიშვილის ქორწინება.

— ოჰ, მართლა!

— ახლა ფრანცს ლოდინი მოუწევს. სამწუხაროა, რომ მარკიზ დე სენ-მერანი მადმუაზელ დანგლარსაც არ ერგება ბაბუად.

— ალბერ! ალბერ! რას ამბობ, — თქვა ქალბატონმა დე მორსერმა ნაზი საყვედურით, — თქვენ იგი ისეთ პატივს გცემთ, გრაფო, — მიუბრუნდა იგი მონტე-კრისტოს, — უთხარით, რომ ასეთი ლაპარაკი მართებული არ არის.

და ქალმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

მონტე-კრისტომ მერსედესს ისე უცნაურად შეხედა, ისეთი ჩაფიქრებული და ამავე დროს ისეთი აღფრთოვანებული სინაზით, რომ იგი ისევ უკან დაბრუნდა.

მერსედესმა ერთი ხელი გრაფის ხელს მოჰკიდა, მეორე თავის ვაჟიშვილისას და ისინი შეაერთა.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? — თქვა მან.

— ოჰ, თქვენი მეგობარი! მე ვერ გავხედავ ასეთ პრეტენზიას, — თქვა გრაფმა; — მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე თქვენი უმორჩილესი პატივისმცემელი მსახური ვარ.

გრაფინია ენით გამოუთქმელი დამძიმებული გულით წავიდა; ათი ნაბიჯი არც კი გაუვლია, რომ თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

— როგორ, ნუთუ დედაჩემსა და თქვენს შორის რაიმე უსიამოვნება მოხდა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ალბერმა.

— პირიქით, — უპასუხა გრაფმა, — განა მან ახლა თქვენს თვალწინ არ თქვა, რომ ჩვენ მეგობრები ვართ!

და ისინი დაბრუნდნენ სასტუმრო ოთახში, რომელიც ის იყო ვალენტინამ, ქალბატონმა და ბატონმა დე ვილფორებმა დატოვეს.

გასაგებია, რომ მორელმა მათ შემდეგ აღარ დააყოვნა, და ისიც წავიდა.

თავი XV

მარკიზ დე სენ-მერანის მეუღლე

მართლაც, ვილფორის სახლში, ამ ამბავზე ცოტა ადრე, სამწუხარო სცენა გაიმართა.

ორივე ქალის გამგზავრების შემდეგ (დიდი ცდის მიუხედავად, ქალბატონმა დე ვილფორმა ვერ შეძლო დაეყოლიებინა ქმარი, რომ ისიც გაჰყოლოდა), მეფის პროკურორი, ჩვეულებისამებრ, ქაღალდების დასტებით გარშემოხვეული, თავის კაბინეტში ჩაიკეტა; ამდენი საქმე სხვას ყველას შიშს მოჰგვრიდა, მაგრამ ჩვეულებრივ დროს ისინი ძლივს კმაროდნენ, რომ მისი მუშაობის მოძალებული სურვილი დაეკმაყოფილებინათ.

მაგრამ ამჯერად საქმე მარტო საბაზი იყო. ვილფორი კაბინეტში სამუშაოდ კი არ ჩაიკეტა, არამედ იმისათვის, რომ თავისუფლად ეფიქრა. სანამ კარებს ჩაკეტავდა, ბრძანება გასცა, აუცილებელი რამ თუ არ იქნებოდა, არ შეეწუხებინათ; შემდეგ სავარძელში ჩაჯდა და თავის მეხსიერებაში ხელახლა აღადგინა ყველაფერი ის, რამაც უკანასკნელი კვირის განმავლობაში მისი მჭმუნვარე სევდისა და მწარე მოგონებების თასი აავსო.

იმის მაგიერ, რომ მის წინ გროვად დაყრილი საქმიანი ქაღალდების გადასინჯვა დაეწყო, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, საიდუმლო ზამზარას ხელი დააჭირა და თავისი პირადი ჩანაწერების შეკვრა ამოიღო; ამ ძვირფას, მკაცრად დალაგებულ ხელნაწერებზე, მხოლოდ მისთვის ცნობილი შიფრით ეწერა ყველა იმათი გვარი, ვინც მის პოლიტიკურ სარბიელზე, ფულის საქმეებში, სასამართლო პროცესებში ან საიდუმლო სასიყვარულო ინტრიგებში მისი მტერი გახდა.

ახლა, როდესაც დაშინებული იყო, მათი რიცხვი უზარმაზარი ეჩვენებოდა; მაგრამ ამავე დროს, ყველა ამ სახელის, თვით ყველაზე მძლავრების და მრისხანების გახსენებაზე, რამდენჯერმე გაუღიმია მას მთის მწვერვალზე ასული მოგზაურივით, რომელიც თავის ფეხქვეშ ხედავს წვეტიან კლდეებს, გაუვლელ გზებს და უფსკრულების ქიმებს — ყოველივე იმას, რის გადასალახავად მან ასე დიდხანს იწვალა.

მეხსიერებაში გულმოდგინედ განაახლა ყველა ეს სახელი, ყურადღებით გადათვალა, შეისწავლა, თავისი ჩანაწერებით შეამოწმა და ბოლოს თავი გაიქნია.

— არა, — ჩაიჩურჩულა მან, — არა, არც ერთი მათგანი არ მოითმენდა ასე დიდხანს, რათა დღეს ამ საიდუმლოებით გავენადგურებინე. ზოგჯერ, როგორც ამბობს ჰამლეტი, მიწიდან ამოდის იმის ხმაური, რაც მასში ღრმად იყო ჩამარხული და, თითქოს ფოსფორული სინათლეაო, ჰაერში გაიელვებს. მაგრამ ეს შუქი წამიერია და მხოლოდ გზას აგაცდენს. ეს ამბავი კორსიკელმა, ალბათ, ვინმე მღვდელს უთხრა, რომელიც, საერთოდ ყვებოდა მათ. ბატონმა მონტე-კრისტომ გაიგონა და რათა შეემოწმებინა...

«— კი მაგრამ, რა აქვს შესამოწმებელი? — განაგრძო ვილფორმა წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ, — ბატონ მონტე-კრისტოს, ბატონ ძაკონეს, მალტელი გემთმეპატრონის ვაჟიშვილს, თესალიაში ვერცხლის საბადოების მქონეს, საფრანგეთში პირველად ჩამოსულს, რაში სჭირდება ასეთი ბნელი, საიდუმლო და უსარგებლო ფაქტის შემოწმება? ყოველივე იმისგან, რაც აბატმა ბუზონიმ და ლორდმა უილმორმა — მეგობარმა და მტერმა გადმომცეს, — ჩემთვის ერთი რამ ნათელი, ცხადი და უეჭველია: არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში, არც ერთ ვითარებაში არ შეიძლებოდა მე მასთან რაიმე საერთო მქონოდა.

მაგრამ ვილფორი ამას იმეორებდა ისე, რომ თვითონაც არ სჯეროდა თავისი სიტყვების. მისთვის ყველაზე დიდი საშინელება იყო არა მხილება, რადგან მას შეეძლო უარეყო ან პასუხი გაეცა: მას ნაკლებად აწუხებდა კედელზე სისხლიანი

ასოებით დაწერილი «მანე, თეკელი, ფარესი», მას მხოლოდ სურვილი კლავდა გაეგო, ვის ეკუთვნოდა ხელი, რომელმაც ეს სიტყვები დაწერა.

ის შეეცადა თავი დაემშვიდებინა და არ ეფიქრა თავის პოლიტიკურ მომავალზე, რომელიც ზოგჯერ პატივმოყვარე ოცნებებში ეხატებოდა; შეეცადა არ გაეღვიძებინა ეს დიდი ხნის მიძინებული მტერი და თავის მომავალზე ფიქრი ოჯახის ბედნიერებით შემოეფარგლა; სწორედ ამ დროს მის ეზოში ეტლის ბორბლების ხმაური გაისმა. შემდეგ კიბეზე გაისმა მოხუცის ნაბიჯები, მერე ქვითინი და სევდიანი შემახილები, რომელიც ასე ეხერხება მოსამსახურეს, როცა მას უნდა თავის ბატონებს თანაგრძნობა უჩვენოს.

მან სწრაფად გამოაღო თავისი კაბინეტის კარი; თითქმის იმწუთშივე, წინასწარ გაუფრთხილებლად მასთან შევიდა მოხუცი ქალი, რომელსაც შალი და ქუდი ხელში ეჭირა. ოდნავ შეჭადარავებული თმა უფარავდა სპილოს ძვალვით გაყვითლებულ მქრქალი ფერის შუბლს, ხოლო ღრმა ნაოჭებზემოვლებული თვალები ტირილისაგან დასიებოდა.

— ოჰ, ბატონო! რა უბედურებაა, — თქვა მან; — რა უბედურებაა! მე ვერ გადავიტან ამას, რასაკვირველია, ვერ გადავიტან და მეც მოვკვდები.

მან კარების მახლობლად სავარძელში ჩაიკეცა და ქვითინი დაიწყო.

მოსამსახურეები კარის ზღურბლთან შეჩერდნენ; წინ წასვლას ვეღარ ბედავდნენ და უყურებდნენ ნუარტიეს მოხუც მსახურს, რომელსაც თავისი ბატონის ოთახში გაეგონა ეს ხმაური, ისიც გამოქცეულიყო და ყველაზე უკან იდგა.

ვილფორმა იცნო თავისი სიდედრი, სწრაფად წამოდგა და მასთან მიიღბინა.

— ღმერთო ჩემო, ქალბატონო, რა მოხდა? — ჰკითხა მან, — რამ შეგამძრწუნათ ასე? მარკიზ დე სენ-მერანი რატომ თან არ გახლავთ?

— მარკიზ დე სენ-მერანი გარდაიცვალა, — თქვა გაოგნებულმა მოხუცმა ქალმა, ყოველგვარი წინასიტყვაობის, ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე.

ვილფორმა უკან დაიხია და ხელი ხელს დაჰკრა.

— გარდაიცვალა!.. — ჩაიბუტბუტა მან; — გარდაიცვალა... ასე უეცრად?

— ერთი კვირის წინ, — განაგრძო ქალბატონმა დე სენ-მერანმა, — სადილის შემდეგ ჩვენ გამოვემგზავრეთ. მარკიზ დე სენ-მერანი კარგა ხანია თავს ცუდად გრძნობდა; მაგრამ იმის ფიქრი, რომ ჩქარა ვნახავდით ჩვენს ძვირფას ვალენტინას, ძალას მატებდა და იმის მიუხედავად, რომ შეუძლოდ იყო, წამოსვლა გადაწყვიტა. მარსელიდან ექვსი ლიე არც კი გვექნებოდა გამოვლილი, რომ, ჩვეულებისამებრ, თავისი აბები მიიღო და ისე მაგრად ჩაეძინა, რომ ეს არაბუნებრივი მეჩვენა, მაგრამ მაინც ვერ ვბედავდი მის გაღვიძებას. მალე შევნიშნე, რომ სახე შეუწითლდა, საფეთქლების ვენები გაუგანიერდა და ჩვეულებრივზე მეტად დაიწყო ფეთქვა. მაინც არ გავაღვიძე. დაღამდა და უკვე ვეღარაფერს ვხედავდი; ვიფიქრე, იძინოს-მეთქი. მალე მან ყრუდ, სასოწარკვეთილებით წამოიყვირა, თითქოს ძილში იტანჯებოდა, და თავი სწრაფად უკან გადააგდო. კამერდინერს დავუძახე და მეეტლეს ვუბრძანე ცხენები შეეჩერებინა. მარკიზს გაღვიძება დავუწყე, ცხვირთან მარილის ფლაკონი მივუტანე, მაგრამ ყველაფერი დამთავრებული იყო, ის უკვე მკვდარი იყო. მე მისი გვამის გვერდით ვიჯექი და ექსამდე ასე მოვედი.

ვილფორმა გაოგნებული იდგა და პირღია უსმენდა.

— თქვენ, რასაკვირველია, მაშინვე ექიმს გამოუძახეთ?

— იმ წუთშივე, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, უკვე დაგვიანებული იყო.

— რასაკვირველია; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ექიმი გამოარკვევდა, რა ავადმყოფობამ მოკლა საწყალი მარკიზი.

— ღმერთო ჩემო, დიახ, მან ეს მითხრა; როგორც ჩანს, ეს დამბლა იყო.

— მერე, როგორ მოიქეცი?

— მარკიზ დე სენ-მერანი ყოველთვის ამბობდა, თუ პარიზში არ მოვკვდი, ჩემი გვამი საოჯახო აკლდამაში მოათავსეთო. მე მისი გვამი ტყვიის კუბოში ჩავადებინე და მხოლოდ რამდენიმე დღით გამოვასწარი.

— ღმერთო ჩემო! საცოდავი დედა! — თქვა ვილფორმა; — ამგვარი დარტყმის შემდეგ ასეთი საზრუნავი საქმეები და ისიც თქვენს ასაკში.

— ღმერთმა მომცა ძალა, რომ ბოლომდე გადამეტანა ყოველივე, თუმცა ჩემი ქმარიც იგივეს გააკეთებდა ჩემთვის, რაც მე მისთვის გავაკეთე, მაგრამ მას აქეთ, რაც ის იქ დავტოვე, ასე მგონია გონებაც დავკარგე-მეთქი. ტირილი უკვე აღარ შემიძლია. მართალია, ხალხი ამბობს, რომ ჩემს ასაკში ცრემლი უშრემა ადამიანს, მაგრამ, ჩემის აზრით, სანამ ადამიანი იტანჯები, ცრემლებიც უნდა მოგდიოდეს. ვალენტინა სადღაა? ჩვენ ხომ მისი გულისათვის მოვდიოდით აქ. მე მინდა ვალენტინას ნახვა.

ვილფორი მიხვდა, რა საშინელება იქნებოდა იმისი თქმა, რომ ვალენტინა მეჯლისზეა; ამიტომ უთხრა, ვალენტინა დედინაცვალთან ერთად გავიდა და ახლავე შეატყობინებენ თქვენს ჩამოსვლასო.

— ახლავე, გთხოვთ ახლავე შეატყობინოთ, — უთხრა მოხუცმა მარკიზის მეუღლემ.

ვილფორმა მას ხელი მოჰკიდა და ოთახში შეიყვანა.

— დაისვენეთ, დედა, — უთხრა მან.

ამ სიტყვებზე მარკიზის მეუღლემ თავი ასწია, შეხედა ამ ადამიანს, რომელიც აგონებდა თავის დაკარგულ ქალს, თითქოს გაცოცხლებულს ვალენტინას სახით — და სიტყვა «დედათი» თავზარდაცემული ცრემლად დაიღვარა, სავარძელთან ჩაიჩოქა და ზედ ჭაღარა თავი მიაყრდნო.

ვილფორმა მისი მოვლა ქალებს მიანდო, ხოლო შემრწუნებული მოხუცი ბარუა თავის ბატონთან ავიდა. მოხუცებს ყველაზე მეტად აშინებთ, როცა სიკვდილი, ცოტა ხნით გვერდს აუვლის მათ, რათა სხვა მოხუცი გაანადგუროს.

სანამ ქალბატონი დე სენ-მერანი და მასთან ერთად სხვებიც მუხლზე დაჩოქილები მხურვალედ ლოცულობდნენ, ვილფორმა საჭირაო ეტლის დასამახებლად მსახური გაგზავნა და თვითონ წავიდა ქალბატონ დე მორსერთან ცოლისა და ქალიშვილის წამოსაყვანად. როდესაც იგი სასტუმრო ოთახის კარის ზღურბლთან გამოჩნდა, ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ ვალენტინამ მასთან ყვირილით მიიღრინა.

— რა ამბავია, მამაჩემო? ჩვენს თავს რაიმე უბედურებაა?

— თქვენი ბებია ჩამოვიდა, ვალენტინა, — უთხრა ბატონმა დე ვილფორმა.

— ბაბუაჩემი? — ჰკითხა მთლად აცახცახებულმა ქალიშვილმა.

ვილფორმა პასუხის ნაცვლად მკლავში ხელი გაუყარა. ეს სწორედ დროული გამოდგა; ვალენტინას თავბრუ დაეხვა და შეტორტმანდა; ქალბატონმა დე ვილფორმაც სწრაფად მიაგება ხელი და ქმარს მიემშველა, რათა ქალიშვილი ეტლში ჩაესვათ, თან იმეორებდა:

— რა უცნაურია! ვის შეეძლო ამის წარმოდგენა! მართლაც ძალიან უცნაურია.

დამწუხრებული ოჯახი სწრაფად გაეცალა იქაურობას და თავისი სამგლოვიარო საბურველი გადააფარა მთელ საღამოს.

კიბის ქვემოთ ვალენტინა შეხვდა ბარუას, რომელიც მას უცდიდა.

— ბატონ ნუარტიეს დღეს თქვენი ნახვა სურს, — უთხრა მან ჩუმად.

— უთხარით, რომ როგორც კი ბებიას ვინახულე, მაშინვე მივალ, — უპასუხა ვალენტინამ.

თავისი მგრძობიარე გულით ქალიშვილი მიხვდა, რომ ამჟამად იგი ყველაზე მეტად მარკიზ დე სენ-მერანის მეუღლისათვის იყო საჭირო.

ვალენტინას ბებიამისი ლოგინში დაუხვდა; უსიტყვო ალერსი, გულში დაგუბებული მწუხარება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ოხვრა, მწველი ცრემლები — აი, ამ შეხვედრის ერთადერთი დეტალები. ამ სურათს ესწრებოდა ქალბატონი დე ვილფორი, რომელსაც ქმრისთვის მკლავში ეკიდა ხელი; ის, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, საწყალი ქვრივისადმი მოკრძალებულ თანაგრძობას გამოხატავდა.

რამდენიმე წამის შემდეგის ქმრის ყურთან დაიხარა:

— თუ ნებას მომცემთ, — უთხრა მან, — სჯობს წავიდე, რადგან ჩემი შეხედვა, მე მგონია, უფრო გულს სტკენს თქვენს სიდედრს.

ქალბატონმა დე სენ-მერანმა ყური მოჰკრა მის სიტყვებს.

— დიახ, დიახ, — უთხრა მან ვალენტინას ყურში, — წავიდეს; მაგრამ შენ დარჩი, აუცილებლად დარჩი.

ქალბატონი დე ვილფორი გავიდა, და ვალენტინა მარტო დარჩა ბებიას საწოლთან, რადგან ამ მოულოდნელი სიკვდილით დამწუხრებული მეფის პროკურორი თავის ცოლს გაჰყვა.

ამასობაში ბარუა ბატონ ნუარტიესთან ავიდა. ამ უკანასკნელმა გაიგონა სახლში ატეხილი ხმაური და, როგორც უკვე ვთქვით, მოხუცი მსახური ამბის გასაგებად გაგზავნა.

მოხუცმა თავისი ცოცხალი და გონიერი თვალებით მოციქულს კითხვით შეხედა.

— ეჰ, ბატონო, — უთხრა ბარუამ, — დიდი უბედურება მოხდა, ქალბატონი დე სენ-მერანი მარტო ჩამოვიდა, მისი ქმარი გარდაიცვალა.

მარკიზ დე სენ-მერანი და ნუარტიე არასოდეს ყოფილან განსაკუთრებული მეგობრები, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს მოხუცებზე თანატოლის სიკვდილი.

ნუარტიემ თავი ჩაქინდრა დამწუხრებული ან ფიქრებში ჩაფლული ადამიანივით, შემდეგ ცალი თვალი დახუჭა.

— მადმუაზელ ვალენტინა? — ჰკითხა ბარუამ.

ნუარტიემ თანხმობის ნიშანი მისცა.

— თქვენ თვითონ იცით, მეჯლისზეა ბატონო, საბალო ტანისამოსში გამოწყობილი გამოგეთხოვათ.

ნუარტიემ ისევ დახუჭა მარცხენა თვალი.

— მისი ნახვა გნებავთ?

— დიახ, — უპასუხა დამბლადაცემულმა.

— მის მოსაყვანად, ალბათ, ახლავე წავლენ ქალბატონ დე მორსერთან; დავუცდი მის დაბრუნებას და ვეტყვი თქვენთან ამოვიდეს. თანახმა ბრძანდებით?

— დიახ, — ისევ უპასუხა დამბლადაცემულმა.

ბარუა დაუდარაჯდა ვალენტინას და, როგორც უკვე დავინახეთ, დაბრუნებისთანავე ბაბუამისის სურვილი გადასცა.

ამიტომ ვალენტინა, დატოვა თუ არა ქალბატონი დე სენ-მერანი, რომელმაც აღელვების მიუხედავად ბოლოს და ბოლოს დიდი დაღლილობის გამო მოუსვენარი ძილით ჩაიძინა, — ბატონ ნუარტიესთან ავიდა.

ქალბატონ დე სენ-მერანს წინ დაუდგეს პატარა მაგიდა, პატარა სურა ორანჟადით, მისი ჩვეულებრივი სასმელით და ჭიქა.

შემდეგ, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ვალენტინამ დატოვა დაძინებული მოხუცი ქალი და ნუარტიესთან ავიდა.

ვალენტინამ აკოცა ბაბუას, მოხუცმა კი მას ისეთი სინაზით შეხედა, რომ ქალმა იგრძნო, როგორ გადმოსცვივდა თვალებიდან ცრემლები, რომლებიც მას უკვე დამშრალი ეგონა.

მოხუცი მას თვალს არ აცილებდა.

— დიახ, დიახ, — თქვა ვალენტინამ, — შენ გინდა მითხრა, რომ მე კიდევ დამრჩა კეთილი ბაბუა, — ასეა, ხომ?

მოხუცმა თანხმობით ანიშნა, რომ მისი მზერა სწორედ ამას მეტყველებდა.

— ეს დიდი ბედნიერებაა, — განაგრძო ვალენტინამ, — ღმერთო ჩემო, ასე რომ არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა.

უკვე ღამის პირველი საათი იყო. ბარუამ, რომელსაც თვითონ ეძინებოდა, შენიშნა, რომ ასეთი სამწუხარო საღამოს შემდეგ ყველას მოსვენება სჭირდებოდა. მოხუცმა არ ისურვა ეთქვა, რომ მისი დასვენება შვილიშვილის ყურება იყო. იგი გამოეთხოვა ვალენტინას, რომელიც, მართლაც, დაღლილობისა და მწუხარებისაგან იყო გატანჯული და ფეხზე ძლივს იდგა.

მეორე დღეს, როდესაც ვალენტინა დიდუდასთან შევიდა, იგი ლოგინში დახვდა: ცხელება არ დასცხრომდა, პირიქით, მოხუც ქალს თვალები მკრთალად უელავდა. როგორც ეტყობოდა, იგი ნერვულ აღზნებას შეეპყრო.

— ღმერთო ჩემო! რა მოგივიდათ, დიდედა, უფრო ცუდადა ხართ? — შეჰყვირა ვალენტინამ, რომელმაც ყველა ეს სიმპტომი შენიშნა.

— არა, ჩემო გოგო, არა, — უპასუხა ქალბატონმა დე სენ-მერანმა; — მაგრამ მოუთმენლად გელოდი, მინდა მამაშენის მოსაყვანად გაგაგზავნო.

— მამაჩემის? — ჰკითხა შემფოთებულმა ვალენტინამ.

— დიახ, მასთან ლაპარაკი მინდა.

ვალენტინამ ვერ გაბედა წინააღმდეგობა გაეწია დიდუდას სურვილისათვის, და არც იცოდა, რით იყო ის გამოწვეული. ერთი წუთის შემდეგ ოთახში ვილფორი შემოვიდა.

— ბატონო ჩემო, — დაიწყო ქალბატონმა დე სენ-მერანმა პირდაპირ, თითქოს ეშინოდა, ვაითუ დრო არ მეყოსო, — თქვენ მწერდით, რომ ჩვენი ქალიშვილის გათხოვება განიზრახეთ?

— დიახ, ქალბატონო, — უპასუხა ვილფორმა; — ეს განზრახვა კი არა, უკვე გადაწყვეტილია.

— თქვენ სასიძოს ფრანც დ'ეპინე ჰქვია?

— დიახ, ქალბატონო.

მისი მამა გენერალი დ'ეპინე იყო, ჩვენი თანამოაზრე? იგი ვგონებ რამდენიმე დღით ადრე მოჰკლეს, სანამ უზურპატორი კუნძულ ელბადან დაბრუნდებოდა?

— დიახ, სწორედ ასეა.

— მას არ აშინებს იაკობინელის ქალიშვილის შერთვა?

— დედაჩემო, ჩვენი პოლიტიკური უთანხმოებანი, საბედნიეროდ, შეწყდა, — უთხრა ვილფორმა. ფრანც დ'ეპინე თითქმის ბავშვი იყო, როცა მამამისი გარდაიცვალა; იგი კარგად არ იცნობს ბატონ ნუარტიეს და მას სიამოვნებით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გულგრილად შეხვდება.

— ეს შესაფერისი წყვილია?

— ყოველმხრივ.

— და ის ყმაწვილი კაცი...

— საერთო პატივისცემით სარგებლობს.

— კარგად არის აღზრდილი?

— ყველაზე ღირსეული პიროვნებაა მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში ვალენტინას ხმა არ ამოუღია.

— რაკი ასეა, — თქვა მცირე ფიქრის შემდეგ ქალბატონმა დე სენ-მერანმა, — უნდა იჩქაროთ, რადგან დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია.

— თქვენ, ქალბატონო! თქვენ, დიდებო! — შეჰყვირეს ერთხმად ვილფორმა და ვალენტინამ.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ, — განაგრძო მარკიზის მეუღლემ; — უნდა იჩქაროთ, რაკი დედა არა ჰყავს, დიდებო მაინც შეძლოს მისი ქორწინების კურთხევა. მარტო მე დავრჩი საწყალი ჩემი რენეს მხრივ, რომელიც თქვენ ასე მალე დაივიწყეთ, ბატონო ჩემო.

— თქვენ გავიწყდებათ, ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა, — რომ ამ საწყალ ბავშვს დედა სჭირდებოდა.

— დედინაცვალი დედობას ვერასოდეს ვერ გასწევს, ბატონო! მაგრამ ეს საქმეს არ შეეხება, ჩვენ ვალენტინაზე ვსაუბრობთ; თავი დაანებეთ მიცვალებულებს.

მარკიზის მეუღლე ყოველივე ამას ისეთი სიჩქარით და ისეთი ხმით ლაპარაკობდა, რომ ბოდვას წააგავდა.

— თქვენი სურვილი განხორციელდება, ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა, — მით უმეტეს, რომ იგი სავსებით ემთხვევა ჩემსას; და როგორც კი ჩამოვა ბატონი დ'ეპინე...

— კი მაგრამ, ბებიაჩემო, — უთხრა ვალენტინამ, — ეს მიღებული არ არის, ჩვენ ხომ მგლოვიარენი ვართ.....ნუთუ თქვენ გინდათ, რომ მე ასეთ ცუდის მომასწავებელ პირობებში გავთხოვდე?

— ჩემო გოგონა, — შეაწყვეტინა სწრაფად მოხუცმა, — ნუ ლაპარაკობ ამაზე. ეს ბანალობა სუსტ ადამიანებს მხოლოდ ხელს უშლის, რომ თავისი მომავალი მტკიცედ მოაწყონ. მეც მაშინ გამათხოვეს, როდესაც დედაჩემი სულთმობრძავი იყო და ამის გამო არ გავუბედურებულვარ.

— ისევ სიკვდილზე ფიქრი, ქალბატონო! — უთხრა ვილფორმა.

— ისევ! მუდამ!.. გეუბნებით, რომ მალე მოვკვდები, გესმით! მაგრამ მანამდე სიძე მინდა ვნახო: მე მინდა პირობა ჩამოვართვა, რომ ჩემი შვილიშვილი ბედნიერი გახადოს; მინდა წავიკითხო მის თვალეში, შეასრულებს თუ არა ჩემს მოთხოვნას; ერთი სიტყვით მე მინდა მას ვიცნობდე, დიახ, — განაგრძო მან და სახე საშინელი სანახავი გაუხდა, — მე მას სასაფლაოს სიღრმიდან მოვაკითხავ, თუ არ იქნება ისეთი, როგორც უნდა იყოს.

— ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა, — თქვენ უნდა განდევნოთ ეს ადგზნებული აზრები, ეს თითქოს სიგიჟეა. მიცვალებულებს თავის საფლავებში სძინავთ და არასოდეს დგებიან.

— დიახ, დიახ, დიდებო, დამშვიდდი! — უთხრა ვალენტინამ.

— მე კი გეუბნებით, ბატონო, რომ ეს ისე არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ. ძალზე ცუდად მეძინა. მე თვითონ ვნახე ჩემი თავი მძინარე, თითქოს ჩემი სული უკვე მოსცილდა სხეულს; თავს ძალას ვატანდი თვალები გამეხილა, მაგრამ უნებურად მეხუჭებოდა, და აი, — ვიცი თქვენ ეს განსაკუთრებით შეუძლებლად მოგეჩვენებათ — მაგრამ თვალებდახუჭულმა დავინახე ამ ოთახში, იმ კუთხიდან, სადაც ქალბატონ დე ვილფორის ტუალეტის ოთახია, როგორ ჩუმად შემოვიდა თეთრი გამოსახულება.

ვალენტინამ შეჰყვირა.

— თქვენ სიცხე გქონდათ, ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა.

— შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ იმაში, რასაც ვამბობ, მე დავინახე თეთრი გამოსახულება; და თითქოს განგებას ეშინოდა, რომ მე არ დავუჯერებდი მარტო მხედველობას, გავიგონე როგორ გაიჭახუნა ჩემმა ჭიქამ, დიახ, სწორედ ამან, მაგიდაზე რომ დევს.

— თქვენ ეს დაგესიზმრათ, დიდედა.

— არა, არ დამესიზმრა, ხელი ზარის დასარეკად გავიწვდინე და ლანდი მაშინვე გაქრა. შემდეგ ოთახში სანთლით ხელში პირისფარეში შემოვიდა.

— და არავინ აღმოჩნდა?

— მოჩვენებები მხოლოდ მას ეჩვენებია, ვინც უნდა ნახოს ისინი. ეს იყო ჩემი ქმრის სული. ჰოდა, აი რა, თუ ჩემი ქმრის სული ჩემ სახმობლად მოვიდა, რატომ ვერ შეძლებს ჩემი სული შვილიშვილის დასაცავად დაბრუნდეს? მე მგონია, ჩვენი კავშირი უფრო ძლიერია...

— ქალბატონო, — უთხრა ვილფორმა, რომელიც ამ ამბებმა უნებურად სულის სიღრმემდე ააღელვა, — გთხოვთ ამ ბნელ ფიქრებს თავისუფლებას ნუ მისცემთ; თქვენ ჩვენთან იცხოვრებთ, დიდხანს იცხოვრებთ, ბედნიერი, სიყვარულში და პატივისცემაში, და ჩვენ დაგავიწყებთ...

— არასოდეს, არასოდეს! — თქვა მარკიზის მეუღლემ. — როდის ჩამოვა ბატონი დ'ეპინე?

— ჩვენ მას ყოველ წუთს ველოდებით.

— კარგი; როგორც კი მოვა, მაშინვე შემატყობინეთ. ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ. მე მინდა ვნახო ნოტარიუსი. მინდა დავრწმუნდე, რომ ჩვენი ქონება ვალენტინაზე გადავა.

— ოჰ, დიდედავ, — ჩაიჩურჩულა ვალენტინამ და ტუჩები დიდედას მხურვალე შუბლს მიადო, ამას მე ვერ გადავიტან! ღმერთო ჩემო, თქვენ სიცხისაგან იწვით, ნოტარიუსს კი არა, ექიმს უნდა დავუძახოთ.

— ექიმს? — იკითხა მოხუცმა მხრების აჩეჩვით, — მე ავად არა ვარ; მწყურია და მეტი არაფერი.

— რას სვამთ, დიდედა?

— შენ ხომ იცი, ყოველთვის ორანჟადს. ჩემი ჭიქა აგერ მაგიდაზე დევს; მომაწოდე, ვალენტინა.

ვალენტინამ სურიდან ორანჟადი ჭიქაში ჩაასხა და ერთგვარი შიშით მოჰკიდა ხელი, რადგან ამ ჭიქას, მოხუცი ქალის თქმით, თვით მოჩვენება შეეხო.

ავადმყოფმა ჭიქა ერთი მოსმით გამოსცალა. შემდეგ ბალიშზე გადაესვენა და თან იმეორებდა:

— ნოტარიუსი, ნოტარიუსი!

ვილფორი ოთახიდან გავიდა. ვალენტინა დიდედას ლოგინთან ჩამოჯდა. მას, როგორც ეტყობოდა, თვითონ სჭირდებოდა ექიმი, რომელიც დიდედას ურჩია. ლოყები გაუწითლდა, სწრაფად და წყვეტილად სუნთქავდა და მაჯა ციებ-ციხელებიანივით უცემდა.

საწყალი ქალიშვილი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ სასოწარკვეთილებას მიეცემოდა მაქსიმილიანე, როდესაც გაიგებდა, რომ ქალბატონი დე სენ-მერანი, იმის მაგივრად, რომ მისი მოკავშირე გამხდარიყო, მის წინააღმდეგ მოქმედებდა.

ვალენტინას არაერთხელ უფიქრია, დიდედასათვის ყველაფერი ეთქვა; იგი ერთი წუთითაც არ შეეყოყმანდებოდა, მაქსიმილიან მორელს ალბერ დე მორსერი ან რაულ

დე შატო-რენო რომ რქმეოდა. მაგრამ მორელი პლებეური წარმოშობისა იყო. ვალენტინამ კი იცოდა, როგორი ზიზღით უყურებდა მარკიზის მეუღლე დაბალი წარმოშობის ადამიანებს. და ყოველთვის სათქმელად გამზადებული საიდუმლოება მას გულში რჩებოდა: შიშობდა, რომ ამ საიდუმლოებას ამაოდ გაამხელდა და საკმარისი იქნებოდა მამასა და დედინაცვალს გაეგოთ, რომ ყველაფერს ბოლო მოეღებოდა.

ასე გავიდა თითქმის ორი საათი; ქალბატონ დე სენ-მერანს მშფოთვარედ ეძინა. ნოტარიუსის მოსვლა მოახსენეს.

თუმცა ეს ძალიან ჩუმი ხმით იყო ნათქვამი, მაგრამ ქალბატონმა დე სენ-მერანმა ბალიშიდან თავი მაშინვე აიღო.

— ნოტარიუსი? — თქვა მან, — შემოვიდეს, შემოვიდეს.

ნოტარიუსი კარებთან იდგა და მაშინვე შევიდა.

— წადი, ვალენტინა, — უთხრა ქალბატონმა დე სენ-მერანმა, — მარტო დამტოვე ამ ბატონთან.

— მაგრამ, დიდედა...

— წადი, წადი.

ქალიშვილმა დიდედას შუბლზე აკოცა და თვალეზზე ცხვირსახოცაფარებული გავიდა.

კარებს უკან იგი შეეჩეხა მოახელს, რომელმაც უთხრა, რომ სასტუმრო ოთახში ექიმი იცდიდა.

ვალენტინა სწრაფად ჩავიდა დაბლა. ეს ექიმი იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება, მათი ოჯახის მეგობარი იყო და ძალიან უყვარდა ვალენტინა, რომელსაც იგი ჯერ კიდევ აკვანში იცნობდა. მას მადმუაზელ დე ვილფორის ტოლი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ ჭლექიან დედას გაუჩნდა და ამიტომ თავის ცხოვრებას მუდმივ შიშში ატარებდა თავისი ქალიშვილის გამო.

— ოჰ, ძვირფასო ბატონო დავრინი, — უთხრა ვალენტინამ, — როგორ გელოდით, მაგრამ ჯერ ეს მითხარით, როგორ არიან მადლენა და ანტუანეტა?

მადლენა ექიმის ქალიშვილი იყო, ანტუანეტა კი მისი დისწული.

ბატონმა დავრინიმ სევდიანად გაიღიმა.

— ანტუანეტა მშვენივრადაა, — თქვა მან, — მადლენას არა უშავს. მაგრამ თქვენ დამიძახეთ, ძვირფასო ბავშვო? ვინ გყავთ ავად? იმედი მაქვს, რომ არა მამათქვენი და არა ქალბატონი დე ვილფორი? ჩვენ კი? მე ვხედავ, ნერვები არ გვასვენებენ. მაგრამ არა მგონია, მე მარტო იმისათვის გჭირდებოდეთ, რათა გირჩიოთ, რომ მეტისმეტი თავისუფლება არ უნდა მივცეთ ჩვენს წარმოდგენებს.

ვალენტინა გაწითლდა. დავრინს თითქმის სასწაულებრივი ნიჭი ჰქონდა, ყველაფერი გამოეცნო. ის იმ ექიმთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც ფიზიკურ ავადმყოფობას მორალური ზემოქმედებით არჩენენ.

— არა, — უპასუხა ქალმა, — საწყალი დიდედა გაგვიხდა ავად, თქვენ, ალბათ, იცით რა უბედურება შეგვემთხვა?

— არაფერი ვიცი, — უპასუხა დავრინიმ.

— ეს საშინელებაა, — თქვა ვალენტინამ და ქვითინი შეიკავა, — გარდაიცვალა ბაბუაჩემი.

— მარკიზ დე სენ-მერანი?

— დიახ.

— უეცრად?

— დამბლის დაცემისაგან

— დამბლისაგან? — გაიმეორა ექიმმა.

— დიახ, და საწყალ დიდებას აეკვიატა ფიქრი, რომ ქმარი, რომელსაც ცხოვრებაში არასოდეს განშორებია, ახლა უძახის და ის უკან უნდა გაჰყვეს. გემუდარებით, მთარჩინეთ დიდება.

— სად არის?

— თავის ოთახში: იქ ნოტარიუსიცაა.

— ბატონი ნუარტიე როგორღაა?

— ისევ ძველებურად; სავსებით საღი გონებით, მაგრამ ისევ უმოძრაო და დამუნჯებული.

— და იგივე სიყვარული თქვენს მიმართ, ხომ ასეა?

— დიახ, — უპასუხა ოხვრით ვალენტინამ, — ძალიან ვუყვარვარ.

— განა შეიძლება ვისმეს არ უყვარდეთ?

ვალენტინას ნაღვლიანად გაეღიმა.

— კი მაგრამ, რას უჩივის დიდებათქვენი.

— მას რაღაც არაჩვეულებრივი ნერვული აღგზნება და უცნაური მშფოთვარე ძილი აქვს; ამ დილით ირწმუნებოდა, რომ ძილის დროს სული განშორდა სხეულს და ხედავდა, როგორ ეძინა. რასაკვირველია, ეს ბოდვაა. ის ირწმუნება, რომ დაინახა, როგორ შევიდა მის ოთახში მოჩვენება და გავიგონე, როგორ შეეხო ჩემს ჭიქასო.

— ეს ძალიან უცნაურია, — თქვა ექიმმა, — არასოდეს გამიგონია, რომ ქალბატონ დე სენ-მერანს ჰალუცინაციები ჰქონოდა.

— მე პირველად ვხედავ მას ასეთ მდგომარეობაში, — თქვა ვალენტინამ. — დღეს დილით მან ძალზე შემაშინა; ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი. თქვენც მოგეხსენებათ, ბატონო დავრინი, როგორი თავშეკავებული კაცია მამაჩემი და, მე მგონია, ისიც კი ააღელვა.

— ახლავე ვნახავთ, — თქვა დავრინიმ, — ყველაფერი ეს ძალიან უცნაურია.

ნოტარიუსი უკვე ძირს ჩამოდიოდა; ვალენტინა გააფრთხილეს, რომ დიდება მარტო იყო.

— ადით მასთან, უთხრა მან ექიმს.

— თქვენ?

— არა, მეშინია, მან ამიკრძალა თქვენი გამოძახება. გარდა ამისა, როგორც თქვენ მითხარით, მე თვითონ აღელვებული, აღგზნებული ვარ და თავს ცუდად ვგრძნობ. ბაღში გავივლი, რათა ცოტაოდენი ძალ-ღონე მოვიკრიბო.

ექიმმა ვალენტინას ხელი ჩამოართვა, თვითონ ავადმყოფთან ავიდა, ქალიშვილი კი ბაღისაკენ გაემურა.

ჩვენ არ დაგვჭირდება იმისი თქმა, თუ ბაღის რომელ ნაწილში უყვარდა ვალენტინას სეირნობა. როდესაც რამდენჯერმე გაივლიდა ყვავილნარში, რომელიც მას სახლს ერტყა და ვარდს მოწყვეტდა თმაში თუ ქამარში ჩასაბნევად, იგი წავიდოდა დაჩრდილული ხეივნისაკენ, რომელიც სკამისაკენ მიდიოდა, ხოლო სკამიდან — კარისაკენ.

ამჯერადაც ვალენტინამ თავის ყვავილნარში რამდენიმეჯერ გაიარა, მაგრამ არაფერი მოუწყვეტია; თუმცა გულზე მოწოლილი გლოვა ჯერ კიდევ მის ტანისამოსზე არ გამოხატულიყო, ის ერიდებოდა ამ უბრალო სამკაულსაც; შემდეგ თავის ხეივნისაკენ გაემართა.

რაც უფრო წინ მიდიოდა, მით უფრო ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა ეძახდა. განცვიფრებული ვალენტინა შეჩერდა.

ახლა მან გარკვევით გაიგონა ეს ძახილი და იცნო მაქსიმელიანის ხმა.

თავი XVI დაპირება

ეს ნამდვილად ბატონი მორელი იყო, რომელიც გუშინდელს აქეთ თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. შეყვარებულთათვის და დედებისათვის დამახასიათებელი ინსტინქტით იგი მიხვდა, რომ ქალბატონ დე სენ-მერანის ჩამოსვლას და მარკიზის სიკვდილს დე ვილფორის სახლში უნდა გამოეწვია რაღაც მნიშვნელოვანი, რაც მის ვალენტინასადმი სიყვარულს შეეხებოდა.

როგორც ეს არის დავინახეთ, წინათგრძნობამ არ შეაცდინა იგი, და ახლა უკვე ასე აცახცახებული და თავზარდაცემული წაბლის ხეებთან მყოფ ჭიშკართან უბრალო შემფოთებამ კი არ მიიყვანა. მაგრამ ვალენტინამ არ იცოდა, რომ მას მორელი უცდიდა, ეს არ იყო მისი მოსვლის ჩვეულებრივი საათი; მხოლოდ უბრალო შემთხვევამ, ან თუ გნებავთ, ბედნიერმა გულისთქმამ იგი ბაღში მიიყვანა. როდესაც ვალენტინა ხეივანში გამოჩნდა, მორელმა დაუძახა, ქალიშვილმა ჭიშკართან მიიბრინა.

— თქვენ ამ დროს აქა ხართ? — უთხრა მან.

— დიახ, ჩემო საწყალო მეგობარო, — უთხრა მორელმა. — მოვედი, რათა ცუდი ამბავი გაუწყოთ.

— როგორც ჩანს, ყველა უბედურება ჩვენს სახლს დაატყდა, — თქვა ვალენტინამ, — ილაპარაკეთ, მაქსიმილიან, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, უბედურებები ისედაც საკმარისია.

— ძვირფასო ვალენტინა, კარგად მისმინეთ, — დაიწყო მორელმა, რომელიც ცდილობდა მღელვარება დაეძლია, რათა უფრო გარკვევით ელაპარაკა. — ის, რასაც მე გეტყვით, მეტად მნიშვნელოვანია. როდისთვის აპირებენ თქვენს ქორწილს?

— მისმინეთ, მაქსიმილიან, — უთხრა ვალენტინამ, — მე არ მინდა რაიმე დაგიმალოთ. ამ დილით ლაპარაკობდნენ ჩემს გათხოვებაზე და აღმოჩნდა, რომ დიდება, რომლის იმედიც მექონდა, არა მარტო მომხრეა ამ ქორწინების, არამედ ისე სწყურია იგი, რომ მხოლოდ ფრანსუა დ'ეპინეს დაბრუნებას ელიან; ჩამოვა თუ არა, მეორე დღესვე საქორწილო შეთანხმება ხელმოწერილი იქნება.

ყმაწვილ კაცს გულიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა და ვალენტინას ხანგრძლივი და სევდიანი მზერა მიაპყრო.

— ეჰ, — დაიწყო მან, — საშინელებაა ისმენდე, საყვარელი ქალიშვილი როგორ დამშვიდებით ლაპარაკობს: «თქვენი წამების ვადა დანიშნულია; იგი რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყება»; მაგრამ რას იზამ, რაკი ასე უნდა იყოს, მე წინააღმდეგობას აღარ გავწევ. აი რა, თუ საქორწილო შეთანხმების ხელმოსაწერად მხოლოდ დ'ეპინეს უცდიან, თუ მისი ჩამოსვლის მეორე დღესვე მისი საკუთრება გახდებით, მაშ ხვალ დაიწერთ ჯვარს, რადგან იგი დღეს დილით ჩამოვიდა.

ვალენტინამ შეჰყვირა.

— ერთი საათის წინ გრაფ მონტე-კრისტოსთან ვიყავი; — თქვა მორელმა, — ჩვენ ვსაუბრობდით, ის — თქვენი ოჯახის უბედურებაზე, მე კი თქვენსაზე, რომ უცებ ეზოში ეტლი შემოვიდა. მისმინეთ. ამ წუთამდე წინათგრძნობის არასოდეს მჯეროდა, მაგრამ ახლა უნდა ვერწმუნო. ამ ეტლის ბორბლების ხმაზე ჟრჟოლამ ამიტანა. მალე კიბიდან ნაბიჯების ხმა შემომესმა. კომანდორის ყრუ ნაბიჯებს დონ ჟუანი ამაზე მეტად არ შეუშინებია, როგორც მე იმ ხმაურმა შემაშინა. ბოლოს კარი გაიღო; ალბერ დე მორსერი პირველი შემოვიდა; ჩემს თავზე მე თვითონ შემეპარა ეჭვი, ალბათ,

შევცდი-მეთქი, რომ უცებ მეორე ყმაწვილი კაციც გამოჩნდა. «ოჰ, ბარონი ფრანც დ'ეპინე»... — წამოიყვირა გრაფმა. მთელი ჩემი ძალ-ღონე და ვაჟკაცობა მოვიკრიბე, რომ თავი შემეკავებინა. შეიძლება გავფითრდი, შეიძლება ავცახცახდი, მაგრამ მანინ ვილიმებოდი. ხუთი წუთის შემდეგ წამოვედი. მაგრამ რაც ამ ხნის განმავლობაში ითქვა, არაფერი გამიგონია. მე განადგურებული ვიყავი.

— საცოდავი მაქსიმილიანი! — ჩაიჩურჩულა ვალენტინამ.

— აი, მე აქა ვარ, ვალენტინა. ახლა მიპასუხეთ, ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე თქვენს პასუხზეა დამოკიდებული. რას ფიქრობთ, როგორ მოიქცევით?

ვალენტინამ თავი ჩაქინდრა: ის განადგურებული იყო.

— მისმინეთ, — განაგრძო მორელმა, — თქვენ ხომ პირველად არ ფიქრობთ იმ ვითარებაზე, რომელშიც ჩვენ ჩავცვივდით; მდგომარეობა სერიოზულია, მძიმე, აუტანელი, ვფიქრობ, ახლა დრო არ არის უიმედო დარდს მივეცეთ; ეს მათ გამოადგებათ, ვინც თანახმაა დამშვიდებით იტანჯოს და ცრემლებად დაიღვაროს. არიან ასეთი ადამიანები და ღმერთი, ალბათ, ზეცაში მადლში ჩაუთვლის ამ მიწიერ მორჩილებას. მაგრამ ის, ვინც ბრძოლის უნარსა გრძნობს, ძვირფას დროს არ ჰკარგავს და ბედისწერას მყისვე დარტყმით უპასუხებს. ვალენტინა, გინდათ შეებრძოლოთ ბოროტ ბედისწერას? მიპასუხეთ, რადგან მე ამის საკითხავად მოვედი.

ვალენტინა შეკრთა და მორელს შეშინებული, ფართოდ გაღებული თვალებით შეხედა. ის აზრი, რომ მამის, დიდედის, — ერთი სიტყვით, მთელი ოჯახის სურვილის წინააღმდეგ წასულიყო, არასოდეს მოსვლია თავში.

— რისი თქმა გინდათ, მაქსიმილიან? — ჰკითხა ვალენტინამ, — რას ეძახით ბრძოლას? სჯობს ამას მკრეხელობა უწოდოთ! როგორ! შევებრძოლოთ მამის ბრძანებას, მომაკვდავი დიდედას სურვილს? ეს შეუძლებელია!

მორელი შეკრთა.

— თქვენ მეტად კეთილშობილი გული გაქვთ და გამიგებთ. თქვენ ისე კარგად გამიგეთ, ძვირფასო მაქსიმილიან, რომ ხმას არ იღებთ. მე ვიბრძოლო! ღმერთმა დამიფაროს! არა, არა! მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბო ჩემს თავთან საბრძოლველად და ცრემლებად დავიღვარო, როგორც თქვენ თქვით. რაც შეეხება მამის წყენინებას, დიდედას უკანასკნელი წუთების მოწამვლას — არასოდეს!

— თქვენ სავსებით მართალი ხართ, — უთხრა უგრძნობლად მორელმა.

— როგორ მეუბნებით ამას? — შეჰყვირა გულმოკლულმა ვალენტინამ.

— გეუბნებით ისეთი ადამიანივით, რომელიც აღფრთოვანებულია თქვენი პიროვნებით, მადმუაზელ, — უპასუხა მაქსიმილიანმა.

— მადმუაზელ! — შეჰყვირა ვალენტინამ, — მადმუაზელ! ოჰ, რა ეგოისტი ხართ! ხედავთ, რა სასოწარკვეთილი ვარ, თქვენ კი თითქოს ვერ გაგიგიათ ჩემი.

— ცდებით, პირიქით, მე თქვენ მშვენივრად გაგიგეთ. თქვენ არ გინდათ წინააღმდეგობა გაუწიოთ ბატონ დე ვილფორს, არ გინდათ ურჩობა გაუწიოთ მარკიზის მეუღლეს, ხვალ მოაწერთ ხელს საქორწინო შეთანხმებას, რომელიც თქვენ ქმართან დაგაკავშირებთ.

— ღმერთო ჩემო, განა შემიძლია სხვანაირად მოვიქცე?

— მე ნუ მეკითხებით ამას, მადმუაზელ. ამ საქმეში ცუდი მოსამართლე ვარ და შეიძლება ჩემმა ეგოიზმმა დამაბრძალოს, — უპასუხა მორელმა, რომლის ყრუ ხმა და შეკუმშული მუშტები მის გაშმაგებაზე მეტყველებდნენ.

— მორელ, რას შემომთავაზებდით, თქვენი წინადადება რომ მიმეღო? აბა, მიპასუხეთ. საქმე ის კი არ არის, რომ მითხრათ «ცუდად იქცევით», არამედ რჩევა უნდა მომცეთ, როგორ მოვიქცე.

— ამას სერიოზულად მეუბნებით, ვალენტინა? თქვენ გინდათ, რჩევა მოგცეთ?

— რასაკვირველია, ძვირფასო მაქსიმილიან, და თუ კარგი წინადადება იქნება, მე მას მივიღებ; კარგად იცით, რა დიდია ჩემი თქვენდამი სიყვარული.

— ვალენტინა — უთხრა მორელმა და უკვე აგლეჯილი ფიცარი გასწია, — მომეცით ხელი იმის დასამტკიცებლად, რომ გაცხარება მომიტევეთ; თავბრუ მეხვევა, და აი, უკვე ერთი საათია გონებაში საშინელი ფიქრები მიტრიალებს. თუ თქვენ უარყოფთ ჩემს რჩევას...

— თქვით, რა რჩევაა ასეთი?

— მისმინეთ, ვალენტინა.

ქალიშვილმა თვალები ზეცას მიაპყრო და ამოიოხრა.

— მე თავისუფალი კაცი ვარ, — დაიწყო მაქსიმილიანმა, — ჩემი სიმდიდრე ორივესათვის საკმარისია. გეფიცებით, სანამ ჩემი ცოლი არ გახდებით, ჩემი ბაგეები თქვენს შუბლს არ შეეხება.

— თქვენ მე მაშინებთ! — უთხრა ქალიშვილმა.

— გავიქვით, — განაგრძო მორელმა; — ჩემ დასთან წაგიყვანთ. იგი ღირსია თქვენი დაც იყოს; წავიდეთ ალჟირში, ინგლისში, ამერიკაში, თუ გნებავთ თავი სადმე პროვინციაში შევაფაროთ, და იქ ვიცხოვროთ მანამ, სანამ ჩვენი მეგობრები თქვენი ოჯახის წინააღმდეგობას არ დასძლევენ.

ვალენტინამ თავი გაიქნია.

— ასეც ვფიქრობდი, მაქსიმილიან, — თქვა მან; ეს შეშლილის რჩევაა, და თქვენზე მეტად შეშლილი ვიქნები, თუ ახლავე ერთი სიტყვით არ შეგაჩერებთ: შეუძლებელია, მორელ, შეუძლებელი.

— და თქვენ ემორჩილებით ბედისწერას ისე, რომ შებრძოლებას არ აპირებთ, — უთხრა კვლავ მორელმა და მოიღუშა.

— დიახ, თუნდაც ამან ბოლო მომიღოს!..

— კარგი, ვალენტინა, — განაგრძო მაქსიმილიანმა, — კვლავ გაგიმეორებთ, სავსებით მართალი ხართ. მართლაც შეშლილი ვარ, თქვენ დამიმიტკიცეთ, რომ ვნება თვით ყველაზე დინჯი გონების ადამიანებსაც კი აბრმავებს. გმადლობთ, რომ ვნების მოუშველებლად მსჯელობთ. დაე ასე იყოს, გადაწყვეტილია; ხვალ თქვენ საბოლოოდ ფრანც დ'ეპინეს საცოლე გახდებით. არა იმ ფორმალობის ძალით, რომელიც გამოგონილია თეატრში კომედიის კვანძებისათვის და საქორწილო შეთანხმების ხელმოწერად იწოდება, არამედ თქვენი საკუთარი სურვილით.

— თქვენ კვლავ მაწვალებთ, მაქსიმილიან, — უთხრა ვალენტინამ. — ისეც ატრაილებთ ხანჯალს ჩემს ჭრილობაში! მითხარით, რას იზამდით თქვენი დისათვის ვინმეს ასეთი რჩევა რომ მიეცა.

— მადმუაზელ, — უპასუხა მორელმა მწარე ღიმილით, — მე ეგოისტი ვარ, თქვენ ეს უკვე მითხარით, ამიტომ იმაზე კი არ ვფიქრობ, სხვა ჩემს ადგილს რას იზამდა, არამედ იმაზე, თუ თვით მე რას ვაპირებ. ვფიქრობ იმაზე, რომ უკვე ერთი წელია გიცნობთ; და იმ დღიდან, რაც თქვენ გაგიცანით, მთელი ჩემი იმედები და ბედნიერება თქვენს სიყვარულზე იყო აგებული; დადგა დღე, როდესაც მითხარით, რომ გიყვარვართ; ამ დღიდან მომავალზე ფიქრში, მე მჯეროდა, რომ ჩემი იქნებოდით, ეს ჩემთვის მთელი სიცოცხლე იყო. ახლა აღარაფერზე ვფიქრობ; მხოლოდ ჩემს თავს ვეუბნები, რომ ბედი უკუღმა შემიტრიალდა. იმედი მქონდა ზეციური ნეტარება მომეპოვებინა და იგი ხელიდან გამომეცალა. ყოველ დღე ხდება, რომ ბანქოს მოთამაშე მარტო იმას კი არ აგებს, რაც მას აქვს, არამედ იმასაც, რაც მას არ გააჩნია.

მორელმა ყოველივე ეს სავსებით დამშვიდებით უთხრა; ვალენტინამ თავისი დიდი თვალებით, გამომცდელად შეხედა მას, მაგრამ შეეცადა, ყმაწვილი კაცის მზერა არ შეჭრილიყო მის უკვე შემფოთებულ გულის სიღრმეში.

— კი მაგრამ, მაინც რას აპირებთ? — ჰკითხა ვალენტინამ.

— პატივი მექნება გამოგემშვიდობოთ, მადმუაზელ. ღმერთი ისმენს ჩემს სიტყვებს და ჩემი გულის სიღრმეში კითხულობს, ის მოწმეა, გისურვებდით ისეთ მშვიდ, ბედნიერ და სრულყოფილ ცხოვრებას, რომ მასში ადგილი არ ჰქონდეს ჩემს მოგონებას.

— ღმერთო ჩემო, — ჩაიჩურჩულა ვალენტინამ.

— მშვიდობით, ვალენტინა, მშვიდობით! — უთხრა მორელმა და ძირს დაიხარა.

— სად მიდიხართ? — შეჰყვირა ვალენტინამ, ხელი რიკულებში გაჰყო და სახელოში სწვდა; საკუთარი შინაგანი მღელვარების მიხედვით, ქალიშვილი ხვდებოდა, რომ მისი შეყვარებულის გარეგნული სიმშვიდე არ შეიძლებოდა ბუნებრივი ყოფილიყო; — სად მიდიხართ?

— შევეცდები ახალი უსიამოვნება არ შევიტანო თქვენს ოჯახში და მაგალითს მივცემ, როგორ უნდა მოიქცეს ჩემნაირ მდგომარეობაში მოხვედრილი პატიოსანი და წესიერი ყმაწვილი კაცი.

— სანამ წახვიდოდეთ, მითხარით, რას აპირებთ?

მორელს ნაღვლიანად გაეცინა.

— ოჰ, მითხარით, მითხარით! გეხვეწებით, — არ ეშვებოდა ვალენტინა.

— თქვენ გადაიფიქრეთ, ვალენტინა?

— თქვენ ხომ იცით, ბედშაო, რომ გადაფიქრება არ ძალმიძს! — შეჰყვირა ქალმა.

— მაშ, მშვიდობით!

ვალენტინამ გისოსს ისეთი ძალით დაუწყო რხევა, როგორც მისგან მოულოდნელი იყო; მაგრამ რაკი მორელი მაინც შორდებოდა, მისკენ ხელები გაიწვდინა, თითების მტვრევა დაიწყო და შეჰყვირა:

— რა უნდა იმოქმედოთ? მე მინდა ვიცოდეთ! სად მიდიხართ?

— ოჰ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უთხრა მაქსიმილიანმა და კარებიდან სამი ნაბიჯის სიახლოვეს გაჩერდა, — განზრახული არა მაქვს ჩემი ბოროტი ბედის პასუხისმგებელი სხვა გავხადო. სხვა ჩემს ადგილას დაგემუქრებოდათ, ფრანც დ'ეპინეს მოვძებნი, დუელში გამოვიწვევ და შევებრძოლები... ეს სიგიჟე იქნებოდა. რა შუაშია აქ ფრანც დ'ეპინე? ამ დილით მან პირველად მნახა, და უკვე დაავიწყდა კიდევ, რომ მნახა. მან არც კი იცოდა ჩემი არსებობა, როდესაც თქვენს ოჯახებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ერთიმეორისათვის იქნებოდით განკუთვნილი. ამიტომ მასთან არავითარი საქმე არა მაქვს, და გეფიცებით არც ვაპირებ ანგარიშის გასწორებას.

— მაშ ვისთან? ჩემთან?

— თქვენთან, ვალენტინა! ეჰ, ღმერთმა დამიფაროს. ქალი წმინდა არსებაა, ხოლო ქალი, რომელიც გიყვარს, ორმაგად წმინდაა.

— მაშ თქვენ თავთან, უბედურო! თქვენ თავთან?

— ყველაფერში ხომ მე თვითონ ვარ დამნაშავე? — უთხრა მორელმა.

— მაქსიმილიან, მოდით აქ, ეს მე მსურს! — დაუძახა ვალენტინამ.

— მაქსიმილიანი თავისი ნაზი ღიმილით მიუახლოვდა, ისე ფერმკრთალი რომ არ ყოფილიყო, კაცი იფიქრებდა ჩვეულებრივ მდგომარეობაში არის და არაფერი მოსვლიაო.

— მისმინეთ, რას გეტყვით, ჩემო ძვირფასო, ჩემო ღვთაება ვალენტინა, — უთხრა მან თავისი მელოდიური და მჟღერი ხმით, — ჩვენისთანა ადამიანებს, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ ისეთი განზრახვა, რომ ხალხის, მშობლების, სამშობლოს და ღმერთის წინაშე გაწითლებულიყვნენ, ერთმანეთის გულში ნადები შეუძლიათ გაშლილი წიგნივით წაიკითხონ. მე რომანის მოქმედი პირი არა ვარ, არც მელანქოლიური გმირი, თავი არც მანფრედი მგონია, არც ანტონი¹. (¹ ანტონი — ალექსანდრე დიუმას (მამის) დრამის გმირი, მელანქოლიური და საბედისწერო ვნების განხორციელება.) მაგრამ ზედმეტი სიტყვების, დარწმუნების და ფიცის გარეშე ჩემი სიცოცხლე თქვენ მოგიძღვენი. თქვენ მშორდებით; უკვე გითხარით და კიდევ გიმეორებთ, მართალი ხართ; მაგრამ რაც უნდა იყოს, თქვენ მშორდებით და ჩემი ცხოვრებაც დასრულდა. რაკი თქვენ მშორდებით, ვალენტინა, ამქვეყნად მე მარტო ვრჩები. ჩემი და ბედნიერია თავის ქმართან; მისი ქმარი ჩემთვის მხოლოდ სიძეა, ესე იგი, ადამიანი, რომელიც ჩემთან საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზეა დაკავშირებული. ამქვეყნად უკვე აღარავის ჩემი უსარგებლო სიცოცხლე არ სჭირდება. აი, რას ვიზამ: სანამ ჯვარს არ დაიწერთ, იმ წუთამდე დავიცდი; არ მინდა დავკარგო ჩრდილი იმ მოულოდნელი ბედნიერებისა, რომელსაც ზოგჯერ შემთხვევა გვაძლევს. ხომ შეიძლება, ამ ხნის განმავლობაში ფრანც დ'ეპინე გარდაიცვალოს; ან კიდევ ჯვრის წერის მომენტში საკურთხეველს მეხი დაეცეს. სასიკვდილოდ განწირულს ყველაფერი შესაძლებლად ეჩვენება, თვით სასწაულიც კი, როცა საქმე ეხება მის გადარჩენას. მაშ ასე, გეუბნებით, რომ უკანასკნელ წუთამდე დავიცდი. ხოლო როდესაც ჩემი უბედურება უტყუარი იქნება, უკვე გამოუსწორებელი, უიმედო, მე ერთს კონფიდენციალურ წერილს მივწერ ჩემს სიძეს... ხოლო მეორეს — პოლიციის პრეფექტს. ვაცნობებ მათ ჩემს განზრახვას და სადმე ტყეში, უფსკრულის პირას, რომელიმე მდინარის ნაპირზე თავს მოვიკლავ. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მე ყველაზე პატიოსანი ადამიანის შვილი ვარ, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია საფრანგეთში.

ვალენტინა ნერვულმა ცახცახმა აიტანა; მან ხელი გაუშვა გისოსს, რომელზედაც დაყრდნობილი იყო, მკლავები უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა და ლოყებზე ორი დიდი კურცხალი ჩამოუგორდა.

მორელი იდგა მის წინ პირქუში და ურყევი.

— შემიბრალეთ, შემიბრალეთ! — ეხვეწებოდა ქალი, — თავს ხომ არ მოიკლავთ.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თავს მოვიკლავ, — უპასუხა მაქსიმილიანმა; — კი მაგრამ, თქვენთვის სულ ერთი არ არის? თქვენს მოვალეობას შეასრულებთ და სინდისი უმწიკვლო გექნებათ.

ვალენტინა მუხლებზე დაეცა, ხელები მიიღო გულზე, რომელიც ლამის ამოვარდნოდა.

— მაქსიმილიან, — უთხრა მან, — მაქსიმილიან, ჩემო მეგობარო, ჩემო ძმაო ამქვეყნად, ჩემო ნამდვილო მეუღლეზე ზეცაში, გემუდარები, მოიქეცი ისე, როგორც მე: იცოცხლე ტანჯვით. იქნებ დადგეს ისეთი დღე, რომ ჩვენც შევერთდეთ.

— ნახვამდის, ვალენტინა! — გაიმეორა მორელმა.

— ღმერთო ჩემო! — თქვა ვალენტინამ და ენით გამოუთქმელი გამომეტყველებით ხელები ცისაკენ აღაპყრო. — ხომ ხედავ, მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ მორჩილ შვილად დავრჩენილიყავი; ვთხოვდი, ვემუდრებოდი, ვაფიცებდი, მან ყური არ ათხოვა არც ჩემს თხოვნას, არც მუდარას, არც ცრემლებს. ჰოდა აი, რა, — განაგრძო მან მტკიცე ხმით და თან ცრემლები მოიწმინდა, — მე არ მინდა დარდისაგან მოვკვდე. ვამჯობინებ სირცხვილმა მომკლას. თქვენ იცოცხლებთ, მაქსიმილიან, და მე

თქვენს გარდა არავისი არ ვიქნები. როდის? რომელ წუთს? ახლავე მითხარით, მიბრძანეთ, მე მზადა ვარ!

მორელმა, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წასასვლელად, დაბრუნდა და სიხარულისაგან გაფითრებულმა, განათებული თვალებით, გისოსში ხელები ვალენტინასაკენ გაიწვდინა.

— ვალენტინა! — უთხრა მან, — ჩემო ძვირფასო მეგობარო, ასე როდი უნდა ილაპარაკოთ. თუ ეს ასეა, სჯობს მოვკვდე. თუ თქვენ ისევე გიყვარვართ, როგორც მე მიყვარხართ, ძალით რატომ უნდა წაგიყვანოთ? ან იქნებ მხოლოდ სიბრალულის გამო გინდათ ვიცოცხლო? ასეთ შემთხვევაში, სიკვდილი მირჩევნია.

— მართლაც, — ჩაიბუტბუტა ვალენტინამ, — ვის ვუყვარვარ ამქვეყნად? მას. ვინ მანუგეშებდა ყველა ჩემს უბედურებებში? იგი. ვისზე ემყარება ჩემი იმედები, ვისზე შეჩერდნენ ჩემი გაცეცხლებული თვალები, ვისზე ისვენებს ჩემი გატანჯული გული? მასზე, მასზე, მხოლოდ მასზე. ჰოდა, აი რა, შენც მართალი ხარ, მაქსიმილიან, წამოვალ შენთან ერთად, დავტოვებ მშობლიურ სახლს, ყველაფერს დავტოვებ. გადაწყვეტილია! რა უმადური ვარ! — შეჰყვირა უცებ ვალენტინამ ქვითინით, — მე სულ დამავიწყდა ბაბუაჩემი.

— არა, — უთხრა მაქსიმილიანმა, — შენ მას არ მიატოვებ. შენ მეუბნებოდი, თითქოს ბატონი ნუარტიე ჩემს მიმართ სიმპათიურად არის განწყობილი; ჰოდა, აი რა, სანამ გავიქცეოდეთ, შენ მას ყველაფერს ეტყვი. მისი თანხმობა, ღმერთის წინაშე დაგიფარავს. ჯვრისწერის შემდეგ კი მაშინვე ჩვენთან გადმოვიყვანთ. ერთი შვილიშვილის მაგიერ მას ორი შვილიშვილი ეყოლება. შენ მიამბობდი, როგორ გელაპარაკება და როგორ პასუხობ; ნახავ, მალე შევითვისებ ამ მგრძობიარე ნიშნების ენას. გეფიცები, ვალენტინა, სასოწარკვეთილების მაგიერ, რომელიც ჩვენ გველის, ბედნიერებას გპირდები!

— შენ ხედავ, მაქსიმილიან, რა გავლენა გაქვს ჩემზე! მზად ვარ დაგიჯერო, რასაც მელაპარაკები, მაგრამ ყოველივე ეს ხომ სიგიჟეა. მამაჩემი დამწყევლის; მე ვიცნობ მას, ვიცი მისი უდრეკი გული, არასოდეს მაპატიებს. აი კიდევ რა, მაქსიმილიან: თუ ეშმაკობით, თხოვნით, შემთხვევის წყალობით შევძლებ ჯვარისწერა გადავატანინო, თქვენ ხომ დამიცდით?

— დიახ, გეფიცებით, მაგრამ თქვენც დაიფიცეთ, რომ ეს საშინელი ქორწინება არასოდეს მოხდება, და თუნდაც ძალათი მიგათრიონ მერთან, მღვდელთან, თქვენ მაინც არას იტყვით.

— გეფიცებით, მაქსიმილიან, გეფიცებით ჩემთვის ყველაზე წმინდა ადამიანის — დედის სახელს!

— მაშ მოვიცადოთ, — თქვა მორელმა.

— დიახ, მოვიცადოთ, — გამოეხმაურა ვალენტინა, რომელსაც ამ სიტყვების გამო გულზე მოეშვა. — ჩვენისთანა უბედურებს შეიძლება იმედი რამ მოევლინოს მხსნელად.

— მე თქვენი იმედი მაქვს, ვალენტინა, — უთხრა მორელმა, — ყველაფერი, რასაც გააკეთებთ, კარგი იქნება; მაგრამ თუ თქვენს მუდარას არ შეისმენენ, თუ მამათქვენი და ქალბატონი დე სენ-მერანი მოითხოვენ, რომ დ'ეპინე ხვალ გამოცხადდეს საქორწილო ხელშეკრულების დასადებად...

— მაშინ, მორელ... მე თქვენ სიტყვა მოგეცით.

— და იმის მაგიერ, რომ ხელი მოაწეროთ...

— თქვენთან გამოვალ და გავიქცეთ; მაგრამ მანამდის ღმერთს ნუ ვაწყენინებთ, ნუ შევხვდებით ერთმანეთს; აქამდის რომ არ დაგვიჭირეს, ეს სასწაულია, ღვთის განგებაა. რომ გაეგოთ, ჩვენი შეხვედრები, აღარაფრის იმედი აღარ გვექნებოდა.

— მართალი ხართ, ვალენტინა; მაგრამ როგორ გავიგო...

— ნოტარიუს დემანიდან.

— მას მე ვიცნობ.

— და ჩემგან. დამიჯერეთ, მოგწერთ. ღმერთო ჩემო! ეს ქორწინება ჩემთვის ისეთივე საძულველია, როგორც თქვენთვის.

— გმადლობთ, გმადლობთ, ვალენტინა, ჩემო ღვთაებავ! მამ ყველაფერი გადაწყვეტილია; როგორც კი საათს დამინიშნავთ, მაშინვე მოვირბენ და თქვენ ღობიდან ჩემს მკლავებში გადმოხვალთ. ეს ძნელი საქმე არ არის, ბოსტნის ჭიშკართან ეტლი დაგვიცდის, მე ჩემ დასთან წაგიყვანთ და იქ მალულად ან აშკარად, როგორც თქვენ ინებებთ, ვიპოვი ჩვენი სიმართლისა და ბედნიერების მხარდაჭერას. უფლებას არ მივცემთ ყელი გამოგვჭრან ხბოსავით, რომელიც თავს მხოლოდ გმინვით იცავდა.

— დაე ასე იყოს, — უთხრა ვალენტინამ; — და მეც გეტყვით, მაქსიმელიან, ყველაფერი ის, რასაც თქვენ გააკეთებთ, კარგი იქნება.

— ძვირფასო!

— აბა, რას იტყვით? კმაყოფილი ხართ თქვენი ცოლით? — ჰკითხა სევდიანად ყმაწვილმა ქალმა.

— ძვირფასო ვალენტინა, საკმარისი არ იქნება გითხრათ — «დიახ».

— მაინც მითხარით.

ვალენტინამ ბაგეები კართან მიტანა, და მისი სიტყვები ნაზ სუნთქვასთან ერთად მიუახლოვდა მორელის ტუჩებს, რომელიც ჭიშკრის მეორე მხრიდან პირით მიეწება ცივ, შეუბრალებელ ზღუდეს.

— ნახვამდის, — უთხრა ვალენტინამ და ამ ბედნიერებას თავი ძლივს მოსწყვიტა, — ნახვამდის!

— მე თქვენგან წერილს მივიღებ?

— დიახ.

— გმადლობთ, ჩემო ძვირფასო ცოლო! ნახვამდის.

გაისმა ჰაერში გაგზავნილი უმწიკვლო კოცნის ხმა, და ვალენტინა ცაცხვების ხეივნისაკენ გაიქცა.

მორელს ესმოდა, როგორ შთაინთქა ბუჩქებში კაბის შრიალი, როგორ შენელდა მისი ნაბიჯების ხმა ქვიშაზე; შემდეგ ენით გამოუთქმელი ღიმილით თვალები ზეცისკენ ადაპყრო; მადლობას უხდიდა, რომ მან ასეთი სიყვარული არგუნა წილად და ისიც იქაურობას გაეცალა.

მაქსიმელიანი სახლში დაბრუნდა, მთელი საღამო და მეორე დღე ელოდა, მაგრამ ამოდ, არაფერი მიიღო. მხოლოდ მესამე დღეს, დაახლოებით ათ საათზე, როდესაც ნოტარიუს დემანთან აპირებდა წასვლას, როგორც იქნა ფოსტით ბარათი მიიღო, და მიუხედავად იმისა, ვალენტინას ხელწერა არასოდეს ენახა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისი დაწერილი იყო.

ბარათში ეწერა:

«ცრემლებმა, ოხვამ, მუდარამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. გუმინ ორი საათი ვიყავი წმინდა ფილიპე რულსის ეკლესიაში და მთელი გულით და სულით ვემუდარებოდი ღმერთს; ღმერთი ადამიანებივით უგრძნობია და საქორწილო ხელშეკრულების ხელმოწერა ამ საღამოს ცხრა საათზეა დანიშნული.

მე ჩემი სიტყვის ერთგული ვარ ისევე, როგორც გულისა, მორელ, ეს სიტყვა თქვენ მოგეცით და ეს გულიც — თქვენია.

მაშ ასე, სალამომდე, ცხრას თხუთმეტი წუთი რომ დააკლდება, ღობესთან.

თქვენი ცოლი

ვალენტინა დე ვილფორი.

P. S. — საცოდავი დიდება, სულ უფრო ცუდად არის: გუშინ სალამოს მისი აღზუნება ბოდვაში გადავიდა; დღეს კი ბოდვა თითქმის სიგიჟეს ჰგავს.

თქვენ ძალიან გეყვარებით, მორელ, ხომ? რომ დამავიწყოთ, როგორ მდგომარეობაში დავტოვე იგი.

მგონი ბაბუა ნუარტიეს უმაღლავენ, რომ შეთანხმება დღეს სალამოთი იქნება ხელმოწერილი».

მორელი არ დასჯერდა ვალენტინას მიერ მოწოდებულ ცნობას; იგი ნოტარიუსთან წავიდა. ამ უკანასკნელმა კი დაუდასტურა, რომ ხელშეკრულების დადება სალამოს ცხრა საათზე იყო დანიშნული.

შემდეგ მონტე-კრისტოსთან შეიარა, აქ უფრო დაწვრილებით გაიგო ყველაფერი: ფრანცი ყოფილა მასთან, რათა ეს საზეიმო ამბავი ეცნობებინა; ქალბატონი დე ვილფორი თავის მხრივ, წერილით პატიებას თხოვდა, რომ არ მიიპატიჟეს; მაგრამ მარკიზ დე სენ-მერანის სიკვდილი და მისი ქვრივის ავადმყოფობა, ამ ზეიმს მწუხრის საბურველში ხვევდა, და რომ იგი ვერ ბედავს ამ გარემოებით დაამწუხროს გრაფი, რომლისთვისაც ყოველგვარი სიკეთე სურს.

წინა სალამოს ფრანცი ქალბატონ დე სენ-მერანს წარუდგინეს, რომელიც ამ შემთხვევის გამო ლოგინიდანაც კი წამოდგა, მაგრამ მაშინვე ჩაწვა.

ადვილი გასაგებია, რომ მორელი ძალზე აღელვებული იყო. გრაფის შორსმჭვერეტელ თვალებს არ გამოპარვია ეს გარემოება; ამიტომ მონტე-კრისტო მას ახლა უფრო მეტი ალერსით ექცეოდა, ვიდრე ოდესმე, — იმდენად ნაზად, რომ მაქსიმილიანი ხანდახან მზად იყო ყველაფერი ეთქვა. მაგრამ მას გაახსენდა ვალენტინასათვის მიცემული დაპირება, და საიდუმლოება მისი გულის სიღრმეში დარჩა.

ყმაწვილმა კაცმა ამ დღეს ვალენტინას წერილი ერთი ოცჯერ მაინც წაიკითხა. იგი პირველად სწერდა მას და რა საბაზით! ყოველ გადაკითხვაზე მაქსიმილიანი თავის თავს ისევ ხელახლა აძლევდა ფიცს, რომ ვალენტინას ბედნიერს გახდიდა. მართლაც, რა გავლენა უნდა ჰქონდეს მამაკაცზე ყმაწვილ ქალს, რომელმაც ასეთი მტკიცე ნაბიჯის გადადგმა გახედა! როგორი თავდადებით უნდა ემსახუროს ვინც მისთვის ყველაფერი გასწირა! როგორ უნდა აღმერთებდეს. მისთვის იგი დედოფალიცაა და ცოლიც, და მაქსიმილიანს ეჩვენებოდა, რომ ერთი გული საკმარისი არ იყო, რომ იგი ყვარებოდა და მადლობა გადაეხადა.

მორელი გამოუთქმელი მღელვარებით ფიქრობდა იმ წუთზე, როდესაც ვალენტინა მასთან მივიდოდა და ეტყოდა:

— მე მოვედი, მაქსიმილიან; თქვენი ვარ.

გაქცევისათვის მან ყველაფერი მოამზადა: ბოსტნის იონჯებში დამალული იყო ორი მისადგმელი კიბე; კაბრიოლეტი, რომელიც თვით მაქსიმილიანს უნდა წაეყვანა, მზად იყო, მას არც მსახურები წაუყვანია თან და არც ფარნები აუნთია; მაგრამ ფიქრობდა პირველსავე მოსახვევში აენტო ისინი, რომ მეტისმეტი სიფრთხილის გამო პოლიციას არ ჩავარდნოდა ხელში.

დროდადრო მორელს მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა; ის ფიქრობდა იმ წუთზე, როდესაც ვალენტინას კედლიდან გადმოძრომაში მიეშველებოდა და მას,

ვისაც აქამდე მხოლოდ ხელს ართმევდა ანდა თითის წვერებზე კოცნიდა, ახლა აცახცახებულსა და უძლურს, თავის მკლავებში იგრძნობოდა.

მაგრამ როდესაც შუადღემ მოაწია და მორელმა იგრძნო, რომ ახლოა დანიშნული საათი, მარტო ყოფნა მოუწია. სისხლი უდუღდა, უბრალო შეკითხვა, მეგობრის ხმა აღიზიანებდა; თავის ოთახში ჩაიკეტა, შეეცადა წიგნი ეკითხა; მთელ გვერდს წაიკითხავდა და ვერაფერს იგებდა; ბოლოს წიგნი გადაისროლა და ისევ გაქცევის გეგმაზე ფიქრს შეუდგა...

დანიშნული საათი ახლოვდებოდა.

ჯერ არ ყოფილა, რომ შეყვარებულ ადამიანს საათის ისრებისათვის ნება მიეცა მშვიდად განეგრძო თავისი გზა; მორელმა ისე აწვალა თავისი საათი, რომ საღამოს ექვს საათზე ცხრის ნახევარი უჩვენა. მაშინ გაიფიქრა, წასვლის დროა; თუმცა ხელშეკრულების ხელმოწერა ცხრისათვის იყო დანიშნული, მაგრამ, ალბათ, ვალენტინა არ დაუცდის ამ უსარგებლო ხელმოწერას. ამგვარად, თავის საათის მიხედვით, მედეს ქუჩიდან ცხრის ნახევარზე გამოსული მორელი, თავის ბოსტანში სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც ფილიპე რულის ეკლესიის საათმა რვა საათი დაჰკრა.

ცხენი და კაბრიოლეტი გადამალა დანგრეული ქოხის უკან, რომელშიც ჩვეულებრივად თვითონ იმალებოდა ხოლმე.

ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა, და ბოლოს ხშირ ფოთლებში ისე დაბნელდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი.

მორელი საფარიდან გამოვიდა და აკანკალებული გულით გისოსში გაიხედა. ბაღში ჯერ არავინ იყო.

საათმა ცხრის ნახევარი დაჰკრა.

ცდამი კიდევ ნახევარი საათი გავიდა. მორელი ბოსტნის გასწვრივ ბოლთასა სცემდა და ფიცრების ნაპრალში სულ უფრო ხშირად იცქირებოდა. ბაღში სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა; ამაოდ ეძებდა იგი სიბნელეში თეთრ კაბას, ამაოდ ელოდა სიჩუმეში ნაბიჯების ხმას.

სახლი, რომელიც ხეებში მოჩანდა, ჩაბნელებული იყო და არაფერი მეტყველებდა, რომ აქ უნდა მომხდარიყო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც საქორწილო ხელშეკრულების დადება.

მორელმა ამოიღო თავისი საათი, რომელმაც ათი და ორმოცდახუთი წუთი უჩვენა, მაგრამ თითქმის იმ წუთშივე ეკლესიის საათმა, რომლის რეკვა ორ-სამჯერ უკვე მოისმა, გამოსაწორა მისი ჯიბის საათის შეცდომა და ათის ნახევარი დაჰკრა.

მაშ, თვით ვალენტინას მიერ დანიშნული ვადის შემდეგ, ნახევარი საათი გასულა; მან თქვა ცხრა საათზეო, და შეიძლება ცოტა ადრე, ვიდრე გვიანო.

მორელისათვის ეს ყველაზე მძიმე წუთები იყო; თითოეული წამი მის გულში ტყვიის ჩაქუჩით სცემდა.

მას აკრთობდა და შუბლზე ოფლს ასხამდა ფოთლების სულ უმცრესი შრიალი, ქარის ოდნავი ჩურჩული; მაშინ თავით ფეხებამდე აცახცახებული, კედელზე კიბეს აყუდებდა და რათა დრო არ დაეკარგა, ფეხს პირველ საფეხურზე ადგამდა.

სანამ ის შიშოდან იმედზე გადადიოდა, გული ხან უფართოვდებოდა, ხან ეკუმშებოდა, ეკლესიის საათმა ათი დაჰკრა.

— არა, — ჩაიჩურჩულა შიშით მაქსიმილიანმა, — შეუძლებელია საქორწილო ხელშეკრულების დადება ამდენ ხანს გრძელდებოდეს, რაღაც გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა; მე ხომ ყოველგვარი შესაძლებლობა ავწონ-დავწონე; გამოვთვალე ამ ფორმალობისათვის საჭირო დრო. ალბათ, რაიმე მოხდა.

ადღევებული მორელი ხან გისოსის გასწვრივ ბოლთასა სცემდა და ხან გახურებულ შუბლს ცივ რკინას ადებდა. შეიძლება ხელმოწერის შემდეგ ვალენტინას გული წაუვიდა, შეიძლება სწორედ მაშინ დაიჭირეს, როდესაც იპარებოდა? მხოლოდ ამ ორ ჰიპოთეზაზე შეიძლებოდა შეჩერებულიყო ყმაწვილი კაცი და ორივეს სასოწარკვეთილებაში მოჰყავდა.

ბოლოს გადაწყვიტა, გაქცევის დროს ვალენტინას ძალამ უღალატა და გულწასული სადმე ბაღში გდიაო.

— თუ ეს ასეა, — წამოიძახა მან და კიბეს ეცა, — მე მას დავკარგავ და ჩემი დანაშაული იქნება.

დემონი, რომელმაც მას ეს აზრი ჩააგონა, აღარ ეშვებოდა და ყურში ისეთი დაჟინებით ეჩურჩულებოდა, რომელიც ლოგიკური მსჯელობის ძალით რამდენიმე წუთში საექვოს ნამდვილად დასაჯერებელს გახდის. იგი ყველა ჩაბნელებულ ადგილებში იხედებოდა და ასე ეგონა, რომ ბნელ ხეივანში ქვიშაზე რაღაცა ეგდო. მორელმა დაძახებაც კი გადაწყვიტა; მას მოეჩვენა, რომ ქარს მის ყურამდე გაურკვეველი კვნესა მოჰქონდა.

ბოლოს საათმა თერთმეტის ნახევარი დაჰკრა; ლოდინი უკვე უაზრობა იქნებოდა, ყველაფერი დასაშვები იყო მომხდარიყო; მაქსიმილიანს საფეთქლები მძლავრად უცემდა, თვლებში ბინდი ედგა; მან კედელს ფეხი გადააღაჯა და მიწაზე გადახტა.

ის ვილფორთან იყო, მალულად ავიდა; ყმაწვილმა კაცმა იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთ საქციელს, მაგრამ იმიტომ კი არ წავიდა ასე შორს, რომ ახლა უკან დაეხია.

ცოტა ხანს კედლის გასწვრივ მიჰყვებოდა, შემდეგ სწრაფად გაირბინა ხეივანი და ხშირ ტყეში შევიდა.

ერთ წამში ხეივნის ბოლოში მოექცა. აქედან მთელი სახლი მოჩანდა.

მაშინ მორელი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რაშიც ეჭვი ეპარებოდა, როცა ცდილობდა ხეების იქითა მხარე განეჭვრიტა: ძალზე განათებული ფანჯრების ნაცვლად, როგორც ეს მიღებულია საზეიმო დღეებში, მის წინ აღმართულიყო ნაცრისფერი მასივი, ჩრდილში გახვეული, ვეებერთელა ღრუბლის მიერ, რომელიც მთვარეს ფარავდა.

მხოლოდ დროდადრო, თითქოს გზააბნეულიაო, მეორე სართულის სამ ფანჯარაში სუსტი შუქი გამოკრთოდა. ეს სამი ფანჯარა ქალბატონ დე სენ-მერანის ოთახს ეკუთვნოდა.

წითელი ფარდების უკან შუქი თანაბრად ენთო. ეს ფარდები ქალბატონ დე ვილფორის საწოლ ოთახში ეკიდა.

მორელმა ყოველივე ეს გამოიცნო. რამდენჯერ, რათა საათობით ვალენტინასათვის ეთვალთვალეზინა, ეკითხებოდა სახლის მდებარეობას, და, თუმცა ის არასოდეს ენახა, მაინც კარგად იცნობდა.

ამ სიბნელემ და სიჩუმემ მორელი ვალენტინას უნახაობაზე მეტად შეაშინა.

იგი უკვე თავგზადაკარგული იყო; მწუხარებისაგან გაგიჟებულმა გადაწყვიტა არაფერს მორიდებოდა, ოღონდ ვალენტინა ენახა და დარწმუნებულიყო იმ უბედურებაში, რომელსაც ხვდებოდა, მაგრამ არ იცოდა რაში მდგომარეობდა. შორეული ჭალის პირამდე მივიდა და ის იყო აპირებდა, რაც შეიძლება ჩქარა გადაესერა ყოველმხრივ ღია ყვავილნარი, რომ უცებ ქარმა მის ყურამდე შორეული ხმები მიიტანა.

მაშინ მან ისევ უკან ბუჩქებისაკენ დაიხია, და სიბნელეში გაქვავდა უსიტყვოდ.

მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა: თუ ეს ვალენტინა იყო და მარტო იგი ჩაივლიდა, მაშინ დაუძახებდა; თუ ის მარტო არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, დაინახავდა და დარწმუნდებოდა, რომ არაფერი არ შემთხვეოდა; თუ ეს სხვა ვინმე იქნებოდა, საუბრიდან შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვა დაეჭირა და აეხსნა ჯერ გამოუცნობი საიდუმლოება.

ამ დროს მთვარემ თავი დააღწია ღრუბლებს, და მორელმა პარმალზე დაინახა დე ვილფორი, რომელსაც შავ ტანისამოსიანი მამაკაცი ახლდა. ისინი კიბეებზე დაემშენენ და ხეივნისაკენ წამოვიდნენ. გადმოდგეს თუ არა ნამდენიმე ნაბიჯი, შავი ტანისამოსიანი მამაკაცში მორელმა ექიმი დავრინი იცნო.

როდესაც მორელმა დაინახა, რომ მისკენ მოდიოდნენ, უკან დაიხია, მაგრამ მალე წააწყდა ნეკერჩხლის ხეს, რომელიც ამ ბუჩქნარის შუაგულში იდგა; იქ იძულებული გახდა შეჩერებულიყო.

მალე ამ ორ მამაკაცის ფეხქვეშ ქვიშის ხრამი შეწყდა.

— ეჰ, ძვირფასო ექიმო, — უთხრა მეფის პროკურორმა, — ცხადია, ზეცა გაუნრისხდა ჩვენს ოჯახს. რა საშინელი სიკვდილია! რა მოულოდნელი დარტყმა! ნუ ეცდებით ჩემს დამშვიდებას; ეჰ, ჭრილობა მეტად ახალი და მეტად ღრმაა. გარდაიცვალა, გარდაიცვალა!

მაქსიმილიანს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და კბილებმა კაწკაწი დაუწყო: ვინ მოკვდა ამ სახლში, რომელსაც თვითონ ვილფორი დაწყევლილად სთვლიდა.

— ჩემო ძვირფასო, ბატონო ვილფორ, — უპასუხა ექიმმა ისეთი ხმით, რომ ამის გამო მორელის შიში გაორკეცდა, — მე აქ დასამშვიდებლად არ მომიყვანიხართ, პირიქით.

— ამით რის თქმა გინდათ? — შეეკითხა შემინებული მეფის პროკურორი.

— მინდა გითხრათ, რომ იმ უბედურების უკან, რომელიც თავს დაგატყდათ, შეიძლება კიდევ უარესი რამ იმალება.

— ღმერთო ჩემო! — ჩაიჩურჩულა ვილფორმა და ხელები გადაიჭდო, — კიდევ რა უნდა მითხრათ?

— ჩვენ აქ სულ მარტონი ვართ, მეგობარო?

— დიახ! ნამდვილად მარტონი. მაგრამ რას ნიშნავს ასეთი სიფრთხილე?

— ეს იმას ნიშნავს, რომ საშინელი ამბავი უნდა გაცნობოთ, — გაჩერდა და მხარზე ხელი დაადო.

შიშისაგან გაყინულმა მორელმა ერთი ხელი შუბლზე მიიდო, მეორე გულზე, ეშინოდა არავის გაეგონა მისი ცემა.

«გარდაიცვალა, გარდაიცვალა!» — გაისმოდა მის გონებაში მისი გულის ხმა და ეგონა, რომ თვითონაც კვდებოდა.

— ილაპარაკეთ, ექიმო, გისმენთ, — უთხრა ვილფორმა, — გამანადგურეთ, მე ყველაფრისათვის მზადა ვარ.

— ქალბატონი დე სენ-მერანი, რასაკვირველია, მოხუცებული იყო, მაგრამ შესანიშნავი ჯანმრთელობა ჰქონდა.

ამ ათი წუთის განმავლობაში მორელმა პირველად ამოისუნთქა თავისუფლად.

— მწუხარებამ მოჰკლა იგი, ექიმო, მწუხარებამ! — უთხრა ვილფორმა, — მან მარკიზთან გვერდით ორმოცი წელი იცხოვრა...

— საქმე მწუხარებაში როდია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — უთხრა ექიმმა, — იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მწუხარება ჰკლავს ადამიანს, მაგრამ იგი ჰკლავს არა ერთ დღეში, არა ერთ საათში, არა ათ წუთში.

ვილფორმა არაფერი უპასუხა; მან მხოლოდ ახლა ასწია თავი, რომელიც აქამდე ჩაქინდრული ჰქონდა და ექიმს შეშინებული თვალებით შეხედა.

— თქვენ იქ იყავით სულთმობრძაობის დროს? — ჰკითხა ბატონმა დავრინიმ.

— დიახ, — უპასუხა მეფის პროკურორმა; — თქვენ ჩამჩურჩულეთ, რომ დავრჩენილიყავი.

— შეამჩნიეთ იმ ავადმყოფობის სიმპტომები, რომლებმაც ქალბატონ დე სენ-მერანს ბოლო მოუღო?

— რასაკვირველია; ქალბატონ დე სენ-მერანს სამი შეტევა ჰქონდა, ერთმანეთის მიყოლებით, ყოველი რამდენიმე წუთის შემდეგ, და ყოველთვის უფრო ხანმოკლე და მძიმე. როდესაც თქვენ მოხვედით, ქალბატონი დე სენ-მერანი ქოშინობდა; შემდეგ დაეწყო შეტევა; მე მეგონა ის ნერვული იყო. მაგრამ ძალიან შევშინდი, როდესაც დავინახე, როგორ წამიწია ლოგინიდან ხელ-ფეხ და კისერდაცაბული, მაშინ თქვენმა სახემ მიმახვედრა, რომ მდგომარეობა გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მე მეგონა. როდესაც შეტევამ ჩაიარა, მინდოდა თქვენი მზერა დამეჭირა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თქვენ მე არ მიყურებდით, თქვენ მისი მაჯა გეჭირათ, და უკვე მეორე შემოტევა დაიწყო, თქვენ ისევ არ შემობრუნდით ჩემსკენ. ეს მეორე შემოტევა კიდევ უფრო საშინელი იყო; გამეორდა კუნთების იგივე ნერვული მოძრაობა, ტუჩები გაულურჯდა და შეეკუმშა. მესამე შეტევის დროს იგი გარდაიცვალა. უკვე პირველი შეტევის შემდეგ მე ვიფიქრე, რომ ეს გაშეშებაა-მეთქი, და თქვენ დამემოწმეთ.

— დიახ, სხვების თანდასწრებით; მაგრამ ჩვენ ახლა მარტონი ვართ, — უთხრა ექიმმა.

— ამით რის თქმა გინდათ?

— იმისი, რომ გაშეშების და მცენარეული საწამლავით მოწამვლის ნიშნები სახსვებით ერთი და იგივეა.

ვილფორი სწრაფად წამოხტა; მერე მცირე ხნის სიჩუმისა და უძრაობის შემდეგ, ისევ სკამზე დაეცა.

— ღმერთო ჩემო! ექიმო, უფიქრდებით, რასაც ამბობთ? — თქვა მან.

მორელმა არ იცოდა, სიზმარში იყო თუ ცხადში.

მისმინეთ, — უთხრა ექიმმა, — მე ვიცი რამდენად სერიოზულია ჩემი განცხადება და ხასიათი იმ ადამიანისა, რომელსაც იგი ვაცნობე.

— ვის ელაპარაკებით ახლა: თანამდებობის პირს თუ მეგობარს? — ჰკითხა ვილფორმა.

— მეგობარს, ამჟამად მხოლოდ მეგობარს; მცენარეული ნივთიერებით მოწამვლისა და გაშეშების სიმპტომები იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, რომ თუ რასაც ახლა გეუბნებით იმის ხელმოწერა დამჭირდება, შევყოყმანდებოდი. ასე რომ, გიმეორებთ, ახლა მეგობარს მივმართავ და არა თანამდებობის პირს. და აი, მეგობარს გეუბნებით: მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ვადევნებდი თვალს სულთმობრძაობას, კრუნჩხვებს, ქალბატონ დე სენ-მერანის სიკვდილს; და მე მარტო დარწმუნებული კი არა ვარ, რომ იგი საწამლავმა მოჰკლა, არამედ შემძლია დავასახელო ის საწამლავი, რომლითაც იგი მოწამლულია.

— ექიმო, ექიმო!

— ყველაფერი ცხადია: ნერვული შეტევები და ნახევარძილი ერთიმეორის მიყოლებით, ტვინის მეტისმეტი აღზნება, ცენტრების მოღუწება. ქალბატონი დე სენ-მერანი მოჰკლა ბრუცინის ან დარიშხანის დიდმა დოზამ, რომელიც შემთხვევით ან იქნება შეცდომითაც მისცეს.

ვილფორმა ექიმს ხელი დაუჭირა.

— ეს შეუძლებელია, — თქვა მან. — ეს სიზმარია, ღმერთო ჩემო! სიზმარია! საშინელებაა თქვენისთანა ადამიანი ასეთ ამბებს ამბობდეს! ღვთის სახელით, ექიმო, გემუდარებით, მითხარით, რომ შეიძლება ცდებით!

— რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ...

— მაგრამ?..

— არა მგონია.

— ექიმო, შემიბრალებთ; ამ უკანასკნელ ხანს თავზე ისეთი გაუგონარი ამბები დამატყდა, რომ მეშინია არ გავგიჟდე.

— ჩემს გარდა სხვა ვინმემ ნახა ქალბატონი დე სენ-მერანი?

— არავინ.

— აფთიაქში ხომ არ გაგიგზავნიან ვინმე, ისე, რომ რეცეპტი ჩემთვის არ გიჩვენებიათ?

— არა.

— ქალბატონ დე სენ-მერანს ჰყავდა მტრები?

— მე მათ არ ვიცნობ.

— იყო თუ არა ვინმე დაინტერესებული მისი სიკვდილით?

— არა, ღმერთო ჩემო, არა! ჩემი ქალიშვილი მისი ერთადერთი მემკვიდრეა, მხოლოდ ვალენტინა... ოჰ, ასეთი რამ რომ მეფიქრა, გულში ხანჯალს ჩავიცემდი, იმის გამო, რომ მან თუნდ ერთი წუთით ასეთ აზრებს მისცა თავშესაფარი.

— რას ამბობთ, მეგობარო! — შეჰყვირა თავის მხრივ დავრინიმ. — ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ბრალი დავდო. ხომ გესმით, მე ვლაპარაკობ უბედურ შემთხვევითობაზე, შეცდომაზე. მაგრამ შემთხვევა, თუ შეცდომა, ფაქტი ფაქტია და ჩუმად ჩემს სინდისს ესაუბრება; ჩემი სინდისი მოითხოვს, რომ ხმამაღლა გითხრათ იგი. შეკრიბეთ ცნობები.

— ვისთან? როგორ? რაზე? — ვთქვათ: ხომ არ შეცდა ბარუა, მოხუცი მსახური, და ქალბატონ დე სენ-მერანს, თავის ბატონისათვის გამზადებული წამალი ხომ არ მისცა?

— მამაჩემისათვის?

— დიახ.

— კი მაგრამ, ბატონ ნუარტიესათვის მომზადებულ წამალს როგორ შეეძლო ქალბატონი დე სენ-მერანი მოეწამლა?

— ძალიან უბრალოდ: ხომ იცით, რომ ზოგიერთი დაავადებების დროს საწამლავი წამლად არის გამოყენებული; ასეთ დაავადებებს ეკუთვნის დამბლა. სამი თვის წინ, როდესაც უკვე ყველაფერი გამოვიყენე, რათა ბატონ ნუარტიესათვის მოძრაობა და მეტყველება დამებრუნებინა, გადავწყვიტე უკანასკნელი საშუალებისათვის მიმემართა. და აი, უკვე სამი თვეა მას ბრუცინით ვმკურნალობ; ამგვარად, უკანასკნელ წამალში, რომელიც მისთვის გამოვწერე, შედის ექვსი ცენტგრამი ბრუცინი; ეს რაოდენობა, რომელსაც მან თანდათანობით მიაღწია, უვნებია ბატონ ნუარტიეს პარალიზებული ორგანოებისათვის, მაგრამ ასეთი დოზა მოჰკლავდა სხვას, ყველას.

— კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო ექიმო, ქალბატონ დე სენ-მერანის და ბატონ ნუარტიეს ოთახები ერთმანეთს არაფრით უკავშირდებიან და ბარუაც არასოდეს შესულა ჩემი სიდედრის ოთახში. აი, რას გეტყვით, ექიმო. მე თქვენ ყველაზე მცოდნედ და, რაც მთავარია, ამქვეყნად ყველაზე წესიერ ადამიანად მიმაჩნიახართ; ყოველგვარ შემთხვევაში თქვენი სიტყვა ჩემთვის შუქურაა, რომელიც მზესავით გზას მინათებს. მაგრამ, ექიმო, ასეთი რწმენის მიუხედავად, მინდა მხარდაჭერა ვიპოვო

აქსიომაში Errare humanum est¹. (¹ ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომის ჩადენა (ლა.).)

— მისმინეთ, ვილფორ, — უთხრა ექიმმა, — ჩემი კოლეგებიდან გყავთ ვინმე ისეთი, რომელსაც ჩემსავით ენდობით?

— რატომ მეკითხებით? რა გაქვთ მხედველობაში?

— გამოუძახეთ მას, მე გადავცემ ყველაფერს, რაც ვნახე, რაც შევნიშნე, და გვამს გავკვეთავთ.

— და თქვენ საწამლავის კვალს იპოვით?

— არა, მე არ ვამბობ საწამლავს-მეთქი; მაგრამ ჩვენ დავადასტურებთ ნერვული სისტემის გაღიზიანებას, შევიცნობთ უდაო, აშკარა სულისხმუთვას და გეტყვით: ძვირფასო ბატონო დე ვილფორ, თუ ეს დაუდევრობა იყო, უთვალთვალეთ თქვენს მსახურებს; თუ სიძულვილია, — უთვალთვალეთ მტრებს.

— ღმერთო ჩემო! რა წინადადებას მამლევთ, დავრინი? — უთხრა განადგურებულმა ვილფორმა, — იმ წუთიდანვე, როგორც კი ეს საიდუმლოება თქვენს გარდა სხვისათვის გახდება ცნობილი, უსათუოდ ძიება დაიწყება, ხოლო ძიება ჩემს სახლში? ეს შეუძლებელია! თუმცა, — განაგრძო მეფის პროკურორმა, თან ძალა მოიკრიბა და ექიმს შემფოთებით შეხედა, — თუ თქვენ ეს გასურთ, თუ თქვენ ამას აუცილებლად მოითხოვთ, მე ამას გავაკეთებ; მართლაც, იქნებ ძიება უნდა დაიწყოს ამ საქმის გამო, ჩემი მდგომარეობა ამას მოითხოვს, მაგრამ თქვენ ხედავთ, ექიმო, რომ სავსებით განადგურებული ვარ; ასეთი მწუხარების შემდეგ ჩემი ოჯახის ასეთი სახელის გატეხა! ჩემი ცოლი და ქალიშვილი ამას ვერ გადაიტანენ. რაც შემეხება მე, თქვენ იცით, არ შეიძლება კაცმა ისეთ მდგომარეობას მიაღწიოს, როგორსაც მე მივაღწიე, ოცდახუთი წლის განმავლობაში მეფის პროკურორის თანამდებობა ეჭიროს და ურიცხვი მტერი არ გაიჩინოს. მეც საკმარისად ბევრი მტერი მყავს. ამ საქმის გახმაურება მათთვის ზეიმი და მხიარულება იქნება, ჩემთვის კი — სამარცხვინო. მომიტევეთ ეს მოუსვენარი აზრები. მღვდელი რომ ყოფილიყო, ამის თქმას ვერ გავბედავდი: მაგრამ თქვენ ადამიანი ხართ, თქვენ იცნობთ ადამიანებს; ექიმო, ექიმო, თქვენ ჩემთვის არაფერი გითქვამთ, ხომ?

— ძვირფასო ბატონო დე ვილფორ, — უპასუხა ადელვებულმა ექიმმა, — ჩემი პირველი მოვალეობაა კაცთმოყვარეობა. მეცნიერება აქ რომ უძლური არ იყოს, გადავარჩენდი ქალბატონ დე სენ-მერანს; მაგრამ იგი გარდაიცვალა; მე ცოცხლებზე უნდა ვიფიქრო. ეს საშინელი საიდუმლოება გულის სიღრმეში უნდა ჩავიმარხოთ. თუ ვინმეს თვალები დაინახავს ამ საიდუმლოებას, დაე ჩემი დუმილი ჩემს უცოდინარობას მიაწეროს; თანახმა ვარ; მაგრამ თქვენ ეძებთ, ეძებთ გამუდმებით, აქტიურად, რადგან ეს შემთხვევა შეიძლება ამით არ დამთავრდეს... და როდესაც დამნაშავეს იპოვით, თუკი იპოვით, მე გეტყვით: თქვენ მოსამართლე ხართ, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩასთვლით.

— გმადლობთ, ექიმო, გმადლობთ! — უთხრა ვილფორმა გამოუთქმელი სიხარულით. — მე არასოდეს მყოლია თქვენზე უკეთესი მეგობარი.

და თითქოს შეეშინდა, ექიმმა დავრინმა არ გადაიფიქროსო, წამოდგა და სახლისკენ წაიყვანა.

მორელმა, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო, ტოტები ორივე ხელით გასწია და მთვარემ მისი მოჩვენებასავით გაფითრებული სახე გამოაჩინა.

— ზეცა მმფარველობს, მაგრამ რა საშინელი გზით! — თქვა მან. — მაგრამ ვალენტინა, საცოდავი ვალენტინა! როგორ გადაიტანს ამდენ უბედურებას.

ამ სიტყვების წარმოთქმისას, იგი ხან წითელ ფარდაჩამოკიდებულ ფანჯარას უყურებდა, ხან კი სამ თეთრ ფარდებიან ფანჯარას.

წითელფარდიან ფანჯარაში სინათლე თითქმის ჩაქრა. როგორც ეტყობოდა, ქალბატონმა და ვილფორმა ლამპა ჩააქრო, და ფანჯარაში მხოლოდ ღამის ნათურის შუქი მოჩანდა.

სამაგიეროდ, სახლის მეორე კუთხეში გაიღო ერთ-ერთი თეთრფარდიანი ფანჯარა. ღამის სიბნელეში კრთოდა ბუხარზე მდგომარე სანთლის შუქი და მოაჯირზე ვიღაცის ჩრდილი გამოჩნდა.

მორელი შეკრთა. მას მოეჩვენა, რომ ვიღაცა ქვითინებდა.

გასაკვირი არ არის, რომ ჩვეულებრივად მამაცი და ძლიერი მამაკაცი, ორი ყველაზე ძლიერი ადამიანური ვნებით — სიყვარულითა და შიშით — აღელვებული და აღზნებული, იმდენად დასუსტდა, რომ ცრურწმენის ჰალუცინაციებს აჰყვა.

იგი ისე იყო დამალული, რომ ვალენტინას მისი დანახვა არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო, მაგრამ მას მოეჩვენა, რომ ფანჯარასთან მდგარი ჩრდილი უხმობდა; ამას კარნახობდა აღელვებული გონება და უმეორებდა მხურვალე გული. ეს მცდარი გრძნობა, უდავოა, სინამდვილედ გადაექცა. ყმაწვილურ თავდაუჭერლობას დაჰყვა და თავის თავშესაფრიდან გადმოხტა. ის არ ფიქრობდა, რომ შეეძლოთ დაენახათ, რომ ვალენტინას შეიძლებოდა შეშინებოდა, უნებურად დაეყვირა და მაშინ განგაში ატყდებოდა, სწრაფად გადალახა ყვავილნარი, რომელიც მთვარის შუქზე ტბასავით თეთრი და განიერი ჩანდა, სახლის წინ დარგული ნარინჯის ხეების მწკრივამდე მიიჭრა, სწრაფად აირბინა პარმალის კიბეი და ხელი ჰკრა კარს, რომელიც ადვილად გაიღო.

ვალენტინას იგი არ დაუნახავს; ცისკენ აპყრობილი თვალებით ლაჟვარდში მოსრიალე ვერცხლისფერ ღრუბლებს შეჰყურებდა, და აღელვებულ ქალიშვილს ეგონა, რომ ეს მისი დიდედის სული იყო.

მორელმა გადასჭრა მოსაცდელი ოთახი და კიბის მოაჯირი იპოვა: მის ფეხის ხმას აყრუებდა კიბის საფეხურზე დაფენილი ხალიჩა; ერთი სიტყვით, მორელი ისე აღზნებული იყო, რომ თვით ვილფორიც არ შეაშინებდა. ვილფორს რომ დაენახა, იცოდა როგორ მოქცეულიყო: მივიდოდა მასთან და ყველაფერში გამოუტყდებოდა, სთხოვდა მოეტყვიებინა და გაეგო სიყვარული, რომელიც მას ვალენტინასთან აკავშირებდა; ერთი სიტყვით, მორელი გაგიჟების საზღვარზე იმყოფებოდა.

საბედნიეროდ მას არავინ შეხვედრია.

აი, განსაკუთრებით ახლა გამოადგა ვალენტინას მიერ მიწოდებული ცნობები სახლის შინაგან წყობაზე; ის წინააღმდეგობების გარეშე ავიდა კიბის ზემო პარმალამდე, და როდესაც შეჩერდა, ორიენტირებისათვის ირგვლივ მიმოიხედა. ქვითინმა, რომელიც მან შეიცნო, მიუთითა საითაც უნდა წასულიყო; მორელი მიტრიალდა; ნახევრად გაღებულ კარიდან სინათლის შუქი გამოდიოდა და კვნესა მოისმოდა. მან ხელი ჰკრა კარებს და შევიდა.

თადის სიღრმეში მიცვალეული იწვა, მისი სხეულის მოხაზულობა თეთრი ზეწრის ქვეშ მოჩანდა; იგი მორელს განსაკუთრებით საშიშრად ეჩვენა იმ საიდუმლოების შემდეგ, რომელიც შემთხვევით გაიგო.

საწოლის გვერდით, დიდი სავარძლის ბალიშში თავჩაქინდრული, მუხლებზე დაჩოქილი იდგა ვალენტინა, ქვითინისაგან აცახცახებული და თავს ზემოთ გადაჯვარედინებულ გაქვავებულ ხელებს იმტვრევდა.

ის ღია ფანჯარას მოცილდა და ხმამაღლა ისე ლოცულობდა, რომ ყველაზე უგრძნო ადამიანებსაც კი ააღელვებდა; მწვავე მწუხარება ტანჯავდა, აჩქარებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გაუგებრად ლულლულებდა.

რიკულებიან დარაბიდან შემოჭრილმა მთვარის შუქმა, სანთლის შუქი დაჩრდილა და მწუხარე სურათს სამგლოვიარო მოღურჯო ფერი გადაჰკრა.

მორელმა ვერ შეძლო ამ სურათის ცქერა; თუმცა არ იყო სუსტი არსება და შთაბეჭდილებებს ადვილად არ ჰყვებოდა, მაგრამ გატანჯული, ატირებული ვალენტინას ხილვა, რომელიც ხელებს იმტვრევდა, — იმაზე მეტი იყო, რაც უსიტყვოდ გადაიტანა. მან ამოიოხრა, მისი სახელი ჩაიჩურჩულა, მოაბრუნა ცრემლებით დანამული სახე, რომელზედაც აღბეჭდილი იყო სავარძლის ხავერდის ნაოჭები.

ეს იყო კორეჯოს მარიამ მაგდალინელის სახე.

ვალენტინას არ გაჰკვირვებია მორელის დანახვა. უსაზღვრო სასოწარკვეთილებით შეპყრობილი გულისათვის ამაზე მეტი მღელვარება აღარ არსებობს.

მორელმა თავის სატრფოს ხელები გაუწოდა. ვალენტინამ, იმის მაგივრად, რომ აეხსნა რატომ არ გავიდა, სუდარაში გახვეულ გვამზე მიუთითა და ისევ აქვითინდა.

ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ბედავდნენ ამ ოთახში ხმის ამოღებას. თითოეულ მათგანს ეშინოდა დაერღვია ეს სიჩუმე, თითქოს სადმე კუთხეში თვით სიკვდილი იდგა და ბაგეებზე მბრძანებლურად ხელი მიეღო.

პირველად დალაპარაკება ვალენტინამ გაბედა.

— მეგობარო, — თქვა მან, აქ როგორ მოხვედით? ეჰ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება-მეთქი გეტყოდით, სიკვდილს რომ არ გაეღო თქვენთვის ამ სახლის კარი.

— ვალენტინა, უთხრა მორელმა აკანკალებული ხმით და ხელები გადაიჯვარედინა, — ცხრის ნახევრიდან გელოდით; და რაკი არ გამოჩნდით, შეშფოთებული, კედელზე გადმოვძერი; და აი, ამ უბედურზე საუბარი...

— რა საუბარი? — ჰკითხა ვალენტინამ.

მორელი შეკრთა; მას მოაგონდა ყველაფერი, რასაც ექიმი და ვილფორი ლაპარაკობდნენ და მოეჩვენა, რომ ზეწრის ქვეშ ხედავს მოკრუნჩხულ ხელებს, გაშეშებულ კისერს, გაღურჯებულ ტუჩებს.

— თქვენი მსახურების საუბარმა, ყველაფერში გამარკვია. — თქვა მან.

— მაგრამ აქ მოსვლა, მეგობარო! ხომ ჩვენს დაღუპვას ნიშნავს, — უთხრა ვალენტინამ.

— მომიტევეთ, — უთხრა მორელმა იგივე ტონით, — ახლავე წავალ.

— არა, შეიძლება დაგინახონ, დარჩით!

— აქ რომ მოვიდნენ?

ვალენტინამ თავი გაიქნია.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, არავინ მოვა, აი, ჩვენი მფარველი.

და ზეწრის ქვეშ გახვეულ მიცვალებულზე მიუთითა.;

— დ'ეპინეს რა მოუვიდა? გემუდარებით მითხრათ, — განაგრძო მორელმა.

— ის ხელშეკრულების მოსაწერად სწორედ იმ წუთში მოვიდა, როდესაც დიდედას უკანასკნელი ოხვრა აღმოხდა.

— საშინელებაა! — თქვა მორელმა ეგოისტური სიხარულის გრძნობით, რადგან იფიქრა, ამ მოულოდნელი სიკვდილის გამო ქორწილი განუსაზღვრელი დროით გადაიწვედა. მაგრამ იმწუთშივე დაისაჯა ასეთი პატივმოყვარეობის გამო.

— და ჩემს მწუხარებას აორკეცებს ის გარემოება, — განაგრძო ვალენტინამ, — რომ საცოდავმა დიდედამ სიკვდილის წინ ბრძანა, ეს ქორწილი რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს; ჩემს დაცვას ფიქრობდა, და ისიც ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდა.

— გესმით? — ჰკითხა მორელმა.

ორივე გაჩუმდა.

გაისმა როგორ გაიღო კარი, დერეფნის იატაკი და კიბის საფეხურები ვიღაცის ნაბიჯზე აჭრიალდა.

— ეს მამაჩემი გამოვიდა კაბინეტიდან, — თქვა ვალენტინამ.

— და ექიმს აცილებს. — დასძინა მორელმა.

— საიდან იცით, რომ იგი ექიმია? — ჰკითხა განცვიფრებულმა ვალენტინამ.

— მივხვდი, — უთხრა მორელმა.

ვალენტინამ ყმაწვილ კაცს შეხედა.

ისმოდა, როგორ ჩაიკეტა სადარბაზო კარი. შემდეგ ვილფორი ბაღის კარის გადასაკეტად წავიდა, მერე კი ისევ კიბეს ამოჰყვა.

როდესაც მისაღებ ოთახამდე მივიდა, შეჩერდა, ეტყობოდა არ იცოდა სად შესულიყო — თავისთან თუ ქალბატონ დე სენ-მერანის ოთახში. მორელი სწრაფად ფარდას ამოეფარა. ვალენტინა არც კი განძრეულა, თითქოს უდიდესმა მწუხარებამ ჩვეულებრივი შიში გადაავიწყაო.

ვილფორი თავის ოთახისკენ გაემართა.

— ახლა, — უთხრა მორელს ვალენტინამ, — ვერც ბაღისა და ვერც სადარბაზო კარიდან ვერ გახვალთ.

მორელმა ქალიშვილს განცვიფრებით შეხედა.

— ახლა მხოლოდ ერთი და საიმედო გასასვლელი დარჩა, — ბაბუას ოთახით თუ გავალთ.

ვალენტინა წამოდგა.

— წავიდეთ, — თქვა მან.

— სადა? — ჰკითხა მორელმა.

— პაპაჩემთან.

— მეც წამოვიდე ბატონ ნუარტიესთან?

— დიახ.

— დაუფიქრდით, ვალენტინა!

— ამაზე მე უკვე დიდი ხანია ვფიქრობ. ამჟვეყნად მე მხოლოდ ერთი მეგობარი მყავს, და იგი ჩვენ ორივეს გვჭირდება... მამ წავიდეთ.

— ფრთხილად იყავით, ვალენტინა, — უთხრა მორელმა და ყოყმანობდა, ქალიშვილის ბრძანებას დაჰყოლოდა, — ფრთხილად იყავით, ახლა ვხედავ, რა სიგიჟეა ჩემი აქ მოსვლა. თქვენ დარწმუნებული ხართ, ძვირფასო, რომ სალად მსჯელობთ?

— დიახ, — უპასუხა ვალენტინამ, — მხოლოდ ის მაწუხებს, რომ დიდედა უნდა დავტოვო, ამ ღამით მისი დარაჯობა კი მე ვიკისრე.

— ვალენტინა, მიცვალებული ყველასათვის წმინდაა, — უთხრა მორელმა.

— დიახ, — უპასუხა ყმაწვილმა ქალმა; — ამასთანავე, ჩვენ დიდხანს არ დავაყოვნებთ. წავიდეთ.

ვალენტინამ დერეფანი გაიარა და ნუარტიეს ოთახში ამავალ პატარა კიბეს აჰყვა. მორელი თითის წვერებზე მიჰყვებოდა. ოთახის მახლობლად პარმალზე ისინი მოხუც მსახურს შეხვდნენ.

— ბარუა, კარები ჩაკეტე და არავინ შემოუშვა, — უთხრა ვალენტინამ.

ვალენტინა პირველი შევიდა.

ნუარტიე ისევ თავის სავარძელში იჯდა და სულ უმცირეს ხმაურსაც უყურადღებოდ არ ტოვებდა; ბარუასგან მან ყველაფერი იცოდა, რაც მოხდა და კარებს ხარბი თვალებით შესცქეროდა; მან ვალენტინა დაინახა და თვალები გაუბრწყინდა.

ქალიშვილის სიარულში და თავის დაჭერაში რაღაც სერიოზული და საზეიმო მოჩანდა, რამაც მოხუცი ძალზე განაცვიფრა, მის თვალებში კითხვითი მზერა გამოიხატა.

— ძვირფასო ბაბუა, — დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — ყურადღებით მისმინე. შენ იცი, რომ დიდება დე სენ-მერანი ერთი საათის წინ გარდაიცვალა. ახლა ამქვეყნად შენს გარდა არვინ არის, რომ მე ვუყვარდე.

მოხუცის თვალებში უსაზღვრო სინაზე გამოიხატა.

— ხომ მართალია, მარტო შენ შეიძლება გაგანდო ჩემი დარდი და იმედები? დამბლადაცემულმა ანიშნა, სწორედ ასეაო.

ვალენტინამ მაქსიმელიანს ხელი მოჰკიდა.

— მაშ კარგად შეხედე ამ ყმაწვილ კაცს. — უთხრა მან.

მოხუცმა მორელს გამომცდელი და ოდნავ გაკვირვებული თვალებით შეხედა.

— ეს მაქსიმელიან მორელია, იმ პატიოსანი პარსელელი ნეგოციანტის შვილი, რომელზედაც შენ, ალბათ, გაგიგონია.

— დიახ, — ანიშნა მოხუცმა.

— ეს უმწიკვლო გვარია, და მაქსიმელიანი მას დიდებით შემოსავს, იმიტომ, რომ უკვე ოცდაათი წლის ასაკში იგი სპაჰის კაპიტანი და საპატიო ლეგიონის კავალერია.

მოხუცმა ანიშნა, რომ ახსოვდა ეს ამბავი.

— ჰოდა, აი რა, ბაბუა, — თქვა ვალენტინამ, თან მოხუცის წინაშე მუხლებზე დაიჩოქა და მაქსიმელიანზე მიუთითა, — მე მიყვარს იგი და მხოლოდ მისი ვიქნები! თუ მაიძულებენ სხვას გავყვე, მოვკვდები ან თავს მოვიკლავ.

მოხუცის თვალებში ათასმა მღელვარე აზრმა გაირბინა.

— ხომ მოგწონს მაქსიმელიან მორელი, ბაბუა? — ჰკითხა ვალენტინამ.

— დიახ, — ანიშნა უძრავმა მოხუცმა.

— და შეგიძლია მამაჩემისაგან დაგვიცვა, ჩვენ, შენი ბავშვები?

ნუარტიემ თავისი ჩაფიქრებული მზერა მორელს მიაპყრო, თითქოს ამბობდა — ეს გარემოებაზეა დამოკიდებულიო.

მაქსიმელიანი მიხვდა.

— მადმუაზელ, — თქვა მან, — თქვენ დიდებას ოთახში წმინდა მოვალეობა გაქვთ მოსახდელი; ნება მიბოძეთ რამდენიმე წუთი ბატონ ნუარტიეს ვესაუბრო.

— დიახ, დიახ, მე სწორედ ესა მსურს, — თქვეს მოხუცის თვალებმა.

შემდეგ მან ვალენტინას შემფოთებით შეხედა.

— შენ გინდა მკითხო, ბაბუა, როგორ გაგიგებს?

— დიახ.

— დამშვიდებული იყავი; ჩვენ ისე ხშირად ვლაპარაკობთ შენზე, რომ მან მშვენივრად იცის, როგორ გესაუბროს, — შემდეგ მაქსიმელიანს მიუბრუნდა მომხიბვლელი, მაგრამ ღრმა მწუხარების გამომხატველი ღიმილით; — მან იცის ყველაფერი, რაც მე ვიცი.

ამ სიტყვებზე ვალენტინა წამოდგა, მორელისაკენ სკამი მისწია და ბარუას უბრძანა არავინ შეეშვა; შემდეგ ბაბუას ნაზად აკოცა, მორელს ნაღვლიანად დაემშვიდობა და გავიდა.

მაშინ მორელმა, იმის დასამტკიცებლად, რომ ის ვალენტინას ნდობით სარგებლობს და ყველა მათი საიდუმლოება იცის, ლექსიკონი, კალამი და ქაღალდი აიღო და ყველაფერი ეს მაგიდაზე, ლამპის გვერდით დააღაგა.

— უპირველეს ყოვლისა, — თქვა მან, — ნება მომეცით მოგიყვებ ვინა ვარ, როგორ მიყვარს მადმუაზელ ვალენტინა და როგორია ჩემი განზრახვა.

— გისმენ, — ანიშნა ნუარტიემ.

შთამაგონებელ სურათს წარმოადგენდა ეს მოხუცი, გარეგნულად უსარგებლო ტვირთი, რომელიც ცხოვრებაში ახლახან ფეხშედგმულ ახალგაზრდა, ძლიერი და ლამაზი შეყვარებულების ერთადერთი მფარველი, დასაყრდენი და მსაჯული გამხდარიყო.

კეთილშობილებითა და ავტორიტეტით სავსე შესახედაობამ მორელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მან ხმის კანკალით დაიწყო ლაპარაკი.

იგი მოუყვა, როგორ გაიცნო ვალენტინა, როგორ შეიყვარა და როგორ დათანხმდა ყველასაგან მიტოვებული და უბედური ვალენტინა, მიეღო მისი ერთგულება. იგი მოუყვა თავის მშობლებზე, თავის მდგომარეობაზე, თავის ქონებაზე; და რამდენჯერმე როდესაც იგი დამბლადაცემულს გამომცდელი თვალებით შეხედავდა, მოხუცის მზერა ეუბნებოდა:

— კარგი, განაგრძეთ...

— ახლა, ბატონო, — თქვა მორელმა, როდესაც თავისი მოთხრობის პირველი ნაწილი დაამთავრა, — რაკი ჩემს სიყვარულზე და იმედებზე გელაპარაკეთ, ჩვენი გეგმა ხომ არ გაგაცნოთ?

— დიახ, — ანიშნა მოხუცმა.

— აი, როგორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

და იგი მოუყვა ნუარტიეს: როგორ იცდიდა კაბრიოლეტი ბოსტანში, როგორ ფიქრობდა იგი ვალენტინას გატაცებას და თავის დასთან წაყვანას, შემდეგ ჯვარის დაწერას და მოკრძალებულ მოლოდინში იმედოვნებდნენ, რომ ბატონი დე ვილფორი აპატიებდათ.

— არა, — უჩვენა მოხუცმა.

— არა? — ჰკითხა მორელმა, — მაშ ასე არ უნდა მოვიქცეთ?

— არა.

— თქვენ არ მოგწონთ ეს გეგმა?

— არა.

— მაშინ არის მეორე საშუალება, — უთხრა მორელმა.

მოხუცის თვალებმა ჰკითხეს: რომელი?

— მე წავალ ფრანც დ'ეპინესთან, — განაგრძო მორელმა, — მოხარული ვარ, რომ ამის თქმა შემიძლია მადმუაზელ დე ვილფორის დაუსწრებლად, — ისე დავიჭერ თავს, რომ იძულებულს გავხდი ისე მოიქცეს, როგორც ეს წესიერ ადამიანს შეეფერება.

ნუარტიეს თვალები კვლავ კითხვით შესცქეროდნენ.

— თქვენ გაინტერესებთ, რას ვიზამ?

— დიახ.

— აი, რა: როგორც უკვე მოგახსენეთ, წავალ ფრანც დ'ეპინესთან, მოვუყვები რა კავშირზე, რომელიც მაერთებს მადმუაზელ ვალენტინასთან, თუ ის მგრძნობიარე ადამიანია და უარს იტყვის თავის საცოლეზე, ამ საათიდან სიკვდილამდე მისთვის თავდადებული და ერთგული მეგობარი ვიქნები. თუ არ დათანხმდება გამორჩენის, ან სიამაყის გამო, მას შემდეგ, როცა დავუმტკიცებ, რომ ეს ძალადობა იქნება ჩემი საცოლეს მიმართ, რომ ვალენტინას მხოლოდ მე ვუყვარვარ და ჩემს გარდა არავის

შეიყვარებს, მაშინ შევებრძოლები: ან მე მოვკლავ, ან ის მომკლავს. თუ მე მოვკალი, იგი ვერ ითხოვს ვალენტინას; თუ მან მომკლა, დარწმუნებული ვარ, ვალენტინა არ გაჰყვება მას.

ნუარტიე უდიდესი სიხარულით უყურებდა ამ კეთილშობილურსა და ნათელ სახეს; მასზე აღბეჭდილი იყო ყველა ის გრძობა, რომელზედაც მორელი ლაპარაკობდა; იგი მათ აძლიერებდა თავისი მშვენიერი გამომეტყველებით, როგორც საღებავები აძლიერებენ მტკიცე და სწორი ნახაზის შთაბეჭდილებას.

მაგრამ როდესაც მორელმა ლაპარაკი დაამთავრა, ნუარტიემ რამდენჯერმე დახუჭა თვალები, რაც, როგორც ცნობილია, უარყოფის ნიშანი იყო.

— არა? თქვა მორელმა, მაშ თქვენ ისევ იწუნებთ ამ გეგმა, როგორც პირველს.

— დიახ, არ ვიწონებ, ანიშნა მოხუცმა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ, ბატონო? ჰკითხა მორელმა. ქალბატონ დე სენ-მერანის უკანასკნელი სიტყვები იყო, არ გადაედოთ მისი შვილიშვილის ქორწილი; როგორ, ნუთუ საშუალება უნდა მივცე ეს ასე მოხდეს?

ნუარტიე უძრავად იყო.

— დიახ, მესმის, უთხრა მორელმა, უნდა ვიცადო.

— დიახ.

— მაგრამ ყოველგვარი ვადის გადაწევა ჩვენ დაგვლუპავს, დაიწყო ისევ ყმაწვილმა კაცმა, ვალენტინას ძალა არ ჰყოფნის მარტო იბრძოლოს და მას პატარა ბავშვივით აიძულებენ. მე სასწაულებრივი ძალით მოვხვდი აქ, და გავიგე რა ხდება; სასწაულებრივმა ძალამვე მომიყვანა თქვენთან, მაგრამ ხომ არ შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ ბედნიერი შემთხვევა კიდევ მექნება. დამიჯერეთ, შესაძლებელია მხოლოდ ერთ-ერთი ორი წინადადებიდან, რომელიც მე შემოგთავაზეთ, მომიტევეთ თვითდაჯერებულობა. მითხარით, რომელ მათგანს აძლევთ უპირატესობას? უფლებას მისცემთ მადმუაზელ ვალენტინას, ჩემს პატიოსნებას ენდოს?

— არა.

— ხომ არ ამჯობინებთ ბატონ დ'ეპინესთან წავიდე?

— არა.

— ღმერთო ჩემო; მაშ ვინ გაგვიწევს იმ დახმარებას, რომელსაც ზეცისაგან მოველით.

მოხუცის თვალებში ღიმილმა იელვა, ასე ხდებოდა ყოველთვის, როდესაც მას ზეცაზე ელაპარაკებოდნენ. ძველი იაკობინელი ჯერ ისევ ათეისტი იყო.

— ბედნიერი შემთხვევა? — ჰკითხა მორელმა.

— არა.

— თქვენ?

— დიახ, — გაიმეორა მოუხცმა.

— ბატონო ჩემო, თქვენ კარგად გესმით, რასაც გეკითხებით? მომიტევეთ ასეთი დაჟინება, მაგრამ ჩემი სიცოცხლე თქვენს პასუხზეა დამოკიდებული: ხსნას თქვენგან უნდა ველოდოთ?

— დიახ.

— დარწმუნებული ბრძანდებით?

— დიახ.

— თქვენ ამის თავდები ხართ?

— დიახ.

და იმ ადამიანის მზერაში, ვინც ამას ამტკიცებდა, იმდენი სიმტკიცე მოჩანდა, რომ არ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა თუ ძალაში არა, ნებისყოფაში.

— ოჰ, გმადლობთ, ათასჯერ გიხდით მადლობას! მაგრამ, ბატონო ჩემო. თუ განგება სასწაულით არ დაგიბრუნებთ მეტყველებას და მოძრაობას, როგორ შეძლებთ სავარძელზე მიკრული, მუნჯი და უძრავი, წინააღმდეგობა გაუწიოთ ამ ქორწინებას?

მოხუცის სახე ღიმილმა გაანათა, თვალებს უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა ამ უძრავ სახეზე.

— მაშ მე უნდა მოვიცადო? — ჰკითხა მორელმა.

— დიახ.

— ხელშეკრულება?

თვალებში ისევ ღიმილმა გაიელვა.

— ნუთუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ იგი ხელმოწერილი არ იქნება?

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— მაშ, ხელშეკრულება ხელმოწერილი არ იქნება! — შეჰყვირა მორელმა, — ოჰ, მომიტევეთ! როდესაც უდიდეს ბედნიერებას გიცხადებენ, ხომ შეიძლება ეჭვი შეგეპაროს; ხელშეკრულება ხელმოწერილი არ იქნება?

— არა, — უპასუხა დამბლადაცემულმა.

ამისდა მიუხედავად, მორელს მაინც არ სჯეროდა. უსუსური მოხუცის ეს დაპირება ისეთი უცნაური იყო, ის უფრო სხეულის უსუსურობას მიეწერებოდა, ვიდრე ნებისყოფის სიმტკიცეს; განა ბუნებრივი არ არის, რომ შემლილი, რომელმაც არ იცის თავისი სიგიჟე, ამტკიცებს, რომ შეუძლია იმის გაკეთება, რაც მის ძალ-ღონეს აღემატება? სუსტი ლაპარაკობს იმ მძიმე ტვირთზე, რომელსაც ის სწევს, მოშიშარი — გოლიათებზე, რომელსაც ის ამარცხებს, — ღარიბი — საგანძურზე, რომელსაც იგი ფლობს, ყველაზე ბეჩავ სოფლის კაცს თავის თავი იუპიტერად წარმოუდგენია.

გაიგო ნუარტიემ მორელის მერყეობა, თუ სავსებით არ დაუჯერა მის მიერ გამოთქმულ მორჩილებას, ყმაწვილ კაცს ჩააშტერდა.

— რა გნებავთ, ბატონო? — ჰკითხა მორელმა, — გინდათ გავიმეორო ჩემი დაპირება, რომ არაფერს ჩავიდენ?

ნუარტიეს მზერა მტკიცე და უძრავი იყო. თითქოს ამბობდა, ეს ჩემთვის საკმარისი არ არისო; შემდეგ ეს მზერა სახიდან ხელებზე გადაიტანა.

— გნებავთ, შემოგფიცოთ? — ჰკითხა მაქსიმილიანმა.

— დიახ, — უპასუხა დამბლადაცემულმა იგივე საზეიმო იერით, — მე ეს მსურს!

მორელი მიხვდა, რომ მოხუცი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ფიცს და ხელი ასწია.

— პატიოსნებას გეფიცებით, — თქვა მან, — სანამ თქვენს გადაწყვეტილებას დავუცდი, ბატონ დ'ეპინეს წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ მივიღებ.

— კარგი, — ანიშნა მოხუცმა თვალებით.

— ახლა, ბატონო, ახლა ხომ არ მიბრძანებთ, წავიდე? — ჰკითხა მორელმა.

— დიახ.

— ისე, რომ მადმუაზელ ვალენტინა აღარ ვნახო?

— დიახ.

მორელმა მორჩილების ნიშნად თავი დაუკრა.

— ახლა კი, თქვენს ვაჟიშვილს ნება მიეცით გაკოცოთ ისე, როგორც ეს-ეს არის თქვენმა შვილიშვილმა გაკოცათ.

არ შეიძლებოდა ნუარტიეს თვალების გამომეტყველებაში შემცდარიყო.

მორელი მოხუცის შუბლს ბაგეებით სწორედ იმ ადგილას შეეხო, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ ვალენტინას ტუჩები შეეხო.

შემდეგ მან მოხუცს კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და გავიდა.

პარმალზე იგი ვალენტინას მიერ გაფრთხილებულ მოხუც მსახურს შეხვდა; იგი მორელს უცდიდა და ბნელი დერეფნით მიიყვანა პატარა კართან, რომელიც ბაღში გადიოდა.

ბაღიდან მორელი ჭიშკრამდე მივიდა; აქ ხის ტოტებს ჩამოეკიდა და თვალის დახამხამებაში იონჯიან ბოსტანში გადავიდა, სადაც კაბრიოლეტი იდგა.

მორელი კაბრიოლეტში ჩაჯდა და შუაღამე იქნებოდა, როდესაც ამდენი განცდებით დაუძლურებული, მაგრამ დამშვიდებული გულით, მეღეს ქუჩაზე დაბრუნდა, ლოგინზე მიეგდო და მთვრალივით ჩაეძინა.

თავი XVII

ვილფორის ოჯახის აკლდამა.

ორი დღის შემდეგ, დაახლოებით დილის ცხრა საათზე, ბატონ დე ვილფორის კარებთან პატივისცემმა ხალხმა მოიყარა თავი, ხოლო სენტ-ონორეს გარეუბნის და დე-ლა პეპინერის ქუჩის გასწვრივ გაჭიმული იყო სამგლოვიარო და კერძო ეტლების გრძელი რიგი.

ამ ეტლებს შორის თავისი ფორმით გამოირჩეოდა ერთი, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი. ეს იყო რაღაც შავად შეღებილი ფურგონის მსგავსი ეტლი, რომელიც დასაფლავებაზე ერთ-ერთი პირველთაგანი მოვიდა.

უცნაური დამთხვევის გამო, ამ ეკიპაჟში აღმოჩნდა მარკიზ დე სენ-მერანის გვამი, და ყველას, ვინც ერთი მიცვალებულის პატივისცემად იყო მოსული, ორი მიცვალებული უნდა გაეცილებინა.

გამცილებლები საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ; მარკიზ დე სენ-მერანმა, ლუდოვიკო XVIII და შარლ X ყველაზე გულმოდგინე და ერთგულმა დიდებულმა, მრავალი მეგობარი შემოინახა, და ისინი იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულება ვილფორთან აკავშირებდნენ, მრავალრიცხოვანი ხალხის გროვას ჰქმნიდნენ.

იმ წუთშივე აცნობეს ხელისუფლებას, და ნებართვა მიიღეს, რომ ორივე პროცესია გაეერთიანებინათ. მეორე ბალდახინი, იგივე სამგლოვიარო კომფორტით გაწყობილი, მეფის პროკურორის სახლს მიაყენეს და საფოსტო ფურგონიდან კუბო სამგლოვიარო ეტლზე გადაიტანეს.

ორივე გვამი უნდა მიეზარებინათ პერ-ლაშეზის სასაფლაოს მიწისათვის, სადაც ვილფორს უკვე დიდი ხანია გაკეთებული ჰქონდა მთელი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი აკლდამა. ამ აკლდამაში უკვე განისვენებდა საწყალი რენეს სხეული, რომელსაც ახლა, ათი წლის განშორების შემდეგ, დედ-მამა შეუერთდა.

პარიზი, ყოველთვის ცნობისმოყვარე, ყოველთვის აღელვებული, როდესაც მდიდრულ დაკრძალვას ხედავდა, ახლა მოკრძალებული სიჩუმით ადევნებდა თვალს დიდებულ პროცესიას, რომელიც უკანასკნელი განსვენების ადგილამდე აცილებდა ძველი არისტოკრატიის ორ წარმომადგენელს, ტრადიციის დაცვაში, თავისი წრისა და პრინციპების ერთგულებაში ყველაზე მეტად სახელგანთქმულ ადამიანებს.

ბოშანი, ალბერი და შატო-რენო ერთად ისხდნენ სამგლოვიარო ეტლში და ამ უეცარ სიკვდილზე მსჯელობდნენ.

— ქალბატონი დე სენ-მერანი ჯერ კიდევ გასულ წელს, მარსელში ვნახე, — ამბობდა შატო-რენო, — მაშინ ალჟირიდან ვბრუნდებოდი. ამ ქალს თითქოს ასი წლის

სიცოცხლე ეწერა; საოცრად საქმიანი იყო, საუცხოო ჯანმრთელობა და ნათელი გონება ჰქონდა. რამდენი წლისა იყო?

— სამოცდაექვსის, — უპასუხა ალბერმა, — ყოველ შემთხვევაში, ფრანცმა ასე გადმომცა. მაგრამ უბედურებამ მოჰკლა და არა მისმა წლოვანებამ. მასზე ძალიან იმოქმედა მარკიზ დე სენ-მერანის გარდაცვალებამ; ამბობენ, ქმრის სიკვდილის შემდეგ ჰკუაზე აღარ იყო.

— კი მაგრამ, მაინც რამ მოჰკლა? — იკითხა ბოშანმა.

— თითქოს ტვინში სისხლის ჩაქცევამ, თუ აპოპლექსიამ, თუ ორივე ეს ერთი და იგივეა?

— აპოპლექსიგამ? — გაიმეორა ბოშანმა. — ძნელი დასაჯერებელია. ქალბატონი დე სენ-მერანი ერთი-ორჯერ მაინც მინახავს, ეს იყო პატარა, გამხდარი და უფრო ნერვული, ვიდრე სისხლმოჭარბებული ქალი. ქალბატონ დე სენ-მერანის აგებულების ქალებისათვის აპოპლექსიით სიკვდილი მწუხარების გამო, იშვიათი შემთხვევაა.

— ყოველ შემთხვევაში, — თქვა ალბერმა, — რა ავადმყოფობაც უნდა იყოს მისი სიკვდილის მიზეზი, ან ვინც უნდა იყოს ექიმი, რომელმაც იგი მოკლა, ბატონი დე ვილფორი ან უფრო სწორად, მადმუაზელ ვალენტინა ან, კიდევ უფრო სწორად, ჩემი მეგობარი ფრანცი ახლა დიდი მემკვიდრეობის პატრონია: მე მგონია ოთხმოცი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი იქნება.

— ეს მემკვიდრეობა თითქმის გაორკეცდება იმ ძველი იაკობინელის, ნუარტიეს სიკვდილის შემდეგ.

— აი, ჯიუტი ბაბუა! — თქვა ბოშანმა: — *Tenacem propositi virum*¹. (¹ მტკიცე განზრახვების მამაკაცი (ჰორაციუსი, ოდეები, 111, 3). მე მგონია, მას სიკვდილთან ნიძლავი აქვს დადებული, რომ ყველა თავისი მემკვიდრე დამარხოს. აი, ნახავთ, ის ამას მიაღწევს. როგორც ჩანს, ოთხმოცდაცამეტი წლის კონვენტის წევრია, რომელმაც ათას რვას თოთხმეტ წელს ნაპოლეონს უთხრა:

«თქვენ ძირს ეშვებით იმიტომ, რომ თქვენი იმპერია, ეს ნორჩი მცენარე ზრდით დაიღალა, დაეყრდენით რესპუბლიკას, მოგვეციტ კარგი კონსტიტუცია და ბრძოლის ველს დაუბრუნდით, და მე გპირდებით ხუთი ათას ჯარისკაცს, მეორე მორენგოს და მეორე აუსტერლიცს. იდეები არ კვდება, თქვენო უდიდებულესობავ, ისინი ზოგჯერ თვლემენ, მაგრამ გაღვიძების შემდეგ უფრო ძლიერი ხდებიან, ვიდრე დაძინებამდე იყვნენ».

— როგორც ჩანს, მისთვის ადამიანებიც იგივეა, რაც იდეები; — თქვა ალბერმა, — მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ფრანც დ'ეპინე როგორ იცხოვრებს მოხუცთან, რომელსაც მისი ცოლის გარეშე ყოფნა არ შეუძლია; კი მაგრამ, ფრანც დ'ეპინე სადღაა?

— ის პირველ ეტლშია, ვილფორთან ერთად, რომელიც მას უკვე ოჯახის წევრად თვლის.

ყოველ ეტლში, რომელიც პროცესიას მიჰყვებოდა, თითქმის ასეთივე ხასიათის საუბარი იყო გამართული. უკვირდით ეს ორი სიკვდილი, ასე უცარი და ერთმანეთის მიყოლებით. მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა იმ საშინელ საიდუმლოებაში, რომელიც ღამის სეირნობის დროს ბატონმა დავრინიმ დე ვილფორს გაუმხილა.

დაახლოებით ერთი საათის სიარულის შემდეგ სასაფლაოს მიაღწიეს. თბილი, მაგრამ მოღრუბლული დღე იყო, რაც სავსებით შეეფერებოდა იმ სამგლოვიარო ცერემონიას, რომელიც უნდა შესრულებულიყო. იმ ხალხში, რომელიც საოჯახო აკლდამისაკენ მიდიოდა, — შატო-რენომ შეამჩნია მორელი; ის მარტო მოვიდა

თავისი კაბრიოლეტით; და ახლა გაფითრებული და მდუმარე, მარტო მიჰყვებოდა ურთხმელებში მიმავალ ბილიკს.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით! — ჰკითხა შატო-რენომ და ახალგაზრდა კაპიტანს მკლავში ხელი მოჰკიდა. — განა ბატონ დე ვილფორს იცნობთ? როგორ მოხდა, რომ არასოდეს მინახიხართ მის სახლში?

— ბატონ დე ვილფორს კი არ ვიცნობ, — უპასუხა მორელმა, — ქალბატონ დე სენ-მერანს ვიცნობდი.

ამ დროს მათ ფრანცი და ალბერი წამოეწიენ.

— გაცნობისათვის ცუდად შერჩეული ადგილია, — თქვა ალბერმა, — მაგრამ სულ ერთია, ჩვენ ცრუმორწმუნე ადამიანები არა ვართ. ბატონო მორელ, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ბატონი ფრანცი დ'ეპინე, ჩემი საუკეთესო თანამგზავრი, რომელთანაც ერთად იტალიაში ვიმოგზავურე. ძვირფასო ფრანც. ეს არის ბატონი მორელი, რომლის სახით შენი არყოფნის დროს, საუცხოო მეგობარი შევიძინე, და რომლის სახელს შენ გაიგონებ ყოველთვის, როდესაც კეთილშობილ გულზე, ჭკუაზე და თავაზიანობაზე ვილაპარაკებ.

ერთი წამით მორელი ყოყმანობდა, თავს ეკითხებოდა, დანაშაულებრივი პირფერობა ხომ არ იქნებოდა, მეგობრულად მისალმებოდა ადამიანს, რომლის წინააღმდეგ საიდუმლოდ მოქმედებდა. მაგრამ გაახსენდა ფიცი და გარემოების სერიოზულობა; შეეცადა სახეზე არავითარი გამომეტყველება არ გამოეხატა და ფრანცს თავის დაკვრით მიესალმა.

— მადმუაზელ დე ვილფორი ძალიანა სწუხს? — ჰკითხა ფრანცს დებრემ.

— უსაზღვროდ, — უპასუხა ფრანცმა, — დღეს დილით ისეთი სახე ჰქონდა, რომ ძლივს ვიცანი.

ამ უბრალო სიტყვებმა მორელს გული ატკინა. მაშ ამ კაცმა ნახა ვალენტინა, ელაპარაკა მას.

ამ წუთში ახალგაზრდა ოფიცერს მთელი ძალ-ღონის მოკრება დასჭირდა, რათა თავი შეეკავებინა და ფიცისათვის არ ელალატა.

მან მკლავი გაუყარა შატო-რენოს და სწრაფად წაიყვანა აკლდამისაკენ, სადაც დამკრძალავი ბიუროს მსახურებს უკვე ორივე გვამი ჩაედგათ.

— საუცხოო საცხოვრებელია, — თქვა ბოშანმა, როდესაც მავზოლეუმს შეხედა, — ეს ერთსა და იმავე დროს საზაფხულო და საზამთრო სასახლეა. ძვირფასო ფრანც, თქვენც მოგიწევთ აქ დასახლება, რადგან მალე ოჯახის წევრი გახდებით. მე, როგორც ფილოსოფოსი, ვარჩევდი აგარაკს, პატარა კოტეჯს — აგერ იქ, ხეებს ქვეშ, და ნაკლებ ქვის გროვებს ჩემს საცოდავ სხეულზე. სიკვდილის წინ გარშემო მყოფთ მე ვეტყვი იმას, რაც ვოლტერმა პირონს მისწერა: Eo rus¹ (¹ სოფელში მივდივარ.) და ყველაფერი გათავდება.

— ბოშან, მართლაც აუტანელი ხართ, — უთხრა ფრანცმა. — პოლიტიკურმა მოღვაწეობამ შეგაჩვიათ ყველაფერზე იცინოთ, თქვენისთანა ადამიანებს არაფერი სჯერათ. მაგრამ მაინც, როდესაც პატივი გაქვთ ჩვეულებრივ მომაკვდავ ადამიანთა საზოგადოებაში იყოთ და ბედნიერება გაქვთ, მცირე ხნით მაინც ჩამოსცილდეთ პოლიტიკას, შეეცადეთ კვლავ დაიბრუნოთ სული, რომელსაც ყოველთვის დეპუტატების ან პერთა პალატის ვესტიბიულში ტოვებთ.

— ეჰ, ღმერთო ჩემო! — თქვა ბოშანმა, — რა არის სიცოცხლე? ლოდინი სიკვდილის მოსაცდელ ოთახში.

— თავს მაძულეობთ ბოშან, — უთხრა ალბერმა და ფრანცთან ერთად რამდენიმე ნაბიჯით ჩამოშორდა, ასე რომ ბოშანს ფილოსოფიური მსჯელობის გასაგრძელებლად დებრე დაუტოვეს.

დე ვილფორის საოჯახო აკლდამა წარმოადგენდა თეთრი ქვით ამოშენებულ ოთხკუთხედს, რომელსაც დაახლოებით ოცი ფუტის სიმაღლე ჰქონდა; შინაგანი კედელი სენ-მერანების ადგილს დე ვილფორების ადგილისაგან ჰყოფდა, და თითოეულ ნახევარს თავისი შესასვლელი კარი ჰქონდა.

სხვა აკლდამებისაგან განსხვავებით, მასში არ იყო სართულებად დაწყობილი საზიზღარი ყუთები, რომლებშიც, ადგილის ეკონომიის მიზნით, მიცვალებულებს ათავსებენ, და ეტიკეტების მსგავს წარწერებს უკეთებენ. ბრინჯაოს კარს უკან მოთავსებული იყო თვით სასაფლაოდან კედლით გამოყოფილი მცირე და პირქუში კარიბჭე, მოსაცდელი ოთახის მსგავსი.

სწორედ ამ კედელში იყო მოთავსებული ის ორი კარი, რომელზედაც ჩვენ ეს-ეს არის ვლასპარაკობდით და რომლებსაც ვილფორებისა და სენ-მერანების განსასვენებლებში შევყავდით.

აქ ნათესავებს თავისუფლად შეეძლოთ თავის მწუხარებას მისცემოდნენ და ქარაფშუტა საზოგადოება, რომელსაც პერლამეზი თავისი არიფანის ან სასიყვარულო პაემანების ადგილად გადაექცია, ვერ შეძლებდა სიმღერებით, ყვირილითა და სირბილით შეემფოთებინა აკლდამის სტუმრების ჩუმი ჭკვრეტა ან ცრემლით სავსე ლოცვა.

ორივე კუბო შეიტანეს მარჯვენა აკლდამაში, რომელიც სენ-მერანებისათვის იყო განკუთვნილი; ისინი დადეს წინასწარ ამაღლებულ ხარაჩოზე, რომელიც უკვე მზად იყო თავისი სამწუხარო ტვირთის მისაღებად. საკურთხეველში შევიდნენ მხოლოდ ვილფორი, ფრანცი და უახლოესი ნათესავები.

რაკი ყველა რელიგიური წესი გარეთ შესრულდა და აღარავითარი სიტყვები წარმოთქმულა, დამსწრენი იმ წუთშივე დაიშალნენ: შატო რენო, ალბერი და მორელი ერთი მიმართულებით წავიდნენ, ხოლო დებრე და ბოშანი მეორე მიმართულებით.

ფრანცი ვილფორთან დარჩა; სასაფლაოს კარებთან მორელი რაღაცა მიზეზით შეჩერდა; მან დაინახა, როგორ ჩაუარეს ეტლით მეფის პროკურორმა და მისმა სასიძომ და ეს ცუდ ნიშნად ეჩვენა. იგი პარიზში დაბრუნდა და თუმცა ეტლში შატო-რენოსა და ალბერთან ერთად იჯდა, მათი ნალაპარაკვიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია.

მართლაც, როდესაც ფრანცი დე ვილფორთან გამომშვიდობებას აპირებდა, ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

- ისევ როდის გნახავთ, ბარონ?
- როდესაც ინებებთ, ბატონო, — უპასუხა ფრანცმა.
- რაც შეიძლება მალე.
- მე თქვენს განკარგულებაში ვარ; გნებავთ, ერთად დავბრუნდეთ?
- თუ თქვენთვის უხერხული არ იქნება.
- სრულიადაც არა.

აი, სწორედ ამიტომ მომავალი სიმამრი და სიძე ერთ ეტლში ჩასხდნენ, და მორელი, რომელსაც მათ ჩაუარეს, უმიზეზოდ არ შემფოთებულა.

ვილფორი და ფრანცი სენტ-ონორეს გარეუბანში დაბრუნდნენ.

მეფის პროკურორი არავისთან არ შესულა, არც ცოლს, არც ქალიშვილს არ დალაპარაკებია, ისე შეიყვანა ყმაწვილი კაცი თავის კაბინეტში და სკამი შესთავაზა.

— ბატონო დ'ეპინე, — მიმართა მან, — უნდა რაღაცა მოგაგონოთ, და ეს იქნებ ისე უადგილო არ იყოს, როგორც პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ; მაგრამ მომაკვდავთა

სურვილის შესრულება პირველი შესაწირავია, რომლითაც მათი საფლავი უნდა შევამკოთ; მაშ ასე, მე მინდა მოგაგონოთ ქალბატონ დე სენ-მერანის სურვილი, რომელიც მან სამი დღის წინ სიკვდილის სარეცელზე წარმოთქვა. მისი სურვილი იყო, მადმუაზელ ვალენტინას ქორწილი არავითარ შემთხვევაში არ გადადებულიყო. თქვენთვის ცნობილია, რომ მიცვალებულის საქმეები სრულ წესრიგშია; მისი ანდერძის მიხედვით, ვალენტინაზე გადადის სენ-მერანების მთელი ქონება; გუშინ ნოტარიუსმა მაჩვენა საბუთი, რაც საშუალებას იძლევა საბოლოოდ გავაფორმოთ საქორწინო ხელშეკრულება. თქვენ შეგიძლიათ ნოტარიუსთან წახვიდეთ და ჩემი სახელით სთხოვოთ, ეს დოკუმენტები გაჩვენოთ. ჩვენი ნოტარიუსია დემანი, მოვეს მოედანზე, სენტ-ონორეს გარეუბანში.

— ბატონო ჩემო, — უპასუხა დეკინემ, — ვალენტინასათვის ეს შესაფერისი არ უნდა იყოს. ასეთ მწუხარებაში ჩაფლულმა შეიძლება ახლა გათხოვებაზე არ იფიქროს. მართალი გითხრათ, მეშინია...

— ვალენტინასათვის, — შეაწყვეტინა ვილფორმა, — უდიდესი სიამოვნება იქნება შეასრულოს დიდებას უკანასკნელი წადილი. ასე რომ, პასუხისმგებელი ვარ, მის მხრივ წინააღმდეგობა არ შეგვხვდება.

— რაკი ასეა, — უპასუხა ფრანცმა, — რაკი ჩემს მხრივაც არ იქნება იგი, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით; მე სიტყვა მოგეცით და ამ სიტყვას მარტო სიამოვნებით კი არა, სიხარულითაც შევასრულებ.

— მაშ აღარაფერი გვაყოვნებს, — თქვა ვილფორმა. — ხელშეკრულება სამი დღის წინ უნდა დაგვედო, ის სავსებით მზადაა, შეიძლება დღესვე მოვაწეროთ ხელი.

— კი მაგრამ, თაღბები? — ჰკითხა ყოყმანით ფრანცმა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — გამოეპასუხა ვილფორი, ჩემს სახლში ადათი არ დაირღვევა. მადმუაზელ დე ვილფორი დადგენილი სამი თვით თავის მამულში სენ-მერანში გაემგზავრება; თავის მამულში-მეთქი ვამბობ, იმიტომ, რომ იგი მისი საკუთრებაა. იქ ერთი კვირის შემდეგ, თუკი თანახმა იქნებით, ყოველგვარი კომფორტის გარეშე, ჩუმად და უბრალოდ, შედგება სამოქალაქო ქორწინება. ქალბატონ დე სენ-მერანს სურდა, რომ მისი შვილიშვილის ქორწილი სწორედ ამ მამულში მომხდარიყო. ქორწილის შემდეგ შეგეძლება პარიზში დაბრუნდეთ, ხოლო თქვენი ცოლი სამგლოვიარო ვადას დედინაცვალთან ერთად გაატარებს.

— როგორც ინებებთ, ბატონო, — უთხრა ფრანცმა.

— რაკი ასეა, — თქვა ისევ ვილფორმა, — ნახევარი საათი ლოდინი დაგჭირდებათ; ამასობაში ვალენტინა სასტუმრო ოთახში ჩამოვა. მე დემანთან გავაგზავნი კაცს, საქორწილო ხელშეკრულებას აქვე გამოვაქვეყნებთ და ხელსაც მოვაწერთ. ამ საღამოსვე ქალბატონი დე ვილფორი ვალენტინას მის მამულში წაიყვანს, ჩვენ კი ერთი კვირის შემდეგ მივაკითხავთ.

— ბატონო ჩემო, მე თქვენთან მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს.

— რა?

— მე მინდოდა, რომ შეთანხმების ხელმოწერას დასწრებოდნენ ალბერ დე მორსერი და რაულ შატო-რენო; თქვენ ხომ იცით, ისინი ჩემი მოწმეები არიან.

— მათ გასაფრთხილებლად ნახევარი საათი საკმარისია, თქვენ თვითონ წახვალთ, მათთან, თუ ვინმე გავაგზავნოთ?

— ვარჩევ თვით წავიდე.

— მაშ ნახევარი საათის შემდეგ გელით, ბარონ, და ამ დროისათვის ვალენტინაც მზად იქნება.

ფრანცმა ვილფორს თავი დაუკრა და გავიდა.

მის გასვლისთანავე ვილფორმა ბრძანება გასცა, ვალენტინა გაეფრთხილებინთ, რომ ნახევარი საათის შემდეგ სასტუმრო ოთახში ჩამოსულიყო, იმიტომ რომ ბარონ დ'ეპინეს მოწმეები და ნოტარიუსი გამოცხადდებოდნენ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელ სახლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალბატონ დე ვილფორს არ უნდოდა მისი დაჯერება, ხოლო ვალენტინას თითქო თავზე მეხი დაეცა.

ქალიშვილმა ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს მშველელს ეძებო, უნდოდა ბაბუასთან შესულიყო, მაგრამ კიბეზე შეხვდა ვილფორს, რომელმაც ხელი მოჰკიდა და სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

მოსაცდელ ოთახში ვალენტინა შეხვდა ბარუას და ქალიშვილმა მოხუც მსახურს სასოწარკვეთილებით სავსე თვალები მიაპყრო.

ცოტა ხნის შემდეგ სასტუმრო ოთახში შემოვიდა ქალბატონი დე ვილფორი პატარა ედუარდთან ერთად. ეტყობოდა, ახალგაზრდა ქალზე ძალზე ემოქმედა ოჯახის უბედურებას. ის ძალიან ფერმკრთალი და უსაზღვროდ დაღლილი ჩანდა.

იგი დაჯდა და ედუარდი კალთაში ჩაისვა, დროდადრო თითქმის კრუნჩხვით იკრავდა გულში ამ ბავშვს, რომელშიც, როგორც ჩანდა, მთელი მისი ცხოვრება იყო ჩაქსოვილი.

მალე გაისმა ეზოში შემოსული ორი ეტლის ხმაური. ერთი მათგანით ნოტარიუსი მოვიდა, მეორეთი — ფრანცი და მისი მეგობრები.

ერთ წამში ყველანი სასტუმრო ოთახში შეიკრიბნენ.

ვალენტინა ისე გაფითრებულიყო, რომ საფეთქლებზე და თვალებთან ლურჯი მარღვები ემჩნეოდა.

ფრანცი ძალზე აღელვებული იყო.

შატო-რენომ და ალბერმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს: ახლახან დამთავრებულ ცერემონიალზე არანაკლებ სამწუხაროდ მიაჩნდათ ის, რაც ახლა უნდა დაწყებულიყო.

ქალბატონი დე ვილფორი ჩრდილში დაჯდა ხავერდის ფარდის უკან და რაკი შვილისაკენ იყო დახრილი, ძნელი გასარჩევი იყო, რა ხდებოდა მის გულში.

ვილფორი, როგორც ყოველთვის, უგრძობი იყო.

ნოტარიუსმა, კანონის მსახურებისათვის დამახასიათებელი მეთოდურობით საბუთები მაგიდაზე დააწყო, სავარძელში ჩაჯდა, სათვალეები გაისწორა და ფრანცს მიუბრუნდა.

— თქვენ ბრძანდებით ბატონი ფრანც დე კენელ ბარონ დ'ეპინე? — ჰკითხა მან, თუმცა კარგად იცნობდა.

— დიახ, ბატონო, — უპასუხა ფრანცმა.

ნოტარიუსმა თავი დაუკრა.

— უნდა გაგაფრთხილოთ, ბატონო, — დაიწყო მან, — და ამას ბატონი დე ვილფორის სახელით გიცხადებთ; ბატონმა ნუარტიემ, როდესაც გაიგო, რომ განზრახულია თქვენი და მადმუაზელ ვალენტინას ქორწინება, შეცვალა თავისი გადაწყვეტილება შვილიშვილის მიმართ და წაართვა მემკვიდრეობა, რომელიც მასზე უნდა გადასულიყო. ვჩქარობ დავსძინო, — განაგრძო ნოტარიუსმა, — რომ ანდერძის დამწერს უფლება ჰქონდა მხოლოდ თავისი ქონების ნაწილი ეანდერძებინა, მაგრამ, რაკი მთლიანად განაგო, შესაძლებლობა მოგვცა ანდერძი გასაჩივრდეს, და ის ძალაში აღარ იქნება.

— დიახ, — თქვა ვილფორმა, — მაგრამ წინასწარ გაფრთხილებთ, ბატონო დ'ეპინე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მამაჩემის ანდერძი გასაჩივრებული არ იქნება, რადგან ჩემი მდგომარეობა უფლებას არ მამლევს ოდნავი უსიამოვნებაც კი მქონდეს ოჯახში.

— ბატონო ჩემო, — თქვა ფრანცმა, — ძალზე ნაწყენი ვარ, რომ ასეთი საკითხები მადმუაზელ ვალენტინას თანდასწრებით იჭრება. არასოდეს დავინტერესებულვარ მისი ქონების რაოდენობით, რომელიც, როგორც უნდა შემცირდეს, ჩემსაზე მეტი მაინცაა. ჩემი ოჯახი დე ვილფორის ოჯახს იმ მოსაზრებით უკავშირდება, რომ პატივს ეძებს, მე კი მხოლოდ ბედნიერებას.

ვალენტინამ მადლობის ნიშნად თავი ოდნავ შესამჩნევად დაუკრა და ამავე დროს მის ლოყებზე გადმოგორდა ორი უტყვი ცრემლი.

— თუმცა, ბატონო, — თქვა დე ვილფორმა და მომავალ სიძეს მიუბრუნდა, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თქვენ დაკარგეთ წილი თქვენი იმედისა, ამ მოულოდნელ ანდერძში არაფერია ისეთი, რაც თქვენ პირად შეურაცხყოფას გაყენებდეთ: ეს ბატონ ნუარტიეს გონების სისუსტით აიხსნება. მამაჩემი იმით კი არა არის უკმაყოფილო, რომ მადმუაზელ დე ვილფორი თქვენ მოგყვებად ცოლად, არამედ იმით, რომ საერთოდ, თხოვდება; იგი ასევე დამწუხრებული იქნებოდა ვალენტინას ქორწინებით, ვისთანაც უნდა მომხდარიყო იგი. მოხუცებულობა ეგოისტურია, ხოლო მადმუაზელ დე ვილფორი მთელ თავის დროს ბატონ ნუარტიეს უთმობდა, რასაც ბარონესა დ'ეპინე უკვე ვერ შეძლებს. მამაჩემი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, მას იშვიათად ელაპარაკებიან სერიოზულ საქმეებზე, რომლებიც გონებრივი სისუსტის გამო არ შეუძლია გაიგოს. ღრმად დარწმუნებული ვარ, ამჟამად მას ახსოვს, რომ მისი შვილიშვილი თხოვდება, მაგრამ ალბათ უკვე დაავიწყდა, რა ჰქვია მას, ვინც მისი სიძე უნდა გახდეს.

ის იყო ვილფორმა დაამთავრა ეს სიტყვები და ფრანცმა თავის დაკვირვებით უპასუხა, რომ სასტუმროს კარი გაიღო და ოთახში ბარუა შემოვიდა.

— ბატონებო, — თქვა მან მსახურისათვის უჩვეულო მტკიცე ხმით, რომელიც ასეთ საზეიმო ვითარებაში თავის ბატონებს მიმართავს, — ბატონებო, ბატონ ნუარტიე დე ვილფორს სურს დაუყოვნებლივ მოელაპარაკოს ბატონ ფრანც დე კენელ ბარონ დ'ეპინეს.

მან ისევე, როგორც ნოტარიუსმა, გაუგებრობის აცილების მიზნით, სასიძო მთელი ტიტულით დაასახელა.

ვილფორი შეკრთა, ქალბატონმა დე ვილფორმა შვილი კალთიდან ჩამოსვა, ვალენტინა წამოდგა, იგი ქანდაკებასავით უტყვი და ფერმკრთალი იყო.

ალბერმა და შატო-რენომ ახლა კიდევ უფრო მეტი განცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს, ვიდრე პირველად.

ნოტარიუსმა ვილფორს შეხედა.

— ეს შეუძლებელია, — თქვა მეფის პროკურორმა; — ესეც არ იყოს, ბატონი დ'ეპინე ახლა სასტუმრო ოთახიდან ვერ გავა.

— ბატონ ნუარტიეს, ჩემს ბატონს, ფრანც დ'ეპინესთან სწორედ ახლა სწადია საუბარი მეტად სერიოზულ საქმეზე, — იგივე სიმტკიცით შეეპასუხა ბარუა.

— მაშ ბაბუა ნუარტიემ დაილაპარაკა? — ჰკითხა ედუარდმა მისთვის ჩვეული უდიერობით.

მაგრამ ამ სიტყვებს ღიმილი არ გამოუწვევია თვით ქალბატონ დე ვილფორის ბაგეებზედაც კი. ყველა მეტისმეტად ჩააფიქრა ამ გარემოებამ, რადგან ვითარება სერიოზული იყო.

— გადაეცით ბატონ ნუარტიეს, რომ მისი წადილი ვერ შესრულდება, — განაცხადა ვილფორმა.

— ასეთ შემთხვევაში ბატონი ნუარტიე გაფრთხილებთ, რომ თვითონ გადმოაყვანინებს თავის თავს სასტუმრო ოთახი. — უთხრა ბარუამ.

განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

ქალბატონ დე ვილფორის სახეზე გაიელვა რაღაც ღიმილის მსგავსმა.

ვალენტინამ უნებურად თვალები ჭერისაკენ აღაპყრო, თითქოს ზეცას მადლობას სწირავდა.

— ვალენტინა, — უთხრა ვილფორმა, — თუ შეიძლება წადით და გაიგეთ, რა ახალი ჟინი დაებადა ბაბუათქვენს.

ვალენტინა სწრაფად წავიდა კარებისაკენ, მაგრამ ვილფორმა გადაიფიქრა.

— მოიცადეთ, — თქვა მან, — მე თვითონ წავალ.

— ბოდიში, ბატონო, — ჩაერია ფრანცი თავის მხრივ, — მე მგონია, რაკი ბატონმა ნუარტიემ კაცი ჩემს დასაძახებლად გამოგზავნა, მისი სურვილი მევე უნდა შევასრულო; გარდა ამისა, ბედნიერი ვიქნები ჩემი პატივისცემა გამოვხატო, რადგან ჯერ არ მქონია ეს პატივი.

— ღმერთო ჩემო! — თქვა ვილფორმა და ცხადად შემფოთება დაეტყო, — რატომ უნდა შეწუხდეთ!

— მომიტევეთ, ბატონებო, — თქვა ფრანცმა ისეთი ადამიანის ტონით, რომლის გადაწყვეტილება უცვლელია. — მე არ მინდა ხელიდან გავუშვა შემთხვევა, რათა ბატონ ნუარტიეს დავუმტკიცო, რამდენად სცდება იგი, რომ ჩემზე ასეთი უარყოფითი აზრი აქვს, მტკიცედ გადავწყვიტე უდიდესი ერთგულების გამომჟღავნებით დავარღვიო ეს აზრი.

ფრანცი წამოდგა, ვილფორს საშუალება არ მისცა შეეჩერებინა და უკან გაჰყვა ვალენტინას, რომელიც უკვე კიბეზე ჩადიოდა და ისე იყო გახარებული, როგორც წყალწალღებული ადამიანი, რომელიც უკანასკნელ წუთში კლდეს ჩაეჭიდა.

ვილფორი მათ კვალს გაჰყვა.

შატო-რენომ და მორსერმა ახლა უკვე მესამედ, კიდევ უფრო მეტი გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, ვიდრე პირველად და მეორედ.

თავი XVIII

ოქმი

ნუარტიე იცდიდა, იგი შავებში იყო გამოწყობილი და თავის სავარძელში იჯდა. როდესაც სამი პიროვნება, რომელთა მოსვლას ის ვარაუდობდა, შემოვიდნენ, კარებს შეხედა, ხოლო კამერდინერმა მყისვე დაკეტა იგი.

— მხედველობაში იქონიეთ, — უთხრა ჩუმიად ვილფორმა ვალენტინას, რომელიც თავის რისხვას ვეღარ ფარავდა; — თუ ბატონი ნუარტიე ისეთი რამის თქმას აპირებს, რამაც თქვენს გათხოვებას შეიძლება ხელი შეუშალოს, გიკრძალავთ ის გაიგოთ.

ვალენტინა გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

ვილფორი ნუარტიეს მიუახლოვდა.

— აი, ბატონი ფრანც დ'ეპინე, — თქვა მან; — იხმეთ, და იგი თქვენი სურვილისამებრ გამოცხადდა. — რასაკვირველია, ამ შეხვედრას ჩვენ დიდი ხანია ვნატრობდით და მოხარული ვიქნები, თუ იგი დაგიმტკიცებთ, რამდენად უსაფუძვლო იყო თქვენი წინააღმდეგობა ვალენტინას გათხოვების საკითხში.

ნუარტიემ მხოლოდ შეხედვით უპასუხა, და ამ შეხედვაზე ვილფორს მთელ ტანში ჟრუნტელმა დაუარა.

შემდეგ მან ვალენტინას თვალებით ანიშნა, მიახლოვებოდა.

ერთ წუთში იმ საშუალების წყალობით, რომლის გამოყენება მას ჩვეულებად ჰქონდა ბაბუასთან საუბრის დროს, იპოვა სიტყვა «გასაღები».

შემდეგ დამბლადაცემულის თვალებს დააკვირდა; ისინი ფანჯრებს შუა მდგარ პატარა კარადაზე შეჩერდნენ.

ვალენტინამ გამოალო უჯრა და შიგ მართლაც გასაღები აღმოჩნდა.

ქალიშვილმა გასაღები ამოიღო, მოხუცის თვალები ადასტურებდნენ, რომ ნამდვილად გასაღებს ითხოვდა; შემდეგ მოხუცის მზერა შეჩერდა ძველებურ საწერ მაგიდაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია გამოუყენებლად იდგა და რომელშიც, თითქოს, შეიძლებოდა მხოლოდ გადასაყრელი ქაღალდები ყოფილიყო ჩაკეტილი.

— საწერი მაგიდა უნდა გამოვალო? — ჰკითხა ვალენტინამ.

— დიახ, — ანიშნა მოხუცმა.

— უჯრები გამოვწიო?

— დიახ.

— გვერდითი უჯრედები?

— არა.

— შუა?

— დიახ.

ვალენტინამ გამოალო და იქიდან ქაღალდების შეკვრა ამოიღო.

— თქვენ ეს გნებავთ, ბაბუა? — ჰკითხა მან.

— არა.

ვალენტინამ ზედიზედ ყველა ქაღალდს ამოლაგება დაუწყო. ყუთში აღარაფერი დარჩა.

— ყუთი უკვე ცარიელია, — თქვა მან.

მოხუცის თვალები ლექსიკონზე შეჩერდნენ.

— დიახ, მესმის, ბაბუა, — უთხრა ვალენტინამ.

და მან ერთი-მეორეს მიყოლებით დაიწყო ანბანის ასოების დასახელება; ასო «ს»-ზე ნუარტიემ იგი შეაჩერა.

ვალენტინამ ლექსიკონი გადაშალა და გადაფურცლა, სანამ სიტყვა «საიდუმლომდე» მივიდოდა.

— მაშ ამ ყუთს საიდუმლო საკეტი აქვს? — ჰკითხა ვალენტინამ.

— დიახ.

— მერედა ვინ იცის ეს საიდუმლოება?

ნუარტიემ მზერა გადაიტანა კარზე, საიდანაც მსახური გავიდა.

— ბარუამ? — ჰკითხა მან.

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— დავუძახოთ?

— დიახ.

ვალენტინა კარებთან მივიდა და ბარუას დაუძახა.

ამასობაში მოუთმენლობის გამო ვილფორს შუბლზე ოფლი დაასხა. ფრანცი კი განცვიფრებისაგან გაოგნებული იდგა.

მოხუცი მსახური ოთახში შემოვიდა.

— ბარუა, — უთხრა ვალენტინამ, — ბაბუამ მიბრძანა ამ პატარა კარიდან გასაღები ამომეღო, გამეღო ეს საწერი მაგიდა და გამომეღო ეს უჯრა, მაგრამ, როგორც ჩანს, უჯრას საიდუმლო საკეტი აქვს; თქვენ, ალბათ, იცით, გააღეთ იგი.

ბარუამ მოხუცს შეხედა.

— დაემორჩილეთ, — უბრძანეს მოხუცის მეტყველმა თვალებმა.

ბარუა დაემორჩილა; ორმაგი ფსკერი გაიხსნა, გამოჩნდა შავი ბაფთით შეკრული ქალაქების დასტა.

— ეს გნებავთ, ბატონო? — ჰკითხა ბარუამ.

— დიახ, — ანიშნა ნუარტიემ.

— ვის უნდა გადავცეთ ეს ქალაქები? ბატონ დე ვილფორს?

— არა.

— მადმუაზელ ვალენტინას?

— არა.

— ბატონ ფრანც დ'ეპინეს?

— დიახ.

განცვიფრებული ფრანცი ახლოს მივიდა.

— მე, ბატონო? — ჰკითხა მან.

— დიახ.

ფრანცმა ბარუას ქალაქები გამოართვა, ყდას დახედა და წაიკითხა: «ჩემი სიკვდილის შემდეგ გადაეცეს ჩემს მეგობარს გენერალ დიურანს, რომელიც თავის მხრივ, სიკვდილის წინ ამ პაკეტს ანდერძით გადასცემს თავის ვაჟიშვილს, უბრძანოს შეინახოს იგი, როგორც მეტად მნიშვნელოვანი საბუთების შემცველი».

— როგორ მოვექცე ამ ქალაქებს, ბატონო? — ჰკითხა ფრანცმა.

— ალბათ, თქვენც ასევე დაბეჭდილი უნდა შეინახოთ, — უთხრა მეფის პროკურორმა.

— არა, არა, — სწრაფად უპასუხეს ნუარტიეს თვალებმა.

— იქნება გნებავთ, რომ ბატონმა დ'ეპინემ ისინი წაიკითხოს? — ჰკითხა ვალენტინამ.

— დიახ, — თქვეს მოხუცის თვალებმა.

— გესმით, ბატონო ბარონო, ბაბუას სურს, რომ თქვენ ეს ქალაქები წაიკითხოთ, — თქვა ვალენტინამ.

— რაკი ასეა, ჩამოვჯდეთ, ეს ბევრ დროს წაგვართმევს, — თქვა განაწყენებულმა ვილფორმა.

— დაბრძანდით, — ანიშნა მოხუცმა თვალებით.

ვილფორი დაჯდა, ვალენტინა ბაბუას სავარძელს დაეყრდნო, ფრანცი კი მათ წინ იდგა.

საიდუმლო პაკეტი მას ხელში ეჭირა.

— წაიკითხეთ, — უთხრეს მოხუცის თვალებმა.

ფრანცმა გარეკანი შემოხსნა. ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ამ საერთო სიჩუმეში მან წაიკითხა:

«1815 წლის 5 თებერვალს სენ-ჟაკის ქუჩაზე ბონაპარტისტების კლუბში შემდგარი სხდომების ოქმების ამონაწერები».

ფრანცი შეჩერდა.

— ათას რვაას თხუთმეტი წლის ხუთი თებერვალი! ამ დღეს მოჰკლეს მამაჩემი.

ვალენტინა და ვილფორი ხმას არ იღებდნენ; მხოლოდ მოხუცის თვალებმა ნათლად გამოთქვეს: განაგრძე კითხვაო.

— მამაჩემი ხომ სწორედ ამ კლუბიდან გამოსვლის შემდეგ გაქრა, — განაგრძო ფრანცმა.

მოხუცის თვალები კვლავ ამბობდნენ: განაგრძეთ!

ფრანცმა განაგრძო:

«ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ლუეო-ჟაკ ბორეპეპი, არტილერიის პოდპოლკოვნიკი, ეტიენ დიურამპი, ბრიგადის გენერალი და კლოდ ლემარპალი, ადგილმამულების სამმართველოს დირექტორი, ვაცხადებთ, რომ 1815 წლის 4 თებერვალს კუნძულ ელბადან მიღებულ იქნა წერილი, რომელიც ბონაპარტისტული კლუბის წევრებს ავალებდა ყურადღებითა და ნდობით მოჰკიდებოდნენ გენერალ ფლავიენ დე კენელს, რომელიც იმპერატორის სამსახურში იყო 1804 წლიდან 1815 წლამდე და ამიტომ, უეჭველია, ნაპოლეონის დინასტიის ერთგული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ლუდოვიკო XVIII მისი მამულის სახელწოდების მიხედვით მას ბარონ დ'ეპინეს ტიტული მიანიჭა.

«ამის შედეგად გენერალ დე კენელს გაეგზავნა ბარათი; მას თხოვდნენ დასწრებოდა სხდომას, რომელიც მეორე დღეს, 5 თებერვალს უნდა შემდგარიყო. ბარათში არ იყო აღნიშნული არც ქუჩა, არც სახლის ნომერი, სადაც ეს სხდომა უნდა ჩატარებულიყო; ბარათზე არავინ აწერდა ხელს, მაგრამ გენერალს აცნობებდნენ, თუ ის მზად იქნებოდა, წასაყვანად საღამოს ცხრა საათზე გამოუვლიდნენ.

«სხდომა ჩვეულებრივად საღამოს ცხრა საათიდან შუალამემდე გრძელდებოდა.

«ცხრა საათზე კლუბის პრეზიდენტი გენერალს წარუდგა; გენერალი მზად იყო. პრეზიდენტმა მას განუცხადა, რომ კლუბში მხოლოდ იმ პირობით შეიყვანდნენ, თუ მისთვის სამუდამოდ უცნობი დარჩებოდა სხდომის ადგილსამყოფელი.; უფლება უნდა მიეცა მისთვის თვალები აეხვიათ და ფიცი დაედო, რომ არ შეეცდებოდა სახვევის მოხსნას.

«გენერალმა კენელმა მიიღო ეს პირობა და პატიოსნება დაიფიცა, რომ არ შეეცდებოდა გაეგო, სად მიყავდათ.

«გენერალს თავისი ეტლი უკვე წინასწარ მოემზადებინა; მაგრამ პრეზიდენტმა უთხრა, რომ შეუძლებელი იყო მისი გამოყენება; რა მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის თვალის ახვევას, თუ მეეტლეს თვალები აუხვეველი დარჩებოდა და ეცოდინებოდა ყველა ქუჩა, სადაც გაივლიდა.

«— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ჰკითხა გენერალმა.

«— ეტლით მოვედი, — უთხრა პრეზიდენტმა.

«— განა თქვენ ასე დარწმუნებული ხართ თქვენს მეეტლეში, რომ ანდობთ საიდუმლოებას, რომლის თქმა ჩემი მეეტლისათვის გაუფრთხილებლობად მიგაჩნიათ?

«— ჩვენი მეეტლე კლუბის წევრია, — უთხრა პრეზიდენტმა, — ჩვენ სახელმწიფო მდივანი წაგვიყვანს.

«— ასეთ შემთხვევაში მეორე საშიშროება გვემუქრება, — უთხრა სიცილით გენერალმა, — იგი გადაგვყრის.

«ჩვენ ამ ხუმრობას ხაზს ვუსვამთ, როგორც იმის დასამატკიცებელ საბუთს, რომ გენერალი არავითარ შემთხვევაში ძალით არ იყო მოყვანილი და სხდომას თავისი სურვილით ესწრებოდა.

«როგორც კი გენერალი ეტლში ჩაჯდა, პრეზიდენტმა მოაგონა დაპირება, რომ თვალები უნდა აეხვია; მას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია ამ ფორმალობის მიმართ; ამ მიზნით გამოადგათ წინასწარ გამზადებული ფულარი.

«გზაში პრეზიდენტს მოეჩვენა, რომ გენერალი ცდილობდა სახვევიდან გამოხედვას; მან ფიცი გაახსენა.

«— ჰო, მართალი ხართ, — უთხრა გენერალმა.

«ეტლი სენ-ჟაკის ქუჩის ერთ-ერთ ხეივანთან გაჩერდა. გენერალი ძირს გადმოსვლისას ხელზე დაეყრდნო პრეზიდენტს, რომლის წოდება მისთვის უცნობი იყო; იგი მას კლუბის უბრალო წევრად სთვლიდა; მათ გადასჭრეს ხეივანი, მეორე სართულზე ავიდნენ და სხდომათა ოთახში შევიდნენ.

«სხდომა უკვე დაწყებული იყო. კლუბის წევრები, გაფრთხილებულნი, რომ ახალი წევრის მიღება უნდა მომხდარიყო, უკლებლივ გამოცხადებულიყვნენ. როდესაც გენერალი შუა დარბაზამდე მიიყვანეს, შესთავაზეს სახვევი მოეხსნა. მან იმწუთშივე გამოიყენა ეს წინადადება და, როგორც ეტყობოდა, ძალიან განცვიფრებული დარჩა, რომ ამდენი ნაცნობი დაინახა ამ საზოგადოების სხდომაზე, რომლის არსებობაზე მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

«მას სთხოვეს თავის შეხედულებებზე ელაპარაკა, მაგრამ იგი იმით განისაზღვრა, რომ თქვა, ეს თქვენთვის უკვე ცნობილი უნდა იყოს ელბადან მოწერილი წერილებიდან...

ფრანცმა კითხვა შეწყვიტა.

— მამაჩემი როიალისტი იყო, — თქვა მან, — ასე რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მის შეხედულებებზე კითხვის დასმა, იგი ყველასათვის ცნობილი იყო.

— სწორედ ამის გამო დავუკვამირდი მამათქვენს, ჩემო ძვირფასო ფრანც, — უთხრა ვილფორმა: — ადვილად ვუახლოვდებით ადამიანს, თუ მის თვალსაზრისს ვიზიარებთ.

— განაგრძეთ კითხვა, ამბობდნენ მოხუცის თვალები.

ფრანცმა განაგრძო:

«მაშინ სიტყვა აიღო პრეზიდენტმა და გენერალს თხოვა უფრო გარკვევით გამოეთქვა თავისი შეხედულებები; მაგრამ ბატონმა კენელმა უთხრა, უპირველს ყოვლისა მაინტერესებს, ჩემგან რას ელითო.

«მაშინ გენერალს წაუკთხეს ელბიდან მოსული წერილი, რომელიც მას კლუბის წინაშე რეკომენდაციას უწევდა, როგორც ისეთ ადამიანს, რომლის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდათ. ამ წერილის მთელი პარაგრაფი მიძღვნილი იყო ელბადან დაბრუნების შესაძლებლობისადმი; იქ გამოთქმული იყო დაპირება, რომ უფრო დაწვრილებით წერილს მოიწერდნენ «ფარაონის» დაბრუნებისას. ეს გემი ეკუთვნოდა მარსელის გემთმეპატრონეს მორელს, რომლის კაპიტანი სულითა და გულით იმპერატორის ერთგული იყო.

«ამ წერილის კითხვის დროს გენერალს, რომელსაც კლუბის წევრები თანამოაზრედ სთვლიდნენ, პირიქით, სახეზე უკმაყოფილების და ცხადი ზიზღის ნიშნები ეხატებოდა.

«კითხვის დამთავრების შემდეგ ის კვლავ გაჩუმებული დარჩა და წარბები შეიკრა.

«— აბა, ბატონო გენერალო, რას იტყვით ამ წერილზე? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

«— მე ვიტყვი, — უპასუხა მან, — რომ ძალიან ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ლუდოვიკო XVIII ფიცი მივეცი იმისათვის, რომ იგი ექს-იმპერატორის გულისთვის დავარღვიოთ.

«ამჯერად პასუხი ისე ნათელი იყო, რომ მისი შეხედულებანი ეჭვს აღარ იწვევდნენ.

«— გენერალო, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენთვის არ არსებობს მეფე ლუდოვიკო XVIII, ისევე, როგორც არ არსებობს ექს-იმპერატორი. არის მხოლოდ მისი უდიდებულესობა იმპერატორი და მეფე თავის სახელმწიფოდან საფრანგეთიდან ათი თვის წინ გამცემლობით და ძალდატანებით განდევნილი.

„— მომიტევეთ, ბატონებო, — თქვა გენერალმა; — შესაძლებელია თქვენთვის არ არსებობდეს მეფე ლუდოვიკო XVIII, მაგრამ ჩემთვის იგი არსებობს: მან ბარონის ტიტული მომანიჭა და ფელდმარშალი გამხადა, არასოდეს დამავიწყდება, რომ ორივე ამ წოდებას, საფრანგეთში მის ბედნიერ დაბრუნებას უნდა ვუმაძღლოდე.

«— ბატონო ჩემო, — უთხრა პრეზიდენტმა სერიოზული ტონით და წამოდგა, — დაუფიქრდით რას ლაპარაკობთ; თქვენი სიტყვები ნათლად გვიმტკიცებს, რომ ელბაზე შეცდნენ და ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანეს. ცნობა, რომელიც თქვენ მიიღეთ, გამოწვეულია იმ ნდობით, რომელიც თქვენს მიმართ ჰქონდათ, ესე იგი, ისეთი გრძნობით, რომელიც თქვენ პატივსა გდებთ. როგორც ჩანს, შევმცდარვართ; ტიტულმა და მაღალმა ჩინმა გაიძულათ მიჰკედლებოდით ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენ ჩამოგდებას ვუპირებთ. არ გაიძულებთ დახმარება გაგვიწიოთ; არავის არ ვუხმობთ ჩვენს რიგებში ჩადგეს მისი სინდისისა და სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ გაფრთხილებთ, მოიქცეთ ისე, როგორც ეს კეთილშობილ ადამიანს შეეფერება, თუნდაც ეს თქვენს განწყობილებას არ შეესატყვისებოდეს, განზრახვებს არ ეგუებოდეს.

«— თქვენ ეს კეთილშობილებად მიგაჩნიათ, ვიცოდეთ თქვენი საზოგადოების არსებობა და არ გამოვააშკარაო იგი! მე ამას თანამონაწილეობად ვთვლი. როგორც ხედავთ, თქვენზე გულახდილი ვარ...»

— ოჰ, მამაჩემო, მამაჩემო, — თქვა ფრანცმა და კითხვა შეწყვიტა, — ახლა ჩემთვის გასაგებია, რატომ მოგკლეს.

ვალენტინამ უნებურად ფრანცს შეხედა; ყმაწვილი კაცი ნამდვილად მშვენიერი იყო ამ ვაჟიშვილურ გულისთქმაში.

ვილფორი ოთახში ბოლთას სცემდა.

ნუარტიე აკვირდებოდა თითოეული მათგანის გამომეტყველებას და მკაცრსა და ღირსებით სავსე იერს ინარჩუნებდა.

«— ბატონო ჩემო, — თქვა პრეზიდენტმა, — თქვენ სხდომაზე მოგიწვიეს, ძალათი არავის მოუყვანიხართ; წინადადება მოგცეს თვალები აგეხვიათ, თქვენ თანხმობა განაცხადეთ. როდესაც ამ წინადადებას ღებულობდით, კარგად იცოდით, რომ ჩვენ ლუდოვიკო XVIII ტახტის გაძლიერებაზე არ ვზრუნავდით; ასე რომ ყოფილიყო, რაში გვჭირდებოდა პოლიციას ასეთი სიფრთხილით დავმალოდით. იცით რა, ძალიან ადვილია ჩამოვიფართო ნილაბი, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვების საიდუმლოება გავიგოთ, შემდეგ მოვიხსნათ ეს ნილაბი და დავლუპოთ ისინი, ვინც მოგვენდნენ. არა, არა, ჯერ გულახდილად გვითხარით ვის მხარეზე ხართ: შემთხვევითი მეფის, რომელიც ახლა ტახტზე ზის, თუ მისი უდიდებულესობა იმპერატორის.

«— მე როიალისტი ვარ, — უპასუხა გენერალმა, — ფიცი მივეცი ლუდოვიკო XVIII და ჩემი ფიცის ერთგული დავრჩები.

«ამ სიტყვებმა მთელ დარბაზში საერთო ჩურჩული გამოიწვია; კლუბის მრავალი წევრის სახეზე ჩანდა, რომ მათ სურდათ აეძულებინათ ბატონი დ'ეპინე მოენანიებინათ თავისი დაუფიქრებელი სიტყვები.

«პრეზიდენტი ისევ წამოდგა და სიჩუმე დაამყარა.

«— ბატონო, — უთხრა მან გენერალს, — თქვენ მეტად სერიოზული და გონიერი კაცი ხართ, რომ თავს ანგარიში არ მისცეთ, რა შედეგი მოჰყვება იმ მდგომარეობას, რომელშიც მე და თქვენ აღმოვჩნდით; თვით თქვენი გულახდილობა გვიკარნახებს იმ პირობებს, რომლებიც ჩვენ უნდა წამოგიყენოთ; დაიფიცეთ პატიოსნება, რომ არავის არაფერს ეტყვიტ იმაზე, რაც აქ გაიგონეთ.

«გენერალმა ხელი ჩაავლო ხმლის ტარს და შესძახა:

«— თუ ლაპარაკია პატიოსნებაზე, უპირველეს ყოვლისა, ნუ გადალახავთ მის კანონებს და ძალით ნურაფერს მომახვევთ.

«— თქვენ კი, ბატონო, — განაგრძო პრეზიდენტმა მშვიდად, მაგრამ არანაკლებ მრისხანედ, ვიდრე გენერალმა, — გირჩევთ ხმალს თავი გაანებოთ.

«— გენერალმა ირგვლივ მიმოიხედა და მის თვალებს ოდნავი შეშფოთება დაეტყო. მაგრამ მაინც არ ნებდებოდა; პირიქით, მთელი ვაჟკაცობა მოიკრიბა.

«— მე არ მოგცემთ ასეთ ფიცს! — თქვა მან.

«— ასეთ შემთხვევაში, მოწყალეო ხელმწიფევ, — უპასუხა მშვიდად პრეზიდენტმა, — სიკვდილი გიწერიათ.

«ბატონი დ'ეპინე ძალზე გაფითრდა: მან გარშემო მყოფნი ერთხელ კიდევ შეათვალიერა; კლუბის ზოგიერთი წევრები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და წამოსასხამებს ქვეშ იარაღს ეძებდნენ.

«— გენერალო, — თქვა პრეზიდენტმა, — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ; თქვენ პატიოსან ადამიანებს შორის ხართ; სანამ ისინი უკანასკნელ ღონისძიებას მიმართავდნენ, ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებენ, რათა დაგარწმუნონ. მაგრამ, მეორეს მხრივ, თქვენ თვითონ თქვით, რომ შეთქმულებს შორის იმყოფებით; ჩვენი საიდუმლოება თქვენს ხელშია, და იგი უნდა დაგვიბრუნოთ.

«ამ სიტყვებს მრავალმნიშვნელოვანი სიჩუმე მოჰყვა; გენერალმა არაფერი უპასუხა.

«— დაკეტეთ კარი, — უთხრა პრეზიდენტმა მეკარეებს.

«სამარისებური სიჩუმე ამ სიტყვების შემდეგაც გაგრძელდა.

«— მაშინ გენერალი წინ წამოვიდა, თავს საშინელი ძალა დაატანა და თქვა:

«— მე მყავს ვაჟიშვილი. რაკი მკვლელებს შორის ვიმყოფები, ვალდებული ვარ მასზე ვიფიქრო.

«— გენერალო, — უპასუხა ღირსეულად სხდომის თავმჯდომარემ, — ერთ ადამიანს ყოველთვის შეუძლია დაუსჯელად შეურაცხყოფა მიაყენოს ორმოცდაათს; ეს სისუსტის პრივილეგიაა. მაგრამ იგი ამოდ საარგებლობს ამ უფლებით. გირჩევთ, გენერალო, ფიცი მოგვცეთ და შეურაცხყოფას ნულარ გვაყენებთ.

«სხდომის თავმჯდომარის ღირსებით მოთვინიერებული გენერალი ერთ წუთს ყოყმანობდა; მაგრამ შემდეგ პრეზიდენტის მაგიდას მიუახლოვდა და ჰკითხა:

«— როგორია ფიცის ფორმულა?

«— აი, ინებეთ:

«პატიოსნებას ვფიცავარ არავის ამქვეყნად, ვინც უნდა იყოს იგი, არ გავუმჟღავნო ის, რაც ვნახე და გავიგონე 1815 წლის ხუთ თებერვალს, საღამოს ცხრა და ათ საათს შუა, და ვაცხადებ, რომ სიკვდილის ღირსი ვიქნები, თუ ამ ფიცს დავარღვევ».

«გენერალი, როგორც ჩანდა, ნერვულმა კანკალმა შეიპყრო, რაც ხელს უშლიდა რამდენიმე წამის განმავლობაში პასუხი მიეცა; ბოლოს, გადალახა ამკარა ზიზღი და წარმოთქვა ფიცი, რომელსაც მისგან ითხოვდნენ, მაგრამ ისე ჩუმად, რომ მისი ხმა ძლივს ისმოდა; ამიტომ ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა, უფრო ხმამაღლა და გარკვევით გაემეორებინა. გენერალმა ეს მოთხოვნაც შეასრულა.

«— ახლა კი მინდა აქაურობას გავეცალო, — თქვა მან, — თავისუფალი ვარ?»

«პრეზიდენტი წამოდგა, შეარჩია სხდომის სამი წევრი, რომლებსაც იგი უნდა გაეცილებინათ, და გენერალთან ერთად ეტლში ჩაჯდა. თან თვალები ისევ აუკრა. იმ სამთა შორის იყო ისიც, ვინც მეეტლის მოვალეობას ასრულებდა.

«კლუბის დანარჩენი წევრები უსიტყვოდ დაიშალნენ.

«— როგორია თქვენი სურვილი, სად მიგიყვანოთ? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

«— სადაც გენებოთ, ოღონდ თქვენ მოგშორდეთ, — უპასუხა ბატონმა დ'ეპინემ.

— «მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა პრეზიდენტმა, — ფრთხილად იყავით. სხდომაზე კი არა ხართ, ახლა თქვენ საქმე გაქვთ ცალკეულ ადამიანებთან; ნუ შეურაცხყოფთ მათ, თუ არ გინდათ, რომ ამ შეურაცხყოფისათვის პასუხი გაგებინონ.

«მაგრამ, იმის მაგივრად, რომ ამ სიტყვების აზრს ჩასწვდომოდა, ბატონმა დ'ეპინემ უპასუხა:

«— თქვენ თქვენს ეტლში ისევე მამაცი ხართ, როგორც თქვენს კლუბში, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ ოთხი ყოველთვის ერთზე ძლიერია.

«პრეზიდენტმა ეტლი შეაჩერებინა.

«ისინი ორგის სანაპიროს სწორედ იმ ადგილას იყვნენ, სადაც მდინარისაკენ ჩამავალი კიბეა.

«— აქ რატომ გაჩერდით? — იკითხა ბატონმა დ'ეპინემ.

«— იმიტომ, ბატონო, — უთხრა პრეზიდენტმა, — რომ თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ ადამიანს, და ამ ადამიანს არ სურს ერთი ნაბიჯის გადაგმაც კი, სანამ თქვენგან კანონიერ დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს.

«— კიდევ ერთი საშუალება მოკვლისათვის, — თქვა მხრების აჩეჩით გენერალმა.

«— ნუ ხმაურობთ, ბატონო, — უპასუხა პრეზიდენტმა, — თუ არ გნებავთ, ჩავთვალოთ ერთ-ერთ იმ ადამიანთაგანად, რომლებზედაც თქვენ ეს-ეს არის ლაპარაკობდით, ესე იგი, ლაჩრად, რომელიც საკუთარი სისუსტიდან აბჯარს იკეთებს. თქვენ მარტო ხართ და მარტო შემებრძოლებით; თქვენ დაშნა გაქვთ; მეც ამ ჯოხში დაშნა მაქვს; თქვენ სეკუნდანტი არა გყავთ, ერთ-ერთი ამ ბატონთაგანი თქვენი მოწმე იქნება. ახლა თუ გნებავთ, შეგიძლიათ სახვევი მოიხსნათ.

«გენერალმა თვალებიდან სახვევი მაშინვე მოიგლიჯა.

«— ბოლოს და ბოლოს, ვიცი ვისთანა მაქვს საქმე, — თქვა მან.

«გამოაღეს ეტლის კარი: ოთხივე ძირს ჩამოვიდა...»

ფრანცმა ისევ შეწყვიტა კითხვა. შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა; საშინელი სანახავი იყო, როგორ კითხულობდა გაფითრებული და აცახცახებული შვილი დაწვრილებით ცნობებს მამის სიკვდილის შესახებ, რომელზედაც აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა.

ვალენტინამ გულხელი დაიკრიფა, თითქოს ლოცულობსო.

ნუარტიე ვილფორს ენით უთქმელი სიამაყითა და ზიზღით შესცქეროდა.

ფრანცმა განაგრძო:

«როგორც უკვე ვთქვით, ეს ხუთ თებერვალს მოხდა. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ხუთი-ექვსი გრადუსი ყინვა იდგა. კიბეი მთლად გაყინულიყო. გენერალი მაღალი და სქელი იყო და პრეზიდენტმა ჩასვლის დროს ის მხარე დაუთმო, სადაც მოაჯირი იყო.

«ორივე სეკუნდანტი უკან მიჰყვებოდა.

«ძალზე ბნელოდა. კიბესა და მდინარეს შორის მიწა თოვლსა და ჭირხლს დაეფარა. მათ თვალწინ მიდიოდა მდინარე, შავი, ღრმა, რომელსაც აქა-იქ ყინულები მოჰქონდა.

«ერთი-ერთი სეკუნდანი ფარანის მოსატანად კუთხეში მიბმულ ნავთან მივიდა და ამ ფარანის შუქზე იარაღი გასინჯა.

«პრეზიდენტის დაშნა, ჩვეულებრივი ფოლადის პირი, როგორცაა ჯოხში ატარებენ, ხუთი დიუმით მოკლე იყო მისი მოწინააღმდეგის დაშნაზე და არც ხელსაბური ჰქონდა.

«გენერალმა დ'ეპინემ წინადადება შემოიტანა დაშნები კენჭისრით გაენაწილებინათ; მაგრამ პრეზიდენტმა უპასუხა, რაკი მე გამოგიწვიეთ, ვფიქრობ, ჩვენ ჩვენი დაშნით უნდა ვიბრძოლოთ.

«სეკუნდანტები შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ პრეზიდენტმა ისინი გააჩუმა.

«ფარანი მიწაზე დადგეს; მოწინააღმდეგეები აქეთ-იქით დადგნენ, ბრძოლა დაიწყო.

«ფარანის შუქზე დაშნები ორ ელვას წააგავდა; ისე ბნელოდა, რომ ადამიანები ძლივს ჩანდნენ.

«გენერალი მთელ არმიამდე ერთ-ერთ საუკეთესო მოფარკავედ ითვლებოდა. მაგრამ მაშინვე ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ უკან დაიხია, და უკანდახვევის დროს დაეცა კიდევ.

«სეკუნდანტებს ეგონათ, მოკლულიაო; მაგრამ მოწინააღმდეგემ იცოდა, რომ არ დაეჭრა და ხელი გაუწოდა, რათა ფეხზე წამომდგარიყო. ამ გარემოებამ გენერალი უფრო გააღიზიანა, იმის მაგივრად, რომ დაემშვიდებინა, და მოწინააღმდეგეს ეცა.

«მაგრამ მისმა მოწინააღმდეგემ არც ერთი ნაბიჯით არ დაიხია და დაშნა დაახვედრა.

გენერალმა სამჯერ დაიხია და სამჯერ სცადა შეეტია.

«მესამედ იგი ისევ დაეცა.

«ყველას ეგონა, რომ ისევ ფეხი დაუცდა. რადგან სეკუნდანტებმა დაინახეს, აღარ დგებოდა, მიუახლოვდნენ და სცადეს ფეხზე წამოეყენებინათ; მაგრამ ვინც მას ხელი წაავლო, იგრძნო, რომ რაღაც თბილი და სველი მოხვდა.

«ეს სისხლი იყო.

«ნახევრად გულწასული გენერალი გონს მოვიდა «— ეჰ! — თქვა მან, — ჩემ წინააღმდეგ გამოუგზავნიათ დაქირავებული მკვლელი, რომელიმე პოლკის ფარიკაობის მასწავლებელი.

პრეზიდენტმა მას არაფერი უპასუხა, მიუახლოვდა იმ სეკუნდანტს, რომელსაც ფარანი ეჭირა, სახელო აიწია და მკლავზე ორი ღრმა ჭრილობა დაანახა; შემდეგ ფრაკი გადაიწია, ჟილეტის ღილები შეიხსნა და გამოაჩინა შიშველი ფერდი, რომელშიც მესამე ჭრილობა ჰქონდა.

«მაგრამ, ამის მიუხედავად, ერთი კვნესაც არ აღმოხდენია.

«გენერალ დ'ეპინეს აგონია დაეწყო და ხუთი წუთის შემდეგ გარდაიცვალა...»

ფრანცმა ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი ყრუ ხმით წაიკითხა, რომ ძლივს გაიგონებდით; შემდეგ გაჩუმდა, თვალზე ხელი მოისვა, თითქოს ბინდი უნდა განდევნოსო.

მაგრამ წამიერი სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

«პრეზიდენტმა დაშნა ჯოხში ჩააგო და ისევ კიბეს აჰყვა; თოვლზე სისხლიანი კვალი მის გზას აღნიშნავდა. კიბის ბოლომდე არ იყო მისული, რომ შხაპუნის ყრუ ხმა გაიგონა: ეს სეკუნდანტებმა გადაისროლეს მდინარეში გენერლის სხეული, რაკი დარწმუნდნენ, რომ მკვდარი იყო.

«ამრიგად, გენერალი პატიოსან ორთა ბრძოლაში მოკვდა და არა მახის დაგებით, რაც შეიძლებოდა ზოგიერთს ეთქვა.

«ამ ამბის მოწმეებმა ხელი მოვაწერეთ ამ ოქმს ჭეშმარიტების აღსადგენად, იმის შიშით, რომ შეიძლება დადგეს წუთი, როდესაც ამ საშინელი ამბის რომელიმე მოწმეს დააბრალებენ წინასწარ განზრახულ მკვლელობას და პატიოსნების კანონების დარღვევას.

«ხელს აწერენ: ბორეპერი, დიუმამპი, ლემარპალი».

როდესაც ფრანცმა, ვაჟიშვილისათვის ესოდენ სამძიმო ამბის კითხვა დაამთავრა, მღელვარებისაგან გაფითრებულმა ვალენტინამ ცრემლები მოიწმინდა, ხოლო აცახცახებულმა და კუთხეში მიმალულმა ვილფორმა, რომელიც ცდილობდა ქარიშხალი შეეჩერებინა, შეუბრალებელ მოხუცს მუდარით შეხედა.

— ბატონო ჩემო, — მიუბრუნდა დეპინე ნუარტიეს, თქვენ დაწვრილებით იცით ეს საშინელი ისტორია, რადგან თქვენ იგი დაადასტურეთ საპატიო პიროვნებების ხელმოწერით; და რაკი თქვენ, ალბათ, ჩემით ხართ დაინტერესებული, თუმცა ჯერჯერობით ეს ინტერესი იმაში გამოიხატება, რომ ტანჯვა მომაყენეთ, უარს ნუ მეტყვიით უკანასკნელ სამსახურზე: დამისახელეთ კლუბის პრეზიდენტის სახელი, რომ ბოლოს და ბოლოს ვიცოდე, ვინ მოჰკლა მამაჩემი.

თავგზააზნეული ვილფორი კარის სახელურს ეძებდა. ვალენტინამ, რომელიც ყველაზე ადრე მიხვდა, როგორი იქნებოდა მოხუცის პასუხი და რომელსაც მანამდე არაერთხელ უნახავს დაშნის კვალი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— ღვთის გულისათვის, მადმუაზელ! — უთხრა ფრანცმა თავის საცოლეს, — შეუერთდით ჩემს თხოვნას, რომ გავიგო იმ ადამიანის სახელი, ვინც ორი წლის ასაკში ობლად დამტოვა.

ვალენტინა გაუნძრევლად იდგა და ხმას არ იღებდა.

— მისმინეთ, — თქვა ვილფორმა, — დაიჯერეთ, ნულარ გავაგრძელებთ ამ საშინელ სცენას; ესეც არ იყოს, სახელები განზრახაა დამალული. მამაჩემმა თვითონ არ იცის ვინ იყო პრეზიდენტი, და რომ იცოდეს კიდევ, მაინც ვერ გადმოგცემთ. საკუთარი სახელები ლექსიკონში არ არის.

— რა საშინელებაა! — წამოიძახა ფრანცმა, — მხოლოდ ეს ერთი იმედი მამხნევებდა კითხვის დროს და მან მომცა ძალა ბოლომდე წამეკითხა; ყოველ შემთხვევაში, იმედი მქონდა გამეგო იმისი სახელი, ვინც მამაჩემი მოჰკლა! ბატონო, ბატონო, — შეჰყვირა მან და ნუარტიეს მიუბრუნდა, — ღვთის გულისათვის! გააკეთეთ ყველაფერი შესაძლებელი... გემუდარებით, შეეცადეთ მიმითითოთ, მიმახვედროთ...

— დიახ, — უპასუხა ნუარტიემ.

— ჰო, მადმუაზელ ვალენტინა! — შეჰყვირა ფრანცმა, — ბაბუათქვენმა გვანიშნა, რომ შეუძლია დაასახელოს... ის კაცი... მომეხმარე... თქვენ გესმით მისი ენა...

ნუარტიემ ლექსიკონს გადახედა.

ფრანცმა ნერვული კანკალით აიღო იგი და დაიწყო ანბანის ჩამოთვლა; როდესაც ასო «მ»-ზე მივიდა, მოხუცმა იგი გააჩერა.

— «მ»? — გაიმეორა ფრანცმა.

ყმაწვილი კაცის თითი სიტყვებზე სწრაფად დასრიალებდა; მაგრამ ნუარტიე უარყოფით პასუხობდა.

ვალენტინამ სახეზე ხელები მიიფარა.

მამინ ფრანცმა ხელი დაადო სიტყვას «მე».

— დიახ, — დაუმოწმა მოხუცმა.

— თქვენ! — შეჰყვირა ფრანცმა, და თმა ყალყზე დაუდგა. — თქვენ, ბატონო ნუარტიე? ეს თქვენ მოჰკალით მამაჩემი?

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა და ყმაწვილ კაცს დიდებული იერით შეხედა. ფრანცი უღონოდ ჩაეშვა სავარძელში

ვილფორმა კარი გააღო და ოთახიდან გავარდა, იმიტომ, რომ უდიდესი სურვილი ჰქონდა, ჩაექრო სიცოცხლის ის ნაპერწკალიც, რომელიც ჯერ კიდევ ენთო მოხუცის დაუცხრომელ გულში.

თავი XIX

კავალკანტის ვაჟიშვილის წარმატებანი

მოხუცი კავალკანტი პარიზიდან გაემგზავრა, რათა სამსახურში გამოცხადებულიყო, მაგრამ მისი უდიდებულესობის ავსტრიის იმპერატორის ნაწილებში კი არა, არამედ ლუკის მინერალური წყლების რულეტზე; იგი მისი ერთ-ერთი მხურვალე პატივისმცემელი იყო.

თავისთავად იგულისხმება, რომ კეთილსინდისიერი სიზუსტით, უკანასკნელ გროშამდე თან წაიღო მთელი თანხა, რომელიც მისთვის განკუთვნილი იყო მისი მოგზაურობისათვის და იმ მედიდური და ზეიმური გარეგნობისათვის, რომლითაც ის მამის როლს თამაშობდა.

მისი გამგზავრების შემდეგ ანდრეამ მიიღო ყველა დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ნამდვილად აქვს პატივი იყოს მარკიზ ბარტოლომეოსა და მარკიზა ოლივა კორსინარის ვაჟიშვილი.

ამგვარად, ასე თუ ისე, იგი პარიზის საზოგადოებაში მტკიცდებოდა. ეს საზოგადოება ადვილად ღებულობს უცხოელებს და მათ იმის მიხედვით კი არ ექცევა, რაც სინამდვილეში არიან, არამედ იმის მიხედვით, როგორებიც სურთ იყვნენ.

რას მოითხოვენ პარიზში ყმაწვილი კაცისაგან? ასე თუ ისე იცოდეს ლაპარაკი, კარგად იცვამდეს, თამამად თამაშობდეს ბანქოს და ოქროს ფულებს იხდიდეს.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ უცხოელს უფრო ნაკლებს სთხოვენ, ვიდრე პარიზელს.

ამგვარად, უკვე ორი კვირის შემდეგ ანდრეას საკმაოდ კარგი მდგომარეობა ექიარა; მას გრაფის ტიტულით მიმართავდნენ, ანგარიშობდნენ, რომ მისი წლიური შემოსავალი ორმოცდაათი ათას ლივრს უდრიდა. ლაპარაკობდნენ მამამისის აურაცხელ სიმდიდრეზე, რომელიც თითქოს სარავანციის ქვის სამტეხლოებში იყო ჩაფლული.

ვიდაც სწავლულმა, რომელთანაც ილაპარაკეს ამ უკანასკნელ გარემოებაზე, როგორც უტყუარ ფაქტზე, განაცხადა, მინახავს სარავანციის ქვის სამტეხლოებით, და ამან დიდი წონა მისცა ჯერ კიდევ სათუო მტკიცებებს; იმ დღიდან ისინი უდავო ჭეშმარიტებად გადაიქცნენ.

ასეთი იყო ვითარება პარიზის საზოგადოების იმ წრეში, სადაც ჩვენი მკითხველები მივიყვანეთ, როდესაც ერთ საღამოს მონტე-კრისტო ბატონ დანგლარს ესტუმრა. თვითონ დანგლარი შინ არ იყო, მაგრამ ბარონესა ღებულობდა სტუმრებს, და გრაფს ჰკითხეს, ინებებთ თუ არა მასთან შესვლასო, გრაფმა თანხმობა განაცხადა.

ოტეილში სადილობის და იმ ამბების შემდეგ, რაც მას მოჰყვა, ქალბატონ დანგლარს ნერვული თრთოლვის გარეშე არ შეეძლო გრაფ მონტე-კრისტოს სახელის გაგონება. ამ სახელის ხსენებაზე თვითონ გრაფი არ გამოჩნდებოდა ხოლმე, ეს მტკივნეული განცდა ძლიერდებოდა; ხოლო „პირიქით, თუ გრაფი გამოჩნდებოდა, მისი გახსნილი სახე, მისი გაბრწყინებული თვალები, მისი თავაზიანობა ქალბატონ

დანგლარის მიმართ სწრაფად ფანტავდნენ შიშის უკანასკნელ ჩრდილსაც კი. ბარონესას შეუძლებლად მიაჩნდა, გარეგნულად ასეთ მომხიბვლელ ადამიანს მის მიმართ რაიმე ცუდი განზრახვა ჰქონოდა; სხვათა შორის, ყველაზე მახინჯი სულის ადამიანებიც კი დაუშვებლად სთვლიან სიბოროტეს, რომელსაც რაიმე ინტერესი არ უდევს საფუძვლად; უმიზეზო და უმიზნო სიბოროტე, ისევე როგორც სიმახინჯე, ზიზღს იწვევს.

მონტე-კრისტო იმ ბუდუარში შევიდა, სადაც ჩვენ ერთხელ უკვე შევიყვანეთ ჩვენი მკითხველები, ახლა იქ ბარონესა შეშფოთებით ათვალთქვებდა სურათებს, რომელთაც აწვდიდა მისი ქალიშვილი, ამ სურათებს ჯერ თვითონ და კავალკანტის ვაჟიშვილი ათვალთქვებდნენ. მონტე-კრისტოს გამოჩენამ ჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ სახელის გაგონებით რამდენადმე შეშფოთებული ბარონესა გრაფს ღიმილით შეხვდა.

მან ერთი თვალის მოვლებით დაინახა მთელი სცენა.

ბარონესას გვერდით, კოზეტკაზე ნახევრად დაწოლილი იჯდა ეჟენი, ხოლო მის წინ კავალკანტი იდგა.

კავალკანტი გოეთეს გმირივით სულ შავებში იყო გამოწყობილი, ფეხზე ეცვა შავი ლაქის ფეხსაცმელი და თეთრი აბრეშუმის ისრიანი წინდები. ქერა თმაზე ისვამდა საკმაოდ თეთრ ხელს და აჩენდა ბრილიანტის ბრწყინვალეებას, თავმომწონე ყმაწვილ კაცს ცდუნებისათვის ვერ გაეძლო და მონტე-კრისტოს რჩევის წინააღმდეგ, ბეჭედი ნეკზე წამოეცვა.

ამ მოძრაობას თან ახლდა მადმუაზელ დანგლარისაკენ მიპყრობილი გულის გამგმირავი მზერა და ოხვრა, რომელიც იმავე მისამართით იგზავნებოდა.

მადმუაზელ ეჟენი ისევ ისეთი იყო, როგორც ყოველთვის, ესე იგი ლამაზი, ცივი და დამცინავი. მას არ გამოჰარვია ანდრეას არც ერთი შეხედვა და ოხვრა; თითქოს ისინი ხვდებოდნენ მინკერკის ჯავშანს, რომელიც, ზოგიერთი ფილოსოფოსის მტკიცებით, ზოგჯერ საფოს მკერდს ფარავს.

ეჟენი გრაფს ცივად მიესალმა და ისარგებლა საუბრით, რათა მისი მეცადინეობისათვის განკუთვნილ სასტუმრო ოთახში შესულიყო, საიდანაც მალე როიალის დაკვრასთან ერთად მოისმა ორი მაღალი და მხიარული ხმა. აქედან მონტე-კრისტომ ის დასკვნა გამოიტანა, რომ მადმუაზელ დანგლარი მისი და ბატონ კავალკანტის საზოგადოებას, სიმღერის მასწავლებელ ლუიზა დ'არმილის საზოგადოებას ამჯობინებდა.

ამავე დროს გრაფმა, რომელიც ქალბატონ დანგლარს ესაუბრებოდა და ამ საუბრით მოხიბლული ჩანდა, მაშინვე შეამჩნია ანდრეა კავალკანტის მოწყენილობა: იგი დროდადრო მიდიოდა კართან, უსმენდა მუსიკას, შიგნით შესვლას ვერ ბედავდა და ჟესტებით გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას.

მალე ბანკირიც მოვიდა. მართალია პირველი მისი შეხედვა მონტე-კრისტოსაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ მეორე ანდრეას ეკუთვნოდა.

რაც შეეხება მეუღლეს, იგი მას ზუსტად ისე მიესალმა, როგორც ახლანდელი ქმრები ცოლებს ესალმებიან ხოლმე, რაზედაც უცოლოებს მხოლოდ მაშინ ექნებათ წარმოდგენა, თუ ცოლ-ქმართა დამოკიდებულების შესახებ ძალიან ვრცელი კოდექსი გამოიცემა.

— განა ჩვენმა ქალიშვილებმა არ მიგიწვიეს, რომ მუსიკით მათთან ერთად გართობილიყავით? — ჰკითხა დანგლარმა ანდრეას.

— ეჰ, არა, ბატონო, — უპასუხა ანდრეამ ადრინდელზე უფრო შესამჩნევი ოხვრით. დანგლარი სწრაფად მივიდა კართან და გამოალო.

გამოჩნდა ორი ქალიშვილი. ისინი როიალთან ერთ სკამზე ისხდნენ. თითოეული მათგანი თავისთვის ცალი ხელით უკრავდა აკომპანიმენტს, — ეს იყო მათი საკუთარი გამოგონება, რომელშიც უკვე საუცხოოდ იყვნენ დახელოვნებულები.

მადმუაზელ დ'არმილი ექენისთან ერთად კარის ჩარჩოში ჰქმნიდნენ ერთ-ერთ იმ ცოცხალ სურათს, რომელიც ასე უყვართ გერმანიაში; ის ძალიან ლამაზი ან, უფრო სწორად, მეტად მომხიბვლელი იყო. ის იყო პატარა, ნაზი და ფერიასავით ოქროსთმიანი; გრძელი დალალები, გაცილებით უფრო გრძელი, ვიდრე პერჯინოს მადონებს აქვს, კისერზე სცემდნენ; მას დალლილი, დაბინდული თვალები ჰქონდა. ამბობდნენ, სუსტი ფილტვები აქვს და «კრემონის ვიოლინოს» ანტონიას მსგავსად, ერთ მშვენიერ დღეს სიმღერის დროს მოკვდებო.

მონტე-კრისტოს ამ საქალებოს ცნობისმოყვარედ და სწრაფად გადაავლო თვალი. იგი პირველად ხედავდა მადმუაზელ დ'არმილის, რომელზედაც ამდენი გაუგონია ამ სახლში.

— ჩვენ რა, არაფრად გვაგდებთ? — ჰკითხა ბანკირმა თავის ქალიშვილს.

შემდეგ ანდრეა სასტუმროში შეიყვანა და შემთხვევით თუ განზრახ, კარი ისე მიხურა, რომ იმ ადგილიდან, სადაც მონტე-კრისტო და ქალბატონი დანგლარი ისხდნენ, ვერაფერი დაენახათ. მაგრამ რაკი ანდრეას ბანკირი გაჰყვა, ქალბატონ დანგლარს ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

მალე გრაფს მოესმა ანდრეას ხმა; ის როიალის აკომპანიმენტზე კორსიკულ სიმღერას მღეროდა.

იმ დროს, როდესაც მონტე-კრისტო, რომელსაც ანდრეა დაავიწყდა და ბენედეტო გაახსენდა, ღიმილით უსმენდა ამ სიმღერას, ქალბატონი დანგლარი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა თავისი ქმრის სულის სიმტკიცეზე; ამ დილით რომელიღაც მილანის ფირმის გაკოტრების გამო სამასი თუ ოთახი ათასი ფრანკი დაეკარგა.

და მართლაც, ბარონი იმსახურებდა ამ ქებას; გრაფს რომ იგი ბარონესასაგან არ გაეგონა, ან არ შეეტყო ერთ-ერთი იმ საშუალებით, რომლითაც იგი ყველაფერს იგებდა, სახის გამომეტყველებით ვერაფერს მიხვდებოდა.

«ოჰო! — გაიფიქრა მონტე-კრისტომ. — იგი უკვე მალავს თავის ზარალს. ერთი თვის წინ კი ამით თავს იქებდა».

შემდეგ ხმამაღლა დასძინა:

— ქალბატონო, ბატონი დანგლარი ისე კარგად იცნობს ბირჟას, რომ აქ ყოველთვის აღიდგენს იმას, რაც სხვაგან დაჰკარგა.

— ვხედავ, რომ თქვენ საერთო მცდარ აზრს იზიარებთ, — უთხრა ქალბატონმა დანგლარმა.

— რა მცდარ აზრს? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— ყველას ჰგონია, რომ ბატონი დანგლარი თამაშობს ბირჟაზე, ეს არ არის მართალი.

— ჰო, დიახ, მართალი ბრძანდებით, ქალბატონო; მომაგონდა, ბატონმა დებრემ მითხრა... ჰო, გახსენებაზე, სად დაიკარგა იგი? უკვე სამი თუ ოთხი დღეა არ მინახავს.

— არც მე, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა უცნაური აპლომბით, — მაგრამ თქვენ რაღაცას ამბობდით და აღარ დაამთავრეთ.

— რას ვლაპარაკობდი? — რომ დებრემ გითხრათ...

— დიახ, მართალია: დებრემ მითხრა, რომ თქვენ სცემთ თაყვანს აზარტის დემონს.

— დიახ, ვაღიარებ, რომ ერთ დროს ასე იყო, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა, — მაგრამ ახლა უკვე აღარ მაინტერესებს.

— და ძალიან ცდებით, ქალბატონო. ღმერთო ჩემო, სპეკულაციის ბედი ხომ მერყევა. ქალი რომ ვიყო და ისიც ბანკირის მეუღლე, როგორადაც უნდა მჯეროდეს ქმრის ბედისა, აუცილებლად დამოუკიდებელ სიმდიდრეს დავაგროვებდი, თუნდაც ამ მიზნით ჩემი ინტერესები უცნობი ადამიანისათვის მიმენდო.

ქალბატონი დანგლარი უნებურად გაწითლდა.

— აი, მაგალითად, — თქვა მონტე-კრისტომ და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერაფერი შენიშნა, — გაიგონეთ თუ არა რამე იმ კომბინაციაზე, რომელიც გუშინ სალამოს ნეაპოლის ბონებით გააკეთეს?

— მე ისინი არა მაქვს, — უპასუხა ბარონესამ, — და არც არასოდეს მქონია; მაგრამ სიმართლე ითქვას, გრაფო, ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ბირჟაზე; თითქოს ორივენი მაკლერები ვიყოთ. სჯობს ვილაპარაკოთ იმ უბედურ ვილფორებზე, რომლებსაც ბედისწერა ასე სდევნის.

— კი მაგრამ, რა მოუვიდათ ასეთი? — ჰკითხა მონტე-კრისტომ უნაკლო მიამიტობით.

— თქვენ ხომ იცით: მარკიზ დე სენ-მერანი პარიზში გამომგზავრების მესამე თუ მეოთხე დღეს გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე პარიზში ჩამოსვლის მესამე თუ მეოთხე დღეს.

— ჰო, გავიგონე, — უთხრა მონტე-კრისტომ; — მაგრამ, როგორც კლავდიუსი ეუბნება ჰამლეტს, ეს ბუნების კანონია; მამები მათზე ადრე გარდაიცვალნენ და მათ დაიტირეს ისინი; ისინი შვილებზე ადრე დაიხოცებიან, და მათ შვილები დაიტირებენ.

— მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

— როგორ თუ ყველაფერი როდია?

— არა, ხომ იცით, რომ ქალიშვილის გათხოვებას აპირებდნენ...

— დიახ, ბატონ ფრანც დ'ეპინეზე ... განა ქორწილი ჩაიშალა?

— ამბობენ, გუშინ დილით ფრანცმა თავისი სიტყვა უკან წაიღო.

— მართლა?.. მიზეზი ცნობილია?

— არა.

— ღმერთო ჩემო! რას მეუბნებით. მერედა როგორ იტანს ბატონი დე ვილფორი ყველა ამ უბედურებას?

— თავისი ჩვეულების მიხედვით, როგორც ფილოსოფოსი.

ამ დროს დანგლარიც დაბრუნდა.

— ეგ როგორ, ბატონ კავალკანტის მარტო სტოვებთ თქვენს ქალიშვილთან? — ჰკითხა ბარონესამ.

— მადმუაზელ დ'არმილი? უთხრა ბარონმა, — რა გგონიათ იგი?

შემდეგ მონტე-კრისტოს მიუბრუნდა:

— მომხიბვლელი ყმაწვილი კაცია ეს თავადი კავალკანტი, არა, გრაფო?.. მაგრამ ნამდვილად თავადი კია?

— ამის თავმდებად ვერ დავდგები, — უპასუხა მონტე-კრისტომ. — მამამისი, როგორც მარკიზი ისე წარმომიდგინეს, ასე რომ, იგი, ალბათ გრაფია; მაგრამ მე მგონია, თვითონაც განსაკუთრებულ პრეტენზიებს არ აყენებს თავადის ტიტულზე.

— რატომ არა? — თქვა ბანკირმა. — თუ თავადია, რა აქვს დასამალი. ყველას თავისი უფლება აქვს. არ მიყვარს, როდესაც თავის წარმოშობას მალავენ.

— მაგრამ თქვენ ხომ ცნობილი დემოკრატი ხართ, — უთხრა ღიმილით მონტე-კრისტომ.

— მაგრამ დაუკვირდით, რა უხერხულ მდგომარეობაში იგდებთ თავს, — უთხრა ბარონესამ; — შემთხვევით დე მორსერი რომ მოვიდეს, იგი ბატონ კავალკანტის წააწყდებოდა იმ ოთახში, სადაც მას, — ეჟენის საქმროს, — არასოდეს აძლევენ შესვლის უფლებას.

— სავსებით მართალი ბრძანდებით, «შემთხვევითო» რომ თქვით. — გამოეპასუხა ბანკირი. — სიმართლე ითქვას, მას ისე იშვიათად ვხედავთ, — რომ შეიძლება მართლაც შემთხვევით მოვიდეს.

— ყოველ შემთხვევაში, მას რომ ის ყმაწვილი კაცი თქვენი ქალიშვილის გვერდით ენახა, შეიძლება უკმაყოფილო დარჩენილიყო.

— უკმაყოფილო, იგი! ღმერთო ჩემო, თქვენ ძალიან ცდებით! ბატონი ალბერი იმდენ პატივს არ გვდებს, რომ თავის საცოლზე იეჭვიანოს, მას იგი ისე ძლიერ არ უყვარს. თუნდაც ისე იყოს, რა მენადვლება, კმაყოფილი დარჩება თუ უკმაყოფილო.

— კი მაგრამ, ჩვენი დამოკიდებულება...

— ოჰ, ჩვენი დამოკიდებულება; გინდათ გაიგოთ რა დამოკიდებულება გვაქვს? მეჯლისზე, რომელიც დედამისმა გამართა, მხოლოდ ერთხელ იცეკვა ჩემს ქალიშვილთან, ხოლო ბატონმა კავალკანტიმ — სამჯერ, და მას ეს არც კი შეუმჩნევია.

— ბატონი ვიკონტ ალბერ დე მორსერი, — მოახსენათ კამერდინერმა.

ბარონესა სწრაფად წამოდგა. მას უნდოდა შვილის გასაფრთხილებლად პატარა სასტუმრო ოთახში შესულიყო. მაგრამ დანგლარმა მკლავში ხელი წაავლო და შეაჩერა.

— თავი გაანებეთ, — უთხრა მან.

ბარონესამ გაკვირვებით შეხედა.

მონტე-კრისტომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეამჩნია ეს სცენა.

ალბერი შემოვიდა. იგი ძალიან ლამაზი და ძალიან მხიარული იყო. ბარონესას ძალდაუტანებლად მიესალმა, დანგლარს — ფორმალურად, ხოლო გრაფს — მეგობრულად; შემდეგ ბარონესას მიუბრუნდა.

— ნება მომეცით, ქალბატონო, გკითხოთ, როგორ ბრძანდება მადმუაზელ დანგლარი?

— საუცხოოდ, ბატონო, — უპასუხა სწრაფად დანგლარმა; — ამჟამად იგი ბატონ კავალკანტისთან ერთად პატარა სასტუმროში მუსიკით ერთობა.

ალბერმა სიმშვიდე და გულგრილობა შეინარჩუნა: შეიძლება გულში რაიმე წყენის მსგავსმა გაურბინა, მაგრამ გრძნობდა, რომ მონტე-კრისტო თვალს არ აშორებდა.

— ბატონ კავალკანტის მშვენიერი ტენორი აქვს, — თქვა მან, — მადმუაზელ ეჟენის კი საუცხოო სოპრანო, ამას გარდა იგი როიალზე ტალბერგით უკრავს. ეს მომხიბვლელი კონცერტი იქნება.

— ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს ძალიან შეეხმატკბილნენ, — თქვა დანგლარმა.

ალბერმა თითქოს ვერც კი შეამჩნია ორაზროვნად ნათქვამი სიტყვა, რომელიც იმდენად უხეშად იყო გამოთქმული, რომ ქალბატონი დანგლარი გაწითლდა.

— მეც მუსიკოსი ვარ, — განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, — ყოველ შემთხვევაში, ამას ჩემი მასწავლებლები ამტკიცებდნენ. მაგრამ საკვირველია, ვერასოდეს ვერავის შევუწყე ხმა, სოპრანოს, მით უმეტეს, ნაკლებად, ვიდრე სხვა ხმებს.

დანგლარმა ოდნავ გაიღიმა, თითქოს ამბობდა: «გაბრაზდი, რაღას უცდიო».

— აი, გუშინ, — თქვა მან, და შეეტყო, იმედი მიეცა თავისი მიზნისათვის მიეღწია, — თავადმა და ჩემმა ქალიშვილმა საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეს. განა გუშინ ჩვენსას არ ბრძანდებოდით?

— რომელმა თავადმა? — იკითხა ალბერმა.

— თავადმა კავალკანტიმ, — უპასუხა დანგლარმა, რომელიც ჯიუტად მუდამ ამ ტიტულით იხსენიებდა კავალკანტის.

— ოჰ, მომიტევეთ, — უპასუხა ალბერმა, — არ ვიცოდი, თუ თავადი იყო. მაშინ სგუშინ თავადი კავალკანტი მადმუაზელ ეჟენისთან ერთად მღეროდა? მართლაც საუცხოო რამ იქნებოდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვისმინე. მაგრამ მე არ შემეძლო თქვენს მოწვევა მიმეღო, იძულებული ვიყავი დედაჩემი მოხუც ბარონესა შატო-რენოსთან მიმეცილებინა; იქ გერმანელები მღეროდნენ.

მერე, მცირე სიჩუმის შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარაო, ჰკითხა:

— შემიძლია მადმუაზელ დანგლარს ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო?

— ოჰ, არა, მოითმინეთ, გთხოვთ, — უთხრა ბანკირმა და შეაჩერა, — მოისმინეთ ეს მშვენიერი კავატინა, ტა, ტა, ტა, ტა, ტი, ტი, ტი; ეს მომხიბვლელია, ახლა თავდება... კიდევ ერთი წამი; მშვენიერია! ვაშა, ვაშა, ვაშა!

და ბანკირმა გაშმაგებით დაიწყო ტაშის ცემა.

— მართლაც რომ საუცხოოა, — თქვა ალბერმა, — შეუძლებელია კაცს უკეთ გესმოდეს შენი სამშობლოს მუსიკა, ვიდრე ეს თავად კავალკანტის ესმის, თქვენ თქვით «თავადი», თუ არ ვცდები ასეა არა? თუმცა სულ ერთია, თავადიც რომ არ იყოს, ამ ტიტულს ადვილად მისცემენ, იტალიაში ეს ძნელი არ არის. დავუბრუნდეთ თქვენს მომხიბვლელ მომღერლებს. თქვენ, ბატონო დანგლარ, ყველას სიამოვნება უნდა მოგვანიჭოთ: არ უნდა გააფრთხილოთ რომ აქ უცხოა, და სთხოვოთ ბატონ კავალკანტის და ეჟენი დანგლარს, კიდევ რამე გვიმღერონ. რა სასიამოვნოა მუსიკით ტკბობა, როცა ცოტა მოშორებით ხარ, ჩრდილში, როცა შენ ვერავინ გხედავს, შენც თვითონ ვერაფერს ხედავ და შემსრულებელს არ აწუხებ. მაშინ მას შეუძლია თავისუფლად დანებდეს თავის ნიჭს და გულისთქმას.

ამჯერად დანგლარს ყმაწვილი კაცის გულგრილობამ გზაკვალი აუბნია.

მან მონტე-კრისტო განზე გაიხმო.

— აბა, რას იტყვით ჩვენს შეყვარებულზე? — ჰკითხა მან.

— ჩემი აზრით, იგი საკმაოდ გულგრილია. მაგრამ რას იზამთ! თქვენ სიტყვა მიეცით.

— რასაკვირველია, სიტყვა მივეცი, მაგრამ ხომ ვერ მივათხოვებ ქალიშვილს ისეთ კაცს, რომელსაც იგი არ უყვარს და უარს ვეტყვი მას, ვისაც უყვარს. ერთი შეხედვით: ცივია, როგორც მარმარილო, ამაყია, როგორც მამამისი. მდიდარი რომ ყოფილიყო, თუნდ კავალკანტისოდენა ქონება რომ ჰქონოდა, შეიძლება ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიმექცია. გულახდილად რომ ვთქვა, ამის შესახებ ჩემს ქალიშვილთან ჯერ არ მისაუბრია; მაგრამ მას რომ კარგი გემოვნება ჰქონდეს...

— არ ვიცი, — უპასუხა მონტე-კრისტომ, — შეიძლება მისდამი მეგობრული დამოკიდებულება მაბრმავებს, მაგრამ გარწმუნებთ, ბატონი დე მორსერი მომხიბვლელი ყმაწვილია, იგი თქვენს ქალიშვილს ბედნიერს გახდის და ადრე თუ გვიან რამეს მიაღწევს: მამამისს ხომ მშვენიერი მდგომარეობა აქვს.

— ჰმ! — ჩაიბურტყუნა დანგლარმა.

— ეჭვი გეპარებათ?

— იცით, რა, წარსული... ბნელი წარსული...

— მაგრამ მამის წარსული ვაჟიშვილს არ ეხება.

— პირიქით.

— მისმინეთ, ნუ დაარწმუნებთ ამაში თქვენს თავს. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მორსერი თქვენ საუცხოო საქმროდ მიგაჩნდათ... გამიგეთ, მე სასოწარკვეთილი ვარ:

ჩემს სახლში გაიცანით თქვენ ის ყმაწვილი კაცი, მე კი მას, გიმეორებთ, სრულიად არ ვიცნობ.

— მაგრამ მე ვიცნობ, ეს საკმარისია, — უპასუხა დანგლარმა.

— თქვენ მას იცნობთ? განა მის შესახებ ცნობები შეკრიბეთ? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.

— განა ეს ასე აუცილებელია? განა პირველი დანახვისთანავე არა ჩანს, ვისთანა გაქვს საქმე? უპირველეს ყოვლისა, ის მდიდარია.

— ამაში მე დარწმუნებული არა ვარ.

— მაგრამ თქვენ ხომ პასუხს აგებთ მისთვის?

— ეს რაღაც გროშებია, ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

— ის საუცხოოდ განათლებულია.

— ჰმ! — ჩაიბურტყუნა ახლა მონტე-კრისტომ.

— ის მუსიკოსია.

— ყველა იტალიელი მუსიკოსია.

— იცით, გრაფ, თქვენ ამ ყმაწვილი კაცის მიმართ სამართლიანი არა ხართ.

— უნდა გამოგიტყდეთ, მაწუხებს ის გარემოება, რომ ვიცი თქვენი დამოკიდებულება მორსერებთან, ის კი გზაზე ეღობება მათ, იმიტომ რომ მდიდარია. დანგლარს გაეცინა:

— ეჰ, რა პურიტანელი ხართ! — უთხრა მან. — ამქვეყნად ყოველთვის ასე ხდება.

— მაგრამ თქვენ მაინც ასეთ განხეთქილებაზე არ წახვალთ, ჩემო ძვირფასო ბატონო დანგლარ; მორსერებს ამ ქორწილის იმედი აქვთ.

— ნუთუ?

— ნამდვილად

— მაშინ აგვიხსენი რაშია საქმე. ძვირფასო გრაფო, კარგი იქნებოდა, თუ ამის შესახებ მამამისს გადაუკრავთ სიტყვას, თქვენ ხომ მათთან ასე კარგად ხართ მიღებული.

— მე? — სად დაინახეთ ეს?

— თუნდაც მათ მეჯლისზე. გრაფის მეუღლე, ამაყი მერსედესი, ქედმაღალი კატალონელი, რომელიც ყველაზე ძველ ნაცნობებსაც კი ლაპარაკის ღირსად ძლივს ხდის, მკლავში ხელს გიყრით, თქვენთან ერთად ბაღში მიდის, არჩევს ყველაზე ბნელ ხეივნებს და უკან მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ბრუნდება.

— ეჰ, ბარონო, ბარონო, — თქვა ალბერმა, — ხელს გვიშლით მუსიკას ყური დავუგდოთ, თქვენისთანა მელომანისაგან ეს პირდაპირ ველურობაა.

— არა უშავს, არა უშავს, ბატონო დამცინავო, — უთხრა დანგლარმა.

შემდეგ იგი კვლავ მონტე-კრისტოს მიუბრუნდა.

— კისრულობთ მამამისს უთხრათ ეს ამბავი?

— თუკი ასე გსურთ, სიამოვნებით.

— მაგრამ ამჯერად ყველაფერი ნათელი და გარკვეული უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, მან ჩემი ქალიშვილის ხელი უნდა მთხოვოს. დანიშნოს ვადა, განაცხადოს თავისი ფულადი პირობები; ერთი სიტყვათ, ან საბოლოოდ შევთანხმდებით, ან ერთმანეთს საბოლოოდ დავშორდებით; მაგრამ, ხომ გესმით, არავითარი ვადის გადაწევა.

— რაკი ასეა, ის მოლაპარაკებას დაიწყებს.

— არ ვიტყვოდი, რომ ამას სიამოვნებით ველი-მეთქი, მაგრამ მაინც ველი: ბანკირი, ხომ იცით, თავისი სიტყვის მონა უნდა იყოს.

დანგლარმა ისე ამოიოხრა, როგორც ამ ნახევარი საათის წინ კავალკანტის ვაჟიშვილი ოხრავდა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა! — დაიყვირა ალბერმა ბანკირის მიზამვით ახლახან დამთავრებულ რომანსზე და ტაში შემოჰკრა.

დანგლარმა ალბერს აღმაცერად დაუწყო ყურება, როდესაც ჩურჩულით რაღაცა მოახსენეს.

— მე ამ წუთში მოვალ, — უთხრა ბანკირმა მონტე-კრისტოს, — დამელოდეთ, შესაძლებელია რაიმე გაცნობოთ.

და იგი გავიდა.

ბარონესამ ისარგებლა ქმრის არყოფნით და სასტუმროს კარი გამოაღო; ბატონი ანდრეა კავალკანტი, რომელიც ეჟენი დანგლართან ერთად როიალის წინ იჯდა, ისე წამოხტა, თითქოს ზამბარაზე დამაგრებული ყოფილიყო.

ალბერი ღიმილით მიესალმა მადმუაზელ დანგლარს. ქალიშვილმა, რომელიც, ეტყობოდა, სულ არ შეაშფოთა ამ გარემოებამ, მისთვის ჩვეული გულგრილობით მისცა პასუხი.

კავალკანტი თავს ნამდვილად უხერხულად გრძნობდა; იგი მორსერს მიესალმა, ხოლო ალბერმა ძალზე უხეშად უპასუხა.

შემდეგ ალბერმა მადმუაზელ ეჟენის ხმის შექება დაიწყო და მწუხარება გამოთქვა, რომ ვერ დაესწრო გუშინდელ კონცერტს, რომელიც საერთო შეხედულებით, ასეთი წარმტაცი იყო.

კავალკანტიმ, რომელიც მარტო იდგა, მონტე-კრისტო განზე გაიხმო.

— აი, რას გეტყვით, — თქვა ქალბატონმა დანგლარმა, — კმარა მუსიკა და ქათინაურები, წავიდეთ, ჩაი დავლიოთ.

— წავიდეთ, ლუიზა, — უთხრა მადმუაზელ დანგლარმა თავის მეგობარ ქალს.

ყველანი მეზობელ სასადილო ოთახში გავიდნენ, სადაც ჩაი გაეწყოთ.

იმ დროს, როდესაც ინგლისური წესის მიზამვით სტუმრები კოვზებს უკვე ფინჯნებში სტოვებდნენ, კარი გაიღო და დანგლარი შემოვიდა. იგი ძალზე აღელვებული ჩანდა.

მონტე-კრისტომ პირველად შეამჩნია ეს მღელვარება და ბანკირს გაკვირვებით შეხედა.

— მე ეს არის საბერძნეთიდან წერილი მივიღე, — უთხრა დანგლარმა.

— ამიტომ გამოგიძახეს?

— დიახ.

— როგორ ცხოვრობს მეფე ოტონი? — ჰკითხა მხიარულად ალბერმა.

დანგლარმა აღმაცერად გადახედა და არაფერი უპასუხა, მონტე-კრისტო კი შეტრიალდა, რათა მის სახეზე აღბეჭდილი, მაგრამ იმ წუთშივე გამქრალი სიბრალოლი დაეფარა.

— ერთად წავალთ, არა? — ჰკითხა ალბერმა გრაფს.

— დიახ, თუკი გნებავთ, — უპასუხა მან.

ალბერი ვერ მიხვდა, რით იყო გამოწვეული ბანკირის ასეთი გამოხედვა, ამიტომ ჰკითხა მონტე-კრისტოს, რომელმაც ეს მშვენივრად გაიგო.

— შეამჩნიეთ, როგორ შემომხედა?

— დიახ, — უპასუხა გრაფმა; — მაგრამ მის მზერაში განა რაიმე არაჩვეულებრივი იყო?

— ნამდვილად; კი მაგრამ, რის თქმა უნდოდა საბერძნეთიდან გამოგზავნილი წერილით.

— აბა, რა მოგახსენოთ?
— მე მეგონა, რამე დამოკიდებულება გქონდათ ამ ქვეყანასთან.
მონტე-კრისტომ გაიღიმა, როგორც იღიმიებიან მაშინ, როდესაც პასუხს გაურბიან.
— შეხედეთ, — უთხრა ალბერმა, — ის თქვენსკენ მოდის; მე მადმუაზელ დანგლართან მივალ, კამეას შევუქებ, ამასობაში მამა თქვენთან ლაპარაკს მოასწრებს.
— თუ ქება გინდათ, ყოველ შემთხვევაში, ხმა შეუქეთ, — უთხრა მონტე-კრისტომ.
— არა, ამას ყველა გააკეთებდა.
— ძვირფასო ვიკონტ, — თქვა მონტე-კრისტომ, — თქვენ თავი მოგაქვთ თქვენი კადნიერებით.
ალბერი ღიმილით ეჟენისაკენ გაეშურა.
ამასობაში დანგლარი მონტე-კრისტოს ყურისაკენ დაიხარა.
— თქვენ საუცხოო რჩევა მომეცით, — უთხრა მან, — ამ ორ სიტყვაში «ფერნანდი» და «იანინა» საშინელი ისტორიაა ჩაქსოვილი.
— რას ლაპარაკობთ! — უთხრა მონტე-კრისტომ.
— დიახ, ყველაფერს მოგიყვებით. მაგრამ წაიყვანეთ აქედან ეს ყმაწვილი კაცი; მისი დარჩენა აქ ძალზე უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს.
— მეც სწორედ ამას ვაპირებ, ჩვენ ერთად გავალთ; თქვენ ისევ გასურთ, რომ მამამისი გამოგიგზავნოთ?
— უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.
— კარგი.
გრაფმა ალბერს ანიშნა, წავიდეთო.
ორივენი გამოემშვიდობნენ ქალებს და გავიდნენ. ალბერს მადმუაზელ დანგლარის სიამაყის მიმართ სრულიად გულგრილი იერი ჰქონდა, მონტე-კრისტომ ქალბატონ დანგლარს თავისი რჩევა გაუმეორა, რომ ბანკირის ცოლი წინდახედული უნდა იყოს და თავისი მომავალი უზრუნველყოსო.
ბრძოლის ველი ბატონ კავალკანტის დარჩა.

თავი XX
ჰაიდუ

ის იყო გრაფის ცხენებმა ბულვარის კუთხეში მოუხვიეს, რომ ალბერი მისკენ შეტრიალდა და ისეთი ხმამაღალი სიცილი აუტყდა, რომ არ შეიძლებოდა ექვი არ შეგეტანათ მის არაბუნებრივობაში.
— აი! — უთხრა მან გრაფს, — ახლა მე მინდა გკითხოთ, ისე როგორც მეფე შარლ IX ჰკითხა ევატერინე მედიჩს წმინდა ბართლომეს ღამის შემდეგ: თქვენი აზრით კარგად ვითამაშე ჩემი პატარა როლი?
— რა თვალსაზრისით? — ჰკითხა მონტე-კრისტომ.
— ბატონი დანგლარის სახლში ჩემი მეტოქის ჩასახლების თვალსაზრისით...
— რომელი მეტოქის?
— როგორ თუ რომელის? ანდრეა კავალკანტის, რომელსაც თქვენ მფარველობთ.
— თავი დაანებეთ უშნო ხუმრობას, ბატონო ვიკონტ; მე სრულებით არ ვმფარველობ ანდრეას, ყოველ შემთხვევაში, ბატონ დანგლართან არა.
— განა ამას გისაყვედურებთ, ყმაწვილ კაცს მფარველობა რომ სჭირდებოდა?
მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მას ეს არ სჭირდება.
— როგორ, თქვენ გგონიათ, ის ეარშიყება?

— თავსა ვდებ: თვალებს ოხვრით ხუჭავს და შეყვარებულივით მღერის; ის ოცნებობს ექენის ხელზე. ხედავთ, ლექსად დავიწყე ლაპარაკი! ღმერთმანი, ამაში ბრალი არ მიმიძღვის. მაგრამ სულ ერთია. მე ვიმეორებ: ის ოცნებობს ამაყი ექენის ხელზე.

— განა სულ ერთი არ არის, თუ მხოლოდ თქვენზე ფიქრობენ.

— ნუ იტყვით მაგას, ძვირფასო გრაფო; ორივენი უდიერად მექცეოდნენ.

— როგორ თუ ორივე?

— რასაკვირველია: მადმუაზელ ექენიმ პასუხი ძლივს მადირსა, ხოლო მადმუაზელ დარმილმა, მისმა გულითაღმა მეგობარმა, სულ არ მიპასუხა.

— კი მაგრამ, მამა გაღმერთებთ, — უთხრა მონტე-კრისტომ.

— ის? პირიქით. გულში ათასი ხანჯლის წვერი გამირჭო; მართალია ისეთი ხანჯლის, რომელსაც მხოლოდ სცენაზე ხმარობენ ხოლმე, მაგრამ თვითონ ნამდვილი ჰგონია.

— ეჭვი — სიყვარულის ნიშანია.

— დიახ, მაგრამ მე არ ვეჭვიანობ.

— სამაგიეროდ ის ეჭვიანობს.

— ვისზე? დებრეზე?

— არა, თქვენზე.

— ჩემზე? ნიძლავს დავდებ, რომ ერთი კვირაც არ გავა, ის კარებს ზედ ცხვირწინ მომიხურავს.

— ცდებით, ძვირფასო ვიკონტ.

— რითი დამიმტკიცებთ?

— დასამტკიცებელი საბუთები გინდათ?

— დიახ.

— მე დავალეხული მაქვს გრაფ დე მორსერს ვთხოვო ბარონთან საბოლოო წინადადებით გამოცხადდეს.

— ვინ დაგავალათ?

— თვითონ ბარონმა.

— მაგრამ, ძვირფასო გრაფო, — თქვა ალბერმა, რამდენადაც შეეძლო შემპარავი ხმით, — თქვენ ამას არ იზამთ, ხომ მართალია?

— ცდებით, ალბერ, მე ამას გავაკეთებ, მე პირობა მივეცი.

— ჰოდა, აი, — თქვა ოხვრით ალბერმა, — ასე გამოდის, რომ თქვენ უეჭველად გინდათ, რომ ცოლი ვითხოვო.

— მე მინდა ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყო. მაგრამ ერთი ეს მითხარით, სად არის დებრე; მას უკვე ბარონესასთან აღარ ვხვდები.

— ისინი წალაპარაკდნენ.

— ბარონესასთან?

— არა, ბარონთან.

— განა რამე შენიშნა?

— აი, უეშმაკო ხუმრობა თუ გინდათ, ეს არის.

— თუ გგონიათ, ეჭვიანობდა? — ჰკითხა მონტე-კრისტომ მომხიბვლელი მიამიტობით.

— ოჰ, კი მაგრამ სადაური ბრძანდებით, ბატონო გრაფო?

— ვთქვათ კონგოდან.

— ეს არც ისე შორსაა.

— საიდან უნდა ვიცოდე პარიზელი ქმრების ზნე-ჩვეულება?

— ეჰ, ძვირფასო გრაფო, ქმრები ყველგან ერთნაირები არიან; თუკი რომელიმე ქვეყანაში შეისწავლეთ, გეცოდინებათ მთელი მათი მოდგმა.

— მაშ რატომ უნდა წაკიდებულიყვნენ დანგლარი და დებრე? თითქოს ძალიან შეწყობილები იყვნენ, — იკითხა ისევ მიამიტად მონტე-კრისტომ.

— საქმე სწორედ ისაა, აქ იწყება იზიდას საიდუმლოება, და მე მასში ჩახედული არ ვარ. როდესაც კავალკანტის ვაჟიშვილი მათი ოჯახის წევრი გახდება, მას ჰკითხეთ.

ეტლი გაჩერდა.

— აი, ჩვენც მოვედით, — თქვა მონტე-კრისტომ; — ჯერ მხოლოდ თერთმეტის ნახევარია, შემოდით ჩემთან.

— სიამოვნებით.

— ჩემი ეტლი შემდეგ შინ მიგიყვანთ.

— გმადლობთ, ჩემი ეტლი უკან უნდა გამოგვყოლოდა.

— აი ისიც, — თქვა მონტე-კრისტომ ეტლიდან ჩამოსვლის დროს.

გრაფი და ალბერი სახლში შევიდნენ; სასტუმრო ოთახი განათებული იყო და იქ შეჩერდნენ.

!— ბაპტისენ, ჩაი მოგვიტანეთ, — უბრძანა მონტე-კრისტომ.

ბაპტისენი ხმის ამოუღებლივ გავიდა. ორი წამის შემდეგ ისევ დაბრუნდა, ხელში ეჭირა ყოველმხრივ გაწყობილი ლანგარი, რომელიც ჯადოქრული ზღაპრების ტრაპეზის მსგავსად, თითქოს მიწიდან ამოძვრა.

— იცით, გრაფო, — უთხრა მას ალბერმა, — მე მარტო თქვენი სიმდიდრე კი არ მხიბლავს, შეიძლება აღმოჩნდნენ თქვენზე მდიდარი ადამიანებიც; არც თქვენი ჭკუა, — თუ ბომარშე თქვენზე ჭკვიანი არ იყო, თქვენ მაინც გიტოლდებოდათ; მე მხიბლავს თქვენი უნარი, რომ ადამიანებს ასე იმისახურებთ — უსიტყვოდ, იმ წუთში, იმავე წამში, თითქოს ისინი თქვენი ზარის ხმაზე ხვდებიან თქვენს სურვილს და თითქოს ყოველივე, რაც გსურთ, მზად არის.

— ამაში ცოტაოდენი სიმართლეა. ჩემი ჩვევები ჩემს მსახურებს კარგად აქვთ შესწავლილი. აი, ახლავე დაინახავთ: ჩაის შემდეგ ხომ არაფერს ინებებთ?

— მართალი გითხრათ, სიამოვნებით გავაბოლებდი თამბაქოს.

მონტე-კრისტო ზარს მიუახლოვდა და ერთხელ დაჰკრა.

ერთი წამის შემდეგ გაიღო გვერდითი კარი, და გამოჩნდა ალი, რომელსაც მოჰქონდა საუცხოო ლატაკიეთი დატენილი ჩიბუხები.

— ეს სასწაულია, — თქვა ალბერმა.

— სრულებითაც არა, ეს ძალიან უბრალო საქმეა, — გამოეპასუხა მონტე-კრისტო.

— ალიმ იცის, რომ ჩაის ან ყავის შემდეგ ჩვეულებად მაქვს თამბაქოს მოწევა; მან იცის, რომ ჩაი მოვიტხოვე, ისიც იცის, რომ თქვენთან ერთად დავბრუნდი, ესმის, რომ ვეძახი და მიხვდა — რატომ ვუხმე. და რაკი მის ქვეყანაში ჩიბუხი სტუმართმოყვარეობის პირველი ნიშანია, ერთი ჩიბუხის მაგიერ ორი მოაქვს.

— რასაკვირველია, ყველაფერს შეიძლება ახსნა მისცე და მაინც მხოლოდ თქვენ... მაგრამ ეს რა არის?

და მორსერი გადაიხარა კარისაკენ, საიდანაც მოისმოდა გიტარის ხმის მსგავსი ხმები.

— მე ვხედავ, ძვირფასო ვიკონტ, რომ ამ საღამოს მუსიკის მოსასმენად ხართ განწყობილი; ვერ მოასწარით მადმუაზელ დანგლარის როიალისათვის დაგელწიათ თავი, რომ ჰაიდეს ბარბიტს წააწყდით.

— ჰაიდე! რა საუცხოო სახელია! ნუთუ ლორდ ბაირონის პოემების გარეშეც არიან ქალები, რომლებსაც ჰაიდე ჰქვიათ?

— რასაკვირველია: საფრანგეთში ეს სახელი იშვიათად გვხვდება; მაგრამ ალბანეთში და ეპირში იგი საკმაოდ გავრცელებულია; ის ნიშნავს უმანკობას, უბიწოებას, მორცხვობას. ეს ისეთივე სახელია, როგორსაც თქვენში ნათლობის დროს არქმევენ ხოლმე.

— რა მშვენიერებაა! — თქვა ალბერმა. — როგორ მინდა, ჩვენ ფრანგ ქალებს არქმევდნენ მადმუაზელ სიკეთეს, მადმუაზელ სიწყნარეს, მადმუაზელ ქრისტიანულ გულმოწყალებას. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მადმუაზელ დანგლარს კლერ-მარი-ეჟენის ნაცვლად, მადმუაზელ უმანკოება — მორცხვობა, — უბიწოება — დანგლარს რომ ემახდნენ! აი, ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჯვრისწერის გამოცხადების დროს.

— გიჟო! — უთხრა გრაფმა. — ნუ ხუმრობთ ასე ხმამაღლა, შეიძლება ჰაიდემ გაიგონოს.

— გაბრაზდებოდა?

— რასაკვირველია, არა, — უთხრა გრაფმა თავისი ამაყი ტონით.

— მაშ გულკეთილია? — ჰკითხა ალბერმა.

— ეს გულკეთილობა კი არა, მოვალეობაა; მონას უფლება არა აქვს თავის ბატონს გაუბრაზდეს.

— ახლა თქვენ თვითონ ხუმრობთ, განა მონები კიდევ არსებობენ?

— რასაკვირველია, რაკი ჰაიდე ჩემი მხევალია.

— მართლაც, თქვენ ყველაფერს ისე არ აკეთებთ, როგორც სხვები და ყველაფერი, რაც თქვენ გაქვთ, სხვებისას არ ჰგავს. გრაფ მონტე-კრისტოს მხევალი! საფრანგეთში ეს კარგი მდგომარეობაა. გარდა ამისა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ფანტავთ ოქროებს, ასეთი ადგილი წელიწადში მას ასი ათას ეკიუს უნდა აძლევდეს.

— ასი ათასი ეკიუ! საწყალი გოგო ამაზე მეტს ფლობდა. ის დაიბადა საგანძურებს შორის, რომელთა წინაშე «ათას ერთი ღამის» საგანძური არაფერია.

— მაშ ის მართლაც თავადის ქალია?

— და თავის ქვეყანაში ყველაზე წარჩინებული.

— ასეც ვფიქრობდი. მაგრამ როგორ მოხდა, რომ დიდებული თავადის ქალი თქვენი მონა გახდა?

— როგორ გახდა ტირანი დიონისე სკოლის მასწავლებელი? ომის ბედი, ძვირფასო ვიკონტ, ბედისწერის ჟინიანობა!

— მისი წარმოშობა საიდუმლოებაა?

— სხვებისათვის, დიახ მაგრამ თქვენთვის არა, ძვირფასო ვიკონტ, რაკი ჩემი მეგობარი ხართ, და შემპირდებით, რომ არაფერს იტყვით.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

— იანინას ფაშის ისტორია გაგიგონიათ?

— ალი ტებელინის? რასაკვირველია, მამაჩემმა ხომ სიმდიდრე მის სამსახურში შეიძინა.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა.

— კი მაგრამ, ჰაიდეს ალი-ტებელინთან რა დამოკიდებულება აქვს?

— უბრალო, მისი ქალიშვილია.

— როგორ, ალი-ფაშას ქალიშვილია?

— და მშვენიერი ვასილიკის.

— მერე, ის თქვენი მხევალია?

— დიახ.

— ეგ როგორ?

— რა გაეწყობა, ასეა. ერთხელ, კონსტანტინოპოლის ბაზარში ვსეირნობდი და იქ ვიყიდე.

— ეს დიდებულია. თქვენს საზოგადოებაში, ბატონო გრაფო, ადამიანი კი არ ცხოვრობს, არამედ სიზმრებს ხედავს. ახლა მისმინეთ, ჩემი მხრივ მოყრიდებლობაა, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვოთ.

— გისმენ.

— რახან მასთან ერთად გამოდიხართ ხოლმე, ოპერაში დაგყავთ...

— მერე?

— შემოდლია გავბედო ამის თხოვნა?

— შეგიძლიათ, რაც გინდათ მთხოვეთ.

— კარგი, მაშ მვირფასო გრაფო, თქვენ თავადის ქალთან წარმადგინეთ.

— სიამოვნებით, მაგრამ ორი პირობით.

— წინასწარ ვლბულობ მათ.

— ჯერ ერთი, თქვენ არასოდეს არავის ეტყვიოთ ამ ნაცნობობის შესახებ.

— ძალიან კარგი (ალბერმა ხელი ასწია) გეფიცებით!

— მეორე, ნურაფერს ეტყვიოთ ჰაიდეს, რომ მამათქვენი მამამისთან მსახურობდა.

— ამაზედაც ფიცს ვდებ.

— კარგი, ვიკონტ; თქვენ ორივე ფიცი გემახსოვრებათ, ხომ ასეა?

— ო, გრაფო! — წამოიძახა ალბერმა.

— კმარა, მე ვიცი, რომ თქვენ პატიოსანი ადამიანი ხართ.

გრაფმა ისევ დაჰკრა ზარს. შემოვიდა ალი.

— გააფრთხილეთ ჰაიდე, რომ ყავის დასალევად მივდივარ და ნებართვას ვთხოვ ერთი ჩემი მეგობარი წარვუდგინო.

ალიმ თავი დაუკრა და გავიდა.

— მაშ ასე, შევთანხმდეთ: არავითარი პირდაპირი შეკითხვები, მვირფასო ვიკონტ. თუ რამის გაგება გინდათ, მე მითხარით და მე მას ვკითხავ.

— შევთანხმდით!

ალი მესამედ გამოჩნდა და ფარდები ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის ბატონსა და ალბერს ქალთან შესვლა შეეძლოთ.

ალბერმა თმაზე ხელი გადაისვა და ულვაშები აიწვიპა. გრაფმა ქუდი ისევ აიღო ხელში, ხელთათმანი ჩაიცვა და ალბერს შეუძღვა მოსაცდელ ოთახში, რომელსაც ერთგული გუშაგივით იცავდა ალი, ხოლო უფრო იქით დარაჯად იდგა სამი ფრანგი მსახური ქალი მირტოს მეთაურობით.

ჰაიდე მათ ელოდა პირველ, სასტუმრო ოთახში. ქალიშვილს თვალები გაუფართოვდა: პირველად მიდიოდა მასთან ვიღაც მამაკაცი, მონტე-კრისტოს გარდა; იგი ტახტზე კუთხეში ფეხმორთხმული იჯდა. ასე იტყოდით, საუცხოო ჭრელი დაქარგული აღმოსავლური ქსოვილებიდან ბუდე გაუკეთებიაო. მის გვერდით იდო ინსტრუმენტი, რომლის ხმებმა გამოამჩღავნეს მისი იქ ყოფნა. იგი მომხიბლავი იყო.

მონტე-კრისტოს დანახვაზე ჰაიდე თავისებური ღიმილით წამოიწია — ეს იყო შვილისა და შეყვარებულის ღიმილი; მონტე-კრისტო მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა, რომელსაც იგი, როგორც ყოველთვის, ბაგეებით შეეხო.

ალბერი კართან იდგა. იგი შეპყრობილი იყო იმ უცნაური სილამაზით, რომელსაც პირველად ხედავდა და რომელზედაც საფრანგეთში არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა.

— ვინ მომიყვანე? — ჰკითხა მონტე-კრისტომ ბერძნულად, — ძმა, მეგობარი, უბრალო ნაცნობი თუ მტერი?

— მეგობარი, — უპასუხა მონტე-კრისტომ.

— რა ჰქვია?

— გრაფი ალბერი; ეს ისაა, რომში ყაჩაღებს რომ გამოვეგლიჯე ხელიდან.

— რომელ ენაზე გინდა ველაპარაკო?

მონტე-კრისტო ალბერს მიუბრუნდა.

— იცით თანამედროვე ბერძნული ენა?

— ვაი, რომ ძველი ბერძნულიც არ ვიცი, ძვირფასო გრაფო, — უთხრა ალბერმა. — ჰომეროსსა და პლატონს ჯერ არასოდეს ჰყოლიათ ასეთი უბადრუკი და, გავბედავ ვთქვა, გულგრილი მოწაფე, როგორც მე ვარ.

— ასეთ შემთხვევაში, — დაილაპარაკა ჰაიდემ და ამით დაამტკიცა, რომ მან გაიგო მონტე-კრისტოს შეკითხვა და ალბერის პასუხიც, — მე ფრანგულად ან იტალიურად ვილაპარაკებ, თუკი საერთოდ ჩემი ბატონი ინებებს, რომ ვილაპარაკო.

მონტე-კრისტო ერთი წამით ჩაფიქრდა.

— იტალიურად ილაპარაკე, — უთხრა მან.

შემდეგ ალბერს მიუბრუნდა.

სამწუხაროა, რომ არც ახალი და არც ძველი ბერძნული ენა არ იცით, ჰაიდემ მათ სრულყოფილად ფლობს. საწყალი გოგონა იძულებული იქნება იტალიურად გელაპარაკოთ, ამის გამო შეიძლება შემცდარი აზრი შეადგინოთ მასზე.

მან ჰაიდეს ანიშნა.

— კეთილი იყოს მეგობრის მობრძანება, რომელიც ჩემს მეფე და ბატონთან ერთად მოვიდა, — თქვა ქალიშვილმა მშვენიერ ტოსკანურ კილოზე, ისეთი ნაზი რომაული აქცენტით, რომელიც დანტეს ენას ჰომეროსის ენასავით კეთილხმოვანს ხდის. — ალი, ყავა და ყალიონები!

ჰაიდემ ალბერს ხელით ანიშნა ახლოს მისულიყო, ამასობაში კი ალი თავისი ქალბატონის ბრძანების შესასრულებლად წავიდა. მონტე-კრისტომ ალბერს დასაკეცი სკამი უჩვენა, თვითონაც მეორე ისეთივე სკამი აიღო და ორივე დაბალ მაგიდას მიუსხდნენ, რომელზედაც ყალიონის გარშემო ცოცხალი ყვავილები, ნახატები და მუსიკალური ალბომები ელაგა.

ალი ჩიბუხებითა და ყავით დაბრუნდა; ბაპტისენს აკრძალული ჰქონდა სახლის ამ ნაწილში შესვლა. ალბერმა განზე გასწია ყალიონი, რომელიც მას ნუბიელმა შესთავაზა.

— აიღეთ, აიღეთ, — უთხრა მონტე-კრისტომ, — ჰაიდემ ისევე ცივილიზებულია, როგორც პარიზელი ქალი, სიგარა მისთვის არასასიამოვნო იქნებოდა, იმიტომ რომ ცუდ სუნს ვერ იტანს; მაგრამ აღმოსავლურ თამბაქოს საუცხოო სურნელება აქვს. ეს თქვენც ხომ იცით.

ალი გავიდა.

ყავა უკვე ფინჯნებში ესხა. მაგრამ ალბერისათვის საშაქრე მაინც იდო: მონტე-კრისტო და ჰაიდემ ამ არაბულ სასმელს არაბული წესით, ესე იგი უშაქროდ სვამდნენ. ჰაიდემ ხელი გაიწვდინა, თავისი თხელი ვარდისფერი თითებით იაპონური ფაიფურის ფინჯანი აიღო და ტუჩებთან ისეთი გულუბრყვილო სიამოვნებით მიიტანა, თითქო ბავშვი ყოფილიყოს, რომელიც სვამს ან სჭამს იმას, რაც მას ძალიან უყვარს.

ამ დროს ორმა მსახურმა ქალმა ლანგრებით ნაყინი და შარბათი შემოიტანეს და მათთვის განკუთვნილ პატარა მაგიდებზე დადეს.

— ჩემო ძვირფასო მასპინძელო, და თქვენც სინიორა, — უთხრა ალბერმა იტალიურად, — მომიტევეთ ჩემი განცვიფრება. მე სავსებით გაოგნებული ვარ, ეს

ბუნებრივია, ჩემს წინაშე იშლება აღმოსავლეთი, ნამდვილი აღმოსავლეთი, სამწუხაროდ, არასოდეს მინახავს, მაგრამ მასზე ვოცნებობდი. და ეს ხდება პარიზის შუაგულში! ეს-ეს არის, მესმოდა, როგორ მიგორავდნენ ომნიბუსები და როგორ რეკავდნენ ლიმონათის გამყიდველების ზარები... ეჰ, სინიორა, რატომ არ ვლაპარაკობ ბერძნულად! თქვენი საუბარი ამ ჯადოქრულ გარემოცვასთან ერთად მთელს სიცოცხლეში არ დამავიწყებინებდა ამ საღამოს.

— მე საკმარისად კარგად ვლაპარაკობ იტალიურად და შემიძლია გესაუბროთ, — უპასუხა მშვიდად ჰაიდემ, — ვეცდები თავი აღმოსავლეთში გაგრძნობინოთ, რაკი იგი ასე მოგწონთ.

— რაზე შეიძლება ველაპარაკო? — ჰკითხა ჩურჩულით გრაფს ალბერმა.

— რაზედაც გნებავთ; მის ქვეყანაზე, მის სიყმაწვილეზე, მის მოგონებებზე. თუ გირჩევნიათ რომზე, ნეაპოლზე ან ფლორენციაზე.

— თვალწინ ბერძენი ქალი გყავდეს და იმაზე ესაუბრო, რაზედაც პარიზელთანაც შეგიძლია ლაპარაკი? — თქვა ალბერმა. — არა, ნება მომეცით აღმოსავლეთზე ველაპარაკო.

— იყოს ნება თქვენი, ძვირფასო ალბერ, ეს მას ყველაზე უფრო ესიამოვნება. ალბერი ჰაიდეს მიუბრუნდა.

— რამდენი წლისამ დატოვეთ საბერძნეთი, სენიორა?

— მე მაშინ ხუთი წლისა ვიყავი, — უპასუხა ჰაიდემ.

— და თქვენ გახსოვთ თქვენი სამშობლო?

— როდესაც თვალებს ვხუჭავ, ვხედავ ყველაფერს, რაც მინახავს. ადამიანს ორი მხედველობა აქვს: ხორციელი და სულიერი; ხორციელ მხერას ავიწყდება, მაგრამ სულისას ყოველთვის ახსოვს.

— რა დროიდან გახსოვთ თქვენი თავი?

— ჯერ სიარულიც კი არ ვიცოდი კარგად; დედაჩემი ვასილიკი, — ვასილიკი მეფურს ნიშნავს, — დასძინა ქალიშვილმა და თავი აიღო, — დედაჩემი ხელს ჩამკიდებდა ხოლმე და ორივენი, საბურველებში გახვეულები, ქისაში ჩავილაგებდით ყველა ოქროს ფულს, რაც კი გაგვაჩნდა და პატიმრებისათვის მოწყალების სათხოვნელად მივდიოდით: ჩვენ ვამბობდით: «ის, ვინც ღარიბებს მოწყალებას აძლევს, მუდმივ სასუფეველს მოიპოვებს». როდესაც ქისა ივსებოდა, სასახლეში ვბრუნდებოდით, მამას არაფერს ვეუბნებოდით და მთელ ამ ფულს, რომელსაც იმიტომ გვაძლევდნენ, რომ ღარიბები ვეგონეთ, ვუგზავნიდით მონასტრის წინამძღვარს, რომელიც მას პატიმართა შორის ანაწილებდა.

— მაშინ რამდენი წლისა იყავით?

— სამის, — უპასუხა ჰაიდემ.

— და სამი წლის ასაკიდან გახსოვთ ყველაფერი, რაც თქვენს გარშემო ხდებოდა?

— ყველაფერი.

— გრაფ, — უთხრა ალბერმა ჩურჩულით, — ნება მიეცით სინიორას თავისი ცხოვრებიდან მოყვეს რაიმე. თქვენ ამიკრძალეთ მამაჩემის შესახებ ველაპარაკო, მაგრამ იქნებ თვითონ მან თქვას რაიმე მასზე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მესიამოვნებოდა, რომ ასეთი მშვენიერი არსების პირიდან მისი სახელი გამეგონა.

მონტე-კრისტო ჰაიდეს მიუბრუნდა და წარბების აწევით, რათა მისი განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმაზე, რასაც ის ეტყოდა, ბერძნულად უთხრა:

— ?? (1 სიტყვა-სიტყვით: «მამის ბედი, მაგრამ

მოღალატის არც სახელი და არც გამცემლობა, გვაუწყე ჩვენ».)

ჰაიდემ მძიმედ ამოიოხრა და მის ნათელ შუბლზე შავმა ღრუბელმა გადაირბინა.

— რა უთხარით? — ჰკითხა ჩურჩულით მორსერმა.

— მე ხელახლა გავაფრთხილე, რომ თქვენ ჩვენი მეგობარი ხართ და დასამალავი არაფერი აქვს.

— მაშ, პირველი თქვენი მოგონებაა, როგორ აგროვებდით მოწყალეობას პატიმრებისათვის; მეორე რომელია?

— მეორე? თავს ლეღვის ხეების ჩრდილში ვხედავ, ტბის პირას; მის აკანკალებულ სარკეს ახლაც ვხედავ ფოთლებს შუა. ყველაზე ბებერ, ტოტებგაშლილ ხეს მიყუდებული, ბალიშზე ზის მამაჩემი; დედაჩემი მის ფეხებთან წევს, მე კი, პატარა ბავშვი, ვეთამაშები მის თეთრ წვერს, რომელიც მკერდამდე სცემს და ქამარში გარჭობილ ხანჯალს, რომლის ტარი აღმასებითაა მოჭედელი; დროდადრო მასთან მოდის ალბანელი და ეუბნება რაღაც სიტყვებს, რასაც მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ; მამაჩემი კი შეცვლილი ხმით უპასუხებს: «მოჰკალით იგი» ან: «მიპატიებია მისთვის».

— რა უცნაურია, — თქვა ალბერმა, — კაცს გესმოდეს ასეთი ამბები ყმაწვილი ქალის პირიდან, მაგრამ არა თეატრის სცენიდან და შენ თავს ეუბნებოდე, ეს გამოგონილი ამბავი არ არისო. კი მაგრამ, ასეთი პოეტური წარსულის შემდეგ საფრანგეთი როგორღა მოგწონთ?

— მე მგონია იგი მშვენიერი ქვეყანაა, — თქვა ჰაიდემ, — საფრანგეთს მე ვხედავ ისეთს, როგორც არის, რადგან მოწიფული ქალის თვალით ვუყურებ. ხოლო ჩემი ქვეყანა, რომელსაც მე ბავშვის თვალებით ვუყურებდი, ხან გასხვიოსნებულ ღრუბლებში მეჩვენება და ხან წყვდიადში გახვეული; ეს იმაზეა დამოკიდებული, ხედავს მას ჩემი თვალები როგორც ტკბილ სამშობლოს, თუ როგორც წამების ადგილს.

— თქვენ ასეთი ახალგაზრდა ხართ, სინიორა, — უთხრა ალბერმა, რომელმაც უნებურად ბანალობას მიუძღვნა ხარკი, — როდის მოასწარით ტანჯვა?

ჰაიდემ თვალები მონტე-კრისტოს მიაპყრო, რომელმაც შეუმჩნევლად ანიშნა და ჩასჩურჩულა:

— ??????!. (! გვიამბე.)

— არაფერი ისეთ შთაბეჭდილებას არ სტოვებს სულზე, როგორც პირველი მოგონებები, და ამ ორის გარდა, რომელიც მოგიყვით, ყველა დანარჩენი მოგონება ჩემი სიყმაწვილის დროიდან, სამწუხაროა.

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, სინიორა, — უთხრა ალბერმა, — მე თქვენ გამოუთქმელი ბედნიერების გრძნობით გისმენთ.

— ასე რომ, თქვენ გინდათ სხვა ჩემი მოგონებებიც მოგიყვით? — ჰკითხა მან.

— გემუდარებით.

— კარგი! ოთხი წლისა ვიყავი, როდესაც ერთ საღამოს დედამ გამაღვიძა. მაშინ ჩვენ იანინის სასახლეში ვცხოვრობდით; მან ამაყენა ბალიშებიდან, რომლებზედაც მეძინა და როდესაც თვალები გავახილე, დავინახე, რომ ტიროდა.

«მან სადღაც წამიყვანა ისე, რომ ჩემთვის ხმა არ გაუცია.

«ატირებული დედის დანახვაზე, მეც ავტირდი.

«— გაჩუმდი, შვილო, — მითხრა მან.

«ხშირად ხდებოდა, როგორც ყველა ბავშვი, მე ტირილს განვაგრძობდი ხოლმე;

«მას სწრაფად მივყავდი.

«დავინახე, რომ განიერ კიბეზე ჩავდიოდით; ჩვენს წინ დედის მსახური ქალები მიდიოდნენ, ან, უფრო სწორად, მირბოდნენ, ხელში სკივრები, პარკები, სამკაულები, ძვირფასი ნივთები, ოქროებით სავსე ქისები ეჭირათ.

«ქალების უკან მოდიოდა ოცამდე მცველი გრძელი თოფებითა და დამბაჩებით შეიარაღებულები, მათ ტანზე ის კოსტიუმები ეცვათ, რომლებიც საფრანგეთში ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთი ისევ დამოუკიდებელი ქვეყანაა».

— დამიჯერეთ, — თქვა თავის ქნევით მარტოოდენ მოგონებებით გაფითრებულმა ჰაიდემ, — რაღაც ავბედითი იყო გრძელ მწკრივში, რომელსაც ნახევრად მძინარე მონები და მოახლეები ჰქმნიდნენ, ყოველ შემთხვევაში, სხვები მთვლემარედ ალბათ იმიტომ მეჩვენებოდნენ, რომ მე თვითონ თითქმის მეძინა.

«დერეფნებში დარბოდნენ უზარმაზარი ჩრდილები, რომლებიც კვარის ჩირაღდნების მოძრავ შუქზე ირხეოდნენ.

«— იჩქარეთ, — გაისმა დერეფნის სიღრმეში ვიღაცის ხმა.

«ამ ხმის გაგონებაზე ყველა დაიხარა, როგორც ჯეჯილი ქარის ქროლვაზე იხრება ხოლმე.

«მე ამ ხმამ შემაკრთო.

«ის მამაჩემის ხმა იყო.

«ყველაზე უკან მოდიოდა, თავის მდიდრულ ტანისამოსში გამოწყობილი. ხელში თქვენი იმპერატორის მიერ ნაჩუქარი კარაბინი ეჭირა; თავის საყვარელ სელიმანს დაყრნობოდა და წინ მიგვერეკებოდა. როგორც მწყემსი შეშინებულ ჯოგს».

— მამაჩემი, — თქვა ჰაიდემ თავის მალლა აწევით, — გამოჩენილი ადამიანი იყო, მას ევროპა იანინას ფაშის სახელით იცნობდა და თურქეთი მის წინაშე ცახცახებდა.

ალბერი უნებურად შეკრთა ამ სიტყვებზე, რომელნიც ქალიშვილმა ენით გამოუთქმელი სიამაყითა და ღირსებით წარმოთქვა; მას მოეჩვენა, რომ ჰაიდეს თვალებში რაღაც ბნელი და შემადრწუნებელი გამოკრთა, როდესაც პითიას მსგავსად, რომელიც მოჩვენებას უხმობს, აღადგინა სისხლიანი ჩრდილი იმ ადამიანის, რომელიც საშინელმა სიკვდილმა თანამედროვე ევროპის თვალში ასე აღამაღლა.

— მალე, — განაგრძო ჰაიდემ, — მსვლელობა შეწყდა. ჩვენ ახლა კიბის უკანასკნელ საფეხურზე და ტბის ნაპირთან ვიყავით. დედა აჩქარებულად სუნთქავდა და გულში მიკრავდა; ჩვენგან ორი ნაბიჯის უკან მამაჩემი დავინახე; იგი ირგვლივ შემფოთებით იმზირებოდა.

«ჩვენს წინ ეშვებოდა ოთხსაფეხურიანი მარმარილოს კიბე, ქვემო საფეხურთან ნავი ქანაობდა.

«იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიდექით, მოჩანდა შავი მასა; ეს იყო ციხესიმაგრე, სადაც ჩვენ მივდიოდით.

«მე მომეჩვენა, შეიძლება სიბნელის გამო, რომ იქამდე შორი მანძილი იყო.

«ჩვენ ნავში ჩავსხედით. მახსოვს, ნიჩბებით ისე ეხებოდნენ წყალს, რომ არავითარ ხმაურს არ იწვევდნენ; მე დავიხარე, რათა ნიჩბებისთვის შემეხედა: მათ გარს ჩვენი პალიკარების ქამრები ეკრა.

«მენიჩბეების გარდა ნავში იყვნენ მხოლოდ ქალები, მამა, დედა, სელიმი და მე.

«პალიკარები ნაპირზე დარჩნენ, უკანასკნელ საფეხურზე დაჩოქილები, რათა თუ მტერი დაგვედევნებოდა, სამი ზედა საფეხური საფრად გამოეყენებინათ.

«ჩვენი ნავი ისარივით მიჰქროდა.

«— ნავი რატომ მიცურავს ასე სწრაფად? — ვკითხე მე დედას.

«— ჩუმად, შვილო! — მითხრა მან. — იმიტომ, რომ ჩვენ გავრბივართ.

«მე არაფერი მესმოდა. რატომ უნდა გაქცეულიყო მამაჩემი, ყოვლისშემძლე ადამიანი? მის წინაშე მუდამ სხვები გარბოდნენ. მისი დევიზი იყო:

«— მათ ვძულვარ, მაშასადამე ჩემი ეშინიათ!»

«ახლა მამაჩემი მართლაც გაქცევით შველოდა თავს. შემდეგ მან მითხრა, რომ იანიას ციხესიმაგრის გარნიზონი ხანგრძლივი სამსახურისაგან დაიღალა...»

აქ ჰაიდემ მეტყველი თვალეზით შეხედა მონტე-კრისტოს, რომელიც ამ წუთიდან თვალეზს არ აცილებდა, მას. და განაგრძო ნელა, როგორც ამას ჩადიან, როცა რასმე თხზავენ ან გამოტოვებას აპირებენ.

— თქვენ თქვით, სინიორა, — ჩაერია ალბერი, რომელიც მთელი გულისყურით ისმენდა მის მოთხრობას, — რომ იანიას გარნიზონი ხანგრძლივი სამსახურით დაიღალა...

— და შეუთანხმდა სერასკირის კურშიდს, რომელიც სულთანმა მამაჩემის ხელში ჩასაგდებად გამოგზავნა. სწორედ მაშინ მამაჩემმა წინასწარ სულთანთან გაგზავნა ფრანგი ოფიცერი, რომელსაც ის სავსებით ენდობოდა, ხოლო თვითონ გადაწყვიტა შეფარებოდა დიდი ხნით ადრე აგებულ ციხესიმაგრეს, რომელსაც კატაიუგონს უწოდებდა, რაც თავშესაფარს ნიშნავს.

— თქვენ გახსოვთ იმ ოფიცრის გვარი, სინიორა? — ჰკითხა ალბერმა.

მონტე-კრისტომ ჰაიდეს ელვასავით სწრაფად თვალი თვალში გაუყარა. ალბერმა ეს გარემოება ვერ შენიშნა.

— არა, — უპასუხა მან. — მე არ მახსოვს; მაგრამ შეიძლება უფრო გვიან მომაგონდეს და გეტყვი.

ალბერს უნდოდა ეთქვა თავისი მამის გვარი, მაგრამ მონტე-კრისტომ ფრთხილად თითი ასწია და ამით ანიშნა გაჩუმებულიყო: ყმაწვილკაცს მოაგონდა თავისი ფიცი და აღარაფერი ეთქვა.

— ჩვენ სწორედ იმ თავშესაფრისაკენ მივცურავდით.

«როდესაც ჩვენ ამ პატარა სასახლესთან მივცურეთ, დავინახეთ მხოლოდ არაბესკებით შემკული ქვედა სართული, რომლის ტერასები წყლამდე ეშვებოდა, და მეორე სართული, რომლის ფანჯრები ტბაზე გადიოდა.

«მაგრამ ქვედა სართულის ქვემოთ, ღრმად კუნძულზე, მიწისქვეშ ვეებერთელა მღვიმე იყო გათხრილი. მე, დედაჩემი და ჩვენი მსახური ქალები ამ მღვიმეში შეგვიყვანეს; იქ ეწყო ექვსასი ათასი პარკი და ორასი კასრი. ამ პარკებში ოცდახუთი მილიონი ოქროს მონეტა იდო, ხოლო კასრებში ოცდაათი ათასი გირვანქა თოფის წამალი.

«ამ კასრების გვერდით იდგა სელიმი, რომელზედაც მე უკვე გითხარით, მამაჩემს ძალიან უყვარდა-მეთქი; იგი დღე და ღამე დარაჯობდა; ხელში ეჭირა შუბი, რომლის ბოლოში ანთებული პატრუქი იყო დამაგრებული; მას ნაბრძანები ჰქონდა მამაჩემის პირველი ნიშნისთანავე ყველაფერი აეფეთქებინა — თავშესაფარი, მცველები, ფაშა, ქალები და ოქრო.

«მახსოვს, ჩვენი მონები, რომლებმაც იცოდნენ, რა საშინელი მეზობელი ჰყავდათ, დღე და ღამე ლოცვაში, კვნესაში და ტირილში ატარებდნენ.

«მე ყოველთვის თვალწინ მიდგას ეს ახალგაზრდა ჯარისკაცი, ფერმკრთალი, შავთვალეზი; და როდესაც ჩემთან სიკვდილის ანგელოსი მოფრინდება, ალბათ, მასში სელიმს შევიცნობ.

«არ ვიცი, რამდენი ხანი გავატარეთ ასე; მაშინ მე წარმოდგენა არ მქონდა დროზე; ზოგჯერ, მაგრამ ძალიან იშვიათად, მამაჩემი მე და დედაჩემს, სასახლის ტერასზე გვიხმობდა; ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგან მიწის ქვეშ მხოლოდ მთრთოლვარე ჩრდილებს და სელიმის ელვარე შუბს ვხედავდი.

მამაჩემი დიდ ნაპრალთან იჯდა და შორეულ ჰორიზონტს პირქუშად გაჰყურებდა. იგი ტბის ზედაპირზე გამოჩენილ პატარა შავ წერტილსაც კი აკვირდებოდა;

დედაჩემი, მის გვერდით ნახევრად წამოწოლილი, თავს მხარზე ადებდა, მე კი მის ფეხებთან ვთამაშობდი და ბავშვური განცვიფრებით, რის გამოც ყველაფერი უფრო დიდად მეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, — ვტკბებოდი პინდის ციცაბო კლდეებით, იანიანს თეთრი და ახოვანი ციხე-დარბაზებით, რომლებიც თითქოს ტბის ლურჯ ტალღებიდან აღმართულიყვნენ უზარმაზარი მუქმწვანე მასივებით, შორიდან ხავსი, მთის ფერდობების მოლი გეგონებოდათ, ხოლო ახლოდან აღმოჩნდებოდა, რომ გიგანტური ნაძვები და მირტები ყოფილა.

«ერთხელ დილით მამამ გვიხმო; იგი საკმაოდ დამშვიდებული, მაგრამ ჩვეულებრივზე გაფითრებული იყო.

«— მისმინე ვასილიკი, დღეს ყველაფერს ბოლო მოელება; დღეს ჩემი მბრძანებლის ფირმანი მოვა და ჩემი ბედი გადაწყდება. თუ სრულ შეწყალებას მივიღებ, ზეიმით დავბრუნდები იანიანაში; თუ ცუდ ამბებს მოიტანენ, ამაღამვე გავიქცევით.

«— მაგრამ თუ გაქცევის საშუალება არ მოგვეცა? — ჰკითხა დედამ.

«— დამშვიდებული იყავი, — უპასუხა მამამ ღიმილით, — სელიმი თავისი ანთებული შუბით ჩემს მაგიერ პასუხს გასცემს მათ. მათ ძალიან უნდათ, რომ მოვკვდე, მაგრამ იმ პირობით კი არა, რომ ჩემთან ერთად დაიხოცონ.

«ამ დამამშვიდებელ სიტყვებს, რომლებსაც მამა გულით არ ლაპარაკობდა, დედაჩემი მხოლოდ ოხვრით უპასუხებდა.

«დედამ მას მოუმზადა ყინულიანი წყალი, რომელსაც იგი სულმოუთქმელად სვამდა, რადგან ციხესიმაგრეში გამოქცევის შემდეგ საშინელმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო; დედამ თეთრ წვერზე სურნელოვანი წყალი აპკურა და აუნთო ჩიბუხი, რომლის ბოლქვ-ბოლქვად გამოშვებულ ბოლს, ზოგჯერ, გონებადაფანტულად მთელი საათობით უცქეროდა.

«უცებ ისეთი მძაფრი მოძრაობა გააკეთა, რომ მე შემეშინდა.

«შემდეგ ჭოგრითი მოითხოვა, ისე რომ თვალი არ მოუშორებია წერტილისათვის, რომელმაც მისი ყურადღება მიიქცია.

«დედამ ჭოგრითი გადასცა: მისი სახე უფრო თეთრი იყო, ვიდრე ხელოვნური მარმარილოს სვეტი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა.

«მე დავინახე, როგორ აუკანკალდა ხელი მამაჩემს.

«— ნავი!.. ორი!.. სამი... — ჩაიჩურჩულა მან; — ოთხი!..

«— ვასილიკი, — უთხრა მან დედაჩემს, და ცხადად დაეტყო, რომ ცახცახებდა, — დადგა წუთი, რომელიც ჩვენს ბედს გადაწყვეტს; ნახევარი საათის შემდეგ გვეცოდინება დიდი მბრძანებლის პასუხი... წადი მღვიმეში ჰაიდესთან ერთად.

«— არ მინდა მიგატოვოთ, — უთხრა ვასილიკიმ, — თუ სიკვდილი გიწერიათ, მე მინდა თქვენთან ერთად მოვკვდე.

«— წადით იქ, სადაც სელიმია! — დაიყვირა მამაჩემმა.

«— მშვიდობით, მბრძანებელო! — ჩაიჩურჩულა მორჩილებით დედაჩემმა და დაიხარა, თითქოს უკვე სიკვდილს ხვდებოდა.

«— წაიყვანეთ ვასილიკი, — უთხრა მამაჩემმა თავის პალიკარებს.

«მაგრამ მე, დროებით მივიწყებულმა, მასთან მივირბინე და ხელები გავუწოდე; მან დამინახა, ჩემსკენ დაიხარა და შუბლზე მაკოცა.

«ეს იყო უკანასკნელი კოცნა და მე იგი ახლაც შუბლს მიწვავს.

«როდესაც ქვემოთ ვეშვებოდით, ტერასების ვაზებს შორის ვარჩევდით ნავეს, რომლებიც თანდათან იზრდებოდნენ და სულ რამდენიმე წამის წინ შავი წერტილების მსგავსნი, ახლა უკვე წყლის ზედაპირზე მოსრიალე ფრინველებს წააგავდნენ.

«ამასობაში ოცი პალიკარი, რომლებიც მამაჩემის ფეხქვეშ იხდნენ მოაჯირს მიფარებულნი, დასისხლიანებული თვალებით აკვირდებოდნენ ამ ნავების მოახლოებას: მათ მზად ჰქონდათ სადაფითა და ვერცხლით მოჭედილი გრძელი თოფები; იატაკზე ურიცხვი ტყვია ეყარა; მამაჩემი თავის საათს უყურებდა და შემფოთებით ბოლთასა სცემდა.

«აი, რა დარჩა ჩემს მეხსიერებაში, როდესაც უკანასკნელი კოცნის შემდეგ მამაჩემს ვმორდებოდი.

«მე და დედაჩემი მღვიმეში შევედით. სელიმი ჩვეულებისამებრ თავის საგუშაგოზე იდგა; მან სევდიანად გაგვიღიმა. ჩვენ მღვიმის მეორე ბოლოდან ბალიშები მოგვიტანეს და სელიმის სიახლოვეს დავეჯექით. როდესაც დიდი საფრთხე გვემუქრება, ვცდილობთ თავდადებული და ერთგული ადამიანის გვერდით ვიყოთ, მე კი, თუმცა ძალიან პატარა ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ჩვენს თავს დიდი უბედურება ტრიალებდა».

ალბერს ხშირად გაუგონია იანინას ვეზირის უკანასკნელი წუთების ამბავი, მაგრამ თავისი მამისაგან კი არა, რომელიც არაფერს ლაპარაკობდა ამ თემაზე, არამედ უცხოებისაგან. მრავალი სხვადასხვა მოთხრობაც წაუკითხავს მისი სიკვდილის შესახებ. მაგრამ ამ ყმაწვილი ქალის ხმითა და პიროვნებით გაცოცხლებულმა ისტორიამ, ამ აღელვებულმა და სევდიანმა ელეგიამ იგი ენით გამოუთქმელი ძალით მოხიბლა და ამავე დროს შეაძრწუნა.

ამ საშინელი მოგონებებით შთანთქმული ჰაიდე ერთი წუთით გაჩუმდა; მისი შუბლი, ქარიშხლის წინ დახრილი ყვავილივით, ხელებს დაეყრდნო, ხოლო მისი ამღვრეული თვალები თითქოს ისევ ხედავდნენ ამწვანებულ პინდს და იანინას ტბის ლაჟვარდოვან, ჯადოქრულ სარკეს, საიდანაც იცქირებოდა მის მიერ დახატული სამწუხარო სურათი.

მონტე-კრისტო მას უსაზღვრო თანაგრძნობის და სიბრალულის გამომეტყველებით შესცქეროდა.

— განაგრძე, ჩემო შვილო, — უთხრა მან ბერძნულად; ჰაიდემ თავი აიღო, თითქოს მონტე-კრისტოს ხმამ გამოაფხიზლა და განაგრძო:

— ოთხი საათი იყო; მიუხედავად იმისა, რომ გარეთ ნათელი მზიანი დღე იდგა, ჩვენ მიწისქვეშ წყვიადში ვიყავით ჩაფლული.

«მღვიმეში, შავ ღრუბლებში აციმციმებული ვარსკვლავივით, მხოლოდ ერთი წერტილი ანათებდა; ეს იყო სელიმის ჭრაქი, დედაჩემი ქრისტიანი იყო და იგი ლოცულობდა.

«სელიმი დროდადრო წმინდათა წმინდა სიტყვებს იმეორებდა:

«— ალაჰი დიდია!

«დედაჩემს ცოტაოდენი იმედი მაინც ჰქონდა. როდესაც მღვიმეში ჩავდიოდით, მას მოეჩვენა, რომ იცნო ოფიცერი, რომელიც კონსტანტინოპოლში იყო გაგზავნილი და რომელსაც მამაჩემი სავსებით ენდობოდა, რადგან იცოდა, რომ ფრანგი სულთანის მეომრები ჩვეულებრივად კეთილშობილი და დიდსულოვანი ადამიანები არიან. დედა კიბეს მიუახლოვდა და ყური მიუგდო.

«— ისინი ახლოვდებიან, — თქვა მან, — ოჰ, ნეტავი მშვიდობა და სიცოცხლე მოჰქონდეთ!

«— რისი გეშინია, ვასილიკა? — უპასუხა სელიმმა ნაზად და ამავე დროს ამაყად.

— თუ მშვიდობა არ მოგვიტანეს, სიკვდილს ვაჩუქებთ.

— და მან თავის შუბზე ცეცხლს შეუბერა. ეს მოძრაობა მას ანტიკური კრიტის დიონისეს ამსგავსებდა.

«მაგრამ მე, პატარასა და უგუნურს, მეშინოდა ამ ვაჟკაცობისა, რომელიც სიმკაცრედ და სიგიჟედ მეჩვენებოდა, მეშინოდა ჰაერში და ცეცხლში სიკვდილის.

«დედაჩემსაც იგივე განცდა ჰქონდა, და მე ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა იგი.

«— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — წამოვიყვირე მ, — ნუთუ ახლა უნდა მოგვკვდეთ?

«ჩემი სიტყვების გაგონებაზე ჩვენმა მონა ქალებმა უფრო ხმამაღლა დაიწყეს ტირილი და ლოცვა.

«— შვილო ჩემო, ღმერთმა დაგიფაროს, — მითხრა ვასილიკიმ, — და იმ დღემდე გაცოცხლოს, როდესაც შენ თვითონ ისურვებ სიკვდილს, რომელიც დღეს ასე გაშინებს.

«შემდეგ ძლივს გასაგონად სელიმს ჰკითხა:

«— ბატონისაგან რა ბრძანება გაქვს მიღებული?

«— თუ თავისი ხანჯალი გამომიგზავნა, სულთანს უარი უთქვამს შეწყალებაზე, და მე ყველაფერს ავაფეთქებ, ხოლო თუ თავისი ბეჭედი გამომიგზავნა, — სულთანს იგი შეუწყნარებია და მე ჩავაბარებ თოფის წამლის საწყობს.

«— მეგობარო, — უთხრა დედაჩემმა, — თუ ბატონმა ხანჯალი გამოგიგზავნა, ასეთი საშინელი სიკვდილით ნუ მოგვკლავ: ჩვენ ყელს გამოგიწვდით, და ისევ ხანჯლით მოგვკალი.

«— კარგი, ვასილიკი, — უპასუხა მშვიდად სელიმმა.

«უცებ ჩვენამდე მოაღწია დიდმა ხმაურმა; ყური დავუგდეთ: ეს სიხარულის შემახილები იყო; ჩვენი პალიკარები გაიძახოდნენ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი ფრანგის სახელს; ნათელი იყო, რომ მას დიდი მბრძანებლის პასუხი მოეტანა და ეს პასუხი სასიკეთო იყო».

— და თქვენ მაინც ვერ მოიგონეთ მისი სახელი? — ჰკითხა მორსერმა, რომელიც მზად იყო გაცოცხლებინა იგი მოამბის მეხსიერებაში.

მონტე-კრისტომ ანიშნა.

— არ მახსოვს, — უპასუხა ჰაიდემ.

«ხმაურობა ძლიერდებოდა; ნაბიჯები ახლოვდებოდნენ. ვიღაცა მიწისქვეშ ეშვებოდა.

«სელიმს შუბი გამზადებული ეჭირა.

«მალე მოლურჯო ბინდში, რომელსაც შემოსასვლელში დღის შუქის ზოლი ჰქმნიდა, ვიღაცის ჩრდილი გამოჩნდა.

«— ვინა ხარ? — შეჰყვირა სელიმმა. — მაგრამ ვინც უნდა იყო, ერთი ნაბიჯითაც აღარ წამოიწიო.

«— დიდება სულთანს! — წარმოთქვა ჩრდილმა. — ვეზირმა ალიმ მთლიანი წყალობა მიიღო; მას არა თუ სიცოცხლე აჩუქეს, არამედ დაუბრუნეს მთელი განძეული და ქონება.

«დედაჩემმა სიხარულისაგან შეჰკვივლა და გულში ჩამიკრა.

«— მოიცა, — უთხრა სელიმმა, როცა დაინახა, რომ იგი უკვე კარისაკენ გარბოდა. — ხომ იცი, ბეჭედი უნდა მივიღო.

«— ეს მართალია, — უთხრა დედამ; იგი მუხლებზე დაეცა, მე ცისაკენ ამწია, თითქოს ღმერთსაც მავედრებდა და ამავე დროს უნდოდა, რომ მასთან ახლოს ვყოფილიყავი».

ჰაიდემ ისევ გაჩუმდა, იგი მღელვარებას შეეპყრო, გაფერმკრთალებულ შუბლზე ოფლი წვეთებად დასხმოდა, ხმა თითქოს გამშრალ ყელში ჩაუწყდა.

მონტე-კრისტომ ჭიქაში ყინულიანი წყალი ჩაუსხა, მიაწოდა და ალერსიანი, მაგრამ მაინც მბრძანებლური ხმით უთხრა:

— სიმხნევე, შვილო ჩემო!

ჰაიდემ თვალები და შუბლი მოიწმინდა, შემდეგ ისევ განაგრძო:

«ჩვენმა სიბნელეს მიჩვეულმა თვალებმა ფაშას მოციქული იცნო; ის ჩვენი მეგობარი იყო მაგრამ მამაცმა სელიმმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა, მორჩილება.

«— ვისი სახელით მოხვედი? — ჰკითხა მან.

«— მე მოვედი ჩვენი ბატონი, ალი ტებელინის სახელით.

«— თუ შენ ალის სახელით მოხვედი, გეცოდინება, რაც უნდა გადმომცე.

«— დიახ, — უპასუხა მოციქულმა, — მე მოგიტანე მისი ბეჭედი.

«და მან ხელი ზევით ასწია; მაგრამ ძალიან შორს იდგა, სინათლევ საკმარისი არ იყო, რომ სელიმს იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიდექით, გაერჩია და ეცნო საგანი, რომელსაც ის უჩვენებდა.

«— მე ვერ ვხედავ, რა გიჭირავს ხელში, — უთხრა სელიმმა.

«— მომიახლოვდი, — უთხრა მოციქულმა, ან მე მოგიახლოვდები.

«— არც ერთი და არც მეორე, — უპასუხა ახალგაზრდა მეგრძოლმა, — დასდე იქ, სადაც დგახარ, რათა სინათლის შუქი მოხვდეს და სანამ არ დავინახავ, არ მოხვიდე.

«— კარგი, — უთხრა მოციქულმა.

«იგი მართლაც გაეცალა და მითითებულ ადგილას დადო ის, რაც ხელში ეჭირა.

«ჩვენ გული გვითრთოდა; გვეჩვენებოდა, რომ ეს ნამდვილად ბეჭედი იყო. მაგრამ იყო თუ არა იგი მამაჩემის ბეჭედი?

«სელიმი ანთებული ჩირაღდანით იმ ადგილს მიუახლოვდა, სინათლის შუქზე დაიხარა და ბეჭედი აიღო.

«— ბატონის ბეჭედია, — თქვა მან და ეამბორა, — კარგი!

«შემდეგ ჩირაღდანი მიწისაკენ შეაბრუნა, ფეხი დააბიჯა და ჩააქრო.

«მოციქულმა სიხარულისაგან წამოიყვირა და ტაში შემოჰკრა.

«ამ ნიშანზე შემოვარდა სერასკირი კურშიდის ოთხი ჯარისკაცი და ხუთი ხანჯლით განგმირული სელიმი ძირს დაეცა. თითოეულმა თითო ჭრილობა მიაყენა.

«შემდეგ, თავიანთი დანაშაულით შეზარხოშებულნი, თუმცა შიშისაგან ჯერ ისევ გაფითრებულნი, მღვიმეში შემოცვივდნენ; ყველგან ეძებდნენ, სადმე ცეცხლი არ იყოსო, და ოქროს პარკებს ეპოტინებოდნენ.

«ამასობაში დედამ ხელში ამიტაცა და სწრაფად და მარჯვედ, მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი გზით საიდუმლო კიბისაკენ გაიქცა, რომელიც თავშესაფრის ზემო ნაწილში ადიოდა, სადაც უკვე საშინელი არეულობა იყო.

«დარბაზები სავსე იყო კურშიდის ჩოლოარებით, ესე იგი ჩვენი მტრებით.

«იმ წუთში, როდესაც დედაჩემი კარების გაღებას აპირებდა, გაისმა ფაშას მრისხანე და საშინელი ხმა.

«დედაჩემი ფიცრებს შუა დარჩენილ ჭუჭრუტანასთან მივიდა და ყური მიადო; ჩემი თვალების წინ მეორე ჭუჭრუტანა აღმოჩნდა და მე შიგ შევიხედე.

«— რა გინდათ ჩემგან? — ეუბნებოდა მამაჩემი ადამიანებს, რომლებსაც ხელში ოქროს ასოებით დაფარული ქაღალდი ეჭირათ.

«— ჩვენ გვინდა გაცნობოთ მისი უდიდებულესობის სურვილი, — უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა, — ხომ ხედავ ამ ფირმანს.

«— დიახ, ვხედავ, — უპასუხა მამაჩემმა.

«— მამ წაიკითხე: ის შენს თავს თხოულობს.

«მამაჩემს სიცილი აუტყდა, რომელიც უფრო მრისხანე იყო, ვიდრე ყოველი მუქარა; ჯერ სიცილი არც კი გაეთავებინა, რომ ორი თავისი დამბაჩის ჩახმახს თითი გამოსდო და ორი კაცი მოკლა.

«პალიკარები, რომლებიც მამაჩემის ირგვლივ მიწაზე პირქვე იყვნენ გართხმულები, წამოხტნენ და სროლა ატეხეს. ოთახი ბოლმა, ცეცხლმა და ხმაურმა აავსო.

«თითქმის იმწუთშივე მეორე მხრიდანაც დაიწყო სროლა, ტყვიები ჩვენს გვერდით ფიცრებსა ხვრეტდა.

«ოჰ, რა ლამაზი, რა დიდებული იყო ვეზირი ალი ტებელინი, მამაჩემი, ტყვიების ზუზუნში, მრუდე ხმლით ხელში თოფის წამლით გაშავებული სახით! როგორ გარბოდნენ მისი მტრები.

«— სელიმ, სელიმ, ცეცხლის მცველო, შეასრულე შენი ვალი. — ყვიროდა ის.

«— სელიმი მკვდარია, — უპასუხა ვილაცის ხმამ თითქოს თავშესაფრის სიღრმიდან, — შენ კი, ჩემო ბატონო ალი, დაღუპული ხარ!

«თითქმის იმწუთშივე გაისმა ყრუ აფეთქების ხმა და მამაჩემის ირგვლივ იატაკი ნაფლეთებად იქცა.

«ჩოდოარები იატაკში ქვემოდან ისროდნენ. სამი თუ ოთხი პოლიკარი ქვემოდან გამოსროლილმა ტყვიამ უსულოდ დააგდო. მათი სხეული ტყვიებით იყო დაცხრილული.

«მამაჩემმა დაიღმუვლა, იატაკის ნახვრეტებს თითები ჩაუჭირა და მთელი ფიცარი ამოაძრო.

«მაგრამ იმ წუთშივე, ამ ადგილიდან ოცი ტყვია გავარდა თითქოს ვულკანის კრატერიდან ამოხეთქილი ცეცხლი, კედლებს მოედო და შთანთქა.

«ამ საშინელ ხმაურში, ამ საშინელ ყვირილში, ორმა ყველაზე ძლიერმა გასროლამ, ყველაზე გულისგამგმირავმა ყვირილმა შიშისაგან გამაქვავა; ამ ორმა გასროლამ სასიკვდილოდ დაჭრა მამაჩემი. ეს მან დაიყვირა ორჯერ ასეთი საშინელი ხმით.

— მაგრამ იგი მაინც ფეხზე იდგა და ფანჯარას ჩასჭიდებოდა. დედაჩემი კარებს მთელი ძალით აწვებოდა, რათა მასთან ერთად მომკვდარიყო; იგი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

«მის გარშემო პალიკარები სიკვდილს ებრძოდნენ და იკრუნჩხებოდნენ. ორი თუ სამი მათგანი, რომლებსაც ჭრილობა არ ჰქონდათ ან მსუბუქად იყვნენ დაჭრილები, ფანჯრიდან გადახტნენ.

«ამ დროს ქვემოდან სროლით დახვრეტილი იატაკი ჩაინგრა. მამაჩემი ცალ მუხლზე დაეცა; იმწუთშივე ხმლებით, დამბაჩებით, ხანჯლებით შეიარაღებულმა ოცმა ხელმა მისკენ წაიწია. ერთბაშად ოცმა კაცმა შეუტია ერთ ადამიანს, და მამაჩემი ამ მბდღვინავი დემონების მიერ აღზნებული ცეცხლის გრიგალში გაქრა, თითქოს მის ფეხქვეშ ჯოჯოხეთის კარიბჭე გაიღო.

«მე ვიგრძენი, რომ მიწაზე ვეცემოდი; დედას გული წაუვიდა».

ჰაიდემ ორივე მკლავი კვნესით მუხლებზე დააყრდნო და გრაფს შეხედა, თითქოს ეკითხებოდა, კმაყოფილი იყო თუ არა მისი მორჩილებით.

გრაფი წამოდგა, მიუახლოვდა, მისი ხელი აიღო და ბერძნულად უთხრა:

— დაისვენე, ძვირფასო ბავშვო, მხნეობა მოიკრიბე. გახსოვდეს, რომ არის ღმერთი, რომელიც გამცემლებს სჯის.

— რა საშინელი ისტორიაა, გრაფო, — თქვა ალბერმა, რომელიც ძალზე შეაშინა ჰაიდეს სიფერმკრთალები, — და ახლა ჩემს თავს ვკიცხავ ასეთი მკაცრი ცნობისმოყვარეობისათვის.

— არაფერია, — უპასუხა მონტე-კრისტომ, შემდეგ ქალიშვილს თავზე ხელი დაადო და დასძინა: — ჰაიდეს ვაჟკაცური გული აქვს და თავისი უბედური ამბების მოყოლის დროს, ხშირად შემსუბუქებას პოულობს.

— ეს იმიტომ, მბრძანებელო, რომ ჩემი უბედურებანი მახსენებენ შენს ქველმოქმედებებს, — მკვირცხლად თქვა ჰაიდემ.

ალბერმა მას ცნობისმოყვარეობით შეხედა; ქალიშვილმა ჯერ არაფერი თქვა იმაზე, რისი ცოდნაც მას ყველაზე მეტად აინტერესებდა, ესე იგი, როგორ გახდა იგი გრაფ მონტე-კრისტოს მხევალი.

ალბერისა და გრაფის თვალებში ჰაიდემ ერთი და იგივე სურვილი ამოიკითხა.

ქალიშვილმა განაგრძო:

«როდესაც დედა გონს მოვიდა, ჩვენ სერასკირის წინაშე აღმოვჩნდით.

«— მომკალით, — უთხრა დედამ, — მაგრამ ალის ქვრივის პატიოსნება დაინდეთ.

«— ამას მე ნუ მომმართავთ.

«— მაშ ვის?

«— თქვენს ახალ ბატონს.

«— ვინ არის იგი?

«— აგერ ის.

«და კერძიდმა გვიჩვენა ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელიც ყველაზე დიდ მონაწილეობას იღებდა მამაჩემის დაღუპვაში», — განაგრძო ქალიშვილმა და თვალები მრისხანედ აენტო.

— ამგვარად, — ჰკითხა ალბერმა, — თქვენ იმ კაცის საკუთრება გახდით?

— არა, — უპასუხა ჰაიდემ; — მან ვერ გახედა ჩვენი დატოვება. მან მიგვყიდა მონების ვაჭარს, რომელიც კონსტანტინოპოლში მიემგზავრებოდა. ჩვენ გავიარეთ მთელი საბერძნეთი და ქანცგამოლეულები იმპერატორის სასახლესთან მივედით. სასახლის წინ შეკრებილიყვნენ ცნობისმოყვარეები; ისინი გზას გვითმობდნენ. დედაჩემმა იმ მიმართულებით გაიხედა, საითაც ყველანი იცქირებოდნენ, წამოიყვირა, დაეცა და მიჩვენა სასახლის კარიბჭესთან შუბზე ჩამოცმული თავი.

«ამ თავის ქვეშ დაწერილი იყო შემდეგი სიტყვები: «აი, ალი-ტებელინის, იანინას ფაშას თავი».

«მე ვტიროდი და თან ვცდილობდი წამომეყენებინა დედაჩემი; ის მკვდარი იყო.

«მე ბაზარში წამიყვანეს; მე მიყიდა მდიდარმა სომეხმა. მან აღმზარდა. ამიყვანა მასწავლებლები, ხოლო როდესაც ცამეტი წლის გავხდი, სულთან მაჰმუდს მიმიყიდა».

«ამ უკანასკნელისაგან კი, — თქვა მონტე-კრისტომ, — მე გამოვისყიდე იგი, როგორც უკვე გითხარით, ზურმუხტით, რომელიც ჰგავს იმას, რომელშიც ჰაშიმის აბები მიღვეს.

— ჰო, შენ კეთილი, შენ დიდებული ხარ, ჩემო მბრძანებელო, — უთხრა ჰაიდემ და ხელი დაუკოცნა, — ბედნიერი ვარ, რომ შენ გეკუთვნი.

ალბერი გაოგნებული იყო მონაყოლით.

— დაამთავრეთ ყავის სმა, — უთხრა მას გრაფმა, — ამბავი დამთავრებულია.

შინაარსი

ნაწილი მესამე

თავი I — სტუმრები

თავი II — საუზმე

თავი III — წარდგენა
თავი IV — ბატონი ბერტუჩო
თავი V — სახლი ოტეილში
თავი VI — ვენდეტა
თავი VII — სისხლის წვიმა
თავი VIII — განუსაზღვრელი კრედიტი
თავი IX — აბრაში ცხენები
თავი X — ფილოსოფია
თავი XI — ჰაიდე
თავი XII — მორელების ოჯახი
თავი XIII — პირამე და თისზე
თავი XIV — ტოქსიკოლოგია
თავი XV — რობერტი-სატანა
თავი XVI — თამაში ბირჟაზე
თავი XVII — მაიორი კავალკანტი
თავი XVIII — ანდრეა კავალკანტი
თავი XIX — იონჯით დათესილი ბოსტანი

ნაწილი მეოთხე

თავი I — ბატონი ნუარტიე დე ვილფორი
თავი II — ანდერძი
თავი III — ტელეგრაფი
თავი IV — საშუალება მეზალეს თავიდან მოაცილო ციყვები, რომლებიც მის ატმებს

ჭამენ

თავი V — მოჩვენებები
თავი VI — სადილი
თავი VII — მათხოვარი
თავი VIII — ოჯახური სცენა
თავი IX — ქორწინების გეგმები
თავი X — მეფის პროკურორის კაბინეტი
თავი XI — მიპატიჟება
თავი XII — ძიება
თავი XIII — საზაფხულო მეჯლისი
თავი XIV — პურ-მარილი
თავი XV — მარკიზ დე სენ-მერანის მეუღლე
თავი XVI — დაპირება
თავი XVII — ვილფორის ოჯახის აკლდამა
თავი XVIII — ოქმი
თავი XIX — კავალკანტის ვაჟიშვილის წარმატებანი
თავი XX — ჰაიდე.